

ქეთევან კონენიძე

ზემოიბერული ქილოქავი

ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1973

წიგნში ზემოიშვრული კილოკავის მიკროანალიზია ნოცემული: რაიონებს მიხედვით არის წარმოდგენილი ზემო იმერეთის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი. გამოვლენილია ზემოიშვრული კილოკავის ნიშანდობლიუბანი, დასძულია და თავისებურად გადაკრილიც ე. წ. შუაიშვრული კილოკავის საკითხი.

ნარკვევებს ერთვის წერილები, რომლებიც ზემოიშვრულში წარმოჩენილ ან რაიმე საინტერესო ენობრივ მოვლენას აანალიზებს, ანდა ზემოიშვრულთან ქვემოიშვრულის მიმართების გასარკვევად სასარგებლოა, ან კიდევ ზემოიშვრულის ელემენტებს ავლენს მხატვრულ ლიტერატურაში.

გამოკვლევებს ახლავს მეტყველების ნიმუშებიც. წიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტებისა და პედაგოგებისათვის.

თბილისი, 1957 წლის აპრილი

რ ა ლ ა ჯ ბ ო რ ბ ი არნ. ჩიქობავა, მიხ. ალავეცი



წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ეს ნარკვევები ზემოიმერულის დიალექტოლოგიურ დახასიათებას სახაზს მიზნად.

ზემოიმერულში ოთხი რაიონის მეტყველება ივარაუდება. ეს რაიონებია — ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად—ზესტაფონის, ორჯონიკიძის (ხარაგოულის), ჭიათურისა და საჩხერისა.

ზემო იმერეთის მიწა-წყალი ძველი იბერიის პერიფერიულ ზონას ქმნიდა. ზემოიმერულის სათანადო სისტრულით შესწავლა ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებო ჩანს: საინტერესოა მასში დაცული არქაიზმებიცა და ნეოლოგიზმებიც.

ქეთევან ძოწენიძეს ზემოიმერული სოფელ-სოფელ აქვს ნაკვლევი: დაკვირვება უწარმოებია 80 სოფლის მეტყველებაზე: ზესტაფონის რ.—15 სოფ., ორჯონიკიძის რ.—26 სოფ., ჭიათურის რ.—21 სოფ., საჩხერის რ.—18 სოფ. (სოფლების სია მოცემულია ამ წიგნის დანართში).

ქართული დიალექტოლოგია უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე თვალსაჩინოდ განვითარდა: კვლევის საგნად იქცა თითქმის ყველა კილო, მთისა თუ ბარისა, აღმოსავლურიცა და დასავლურიც; მოგვეპოვება არა ერთი საკმაოდ სრული მონოგრაფიული მიმოხილვაც. და მაინც დიალექტური მოვლენების მიკროანალიზი (როგორც დიალექტების ცენტრალურ, ისე გარდამავალ ზონათა მეტყველები-სა) ჯერ კიდევ ჩასატარებელია დიალექტების მეტ ნაწილში, რომ თავისებურებანი სათანადოდ აისახოს დიალექტურ ატლასებში.

ქეთევან ძოწენიძემ თავს იდვა ზემოიმერულის მიკროანალიზი მოეცა. წლების მანძილზე სოფელ-სოფელ აკვირდებოდა ზემოიმერულის თავისებურებებს, იწერდა გაბმული მეტყველებების ნიმუშებს, აგროვებდა ლექსიკურ მასალას, საგანგებოდ სწავლობდა დარგობლივ ლექსიკას (სათანადო რეალიებთან დაკავშირებით).

ცალკეულ რაიონთა მეტყველების დახასიათება ქეთევან ძოწენიძეს

მოცურელი აქეს (იხ. ნაშრომთა სია, გვ. 561), მაგრამ კვლევა-ძიების შედეგთა მთლიან მონოგრაფიად შეკვრა არ დასცალდა: დაუმთავრებელი დარჩა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ზემოინერულის დეტალურ დიალექტოლოგიურ გამოკვლევად ისახებოდა (და ზემოიმერულის ქვემოიმერულთან მიმართების საკითხსაც ერთგვარად გავეირკვევდა).

მე, როგორც ამ სადისერტაციო შრომის კონსულტანტს, და მიხეილ ალავიძეს მოგვიხდა სასტამბოდ გაგვემართა¹ ნარკვევები ზემოიმერულის შესახებ და ხელმისაწვდომი გაგვეხადა სპეციალისტებისათვის ზემოიმერულის შესწავლის მთავარი შედეგები.

ნარკვევებს ისეთი წერილებიც დაეურთეთ, რომლებიც ზემოიმერულს უშუალოდ არ ეხება, მაგრამ ზემოიმერულთან შესადარებლად სასარგებლოა, ანდა ზემოიმერულის ელემენტებს ავლენს მხატვრულ ლიტერატურაში.

• • •

ქეთევან ძოწენიძე ქართული ენის სპეციალისტთა წრეს უდროოდ გამოეთიშა. ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა შეწყდა.

ქეთევან ძოწენიძეს თავის სპეციალობაში ბევრი რამ შეეძლო ეთქვა; ჰქონდა სათქმელი და უთქმელი დარჩა.

მისი შრომები ორ წიგნად გამოდის: პირველში ზემოიმერულის დახასიათება და დიალექტოლოგიური ტექსტებია შეტანილი, მეორე ზემოიმერულის ლექსიკას ეთმობა.

ქეთევან ძოწენიძის ნაკვლევი ამ ორი წიგნის სახით შეემატება ქართულ ენათმეცნიერებას.

არნ. ჩიქობავა

¹ ქეთევან ძოწენიძის ნაშრომთა სასტამბოდ გამართვაზე დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის წევრმა ლეილა კვანტალიანმა.

ქ ე თ ე ვ ა ნ ძ ო წ ე ნ ი ძ ე

ცხოვრება და ღვაწლი

ენათმეცნიერი და პედაგოგი ქეთევან ძოწენიძე მხოლოდ 53 ზაფხულს მოესწრო. 1969 წლის 4 სექტემბერს შეწყდა მისი გულისცემა.

ქეთევან ძოწენიძისათვის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი იყო მშობლიური: აქ სწავლობდა და მოღვაწეობდა.

ქეთევან ძოწენიძე ტოლ-მეგობრებში გამოირჩეოდა არა მარტო უბადლო ნიჭით, არამედ თავისებური ხასიათითაც. გულისტკმის გამჟღავნება შეეძლო და არაჩვეულებრივი სულიერი სითბო გააჩნდა. იყო სიმართლის მთქმელი—მომწონებელიც, დამწუნებელიც. ის უნაობო და ფუტკარივით გამრჯე ქალი სიკეთეს თესავდა და სიყვარულს იმკიდა.

ქეთევან სამსონის ასული ძოწენიძე დაიბადა 1916 წლის 23 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში. მან აქ 1930 წელს წარჩინებით დაასრულა პირველი შვიდწლიანი სკოლა, 1933 წელს—პედაგოგიური ტექნიკუმი, 1937 წელს — სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ვარლამ თოფურიას მზრუნველობით გამოვლინდა ქეთევან ძოწენიძე, როგორც ბეჯითი სტუდენტი და ნიჭიერი მკვლევარი.

1933—1938 წლებში ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით მთელ ინსტიტუტში გამოირჩეოდა სტუდენტთა საენათმეცნიერო წრე. მის მუშაობას წარმართავენ: გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, გიორგი როგავა, შოთა ძიძიგური, სერგი ჟღენტი.

ამ წრეში, რომლის აქტიური წევრი იყო ქეთევან ძოწენიძე, აღიზარდა რამდენიმე მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი.

წრის წევრები ზაფხულობით სხვადასხვა რაიონში აგროვებდნენ დიალექტურ მასალებს და ეწყობოდა განხილვა მათი მოხსენებებისა. იმჟამად რუსეთის ქალაქებში მივლინებულ იქნა ზოგიერთი სტუდენტი (მათ შორის ქეთევანიც) რუსული ენის დასაუფლებლად.

ქეთევან ძოწენიძე სწავლობდა № 29 ჯგუფში, რომელსაც ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი პედაგოგები და მეცნიერები. ქეთევან ძო-

წენიძე სათუთად ინასავდა და ზეპირადაც გაიხსენებდა თანაკურსელი ფრონტელი პოეტის კერძო წერილს. ამ ბარათიდან ჩანს, რომ სევერიან ისიანი სვირფას მასწავლებლებს ბრძოლის ველზეც აღფრთოვანებით იგონებდა: თვალნათლივ ვხედავ კორნელი კეკელიძის, ვიორგი ახვლედიანისა და აკაკი შანიძის შეტყვევლ სახეებს, ბობოქარ ოქროპირებს შალვა ნუცუბიძესა და ვახტანგ კოტეტიშვილს, ვარლამ თოფურიას თმის ვერცხლს. ვაჟაშვი შეყვარებულ მიხეილ ზანდუკელს. ტკბილად ჩამესმის სიმონ ყაუხჩიშვილის „მოქალაქენო“, მოსე გოგიბერიძის „მეგობრებო“, ანგია ბოჭორიშვილის უცნაურად მოჭრილი მსჯელობა, ალექსანდრე ბარამიძისეული შთაგონებით წაკითხული შოთას ლექსი...

ქეთევან ძოწენიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის (ხელმძღვანელები ა. შანიძე, ვ. თოფურია) დამთავრების შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ — კათედრის დოცენტად, 1958 წლიდან კი განაგებდა ქართული ენის კათედრას.

ქეთევან ძოწენიძე კითხულობდა ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართული გრამატიკის კურსებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მისი ლექცია არასოდეს ყოფილა მშრალი და მოსაწყენი. ეს იმიტომ, რომ ქეთევან ძოწენიძეს კქონდა მდიდარი პოეტური ბუნება და ფართო განათლება.

შესანიშნავი მეხსიერების მქონე ქალი სამეცნიერო სესიაზე ყოველთვის ზეპირად წარმოთქვამდა მოხსენებას, ლექციაზეც ხომ ცოცხალი სიტყვით იპყრობდა აუდიტორიას. სიტყვაკაზმული მწერლობიდან შერჩეულ ნიმუშებს განიხილავდა, მსჯელობდა მწერლის ოსტატობაზე, სტილზე, მხატვრულ სამკაულებზე. გატაცებით უსმენდნენ, ხიბლავდათ მისი საუბარი, რადგან გრამატიკას ნიადაგ პოეზიით ათბობდა და პოეზიით მკურნალობაც სწამდა. უყვარდა ილია ჭავჭავაძისეული ბრძნული გამონათქვამი: ყოველი ცემა გულის ძარღვისა გეჭრის და გვაწყლულებს ჩვენ და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილაყო.

მადლიან აღმზრდელს, „მაგალითს ყრმათა“ მისი მასწავლებელი აკაკი შანიძე ასე ახასიათებს: „როგორც პედაგოგი, იგი იყო მომთხონი, პირუთენელი, სამართლიანი და სტუდენტებს ყოველთვის ეტყობოდა მათი ხელმძღვანელის კეთილი გავლენა. იგი ძალიან უწყობდა ხელს სიჭიერსა და მშრომელ სტუდენტებს, რომ დაწინაურებულიყვნენ და მეცნიერთა რიგებში ჩამდგარიყვნენ“ (იხ. გულმართალი, სათნო და სპეტაკი, გაწ. „ქუთაისი“, 1969, № 117, 9 სექტემბერი).

ქეთევან ძოწენიძის მითითებითა და დავალებით სტუდენტთა სენათმეცნიერო წრის წევრებმა შეკრიბეს დიალექტური მასალები. გამოქვეყნებულია მოხსენებათა თეზისებიც ცალკეულ სოფელთა მეტყველებასზე. შესწავლილია ქვემო იმერეთიდან: ძმუისი, ჭავჭავი, დაფნარი, გუბი, კურსები, დიმი, კონტუთი, ახალშენი, ჭოგნარი; ზეგანი, დელაური, კვანჭირი, საწირე, კინჩხა, გორა; ზემო იმერეთიდან: მერჯევი, ფარცხნალი; რაჭა-ლეჩხუმიდან: ზნაკვა, ზუბი... (იხ. საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა რესპუბლიკური კონფერენციები: I, 1949—VII, 1957; ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო სესიები: XVI, 1956 — XXIX, 1969).

ქეთევან ძოწენიძის მონაწილეობითვე ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა 1964 წელს დაამუშავეს ვაჟა-ფშაველას ერთი ტომი (პროზიდან) კაპიტალური კოლექტიური ნაშრომისათვის „ვაჟა-ფშაველას სიმფონია-ლექსიკონი“. სამუშაო შესრულდა თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის გამგის პროფ. გრ. კიკნაძის ინიციატივით (ამ მასალის საფუძველზე 1969 წელს გამოიცა „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ ალ. ჭინჭარაულისა).

პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ამავე ინსტიტუტის ნაშრომთა კრებული (ტ. XVIII) ქეთევან ძოწენიძის ხელმძღვანელობით გამოქვეყნდა 1958 წელს.

პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის სემინარში ქეთევან ძოწენიძემ განიხილა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოები: არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“, ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა“ (I, მორფოლოგია), ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, აგრეთვე სვებარჯიშოთა კრებულები—„მორფოლოგიის პრაქტიკუმი“ (ანტ. კიზირიასი) და „ქართული წინადადება“ (ალ. ლლონტისა).

ამავე კათედრას მოხსენდა ქეთევან ძოწენიძის რეცენზიებიც სააპრობაციოდ მიღებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციებზე.

ქეთევან ძოწენიძე გამოდიოდა მოხსენებებით პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებზე (იხ. აქვე ნაშრომთა ბიბლიოგრაფია). ამავე დროს ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების მანძილზე მას ირჩევდნენ საქალაქო საბჭოს დეპუტატად და სამაგალითოდ მუშაობდა, როგორც განათლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, ატარებდა ლექციებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და საზოგადოება „ცოდნის“ ხაზითაც.

ქალაქ ქუთაისის საშუალო სკოლის მასწავლებელთა შეკრებაზე 1965 წლის 15 მაისს ქეთევან ძოწენიძემ წაიკითხა ვრცელი მოხსენება ქართული ენის სახელმძღვანელოთა შესახებ. საჯარო განხილვისას ავტორებმა აკაკი შანიძემ, ივანე იმნაიშვილმა და ლევან კვაჭაძემ მომხსენებლის მრავალი კრიტიკული შენიშვნა გაიზიარეს.

ქეთევან ძოწენიძე მონაწილეობდა შეხვედრებში და პირადად იცნობდა უცხოეთის კულტურის ზოგიერთ მოღვაწესაც.

ქეთევან ძოწენიძე სკკპ წევრად მიიღეს 1946 წელს. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“, „მამაცური შრომისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში“ და სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებულ“.

მნიშვნელოვანია ქეთევან ძოწენიძის გამოკვლევები ძველი და ახალი ქართული ენისა და ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე.

როგორც მეცნიერს, ჰქონდა უტყუარი ალლო და თავისებური სტილი, შეეძლო საკითხის მიკვლევა და ახლის თქმა.

ჯერ კიდევ პედაგოგიური ტექნიკუმის მსმენელი იყო, როცა მოთხრობებს წერდა და დია ჩიანელიც ურჩევდა გააყოლოდა ამ გზას.

ქეთევან ძოწენიძემ 1950 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა მიხედვით“. „მან დაწვრილებით შეისწავლა ამ ძეგლის აქაური (თბილისისა და ქუთაისის) ხელნაწერები და გამოარკვევა მათი რედაქციული სახე... დისერტაცია ჩინებული გამოვიდა“ (აკაკი შანიძე).

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ადგილებს ოფიციალური ოპონენტების რეცენზიებიდან:

„სადისერტაციო ნაშრომში, — წერს ილია აბულაძე, — მის ავტორს გამოვლინებული აქვს ახალი მომენტებიც. მაგალითად, — გან თანდებულისი მოქმედებითის ფუნქცია. ნაჩვენებია ამ მოვლენის ჩასახვისა და განვითარების სურათი არა მარტო პავლეს ეპისტოლეების მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის სხვა თარგმნილი თუ ორიგინალური ქეგლების მიხედვითაც. ასე იქცევა სხვა შემთხვევაშიც ავტორი, როცა კი საგულისხმო რაიმე მომენტს შენიშნავს კვლევის დროს, მისი ძეგლის მიხედვით დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამრიგად, სადისერტაციო ნაშრომში არა მარტო უბრალო აღნუსხვა მოგვეპოვება სახელთა ბრუნებისა, რომელიც ადასტურებს იმას, რაც დღემდის გამოთქმულა მეცნიერებაში მის შესახებ, არამედ მასში ცდაცაა, ზოგი-

ერთი კორექტივი იქნეს შეტანილი ამა თუ იმ მომენტის დაფასებაში, ისე როგორც აღინიშნოს ახალიც და ამით საკუთარი სიტყვა ითქვას საკითხის კვლევის დარგში. ავტორის ენა კარგია. მისი ნაწერი ყოველმხრივ გამართულია, სტილი ნათელია.“

ვარლამ თოფურისა შეფასებით, „დისერტანტმა, სულ ცოტა, სამი მნიშვნელოვანი საკითხი გაარკვია და ამდენად ჩვენი ცოდნა გაამდიდრა. ეს საკითხებია: 1. ემფატიკური ხმოვნის უხმარებლობა ბრუნებში, 2. -გან თანდებულიანი მოქმედებითის ფუნქცია, 3. ნაწევრის ადგილის განსაზღვრა.

ამ მთავარი მიღწევების გარეშეც შრომის ყოველი თავი, ვაშკლებლივ, რაიმე ახალს და ამდენად დადებითს შეიცავს, იქნება ეს მოვლენის დადგენა თუ მისი ახსნა. ჰველ ქართულთან საერთო თუ განსხვავებული მოვლენები ისე რელიეფურად არის წარმონიშნული და საკითხები ისე მკვეთრად და ნათლად დასმული, რომ მკაფიოდ ჩანს ავტორის ძალა და შესაძლებლობა, როგორც მკვლევარისა, საფუძვლიანი ცოდნა მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურისა, უნარით უზადო ანალიზისა და შედეგთა განზოგადებისა და, რაც ხაზგასასმელია, უნარი მისაბაძი წერისა.

ავტორის განკარგულებაში არსებული მასალა იმდენად ერაფეროვანი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ შეიძლებოდა მიგვეღო ფაქტებით აღსავსე საკმაოდ უგემურად დაწერილი ნაშრომი. დისერტანტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მასალა ისე ზომიერად და შერჩევითაა მოწოდებული, ისე მოხდენილად და დალაგებული და გაუცვებელი წინადადებებითაა გადმოცემული, იმდენი ცოცხალი აზრი ახლავს, რომ გამოკვლევა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს“.

ძვილი ქართული ენიდან საყურადღებოა აგრეთვე ქეთევან ძოწენიძის შრომები ემფატიკურ ხმოვანზე. -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვისა და მიცემითი ბრუნვის ფუნქციებზე.

ქეთევან ძოწენიძეს განხილული აქვს სხვადასხვა დროს და ცალკე-კალკე დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის ენობრივი თავისებურებანი, კომპოზიტთა წარმოება ლევან გოთუას „გმირთა ვარაამის“ მიხედვით. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი საწერლო ენის სიტყვიერი მარაგი (და მისი დიალექტური სარეზერვო ფონდის მასალა) რეცენზიაში რვატომიან განმარტებითს ლექსიკონზე. მეცნიერი ქალის არქივში დაცულია აგრეთვე ქუთაისში გიორგი ლეონიძის იუბილუზე წარმთქმული სიტყვა (ახლახან დასტამებული), მგრძნობიარე წერილი იოსებ გრიშაშვილის პოეზიის შესახებ და მოგონებები დია ჩიანელსე, სევერიან ისიანსა და ლადო ასათიანზე.

საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მან პრესაში გამოაქვეყნა მოზრდილი სტატიები აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას შესახებ.

ამ სტატიებში ავტორი მხატვრული ენით, მიმზიდველად აფასებს სახელოვან მამულიშვილთა ნაამაგარს.

* * *

ქეთევან ძოწენიძემ იმერული დიალექტის შესწავლა დაიწყო 1947 წელს. მუშაობდა სისტემატურად ორ ათეულ წელზე მეტ ხანს. ფუნდამენტურად და გაეცნო 93 სოფელს (ზემო იმერეთის 80, ქვემო იმერეთის—13). სპეციალურად აწარმოებდა დაკვირვებას ზემოიმერულ მეტყველებაზე და მის ფონეტიკურ და გრამატიკულ მოვლენათა სრული დახასიათება მოგვცა ნაწილ-ნაწილ.

ავტორს არ დასცალდა, თორემ განსზრახული კქონდა ენობრივ ანალიზთა გამთლიანება. ტექსტების დამუშავებაც ვერ მოასწრო. ლექსიკონი კი გამზადებული დარჩა. ნაშრომი მაინც მდიდარი და მრავალფეროვანია და გამოირჩევა საენათმეცნიერო ლიტერატურაში იმით, რომ ერთი კილოკავი რაიონების მიხედვით არის გამოკვლეული.

კვლევა-ძიებისას ვინც კი შეეხება იმერეთს, ამ ნამუშავეს გვერდს ვერ აუვლის. მასში საჭირო ცნობებს იპოვის ყველა — ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ბუნებისმეტყველი...

აკაკი შანიძე წერს: „ქეთევან ძოწენიძის მიერ შეკრებილი ზემოიმერულის დიდძალი მასალა სადოქტორო დისერტაციად იყო განკუთვნილი. დიდად სამწუხაროა, რომ მას არ დასცალდა დაებეჭდა იგი მთლიანად, მაგრამ ნაშრომი მზადაა დასაბეჭდად და, იმედია, გამოქვეყნდება და ეს იქნება დიდი შენაძენი ქართული დიალექტოლოგიისათვის“.

ამ კრებულში ენობრივი მიმოხილვის გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი თავები (აგრეთვე წერილებიც სპეციალურ საკითხებზე) დალაგებულია ქრონოლოგიურად. შერჩეულია ავტორის მიერ ჩაწერილ უცნობ ტექსტთა ნაწილი და მისი ლექსიკური ერთეულებიც განმარტებულია. წიგნს ერთვის საძიებლები და ბიბლიოგრაფიაც.

ენობრივი მიმოხილვის საილუსტრაციო მასალაში (ეგულისხმობთ ნიმუშებს) ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ერთფეროვნება, რაც სოფელ-სოფელ მუშაობის შედეგია და მოსალოდნელიც, რადგან არა თუ ერთ კილოკავში, არამედ სხვადასხვა დიალექტშიც გვაქვს საერთო მოვლენები.

იმერული კილოს კილოკავთა შესახებ აღვნიშნავთ შემდეგს:

ქეთევან ძოწენიძის კლასიფიკაციით, იმერული კილო აერთიანებს ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებს. ზემოიმერული გავრცელებულია ზემო იმერეთში (მოიცავს საჩხერის, ყოფილი ჭიათურის, შესტაფონისა და ორჯონიკიძის ადმინისტრაციულ რაიონებს), ხოლო ქვემოიმერული — ქვემო იმერეთში (ქალაქი ქუთაისი, თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და განის რაიონები). ნაწილობრივ ქვემოიმერულის მომხმარებელია აბაშის რაიონიც.

იმერეთს ზემო და ქვემო იმერეთად (დასახელებული რაიონების ჩათვლით) ასე ყოფენ სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ვ. ჯაოშვილი, ქვემო იმერეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება: ვანუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1960, გვ. 4). იმერეთს შეადგენდა ორი მაზრა — ქუთაისისა და შორაპნისა.

ქეთევან ძოწენიძის დახასიათებით. შუაიმერულ კილოკავად მიჩნეული თერჯოლის, ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ნარევი შემადგენლობისაა — მასში ზემოიმერულის ნიშნებიც გვხვდება და ქვემოიმერულისაც. მოჭარბებულად ან ერთია წარმოდგენილი, ან მეორე ამ რაიონების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად. თანაც ამ რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება ისეთი საერთო, თავისთავადი მოვლენები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ერთ კილოკავად გაერთიანება ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის საპირისპიროდ. ის თავისებურებები, რომლებიც შუაიმერულ მეტყველებაში შეიმჩნევა, თქმის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

ქეთევან ძოწენიძემ შუაიმერული მეტყველება მიაკუთვნა ქვემოიმერულ კილოკავს იმ მოსაზრებით, რომ შუაიმერულში ქვემოიმერული თავისებურებები სჭარბობს ზემოიმერულისას. სამი რაიონიდან ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მცხოვრებთა მეტყველება ახლოა ქვემოიმერულთან, თერჯოლური მეტყველება კი — ზემოიმერულთან.

გავეცნოთ აკაკი შანიძის ერთ კერძო წერილს (1967 წ.).

„წავიკითხე წელს „მაცნეში“ (№3) დაბეჭდილი შენი გამოკლევა „ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის“ და კმაყოფილი დავრჩი: ჩანს, როგორც ყოველთვის, ნიჭი და შემოქმედების ნაყოფი. ოღონდ სათაურს მე ასე გავაკეთებდი: „შუაიმერულის საკითხისათვის ზემოიმერულ და ქვე-

მოიმერულ კილოკაეებთან მიმართებით“. მაგრამ ეს არაფერია; მთავარია, რომ გამოკვლევა კარგია და სიამოვნებით იკითხება“.

„ზემოიმერული ლექსიკონი“ შეიცავს ექვსი ათასზე მეტ სიტყვასა და გამოთქმას სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების), შინა-პრეწველობა-ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან — იმერელთა წარსული და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან. ეს ნაშრომი არსებული დიალექტური ლექსიკონებისაგან განსხვავდება შედგენის პრინციპითაც. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის წესისამებრ, აქაც ლექსიკურ ერთეულად მიღებულია ზმნის აწმყო-მყოფადის მესამე პირის ფორმა მხოლოდობითს რიცხვში. მითითებულია მასდარზეც და ძირეულ სახელზეც. როცა აწმყო-მყოფადი ძნელი გამოსაყვანია და ძირიც უცნობი, ზმნა შედის იმ სახით, როგორადაც ზეპირმეტყველებაში დასტურდება; ჩვეულებრივ კი ახსნა-განმარტებებს ახლავს ფრაზეოლოგიაც. მოპოვებული მასალა შედარებულია ქართველურ ენათა ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან. დარგობლივი ლექსიკიდან დამუშავებულია კერამიკა. ქეთევან ძოწენიძემ ცოცხალი მეტყველების ამოუწურავი საუნიჯიდან უცნობი მარგალიტები გამოავლინა. ათასობით სიტყვა და ფორმა აღმოაჩინა და გადააჩინა დაკარგვას.

ქეთევან ძოწენიძემ წარუშლელი კვალი გაავლო ქართველოლოგიაში.

მიხეილ ალავიძე

ბ ე მ ო ქ ვ ლ ე ვ ე ბ ი

ორჯონიძის (ხარაგოულის) რაიონის მცხოვრებთა მეტყველება¹

I ნ ა კ ვ ე თ ი

ესა თუ ის კილო სალიტერატურო ენასთან მიმართებით არ შეიძლება გეგმაზომიერად იქნეს შესწავლილი, თუ აღნუსხული და დახასიათებული არ იქნება ამ დიალექტის ტერიტორიაზე მყოფი ყველა სოფლის თუ არა, ყველა სასოფლო საბჭოს თითო-თითო სოფლის მეტყველების თავისებურება მაინც. ამგვარი შესწავლა დაგეარწმუნებს, რომ ერთისა და იმავე რაიონის სხვადასხვა სოფლის მეტყველებაში არსებული განსხვავებანი ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელოა. ამდენად ზემოიშვრული კილოკავის შესახებ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნარკვევებში ხშირად განმეორებაც მოგვიხდება, ზოგჯერ კიდევ განმეორების ასარიდებლად მხოლოდ აღწერითი ანალიზით დავკმაყოფილდებით.

მაგრამ, რაგინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს ერთისა და იმავე რაიონის სხვადასხვა სოფლის მეტყველებაში არსებული განსხვავებები სრული ერთფეროვნება მაინც არ გვექნება. დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა სწორედ ამ უმნიშვნელო განსხვავებათა გამოვლენისა და დადგენის აუცილებლობას აყენებს.

წინამდებარე ნარკვევში წარმოდგენილი საანალიზო მასალა ჩვენ მიერ შეკრებილია ორჯონიძის რაიონის სოფლებში: ხიდარში, ვარძიასა (ვარძიის სასოფლო საბჭო) და კიცხში (კიცხის სასოფლო საბჭო).

შეკრებილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ სხვაობა, რამელიც შეინიშნება ორჯონიძის რაიონის სოფლების მეტყველებასა და ქიათურის, ზესტაფონისა და საჩხერის რაიონების ზოგი სოფლის მეტყველებას შორის, დიდი არ არის; მაგრამ მაინც ხელშესახებია.

ბ გ ე რ ი თ ი შე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ ზემოიშვრული კილოკავი სალიტერატურო ქართულისაგან არ სხვაობს. იშვიათად მხოლოდ სახე-

¹ წაერთხლია მოხსენებად ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ზეცნიერ მუშაკთა XIX სამეცნიერო სესიაზე 1955 წლის 17 აპრილს.

ლის ბოლოკადური ხმოვნის შემდეგ სახელობითის ი ძ-ის აქუსტიკურ
შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ჩვეულებრივ სრული ი აღიქმება.

ფონეტიკური მოვლანაობი

ყველაზე გავრცელებულ ბგერათცვლილებას ასიმილაცია
წარმოადგენს. აქ ასიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანცი-
ურიც, რეგრესულიც და პროგრესულიც, სრულიც და ნაწილობრივიც.
ასიმილატორი ან რაგვარობის მიხედვით იმსგავსებს ასიმილირე-
ბულს, ან წარმოების ადგილის მიხედვით.

თანხმონებში პროგრესული ასიმილაცია სჭარბობს რეგრესულს,
ხოლო ხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია გვხვდება უპირატესად.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა ფშვინვიერ
ხშულს, აბრუპტივს ან ყრუ ნაპარალოვანს მოსდევს მჟღერი ხშული:

ბათფანი, თფენულოფს, თფილად, აღმოჩთა, გამომჩთარან, გაართა.
უცთის, მწიფთება... ტაა, ნატბევი, შეტპორილი, სატკპილე... გასკტე-
ბა, დაგვამიწყტა, გატყტა, გაწყტა, დაწყტა, საყტ.ჩი... ხფო, გახთა.
წახთა, წოუხთენია, მიძახთა, შეიგრეხთა, გააღლიშთა...

დასახელებულ შემთხვევებში ასიმილაცია კონტაქტურია და ნაწი-
ლობრივი.

სრული ასიმილაციის მაგალითებია: გაკეთთა, მოკეთთება...

დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს ამ შემთხვევებში:
კვტარი, მოკვტი, სასიკვტილო, შამოხვთი, დამხვთერია, დაფიქრთა,
თანხმოვანთა შორის სრული, დისტანციური, რეგრესული ასიმი-
ლაციის მაგალითებია: შაშა, შაშიკო, ყიყვი, ყმაყოფილი...

სიტყვებში: სააპკო, აფხანაკი ნაწილობრივი ასიმილაცია
გვაქვს.

რეგრესული ასიმილაცია გვაქვს აგრეთვე მაშინაც, როცა
ა) მიცემითის ფორმანტი ერთვის მრავლობითობის -ებ სუფიქსს:
კაცეფს, ბიჭეფს, ნაკლეფს, მხეცეფს (||ხეჩეფს)...

ბ) -ში თანდებული ერთვის მჟღერი ხშულით ან ნაპარალოვნით
გათავებულ ფუძეს: გვერთში, ბახში...

სრული, დისტანციური ასიმილაცია გვაქვს მეტწილად სიტყვაში
„სახლი“ -ში თანდებულის დართვისას: შახში.

გ) III სუბიექტური პირის ნიშანი -ხ ერთვის ბ თანხმოვნით გათა-
ვებულ თემის ნიშანს: ატყუეფს, აკეთეფს, აშენეფს, გმოფს, სპოფს...

დ) მეორე ობიექტური პირის ნიშანს მოსდევს ყრუ თანხმოვანი:
მოჭკლა, მოჭყვა, მოჭკა, ჭქონდა, ჭყავდა...

რეგრესულ ასიმილაციას მეტწილად ადგილი აქვს ხმოვნებში.

ზმნისწინის ა და ო ხმოვნებს მომდევნო ე იმსგავსებს სრულად,

ხოლო ი და უ ხმოვნები ნაწილობრივ იმსგავსებს ა-ს. უ სრულად იმსგავსებს ო-ს; ეელო, დეესია, გამეეწერა, ეიტანა, დეიძინა, მეინდო-მა, მევიდა, ოუწონა, დოუყვა, დოუწვა, დოუწყიათ, დოუყრიათ, ჩო-უშვეს, მუუტანე, მუუხტენდი...

რთული ზმნისწინის პირველი ხმოვნის ასიმილაციას ვერ ახდენს ფუძისეული ე, ი, უ; გამეილოს, გამევიდოს. წამეილო, ჩამევიდა...

ხმოვანფუძიანი სახელის ბოლოკიდურ ა ხმოვანს მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ე ხმოვანი იმსგავსებს სრულად:

ინტოკეები, პატარეები, მეტრიკეები!...

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც გვაქვს სიტყვებში: მ ო ო რ ე (გამოითქმის ზოგჯერ მ ო რ ე), რ ო უყავი, რავო ვქნა, აქოურა...

დისიმილაცია

პროგრესული დისიმილაციის მაგალითებია: გუშინწილ. გუშინა-წილე, რავალი (ქიათურისა და საჩხერის რაიონებში ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, უდისიმილაციოდ იხმარება), არალი, ალანი, სოლომანი, არაფელა, ერჯელ.

რეგრესული დისიმილაცია გვაქვს ამ მაგალითებში: კალონი, უმან-დელა, დელექტორი.

მო-პრევერბის ო ხმოვნის ა-დ ცვლას დისიმილაციის მოქმედებით ხსნიან².

მეტათეზისი

გვხვდება მარტივიცა და საურთიერთოც, კონტაქტურიცა და დისტანციურიც, ჩვეულებრივია სონორ ბგერათა მეტათეზისი: ძრიელ, სურიელი, სლუგუნი, ჩლუქი, ნევრები ქრმის, ძრმის, ძრმიანი, სარ-ძიკველი, შეკმაზა, ნავხე, ნამხა, ნამხველი (შეგვხვდება მნამხველიც).

დასახელებული სიტყვები ამგვარადვე იხმარება ჩხერიმელან მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჩვენ მიერ შესწავლილ სოფლებშიაც, ოლონდ უპირატესად „ძიელ“ იხმარება და არა „ძრიელ“.

ზემოიშვებული ტ ი რ თ ვ ი, დ ა ტ ი რ თ ვ ა, რომელიც ლეჩხუმურ-შიც ამგვარადაა ნაპირი, კანონიერი ფორმაა ძველი ქართულისათვის.

¹ ასეთივე მოვლენა დასტურდება სხვა კილოებშიც. იხ. გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობის ქართლური, იბ.-კავკ. ენათმ., IV, თბილისი, 1953, გვ. 318

² კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), 1959, გვ. 449.

ანეელი ქართულის ვითარებას ნორმად თუ მივიჩნევთ, მაშინ ახალი სა-
ლიტერატურო ქართულის „ტვირთში“ აქვს ადგილი ვ ბგერას მეტაფი-
ზის¹ და არა ზემოიშვრულის „ტირთვში“.

მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებითაა მიღე-
ბული ეუმბება (ეუმბება → ეუნბება → ეუმბება).

ბგერათა დაკარგვა

ხშირია მ ბგერის დაკარგვა: წიფე, წირე, წარე, ჩატე, წყესი, წყე-
სობა, ზეთუნახავი, ველი, თა, ტერი, თავარი, თავრობა, ხეცი, ზით-
ვი, დიღარი, შიერი, ხარეზე, ტირალი, წყურალა, ქედელი...

იკარგვის ბოლოკიდური მ-ც: მიტო, რო, ხო...

მ-ს გარდა იკარგვის სხვა სონორი ბგერებიც, მაგრამ უფრო იშვია-
თად.

რ: ფთხალი, ბძენი, მიბძანდა, ფთა...

ნ: მიდორი, მდოფს...

ლ: სახ-კარი, სახში (|| შახში), დახში, ხემწიფე, სახემწიფო, ხომე.
საპანე...

ლ ბგერის დაკარგვისა და ასიმილაციის შედეგადაა მიღებული:
ქტე (ქლდე), აქტა (აქლდა), გახთა (გახლდა)...

ვ: სოლაგარი, მოუარდათ, იპონა, ნაპონი...

დ: წაით, წამევეით, ჩამევეით, ევეით, ისაილეთ², უნა, როის, მანა,
სანა, არსა, ვერსა, სა...

ჩ: გაჩეილაძეა...

რგ: კაათ.

მ დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით ჩანს დაკარგული სიტ-
ყვაში „ა ე რ ი“, თორემ ძველ ქართულში ეს სიტყვა ჩვეულებრივ მ-ს
გარეშე გვხვდება.

ც ნაწილაკის გარეშეც გვხვდება მ ა ი ნ (მ ა ი ნ ც)

ს: ტომაქი.

ს ბგერა იკარგვის მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში და ზო-
გიერთ ზმნაში.

დაღასტურებითი კი და ქე ნაწილაკების ო და ე ხმოვნების დაკარ-
გვის შემდეგ კ და ჭ შეზრდია მომდევნო უარყოფითს ნაწილაკს:

ქველარ ვიცანი... ქარ გითხარი?..

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ
ენებში, თბილისი, 1942, გვ. 87.

² შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954,
გვ. 157.

ბგერათა დართვა ᄀ

ბ: ბქორი, მებქორია... (ქიათურისა და საჩხერის რაიონთა მეტყვე-
ლებაში ამ სიტყვათა ამგვარი ხმარება უცხოა).

მ: მჭიში, თხა-მცხვარი, მემცხვარე, სამძოვარი, ნამყოფიერი,
უმფროსი, გამოუმცხადა, მწყნარათ...

ვ: დავთოკვე, ბურთვი...

ნ: ბრუნდი, მესანზღვრე, ანგროვებენ, გოუნცხადებიათ, ენტოვება...

რ: ღვირძლი, მარგალითად, ღვლერკვი, იჩხუბრა...

სუბსტიტუციაჲ

ქართული ენის ყველა კილოსთვისაა დამახასიათებელი მეტ-ნაკ-
ლებად. ბგერათმონაცვლეობისას ზემოიმერულშიც სპეციფიკური არა-
ფერი შეინიშნება. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები:

მ—ნ: უნცროსი, ნეფობა, ტანბაჩა...

ნ—მ: გამცხადება, გამსხვაება, მექლო...

ლ—ნ: სიციინი, კობანა (=კოპალი)...

ნ—ლ: ლამი...

რ—ლ: ბულიი, კელბი, ბრიგადელი...

ლ—რ: დანაშაური...

ვ—მ: სამსე, გოუმსო, მამნებელი, ძიმი, ხამსი, დამამიწყტა ..

მ—ბ: ბრუდი, ბრავალი...

ვ—ბ: საბარცხალი, თებზი, უთებზო...

ს—რ: სარჯელი...

გ—ქ: კარქი...

ვ—ქ: აქტო...

წ—ზ: აზეული, ასაზეველი...

ასიმილაციისა და სუბსტიტუციის შედეგადაა მიღებული „აფხანაკი“.
სუბსტიტუცია ბგერათა კომპლექსებშიც დასტურდება.

სწ—სტ: სტაელა, სტაელელი, დეისტრო...

სკ—შკ: ზაკუშკა, იზაკუშკეს'...

ვა—ო: დეიცო...

ვე—ო: მოვეობი, წაყობი, ყოლაფერი (|| ყოლიფერი)...

ევ—ო: მოელე (მეველე), კიდო...

როგორც ვხედავთ, ბგერათა ცვლილებების მხრივ ზემოიმერული
კილოკავი, ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველების მიხედ-
ვით, დიდად არ სხვაობს ქართული ენის სხვა კილოებისაგან.

¹ ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართული, იბ.-კავკ. ენათმ. IV.
1953, გვ. 283.

სახელოებით ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს, მეტწილად ი მოეპოვებათ:

ჩემი ბებია იყო იობის და ი... გათენდა დილა ი... გაშალეს სუფრა ი... დედა ი და მამა ი ჩ არ მყავს... რა იყო ასლა ე წ ვ ი მ ა ი... აგერ არი რ ი ყ ე ი... სა არი შენი ხ ფ ო ი... კტის ძირში მეგულება ო ქ რ ო ი... რალათ უნდა უ თ ო ი... როდის მოვკრიფოთ ლ ო ბ ი ო ი... მამეცი საპი საათის დ რ ო ი...

ნ ი ნ ა ი მივეკრძეყე (მივაკუთენე), მ ა რ გ ა ლ ი ტ ა ი აქ იყო... იყო დღეს ვ ა რ ლ ა მ ა ი... დაგვიხვთა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი... მევიდა კ ა კ ო ი... ტოლბაშთ დეაყენეთ ვ ა ს ი კ ო ი... ლ ა დ ი კ ო ი ქ ე ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ი ქ ა...

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელს ზოგჯერ გადაპყვება სახელობითის ი ნიშანი, რომელიც ფუძის კუთვნილებადაა გაგებული, და გვაქვს:

აშკარათ დ ა ვ ი თ ი მ გადაახთევია... დ ა ვ ი თ ი მ ასე თქვა...

მ ი ც ე მ ი თ შ ი თანხმოვნით დაბოლოებული სახელები იკვეცენ მიცემითის ფორმანტს, თუშკა ეს მოვლენა, როგორც სათანადო ადგილას უკვე აღნიშნული გვაქვს, არც ისე იშვიათია, როგორც ქვემოთმჩრულში, და არც ისე ხშირი, როგორც კახურსა და განსაკუთრებით ქიზიყურში¹.

მე ვიტყვი ზ ლ ა პ ა რ... მოუვიდა ჩემ დ ე დ ა მ თ ი ლ გული... ე ა ბ რ ე შ უ შ კ არ დეაჯენიებდი... ყ ვ ე ლ მოგიტეხამ... ასე უხეხილო, წ რ ე უ ლ რ ო ვ არ, არ ვყოფილვარ... ქ ა ლ დახვთენ იქანა...

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მოხშირებულია ჩვენებით ნაცვალსახელებთან.

ა მ ა შ ი ნ ც წ ე ვ ი ყ ვ ა ნ... მ ა გ ა რ ა თ ი ტ კ ი ვ ა ტ უ რ ი... ფესოზე მოვკრით ი მ ა... ი შ ა ხ შ ი რ ი გაფხვიერება უნდა... არ გადავთქვამ შე ი მ ა...

ს-ს დაკარგვა შეიმჩნევა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბრუნვაშიაც:

ც ი ა ლ ა მ ნ ა ხ ე ლ ი მევიდა... უძახიან ა შ ა რ კ ი ნ ი ჯ ვ ა რ ს... ე ნ ი მეტი არაფერი არ აკტა... ზ ლ ა პ რ ი მეტი რ ა ვ ი ც ი... ერთი გ ო გ ო ი მეტი არაფერი გააჩთა... ლ ე ღ ვ ი მეტი რ ა არ ი აქ ა... ა მ გ ზ ი ზ ე ი დ ა ნ არი ქვა... შ ა მ ი ლ ა ქ ა ლ ო ქ რ ო ს ა ჩ ე ბ ი უ კ ე თ ი ა...

თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელთა ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს, როცა იგი პოსტპოზიციური წყობისაა. უკვეცელ სახელთა მსგავსად, ემფატიკური ა ხმოვანი გაუჩინარებულ აქვს და მისი ადგილი ი-ს უჭირავს:

¹ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოთმჩრული კილოკავი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ. ტ. XI. 1952-1953, გვ. 76.

ახლა უნდა მოკვლა ამ ბიჭისი... სული და გულია ადამიანი-
სი... საკმელი შექამეს ამ კაცისი... გემო არა აქ არაფრისი...
ემფატიკური ა-ს ადგილას ი გვაქვს განმარტოებულ მსაზღვრელ-
თანაც:

— წითელი ძაფი გაქ? — შავი მაქ, აბრეშუმი სი...

მოქმედებით ბრუნვაშიც ემფატიკურა ა-ს ადგილას ი გამოვ-
ლინდება:

შამომიტოვა ხელებითი... ორჯერ შევიდა ნიშნითი... შევი-
დენ მანქანითი... გინდა ჩახვალ რკინიგზითი, გინდა მანქა-
ნითი... ამევილე კობზითი... ჩვენ ვიცით მაგრე გაკე-
თება ნიგვზითი... აანგროვე ფიწლითი... შეშა მოქონ-
და ქუმბაძის ხარებითი... მეწისქვილე თავის ცოლ-შვი-
ლითი ამ ხელმწიფი შეილს წაყუა... ძმას ვერ გოუმხილა ხათრი-
თი... წვევიდა ეკაცი ვთვის ვადითი... კვტებოდა ჯავრითი...

ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკურ ა-ს ბაღლაჟი-ს გა-
მოვლენა მთელი ზემოიმერულისთვისაა ნიშანდობლივი.

ვითარებით ბრუნვაში მეტწილად თ გვევლინება:

დიდათ გვეიხარე... ცხოვრება სალხინოთ უნდოდა... მარ-
ნათ შინდოდა ესი...

-იან სუფიქსიან სახელთა ვითარებითში დარ შეინიშნება?

ჩაახა ღვინოთ თავის ჭაჭიანა... ჩევი ქმარი წამევიდ, სახში
ცხენებთანა... წვილო ბარდიანა... გაგადეფ ამიანა... შენი
ბიზნიანა უნა წაგიყვანო...

წოდებითში თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ო-ს და-
ირთავენ:

ბიძია მიხეილო, — დამიძახა... მოდი შენე, დანიელო... რა
უნდა მაგა, ლევანო... აბა, გაგვიძეხი, სვიმონო... ნამდვილ არ
არი ეცხენი შენი, ბიჭტორო...

ამგვარი წარმოება დამახასიათებელია ზემოიმერულის ყველა
თქმა-ქცევისათვის, გვხვდება ქვემოიმერულშიც¹, მაგრამ იშვიათად.

წოდებითში გვხვდება ამგვარი ფორმაც: შენ რა გითხრის, დავი-
თი? ამ შემთხვევაში სახელობითის ი ფუძის ხმოვნადაა მიჩნეული და
წოდებითში ფუძეა ნახვარი, როგორც ბოლოხმცენიანი სახელები-

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, თსუ შრო-
მები; XXI, 1942, გვ. 71-95; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოვანი,
გვ. 78.

² არნ. ჩიქობავა, შიშართლებითი ბრუნვის გენეზისისა, წარმოებისა და
ისტორიისათვის, ენიშკ-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 18.

³ შ. ძიძიგური, К характеристике нижнеиммерского говора грузинского
языка, «Памяти акад. Н. Я. Марра», 1941, გვ. 125.

თვისაა ეს ნიშანდობლივი, ე. ი. თანხმობიანი სახელი ხმოვნთან სახელთა წყებაშია გადასული.

მრავლობითი რიცხვის -ებ ფორმანტის დართვისას ა ხმოვანფუძიანი სახელები ან ასიმილირებულია, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს ფონეტიკურ ნაწილში, ან უკვეცელია: ისროლეს ტ ა ნ ბ ა ჩ ა ე - ბ ი... ასეა ისტორიები... ბ ი ძ ე ე ფ თ ა ნ წ ა ს უ ლ ა...

თანდებულებიანი სახელები

- თან თანდებულთან იკარგვის ბოლოხმოვნიანი სახელების მიცემითის -ს: წვეიდა თურმე ხ ე მ წ ი ფ ე თ ა ნ...

-ს იკარგება ნათესაობით ბრუნვაშიც -თანა-ს დართვისას: ვ ა ს ი - კ ო თ ა ნ ა არ არი ისი... ა მ ი თ ა ნ ა ს უ ფ რ ა მ ა ქ... დათესა პური მი- თ ა ნ ა ა დ გ ი ლ ზ ე, რო დაშორებით იყო...

-ში თანდებული შიდა-ს სახითაც გვხვდება, მეტწილად სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის დართვისას: შეილს გადაგიგდეფ წყალში- დაო... შეაბით ხარ-კამბეჩი იმ თავში დაო... შუადლისას იყვენენ შ ა ხ შ ი დაო...

-თვის თანდებულის პარალელურად იხმარება -თვინ: ფული მის- თვინ მიმიტანია... ა მ ს ი ტ ყ ვ ი ს თ ვ ი ნ საყვედური შემახვეთერეს... ქ ა ლ ი ს თ ვ ი ნ მ ი ნ და...

თანდებულად გამოყენებული „შემდეგ“ ზმნიზედის ფუნქცი- ით იხმარება „უკან“||„უკანი“:

მას უკან დიდი დრო გვეიდა... მოლოდინი ქვქონდა მას უკა- ნ ი...

-მდის თანდებულის პარალელური ვარიანტია აგრეთვე -მდინ: მარხა ე დევი კოქე ბამ დი... მონადირემ ჩასვა დევი ყ ე ლ ა მ დ ი მიწაში...

-მდის თანდებულის პარალელური ვარიანტია აგრეთვე -მდინ: ჩვენ სოფლამდინ ჯერ სადა ხარ... გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ა მ დ ი ნ ძ ა ლ ა უ ნ და...

კითხვაზე „საიდან“ იხმარება ასეთი ფორმებიც: გადმევეწოკინე ცხენი დან ი... გადმოდგა კაცი სე რ ი დ ა ნ ი... ს ა ზ დ ვ ა რ გ ა რ ე- თ ი დ ა ნ ი მოთამაშეფეს გამოგიყვანს... გამევიდენ ბოვშები წ ი ს ქ ე ი- ლ ი დ ა ნ ი... ეს კაცი ყუროფს ხ ვ ი მ ი რ ი დ ა ნ ი... ველარ გამოვსტა- ცე ხ ე ლ ი დ ა ნ ი... მამაჩემი ამოსულა სოფლი დ ა ნ ი... ჩამევიდა თათარი ჩ ე მ ი დ ა ნ ი ც... პიტონიკს ამეილეფს ერთი წლის მერე მი- წ ი დ ა ნ ი... აქლევენ სხვა ნ ა ქ რ ი დ ა ნ ი... კ ი ც ხ ი დ ა ნ ი მოკლე გზა... ორი ბიჭი მოდის ბ ა თ უ მ ი დ ა ნ ი... ხ ა რ ა გ ო უ ლ ი დ ა ნ ი

ჩამოსულხართ... იმ მხარიდან რო წამოხვიდო, საშიში არ არი...
სინათლე მოუნათე იქიდან ი...

რისი მაქნისია დასახელებულ მაგალითებში ი, ძნელი სათქმელია.
ერთი კია, საჩხერის რაიონის სოფ. პერევეში ასეთ შემთხვევაში ჩვე-
ულებრივ ა იხმარება¹. ა გვხვდება ორჯონიკიძის რაიონის ქართლის
მოსაზღვრე სოფლებშიც: ამას ვწიკევდით ჩვენე სადგურიდან ა
ჩვენ საპკომდინ...

ვერ ვიტყვით ამ შემთხვევაში ა არის უწინარესი თუ ი, ორივე მერ-
მინდელია და ორივე ტოლი ოდენობა ჩანს.

ნაცვალსახელები

შენ, ჩვენ, თქვენ პირის ნაცვალსახელები აქაც შენე, ჩვენე, თქვე-
ნე-ს სახით გვხვდება მეტწილად: მიწა გადააწადე შენე... გაგლახავ
მე შენე... ჩემი მუშაობა რო იცოდე შენე, შემეცოდე... ვიცოდით
ჩვენე... რამდენი გვეხარბებოდა ჩვენე... ქალებო, მადანა ხართ
თქვენე?..

ჩვენებითი ნაცვალსახელები სახელობით ბრუნვაში სრული სახ-
თ იხმარება: ესე და ესე ერთხელა გაახვიე... ესე ისტორია იყო... ე გე
სულელი ყიფილა... სლუჟუნოფს ე გე... ისე სავარგისია... გაქარღუ-
ლი არი ის ი...

ესე და ისი-ს კონტამინაციის შედეგად ესიც მოიპოვება: მერე ჩე-
ირგვება ეს ი...

ესე, ესი ნაცვალსახელები სხვა ბრუნვებშიც ინარჩუნებს ე ხმო-
ვანს: ე მან დამიძახა... ე მას არ ჰქონდა კკუაი...

ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენე-
ბითობის ე, ი ხმოვნების სახით არიან წარმოდგენილი:

ცხრა პატარა ჩიჩა ეყოფოდა ე იმა... ე კაცი არ გეშოა... ე თხა
მოუკლავსე... მევიწყე ხელი ი ჯოგით... სადამდი ი კაცი არ ნახო, არა-
ვის მიცე...

ირიბ ბრუნვებში მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაც-
ვალსახელი იშვიათად ინარჩუნებს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანსაც:

ა მ ა დროს იფიქრა... ა მ ა დროს ე კობლე დეილუბა...

მრავლობით რიცხვში სახელობით ბრუნვაში ჩვენებით ნაცვალ-
სახელთა ქვემოიმერულაისებური წარმოებაც გვხვდება:

ი გ ე ნ ი არ დოუფიქრთენ ა მ ა ს... მ ა გ ე ნ ი დანაშაური არიან...

მოთხრობით ბრუნვაში საზოგადო სახელთა მრავლობითის ანა-
ლოგიით ასეთი წარმოებაც გვაქვს:

გაამცხადეს მ ა გ ა თ მ ა... ი მ ა თ მ ა იციან ისი... ოქმი ი მ ა თ მ ა
დაწერეს... ი მ ა თ მ ა ივალდებულეს მისი მოვლია...

¹ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კოლოკვი, გვ. 78.

ძველი ქართულის მსგავსად, მსაზღვრელად გამოყენებული კუთ-
ვნილებითი ნაცვალსახელი საზღვრულის შემდეგ გვხვდება და გაკომ-
პოზიტების პროცესშია:

ღეღა ე მ ა თ ი გასულა კარში... გადმევიდა მამა მ ა გ ი ს ი... მამა
მ ა გ ი ს ი კქვიანი კაცია... მამა ა მ ი ს ს მოსწონდა ი ბიკი...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მისაღებად ფართოდაა გამოყე-
ნებული კითხვით ნაცვალსახელებზე შე და ღა-ცა ნაწილაკების დარ-
თვა.

მე ნაწილაკის დართვისას შეუხორცებელი წარმოებაც გვაქვს და
შეხორცებულიც. ახალი, შეხორცებული წარმოების შემთხვევაში
ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ დართვის ირიბ ბრუნვებში,
ამით უნდა აიხსნას, რომ სახელობითშიც აქა-იქ ი გვხვდება:

იყიდის ვ ი ნ მ ე ი... მეიყვანს ვ ი ნ მ ე ი...

შეუხორცებელი წარმოების მაგალითებია: აჩუქეთ ვ ი ს მ ე, ერთი
რო დეეძახნა ვ ი ს მ ე, დეინახთენ... თავის გუნებით მეიტანდა რ ა ს -
მ ე...

გააჩხ ნარევი წარმოებაც: დევესიძოთ ვ ი ს მ ე ს აქა... გეიგეფ
რ ა ს მ ე ს...

ორჯონიკიძის რაიონშიც ისევე, როგორც ზემო იმერეთის სხვა
რაიონებში, კითხვით ნაცვალსახელებზე ღა-ცა ნაწილაკთა დართვისას
ძველი სალიტერატურო ქართულის რიგი გვაქვს: ვ ი ნ ც ა ღ ა, რ ა -
ც ა ღ ა...

პროგრესული ასიმილაციის შედეგად და ცა ნაწილაკის ა-ს მო-
კვირით გვაქვს: ვინცხა, რაცხა: ვ ი ნ ც ხ ა ყოფილა... ვ ი ნ ც ხ ა ს
უნახავს... რ ა ც ხ ა არ მაქწონს ესი...

რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებული ვ ი ნ ძ ა ო ა,
რ ა ძ ა ღ ა, მაგრამ აშკარა ფორმები ორჯონიკიძის რაიონის ჩვენ მი-
ერ შესწავლილი სოფლების მეტყველებაში იშვიათად გვხვდება. უფ-
რო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შე-
დეგად მიღებულ ფორმათა კონტამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი
ვ ი ნ ძ ა ხ ა. რ ა ძ ა ხ ა:

ერთი ახალი ჩემპატა ვ ი ნ ძ ა ხ ა იყო... ვ ი ნ ძ ა ხ ა დიდი კაცი ვე-
გონეყე... წერილი მამცა ვ ი ნ ძ ა ხ ა მ... ვ ი ნ ძ ა ხ ა ს თ ა ნ წააგო...
რ ა ძ ა ხ ა ქვია, არ ვიცი... რ ა ძ ა ხ ა წესდება გვაქ... რ ა ძ ა ხ ა დეი-
ძახეს მადა... რ ა ძ ა ხ ა ს თ ვ ი ნ აკეთებდა ასე, არ ვიცი... რ ო მ ე -
ლი ძ ა ხ ა ქალი ნავხე...

ხშირად იხმარება განსაზღვრებითი ნაცვალსახელი თ ა ვ ა თ: მერე
მევიღა თ ა ვ ა თ.

სიტყვაწარმოება

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია ა: პლატონ არ იცი, პლატონა... ჩამოსულა იასონაი... იარჩილას ბიჭი იყო...

გვხვდება - ია მაწარმოებელიც:

დავითია სწორი არ იყო... პროკოლიას აყენებენ... სევასტია აწიკვამ მოკლა...

- ება სუფიქსის ადგილას - ობა-ც იხმარება: არ მაქ გამოცთილობა... ჩვეულობაა რაძახა...

- ობა სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად გამოყენებულია სი-ფ აფიქსებიანი წარმოება: ამდონი სიდადლილე არ შემხვთერია ჩემ სიცოცხლეში.

თანაბრობის აღსანიშნავად გამოყენებულია ავგარი წარმოებაც: იმის ხფო რო არი, იმხელვანები იყვნენ... ე საზამთრო რო არი, ზურიას მუქები ამხელვანი ქონდა...

ვითარებითი ბრუნვის ფუნქციითაა ნახმარი: ჩააგდო ოხრაში (=ამოშენებული კლდე), ცოცხლოურა... იქცეოდა ის ხეცურეფ...

ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტის ნიშანი ვ- უ ხმოვნის წინ დაკარგულია ძველი ქართულისა და სხვა კილოების მსგავსად:

მე ქე უთხარიყე იმათ, მარა ვინ დამიჭერა...

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების ხმარების გარკვეული წესი არ არსებობს, ამიტომ პრეფიქს ზოგჯერ იქ ვხვდებით, სადაც საჭირო არ არის, მაგრამ იქ არ ჩანს, სადაც უნდა იყოს: მაგალითად, ჩვეულებრივ იხმარება „მიცა“, ერთი მხრივ, ზოლო „ესცა“, მეორე მხრივ, და ეს ასეა ზემო იმერეთის ყველა ჩვენ ბერ შესწავლილი სოფლის მეტყველებაში.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი „აქვს“, „არის“ ზმნებში ჩვეულებრივ დაკარგულია: ურიცხვი აქ ყოლიფერი... ესე მოზერებით მაქ ნაყილი... ამ ადგილეთში ბოსტნები გვაქ... ექანა ვაკე არი...

აწმყო-მყოფადში -ან სუფიქსის ადგილას იშვიათად ვხვდებით -ენ სუფიქსაც: მოსული არ არიენ... არსა არიენ... გოქები ყვირიენ, ჯღავიენ...

- ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ გვხვდება: გლოვიარეთიყვიენ... საქმეს ქე აკეთებდენ... ი ბიჭები ქე დეიმალენ...

თემის ნიშანთა ხმარებისას ყურადღებას იქცევს -ავ სუფიქსიან ზმნათა თავისებურება.

აწმყო-მყოფადში მსოლოობითი რიცხვის სამივე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის I-II პირში, ჩვეულებრივ, III პირში უფრო იშვიათად, სალიტერატურო ქართულის - ავ სუფიქსის ადგილას - ამ სუფიქსიც გამოიყენება, ამის გამო ერთი და იმავე პირის მეტყველებადშიც კი პარალელური წარმოება გვაქვს:

რაზე კლავ იმას... ვთიბავთ ცელით... ყურძენს საწნახელში დავჩეხავთ, დავჯორგავთ, დავწურავთ... ამოვსხლავთ ერთ-ორ კვირტზე... ცოლი კეტარი ყავს...

მეორე მხრივ გვაქვს: ვბოქამ და ვყარი... უკანიდან დოუკრაამს... დათვს ჩუმ-ჩუმა თუ მოკლამ... მაგ დუპამს მაგას... დახვეთიან და მოუკლამთ... მესამე წელიწათს ამოვსხლამთ...

ქიათურისა და საჩხერის რაიონების ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველებაში ჩვეულებრივ - ამ სუფიქსი იშვარება - ავ სუფიქსის მონაცვლედ.

- ამ სუფიქსი მარტივფუძიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც გვხვდება:

მერე ვინლა დამაწერამს... სადგურიდან მწერამს... კავშირს არ წყვეტამს...

აწმყო-მყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში - ავ სუფიქსიან ზმნათა ხმარებისას პარალელურ ფორმათა სიუხვე გვაქვს:

- ავ, - ამ სუფიქსები, ძველი ქართულის მსგავსად და ქიათურისა და საჩხერის რაიონების ჩვენ მიერ შესწავლილ სოფელთა მეტყველებისაგან განსხვავებით, შეკუმშული გვხვდება: ნახვენ თავის აფხანნიკეფს... ფულს ვირ მინახვენ... ქე დახარჯვენ ღვინოს... გაქცარცვენ შენე... ხეფს ხერხვენ... გამარჯვებას ულოცვენ... ამას გაზაფხულზე დარგვენ... მაგენი ფულს დაგიკარქვენ... თფილიში დაქკითხვენ... მეიკიახვენ იქა... შენ გაგლახვენ... მოკვლენ საწყალ... ბალახ თიბვენ... ხარეფს დახოცვენ მისთანა მოვლით...

შეკუმშული გვხვდება - ამ სუფიქსიანი ზმნებიც: ხარეფს ურტყვენ...

იშვიათად აწმყოში - ავ სუფიქსი არ მოიპოვება:

ავერ ხერხენ კაცები... კინჰარს უხარშენ... კარტოფილს თესენ...

აქა-იქ - ავ სუფიქსის ადგილას - ივ - იემ იხმარება:

ბლარები ფქვევენ... ფიცარს ხერხვენ... ნადირს ხოცვენ... ახლაც ქეკლევენ ირემს... ჭურს რეცხემენ სარცხლით... ამისთვინ დაგძრახემენ...

ქიათურისა და განსაკუთრებით საჩხერის რაიონის სოფლების მეტ-
ყველეებაში - ავ სუფიქსიან ზმნებს ჩვეულებრივ - ევ აქვს, - ემ სუფიქსი
იქ ვერ ვხვდებით. პირიქით, წარმოების უნიფიკაციის შედეგად, - ამ
სუფიქსიან ზმნებშიც ასეთ შემთხვევაში - ევ იხმარება.

მრავლობითი რიცხვის III პირში აწმყო-მყოფადში - ავ - ამ სუ-
ფიქსებიც გვხვდება: მოკლავენ ი ხარფეს... რეცხამენ ქუ-
რფეს...

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვებში - ავ და - ამ სუფიქ-
სიანი ზმნებისათვის - ევ-დ ემ-დ ტიპის წარმოებაც გვაქვს:

ამას სულ აღარ შევხედვი... რას ნახევი უკეთეს...
ქე მამპარევი... ვინ მნახევი... კარავინ თიბევი...
ვხევი ვაზაფხულზე... ქვას ვწიკევი ზესტაფონში...
სალამოვი ხევი... ეგენი კლევდენ კურდღლფეს...

ასეთ შემთხვევაში ემ-დ ტიპის წარმოებაც მოხშირებულია: მოკ-
ვლით ვერ მოკლემდი, დაკრით ვერ დაკრემდი... კვირეში
ერთ ბატანს მაინც დაკლემდა... მათრახს გადაკრემდა...
სალამომდი მაგენი რას გაბედედე...

უწყვეტელის ამგვარი წარმოების გამო - ავ სუფიქსიანი ზმნები
გარჩეული არ არის - ამ სუფიქსიანებისაგან, რომელთაც აგრეთვე - ემ
აქვთ უწყვეტელში: რას ვიხემდი... საპანე ღვინოს სვემდა...
გლეხეფს წყალი უნდა მიეტანათ და სვემდენ იქა...

ზოგჯერ - ავ სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში უსუფიქსოდაც იხ-
მარება:

კუკლასავით შევინახთი... კაცს ვეღარ ნახთი იმაზე ლანაზს...
თვალთ ვერას დეინახთი, მისთანა ბუქი იყო... ყურძნის გემოს
არ ნახთენ... ერთი რო დეეძახა ვისმე, დეინახთენ... თუჰანს
ხარჯდენ ესენი, ისინი კი რაბაზს ხარჯედენ... აჰა, რას დავზოგ-
დით...

- ავ სუფიქსი არ ჩანს უწყვეტელისაგან ნაწარმოებ ნაკვებშიც.
ნეტა კალე დევინახთე მაგის თამაშს... კაია, რო შემინახთე თ
ვინმე...

ცხადია, უსუფიქსო უწყვეტელისათვის ამოსავალი უსუფიქსო აწ-
მყო უნდა იყოს.

აწმყოში სუფიქსი სხვა შემთხვევაშიც რომ არ უნდა გვქონდეს.
ამას აღასტურებს ზოგიერთი მიმღეობის წარმოებაც:

ხვალ გამოძახილი ვარ... ჩხუბი არ იყო დაწყილი... სახ-
ლი მაქ დატოვილი... კარი გდულია...

- ემ სუფიქსი არ გვხვდება სხვა შემთხვევაშიაც: სულ დევილუ-
პოდნი...

ზოგჯერ -ებ სუფიქსის ადგილას ი არის გამოყენებული:

საკმელს ქე ვ ა ძ ა ლ ი, თუ ქამს... და პირიქით, ი-ს მაგივრად—ოფ-
შე ფ ე რ ო ფ ს...

-ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველსა და მეორე პირში იშ-
ვითად -ევ სუფიქსიც იხმარება: ფული ე ი რ წ ყ ე ვ ი... შ ე მ ი ნ ა -
ხ ე ე ი თ ა ო, ხო გითხარით...

-ო სუფიქსიან ზმნათა ანალოგიით კავშირებით მეორეში ე-ს ად-
გილას ო გვხვდება:

სადაც წ ა ხ ვ ი ლ ო სანადიროთ, დაანთე ცეცხლი... ჩვენ რო მ ი -
ვი დ ო თ. ზეით უნდა ე ვ ი დ ო თ... ვაი თუ გ ა მ ო გ ვ ი დ გ ო ნ
უკან... უნდა მი ც ვ ი ნ დ ო ნ ქალები... მ ო ქ ე ტ ო ნ-მეთქი, — გვერ-
ფიქრე...

-ო დასტურდება კავშირებით პირველშიც:

იქა უნდა ი ც ო დ ო ნ, მარა არ იციან...

-ავ და-ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობით პირველში -ია დაბო-
ლოება გვხვდება უპირატესად:

წულები არ მი ნ ა ხ ი ა... ქათამი მ ო უ კ ლ ი ა... თვალეფში არ
შ ე გ ვ ი ხ ე დ ი ა მამისთვის...

გვაქვს ნ-ია დაბოლოებაც: გ ა მ ო უ ძ ა ხ ნ ი ა თ სამხედროში...

-ია დაბოლოებას ზოგჯერ თურმეობით ნეორეშიც ეხვდებით...
ე თ ქ ე ვ ი ა, კაცო, ჩემთვის...

ამ ზმნის ამგვარი წარმოება დასტურდება ჩვენი დაკვირვების ყვე-
ლა ობიექტის მეტყველებაში, ამდენად, შეიძლება ითქვას, საერთოა
მთელი ზემოიშვრულისათვის.

ე თ ქ ე ვ ი ა-ს მნიშვნელობითაა ნახმარი აგრეთვე ე თ ხ რ ო ბ ი ა...

მოსალოდნელი -ოდ სუფიქსის ადგილას ნამყოს მეშველი ზმნაა
ზოგჯერ გამოყენებული: ორი აბაზი კ მ ა რ ი ყ ო... ვენახი აღარ ვ ა რ -
გ ი ყ ო...

ასეა კავშირებით III-ში: ან უნდა ვ ა რ გ ი ყ ო ს ბიჭი, ან მამა.

თურმეობითი მეორე აქა-იქ ნარიანიც გვხვდება: რო დ ე ე ძ ა ხ ნ ა
ვისმე, მევილოდი...

შუალობითი კონტაქტის -ინ სუფიქსი გამარტივებულია თანხმო-
ვანი ელემენტის ჩამოცილებით: თავისი ხელით მი ა ყ ვ ა ნ ი ა იგი
გლუხეფს... ხეწიფემ სათქმელი შაინც ა თ ქ ე ვ ი ა...
„ხტება“ ზმნა იყენებს დ- და -ენ სუფიქსებს ენებითობისა-

თვის, რაც აგრეთვე ზემო იმერეთის სხვა რაიონების მეტყველებაშიც
შეინიშნება:

¹ პ. ჭაჭანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურე-
ბანი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VIII, 1948, გვ. 73.

გ ა დ ა ხ ტ ე ნ დ ი — დაახტი, გ ა დ მ ო ხ ტ ე ნ დ ი — დაახტი... ვის
მ ო უ ხ ტ ე ნ დ ი შენე...

წ ვ ა ნ ა ნ, დ გ ა ნ ა ნ, ჰ გ ვ ა ნ ა ნ ზმნები ამგვარადაა წარმოღვე-
ნილი: წ ე ვ რ ა ნ ოთახში... არც ერთი არ გ ა ვ რ ა ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს... ლ ა მ ა -
რ ა და გ ო გ ი ა გ ა ვ რ ე ნ ე რ თ მ ა ნ ე თ ს... ამ სერზე დ გ ა რ ა ნ...

სპეციალურ ლიტერატურაში ამ ზმნათა ამგვარი სმარება დისიმი-
ლაციითაა ახსნილი.

მ ო - ზმნისწინის ო ა -ს იძლევა, თუ მას მ თ ა ნ ს მ ო ვ ა ნ ი მოსდევს:

მ ა მ კ ლ ა ი მ ო ხ ე რ მ ა... მე ც ო ტ ა ს არ ჯ ე ლ ი მ ა მ ც ე ს... ამაღამ უნ-
და მ ა მ პ ა რ ო ს ი ზ ა ნ დ უ ჯ ი... უნდა მ ა მ ი ტ ა ნ ო ს ი ა რ ა ფ ე ლ ი ო...
აღარ მ ა მ ი თ ფ ი ნ ა გ უ ლ მ ა და ვ ე ს რ ო ლ ე ქ ვ ა...

შ ე - ზმნისწინი, თუ შემო ზმნისწინის კომპონენტია, შ ა -ს იძლევა:
შ ა მ ე ვ ი დ ა პ ო ვ ე ზ დ ი... ვერ შ ა მ ო გ კ ა დ რ ე... შ ა მ ო ჯ დ ა ჩ ი ტ რ
ხ ე ზ ე...

გ ა დ ა - ზმნისწინი, ჩვეულებრივ, ხმოვანმოკვეცილი იხმარება: გ ა დ -
ვ ი დ ა ზესამე სახელმწიფოში... გ ა დ ი ფ ი ქ რ ა მერე ისი...

- ყ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი ფართოდაა გამოყენებული პირმიმართი ობიექტისა
და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღსა-
ნიშნავად.

- ყ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ის აღსანიშნავად:

ამ ბიჭმა მ ო ა ს წ რ ო ყ ე შ ა ხ შ ი ა მ ძ მ ე ფ ს... ქ ე რ ო მ ე ვ ე ხ მ ა -
რ ე ყ ე მ ა ს პ ი ნ ძ ლ ე ფ ს, გ ე ე ხ ა რ დ ა თ... უნდა წ ე ვ ე ხ მ ა რ ო ყ ე ი მ ა თ...
მ ე ი წ ყ ი ნ ე ს მ ა ყ რ ე ბ მ ა, შ ე ვ ა ტ ყ ვ ე ყ ე. რ ა ს მ ე ი წ ყ ი ნ ე თ - მ ე თ ქ ი,
— უ თ ხ ა რ ი ყ ე... ჰ ა ა ნ დ ა ვ ა ლ ე ვ ი ე ყ ე და წ ე ვ ი დ ე ნ... შ ა ბ ი ა ბ ა ნ ს
გ ი ყ ი დ ი ყ ე და მ ო გ ი ტ ა ნ ყ ე... რ ო უ კ ი ვ ლ ე ყ ე, გ ე ი ქ ე ნ...
ე ა ტ ყ ო ფ ყ ე სახეზე, წ უ ხ ა ნ... ო ტ კ ა მ უ უ ტ ა ნ ე ყ ე, მ ა რ ა არ დ ა -
ლიეს... ისე მ ო ა ხ მ ა რ ო ს ყ ე ღ მ ე რ თ მ ა, რ ა ვ ა რ ც ე რ გ ე ბ ა ყ ე...
ხ ა ნ ჯ ლ ი თ დ ე ვ ე რ ი ე ყ ე მოსულეფს... მ ა გ ა ს გ ე მ დ უ რ ი ყ ე
თქვენ... პ ა ტ ა რ ა ხ ა ნ ი ა ს წ ა ე ლ ე ყ ე მ ა გ ა თ... მე ვ ე უ მ ბ ე ბ ი ყ ე ნ ა
გ ა თ... ვ ა ნ შ ი რ ო დ ა ვ ხ თ ე რ ო დ ი ყ ე ი მ ა თ, კ ა ი ი ყ ო... სა ლ ა მ ი მ ი -
ე ვ ც ი ყ ე ი მ ა თ... ა შ ო ბ უ ლ ო ბ ა ი ც ი ა ნ და უ წ ყ რ ე ბ ი ყ ე...

- ყ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი პ ი რ დ ა პ ი რ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ის აღსანიშნა-
ვად:

ე ბ ი ჭ ე ბ ი ვერ მ ე ვ ი ც ი ლ ე ყ ე... გ ა დ ა ვ ჩ ე ხ ე ყ ე ე ბ ე ო ლ ე -
ბ ი... ქ უ თ ა ი შ ი რ ო გ ა მ ო ვ ა გ ზ ა ნ ე ყ ე შ ვ ი ლ ე ბ ი, პ ა წ ი ე ბ ი ი ყ -
ვენ... კ ა ვ ი ლ ი თ გ ა ვ ა ჩ ე რ ე ყ ე, თ ე ა რ ა მ ა მ კ ლ ა მ დ ე ნ... მერე ქ ე ვ ა -
გ ი ნ ე ყ ე... ა მ ე ვ ი ყ ვ ა ნ ე და გ ა ვ ზ ა რ დ ე ყ ე ი ბ ო ვ შ ე ბ ი... ა, გ ო -
უ - შ ვ ი ყ ე, ბ უ ქ ი ა მ ე ვ ი დ ა... დ ა ვ ა ყ ე ნ ე ყ ე აქ ა ნ ა ფ უ ტ კ ა რ ი (აზ-
რობლივი შეთანხმება გვაქვს).

- ყვე ნაწილაკი ინვერსიულ ზმნებთან მიცემითში დასმული რეა-
ლური სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად:

ფული უნდა მე ეცაყე იმათ... უთქვამს ყე, რაფო ვქნათო...
უქებნი აყე იქალღეს მას უკან... მე მევეკალიყე, ის
ჯობდა... არ უქირსყე იმათ... მოყავსყე იმის მული... კაი
ფართალი ქონდაყე... იმათ სწავლული ვეგონეყე... მივ-
ყავარყე მაშვლებს... იგოგოფეს ტოლი არყავსყე... დოუძახე
ჩვენებურ ბიჭფეს, მოდით, ლიპონათი ვისაც გინდაყე-თქო...

აქვს ზმნაზე - ყე ნაწილაკის დართვისას ფონეტიკური პროცესების
შედგად გარკვეული ცვლილებები ხდება: ენა რაფერი აქყე (=აქ-
ვსყე), ენა... გლახა ოჯახი კარ აქყე მაგათ... მუხა და წაბლი ბევ-
რი აქყე...

თქვენ ახლო გაყე სასაფლაოი (=გაქვსყე)... გახყე დღესე საქ-
მეი (=გაქვსყე)...

ამ უკანასკნელ მაგალითებში ჰ - პრეფიქსი რომ იყოს მოსალოდ-
ნელი, შეიძლებოდა გვეფიქრა, ყართან მეზობლობაში ჰ მოგვეყო.
როგორც ამას ადგილი აქვს გურულში¹. აქ ქ-სთან ჰ-ს მონაცვლეობა
უნდა გვექონდეს.

საყურადღებოა, რომ ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ჩვენ
მიერ შესწავლილი სოფლების (უჩამეთი, დარინვეი, საბე, ღორეშა)
მეტყველებაში - ყე ნაწილაკი ჩვეულებრივ არ იხმარება.

ფორმაუცვლელი სიტყვები

პირველადი ადგილის ზმნიზედებიდან ფართოდაა გამოყენებული
აქა, იქა:

აქა ყარეული ქე დეეყენებიათ... იქა იმ წელიწათს დიდი თოვ-
ლი იყო...

ეს ზმნიზედები - ნა ნაწილაკდართულიც გვხვდება. თუმცა ქვე-
მოიმერულთან შედარებით უფრო იშვიათად გამოიყენება:

მევიდეს ზომე აქანა და გეითიოს დამეიო... იქანა ეგდება ისი...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით ნახმარი ექ ზმნიზედა - ნა ნა-
წილაკის დართვით გვაძლევს ექანა-ს: ექანა შამოჯდა, მიმინოი...
ექანა ვიყავით...

¹ ქ. ლომოთიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულ-
სა და აქარულში, თსუ შრომები, VI, თბილისი, 1938, გვ. 130.

ხიდარსა და კიცხში არ შეგვიძინებია ამ ზმნიზედების აქის, ექის, იქის სახით გამოყენება, როგორც ეს ჰიათურასა და საჩხერის რაიონების სოფლების მეტყველებაში დასტურდება, მაგრამ, აქაც რომ უცხო არ არის მათი ამგვარი ხმარება, ამას მოწმობს ეს მაგალითი:

კიცხი აქიზე კულტურულია და დასაძხარი...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ნაირნაირი ვარიანტები:

მ ა დ ა ნ ა პეტრე არი... მ ა დ ა ნ ა უნდა ყოფილიყო... მ ა ა ნ ა ვაჩერდით... მოდიოდენ მ ა დ ა... ნაჯახი მ ა დ არი...

კითხვითი ზმნიზედა „სად“ იხმარება დ-ს მოკვეციტაჲ (ს ა მ დ ა ხარ შენე) და ს ა დ ა ნ ა ს სახითაც: ს ა დ ა ნ ა იყო ხერხი...

გვხვდება ს ა ა ნ ა -ც: ს ა ა ნ ა არი თეოი...

აქედანაა ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედა ს ა დ ა ნ ა ც: ცოლ-შვილი წეიყვანა იქ, ს ა დ ა ნ ა ც დევის ქონება დეირჩინა...

„საიდან“ ზმნიზედა იხმარება ასეც: ს ი დ ა ნ, ს ი დ ა ნ ი: მოდიან ს ი დ ა ნ ი?

ს ა ი თ (კენ) კითხვითი ზმნიზედის მნიშვნელობით ნახმარია ს ი ე თ: ს ი ე თ არი, კაცო, ს ი ე თ?..

მ ა გ რ ა მ კავშირი გვხვდება „მარამ“ და „მარას“ სახით: იშრომა, მ ა რ ა მ ჰამითაც ჰამა... უსწავლელი კაცი იყო, მარა კაი იყო...

თორემ კავშირი იხმარება თ ვ ა რ ა მ ა -ს სახით (თუ-არა-მა):

სად იყო, არ ვეი, თ ვ ა რ ა მ ა ო, ვაკეში რო ჩამოხვალ, ასე შეკმაზული დაქვებთბა... შამომხედე, თ ვ ა რ ა მ ა მოქლამო .

რაკის მნიშვნელობით ნახმარია რაღაი: მერე რ ა ლ ა ი შევიცადეთ, ადგილი აღარ გვიყიდა...

რომ კავშირის რ დაკარგულია: პური რო დაობდება, აღარ ვარგა...

კ ი ნ ა ლ ა მ ნაწილაკის მნიშვნელობით ნახმარია ლ ა რ მ ე:

მოკვალი-ლ ა რ მ ე... ფუთი ღვინო დავლიეთ-ლ ა რ მ ე...

ე გ ე ბ ნაწილაკის ვარიანტია ე გ ე ბ ო: ე გ ე ბ ო ქე გადავარდეს...

დადასტურებითი კი ნაწილაკი ჩვეულებრივ ამგვარად იხმარება: მადა ქვების თავსახური არი? კ ი ე!.. თავმჯდომარემ უთხრა?—კ ი ე!

. ხოლმე ნაწილაკი იხმარება, როგორც ხომე: მოდიოდენ ხომე და ლამეც არ რჩებოდენ...

სინტაქსური მოვლენები

რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული სახელი მრავლობით რიცხვშიც გვხვდება: იყო ორი ძმები...

ქვემდებარესა და შეჰასმენელს შორის შეთანხმებას აზრობლივი ხასიათიც აქვს: ჩამევიდენ ეს ორივე ძმადი... ახლაც იყვენ ხალხი იქა... თქვეს ხალხად...

შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშიც გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდევს:

ადგათურმე ამ დალაღანა (ნაკლებმა) ძმამ და გაღენა ეს ცხვრები...

უარყოფითობის გაძლიერების მიზნით გამოყენებულია ორმაგი უარყოფა:

ლორისთანა ქუჭყიანი არაფელი არ არი... ვერაფელი ვერ გააკეთეს... ვერაფლით ვერ გასწავლი... წყალი ვერსა ვერ ნახე... ვერავინ ვერ ამოაჩინა...

1955 წ.

ინტაკციონი

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს ნაწილს იმ შრომისას, რომელიც ითვალისწინებს ზემოიშვრული კილოკავის შესწავლას ყველა მისი თქმითა და ქცევით.

საანალიზო მასალა ჩვენ მიერ შეკრებილია ორჯონიკიძის რაიონის სოფლებში: წიფა, გოლათუბანი (წიფის სასოფლო საბჭო), ზვარე, ჩილილი (ჩილილის სასოფლო საბჭო), ქვები (მოლითის სასოფლო საბჭო), ვახანი (ვახანის სასოფლო საბჭო), ლეღვანი (ლეღვანის სასოფლო

¹ წაითხულია მოხსენებელ ქუთაისის პედინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XX სა-
მეცნიერო სესიაზე 1956 წლის 23 აპრილს.

საბჭო), ზარანი (საღანაძილეს სასოფლო საბჭო), ფარცხნალი (ფარცხნალის სასოფლო საბჭო), ხევი, გრიგალათი, წაქვა (ხევის სასოფლო საბჭო), ვერტყვიქალა (ხუნევის სასოფლო საბჭო), ბორითი (ბორითის სასოფლო საბჭო).

შეკრებილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ სხვაობა, რომელიც შეინიშნება ორჯონიკიძის რაიონის ამ სოფელთა მეტყველებაში, საკმაოდ ხელშესახებია.

ლისს გაღმა, ქართლისა და იმერეთის ნაჯნაზე მდებარე სოფლების — წიფის, გოლათუბნის, ჩილის, ზვარეს, ნებოძირის, დეისის (შესაძლებლობა გვექონდა ამ ორი უკანასკნელი სოფლის რამდენიმე პირის მეტყველებას დავკვირებოდით), ქვების, ვახანის, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ხევის, გრიგალათისა და წაქვას მეტყველება იმერულისა და ქართული დიალექტების შერევის ნიმუშად გამოდგება: აქ იმერულის ნიშანდობლივობასთან ერთად მკვეთრად არის წარმოდგენილი ქართლურის დამახასიათებელი ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენებიც.

ამ სოფელთა მცხოვრებლები (ხევის სასოფლო საბჭოს გამოკლებით) სოფელ ფონსა და სოფელ მარელისს შორის ტერიტორიას სააბაშოს უწოდებენ (აბაშოძის მფლობელობაში იყო) და ამბობენ: სააბაშოს მკვიდრნი არც წმინდა იმერლები ვართ, არც წმინდა ქართველები (ქართლელებს გულისხმობენ). ქოჩორას (ლისს) გაღალმა იმერლებს გვიწოდებენ, ვახანის წყლის ქვევით — ქართველებსო (=ქართლელებს).

ადგილობრივთა დავკვირებით, „ფონიდან რომ წამოხვალ, ერთნაირი იქნება ლაპარაკი მარელისამდე, ხოლო მარელისიდან მოგვცემს სხვაობას და მარელისიდან დაწყილი ზესტაფონამდე ეს სხვაობა სამნიშვნელო არ იქნება“. „ჩვენი ლაპარაკი არ არი იმერული ძიელა, — ამბობდა მმ წლის მთქმელი ქვებიდან, — არც ქართული: „აწი“ არ ვიცით ჩვენე, „ყე“ არ ვიცით, „ქე“ არ არი, ჩვენე „კი“-ს ვხმაროფთ, უმბობთ: „წევიდა“, „მოვიდა“.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ შერეული დიალექტის სახით ჩვენ გვაქვს გაიმერულებული ქართლური¹. ემყარები-

¹ გ. ახვლედიანი, დიალექტთა შერევის ორი ნიმუში, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 395-396.

ან ვახუშტის ცნობასაც¹. რომლის მიხედვით, ზემო იმერეთის დასახელებული ტერიტორია წინათ ქართლის სამფლობელო უნდა ყოფილიყო. შემდეგში ქართლის საზღვრების გადანაცვლებას და იმერეთის ახალი საზღვრების წარმოქმნასა და მოქმედებას უნდა გამოეწვია ყოფილი ქართლის ტერიტორიის მეტყველებაში იმერულის დამახასიათებელი მოვლენების გავრცელება. ქართლურისა და იმერულის ამ შეხვედრის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამ კილოთა შერევა.

ბ გ ე რ ი თ ი ა შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ ზემოიმერული კილოკავი ალიტერატურო ქართლისაგან არ სხვაობს. იშვიათად მხოლოდ სახელის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ სახელობითის ია -ის აკუსტიკურ² შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ჩვეულებრივ სრული ი აღიქმება. |

ფონეტიკური მოვლენები

ფონეტიკურ პროცესთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ას ი მ ი ლ ა ც ი ა ს. ასიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანციურიც, რეგრესულიცა და პროგრესულიც, სრულიც და ნაწილობრივიც. ასიმილირებული ან რაგვარობის მიხედვით ემსგავსება ასიმილატორს, ან წარმოების ადგილის მიხედვით.

თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია გვხვდება და პროგრესულიც, ხმოვნებში კი რეგრესული ასიმილაცია დასტურდება უპირატესად. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ზმნისწინისეული ხმოვნების ფუჰის ხმოვნებთან დამსგავსება. მაასიმილირებელ ხმოვნებს წარმოადგება უ, ე და ი.

ძომწვევო უ იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვანთაგან ა-სა და ე-ს ნაწილობრივ, ო-ს — სრულად:

ა უ ლ ი რ ლ ა, გ ო უ კ ი რ ლ ა, გ ო უ კ ე თ ა, გ ო უ ს წ ო რ ა, გ ო უ გ ზ ა ნ ა, გ ო უ ლ ო, გ ო უ შ ე ა... გ ო უ რ ე ც ხ ე ლ ი, გ ო უ თ ხ ო ვ ა რ ა, გ ო უ გ კ ბ ა ლ ი. გ ო უ რ ჩ ე ვ ე ლ ი... დ ო უ ძ ვ რ ა, დ ო უ ძ ა ხ ა, დ ო უ წ ა, ჯ ო უ დ ვ ა, დ ო უ თ ე ს ი ა, დ ო უ დ გ ე მ დ ე ნ, ჩ ო უ ს ხ ა, ჩ ო უ ლ ო, წ ო უ ს ვ ა, ო უ ც ი ლ ე ბ ლ ა თ, შ ო უ უ ვ ა რ ლ ა, შ ო უ ნ ა ხ ა...

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 82-155.

გუუკეთე, მუუყარა, მუუვიდა, მუუტანე, მუუსა-
ჯეს...

დასახელებულ შემთხვევებში ზმნისწინების უასიმილაციო ფორმებიც
გვხვდება და არც თუ იშვიათად.

ზმნისწინისეული ხმოვნები ა და ო ყოველთვის ემსგავსება ფუძი-
სეულ ე-ს: ქე-ქე

ეეკონა, ეერი, ეელო... გეეყარა, გეეშვა, გეეტე-
ხა, გეერტყშია, გეეცინა, გეეგონათ... დეეცა, დეეკარ-
ქა, დეეკირა, დეეთრევა, დეეკითხა, დეეხვიენ... წე-
ეყვანა, წეეელო... გეეყვანა, მეეეწონა, მეენატრა, მე-
ეკლა, მეეფერა, მეერი...

დასახელებულ მაგალითებში ასიმილაცია კონტაქტურია. ამ შემთხ-
ვევაში ასიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ასიმილატორსა და
ასიმილირებულს ჰყოფს თანხმოვნები: ფუძისეული ან პირველი სუბი-
ექტური პირის ნიშანი ვ და პირველი და მეორე ობიექტური პირის
ნიშნები შ-, გ-, გვ-: ეჯ-ეჯ

გევიგე, გემეცალე, გეგეცინა, გეგვეცალე... დე-
ვეწევი, დევიხსენი, დემეკარქებოდა... დეგეგდო...
ჩევეგდე, ჩემეყო, ჩეგეტანა, ჩეგვეყვანა... მევედი,
მემეპარა, მემეწონა, მემეტანა...

გედეესხა, გედეეყვანე, გედემეკრა, გედემეკო-
და, გედეგვეცალა...

უკანასკნელ მაგალითებში ფუძისეული ე იმსგავსებს ზმნისწინის ბო-
ლოკიდურ ა-ს, რომლისაგანაც მას ჰყოფს ვ, მ, გვ ბგერები. ასიმილი-
რებული ბოლოკიდური ე, თავის მხრივ, იმსგავსებს ზმნისწინის პირვე-
ლი კომპონენტის ა-ს. ამ შემთხვევაში ასიმილაციას არ აბრკოლებს და
თანხმოვანი.

წიფის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში, არც თუ იშვიათად
ფუძისეული ე ხმოვნის ასიმილაციური გავლენა რთული ზმნისწინების
პირველ ხმოვნებზედაც ვრცელდება:

გემეეკიდა, გემეეცალა, გემეეველო, გემეეტანა,
გემეეერეკა, გემეეღვიძა, გემეელაპარაკა, გემე-
ეყვანა, ჩემეემტვრია, ჩემეეტანა... წემეევედი,
გემემევედი... შემეეეძლიენ, შემეეელანძლა, შე-
ემეელია...

უკანასკნელ 3 მაგალითში რთული ზმნისწინის პირველ კომპონენ-
ტად, როგორც ეს საზოგადოდ ზემოიშვარულისთვისაა დამახასიათებ-

ლი, სავარაუდებელია შა, რომლის ხმოვნური ნაწილი განიცდის ასა-
მილაციას.

რთული ზმნისწინების პირველი ხმოვნები დასახელებულ სასოფლო
საბჭოში შემავალი სოფლების მეტყველებაში უასიმილაციოდაც
გვხვდება: ჩამეეტანა, ჩამევედი, წამევედი და ა. შ.

რთული ზმნისწინი, რომლის შემადგენლობაში მოკოპონენტი შე-
დის, პირველ ხმოვანს არ იცვლის ჩვეულებრივ ორჯონიკიძის რაიონის
დანარჩენი სოფლების მეტყველებაში. ხევის სასოფლო საბჭოშიც კი,
სადაც უფრო მოსალოდნელი იყო ეს ცვლილება, მას, ჩაწერილი ტექ-
სტების მიხედვით, თითქმის ვერ ვხვდებით. ვერტყვიჭალაში კი შე-
გვხვდა: გემეკრა (ხარს რქაი), გემეელია. მთქმელი ვერტყვიჭა-
ლის მკვიდრია, მაგრამ დაბადებული და 9 წლამდე მცხოვრები ქართლ-
ში. ალბათ, ამით აიხსნება მის მეტყველებაში შენიშნული ვერტყვი-
ჭალისათვის არაწინადადებული ფონეტიკური ცვლილება რთული ზმნის-
წინის სმარებისას.

ფუქსეული ი ჩვეულებრივ იმსგავსებს ა ხმოვანს და ე-დ აქცევს,
ე. ი. ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს: ეიტანა, ეილო, გეის-
როლა, დეილუპა, დეინარჩუნა, დეიძახა, დეიღალა,
გეიზარდა, წეიყვანა, ჩეიხედა, ჩეიკრა...

ამ შემთხვევაში ასიმილაცია გვაქვს მაშინაც, როცა ა-სა და ი-ს
შორის მოქცეულია ფუძისეული ან პირველი სუბიექტური პირის ნიშა-
ნი ვ: ევიგდე, მევიცილი, მევიდა, გევიდა, წევილოთ,
წევიდეთ, წევიყვანეთ...

გადა- ზმნისწინის დ-ც ხელს არ უშლის ი-ს მიერ ა-ს ასიმილაციას:
გედიყვანა, გედიცივა, გედიარა, გედიძრო, გედიყო-
ლია, გედიჩევა...

თუ ფუძისეული ი ხმოვანი ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფლის
მეტყველებაში თითქმის უგამონაკლისოდ იმსგავსებს ა ხმოვანს, ფუ-
ძისეული ო ხმოვნის მიმართ ამას ვერ ვიტყვით. ი ხმოვანი ჩვენ მიერ
შესწავლილ სოფელთა ერთ ჯგუფში (უჩამეთი, ხიდარი, ვარძია, კიცხი,
ფარცხნალი, ღორეშა, საბე, ზარანი, ლეღვანი, ვერტყვიჭალა, ბორითი)
ო ხმოვანს იმსგავსებს და ე-დ აქცევს (მეიტანა, მეიყვანა, მე-
ვიდა და ა. შ.), იმ სოფლებში კი, რომლებიც ქართლის საზღვარზე
მდებარეობენ (ფონა, წიფა, გოლათუბანი, ზვარე, ჩილილი, ერთი მხრივ.
ხევი, გრიგალათი, წაქვა, მეორე მხრივ), ო-ზე გავლენას ვერ ახდენს.
ო-ზე ი-ს მასიმილირებელი ძალის დასუსტება იწყება სოფელ მარე-
ლისის შემდეგ, ქვებში (ამ სოფელში ახლა მხოლოდ ღრმად მოხუცთა
მეტყველებაში თუ შევნიშნავთ უასიმილაციო ფორმებს), უფრო მეტად
ვახანში (აქაც მეტწილად მოხუცთა მეტყველებაში შეიმჩნევა უასიმი-

ლაციო ფორმები), შემდეგ დეისსა და ნებოძირში და ზოლოს ზვარეს, განსაკუთრებით წიფის სასოფლო საბჭოებსა და ასევე ხევის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფელთა მეტყველებათაში ო-ზე ი-ს მასიმილირებული ძალა აღარ აქვს:

მ ო ვ ი დ ა, ა მ ო ვ ი დ ა, ჩ ა მ ო ვ ი დ ა, გ ა მ ო ი ქ ც ა, გ ა მ ო ი ც ვ ა ლ ა, მ ო ი კ ი დ ა, გ ა მ ო ი ლ ო, გ ა მ ო ი ტ ა ნ ა, გ ე ი ა რ-გ ა მ ო ი ა რ ა, წ ე ვ ი დ-წ ა მ ო ვ ი დ ა, გ ე დ ი ე ლ-გ ა დ მ ო ი ე ლ ი დ ა, გ ე დ ი ტ ა ნ-გ ა დ მ ო ი ტ ა ნ დ ა, მ ო ი ყ ვ ა ნ ა, მ ო ი ხ ა რ შ ა, მ ო ი წ ა დ ი ნ ა, წ ა მ ო ი ს ხ ა, მ ო ვ ი თ ფ ი ნ ო, მ ო ვ ი შ ა დ ლ ი ე რ ო.

ასეთ შემთხვევაში ასიმილირებული ფორმები ქართლის მოსაზღვრე სოფლებშიც გვხვდება. მაგრამ სპორადულად და უფრო ასაღვარდების ანდა სხვა სოფლებიდან გადმოსულ პირთა მეტყველებაში მაგალითად, სოფელ წიფაში ცხოვრობენ სოფ. დიდი განთავადიდან (ძირულა) გადმოსული ბანცაძეები, რომელთა მეტყველებაში ოი-ს პარალელურად ოე-ც გვხვდება. ერთ-ერთი მათგანი, წიფაში დაბადებული და გაზრდილი, უწიგნური, იმის მიუხედავად, რომ თქმის დროს თვალყურს ადევნებდა თავის ლაპარაკს, რომ „იმერული“ არაფერი „წამოსცდენოდა“, მაინც „მოვიდა“-ს გვერდით ამბობდა „შევედა“-ს, „ამოილოს“ გვერდით „ამეილოს“ ისევე, როგორც „აქ“ ზმნიზედის პარალელურად ხმარობდა „აქანას“.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზემო იმერეთის ლიხს გადმოდმა მდებარე სოფლებში „დაახლოებით წიფიდან მარეღისამდე (წიფა, გოლათუბანი, ნებოძირი, ჩილი, ზვარე, დეისი, ღოლათუბანი და სხვ.) ვხვდებით ი და ე ხმოვნების არაპარალელურ გავლენას პრევერების ა და ო ხმოვნებზე. მაშინ, როდესაც ი და ე იმსგავსებიან ა-ს, მათ ძალა არა აქვთ ო-ზე: მ ე ვ ი დ ა, გ ე დ ე ვ ი დ ა, ჩ ე ვ ე წ ე რ ე, ჩ ე ვ ე დ ი, გ ე ი ც ე მ ა, გ ე ვ ი გ ე, დ ე ე ც ე ნ, წ ე ვ ი დ ა, გ ე ვ ი ს ტ უ მ რ ე, დ ე მ ე მ ა რ თ ა (ყვილა ამ შემთხვევაში გვაქვს პრევერები გა-, ჩა-, და-, გადა-, წე-, გე-, ჩე-, გედე-). მაგრამ: მ ო ვ ი ტ ა ნ ე, მ ო ვ ი დ ა, მ ო ი კ ი თ ხ ე ს, მ ო ვ ი დ ნ ე ნ (მო- პრევერები). მასასადამე, იცვალა პრევერების ა მომდევნო ი-სა და ე-ს გავლენით. მაგრამ იგივე ი და ე უძღურნი აღმოჩნდნენ ო-ს მიმართ“¹.

დაახლოებულ სოფელთა მეტყველებაზე დაკვირვება თვალნათლივ მოწმობს, რომ ო-ზე მასიმილირებული გავლენის უქონლობის მხრივ არ შეიძლება ი ხმოვანს გავუტოლოთ ე ხმოვანი. ფიქსირებული ე ხმოვანი ზმნისწინისებულ ო ხმოვანს თითქმის ყოველთვის იმსგავსებს ზომო იმერეთის ზემოაღნიშნულ სოფლებშიც და ქართლურშიც კი, რომელთადაც

¹ გ. ახვლედიანი, დაუქტოა შერევის ორი ნიშუმი, გვ. 394.

იმერულის შერევის ფონეტიკურ ნიმუშად სწორადაა მიჩნეული გარკვეულ გარემოში ოი-ს უცვლელობა მაშინ, როცა ი ხმოვანი ოზე ამ გავლენის უნარს მოკლებულია ქართლშიცა და ზემო იმერეთის დასახელებულ სოფლებშიც.

ხმოვანთა შორის რეგრესული ასიმილაცია ზმნისწინებს გარდა სხვა შემთხვევებშიც დასტურდება:

V ხმოვანფუძიანი სახელების ბოლოკიდურ ა ხმოვანს მრავლობითი რიცხვის - ებ სუფიქსის ე ხმოვანი იმსგავსებს სრულად: განცხადებები, პირობები, მოხსენებები, კრებები, პროგრამები, ილიკოსანები...

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც გვაქვს სიტყვებში: მორე || მორე... რო უყავი (=რა უყავი). რეიქნა (=რა იქნა)...

თუ ხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია შეინიშნება უპირატესად, თანხმოვნებში პროგრესული ასიმილაცია ქარბობს.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა ფშვინვიერ ხშულს, აბრუპტივს ან ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მკლერი ხშული:

გახთა, წახთა, ამხთა, აწუხთა... დაარსთა, დეინტერესთა... დასახთა... ხფო (ზვარე, წიფა, ხევი)... უყეფთა. დამწიფთა, მოვითფინო... სუქთება... მოხუცთა, მამიცთა. წამცთა, ცთებია, გამოქცთი... გოუჩთა, ამოაჩთა. ჩთილი (სოფლის სახელია ჩდილი)... ტპა, სიტკპო...

ეს ორი უკანასკნელი სიტყვა წიფის, ზვარეს, ხევის, მოლითის, ლედვანის, ხუნევის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში უფრო ხშირად უასიმილაციოდაც იხმარება.

გაფუქტა... დამამიწუტა... გადამწუტება... კპილი (ფარცხნალი)... აკტა, გამოაკტება, დასკტება, კტიაშვილი (იხმარება კლდიაშვილიც), გამამრეკტა... საყტარი (იხმარება სახტარიც)...

ჩამოთვლილ ნიმუშებში ასიმილაცია კონტაქტურია და ნაწილობრივი. სრული ასიმილაციის მაგალითებია: გაკეთება, უერთება... დასუსტება, გავმჩატები, დაკუტება...

დისტანციური, ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს ამ შემთხვევებში: დასვთა, შეხვთა, შეხვთერია, დანახვთერია, დათანხმთა. მოაფიქრთა, შეფიქრთა, გამართლთა...

წიფასა და ზვარეში, ასევე სხვა სოფლებში „კვდარი“ იხმარება, იშვიათად ხმარობენ „კვტარი“, „სასიკვტილო“.

დასახელებულ მაგალითებში ასიმილატორსა და ასიმილირებულს ჰყოფს სონორი თანხმოვნები მ, ნ, ლ და კბილბაგისმიერი ვ.

თანხმოვანთა შორის სრული, დისტანციური, რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია:

შაშანდლე, შაშა, შაშუალი ||შაშვლო, დაყმაყოფილება, უყმაყოფილო, ყმაყოფილი, ყიყვი...

ნაწილობრივი, რეგრესული, დისტანციური ასიმილაცია გვაქვს ამ შემთხვევებში: სახეთო, ალან-ხეთიური (ხევი)...

სიტყვებში: საპჭო, აფხანაკი, ვაპტყელეფ, ოზდაერთი, ახწერს (ლეღვანი), პკყალები. პტვერი ნაწილობრივი კონტაქტური ასიმილაცია გვაქვს.

რეგრესული ასიმილაცია გვაქვს მაშინაც. როცა

ა) მიცემითის ფორმანტი ერთვის შრავლობითის - ებ სუფიქსს: მებატონეფს, სახლეფს...

ბ) -ში თანდებული ერთვის მეღერი ხშულით ან ნაპრალოვნით გათავებულ ფუძეს: პარახოთში, ბახში, ალავერთში...

სრული დისტანციური ასიმილაცია გვაქვს მეტწილად სიტყვაში „სახლი“ - ში თანდებულის დართვისას („შახში“) და ამგვარად გვხვდება ეს სიტყვა „სახში“ -ს პარალელურად, ჩვენი ტექსტების მიხედვით. ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფელში.

გ) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ს ერთვის ბ თანხმონით გათავებულ თემის ნიშანს: აკეთეფს, აშენეფს. გმოფს, სპოფს...

თუმცა ასეთ შემთხვევაში ცოცხალ საუბარშიც მეღერი თანხმოვანი თემის ნიშნისა დაყრუებულია.

დ) მეორე ობიექტური პირის ნიშანს მოსდევს ყრუ თანხმოვანი:

დაქქირდება, მოქცემ, ქყავს. შექცივა, მოქწერამ. ქქონდა, დაქკლამ...

დისიმილაცია პროგრესულიც გვხვდება და რეგრესულიც; პროგრესული დისიმილაციის მაგალითებია: არაფელი, გუშინაწილა, ვარვალა, კანოლი (წიფა, ზეარე, ხევი, ბორითი, ვახანი), უკანოლობა, ალანი, ცხენოსალი, არალი. ვერალი, ბევრჯელ, ერთჯელ, ორჯელ, ოროლი...

რეგრესული დისიმილაცია გვაქვს ამ მაგალითებში: კალონი, კალონიერთ (ქვები, ლეღვანი, ზარანი, ფარცხნალი); უმანდელი, ტელორისტი (ფარცხნალი), წრეულ. კამპალიონი...

ხმოვანთა შორის პროგრესული დისიმილაცია უნდა გვქონდეს ამ სიტყვებში: ლაპარაკი, სოლომანი, ონეფრე.

რეგრესული დისიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული: მალოქი, სიდოური.

მეტათეზისი გვხვდება მარტავეიცა და საურთიერთოც. კონტაქტურ-
რიც და დისტანციურიც. ჩვეულებრივია სონორ ბგერათა მეტათეზისი:
გ ვ რ ი მ ა (წიფა, ზვარე, ქეები, ვახანი), ყ ი ვ ნ ა. ს ა რ ძ ი კ ვ ე ლ ი,
დ ა მ ბ უ ლ ი. დ ა ს ა მ ბ ე ლ ი, ნ ე ვ რ ე ბ ი, დ ა ნ ე ვ რ ი ა ნ ე ბ უ-
ლ ი. ს უ რ ი ე ლ ი. ძ რ ი ე ლ ი, ე ვ ლ ა, ე ვ ლ ა ს ა ე ფ (მოლითი),
ნ ა ს ლ ი კ ა, ბ უ რ ბ უ ლ ი (ზარანი, ბორითი), ე კ ო მ ო ნ ი ს ტ ი.
ბ რ ო ხ ი ნ ტ ი, ღ უ რ ბ ე ლ ი, შ ე კ მ ა ზ ა, ძ ე რ - ბ ა ლ ი (ლეღვანი),
ც ე რ მ ლ ი. ნ ა ვ ხ ე, ნ ა მ ხ ა, ნ ა მ ხ ვ ე ლ ი...

არასონორ ბგერათა მეტათეზისიც გვაქვს:

შ ე მ ხ ვ დ ე რ ი ა (ასიმილაციით: შ ე მ ხ ვ თ ე რ ი ა). მ ო ს ხ ნ ი-
ლ ი, ხ ს ე უ ლ ი...

მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით არის მი-
ღებული „ე უ მ მ ე ბ ა“ (ე უ ბ ნ ე ბ ა — ე უ ნ ბ ე ბ ა — ე უ მ მ ე ბ ა)
და „ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ ი“.

ბგერათა დაკარგვა. ხშირია თავკიდური მ ბგერის დაკარგვა:

თ ა. ხ ა ლ ი (წიფა, ზვარე, ვახანი), დ ი ვ ა ნ ი (დიენათ მუშაობდა),
ს ე ე ი, გ ე ლ ი თ ვ ა რ ე, ც ე ნ ა რ ე, ხ ა რ ე, ტ ე ვ ა ნ ი, შ ო ბ ლ ე ბ ი,
დ ე ბ ა რ ე ო ბ ა, კ ე რ დ ი, შ ვ ი დ ო ბ ა, შ ი ე რ ი. კ ვ ლ ე ლ ი, წ ვ ა-
ნ ი ლ ი. ე ა ვ ე, ჩ ა ტ ე, ტ კ ი ც ე, წ ი რ ე, დ ი დ ა რ ი, ღ უ ლ ა რ ე-
დ ი ნ ა რ ე, ძ ლ ა ვ რ ი, გ ზ ა ვ რ ი, ს ვ ლ ე ლ ო ბ ა. კ ე დ ე ლ ი, წ ყ ე-
ს ი, რ გ ვ ა ლ ი ტ რ ე დ ი...

მ იკარგება ფუძემოც: ა გ რ ა ნ ო ი, დ ა ა თ ა ვ რ ა. ი ყ ო ფ ე ბ ო-
და, ჯ ა ნ თ ე ლ ი, ს ი დ ე რ ა (ხევი)...

ი კ ა რ გ ვ ი ს ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი მ - ც: რ ო, თ ო რ ე, ი მ ი ტ ო ...

ლ: ს ა პ ა ნ ე, კ დ ე (ამ სიტყვის ასიმილირებული სახეობა, კიცხისა-
და ხიდარის მეტყველებაში რომ იხმარება, აქ არ შეგვხვდება), ხ ე მ-
წ ი ფ ი, ს ა ხ ე მ წ ი ფ ო, დ ა გ ა კ დ ა, დ ა ა კ დ ა, კ დ ი ა შ ვ ი ლ ი,
ს ი ს ხ მ ა, (სისხლმა), ს ა ხ ს, ს ა ხ შ ი || შ ა ხ შ ი, მ უ ხ ს, ძ ა ლ ს,
ძ ა ხ თ ა პ ი რ ი ც ა ც ა კ ე, ხ ო მ ე ...

რ: ქ თ ა მ ი, ჩ ი გ ვ ი, კ ი ნ ა ხ უ ლ ი, ძ ი ე ლ, ბ ძ ა ნ ე ბ ა, ბ ძ ა ნ-
დ ე ბ ა, გ ა ვ ზ დ ი, ც ხ ი ლ ა, ვ ა ს კ ვ ლ ა ვ ი, ც ე მ ლ ი (ლეღვანი),
ს ი ბ ი ლ ე, ჯ ე რ ე თ ი ...

ვ: ი ბ ო ნ ა, ნ ა პ ო ნ ი, დ ო ლ ა თ ი, რ ე უ ლ ი. გ ა მ ო გ ზ ა ნ ა,
გ ა ვ ზ ა ნ ა, ყ ო ე ლ ი, გ ე ი ლ ი ა ნ - გ ა მ ო ი ლ ი ა ნ ... ვ ი ნ მ ა მ ი-
ლ ი ს? -- ე ს ე ნ ი მ ა მ ი ლ ი ა ნ (წიფა, ზვარე, ვახანი, ხევი)...

სისტემატურად იკარგება ვ ბგერა ზმნებში: ვ ი ყ ა ი, ი ყ ა ი, მ ი-
ყ ა ი, ვ ი ყ ა ი თ ... არ წ ა ვ ს უ ლ ი ყ ა ი თ, კ ა ი ი ყ ო ... რ ო ც ა ა ქ ვ ი ყ ა,
კ ო დ ე ც მ ქ ო ნ დ ა ... მ ე ც უ ნ დ ა წ ა ვ ს უ ლ ი ყ ა ... ნ ე ტ ა ი ქ ვ ყ ო ფ ი ლ ი ...

ყა... იქ სად და ვ მა ლ უ ლ ი ყ ა , გ ა ე ყ ე თ ხ ა ლ ხ ს... წ ა ე ყ ე თ ჩ ე ე ნ ე... ი მ ა ს თ უ მ ო ვ ყ ე ი...

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ მთელი მარცვალა დაკარგული: ხო მო ვ ყ ე... მო უ ყ ე და ჩ აწ ი რ ს... წ ა ე ყ ე , გ ა დ ა ვ ყ ე , წ ა მ ო ყ ე თ...

მარცვლის მოკვეცა იმდენად ნიშანდობლივია წიფის, ზვარეს, ხევის, შოლითის, ვახანის სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფელთა მეტყველებისათვის, წინააღმდეგ მარცვლის შემდგომ მდებარე სოფლების მეტყველებისა, რომ სოფელ ქვებში მეოთხე კლასის მოსწავლე გაკვეთილზე კითხვის დროს სახელმძღვანელოში სწორად დაწერილ სიტყვას კითხულობდა მარცვალმოკვეცილად: „ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ს ე ე - დ ა რ გ ა ე ყ ე“ (სახელმძღვანელოში „გ ა ე ყ ე ე ი“), „ნ ე ბ ა მ ო მ ე“ (სახელმძღვანელოში „მ ო მ ე ი“).

ში მარცვლის დისიმილაციურა დაკარგვა გვაქვს სიტყვაში „ფ ე - ხ ი შ ე ე ლ ი“: სიტყვა „გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე“ მოკვეცის შედეგად ქართლის მოსაზღვრე სოფლებში (ხევის, წიფის, ზვარეს ს. ს.) ამგვარადაა წარმოდგენილი: წ ე ე ი დ ე თ . გ ე ნ ა? ა ხ ლ ა ის მ ი თ ხ ა რ ი , გ ე ნ ა , ს ა ი ყ ა ი?

ნ: მ ა დ ო რ ი . ბ ა ლ ა ც ა , ს ი მ ი დ ი , ს ა ა მ დ ი (ხევი), კ ა მ ა დ ი - ო ი...

დ: ჩ ე ვ ე ი , წ ე ვ ე ი , მ ე ვ ე ი თ , წ ა ი თ , ვ ი ც ო ი (ლეღვანი, ზარანი), უ ძ ა ხ ო ი თ , დ ა ე ჯ დ ე ბ ო ი თ (ლეღვანი, ზარანი), თ ა ნ ი - თ ა ნ || თ ა ნ ა თ ა ნ , მ ა ა ნ ა (ლეღვანი, ზარანი, ფარცხნალი, ვერტყვიქალა), ს ა , ს ა დ ა , რ ო ის , მ ა ი თ , მ ა ე თ (ლეღვანი. ვახანი. ფარცხნალი, ზარანი)...

ბ: კ ო მ ო ს ტ ო , მ ე უ ნ ე ბ ა...

ზ: ლ ა მ ა ა თ ა (წიფა, ზვარე, ხევი)...

გ-ს დაკარგვის შედეგადაა მიღებული სიტყვიდან „რ ა გ ვ ა რ ი“ „რ ა ვ ა რ ი“ და შემდეგ „რი“ მოკვეცილი „რ ა ვ ა“. რომელნიც წიფისა და ზვარეს სასოფლო საბჭოების სოფლებში ჩაწერილი ტექსტებით არ იხმარება.

რგ: კ ა ა თ , კ ა ა თ მ ყ ო ფ ი...

ხლ: ა ს ტ ო მ ი ა (ასხლტომია). გ ო უ ს ტ ა , დ ა ს ტ ა (დასხლტა)...

ს ბგერა იკარგვის მიცემიასა და ნათესაობით ბრუნვებში -თან და -თვის თანდებულებთან და ზოგიერთ ზმნაში, რასაც სახელთა ბრუნებისას და ზმნის უღლილებისას განვიხილავთ.

შ: მ ა (მაშ) (წიფა, ზვარე, ხევი).

ც: მ ა ი ნ (ის მაინ მოუყე).

წ: ასე თვარ მოვისიე, არც საკმელი მინდა.. გ ა ე ა ს ე ე ი ე ფ

(სარსა)... მოსრებული არ ვართ (ვახანი)... საელა. საელობს (ბევათუბანი). ძმისული (ზარანი)!...

დადასტურებითი კინაწილაკის იხმოვნის დაკარგვის შემდეგ კ შეზრდია მომდევნო უარყოფით ნაწილაკსა და სიტყვას: კარ მაპიტაცა... ქვერაფელი უთხარი...

ბგერის დაკარგვის და მეტათეზისის შედეგადაა მიღებული „კარზნიკა“.

ზემოიმერულისათვის საზოგადოდ და, მაშასადამე, ორჯონიკიძის რაიონის მეტყველებისათვისაც დამახასიათებელია სუსტად მოქმედი რედუქციის კანონი. ბგერი სიტყვა აქ ხმოვნური ელემენტის შეუცვლელად არის წარმოდგენილი ხმოვნით დაბოლოებული აფიქსის დართვისას: დარჩა ნიორის თავი... გუთანით შუშაობს... წყალით იყო სამსე. დიდი ამბავით მიიყვანა... დეიბანს საპონით...

სამხედროში ქმარები ყამთ დაკარქული... ბგერი შემთხვევაები შემხვთა... ამბავები თქვენ უნდა იცოდეთ... მაშვეალობა იყო ძველათ... ლეკური ლაპარაკი იცოდა შვენიერთ... საყიდელათ არ იყო არაფელი...

ჩვეულებრივ ასეთი მიმღობური ფორმები შეკუმშულადაა ნახმარი. შეუკუმშავი გვხვდება ზნის ასეთი ფორმებიც: „რა დალაღამს“, „თქვენ ილაღებთ“.

სამაგიეროდ, იკუმშება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ შეუკუმშავად არის მოცემული. მაგალითად, სიტყვა „დარი“ შეკუმშულად იხმარება სოფ. ზარანში და ფარცხნალში: კინკა დრით წავა... დრით მევიდა ეს თვე...

ეს სიტყვა ქვებშიც შეკუმშული გავიგონეთ, მაგრამ მთქმელი ხილრელი იყო, სადაც „დრით“ იხმარება საყოველთაოდ.

„ქაზიც“, როცა ის კომპოზიტის შემადგენლობაში შედის, შეკუმშულად იხმარება ზარანისა და ფარცხნალის მეტყველებაში:

გლანა ამიდი ქვენაქრით იყო. ზენაქრით როცა არი, თოვლი არ მოდის (ფარცხნალი).

შეკუმშულია ეს სიტყვა რთული შედგენილობის ზმნებშიაც: ამეიზენაქრეფს, ამეიქვენაქრეფს (ზარანი).

თითქმის ყველგან შეკუმშულადაა ნახმარი სიტყვა „პირველიც“:

ჩემ სახში უთხარი თანაპირვლათ... პირვლიდან ორივე ტყუანია... პირვლიდან იმა ვხნამთ...

—ოვან სუფიქსიც შეკუმშულია ზოგჯერ: სახელვანი კაცია (ბორითი).

¹ ქ. ლომთათიძე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აპარულში, ოსუ შრომები, VI, 1938, გვ. 126.

უპირატესად სონორი ბგერების დართვა შეინიშნება.

მ: ჯიმში, სამზღვარი, ნამყოფი, უნამყოფო, ხელსამწყო, თხა-მცხვარი, მემცხვარე, უმფროსი, დამთვალეირა... სამჩეროე ხე, დამნაშაული (ხევი), მქვრივი, დავმქვრივდი...

ბ: კამბეჩი (ზვარე)... საბას ლექსიკონში წარმოდგენილი „კამბეჩი“ დიალექტური ფორმაა.

ნ: დაანგროვა, მონგროვდენ, ანგრე, ენგრე, ჩანჩნეული (წიფა), გააცივნა, გააცივნეფს, იპოვნა, გომრმენცხადა, ადლინგრძელა, კამფენტი (ზარანი), ენწყობა (ხევი)...

რ: თარკილი, თარკილობდენ, სართაკილო, დვირძლი, რძღვენი, მარგალითათ (ლეღანი). შეეხვეერწა, მარშინა, ამარშინავეფს (ხევი), ირხვი (ხევი). ყმარწვილი (თუ მეტათეზისი არ არის)!...

ვ: ბოძვი, თოკვი, ქექვა-ქუხილი (ზარანი), ნაქალაქვარი, შემეცოდვა. გევეშინჯვე, მესხვაფვერა...

ლ: ჭყლინტი, დაჭყლენტამს, ითხოვლეფს...

ქ: ნიქვთი...

სიტყვაში „ვაჟიკაცი“ კომპოზიტის პირველი ნაწილი წარმოდგენილია იხმოვანდართული, ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმით: ვაჟიკაცი იყო, ვაჟიკაცები არიან (ვახანი).

მეტათეზისისა და ბგერის ჩართვის შედეგადაა მიღებული „იმშულეზა“ (ილუშება).

სოხსტიტუცია ქართული ენის ყველა კილონათვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად. ბგერათმონაცვლეობისას ორჯონიკიძის რაიონის მეტყველებაში ერთგვარობა არ დასტურდება. ზოგ განაპირა სოფელში, რა თქმა უნდა, ქართლურის გავლენით ინტენსიურად მოქმედო ისეთი ბგერაა, რომელიც ამ პოზიციაში „წმინდა“ ზემოიბერულ სოფლებში სრულიად უმოქმედოდ ჩანს. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები.

მ — ნ: უნცროსი, ნეფე, დავანთაროთ, მოანგვანა, გავანხელთ, დანწიფთება, ინღეროდენ, სინღერა, ეინსახურე, სახსახური, სინდიდრე, გაანდიდრა, გადაანტვრია, დავანწნილეთ, დედანთილი, მამან-

¹ ვ. თოფური, ქართლური, არილი, ტფილისი, 1925, გვ. 136.

² იქვე.

თილი, აბრეშუნი, სანქედური, ხენწიფე, ეინჩა-
ტა... მუდნივათ.

ნ—მ: გამსხვავება, გამსხვავებული, გამთქმუ-
ლი, ჩამს, დეემდო...

ლ—ნ: ფერკთანი (ადგილი აქვს ბგერის დაკარგვასაც), ერ-
მინე, ბულანტერი...

ნ—ლ: ამდელი, ამდელა, იმდელი, რამდელი, მაგ-
დელი, მერამდელე...

რ—ლ: გოგილდი, აბელაქია, ინდაული || ინდოუ-
ლი || ინდელელი, ბრიგადელი, ხულმა, ჩალხი, კელ-
პი, იყინელი...

ვ—მ: ნამთი, დღემანდელი, მიჩინა, ხსომნა, კამ-
კასია, სამსე, გაამსეფ, ბომში, ბამშიანი, ბამშები,
თომლი (წიფა, ზვარე, ქვები), ამდარი, კომზი, თემზი,
ხამსი, ნიამქარი, გირმაქა, მამნებელი, ემგენი...

ვ—ბ: თებზი, მეთებზე, კობზი (წიფა, მოლითი, ზვარე, ვა-
ხანი), საბარცხალი, პარასკები...

ბ—გ: გზობა (ქვები)...

მ—ბ: ქალბანი, ბრავალი, ბრავლისაგან უბრავ-
ლესი, ბრუდი, სიბრუდე...

ბ—მ: ყმედი, ეყმედება...

ფ--ბ: კართობილი...

ბ--ფ: ორშაფათი, სამშაფათი, შაფათი...

ბ--გ: გუფეტი...

ბ--პ: ხოხოპი...

პ--ფ: ცეფი...

დ—ტ: ამტელი, რამტელი, გოდრისტელა, ამტენი,
შენტენა, ბრიგატელი...

დუზაფრიკატრზაციას აქვს ადგილი.

ძ—ზ: ნიზლავი, დავნიზლავდეთ, მოიზულე, ტაზა-
რი, ნატაზრები, მივზი-მოვზიე...

წ—ზ: ასაზეველა (ხევის ს. ს.), ეიზევა, ოუზიე, აზეუ-
ლი (ლელვანი, ზარანი)...

სამავიეროდ აფრიკატრზაცია გვაქვს:

ზ--ძ: საეძალი, ძივილ-ჩხივილი, შეეძიძგება
(ზარანი)...

ტ--ჭ: ქვირთი, დაქვირთა, ყრონკი...

ბ—ც: პ ე ნ ც ი ა...

გ—ქ: კ ა რ ქ ი...

უ—კ: დ ა მ წ კ ნ ა რ დ ი, მ წ კ ნ ა რ ი (ვახანი)..

კ—ყ: ე ყ უ თ ნ ი ს...

ხმოვანთა შორის სუბსტიტუციად შეიძლება მივიჩნიოთ:

ე—ო: რ ა მ დ ო ნ ი, ი მ დ ო ნ ი...

ე—ო: ხ ი რ ხ ი მ ა ლ ი...

ო—უ: კ უ მ უ ს ტ ო, კ ა ნ უ ლ ი, ე ს ი ა მ უ ნ ა (ბევი)...

ო—უ: ბ უ ნ ჰ ვ ე ლ ი...

მეტათეზისისა და სუბსტიტუციის შედეგადაა მიღებული „საინდულოობა“, ხოლო ასიმპილაციისა და სუბსტიტუციის შეერთებული მოქმედებით — „აფხანაკი“.

სტ—შტ: შ ტ ო ლ ი, შ ტ ო ლ ს ა ფ ა რ ი...

სწ—სტ: გ ა ს ტ ო რ ე ბ ა, ს ი ს ტ ო რ ე, ს ტ ა ვ ლ ა, ა ს ტ ა ვ ლ ა, ვ ე ს ტ რ ე ბ ი...

ვე—ო: მ ი ყ ო ბ ა (ჩვეულებრივ იხმარება „მიყვება“), ყ ო ლ ი ფ ე რ ი, გ ა ხ ო უ ლ ი, გ ა ს ა ხ ო ვ ი, მ ი ჩ ო უ ლ ი...

ვო—უ: უ ჩ ხ უ ტ ა, გ ა თ ხ ო უ ლ ი...

ო—ვა: მ ა ა წ ვ ა დ ა...

როგორც ვხედავთ, ორჯონიკიძის რაიონის მეტყველებაში ისეთი ბგერითი ცვლილებებიც შეინიშნება, რაც ზემო იმერეთის სოფლების მეტყველებაში მოსალოდნელი არ არის და ქართლურის უეჭველ გავლენას მიეწერება. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში წიფიდან მარელი-სამდე და ხევიდან ვერტყვიჭალამდე განსაკუთრებით იგრძნობა ტ-სა და ლ-ს აქტიურობა დ-სთან და ნ-სთან მონაცვლეობისას, რაც შეიძლება ერთგვარ საკლასიფიკაციო ნიშნეულობადაც გამოდგეს ორჯონიკიძის რაიონის მეტყველებაში საკუთრივ ზემოიმერულისა და ქართლურის მონაცემების გასამიჯნავად ფონეტიკის ხაზით.

მორფოლოგიური მოვლანება

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, მათ შორის საკუთარ სახელებსაც, მეტწილად ი მოეპოვებათ:

გაჭრეს მ ი წ ა ი... ვე ვარ წყალში ნაგლები ქ ვ ა ი... ჩეიტანა ჩ ა ლ ა ი... ძახლები მოილაპარაკებდენ—მ ა მ ა ი და დ ე დ ა ი... გაზიდეს ნახევარი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ი... დეიწყო ხეზე ა ფ ო რ თ ხ ე ბ ა ი... ქ ა ლ - კ ა ც ო ბ ა ი შე დამატყტა თავზე... აქ აკეთოს ს ა ქ მ ე ი... იქ ქონდა ს ა -

სახლეი... ბზეი გადააქ... მიხთებასი ცხეი... ე ჩვენი კუთხეი უფრო ზემოურათ ლაპარაკოფს... ის გოგოი არ წამოსულა... დაგლეჯილი მაქთეძოი... ჩემი სარჩოი მამდის...

იქნება ვანიჩკაი, შოთაი და გოგიაი... დეილაღა ნატაი... აღაპარაკე კიმოთეი... დარჩენილიყო სამი ბიჭი: ბესოი, გლუხინაი და ადამოი... ვანოი აქ არ იყო... სად არი რუსიკოი...

ი გვხვდება -ვე და -მე ნაწილაკიან სახელთა სახელობითშიც:

უნდა გამოგზანო ვინმეი... მამაგონდება რამეი... მოვიდო რივეი...

ი ზოგჯერ გამოყენებულია ასეთ შემთხვევებშიც:

რა არის გოგო ეგეი... ჩემი ცხოვრებით ვართ კმაცოფილი შეშის გარდაი...

მოთხრობითში როცა ფუძისეული და ფორმანტისეული მხედება ერთმანეთს, გემინანტს ვლებულობთ, როგორც საერთოდ ამას ადგილი აქვს ცოცხალ საუბარში:

დაკვივლა როსტომა... დანარჩენი ისხვერპლა ომა... ირემა ძილი იცის...

ასეთ შემთხვევაში მ უფრო გაგრძელებულად წარმოითქმის, ვიდრე ჩვეულებრივ მ-ს ხმარებისას.

მრეშითში თანხმონით დაბოლოებული სახელები იკვეცენ მიცემითის ფორმანტს, თუმცა ეს მოვლენა არც ისე ხშირია, როგორც კახურსა და განსაკუთრებით ქიზიყურში, არც ისე იშვიათი, როგორც ქვემოიშერულში:

რახსა ჩვენ უჩახით, ტყემალო გამოვხით... სიმიდრო მოვჩეხამდით ხომე, პურს დავეთესამდით... მატყუარა ხალხ ვერ იბონი იქა... ვექსილ დოუწერდენ... ცოდვა არ არი, შენ წყალ ყიდემდო... ბელ რაუა არ კიდებენ... როცა ტკივილებ დამიწყეფს, წამლებ გაჰამიწერენ...

მორეშითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მოსწარებელია ჩვენებით ნაცვალსახელებთან: გედეონი ქვია ამა... ის ოჯახი მაგა ძალიან ეხმარება... იმა უთხოვია ახლა ი გოგო...

ნათესაობით ბრუნვაშიც იკარგება მსაზღვრელთან პრეპოზიციული რიგისას: 'მე ახლა კინო ფული არ მაქ... გუთნი კვალზე

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 67-68; შიანივე: ხბერის დასუსტება ქიზიყურში, ენისკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 66-67.

დასცა... კ უ ჰ ი ტკივილი მაქ... ჰ უ რ ი ფქვილში გავაკეთეფ... რეჟ
შ ვ ი ლ ი დედა ვიყაი... მარელისი აქ არი, ე ე ნ ა ხ ი თავში... ქ ე ე ბ ი
ბოლოზე ჩამოდის ჩხერიმელა... ცხენმა უკბინა კ უ დ ი ძირზე... ხ ე მ-
წ ი ფ ი შვილი მე ვარ... ჩემი გ უ ლ ი ჯავრი ჭირდა...

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბრუნვისათვის, თუ გამოვრიცხავთ, საყოველთაოდ
თ რ ო მ იხმარება დ-ს ადგილას, დაგვრჩება აღსანიშნავი, რომ -იან სუ-
ფიქსიან სახელთა ვითარებითში დ (თ) არ შეინიშნება:

ც ო ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ა ტყეში იხიზნებოდენ... ჩემი შვილი თავის
მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ა ნ ა გაშეთხოვეს... მოქკლამ ხ ი ზ ნ ი ა ნ ა...

გვხვდება ასეთი ფორმაც: სიმიდს არ ყალიან ზუთ თუჰან ნ ა კ ლ ე-
ფ ა (ნაკლებად).

მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში წიფი-
დან მარელისამდე, ასევე ხევის სასოფლო საბჭოში შეწავალ სოფლებში,
სისტემატურად იხმარება ემფატიკური ა როგორც საზოგადო, ისე სა-
კუთარ სახელებთან:

ბ ა ე შ ვ ს ა უნდოდა წამოსვლა... საღამომდინ ვერ გავათავეფ ჩემ
თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ს ა... უჯანო კაცი შერჩა ნ ი ა დ ა გ ს ა... უჩივ-
ლეს ამ უნცროს ძ მ ა ს ა... თავის სამსახურის ფ უ ლ ს ა მოიხმარს
ოჯახში.. ზ ღ ა პ ა რ ს ა რ ა მამაგონეფს... ი ბ ი ძ ა ჩ ე მ ს ა ერთი
მუნჯი ბიჭი ყამდა... გლახათ ეკიდა ხ ა ლ ხ ს ა... უ რ ე მ ს ა არავის არ
გავატარებინეფ აქა... გ ო ლ ა თ უ ბ ა ნ ს ა ბევრი სიმიდია ასალები...
მაგის დარდი არ აქ ბ ა ბ უ ც ა ს ა... ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ა ძიელ დიდი ყანა
ქონდა... მოხუცებულ ი ლ ი ა ს ა უძახით...

ზ ღ ა პ რ ე ბ ი ს ა არა მახსოვს მე... გ ი ვ ი ს ა შვილსა თუმანი
მიუტია...

მეეკლათ რაძახანაირათ წ ა მ ლ ი თ ა... დაადგა ხ ა ნ ჯ ლ ი თ ა...
მამკლა ს ი ც ი ლ ი თ ა... გ ა მ ო ვ ა ბ ა მ დ ი ხარეფს უ რ მ ი თ ა... წა-
მოუყვანათ მ ა ნ ქ ა ნ ი თ ა... გამოყვენ მოყვრები გზაზე დიდი ამ ბ ი-
თ ა...

ლოუდექი მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე თ ა... ახლა მყამს ც ო ლ ა თ ა... გამო-
ვიყენოთ ს ა ც თ ე ლ ა თ ა... პაპიაჩემია აქ გადმოსული ს ა ც ხ ო ვ-
რ ე ბ ლ ა თ ა... უთხრა ბიჭმა პ ა ს უ ხ ა თ ა... გაჩთენ ძ მ ე ბ ა თ ა,,
ნივიდა ს ა ნ ა ხ ა ვ ა თ ა...

ეჭვატიკური ა მეტად ხშირად იხმარება სხვათა სიტყვის ო ნაწილა-
კის წინაც: იმან ქვე მითხრა, თუ იგუეფ ს ა თ ვ ა ლ ე ს ა ო, გამოგი-
წერო... აქეთ ი გოგომ შექმნა ტირილი, გამოვკრი ყ ე ლ ს ა ო... ნუ
ეჭეფ ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ს ა ო...

ბოლოსკონიან სახელთა მოთხრობითში -ს ადგილას მაჟიხ-
მარება: რქენა იცის თხამა... მოუგო მამამა... მიცა თათლი ჭინ-
ჭრაკაშა... იმოქმედა მოსამართლესა... ჩამოიარა ამ დროს
პეტრემ... მათიკომა აძაგა თინაი... ეს მიქნა ქეთომა და
ნიკომა... დეისწავლე შენე, ვანომა რა იპონოს...

აა, ამოიტანოს სანდრომა უწყებები... გოლოუყო გოგომა
ხელი... სერგომა კიდე წამოახველა... ნუნუნა ნახევარი ფუ-
ლი მამცა... ლილიმა გალახა ბლარი... გიორგიმა თოფი ჩა-
მოიტანა...

შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, მოთხრობითის -მა სუფიქსი მან ფორმან-
ტის მალოდ ნს მოკვეციტ მიიღებო¹, რომ ეგვე დაბოლოება არ
გვხვდებოდეს საკუთარ სახელებთან და, უფრო მეტიც, კითხვით
("ვინ") და ჩვენებით ნაცვალსახელთა მოთხრობითშიც:

ვინა თქვა?... მოგიტანა იმანა?... იქა ჭამა პური ამანა...
იმანა მეტი მიყო... თქვა იმანა ისევ-ისევ... ვერ იგუა ვერავი-
ნა ისი...

ემფატიკურ ა-ს ჩვენებით ნაცვალსახელთა მიცემითშიც ვხვდებით:
მაგასა ყვარებოდა ქალი... მერე ძალი ენახა იმასა... ერთი სი-
რაძე იყო, მოუკითხავს იმასა... იქ ქონდა იმასა სასახლეი... უყუ-
რეფს იმასა დევი...

დანგრეის იმათა... ძიელ ვჯობნიდით იმათა...

ემფატიკური -ა ასეთ შემთხვევებშიც გამოიყენება:

მოვბოქამ ყოველთვინა ჩალასა... იქითკენა ჩაყაროს...
დაბრუნდა წისკვილიდანა... გადმოვატრიალე მეორე გვერ-
დიდანა... გაჭრეს მიწაი მალლიდანა... აყალოს ზეიდანა
სილას დავაყრიტ...

კაი ბიკი ვიყავი მაშინა... დადგეს კიღობანი გარეთა... ხან-
დიხანა 30 გოჭი დარჩებოდა ბარბალობამდინა...

ხვალა (||ხვალე) შეიძლება მე არ ვიყო... ეს ნანადირები ვჭამოთ
ამალამა... გუშინა ფეხი მოტყტა... გაისათა აქეთ დეიწყოს...

როგორც ვხედავთ, ემფატიკური ხმოვნის ხმარების მხრივ ქართლის
მოსაზღვრე სოფლების მეტყველებაში ძველი ქართულისაგან განსხვა-
ვებული, მაგრამ ქართლ-კახურის მსგავსი ვითარება გვაქვს. ემფატი-

¹ შტრ. თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956, გვ. 231, შნშ. 2 (სქოლო-
რში)

კურ ხმოვანს ვხედებით იქ, სადაც ძველი ქართულის მოქმედი ნორმების მიხედვით მის ხმარებას გამართლება არა აქვს.

ამჟამად ემფატიკური ხმოვნის ხმარების ადგილი განსაზღვრული არ არის. სალუსტრაციო მაგალითებითაც ცხადი ხდება, რომ მას ჩვენ ვხედებით წინადადების ბირველ წევრთანაც. წინადადებაში მოქცეულ წევრებთანაც და, უფრო ხშირად, წინადადების ბოლო წევრთანაც.

საფიქრებელია, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, წინადადების ბოლო წევრთან ესმარათ წინადადების რკალის შესაყრავად, კონსტრუქციის დახშულობისათვის და, რადგანაც ასეთ შემთხვევაში პაუზაც არის, ემფატიკური -ა შეგვხვდებოდა პაუზასთან! იგი მხოლოდ შემდეგში უნდა გამოეყენებინათ წინადადების წინა და წინადადებაში მოქცეულ წევრებთანაც. ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება. თითქოს მისი ხმარების გარკვეული კანონზომიერება აღარ არსებობს.

ქართლის მოსაზღვრე ზემო იმერეთის სოფლებში ემფატიკური ხმოვანი გვხვდება თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელთა ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელთანაც. როცა ის პოსტპოზიციური წყობისაა, გათიშულია საზღვრულისაგან ან განმარტოებულია:

დეიჭირა ხარები ბ ი ძ ა ჩ ე მ ი ს ა... დაჯერება არი უ ფ რ ო ს ი ს ა... ადრესი მივეცი ო ჯ ა ხ ი ს ა... ნუ ივი დაბრწყევბი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა... გროვა ეყარა ვ ა შ ლ ე ბ ი ს ა... დათიკო შეშხვა ჩვენი. — ი ა კ ო ბ ი ს ა?..

ორჯონიკიძის რაიონის ცენტრში მდებარე სოფლებში (ლელვანი, ზარანი, ფარცხნალი...) ასეთ შემთხვევებში ა ხმოვანი უჩინარდება და მის ადგილს ი იჭერს, როგორც მისი ტოლი ოდენობა:

ნიკალას არ ეზარება სმა და ჭამა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ი (ზარანი)... ჩიტმა მაინც მოქცა ზარალი ყ უ რ ძ ნ ი ს ი (ზარანი)... წვეიდა, რო იზონოს რამე მოსარჩენი ბ ი ჭ ი ს ი (ზარანი)... ხუთი თუმანი აქ გამოყოლილი იმ ბ ი ჭ ი ს ი (ზარანი)... შვიდი ფუთი ოტკა გამოხადა ჭ ა ნ ჭ უ რ ი ს ი (ზარანი)... ბიჭი ყოფილა მ ე ც ხ ვ ა რ ი ს ი (ზარანი)... გორები იღვა შ ე შ ი ს ი (ზარანი)... წასულდი იყო სამი კ ვ ი რ ი ს ი (ფარცხნალი)... ჩეჩვაც იცის მ ა ტ ყ ლ ი ს ი (ფარცხნალი)... ხარები მყავდა მ ა მ ა მ თ ი ლ ი ს ი (ფარცხნალი)... მე არ მახსოვს ისი, მაშინდელი ყ ო ფ ნ ი ს ი (ვერტყვიქალა)... ღორები ხ'ვარ გამოუყვანია კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს ი (ლელვანი)... ამის შვილია გათხოვილი. ჩემი ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ს ი (ლელვანი)...

ქვებშიც შეგვხვდა ასეთი მაგალითი: მოქცეს პური ამ ათი კ ა ც ი ს ი.

¹ თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში, გვ. 231-232.

გვხვდება მსაზღვრელი უხმოვნოდაც: აბუება იცის ა დ ა მ ი ა ნ ი ს (ზარანი)...

მოქმედებით ბრუნვაშიც ემფატიკურ -ა-ს ადგილას ი გამოვლინდება:

ბურჯინი გოუმსო ოქროთი და ვერცხლითი (ლეღვანი)... აქ არი განსხვავება ლაპარაკითი (ლეღვანი)... მე რო გულს მამიკლამს აყაპანებით და ჩხუბითი, მერე ქე მოვა ხასიათზე (ლეღვანი)... იმას მოუნდება აწონითი... შენი სიზარმაცითი მჭრა თავს (ზარანი)... მევიდა პრისტავი, აგვიწერა ორი ძროხაი თავისი უღელი მოზვერითა და უშობლითი (ზარანი)... ხეს გამოვცხვირამთ ნაჯახითი (ზარანი)... ოტკა ედგა პატარა შუშითი (ზარანი)... პირველათ შევწამლავთ კირით და შაბიაბნითი (ზარანი)... მიწას დავთესამდი უღელი ხარითი (ზარანი)... ფეხებს გაკრავენ უღელზე მყოფ ბაწრითი (ზარანი)... ყანა გავგიფუჭა ცხვრებითი (ზარანი)... დაკოკლებულია ნაღრძობითი (ზარანი)...

ვხანშიც შეგვხვდა: ვერ ვხედავთ ვალეებითი...

ორჯონიკიძის რაიონის განაპირა სოფლებში, ქართლის მიჯნაზე რომ მდებარეობენ (განსაკუთრებით წიფისა და ზვარეს სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში). საკუთარ სახელებს კინობითობის -ა ღაერთვის შეტწილად, ამიტომ წოდებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი, როგორც ბოლოხმოვნიანი სახელები. სხვაგან კი (თვით ხევის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებშიც აქა-იქ) თანხმოვანფუძიანი სახელები ო-ს დაირთავენ უპირატესად:

მოყე. ერმანოზო (ქეები)... ყველა მოკიდა. ვიხტორო (ქეები)... ვასილო, მოდი აქ (ქეები)... ფილიმონო, ორი ძარი სმიდი მევიტანე (ლეღვანი)... ავი მითხარი, როსაფო (ლეღვანი)... საველო. რკინის სოლი ქქონდა, საძახა დევინახე... აპა, სვიმონო. შენ ქე იცი ზღაპარი (ვერტყევიჭალა)... ახ, გედეონო. მოვხუეთი (ვერტყევიჭალა)... გამარჯობა, ნარიმანო (ბორითი)... შენ ჩამოულე, დარეჯანო (ხევი)... ძალი ყოფილა, ვასილო (ხევი)...

მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად იშვიათად გამოყენებულია ნ-თ სუფიქსებიც: და-ძმანი იყვენ... სამი და-ძმანი ვიყაით...

ქართლის მოსაზღვრე სოფლებში გავრცელებულია რიცხვით სახელთა თანიანი მრავლობითი: ჩვენ ორთავე ვიცით... ორთავე სიტყვა გვიხმარნია... ეგენი სამთავე ეშმაკები არიან... ორთავე მ შექამეს გაყოფილი ვაშლი...

მრავლობითი რიცხვის -ებ ფორმანტის დართვისას ა- ხმოვანფუძიანი სახელი ან ასიმილირებულია, როგორც აღნიშნული გვაქვს ფონე-

ტიკურ ნაწილში, ან უკვეცელი და ასეა ეს ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფლის მეტყველებამი:

ქვეით ააშენონ კანტორაები... იმათ ყამდა მასხარაები... წარწერაები იყო ქართული... ოთხი დაკეცა თუთუნია იქა, დიდი დაკეცაები არი, გამიყიდე... არი აღებული ლობიაები... არ მოდიან ახალგაზრდაები... ეს არი ჩემი გაჭირვებები... ეს პირობაები გვაფიქრებინებს იმასა... ჩვენ გვაცვია ნაბდის ჯოღშუკვაები... ორნაირი აკოშკაები აქ... იქ დგას კარზნიკაები... დაწვეს შენობაები... ბიძაები ყამდა... მაგისტანა ისტორიაები არ ვიცი... ნათლიაები გვეყამდა... დედაები არიან... დაწესებულებები დაწვეს... მანქანები აღარ შეება პურში... ქონებები ქონდა... მოპარეს ობლიგაციები...

უკვეცელი ფუძეა სხვა ბრუნვებშიც: ახალგაზრდაებმა იცოცხლეთ... სესტრიცაებმა მამწერეს, ორი მოყვებითო... მოუყვებოდა ახალგაზრდაებს... ისტორიაებს მოყობა... დოუგდე ყური შავათ სიტყვაებს... ღამე კრებებს ატარებდენ... ზესადგარში გოუყრით საფენელაებს... აჰმევედენ პაწიანებს... ვფათურობდი მაგიდაებზე... ამისთანაებს ვარჩენდი... გამოატანდა რაძახაებს... აქ იარეს გორაებზე... ბიცოლაებს თან არიან... ბიძაებს თან ვუყა... ასეა ახალგაზრდაების საქმე... რა დაქრებოდა ბიძაების ხელში...

თანდებულნიანი სახელები. - თან და - თვის თანდებულთა ხმარებისას ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფელში ერთნაირი ვითარება არ დასტურდება. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში უპირატესად - თანა იხმარება, მიცემითს ბრუნვას ერთვის და ადგილს აღნიშნავს ან თანაობას:

სად მუშაობენ? — სად გურთანა... სად წავიყვანო? ხევე თანა?... მოსულა ცეცხლთანა... ზარბაზანთანა იყო... წვერა არ არი ჩვენთანა...

ბოლოხმოვნინან სახელს - თან თანდებულის დართვისას მიცემითის -ს ეკარგება ხოლმე: მიიყვანა შალიკოთან... მისულიყო დედა თან...

განსაკუთრებით მოხშირებულია ნათესაობითის -ს ელემენტის დაკარგვა შედარების გამოსახატავად - თანა თანდებულის დართვისას: მაგითანა ღვინო არავინ არ იცის... ეენახი მაგითანა გლახაი მე არ მქონია... იმითანა არაფელი დამინახამს... შენითანა კუდაბზიკა იმერლები ვერ გამოივლიან არავესაო...

აჟეთ შემთხვევებში ნათესაობითის -ს ელემენტი სისტემატურად იკარგება ხევის, წიფის, ზვარეს სასოფლო საბჭოებში, მოლითის სას.

საბჭოში პიზივალ ზოგ სოფელში, ვახანში და ქვებში შედარებით ნაკლებად. სიფო ლელვანში და მის მომდევნო სოფლებში მიცემითისა და ნათესაობითის - ს ელემენტის დაკარგვას - თან თანდებულთან ვერ წევსვლებით. სამაგიეროდ გვხვდება თანდებულის თ ელემენტის დაკარგვა: ამ გაყოლებაზე ქვებია ი მ ი ს ა ნ ა. რომ იქ სულ ვერ გახვალ... ი მ ი ს ა ნ ა გადავბტენდი, იქანა აღარ გამოვლი... არ გვაქვს ი მ ი ს ა ნ ა რამე, რო წვეილოთ...

-თვის თანდებული ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველებაში -თვის ვარიანტითაც გვხვდება:

პწკალს ვილი კალათის თვინ... გოზინაყის თვინ ჩენება გამევიდეს... გეიპირა მორე დღის თვინ... ურმის თვინ არი დახეჩილი...

ქართლის მოსაზღვრე სოფლებში ამ თანდებულს ბოლოში - ა-ც ერთვას: ეთქვა ჩემი მამის თვინა... კამის თვინა ადგა ზეზე... დათბუნეს ბინა ზამთრის თვინა...

ამავე სოფლებში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. ნათესაობითის -ს ელემენტი იკარგება: თავითვინ უფმურია... ქვაბითვინ იქნება გამოვიდო... დიდი ხანი ვიყა გათხოვილი იმითვინა... არ მოვალ არაფრითვინა...

-ვით თანდებულის -ვით ვარიანტიც გვხვდება: იმნაირ ყმაწვილს ძინამს, ზესავეთ ანათეს... ესე ქვასავეთ არი...

- ში და - ზე თანდებულთა სხვადასხვაგვარი სახეობა გვხვდება: წეველი ბაზარში და... ეს იყო იანვარში და... არი იმ რგოლში და... არ გევივლი იმ გზაზე და... პაწ-პაწია ნახეი ენაზე და...

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინაც ჩვეულებრივ -შიდა და -ზედა გვხვდება: ოცი აქვანია ერთ ოჯახში და ო... თავი გადმოვადე ორმოში და ო... ჩამოვალ სადამოზე და ო...

- ზედა - ა მოკვეცილიც იხმარება: სვეტზე და მოაბი... გაზაფხულზე და გამოვგანა ყარაულები...

გვხვდება - შია და - ზეა-ც ქართლის მოსაზღვრე სოფლებში:

აქა ვარ ვენახშია... ისი მოარჩინეს სასულელოშია (გოლათუბანი)... მე ურეჩი შეშაი მეყოფა ზამთარშია (წითა)... შევიდა იმ ქურშია (გოლათუბანი)... პატარა ყამს სახშია... გაარტყა გაშლილი ხელი სახეშია... ახალგაზდას გულშია ვინ ჩაიხედამს (ქვები)... ევიდა კიბეზეა (ვახანი)... ფეხს არ გადადგამს მეზობლი: საქმეზეა (ვახანი)... აბანოზეა მოლარეთ მუშაობდა (ზვარე)... რაღაი კითხულობაზეა, კი არ გამივიდა (ხევი)...

-ებრ თანდებულის ბ დაყრუებულია: კლდესავე ფ, ჩემსავე ფ...

კითხვაზე „საიდან“ ქართლის მოსაზღვრე სოფლებში - გან თანდებულნიან მოქმედებითს - ა სმოვანი დაერთვის სშირად, ხოლო მარტლისის დასავლეთით მდებარე სოფლებში — -ი და ესეც მკვეთრად განაზავს, მათ შორის არსებულ განსხვავებას:

ის იყო ლაშიდანი, მე — ამ ქვეით, იმერეთიდან... არ დაძანებეს სკოლიდან... გადმოხტარყო მაღლა სართულიდან... გადასახდენ თბილისიდან... იქიდან რო წამოსულიყო, ხარაკოთელიდან, აქედანა ქუთაისში მონაველებულა მატარებელი... მოსულან ქუთაისიდან...

მერე ყვენი გამოდის იქიდან... მერე აქ მოვიტყალები ამ შეიდან... შემოყოლიან ქვეიდან...

მაგრამ:

გამოუგდია ეს ბოვში სახლიდან... ეს ქალია ქუთაისიდან... ჩამოასრიალებენ ხიდან... ხვალე ბოვში შეველა სამსახურიდან... წამოქვეყვა დიდვაკიდან... ეს ქალი მეიყვანა ქართლიდან... მევიდა მერე იქიდან კაცი... საქმეები შეგვსახვის იქიდან... ავამიყვანე მაიდან...

რისი მაქნისია დასახლებულ მაგალითებში ი, ძნელი სათქმელია იგი შეიძლება მივიჩნიოთ ემფატიკურ -ა-ს ბადალ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში ქართლურ-კახურში და ზემო იმერეთის ქართლის მოსაზღვრე სოფლებში, როგორც დავინახეთ, ემფატიკური -ა ინმარება და ეს იმის მიუხედავად, რომ ძველ ქართულში აქ იგი არასოდეს გვქონია. ჩანს, ორივე მერმინდელია და ორივე ტოლი ოდენობაა.

- გან თანდებულიანი მოქმედებითი ინმარება - გან თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციითაც:

ორი გოდორი წაშვილო ჩემიდანა (ვახანა)... უნდათ ჩემიდანა ისარგებლონ... ჩემიდანა ო საჩუქრათაო უნდა მოქცეთო...

თუ გაკლია ჩემიდან რამე. აგერ ვარ (ლეღვანი)... ვისესხე შენიდან ამდენი ფული (ლეღვანი)... ორას მანათს ღებულობდა ჩემიდან (ლეღვანი)...

-გან თანდებულიანი მოქმედებითის ურედექციო ფორმებიც გვხვდება:

აქიღვანა ბატონის ადგილზე მოექცა... წასულა იქიღვან... ამიღვანაო ჩემი შეილის დაკრა იყოო...

-დამ თანდებულცი ინმარება ქართლის მოსაზღვრე სოფლებში: ხელი-ხელში ებთანეს წყლიდანა (ვახანა)... განწირილი არ ვიყავი სიკვდილიდანა... ახლა მევედი იალტიდანა... ჩაშვიდა არ-

მავირი დამა... მარტი რო დადგება, იქი დამა თესვას დეიწყებენ (ხევი)...

-მლის თანდებული -მლი, -მდინ || -მდინა-ს სახით გვხვდება: ხან-დინანა ერთი გოქი დარჩებოდა ბარბალო ბამდი... იგი გიორ-გობის თვემდინ ასხია... აქედან ხუნევეამდინა 3 კილომეტ-რია (ვერტყვიქალა)... უყურეს გათენებამდინა (ვახანი)...

ნაცვალსახელები. შენ, ჩვენ, თქვენ პირის ნაცვალსახელები ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფლის მეტყველებაში გვხვდება „შენე“, „ჩვენე“, „თქვენეს“ სახით:

შენე რა მიწოდე ესე... შენე უნდა გაჩუმებულიყავი... სად იპონე ე თვალი შენეო... ვენახს ჩვენე ვაზს უძახით... დასავლეთ ვეკუთუნებით ჩვენე... არჩიეთ თქვენე... რა მოგიყვე თქვენე...

განაპირა სოფლებში ასეთ შემთხვევაში სადეტერმინაციო ნა-ც გამოყენებულია აქა-იქ: მიირთვი შენა... აქა მისიცი გვიწვეს ჩვენა... დევინახეთ ჩვენა...

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას სრული სახითაც გვხვდება:

უნდა გავაკეთო ესე... ესე ჩამორჩება... ლპება ეგე... ან ყრუ იქნება ეგე, ან მუნჯი... ისი ზეით არი... გამოატანა ისი... შეეკითხა ისი...

ესე და ისი-ს კონტამინაციის შედეგად ესი-ც მოიპოვება: უნდა მოაძრონ ახლა ესი...

ეგე ნაცვალსახელის ბოლოკიდურ ხმოვნად იშვიათად ა-ც გვხვდებოდა: ან მე უნდა წავიდე აქედან, ან ეგა (ზვარე)...

ლელვანში შეგვხვდა „მაგი“: პატორგია მაგი...

„მაგ“ ნაცვალსახელის ბოლოკიდურად ე-ც მოიპოვება: არ შემხეთერია მაგე (გოლათუბანი)... მააშზადე მაგე (ზვარე)...

ესე, ესი ნაცვალსახელები სხვა ბრუნვებშიც ინარჩუნებს ჩვენებითობის ე ხმოვანს: ხვალ ემას გამოვატან... ემას ა წნევა აქ...

მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაშიც ეგვაქვს ზოგჯერ: ემ ძარს მოკაელი (წიფა)... ემ ერთი შეილის მაყურებელი ვარ (ვახანი)...

მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელები შეიძლება წარმოდგენილი იყონ მხოლოდ ხმოვნური ელემენტითაც:

ვაცინოთ ე გოგოი დღეს... სანადიროთ წასულა ე ლაცაბიძეი... ე თავი შვილები ჩაყლაპა ი დევმა... ვინ მოაგლუხეს ი საძაგელი...

ჩვენებით ნაცვალსახელებთან არც თუ იშვიათად იხმარება მისათითებელი ნაწილაკი აი, რომელიც ასიმილაციით იძლევა ეი-ს. ამ უკა-

ნასკნელას ბოლოკიდური ი-ს შერწყმით „ისი“ ნაცვალსახელის თავკიდურ ი-სთან მიიღება ე ისი: რა არის ე ისი... სულელია ე ისი... ასევე: ე ი მასა ჯილო აქ... დაამტკიცეს ე ი მათმა...

ირიბ ბრუნვებში მსაზღვრელად გამოყენებული ნაცვალსახელი იშვიათად იწარჩუნებს ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანსაც:

ა მ ა დროს მოვიდა დევი...

მრავლობით რიცხვშიც გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები:

ე ს ე ე ბ ი როის მეგონა (ზვარე)... მ ა გ ე ე ბ ი არა თქვა... მ ა გ ე ე ბ

' : ნუ იტყვი... ყანები ე გ ე ე ბ ი ა (ლეღვანი)...

გვხვდება ქვემოიმერულისებური წარმოებაც: ი მ გ ე მ მ ა ც ო უ მ ვეს და ჩვენც...

მოთსრობით ბრუნვაში საზოგადო სახელთა ანალოგიით ასეთი წარმოებაც გვაქვს:

დაადგენ ა მ ა თ მ ა და იარეს (ზვარე)... ა მ ა თ მ ა თქვეს (ბევი)...

ა მ ა თ მ ა დამასვენეს (ლეღვანი)... ა მ ა თ მ ა იყვირეს (ქვები)...

ი მ ა თ მ ა იციან აქა (ხევი)...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელების მისაღებად ფართოდაა გამოყენებული კითხვით ნაცვალსახელებზე - მე. - და. - ცა ნაწილაკების დართვა. ამ ნაწილაკთა დართვისას შეხორცებული წარმოებაც გვაქვს და შეუხორცებელიც. შეხორცებული წარმოება მეტწილად ზემო იმერეთის განაპირა სოფლებში გვხვდება: შეხორცებული წარმოების შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ გვაქვს ირიბ ბრუნვებში. ალბათ. ამით აიხსნება, რომ სახელობითშიც აქა-იქ -ი გვაქვს:

უნდა იშვილოთ ვ ი ნ მ ე ი... მამაგონდება რ ა მ ე ი (წიფა)... ალბათ თავისიანია რ ო მ ე ლ ი მ ე ი (ქვები)... წაშალი ჩაასხეს რ ა ლ ა ც ა ი (ქვები)...

შეუხორცებელი წარმოების მაგალითებია: არ ყოფილა, რო ჩემთვის ეკითხა ვ ი ს მ ე... აჩუქეფს რ ა ს მ ე ვინმე (ლორეშა)... იმისი იმედი ნუ გაქ, მე რო რ ა ს მ ე მოგეხმარო (ბორითი)... მოგუყვები რ ა ს მ ე (ბორითი)...

გვაქვს ნარევი წარმოებაც: იმ ზეიდანა მოდიოდა ვინმეი. რო დეყენებია ვ ი ს მ ე ს სახში (ხევი)... თუ ქირას მივცემ ვ ი ს მ ე ს ა, თვარა მე უნდა დევიმუშავო... მოქწერევენ რ ა ს მ ე ს ა (ვერტყვიჭალა)...

კითხვით ნაცვალსახელებზე -ლა -ცა ნაწილაკების დართვისას ქველი სალიტერატურო ქართულის რიგიც გვაქვს და ახალი სალიტერატურო ქართულისაც (ვილაცა, რალაცა). ეს უკანასკნელი მეტწილად ქართლის მოსაზღვრე ზემო იმერეთის სოფლებში შეიმჩნევა.

ჩაწერილი ტექსტების მიხედვით, „ვინცალა“, „რაცალა“ ნაცვალსა-

ხელთაგან პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულა „ვინცა“, „რაცა“ ორჯონიკიძის რაიონის განაპირა სოფლების მეტყველებაში (წიფის, ზვარეს ს. ს.) არ არის. ასეთი ფორმები გვხვდება ორჯონიკიძის რაიონის ცენტრში მდებარე სოფლებში, თუმცა ისე სწრაფად არა, როგორც ქვემოიმერულში.

ვინცა ბერძენს დეესნა.. ვინცა გიგი ყოფილა (ლეღვანი)...
შოუშლის რაცხა ხელს (ზარანი)... დაკალი მოზიერი ან რაცხა
(ნებოძირი)... რაცხა ფრათ გამიჩერდა გული (ქვები)...

რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებულა: ვინცაღა, რა-
ქაღა: რო მოდის რაქაღა, თვალში მეეწონა (ქვები)... რაქაღა
თვალში შეუდგა (ქვები)...

აღიარა ფორმები ორჯონიკიძის რაიონის მეტყველებაში იშვიათად
გვხვდება. უფრო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასი-
მილაციის შედეგად მიღებულ ფორმათა კონტამინაციის ნიადაგზე წარ-
მოღვენილი „ვინცაზა“, რაძაზა“:

ვინცაზა მადლიერი კაცი შეხეთეროდა... ვინცაზამ წვილო
(ლეღვანი)... ვინცაზამ წამართვა (ფარცხნალი)... ეს ვინცაზას
წერს... ვინცაზას ცოდვა ურევია... ვინცაზას ხფო დარჩა კარ-
ნი (ფარცხნალი)... ვალი, შენც ქე იცი, რაძაზა არი... რაძაზა ანა-
თეფს... რაძაზას ჭამენ... რაძაზას მოგიხერხეფს... რომელ-
ქაჩა მეფე იყო..

ინჰარება „რამღენიკე“-ს მნიშვნელობით „რამოღენი“-ც, ე. ი. უნა-
წილაკოდ.

ხალხი სწავლობს რამოდენი... აქ რამოდენი კოლმეურ-
ნეებია, მოუწადინებელია... რამოდენი ადამიანია, მუშაობა ეზარე-
ბა, ტალახში შევითხაპებო (ხევი)...

თვითონ ნაცვალსახელი გვხვდება ვარიანტებით: „თითვან“ და
„თითონ“, გამოიყენება აგრეთვე „თავათ“.

თითვან რა შოუძლია (ბორითი)... თითონა მსახურობდა ზეს-
ტაფონში... სიცხეს თავათ იზომავს (ხევი)...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ზოგი მრავლობით რიცხვს ფუ-
ლის გაორჯეებოთაჲ აწარმოებს და კომპინირებულადაც (ფუძის გა-
ორჯეებოთაჲ და მრავლობითის აფიქსის დართვითაც):

ზოგ-ზოგს არ გჯერათ... კიდევ თესენ ზოგ-ზოგი... ზოგ-
ზოგის არ ყოფნიდა... ზოგ-ზოგიერთს არ უნდოდა მუშაობა...
ზოგ-ზოგები თითვან მიყვებიან... ასლა ზოგ-ზოგები 15-ს რე-
კამს ქალს (ხევი)..

სიტყვაწარმოება. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის ფართოდაა

ვაშოყენებული - ა, განსაკუთრებით ჯანაპირა სოფლებში:

ეთერა, მოვდივარ... აქ შოღო, ვასილა.. ვასილა, სიმონა, მოდიო, აქა... გრიგოლა უნდა იყოს აქა (გოლათუბანი)... სადა აქ ფულა ეთერასა (გოლათუბანი)... რაჟდენას აქ დიდი ოჯახი (ქეები)... გადიტანს პლატონას ეზოში (ლეღვანი)... იაგორას ძმამ მოიყვანა დეისში (ზვარე)... სვიმონას მოყამდა გრიგოლას ხარები...

ქართლის მოსახლერე სოფლებში საზოგადო სახელებთანაჲ კინობითობის - ა იხმარება, თუმცა ყოველთვის კინობითობის გამოხატუარ ეკისრება:

ერთი ქვევრა ღენო მაქ... შას უკან კანკალოფს ვერხეაი (ზვარე)... აგერ რობილიკა მოჩანს, იქ უნდა მოვეცვა (გოლათუბანი)... დერგა გაამსო წნილით... ბოთლა არი ეგერ... დააფარე თავი ბოთლასა (მოლითი)... დერძა გატეხოლა (ვერტყვიქალა)...

გვხვდება - ია მაწარმოებელიც: საწყალი დომენტი იყო (ქეები)... დავითიას ყავდა ეს ღორი (ზარანი)... შემხვთა ამროსია წინ (ხევი)...

შეგვხვდა საკუთარ სახელში ე-ც: აგრაფინე ქვია... ტატიანე იყო (ქეები) (ტატიანაი → ტატიანეა → ტატიანე)...

„სოფლურად“ სიტყვის მნიშვნელობით ნახმარია „სოფლერეფ“: ვეწვალებიე სოფლიერეფ (ზვარე)... „ჩემად“ სიტყვის მნიშვნელობით იხმარება „ჩემსეულა“ („ჩემსეულია“): „ჩემსეულა დავეფე თავსა“ (მოლითი)...

-იან სუფიქსის ნაცვლად ქონების აღსანიშნულად -იერ სუფიქსიც გვხვდება: მოხუცებულისამაო თავმარო იგოროს ოჯახშიდაო, თუ ტეინიერი კირაშუფალი ყავს, მისთეინ ღირს მილიარდი (ფარცხნალა)...

-ებ-ურ სუფიქსების დართვითაა ნაწარმოები: ასეთებური, აქეთებური, იქეთებური: ასეთებურია ვვრიბუაი (მოლითი)... კაცი ლაპარაკს მოყვება აქეთებურს, იქეთებურს (ბორითი)... რავა არი საქმეი, აქეთებურია თუ იქეთებური (იქე)...

„რაცნაირი“ გამოყენებულია „როგორიც“ სიტყვის მნიშვნელობით: რაცნაირი ასოც ვაღეყო, იმითან ვაკეთე (მოლითი)...

ოდეს-ს ნაცვლად ოდო-ც შეგვხვდა: ერთი ორიოდო კაცი იყო ქართველი (მოლითი)...

ურ — ა: დილოურა პური მომთსოვა (ხევი)...

ნა — არ: ნაყანვარის გარეთ დაქენა არ ვიციოთ (ბორითი)... ნაყანვარში დავთესოთ პური (ზარანი)...

სა — ო: საქვეყნაქრო ადგილზე ვცხოვრობდით.. 'შავი სერი
საბოროტო მოს ეკუთვნის...

„აქაურის“ მნიშვნელობით ნახმარია „აქაურელი“: -ყვე ნაწილაც
აქაურელები არ ხმარობენ... წარმოშობით აქაურელი აღურ-
სმანაწვილა. სადაურელია? — აქაურელი... სადაურე-
ლი აღვინო? — აქაურელია, უბისელი...

უფრობითი ხარისხის გამოსახატავად გვხვდება უ-ე: კეკელაზე
უხნე არი დედაი (ხევი)... გედეონი ჩემზე უხნეა (ვერტყვიქალა)...
შენ ჩემზე უმაღლე ხარ (ხევი)...

სა — ო: ჩარეჟიან სასასმოს შენ არ დაღემ (ბორით)...

თავისებურადაა ნაწარმოები სიტყვები: „მათიერი“ (ღამის მათი-
რები იმდენი მოდიან (ვერტყვიქალა) და „მიწობა“ (მიწობა-
ზე სამი კაცი ვმუშაოფთ (ზარანი)... გვხვდება „თქვენობას“, „ჩვენო-
ბას“: ესე თქვენობას არ ყოფილა, ჩვენობას იყო (ხევი)...

-გზა სუფიქსის ადგილას -ობა გამოიყენება ჩვეულებრივ: მოკვდა
ბედნერობის დროსა (ვერტყვიქალა)... დავაბოლაოთ ეს საქმე
ჩვენი შვილების ბედნიერობისთვისაო (ზვარე)... გვარიანი
ბიჟია შიხედულობითა (ზვარე)... რო დეიარო ქვეყნიერო-
ბა. ამისთანა კაცი არ იყო (ქვები)... შეაქვს მოთხოვნილობა
(ქვები)... დირებულობა იყო ფულისა (ვახანი)... გამოცთი-
ლობის საფუძველზე არი ნათქვამი (იქვე)... დეიკარქის წესწყო-
ბილობა (ფარცხნალი)... ლურჯი ბილეთი მომივიდა თავისუფ-
ლობის (ბორით)... იცის მისი მოქმედობაი (ზარანი)...

სი — ე: მოიგონე სიმკვტარულე (ქვები)...

-იურ (ივ-ურ) ქალის საკუთარი გვარის აღსანიშნავად არის გამოყე-
ნებული. დაერთვის „ძე“ და „შვილ“ ჩამოცილებულ ფუძეებს:

ნიუთითებენ, რომ ეს არის ქალის (მისი ოჯახის) გვარი (და არა
ქმრისა): თხელიური (=თხელიძე), გოგოლაური (=გოგოლაძე)
ლონლაური (=ლონლაძე), გრიგალაური (=გრიგალაშვილი),
ფერაული (=ფერაძე), არევაული (=არევაძე).

აეთი წარმოება იხმარება, ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტების მიხედ-
ვით. ყველგან, მხოლოდ ლელვანში არ შეგვხვდრია.

✓ ზ მ ნ ა

პირველა პირის სუბიექტის ნიშანი ვ- უ ხმოვნის წინ დაკარგულია
ძველი ქართულისა და სხვა კილოების მსგავსად:

მე კადე უპასუხე იმას... მე უთხარი, შენ ნურაფერს ნუ

უ ყ უ რ ე ფ... კორდს უ ძ ა ხ ი თ ჩვენე ყამირ მიწას... იმ ქალს მე ძიელ უ ყ ვ ა რ დ ი...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი „აქვს“, „მიმაქვს, „მომაქვს“, „არის“ ზმნებში ჩვეულებრივ დაკარგულია, როგორც თითქმის ყველა კილო-თქმაში და ცოცხალ საუბარში:

კბილები სულ აღარ მაქ... მე მა მა მაქ ეგეცაო... გა მო მა ქ ე ს მატერია... და აქ გასაყიდათა... უფულობაი გლახა არი...

სოფელ წაქვაში (ხევის ს. ს.) ერთი მთქმელი, რომელიც ახალგაზრდობისას ბორჯომისა და ხაშურის ხაზზე ხშირად მუშაობდა, ხმარობდა ასეთ ფორმებს: სიმიდი აქ მაქე... ლენო აქ მაქე... ოტკა მაქე აქა...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს -თ სუფიქსის წინ ზოგჯერ შენახულია: ფულს გაჩუქეფსთ და ტანსა და ფეხს გაჩუქეფსთ...

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების ხმარების გარკვეული წესი არ არსებობს, ამიტომ პრეფიქსს ზოგჯერ იქ ვხვდებით, სადაც საქირო არ არის, მაგრამ იქ არ ჩანს, სადაც უნდა იყოს; მაგალითად, ჩვეულებრივ იხმარება „მიცა“, „მოტაცა“, ერთი მხრივ, ხოლო „ესცა“, „ჯვარი ესწერა“, „ჯვარი დეისწერა“, „დევისწერე“, „დასწეულია“, მეორე მხრივ (სადაც პრეფიქსი გაქვევებული სახითაა წარმოდგენილი), და ეს ასეა ორჯონიკიძის რაიონის ყველა სოფელში.

3- პრეფიქსი ხ-ს იძლევა მეზობლობაში ყ-ართან, ეს უკანასკნელი კი იკარგება, როგორც ამას გურულში აქვს ადგილი¹.

მამა ხ ა ვ და ლღელი... მამა ხ ა მ ს... მამიციღე ზურგზედაო. რო მი ხ ა მ ს, რა ჩატე ყოფილბარო...

პრეფიქსის ამგვარი გამოყენება ვახანში იქნა შენიშნული², ერთხელ გავიგონეთ ლეღვანშიც: უმალ მაგას საქონელი ხ ა ვ და...

-ან სუფიქსის ადგილას -ენ გვხვდება სპორადულად: კ ო ც ნ ი ე ნ ერთმანეთსა... ა რ ი ე ნ მოხუცებულები... თ ო ნ ნ ი ე ნ ყანასა...

-ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ გვხვდება: გუშინ წ ე ი კ ი თ-ხ ა მ დ ე ნ... და მ ა რ ხ ა მ დ ე ნ... გ ე დ ე ე ხ ვ ი ე ნ ერთმანეთსა. ი ყ ვ ე ნ ტკბილათ...

წყვეტილში გარდამავალ ზმნათა მესამე პირის მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ -ეს იხმარება, -ენ სუფიქსი იწვიათია.

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. VI, 1938. გვ. 131.

² ვ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 73.

თემის ნიშანთა ხმარებისას ყურადღებას იქცევს -ავ სუფიქსიან ზნნათა თავისებურება:

აწმყო-მყოფადში მხოლოდობითი რიცხვის საშივე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში, მესამე პირში, იშვიათად, სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსის ადგილას -ამ სუფიქსიც გამოაქვება, რის გამოც ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი პარალელური წარმოება შეიმჩნევა:

ბევრი რამ შ ი ნ ა ხ ა ვ ს... ბაჟი მ ყ ა ვ ს კაი... ყურძენს ე წ ა მ -
ლ ა ვ თ... რო გახაფხულდება. ე ა ვ ს ს ლ ა ვ თ, დ ა ე ბ ა რ ა ვ თ,
მ ო ვ ს ა რ ა ვ თ...

მეორე მხრივ გვაქვს: არ მ ო ვ კ ლ ა მ, ერთ ქათამს დ ა გ ი კ ლ ა მ...
ნუ დ ა მ ი წ ვ ა მ... კიდევაც დ ა ხ ნ ა მ ს დ ა დ ა თ ე ს ა მ ს... სამი
შვალა მ ყ ა მ ს... კურკას გამოჟაცლით დ ა მ ო ვ ხ ა რ ჩ ა მ თ... თქვენ
ვ ერ დ ა ხ ნ ა მ თ...

-ამ სუფიქსი მარტივფუძიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც
გვხვდება: ყ ე ფ ა მ ს ძაღლი... ხვალა სიმიწდს ვ ტ ე ხ ა მ თ... წ ე რ ა მ ს
კ დ ე ვ ა ც... მ ო კ რ ე ფ ა მ ს დ ა შ ი ა ქ... თავს ველარ ვ ი ჳ ე რ ა მ... ყვე-
ლა იწას გ ლ ე ჯ ა მ ს...

საწინააღმდეგო ვითარებაც შეინიშნება: -ამ სუფიქსის ნაცვლად -ავ
ა რ ის ნ ა ხ მ ა რ ი:

ვ ლ ა ხ ა საქმე მოხთა, მარა რას ი ზ ა ვ ს ა დამიანი... ამის შერე ხორცი
არ შე მ ი ბ ა ვ ს... დ ე ი დ გ ა ვ ს ბოთლსა... ეთერა კათ ი ც ვ ა ვ ს...
ღვინოს ჩ ა ვ ა ს ხ ა ვ თ ქურში...

-ავ სუფიქსის ადგილას -ან სუფიქსიც შეგვხვდა გოლათუბნელი
მთქმელის მეტყველებაში: იმას მოსახლე კაი ყ ა ნ ს... ქმარი ყ ა ნ დ ა,
ღაიცი შოუჯდა (სურამის მეტყველების გავლენა ჩანს ამ შემთხვევაში).

-ევ სუფიქსიანი ზმნების აწმყო-მყოფადშიც -ემ იხმარება: ძმარს
მ ა ს მ ე მ ს... ქირას ვ ა ძ ლ ე მ... ვინც მეტს დ ა ლ ე მ ს, ლორის თავი
იწას ეუთნებო... წ ე მ ს დ ა ძინამს... უკან შ ო დ ე მ ა ჯოხით... ღამე-
საც ვ ა თ ე მ თ... გ ა გ ი რ ჩ ე მ თ ქყინტ სიმიდსა... ვენახს ა ვ ა ხ-
ვ ე მ თ...

-ოვ სუფიქსის მონაცვლედაც -ომ გამოდის: თ ო მ ს დ ა წვიმაც
ა ო ი... არ მ ა ხ ს ო მ ს ესი...

-ებ სუფიქსიანი ზმნებშიც ზოგჯერ -ემ გვხვდება: ეს დედალი
კვერცხს არ დ ე მ ს...

თემის ნიშანთა ასეთი ცვლილებები, რა თქმა უნდა, თავს იჩენს
აწმყოსაგან ნაწარმოებ უწყვეტელსა და უწყვეტლისაგან ნაწარმოებ
პირველ კავშირებითშიც.

აწმყო-მყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -ავ სუფიქსიან ზმნათა სმარებისას პარალელურ ფორმათა სიუხვე გვაქვს:

-ავ სუფიქსის ადგილას უპირატესად -ევ იხმარება წიფის, ზვარეს, მოლითის, ვახანის, ხევის, ხუნევის (ვერტყევიჭალა) სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლებში:

ქალები ზოგჯერ კი ხ ნ ე ვ ე ნ... ეგენი და მ ტ ა ნ ჯ ე ვ ე ნ... არ მ ზ ო გ ე ვ ე ნ... რო წ ე ი კ ი თ ხ ე ვ ე ნ, იციანებენ... ახლადე გამამ-გუ დე ვ ე ნ... მაგასაც და ლ უ პ ე ვ ე ნ... მატყლს ჩ ე ჩ ე ვ ე ნ, და-არ თ ე ვ ე ნ. ტარზე და ც ე რ ე ვ ე ნ (ხევი)... კაკალს ბ ო ჭ ე ვ ე ნ... ფ ქ ე ვ ე ნ ქალებიც, აპა!.. გაჩერდი, გა გ ლ ა ხ ე ვ ე ნ... გაზაფხულ-ზე თ ო ხ ნ ე ვ ე ნ (ხევი)... ი ნ ა ხ ე ვ ე ნ ნაკელს... ხ ე დ ე ვ ე ნ ყველა-ფერსა... ხეფს ჩ ე ხ ე ვ ე ნ... ფულს ხ ა რ ჯ ე ვ ე ნ... ქალები რ ე ც -ხ ე ვ ე ნ... კ ე რ ე ვ ე ნ, დასაკერი თუ ექნათ... შე უ კ ო ნ ე ვ ე ნ ხარს ფეხს... გ ა მ ა რ გ ლ ე ვ ე ნ ყანას (ვერტყევიჭალა)...

-ევ გვხვდება -ამ სუფიქსიან ზმნებშიც: ზვინს და დ გ ე ვ ე ნ... ერ-თათ და ა ს ხ ე ვ ე ნ იმ ღვინოს... ორივეს მ ი ა მ ბ ე ვ ე ნ ერთმანეთ-ზე... ქალები და ა ბ ე ვ ე ნ ძროხას ბაწრით... იმას კისერში ის ვ ე-ვ ე ნ... ღვინოს ვერ ს ე ვ ე ვ ე ნ...

ჩანს, ამ სუფიქსითა ერთგვარი უნიფიკაცია მოხდა და გაბატონდა -ევ სუფიქსი: ცხადია, ეს უნიფიკაცია სრული არ არის, რადგან სხვა-გვარი წარმოებაც გვხვდება. -ავ, -ამ სუფიქსები. ძველი ქართულისა და ქართული ენის მთის კილოების მსგავსად, შეკუმშულიც იხმარება:

გ ა ტ ე ხ ე ვ ე ნ კაკალსა, ა ა ს ხ მ ე ნ ძაფზე... კაკალს ბ ე რ ტ ყ-ვ ე ნ... ა ნ მ ო კ ე ლ ე ნ, ან არა... ულაშს ი პ ა რ ც ვ ე ნ... ერთი თესანს და სხვები ხ ე ნ ე ნ... ბ ა რ ე ნ ქალები, აპა!.. სიმიდს თ ე ს ვ ე ნ ყველგანა... სახფოეში ხფოს შე ს ხ მ ე ნ... ამოთხრიან მიწას, ჩ ა ა ს-ხ მ ე ნ წყალს... უმისოთ ფეხსაც არ გადაადგმენ...

მრავლობითი რიცხვის მესამე პირში აწმყო-მყოფადში -ავ -ამ სუ-ფიქსებიც გვხვდება: გულში ჩ ა გ ი კ რ ა ვ ე ნ... და ხ ნ ა ვ ე ნ კავით... ქალები ვერ თ ე ს ა ვ ე ნ, ბ ა რ ა ვ ე ნ კი...

მაგრამ:

სიმიდს თ ე ს ა მ ე ნ... კ ლ ა მ ე ნ წყერეთს.. ჩვენც ა მ ო ქ ე წ ყ ვ ი-ტ ა მ ე ნ...

ასევე: ჯას დ გ ა ვ ე ნ... ყურძენს და ა ს ხ ა ვ ე ნ წყალს...

მაგრამ: ზვინს დ გ ა მ ე ნ... ხარფეს ა ბ ა მ ე ნ...

იშვითად აწმყოში -ავ სუფიქსი არ მოიპოვება: სიმიდს როცა ა ჩ ე ხ ე ნ, და თ ე ს ე ნ პურსა... ხეს ხ ე რ ხ ე ნ... აქაურულათ ასე ვიტყვი: ნოქარი გა ზ ო მ ს ჩითს... შენე ახლა ზ ო მ (ფარცხნალი)...

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვებში თავისებურებით ხა-

სიათღება -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები: მათთვის -ევ-ღ, ეშ-ღ ტიპის წარმოება დამახასიათებელი. მაგრამ უფრო მოხშირებულად -ემ-ღ ტიპის წარმოება გვხვდება:

ჩემ ძმისწულ ნათლევ და... რომოვეკლევ დიოთ კურღლელს, გავყოფდიო... ქალები უშალაც ფქვევ დენ...

ქირას ვაძლემ დი და ვხნემ დი... ჩემ თავს ვერ ვხედემ დი... აქედან უზიდემ დი საკმელსა... აქამდი იასონა ზიდემ და შეშასა... აქამდი ხან იმას ვყიდემ დი, ხან იმას... ხალხს პარცემ და პირს... იქარეცხემ დენ ქალები... ქეც ბარემ დენ, ქეც თესემ დენ...

უწყვეტლას ამგვარი წარმოების გამო -ავ სუფიქსიანი ზმნები გარჩეული არ არის -ამ სუფიქსიანებისაგან:

ვასაბმელს გავვაბემ დი... ჯას მარტო ვამაჩემი დგემ და... ასხემ და წყალს... ჩვენ ჰკუთხე ვსვემ დიოთ... დიდი კერია იცოდენ, დაადგემ დენ ასე...

-ავ სუფიქსიანი უწყვეტლოს ადგილას გვხვდება -ამ სუფიქსიანი უწყვეტელიც. რომლისთვისაც ამოსავალი -ამ სუფიქსიანი აწმყოა:

მეც ქევთესამ დი... კუთხურ ენას წერამ და... იჭდა და კერამ და... ქალები ომის დროს ხნამ დენ... ამას რაღას უსაჯამ დენ... ვასიკო სიმიდს ყი დამ და...

ზოგჯერ -ავ სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში უსუფიქსოდაც იხნარება: ლერწს მოვბოქ დი... მაღაროს დაკეტ და... ლობიოს მოვხარშთი... გაქაღარ და მას უკანი... დახარჯ და იმას... რაც მოქრჩებოდა, მოხვეტდი... წაბლს მოვბერტყ დი... იქ იონჯა ბალახს არ ვთეს დიოთ... ამდენ ხანს ერთი კილო მატყლს და ვჩეჩთი... თუ დეინახთი, გაგიჩერდებოდა... ის ინახთა აღბათ... ქსოვა რო გათავდებოდა, გარეცხთენ... იქა თივეფს თიბ დენ... კაკალს რეკ დენ... ჩეხთენ... ჯოხი ეკავათ ხელში, იმიოთი ზომ დენ ჩითს...

უწყვეტელში სუფიქსი არ გვაქვს იმიტომ, რომ ის არც აწმყოში უნდა გვქონოდა. უსუფიქსო უწყვეტლისათვის დასაყრდენი უნდა ყოფილიყო უსუფიქსო აწმყო.

აწმყოში სუფიქსი სხვა შემთხვევაშიც რომ არ უნდა გვქონდეს, ამას ადასტურებს ზოგიერთი მიპლეობის წარმოება:

დღეს გამომახილია... აქ იყო დატოვილი... რჩევა არ აქო დაწყილი... სინათლე იყო ანთილი... მიდღემჩი ასეა დაწყილ-დაბადებიდან... დაწყიდან სულ ჯაფაშა... წინათ რო დაწყილიყო, უფრო იარსებებდა...

-ებ სუფიქსი არ გვხვდება სხვა შემთხვევაშიაც:

ორჯელ რო მორწყოდა, კმაროდა... გვალვა იყო მითანაი, ჯერ არ შევსწრივარ... (ხევი)... მე ხ'ვარ დავეტოვ... დატოვდა... დეიძახთენ...

პირველი გაგონა არი ესი (წიფა, ვერტყვიქალა)...

სხვა თემის ნიშნების ხმარებისასაც ვხვდებით თავისებურებებს: მაგალითად, ი-ს ადგილას -ოხ სუფიქსია გამოყენებული: არ შეგფეროფს...

ი-ს ნაცვლად -ებ თემის ნიშანიც იხმარება: რაც ეკუთნება, მიცემ... და პირიქით: გვაძალის ამ გოქების ყიდვას... ერთმანეთს აბრალიან... ათას რამეს უგონიან...

-ებ სუფიქსის ადგილას -ოხ არის: ამისთანა თავრობას კაცი ვერ მოესწრობა (წიფა)...

-ებ სუფიქსის ადგილას -ამ შეგვხდა წაქეაში მხოლოდ ერთი პირის მეტყველებაში:

ის აკეთამს ყველაფერს... დოუძახამ ბლარსა... აჰა, აშენამს, ხო!.. ხან აქვილაპარაკამ, ხან იქ... ჯერ დროს უყურამ მე... ღვინო საქმელს ანახემრამს...

ი-ს ცვლის -ამ: რამდენჯელ მე მისთვის წყალი მიმიტანია, იმას ვინ დათვალამს...

ქართლის მოსახლდრე სოფლების მეტყველებაში ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველსა და მეორე პირში იხმარება ევ-ი, რომელაც ჩვეულებრივ ე-ი-ს სახით არის წარმოდგენილი და დიალექტთა შერევის მორფოლოგიური ნიმუშია:

ვლიჯნევი და გადავაგდე ნაღჯენი... მამკლა, გაატანევიო... ეგე მე მკითხევი შენა, ახლა გაჰოდი და თოხნევიო...

მაგრამ: ბილეთი ავიღეი... რატო მალაპარაკეი... ძროხასა ვერ უპატრონეი... ვიჩხუბეი... წიგნი წევიკითხეი... როგორც აკეთეი, ისე გააკეთეიო... მოვიყვანეი ნაშეილები... არ მინდა, გენა, ხათრით ვერ გაკადრეი... ყველამ დამიბრიყვეიო... ნახევარმა სოფელმა ვიყიდეიო... იმუშაკეიო...

ლედვანში, ფარცხნალში, ზარანში ასეთი წარმოება სრულიად არ გვხვდება. ვერტყვიქალასა და ბორითშიც არ იხმარება ჩვეულებრივი. იშვიათად თუ გავიგონებთ, მაშინაც მთქმელს ქართლთან ექნება მჭიდრო კავშირი.

კავშირებით პირველში, მეორეში, ზოგჯერ კავშირებით მესამეშიც, ანალოგიის საფუძველზე, მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად -ო გვხვდება:

კავშირებით I: გულიანათ რო ეკიდებოდონ, ასე კ'არ ჩაოხრებოდა საქმე... არ გვზვერემდონ და პლანს არ იღებ-

ღონ... ხონურს არ აკეთებდონ... ასე რა იპრიანობდონ. იმ ვადასახურავს მანც მომასმარდონ... ესენი რა შვილათ გადაანექცეოდონ, რაკაია... არ იცის ჳერეთი, აპა, იცოდონ!

კავშირებითი II: სიმიდზე არ მივიდოს საქონელი... შეიძლება ისე მოგიხთოს, რომ პასუხისგებაში მიქცონ... ფული მჭირდება, მამცონ... ოლონდ მამცილდონ, წევიდონ და მეცი რა მინდა... ფულს ყრის გზაზე, რომ გამთმიდგონ, მიხვთონ, ამ ვზით მიდისო... ნატრობენ, ეგება სულ გაწყდონო...

კავშირებითი III: გლახათ რათ უნდა მომკიდებიოდონ...

-ავ და -ამ სუფიქსიან ჳმნათა თურმეობით პირველში -ია დაბოლოებაც გვხვდება: არ დაგინახია... არაფერი მომიპარია... არაფერი არ მითქვია... გოუშართია ურემი...

გვაქვს -ნია დაბოლოება და უფრო ხშირადაც: რაფერ დოურეშნია... რა გადაგიკიდნია ხარზედა... მაგასა უძახნია იქა... ქალები დაგიტოვნია... ძროხა გოუყიდნია... გაჯავრნია ბატონი... ბევრი უწვალნია... უსტაცნია ხელი... არ წოუვითხნია... ველარ გაგებდნია... პალტო დოუტოვნია...

„მითქვამს“ ჳმნის მნიშვნელობით ზოგჯერ ნახმარია „მითხრობია“ (ქვები).

თურმეობითი მეორეც და კავშირებითი მესამეც ნარიანი გვხვდება: ნეტა მეყიდნა... მე უნდა დამეთესნა... რომ დეეტოვნათ, შვიდი წლისა ყოფილიყო... უნდა ეტანჯნა... ეყვირნა ყარაულსა... უნდა დეთვალნა... დეეხარჯნათ იგი... მეეკიდნა ხელი... უნდა მეეტაცნა... ექვსჯელ გეელახნა... უნდა გეეგუდნა... რამდენი ბლარი დეგეძახნოს...

თურმეობით მეორეში მოსალოდნელი -ოდ სუფიქსის ადგილას ნამყოს მეშველი ჳმნაა გამოყენებული: იმითანა ვიყავი, როგორც წითელი სისხლი, ვარგიყავი... ქალის სასამართლოში შესვლა გამიგონიყო?... დიდ ქვაბში არ კმარიყო... შეიძლებიყო, რომ გემარჯვნა...

კუზატივის -ინ და -ევიან ქართლის მოსაზღვრე სოფლებში ზოგჯერ უცვლელად იხმარება, ზოგჯერ გამართივებულია ნელემენტის ჩამოცილებით, როგორც ეს იმერულისათვისაა ნიშანდობლივი: მომავანისი ქალი... გადავახთევიეთ ფული... დავალევიეთ წყალი... წყალს არავის მოვატანიეთ... გავაკეთებთ ფ რკინის ლომეფს...

ზოგჯერ -ევიან სუფიქსის ვ არ იხმარება, როგორც ეს ქართლური-

სათვის არის დამახასიათებელი: მასპინძელი დოუსხამს და დაღალეინფეს ლეინოსა... ლეინო დაღალეინე... ლოგინი გავაშლეინე... ჩალა მოაკრეინა... ლალას ახთეინებდენ...

ასეთი ფორმები მეტწილად გოლათუბანში შეგვხვდა.

ზმნისწინები. და- ზმნისწინი მოქმედების ინტენსიობის გამოსახატავადაც გამოიყენება: მე დაღვარდე ი გოგოები... ეს სამი ბავშვი მე დაღვარდე...

მო- ზმნისწინი ჩვეულებრივ მა-ს იძლევა, თუ მას მ თანხმოვანი მოსდევს: მამპარა ვილაცამ... გამამკითხე... მამაგონდება... რამამაყოლეფს... მამავეალი ხართ... მამკივანე ვიყავი... აღარ მაქ ძარღვის მამძრაობაი... მამხდენი ძველი ლეინო უფროა...

შე- ზმნისწინი, თუ შემო- ზმნისწინის კომპონენტია, შა-ს იძლევა: შამოუარე იმ სერსა... კაცი შამოვიდა... არ შამოიქრებოდა იქა...

თავისებური ზმნები. მეტათეზისისა და დისიმილაციის მოქმედებით შეიძლება აიხსნას „მყავრან“ და „გაერან“ ფორმები: დაკარქულები რო მყავრან, უმაღლესი განათლებით არიან... ისინი იქით ხალხს გაერან...

დისიმილაციით ხსნიან „დგარან“, „წევრან“ ფორმებსაც: ზეზე არ დგარან... ბლარები წვერან...

სვრის—სვრიდა—გვსროლეს: რო სვრიდა, ში შუბლში კრატყვია...

მბრალოფს (= მბრალეფს): მბრალოფს ისი, აპა!... მოქმედებითი გვარის ზმნას საშუალი გვარი ენაცვლება.

ვშოოფ (= ვშოულობ): თავი ალოზე ხარს ვერ ვშოოფ...

მაკულოფს (= მაკდება): მაკულოფს ისი (ვახანი)... ვნებითი გვარის ზმნას ენაცვლება საშუალი.

გაძვერდი (= გაძვერი): რო გაძვერდი შენე, სა იყავი... მე შამოვძვერდი მერე (ზვარე)... ვნებითის ტიპების ცვლაა, მესამე ტიპი მეორეშია გადასული.

„ხტება“ ზმნა იყენებს -დ-სა და -ენ სუფიქსებს ვნებითობისათვის: წამოვხტენდი... გადავხტენდი...

„იზამენ“ ზმნის მნიშვნელობით გამოიყენებულა: „იქმონენ“: ის კაცები მეტს იქმონენ...

ძიებდე (= ეძიებდე): რასაც ძიებდე, პოებდე (ზვარე)...

მიმღობითი წარმოებისაა ზმნები: ვერ ხმარულოფს... ქალო არაფელს მეტულოფს... ველარაფერს ტანულოფს (ზარანი)... სწავლულოფს... სმენილოფს...

ე-ნიანი ვნებითის ჯგუფშია გადასული ზმნა „შეგვეშვენება“: ჩვენ არ შეგვეშვენებოდა ვეჭალი...

ა- პრეფიქსის გარეშეა ნახმარი „აქმევს“ ზმნა: საქონელს ქმევენ და მოვლიან (ბორითი)...

„მოტანა“ და „მოყვანა“ ზმნა I-სა და II პირში უთემისნიშნოდ იხმარება, მესამეში თემის ნიშნითაც გვხვდება და უთემისნიშნოდაც: მეიტახებდენ ჩალას და დაზვინამდენ... სიმიდს მეიტანდენ გასარჩევათ, აჰა! (ზარანი)... ორი ბიჭი მყავს და იმასაც წეიყვანებენ... წეიყვანენ აჰა, რას იზჷენ (ვერტყვიჷალა)...

უწყ-ეუტელში საერ-ცობად გამოყენებულია -ოდ: არაფერი არ გააჩნოდათ (ხევი)...

თითქმის ყველგან იხმარება ასეთი ფორმები: აქეთ მეენავლება გიორგა... მიენავლება ჩვენს სტუმარი... მეენავლებოდა აქეთ ან ძირულაში მიენავლებოდა... სკოლაში მიენავლებულიყვენ... ისინი დანავლებულან ერთათ... წისკვილზე კაცი მიენავლებულა...

„წვალობა“ ზმნა ნახმარია ზმნისწინით: დაწვალოფს...

იმერული „დამაჯენს“ „დამაჯდენს“ ფორმითაც გვხვდება.

აღწერითი ვნებითი დ-ონიანით არის შეცვლილი: განასწავლდა ხალხი (ხევი).

დ-ონიანი ვნებითის ფორმა „შეთანხმდა“ ე-ნიანით იცვლება: შეეთანახჷა.

სიტყვიდან „სიახლოვე“ მიღებულია ზმნა „დამისიახლოვდა“ (ვახანი).

თავისებურადაა ნაწარმოები ნაზმნარი სახელებიც:

გაჯავრდნა: გაჯავრდნა არ იცის თავის ცოლისა (წაქვა) ... ჩვეულებრივ „გაჯავრება“ იხმარება.

ტკივილობა: აწუხებს ტკივილობა (ნაწარმოებია საწყისიდან -ტკივილი“ -ობა სუფიქსის დართვით).

შერთობა: იხუა ცოლათ შერთობა...

დასწავლება: არ ვიცი დასწავლებაი...

შამოსხედილი: შამოსხედილი არიან გარშამო... ჩამოსხედილი ბართ...

მონაყიდე: ორი კვამლი იყო მონაყიდე...

თესებული: ვახანში არ გვაქ მიწა, რო არ თესებულყო...

დასაძახილებელი: დასაძახილებელათ წვევიდა (ფარცხნალი, ზარანი, ჩდილი)...

ფორმაუცვლელი სიტყვები. პირველადი ადგილის ზმნიხედებოდან ფართოდაა გამოყენებული აჷა და ამის ანალოგიით იჷა, აჷდა იჷ ზმნიხედების გვერდით:

აქა ითესება ქერი... მკლემდა აქა... გული მტკივა, ღამე უნდა გაათიონ იქა... არ ვყოფილვარ მე იქა...

ეს ზანიზედები -ნა ნაწილაკდართულიც გვხვდება ორჯონიკიძის რაიონის ცენტრში მდებარე სოფლებში (იქაც ჰეგემოიმერულთან შედარებით მეტად იშვიათად გამოიყენება), ქართლის მოსაზღვრე სოფლებში კი მისი ხმარების თითო-ოროლა შემთხვევას თუ შეეხვდებით. მაგალითად, წიფაში მას ხმარობდა ერთ-ერთი შთქმელი, რომლის წინაპრები ძირულის მხრიდან (სოფ. დიდი განთიადი) იყვნენ გაღმოსული.

ბანცაძეები ახლა აქანა ვართ 56 კომლი (წიფა)... ეს მეგვირფათ აქანა (ღეისი)... ადამიანმა რო გეიწიოს საღმე იქანა, ყურძენს ვერ მიაწოდებ (ლელვანი)...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით სპორადულად ნახმარია ექ: კოხორი ექ არი (ზარანი)...

გვხვდება ამ სახითაც ეს ზმნიზედები: აქის წყალი არ აგვილია (ქევი)... აქისანა მამულები ძირულის ზეით არ იყო (ვახანი)...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ნაირნაირი ვარიანტები ქართლის მოსაზღვრე სოფლებში უპირატესად — „მად“||: „მად“...

ხშირათ არი მადა... ეთერა არ არი მადა... მადარი...

ლელვანსა და მის მომდევნო სოფლებში ასევე იხმარება „მადანა“ „მანანა“: მადანა არი კართან... გაჩერდი მადანა...

ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა სოფლის მეტყველებაში დასტურდება „მადერ“ ზმნიზედის ხმარება: მადერ არი და მიეცი... მადერი კილია ხელკალათი...

„მანდედან“ ზმნიზედის მნიშვნელობით ნახმარია „მაიდან“: მაიდან უნდა დეიწყოს (გოლათუბანი)... მაიდან წაგიყვანეს (ქევი)...

კითხვაზე „სად“ პასუხობს ზმნიზედები: „ზეიდან“. „იქიდან“ და მისთანანი:

ზეიდანა რო ქალია, იმას ალაპარაკე... სკოლას იქედან იპონეს... ფონს ზეიდანა საქართველოა... საბჭოს ზემოდან მაქ... ამ წიფელას იქიდან გაწვიპულან ურწმუნოები... მეზობელი იყო, ქარხნის ქვეიდან ცხოვროფს... ერთხელ სხლითში ვიყავი, ლელვანს იქიდან, მოვკალი და გადავაგდე... მაგრამ: დიდი ვენახებია ამ გზის ზეით (ვერტყვიქალა)...

კავშირი „მაგრამ“ იხმარება „მარამა“, „მარამ“, „მარა“-ს სახით.

ლულუ ავთ იყო, მარამა ჩვენთან იჭდა... მე არ დამამიწყტება, მარამ მისთანა არ მოხდება, რო არსა მომხთარეიოს (ხევი)... გაასაჩიერა, მარამე იმას არ დავტოვდი...

გოლათუბანში გავიგონეთ აგრეთვე მარემ: უმნო კარ იყო, მარემ საინტერესო არ იყო...

თუ არა—თვარა: თუ გოუგზანი ჩემ ცოლ-შვილს. თვარა მოგასპაროს ღმერთმა-მეთქი...

თორემ—თვარამ (თუ-არა-მა): ის ლოგინქვეშ შეეგლო დედასა, თვარამა მოკლამდა... წვეიღონ ესენი, თვარამ იბიჭი გაჯაერდება...

რომ—რო: ხარს რო აბამენ უღელშიდა, იმას ვერ ნახამ შედარებულათ რო იყოს...

რომ — რომე: უმფროს უთხრა, რომეო აქ მამიციადეთაო...

სანამ || სანემ || სანობამდი || რამდი: მანემდი წავალ, სანემ შენ მოხვიდოდე... სანობამდი მან არ ეილო ხელმძღვანელობა, წინ არ წავსულვართ... სანობამდი კერძოდან მოვიტანდეთ, მანობამდი მოლითიდან მოვიტანთ...

რამდი რევოლუცია არ მოხბთა, მანამდი დაერჩი იქა... რამდი არ დამთავრდა ომი, თათრის ფრონტზე ვიყაი...

„რაკის“ მნიშვნელობით გვხვდება „რალი“, „რაი“: რალი მე ვთქვი, ხალხმაც იზუელა... რაი ფეხი მევიტეხე, ფეხიშველი არ დამიღამს მიწაზე...

ნაწილაკები. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში (წიფა, გოლათუბანი, ზვარე, ჩილილი, ხევი, გრიგალათი, წაქვა) მოხშირებულად იხმარება გაოცება-დადასტურების აბა ნაწილაკის გვერდით მა, მა აბა, მამა. გვხვდება ღე ნაწილაკდართული აბა-ც—აპალე.

რალას იქმოდა, აპა... უნდა დევიჭირო, აპა... კიდე მუშაოფ? მა!.. დატოვილი აქ, მა!.. აღარ მაქ გონებაი, მა!.. არ იყვენ, მა!.. ჩვენთან არიან. მა!.. კენჭი რო ამოვიღე, მერე ვითხოვე, მა აპა!.. შენი ცოლი სულ შენზე ტიროდა, მა აპა!.. ვილაცასთან ეთხოვათ, მა აპა!.. მოკვდომოდა ფეხადგმული ბიჭი, მა აპა!.. ხალხი უკანვე დაბრუნდა სასაფლაოდან, მა აპა!.. ძალიან წავედით წინ, მა აპა!.. პენცია უნდა მიცონ, აპალე!.. 160 კონა ჩალა ავკონე, აპალე!.. რა გამაჩერებდა. აპალე!.. წადი წვიმაში, აპალე!..

ქართლური მა და ქართლურ-იმერული მა-სა ოა აზ-ს შიირობით მიღებული „მამა“ ისევე, როგორც „აბალე“, ქვებში მეტად იშვიათად თუ შეგვხვდება, ლელვანსა და მის ქვევით მდებარე სოფლებში კი სრულიად არ იხმარება.

გამოყენებულია გაკვირვების შორისდებულის იმე, განსაკუთრებით ლელვანსა და მის მომდევნო სოფლებში: აბა არ ვეუმბები? იმე!.. შექხვებთა იმისანა დრო, რო უიმე!..

ქართლის მოსაზღვრე სოფლებში გვხვდება შორისდებული პოდე

|| ჰო დე და, ხო დე || ხო დე და, რომელიც წინა ნათქვამის დასა-
დასტურებლად იხმარება: ჰო დე და, ამას რო გეიკეთეფ, მაღლა წახ-
ვალ... ხო დე და. იქ ზვინს უძახით... ჰო დე, ანლა სულ ჩამოგვარ-
თვეს... ხო დე, აგერ ერთი კაცი გამოვა...

კინაღამ ნაწილაკის მნიშვნელობით ნახმარია ღარმე: მოკე-
დი-ღარმე... მოკედა-ღარმე...

ნაწილაკი ქე ქართლის მოსაზღვრე სოფლებში იშვიათად თუ შეგვ-
ხვდება (წიფაში ერთხელ გავიგონე, ქვებში ორჯერ), სხვაგან კი ჩვეუ-
ლებრივ იხმარება. ბორითსა და გერტყევიქალაში ქე-ს პარალელურად
ქვეც გვხვდება და ყოველგვარ წინადადებაში გამოიყენება.

სინტაქსური მოვლენები



ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნიშვნელი სიტყვით განსაზღვრული
სახელი მრავლობით რიცხვშიც გვხვდება:

იყო სამი ძმები... ორივე ძმები დღეში ვლებულობდით
13 მანათს... ხუთი ძმები მამადა... ყამდა რამდენიმე შვი-
ლები... ბევრი აფხანაკები ყაჟდა...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმებას აზრობრივი
ხასიათიც აქვს:

სამივე მონადირეები იყვენ... სამი ძმაკაცი იყ-
ვენ... ქალის სათხოვრათ წევრიდენ სამივე... ხალხი ეგერაც
არიან... ორი კარეფში ჩადგენ... საღამოზედ მოვიდენ ერთი
ათი კაცი... კათცხოვრობენ ხალხი... ზოგი თავათ იტ-
ყლარქებიან... ხალხი დასვიენბულობი იქნებიან... რო წა-
მოხვიდე, გზაზე დაქხვთებიან ვინმეიო... სამღვდელო-
ება ჩამევიდენ იმათი...

მაგრამ: სტუდენტები იყო დანძრეული...

ზედსართავი სახელით გამოხატული შედგენილი შემასმენლის სა-
ბელადი ნაწილი ეთანხმება ზოგჯერ ქვემდებარეს რიცხვში:

ისინი ჩემთვის ძიელ კაიები არიან... სიმილები არიან
ადებულები... კაცები წასულები არიან...

ქვემდებარე მთხრობით ბრუნვაშიც გვხვდება გარდაუვალ ზმნას-
თან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდის:

მერე წევილა ჩემა ძმამ და გაასაჩივრა... ამბიქმა მივი-
და, ახადათავი და ჩაჭდა შიდა... გადაბრუნდა ბიქმა და ზურ-
გი შეაქცია... გაღავიდა თხამა და აწოვა ძუძუ ბლარსა... ამან
ადგა, შამოვიდა სახში... ეს აქედან მოდის, იმან იქიდან მობ-
რუნდა...

უბრალო დამატებულ ზმნასთან ხშირად იხმარება მისი საწყისის მოქმედებითა ბრუნვის ფორმა:

ხ ე ნ ი თ ა ც ი ზ ე ნ ე ბ ა მ ი წ ა... თ ე ს ვ ი თ თ ე ს ვ ე ნ ა ხ ა ლ გ ა -
ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე... ქ ა ლ ე ბ ჰ ბ ა რ ვ ი თ ვ ე ლ ა რ დ ა პ ა რ ე ს... ს ხ მ ი ო
ქ ე ს ხ მ ი ა... ს მ ი თ ქ ე ს მ ე ნ... გ ა გ ო ნ ე ბ ი თ გ ა მ ი გ ო ნ ი ა...
წ ა ხ თ ე ნ ი თ კ ა რ წ ა ა ხ ო ე ნ ე ნ... წ ა მ ო ლ ე ბ ი თ ე რ თ ფ უ თ ა მ ლ ი
წ ა მ ო ვ ი ლ ე ფ...

პირწინართი დამატებისა და რეალური ქვემდებარის მრავლობითო-
ბის აღსანიშნავად სოფ. ფარცხნალის მეტყველებაში გამოყენებულია
-ყე ნაწილაკი.

-ყე ნაწილაკი ირიბი დამატების მრავლობითობის აღსანიშნავად:
შ ე ვ ე კ ი თ ხ ე ბ ი ყ ე, მ ა მ ც ე მ ე ნ, ა რ მ ა მ ც ე მ ე ნ... მ ე მ ი ნ დ ა პ ე ნ ც ი ა -
თ ქ ვ ა, — უ თ ხ ა რ ი ყ ე... ჩ ა ვ ა ც ვ ი თ, დ ა ვ ა ხ უ რ ე თ, ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ა გ ო უ -
ტ ა ნ ე ყ ე... თ უ მ ა ნ ი ქ ე ლ ო უ მ ა ტ ე ყ ე... ა მ ა თ ვ ე რ ა ფ ე რ ი მ ო უ -
ხ ე რ ხ ე ყ ე... ვ ე ხ უ მ რ ე ბ ო ლ ი ყ ე ი მ ა თ...

-ყე ნაწილაკი პირდაპირი დამატების მრავლობითობის აღსანიშნა-
ვად: მ ე ფ ე მ დ ე ი ყ ე ნ ა ყ ე ო რ ი ვ ე ძ ე ბ ი მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე თ... გ ა ჭ ი რ ე ბ ი თ
ღ ა ვ ზ ა რ დ ე ყ ე შ ე ი ლ ე ბ ი...

-ყე ნაწილაკი ინვერსიულ ზმნებში რეალური ქვემდებარის მრავლო-
ბითობის აღსანიშნავად:

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ე ფ ს გ ო უ კ ე თ ე ბ ი ა ყ ე ნ ა ლ ი ა... ს კ ო ლ ი ს მ ო წ ა ფ ე ე ბ ს
ყ ა ნ ა ო უ ლ ი ა ყ ე...

ზარანში ერთხელ გავიგონეთ -ყე ნაწილაკი, ისიც მთქმელი ხიდრე-
ლი იყო. ხიდარში კი ამ ნაწილაკს მეტად ფართო მოხმარება აქვს (არ
ვარგა-მეთქი, უ თ ხ ა რ ი ყ ე).

-ყე ნაწილაკი გავიგონეთ ვახანშიაც (სადაც იგი არ გამოიყენება),
იმ პირისაგან, რომელიც მკ წლისა იყო, ვახანში დაბადებული და აღზრ-
დილი, მაგრამ დედა ზესტაფონელი ჰყავდა და ამიტომ -ყე ნაწილაკს
ხმარობდა.

ფართოდ არის გამოყენებული ორმაგი უარყოფა:

გ უ ლ მ ო ს უ ლ ო ბ ა ს ვ ე რ ა ფ ე რ ს ვ ე რ ი თ ფ ე ნ ს... ვ ე რ ა ვ ი ნ ვ ე რ
ე ს რ ო ლ ა... ა რ ა ფ ე ლ ი ა რ ა რ ი ქ ა ლ ი ს ს ა ქ მ ე ი ო... ა მ ი ს ხ ნ ი ს ა ღ ლ ა რ ა -
ვ ი ნ ა ღ ლ ა რ მ უ შ ა ო ფ ს... ბ ე ბ ე რ ი ვ ე რ ს ა ვ ე რ მ ი დ ი ს... ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი
ა რ ა ფ ე ლ ი ა რ ვ ი ც ი... ა რ ა ვ ი ნ ა რ გ ა მ ა თ ე ვ ე ნ ა ღ ა მ ე... ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ -
ლ ა თ ა რ ს ა ა რ ვ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ... ა რ ა ვ ი ს ა რ ა ფ ე ლ ი ა რ ა ქ...

თუ სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ თანხმოვანია, მათ შორის
ბმოვანაც გამოვლინდება:

უ თ ზ რ ა, რ ო მ ე ო: შ ე ნ ე ო ის კ ი ნ ჭ რ ა კ ა ა რ ა ხ ა რ ა ო... ვ ა ნ ო, მ ე მ ი ე -

დივარაო და უფრო მეტათაო გოგიაზე ვწყდება გულიო, იმას
უნდა მოხმარებაი, იმას დედა არა ყამსაო...

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედინა ის თავისებურებები, რომლებიც
ზემოიწერული კილოკავისთვისაა დამახასიათებელი ორჯონიკიძის რაი-
ონის ზოგი სოფლის მეტყველების მიხედვით. ირკვევა. რომ იმ განსხვა-
ებათა მიუხედავად, რომლებიც განაპირა და ცენტრალური სოფლების
მეტყველებაში შეიმჩნევა, მორფოლოგიის ხაზით მთელი ზემოიწერუ-
ლისათვის საერთო მოვლენებია: პირთა, ჩვენებით და განუსაზღვრელ
ნაცვალსახელთა ნიშანდობლივობანი, -ავ-იან ზმნათა თავისებური სუ-
ფიქსაცია აწმყო-მყოფადის მრავლობითი რიცხვის III პირში და უწყ-
ვეტელსა და მისგან წარმოქმნილ ნაკვთებში, კავშირებითის ე-ს აღ-
გილას ო-ხ გამოვლენაც, მო- ზმნისწინის ნაცვლად შა-ს ხმარება მომ-
დევნო მ-ს მეზობლობაში.

საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება¹

I ნ ა კ ვ ე თ ი

ეს ნარკვევი ემყარება საჩხერის რაიონის მხოლოდ სამ სოფელში — შომხეთში (კობოულის სასოფლო საბჭო), ბაჯითსა (სარეკის სასოფლო საბჭო) და ქორეთში (ქორეთის სასოფლო საბჭო) შეკრებილ დიალექტოლოგიურ მასალებს. ამდენად, იგი საჩხერის რაიონის მეტყველებების სრულ დახასიათებას ვერ იძლევა. ამგვარი დახასიათება შეუძლებელიც იქნება, სანამ საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება სოფელ-სოფელ მთლიანად არ იქნება შესწავლილი.

განზრახული გვაქვს მომავალ წელს კვლავ განვავარძოთ საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაზე დაკვირვება, ამიტომ ამჯერად დავკმაყოფილებით მხოლოდ სტატიკური ანალიზით: შევიკრებთ, აღვუხსნით და დავაჯგუფოთ ჩვენ მიერ შესწავლილ სოფლებში შემჩნეული ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი.

ბევრითი შედგენილობით ზემოთ დასახელებული სოფლების მეტყველება სალატერატურო ქართულისაგან არ სხვაობს. იშვიათად მხოლოდ სახელების ბოლოკიდური ხმოვნების შემდეგ სახელობითის ი ა -ის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩვეულებრივ კი სრული -ი აღიქმება.

ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკურ პროცესებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასიმილაციას. ასიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანციურიც, რეგრესულიც და პროგრესულიც, სრულიც და ნაწილობრივიც. ასიმილირებული ან რაგვარობის მიხედვით ემსგავსება ასიმილატორს, ან წარმოების ადგილის მიხედვით.

თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია ქარბობს პროგრესულს, ხოლო ხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია გვხვდება უპირატესად.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა ფშვინვიერ¹ ხშულს, აბრუპტივს ანუ ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მკლერი ხშული:

¹ წაითხოვია მოხსენებლ ქუთაისის პედინსტიტუტის მეცნ. მუშაკთა XXI სა-
მეცნიერო სესიასზე 1957 წლის 25 მარტს.

გასუქთა... დაფიქრთა... წიფთებთა. დაავატყოფთა... გაწითლთა, გაყვითლთა... ცთა, ააცთინა, მოხუცთა... გოუჩთა... კპილი, უკპინა, ტკპილი... კტი, გვაკტეს... მოკვტა, სიკვტილი!

დასუსტთა... გაფუჭთა... ვწუჭებთ, დამამიწუჭთა, მოაწუჭთა, ქწუჭებთა, გამიტუჭთა, გატუჭთა, საყუჭარი, დამამიწუჭთა... დასახთა, წახთა, წაახთინა, გედვიხთი, ხთალი (კორბოულში დაკარგულია ამ სიტყვაში თავიიდური მ)... დახვთა, შემომხვთერია...

დასახლებულ მაგალითებში ასიმილაცია ნაწილობრივია, კონტაქტურიც არის და დისტანციურიც. ასიმილაციას არ აბრკოლებს სონორი თანხმოვნები ლ, მ, ნ და კბილბაგისმიერი ვ.

მსგავს შემთხვევებში უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება.

თანხმოვანთა შორის სრული, დისტანციური, რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: შაშვალღი, ყმაყოფილი, უყმაყოფილო, ეფიფანე...

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია გვაქვს ამ შემთხვევებში: სახმთო, ახსარება, ახწერა, მოახწია, საპჭო... ვაშკაცი... თხალი, ნეფსი...

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციაა მაშინაც, როცა: ა) მიცემითის ფორმანტი ერთვის დ მღერით ან -ებ სუფიქსით გათავებულ ფუძეს: იოთხ, წელიწათხ, ქაღალთხ, ახალგაზღვფხ, ხეცეფხ, ძმეფხ...

ბ) -ში ან -თან თანდებული ერთვის მღერი ხშულით ან ნაპრალოვნით გათავებულ ფუძეს: გვერთში, პარახოთში, ბახში, შვილეფთან, ბახთან...

სრული დისტანციური ასიმილაცია გვაქვს მეტწილად სიტყვაში „სახლი“ -ში თანდებულის დართვისას: შახში.

ასიმილაცია უნდა გვექონდეს ამ სიტყვაშიც: როპაპი (კორბოული).

გ) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ხ ერთვის -ებ თემის ნიშანს: ატყუეფხ, აკეთეფხ, აქეფხ, გმოფხ, სპოფხ, ახმოფხ, აშროფხ...

ღ) გ-, გვ- პრიფიქსებს მოსდევს ყრუ თანხმოვანი: ქყავს, ქქონდა (||ქონდა), მოქცა, მოქშივა, შექტირის, დაქრჩენია, მოჭხმარივარ, ქვჭირდება. ქეთხოვს...

1 აბრუპტივის მღერზე გავლენის პროცესი კორბოულში მერყეობს: ხშირად ვხვდებით უასიმილაციო ფორმებსაც.

რევრესულ ასიმილაციას მეტწილად ადგილი აქვს ხმოვნებშიც: ფუძისეული უ ხმოვანი ზმნისწინისეულ ა და ე ხმოვნებს ნაწილობრივ იმსავსებს, ი ხმოვანს—სრულად¹:

აუ → ოუ: ო უ დე, გ ო უ ძ ლე, გ ო უ შ ა ლე, გ ო უ კ ე თ ე ს, გ ო უ ს ი ნ ჯ ა ვ ა რ... დ ო უ ტ ო ვ ა, დ ო უ ძ ა ხ ა, დ ო უ დ ვ ა, დ ო უ შ ა ლ ე ს, დ ო უ შ ე ნ ი ა თ... ჩ ო უ თ ქ ვ ა, ჩ ო უ დ ე ვ ი... წ ო უ რ თ მ ე ვ ი ა თ. წ ო უ ს ე ვ ა მ, წ ო უ დ ი ა თ... გ ო დ ო უ ს ე ვ ა. გ ო დ ო უ ხ ა დ ა... ო უ ც ი ლ ე ბ ლ ა თ, ო უ ხ ნ ე ლ ი...

ასიმილაციის შედეგია აგრეთვე ცვლილებები ამ სიტყვებში: ს ი დ ო უ რ ი, ბ ე დ ო უ რ ი...

ეუ → ოუ: შ ო უ ტ ა ნ ა, შ ო უ წ ვ ა, შ ო უ ფ ა ს ა, შ ო უ ს ი ვ დ ა, შ ო უ თ ვ ა ლ ა...

ასეთ ჰოზიციაში ასიმილაცია დასტურდება სხვა შემთხვევაშიაც: ო უ ბ ნ ე ბ ო დ ა, გ ო უ ბ ნ ე ბ ი (ქორეთი), ლ ი რ ს ო უ ლ ი...

იუ → უუ: უ ნ და მ უ უ ტ ა ნ ო თ ფ ი ლ ი შე ჭ ა მ ა დ ი... მ უ უ ტ ა ნ და მოვალ ეფროსიასთან... ლიდას ბოეშს მ უ უ ტ ა ნ ე... კალათები და დანები მ უ უ ც ი ა თ... მისულან, ფიცი მ უ უ ც ი ა თ... მ უ უ ყ ვ ა ნ ე ს ბოეშები სარჩენათ... სწავლას არ მ უ უ დ ვ ა გული... გედემეკიდა, რატო შენ მ უ უ გ ე პასუხი და მე არაო... რაც ემან მ უ უ თ ი თ ა, ვერ გააკეთებდა... მ უ უ ბ რ უ ნ დ ი მერე და დოუძახე იმას... როცა მე მივალ, მ უ უ ყ ვ ა ნ... თუ არა გაქ ისი, სატკპილეს რო უძახით, ქვაფს მ უ უ დ ვ ა მ... ხუთს მ უ უ მ ა ტ ო თ ხუთი... ქვაბი უყიდნია. 200 თუმანი მ უ უ ც ი ა... მორემაც ჩქარა მ უ უ ს წ რ ო... მე წამევიდოდი იქა, მარა საჩუქარი უნდა მ უ უ ტ ა ნ ო ი ქალს...

საყურადღებოა, რომ უ ხმოვანი ვერ ახდენს გავლენას ო ხმოვანზე: გავთოხნი და მ ო უ ვ ლ ი... გული მ ო უ ე ვ ი დ ა... მევიდა და კაი საჩუქარი მ ო უ ტ ა ნ ა...

ფუძისეული ე ხმოვანი სრულად იმსავსებს ზმნისწინისეულ ა და ო ხმოვნებს:

აე → ეე: ე ე დ ო, ე ე ტ ა ნ ა... დ ე ე ვ ა, დ ე ე კ ა რ ქ ა... გ ე ე ტ ე ნ ა, გ ე ე რ ტ ყ მ ი ა, გ ე ე დ ო... წ ე ე დ ო, წ ე ე ყ ვ ა ნ ა... ჩ ე ე ტ ა ნ ა, ჩ ე ე ლ უ რ ჯ ე ბ ი ა...

ასიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ასიმილატორმა და ასი-

¹ გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. IV, 1953, გვ. 319; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956, გვ. 37; ბ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგურე მეტყველება. იბ.-კავკ. ენათმ., VIII, 1956, გვ. 115, შწმ. 2.

ჰილირებულს ჰყოფს ფუძისეული ან პირველი სუბიექტური პირის ნი-
შანი ვ- და პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები მ-, გ-, გვ-
წვევდი თ... ჩევეით, ჩევეგებე... გემეცალე, გე-
მეცინა... ჩეგეტანა, ჩეგეყვანა, წეგველო...

ღადა- ზმნისწინის ორივე ხმოვანი ასიმილირებულია ფუძისეული
ე ხმოვნის გავლენით მეტწილ შემთხვევებში: გედეეკიდენ,
გედეექცა, გედეესხა, გედეეგდო, გედეევედი, გედე-
ევი, გედეეველე, გედეემეცვალა, გედეემეტვრა...
ოე → ეე: მეენატრა, მეეწონა, მეეყვანა, მეეშო-
რეზია... გადმევედი თ...

მევედი, მემეპარა, მეგვეტანა... გამემეცვალა...
მემესწრო...

ფუძისეული ი ნაწილობრივ იმსგავსებს ა და ო ხმოვნებს.

აი → ეი: ეილე... გეიგეფს, გეიმართება... დეიწყო,
დეილალა, დეიმალა... ჩეილინე, ჩეიარა, ჩეიყვანა,
ჩეიცივემდა... წეილო, წეიყვანა... გედეიტანა, გედე-
ვიდა... გედირია, გედიქცა...

ევიტანე... გევიგე... ჩევიტანეთ...

ჩანს, ასიმილაცია გვაქვს მაშინაც, როცა ა-სა და ი-ს შორის მოქ-
ცეულია ფუძისეული ან პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ.

ოი → ეი: მეიტანა, მეილალა, მეიყვანა, მეიხედა,
მეიწონა, მეისურვა, მეისვა... მევიდა, მევიყვანე,
მევიგდე... წამევიდოდი... ამევიდეფ... გამევი-
ტანთ...

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განსაკუთრებით
ქორეთსა და ბაჯითში, ასიმილაცია არასისტემატური ხასიათისაა. ერთ-
ნაირ პოზიციაშიც კი მას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, შეიძლება — არა.

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომ-
ლებიც გვაქვს სიტყვებში: მოორე || მორე, როუყავი (რა უყა-
ვი), რეიქნა (რა იქნა), რავოვქნა (რავა ვქნა)...

დისიმილაცია პროგრესულიც გვხვდება და რაგრესულიც: გუ-
შინეწილე (|| გუშინაწინა), კანული (=კანონი), ბევრჯელ,
ერჯელ. აღანი, ცხენოსალი... უმანდელი, წრეულ...
ლაპარაკი, სოლომანი...

მეტათეზისი გვხვდება მარტივიც და საურთიერთოც, კონტაქტურიცა
და დისტანციურიც. ჩვეულებრივია სონორ ბგერათა მეტათეზისი:

ძრიელ, რკვენა (=კვერნა), ვიტონკა, კარზნიკა, სუ-
რიელი, ფლიტვი, ავლისხე, სამგერიელო (=საგემრიე-

ლო), სამინუშეა (=სანიმუშოა), ყივნა, გაღრისებდა, სარ-
ძიკველი... ნავხე, ნავხულოფ. ნამხა, ნამხველი...

ბგერათა დაკარგვა. თანამედროვე სალტერატურო ქართულის
თვალსაზრისით, ხშირია მზგრის დაკარგვა: ძიმე, ტევანი, თა,
თაერობა. თავარანგელოზი, თვარე, ძინარი, ქედე-
ლი, ქნელი, კითხავი, შიერი, ხურვალე, შრომელი,
ცურავი, რატო, მიტო, ხო, რო...

მ-ს გარდა იკარგვის სხვა სონორი ბგერებიც, მაგრამ უფრო იშვია-
თად:

რ: ფთა, ბძენი, ბძანა, ახალგაზდა, ჯამთელი,
გაზდა, გაზდილი...

ნ: მიდორი, სიმიდი...

ლ: საცეცხური, სახკარობა, თაფს, საცინათ... ლ
ზოგჯერ არისმის „ხოლმე“ ნაწილაკში.

ლ ბგერის დაკარგვისა და ასიმილაციის შედეგადაა მიღებული
კტე, დააკტა (გვხვდება უასიმილაციო ფორმებიც).

ვ: იპონა, ნაპონი, გაგზანეს...

ღ: როისმე, როის, მაანა, საანა, არსა, ვერსა, სა...

აქა-იქ დაკარგულია ასეთ შემთხვევებშიც: წევეით, ჩევე-
ით... წამოით...

წ: დღესასაული (|| დღესასწეული)...

რგ: კაათ || კაა...

ტ: დავპაიჯეთ (ადგილი აქვს ბგერათა მონაცვლეობასაც)...

- ც ნაწილაკის გარეშეც გვხვდება მაინ, მაინდამაინ...

დადასტურებითი „კი“ ნაწილაკის ი ხმოვნის დაკარგვის შემდეგ
კ შეზრდია მომდევნო უარყოფითობის ნაწილაკსა და სიტყვას: კარ
მამიტაცა... კვერაფერი უთხარი...

ზემოიქვერულისათვის საზოგადოდ და, მაშასადამე, ჩვენი დაკ-
ვირვების ობიექტების მეტყველებისათვისაც დამახასიათებელია სუს-
ტად მოქმედი რედუქციის კანონი. ბევრი სიტყვა აქ ხმოვნური
ელემენტის შეუცვლელად არის წარმოდგენილი ხმოვნით დაწყებუ-
ლი სუფიქსის დართვისას.

ეს ამბავები სწორია... მაშვალეზი მყამდა... მაშვალო-
ბა იყო, აბა!.. განებირებულია, ველარ მევერიე.
განებირებული ბოვშია ეგე...

სამაგიეროდ, იკუმშება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერა-
ტურო ქართულში ჩვეულებრივ შეუკუმშავად არის მოცემული. მაგა-
ლითად, სიტყვა დარი შეუკუმშავად იხმარება სოფელ შომახეთში,

ბაჭითსა და ქორეთში კი შეკუმშულად: კინკა დ რ ი თ ჩამევიდა და ახლა აედრით წავა...

ქ ა რ ი ც, როცა ის კომპოზიტის შემადგენლობაში შედის, შეკუმშულად იხმარება:

— ქ ვ ე ნ ა ქ რ ი თ მ ე ვ ი დ ა თოვლი?

— არა, ზ ე ნ ა ქ რ ი თ...

— ქ ვ ე ნ ა ქ რ ი თ კაცო!

შეკუმშულია ეს სიტყვა რთული შედგენილობის ზმნებშიც: ა მ ე ი ქ ვ ე ნ ა ქ რ ე ფ ს...

ბგერის დართვა. სიტყვებში უპირატესად სონორი ბგერების დართვა შეინიშნება.

მ: ნ ა მ ყ ო ფ ი, დ ა ვ ა მ ტ ყ ვ ე ვ ე, მ ო მ ძ რ ა ო ბ ა, მ ე ს ა მ ზ ღ ვ რ ე, დ ა ა მ თ ვ ა ლ ი ე რ ა, უ მ ფ რ ო, უ მ ფ რ ო ს ი (ორ უკანასკნელ შემთხვევაში მ განვითარებულია „უმცროსის“ ანალოგიით), მ ბ ა ლ ი¹.

სიტყვაში ს ა მ მ კ ი ნ ო, რაც ბაჭითში სისტემატურად იხმარება. არა მარტო მ ჩანს განვითარებული, ადგილი აქვს რ-სთან ნ-ს მონაცვლეობასაც.

ბ: კ ა მ ბ ე ჩ ი.

ნ განვითარებულია: მ ო ნ გ რ ო ვ დ ა, მ ა ნ ჩ ვ ი, ა ნ გ რ ე...

რ: ღ ვ ი რ ძ ლ ი, დ ა გ ე რ შ ა, დ ა გ ე რ შ ი ლ ი, რ ძ ღ ვ ე ნ ი, გ ა მ ო რ თ ქ მ ა, ყ მ ა რ წ ვ ი ლ ი², ყ მ ა რ წ ყ ვ ი ლ დ ე ბ ა, მ უ რ თ ა ქ ა...

ვ: ნ ა პ რ ა ვ ლ ი (კორბოული).

ქ: ნ ი ქ ვ თ ი.

სუბსტიტუცია ქართული ენის ყველა კილოსათვისაა დამახასიათებელი მეტ-ნაკლებად. ბაგრათმონაყოლოებისას ზემოიშვრულშიც, საჩხერის რაიონის ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველები³ მიხედვით, სპეციფიკური არაფერი შეიიხიძება. ეოთხანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები:

მ — ვ: გ ვ ი ვ რ ა...

ვ — მ გ ი რ მ ა ქ ა, მ ი ჩ ი ნ ა, ნ ა მ თ ი, ს ა ნ ა მ თ ე, კ ო მ ზ ი (კორბოული), თ ე მ ზ ი, მ ე თ ე მ ზ ე, ს ა თ ე მ ზ ა ო, ა მ დ ა რ ი, ს ა მ ს ე, ს პ ე ც ო მ კ ა, რ ა ს გ ა მ ხ ა რ (კორბოული)...

ვ — ბ: ს ა ბ ა რ ც ხ ა ლ ი...

¹ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 64.

² ვ. თოფურია, ქართლური, არილი, 1925, გვ. 136.

ნ — მ: საგამგებო, გამსხვავებული. დეისტერე
თა...

პ — ნ: ნეფე, დაანთავრა...

ბ — მ: ყმედი...

გ — ბ: ბრავალუამიერი, ქალაბანი, ბრუნდი...

ღ — ნ: წენი, სირბინი (კორბოული), ბულანტერი...

რ — ლ: ინდოული, კელპი...

რ — ნ: დეგვედანი (კორბოული)...

ნ — რ: რიადაგეზე (კორბოული)...

რ — მ: მბილი...

მ — რ: რჯელობა (კორბოული)...

პ — ბ: ტრაბეზი (კორბოული)...

გ — ქ: კარქი!...

კ — ყ: ყყუთნება...

ფ — ზ: კართობილი...

ხმოვანთა შორის სუბსტიტუციად შეიძლება მივიჩნიოთ:

ა — ო: ბოვში...

ე — ო: რამდონი...

ო — უ: კუმუსტო (ბ-ც დაქარგულია), კანული (დისიმილ
რებულიცაა)...

ე — ი: ხირხიშალი...

მეტათეზისა და სუბსტიტუციის შედეგად არის მიღებულ
„საინდულო“.

სუბსტიტუცია ბგერათა კომპლექსშიაც დასტურდება:

ხტ — შტ: შტოლი, ნეშტო (კორბოული)...

ვე — ო: წობოდა, ყოლიფერი, შობილობა...

ო — ჯა: ხვარაჯინი ადგილი, სახელწვადება, ჯაწ
ჯადეფს...

აფრიკატიზაციის ნიმუშებია: ყრონჭი, საძღვე (ხშირად
იხმარება საზღვეც), პენციი... გვერძე...

ადგილი აქვს უ-ს დავიწროებას: შვადღე, შვადამე, ვარი.
თვარ (თუ არ): თვარ მეიტან, სხვას გამოვართემ... წრეულ ად
გვაქ სიმიდი, თვარამასულ ქვექონდა...

1 გ. ახელედიანის მიერ ამ სიტყვაში გ-ს ნაცვლად ქ-ს ხმარება ახსნილი
როგორც თანხმოვანთა წინ გ-ს დაყრუების შედეგად მიღებული ქ-ს ხმარები
(ქარქ-ს) განზოგადება სხვა პოზიციაშიც: ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ
ლისი, 1949, გვ. 227.

დაეწროებულა ო-ც: ხ'ე არ (ხომ არ) მოხვალ დღესე... ხე არ ა
ვ ე რ ი გიყიდნია...

ფონეტიკურ თავისებურებათაგან აღნიშვნის ღირსია შამდეგი ფაქ-
ტიც: ზოგჯერ, განსაკუთრებით კობოზის სასოფლო საბჭოში შემა-
ვალ სოფლებში, ა ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის, უპირატე-
სად ერთმარცვლიან სიტყვებში და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება,
თითქოს ორი ხმოვანია: ა აქ, მ ა აქ... იმას გაამს... ორი ხმოვნის
წარმოქმნაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აღმავალ მახვილს, რომელიც
გარკვეულ ვოკალურ ფონს უნდა საჭიროებდეს სიტყვაში¹.

მორფოლოგიური მოვლენები

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნად ხმოვანდუქიან სახელებს, რო-
გორც საზოგადოს, ისე საკუთარს, -ი მოეპოვება:

გინდათ გაქამოთ წ უ ა ი... ეთქვა გა მ ა რ ჯ ო ბ ა ი... ვწიკე ი
ქ ვ ა ი... ასე იყო მანეწლიდული ც ხ ო ვ რ ე ბ ა ი... ბუხარში ირდი-
გარდაა შესული შე შ ა ი... არ უნდოდა დედას გა ბ ა ტ ო ნ ე ბ ა ი...
ზოგი ა ხ ა ლ გა ზ დ ა ი საცინათ გვიგდეფს... გაკოცეფს მ ა ნ ა ნ ა ი...
ს ა რ ი ა ნ დ რ ი ა ი... არ მინახამს თ ი ნ ა ი... აქ არი ო ლ ლ ა ი...

ლადო იყო მ ე რ ი ქ ი ფ ე ი... ისე კი არი კ ი ნ კ ო ბ ი ს თ ვ ე ი...
მერვა ს ა ქ მ ე ი, რო დავარდე ან რაძახა ვქნა. ხემწიფეს ყოლებოდა
ერთი მ ე ლ ო რ ე ი... იხუა ღვდელმა: შენ არ ხარ ჩემი მ ო ნ ა წ ი -
ლ ე ი ო... არ აღინძელა ი ს ი ძ ე ი... უღელში არ ჩეეტია ი ხ ე ი...
წამიყვანე, მანახვიე ი ჩემი ა რ ე მ ა რ ე ი... უნდა შემეძლოს რ ა მ ე ი...
ზაქარია და ე რ ე კ. ლ ე ი ჩემი ტოლები იყვენ...

მავეცი ე გ ბ ა ლ ტ ო ი... იყო კიდე იქა ვასიკოს გ ო გ ო ი... არ არი
დ რ ო ი წასვლისა... ეს კ ი ბ ო ი საღ იყო აქნობამდი... ლ ო ბ ი ო ო
ბევირ მამივიდა...

მა თ ი კ ო ი ჩემ დედამთილ გამს... შ ა ლ ი კ ო ი ახლა მევიდა...
დაყუმებული მოდიოდა ვ ა ს ი კ ო ი... ვ ა ნ ო ი მაგას არ უნდოდა...
ქიათურაში მუშაოფს ვ ა ლ ი კ ო ი...

ესეო თუ გადარჩება, დარჩება ყ რ უ ი ან გიეიო...

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი, როცა ფუქსიგული და ფორმანტისიგული მ
ხედება ერთმანეთს, ვღებულობთ გემინანტს:

დაპკიელა რ ო ს ტ ო მ ა... ისი გადააგდო უ რ ე მ ა...

შეინიშნება ხმოვანფუქიან და თანხმოვანფუქიან სახელთა ვაიგივე-

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება
ზოგ ქართულ დიალექტში, იბ.-კავკ. ენათმ., I, 1946, გვ. 343, შმშ. 3.

ბის ტენდენცია: დაავლო ხელი ჩემი შვილის მამამა და წეიყვანა
ძირს... ესე ბოვეშფს უყიდა მიშამა...

მიციემითში ფუქეთანხმოვნინი სახელები იკვეცენ სუფიქსს,
თუშეცა ეს მოვლენა არც ისე ხშირია, როგორც კახურსა და ქიზიურ-
ში¹, არც ისე იშვიათია, როგორც ქვემოიპერულში:

მიწას ნეღე დავაყრიით... მაგის მამამთილსამი შვილი დეეკარ-
ქა უმაღლეს დანთარებული... ხან აქრობენ ისანთელ, ხან უკიდე-
ბენ... არგე, რასაც სურიელ მე შოულოცე... ავდექი და ხარეფ
შოუქაზე... კაცი შვილეფ ჯობდა... ხაქაპურ ანგარიში არ აქ...
ჩემბედ ძალდი არ დაყეფთა... ცქვირინი (სანდიოფალა) ყველი-
ფერქამს... აფსეფს შენ ამაგ... წყალქვე დავლემ ხომე, მარა
დენირობა არ ქნა... შავ პურივერ ვქამ... თუ გინდა ქალაბან გახ-
თიდა... საქონელ ვაქმევე და მოვალ... ჩემამხანაგ უთქვია ჩემი
ძმისთვინ... არ მიმევედლებია წროულ, სახლ მოუნდი... ზოგი მაქ,
ზოგევიშონი...

ნათესაობით ბრუნვაშიც იკარგება სპრეპოზიციულ მსაზღვ-
რელთან:

თოფი ხმა არ გამიგონია... ღორი ხორცი მაგას არ შოუქამია...
ბოსტნი კვალ ვერ იღებდენ... რკინი ხიდს ზეით ააფეთქეს ბო-
გირი... მე ბოსლი თავზე ვიყავი... პური ცომს დავაყენეფ... იქვე
ძალოს ლეცი დაახეთერეს ხემწიფი შვილს... მოვკალი ყანი
პირზე... გზი პირზე მივდივარ...

მეციემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში იხმარება ემფატიკუ-
რი ხმოვანიც:

ება იმ ვაშლსა... ღორსა მოვლა უნდა... შეაფურთხა ყველამ
იმის ცოლსა... მამაჩემსა ცხრა შვილი ყამდა... ნატა ვერ ცნობ-
და იმის ძმასა... იბიქსა ჩემა შვილმა გაათავებია უმაღლესი. დათ-
ვრა გიორგი იმ დილასა... უმალ არ უთქვია ი ჩემსი დედრსა,
ავათ არიო...

იმა რო პალტო აცვია, როსტომსა, ერმინესია... ბიჭი კი ყამს
როსტომსა... ფილიმონი ცემს ხმას აკაკისა?..

ძნელია ცნობა კაცისა...

მოვჭრი ენას დანითა... გული ვიჭირე დვინითა... სახლები
იყო დახურული ბალახითა და წალმითა...

თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელთა ნათესაო-
ბითში დასმულ მსაზღვრელს პოსტპოზიციური წყობისას ი აქვს გა-
ნოვლენილი ძალოდ ამ შემთხვევაში:

¹ არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 67-68;
მისივე: ს ბერის დასუსტება ქიზიურში, ენიშის მოაზებ, ტ. I, 1937, გვ. 66-67.

გვიანობამდი მუშაობა არ დამიწყია ადგილისი (კორბოული).
ი ა-ს ადგილას შეგვხვდა განმარტოებულ მსაზღვრელთანაც:

— ცოლი იყო გასვენებაზე? — აკაკისი?..

— ვერია წავა? — ვინ ვერია? — დომენტისი...

მოქმედებით ბრუნვაშიც ა-ს ადგილას ი ერთ შემთხვევაში გავიგონეთ: ერთჯელ დაგვიტხოვეს სამი დღითი...

ჩანს, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკურ ა-ს ბაღლად ი-ს გამოვლენა, რაც ასე ნიშანდობლივია ქიათურის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონების ცენტრალური სოფლების მეტყველებისათვის, საჩხერის რაიონის მეტყველებისათვის დამახასიათებელი არ არის.

იან სუფიქსიან ვითარებითში -დ არ შეიმჩნევა: კოსტუმი გადაადგლო ფულთანა... ამ შენი სტუმრთანა მოღა შენე...

წოდებითში თანხმომავანფუძიანი საკუთარი სახელები -ო-ს დაირთავენ: ბიძია ვარდენო, ცული აშავია... გზა ასეა, ვასილო... მარიაში ხარ შენე? მარიაშო, მარიაშო... გრიგოლო, ამ ხალხს უნდა უხემძღვანელო... ვარგებულა, სიჰონო, ეს ვაშლები...

მრავლობითი რიცხვის -ებ ფორმანტის დართვისას ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ჩვეულებრივ უკვეცვლია:

გამოსვლაებ იყო... კაზარმაები არი... უწინ მანქანაები არ იყო... რო მეკითხა ჰელი ისტორიაები, მაშინ მეცოდინებოდა... ურემს აქ გასაყარაები... ამას დიდი აკოშკაები აქ... ახალი შენობაები არ არიან... კრავები ცოდვაები არიან... არის ასე შეცთომაები...

ერთი ხაზი აქ, როგორც ემანქანაებ ფს... ი გორაებზე გაყვება დროთა განმავლობაში... მოვრწყამთ ვენახს მაშინაებით...

თანდებულისანი სახელები. აქა-იქ მიცემითთან -თანა თანდებული გვხვდება: აქ ვიყავი ექიმთანა... ავთ გავხტი შვილე ფთანა...

-თანა თანდებულთან თ იკარგება ნათესაობით ბრუნვაში:

მაგისანა ქალი არ დადგება აქა... ქუთაისისანა ხალხი არსა არ არი... ერმინესანა კაცი არ იყო აქ...

-ში და -ზე თანდებული სხვადასხვა სახით გვხვდება:

აქ მივდივარ ონში და ო,—მიტხრა... აქნამდი რალაი მოხვედი, მიგიყვან სახში და ო... ოჯახში და ც ნახეს... ქიათურაში და ც იყო... მე ვიყავი საჩხერეში და...

გამოდგა ი ბიჭი ბაკეშია... მერე იქ წვევლით გურიაშია...

გათენებამდი ვიყავი ხეზე და... ჯის ბიჭი რიყეზე და...

-ვით თანდებულის -ვით ვარიანტიც გვხვდება: ხვიმირასა-ვეთ თარი...

-თვის თანდებულის პარალელურად იხმარება -თვის:

შ ა ფ ა თ ი ს თ ვ ი ნ ს აწლო გვაქ... უდევიათ იმ ღვ დ ლ ი ს თ ვ ი ნ...
მა მ ა ვ ლ ი ს თ ვ ი ნ დ ე ი ნ ა ხ ე შენ... მა კ ა რ ო ნ ი ს თ ვ ი ნ მოუ-
ღულარი ზეთი დოუსხამთ...

თანდებულად გამოყენებული „შემდეგ“ ზმნიზედის ფუნქციით იხ-
მარება უკან || უკანი: მას უკან არსა ჩამოსულა... მას უკან
მატარებელიც ბევრი იყო... წამევიდა მერე მას უკან ი... ჩვენ ხალხს
ის არ უნახამს იმ დღეს უკან...

მოხშირებულად იხმარება -გან თანდებულიანი მოქმედებითის
ურედუქციო ფორმები: დაწვა იმ დ ღ ი დ გ ა ნ... წვერი ყ ა ლ ი ო ნ ი დ-
გ ა ნ მ ა ქ გ ა ყ ვ ი თ ლ ე ბ უ ლ ი... ასეთი ს ა ქ მ ი დ გ ა ნ დაფარული ყოფს-
ლიყო...

-გან თანდებულიანი მოქმედებითი იხმარება -გან თანდებულიანი
ნათესაობითის ფუნქციითაც:

ჩ ე მ ი დ გ ა ნ მ ტ რ ო ბ ა არ იქნება... ჩ ე მ ი დ ა ნ თუ უხარიათ, მეც
ქვე მიხარია... არ უნდა გეწყინოს მა გ ი დ გ ა ნ... შ ე ნ ი დ ა ნ არი მო-
ტანილი... კომპლაობა (კინკლავე) ი მ ი დ გ ა ნ არ წამოდგებოდა...
ჩ ე მ ი დ ა ნ აღარ ეიღეფ არაფერს... ფული ვ ი დ ა ნ ვისესხე, კ ა რ
ვიცოდი...

კითხვაზე „საიდან“ -გან თანდებულიანი მოქმედებითს ზოგჯერ ა
ხმოვანი დაერთვის:

აგერ ვარ, ისევ იმ სოფლიდანა... მე რო მევედი ჯ არ ი დ ა ნ ა,
აქ ვარესი იყო... ბევრი ვიყავით აქ ე დ ა ნ ა... მოდიან ი ქ ი დ ა ნ ა...

ასეთ შემთხვევაში მეტად იშვიათად, მხოლოდ აქა-იქ თუ შეგვ-
ხვდება შემდეგნაირი ფორმები:

ხფო გამორეკა ე ზ ო დ ა ნ ი... გულის ჯ ი ბ ი დ ა ნ ი ხუთმანეთი-
ანი გაწომივარდა.

ორივე მაგალითი ბაჭითშია ჩაწერილი.

ასევე: დავხვდი წინ ა ქ ი დ ა ნ ი... მაღლა მერე ყავრები ქონდა
დაფარებული ზ ე ი დ ა ნ ი... რო მევედით ი ქ ი დ ა ნ ი, ხელები მქონ-
და ცივი...

ხაზგასასმელია, რომ ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, ჩვენ მიერ
შესწავლილი სოფლების მეტყველებაში -ა ან გვხვდება და ან არა,
-ი-ს ხმარების შემთხვევები საძებნია.

-მღის თანდებულის -მღი || -მღინ ვარიანტები გვხვდება:

3 წ ლ ა მ დ ი ნ ი ქ ვ ი ყ ა ვ ი... ლ ი ჩ ა მ დ ი ნ ა შვიდი კილომეტრი
მანინც იქნება... გ ა ნ თ ი ა დ ა მ დ ი ვიყავი ზეზე...

-ვით თანდებულის ფუნქციით იხმარება -ეფ (←ებრ): მ ზ ე ს ა ე ფ
გაბზევდება... ს ა რ კ ე ს ა ე ფ გახთის...

გვაქვს ასეთი ფორმებიც: დასავეფ არი... მამასავეფ იქ-
ნება... ჩემსავეფ ვერ გეიგეთ!...

ნაცვალსახელები. შენ, ჩვენ, თქვენ პირის ნაცვალსახელები აქაც
შენე, ჩვენე, თქვენე¹ს სახით გვხვდება მეტწილად:

გაგლაზაჲ მე შენე... რამდენი გვეხარებოდა ჩენე... ქალებო,
მადანა ხართ თქვენე?..

ცნაწილაკის დართვისას გვხვდება პირის ნაცვალსახელები ამგვა-
რადაც წამოვალ მეცე.. დავლენოთ ჩვენეცე..

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას სრული
სახითაც გვხვდება:

სხვიმის არ მცმია მე ესე... ესე წამოსულა ჩემსკენ... ეგე კიბო
არი... არ გამიფცქენია ეგე... რას მიშველის ეგე... ეგე და ისი
ელენკამ გამომატანა... უმაღ თფილიში იყო ისი... დასიძებული იყო
აქ ისი...

ესე და ისი-ს კონტაპინაციის შედეგად ესი-ც მოიპოვება:

რალას შევაწუხოთ ესი... ბაბუაჩემის მამა ყოფილიყო ესი...

ესე, ესი ნაცვალსახელები სხვა ბრუნვებშიც ინარჩუნებენ ჩვე-
ნებითობის ეხმოვანს:

ემან გაზარდა ბაჯითში 200 ბოვში... რო უთხრას ემან,
ყველაფერს გააკეთეს... ემან იცის, თუ იცის... ჩვენ გაცემთ
ემას პასუხს... ახლა ემას გონია, ემას რო არ ეძინება, ისე ვართ
ჩვენ... ემას ქვეშ იქნება თემზიო... ემათ ვერ უშონიათ...

მოთხრობით ბრუნვაში საზოგადო სახელთა მრავლობითის ანა-
ლოგიით ამგვარი წარმოებაც გვაქვს:

ამ ბერიკაცს მოატყუეს ამათმა... გარეკეს ემათმა... ასე იციან
იმათმა... ინგლოვონ იმათმა ჩვენი ბაბუაი...

მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენებითი ნაცვალსახელები მხო-
ლოდ ხმოვნური ელემენტით არიან წარმოდგენილი:

ეკაცი არ მეეშვა... იბიკი წოუყვანიათ სახში...

მოხშირებულად იხმარება კუთვნალებითი ნაცვალსახელი „ე მ ი-
სი“ და მეტწილად საზღვრულის შემდეგ გვხვდება. ასევე ითქმის სხვა
კუთვნილებითს ნაცვალსახელებზეც:

ნახა მამა ემისის წერილი... წირვაზე რო წევიდოდა დედა
ემისი, გაასარსალებდა ხელეფს... დედა მაგისმა მაგის ამაგი
არ იცის... ბიძა ემისმა თქვა, ცხვირი არ უგამსო... მამაჩემი და
მამამაგათი ძმები იყვენ...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მისაღებად ფართოდ არის გამო-

¹ შ. ნიქარაძე, ზემოქარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 39.

ყენებული კითხვით ნაცვალსახელებზე -მე და -ლა, -ცა ნაწილაკების დართვა. მე ნაწილაკის დართვისას შეუხორცებელი წარმოებაც გვაქვს და შეხორცებულიც. ახალი, შეხორცებული წარმოების შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ დაერავის ირიბ ბრუნვებში, ალბათ, ამით უნდა აისხნას, რომ აქა-იქ სახელობითშიც ი გვხვდება: მოუსვენდა სელს და გეიყვანდა, თუ მევიდოდა ვ ი ნ მ ე ი... გეიგე რ ა მ ე ი?..

შეუხორცებელი წარმოების მაგალათებია: მივცემ ვ ი ს მ ე, მადლია... გევიგონეფ რ ა ს მ ე...
გვაქვს ნარევი წარმოებაც: სარძლოს გადაავლეთს ვ ი ს მ ე ს თვალს... ეილე და მიეცი ვ ი ს მ ე ს ა ო...

ნაწილაკი თანდებულის შემდეგაა დართული: იქნებოდა ვ ი ს თ ა ნ ა მ ე...
„ვინმე“ შეგვხვდა განუსაზღვრელი ნაწევრის მნიშვნელობითაც: ვ ი ნ მ ე სარდალ აბაშიძეს ტრის შემოსევის დროს ცოლ-შვილი დოუხიზნია (ბაჭითი)...

კითხვით ნაცვალსახელებზე -ლა, -ცა ნაწილაკთა დართვისას ძველი სალიტერატურო ქართულის რიგი გვაქვს: ვ ი ნ ც ა ლ ა, რ ა ც ა ლ ა...
პროგრესული ასიმილაციის შედეგად და -ცა ნაწილაკის ა-ს მოკვეციტ გვაქვს: ვ ი ნ ც ხ ა, რ ა ც ხ ა: ვ ი ნ ც ხ ა ყოფილიყო... ვ ი ნ ც ხ ა მ დიდკაცათ მიცნო... ქალები რ ა ც ხ ა-რ ა ც ხ ა ე ფ ს აკეთებდენ (ბაჭითი)... არი რ ა ც ხ ა საკმელები (ქორეთი)... აქ რ ა ც ხ ა სხვანაირათ გეიზარდა...

რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებული ვ ი ნ ძ ა ლ ა, რ ა ძ ა ლ ა, მაგრამ ამგვარი ფორმები ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველებაში იშვიათად გვხვდება. უფრო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულ ფორმათა კონტამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვ ი ნ ძ ა ხ ა, რ ა ძ ა ხ ა...
უნდა კითხო იმას რ ა ძ ა ხ ა... მაგის დაი მოკლა რ ა ძ ა ხ ა მ... ქვე კი რ ა ძ ა ხ ა ზ ე გაჯერდა... ვ ი ნ ძ ა ხ ა მოყვა ი ბიქს... ვ ი ნ ძ ა ხ ა შევიდა და ცხენი მაშპარა... ვ ი ნ ძ ა ხ ა და ნ მიძახა... რ ო მ ე ლ ი ძ ა ხ ა ა კი ვერ გეიგეფ... 70 წელია, თუ რ ა მ დ ე ნ ი ძ ა ხ ა, რ ა ც ი ს ქვა ამოაჩინეს...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ზ ო გ ი მრავლობით რიცხვს ფუნის გაორკეცებით აწარმოებს:
საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...
წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

საბოლოოთ ღარიბდებოდა ზ ო გ-ზ ო გ ი კაცი... ვიყავით ზ ო გ-ზ ო გ ი ოთხ კლასგათავებული, რო ჩვენ ვჯობდით იმათ...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა:

ვარდენა მუკეტა... ეთერა, მოდი ჩემთან... პლატონა მუშა-
ოფს... იქონებთ მიცეს პლატონას... გრიგოლას გოგოსთინა
დევანანა... ლადიმერას ანდრეშა ტოვეფს ცოლ-შვილს...

გვხვდება -ია მაწარმოებელიც; შალია მოხსნილია? — არა, შო-
თიაი... უშანგია დამთვრალა...

ზოგჯერ -ა კინობითობას არ გამობატავს:

დამიგო ამ ცეცხლა პირას...

-ება სუფიქსის ადგილას ზოგჯერ -ობა იხმარება: ანგრეა თქმუ-
ლობა... უბედურობა ქონია... სადაა მანემდიდული ჩვეუ-
ლობაი... შენი მეხსიერობაი არ უნდა დაკარქო... ის არი
ქვეყნიერობის აშშენებელი...

უფროობითი ხარისხის გამოსახატავად გამოყენებულია ისოლოდ
უ—ე-ც: ი ბალახი კაცზე უმალლე იყო... შენი სიამამრი ჩემზე უხ-
ნე არ იქნებოდა... ვასილი ლარვენტიზე უხნე იყო ბევრით...

გათხოვილი ქალის მშობლიური გვარის აღსანიშნავად გამოყენებუ-
ლია -ურ ზუფიქსი (დისიმილაციით: -ულ): კილაური ს დედა მყამს
(კილარის ქალი), კეფნაური (კეფნადის ქალი) ყოლია რძალი იმასა
და დეეპატიენა... ნადია მაქარაულია (მაქარაშვილის ქალი), თი-
ნა—გაფრინდაული (გაფრინდაშვილის ქალი)... ნინა ცარციძეს
უძახით ცარციულს...

პერევის მეტყველებაში ამ სუფიქსის გამოყენება არ შეგვიჩვენებს.

-იან სუფიქსის ნაცვლად ქონების აღსანიშნავად -იერ სუფიქსიც
გვხვდება:

ქვეყნიერი იყო, აქა სამუშაოთ წამოვა?.. ძალიან სინ-
დის-ნამუსიერი ქალია...

ნა—ევ აფიქსების ადგილას ნა—არის გამოყენებული: ჩვენ მალა
ნასადილარი ვართ... 2 კვირის ნაშიმშილარი ვიყავი ტი-
ფის გამო... ახალი ნამსახურალი იქნება... ნაანგარიშალი
იყო...

სიტყვებს „სადაური“, „აქაური“, „ძველებური“ სადაურობის
აღსანიშნავად -ელ სუფიქსიც დაერთვის:

სადაურელი ხარ? — მე აქაურელი ქალი ვარ... ბატონის
მოსამსახურე იყო ყველა—აქოურელიც და იქოურელიც...
ის ძველებურელი სახლია...

ებ-ურ: ის ნახთავისმე აქეთებურს, იქეთებურს...

უქონლობისათვის გამოყენებულია უ—ურ აფიქსები: მე ქვე დამ-
ტოვა უშეშური...

ნა—ევ აფიქსის ადგილას ნა—ურ (დისიმილაციით: ულ) გვხვდება:
ნაჩქარაულათ იქაც ქყვამდა და აქაც ხალხი ქორწილზე...

სა—ო აფიქსების ნაცვლად იხმარება სა—ე: ისი ს ა მ ი ნ უ შ ე ა...
-იერ (დისიმილაციით -იელ) სუფიქსის ნაცვლად გვხვდება -იარ
(-იალ): მ ო რ ი ა ლ ი საშიშია...

შესადარებლად ამა თუ იმ ობიექტთან გამოყენებულია შომახეთში
-გან თანდებულობანი ნათესაობითის ფორმა, რაც სხვა სოფლებში და,
რა თქმა უნდა, პერევეშიც არ შეგვხვედრია:

იქ უფრო თბილია ა ქ ი ს ა გ ა ნ ა... ეფროსია უფრო გოულანძლია
ჩ ე მ ს ა გ ა ნ... მაროს ნ ა დ ი ა ს ა გ ა ნ უფრო გოულანძლია შენ
შილს ეფროსია...

გვხვდება ამგვარი წარმოება: ნალია ს ხ ვ ა გ ნ ე ბ უ რ ი არ .არი
(ე. ი. სხვა ქვეყნის, სოფლის)...

.. თანაბრობის გამოსახატავად გამოყენებულია „ხელა“: ურმეული
დიდი ს ა ხ ლ ი ს ხ ე ლ ა ა დადგმული...

წარმომავლობას აღნიშნავს ამგვარი წარმოება: ბ ე ს ა რ ი ო ნ ო
ს ა ნ ე ბ ი ზეზე არიან...

თავისებურად არის ნაწარმოები ნ ა ე კ ლ ე ს ი ა ვ ე ბ ი: ნ ა ე კ
ლ ე ს ი ა ვ ე ბ ი ა იქა... გამს ნ ა ე კ ლ ე ს ი ა ვ ე ფ ს...

.. -ობრივ სუფიქსიან სახელს ცვლის ასეთი წარმოება: თუ მიხვალ
კაცი ა დ გ ი ლ ო ფ, ნახავ, რო ციხე ყოფილა ნაკეთები...

კომპოზიციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ფუძის გამეო-
რებისას პირველი ნაწილის ამგვარი შემოკლება: ნ ა ხ-ნ ა ხ ე ვ ა რ ი
დავლიე... პ ა ტ-პ ა ტ ა რ ა ვ იცი...

✓ ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტის ნიშანი ვ- უ ხმოვნის წინ არ ჩანს ძველი
ქართულისა და სხვა კილო-თქმების მსგავსად:

· ვინ მამივლის, მე უ ვ ლ ი ჩემ თავს... მე ვერ მ ო უ ა რ ე იმას... მე
ეს უ თ ხ ა რ ი იმა... ამას უ ძ ა ხ ი თ საფეიქრო სარძიკველს...

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების
ხმარების გარკვეული წესი არ არსებობს, ამიტომ პრეფიქსს ზოგჯერ
იქ ვხვდებით, სადაც საჭირო არ არის, მაგრამ იქ არ ჩანს, სადაც უნდა
იყოს. მაგალითად, ჩვეულებრივ, იხმარება „მიცა“, ერთი მხრივ, და
„ესცა“, მეორე მხრივ.

„ვედ“ ზმნაში, როცა იგი ბრძანებითი კილოს ფორმა არ არის,
ხ- პრეფიქსი ყოველთვის იხმარება: შენ საიდან წ ა მ ო ხ ვ ე დ ი? ა ხ-
ვ ე დ ი იქა? მალე მ ო ხ ვ ე დ ი...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი „აქვს“, „არის“ ზმნებში, ჩვეუ-
ლებრივ, დაკარგულია: სახლი არ ა ქ იმას... აქ ბოსტანი გ ვ ა ქ... აქით
აღმართი ა რ ი...

- მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს მრავლობითის -თ სუფიქსის წინ ზოგჯერ შენახულია:

.. ეს ხალხი გე ბ ა რ ე ბ ო დ ე ს თ... ვერაინ ვერ უ ნ ა ხ ა ე ს თ...
აღარ დ ო უ დ ე მ ს თ კვერცხი... ღვინო ბევრი მ ო დ ი ს თ...

აწმყოში -ენ სუფიქსი -ან სუფიქსის ადგილას მეტად იშვიათად გვხვდება: შვილიშვილები ყამს, მარა მოსკოვში ა რ ი ე ნ...

-ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ იხმარება: გლოვიარეთ ი ყ ვ ე ნ... საქმეს ქვე ა კ ე თ ე ბ დ ე ნ... დ ე ი მ ა ლ ე ნ ბიჭები...

გარდამავალ ზმნათა მესამე პირის მრავლობით რიცხვში წყვეტილ-ში, ჩვეულებრივ, -ეს იხმარება.

თემის ნიშანთა ხმარებისას ყურადღებას იქცევს -ავ სუფიქსიან ზმნათა თავისებურება:

აწმყო-მყოფადში მხოლოდობითი რიცხვის სამივე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის I-II პირში, ჩვეულებრივ, მესამე პირში იშვიათად სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსის ადგილას ხშირად -ამ გამოიყენება, ამის გამო ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი პარალელური წარმოება გვაქვს.

რაზე კლავ იმას... წუა რო გაკეთდეს, ტყემალს მ ო ვ ხ ა რ -შ ა ე თ... მ ო ვ ს ხ ლ ა ვ თ ძირზე პირველ წელიწათს...

მეორე მხრივ გვაქვს: ვ წ ვ ა მ და ვჭამ წაბლს... მაგას ვერ მ ო პ ა -რ ა მ... დადგამ ბოძედს და დაქსელამ... საქლავს ვერ და კ -ლ ა მ ს... ჩალას ჩ ე ხ ა მ ს... ნინა დ ე ლ ა მ ს... ყლორტედს მიწით და ვ -ფ ა რ ა მ თ... თქვენ ფ ქ ვ ა მ თ დღეს?..

-ავ, -ამ სუფიქსები მარტივფუძიან და ხმოვანმონაცვლი ზმნებთანაც გვხვდება: დაწერავს, აპა!.. ჩემ სიგლახეს წ ე რ ა მ? აჩანა ვერ და ვ წ ი რ ა მ... ჩალას ტ ე ხ ა მ ს... ქალები სიმიდს მ ო ვ ტ ე -ხ ა მ თ... ბაწარსაც ქვე ვ გ რ ე ხ ა მ თ...

საწინააღმდეგო ვითარებაც შეინიშნება: -ამ სუფიქსის ნაცვლად -ავ არის: ოთხი კაცი დ გ ა ვ ს ერთ ზვინს... შენ რავარც გვიტყვი, ისე ვ ი ზ ა ე თ... ლობიოს რო და ვ დ გ ა ვ თ ზვინებათ, ჩერგილს ვეტყვით... ღვინოს ვ ა ს ხ ა ე თ ქურში...

პერევის მეტყველებაში ამგვარი ფორმები ჩვენს ხელთ არაებულნი მისალების მიხედვით არ დასტურდება.

აწმყო-მყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, ჩვეულებრივ, -ავ სუფიქსის ადგილას -ევ იხმარება: პურის მარცვალს ღამე დაალობენ, და ნ ა ყ ე ე ე ნ იმ დამბალ მარცვალს, მერე იმას შეაშ-რობენ. წ ა ფ ე ნ თ ხ ე ვ ე ნ, მერე გ ა რ ე ც ხ ე ვ ე ნ, ძრიელ კ'არ და ნ ა ყ ე ე ე ნ. რო მ ო ხ ა რ შ ე ვ ე ნ, მორე დღეს შე კ ა ზ მ ე ვ ე ნ... პირველათ შვრიას და თ ე ს ე ვ ე ნ... ჩემი საქონელი რო გედვიდოს

იქა, ქე მოკლევენ... კალოს მოხოსრევენ, სალამოს ან დილაზე გადახვეტევენ, მერე ჩაწეწევენ პურსა... მო შგონია, წეიკითხევენ ამ წერილსა... ლობიოს ამოგლესევენ... წერევენ...

-ვგ გვხვდება - ამ სუფიქსიან ზმნებშიც:

დგმევენ ხვავეფს... საქონელს დააბევენ... ძროხები ნაძროხელს არ სვევენ... დულარეს დაახხევენ ტანისა?ოს-ზე... ყველას ხ'ვარ მოუსვევენ ხელს... მარილს უზევენ...

ასეთ შემთხვევაში -ავ, -ამ სუფიქსები იშვიათად გვხვდება უსწავლელ პირთა მეტყველებაში:

ესე მიზავენ მეც (გვხვდება აგრეთვე „ვიზმონან“)...

მეტად იშვიათად -ავ სუფიქსი შეკუთმულიც გამოიყენება:

სიმიტს ხელით ტეხვენ... ქალები არ რწყვენ...

ზოგჯერ აწმყოში -ავ სუფიქსი არ მოიპოვება: ნიგოზს ვრეკთ... ხერხენ აქვე... ჭურში ჩადიან და საარცხით რეცხენ... ისინი შეინახენ... თესენ პურსაც...

უწყვეტილოსა და მისგან ნაწარმოებ ნაკეთობში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნებისათვის -ევ-დ, -ემ-დ ტიპის წარმოებაა დამახასიათებელი, უნიფიკაციის შედეგად უპირატესად -ემ-დ იხმარება. რის გამოც -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები, აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის მსგავსად, არც აქ არის გარჩეული:

მე ჩიტვით უნდა ვფრინევედო...

მიწას ვბარევიდო... ვკითხევიდო იმასა... სიმიტს ვთესემდო... სკამზე რო დაართყემდე თავს, კაია... იმაზე კულტურულ კაცს ვერ ნახემდო... ვერ მოლუნემდო... ნაპწიელი არ წვიმდა... ლობიოს მოხარშემდა... ამას ვერ გაბედემა... შარშან კიდევ ცელემდა... თავს იკლემდა შრომით... ის ხერხემდა... რწმენას არ დაკარქემდა...

სიმიტს მოტეხემდა... რო დეერტყმია, გაქყლიტემდა...

მალემდენ, რო არ მგერტყნათ... ექიმები შინჯემდენ...

რას უზემდო... უსვემდით კვერცხებს ზეთს... სამ დღეს სვემდენ ხალხი... ბრინჯს დაადგემდენ...

-ავ სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში უსუფიქსოდაც გვხვდება: ჩხუფს ვერ გაბედდა... რასაც ადგილს შამოზომდა, იმდენი უნდა მიეცა... გარეულ ტახს ვინ დაკოდდა... ვენახში სიმიტს თოხით გამოვთესთ... დამე ჩეჩთა... იფიცთა ყველი-ფერს... ცხვრეფს შერეკდა... ისი ნახთა იმას... არ დაგვკარქთი საქონელს... პლატონა საბარცხალს დაკარქთა... ხეს ჩამოჩეხთა... მაღედან ნადირს ჩარეკდენ... იმას მეგავლახთი...

უკეთესს რაღას დეინახთენ... თესდენ პურსაც... რეცხთენ პურს...

ცხადია, უსუფიქსო უწყვეტლისათვის ამოსავალი უსუფიქსო აწმყო უნდა იყოს.

სუფიქსი სხვა შემთხვევებშიც არ გვაქვს:

ღვდულთან მისულა, რო მოხმაროდა... ახლა იმას ეჩხუბოდა... პირველი გაგონა არი... ელექტრონებია ანთილი... მუშაობაა დაწყილი...

სხვა თემის ნიშნების ხმარების დროსაც გვხვდებით თავისებურებებს: - ევ სუფიქსის ადგილას - ემ იხმარება ხშირად:

მიდემს... ხალხი არჩემს... ათფუთიან ქვევრას ეირჩემენ...

ე ბიჭი წემს... რამდენი წეიწემს, გზა უნდა... ბევრ რამეს აძლემდა...

სამაგიეროდ, - ევ გვხვდება - ემ სუფიქსის მონაცვლე: მაგ ქვევრას მისცევენ ორ ვედრო ჭაქას...

ოვ — ომ: თომს...

- ემ სუფიქსის ადგილას ი არის გამოყენებული: მაგ ცეცხთან ჯდომას დაგამწარი, მარა ვინძახა ქპატიოთს... თურქე იმ ქალს ამწარიდა, ის რო არ შეჩენოდა, ასე არ მიზმოდა მეო... ავალღდა კოლექტივი...

- ამ სუფიქსი აქვს დართული: იმის კუჭი ოქროს შობამს (ბაჯით)...

ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველსა და მეორე პირში იხმარება ევ-ი-ც: სამი დღე გრეცხევი... არ დავრთევი ნება... ვენახიც ბევრჯელ მოვრწყევი... ნუ მამსპევი, ნუ! ეს სულ გადაყარევი შენე... იქ შევიინახევი მე... მაშინ გავატანევი მწვანე დედა... ი დიდი ძროხა გავყიდევი... ორი ქიჭა დავლიევი... ძლიეს ჩავბოქევი ქათმები... შაბათს ნახევი...

ამგვარი ფორმები ქორითსა და ბაჯითშიც შიინიშნება, არის პერევიცი, მაგრამ უფრო მოხშირებულად კორბოულში იხმარება.

- ო-სუფიქსიან ზმნათა ანალოგიით კავშირებით მეორეში - ე-მ ადგილას ო გვხვდება:

ორი წლის რო გახთოს, მოკვტოსო... აქ მევიდოს ამათსა... კახუხისგებაში უნდა მიცონ... რო შექხვთონ, გიცნობენ... ხელფასი საიდან მოქცონ...

- ო კავშირებით პირველშიაც არის ნახმარი:

ასე პირდაპირ რო მიდომოდოდა, ქვე მინდა... აგრე რო მუშაობდონ, რა უპირთ...

- ავ და - ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობითი პირველი - ია დაბოლოებიანიცაა:

უთქვი ა, მარა არ დოუჭერებიათ... მოუკლია ჭავრითი გოგონი...

უფრო ხშირად ნ-ია დაბოლოებიანი თურმეობითი I გვხვდება: ბევრი არავინ მოგვიპატიუნია... რო ამოუყვანია, დაუყვირნია... გლეხეფში დოუძახნია... იმას არ დოუხარჯნია...

ერთჯერ გვხვდება თურმეობითი პირველის ნა- პრეფიქსიანი წარმოება: ანექტი აქედან მონავლებულა, მიშა იქიდან მონავლებულია და დოუღევიათ სასადილოში.

საწული გვარის ზმნისთვის თურმეობით პირველში ასეთი წარმოებაც მოიპოვება: მამა აქ, საჩხერეში, ცხოვრებულა...

ნ-არიათა ზოგჯერ თურმეობითი მეორეც: ეკლესიაში უნდა გემსახურნა... პატარა ხანს მოგეცადნა... შამეეთვალნა ნახვია... ნეტა, ე ბოვში სულ არ დეგეკარგნათ... უნდა ეტირნათ ისი... საწლო უნდა გედეხადნა... სიმიდი უნდა გეყიდნა... სუყველა დეეხოცნა..

- ოლ სუფიქსიათი თურმეობითი მეორის ადგილას მეშველზმნისი ფორმებიც იხმარება: კმარიყო საჩხუბრათ... ბეზიას მგვანებულიყო... რაც შეიძლებიყო, ყველაფერს ვაკეთებდი (ბაჭითი)... აღარაფრათ აღარ ვარგიყო...

ნა - პრეფიქსიანი თურმეობითი მეორეც იშვიათადაა: ერთი ბიძაშვილი მყამდა, ოსტატი კაცი იყო, ის მინავალიყო ღორეშაში (ბაჭითი)...

- ნ სუფიქსიანი კავშირებითი მესამეც შეგვხვდა:

ქალს რო დედაშილი არ ეტირნოს, არ მინახამს... რამდენი მის გამეყიდნოს, კაათ იყავი..

შუალობითი კონტაქტის - ინ სუფიქსი გამარტივებულია თანხმონი ელემენტის ჩამოცილებით: დავატოვებები დი ახალ გაზეთეფს... ბაეს ახთევიებდენ... დააღევიეფს...

შუალობითი კონტაქტი სათავისო ქცევის ფორმებშიც შეგვხვდა გარჩეული: ნუ ხარ ჭიუტი, მოიტეხინე მაგ ჭიუტობაი (კორბოული)... თვალით არ დეინახვინა ხორცი ი ბოვშა...

სხვა სოფლების მიტყველებში ამგვარი ფორმები არ შეინიშნება.

შუალობითი კონტაქტის სუფიქსი ნაზმნარ სახელებშიც მოიპოვება, ოღონდ ხმოვანი ელემენტი ჩამოცილებულია:

ის ქვე დამრჩა დოუღევენებელი... დასალევენებელ წყალს ვერ ვშობდით... საქონელს დაღევენება უნდა...

თავისებური ზმნები.

სვრის-სვრიდა: რო სვრიდენ, შუბში მოხვთა ტყვია...

შოულობს-შოოფს: ფულს შოოფს... შეშას ხო შოოფ...

ვნებითის ტიპია შეცვლილი: მე თითონ დამნაანდა...
ვნებითი გვარის ზმნას ენაცვლება საშუალო: მცოდნობდა, მარა რას იხედა... სიკეტილის წინ ბრძოლობდა...

-ან სუფიქსის გარეშეცაა ნახმარი ზმნა ჩდა: არ ჩდნათესავი...
„წვანან“, „დგანან“, „ჩანან“ ზმნები აპგვარად არის ნახმარი:
კაცები წევან... ქალები გზაზე ჩავან (მაგრამ მხოლოდობითში: ჩანს), ჭირისუფლები ფეხზე დგარან...

ზემოიშვების სხვა სოფლებში „ჩავან“ არ შეგვხვებდრია.
იხმარება როგორც „უმბოფს“, ისე: „უნოფს“, როგორც „იხედა“, ისე „იხმოდა“, „იხევენ“ — „იხმონან“. „ზის“ და „სხელს“ არ იხმარება, ორივე შემთხვევაში „ჯი“ ფუძე გამოიყენება:

როგორც გობი, ისე აჭის თვალები... შენ ჯიხარ მადანა... ჯერ პურის ქამას არ ჯიან...

შენაცვლებულია ობიექტური პირების რიცხვში ზმნები:
ასვა ბოვში უსიერ თაში... მაგრამ: წიწილები კრუხს შოუსხით (კორბოული)...

ნაქების მნიშვნელობით არის ნახმარი გაქებულთ: გაქებულთ ხართ... ასევე გვხვდება „მონაყიდე“, „მონახსოვრე“.

შო- ზმნისწინი ხშირად მა-ს იძლევა, თუ მას მთანხმოვანი მოსდევს:

შალი მამიტანე... პლატონი მამპარავი არ არი... ჩალაა გამამშრალი... ამ წიწილეს მამგერი ბოსელში... მაგან მამსპო... თავის მამვლელი ქალია...

შე- ზმნისწინი, თუ მას შო- დაერთვის, მა-ს იძლევა: ტყეს შამორბინე... შამამფიცე... შამამეყარა გულს...

მომდევნო ბგერის მიხედვით სათანადო ცვლილებას განიცდის ამ რთული ზმნისწინის II კომპონენტის ხმოვანი ელემენტი.

ფორმაუცვლელი სიტყვები. პირველადი ზმნიდან ფართოდ არის გამოყენებული ადგილის ზმნიზედები აქა და ამის ანალოგიით იქა. აქ და იქ ზმნიზედების გვერდით:

უმალ კაი იყო აქა... იქა წყალი უვარგისია...

ეს ზმნიზედები ნაწილაკდართულიც გვხვდება: აქანა როცა-ცოცხლედ, იქანა მის მესამედ ხანს ვერ გავძლედ... იქანა ყოფა-ლა იმათი ეზო...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება „ექანა“. ექანა რა არი?... ზეები ყრია ექანა... დევიძახედ ექანა...

ხშირად გვხვდება ასეთი სახითაც ეს ზმნიზედები: მეზობელი გათხოვდა აქანას... კაი გოგო იყო აქანას... მვეიდენ იქანას შალიკოს შეილები... მიდიოდენ იქანასაო...

გამოყენებულია „აქურის“ მნიშვნელობით „აქის“... აქის ხალხი მაგრებიან... აქის ლაპარაკი კ'ალარ იცის... „იქურის“ მნიშვნელობით — „იქის“: კეცეფში აცხოფს იქის თვინაც... „მანდ“ ზმნიზედის ნაირნაირი ვარიანტები ჩანს: მადანა || შაანა || შადა || შად: დაჯექი მა დ ა ნ ა... მა დ ა ნ ა არი, ზესტაფონ ქვეით... გაჩერდი შ ა ა ნ ა... მომეცი შ ა ა ნ ა წყალი... შ ა დ ა პურის ჭამა იქნება... ვენახი მაქ შ ა დ ა... საქმე შ ა დ არი...

მოხშირებულად იხმარება აგრეთვე შ ა დ ა ნ ა ს: შენე ემეცალე შ ა დ ა ნ ა ს...

დასტურდება „მადერ“ ზმნიზედაც: შ ა დ ე რ ჯიხარ შენე... შ ა დ ე რ ა შენც იწერ შაგას...

გვხვდება აგრეთვე „აგერას“: ისწავლეს ა გ ე რ ა ს ჩემა შეილებმა და წევიდენ... იმას ვეუბნებოდი ა გ ე რ ა ს... ლავრენტი ე გ ე რ ა ს არი...

„მანდეღან“ ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს ზმნიზედას შ ა დ ო დ ა ნ: შ ა დ ი დ ა ნ არი ფონდი შემღჟარი... შ ა დ ი დ ა ნ ასახლე-ბულან...

კითხვითი „სად“ იხმარება დ-ს მოკვეციტაც (სა), ასევე — საღანა || საანა-ს სახით: შ ა დ ა ნ ა გაჩერდი... ქუთაიში შ ა ა ნ ა ცხოვროფ?..

„საითყენ“ || „საით“ ზმნიზედას ენაცვლება ხიდეთ || ხიეთ: ს ი დ ე თ მოხვედით თქვენე... ს ი ე თ გეიქყენ?..

საღანა || საანა ზმნიზედებიდან ნაწარმოებია მიმართებითი ზმნი-ზედები: შ ა დ ა ნ ა ც მე გაჩერდი, იქანა გაჩერებულა... შ ა ა ნ ა ც სატახტო ქალაქი იყო, ჩევიდა...

კითხვაზე სად იხმარება ამგვარი წარმოება: ჩენი სახლი ამ ს ა ხ ლ ს ი ქ ი დ ა ნ არი... კ ი ა თ უ რ ი ს ი ქ ი დ ა ნ იციან ყე...

„ძლიერ“ ზმნიზედა მეტათეზისის შედეგად იღებს ასეთ სახეს: „ძრეულ“, ინმარება აგრეთვე „ძალიან“, ქორეთში შეგვხვდა „ძალუან“ ზმნიზედაც, რაც ინდივიდუალურ მოვლენად ჩანდა.

გამეორებული იხმარება „ისევე“ ზმნიზედა: ის ე ვ - ის ე ვ რო წ ა - 'ულიყავით, ჯობდა...

„რატომ“ ზმნიზედის მნიშვნელობით არის გამოყენებული „რ ა თ ა“: რ ა თ ტირი, ბაბუა, რ ა თ ა?

გვხვდება ჩქარე: შ ა გ რ ე ჩ ქ ა რ ე ვერ დაწერ... კედელი ჩქარე ამოუყვანიათ...

პ ა ტ - პ ა ტ ა რ ა ს ანალოგიით ნახმარია ც ო ტ - ც ო ტ ა რ ა: ვჭამ-დი ც ო ტ - ც ო ტ ა რ ა ს... ვხმაროფთ ც ო ტ - ც ო ტ ა რ ა ს...

„პატ-პატარა“-საც „ცოტას“ მნიშვნელობა აქვს: ყურძენი ი ბ ო ვ - შსაც ეყიდნა პ ა ტ - პ ა ტ ა რ ა ...

წინათ ზმნიზედის მნიშვნელობითაა გამოყენებული წინე ვ წინე ზე მოქვეწერა, კარქათ ვარო...

იხმარება ასევე: შავაძის წისკვილი რო არი, იმის გამოსწორია ჩვენია...

კავშირი „მაგრამ“ გვხვდება მარამა || მარამ || მარა-ს სახით:

ადრე ქვე მოვზილე, მარამა მაინც ქვე დამიგვიანდა... დასაჭერებელი რა არი, მარამ ძველიდან ასე გამიგონია... ტყუა, მარამა მპატიეო...

თუ-არა-მა → თვარამ || თვარამა: ის არი მოსახტენი, თვარამა მაგ რას მოგიხტება... თუ გოუგზანი ჩემ ცოლ-შვილს, თვარამ მოგახმაროს ღმერთმა... წვეიღონ ესენი, თვარა ის ბიჭი გაჯადრდება...

სანამ || სანემ || სანობამღი: სანემღი ის არ მოვა, მანემღი ცალკე უნდა ვიყოო... სანობამღი შეიძლეფ. უნდა აკეთო...

რომ || რომე || რო: სუყელამ თქვა, რომეო ზაქარას ბიჭი მისი მქნელი არ არიო... რო გეფერებთან, შეიტკე...

რაკის მნიშვნელობით გვხვდება რაღაი: რაღაი ზეზე ხარ, წამეილე, ვასილო, წყალი... რაღაი გვერკვია, აწი დეიწყეფს მუშაობას...

ნაწილაკები. იხმარება გაოცება-დადასტურების ნაწილაკი ააა. მაა, კორბოულში მა-ც:

ქალები ქვეც კერევენ, ქვეც ფქვევენ, აპა!.. დღეს მივდივარ, მაპა! კათ მიიღეს, მაპა!.. მიდიან ისინი, მიდიან, მა! (კორბოული)...

გამოყენებულია კინალამ ნაწილაკის მნიშვნელობით ღარმე: გავლახე-ღარმე... ბლარი მოგვიკეტა-ღარმე... შამკლა-ღარმე...

დადასტურებითი ქვე ნაწილაკიც იხმარება და ყოველგვარ წინადადებაში გვხვდება. აქა-იქ ქე-ც დასტურდება:

მაგათზე ქვეც რო ვიცოდე, ვერ ვიტყვი... რაც მევიყვანეთ, ქვეც გავანაწილეთ... ქართველი კაცი ქვეც გეიტანს, ქვეც ეიტანს...

ქვეც ვისადილეთ, ქვეც ჭვარი დევიწერეთ... კაი ბოვში ქვეც არი... პური ქე მაინ არ გვქონდეს... მიშა ქე ეზარება მუშაობაი...

გამოყენებულია გაკვირვების შორისდებული ქვე: — მოუცთით იმას? — ცმე, იქნება სულ არ მოდის!..



სინტაქსური მოვლენები

რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული სიტყვა მრავლობით რიცხვში გვხვდება: ორივე ძმები ერთათ წეიყვანეს... დედაჩემს ყოლია ორი დები...

რ ა ვ ო დ ე ნ ი მ ე წ ლ ე ბ ი გ ე ვ ი დ ა... შ ა მ ე ვ ი დ ე ნ ყ ვ ე ლ ა დ ე ვ ე ბ ა...
ბ ა...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმებას აზრობრივი ხასიათი აქვს: ხ ა ლ ხ ი გ ა თ ა ვ ხ ე დ დ ე ნ... შ ე შ ი ნ დ ე ნ ე ს ხ ა ლ ხ ი... მ ე ვ ი დ ე ნ ბ ე ვ რ ი... ყ ვ ე ლ ა ი ყ ვ ე ნ ა ქ ა ნ ა... გაშვიხედეთ უკან, ს ა მ ი მ ო დ ი ა ნ... ბოსელში ს ა ქ ო ნ ე ლ ი შ ე ს უ ლ ა ნ...

მაგრამ: სამი ძმების მოკეთებელი იყო...

ქვემდებარე მოთხოვნილი ბრუნვაში გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდევს: ა მ ა ნ გაშვიხედა წყალზე და მუუტანა მეფეს... წ ა მ ო დ გ ა უ ნ ც რ ო ს მ ა და თქვა... ადგა მ ა მ ა მ და მიცა ღარიგება...

ი მ ა ნ ა ც გადაბრუნდა და დაწვა... შევიდა ძ ა ლ ლ მ ა და არც მესიყვარულა პატრონს... მ ა ნ ჩავარდა ჯავრში...

საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ საუბარში სიტყვათა შეწყობის ასეთი შემთხვევები იშვიათია, მთქმელი ზღაპრის მოყოლის დროს ხშირობდა მას, აზრის დალაგება უჭირდა და ამიტომ...

პარონომაზიის ძირეული სახეა გამოყენებული: უბრალო დამატებად ზმნასთან იხმარება მისივე საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: მ ო მ ბ ი თ ქ ა რ ი ბ ა მ ს... მ ა ს ხ ა რ ა ო ბ ი თ შ ე ნ ც ქ ე ე მ ა ს ხ ა რ ა ო ფ...

გამოყენებულია ორმაგი უარყოფა: გაღასახადი ა რ ა ფ ე რ ი ა რ გ ე ქ ნ ე ბ ა ო... ვ ე რ ა ფ ე რ ი ვ ე რ დ ა ა კ ლ ე ს... ვ ე რ ა ფ ე რ ი დ ა ს კ ე ნ ა ვ ე რ გ ა მ ე ი ტ ა ნ ე ს...

შომახეთში, გაფრინდაშვილების უბანში, თითქოს სიტყვის მასალად იხმარება ი მ ა ს ქ ნ ი ს, ი მ ე ქ ნ ე ს:

რო დ არ ჩ ე ს ხ ა ლ ხ ი, ქ ე ვ ე რ ი მ ა ს ქ ნ ი ს... ისაღიღეს, ი მ ე ქ ნ ე ს და წ ე ვ ი დ ე ნ... მაგან აღარ შეაწუხა, ი მ ა ნ აღარ ი მ ე ქ ნ ა... ამაზე ახელავს პურს, ი მ ა ქ ნ ი ს და დააღაგეფს...

დასკენისათვის. ჩანს, ზოგი გრამატიკული მოვლენა სპეციფიკურია ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველებისათვის, მაგრამ, სანამ საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება მთლიანად არ არის შესწავლილი და სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის კილოების ნიშანდობლივ მონაცემებს შეპირისპირებული, ყოველგვარი დასკვნის გამოტანა ნაადრევად მიგვაჩნია.

ზემოიმერულის შესახებ ეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი მეოთხე ნარკვევია. ამიტომ ზოგჯერ განმეორება მოგვიხდება, ზოგჯერ კიდევ განმეორების ასარიდებლად მხოლოდ აღწერითი ანალიზით დავკმაყოფილებით. ზემოიმერულის ნიშანდობლივი მონაცემების კვალიფიკაცია სხვა კილო-თქმების თავისებურებებთან შეპირისპირებით მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა სოფელ-სოფელ შესწავლით გამოვლენილი და დადგენილი იქნება მთელი ზემო იმერეთის ტერიტორიაზე მოქმედი კილოკავის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური ნიშანდობლივობანი.

საანალიზო მასალა ჩვენ მიერ შეკრებილია საჩხერის რაიონის შემდეგ სოფლებში: ჩიხაში, ურლულში (საჩხერის სასოფლო საბჭო), სხვიტორში (დაბა საჩხერე), არგვეთში, ჰახათაურში, სავანეში (არგვეთის სასოფლო საბჭო). გორისაში (გორისის სასოფლო საბჭო), შერჯევში (შერჯევის სასოფლო საბჭო), ჯალაურთაში (ჯალაურთის სასოფლო საბჭო), ლიჩში, ლოდორაში (ლიჩის სასოფლო საბჭო), მოხვაში (ცხომარეთის სასოფლო საბჭო).

შეკრებილი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ სხვაობა, რომელიც შეინიშნება საჩხერის რაიონის სოფლებში მათი ტერიტორიული განლაგების შესაბამისად, ხელშესახებია. რაქის მეზობელ სოფლებში, განსაკუთრებით სოფელ ნოხიაში, ჩეტად საგრძნობია რაჭულის გავლენა, ხოლო სოფელ ლოდორაში ქართლურის დამახასიათებელი ენობრივი მონაცემები გვხვდება, თუმცა პროცესი ისე შორს არ არის შესული, როგორც ეს ორჯონიკიძის რაიონის განაპირა ქართლის მოსაზღვრე სოფლებში შეიმჩნევა.

ბევრითი შედგენილობით საჩხერის რაიონის მეტყველება, ისე როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი ზემო იმერეთის დანარჩენი რაიონებისა, საერთოდ, სალიტერატურო ქართულისაგან არ სხვაობს.

ფონეტიკური მოვლანები

ყველაზე გავრცელებულ ბგერათვლილობას ასიმილაცია წარმოადგენს. აქ ასიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანციურიც, რეგრესულიცა და პროგრესულიც, სრულიც და ნაწილობრივიც. ასიმილატორი ან რაგვარობის მიხედვით იმსგავსებს ასიმილირებულს, ან წარმოების ადგილია მიხედვით.

თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია გვხვდება და პროგრესუ-

ლიც, ხოლო ხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია დასტურდება უპირატესად.

ხვეულებრივ თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა ფშვინვიერ სშულს ან ყრუ ნაპარალოვანს მოსდევს მყლერი სშულა: ბათფანი, თფენულოფს, თფილათ, აღმოჩთა, გაჩთა, ცთის, მწიფთება... გახთა, წახთა, მიძახთა, იგრეხთა...

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ აბრუპტივის მომდევნო მყლერი მეტწილად უასიმილაციოდ გვხვდება: კბილი, ტკბილი, ტბა... კდე...

სრული ასიმილაციის მაგალითებია: გაკეთთა, მოკეთთა...

დისტანციური ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს ამ შემთხვევებში: შამოხვთა, დაფიქრთა, გაყვითლთა...

თანხმოვანთა შორის სრული, დისტანციური, რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: შაშა, ყიყვი, ყმაყოფილი...

სიტყვებში: საპკო, აფხანაკი ნაწილობრივი ასიმილაცია გვაქვს. რეგრესული ასიმილაცია გვაქვს მაშინაც, როცა ა) მიცემითის ფორმანტი ერთვის მრავლობითის -ებ სუფიქსს: მხეცეფხს, სიტყვეფხს, ქალეფხს...

ბ) -ში თანდებული ერთვის მყლერი სშულით ან ნაპარალოვნით გათავებულ ფუძეს: გვერთში, ფერთში, ბახში...

სრული, დისტანციური ასიმილაცია გვაქვს მეტწილად სიტყვაში „სახლი“ -ში თანდებულის დაართვისას: შახში (სახლში).

გ) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს ერთვის ბ თანხმოვნით გათავებულ თემის ნიშანს: ატყუეფხს, აქეფხს, ალპოფხს, აშროფხს...

დ) მეორე ობიექტური პირის ნიშანს მოსდევს ყრუ თანხმოვანი: ქყავდა, ქქონდა, მოქცა, მოქკლა...

რეგრესულ ასიმილაციას მეტწილად ადგილი აქვს ხმოვნებში.

ზმნისწინის ა და ო ხმოვნებს მომდევნო ე იმსგავსებს სრულად: ეელო, ეედევიძა, წეეყვანა, მეეტანა, მეეფიქრებია...

ასიმილაციას ადგილი აქვს ასეთ პოზიციაში მაშინაც, როცა ასიმილატორსა და ასიმილირებულს ჰყოფს ფუძისეული ან პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- და პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები მ-, გვ-, გ-: მე ვ ე ვ ი პ ა რ ე, ე ვ ი ყ ვ ა ნ ე, მ ე გ ე ც ა დ ა, მ ე ვ ე დ ი, მ ე მ ე წ ო ნ ა, მ ე გ ვ ე კ ლ ა...

ლოდორაში ე ხმოვნის ასიმილაციური გავლენა აქა-იქ რთული ზმნისწინების პირველ ხმოვანზედაც ვრცელდება და, უეჭველია, ქართლის გავლენას მიეწერება: გ ე მ ე მ ე ღ ვ ი ძ ა, წ ე მ ე ე კ რ ა ი მ ა ს ფ ე ხ ი...

უ ხმოვანი სრულად იმსგავსებს ი ხმოვანს, აღმოსავლური ბარის

კილოების მსგავსად, ხოლო **ო** ხმოვანზე მაასიმილირებელი ძალა თითქმის არა აქვს¹.

წეილო ფული და მევალეს მუუტანა... წასულა და მუუგ-
დია ი ნაჯახი ივანეს კარზე...

ანალოგიურა ვითარება შეინიშნება ქვემოიმერულშიც².

უ ხმოვანი ნაწილობრივ იმსგავსებს ა ხმოვანს: ოუწონა, დოუწვა...
ფუძისეული ი ნაწილობრივ იმსგავსებს ა ხმოვანს: ეიტანა, დეიწვა,
გეილეძა, წეილო...

ასიმილაცია ამ პოზიციაში გვაქვს მაშინაც, როცა ა-სა და ი-ს შო-
რის მოქცეულია ფუძისეული ან პირველი სუბიექტური პირის ნიშა-
ნი ვ: გევიტანე, ევილე, ევიცალე, წევიცილე...

ო ხმოვნის მიმართ ი ხმოვნის მაასიმილირებელი ძალა მერყეობს³.
მთის სოფლებში (ჯალაურთა, ლიჩი, ლოდორა) ი ო-ზე გავლენას თითქ-
მის ვერ ახდენს, ბარის სოფლებში კი უასიმილაციო ფორმების გვერ-
დით ასიმილირებული ფორმებიც გვხვდება და საკვირველია, რომ უფ-
რო მეტად — ახალი თაობის მეტყველებაში.

თანხმოვანფუძიანი სახელების ბოლოციდურ ა ხმოვანს მრავლობი-
თი რიცხვის -ებ სუფიქსის ე ხმოვანი იმსგავსებს სრულად⁴:

მ ე ტ რ ი კ ე ე ბ ი, პ ა ტ ა რ ე ე ბ ი...

ბარის სოფლებში -ებ სუფიქსის დართვისას ასიმილირდება სიტყვა
„ხო“-ც: ხ ბ ე ე ბ ი: მოვრეკე ხ ბ ე ე ბ ი... ეს ჩემი ხ ბ ე ე ბ ია...

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომ-
ლებიც გვაქვს სიტყვებში: მ ო ო რ ე (|| მორე), რ ო უყავი, რ ა ვ ო
კენა, ა ქ ო უ რ ი.

დისიმილაცია პროგრესულიც გვხვდება და რეგრესულიც:
არალი, უმანდელი, ალანი, ცხენოსალი, ერჯელ,
წრეულ, ჯალუნი || კანული... ამ უკანასკნელ სიტყვაში პროგ-
რესული დისიმილაციით გამოწვეული ცვლილება გვხვდება, განსაკუთ-
რებით მთის სოფლებში.

მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი უპირატესად სონორ ბგერებს ახასიათებს: ყ ი ვ-

¹ გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბ.-კავკ. ენათმ. IV, 1953. გვ. 319; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 37.

² ზ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იბ.-კავკ. ენათმ., VIII, 1955, გვ. 115, შნშ. 2.

³ ო-ზე ი-ს მაასიმილირებელი ძალის შესახებ ზემოიმერულში იბ. ქ. ძოწენი-
ძე, ზემოიმერულის ძირითადი თავისებურებანი (ორჯონიკიძის რაიონის ჭებოვრებთა
მეტყველების მიხედვით), ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, 1957.

⁴ ზ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურე-
ბანი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., VIII, 1948, გვ. 55.

ნა, სურვილი, ნავეხე, ნამხა, ნამხავი || ნამხველი.
პრიელ, ნევერები, სარძიკველი, ჩლუქი...

ზემოიმერული „ტირთვი“, „დატირთვა“, რომელიც (როგორც მ. ალავეძეს აღნიშნული აქვს) ლეჩხუმურშიც ამგვარად იხმარება, კანონიერი ფორმაა ძველი ქართულისათვის. ძველი ქართულის ვითარებას ნორმად თუ მივიჩნევთ, მაშინ ახალი სალიტერატურო ქართულის „ტირთვი“ აქვს ადგილი „ვ“ ბგერის მეტათეზისს¹ და არა იმერულის „ტირთვი“.

მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით არის მიღებული „ეუმბება“ (ეუბნება — ეუნბება — ეუმბება).

ბ გ ე რ ა თ ა და კ ა რ გ ვ ა ხდება სიტყვის თავშიც და ფუძეშიც; განსაკუთრებით ხშირია მ ბგერის დაკარგვა: წყესი, წიფე, წარე, ზეთუნახავი, გელი, ტერი, შიერი, დიდარი, ჰედელი, თა, თავარი...

მიტო, რო, ხო...

რ: ფთხალი, ბძენი, მობძანდა, ახალგაზდა, ფთა, ცემლი.

ნ: მილორი...

ლ: სახ-კარი, სახში || შახში, ხემწიფე, ზომე, საპანე, კლე, დააკდა...

ვ: იპონა, ნაპონი...

ღ: წაით, წამევეით, საანა, არსა, ვერსა, როის...

რგ: კათ...

ც ნაწილაკის გარეშეც იხმარება „მაინ“ (მაინც).

ს ბგერა იკარგვის მიცემითსა და ნათესაობითს ბრუნვებში და ზოგიერთ ზმნაში (ამის შესახებ იხ. მორფოლოგიური ანალიზისას).

ზემოიმერულისათვის დამახასიათებელია სუსტად მოქმედი რედუქციის კანონი. ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას ზოგჯერ სალიტერატურო ქართულში შეკუმშული სიტყვა შეუკუმშავად არის წარმოდგენილი: შევნიერათ, საყიდელათ, ამბავები, მაშვალები. მაშვალობა.

სამაგიეროდ შეკუმშულია სიტყვები: დრით, ამეიზენაქრეტს, ამეიქვენაჩრეტს...

ქართლის მეზობლად მდებარე ლოდორაში ხშირია სიტყვებში ბოლო მარცვლების მოკვეცა: მოყე, მამე, გენა (გენაცვალე)...

ბ გ ე რ ა თ ა ჩ ა რ თ ვ ი ს შემთხვევებიც გვხვდება: ჯიმში, ნაყოფი, თხა-მცხვარი, მემცხვარი, ბრუნდი, ღვირძლი...

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა ქართული ენის ყველა კილოსთვისაა დამახასიათებელი. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები:

მ—ნ: უნცროსი, ნეფე...

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942, გვ. 87.

წ—ბ: გამსხვევება, გამცხადება...

რ—ლ: კელპი, ბრიგადელი, ინდოული...

ლ—რ: დანაშაური...

ვ—შ: სამსე, გოუმსო, ხამსი, კომზი, თემზი...

შ—ბ: ბრუდი, ბრავალი...

ფ—ბ: საბარცხალი, თებზი, კობზი...

ს—რ: სარჯელი...

გ—ქ: კარქი...

დ—გ: ამოზიგული, ზიგემდა (მოხვა)...

მოხვეში, ალბათ, ზემორაქულის გავლენით, დ-ს თ ა ნ ტ ენაც-
ვლება სიტყვებში: ამთონი, იმთონათ, რამტენი, რამოტენიჟე, რამტე-
ნიმე...

აღსანიშნავია, რომ სოფ. ლოდორაში, სადაც ქართლურის გავლენა
წეიმჩნევა, ამ პოზიციაში ბგერათა ამგვარი მონაცვლეობა არ შე-
გვხვედრია.

სუბსტიტუცია ბგერათა კომპლექსებშიც დასტურდება:

სკ—შკ: ზაკუშკა, იზაკუშკა...

სტ—შტ: შტოლი...

ვე—ო: ქოერა (მოხვა), დაჩოული...

ვა—ო: ხვარბალი...

ფონოლოგიური მოვლენები

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს; რო-
გორც საზოგადოს, ისე საკუთარს, მეტწილად ი მოეპოვებათ:

გათენდა დ ი ლ ა ი... რა იყო ახლა ე წ ვ ი მ ა ი... აგერ არი კ დ ე ი...
კდის ძირში მეგულება ო ქ რ ო ი... მოვკრიფეთ ლ ო ბ ი ო ი...

აქ იყო ნ ი ნ ა ი... ქვე მომკვდარიყო ამასობაში ე კ ვ ი რ ი ნ ე ი...
ტოლუბაშათ დავაყენეთ ვ ა ს ი კ ო ი... შევიდა ლ უ ტ უ ი...

მ ი ც ე მ ი თ შ ი თანხმონით დაბოლოებული სახელები იკვიცენ
მიცემით-ს ფორმანტს, თუმცა ეს მოვლენა, როგორც უკვე აღნიშნუ-
ლი გვაქვს², არც ისე იშვიათია, როგორც ქვემოიმერულში, და არც ისე
ხშირი, როგორც კახურსა და განსაკუთრებით ქიზიურში:

ყ ვ ე ლ მოგიტეხამ... მოუვიდა ჩემ დ ე დ ა მ თ ი ლ გული... ქ ა ლ
დახვთენ იქანა... ასე უხილოი, წ რ ე უ ლ რო ვარ, არ ვყოფილვარ...

¹ შ. შ ი ძ ი გ უ რ ი, ზემორაქული, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 220.

² ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოყავი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XI, 1952-1953, გვ. 76.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა მოხშირებულია ჩვენებით ხაცვალსახელებთან:

ა მ ა მ ა ნ ც წ ე ვ ი ყ ვ ა ნ ... მ ა გ ა რ ა თ ი ტ კ ე ვ ა ტ უ ჩ ი ... ფ ე ს ო ზ ე მ ო ვ ე ჯ - რ ი თ ი მ ა ... ი მ ა ს შ ი რ ი გ ა ფ ხ ვ ე რ ე ბ ა უ ნ დ ა ...

ხ-ს დაკარგვა შეიმჩნევა ნათესაობითს ბრუნვაშიც წინშავალ მსახ-
ღრელთან:

ც ი ა ლ ა ნ ა მ ბ ე ვ ე ლ ი შ ო ვ ი დ ა ... ბ ე ლ ლ ი თ ა ვ ზ ე მ ა ქ ს ხ ა ლ ი შ ე ნ ა ხ უ - ლ ი ... ხ უ თ ი შ ვ ი ლ ი მ ა მ ა ვ ი ყ ა ვ ი დ ა ა ხ ლ ა რ ა ლ ა ვ ა რ ...

მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში სის-
ტემატურად იხმარება ემფატიკური -ა, განსაკუთრებით მთის სოფლებ-
ში, მოხვაში კი—უფრო ნაყლებად: მე რანაირად მოუდგე ი მ ა ს ა ...
შევეკრამ ხ ა ლ ა თ ე ფ ს ა , კ ა ბ ე ფ ს ა ... ქ ვ ე მ ე ე ტ ა ნ ა დ ა ვ ი თ ს ა ...
ბ უ ლ დ ე ი ა ქ ნ ი ყ ვ ს ა ... მ ო კ ლ ე ფ ე ხ ი ა ქ ტ ყ უ ი ლ ს ა ...

სახლი იყო ი მ ქ ა ლ ი ს ა ... მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ი ე ს თ ო ხ ი ს ა ... დ ა მ -
ხ ე თ ა დ ა ნ ი თ ა გ ზ ა შ ი ა ... თ ა ვ ს ვ ე რ გ ე ი ტ ა ნ ზ ლ ა პ რ ი თ ა ...
ა რ ი ვ ა რ გ ე ფ კ ა ც ა თ ა ... მ ო უ ყ ვ ა ნ ი ა ც ო ლ ა თ ა ი ქ ა ლ ი ...

- ა გ ვ ხ ე ლ ბ ა ს ხ ე ა შ ე მ თ ხ ვ ე ე ბ შ ი ც :

დ ა ბ რ უ ნ დ ა ო მ ი დ ა ნ ა ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ ი ... წ ა მ ო ვ ი დ ა ზ ე ვ ი დ ა ნ ა ...
ქ ვ ე მ ო ს უ ლ ი ყ ო გ უ შ ი ნ ა ... გ ე ი ა რ ე ი ქ ი თ კ ე ნ ა ...

ემფატიკური ა-ს ხმარების მხრივ ქართლის მოსახლკრე სოფ.
ლოდორაში ქართლურის მსგავსი ვითარება გვაქვს. სოფ. მოხვაში კი
ასეთ შემთხვევებში ა-ს ადგილს უპირატესად ი იქვრს, როგორც მი-
სი ტოლი ოდენობა¹:

ა ქ მ ო ს უ ლ ა ნ ს ტ უ მ რ ე ბ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ი ... მ ო ლ დ ს ქ ა ლ ი მ ე ზ ო ბ -
ლ ი ს ი ო , — ე თ ქ ვ ა მ ა მ ა ჩ ე მ ს ...

მ ო კ ვ ე ლ ბ ი ა ნ ც ი ე ბ ი თ ი ... მ ე ს ა მ ე ღ ლ ე ა რ ი ა ხ ლ ი თ ი ... ი
ბ ო ვ შ ი დ ა ტ ო ვ ა ო რ ი კ ვ ი რ ი თ ი ... თ ვ რ ე ბ ა ღ ე ი ნ ი თ ი ...

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი , რ ო გ ო რ ც ყ ვ ე ლ გ ა ნ , ა ქ ა ც თ ი ს მ ი ს :
მ ა რ ნ ა თ მ ი ნ დ ო ლ ა ე ს ი ... ც ბ ო ვ რ ე ბ ა ს ა ლ ხ ი ნ ო თ უ ნ დ ა ...
ღ ი ღ ა თ გ ე ვ ი ხ ა რ ე ...

- ი ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ს ა ხ ე ლ თ ა ვ ი თ ა რ ე ბ ი თ შ ი დ ა რ შ ე ი ნ ი შ ნ ე ბ ა : ჩ -
ა ს ხ ა ღ ე ნ ო ი თ ა ვ ი ს ქ ა ქ ი ა ნ ა ... ჩ ე მ ი ქ მ ა რ ი წ ა მ ო ვ ი დ ა შ ა ხ შ ი ც ხ ე -
ნ ე ბ ი ა ნ ა ... ხ ი ზ ნ ი ა ნ ა წ ე ი ყ ვ ა ნ ა ... გ ა ვ ა გ ღ ე ფ ი მ ი ა ნ ა ...

წ ო ღ ე ბ ი თ შ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ო - ს

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, თსუ შრო-
მები, XXIII, 1942, გვ. 71—95; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოავი, გვ. 78.
² არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის გენეზისისა, წარმოებისა და
ისტორიისათვის, ენაშის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 18

დაირთავენ: რა უნა ვაგა, სვიმონო?.. გაგვიძეხი, პიქტორო...
დარეჯანო, წადი შენე... დავითო, მოყე, მოყე რასმე...

მრავლობითი რიცხვის - ებ ფორმანტის დართვისას ა ხმო-
ვანფუძიანი სახელები ან ასიმილირებულია (იხ. ფონეტიკურ ნაწილ-
ში), ან უკვეცელია: შეიქნა ერთი ამბავები და ისტორიები...
ისროლეს დამბაჩაები... წასულა ბიძაებ ფთან...

თანდებულებიანი სახელები. - თან თანდებულთან იშვიათად იკარ-
გვის ხმოვანფუძიანი სახელების მიცემითის -ს:

წვეიდა ხემწიფეთან...

აქაიქ ს იკარგება ნათესაობით ბრუნვაშიც - თანა თანდებულთან:
კასიკოთანა არ არი ისი... დათესა პური მითანა ადგილ-
ნე, რო დაშორებით იყო...

ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში -ს შენახულია.

-ში თანდებული -შიდა-ს სახითაც გვხვდება სხვათა სიტყვის ო ნა-
წილაკის დართვისას:

შეაბით ხარ-კაშბეჩი იმ თავშიდაო... გადაგიგდფ იმ ბლარს
წყალშიდაო... შუადლისას იყენენ შახშიდაო...

-ზე თანდებულის ვარიანტებია -ზედა და -ზედ: სადამოზედ
ყველა დაბრუნდა... ფეხი მოსტეხოდა გზაზედა...

ლოდორაში ასეთ შემთხვევაში ხშირად იხმარება -შია და -ზეა
თანდებულები:

აგერ იყო ბაკეფშია... მუშაობენ ყანაშია... პულიყო
სახურავზეა და დატენოდა ფეხი...

-თვის თანდებულის პარალელურად იხმარება -თვის: ფული
შისტვინ მიმიტანია... ამ სიტყვისთვის საყვედური შემახ-
ვეთერეს... სილოსისთვის მინდა ჩალიდერები...

თანდებულად გამოყენებული „შეწდეგ“ ზმნიზედის ფუნქციით
იხმარება „უკან“ || „უკანი“:

მას უკანი დიდი დრო გვეიდა... მოლოდინი გქონდა მას უკა-
ნი...

იხმარება -მდე || -მდის თანდებულის ვარიანტი -მდი: მონადირემ
დამარხა ე დევი კოქებამდი... ჩასუა დევი ყელამდი მიწაში...

-მდის თანდებულის პარალელური ვარიანტია აგრეთვე -მდინ:
ჩვენ სოფლამდინ ჯერ სადა ხარ... გაზაფხულამდინ
ვინ მიაწევს...

კითხვაზე „საიდან“ -გან თანდებულებიანი მოქმედებითს -ა ხმოვანი
დართვის ხშირად: გადმოდგა კაცი სერიდანა... გამევიდენ ქალე-
ბი წისქვილიდანა... ამოსულა ქალაქიდანა...

რაიონის ცენტრში მდებარე სოფლებში აქა-იქ, ხოლო სოფ
მოხვაში ხშირად ასეთ შემთხვევაში ა-ს ადგილს -ი იკერს: ჩამოსუ-

ლან კიათურიდან... გამევიდა მარნიდან... გაბრიკიძე იყო იქიდან... წამოსულა ზეიდან...

მართალია, - გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლოს ემფატიკური ა საჭირო არ არის და სალიტერატურო ქართულში, არც ძველში, არც ახალში, არასოდეს გვექონია, მაგრამ ის ფაქტი, რომ საჩხერის რაიონის მეტწილ სოფლებში ასეთ შემთხვევებში ა გვხვდება, გვაფიქრებინებს, რომ ი ამ ა-ს ტოლი ოდენობა უნდა იყოს. ოღონდ ვერ ვიტყვით, ამ შემთხვევაში ა არის უწინარესი თუ ი, ორივე მერმინდელია და ორივე ერთმანეთის ბადალი ჩანს.

კითხვაზე „ვისგან“ - გან თანდებულიანი მოქმედებითი გვხვდება: ჩე ში დან წამოიღო: შენიდან ამას არ მოველოდი...

ნაცვალსახელები. შენ, ჩვენ, თქვენ ჰირის ნაცვალსახელები აქაც შენე, ჩვენე, თქვენე-ს სახით გვხვდება მეტწილად: მიწა გაამზადე შენე, ჩემი მუშაობა რო იცოდე შენე, შემიცოდეთ... რამდენი გვეხარბებოდა ჩვენე... ქალებო, მადანა ხართ თქვენე?

ჩვენებითი ნაცვალსახელები სახელობით ბრუნვაში სრული სახითაც იხმარება:

ესე და ისი ერთხელა გაახვიე... ეგე სულ სულელი ყოფილა... ისი სავარგისია...

ესე და ისი-ს კონტამინაციის შედეგად ესი-ც მოიპოვება: შერე ჩირგვება ესი...

ესე, ესი ნაცვალსახელები სხვა ბრუნვებშიაც ინარჩუნებენ ე ხმოვანს: ემან დამიძახა... ემას არ ქონია ქკუაი...

ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენებითობის ე, ი ხმოვნების სახითაც არის წარმოდგენილი:

ე ქიქა ეყოფოდა იმა... ე კაცი არ შეეშვა... მევიწყვე ხელი ი ჭოგით... მოუკლამთ ი თხა...

მრავლობით რიცხვში სახელობით ბრუნვაში ჩვენებით ნაცვალსახელთა ქვემოიმერულისებური წარმოებაც გვხვდება:

იგენი არ დოუფიქრთენ ამას... მაგენი დანაშაური არიან...

მოთხრობით ბრუნვაში საზოგადო სახელთა ანალოგიით ასეთი წარმოებაც გვაქვს: იმათმა იციან ისი... იმათმა ივალდებულეს მასი მოვლი...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელების მისაღებად ფართოდ არის გამოყენებული კითხვით ნაცვალსახელებზე -მე, -ლა, -ცა ნაწილაკების დართვა. მე ნაწილაკის დართვისას შეუხორცებელი წარმოებაც გვაქვს და შეხორცებულიც. ახალი, შეხორცებული წარმოების შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ არის ირიბ ბრუნვებში, ამით უნდა აიხსნას, რომ აქა-იქ სახელობითშიც ი გვხვდება:

იყიდის ვინმე ი... მეიყვანს ვინმე ი... გვაქვს ნარევი წარმოება: დევსიძოთ ვისმეს აქა... გეიგეფ რასმეს?

კითხვით ნაცვალსახელებზე -ღა, -ცა ნაწილაკების დართვისას ძველი სალიტერატურო ქართულის რიგი გვაქვს: ვინცაღა, რაცაღა... პროგრესული ასიმილაციის შედეგად და -ცა ნაწილაკის -ს მოკვეციტაა მიღებული ვინცხა, რაცხა: ვინცხა მოსულა და უთქვია... ვინცხას უნახამს... რაცხა არ მამწონს ესი...

რეგრესული ასიმილაციით ჩნდება ვინძაღა, რაძაღა, მაგრამ ასეთი ფორმები იშვიათად გვხვდება. უფრო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულ ფორმათა კონტამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვინძახა, რაძახა:

ერთი ახალი ჩემატა, ვინძახა იყო... ვინძახა დიდი კაცი ვეგონე... წერილი მამცა ვინძახამ... ვინძახასთან წააგო... რაძახა წიგნი აქ... რაძახას იხახიან მანა... რაძახასთვის აკეთეფ ასე, ვიცი... რომელიძახა წალით...

ხშირად იხმარება განსაზღვრებითი ნაცვალსახელი თავათ.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ზოგი, ჩვეულებრივ, ფუძის გაორკეცებით ან კომბინირებულად (გაორკეცებითაც და მრავლობითის აფიქსის დართვითაც) აწარმოებს მრავლობით რიცხვს:

ზოგ-ზოგი სულ არ მოდის... ზოგ-ზოგები ერკვევიან საქმეში...

✓ სიტყვაწარმოება. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოიყენება: პლატონა არ იცი. პლატონა? ჩამოსულა არ... ჩილას ბიჭი... ეთერას დოუძახე... სიმონა, რა გინდა აქა?

გვხვდება -ია მაწარმოებელიც. მაგრამ ქვეპოიმერულთან შედარებით უფრო ნაკლებად:

დომიტრიას გაკეთებული რა იქნება კაი... შენე სევანტი არ გეგონო მე...

რაჰის მოსაზღვრე სოფ. მოხვაში კნინობითობისათვის ასევე გამოყენებულია რაქულის გავლენით - უნ-ა, - უყ-ა:

იგოგუნა კიოდა... გოჭუნა ჰამს ძუძუს... ხხოუკაც გყამს... ჩვენი ღორუკა კათ გასუქთა...

„აქაურის“ მნიშვნელობით იხმარება აქაურელი: მე აქაურელი ქალი ვარ...

მოხვაში შეგვხვდა „აქაველიც“: კი. ბატონო. აქაველი ვარ. ეგერას: ეცხოვროფ...

ასეთი წარმოების გავრცელების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც, რამდენჯერაც არ ჩავკითხეთ. შემდეგ მთქმელს ასეთი ფორმა აღარ უხმარია.

„სადაურის“ ადგილას გვხვდება „სადაურელიც“: რატომ კითხულობ, სადაურელი ვარ? სადაურელი ვარ და გორისელი...

-ებ-ურ სუფიქსების დართვითაა ნაწარმოები აქეთებური-იქეთებური: მოყვენ აქეთებურს, იქეთებურს...

სალიტერატურო ქართულის უ—ო აფიქსთა ადგილას უ—ურ აფიქსებიც გვხვდება: უჭოხურად ვერ დავდივარ...

ნივთის კატეგორიის სახელთან სწორად არის ნახმარი -ურ სუფიქსი: უწმინდური ბუჯერი არი ესი...

უფრობითი ხარისხის გამოსახატავად გვხვდება უ—ე: ჩემზე უმაღლე ხარ შენე... სიმონა ნინაზე უხნეა...

-ება სუფიქსის ადგილას -ობა-ც იხმარება: შენ ბედნიერობას მომასწროს ღმერთმა... ჩოთლობაა ასეთი...

გათხოვილი ქალის მშობლიურა გვარის აღსანიშნავად ყველგან იხმარება -ურ სუფიქსი (დისიმილაციით -ულ):

გაფრინდოული ქალია (გაფრინდაშვილისა), ნადიროულია (ნადირაქისა) ისი... მარგალიტა ლომიური (ლომიძის ქალია)...

✓ ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტური ნიშანი დაკარგულია უხმოვნის წინ, ძველი ქართულისა და სხვა კილოების მსგავსად:

მე ქე უთხარიყე იმათ, მარა ვინ დამაჯერა (მოხეა)... მივედი და უჩივლე...

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნების ხმარებისას გარკვეული წესი აღარ არსებობს. პრეფიქსს იქ ვხვდებით ხოლმე, სადაც საჭირო არ არის, მავრამ იქ არ ჩანს, სადაც უნდა იყოს.

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს „აქეს“, „არის“ ზმნებში, ჩვეულებრივ. დაკარგულია: ურიცხვი აქ ყოლიფერი... ექანა მაქ დამბული... მოდი გაჩვენო, ამ ადგილფში ბოსტნები გვაქ... ექანა ვაკე არი...

აწმყო-მყოფადში -ან სუფიქსის ადგილას იშვიათად ვხვდებით -ენ სუფიქსსაც: მოსული არიენ სტუმრები... ქალეზა ყვირიენ...

-ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ იხმარება: საქმეს ქვეაკეთებდენ... ბიჭები დეიმალენ, გლოვიარეთ იყვენ...

თემის ნიშანთა გამოყენებისას უფრადლებას იქცევს -ავ, -ამ სუფიქსიან ზმნათა თავისებურება.

აწმყო-მყოფადში მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირში, ხოლო

მრავლობითი რიცხვის 1-11 პირში უპირატესად - ამ იხმარება, რის გამოც - ავ და - ამ სუფიქსიანი ზმნები აღარ გაირჩევა:

ვ ბოკამ წაბლს და ვინახამ... მაგ ღუპამს მაგა... მესამე წელიწათს ამოვსხლამთ... დახვერიან და მოუკლამთ... რათ არ ბარამთ...

- ამ სუფიქსი (-ავ-ის ადგილას) მარტივფუძიან და ზმოვანმო-ნაკელე ზმნებთანაც გვხვდება:

სიმიოს ტეხამს... წერილს ხშირად მწერამს... კავშირს არ წყვეტამს... ბალახს გლეჯამს...

მრავლობითი რიცხვის მესამე პირში - ამ-იან და -ავ-იან ზმნებში მეტწილად - ევ სუფიქსი იხმარება უნიფიკაციის შედეგად¹:

ღვინოს ბევრს ხარჯევენ... მაგას დაგიკარქევენ... მე-იკითხევენ და შეინახე... ყველას არ დახოცევენ... გაზაფხულზე დარგევენ... ნახევენ, აპა რას იზევენ... ბალახს თიბევენ...

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვეთებში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნებისათვის -ევ-დ. -ემ-დ ტიპის წარმოებაც გვაქვს. იმას სულ აღარ შეეხედევდი... რას ნახევი უფეთესს... ასეთ შემთხვევაში მეტწილად ემ-დ ტიპის წარმოებაა უფრო ხშირი:

მოკვლით ვერ მოეკლემდი... მაჯას უნახემდი... მთარახს გადაკრემდა... საღამომღი რას გაბეღემდენ...

უწყვეტლის ამგვარი წარმოების გამო -ავ სუფიქსიანი ზმნები გარჩეული არ არის -ამ სუფიქსიანებისაგან, რომელთაც აგრეთვე -ემ აქვთ უწყვეტელში:

საპანე ღვინოს სვემდა... რას იზემდა... კათ იცვემდა...

ზოგჯერ -ავ სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში უსუფიქსოდაც იხმარება: შქერს დავნაყდით... ვთესთით პურსა... ქალს ვერ ნახთი იმაზე ლამაზს... რო ქთხოვა. დოურეკდი... თანქარი რო მქონოდა, დავხატდი... კაბეფს უკერდი ქალეფს...

ცხადია, უსუფიქსო უწყვეტლისათვის ამოსავალი უსუფიქსო აწმყო უნდა იყოს. მართლაც გვხვდება -ავ სუფიქსიანი ზმნები აწმყო-მყოფადში უსუფიქსოდაც:

კართობელს თესენ... ხერხენ კაცები... ჯანჭარს უხარ-შენ...

აწმყოში სუფიქსი სხვა შემთხვევაშიც რომ არ უნდა ვკჭონდეს. ამას ადასტურებს ზოგიერთი მიმღეობის წარმოებაც:

¹ ქ. ძოწენიძე, ზემოიერული კილოვანი, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XI, 1952-1953. გვ. 88-89.

ჭარში ვარ გამოძახილი... ე გოგო იყო გატაცული... კი-
ალა იყო ანთილი... აქ არი დაბადილი...

-ებ სუფიქსი არ გვხვდება ამ მაგალითებშიც: სულ დევიდუ-
პოლი... მე რო არ მოვხმაროდი, რას გააკეთებდენ...

-ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველსა და მეორე პირში აქ-
იქ ევ-ი სუფიქსიც გვხვდება, ლოდორაში კი მისი გამოყენების არე-
ფართოა, უპირატესად ე-ი იხპარება, რაც ქართლურის გავლენით
აიხსნება:

ვერ დევიდახევი... ყურძენი დავწურევი...

შეშა მოვიტანე... დედა, ბლარი დოუკავეი...

ბევრი ვიკითხეი... წაბლი ავბოქეი და სახში წამოვი-
დეი... ანგარიში დაწერეი... თხა ჩავაბარეით...

ო სუფიქსიან ზმნათა ანალოგიით კავშირებით მეორეში, ზოგჯერ
პირველშიც, ე-ს ადგილას ო გვხვდება:

რო მოვიდონ, კაი იქნება... თიკნები დეიზარდონ... სა-
ნენდი აკვანში ჩააწვენდონ, პატარა ფიცარს გამოკრიან...

-ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობით პირველში -ია დაბო-
ლოების პარალელურად -ნია დაბოლოებაც იხპარება; ეს უკანასკნელი
წარმოება განსაკუთრებით მთის სოფლებშია გავრცელებული:

ქათამი დოუკლია... თვალეფში არ შემიხედი... და ასე-
ვე: გამოუძახიათ სამხედროში... კაი საკაბე უყიდნია...

-ნია ტიპის წარმოება მხოლოდ -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებში რო-
დი ჩანს.

-ია დაბოლოებას ხან თურმეობით მეორეშიც ვხვდებით: რაჯარი
შენიერათ ააშენა, რო იმას არ შეეშლია ხელი...

მოსალოდნელი -ოდ სუფიქსის ადგილას თურმეობით მეორეში
ნამყოს მეშველი ზმნაა ზოგჯერ გამოყენებული:

ეს არ კმარიყო... ვენახი აღარ ვარგიყო...

საყურადღებო ფორმები იქნა ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა
თურმეობითი მეორის წარმოებისას შენიშნული სოფ. ჩიხაში. თურ-
მეობითი მეორის I-სა და II პირში ასეთი ფორმები შეგვხვდა აღწე-
რითი წარმოებისას:

არ წავსულიყავდი, არ შემეძლო... ნეტავი არ დავმალუ-
ლიყავდი... რა იქნებოდა, შენ რო მოსულიყავდი... რო არ
წასულიყავდი, კაი არ იყო...

აქ დ-ს წარმოჩენა, ვფიქრობთ, „იყავი“ და „ყავდი“ ფორმების
კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს. ერთი შეხედვით შეიძლებოდა ეს
ფორმები გაგვეაზრებინა, როგორც „წასული ვყავდი“, „წასული ყავ-

დი“, მაგრამ მაშინ ერთპირიანის ნაცვლად ორპირიანი ფორმები უნდა მიგველო, აპიტომ ამგვარი ახსნა, ჩვენი აზრით, აქ არ ხერხდება.

რაკულის გავლენით სოფ. მოხვაში ჩვეულებრივია კავშირებითი შესამის ხმარება თურმეობითი მეორის ნაცვლად:

ეკალი იყო თხმელის ხეზე შესული და უნდა მეკათოსისი და მემეყვანოს ყანაი ისე... იმას რო მივდგომოდე, მერე კაი-ვიქნებოდნი... წვევით, საცა უნა წავესულიყოთ... სახში რო მსტუმრებოდეს კაცი, ეზოდან უნდა გემესტუმრებო-ოს... იქიდან რავა უნა წამოვსულიყოთ. მარა წამევეით...

შუალობითი კონტაქტის -ის სუფიქსი გამარტივებულია თანხმო-ვანი ელემენტის ჩამოცილებით: თავისი ხელით მიაყვანია იგი გლუხეფს... სათქმელი ქვე ათქმევიია...

წვანან, დგანან, ჰგვანან ზმნები ამგვარადაა წარმოდგენილი: წვე-რან ოთახში... დგარან ფეხზე... არ გავრან ერთმანეთს...

ჩანს ზმნა იხმარება, როგორც „ჩამს“. მრავლობითში გვხვდება „ჩავან“ და პარალელურად „ჩამნან“.

შო- ზმნისწინი ხშირად შა-ს იძლევა, თუ მას მ თანხმოვანი მოს-დევის: შამკლა ამ ოხერმა.. ცოტა სარჯელი შამცეს... შენ შამა-ვალს გაუმარჯოს...

შე- ზმნისწინი, თუ შემო- ზმნისწინის კომპონენტია, შა-ს იძლევა: შამევიდა პოვეზდი... შამოჯდა კიბეზე...

მხოლოდ სოფ. მოხვაშია გამოყენებული -ყე ნაწილაკი პირმომართი ობიექტისა და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობი-თობის აღსანიშნავად:

მევეტხმარეყე მასპინძლედეს... რას მეიწყინეთ-მეთქი, უთხა-რიყე... ასწავლეყე მაგათ... სალამი მივეციყე იმათ...

ე ბიჭები ვერ მევიცილეყე... კივილით გავაჩერეყე, თვარა მოშკლამდენ... ვაგინეყე ისინი...

უძებნიაყე ი ქალედეს... ი გოგოედეს ტოლი არ ყავსყე... იმათ ენა გლახა აქყე (აქვსყე)...

ფორმაუცვლელი სიტყვები. პირველადი ადგილის ზმნიზედებიდან ფართოდაა გამოყენებული აქა, იქა, ეს ზმნიზედები -ნა ნაწილაკდარ-თულიც იხმარება, თუმცა ქვემოთმერულთან შედარებით უფრო ნაკ-ლებად:

მევიდეს აქანა, თუ ბიქია... იქანა ვინ გეგულებოდა შენე... (მაქანა არ იხმარება, არც იქინა).

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით ნახმარია როგორც „ექანა“, ისე „შადა“, „მად“, „მადანა“, „მანანა“:

ეჭიანა ეგლო ი ხელკალათი... მადანა რას ეძეფ... რა გინდა
მად... მად ვერ იხეირეფ შენე.. მაანა გაჩერდი...

კითხვითი ზმნიზედა „სად“ იხმარება დ-ს მოკვეციტაც (სა იყავო,
ელენე), ისე სადანა || საანა -ს სახითაც:

სადანა ნახე თავჯდომარეი... საანა გაათეჲ ღამეს...

მაგრამ კავშირი გვხვდება მარამა, მარამ, მარა-ს სახით:

იწვალა, მარამა ქვეც გეიხარა ბოლოში... მივიდლოდი, მარამ
სტუმარი მოგვივიდა... კარქი ქვე ხარ, მარა ფიცხი ხარ მეტათ...

თორემ კავშირი იხმარება თვარამა-ს სახით (თუ-არა-მა): მოდი,
თვარამა ინანეფ...

რაკის მნიშვნელობა აქვს რაღის: რაღაი ავდექი, ყველაფერი
გავაკეთე...

კინდამ ნაწილაკის მნიშვნელობით გამოყენებულია ღარმე: მოვ-
კტი-ღარმე... ფუთი ღვინო დავლიეთ-ღარმე...

დადასტურებითი კი ნაწილაკი, ჩვეულებრივ, ამგვარად იხმარება:
—მადა გიდელი არი? —კიე...

„აპა“ ნაწილაკის გვერდით პარალელურად ჩანს მააპა, შაპა, და
განსაკუთრებით ხშირად სოფ. ლოდორაში მა:

მოვალ, აპა... ადგა, მა აპა... უნდა მოსულიყო, მაპა... ყურ-
ძენს ვწურამთ, მა!

✓ სინტაქსური მოვლენები

რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული სიტყვა მრავ-
ლობით რიცხვშიც გვხვდება: იყო სამი ძმე ბი...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმებას აზ-
რობრივი ხასიათიც აქვს:

შეიკრიბენ ხალხი... მევიდენ სამივე სტუმრები...

შერწყმულ წინადადებაში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხ-
რობით ბრუნვაშიც გვხვდება, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდევს:

ადგა თურმე სიმონამ და მიუყურთხა შინძელს...

ფართოდ არის გამოყენებული დადასტურებითი ნაწილაკი ქვე:
ქვე ეშლია, მარა არ გეეგონებია... ქვე უთხარი, მარამა მაინც თავი-

სი გააკეთა... ქვეც შრომოფს და ქვეც ლხინოფს...

უარყოფითობის გაძლიერების მიზნით გამოიყენება ორმაგი უარყო-
ფაც:

ლორზე ბინძური არაფერი არ არი... არ ავინ არ მოვიდა...
ვერსავერ ვიშონეთ...

ასეთია ვითარება, რომელიც საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტ-
ყველებს შესწავლისას გამოვლინდა.

ჩანს, სოფლების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად მეტ-
ყველებაშიც განსხვავებანი შეიმჩნევა, ლოდორაში ქართლურთან
არის შერეული ზემოიმერული, ხოლო მოხვაში — რაკულთან, ცენტ-
რალური სოფლების მეტყველებისათვის კი დამახასიათებელია ზემო-
იმერულის ნიშანდობლივობანი.

ჰიათურის რაიონის მცხოვრებთა მიტყველება¹

I ნ ა კ ვ ე თ ი

ეს ნარკვევი ემყარება ჰიათურის რაიონის ოთხ სოფელში—სევრ-ში (სევრის სასოფლო საბჭო), მანდაეთში (მანდაეთის სასოფლო საბჭო), წყალშავსა და ბერეთისაში (ნიგოზეთის სასოფლო საბჭო) შექცევილ დიალექტოლოგიურ მასალებს. ამდენად, იგი ჰიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების სრულ დახასიათებას ვერ იძლევა. ამგვარი დახასიათება შეუძლებელიც იქნება, სანამ ჰიათურის რაიონის მეტყველება სოფელ-სოფელ მთლიანად არ იქნება შესწავლილი.

მომავალ წელს კვლავ განვაგრძობთ ჰიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაზე დაკვირვებას, ამიტომ ამჯერად დავკმაყოფილდებით მხოლოდ სტატიკური ანალიზით: შევეცდებით აღვწახსოთ და დავაჭვფოთ ჩვენ მიერ შესწავლილ სოფლებში შემჩნეული ფონეტიკურ-გრაჰატიკული თავისებურებანი, ამასთანავე გავარკვიოთ, რამდენად ნიშანდობლივია ზემოიშვრულისათვის ის თავისებურებანი, რომლებიც ამავე რაიონის სოფლების—ზედუბნისა და წირქვალის მეტყველების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი და სპეციალურ ნარკვევში წარმოდგენილი².

ბგერითი შედგენილობით ზემოდასახელებული სოფლების მეტყველება ყურადღებას მხოლოდ იმით იქცევს, რომ იშვიათად ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითის ი ზ -ს აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს (ჩვეულებრივ კი სრული ი აღიქმება).

ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკურ პროცესებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასიმილაციას. ასიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანციურიც, რეგრესულიცა და პროგრესულიც, სრულიც და ნაწილობრივიც. ასიმილირებული ან რაგვარობი:

¹ წაკითხულია მოხსენებად ქუთაისის პედ. ინსტ. მეცნიერ მუშაკთა XXIII სემინიარო სესიაზე 1959 წლის 24 აპრილს.

² ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, ქუთ. პედ. ინსტ. შრო., XI, 1952-1953, გვ. 67-101.

მიხედვით ემსგავსება ასიმილატორს, ან წარმოების ადგილის მიხედვით. თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაციის გვერდით პროგრესული ასიმილაცია გვხვდება, ხმოვნებში კი რეგრესული ასიმილაცია გავრცელებულია.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა ფშვინვიერ ხშულს, აბრუპტივს ან ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მელერი ხშული, თუმცა ამ მხრივ სოფლების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად განსხვავებული ვითარებაც შეიმჩნევა. მაგალითად, მელერზე აბრუპტივის გავლენის პროცესი მით უფრო მერყეობს, რაც უფრო მთიანი სოფლებისაკენ მივიწევთ. მანდაეთსა და ბერეთისაში ამ შემთხვევებში უპირატესად უასიმილაციო ფორმებს ვხვდებით. თუ სვერში ხშირად იხმარება კპილი, ტკპილი, კვტება, სიკვტილი, კტე, ტპა და სხვ., მანდაეთში და კიდეც მეტად ბერეთისაში წინამავალი აბრუპტივი მელერს ვერ იმსგავსებს მეტწილად, ზოგჯერ—ვერც წინამავალი ყრუ სპირანტი. დეასახელოთ მაგალითები ასიმილაციისა:

თფილი, თფილისი... გამინათა, კეთებოდა, გაკეთა, შერათა... გაჩთა, გოუჩთა, გამოჩთა, შემიჩთა,.. მევიცთი, წამამცთა... მწეკტენ, ასკტება, გასკტა,.. გახეთქთა... გახთა, ახთევინებდა, დეინახთა, გოუტეხთა, წამიხთინა, მოხთება, ხთის, დამარცხთა, შეწუხთა, წაიხთი, გაცოცხთა... ხფო... მოახთერა, დახთა, გაყვიოლთა, გოუქმთა, დაფიქრთა...

ამ მაგალითებში ასიმილაცია კონტაქტურიც არის და დისტანციურიც. ასიმილაციას არ აბრკოლებს სონორი თანხმოვნები ლ, მ, ნ და კბილბაგისმიერი ვ.

დასაბუთებულ შემთხვევებში უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება. თანხმოვანთა შორის სრული, დისტანციური, რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ი, უ ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ო, შ ა შ ი კ ო, შ ა ხ შ ი...

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია გვაქვს სიტყვებში: სახმთო, ახსარება, ფხალი, ნეფსი, საპქო..

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია მაშინაც, როცა, ა) მიცემითის ფორმანტი ერთვის დ, დ მელერი ბგერებით ან -ებ სუფიქსით გათავებულ ფუძეს: სიმიოთს, ბეთს, სარეფს, ხარეფს, სიმიდეფს, ქუბეფს, ექიმეფს, ბაღეფს...

ბ) -ში ან -თან თანდებული ერთვის მელერი ხშულით ან ნაპრალოვნით გათავებულ ფუძეს: ბახში, ფთეფში, გვერთში...

გ) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ხ ერთვის ბ თანხმოვნით გათავებულ თემის ნიშანს:

ილევს, მაქანავეფს, გიბარეფს, ივარგეფს, გმოფს, აშროფს...

დ) მრავლობითის სუფიქსი -თ ერთვის ბ მკლერით გათავებულ ფუძეს:

შევანგროვეფთ, ვავანიავეფთ, ვავახოფთ...

ე) გ-, გვ პრეფიქსებს მოსდევს ყრუ თანხმოვანი: ქქონდა, მოქცა, მოქშოვა, წამოქვხთა. გადაქვხთა, ქეთხოვს...

ასიმილაციისა და დისიმილაციის მოქმედებით არის მიღებული: ქტიკვა (ჯერ ასიმილაცია: კტიკვა. შემდეგ დისიმილაცია: ქტიკვა), მოქკლა, დაქვწყვიტა, დაქვწყველა...

სიტყვებში ს ა ხ ტ ა რ ი (საყდარი—საყტარი—სახტარი), ნ ა ს ა ხ ტ რ ი პროგრესული ასიმილაციაა.

რეგრესულ ასიმილაციას მეტწილად ადგილი აქვს ხმოვნებში. ფუძისეული უ ხმოვანი ზმნისწინისეულ ა და ე ხმოვნებს ნაწილობრივ იმსგავსებას, ი ხმოვანს—სრულად¹.

აუ → ოუ: ოუშიე, ოუხვიე, ოუტყტა... გოუტანა, გოუმსო, გოუტება, გოუგია, გოუკეთებია, გოუსინჯა... დოუნახამს, დოუძახა, დოუთმო, დოუბა, დოუყვირა, დოუმატებია, დოუკერია... ჩოუშვა, ჩოუარდა, ჩოურეკა, ჩოუყვანია... წოუთალე, წოუსვი... გოდურწე, გოდუეარდა, გოდუწყვიტეს (გადა ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი ჩეულებრივ. მოკვეცილია).

ასიმილაციის შედეგია ცვლილებები ამ სიტყვებში: შინოური, აქოური, სიდოური...

ეუ → ოუ: შოუყვარდა, შოუთვალა, შოუამხანაგდა, შოუქმელი...

იუ → ზუ: მუუტანა, მუუჯდა, მუუვა, მუუდგება, მუუსწრია...

ფუძისეული ე ხმოვანი სრულად იმსგავსებს ზმნისწინისეულ ა და ო ხმოვნებს. აე → ეე: ეელო, ეეტანა, ეეცილებია, დეეტოვებია, დეეძახნა, დეეხმარა, დეეზარა, დეემართა, დეეძეფ... გეეგლო. გეეარკია... წეეყვანა... ჩეეგლო...

ასიმილაციას ადგილი აქვს მაშინაც, როცა ასიმილატორსა და ასიმილირებულს ჰყოფს ფუძისეული ან პირველი პირის სუბიექტური ნიშანი ვ- და პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები შ-, გ-, გვ-

დე ვ ე ხ ვ რ ი ტ ნ ე ღირსი ვიყავი... ჩე ვ ე დ ი თ და ნავხეთ... მეც ისე გე მ ე გ ო ნ ე ბ ო ღ ა... გე გ ე ხ ა რ და შენ ჩემი მოსკლაი... დუხუნა სად გე გ ვ ე ლ ა ლ ა ნეტა...

გადა- ზმნისწინის ორივე ხმოვანი ასიმილირებულია ფუძისეული ე ხმოვნის გავლენით: გედეეკიდა, გედეესახლა, გედეედიით...

¹ გ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, არავის ხეობის ქართლური, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. IV, 1953, გვ. 319; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და ვ რ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 37; ჰ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხა-ნურ-ზეგნური მეტყველება, იბ.-კავკ. ენათ., VIII, 1956, გვ. 115, 268. 2.

ოე → ეე: მეესწრები, მენეწონა, მეეხმარა... გაღმევეგლო... ჩამეეყვანა... წამეევეით...

ქვედა ბერეთისაში, ნოზაძეების უბანში, ასიმილაციის ასეთი შემთხვევები შეგვხვდა: წ ე მ ე ვ ე დ ი, ჩ ე მ ე ვ ე დ ი (მთქმელი ამ სოფელში დაბადებული და გაზრდილია, მხოლოდ 1 წელი ახალგაზრდობისას ცსოვრობდა კახეთში, დედა ჰყავდა ხუნევიდან, სადაც ასეთი ფორმები გვხვდება), გ ე მ ე ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ო დ ა...

წყალშავსა და ბერეთისაში ასიმილაცია გვხვდება სიტყვაშიაც ხ ბ ე ე ბ ი: ხ ბ ე ე ბ ი ს ბინა გვაქ... აქ ხ ბ ე ე ბ ი ა სულ (ხმოების ნაცვლად).. ხ ბ ე ე ბ ი ხ'ვარ დაგინახამს?

ფუძისეული ი ნაწილობრივ იმსგავსებს ა და ო ხმოვნებს.

აი → ეი: ეილო... ეეიხედემლით... გეიგებდა, გეიხა, გეიგონფე, გეითონა, გეივლებდა, გევიდა... დეიზარა, დეიფიცა, დეიძრა, დეიბანე, დეიხსნა, დეიკარქა, დეიცა, დეიხურამს, დეიწყო, დეინახთა, დევილუბეთ... წეიყვანა, წეილო... წევილოთ. წევიდენ... ჩეიტანა, ჩევიდა, ჩევიცვამ... ჩევიცვ-დევიხურთ...

ჩანს, ასიმილაცია გვაქვს მაშინაც, როცა ა-სა და ი-ს შორის მოქცეულია ფუძისეული ან პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ...

• იმსგავსებს ა-ს სიტყვაში „ქუთაისი“: ქ უ თ ე ი ს ი.

გადა- ზმნისწინის ორივე ხმოვანი ასიმილირებულია: გედეიცვალა, ვედეირია...

მეტწილად ამ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილია: გედვირიე-ლარმე... გედვიყვანე... გედვიყვანა. გედისროლა, გედიხელა, გედიაქუხა, გედვიდენ...

ასიმილაციას ამ შემთხვევებში არ აბრკოლებს არც ზმნისწინის დ და არც ვ თანხმოვანი.

ოი → ეი: მეიგონე, მეიკიდე, მეიტანე, მეიპარა, მეიჩეხა, მევიდენ, მეკინახთით... ამეიქვენაქრეთს, ამეიყვანე, ამეიტანეს... გამეიაროს... წაძეილე... გაღმეილე... ჩამევიდა...

აღსანიშნავია, რომ იი → ეი ასიმილაცია არასისტემატური ხასიათისაა. ერთნაირ პოზიციაშიც კი მას შეიძლება ან ჰქონდეს ადგილი, ან არა. იი უპირატესად უფროსი თაობის მეტყველებებაში შეიმჩნევა.

ბერეთისელი ეღაშერ ნოზაძის მეტყველებებაში ი ხმოვნის ასიმილაციური გავლენა რთული ზმნისწინის პირველ ხმოვანზედაც ვრცელდება.

ჩიძიკიდა, წემევიყვანე, გემევიყვანე, წემევიდა:

ჩ ე მ ე ვ ე ი დ ა კახეთიდან... წ ე მ ე ვ ე ი ყ ვ ა ნ ე ქალი და წ ე მ ე -

ვ ე ლ ი... ქალი მევიტაცე და წ ე მ ე ვ ი ყ ვ ა ნ ე... ველარ წ ე მ ე ვ ი-
და ჩემი მამაი...¹.

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომლებიც გვაქვს სიტყვებში: მ ო ო რ ე ო ო რ ე, რ ო უ ყ ა ვ ი (რა უყავი), რ ა ვ ო ვ ქ ნ ა (რავა ვქნა)...

დისიმილაცია პროგრესულიც გვხვდება და რეგრესულიც, თუმცა, ასიმილაციასთან შედარებით, დისიმილაციის შემთხვევები მცირეა: ალანი, რავალი (იხმარება უდისიმილაციო ფორმა: რავარი, მოკვე-
ცი: რავა), არალი, ბრიგადელი, არაფელი, ორ-ოლი, ორჯელ (ანალო-
გიით ჯელ იხმარება სხვა შემთხვევებშიც: სამჯელ, ხუთჯელ...)... კა-
ლუნი (იხმარება კანუნიც).

„გუშინაწინა“ უდისიმილაციოდ არის ნახმარი ჩვენს ხელთ არსე-
ბული მასალების მიხედვით.

ლაპარიკი, სოლომანი... წრეულ, უმანდელი, აურ-ზეური...

მეტათეზისი ჩვეულებრივია სონორი ბგერებისა: ძ რ ი ე ლ (იხმა-
რება უფრო მანდაეთში, წყალშავსა და ბერეთისაში ძიელ ზმნიზე-
დის გვერდით), ნ ე ვ რ ე ბ ი, გ ე ვ ი ლ რ ვ ე ვ ი, ა რ მ უ ლ ი ი ლ ა კ-
რ ი, ს ა რ ძ ი კ ვ ე ლ ი, ა დ ე ვ ლ ე ბ უ ლ ი... ნ ა ვ ხ ე, ნ ა მ ხ ა,
ნ ა მ ხ ე ლ ი... გ ე რ ა ნ ა ლ ი (აქ დისიმილაცია უნდა გვექონდეს).
ასევე მეტათეზისი გვაქვს სიტყვებში „ზინჯირი“ და „მოშულული“,
ამ უკანასკნელში გადასმულია მარცვალი „შუ“.

მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით შეიძ-
ლება აიხსნას ცვლილება, რომელიც გვაქვს სიტყვებში „ეუნებობო-
და“, „საინდულო“.

ბგერათა დაკარგვა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის
თვალსაზრისით, ხშირია მ ბგერის დაკარგვა: ძიმე, სუქანი, შვენიერი,
წიერი, შრომელი, დიდარი, ძინარი, დულარე, ტევანი, თა, თვარე,
თავარანგელოზი, თავრობა, სხალი, ჭედელი. გელი, ისხვერპლა, ღე-
რის, ქათანაცარა, ხედველობა... ხო, რო, მიტო, რატო...

მ-ს გარდა იკარგვის სხვა სონორი ბგერებიც, მაგრამ უფრო იშ-
ვიათად:

რ: ფთა, ბძენი, ბძანა, ჯამთელი, გაზდილი, გაზდა, ჭინახული...

მეტათეზისი და ბგერის დაკარგვაა სიტყვაში „ძიელ“, რომელიც
უფრო მოხშირებულად მანდაეთსა და ბერეთისაში გვხვდება, სვერ-
ში არ გავვიგონია.

ნ: მიღორი, სიმიღი...

¹ ე ნოზაძის მეტყველება იმდენად განსხვავებული იყო ამ მხრივ, რომ თანა-
სოთლელებმა მასზე საგანგებოდ მიმართეს

ლ: სახ-კარი, ქართში, გუნარა, ძაღსა, საცინათ, ხომე (|| ხოლმე),
.საპანე...

ვ: იპონა, ნაპონი, ექიანი (ბერეთისა)...

ღ: როისმე, როის, მანა, მევეით, ჩევეით, გადმოით, საღა, არსა,
ნურსა, სა...

ბ: კომოსტო...

ც ნაწილაკის გარეშე გვხვდება: მაინ, მაინდამაინ...

რგ: კათ, კაა...

ი: იმტო...

დისიმილაციური დაკარგვა გვაქვს სიტყვაში „ფეხიშველი“.

ზემოიმერულისათვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია სუსტად
მოქმედი რ ე ღ უ ქ ც ი ი ს კანონი. ბერის სიტყვა აქ ხმოვნური ელ-
მენტის შეუცვლელად არის წარმოდგენილი ხმოვნით დაბოლოებუ-
ლი აფიქსის დართვისას:

მ ა შ ვ ა ლ ე ბ ი მყამდა... მ ა შ ვ ა ლ ო ბ ა ვიცილი, აპა!

შეუკვეცელია სიტყვა, ა ხმოვნით დაბოლოებული, მრავლობითის
- ე ბ სუფიქსის დართვისას: შ ე ნ ო ბ ა ე ფ ს ანგრევენ...

საშაგიეროდ, იკუმშება ისეთი სიტყვები, რომლებიც სალიტერა-
ტურო ქართულში შეუკუმშავად არის მოცემული. მაგალითად, სიტ-
ყვა „დარი“ შეკუმშული იხმარება სოფ. სვერში: „დრით“ (გვხვდე-
ბა შეუკუმშავადაც).

ბგერის დართვა. უპირატესად სონორი ბგერების დართვა შეი-
ნიშნება:

მ: სიმწყნარე, სამცხოვრებელი, ჭიმჭარი, ჭიმში (|| მჭიში), ნამ-
ყოფი, უმფროსი (განვითარებულია „უმცროსის“ ანალოგიით), უმ-
ფრო...

ბ: კამბეჩი...

მო: გამომავლობა (ამ ხნის გ ა მ ო მ ა ე ლ ო ბ ა შ ი არაფერი არ
მინახია)...

ნ: ანგრე, მონგროვდა, ბინბილო...

ლ: კოლინდარი (|| კოლიდარი)...

ვ: ვეკვი (ბერეთისა), დააცილვა, თოელ-ქყელაპი, მშვივა..

რ: კარბინკა, ღვირძლი, მურთაქა...

თ: მაშინათვე || მაშითვე....

სიტყვაში „სამჭინო“ არა მარტო მ არის განვითარებული, ადგილი
აქვს რ-სთან ნ-ს მონაცვლეობასაც.

ა: ჭერჭერაობით...

ებ: მაკრატებელი...

სუბსტიტუცია ქართული ენის ყველა კილოსთვისაა დამახასია-

თებელი გეტ-ნაკლებად. ბგერათმონაცვლეობისას ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველების მიხედვით სპეციფიკური არაფერი შეინიშნება. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები.

შ — ვ: გვივრა...

ბ — პ: კანდრიპი...

გ — მ: გირმაქა. ნამთი. კომზი, ხამსი, ამდარი, სამსე, გაამდარდება (პარალელური ფორმებიც გვხვდება)...

ვ — ბ: საბარცხალი, თებზი, კობზი...

მ — ნ: ნეფე, ნახსოვრობა, სანახსოვრო...

ნ — მ: ჩამს, ემლო, გამზრახვა, სამთელი...

ლ — ნ: წენი...

ნ — ლ: კალა ფხალი (კანაფა მხალი)...

რ — ლ: ჩალხი, ინდოული. ედიშელი...

რ — მ: მბილი...

გ — ქ: დაკარქული...

ფ — ბ: კართობილი || კართობელი...

ბ — ფ: ორშაფათი, სამშაფათი...

ს — რ: მირჯილი...

ც — ძ: მოძვი...

ჩ — ც: შევამცნიე...

ხმოვანთა შორის სუბსტიტუციად შეიძლება მივიჩნიოთ

ა — ო: ბოვში...

ე — ო: რამდონი...

ო — უ: კოჰუსტო (ბ დაკარგულია), კანუნი (|| კანული || კალუნი)...

ა — ე: დევობა...

სუბსტიტუცია ბგერათა კომპლექსებშიც დასტურდება:

სტ — შტ: შტოლი, ნეშტო, შტრუნა...

ვე — ო: ყოლიფერი...

ო — ვა: მიაწვადე...

ოვა — უა: გამჟა...

აფრიკატიზაციის ნიმუშია: გ ა ნ ძ რ ა ხ მკვლელობა, ს ა ძ ღ ვ ე (|| საზღვე), პ ე ნ ც ი ა, თ ი თ ქ ი ც ...

დენაფრიკატიზაციად უნდა მივიჩნიოთ: ა ს ა ზ ე ვ ე ლ ა (ასაწვეელა)...

ადგილი აქვს უ-ს დავიწროებას: ვ ა რ ე ს ს ი ზემდა... თ ვ ა რ (თუ

არ) მეიტან, სხვას გამოვართმევ...წროულს არ ვარგა უურძენი, თე-
რ ა მ ა სულ კაი იყო...

დავიწროებულია ო-ც: ხბეები ხ'ვარ დაგინახამს... ხ'ვარ-
ფერი მიტქვია... ხ'ვარავინ მოუკლამთ...

„გამოწყდი“ ფონეტიკურ ნიადაგზე შეცვლილია და იხმარება
„გამოსტი“, ისე როგორც „წყრთას“ ნაცვლად ნახმარია „მცთა“.

მორფოლოგიური მოვლანები

სახელობითობრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, რო-
გორც საზოგადოს, ისე საკუთარს, ი მოეპოვებათ:

რა მითხარი ეს სიტყვაი... ჩაგიქვავდა ენაი... ამასრულდა
ნატვრაი... ენაცვალა მამიდაი, კ'არ გეილო ხმაი... კ'არ იცის
დედის გატირება და მოსაკლისებაი... აქანა რავა უნდა მევილოს
მელაი... აქანა ვიცით სიმიდის მოტანაი... რო უყავი დანაი...
ინელი არი დედას მიწაში ყოფნაი... ჰე ვირეშმაკობაი არ
ვიცი... ამეიტანეს მერე ცხრუკვეთის ეკლესიაზე სუყველაი...

გამდევნებული იყო ილუშაი... ნინა მევილოს, ნინაი... მა-
ქარაი დააწერიფეს აქანასა... რავა არი ოთარაი... ის ნინიაი
ალარ არი... აბა, რაი, შვილი და მამავალი უნდა...

სულ ჩაუტყვებულია ჩვენი კუთხეი... წვევიდა ორივეი... გა-
ხარებული მოდიოდა კალისტინეი... რავარი კაი მოლაპარაკეა
კი მოთეი... მატრონეი ავ-კარგინაი...

ახურია თავსაფარი წალურჯოი... რათა ვართ ასე უიღ-
ბლოი... 25 მანეთი ღირს კილოი... ცოტ-ცოტარა თუ არ
დავლიე ღვინოი, რა მოპარჩენს მე... იქ იყო კიდე ლევოი...
პერევისის სერზე დეეწია ანდროი... დეიძრა ჰე დიკოი...

ი გვხვდება იქაც კი, სადაც მოსალოდნელი არ არის: კიდო დაწე-
რო მაგისტანაი?.. ჩვენი კუთხის გარდაი ყველა უძახის
შიღეფს... ნუი, ბიკო, ქუდ ჩაავდეფ შიდა... ნუ ლაპარაკოფ,
ნუი... -

მოთხრობითში შეინიშნება სმოვანფუძიან და თანხმოვან-
ფუძიან სახელთა გათანაბრების ტენდენცია: არ თქვას ვინმემა,
რო ისი არ იცოდა... დაავლო ხელი დამა და ე ბიკი წინ დააყენა...
კაცო. გენადიმა ვანო ლელემდე ჩამეიყვანაო...

ა გვხვდება ნაცვალსახელთა მოთხრობითში - ნ სუფიქსის შემ-
დეგ: რა გააკეთა იმანა?... რა უთხრა მერე იმანა?...

მიცემითში თანხმოვნით ფუძეგათავებულნი სახელები იკეფ-
ცენ დაბოლოებას, თუმცა ეს მოვლენა არც ისე ხშირია: როგორც კა-

ხურსა და ქიზიყურში¹, არც ისე იშვიათია, როგორც ქვემოიპერულში:

რალა ვქნა, წკნელ ვწუხვარ... მე არ გეტყვი ტყუილ... მოვზოლამ პურ და ჩაშვალ... გოჭკი არა, ყველი ფერ ედებიან... კაკალ ამოწილეთ... გოგირდ მოგისვენდენ... ლერწ გამოფტრით... ყურძენ ვყრით საწნახელში... მოვევლამთ პურ და მოგქვევლით... ზევა ბოვშ... ერთი ძირი რო იქნება პატარა, ახალშენისე, ჩოჩქ ვეტყვით... უმალ ქალები ხელაქმობდენ: ბოსტან აკეთებდენ, მატყლ ართემდენ...

მიცემითის -ს ხშირად ნაცვალსახელებსაც მოკვეცილი აქვთ: ამა ქვია დავითი... პირველათ რო გამეიხთება ჭკვა, უძახით იმარახს... ღვინოს ვაცლით იმა ჩვენე... ძროხები დაყამდა იმა.. უი, იმაროი დავეწრთ... მაგა ტირს ე ისი...

ნათესაობით ბრუნვაშიც იკარგება -ს პრეპოზიციულ მსაზღვრელთან მეტწილად: ი ქალიშვილი დააჯინა ზღვი პირზე... გაზი და კვერი დემეწვა და ცხენი ფოლი სათალი... დუქნი კარები ღი იყო... ჭადი დაფქული ბევრი შაქ...

.. ხელფასის მიხედვით კი ყოფილა ფული მიცემაი... თავი ტკივილმა შემაწუხა... სანამდი მყამდა ძაღლი, მანამდინა ძაღლი დამბა იყო... ხალა ქვია კაკლი მოსარეკ ჯოხს... ფული შემოსავალი არაფერი აქ...

მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ემფატიკური ხმოვანიც იხმარება უფრო მოხშირებულად მანდაეთში, წყალშაესა და ბერეთისაში:

რიმა ერქვა გოგოსა... სამსა დახვრეტა მუუსაჯეს... ე მიწაწყალი დარჩათ ამ გლეხეფსა... თელი კვირაობით ამუშავებდენ ხალხსა... უშველე ამ კაცსა... დედელსა ბეჭი რათ უნდა... ფულსა და საქმესა ტანჯვა მოაქ... დაღებდენ ქვაფსა, ამოასოლებდენ ღორი ქონში ჩვარსა და ეკიდებოდა იმა... ეილებდენ ხესა და დაჭრიდენ ფიცრეფს... კაცსა ხარი წაქცევია და კვდება... კათ ვხედამ, მარამა შორს ვერ ვცნოფ ადამიანსა... ხალთამ (მაჩვი) შოუქაჲ სიმიდი კაცსა... ფელამუში კეთობა დაფქულისა...

.. ნაცვალსახელებთანაც გვხვდება: რა მოუხერხო ახლა ამასა... იმასა შვილ გოუზდი... რას მაწუხეფ, გოგო, რასა?

ემფატიკური ხმოვანი ხშირად ჩანს მოქმედებითშიც:

¹ არნ ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 67, 68, მისივე: ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენიქის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 66-67.

ვილაცას ჩამეესვა მანქანითა... კვდება ამის ჯაგრითა... აღამიანი უნდა დააფასო ენითა; თვარა ხორცი ქარ იკმება... უწინ ქალი მოყამდათ ერთი კაბითა... შავი ქვა კაქკით გამოქონდათ, ყიდდენ ურმითა...

თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელთა ნათე'ა-ობითში დასმულ მსაზღვრელს პოსტპოზიციური წყობისას ი-ც აქეს. ეს მოვლენა ჩვენ მიერ სვერში იქნა შენიშნული. სვერს ზევით მდებარე სოფლებში თითქმის არ გვხვდება.

დათრობა გვინდა ბადურისი... კაი ლეინო წამალია ადამიანისი... თინამ არ იცის მორიდება კაცისი... სულ არ ვიცი რჩევა სიმიდისი...

ა-ს ადგილას ი შეგვხვდა განმარტოებულ მსაზღვრელთანაც:

— ლიზა ვისი ცოლია? — პარმენისი.

— ვარდისფერი არ გაქ? — ვარდისი? (ბერეთისა).

სვერშიც ასეთი დაბოლოება აქა-იქ თუ გვხვდება. უფრო ხშირია ხმოვანდაურთველი მსაზღვრელი: ფათქა აგერა იყო ნამთის... რა ეტყობა დოუბანლობის?..

მოქმედებით ბრუნვაში ა-ს ადგილას ი სვერში აქა-იქ გავიგონეთ: ეს იხრჩობოდა სიცილითი... ეგერ მომადგა ლობერტი მაშინითი... გადაგვრიე კივილითი... მოდიოდენ ერთად ფეხითი... ფრიდომ პალტო ნახა თავისი ფულითი... — შენ წახვალ? — ორივე ფეხებითი...

ჩანს, ნათესაობითა და მოქმედებითში ემფატიკური ა-ს ნაცულად ი-ს გამოვლენა ქიათურის რაიონის მთიანი სოფლებისათვის ნიშანდობლივი არ არის.

იან სუფიქსიან სახელთა ვითარებითში -დ არ შეიმჩნევა: ხუთი ძმა იყო მამამისიანა... ბოვშიანა არი, გოგო, გუგუ-ლი... ეგ რუსი ქალიან-კაციანა შრომელია...

- დ არ ფვაქეს ამ მაგალითშიაც:

რა ფრა გითხრა ახლა...

ემფატიკური ხმოვანი ვითარებითშიც გვხვდება: მე და ნინა ღვ-ჯდებით ერთათა...

წოდებითში თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ო-ს დაირთავენ:

იმასა, ბესარიონო, წებო არ აქ... მითხრა: გრიგოლო, შენ თუ ქურზე გული ქწყტება, ამევიღეფ და მოქცემო... ვახტანგო, ის ვედრა წამეიღე... გაბრიელო, გამეიხედე კარში... ეხ, ჩემო ძმაო ვასილო, არა ვართ ცხენის ღირსია... ეთერო, კა-

რები დაკეტე... დიდი ბედნიერებაა ესე, ჩემო იასონო... გა-
ლაქტიონო, რა იყო, რაი?.. ავთანდილო, არ გესმის შენე?..

მრავლობით რიცხვში გვხვდება საწყისი და ისიც შეუკვეცილი:
ქვის წიკვა ახალი და წყებებ იყო...

თანდებულის სახელები. აქა-იქ -თანა თანდებული გვხვდება:
სამს რამდენი უკლა შენთანა?

- თანა თანდებულთან - ს იკარგება ნათესაობით ბრუნვაში:

ს წ ა ვ ლ ი თ ა ნ ა ი რ ა არ ი, ბ ი ჯო? (-თანა თანდებულის სახელს
სახელობითის ი ფორმანტიც აქვს დართული)... მ ი თ ა ნ ა არ ი, რთ...
(სვერი)...

- შ ი და - ზ ე თანდებულები სხვადასხვა სახით გვხვდება:

ის ვერ უნდა შამოსულიყო ჩემ სახსშიღ, მარამა შამევიდა... წა-
სულა და სულ მოუჭრია კობიტეა ძირშიღა... რავა დავტოვეთ
ინი სახშიღა... აყულებული იყო ბუნხარშიღა... ე ძროხა
იხარშება ქვაბშიღაო... უკავიათ ყურქენი ხელშიღაო...

მანდაეთში, წყალშავსა და ბერეთისაში - შია გვხვდება: ქაჰას
ჩაყრიან ქურშია... დეიკვა ნაჯახი ხელშია... იქ მივდივარ ქუ-
თაიშია... მიქლა მამდემს კვალშია... ორ მანათს იღუფს
დღეშია... იქ მუშაობდა კოლმეურნეობაშია...

შ ა მ ო დ გ ო მ ა ზ ე დ ბ ა რ ა ქ ა ა ო ჯ ა ნ შ ი... ვამოსულიყო ი ბიქი
გ ზ ა ზ ე დ ა...

- თვის თანდებულის პარალელურად იხმარება - თვინ:

მოუტანია ბეჟანას თვინ... გაჩენილ ამის თვინ მო-
უტეხათ ფეხი... მამაჩემი მზითვით გიეტანებით აბაშიძის-
თვინ... ჩამოსულიყვენ იმ ერთი ქათმის თვინ ისეი-ისე მან-
დაეთშია... არაფერ აშავეფს და ცხვირის თვინ ვცემო?.. თუ
არ ავდგებოდი, არ აფრის თვინ არ ვიხედემდენ...

თანდებულად გამოყენებული „შემდეგ“ ზმნიზედის ფუნქცია აქვს
„უკან“ || „უკან“-ს: დილას უკან დიდი დრო გვერდა... არ მი-
ნახია მას უკანი...

მოსშირებულად იხმარება - გან თანდებულისანი მოქმედებითის
ურედუქციო ფორმები: იმ დღე დგან სიხარული აღარ მინახამს...
საქმიდგან ვარ წენში გაწყვეტილი...

- გან თანდებულისანი მოქმედებითი ენაცლება ზოგჯერ - გან თან-
დებულისანი ნათესაობითს:

ჩვენიდან ჯარი არ უნდა წიკვიანათ... ჩემი დგან ბორო-
ტობა არ იქნება... იმიდან მაქ წამოღებული...

კითხვაზე „სიდან“ - გან თანდებულისანი მოქმედებითს ზოგჯერ
ა ხმოვანი დაერთვის მანდაეთში, წყალშავსა და ბერეთისაში:

მონასტერში იყვენ სვირიდანა მონაზენები... გამაგონია ასე ძველებიდანა...

სანაჰლი მყამლა ძალი, მანამდინა ძალი დაბმა იყო... გადასული იყვენ აქიდანა იქა...

ასეთ შემთხვევაში აქა-იქ იდართული ფორმებიც ჩნდება: ჭითურრიდანა ორი კაცისთენ გამოუშვია ტაქსი... ყურძენს ზევიტან ვენახიდანა... ახლა გადმევიდა კრაოტიდანა... ოფლი წამოყვა კისრიდანა...

სულ მივალ ახლა იქიდანა... მე დოჟრევე იქიდანა...

სვერში ჩვეულებრივ ადა იდაურაველი ფორმები ინჰარება უპირატესად ამ შემთხვევებში, დანარჩენ სამსოფელში, რომელთა მეტყველებას ვაკვირდებოდით. ადართული ფორმებიც ხშირია, ინიანი ფორმები კი საქებარია.

-მდის თანდებულის -მდი || -მდინ ვარიანტები ჩანს, სვერში მდისინ თანდებულიც გაგაგონეთ:

ჩალათი გეიტანოს ბოვშები ზაფხულამდი... აქამდითითონ ეხვერწებოდენ...

ოც წლამდინ სახში ვერ შევიდოდენ... სადამომდინ დრო ვერ იშონა... კვირემდინ მე ველაჩაფერს მოვჩეხამ...

მანდაეთსა და მის მიმყოლ სოფლებში ა-ც დაერთვის -მდინ თანდებულს:

ერთ დღეს გადავალ წისქვილამდინა... სადამომდინა ეს ხეები აღარ ივარგეთს... ჩემი სახლი აქიდან იმ ბოლომდინა სულ სამსე იყო ხალხით... წყესი არ გამოდის ვვიანობამდინა...

ჩალაი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, მიეკუთნა ბერეთისას, მანამდისინ ჩვენი იყო... ვერაჯერს გეტყვი, მანამდისინ თვალის ექიმს არ ამეიყვან...

დილიდან სადამომდისინ ერთხელ მოუვიდა კრუნჩხვია...

-ვით თანდებულის ფუნქციით ინჰარება -ეფ (→ ებრ):

მაგათსაეფ ვინ ცხოვროფს... სულ ჩემსაეფ ყოფილა...

ნაცვალსახელები. შენ, ჩვენ, თქვენ პირის ნაცვალსახელები აქაც შენე, ჩვენე, თქვენე-ს სახით გვხვდება უპირატესად:

ვინ მოქცა ეს შენე... ამითი არ გათამამდე შენე სხვეფლა... შენე ჩემთან რატო არ ჩამოხველი... ნეტა რა გინდა მაიდან შენე... მაქ თხას ყიდი შენე?... ვინ ბიცოლაშენს ამბოფ შენე?..

შეკრთით ჩვენე... ჩვენე მანაჰლი ვიჯეჟით იქა... ჩამოყარეთ თქვენე... ეგე რა დაგმართნია თქვენე...

ბერეთისაში ამ შემთხვევებში სადეტერმინაციო ნა-ც გამოიყენება:

წებან ქვე ვკითხე: ვინა ხარ შენა-მეთქი...

ც (ცა) ნაწილაკის დართვისას პირის ნაცვალსახელები გვხვდება ამგვარადაც: ი მუშას ხო უნდა გოუკეთო სადილი, მაშინ ვკამ მე-ცე... რავარც შენ იცი, ისე ვიცი მე ცე... მალა აქ გაზდილი ვარ მე-ცე... ცოტა მამეცი მე ცე... შენცე გაზონია... შენც არ გაქ დი-ლი ხნის სიცოცხლეი, მალე მოკვდები შენცეო...

ასე ვიცით ჩვენცე სიტყვაში... ჩვენეც უძახით...

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას სრულსახითაც გვევლინება:

მე მოკვრიფე ესე სულე... სად გავაბა ესე...

რავა არვიცოდი ეგე... კაი იყო ეგე..., უნდა გავხეხო მერე ეგე-ეგე სულ არ დამინახია მეო, — ბესიამ თქვა... ვინ თქვა ეგე, ვინა? რა მამივიდა ისიო... უკავეფს ისიო... მაგას რო ქვას ესვრის, მე ვარ ისიო...

ესე და ისი-ს კონტამინაციის შედეგად ესი-ც მოიპოვება:

მიეცი ესი, ბია მაინ ვარგიყოს... ლურსმანი მიპონე, ხელით ვერ ვარჩიე მე ესიო... პიპილეებია ესიო...

ვერამ რო წვილო, ის არი ე ისი...

ესე, ისი ნაცვალსახელები სხვა ბრუნვებშიაც ინარჩუნებენ ჩვენებითობის ე ხმოვანს:

იქნებ იცოცხლოს ემან... ნაქერიაო, — ემან თქვა... ახლა ემან დაარტყა ემასაო... ემასაც დაწერავენ იქა...

მოთხრობით ბრუნვაში საზოგადო სახელთა მრავლობითის ანალოგიით ამგვარი წარმოებაც გვაქვს:

ამათმა მუხას მოახურეს ნაბადი... გერმის ბალიში დააპეს ამათმა და დაახვთერეს...

ემათმა იციან ასე... ემათმა გაყიდეს 40 ცალი...

კლის თავზე ვართ და იმათმა ძირს უნდა გამეიაროს... იმათმა მოკლა...

მააზღვრელად გამოყენებისას ჩვენებითი ნაცვალსახელები მხოლოდ ხმოვნური ელემენტითაც არის წარმოდგენილი; იკლამს ე ბლარი თავს... გოგო ქვე მევიდა... ი მალარო ჩამონგრეულა... მოკლემდენ ი ნეფეს...

მოხშირებულად იხმარება კუთვნილებითი ნაცვალსახელები საზღვრულის შემდეგ:

ამის გულისთვინ ირეოდა მამა ამისი... დედა ემისმა იფო-

თარა... დედა ემისი მასწავლებელია... დააშორვა მამა იმისმა...
დედა ემისის ბრალია...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მისაღებად ფართოდ არის გამოყენებული -მე, -ლა და -ცა ნაწილაკების დართვა. მე ნაწილაკის დართვისას შეუხორცებელი წარმოებაც გვაქვს და შეხორცებულიც. ახალი, შეხორცებული წარმოების შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ არის ირიბ ბრუნვებში; ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ აქა-იქ სახელობითშიც ი გვხვდება:

მოკვდებოდა ვინმე ი, აბა რას იზავდა (მანდაეთი)...

შეუხორცებელი წარმოების მაგალითებია:

უნდა ეთქვა ვისმე, რომ ხანჯალი ჩემია და შენ ვინ მოქცაო...
ვიყიდი რასმე... გვეივონებ რასმე... დაგიტოვს რასმე... ფულსაც ვახთევივინდი, თუ იყიდა რასმე... ვიყიდი რასმე...

გვაქვს ნარევი წარმოება: აქ ახლა ეს დააშტერემს რასმეს...

-მე ნაწილაკი დაერთვის თანდებულის შექმნა: იქნებოდა დაქვრილი რაზემე...

კითხვით ნაცვალსახელებზე -ლა, -ცა ნაწილაკთა დართვისას ძველი სალიტერატურო ქართულის რიგი გვაქვს: ვინცაღა, რაცაღა... პროგრესული ასიმილაციის შედეგად და -ცა ნაწილაკის ა-ს მოკვეცივით მიიღება ვინცხა, რაცხა...

ვინცხა ქალს უნდოდა და შერიგებია იმა... ვინცხას ეთხრობია და დაქვწყვიტა-ლარმე...

რაცხას შიშობდენ... არი რაცხა წამალი...

რეგრესული ასიმილაციის შედეგად არის მიღებული ვინცაღა, რაცაღა, მაგრამ ამგვარი ფორმები იშვიათად გვხვდება. უფრო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულ ფორმათა კონტაშინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვინცაღა, რაცაღა.

ვინცაღა მადლიანი გაჩთა, ი გველეშაპი მოკლა... ვენაცვალე ვინცაღა არი!.. ვინცაღამ თქვა, სწორეთ ე ისეა... შეიძლება ვინცაღამ თქვას...

ვინცაღ-ვინცაღებები ჩასიძებული კიდე არიენ...

იქსაღა! რაცაღა მახე ყოფილა დაგებული... თავში მაწვა რაცაღაი... ხემწიფეს რაცაღამ გოუარა გულში... იტყვის რაცაღ-რაცაღას... აქ დაქირდა რაცაღებში...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ზოგი“ მრავლობით რიცხვს ფუძის გაორკეცებითაც აწარმოებს და კომბინირებულადაც:

¹ ს. ა. ა. და ს. ა. ა. -ს კონტაშინაციით არის ეს ფორმაც მიღებული (ამოსავალია ს. ა. ა.).

ზოგ-ზოგების ყველა გადარჩა... ზოგ-ზოგებს საბძელო აქ...

გვხვდება თავათ: მერე ქე გოუკეთა თავათ...

იხმარება სუყოლიფერი, ყველიფერი: დახვრეტას სუყოლიფერი ჯობია... ყველიფერი მყამს დასაკლავი...

წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოყენებულია -ა: ვარდენა, გენა, წყალი მომიტანე... ოთარას საქმეს რა გამოუღემს...

გვხვდება -ია მაწარმოებელიც: შოთი: (ია-ს დართვისას ბოლო-კიდური ა მოკვეცილია), თომია იყო ექანა... შოთია და გოგოტია მოდიოდნენ... დომენტია, რა თქვი ესა...

ნეტა მოზდილა იყოს... მორჩილა კონა შეკონე...

ა ხშირად არ გამოხატავს კნინობითობას, როგორც ამ მაგალითში: ჩოულობა და ანდერძაი არი აწაიჩათ...

-ია გვხვდება საზოგადო სახელებშიაც: — რა გაქ გაკვეთილათ? — კვატიაი... კვატიას ქე გაშს ისი (მანოათი)...

-ება სუფიქსის ადგილას -ობა სუფიქსიც იხმარება: ანგრეა თქმულობა, მარა ჩვენი უბედურობაა, რო არ ვიით ბევრა რამეი... უფროობითი ხარისხის გამოსახატავად გამოყენებულია უ—ე:

ამბაკო ჩემზე უხნე არ იქნება... შენზე უმაღლე ქე ვარ... კიდევ გრძელი ზღაპარი ვთქვათ? ორჯელ უგრძე იქნება ამაზე...

გვხვდება უ—ო—ც:

ჩემი სხალი უსხოა შენ სხალზე...

გაბზოვილი ქალის მშობლიური გვარის აღსანიშნავად გამოყენებულია -ურ სუფიქსი (დისიმილაციით -ულ), რომელიც იმსგავსებს წინამავალ ა-ს და ო-დ აქცევს:

რას იწმაწნები, დვალოურო (ოვალაძის ქალი)... კურტანოული ქალია ეგე (კურტანიძის)... ელიკო ჯაფაროულია (ჯაფარიძის ქალი)... მუმლაური (მუმლაძის ქალი) ხარ შენე (უასიმილაციოდ არის), ჩვენ გრიგალოური ვართ (გრიგალიშვილის ქალი)...

-იან სუფიქსის ნაცვლად ქონების აღსანიშნავად -იერ სუფიქსიც გვხვდება: ძალიან ჭკვიერი კაცი იყო... ჯანიერი ბოვშია...

ხნიერის (ხანიერი) ნაცვლად იხმარება ხოლმე ანხნე ანხნე-ვანი: ქსენია ხნეა... ხნევანი ქე ვარ და თმა არ მითეთრთება...

უქონლობისათვის გამოყენებულია უ—ურ აფიქსები: უვახშმური წვევიდა... ჩემი შვილები უსახლური არიან...

უ—ო აფიქსები გვხვდება ასეთ ფუძეებთან: გადაწყვიტეს უჩემ-შვილოთ... უმარჯეო არ ვიყავი... არ მიყვარდა უკოხტავობაი...

ადამიანის თუ ნივთის სადაურობის აღსანიშნავად - ელ სუფიქსია გამოყენებული: შ ი ნ ა უ რ ე ლ ი ხალსი მინდა... არ ვიცი, ის კაცი სადაურელი იყო... სადაურელი ხარ? — აქოურელი... მადაურელია ისიც... სადაურელი იყო ე ძროხა? — ზოდელი...

მოქმედების დროის აღსანიშნავად იხმარება ასეთი ფორმები. დათვი ჩემობას (ჩემს დროს) გამოილია... ტიტე ჩემობისად არ იქნებოდა სვერში... მისობისად არ ვიყავი მე არა... კოლიასობისას მე სხვა სოფელში ვცხოვრობდი...

შედარებისას შესაღარებელ ობიექტზე მეტის გამოსახატად - გან თანდებულიანი ნათესაობითი გამოიყენება. ეს მოვლენა შენიშნულ იქნა შინადაეზა და ბერეთისაში:

ნიანასაგან (ნიანზე მეტად) ტატინას უფრო უყვარვარ... თამარასაგან მარუსას უფრო გული მოუვიდა...

წარმომავლობისათვის ასეთი წარმოება გამოიყენება:

კოლიასანეფთან დეელია...

-ოვან სუფიქსის ო დავიწროებულია: სახელვანი კაცი იყო...

-იან სუფიქსის ნაცვლად ნახმარია ასეთი წარმოება:

სიცხარობაზე (სიცხიანობაზე) პენიცილინი ვასვი...

გვხვდება ნასიცხარებიც: დასუსტებულია ნასიცხარები...

მე — უ აფიქსები ნახმარია ამ ფუძესთან: მეხარჯე ყოფილა სერგო (ხარჯის მიმტანი)...

კომპოზიციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ფუძის გმორებისას პირველი ნაწილის ამგვარი შემოკლება: დახერვლენ ნახხხე ვარ კიქას... პატ-პატარა შინ გვაქ რამე... ქე ვიცოდი პატ-პატარა...

პატ-პატარას ანალოგიით ნახმარია ცოტ-ცოტარა: ცოტ-ცოტარა არიან ჩამოსიძებული... წრეუნდლობით კიდე ვიმუშავე ცოტ-ცოტარა... ყველამ შეიტანა პაწ-პაწიაი და წვეილეთ ცოტ-ცოტარაი...

✓ ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტური ნიშანი ვ- უ ხმოვნის წინ დაკარგულია, ძველი ქართულისა და სხვა კილო-თქმების მსგავსად:

ამას უძახით ედიშელს... მე უთხარი, მარა ვინ დაგიჯერა...

მეორე სუბიექტური და მესამე ირიბ-ობიექტური პირის ნიშნების ხმარების გარკვეული წესი არ არსებობს, ამიტომ პრეფიქსს ზოგჯერ იქ ვხვდებით, სადაც საჭირო არ არის, მაგრამ იქ არ ჩანს, სადაც უნდა

იყოს. მაგალითად, ჩვეულებრივ იხმარება „მიცა“, ერთი მხრივ, და „ესცა“ „ესტაკა“, მეორე მხრივ.

ამალამ ყანას უნდა ვესტაკოთ... ესცა საქმეს... მესცა ბლარი...

მეორე პირის ნიშნად შეგვეძლო მიგვეჩნია ს- შემდეგ შემთხვევებში:

დასწეჭი მამიდასთან... ჯვარი გესწეროს, რომ ეს ს- არ გვხვდებოდეს ასეთ მაგალითშიც: დეისწერეს პირჯვარი...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი „აქეს“, „არის“ ზმნებში, ჩვეულებრივ, დაკარგულია:

ავ კაც და ავ ამიოს ცოტა დრო აქ... ნამშრალი გაქ და სიმიდი ეილე და გაარჩიე... ეგერ არი ხელკალათა და ეილე...

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს მრავლობითის -თ სუფიქსის წინ ზოგჯერ შენახულია: ქთხომსთ, აპა რას იზამს... ვერავინ ვერ უნახამსთ სახში... ეს ხალხი გებრალებოდესთ...

აწმყოში -ენ სუფიქსი -ან სუფიქსის ადგილას იშვიათად გვხვდება: ჩემი ხალხი ყანეთში არიენ...

-ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ იხმარება:

პირველიდანვე კაათ სწავლობდენ ე ბლარები... აკეთებდენ და უხვაურათ... ქედეიმალენ, მარა მაინც მიაგნეს.

წყვეტილში გარდამავალ ზმნათა მესამე პირის მრავლობით რიცხვში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ჩვეულებრივ, -ეს იხმარება.

„ვედ“ ზმნაში, როცა იგი ბრძანებითი კილოს ფორმა არ არის, სპრეფიქსი ყოველთვის იხმარება: კაი ქენი, რომ ჩამოხვედი... რათახვედი მანდაეთში...

მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ო სუფიქსის ადგილას წყვეტილში ა-ც შეგვხვდა, ძველი ქართულის მსგავსად: რაც ცოლი შეერთა, გამოკეთთა... ითქვენი და მინდა ამ ჩემ ძმას შეერთა ცოლათა...

თემის ნიშანთა ხმარებისას ყურადღებას იქცევს -ავ სუფიქსიან ზმნათა თავისებურება:

აწმყო-მყოფადში მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირებში, ჩვეულებრივ, მესამე პირში უფრო იშვიათად, სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსის ადგილას -ამ გამოიყენება, ამის გამო ერთისა და იმავე პირის მეტყველებაშიც კი პარალელური წარმოება იჩენს თავს:

ვკლავ, მარა მაინ არ იშლის... ქვეც ვბარავთ და ქვეც ვფარავთ, თუ დაქვეირდა... ქვეც ვწამლავთ ვენახს...

მეორე მხრივ გვაქვს: ვ ხ ე დ ა მ, ჰოდის შვენიერი ქალი... უხაროდა სიკვტილი, ნ ა ვ ხ ა მ ჩემ შვილედსო (სვერი)... დ ა ვ კ ლ ა მ ამ გოქს და ჩავაყუდეფ თორნეში... საქონელს ღელეში ჩო უ რ ე კ ა მ... რათ მამპარამ, რათა... ფუჩეჩს ვინახამ საბძელში... ჩალას მოჩე-ხამთ ღღესე?..

-ავ, -ამ სუფიქსები მარტივფუძიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც გვხვდება: კ რ ი ფ ა ვ ს სულე... დროს მწერავეს... მწერამს ქმარი, რო წადი ხალიფაურშიო... ამასაც წერამ? . მაგა ქე დახვრიტამთ...

საწინააღმდეგო ვითარებაც შეინიშნება: -ამ სუფიქსის ნაცვლად -ავ არის ნახმარი:

ღვინოს ს ვ ა ვ ს, ს ვ ა ვ ს, სუყოველდღე თვრაღია... დ გ ა ვ ს სკამეიკას... დ ა ვ ა ს ხ ა ვ თ წყალს, რო მარილი ჩარეცხოს...

აწმყო-ჰყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, ჩვეულებრივ, -ავ სუფიქსის ადგილას -ევ იხმარება, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს სათანადო ნარკვევშიც, როცა საჩხერის რაიონის სოფ. პერევის მცხოვრებთა მეტყველებას ვიხილავდით.¹

დავასახელოთ მაგალითები:

სიმიტს ეიღებენ, აქ ჩალიანა კრიან, მოჩეხევეენ, ფუჩეჩს ინახევეენ საბძელში, ჩალას აკონევეენ... აქ შერასაც თესევეენ... კითხევეენ, რახე არის ესიო... ქალები ბარევეენ, აპა... ვენახს კაცები რწყევეენ... ან მუხას დარგევეენ, ან ეკლი ხეს... ტყეს ყველგან რგევეენ და უვლიან... მიწას გაზაფხულზე მოხნევეენ... ჩალას დაზვიინევეენ... ახლა დათვს არკლევეენ... მიწას დაფარცხევეენ... წიკევეენ ისევე... სახლს ხურევეენ... დ ა გ ძ რ ა ხ ე ვ ე ე ნ... ხორცს ხარშევეენ...

-ევ გვხვდება -ამ სუფიქსიან ზმნებშიც: თივას არ დგევეენ... სმევეენ... ჩალას ზვინათ და დგევეენ... თუ გაზღიან, კაის იზევეენ...

ასეთ შემთხვევაში იშვიათად -ემ-ც შეგვხვდა:

ურმეულს და დგემენ... ორ უღელს რო დოუბემენ, ხეს დოუბემენ ერთ უღელს (მანდაეთი)...

იქა-აქ -ავ სუფიქსიც გამოიყენება: და ს ვ ა ვ ე ე ნ პურს ცხელ კეცზე... ნეტა, რას იზავენ კაცები... ღვინოს კურში ჩაასხავენ...

მეტად იშვიათად -ამ, -ავ სუფიქსები შეკუმშულიც გვხვდება: ვენახს ქალები არ რწყევენ... ღვინოს ყელში ჩაასხმენ...

¹ ქ. ძოწენიძე, -ევ სუფიქსისათვის ზემოიპერულში (სოფელ პერევის მეტაველებაზე დაკვირვების მიხედვით), ქუთ. პედ. ინსტ. შრ. X, 1950-1951, ვვ. 51-58.

უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნაკეთებში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნებისათვის -ევ-დ, ემ-დ ტიპის წარმოებაა დამახასიათებელი. უნიფიკაციის შედეგად უშირატესად -ემ-დ იზიარება, რის გამოც -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები, აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის მსგავსად, არც აქ არის გარჩეული:

ბავშათ გამოსულს ველარ ნახევდი უკეთესს... იქ იკლევდა მერე თავს... აღარ ზოგევდენ ერთმანეთს სასიკვდილოთ...

მაგრამ: კაქკას ვზიდემდი ხუთ შაურათ... უკეთეს კაცს ვერ ნახემდი... ვარყას მოვსარშემდით, შევეწვემდით... კვალს მიყვებოდენ, თვარა დაფანტემდენ... უშალ ქალები ხელაქმობდენ: ქვეც ქსომდენ, ქვეც ართემდენ, ქვეც კერემდენ... იმდენხან სარშემდენ, სანამ არ გათეთრდებოდა. მწვანე გამოდიოდა, თუ კაათ არ მოხარშემდი... მანდათლებს ძრახემდენ შუქრუთალები: „ძიელ“ იციანო... შავ ქვას ცხენებით წიკემდენ... ტყუილ ფიცს ვერ ბედემდენ...

თავნი ვირტყემდი ხელს... ღვინოს ვსვემდი... შეწუხთა ვენადი: მე რავა გიზემდი მაგასო... შენ რო საქმელს მიდგემდი, ის მაყმაყოფილებდა მეო... ჩემი კაცი და მე ბარტყეფს გადმოსხემდით და წამევიყვანდით... კუთხეებით მიიბემდენ, მერე უსვემდენ ბადეს წყალში... შიდიოდა და მოდიოდა სამსე სტაქნები და სვემდენ... გამოგაბემდენ მეორე წყება თვალეფს...

-ავ სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნწკრივებში უსუფიქსოდაც გვხვდება:

დევი ნახდი სადმე... ჩემი დედამთილი მობოქდა შეშას, ღამე ქვე ართემდა... ვერც გარეცხთა, ვერც დახვეტდა, ვერც ღორს მოუვლიდა... სასამართლო კი არ ზოგდა მაგათ, კანუნში (ასეც იხმარება, დისიმილაციის გარეშე) ატარებდა... შევი ნახთით ყველიფერს... შერეკდა... დავთესთით სელს... ჯერ უნდა დეერთოთ და მერე მოხარშდენ... ჩეხდენ ტყეფს, მატყლს ჩეხდენ...

ცხადია, უსუფიქსო უწყვეტლისათვის ამოსავალი უსუფიქსო აწმყო უნდა იყოს: გაზაფხულზე მოხნევენ და თესენ, კაცო...

ასლა ქალები უფრო ლობიოს ბარდენ (მეტწილად იხმარება: ბარდევენ)...

უსუფიქსო მიმღობებიც გვხვდება: დაწყილი, ანთილი, გავოძახილი, დაძახილი, დატოვილი, გამზადილი...

-ამიანი ზმნების ენებითების წარმოებისას არქაულ ფორმებსაც გვხვდებით: ხელნას აქ გაკეთებული სარკიო. საღანაც ხარები ებმის...

გამოვარდება თებზი და გ ე ე მ ბ ის შიდა... სიცივეში თავბრუ მე ს ხ-
მ ის... ზეინი არ დე ი დ გ მ ის...

ეს მოვლენა დასტურდება მანდაეთსა და მომდევნო სოფლებშიც.
სხვა თემის ნიშნების ხმარების დროსაც ვხვდებით თავისებურე-
ბებს:

- ევ სუფიქსის ადგილას უპირატესად -ემ იხმარება:
და ვ ლ ე მ და ამომწიყე... ხილს ვ ა ქ მ ე მ ეთერას...
- ემ არის ამ შემთხვევაშიაც: ქვა დ ე მ ს წყალში...
- ოვ-ომ: თ ო მ ს... მ ა ხ ს ო მ ს...

-ებ სუფიქსის ნაცვლად ი არის გამოყენებული:
საქმელს არ ა ძ ა ლ ის... იმასაც ა ბ რ ა ლ ი დ ე ნ... მუშა ყამლა
ექიმს და სადილს ა მ ზ ა დ ი დ ე ნ...

- ვერ ნაწილაკია გამოყენებული არ ნაწილაკის ნაცვლად:
ზღაპრები ვ ე რ ვ ი ც ი... ე პური ვ ე რ მომწონს...

-ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში
იხმარება -ევ-ი-ც. სვერში -ევ-ი-ანი ფორმა მხოლოდ „დავრგე“
ზმნასთან შეგვხვდა (და ვ რ გ ე ე ი), სხვა სოფლებში კი მისი ხმარება
უფრო მოხშირებულია. მანდაეთში ერთ-ერთი მთქმელი ამბობდა: ვუკ-
ვირდები ჩემს ლაპარაკს და ევ-იან ფორმებს არ ვხმარობო, მაგრამ მა-
ინც „წამოსცდებოდა“.

მაგალითები:

იხვები დ ე ვ ი ქ ი რ ე ვ ი ვენახში... თორმეტი წელიწადი და ვ თ-
მ ე ვ ი საქმელი, მოძვის კისელს ვაკეთებდი მარტვა... გ ო უ ლ ე ვ ი
სისხლი იმის ქალსაც... შენ რო ბ რ ძ ა ნ ე ე ი: ვერ ხვდება ნინაი და ამ-
ბოფსო, უკვირდები, ვხვდები და ვანებუფ თავსა (და მაინც თქვა:
ბ რ ძ ა ნ ე ე ი -ო)... ათი გრამი სტრეპტომიციინი გ ო უ კ ე თ ე ვ ი...
ვ თ ხ ო ვ ე ვ ი ხე, ისე არ მოჰიჭრია... კარები იყო დაკეტილი და დაძა-
ხილი ვერ გ ე ვ ი გ ე ვ ი... ნერგები და ვ რ გ ე ვ ი თ... ლორი წ ე ვ ი ყ-
ვ ა ნ ე ვ ი თ დასამბავათ... წუხელისა თფილა წყალი და ლ ი ე ვ ი?...
ცოლი შე ი რ თ ე ვ ი... ციკო და ბებია, ჭ ა მ ე ვ ი თ... დანასა წ ე-
ვ ი დ ე ვ ი თ, გოგო...

-ო სუფიქსიან ზმნათა ანალოგიით კავშირებით მეორეში ე-ს ადგი-
ლას ო გვხვდება:

სასამართლომ დაგიბარაო, უნდა მ ი ხ ვ ი დ ო იქაო... უნდა წ ა მ ე-
ვ ი დ ო ნ მალლა... რო უნდა ე ვ ი დ ო ნ, აღარავინ არი... იქით ველარ
წავლიან, უნდა და ბ რ უ ნ დ ო ნ... უნდა და ა კ ე ტ ო ნ ამ ოთხ ბოვშს
(სვერი)... ნეტა დაწოლილი არ და ქ ე ხ თ ო ნ... აპა, ვთხოვო, თვარ
მ ო მ ც ო ნ... რო მ ო ქ ე ტ ო ნ ი რკინაიო, იმაზე დადევ ი თმაიო...

იკაცი რო ამბოფს, ადგონ და მიწერონ... ნეტა გაჩერდონ... ის ამბოფს, პატარა ოთახი მამცონო...

-ო კავშირებით პირველშიც არის ნახნარი:

რო არ ისვამდონ, არ იქნება... რო რამეს აძლევედონ, კაი შენე... ახლა რო აკეთებდონ, კაი... ყურძნის წვენს მან მოგვიტანდონ... ერთ სავალდებულო ენას რო შემოიღებდონ...

-ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობითი პირველი -ია დაბოლოებანიც გვხვდება: მოუკლია ი შუაკაცი... არ უთქვია არაფერი (იხმარება „უთხრობიაც“).

უფრო ხშირად თურმეობითი პირველი ნ-ია დაბოლოებით გვხვდება:

მოდის ყმაწილი ბიჭი იქიდანა, ხეზე ჯია, ბუზიკა უყიდნია... ისე წამევედი იქიდანა, სვერში ექიმი არ მინახნია (მანდაეთი)... მე ასე მინახნია მამიჩემისაგან (იქვე)...

გვხვდება თურმეობითი პირველის ნა-პრეფიქსიანი წარმოებაც:

საიდან მონავლებულა ნეტა ჩემი სტუმარი... ეგერ მინავლებულა და დაცემულა...

თურმეობით პირველში ასეთი ფორმაც გვხვდება: „მიქონებით“... ნარიანი გვხვდება თურმეობითი მეორეც:

შეეძლო ქუთაიში ეყიდნაკაცს ადგილა... გვინდოდა, რო გვეყიდნა... აოაფრით არ გავჩერდებოდი, უნდა წამომეძახნა... გეგხადნა...

თურმეობითი პირველის „უთხრობია“ ზმნის ანალოგიით იხმარება ეთხრობია.

ნარიანი კავშირებითი მესამეც შეგვხვდა: მეც გადამეხადეოს სქვენი პატივისცემა...

შუალობითი კონტაქტის -ინ სუფიქსი, ჩვეულებრივ, გამარტივებულია ნ თანხმოვანი ილემენტის ჩამოცილებათ, როგორც ეს იმერული კილოსთვისაა საერთოდ დამახასიათებელი.

თავისებური ზმნები

ხირის — ხირიდა — სროღის. სვრიდა, მარა ვერ დაქრა... სროღეს ერთმანეთს და წევიდენ...

შოწმირებულია შიმოღობითი წარმოების ზმნები: აქ დაქირდა რაძოსეჟსა, სეჟსაჟსაჟ სწავლულოფს...

ანალოგიური წარმოება: იმათში სიმტკიცეს ვერ პონილოფს... ვერაფერს ვერ ტანულოფს... ძალას ხმარულობენ... ისინი ხედულობდენ, რო ვმუშაობდი...

მონაცვლეობა გვაქვს გვარების მიხედვით: თვრალს სულ ვერ ტახოფს... თავის გულს ატტება, რო ყუროფს... ვერ ვთფე-

ნოფ... კიდევ ეს ექიმობა გვევლეოფს... მას მეტს არავის კარობენ...

ვნებობის ტიპია შეცვლილი: სიცხარობა ჯობია ამ წვიმეთს, დავეწინწღისულ...

„ზის“ და „სხედს“ არ იხმარება, ორივე შემთხვევაში „ჯი“ ფუძე გამოიყენება: დედ-მამა აგერ მიჯის გვერთში (სვერი)... კაცი ჯის სტოლის თავში... ეგერ ჯია (სვერი)... აქეთ ის კაცი ჯდია, შუაში ვჯდოვარ მე... აგერ ვჯდოვართ (მანდაეთი)... რო ჯიხარს ისე გადმოქჩერებივართ... ზედ ჯიხარ... ისინი ქე ჯიან იქანა (სვერი)...

„წვანან“, „ჩანან“, „ღვანან“ ზმნები ავგვარად არის ნახმარი: სტუმრები წევრან... კაცები დგარან და მოჩამრან...

ეს უკანასკნელი ზმნა მხოლოდობითაც მს გამოავლენს; აგერ ჩამს... არ ჩამდა (სვერი)... მუხის ზორტები წყალში ახლაც ჩამს (წყალშავი)...

მრავლობითში გვხვდება აგრეთვე „ჩარან“.

მიმღობიდან ნაწარმოები უნდა იყოს ამ ზმნის ფორმა, რომელიც მანდაეთში გავიგონეთ: დეიდაშენი რატო არსა ჩდარა... ჭემალს უყურებდი და არსა ჩდარა (ამოსავალი ჩანს „მ-ჩდარ“-ი).

„ჩანს“ ზმნის მნიშვნელობით ხშირად იხმარება „იხედება“. შინც აღარ იხედება ცალი სანდალი და ველარ გიბონი, რო დეიკარქოს... ეგერა იხედება ქალები, ყანაში...

„მყვანან“ ზმნის პარალელურად გვხვდება „მყავრან“: სურამში დისწულები მყავრან, პაპიას მიძახოდენ... ძვიშვილები მყავრან საყოლში...

უწყვეტელში -დ სუფიქსის გვერდით არის -ოდ სუფიქსიც: რაპვი ზმოდო (ვიზამოდი → ვიზმოდი)...

„მინდა“ ზმნა გვხვდება ავგვარადაც: არ მინა... მინოდა.

-ი სუფიქსი შენახულია ზმნებში: მოვიშორიფე ხვალ იმა... მოვიცილიესი ბაჭი... შეიძულეს ერთმანეთი...

შეუკუმშავად არის ნახმარი პირველ სერიაში ვნებითი გვარის ეს ზმნა: არილალებოდი...

„ეთანხმება“ ზმნის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, იხმარება ეთანახმება, ე. ი. ფუძე აქაც შეუკუმშავია (ამოსავალია „თანახმა“):

ზოგს ეთანახმება, რო არ დეეთანახმოს, ყვირის.

„სიახლოვეა“ ამოსავალი ზმნისათვის მოსიახლოვდა: მოსიახლოვებულხარ... ხოლო მასდარისაგან „ძახილი“ ჩანს მიღებული დავაძახილებიე: დავაძახილებიეფ ელენას...

გლახა სახელია ელენა, გლახა დასაძახილებელია... დასაძახილებლათ ჩვევდი...

„ნაყილა“ უნდა მივიჩნიოთ საყრდენად აშკვარი წარმოებისთვის: სხვა რამე წერიმანს მევინაყოდეფ...

„გადირქვა“ არის ამოსავალი ზმნისათვის „გედირქვიანეს“: იმათ გედირქვიანეს გვარი (ბერეთისა)...

„კერაეს“ ზმნის მნიშვნელობით ხშირად იხმარება „კერაოფს“: მაშინასთან იჭდა და კერაობდა...

აქედან არის ნაწარმოები საწყისი „კერაობა“: ნინამ კერაობა იცის...

საერთოდ, თავისებურება შეიძინევა ნაზმნარ სახელთა წარმოება-შიც: „დევენას“ ბადლად ნახმარია ზოგჯერ „დევილი“: დოუწყებლად დევილსა.

„მისვლა-მოსვლის“ მნიშვნელობით ნახმარია „მიდივილ-მოდვილი“: ბევრი მიდივილ-მოდვილი იყო... ბევრმა მიდივილ-მოდვილმა დრო წამართვა...

„თვალერების“ მნიშვნელობა აქვს „თვალერს“: დევმა დეიწყო თვალერი... „ხეწნა“ საწყისის ტოლი ოდენობაა „ხეერწილი“. ყურადღებას იპყრობს სხვა სახელზმნებიც:

ალარ იქნა საშველებელი... ჩემი სამტირალი შეშა... ეს ვაშლი მოჰაწონარი რაჟე იყო...

ესაა ყუყუნაი, გათხოვებული (მანდაეთი)...

ქმარი ყამდა მისთანა უწყენი, რო არავის არ ახსომს მისი ნაწყენობა (სვერი)...

რა ურიდალია ექალი... ნაუბედურალია...

მო - ზმნისწინი ხშირად მა-ს იძლევა, როცა მას მთანხმოვანი მოსდეგს (ზოგჯერ უცვლელადაც არის დატოვებული):

მამსპევი ახლა შენ მე... დუხუნა მამეხმარა და არ უთქვია უმადურობაი... ან უნდა მამკლა, ან უნდა მოგკლა... მოდი, ბიჭო, ფათქა (თუნუქის ლამბაქი) მამიტანე... მამპარა ამ კაცმა... ბეზიას გამამცხვარმა პურმა ცხრა თას გადალმა პირი დამწვია...

შე - ზმნისწინი, თუ მას „მო“ დაერთვის, შა-ს იძლევა ზოგჯერ: შამეიკრა ამ კაცმა თავში ხელი... შამეიყვანა ძაღლი...

ზმნისწინების მონაცვლეობაც გვაქვს:

შერიღებულია ახლა იგი, შენ რო ხარ... ვინცხა ქალს უნდოდა და შერიღებია იმა... თუ მოწვიმდება, ახლა რავო ვქნა...

ფორმაუცვლელი სიტყვები. პირველადი ზმნიხედებიდან ფართოდ

არის გამოყენებული აქა და ამის ანალოგიით იქა, აქ და იქ ზმნიზედების გვერდით:

რავა ფალვანდი გაჰიკეთე აქა... აქა დაუნამყენებელი მამულები უყუენ... გაზი აქა ც არი, მავერას არი... მე რო ვიყავი იქა, გახსომს... დათიკოი და ემელიონი იყო იქა წასული...

ეს ზმნიზედები ნა ნაწილაკდართულიც გვხვდება: აქანა რავა უნდა გვეიდოს ველია... მისთანა არავინ არ იყო აქანა...

აქმევენ იქანა, ლელეში, ძროხეფს... ე იქანა რო გავყვივ, ზო დეინახე გუშან...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება „ექანა“ („მაქანა“ არ იხმარება), ექა:

გაალავე ექა... ექაც დადიოდა ხომე და სხვაგანაც... არუჩქენს ეზო ექანა... კვახ შინ გავაკეთეფ ექანა... ზაქარის ექანა ვახელებდით ჩვენე... სკამი არი ექანა...

ეს ზმნიზედები ხშირად ს დართულიც გვხვდება, ს-ს შემდეგ შეიძლება იყოს ა-ც. განსაკუთრებით მანდაეთსა და ბერეთისაში არის ასეთი დაბოლოებით, წყალშავშიც ეგრევე იხმარება, სვერში კი უფრო ა-ს გარეშეა.

ოთხი სოფელი იყო აქანას... მაკარაი დააწერიეფს აქანას... ი ბოვშები ხე'არავინ არიან აქანასაო... იქანას არი ექიმი... ეიყვანე ექანას...

„აქაურის“, „იქაურის“ მნიშვნელობით გვხვდება „აქის“, „იქის“: ამას უნდა აქის ლაპარაკი... იქის მასწავლებელია...

იხმარება ასეც: შენც აქით ის ნატეხი რო ხარ, გეტყობა...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ნაირნაირი ვარიანტები: მადანა || მანა || მადა || მად:

მადანა დემს... მადანა დაყარე, მადანა... მად არი, მადა... მანა პურის ჭამა იციან...

ს- დართულიც გვხვდება:

მადანას ერთი გადასასვლეელია... აგერ არი, მანანას...

დასტურდება „მადერ“ ზმნიზედაც:

მადერ იყო ი გოგო... ეილე, მადერ არი...

„მანდედან“ ზმნიზედის მნიშვნელობით ნახმარია: გადასახდენ მადიდან... თელათ შიდის მაიდან?... მეიტანე მაიდანო... (სვერი).

იხმარება „აგერას“: აგერას ვთქვი ახლა მე... ესე აგერას იყო...

„საითენ“ || „საით“ ზმნიზედების სახეცვლილებებია: სილეო მიღიხარ... სიეთ იყავი შენე... მადით რა გინდოდა, სიეთ უნდა წასულაყავი, არ იცოდი?... სადეთ ბარდამთ ლობიოს...

ზმნიზედა „სად“ იხმარება ასეც: სა დ ა ნ ა აკოცე... სა დ ა ნ ა
დაჯდე, აჰა!.. მაჩვენეთ, სა დ ა ნ ა მოკლეს...

აქედანაა ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედები: დარისპანთან მი-
კიდენ, სა დ ა ნ ა ც არ იყვენ ესენი... პერფორაცი სა დ ა ნ ა ს ა ც
მოუხთა, გაკერეს (სვერი)... სა ა ნ ა ც გეტყვი, გაჩერდი იქა...

„ძლიერ“ ზმნიზედა გვხვდება მეტათეზისმომხდარიც: „ძრიელ“.
მანდაეთში, წყალშავსა და ბერეთისაში იხმარება „ძიელ“ ზმნიზედაც.
ასევე — „ძაან“, „ძალიანი“, „ძალიანა“:

ძ რ ი ე ლ სუსტად არ ვიყაი... ძ ი ე ლ მტკივა თვალები... ტუნელი
ახლოს იყო ძ ა ლ ი ა ნ ი... გალახა ძ ა ლ ი ა ნ ა... ძ ა ა ნ მეცხეთა (მე-
ოცა), ი გლახა საქმე რო გევიგონე...

„ძლივს“ გვხვდება ამგვარად: ბღღვირი რო იყო, სულ ძ ლ ი ვ ვით-
ქვამდი... ძ ლ ი ვ ა თ ი გავაკეთე... ძ ლ ი ვ ი ს ი თ ვაწვალე... ბოვშათ
ვიყავი, ძ რ ი ვ ა ს მახსომს (სვერი)...

გაორკეცებული იხმარება „ისევ“ ზმნიზედა: „ისევ-ისევ“, „ისევ-
ისე“: ის ე ვ-ის ე ვ წვეიდა... ის ე ვ-ის ე გავვიხთა ავით...

„რატომ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება „რათა“: გეიარა
რამოდენიმე ხანმა, გაცოცხთა. რ ა თ გამაცოცხლე? რ ა თ ა, რ ა თ ა?..
— შეგაწუხეთ! — რ ა თ ა, ბიძია, რ ა თ ა?..

გვხვდება ჩქარე ოთხივე სოფელში: მოდი ჩქარე... შამშეც ჩქა-
რე გამეიქვა... ჩქარე, დედიკო, ჩქარე... ცოტ-ცოტარა რო გვეზი-
და, ჩქარე ამევიდოდით...

„სულე“ სვერში იხმარება. „სულა“, ა დართული, უფრო მანდაეთსა
და ბერეთისაშია: ეშინია, რო გათქვას და გადაკარქა ს უ ლ ე... მივედი,
კედირია ს უ ლ ე... საჩხერეში ყიდულობენ ს უ ლ ა.. დახერა ე ბიჭი
ს უ ლ ა...

ჭიათურის რაიონის ცენტრალურ სოფლებში უფრო ხშირად, მთის
სოფლებში შედარებით ნაკლებ ე დართული გვხვდება არა მარტო
ზმნიზედები, ნაწილაკებიც კი:

ვერ ჩავა ძ ი რ ს ე... აპორტყინდი ზ ე დ ე... იყავი ჩ უ მ ე თ... არ ვი-
ცი ჯ ე რ ე...

დალაულელია დ ღ ე ს ე... ჩალა არ ავკონოთ დ ღ ე ს ე?..

ჩაის სტაქანს დავლევ ღვინოზ ზომე, მეტს არ ვსვამ, ხ ა ნ ე არც
იმას ვსვამ (ბერეთისა)...

გრიგოლი სახშია? — კ ი ე... მიღიხარ გასვენებაში? — კ ი ე (ბერე-
თისა)...

„ყე“-ს ზო ხმარობენ აქ — კ ი ე (სვერა)...

„მაგრამ“ კავშირი გვხვდება მარამა, მარამ, მარა-ს სახით:

იმა არ ვითხოვდი, მ ა რ ა მ ა ძაან კაი ქალია... გელი ავი მოსაყ-

ლავია, მარამ, თოვლი დიდი თუ მევიდა, ველარ წაგვივა... ყველა-
ფერს შექპირდი, მარა დღეს შენ მეჩხუბებიო...

თუ-არა-მა—თვარამ-თვარამა:

მამა გიყვარდეს, თვარამა ნინა გვერძე დაქრჩებო... არ ვარ-
გა ჩემი სიძეი, თვარამ არ მოგაქრევიებდა ხესაო...

სანამ || სანემ || სანობამდი:

სანემ დი ის არ მოვა, მანემდი უნდა იყოო... სანობამ დი
შეძლეფ, უნდა აკეთო...

ჩაკის მნიშვნელობით გვხვდება რაღაი: ვაქიშვილი რაღაი ცოლს
შეირთამს, შენ აღარ დაგეძეფს... ღორმა რაღაი პური დეინახა, სულ
არ მიეკარა კვანხა... რაღაი დეინახა ახალი სკამი, დაჯდა...

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოიყენება რაი-ც: რაი დე-
იწყეფ ჭამას, უნდა ჭამო...

იშვითად იხმარება „როიცა“: დაანება თავი, როიცა რომა შახ-
ში შამამტანი არ გვყამდა..

იხმარება გაოცება-დადასტურების ნაწილაკი აჰა, მამა, ბერეთისაში
მა-ც; შეგვხვდა მა აჰა-ც:

ღვინო გაქვთ კიდე? — ე. აჰა... ყანაში იყავი? — მაჰა! შე.
ძაღლო, ცოცხალი ხარ შენეო? შეუხელდახელდა, მაჰა!..

ვენახი მოკრიფეთ? — მა! ქელეხი იციო? — მა!

წყალი შეიტანეთ — მა აჰა!..

კინაღამ ნაწილაკის მნიშვნელობით გამოყენებულია ღარმე: სარ-
ეში რო ჩევიხედე, გედვეირიე-ღარმე... ამ კაცმა მომკლა-ღარმე...
მოყევიე-ღარმე მაშინის ქვეშ...

ყოველგვარ წინადადებაში გვხვდება დადასტურებითი ქვე ნაწი-
ლაკი, იხმარება ქე-ც:

რო გოუქირდება, ქვეც დეიხურამს და ქვეც იელის იპითი...
ომიანობის დროს ქალები ქვეც თესდენ, ქვეც ბარემდენ...

გაჩერდი, მაინ ქე მეზარება მუშაობაი... მე ქე უნდა ვიმუშაო...

გამოყენებულია მიმართვისას „გენა“ (გენაცვალე), რომელიც სვერ-
ში არ გავვიგონია, ამბობენ, არ ვხმარობთო:

წადი, გენა. საქონელი მორეკე... დევილუპეთ, გენა. წვილა
ჩვენი სიყოიე...

სინტაქსური მოვლენები ✓

ჩაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული სიტყვა მრავ-
ლობით რიცხვშიც გვხვდება: ორივე კოჭები ფეხზე დადგენ...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმებას აზრობრივი

ხასიათიც აქვს: ს უ ყ ვ ე ლ ა ტ ი რ ო დ ე ნ... ამ სხვა კოლმეურნეობის
ხ ა ლ ხ მ ა მ ი თ ხ რ ე ს...

სევრში აქა-იქ - ყუ ნაწილაკიც იხმარება, ოღონდ მხოლოდ მოხუც-
თა მეტყველებებში. იგი გადაშენებისათვის არის განწირული: მისი
სმარება ეჩითირებათ და გაურბიან.

-ყუ შეგვხვდა შემდეგ შემთხვევებში:

შვილები და ვზარდეყუ... გაყვევიყუ იმათ, კაკალ რო რეყუ-
ვენ... ჭაფარიძეებს ბევრი ბოვშები ყამსყუ... ფული ყველას უყ-
ვარსყუ...

სიტყვის მასალად ლაპარაკის ღრთს. კობრაულის მსგავსად, იხ-
მარება „იმა ქნა“: გარბილი, იმა ქნა, დესუნამ დაქრა... ი ფულით
უნდა, იმა ექნათ, სახლი ავაშენოთ ჩვენე...

დასკვნისათვის. ჩანს, ზოგი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლე-
ნა სპეციფიკურია ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველები-
სათვის, მაგრამ. სანამ ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება
ლიალექტოლოგიური თვალსაზრისით მთლიანად არ არის შესწავ-
ლილი და სხვა კილოების ნიშანდობლივ მონაცემებთან შეპირისპირე-
ბული; თავისებურებათა ზუსტი კვალიფიკაცია გაჭირდება.

1959 წ.

II ნ ა კ ვ ე თ ი¹

ზემოჩემრული მეტყველების არეს ზემო იმერეთი. ე. ი. საჩხერის.
ჭიათურის, ორჯონიკიძისა და ზესტაფონის რაიონები წარმოადგინს².

ამ ნაშრომში გაანალიზებულია ის მასალა, რომელიც შეკრებილია
ჭიათურის რაიონის სოფლებში: მორძგვეთში (კიცხ-სალიეთის სასოფ-
ლო საბჭო), საკურწეში (ქვაციხის სასოფლო საბჭო). რგანში (რგა-
ნის სასოფლო საბჭო), ხვაშითში, ზედა ქალოვანში (ქალოვანის სასოფ-
ლო საბჭო), შუქრუთსა (პერევესის სასოფლო საბჭო) და გეზრულში
(გეზრულის სასოფლო საბჭო).

დასახელებულ სოფელთა მეტყველება ძირითადად ხასიათდება
იმ ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით, რაც ამავე რაიონის
სხვა სოფლების მეტყველების შესწავლის შედეგად იქნა გამოვ-
ლენილი და სპეციალურ ნარკვევში განხილული. ამიტომ ჩვენ გამე-
ორების თავიდან ასაცალებლად მხოლოდ აღწერილი ანალიზით დავ-
კმაყოფილდებით: შევეცდებით აღვუხსნოთ და დავაჯგუფოთ ზემო-
დასახელებულ სოფლებში შემჩნეული ენობრივი ნიშანდობლივობა-

¹ დაბეჭდილია ქეთ. პედ. ინსტ. შრომებში, ტ. XXIII, 1961, გვ. 375-392.

² გ. გველესიანი. ზემო იმერეთის ზოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული
დახასიათება. ენსუშტის სსს. გეოგრაფიას ინსტიტუტის შრომები, 1959, გვ. 3.

ნი. ამ ნიშანდობლივობათა სათანადოდ კვალიფიკაცია, ზველ და ახალ სალიტერატურო ქართულთან და ქართული ენის კილო-თქმებთან საერთო თუ განსხვავებული მონაცემების წარმოჩენა და დადგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ზემო იმერეთის ყველა რაიონის მიხედვით გამოვლინდება ზემოიმერულის ნიშნეულებანი.

ე. ი. მთლიანად შეისწავლება ზემოიმერული კილოკავი.

ბ გ ე რ ი თ ი შე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ ჩვენ მიერ შესწავლილი სოფლების მეტყველებას სალიტერატურო ქართულისაგან განასხვავებს ბოლოხმოვნიან სახელთა სახელობითში გადმონაშობს სახით შემორჩენილი . უმარცვლო უ (უ) და ო , რომელიც გაკვირვების შორისდებულის თავში გვხვდება: რო გამოვქვეულოყავი, უარესს მიზემდა, ო მ ე , რა გეგონა, აჰა... ვარ იქა, საწინახლები საცა ვეეღვა. ო მ ე , ამოუხეთქია დაგნესილ ქურს...

ამ სოფლების მეტყველებას ჭიათურის რაიონის ღანაჩენის სოფლების მეტყველებასთან ფონეტიკის ხაზით საერთო აქვს მეტათეზისის, ბგერათა შენაცვლების, დაკარგვისა და განვითარების მოვლენები. დისიმილაციისა და ასიმილაციის მოქმედების ფარგლები.

წყველაზე გავრცელებულ ფონეტიკურ მოვლენას ასიმილაცია წარმოადგენს. ასიმილაცია თანხმოვნებშიც გვხვდება და ხმოვნებშიც. ხმოვნებში რეგრესული ასიმილაცია დასტურდება უპირატესად, თანხმოვნებში კი პროგრესული ასიმილაცია შეიმჩნევა და რეგრესულიც. თუმცა ეს უკანასკნელი სჭარბობს პირველს.

პროგრესული ასიმილაციის შემთხვევაში გამვლენელი, ჩვიულებრივ, ყრუ ბგერაა, რომელიც ნაწილობრივ იმსგავსებს მომდევნო მკლერ ბგერას: წ ი ფ თ ე ბ ა , უ ჩ თ ე ბ ა , გ ა ჩ თ ა , გ ა მ ო ჩ თ ა . შე უ ჩ თ ე ნ , მ ო ჩ ო ჩ თ ა , მ ო ხ უ ც თ ა , დ ა მ ტ კ ი ც თ ა , მ ო თ ა ვ ხ თ ა , ვ ი ნ ც ხ ა , რ ა ც ხ ა , რ ო ი ც ხ ა . ს ი ც ხ ა ი დ ა ნ . გ ა ს უ ჭ ო ა . გ ა მ ა რ თ ლ თ ა , ჩ ა ფ ი ქ რ თ ა , ხ ფ ო . დ ა მ ა რ ც ხ თ ა , მ ო ვ ჩ ე ხ თ ი თ , შ ა მ ო ხ ე თ ე რ ო დ ა ...

როგორც ჩანს, ასიმილაციას არ აბრკოლებს სონორი თანხმოვნები და კბილბაგისმიერი ვ.

საგულისხმოა. რომ დასახელებული სოფლებისათვის თითქმის ერთნაირად არის დამახასიათებელი თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, როცა გამვლენელი ბგერა ყრუ ფშვინვიერი ან ყრუ სპირანტი: მაგრამ, როცა გამვლენელი აბრუპტივია, მაშინ პროცესი მერყეოჰს და ასიმილირებული ფორმების გვერდით უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება.

შეგალითად, მორბევეთსა და საკურწეში უპირატესად თუ ასიმილირებული ფორმები იხმარება (კპილი. ტკპილი, სატკპილი,

კენა, უკინე, გაკტება, გასკტა, დაწტა, სჟყტარი.
წეხან, მოკეტა, შეაკეტა, კეტარ-ცოცხალი, სიკ-
ვტილობა), ხვაშითისა და შუქრუთის მეტყველებისათვის, შეიძ-
ლება ითქვას, გვრულისთვისაც, ასეთ შემთხვევაში ნიშანდობლივი
უასიმილაციო ფორმები უფროა.

პროგრესული ასიმილაციის დროს დამსგავსება თუ მეღერის დაყ-
რუებაში მდგომარეობს, რეგრესული ასიმილაციის შედეგი თანხმოვ-
ნის გაყრუება ან გამჟღერებაა, რადგანაც თანხმოვანთა ასიმილაციის
ასეთ შემთხვევაში გამვლენელი შეიძლება ყრუ ბგერაც იყოს და მეღე-
რიც. დამსგავსება წარმოების ადგილის მიხედვითაც ხდება: ფხალი,
ნეფსი, აფხანაკი (|| აფხანიკი)... ახტქმა, ახტქმული,
ახსარება, ბახჩა... ხითს, სიმითს... აყენეფს ცხოვ-
როფს... კტვერი, მოპყრობა, დამაპრკოლა, საპქო.
ქვეწკნელი, პქყალები, ტეპეშა... მოახწია, ახწე-
რა...

შაშა, შაშია, შაშველი, შაშველათ, შაშუალო,
შახში... ყიყვი, ყმაყოფილი, როპაპი (როკაპი)...

მიზღემს. ზდია, მზგამსი, დამზგამსებული, ოზ-
დაერთი, ორმოზდაათი... ვინძალა, რაძალა, საძალა...

მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ და მრავლობითში პირველი
ობიექტური პირის ნიშნისეული გ ასიმილაციის შედეგად ყრუვდება:

ქთხომს. მოქქონდა, მოქცა, მოქვხედამს...

ქინძარება იქაც, სადაც გამვლენელი ბგერის მიხედვით მოსალოდ-
ნელი იყო აბრუპტივი: მაგალითად, ქყამს, მოქკლამ, წამმოქ-
ყობი, შექქამენ'...

ზმოვნებს შორის, სხვა კილო-თქმების მსგავსად, რეგრესული ასი-
მილაცია დასტურდება მეტწილად. ამ შემთხვევაში ასიმილატორი
ჩვეულებრივ ფუძისეული ვ, ი და უ ხმოვნებია, ასიმილირებული კ—
ზმნისწინისეული ხმოვნები.

აე—ეე. დამსგავსება ლიოზის მიხედვით ხდება. ფართო, ნეიტრა-
ლური ა ე-ს გავლენით საშუალო რიგის წინა არტიკულაციის ხმოვნად
იქცევა და, ბუნებრივია, ასიმილაციაც სრულია: ეეკიდა... დე-
ეკარქა... ჩეევლო... წეეფხოკიალებიათ... გემეტანე-

¹ კ. კუბლაშვილი, ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ
კილოებში, სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერი), 1958, გვ. 152.

პი ა... გე გენ ცხალებია... გე გვე ყიდნა... დე გვეკლა...
წე ვე დი...

ოღ — ეე. ასიმილაცია ამ შემთხვევაშიაც სრულია, რადგანაც ლა-
ობის მიხედვით ო-ს იდენტური წინა რიგის განივი ხმოვანი ე წინა
რიგის დელაბიალიზებულ ხმოვნად ხდის ლაბიალიზებულ უკანა რიგის
ო-ს: გამეეხრა, გამეეძრო... შამეეხვიენ... მევედი,
მევეხვიე, მემეხმარე, მემეპარა, მეგვენდომებია...

საილუსტრაციო მაგალითები მოწმობს, რომ დასახელებულ
შემთხვევებში ასიმილაციას არ აბრკოლებს ფუძისეული და პირველი
სუბიექტური პირის ნიშანი ვ- და ობიექტური პირის ნიშნები გ-
გ, გვ-

გადა - ზმნისწინის ორივე ხმოვანი მეტწილ შემთხვევებში ასი-
მილირებულია ფუძისეული ე ხმოვნის მიერ: გედეეკიდენ, გე-
დედელობა...

აი — ეი, ვიწრო ხმოვანი ი ფართო ა-ს ნაწილობრივ იმსგავსებს.
საშუალო ლიაობის ხმოვნად აქცევს: ეიჩქარა... გეიარა... დე-
იწერა, დეიხვენება, დეიკირეს... ჩეიყვანა, ჩეიცი-
ვემდა... დეეინახამ... ეეიდა...

ჩანს, ასიმილაცია გვაქვს მაშინაც, როცა ასიმილატორსა და ასი-
მილირებულს შორის მოქცეულია ფუძისეული ან პირველი სუბიექ-
ტური პირის ნიშანი ვ-

• ზოგჯერ გადა- ზმნისწინის ორივე ხმოვანს იმსგავსებს: გედე-
იქცა... მაგრამ უფრო ხშირად ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი
არ არის წარმოდგენილი: გედიტანს, გედიხადეს, გე-
დორიენ, გედინარჩუნა...

გვხვდება უასიმილაციო ფორმებიც: გადირევა...

• ნაწილობრივ იმსგავსებს ო-საც (ოი → ეი): რამდენადაც მას
არტემეს ლაბიალობას და უკანა არტიკულაციის ხმოვიდან წინა
არტიკულაციის განივ ხმოვნად აქცევს, ლიაობის მიხედვით კი მასზე
ვერ მოქმედებს: მეითფინა, მეისპო, მეიძრო, მევიდა
ჩამევიდა, გამეიარა, გამეიტანა, წამეიყვანა.
გადმეიარა, გადმეიყვანა, ჩამევიყვანეთ...

ასიმილაციას არც ამ შემთხვევაში აბრკოლებს ფუძისეული და
სუბიექტური პირის ნიშანი ვ-

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ შემთხვევაში ასიმილაცია არა-
სისტემატური ხასიათისაა; ერთნაირ პოზიციაშიც კი მას შეიძლება
ქონდეს ადგილი, შეიძლება — არა. უფრო მეტად მაინც ასიმილირე-
ბული ფორმების სიჭარბე შეიმჩნევა.

აუ — ოუ. ასიმილაცია ნაწილობრივია: ვიწრო უ საშუალო ლია-

ობის უკანა რიგის ლაბიალიზებულ ხმოვნად აქცევს ფართო ღიაობის ნეიტრალურ ა-ს: გოუზდია... მოუგია... თუჩივლდა... დოუძახნია, დოუძებნია, დოუფიქრთა, დოუდგენ... ჩოუჭეჭი. ჩოულაგებია, ჩოუცვიათ... წოულო, წოუქცია...

გადა - ზმნისწინის წინა ხმოვანი ასიმილირებულია, ბოლოკიდური ხმოვანი კი უპირატესად ჩამოცილებულია: გოდუარდა, გოდუვარდათ, გოდუყარა...

ამ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი არც უასიმილაციო ფორმებში ჩანს: გადუბრუნდა...

ეუ — ოუ. ე-ს ღიაობა უცვლელი რჩება, მაგრამ მას უკანა რიგის ლაბიალიზებულ ხმოვნად აქცევს უ და ასიმილაცია ნაწილობრივია. შოუწვა, შოუერთებთ, შოუნოეფთ...

ეუ კომპლექსში ასიმილაცია დასტურდება სპეციალურ შემთხვევებშიც: ოუბნებოდა აკაკი მეზობლეს... მამაჩემს ოუბნებოდენ, რამდენი შვილი ქყამსო... ნუ ტირი, მოუბნებოდენ ისინი... ისე გოუბნები, როგორც რო შვილი...

იუ — უუ. ასიმილაცია სრულია, რადგანაც იუ-ს თანაბარი ღიაობისაა, მაგრამ მისგან განსხვავებულია წინა არტიკულაციითა და განივობით, ამ დაპირისპირებულობათა შოშლა სრულ ასიმილაციას გვაძლევს:

ბოჭყეს რძლები დედამთილებს მუუყარიან, აპა, მოუარე. დედამთილო... დგმური ყოლია იმ ქალს და იმა მუუცია... მუუციათ შეწყალების ნებაი... ჩემ შოთას რა იჯინელი მუუდგება... მუუზომია მისთინ თელი სამოსახლო... დახვრეტა მუუსაჯეს ბანდიტს... მენაფენე მომკილ პურს მობოჭამს და მუუტანს შაკონავს... მუუშვა მამამ დუდარეი და სულ გაფუფქა ღორი... ხან აქედან მუუარა, ხან იქედან მუუარა... რა უნდა მაგა, მუუყვანე თავის დედუასა... ათს რო შვიდი მუუმატა, მუუღია ჩვიდმეტი...

მაგრამ: მოუმატა სიცივემ... შე ქალო, ან ხილი მოუტანე, ანე...

ოუ-ს მსგავსად უკანა არტიკულაციისა და ბაგისმიერია. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ღიაობის მიხედვითაა. უ უფრო ვიწროა. ო — ფართო. ჩანს. ღიაობის მიხედვით უ ო-ს ვერ იმსგავსებს, ამიტომ ოუ კომპლექსში ზემოიმერულში ასიმილაციური ცვლილების გარეშე რჩება.

ეე — ეე. დამსგავსება ღიაობის მიხედვით ხდება. ვიწრო ო-ს სა-

შუალღ აწეულობის ჩმოენად აქცევს ე. ამიტომ ასიმილაცი-
სრულია:

ჩანგალი მ ე ე ც ი:

ასიმილაციის ეს სახეობა, რომელიც განსაკუთრებით ქვემოიმი-
რულისთვისაა ნიშანდობლივი, ზემოიმიერულისთვის დამახასიათე-
ბელი არ არის. ჩვენ მიერ მხოლოდ ეს ერთი მაგალითი იქნა ჩაწერ-
ლი სოფ. შუქრუთში.

ასიმილაციის მოქმედების შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რო-
მელთაი იწვევს ა ხმოვანფუძიან სახელებზე მრავლობითის -ებ სუფიქ-
სის დართვა:

საცა ჩაბარებები ა ყურძნისი, იქ არი ჭინი... ჩვენ ურმის
ქალას უქახით, ხვაშითში კოქეები ქვია... მავას დეიდებიც
ბევრი ყამს... ბოვშები დარჩენ პაწუეები... მამიდეები გა-
ვათსოვე... ფატონზე დემს მატერიები... შეყილაქეების მირ-
ქმეული სახელი თომიეები...

ხაზგასასმელია, რომ ასეთ შემთხვევაში ზემოიმიერული უფრო უა-
სიმილაციო ფორმების ხმარების ტენდენციას იჩენს: მეიტანა მოწ-
მოზაები... ბიძაები იყვენ... სიმღერაები მიყარს... გამო-
გვეგება ბიცოლაები ამ ბიჭისი... მანქანაები მოდიან... არ
არიან მეტი ჩარაები, აღამიანის მონაები არიან, ეცოდებათ
აღამიანი... ხელზე ბებერაები მუშაობამ გაშიჩინა... კდეს ამ-
ბობთ აუ გორაფს... ფრჩხილაფში გაყარლია რიკი, რო-
შელიც ფრჩხილაების სიმაგრისთვისა... ბოკონაფს
(ორფეხა პატარა სკამი) მოგიტან...

ოვგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებული: ქუთისი,
იხდოული, დანაშოული, აქოური, აპოური, ბროწო-
ული, წროული... მოორე || მორე...

აოული ასიმილაცია გვაქვს სიტყვაში კოლმოურნობა (გვზ-
რული).

ასიმილაციას ადგილი აქვს ასეთ შემთხვევებშიც: რე იქნა...
რაეო ვქნათ...

აოოვგრესული ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული: ჩვენოდონ-
ნი არც არავის გაპირებია... წარმოობაში სჯამ წამყვანა...
სერეფიონი მევიდა... რემეტოზმი მკლამს...

დისიმილაცია პროვგრესულიც გვხვდება და რევგრესულიც. ქართუ-
ლი ენას ყველა კილო-თქმის მსგავსად ჩვეულებრივია სონორთა
დისიმილაცია.

დისიმილაციის მაგალითებია: პროკულოი, გუშინაწილა,
ალანი (ალალი), ცხენოსალი, ბევრჯელ (უდისიმილაციო

ფორმებიც ხშირად იხმარება, განსაკუთრებით ხეაშითსა და შუქრუთ-
ნი), არ ალი, აღარ ალი (გეზრული)...

კალონი, დილექტორი, ტელიტორია, ბურბული...
ხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებია: ლაპარიკი, ქოჩერი
(ქოჩორი — ხეაშითი), წილამი (წალამი — ხეაშითი), ხანდიხან,
თანდითან, აფხანიკი...

დისიმილაციას აქვს ზოგჯერ ადგილი ოე კომპლექსში, რომელიც
წარმოიქმნება ო ხმოვანფუძიან სახელზე მრავლობითის - ებ სუფიქ-
სის დართვისას: გოგუები, ხფუები...

გვხვდება უდისიმილაციო ფორმებიც.

დისიმილაცია აქ იმაში მდგომარეობს, რომ ე მისი თანაბარი ლი-
აობის ო-ს უფრო ავიწროებს და ამით განიმსგავსებს.

დისიმილაციის მოქმედებით უნდა აიხსნას ის ცვლილებაც, რომე-
ლიც აქა-იქ თავს იჩენს ა ხმოვნით დაწყებულ ფუძეზე შე- ზმნისწინის
დართვისას: რო შიაცყო, რო თვრალია, გამეიპარა...

მეტათეზისი. სონორ ბგერათა მეტათეზისი, რომელიც ქვემოიმე-
რულში მეტად გავრცელებულია, ზემოიმერულში უფრო შეზღუდუ-
ლად გვხვდება.

მეტათეზისის მაგალითებია: ყივნა, სარძიკველი, ილაკრი,
მადრიელი, ნევრები, ნავხე, ნავხულოფ, ნამხა, ნამ-
ხვილი... მეიშუდა...

მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით მი-
იღება: მესაინდულე (მესაიდუმლე), უმბოფს (უბნოფს)...
სააჯანტყოფო...

სამიოე შიმთხვევაში მეტათეზისის შემდეგ ხდება ბგერათა დამ-
სგავსება წარმოების ადგილის მიხედვით.

მეტათეზისის, ასიმილაციისა და შენაცვლების შედეგადაა მიღებუ-
ლი მზგამსი (მსგავსი), ხოლო შენაცვლებისა და მეტათეზისის შე-
დეგად — ყურაგდება.

ზემოიმერული ტირთვი, დატირთვა, დატირთჟული,
რომელიც ლეჩხუმურშიც ამგვარადაა ნახმარი, კანონიერი ფორმაა ძვე-
ლი ქართულისათვის¹. ძველი ქართულის ვითარებას ნორმად თო მივიჩ-
ნეთ, მაშინ ახალი სალიტერატურო ქართულის „ტირთვა“ აქვს
ადგილი ვ ბგერის მეტათეზისს და არა ზემოიმერულის „ტირთვი“.

ბიერთა დაკარგვა. ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრი-
სით ხშირია მ ბგერის დაკარგვა სიტყვის თავშიც, შიგნითაც და ბო-
ლოშიც:

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში,
1942, გვ. 87.

სუქანი, ჩატე, წიფე, რგვალი, შვენიერი (დღევანდელ ქართულში იხმარება „მშვენიერი“, მაგრამ ძველში — „შენიერი“. მღრ. „შვენის“), შიერ-წყურვალი, თვრალი, ხურალი (დაკარგულია ვ-ც), ტრედი, თა, გელი, თვარე, დინარე, წყერი, წყერიჩიტა, წყესი || წყემსი, შობელი, ჩენი ხრის, რეწველი, კაბანია, გერიელი, აგრანოი, დავათაფრეთ, ჩემი ძისული (დაკარგულია წ-ც), ტანთელი...

რატო, მიტო, რო, ხო...

იკარგვის სხვა სონორი ბგერებიც, მაგრამ უფრო იშვიათად. რ: გძნობა, გაზდა, გავზდი, დასაზდელი, სიყმის შვილი, ფთხალი, დაფთხა, ბილი (იხმარება — მბილიც). ფთა, სპიტო...

ნ: მიდორი, სასიმიდე...

ლ: კდე, დააკდა, შახში, სახ-ქარი, გუნარა, ხომე. საცინათ...

ვ: იპონა, ბოლშეიკი, ოდნა (ოდნავ)...

ღ-ს დაკარგვა შეიმჩნევა სიტყვებში:

მევეით, წამევეით, ჩამევეით, მოით... არსა სა, საანა... თანითან (ჩვეულებრივ იხმარება „თანდითან“)...

ხშირია ს-ს დაკარგვა მიცემითში და შემდეგ ნათესაობითში, ასევე ზოგიერთ ზმნაში, მაგრამ ამის შესახებ ქვევით.

გ: რავარი (რავარი), ბოლო მარცვლის მოკვეთით რავა.

რგ: კაი, კაათ, კაა... კაათმყოფი || კაამყოფი...

თ: თიისტარი...

რ: სახანოველი...

ჩ: გაჩეილაძე...

ბ: აერი. დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით ჩანს დაკარგული ბ ამ სიტყვაში, თორემ ძველ ქართულში იგი ამგვარად იხმარება (აერია აქის კაი... აერის ბარობით გაფრენილ ჩიტივით მაქ თავი)...

ც ნაწილაკის გარეშე გვხვდება: მაინ, მაინ დამაინ, ქემაინ...

ძთელი მარცვალია დაკარგული სიტყვაში „გოგო“: საცინათ გიგდებენ, გო... ა, გო, გეიხედე...

ბგერათა დაკარგვის შედეგია „შრანდელი“ (ხვაშითი: შარშანდელი).

როგორც ცნობილია. იმერულში, საერთოდ, და კერძოდ ზემო იმერულში, რედუქციის კანონი მოღუწებულად, უკეთ, სუსტად მოქმედებს. სალიტერატურო ქართულში შეკუმშული ბგერის სიტყვა აქ შეუკუმშავად არის წარმოდგენილი: ძვალეზი, ამბავები, ციგანები, მაშვალეზი, კვალეზე, ქმარის, ძარიო...

ზმნის შეუკუმშავი ფორმებიც გვხვდება: დევილალები, დ-

გიდალაშს. დაღალული... მექასხარავები... მეტიჩარათ...

სამაგეროდ. შეკუმშულია სალიტერატურო ქართულში შეუკუმშავი სიტყვა დარი: ჰინკა დრით მევიდა და ავდრით (||ამდრით) წავა...

შეიძლება ისე დრით წვედიენ... დრით მოვა ჰინკა, აბა! ჩვეულებრივია ამგვარი ფორმების სმარება: ჟანთლათ იყავი, ტახთლათ იყავი...

ზგერთა დართვა. მ: ბიმბილო, ნამყოფი, ნამყოფიერი, უმფრო, ალუმბალი. ვამცხადება. გამოამცხადა, გზის გამკვლევა, გვანამდგურება, იმცხოვრა, გამამთავისუფლეს (ხვაშითი), დამქვრივდა...

ნ: სალინა (გეზრული). გონგრა (რგანი), ღვინძარი, ანგრე, მანგრე, შევანგროვეფთ...

რ: ძარბინა, ღვირბლი...

თ: ასთრე || ასტრე (ქვაციხე)...

ვ: შივა, ჰოვეტი...

ბ: კამბეჩი...

ო: სარკმელი (ბოსელში სარკმელი)...

ზგერთა მონაცვლეობა. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად მსგავსი თანხმოვნები.

მ — ვ: გვივრა...

ვ — ნ: მიჩინა, ნამთი, სანამთე, ამტობუსი, თომლი, ამდარი (ხვაშითი), ხამსი. მოსკომი, კარამი, გაამდარდა, გამსილა, სამსე, დამამსო, მამნებელი...

ვ — ბ: კობზი, საბარცხალი...

მ — ბ: ბრავალი, ბრავალშვილიანი.

რ — მ: მბილი (|| ბილი)...

ნ — რ: რიდაგეზე (ამ რიდაგეზე არ ედგომება)...

რ — ლ: ინდოული (შუქრუთი), ჩალხი, აპელაცია...

ნ — ლ: ოლისიმე, უჩილარი (შდრ. მძინარი).

ს — რ: დარჯილი, სარჯელი...

ქართულში ს, რ ნივთის კატეგორიის აფიქსები იყო და ამიტომ არის, ალბათ, შესაძლებელი მათი მონაცვლეობა (შდრ. სძე — რძე, სჯული — რჯული).

კ — ყ: ეყუთნის...

გ — ლ: აღრაფინა (საკურწე)...

ჩ — ც: შევამცნიე...

სიტყვაში „სამკინო“, რომელიც კიათურის რაიონში ყველგან ასე იხმარება, არა მარტო მ არის განვითარებული, ადგილი აქვს რ-სთან ნ-ს მონაცვლეობას.

მონაცვლეობა იშვიათად ხმოვნებშიც დასტურდება:

ო — უ: ფუთრი...

ე — ო: რამდონი...

ე — ი: ხირხიმალი...

ა — ე: დევობა...

აფრიკატიზაციის ნიმუშებია: ყრონჭი, პენცია, თითქმიც (თითქმის), სამძღვარგარეთ, დაძგა, ძოდი (ზოდი სოფლის სახელია), ხოლო დეზაფრიკატიზაციისა — გადაუზია (გადაუწია) თავი, ხელშეზეულათ (ხელმოკლედ) ვიყავი...

ბგერათმონაცვლეობისა და დაკარგვის შედეგია: ს ა ი ნ ძ ე ლ ო ,
ე ა დ ლ ი ნ ძ ე ლ ე ...

სუბსტიტუცია ბგერათკომპლექსებშიც დასტურდება:

სკ — შკ: ვიზაკუშე...

სტ — შტ: შტოლი, შტოლარი, შტოლობა, ნეშტორა (გეზრული)...

ვე — ო: მოვეობი (ხშირია „მოვეყები“-ც), ჩოულობა, დაჩოულა, მიეჩოვა... ყოლიფერი (|| ყველიფერი), ქო...

ევ — ო: კილო... (კიდევ-კილო) უფრო ხშირად იხმარება „კიდე“.

ოვა — ოა: გადმოარდა (გეზრული)...

ო — ვა: მარტვა (დაერთვის -ნა ნაწილაკიც: მარტვანა), მივაწვა-დეფ, გადავაწვადეფ, მიაწვადეფ... თითვან...

უ — ვი: პოვილოფ (დღევანდელი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისიდან თუ ამოვალთ, თორემ ისტორიულად უ ვი-საგან წარმოქმნილი ჩანს).

ადგილი აქვს უ-სა და ო-ს დაეწროებას: თ' ვ ა რ (თუ არ) მოხვალ, აღარ მოვიცთი... თ' ვ ე რ (თუ ვერ) მევიდე, წადი... ხ' ვ ა რ (ხომ არ) გიყიდა...

მორფოლოგია

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, როგორც მოსალოდნელი იყო სხვა სოცლების მიხედვით, აქაც მეტწილად ი მოეპოვეჭათ:

წისქვილის ზედა ქ ვ ა ი ბრუნამს, ქვედა ქ ვ ა ი გაჩერებულია... რო გამეგონოს, რათ უნდა და ფ ი ც ვ ა ი... იმდენი მამცეს ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა ი, ბურათ ქხედამ ახლა... იცის ჩენი დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ი... აქ იციან წისქვილზე დ ა რ ი გ ნ ე ბ ა ი...

ამევიდა ელენაი... შენსა ხ'ვარ იყო ნინუცაი... ლუბაი მა-
დიდან დადის მოხვაში... ჯერ მე ვწევარ, მერე ნადეუდაი, მერე
ანუ შკაი... დღეს მევიდა ბიქტორაი... დათაი ვენახში გა-
სულა...

საწურავში გაწურე რძეი... რო მქონდეს თვალში სინათლეი,
ხევაფერ რა მინდა... დეიუმენდა (გაიერდა, ზმა გაკმინდა) ზემწი-
ფეი...

ყარამანა იყო ბუზალაძეი... ნუცაი და მაკრინეი რო და-
ირას დოუკრამდენ, რა ჯობდა... ყვიროდა ბაბილინეი... საიყო
აგრაფინეი (საკურწეში — აღრაფინე)...

ხაზგასასმელია, რომ საკუთარი სახელები „ბაბილინა“, „აგრაფინა“,
„ტატიანა“ ზემოაწერულში, ქვემოაწერულის მსგავსად, უპირატესად
ედაბოლოებით იხმარება. ეს ე მიღებული ჩანს ბოლოკიდური ახმოვ-
ნის ასიმილაციით სახელობითის • ფორმანტის დართვის შედეგად
(ბაბილინაი — ბაბილინეი).

• გვხვდება ასეთ შემთხვევებშიც: ემას რო შეხედავს ვინმეი,
ვერ იტყვის რასმე... შევბულებას ეიღებდენ ორივეი... გივიელას და-
ვალევიეთ დვინოი... შეიკაზმა ლობიოი... რეცხამს გოგოი... მა-
მაჩემა გედიხადა საძიძაოი...

შალიყო არსა იყო, შალიკოი... ვის გავრან ოთარი და ბაბოი...
დოუნახამს სადიკოი...

ბოვებები მყამს, წამიწოვე ძუძუი... არ გამოგელიოს ყრუი და
ბრმაი...

მთხრობითში როცა ფუძისეული და ფორმანტისეული
მხედება ერთმანეთს, ისმის ერთი მ, ოლონდ უფრო ხანგრძლივი და-
ყოვნებით:

ურემა გელიარა იქა... ომა გამიწყვიტა ყველა...

მიციემითში თანხმობიანფუძიან სახელთათვის ნიშანდობლივია
ბრუნის ნიშნის მოკვიცა: ექიმი ზოგი ტყუილ ლაპარაკოტს... სა-
ქონელ გადენის... ზიმილი სულ პირ ქვეწემდა... შრანდელოზი წრე-
ულ უფრო შევწუხითთ (ზეაშითში, მორ'გვითსა და საკურწეში ასი-
მილირებული ფორმაც გვხვდება: „წროულს“)... ნახირ ყველიფერს
უძახეთთ ხომე: ძროხას, ხარს, ცხვარს, თხას... ჩონგურ უკრევენ
კაათ... სამ წელიწად ვიმუშავე შიდა... ზოგ ეწყინება... კაი
ღვინო იყო, ერთ ფუთ სვემდა, მერე დაასხემდა ოფლ...

მიციემითის ფორმანტი ხშირად იკარგება ჩვენებით ნაცვალსახე-
ლებთანაც: ამა რავა ვერ ტყობილოფ... აქნამდი დავფქვემდი მაგა...
მამულელი ქალი ქე ყამდა მაგა... ასე მაქ გაგონიოი და იმა ვლაპა-

რიკოფ... დაწერამ იმა?... ძალი რო ძალია, იმა გაზდიან... ორი შეილი კიდე ყაბს იმა... ლევანა, უყურე იმა...

ს იკარგება ნათესაობით ბრუნვაშიც პრეპოზიციულ მსაზღვრელ-თან: ეს პური ცომის ქოთანია... საცივს პური ფქვილ უშვები?... ჩემი აფხანკი იყო საქმი გამკეთებელი...

მიცემითში ემფატიკური ა-ც გვხვდება, თუმც არა ისე მოჭარბე-ზულად, როგორც საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მთის სოფლებში. ემფატიკური -ა-ს ხმარება თანდათან იკლებს, რაც უფრო დასავლეთისკენ მივიწვეთ. მორძგვეთსა და საკურწეში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, მას თითქმის ვერ ვხვდებით.

ყაფრათ (ალმატრად, დახრილად) დეიკავეფ გოფსა... სუფრიდან აღგომა რო უნა კაცსა, უნდა გეიგოს... ენაც მოჭრილი აქ გლახასა და მარჯვენაც... უშაქრო ღვინო არ ათრობდა ხალხსა... ზოგსა ათასი რამე რო ქონდეს, ბედნიერი არ არი, ზოგსა დიდი ბედი აქ... გურული ქალი ყამდა ჩემ ნათლულსა... ორს მუუმატე ხეთი. — ორსა? (7 წლის მთქმელი გეზრულიდან)... ნიყვს როგორ აკეთებდით? — ნიყვსა? ტყუილს ამბოფ, ტყუილსა!

ემფატიკური ხმოვანი აქა-იქ შეიმჩნევა ნათესაობითში, მოქმედებებითსა და ვითარებით ბრუნვებშიც:

ცოდვა არ მინდა კაცისა... გული ვიჭერე ღვინითა... მარილ ავაღულეფთ, იქცევა წყლათა... მარცვალი არ მოდიოდა ხეირიანათა...

როგორც საყოველთაოდ იმერულში, აქაც - იან სუფიქსიან ვითარებითში დარ შეინიშნება: მარტო (სოჯოს სახელია) კალათიანა გამეერთმია... სიმითს ტაროიანა ჩეხევენ...

მიცემითის ნაცვლად სისტემატურად ვითარებითი იხმარება ამ სიტყვაში შემდეგ კონტრქსტში: ამ წუთათ გამოცხვა ე პური... ამ წუთათ შექამე... ისულთქმე ნამთით და იმ წუთათ გიმკურნაოფდს...

თანხმოვანფუიან და ხმოვანფუიან სახელთა ნათესაობითში დაყენებულ მსაზღვრელს პოსტპოზიციური წყობისას, უკვეცელ სახელთა მსგავსად, ემფატიკური ა გაუჩინარებული აქვს და მისი ადგილი ი-ს უჭირავს:

გვემსო ურემი ილიკოსი... წინ აქ გობი წყლისი... თინამ არ იცის მორიდება ადამიანისი... ნაპურვალზე არ ვარგა დაფქვა. სიმიდისი... მიცეს იძულეზაი სამუშევარისი... ეს ღვდელი კაი შეგობარია ამ კაცისი... ამ სოფელში მეტი ნაწილი მოსახლეობისი იყო სახემწიფო გლეხები... აქ არი ცოლიდაი ამ ბიჭისი... ქალის მუშაობა და კაცისი ერთი არ არი... ეს ამბავები იყო მამაჩემისი, ბაბუაჩემისი და მამაემისისი...

გვხვდება პარალელური ფორმებიც: არი გასინჯვა ს ა ქ ო ნ ლ ი ს ა (გეზრული) ანდა: ხე იყო ფ ი ც რ ი ს (მორძვევით).

• გამოვლინდება გათიშულ და განმარტოებულ მსაზღვრელთანაც: ჯავრი მაქ შვი ლ ე ბ ი ს ი... სასიმიდე აქ არავის აქ ფ ი ც რ ე ბ ი ს ი... მაგის ლედაი მამიდა არი ამ ბ ი კ ი ს ი... რვეული მამეცი მ ა ნ ე თ ი ს ი... შეხედულობა კაი არი ქ ა ლ ი ს ი... ყველას მიცემა უნდა ფ უ ლ ი ს ი... ხაფანგს ორი საკეცე აქ ფ ო ლ ა დ ი ს ი... შენ არც ღვინის მუშტარი ხარ, არც ს ა ქ მ ე ლ ი ს ი... ხინგალი (ხარახურა) ინახება პადვალში ო ჯ ა ხ ი ს ი...

რომელი მიხაა? — კ ა პ ა ნ ა ძ ი ს ი... კ ი თ ხ ვ ი ს ი ქ ე მერიდება და როცა მორჩება, მორჩება... ამ კ უ თ ხ ი ს ი, ჩვენი კ უ თ ხ ი ს ი არავინ არ იყო... გვიც სა არი? — ს ა მ უ ე ლ ი ს ი?... არა ვარ გლახა ხ ა ს ი ა თ თ ე ს ი... რამდენი წლისაა? — ქ ე იქნება ს ა მ ო ც ი ს ი...

— წა-დადგილას და მის ბაღლად ი გვხვდება მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი ც რ ი ნ ი ც შ ა მ ო კ ა ფ ა მ დ ა ა ლ ა გ ე ფ ს ნ ა ჯ ა ხ ი თ ი, იმისი იყოს ის ადგილი... პარმენა მორბოდა თ ო ფ ი თ ი... ს ი მ ი თ ს დ ა ვ ფ შ ე ნ ი თ ხ ე ლ ი თ ი ფ ი შ ო მ ო ლ შ ი ნ ფ ე ხ ი თ ი... კ ა ც ი ა გ ე რ გ ა დ მ ო ჩ ე რ ე ბ ი ა ს უ რ ა თ ი თ ი... ვ ე ლ ა რ დ ა გ ი ნ ა ხ ა მ ს თ ვ ა ლ ი თ ი... შენ დასვრილი ხარ პ ტ ვ ე რ ა შ ო რ... უნდა ჩემგვეტანა ტირთვი ჩვენი ხ ა რ ე ბ ი თ ი... კ ა ა თ ი ყ ა ვ ი ც ო ლ ო ბ ი ც მ ა ჯ ა რ ა მ ო ვ შ ი თ ი... მიწის მოტანას დევიწყებთ ძ ა რ ი თ ი... კ ა ა თ ი ყ ა ვ ი ჩ ვ ე ნ ი უ ც ხ ო ს ტ უ მ რ ი თ ი... პურს ვევიღებთ ფ ა რ ლ ო ბ ი ს ი მ ე რ ე მ გ ა დ ა ვ ა ნ ი ა ვ ე თ ნ ი ჩ ფ ი თ ი... დააბეს ძ ა ფ ი თ ი ო ტ ა ნ ი ს ა მ ო ხ რ ა გ ა დ მ ე ი ტ ა ნ ა ო ფ ა რ ი დ ა ნ ი ძ ა ლ ი თ ი... ანზორას გამს ს ა ხ ი თ ი რ ე ტ რ -ხ რ ო რ ც ო რ ი... მ ო ლ დ ს ყ ა ნ ყ ა ლ ი თ ი... ს ა მ ს ა ნ ა ო ნ ო ბ უ რ ი ო გ ა ვ ა მ ს ე ო ვ ა ნ ტ რ ა შ ო რ... დაღის კ ვ ე ნ ს ი თ ი და ტ ი რ ი ლ ო შ ო რ... ო მ ა ნ ო ვ ა დ ო რ ნ ძ ლ ა შ ო რ ხ ე ბ ე დ გ ო მ ი თ ი... ბევრჯერ ყ ა მ თ ნ ა ნ ო ლ ო ბ ი თ ი უ ე ე რ ო ნ ა თ უ ე რ ე დ უ ლ ო ბ ი თ ი... რ ა ვ ა არ გ ა მ ი გ ო რ ი ა გ ა ვ ო ნ ე ბ ი თ ი... ე რ თ ი მ ე ო რ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ი ა კ ე თ ე ბ ე ნ ს ა ქ მ ე მ ა მ ო შ ი ნ ა ო ქ ე ყ ო ფ ი თ ი... რ ა ვ ო რ ბ ი კ ი დ ე ი ლ უ პ ა მ ა გ ის ბ ა რ ო ბ ი თ ი... ვ ე რ ა შ ო რ ს დ ი დ ე ბ ი თ ი ვ ე რ დ ე ი ჳ ი რ ა... ს კ ო ლ ა ა ქ ა რ ი, გ ა ლ მ ი თ ი...

• რომ ა... ადგილას და მის ბაღლად იმარება, ამას მოწმობს ასეთი მაგალითიც: ო ნ ა ხ ო რ ი ც ი ქ ე ნ ბ ა და ო რ მ ო ზ დ ა თ ი ც ი...

საჩხერის რაიონსა და ჭიათურის რაიონის შთიან სოფლებში ასეთ შემთხვევებში უპირატესად ა გამოიყენება, ი-ს ხ მარება ხელშეასახები არ არის იგი აქა-იქ თუ ჩანს მხოლოდ. ჭიათურის რაიონის სვერს ქვემოთ და ყვერისას მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში კი მშფატიკური ა თუ იშვიათად გვხვდება, ი-ს მის ტოლფარდად მეტად

ფართო მოხმარება აქვს¹. აქ მას ესვდებით ისეთ შემთხვევებშიც, სადაც ძველ ქართულში არ იხმარებოდა, მაგრამ ქართულ-კახურსა და ქართლის მოსაზღვრე ზემო იმერეთის სოფლებში სისტემატურად გამოიყენება² ემფატიკური ა.

წოღებით თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან სისტემატურად იხმარება ო: გვიშველე სერაპიონო... დავითო, მოდი აქა... შენ მოუყვევი სიმონო, ყაჩაღები რო იყვენ თქვენთანა... მაგა, ილარიონო, აინტერესებს სიტყვა იმფერი, რო ჩვენი სიტყვაი იყოს... ისი, ლევანო, 69 წლამდე ცხოვრობდა... ამ ჭავრმა ქე გამტეხა, მარიამო... ბესარიონო, მაგარი ხელი უნლა მაგა... დენტორო, იოცხლე³...

მიმართვისათვის სახელობითის ფორმაც არის გამოყენებული: ბოვშები, კარში გადით...

ეს მაგალითი მორძგვეთშია ჩაწერილი, სხვაგან არ შეგვინიშნავს. თანდებულიანი სახელები, მიცემითთან ზოგჯერ -თანა თანდებული გვხვდება: შაშა იჯდა ამასთანა... აქ ვიყავი ექიმთანა...

-ში თანდებულის -შიდ და -შიდა ვარიანტებიც ჩანს: იბრაიმბოლათ ლხინი ჩვენ ძველ სახშიდ... დღეიდან არ გნახო მონასტერშიდაო...

-ებრ თანდებული ასეთ სახეს იღებს: უროსაეფ არა მიწის დამტეკენი კვეყო... მადანა კუკლასაეფ იჯდა... ქეასაეფ გამხთარა... რაეა იმასაეფ ლაპარაკოფ... სხვეფ არ უწყენია...

-თვის თანდებულის პარალელურად -თვინ იხმარება: უხარობია თამარისთვინ...

„შემდეგ“ ზმნიზებას მნიშვნელობით ცვლის უკან || უკანი: დიდი დრო გვიდა მას უკან... გეიარა ორმა კვირემ მას უკანი...

გარდა თანდებული იხმარება ამგვარადაც: სერს გარდაია ჩვენ სულ ერთი გვარი გვაქ...

ხშირია - გან თანდებულიანი მოქმედებითის ასეთი ფორმების ხმაურებაც: რაც მოწადინება გქონდეს გულიდგან, ღმერთმა ავისრულოს... კიბიდგან შესასვლელი იყო... ჩიხიდგან არი...

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, თსუ შრომები, XXIII, 1942, გვ. 71-95; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953 წ. გვ. 78.

² ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოყავის ძირითადი თავისებურებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVII, 1957, გვ. 533.

³ ასეთი ვითარება დასტურდება სხვაგანაც: პ. განეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეთყველება. იბ.-კავ. ენათმ. VIII, 1955, გვ. 127.

ზოგჯერ - გან თანდებულის ნათესაობითის ნაცვლად - გან თანდებულისი მოქმედებითა გამოყენებული: ჩემიდან არ უზარალებია... ვიდან იყიდა?... დახმარება უნდა ჩვენიდან...

კითხვაზე „საიდან“ - გან თანდებულის მოქმედებითს ი დაერთვის ხშირად: რაფერ გამეიგნო გზაი ქიათურიდან... ბოვში შევიდოდა კლასიდან... ამათი სოფლის ქალი იყო ჩემი მოყვრებიდან... გამოყევი გზიდან... ამ სისხო კურცხლევს ყრიდა თვალებიდან... მოდიოდა გარეთ მაღაროდან... ჩამოსულიყვნენ საქართველოდან... სიმიდი ჩამოდის ხეიმირიდან... მკვიდა კახეთიდან... ერთფერი ჩაცმული მყამდა ტანიდან ფესიდან... გამევიტან ბესარიონიდან... მევიდა უცხო ტრიდან...

ასევე: კიშპირში წეიყვანეს იქიდან... ჩამევიდა მაღლიდან... ვერ შეეთვისა თავიდან ივე...

ასეთ შემოხვევაში ზემო იმერეთის ქართლის მოსახლერე სოფლებში ა იხმარება. ქართლურ-კახურის მსგავსად და ძველი ქართლისაგან განსხვავებით.

ა-ცა და ი-ც ორივე მერმინდელი და ტოლი ოდენობა ჩანს, განსხვავებას გვიჩვენებენ მხოლოდ გავრცელების ადგილის მიხედვით.

-მდე || -მდის თანდებულის -მდის ვარიანტიც გვხვდება, თუმცა ჩვეულებრივ -მდი იხმარება:

ზორცი ყრია ყელამდინ... სახლამდინ ვიტირე... საღამომდინ გელოდე...

ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელები შენ, ჩვენ, თქვენ უპირატესად გვხვდება შენე, ჩვენე, თქვენე-ს სახით: მათხოვე ხარები შენე... ეს გევიგეთ ჩვენე... ხვარ გიჩივით თქვენე...

-ც ნაწილაკია დართული: მანგრე ვიცით ჩვენეც...

უფრო ხშირად პირის ნაცვალსახელებზე დართული -ცა ნაწილაკის ა ე-ღ იქცევა:

რავარც სხვა იქცევა. ისე მევიქცევი მეცე... ეს ქვეყანა შენც გეყოფა, მეცე... მერცხალ უძახით იმა ჩვენეცე...

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას ესე, ეგე, ისი-ს სახით გვხვდება ხშირად: ესე არ ვეცოდი მე... არკადის ძმაი არი ეგე... ისი ბარათაშილია...

ესე-ს და ისი-ს კონტამინაციის ნიადაგზე გვხვდება ესი-ც: დავხუქემლი თვალევს, რათი ძლევს ესი-მეთქი...

შესაძლებელია ესი მიღებული იყოს ამგვარი ფორმებისაგან: ჯერ არ კამსე ისი... მაშინის ხმა არი ესი...

ხვაშითში შეგვხვდა ქვემოიპერული ვგი-ც: კარგი ქვე არი ე გ ი...

პოთარობით ბრუნვაში, მრავლობით რიცხვში, საზოგადო სახელ-
თა მრავლობითის ანალოგიით, ამგვარი წარმოება გვაქვს: ა მ ა თ მ ა
გამოყვანეს... ე მ ა თ მ ა არ იციან... მერე მ ო ა ძ ა ხ ე ს ი მ ა თ მ ა...

ირიბ ბრუნვებში მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაც-
ვალსახელები ზოგჯერ ე, ი ხმოვნების სახითაც არიან წარმოდგენილი:
ე კაცი კაი მუშა იყო... ეთერასი იყო ი კაბაი...

მსაზღვრელად გამოყენებული „მაგ“ ნაცვალსახელის ბოლოკიდუ-
რი თანსმოვანიც ხშირად ჩამოცილებულია: გამოორი მ ა ე შ მ ა კ ს... საჯ-
ბელი აჭაჟე მ ა ბოვშეფს...

იშვიათად მსაზღვრელ ჩვენებით ნაცვალსახელს შენარჩუნებული
აქვს ფუძის ბოლო ხმოვანი: ა მ ა დ რ ო ს ტ ე რ ი დავედმდა... ა მ ა
დ რ ო ს ტ ო ლ ა მ ე ი ტ ა ნ ე ს...

ძველი ქართულის მსგავსად. მსაზღვრელად გამოყენებული კუთ-
ვნილებითი ნაცვალსახელი საზღვრულის შემდეგ გვხვდება და გა-
კომპოზიტების პროცესშია:

ბიკიკოს მამიდა ყოფილა დედა ამისი... რატო არ მეესწრო
დედა ემისი... დედა ემისმა თქვა... ბაბუა ემისმა
იცოდა... მამა ემისის მოწაფე იყო სერგო ორჯონიკიძე...

არც თუ იშვიათად გვხვდება -და, -ცა ნაწილაკიან განუსაზღვრელ
ნაცვალსახელთა პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებული
ვინცა, რაცხა:

ადრე მოუხსნია ვინცხას... რაცხამ შეაწუხა, არ ვიცი...

რეგრესული ასიმილაციის შედეგად წარმოქმნილი ვინძაღა.
რაცაღა მოხშირებულად გეზრულში იხმარება: ამას ქონდა გოლი
რაცაღაი... შეაწუხა რაღაძამ... რაძაღნაირათ მკინჭრამს
ტანში... ჩხუბობდა ვინძაღა... ყამდა ვინძაღ-ვინძაღეები...
ვინძაღამ შეაცთინა...

უფრო ხშირად გამოიყენება კონტამინაციური რაცხა, ვინძხა:
ათასი მაცვია რაცაღა... რაცაღას ნაყემდა... ვინძაღაა, არ
ეცნოფ... ვინძაღამ შენ აქ მოგიყვანა, აშენდა ისი...

სისტემატურად იხმარება განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ძვე-
ლი, შეუხორცებელი ფორმები: გლახას რაჟა ვიტყოდი რასმე...
ქე უნდა ეთხრობია ვისმე...

სიტყვაწარმოება. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გა-
მოყენებულია - ა: ე ა ს ტ ა ნ ვ ა ი ყ ო ტ ყ ე შ ი... ბ ა ვ რ ა ტ ა ა ქ არ ი...
ნ ა ნ უ ლ ა მ ო ლ ის და შევიკამს საქმელს... ე თ ე რ ა ს თ ა ნ წ ა ვ ა ლ...

გვხვდება - ია მანარმობელიც არც თუ იშვიათად, მაგრამ არა ისე
ხშირად, როგორც ქვემოიპერულში: კიბე იქანაა, თინია... უშან-

გ ი ა მ მითხრა შენი ამბავი... ს ი მ ო ნ ი ა მ კიდე იარსება საამი წე-
ლიწადი... ვ ა რ ლ ა მ ი ა ს სიდედრი დონიკი იყო...

კნინობითობისათვის შეგვხვდა - უნა სუფიქსიც ხვაშითში, რომე-
ლიც ახლოსაა რაქსთან: კ ა ი გ ო გ უ ნ ა არი...

გამოყენებულა - ი ვ ა - ც: ვ ა ნ ი კ ა ი მ ა ჯ ო ბ ი ა (ხვაშითი)...

საკუთარ სახელთა ბოლოკიდური ო ა სუფიქსის დართვის შედე-
გად ზოგჯერ ეიწროვდება: ქ ე თ უ ა მევიდა... მ ა რ უ ა მ ჩამოგას-
წროთ (ხვაშითი)...

- ე ბ ა სუფიქსის ადგილას - ო ბ ა გამოიყენება: გადაგრევეს მისი შე-
ხ ე დ უ ლ ო ბ ა ი... შეიძლება მაგის თ ქ მ უ ლ ო ბ ა ი... ა რ ა მჭონ-
და მაგის მ ძ უ ლ ვ ა რ ო ბ ა ი... ა ე და გ ა მ ო ც დ ი ლ ო ბ ა ა... ა რ ვ ი-
ც ო დ ი მისი უ ბ ე დ უ რ ო ბ ა ი...

უფროებითი ხარისხის გამოსახატავად გვხვდება მხოლოდ უ—ე-ც.
თუმცა იშვიათად, განსაკუთრებით მორძგვეთში: მე კარხალაშვილზე
უ ხ ნ ე ვ ა რ... შენზე უ მ ა ლ ლ ე არ ვარ...

გათხვილი ქალის ქალიშვილობის გვარის გამოსახატავად დასა-
ხელებულ ყველა სოფელში გამოყენებულა - უ რ სუფიქსი, რომე-
ლიც მის მიერ ასიმილირებული ფუძის ხმოვანთან ერთად გვევლი-
ნება ო-ურ-ის სახით (დისიმილაციით ო-ულ): კ ა ჰ ა ნ ო უ რ ი (კაბა-
ნაძის ქალი), ხ ო ჯ ო ნ ო უ რ ი (ხოჯანაშვილის ქალი), დ ვ ა ლ ო უ რ ი
(დვალაძის ქალი), ს ა მ ხ რ ო უ ლ ი (სამხარაძის ქალი), ტ ა ბ ა ტ ო უ რ ი
(ტაბატაძის ქალი), ბ უ ზ ა ლ ო უ რ ი (ბუზალაძის ქალი), ჯ ა ჯ ა-
ნ ო უ რ ი (ჯაჯანიძის ქალი), ბ რ ე გ ო უ ლ ი (ბრეგაძის ქალი), კ ე კ ე-
ნ ო უ რ ი (კეკენაძის ქალი), გ ა მ ე ზ ა რ დ ო უ ლ ი (გამეზარდაშვილის
ქალი), დ ე ო უ რ ი (დევიძის ქალი)...

ასე ნაწარმოებ სახელებს ერთგვარი დაცინვის ელფერი დაჰკრავს.
ამიტომ გვარს უღენტი ამ სუფიქსს არ ურთავენ: თავადია და იმიტო-
მაო.

გეზრულშია გვარი გვალია. ზოგი ამბობდა: გ ვ ა ლ ო უ რ ი ო, ზ ო-
გი გ ვ ა ლ ი უ რ ი ო...

სადაურობის აღსანიშნავად გამოყენებულა ორმაგი სუფიქსაცი-
ა ც: - უ რ - ე ლ: ს ი დ ო უ რ ე ლ ი ა? — ა ქ ო უ რ ე ლ ი... ა ქ ო უ რ ე-
ლი ბალახი არ ვარგა... ა ქ ო უ რ ე ლ მ ა ბიქმა წეიყვანა... ჩ ვ ე ნ ე-
ბ უ რ ე ლ ი კაცი ასწავლის... მეურმემ უთხრა ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ე ლ-
ე ფ ს...

სიტყვაში „ინდაური“ (ზემოიმერულში „ინდოული“) - უ რ სუ-
ფიქსის ადგილას გვხვდება - ე ლ სუფიქსიც, რომლის წინ ვ ბგერაა
განვითარებული: ი ნ დ ო ვ ე ლ ს რ ო დ ა ვ კ ლ ა მ თ, ჯ ე რ მ ო ვ ხ ა რ შ ა მ თ,
მ ე რ ე შევწვამთ... ერთი ი ნ დ ო ვ ე ლ ი ს საციუს ორი ჰილი ნიორა
უნდა... ასეთი ფორმები შუქრუთში გავიგონეთ.

უქონლობისათვის უ-ო აფიქსები დაერთვის არ უარყოფითნა-
წილაკიან „ქონ“ ფუძეს: უ არ ქ ო ნ ო კ ა ც ი ა... თუ სულ უ არ ქ ო ნ ო
არ იქნა ოჯახი, უმფრო კაათ შეიქნება...

დანიშნულების სა-ო აფიქსები დაერთვის ფუძეს „სახნავ“: ტყეც
გვქონდა, ს ა ს ა ხ ნ ა ო მიწაც (შუქრუთი)...

მე—ე აფიქსები იხმარება „წელიწად“ ფუძესთან: ხილზე, რომელიც
წელიწადგამოშვებით ისხამს ნაყოფს, იტყვიან: მ ე წ ე ლ ი წ ლ ხ-
ობა ი ცის ხილმა... მ ე წ ე ლ ი წ ლ ე ა ჩემი ხილი...

ე (ვ) -ობა სუფიქსია გამოყენებული: მარიაში წ ლ ე ო ბ ი თ ჩემზე
უმცროსია (წლოვანებით)...

-ობა სუფიქსის ადგილას გამოიყენება სი-ე: ს ი მ ტ ე რ ე რ ო არი,
თქმა არ უნდა... ს ი ა ხ ა ლ გ ა ზ დ ე შ ი ბ ე ვ რ ი შ ე მ ე ძ ლ ო...

სი—ო: ს ი ხ მ ო შ ი რ ო არი წაბლი წასული, მალე იწვეება...
(ხმ-ელ-ი → სი-ხმ-ო. შდრ.: ტკბ-ილ-ი → სი-ტკბ-ო)

ნა—ევ აფიქსთა ნაცვლად ნახმარია ნა-არ: ნ ა ზ ა კ უ შ კ ა რ ი
სარ? — ნ ა ს ა დ ი ლ ა რ ი ც.

შედარებისას შესადაარებელ ობიექტზე მეტის გამოსახატავად
გან თანდებულისანი ნათესაობითის ფუძეც გამოიყენება აქა-იქ: თი-
ნ ა ს ა გ ა ნ ნუნუ უმფრო მიყვარს... ნ ი ნ ა ს ა გ ა ნ მარუსიას უმფრო
შეებრალა...

კომპოზიციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ვაჟკაცი, რომ-
ლის პირველ კომპონენტს სახელობითი ბრუნვის ნიშანი აქვს (შდრ.
სალიტერატურო ქართულის „ვაჟკაცი“).

ინტერესს იწვევს აგრეთვე ფუძის გაორკეციებისას პირველი ნაწი-
ლის ამგვარი შემოკლება: პ ა ტ-პ ა ტ ა რ ა და ამის ანალოგიით ც ო ტ-
ც ო ტ ა რ ა.

ზმნა. მო- ზმნისწინი მა-ს სახეს იღებს, თუ მას მ თანხმოვანი
მოსდევს, თუმცა პარალელური ფორმებიც ხშირად გვხვდება:

მ ა მ ს პ ო ი მ ა ნ... ჭურჭი მ ა მ პ ა რ ე ს... მ ა მ ც ა წ ა მ ა ლ ი... მ ა-
მ ა ვ ა ლ ი ქ ე ქ ო ნ დ ა... მ ა მ ქ მ ე ლ ი მიწა არი... ბევრი მ ა მ ხ მ ა რ ე
ყაშს...

შე- ზმნისწინი. თუ რთული შემო- ზმნისწინის კომპონენტია,
აქაც შამო-ს სახით იხმარება: შ ა მ ო ხ ე თ ა გ ო რ ა ზ ე... შ ა მ ო ა ქ-
ც ი ა ზ უ რ გ ი...

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- არც აქ იხმარება უ ხმოვ-
ნის წინ: მ ე ც კ ა ა თ უ პ ა ს უ ხ ე... იმათ ქ ე უ თ ხ ა რ ი ყ ე მ ე... ბოვშ
კაათ უ ვ ლ ი მ ე... რედისკას რო უ ძ ა ხ ი თ. ისი მოღის შვენიერი...

„ვედ“ ზმნაში, როცა ბრძანებითის ფორმა არაა, ხ- პრეფიქსი
ყოველთვის იხმარება: მ ო ხ ე ე დ ი.

შეიძლება სუბიექტური და მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნების სმარუნის გარკვეული წესი არ არსებობს, ამიტომ პრეფიქსს იქ ვხვდებით. სადაც საკირო არ არის, იქ არ ჩანს, სადაც უნდა იყოს. მაგალითად. ჩვეულებრივ იხმარება „მიცა“, ერთი მხრივ, „ესცა“, „ესწერა“, მეორე მხრივ.

არის, აქვს ზმნები, ჩვეულებრივ, -ს სუფიქსჩამოცილებული იხმარება: გრიშაშვილთან მიწერ-მოწერა ახლაც მაქ... ერთი ჩითის კაბა აქ... ი გოგო იქ არ ი...

აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში სალიტერატურო ქართულს - ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის გამოყენება, ქვემოიშერულისათვის ნორმას რომ წარმოადგენს, ზემოიშერულში უფრო იშვიათად შეიმჩნევა: არ იენ იქა (გეზრული)... კვდრები არ იენ... შორს არ იენ... გამოვლიენ შეიარაღებული (ხვაშითი)...

- ენ ისეთ შემთხვევაშიც იქნა შენიშნული, სადაც ის მოსალოდნელი არ იყო. მაგალითად, სტატიკური ზმნა „დგანან“ ხვაშითში შეგვხვდა ამ ფორმით: დ გ ა რ ე ნ პოსტებზე ჯარისკაცები...

ამგვარი ფორმები უცხო არ ყოფილა სრეითისთეისაც: მადერ მ ჯ დ ა რ ე ნ ი ქალები... ქვე დ გ ა რ ე ნ იქავე...

ეს სტატიკური ზმნები უნდა აძლევდეს საანალოგიო მასალას ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობით პირველსაც. - ენ დაბოლოებას რომ იყენებს: მოსულენ სტუმრები, მირო აქ არ ვიყავი... რომ მოსულენ მოძვეთში, საბატონე გლეხეფს უყიდნიათ ცხვარი... უცთიათ ჩვენ სტუმრეფს და ქვე წასულენ... მომკვდარენ ი ბიუები... გამთბარენ ცეცხლთან ილიკო და ედესია... გუშინ უცეცხლოთ ყოფილენ...

ეს ზმნები ჩაწერილია სოფელ მორძგვეთში, სადაც ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირველში - ენ დაბოლოება სისტემატურად იხმარება (უმაღლესი განათლების მქონენიც კი ასე ხმარობენ ამ ფორმებს) და იმდენად დამახასიათებელია იქაურ მკვიდრთა მიტყველები-სათვის, რომ ის ყოველგვარი დაკვირვების გარეშეც შეუშინეველი არ ღარჩება.

სრეითელი მთქმელი, რომელიც „მჯდარენ“, „მდგარენ“ ფორმებს იყენებდა, ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირველში ხმარობდა „წასულენ“, „მოსულენ“.

მასალათა სიმკირე უფლებას არ გვაძლევს გარკვეული დასკვნების განოსატანად. ჩვენთვის ნათელი არ არის ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველისა და სტატიკურ ზმნათა აწმყო მხმარება - ენ სუფიქსის გამოყენების თვალსაზრისით, არ ვიცით ტერატორიულად - ენ სუფიქსის გავრცელების ფარგლები დასახელებულ ზმნა-

თა მწკრივებში. ამ მხრივ საჭიროა შემდეგი კვლევა. მაგრამ არსებულ მასალათა მიხედვით ჭერჯერობით შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის რაიონის ზოგიერთ სოფელში პირის ნიშნების ხმარებისას გაერთიანების ტენდენციის მოქმედება ანგარიშგასაწევი ფაქტია.

ზემოიშვებულში. საერთოდ, - ნენ სუფიქსის ადგილას ყველგან -ენ იხმარება ისევე, როგორც გარდაპავალ ზმნათა წყვეტილის შესაბამის პირის მრავლობითს რიცხვში -ეს დაბოლოებაა ნიშანდობლივი, ამიტომ მაგალითებს აღარ ვასახელებთ.

თემის ნიშნები. თემის ნიშნების ხმარებისას ძირითადად იგივე თავისებურება შეინიშნება, რაც სათანადო ნარკვევებში უკვე აღნიშნული გვაქვს, ამიტომ თითო-ოროლა მაგალითის დასახელებით დაეკმაყოფილდებით.

აქაც აწმყო-მყოფადში უპირატესად - ამ სუფიქსი იხმარება - ავ სუფიქსის ნაცვლად მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირსა და მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში: ვენახს მოვსხლამ, მოვრწყამ... თქვენ კითხამთ რასმე? პურს სარცხლით ვრეცხამთ...

- ამ გვხვდება მარტივფუძიან. ფუძეღრეკად და ზოგი თემის ნიშნთან ზმნასთანაც: ჩერნიშევსკი წერამს... ძაფს გრეხამს... ვენახს გავმორჩნამთ... სადილს ამზადის (ამზადიდა). პურს რომევეკონამთ...

პირუკუ, ზოგჯერ - ავ სუფიქსი იხმარება - ამ სუფიქსის ადგილას: ფეხს ვერადგავს... რას იზავს...

- ემ გვხვდება - ევ სუფიქსის ნაცვლად: ასაწეველას დოუწემ, — წმინდათ დაფქვამ. რუწემ — სხვილათ...

- ევ სუფიქსი გვხვდება იქ, სადაც - ემ უნდა იყოს: რძეს მიცევესაკიდელს და დოუბნემს... უფლებას არ მიცევენ...

- ამ სუფიქსსაც ენაცვლება - ევ: ამას სმევეთ (სუმ-ევ-თ)... ჩვეულებრივ იხმარება „სვამ“.

- ოვ სუფიქსის ნაცვლად - ომ გამოიყენება: რას მთხოვმ...

- ებ, - ონ სუფიქსები, როგორც ყველგან, აქაც ყრუვდება და - ეფ, - ოფ სუფიქსთა სახით წარმოგიდგება. ზოგჯერ კი - ემ, - ომ ენაცვლება: რთვილს დემს მიღერებზე (ხეშითი)... ვმუშაოამდი მალაროში (გეზრული)...

ავ- სუფიქსის ადგილას - ოფ (←-ოა) არის ნახმარი: რომელ დღინოს ხარჯოფთ...

- ავ სუფიქსიანი ნიშნები უსუფიქსოდაც გვევლინება: საწნობით არი შეშა დაწყობილი და მივიზომთ...

ასევე უსუფიქსოდაა ნახმარი: რას ეჩხუბო...

-ამ სუფიქსიან ზმნათა ძველებური წარმოებაც გამოიყენება ენ-
ბითი გვარის ზმნათათვის: სულ ნედლი არ იცმის წაბლი... ეს
ცეცხლზე არ იდგმის... გვერდობები რომელიც არი, ხარი არ დეიბ-
მის... კაი სული ედგმის, აქანა მოვა ისი...

დასახელებულ სოფელთა მეტყველებისათვის ნიშანდობლივია
-ავ სუფიქსიან ზმნათა აწმყო-მყოფადის მრავლობით რიცხვში, მესა-
მე პირში, -ევ სუფიქსის გამოყენება: ქალები და რ გევენ ხახვ,
კლავს, პრას, მაკიდონელს... მაკიდონელს დათესევენ, მარა გა-
დარგვაც ქე უნდა... ქალები მობარდევენ ლობიოს, გამოცე-
ხევენ, ბარვითაც ბარევენ... ჭიანურს უკრევენ...

უნიფიკაციის შედეგად -ევ გვხვდება -ამ სუფიქსიან ზმნებშიც:
ჩალას ხეზედაც დადგევენ... გამომამბევენ ბაწარს ჩომას
(ასეთი წარმოება იმაზე გვანიშნებს, რომ -ამ სუფიქსზე დართვია
ზმნას -ევ, რომელსაც იგი შეუკუმშავს (შდრ. ა-ბ-ამ-ს — ე-ბ-მ-ებ-ა)...
ჩაის ჭიქებით სვევენ ღვინოს... ამას ასე უზევენ, ისინი ქვე ჩე-
იცევენ...

-ევ გვხვდება მარტივფუძიან ზმნებშიც: გამოგიწერევენ
ფულს... სიმილი რო დამწიფდება, მოტეხევენ...

იშვიათად, -ამ, -ავ სუფიქსიანი ზმნები შეეკუმშულიც გვხვდება:
უფასოთ სმენ... დეინახვენ ცოლ-შვილს.

ამ შემთხვევაში აწმყო-მყოფადში უსუფიქსო წარმოებაც გვაქვს:
მოთესენ პურს შამოდგომაზე...

ზემოიპერულში ძლიერია მრავალფეროვან გრამატიკულ მოვლე-
ნათა ერთგვაროვან მოვლენებამდე დაყვანის ტენდენცია და, ალბათ,
ამით უნდა აიხსნას, რომ -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა აწმყო ერთ-
ბანეთისაგან გარჩეული არ არის და აწმყოს მრავლობითი რიცხვის
მესამე პირში -ევ სუფიქსი -ამ-იან ზმნებშიც გვხვდება. ასევე უნდა
ვთქვათ უწყვეტელზეც, რომელშიც, პირიქით, ორივე შემთხვევაში
უპირატესად -ემ გამოიყენება:

მერე გაჩერდა, მარა ველარაფერს ვხედემდი... სიმონიას ადგი-
ლას რო ვყოფილიყავი, პავლიას მოვკლემდი... წულას ველარ
ნახემდი... ლარვენტი სიონში წირემდა... კითხემდა, ვერა-
ფერს ხედამო?... ისი არ დაფიცემდა... არავის დაზოგემდა...

ეტესემდით წითელ სიმიტს... ურმებით ზიდემდენ ქვას...
დახარჯემდენ ყოლიფერს... ლორს დაკლემდენ, შეწ-
ვემდენ...

კაცი რო კაცს კლემდეს, იქანა მისვლა ძნელია...

- ევ სუფიქსი აქა-იქ თუ გვხვდება: არაფერს არ ზოგვევდა... ძროხას ხარშევდენ...

- ამ-იანი ზმნებიც - ემ-დ ტიპის წარმოებას იძლევა... წყალს ვიხბემდი... პალოს მოაბემდი ბაწარს... ერთს როიზემდა ასე და ჩოუსვემდა, რა ჯობდა მის ნახვას...

ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში - ავ სუფიქსიც გვხვდება: ვსეავდი, აპა რას ვიზავდი...

- ავ-იანი ზმნები უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში უსუფიქსოდაც იხმარება: აქანა შეეინახთი... სასამართლო არ ზოგდა მაგათ... ბოვეში ეყოლა მისთანა, რომ უკეთესს ვერ ნახთი... ვთესთით პურს (იქვე „დავთესემლით“)... ასე უძახთით ქრაქს... ფხსაცმელს მინ შეკერდენ, ხარაზობა რო ესწავლათ...

რა თქმა უნდა, უწყვეტელში - ავ და მისი მონაცვლე - ამ სუფიქსებიც გვხვდება, მაგრამ ამ მხრივ ზემოიშვრული სხვა კილოთქმებთან შედარებით სპეციფიკურს არაფერს გვიჩვენებს და საილუსტრაციო მაგალითებს არ ვასახელებთ.

უსუფიქსო ფორმები გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: რალაი დატოვდი შენ სოფელს, ვერ დაგიჭერდენ... რო არ მოხმაროდა, არ ეხერხებოდა...

ე-თი დაბოლოებული წყვეტილის პირველ-მეორე პირში აქა-იქ გვხვდება ევ-ი სვერს ქვემოთ და ყვირილას მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში: ე კატები თვარ მოვსპევი, ღმერთმა ნუ ქნას... ღმერთო, შენ მოსპევი მისი გვარი... კვლარი ვეგდევი... და ფქვევი შენე? — ველარ დავფქვევით... დარგევი ნერგები... ემასაც მორჩა, ჩართევი იქა...

სვერს ზემოთ მდებარე სოფლებში კი მისი ხმარება ქართლურის გავლენით მოხშირებულია. მანდაეთში ერთი მთქმელი ამბობდა: ვუკვირდები ჩემს ლაპარაკს და ევ-ი-ან ფორმებს არ ვხმარობო, მაგრამ მინც „წამოსცდებოდა“: იხეები დევიქირევი... შენ რო ბრძანევი... გევიგევი... ქამევიო, ბატონო... წეიღევი...

ყურადღებას იქცევს წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ კავშირებით მეორეში ამგვარი ფორმები: ნაწილი ხო მევიცილიეთ... ძროხა ველარ მევიცილიეთ ბაკეში... ეს საინები მევიშორიოთ...

ეს იმიღებულ უნდა იყოს, ა. შანიძის აზრით, . ივ სუფიქსისაგან, რომელიც ზოგიერთი ზმნის სათავეისო ქცევის ფორმებს ერთვის. ასეთ ზმნებს ა. შანიძე ფუძეგაფართოებულ ზმნებს უწოდებს¹.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 515.

კავშირებით მეორესა და პირველშიც ანალოგიის საფუძველზე - ე სუფიქსის ადგილას - ო გვხვდება: უნდა მიცოს ფული... წე-ვიდოს და შეიტანოს... იმათ მოუყონ, მერა ვიცი...

ვიტაროდა, კაათ წვეიდა საქმეი... სწორათ რომ უშაობდონ, კაია... ნეტა ძმისულები იქნებოდონ კაათ... სანამ გამოარკვევდონ, შეიცადე... შეიძლება უცდიდონ იმა... სანამდი ჩამოართმევდონ, ჩამოდი... ადამიანს კლამდონ და არ მივეხმარო?

-ავ, -ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობით პირველში -ია დაბოლოებაც გვხვდება: დოუბარია მიწა... მამაჩემზე უთქვიათ: წასულა ჭიათურაშიდა ბარამიო...

აქა-იქ მეტად იშვიათად თურმეობითი პირველის და პრეფიქსიანი წარმოებაც გვხვდება: მინავლებულა თფილიში ნოდარი და დავაბაროთ ესი... მინავლებულა კირილე ლეჩხუმში...

მაგალითების სიმცირის გამო გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ამ ტიპის თურმეობითი მოქმედების შედეგს უნდა გვიჩვენებდეს აწმყოში—„მინავლებულა“—„მიდის თურმე“. შეიძლება ამის გამო განჩნდა -ებ სუფიქსის ხმარების საჭიროება დასახელებულ ფორმაშიც (მი-ნა-ვალ-ებ-ულ-ა), მაგრამ -ულ სუფიქსის გაჩენა რაღამ გამოიწვია, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. დასახელებული ტ-პის თურმეობითი პირველი საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონების მეტ-ნეველებშიც შეგვხვდა, მაგრამ იქაც თითო-ოროლა შემთხვევა. ჩანს, ამგვარი წარმოების თურმეობითი დიდი ხნის ჩასახული არ უნდა იყოს და გზასაც ჩქარა ვერ უნდა იკაფავდეს.

ამგვარივე წარმოებისაა თურმეობითი მეორეც: მინავლებულიცო ცუცია ჭიათურაშიდ...

ქვემოიშრულისათვის, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ნორმას წარმოადგენს „მინავალა“, „მინავალიყო“ ტიპი. „მინავალა“ მხოლოდ ერთხელ გავიგონეთ სოფ. მორძვეთში: ნიკოლოზის ბაბუა, ალექსანდრე მეორე, ბათუმში მინავალა..

თურმეობითი პირველი ნარიანიც გვხვდება: არც მოუკლია, არც მოუმატნია... დოუძახნიათ, მარა არ მისულა... დამინა!-ნია...

ხშირია ნარიანი თურმეობითი მეორე: დეეპატიუნა, წამოდი ჩემთანო: გოჭი ეყიდნა და წამეყვანა... დეეძახნა აქედანივე... ექვსი წელიწადი ეყაჩაღნა... კაპანია უნდა გედეხანდა...

¹ გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბ.-კავკ. ენათმ., V, 1953, გვ. 17-31; ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბ.-კავკ. ენათმ., VI, 1954, გვ. 173-174.

უნდა შამეეცახნათ... ბეჭრიც რო ელოცნა, აღარაფერი არ იქნებოდა...

- ედ სუფიქსიანი თურმეობითი მეორის ადგილას გვხვდება მეშველქმნიანი ფორმებიც: მისთანა კაცი იყო, რომ არ შეიძლებოდა მართკუთხედოვანი პეტრე... შეიძლებოდა თუ არა შენ მისთანა მუწერა მაგისი... შეიძლებოდა. ქენახა... რასაც იპარემდენ, ის კმარაყო...

გეზრულში სვერელი კაცისაგან ჩვეიწრეთ გარდაუვალ ერთბი-რიან ზმნათა თურმეობითი მეორის ფორმები, რომელთაც ჩვენი ყურადღება მიიქცევს ჭერ კიდევ საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხას მეტყველებაზე დაკვირვების დროს.

იქ რო ვყოფილიყავდით ჩვენ, შევირცხვენდით თავს... იმ დამეს რომ მაგიდის ხელმძღვანელი ვყოფილიყავდი, ამერე-ოდა სადღეგრძელო...

გასულ წელს ბერის მიტყველებას სპიკიალურად ვაკვირდებო-დით და ასეთი ფორმები მაშინ არ შეგეინიშნავს. ჩაკითხვისას ყოლა ხმარობდა სწორ ფორმებს, გაბმულ მიტყველებაში კი თურმეობთი მეორის ფორმებს თავს არიდებდნენ. შესაძლებელია ასეთი ვითარე-ბა გეგონოიწ წელსაც. ფაქტი კია, რომ, ჩიგნს ხელთ არსებული მასა-ლების მიხედვით, დასახილებულ სოფლებში თურმეობითი მეორის ის ლორმა, რომელიც ჩიინი აზრით, მიმღობაზე დართულ კონტამი-ნაციური იყავდი-საგანაა წარმოქმნილი¹, არ დასტურდება.

თურმეობითი მეორის ნაცვლად კავშირებითი მესამეც გამოიყუ-ნება. რაი ზომიმიერულში რაქულის ნორმა უნდა იყოს: არ მომწყუ-რებია, რომ შორს წავსულიყო... დღეს უნდა წავსულიყო მე... ადრე რომ წავსულიყო, კაი იყო...

კუზაჩივის - ინ სუფიქსი თანხმეონჩამოცილებული იხმარება, ჩეილობრიც, მაგრამ ხაშითში შეგახვდა ამ სუფიქსის გარეშეც: ეს მინდოდა, რომ მომენათვლებია...

დასახილებულ სოფლებში ყველგან გრძიდება - ყე ნაწილაკი მეტ-ნაყოიბად. მართალია. ცდილობენ მის ხმარებას თავი აარილონ, მაგრამ მაინც „წამოსცდიბათ“.

გამოიყენება - ყე ნაწილაკი ირიბი და პირდაპირი ობიექტისა და ინგირსიოლ ზმნებში მიიქმითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად. სერს ჩიომთ და ყვირილას მარ-ცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში — მანდაეთში, ბერეთისასა და

¹ ქ. ძოწენიძე, თურმეობითი მეორის ერთი თაქსიბურება ზემო-მერულში, ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XXII, 1960, გვ. 113-117.

წყალშავეში — კი არ იხმარება.

- ყუ ნაწილაკი ირიბობიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს: შვიდი გლეხი დგას ჩემ ადგილეთში, აგერ შევეჩვიე ბევარ-ყე... მალაზიიდან გამევექეციყე... უთხარიყე (ხალხს)... ვეუმბე? - ყე. მარა ვის ჯერამს... მოვასწარიყე-ლარმე ყანაში იმგენს... მივაყოლეყე ლანძღვა, ი ჩემი ბატონის სახლი რო დევინახე... ფოთიდან მეელიყე სტუმრედს... მე მიგასწავლიყე იმ კაცს... გაგიმარჯოსყე... რაცხაფერათ რო მევიკიდო ხელი, კი მოგეხმარებეყე... უთხარიყე, რომე ახალი გამოსული ვარ... ისინი მირტყამენ და ურტყამეყე მეცე... კრუშკას მოუკიდე და გაყევიყე...

- ყუ ნაწილაკი პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავადაც გამოიყენება¹.

მე გამქურდეს, მარა ციხეში ჩავყარეყე... გვითხარი რამე, გაგვაცინეყე... მოვკალიყე-ლარმე ტყეში ხალხი... ჩევედი, ნავხეყე, დავლოცეყე და წამევედი... მოვსკერი ხეები, წევეყვანეყე კაცები და დავახერხიეყე... დავაჯენეყე ცოლ-შვილს ხელა ურემზე, თუ ვიშონე... წამორეკეყე საქონელი... დავზარდეყე ინდოულები... თავადები ქე იყავით, მარა ქე ჩამოქყარეყე... ჩევიყვანეყე ი გოგუები...

- ყუ ნაწილაკი მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობას აღნიშნავს: |. |

საინათლო გექონდაყე კვარი... აქყე აგერ... ძან უყვარვარყე ბოვმედს, რო არ გამომტირონ, არ იქნება... აღარ მოვწონდიყე... მაგისთანაფეს ყავსყე კაი ქმარი... ზამთარში სამქედურში ვყავდიყე... უყვარსყე თავეფს წამალი...

უთქვიათყე, რო, თუ გამევიდა სულიკო, გადავწვამეყე სუყველასაო...

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ ყველა ზმნა, რომლებთანაც - ყუ ნაწილაკი შეგვხვდა.

საერთოდ, ამ ნაწილაკის ხმარება სათაკილოდ მიაჩნიათ და გაურბიან. განსაკუთრებით ახალგაზრდები ცდილობენ არ იხმარონ იგი და მაინც ზოგჯერ წამოსცდებათ. მისი ხმარება უფრო შესამჩნევია მორძვევთსა და საკურწეში, შეიძლება ითქვას, ხეაშითსა და გეზრულშიც.

შუქრუთში, სადაც ეს ნაწილაკი უკვე გადაშენების გზაზეა, ჩაწე-

¹ შდრ. ვ. ფანჩეიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმე-რული კილოს მიხედვით, საქ. მეცნ. აკად. შოაშბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 849.

რილი გვაქვს ასეთი მაგალითი: თქვენ ამტობუსს მოყვეყეთ? დასახელებულ მაგალითში - ყე სახელობითში დასმული სუბიექტის მრავლობითობისათვის არის გამოყენებული, ამ ფუნქციით კი ზემონინერულში ეს ნაწილაკი არ შეგვხვედრია, თანაც მრავლობითობის - თ სუფიქსდართული, რაც საჭირო არ არის და სხვა შემთხვევაში არც შეგვინიშნავს.

თავისებურებანი. თავისებურებას იჩენს მრავლობით რიცხვში, III პირში ჩანს, დგას, წევს და სხვა ამისთანა ზმნები.

დგას მრავლობითშია დგარან და არა დგანან: ე გლეხები ეგერ დგარან...

ჩანს მხოლოდობითში შეცვლილია და იხმარება „ჩამს“ (ნ-ს მენაცვლება), მაგრამ მრავლობითში — ჩავან: ქული არსა ჩამს... ჩომა გამოჩამს... კაცები ქვე ჩავან...

აქა-იქ იხმარება ჩავრან || ჩარან...

წევს (|| წემს) მხოლოდობითის ფუძე მრავლობითშიც იხმარება — წევრან (და არა „წვანან“): მადანა წევრან იგოგოები...

სპეციალურ ლიტერატურაში ეს ფორმები დისიმილაციით არის ახსნილი (ლ. კიკნაძე), მაგრამ, ვფიქრობთ, ანალოგიური წარმოება აქ არ გამოირიცხება.

დგარან ზმნაში მიმღობის დგარ უნდა იყოს ამოსავალი მჭდარან ზმნის ანალოგიით. რომ ეს ასე უნდა იყოს, ამას მოწმობს ასეთი ფორმაც: იქვე ვდგარვართ ჩვენ (|| ვდგარვათ — მეტათეზისმომხდარი ფორმაა, შეიძლება ამოსავალი ამგვარი ფორმებიც იყოს). დგარან ზმნა საანალოგიო მასალად უნდა იყოს გამოყენებული სხვა შემთხვევებისათვისაც.

ასევეა ნახმარი გავრან: ე ბლარები ერთმანეთს გავრან...

„მიყვარს“ ზმნაში სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობაც არის ზოგჯერ გამოხატული: ე ბლარები ქე მიყვარან და კაი მინდა მათთინ...

არც თუ იშვიათად, როგორც ახალი წარმოება, იხმარება მიმღობითი ზმნები: შენეო ქვე სწავლულოფო... ვერას ტყობილოფს... ადგილს ვერპოვილოფს... ქამას ვერცლილოფს... რასნდომილოფსისი... თუ ბებია კაათ ყამს, ისყოლიოფს...

• - პრეფიქსის გარეშე გვხვდება ზმნა „ისვრის“: ნუ სვრი ქვას... ცეცხლი არი გაჩენილი ტყვისის, რო სვრიენ...

ვნებითი გვარის ზმნას ენაცვლება საშუალი: ბრძოლოფს, მარა რაი მერე... რცხვინობდა თავის დედას (რცხვინობს — ერცხვინება)...ვინ ყუროფს მის ამბავს (ყუროფს — ეყურება)...

„ზის“ და „სხელს“ არ იხმარება. ორივე შემთხვევაში „ჯი“ ფუძე

გაზოიყენება: აბა, მარიამი ჯის იქა... ბოვში სადიკოს კალთაში უჯის... ეგერ ჯიან...

ზოგჯერ ამ ზმნას შესამე პირში ია დაბოლოება აქვს: ცეზარი საჯლია...

ამვეარ დაბოლოებას ლებულობს „ვარგა“ ზმნაც: არ ვარგია ასე... კბილი არ მივარგია...

„წყურია“ ზმნა ნამყო უწყვეტელში არქაული სახითაც იზმარება: დაწყვი-დაბადებიდან გეწყურითოდა, რო ორი ანბანი გეცოდნოდა (საკურწე)...

(მო)უთხრობს ზმნაა ამოსავალი თურმეობითი პირველისათვის უთხრობია — „უთქვამს“ ზმნის მნიშვნელობით. თურმეობით მეორეში „უთხრობია“ და (მო)„უთხრო“ ზმნათა კონტამინაციური ეთხრობია იზმარება „უთქვას“ მნიშვნელობით არც თუ იშვიათად.

ეფიქრობთ, „შეხედუროდა“ ზმნის ანალოგიით უნდა იყოს ნახმარი მოკვდეროდათ: მამა აღრე მოკვდეროდათ...

სალიტერატურო ქართულში შეკუმშული ფუძე „წვდ“ შეუკუმშავადაა ნახმარი: ქათამს არ გადაააწვედი?

„ძალა“ სახელისაგან ნაწარმოები ზმნა, წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულისა, არ იკვეცება და ვინით არის გავრცობილი: ვერ დაგაძალავეფთ, როგორც თქვენი ნება იყოს, ისე შეიქცეით... ვეღარც ამან დააძალავა...

ზმნის წარმოების დროს ამოსავალია „შეხედულება“ და არა „შეხედა“, როგორც ეს სალიტერატურო ქართულშია: ერთ კვირეში ისე გაუქრო, აღარ შეემეხედულეზოდა (ხვაშითი)...

„თბოველ“ დუქიდანაა მიღებული ზმნა: სოფელს ჩამევივლიდი. ვითბოველებდი...

ანვეე სურადლებას იქცევს ზმნათა წარმოება შემდეგი ფუძეებიდან: დააბოჭლომეფსკარეფს (გეზრული)... მეშამამგულისკირა (ველის ჭირი გამანდო)... რას შილაოფთ (შილი — მახლის ცოდო, ე. ი. რძლებიერთ ჩხუბობთ — ხვაშითი, საკურწე)...

სალიტერატურო ქართულთან შედარებით ზმნისწინების მონაცვლეობა გვაქვს: რაზეწამეიწინაურე (დაიწინაურე), ბავრატა თუქიქარი... ამ გოგობენა გამაიმედეს (დამაიმიედეს)... გავებულნიკაცია (შექებული)...

ნაზმნარი სახელები

- ყვირილი, ტირილი და მისთანათა ანალოგიით უნდა იყოს ნაწარმოები დევილი (ერთიმეორეს დევილმა 5 წელიწადი გატანა), პატრიელი (რათ გონდა პატრიელი), ხვერწილი (მამაჩემს

არ დაქირდება ხვერწილი, დაძახილი (არ მინდა დაძახილი).

მიმღეობაა ამოსავალი სახელის წარმოებისას: ქალაქში მეტი გართულობაც არი...

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ნახმარ მიმღეობის მ-არ აფიქსთა ადგილას გამოყენებულია - ილ: რო იქნებოან დასხედ ილი, ვიტყვი ყველაფერს...

არ ჩანს თემის ნიშანი: საშინელი მონდომა აქ... მონდომილი არი... აღარც თვალის გაცივნილი (იგივე მთქმელი პარალელურად ხმარობდა: ბაგრატა გაცივნილია)... ბოვში ყამს გულზე ატატული... ვინ არი გულგამბედი ბიჭი (გეზრული)...

სამაგიეროდ, თემის ნიშანი არის იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში არ გვხვდება: მამაჩემს დევენანე გასათხოვებლათ (ხვაშით)... მე ძაან სანატრებელი ვარ ვისთანმე... ამას ქონდა კოსტუმი მოხურებული (მორძგვეთი)...

- ილ სუფიქსია - ულ სუფიქსის ადგილას: სასამართლოზედაც დასწრებელა (გეზრული)...

- ელ სუფიქსი არ ჩანს მიმღეობაში: წერეთლები და ეს დევიძეები ერთი უსწავლი არ ყოფილა... უსწავლი კაცი იყო...

- ელ სუფიქსია ნახმარი იქ, სადაც სალიტერატურო ქართულისთვის ნიშანდობლივი უსუფიქსო ფორმაა: გოულანძღელი არ გოუშვეს...

მოლოდინი ჩანს ამოსავალი: „ყე“ მოულოდინებლათ წამოცთება კაცს...

გასაღები მრავლობითში იხმარება - ელ სუფიქსი: ბელის გასაღებლები მაქ... სა არი გასაღებლები...

მცოდნეს პარალელურად იხმარება ცოდინარე (მ დაკარგულია)...

ნა- პრეფიქსთან ერთად -არ სუფიქსიცაა გამოყენებული: ღამე ნათევარი ვარ...

რბის ზმნის მიმღეობა გარდამავალი ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები (არბენს) და იხმარება მორბინალი...

ფორმაუცვლელი სიტყვები. ფართოდ არის გამოყენებული აქ და იქ ზმნიზედების გვერდით აქა, იქა: აქა ჩვენ არავინ გვაწუხებდა... ქალი ეთხოვა და ცხოვრობდა იქა...

კომპოზიტში, რომლის პირველი კომპონენტი სალიტერატურო ქართულში აქ არის და მეორე იქ, რიგი შებრუნებულია და იქ თავის პირვანდელი სახით არის წარმოდგენილი: იქი-აქა რო აქ მარცვალი, ქაჩალა ტაროა... იქი-აქეთ მიწი-მოწია...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ექ: სადიკო ექ არი, ეთერასას... ექ ვიყავი. თორწეში...

ეს ზმნიზედები ნა - ნაწილაკდართულიც გვხვდება არც თუ იშვია-
თად, მაგრამ არა ისე სისტემატურად, როგორც ქვემოიმერულში: აქ ა-
ნა ბანაობდენ... ექ ან ა ცხოვრობდენ... ვინლა არი იქ ან ა...

იქ ინ ა და მ ა ქ ა ნ ა არ იხმარება.

ეს ზმნიზედები გვხვდება ამგვარადაც: ხელი არ შემეშალოს აქ ა-
ნ ა ს... ეყარა ექ ან ა ს...

ხ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება: წამევიდა მ ა ლ ლ ი დ ა ნ ა ს...

აქაურის მნიშვნელობით არის ნახმარი აქის, იქაურის — იქის:
დამეტყო აქ ის აერი... ქიათურის აერი და აქ ის ერთია, აპა? აქ ის-
თ ან ა სოფელი სა არი... აქ ის კილოსაც ამახინჯებენ, იქ ის ა ს ა ც...

მანდ ზმნიზედის მნიშვნელობით ექ ზმნიზედის გარდა ნახმარია
მადანა || მანა || მალა || მალ:

ერთი წლის მომიყვანეს მერე მ ა დ ა ნ ა... შემა მეიმზადე მ ა-
ნ ა... ზეკუტია მიდიოდა მ ა დ ა... მ ა დ გღია ცოცხი...

ეგერ ზმნიზედის ადგილას გავრცელებულია მადერ ზმნიზედის
ხმარება: რა გატირეფს, მ ა დ ე რ არ არი მამიდაი?... მე კაი ღელა
მყოლია მ ა დ ე რ ა...

კითხვითი ზმნიზედა სად დ -ს მოკვეციტაც იხმარება (სა იყავი...)
და სადანა || საანა || საანა-ს სახითაც: სა ან ა გეტკინა, ღელა, სა დ ა-
ნ ა?... სა ა ნ ა არი ი კაცი ახლა...

აქედანა ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედები: სა დ ა ნ ა ც იქ-
ნება, მოვკრი იქა... ს ა დ ა ნ ა ც უნდა იყოს იქოური, დიდ ყურაგდ-
ზას აქცემს... სა დ ა ნ ა ც მივედი, არ შემიშვეს...

საითკენ || საით ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება სიღეთ: ს ი-
ღ ე თ მიხვალ...

დ-ს დაკარგვით გვხვდება ს ი ე თ: ს ი ე თ იყავი, ბიჭო?..

კითხვაზე „საიდან“ იხმარება: ი მ ი ს ქ ე ვ ე ვ ი დ ა ნ გარემო ყო-
ფილიყო (უფრო ბუნებრივია „იმის ქვევით“).

აქამდე, იქამდე ზმნიზედების მნიშვნელობით ნახმარია: სა იყავი
ა ქ ო ბ ა მ დ ე... ი ქ ო ბ ა მ დ ი ვერ გედევლოდა...

გამო - ზმნისწინიან ზმნებთან, რომლებიც მიმართულებას აღნიშ-
ნავენ, -კენ თანდებულიანი ზმნიზედები გვხვდება: გამევიდა გ ა რ ე თ-
კ ე ნ... გამოსულა გ ა რ ე თ კ ე ნ...

დროის ზმნიზედა „მაშინ“ უმეტესად გვხვდება ამგვარად: მ ა-
შ ი თ ვ ე: მ ა შ ი თ ვ ე გულში ქონია...

წინათ ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება „წინაზე“: აგერ წინაზე (|| წინეზე) სიმილი დავუქვი...

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს: „ცოტა ხნის წინათ“.

ჯერ ფუძის გაორკეცებისას მეორე ნაწილს ა ხმოვანი აზღავს (ჯერ ჯერაობით კაათ ვარ...), ან ცალმაგი ფუძეა გამოყენებულ -ობა სუფიქსის დართვით: ჯერაობით მადლიერი ვარ...

ვითარებითი ზმნიზედა „ძლიეს“ უფრო იხმარება ამგვარად: ძლიევას: ძლიევას სულთქმამს...

ფუძეგაორკეცებულიც გვხვდება „ისევ“ ზმნიზედა: ისევ-ისევ (|| ისევ-ისე) მოსულა...

ჩვეულებრივია ძან, ძალიან || ძალიანი-ს ხმარება, ძრიელ და ძიელ არ იხმარება სვერს ზევით მდებარე სოფლებში.

„ძართლა“ ზმნიზედა გვხვდება ძალა-ს სახით: ძალა ვიყავი იქა...

პატ-პატარას ანალოგიით იხმარება ცოტ-ცოტარა: პურს ცოტ-ცოტარას თესევენ...

ძლიერ პატარას მნიშვნელობით, რაჭულის გავლენით, ალბათ, ზეა-შითში გამოყენებულია „ერცახუნა“: დიდი კარ არი, ერცახუნაა...

ამ სოფელთა მეტყველებაში ძლიერია ტენდენცია ვითარებითი ზმნიზედების ბოლოს ე-ს ხმარებისა ა-ს გვერდით და მის ნაცვლად: ჩქარე მოვალ... ასე ჩქარე წახვალ?... რაღაი ავთ ვიყავი, წინდა მეცვა სულე... სიცხე მაქ სულე...

საჩხერის რაიონში, განსაკუთრებით მის მთიან სოფლებში, ასეთ შემთხვევებში უპირატესად ა შეიმჩნევა. ა გვხვდება ამ სოფლებშიც, მაგრამ უფრო ნაკლებად: ირევა ი ბოვში სულა... ა-ს გარეშეც გვხვდება, სალიტერატურო ქართულის მსგავსად: ქურდები სულიყო...

ა-ს ადგილას ე სხვა ზმნიზედებშიც ჩანს: განაპირეს არი ე ქალი... ჩამევიდა პაშა დღესე... შენ უნდა (იხმარება უნა-ც) გაგზანო წინეო... ცოტეთი ვხედემ... ქვე წევრან ზედე...

ო-ს ნაცვლად ე არის ნახმარი.. ყუღრე სადაც არი. სითფოა... იყავით ყუღრეთ...

ქავშირი. ქავშირი მაგრამ გვხვდება მარამ, მარა-ს სახით: სახლი დამრჩა, მარამ მამაჩემის გასვენებაზე გაყიდა დედაჩემმა... თა-სოფელი ქვე არი, მარა გორები გვაფარია და ყუღრეთ ვართ...

თუ-არა-მე — თვარამე || თვარემ || თვარა: არ თქვა აწი, თვარამაო მე ვიცი. რასაც გიზამო... თუ ბევრია ნამჭა, დავდგამთ ურმეულს, თვარამე — ჩერგის... გამიშრა ჩომა, თვარაკარ დეიკარქება...

რომე || რომ || რო: ასე თქვა, რომეოვერ მოვალო... რომე-
დიოდით, წამოუხრიდი აქეთენ...

ხანმდი: ხანემდი არ მევიდოდა ე გოგოი, სადიკო არ დაწე-
ბოდა... გვხვდება და უფრო ხშირადაც სალიტერატურო ქართული-
სებურად ხანამდის, ოლონდ ს-ს გარეშე: ხანამდი წაკითხვას ის-
წავლიდენ, შახში იყვენ...

როგორც || რავარც: რავარც არი ჩვენი ჩოლობაი, ისე ქენით...
ხშირად იხმარება „როგორც“: როგორცი მორე ძმამ თქვა, ისე ეთ-
ქვა იმასაც...

რაც-ს მნიშვნელობით იხმარება რაი, რადი: რაი წაბრძანდა
ესი, აღარაფერი გაკეთებულა...

რალი ბებია მომიკვტა, აღარ მიყვარს იქ მისვლაი... ახლა, რა-
ღალი ხნოვანი შევიქენი, პენციას ვლებულოფ...

შუქრუთში ხშირად იხმარება როცა რო: როცა რო სპიტი უკეთ-
თება ამ შაქარს, ნეერეფში მიდის... როცა რო დეილალებოდენ ქა-
ლები, წამევიდოდენ...

გვხვდება „როიცსა“-ც: როიცსა შეიძლევს, კერამს (მორძგვე-
თი)...

ნაწილაკები. სისტემატურად იხმარება გოცება-დადაქტურების
ნაწილაკი აპა (აბა), იშვიათად შაპა. შარ შეგვხვედრია სვერის ქვე-
ვით და ყვირილას მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებში, ბერეთისა-
ში შაც შეგვხვდა და აპა-ც.

ზორბა ქალია ნატა, ზორბა არი, აპა!.. როცა კათ იმუშავეფ, ხალ-
ხსაც ეყვარები მაშინ! „აპა არა!

ვარდიკო რო წვეიყვანეთ, ხო კაი ვქენით? — მაპა! (ხვაშითი)...
მათხოვარი ქალი გეწვიათ? — მაპა! (შუქრუთი)...

კინალამ ნაწილაკის მნიშვნელობით გამოიყენება ღარმე || ღამე:
სირცხვილი მაჭამა-ღარმე იმან... ბებიაჩემა მამკლალ-ღარმე...
რო დეიწყო კანკალი, ავტირდი-ღამე...

ღამე და კინალამ ერთსა და იმავე ფრაზაშიც გვხვდება ერთად:
ექიმი კინალამ გადირია-ღარმე...

სისტემატურად იხმარება ნაწილაკი თითქმის (თითქმის — თუ
ითქმის): კბილი უეცრათ მეტყინა, თითქმის იქნებოდა ღამის 3
საათი...

დადასტურებითი კი ნაწილაკი ჩვეულებრივ ე- დართული იხმარება
და გაგრძელებულად წარმოითქმის: ქვეყნის საქმეა სოფელში! —
კიე... კანტორაში გამგეობის კრება ქქონდათ? — კიე...

მეტად გაგრძელებულია დადასტურებითი ნაწილაკი ქვე, რომე-
ლიც ქე-ს სახითაც გვხვდება. ზედა ქალოვანში, ჯაჯანიძეების უბან-
ში, იხმარება ქო-ც (ქვე) ვე ბგერათა შერწყმის შედეგად:

ახლა ქვე წუხს, მარა რაღას გამოჩეხა... შეხეთება გოგო, ლამა-
ზი არი, მარა სიციოცხლეს ქვე უმწარეფს კაცს... მუხლებში ქვე
მიხთება ღვინო, რო დავლემ... რო გამეიცვალოს. ჩემ თავათა მე ქვე
მეწყინება... შეეშალა ხელი და ქვე იაე... ილხენენ და მერე ქვე
ექნებიან თავისთვინ...

იქანა რო ვყოფილიყავით, ქე უშველიდით... იმას ქე აქ სანამ-
თეი... ქე ც კერემდენ, ქე ც გაშინჯემდენ...

გოგუები იყვენ, ქო კი მოქონდათ საკმელი კიათურიდანი... თი-
ნას ქო ეცოდინება ჩემი წლოვანობაი... ქალი ქო ნახე. ვონია ჩემა
ძმამ ქო დოუხნათ... ეს ქალი ბევრი უბედურობით ქო წახთა...

„უნდა“ ნაწილაკი უნა-ს სახითაც გვხვდება, რითაც არქაული ვ-
თარებაა დაცული: უნა იმუშაო და გექნება... (დ არ ისმის ზოგჯერ
მაშინაც, როცა იგი სრულმნიშვნელოვანი ზმნაა).

სისტემატურად იხმარება გაკვირვების შორისდებული ყმე და
შხოლოდ ე-ც: ე, აპა რ ა ე ვ ვქნათ... ქმე. მაგა რაეა იტყოდა...

✓ სინტაქსური მოვლანაი

ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნიშვნელი სიტყვით განსაზღვრუ-
ლი სახელი მრავლობით რიცხვშიც გვხვდება: იყვენენ სამი დები...
შვიდი შვილები ყამს... ორი ძმები ყამდა დედაჩემს ცოცხა-
ლი... ექვსი დამიანი ვიყავით... ბევრ მოწაფეებს მე შევეხ-
მარე, სიასალგაზდავე რო შემდემდა... იმდენი ფრინველები
მოდიან...

ქვემდებარესთან შემსმენლის შეთანხმებას აზრობრივი ხასიათი
აქვს:

არ მოდიან ხალხი... ხალხი მიდიან... კითხულობ-
დენ ხალხი... ეს ხალხი არიან იქ... მანქანა გააჩერეს
ხალხმა... იყვენ გადავარდნილი ორი ბიჭი. ესენი მით-
ხრეს ორმა ახალგაზრდამ... მადერ არიან ორივეი...
თინას მოსადილე მოდიენ (ხეაშითი)... ოზდაათი გლეხი
მოსულან იქიდან... ჩენი მამა-პაპა კახეთში არიან გადასუ-
ლი... გეიყვენ მერე ცოლ-ქმარი...

აქა-იქ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშიც იხმარება გარდაუვალ
ზმნასთან, როცა მას გარდამავალი ზმნა მოსდევს.

როცა მიყამდათ ზაქარია, მან მოუბრუნდა და ერთი ჯოხი დაარ-
ტყა მამასახლისს (მორბევითი)...

შედგენილი შემასმენლის არსებითი სახელითა და ზედსართავი სა-
ხელით გამოხატული სახელადი ნაწილი მრავლობით რიცხვში დგება
შემასმენელთან ერთად, თუ ქვემდებარეც მრავლობითშია, ე. ი.

ეთანხმება მას რიცხვში სალიტერატურო ქართულის მსგავსად: სა-
ინები არიან ესინი... ბაბუამისები დიაკვნები
იყვენ... ყველანი კაიები იყვენ...

ძრავლობითში გვხვდება მიმღობით გამოხატული სახელადი ნაწი-
ლი: ეგენი დარეცხილები არიან...

სხვათა სიტყვის ო - ნაწილაკის წინ თანხმოვანფუძიან სიტყვასთან
ა-ც გამოვლინდება ხოლმე: რეზიკომ თქვა; არაფრით არ წავალაო...
ამის გაკეთებას ვერ შევძლებო, — ეთხრობია ბაბილინეს...

გვხვდება ორმაგი უარყოფაც: ვერსა ვერ წავალ... არავინ
არ იყოდა ეს ამბავი...

სიტყვის მასალად ხშირად იხმარება „იმა ქნა“: მალა არ იმაქე-
ნი, არ გააკეთე?... იმაუქნია აღრაფინეს. წოუყვანია ექიმთან
სადიკო...

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ აღგვეჩვენებინა და დაგვეჩვენებინა ის
თავისებურებანი, რომლებიც ენობრივი დაკვირვებისათვის შერჩეულ
სოფლებში იქნა შემჩნეული. მოვლენათა კვალიფიკაციისაგან თავი
შევიკავეთ, რადგანაც, ჭერ ერთი, ეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი მეექ-
ვსე ნარკვევია ზემოიმერულის შესახებ და გამეორებას მოვერიდეთ,
და მეორეც, სანამ ზემოიმერული მთლიანად შესწავლილი არ არის
ქველი და ახალი სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის
კილო-თქმების მონაცემებთან შეპირისპირების გზით, ყოველგვარი
დასკვნის გამოტანა ნადრევად მიგვაჩნია.

ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება

I ნ ა კ ვ ე თ ი

როგორც ცნობილია, იმერული დიალექტის ზემოიმერული კი-
ლოკავი გავრცელებულია საჩხერის, კიათურის, ორჯონიკიძისა და
ზესტაფონის რაიონებში. ამათგან პირველი სამი რაიონის მცხოვრებ-
თა მეტყველება დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ მიერ ასე
თუ ისე შესწავლილია სოფელ-სოფელ. ამიტომ, ბუნებრივია, თუ საკ-
ვლევე ობიექტად ამჟამად ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყვე-
ლება ავირჩიეთ.

ზესტაფონის რაიონის სოფლების ერთი ნაწილით ზემო იმერეთი
ქვემო იმერეთს ემიჯნება და მოსალოდნელი იყო, რომ ამ რაიონში,
ზემო იმერეთის სხვა რაიონებთან შედარებით, უფრო ზღაპრულად
იქნებოდა წარმოდგენილი ქვემოიმერულის ნიშნეულებანიც. მაგ-
რამ წელს ჩვენ სამუშაოდ შევარჩიეთ ზესტაფონის რაიონის ის განა-
პირა სოფლები, რომლებიც ეკვრის არა ქვემო იმერეთს, არამედ,
ერთი მხრივ, კიათურის (ბოსლევო, სანახშირე, დილიკაური, საღვინე);
და, მეორე მხრივ, ორჯონიკიძის (შროშა, განთიადი) რაიონების სოფ-
ლებს. ამ სოფლების მეტყველების შესწავლით ჩვენ გვინდოდა დაგ-
ვეზუსტებინა, რამდენად ნიშანდობლივია ზემოიმერულისათვის სხვა
რაიონების მეტყველების შესწავლის შედეგად შენიშნული გრამატი-
კული თავისებურებანი და ლექსიკოლოგიური მასალა, დაგვედგინა
მსგავსება თუ განსხვავება და ამით შეგვევსო ზემოიმერულის შესა-
ხებ არსებული მასალები.

ამ ნარკვევში ჩვენ აღვნიშნავთ და დავაჯგუფებთ იმ თავისებურე-
ბებს, რომლებიც საანალიზოდ შერჩეულ სოფლებში იქნა შემჩნეული.
თავისებურებათა კვალიფიკაცია სხვა კილო-თქმებისა და სალიტერა-
ტურაო ქართულის მონაცემებთან შეპირისპირებით შემდგომი კვლე-
ვის საქმეა. მომავალ წელს კვლავ მოგვიხდება ზესტაფონის რაიონის
დანარჩენი სოფლების მეტყველებაზე დაკვირვება და მაშინ მეტი შე-

საძლებლობა მოგვეცემა, რომ ამ რაიონის მეტყველების ნიშანდობ-
ლივობათა უფრო სრული მიმოხილვა წარმოვადგინოთ.

ფონეტიკური მოვლენები

ფონეტიკური შედგენილობით ჩვენი დაკვირვების ობიექტთა მეტყველება არ განსხვავდება არც ზემო იმერეთის სხვა სოფლების მეტყველებისაგან, თითქმის არც სალიტერატურო ქართულისაგან. როგორც ზემო იმერეთის სხვა სოფლებში, ისე აქაც სახელის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ მოხვედრილი სახელობითის ი ა -ის აკუსტიკურ შთაბეჭდილებასაც ტოვებს გამონაკლის შემთხვევაში, ჩვეულებრივ კი სრული ი აღიქმება. აქა-იქ ვხვდებით უმარცვლო უ-საც (უ): უ ა რ ე ს ი მოგვი აწი...

ზემოიმერულში ყურადღებას იქცევს მახვილის საკითხი, მაკრამ, სანამ ზემო იმერეთის მეტყველება ამ მხრივ საგანგებოდ და სრულად არ იქნება შესწავლილი, გადაჭრით რისივე თქმა ძნელია. წინასწარ თავს ნებას მივსცემთ, აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ზემოიმერულს აქვს დინამური მახვილი ტონური მახვილის ელემენტებით. ზოგჯერ ფრაზაში შემავალ რომელიმე სიტყვაში, ხანდახან ყოველ სიტყვაშიც კი შეინიშნება ხმის აწევა და იმის მიხედვით, თუ რამდენმარცვლიანია სიტყვა, ბოლოდან მესამე, მეორე თუ პირველი ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის და ტონიც მალღდება. დავასახელოთ წაგალითები:

ვისევე ხომე წამალს და მირჩება... ზღაპარი, ბატონო, რა არი... ანგრე კარ უნდა წასულიყავი შენე... ეფაროს ეგ ტომარაი... ძროხა გოუყიღია ახლა... იქ კი აკეთებენ თორნეს... ასოები იცის, გოგო... მადერ არის გოგო, შკაფში... ბიკენტია ყოფილა მანანა... დოუგე ხაფახგი...

კითხვითსიტყვიან ან კითხვითნაწილაკიან კითხვითს წინადადებაში, კითხვითი ინტონაცია ბოლოდან მეორე მარცვალზეც შეიმჩნევა:

კონ თქვა: გოგო, ეგე... საპონი ხეა'რ დაგინახია, ქეთო, შენე აქა...

კითხვითი სიტყვის არმქონე კითხვით წინადადებაში, განსაკუთრებით შროშაში, ბოლო მარცვალი წარმოითქმის ზოგჯერ მეტად გაგრძელებულად:

მარგალიტა არ მოდის, მართლა?..

გაგრძელებულად წარმოითქმის კითხვა-მიგების დროს დადასტურებითი ნაწილაკის ბოლოს დართული ხმოვანიც: — ზურაბა მუშაობდა ბოლომდე? — კიე...

ზესტაფონის რაიონის მეტყველებაში მეტ-ნაკლებად ყველა ფონეტიკური მოვლენა გვხვდება.

ასიმილაცია. ასიმილაცია თანხმონებშიც გავრცელებულია და ხმოვნებშიც. თანხმონებში რეგრესული ასიმილაციის თანაბრად იხმარება პროგრესული ასიმილაცია, როცა ყრუ ფშვინვიერს, აბრუპტივს ან ყრუ სპირანტს მოსდევს მკლერი ხშული: კპილი, ტპილი, დატპიტი, ტპილიკვერი... ტპა... თავტაპიკი.. დაატა, კტი, გასკტა... არკატი (ბოსლევი), მოკტა, სიკვტილი... გატყტება, დაწყტება, დამამიწყტა...

(ასე შემთხვევაში უასიმილაციო ფორმებიც შეინიშნება, განსაკუთრებით სოფელ შროშის მეტყველებაში).

სითფო, დამითფო... გაჩთა, გახთა, ჩაოხრთა... გამართთენ (დაკარგულია ლ-ც).. ხფო (შროშაში იხმარება ხ ბ ო ც)...

დასახელებულ მაგალითებში ასიმილაცია მკლერის დაყრუებაში მდგომარეობს და სრულია პომორგანულ თანხმონებში. ხოლო ნაწილობრივი — პეტერორგანულ თანხმონებში.

თანხმონანთა შორის რეგრესული ასიმილაცია გვაქვს გვარობის მიხედვით, როცა მკლერ ბგერას მოსდევს ყრუ ან პირუკუ, ყრუს — მკლერი; შეიძლება ყრუ ბგერამ დაიმგავსოს ყრუ ბგერა წარმოების ადგილის მიხედვითაც, ამგვარადვე მკლერმაც — მკლერი. დავასახელოთ მაგალითები:

პტვერი... მიახწია... ნეფსი, დამიფსო... ზღია, მზგავსი, ოზღაათი... საპპო... ვაშკაცობა... შახში (შროშაში გავიგონეთ შახლი: შახლიკაც-მაც არ ოცის. მთქმელი იწყინერი იყო და ამ სიტყვას ყოველთვის ამგვარად ხმარობდა), შაშიკო, უშაშვალა (უსაშველა), ყმაყოფილი, უყმაყოფილო, ყმაყოფა... უმბოფს (ჭერ ნ -ს მეტათეზისია, შემდეგ ასიმილაცია)...

მიცემითის ფორმანტის გავლენით ხშირად ასიმილირდება სა'ელის ბოლოკიდური მკლერი, ხოლო მესამე სუბიექტური პირის - ხ სუფიქსის გავლენით — თემის ნიშნის მკლერი თანხმონანი: ქვაფხ, ბახხ, სიპითხ, ქვეფხ. წარბეფხ, უყენეფხ, ახმოფხ...

ასიმილაციას განიცდის ობიექტური პრეფიქსებიც გ - და გვ -:

რასაც მთხოვ, იმას მოქცემ... კაცი არ მოქჩღემდა... მოქშორდი, მოგეცი ყოლიფერი, ესიც შენ დაქრჩება... კაი მოქცეს ღმერთმა, თუ შექხვთა კაი... დაქვრჩა უთქმელი... ბედნიერება ნუ მოქვშორდეს... ქვთხომს...

ქ.იქაც კი იხმარება. სადაც გამვლენელი ბგერის მიხედვით მოსალოდნელი იყო მკვეთრი: რა ქტკივა. რა ქკლამს... ორი უღელი ხარი ქყყამდა...

როგორც ჩანს, ზემოთხსენებული გაურბის პრეფიქსად ფუძისეული მკვეთრის მიერ ასიმილირებული მკვეთრისევე ხმარებას და პროცესს

ამ საფეხურზე არ აჩერებს. შემდგომი საფეხურია მკვეთრად მკვეთრითვე გამოხატული პრეფიქსის ფშვინიერით შეცვლა.

სალვინეში შეგვხვდა ბგერათცვლილების ისეთი შემთხვევა, რაც შეიძლება საურთიერთო ასიმილაციის შედეგი იყო მხოლოდ:

თვარ მიქხავდი, რაზე წამოდიო, — მითხრა.

ჩვენი აზრით, აქ რეგრესული ასიმილაციის შედეგად მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ-ჯერ კ-დ უნდა შეცვლილიყო, მერე უნდა მომხდარიყო მისი დისიმილაციური გაფშვინიერება. შემდეგ კ-სა და ყ-ს შეხვედრით პროგრესული ასიმილაციის შედეგად თვით ძირფული უ შეცვლილა (მიყავდი → მიკყავდი → მიქყავდი → მიქხავდი).

რეგრესული ასიმილაცია განსაკუთრებით ხმოვნებში გვხვდება. გნებითი გვარის ი, ე და ქევის ი, უ ნიშნები იმსგავსებს ზმნისწინის ა, ე, ი ხმოვნებს. შედეგის მიხედვით ასიმილაცია ზოგჯერ სრულია, ზოგჯერ — ნაწილობრივი. ამ მხრივ ზემო იმერეთის სხვა რაიონებთან შედარებით აქ თავისებური არაფერი შეინიშნება.

ა — ე: ეილო, ევიდა... ეერია, ეელო...

ა — ი: იუშვა, იუტანიათ...

და — დე: დეილუა, დევივიწყე... დეესია, დეეწია...

გა — გე: გეიგლო, გეიტანა, გეიქცა, გეეკეთებია, გეეშალა...

გა — გო: გოუგლო, გოუკეთა, გოუთავა...

წა — წო: წოულია, წოუგლეჯია...

წა — წე: წეილო, წეიყვანა... წეელო, წეევიით...

ჩა — ჩე: ჩეიტანა, ჩეიფქრა... ჩეეცვათ, ჩეერბინათ...

ჩა — ჩო: ჩოუგდია, ჩოუყვანია...

შო — შე: შეიყვანა, შეიკლო, შევიდა... შეეტანათ, შეეგოთ...

შე — შო: შოუთელი, შოუნთეფ...

რთული ზმნისწინების წინა ხმოვანზე ფუძისეული ხმოვნები ვერ ახდენს ჩვეულებრივ გავლენას: გამეეღევა, წამევიდა, გაღმეიბარცხნა...

გადა - ზმნისწინის ორივე ხმოვანი აქა-იქ ასიმილირებული ფუძისეული ე და ი ხმოვნების მიერ: გედეეჩევი, გედემეხვიენ, ვერ გედეისადეს...

ჩვეულებრივ, ზმნისწინის პირველი ხმოვანი არ არის ასიმილირებული: გადეიქოჩრება, გადეიკვრება, გადევედით, გადეიქცა...

ამ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი უპირატესად მოკვეცილია: გაღირია, გაღვიწიე, გაღიქცენ...

გვხვდება ასეც: გედისადა, გედისრო...

პარალელური ვარიანტები შეინიშნება ფუძისეულ უ-სთან მი-

მართების შემთხვევაშიც: გოდურგო, გოდოუხადა, მაგრამ: გადუ-
რა...

მ- ზმნისწინის ი ხმოვანს ქვევის უ ხმოვანი, რომელიც მას ორ-
მაგად უპირისპირდება, როგორც უკანა არტიკულაციისა — წინას და
ბაგისმიერი — განივს, სრულად იმსგავსებს, მაშინ როცა ოუ კომ-
პლექსი ასიმბილატიურ ცვლილებას არ ვანიცდის: რო მუ უ ს ი ა ხ-
ლოვ და სახს, სიმღერა შამეესმა... ახლა რო ვთქვათ ჩვენე, ველარ
მუ უ დ ი ა ნ იმის კანონეფს... რომელი მუხლი მუ უ დ გ ე ბ ა, ისე
უნდა გადაწყვიტო... ქალაღზე დავღევი და მუ უ ტ ა ნ ე... ქეც მუ-
უ ა ხ ლ ო ვ დ ე ნ ქუთაისს და დეინახეს ი კაცი... თუ კაცი ხარ, ფუ-
ლი უნდა მუ უ ტ ა ნ ო ცოლს... მერიკოს მუ უ ხ ტ ე ნ დ ი იქა... რო
ვთქვა, ვინ არი ჩვენი ხენწიფეიო. მუ უ ვ ი ღ ა ხ მ ა და დეიჭირა ჩვე-
ნი ბატონი... მისთენ რუსიკოს ფული არ მუ უ ც ი ა... ჩემი ფული
გავატანე რაღას. ჩემ შვილს მუ უ ტ ა ნ ე წამალი-მეთქი... დედამ-
თილია, ჩაფით წყალი უმალ მას უნდა მუ უ ტ ა ნ ო...

ამ მზრვიაც ზემო იმერეთის საკვლევ რაიონში სპეციფიკური არა-
ფერი შეინიშნება.

ასევე რეგრესული ასიმბილატიის შედეგია: აპოური, აქოური, სი-
დოური (ჭერ დისიმბილატია, შემდეგ ასიმბილატია), ოუბნება... ქუთე-
ისი... მოორე...

რე იქნა... რო უყავი... რაეო ექნა...

პროგრესული ასიმბილატიით უნდა აიხსნას: სოდოგარი (სოდოგარის
კოლი გეგონება), კოლოქტიეობა, წარმოობა...

რეგრესული ასიმბილატიის მოქმედების შედეგია ის ცვლილებები,
რომელთაც იწვევს ა ხმოვანფუძიან სახელებზე მრავლობითის -ებ
სუფიქსის დართვა:

მისი ბ ი ძ ე ბ ი წყაროსთან ცხოვროფს... ურმის ნაწილია ქ ა-
ღ ე ბ ი...

ქ/საყურადღებოა, რომ ასეთ შემთხვევებში ზესტაფონის რაიონში,
ისე როგორც ზემო იმერეთის სხვა რაიონებში, უპირატესად უასიმბი-
ლატიო ფორმების მომძლავრების ტენდენცია შეიმჩნევა: მევიდოდა
ჩემი შ ა მ ი დ ა ე ბ ი... ზესადგარში გაყრილია ს ა ფ ე ნ ე ლ ა ე ბ ი...
ფ რ ჩ ხ ი ლ ა ე ფ ს უძახით, აჩაჩა ურემს რო აქ წინ... ბ ი ძ ე ბ ე-
თ ა ნ მივდივარ... მეშინოდა ს ა დ გ ო მ ა ე ბ ი ს კ ე ნ (კუბოების.იენ)
მიხედვის... ახლა მ ა შ ი ნ ა ე ბ ი თ არი მიტან-მოტანაი...

დისიმბილატიის მაგალითებია: ბევრჯელ, ორჯელ (ამის ანალოგიით:
სამჯელ, ოთხჯელ და ა. შ.), კალონი, გასუნელებული, კონსტანტილე,
ამტონა, ცხენოსალი, აღანი, არალი... უმანდელი, გუშინწილ...

ხმოვანთა დისიმილაციური ცვლილებების შედეგი ჩანს: აფხანი-
კო, თანდითან...

შეიძლება დისიმილაციური გამკლერება იყოს სიტყვაში: კარ-
ლობელი...

მეტათეზისი. სონორ ბგერათა მეტათეზისი, რომელსაც ქვემოიშე-
რულში მეტად ფართო მოხმარება აქვს, აქ უფრო ნაკლებ გამოიყე-
ნება: სურიელი, სარძიკველი, შეკმაზული, ყინჯა, ინევრიულა, შეე-
მქენით, ზვინჯირი... ნაეზე, ნამხა, ნამხველი, ნაწყავ...

შროშაში აქა-იქ იხმარება „ძრიელ“, სხვა სოფლებში არ შეგვინიშ-
ნავს.

ასიმილაციისა და მეტათეზისის შეერთებული მოქმედებით აიხ-
სნება: მოზვეტერია (მოხვედრია — მოზვედრია — მოხვეტერია), უმბოფს
(უზნობს), ვეუმბები, მეუმბებიენ...

✓ ბგერათა დაკარგვა. განსაკუთრებით შესამჩნევია დ-ს დაკარგვა
სიტყვებში:

წევეით, რო ჩევეით, ერისტო შემსვთა ჭიშკარზე... მოი-
თო, — ქალები დეიბარა... გაიხ დრო... ვიცოთ, საანა იწვა...
დაყარე მაანა... საამდი მევიდოდი, სა იყავი... ვენახს რ რის
კრიფამ... ეკლესია სალა არი... ე გოდრები არსა დამიტოვო... ჩემი
შვილი საცინლათ მიგდეთს, ნ ულარსა მიდიხართაო...

ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით. დაკარგული
ჩანს მ ბგერა: თა, წყესი, კადი, დიდარი (|| დიდარე), შრალი, შიერი,
წარე, წყურალი, ტირთავი, ფლობელი, ხრები (ეენახს ხრეთს შევატ-
ლით), კითხავი, წოლიერი (მწოლიარე — ბოსლევეი), ტყისცველი...
ხოლოთ...

ქო, რო, რატო...

რ: გავზდიდი, ბძანა, ბძოლა, კინახული, ცემლი, ფთა, სპიტი, ბი-
ლი...

ლ: კტე (|| კოე), დააკტა, საპანე...

ნ: ააიდი, სიმიდი, მიდორი...

ო: ილოტი. იდნა (|| ოდნავ), სიამონება, უსიამუნო...

ბ: უნოფს: უნობენ...

წ: ნოარებული (ბატონყმობას მაგიც არ იყო მოსრებული), დი-
სული...

ღ: მარამ || მარამა, რავარი (შეკვეციოთ რ ა ვ ა)...

რგ: ვაი (|| კარქი)...

არ გავეიგონია, ბოსლევის გარდა, რომ ეხმაროთ „კაათ“, „კაათ-

1. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულ-
ს. აჭარულში, თსუ. შრ., VI, 1938, გვ. 126.

ძყოფი“, რაც სისტემატურად გამოიყენება კიათურისა და საჩხერის რაიონების მეტყველებაში. ბოსლევშიც აქა-იქ ამ სიტყვის აზგვარა ხმარება კიათურის რაიონის მეტყველების გავლენას უნდა მიეწეროს.

ი: იმტო, ჯიჯლაყა (ჯიჯილაყა)...

ხმოვნის დაკარგვასა ან გაუმარცვლოვნებასთან უნდა გვექონდეს საქმე შემდეგ მაგალითებში: ქ'არ მომკლა... გუმანი ქ'არ ავის ქონდა... ბოვშის ბრალი ქ'არაფელი ყოფილა... ხ'ვერ წახელო... თ'ვარ დოუძახებდი, გადავარდებოდა... მა ქვეით ხ'ვარსა არი... ხ'ვალარ მქონდა... თ'ვარაფელი მამეცს, არ ვიმუშავეფ...

ასეთ შემთხვევაში ხმოვნის დაკარგვასა და გაუმარცვლოვნებას მახვილის საკითხით ხსნიან სპეციალურ ლიტერატურაში. მახვილის გავლენითვე უნდა აიხსნას მთელი მარცვლის დაკარგვაც სიტყვაში:

იღბალი ქ'არაფერში, მაქ, გო (გოგო)... გო, უთხარი...

იმერულში რედუქციის კანონი მოღუენებულად მოქმედებს, ბევრი სიტყვა, რომლებიც სალიტერატურო ქართულში შეკუმშულია, აქ შეუკუმშავად არის წარმოდგენილი: კვალებათ (ბოსტანს ვყოფთ კვალებათ), ამბაყები, მაშეალობა, ქმარის (4 გოგო მყავდა ამ ქმარის ხელში)...

ზმნისა და ნაზმნარი სახელების შეუკუმშავი ფორმებიც გვხვდება: დევილალები, გადაღალულ ვარ... მოზვერს ენა აქ წაგდებული დაღალულობით... რას ეჭინაყები... რას მასხარაობენ... თუ ისინი დაგეთანახმება, მეც დაგეთანახმებო...

ჩვენი დავიძრებების ყველა ობიექტში შეკუმშული იხმარება სიტყვა დარი: ქინკა წვეიდა დრიტოლა ავდარი ქე იყო... დრიტოლა ავდარი ქინკა, ავდარი იქნება...

ზგრათა განვითარება შეიმჩნევა სიტყვებში:

მ: ჯიმში, ნამყოფიერი (არაფერი ნამყოფიერი არ არი), უმფრო, უმფროსი, ბიმბილო, მწყნარი, დაამწყნარეფ, მწვირე, მწვირიანი, რამფერ, იმქვრივა, დავამტყვევეფ...

ნ: ყმენდი, სერიოზნული... ვამაღუნსე, ანცხოვრა... ანგრე...

რ: სარჯული (მღრ. რჯული), სირნა (სირნა მოვახეიე ამ მაინეს). თნკილი, არ ვითარკილე, ასრე (მართალია, რე ნაწილაკია, მარამ თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით ამ სიტყვებში რ ზედმეტია)...

ვ: ბოჩვი, ხეცი (ესენი ხეცეებია, ხეცეები), თოკვი, ბურთვი, დარჩივილი, გაქვრიო (გაქვრით აქედან) ..

იხმარება წე რ ვ ა, რომელიც ან ანალოგიით უნდა იყოს ნაწარმო-
ები (შდრ. მასდარი „კითხვა“) ან ამოსავლად უნდა იღებდეს წე რ ა ე
ფუძეს.

ბ: ბქორი (ამათმა იციან ბ ქ ო რ ი), იბქორა (ქალი რ ო ი ბ ქ ო რ ე ბ-
და. არ უყვარდა), უმბრავლესობა, კამბეჩი...

თ: ასთე...

ი: პალიტო...

ბგერათა შენაცვლება

ვ — ბ: თებზი. ბარცხნა, პარასკები...

მ — ბ: ბრუნდი (ნ-ც ჩამატებულია), ბზეთუნახავი...

ვ — მ: ნამთი, ხამსი, სამსე, დამსილი, დღემანდელი, დამამიწყტა...

მ — ნ: აბრეშუნი, ნეფე, უნცროსი... დავანთარე, რანკები...

რ — ლ: კელპი, ბელწი, ჩალხი, გოგილდი, ინდოული (შრომაში გა-
ვიგოხეთ, ჩვეულებრივ „ინდოური“ იხმარება).

ნ — ლ: პარმელა, ოლისიმე...

ლ — ნ: ბულანტერი...

შეიძლებოდა ბგერათა შენაცვლების შედეგად მიეჩნია კაცს „ამე-
ვისულთქმე“, რომ არ იხმარებოდეს მასდარი „სულთქმა“.

ნ — რ: რიადაგი: ამ რ ი ა და გ ე ზ ე არ გევიელი... რ ი ა და გ ი
არ დაკარქა...

ჩ — ც: შეამცნედა...

ხ — ზ: გრადუზი, გენიოზი...

გ — ქ: დაკარქული...

ხ — რ: სარჯელი...

დ — ტ: ბრიგატელი...

პ — კ: კორფილე...

ძ — ც: გამცვარცვა (ჩამატებულია ვ ბგერაც)...

ბგერათა შენაცვლების შედეგად ჩანს მიღებული: ა ქ ტ ო ნ ო ბ ი-
ლი, ასევე: ხ ი რ ხ ი მ ა ლ ი, კ ო მ ი ს ე რ ი, და რ ი ჯ ა ნ ი, ბ ლ ი გ-
ვი (ბლაგვი), პ რ ო ფ ი ს ო რ ი, გა რ შ ა მ ო ...

აფრიკატიზაციის ნიმუშებია: გეიპარცა, ჰენცია, ბელძინი, თით-
ქმიც. ხოლო — დეზაფრიკატიზაციისა: მიიზიე (მიიწიე), გეიზი,
დეიზით...

ბგერათა კომპლექსების ცვლის შედეგია:

ვე — ო: ჩოულობა, მიჩოული (არ მ ჩ ო ვ ი ა ტყუილი...)

უ — ვი: თხოვილოფს...

ოვა — ოა: მოა, გამოარდა, ჩამოარდი...

ო — ევ: სამეველი...

ე — ო: რამდონი...

სკ — შკ: ზაკუშკა...

თხ-ს შერწყმის შედეგია: ერცახე (აქა-იქ გვხვდება)...

მორფოლოგიური მოვლენები

როგორც მოსალოდნელი იყო, ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელთა სახელობითში ხშირად აქაც -ი იხმარება:

იქიდან ჩამოქონდათ ქვაი... მამაჩემის დედაი და თინას მამაი დაძმანი იყვნენ... ჯობია ჩემი წასვლაი... მე, ლიანაი, თამარაი უნდა წვევიდოთ ადრე... კვატაბზუა (მეტიჩარა) ქალია პაშაი... რავა არი შენი საქმეი... მიყავდათ ივანე აბაშიძეი... დეილვარა დვინოი... ორი წლით არი ჩემი გოგოი უხნე ქმაღზე... ერთი თვით იყო კაკოი ი ჩემ გაბროზე უხნე... ამიშვა ბრუი... ბუი იყო, გაშლიდა ფრთეფს, დახურემა... ჩქარია ბუდუი...

საზგასასმელია, რომ ზოგიერთი ა ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი ტატიანა, პოლინა, ვალენტინა უპირატესად იხმარება ე დაბოლოებით, რომელიც მიღებული ჩანს სახელობითის ი-ს დართვის შედეგად ბოლოკიდური ა ხმოვნის ასიმილაციით:

მე დავავალიანე ტატიანე... პოლინე არ იყო შახში... ვალენტინე აღარ დადის...

ეს სახელები ახლა ე ხმოვანფუძიანადაა გაგებული, ამიტომ ე ხმოვანი სხვა ბრუნვებშიც არის გადაყოლილი.

მითხრა ტატიანემ... ტატიანეს უთქვია... ესენი ტატიანეს სტუმრებია... პოლინეს რძალი ქეყამდა აქ...

შეგვხვდა „დიდარე“-ც (ჩვეულებრივ იხმარება დიდარი)...

წოდებითშიც ე ხმოვნიანია ეს საკუთარი სახელები: ტატიანე, მადერ შენ უხელმძღვანელე... პოლინე, თხები ჩამოდენე...

ქვემოიმერულში ამ მოვლენას, რომელიც ასიმილაციურ ნიადაგზეა წარმოქმნილი, მეტად ფართო გავრცელება აქვს. ზემოიმერულში კი ეს პროცესი დასაწყის სტადიაშია.

მოთხრობითში ერთი მისმის მ თანხმოვნით გათავებულ სახელებთან, ოღონდ უფრო ხანგრძლივი დაყოვნებით:

ქათამა რო ყურძენი არ დაეცეკოს, ცხვირში გოუყრიან ქათმის ფთას... იკლემდა თავს, ძროხა დაკლა ჩემა გერმაო...

სახელობითის ი ფუძისეულ მასალად არის გაგებული და მოთხრო-

ბითშიც გადაყოლილია: თ ე ნ გ ი ზ ი მ თქვა... გ უ რ ა მ ი მ გა-
აკეთა...

ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სა-
ხელთა დაბოლოების ვაიგივების ტენდენცია, რაც ხელშესახებია
სახნერის, ქიათურისა და ორჯონიკიძის რაიონის მეტწილ სოფლებში,
აქ თითქმის არ შეინიშნება.

თანხმოვანფუძიანი სახელები მ ი ც ე მ ი თ შ ი ბ რ უ ნ ე ის ნ ი შ ნ ის
გარეშეც გვხვდება:

ბამბის ჩ უ ლ ქ ჩ ე ვ ი ც ვ ა მ ... ტ ყ ე მ ა ლ რ ო მ ო ვ ხ ა რ შ ა მ თ, მერე გაე-
წურავთ... დავრგამთ ტალხუნას, ქ ი ნ ძ დ ა ვ ე თ ს ა მ თ ... მ ე ს ე ი რ ე ყ უ -
რობდი... მოვჭრი წ ყ ნ ე ლ ... ჯინები გვიშლის ხ ე ლ ...

თანხმოვანფუძიან სახელებთან ს -ს დაკარგვა შეინიშნება ნათესა-
ობით ბრუნვაში დაყენებულ მსაზღვრელთანაც პრეპოზიციული წყო-
ბისას: მ ა მ უ ლ ი ბ ო ლ ო შ ი გადაყვევი... ერთი ორი ყვავილის გამონა-
ყარი ფ ე ხ ი გ უ ლ ის ქ ე ვ შ ი ყ ო ...

მიღებოდა და ნათესაობითში ემფატიკური - ა მეტად იშვიათად
გვხვდება: უ ს მ ე ნ ი ა ა მ კ ა ც ხ ა ... ბ ე ვ რ ი წ ყ ნ ე ლ ი დ ა ქ ი რ დ ე ბ ა ? — რ ა -
ს ა ? ... წ ა რ ე ლ ე რ წ ზ ე მოხთება დამყნა ვ ე ნ ა ხ ი ს ა ...

სამაგიეროდ, თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელ-
თა ნათესაობითში ემფატიკური ა -ს ადგილი - ი -ს უჭირავს, ხმოვანფუ-
ძიან უკვეცელ სახელთა მსგავსად:

მეიღდა წერილი მაგ ბ ი კ ი ს ი ... გამოვხადე ოტკა ტ ყ ე მ ლ ი ს ი ...
იმას რო ქონებოდა იღბალი შ ვ ი ლ ი ს ი, ეყოლებოდა... მოდიოდენ
ნამხველები დ ე დ ა ჩ ე მ ი ს ი ...

- ი გვხვდება გათიშულ მსაზღვრელთანაც: ესი შვილი არი ი მ კ ა -
ც ი ს ი ... დედაშენმა მოყოლა იცის ძველი ა მ ბ ე ბ ი ს ი ... ლოგინი
მქონდა ჩემი ბ ი კ ი ს ი ... ქორწილი იყო ე ა ლ ი კ ო ს ი ... სამკუთხე-
დი გაკეთებდა ა ნ გ უ რ ი ს ი ...

- ი გვხვდება განმარტოებულ მსაზღვრელთანაც: ვისია ე მიდო-
რი? — დ ა ვ ი თ ი ს ი ... სიმიდი ზევიდან დავყაროთ? — გაპიროვნე-
ბული ყ ა ნ ი ს ი ?

ასეთი წარმოება მეტად გავრცელებულია ზესტაფონის რაიონში
და მის მოსაზღვრე ქიათურისა და ორჯონიკიძის რაიონების სოფლებში.
იშვიათად ემფატიკური ხმოვნის გარეშეც იხმარება ნათესაობითში
დაყენებული პოსტპოზიციური მსაზღვრელი:

აჟაკის სიკეთე უნდოდა გ ლ ე ხ ო ბ ი ს ...

ემფატიკური -ა-ს ადგილას -ი გვხვდება მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ შ ი ც :
კანონები ტრიალოფს კაცის გამოთქმული ა ზ რ ე ბ ი თ ი ... ყველი-

ფერი შექმნება ბოვშობითი... დაქვეყნება სიცილითი...
კაენითი ყიდის... საავანტურაში მივედი მანქანითი...
ამომიყვანეს. მერე ურმითი... იკაცმა ხარ-ურემი გაწ-
ყვიტა ჯაფითი... როსტოვიდან მევიდა მატარებლითი... და-
ძისებითი დეეძინა... იმას ეცთილოფ, რომ მეზობლეთს ჩვენითი
არაფერი დააკტეს...

მე არაფერი არ მომდებია მითი... უქმელი რითი დგები...

მოქმედებითის ამგვარი წარმოება, როგორც სპეციალური ლიტე-
რატურიდანაა ცნობილი, ქართული ენის არც ერთ კილოში არ დას-
ტურდება, ნათესაობითში შემჩნეული ვითარება კი ფშაურისათვისაც
არ არის უცხო.

ნათესაობითსა და მოქმედებითში წარმოჩენილი ეს ე - ელემენ-
ტი, რომელიც ზემო იმერეთის რაიონებიდან განსაკუთრებით სვერს
ქვემო და ყვირილას მარცხენა ნაპირზე მდებარე კიათურის სოფლე-
ბისა და ზესტაფონის რაიონისთვისაა ნიშანდობლივი, ემფატიკუ-
რი - ა - ს ბადალი უნდა იყოს, როგორც ამის შესახებ არაერთხელ აღ-
გვინიშნავს არნ. ჩიქობავას მოსაზრებაზე დაყრდნობით¹.

მ გვხვდება - გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლო-
საც: დეეტენათ ყურძენი და მიქონდათ რეზიკოდანი... ბოვში
მოუყვანია სალაცადანი... ტკპილი ვიყიდე ლუბადანი...
ბიძაჩემი დამხვთა აწყურიდან... ქალიშვილი მამივიდა ახალ-
ციხიდან...

ასევე: წამოსულა იქიდან... გამოასუფთავებენ ხეალიდა-
ნი...

ასეთ შემთხვევაში საჩხერის რაიონში და კიათურის ზოგიერთ სო-
ფელში უპირატესად - ა იხმარება. ჩანს, მ - სა და ა - ს ფუნქცია ერთ-
ნაირი აქვთ, განსხვავებას გვიჩვენებენ გავრცელების ადგილით.

ვითარებითს ბრუნვაში, როგორც ყველა კილოში, აქაც - მ
აღიქმება, - იან სუფიქსიანი სახელები კი ბრუნვის ნიშნის გარეშე იხ-
მარება: სიმიტს მოვტეხამ ტაროიანა... აქ იყო თავის ცოლი ა-
ნა... სახლი უყიდიდა თავის ეზოიან-იმიანა...

საკუთარ სახელთა წოდებითში, როცა ამ სახელთა ფუძე თან-
ხმოვნით ბოლოვდება, საზოგადო სახელებთან მიმსგავსების ტენდენ-
ციის მომძლავრების შედეგად, - მ გვაქვს ზემო იმერეთის სხვა რაიონ-
ების მსგავსად:

დაცხე, გაბრიელო... დარეჯანო, თქვენსა სტუმარი იყო

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში, თსუ
შრომები, XXIII, 1942, გვ. 71--95.

დღესე?... სევერიონო, გეიზიე იქით... ამირანო, ჯინი წამე-
ოღე...

წოდებითში გამოყენებულა სახელობითი ბრუნვის ფორმებიც:
ზურაბი, მადარი ვინმეი?... აკლია მაგა გამსება, ზურაბი...
მართლა უნოფ. ზურაბი? რა მოგივრდა, მურთაზი... ვახტან-
გი, პური მიეცი... გურამი, სამიდიხარ შენე...

ერთი და იგივე პირიკი წოდებითში ხან -ო-ს ხმარობს, ხან -ო-ს:
სვიმონო, გაგიმარჯოს... სვიმონი, არ დეგევიწყებოის შენი სი-
დღერი... თამაზო, ახლა შენ წადი... თამაზი, მოდი აქ...

როგორც ჩანს, მეტაანალიზის პროცესი მეტად ხელშესახებია და
სახელობითის ი ფორმანტი ფუძის კუთვნილებად გაიაზრება, ხმო-
ვანფუძიანი სახელები კი წოდებითში ფუძის სახით იხმარება; ჯინი
გამსება, ეთერა... ზურაბა, სახარ ამდენი ხანი...

მიმართვის ფორმად ხშირად იხმარება: დეღუა (დღღოა), დაჯე-
ქი, დაფშენათ ერთი ბათმანი სიმინდი... ყურძენი კაია, დაია, შიდა...

გაბატონებულა -ებ სუფიქსიანი მრავლობითი. ნარ-თანიანი მრავ-
ლობითი რიცხვის ხმარების შემთხვევები თითქმის არ გვხვდება ჩვე-
ულებრივ სალაპარაკო მეტყველებაში.

-ებ სუფიქსი მასდართანაც შეგვხვდა: ეს ტანჯვები გვეიარე
(შრომა)...

თანდებულაიანი სახელები. ხმოვანფუძიან სახელთა მიცემითში
-თან თანდებულის დართვისას ზოგჯერ იკარგება თანდებულისეული
თ: კტესან მისულა... ვასიკოსან მივდივარ...

ეს თანდებული -თანა-ს სახით გვხვდება და ჩვენებითი ნაცვალსა-
ხელების ნათესაობითს ბრუნვას დაერთვის (თანდებულის თ მოკვე-
ცილია):

ამისანა ლოქიაა (პრანქია)... თუ ვერ გეიგო, რათ მინდა მა-
გისანაი... მისანა ბევრი შემხვთა...

-ში თანდებული შიდა-ს სახითაც იხმარება უმეტესად სხვათა
სიტყვის -ო ნაწილაკთან: თამარის დროშიდაო მადანა სასაფ-
ლაოი ყოფილა ჯარისაო... იძახოდენ, გადაავდეს თერგშიდაო...
კაცები ერეკლე შეფესან არიან ომშიდაო...

-ზე თანდებულიც -ზედა-ს სახით მეტწილად სხვათა სიტყვის -ო
ნაწილაკდართული სახელის მიცემითთან გამოვლინდება: რო ნახოთ,
იტყვით. ამაზე საწყალი არ ყოფილა ქვეყანაზედაო...

„შემდეგ“ ზმნიზედის ფუნქციითაა ნახმარი „უკან || „უკანი“,
შეგვხვდა „ოღმაც“ დილიკაურში:

60 წელიწადია მას უკან, რაც ქმარი მამიკვდა... კიდე იცოცხლა

მას უკანი 10 წელიწადი... ეს საწნახელი მას უკან ვიყიდე... მას
ოღმა ფიცის სახლი ვიყიდე... მას ოღმა გამოკეთთა...

- გარდა თანდებულიც მიცემითან იხმარება, არის ნათესაო-
ბითთანაც და ამგვარადაც გამოიყენება: ამას გარდა იე ჭუმბერის
წერილი არ მოსულა... ამის გარდას ველარ მეესწრო...

- თვის თანდებულის პარალელურად იხმარება - თვინ: უთხრობია
ქმრის თვინ... უნდა იყო შენ თვინ...

- მღის თანდებულის მღი || მღინ ვარიანტებიც გვხვდება:
როსტოვიდან ქუთეისამდი ფეხით მევედი.. სახლამდი
რაღა დარჩა...

სადამომდინ იყურა... მევიდა იქნამდინ...

- გან თანდებულიანი მოქმედებითის შუალედური ფორმებიც
ჩანს: შუალედმი ვიარეთ დილიდგან... ყარეულები ყავს ამ
დელიდგან...

კითხვაზე „საიდან“ - გან თანდებულიანი ნათესაობითის ნაცვლად
- გან თანდებულიანი მოქმედებითიც გამოიყენება:

კალათი წამეილო ვინმემ ჩემიდან?... რა პატივი უნდა გცე
ჩემიდან...

ნაცვალსახელები. როგორც საერთოდ ყველგან, ზემო იმერეთში,
ისე აქაც პირთა ნაცვალსახელები შენე, ჩვენე, თქვენე -ს სახით
გვხვდება:

არ დეიჯერო შენე... ვენახს ვხარდნავთ ჩვენე... ტყეში მილი-
ხართ თქვენე?...

- ცა ნაწილაკის დართვისას ნაწილაკის ა ე-დ იქცევა:

იქით მივალ მეცე... წამყვეი შენეცე...

ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ეგ, ეს სრული სახითაც იხმარე-
ბა:

ესე საჯარო ქალია... მოკრიფე ეგე... რამფერ უნდა ვიტიროთ
ისი...

იხმარება კონტამინაციური ესი-ც: ვინ მოსულა ესი... რა იცი
ესი...

შესაძლებელია ამ შემთხვევაში ამოსავალი იყოს ამგვარი ფორმე-
ბიც: ე ისი ვინ ყოფილა (აი ისი → ეი ისი → ე ისი)...

ესე ნაცვალსახელს სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვება ჩვენებითობის ე
ხმოვანი: ზღაპარი რა იცის ემან... ემან მაინც ისწავლოს... ე მას
უნახია ნიშნები.. რაღა უნდა ემასთან... ვაჩვენე ემათ...

ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას რო-
გორც სხვა კილოებში, ისე აქაც ე.ი-ს სახით გვხვდება უმეტეს შემ-
თხვევაში:

ე საქონელი სიმითს ქამს... იჯდა ი კაცი იქა...

მე, ეგე, ისი ნაცვალსახელების მონაცვლე ფუძეები ირიბ ბრუნ-
ვებში თანხმომონამოკვეცილიც გვხვდება და თანხმომონებითაც:

ემ კაცმა სად მოკონა... მა გ საქმეს მე გავაკეთეთ...

აღსანიშნავია, რომ მა გ ფუძე (ა ხმომონამოკვეცილი მა გა) ან
სახელობითის ი ფორმანტდართული გვხვდება (ვინ გასწავლა მა გი
შენე), ან მა გ ე-ს სახით. „მაგე“ ან „მაგა“-ს დისიმილაციის შედეგად
უნდა იყოს მიღებული, ანდა ე გ ე და მა გა ნაცვალსახელთა კონტა-
მინაციურ წარმოებასთან უნდა გვქონდეს საქმე: ააესე მა გ ე შენე...
ამ თითეფს ამუშავეფს მა გ ე?

აქედანაა ნაწარმოები შრავლობითი რიცხვი, რომელიც მეტწილად
ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი: მა გ ე ნ ი არ დეიჭერე-
ბენ.. მა გ ე ნ მა ჩამეიარეს...

უპირატესად გამოიყენება ანალოგიური წარმოება - თ სუფიქსზე
-მა ფორმანტდართული:

ამათმა უჩივლეს და ყურძენი აღარ მიცეს... არ იციან მა გათ-
მა... აქანა ჩეიარეს იმათმა...

ძველი ქართულიებურად, მსაზღვრელად გამოყენებულ კუთვნი-
ლებითს ნაცვალსახელს პოსტპოზიციური წყობა აქვს მეტწილად:

ბიძა მა გ ის ია პოეტი... კულაკი იყო მამა მა გ ის ი... კაი ყველი
იცის დედა ე მის მ... მამა მა გ ის თ ან მუშაობდა... დედა ამათი
იყო სტუმარი... მამა ამათი იყო მაყარი...

სოფ. განთიადში ჩავიწერეთ ერთი ასეთი მაგალითი:

შენ ის თ ვ ი ნ არ დადის იგი...

კუთვნილებითი ნაცვალსახელია გამოყენებული პირის ნაცვალსა-
ხელის ნაცვლად. იგივე შთქმელი ხმარობდა ასეთ ფორმასაც:

ჩემისით მევიფიქრე: მევეციტრიან ქურს შაბი მივე, რო არ
დალპეს...

ამ სოფლებშიაც განუსაზღვრელი ნაცვალსახელების მისაღებად
გამოყენებულია კითხვითს ნაცვალსახელებზე დართული - შე და
ლა; -ცა ნაწილაები.

- შე ნაწილაკის დართვისას ზემოიმერულის ნორმად უნდა მივიჩ-
ნიოთ შეუწორებელი წარმოება:

წაერთმევე ვ ის მე... მაგის ვაგება აქ ვ ის მე?...

თითვან ეგენი მოუხერხებენ რ ა ს მე... მართალს ლაპარაკოფს
რ ა ს მე...

გვხვდება ნარევი წარმოებაც: დეელაპარაკება ვ ის მე ს...

- შე ნაწილაკი თანდებულთან სახელებთან თანდებულის შემდეგაც

გვხვდება: უნდა მეკითხა ვისთვის... თუ გინდა ვისთანავე მისვლიყო, უნდა უთხრა იმას და მიგიყვანს ისიო...

პროგრესული ასიმილაციის გზით მიღებული ვინცა, რაცხა-ც იხმარება და აქა-იქ რეგრესული ასიმილაციით წარმოქმნილი ვინძაღა, რაძაღა, მაგრამ ნიშანდობლივია კონტამინაციური ვინძახა, რაძახა და მისთანანი.

ვინძახა იყო, მოკრიფა... უშვილებია ვინძახას... ექამოთ პატარა რაძახას...

ასეთი წარმოება გვხვდება -ცა, -ლა ნაწილაკების დართვისას სხვა შემთხვევებშიც:

რავარძახა იყო... როიძახა ამეილებდა ხმას... მე ვიცი საძახა დავაწყვე...

ასეა რაძახანაირათ...

ისმარება საურთიერთო ნაცვალსახელის ამგვარი ფორმა: ხელს უწყობდენ ერთიერთმანეთს...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „თითონ“ ფონეტიკურ ნადაგზე სახეცვლილია და იხმარება „თითონ“, „თითვან“: თითონ შეჰამა... თითვან უნდა მიმხვთარიყო...

გვხვდება თავათაც (მდრ. ძვ. ქართულის „თავადი“): თავათ გამოგიძახეს...

„ყველაფერი“ „ყველიფერის“ ან ვე კომპლექსის შერწყმის შედეგად მიღებული „ყოლიფერი“-ს სახით გვხვდება:

სუყველიფერზე გლახა ყოფილა სიბერეი... მოუყვა ყველიფერს... ყოლიფერს წყალში ნუ ყრი...

სახელთა წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გამოიყენება -ა და -ია: ოთარა მევიდა... გუშინ წასულა პლატონაი... წეიყვანა ვასილამ...

ბუქია, საარი უშანგია? ბიკენტიას ღორი ყოფილა...

-ია სუფიქსის დართვისას -ა ხმოვანდუქიანი სახელები ა-ს იკვეცენ: შოთიას არ ქონდა ფერი...

-ება სუფიქსის მაგვირად. ჩვეულებრივ. -ობა გამოიყენება. გვხვდება სი — ე-ც:

ასეა ქვეყნიერობა... გამოცთილობა ყოველთვინ კაია... ბედნიერობა ნუ მოქშორდეთ...

ვერ გდევნეჩიე ამ სიქურდესო...

გათხოვილი ქალის ქალიწეილობის გეარის გამოსახატავად ყველა სოფელში გამოიყენება -ურ სუფიქსი, რომელიც ფუძისეულ ასიმილირებულ ხმოვანთან ერთად ოურ-ის სახით წარმოგვიდგება (დაერთვის „ძე“ და „შვილ“-ჩამოცლილ გეარებს): დოუკვექით მე და სახო-

უ რ ი (სახეაძის ქალი — ს ა ზ ვ ა უ რ ი) რგვალათ მოხარშულ ქათამს...
მე ზ ი ბ ზ ი ბ ო უ რ ი (ზიბზიბაძის ქალი) ვარ...

უფროობითი ხარისხის გამოსახატავად მოხუცთა მეტყველებაში აქა-იქ გვხვდება უ-ე-ც: ხუთი წლის უ ხ ნ ე ვიყავი ქმარზე... ჩემი და ჩემზე უ ხ ნ ე ა...

მ ო — ე-ს ნაცვლად მ ო - უ რ, ხოლო უ-ო-ს ნაცვლად უ-ურ (დისიმი-
ლაციით უ-ულ) არის ნახმარი:

მამა მყავს მისთანა მ ო ს ა ქ მ უ რ ი, რო მეგეწონება... უ ბ ა წ რ უ
ლ ა თ ვერ წამეიყვან ი ძროხას...

მ ე — ე-ს ადგილას გამოყენებულია მე-ურ (დისიმილაციით მე-ულ):
მ ე გ ო დ რ უ ლ ე ბ ი დასვენებული რო ხართ, რას ფიქროფთ?..

ნ ა — ევ უნდა იყოს და არის ნ ა - ა რ: ნ ა ს ა დ რ ლ ა რ ი ხალხია..

ე ბ რ თანდებულია სახელის ფუნქციითაა ნახმარი: მანოყაე ი მ ა ე
თ ე ბ უ რ ს ლაპარაკოფს...

ზ მ ნ ა

მ ო - ზმნისწინი ხშირად მ ა - ს სახეს იღებს, როცა მას მ თანხმოვა-
ნი მოსდევს: წყურვალს (ფხიზელს) არ მ ა მ ჩ ვ ე ნ ე ბ ი ა...
ე გოგოს გ ა მ ა მ ზ ა დ ე ბ უ ლ ს უყურებია... მ ა მ ხ მ ა რ ე კაცე-
ბ ი მინდა...

შ ე - ზმნისწინი, როცა მას მ ო - ზმნისწინი დაერთვის. შემ ო - ს ნაც-
ვლად შამ ო - ს სახით გვეჩლინება: შ ა მ ო ე დ გ ა მ თ ქვაფს... სედლოზე
შ ა მ ო ე დ ი ე ი ფეხი... მაშითვე ეზო შ ა მ ო რ ა გ ვ ა...
უ ხმოვნის წინ დაკარგულია პირველი პირის სუბიექტის ნიშა-
ნი ისევე, როგორც ძველ ქართულსა და ქართული ენის ყველა კი-
ლოშიც:

შივედი და უ თ ხ ა რ ი, მარა რა მერე... იმას მე უ შ ვ ე ლ ე...
მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ირიბი ობიექტის ნი-
შანი წესისამებრ არ იხმარება: გვხვდება იქ, სადაც არ უნდა იყოს, და
გვაკლია იქ. სადაც საჭიროა:

მ ი ც ა სუყოლიფერი... მ ო ტ ა ც ა ქალი და დეიმალა... მაგრამ
გვხვდება შემდეგ მაგალითებში:

ე ლ ც ა იური... ვ ე ს ც ი კლავშიდაო... დ ე ვ ი ს წ ე რ ე პირჯვარი...
ჯვარი გ ე ს წ ე რ ო თ... და გ ვ ს წ ე რ ა ჯვარი... გ ა ვ ს ქ ე რ •
სხალი...

მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -ს ხშირად დაკარგულია „არის“
და „აქვს“ ზმნებთან: შორ არ ა რ ი... სათხოვნელი საქმე ა ქ... სიცხე
ა ქ... (დაკარგულია ფუძისეული ვ-ც), ტვირთი მ ო მ ა ქ...

ენებითი გვარის ზმნების მხოლოდობითი რიცხვის III პირში აქა-იქ

არქაული ფორმებიც შემორჩენილა: არ ჩ ე ის ხ მ ის... ზესადგარო
ი ღ გ მ ის ღერძზე...

სუბიექტური - ხ სუფიქსი ზოგჯერ შენახულია - თ სუფიქსის წინ:
მო უ კ ლ ა მ ს თ... დ ო უ ბ ა მ ს თ... ვინ ქ კ ი თ ხ ა ე ს თ...

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის სუფიქსის გამო-
ყენებისას აწმყო-მყოფადში და ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა თურ-
მეობით პირველში მკვეთრად იგრძნობა უნიფიკაციის ტენდენცია —
ერთი ფუნქციის მქონე განსხვავებული ფორმების ერთ ფორმამდის
დაყვანის ტენდენცია.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში აწმყოსა და მყო-
ფადში სუბიექტის მესამე პირის ნიშნად მრავლობითს რიცხვში გამო-
ყენებულია -ენ (წერენ, ხატავენ, მუშაობენ) და -ან სუფიქსები. -ან
გვხვდება მხოლოდ ი ხმოვნით გათავებულ ზმნებში: კრიან, თოხნი-
ან, ტირიან, იმალებიან, არიან და ა. შ.

-ან გამოიყენება აგრეთვე ერთპირიან ზმნათა თურმეობითი
პირველის აღწერითი ფორმების მესამე პირში, მრავლობით რიცხვში.

ძირითადად ასეთივე ვითარებაა ზემოიშვრულშიც საჩხერის, ჭია-
თურისა და ორჯონიკიძის რაიონების ზოგიერთი სოფლის მეტყველე-
ბის მიხედვით.

განსხვავებული ვითარება დასტურდება ჭიათურის რაიონის იმ
სოფლებში, ზესტაფონის რაიონის მიჯნაზე რომ მდებარეობენ (მორძ-
გვეთში, ბილაში, ნაწილობრივ ხრეთშიც), სადაც -ან სუფიქსის ად-
გილას ხშირად - ენ გამოიყენება¹.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სოფლების მოსახლერი ზესტაფონის
რაიონის სოფლებშიც ანალოგიური მდგომარეობა გვექნოდა. სწორედ
ამიტომაც ავირჩიეთ დაკვირვების ობიექტად ზესტაფონის რაიონის
ის სოფლები, ჭიათურის რაიონის სოფლებს რომ ესაზღვრებიან, რა-
თა, სხვა თავისებურებათა აღნუსხვასთან ერთად, - ენ სუფიქსის მოხ-
მარების არე და გავრცელების ფარგლებიც დაგვედგინა.

აღმოჩნდა, რომ - ენ სუფიქსი წ ან სუფიქსის პარალელურად სის-
ტემატურად იხმარება: 1. აწმყო-მყოფადში ი ხმოვნით გათავებულ
ზმნებში:

ან ი რ ე ვ ე ლ ა მ ს თ...
ან ი რ ე ვ ე ლ ა მ ს თ...

ყველა ვიციო. ვინც რა არ ი ე ნ... ცხვრები მო დ ი ე ნ... ქალები
ეგერას ჯ დ ი ე ნ... რამდონი ი ზ დ ე ბ ი ე ნ, იმდონი მეტი ჩელტი
პირდებათ... მაზლის ცოლს შილს უ ძ ა ხ ი ე ნ, ძმისას — რძალს...
ლობიოს და ბ უ დ ნ ი ე ნ, ბოსტანს გა მ ა რ გ ლ ი ე ნ...

¹ ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კოლოკაი. ქუთაისის ჰედაგოგიური ინს-
ტიტუტის შრომები. XXIII, 1961, გვ. 387.

2. სტატიკურ ზმნათა აწმყოში:

ჩემი სტუმრები წევრენ, ჯერ არ ამდგარენ... როგორ დგარენ, უყურე შენე, იბლარები... კანტორაში დგარენ ზოგ-ზოგები და იბრანქებენ... ხალხი რო დგარენ, იქა ცხოვრობენ ჩვენები... ეკლესიასთან კაცები დგარენ... ფეხზე დგარენ ირა და შალიკოი... ქეთო და ნინა ჯერე ქე წევრენ... (ამ ზმნასთან უფრო ხშირია -ან-იანი ფორმების ხმარება)... რუსიკო და დარიჯანი ერთმანეთს გავრენ... საქონელი აქედან ჩანენ? — არ ჩანენ... რამდენი ქალები ჩამენ... ჩამრენ ცხვრები? — ჩამენ. აჰა...

3. ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირველში:

აქ გლეხები ყოფილენ ნაწილი სახემწიფო, ნაწილი ბატონების... ჩვენი წინაპრები დიდრები ყოფილენ... რძლები არ ყოფილენ სულის საქმეზე (მიცვალებულს რომ თხუთმეტსა და ორმოცს გადაუღლიან. სულის საქმეს ეძახიან)... სტუმრები მოსულენ... ამდგარენ და წასულენ სუყველა... წასულენ და ბიქტორას და გრიშას უჩხუბნიათ... ტყეში წასულენ და წამოწოლილენ არჩილა და დავითა... გადმოსულენ ერთი კაი ეაკე ადგილია... იქ გასულენ კაი სამოსასლოზე... სარეცხები ქე გამშრალენ... ცეცხთან გამშრალენ ნადია და საშიკო... მისულენ ბუხართან და გამშრალენ (საზანოელი ქალი, რომელიც დილიკაურში 27 წელიწადია ცხოვრობს, ამბობდა: მისულენ ბუხართან და გამშრალარიენ. ადგილობრივნი ეცინოდნენ: ჩვენ არ ვიცით გამშრალარიენო)... თაერები გადარჩენილიყო, ქუჩები დაშხრვალენ... თაფლს უწყენიათ და ყველა მამკეტარენ... დამჯდარენ...

ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი ერთი და იგივე მთქმელი პარალელურ ფორმებს ხმარობს: ბატები წყალში ჩაეარდნილან და მომკეტარენ...

ეს ზმნები ამგვარად იხმარება ბოსლევში, სანახშირეში, დილიკაურსა და საოვინეში.

ამბობდნენ. ამგვარი ფორმები შრომასა და განთიადშიც დასტურდებაო. მაგრამ ჩვენ არ შეგვინიშნაეს (თუმცა 5-5 დღე თითოეული სოფლის მეტყველებაზე დასაკვირვებლად ისე ცოტაა, რომ ყველა თავისებურების შემჩნევა შეუძლებელიცაა).

იმ სოფლებში, სადაც -ენ იხმარება -ან სუფიქსის მაგივრად, პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და გრძელდება; ამას მოწმობს პარალელურ ფორმათა ხმარების სისხირე და მათი ერთმანეთის გვერდით გამოყენება ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი.

-ან სუფიქსის ადგილას -ენ სუფიქსის ამგვარ გამოყენებას სტატიკურ ზმნათა აწმყოში და ერთპირიან გარდაუეალ ზმნათა თურმე-

ობითს ზირველში ვერ ვხვდებით. ქვემოიმერულშიც კი, სადაც ისე მძლავრია უნიფიკაციის ტენდენცია, რომ - ენ სუფიქსი იხმარება არა მარტო აწმყოში, - ან სუფიქსის მაგივრად (თოხნიენ, ემალებიენ, ტირიენ), არამედ გარდამავალ ზმნათა წყვეტილშიც - ეს სუფიქსის ადგილას (დაწერენ, მოკლენ) და - თ სუფიქსის ნაცვლადაც ინვერსიულ ზმნებში (აქვენ, ძინავენ. უნდენ. გოუკეთებიენ)¹.

ქვემოიმერულის უხუთურ ქტევაზე დაკვირვებისას ჩვენ - ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის ხმარება ანალოგიის საფუძველზე გვქონდა ახსნილი, რამაც დაექვება გამოიწვია. ეს დაექვება ორი გარემოებით არის გამოწვეული: ჯერ ერთი, - ან-ის - ენ-ად შეცვლისათვის აუცილებელი პირობაა, რომ იგი მოსდევდეს ი ხმოვნით გათავებულ ზმნის ფუძეს. სადაც ეს პირობა დაცული არ არის, იქ - ან - ენ-ს ვერ იძლევაო. იმ კილოებში, სადაც ტირიენ ფორმა ჩვეულებრივია, მის გვერდით ყოველთვის გვხვდება ჩანან და არა ჩანენ, დგანან და არა დგანენ, წასულან და არა წასულენო. და შემდეგ: ი ხმოვანს იმერულში აქტიური მასიმილირებელი ძალა აქვს და - ენ-ის ხმარება რატომ უნდა აგვეხსნა ანალოგიით და არა პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულადო?

- ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის გამოყენებას ქვემოიმერულში რომ პროგრესული ასიმილაციით ვერ ავხსნით, იმერულში ის სუფიქსის „აქტიური მასიმილირებელი ძალის“ მიუხედავად. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქვემოიმერულში - ენ სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება არა მარტო - ან სუფიქსის ადგილას ი ხმოვნით გათავებულ ზმნის ფუძეებთან, არამედ - ეს და - თ სუფიქსების მაგივრადაც, სადაც ასიმილაცია მეტწილ შემთხვევაში არ შეიძლება გვქონდეს. მეორეცა და, ქვემოიმერულში, სადაც - ენ სუფიქსს ასე ფართო მოხმარება აქვს, ჩვეულებრივ გამოიყენება არა ჩანან, დგანან, წასულან, არამედ ჩალარიენ, დგალარიენ, წასულარიენ.

ზემოიმერულის ჩვენებამ მდგარენ, გავრენ, მოსულენ და მსგავს ფორმათა ხმარებით კიდევ უფრო თვალნათლივ დაადატურა, რომ - ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის გამოყენებისას უნდა გვქონდეს ანალოგიური წარმოება. რომლისთვისაც ხელსაყრელ გარემოს ქმნის იმერულში მძლავრად მოქმედი ერთნაირი ფუნქციის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმის გაერთფეროვნებისაკენ მიმართული ტენდენცია — უნიფიკაციის ტენდენცია².

¹ არნ. ჩიქოვაძე, პრაგმატიკის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უძველილებს სისტემაში. იბ.-კავ. ენათმ. I. 1940, გვ. 94.

² კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ვნის დასაფურ კილოებში, ჭუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XIX, 1959, გვ. 255.

³ ვ. თოფუჩია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართულ ენებში. იბ.-კავ. ენათმ., VI, 1954, გვ. 451—452.

თემის ნიშნების ხმარება ასეთ სურათს გვიჩვენებს: აწმყო-
პოფადის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში
- ავ სუფიქსი იხმარება, მაგრამ მის გვერდით - ამ სუფიქსსაც ხშირად
ხვდებით:

სანამდი ქიქა-საინს არ გავრეცხავ, ვერ დავწვები...

ახლა გავლახავ მე იმას... მოკლავს იმ ძალს ცემით... და ვ-
ხნავთ, მოვფარცხავთ... ვენახს მოსარავთ თქვენე...

მაგრამ: შენ რავა მამკლამ, კაცო... დო უკრამს ხელი და
წასულა... ამოვწვამთ გოგირდს და დავგნესამთ ქურს...
ქურს ვრეცხამთ... ვენახს მიაკრამთ ხარდანზე...

იხმარება, როგორც ყავს. ისე ყამს.

ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ შესწავლილ ზემო იმერეთის სოფ-
ლებში, თუ მრავლობითი რიცხვის მესამე პირს არ მივიღებთ მხედ-
ველობაში. - ამ სუფიქსი იხმარება მეტწილად - ავ სუფიქსის აღ-
ვილას.

- ავ და - ამ პარალელურად გამოიყენება მარტივფუძიან და ხმო-
ვანმონაცვლე ზმნებთანაც: ერთს მოვკრეფავ კიდე... მოზე-
ლამ პურს, წყვეტამ და აკეთეფ... ცოლიკოურს კრეფამ
ჭრეთი... აღარ წერამ?... სიმითს მოტეხავენ, მეც მოვტე-
ხამ ამ ჩემსას...

საწინააღმდეგო ვითარებაც შეინიშნება: - ამ სუფიქსიან ზმნებშიც
- ავ არის ნახმარი: რძეს სვავ?... კარქათ იცკავს... ქუბები რო
გაშრება, დავდგავთ ზინათ...

მრავლობითს რიცხვშიაც, მესამე პირში, შეიმჩნევა აღრევა:

დართამენ, დაბარამენ... მაგრამ: დადგავენ ზეინს,
ჩალას დადგავენ საზეინზე... მაინც პატივს მცევენ...

ზოგჯერ თემის ნიშნის მ გადასმულია და ფუძისეულადაა გაგებუ-
ლი, ფუძეზე კი - ავ სუფიქსია დართული: აქ ხარეთს ამბავენ ხო-
მე (დილიკაური)...

მრავლობითი რიცხვის მესამე პირში - ევ სუფიქსს, რაც მეტად ნი-
შანდობლივია საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მეტყველებისათ-
ვის, აქ იშვიათად თუ შევხვდებით, ისიც მოხუცთა მეტყველებაში:

აქ მოქკლევენ, დაქკეპევენ... ქალები ვენახში წყალს
წიკევენ... ქალებიც თესევენ სიმითს, მე ვერ დავთესე... ხელ-
უხლებელი თანხაა და კარსინჯევენ... პირველ გაზაფხულზე თე-
სევენ... ქალები ქე ბარევენ, მარა ვერ მუშაობენ წმინდათ...

სახლეთს დგემენ შიდა... მაგრამ: რა ვიცი, რაძახას დადგმე-
ვენ შიდა (თემის ნიშნის მ გადასმულია და შემონახული).

შესაძლებელია. - ევ სუფიქსს, საჩხერის, კიათურისა და ორჯონიკიძის რაიონების სოფლების მსგავსად, აქაც ფართო მოხმარება ჰქონოდა, მაგრამ ქვემოიმერულთან მკიდრო კონტაქტს თანდათან „მოუსწრაფავს მისთვის სიცოცხლე“.

- ავ, - ამ სუფიქსისეული ხმოვნები შეკუმშულიც გვხვდება მრავლობითის - ენ ფორმანტის დართვის შედეგად:

ფიქრა. წვესევიენ და გალახევენ მარიაშაო... თესვენ ბოსტნეულს... მალლა ვარ და ესენი ვერ მხედვენ... ჩეჩვენ ქალები, დაართვენ და ძახვენ... ინახვენ იმა... მოხარშვენ...

დამასხმენ ხელზე თფილ წყალს... დადგმენ ზვინეფს...

ერთი და იგივე მთქმელი ერთსა და იმავე ფრაზაში პარალელურ ფორმებსაც ხმარობს:

ვენახს გასხლავენ. მოსარვენ. ვენახში ლობიოს დარგავენ (დილიკაური)... ქეც დაჩეჩვენ, ქეც დართავენ,... ქეც ბარავენ, ქეც თესვენ... მეიტანებენ სარს, წამახვენ, სარავენ, მერე კონვენ საკრით (ბოსლევი)...

-ავ სუფიქსიანი ზმნები აწყო-ყოფადში უსუფიქსოდაც გვხვდება: ბოქს ნიგოზს... საქონელს გარეკს... იმ ბალს ჩეხენ... არსულენ (დანით ჩაპრა) პურს თორნეში... ტრაქტორი დახნამს, ხარით დათესენ... ეკალას კაზმენ... კონიაკებს ბეჭდენ...

-ევ სუფიქსის მონაცვლელდაც გამოდის -ემ; ბიქს აძლემს სამუშაოს... მოდემს უკან...

-ებ სუფიქსის ადგილას -ობ (-ოფ) იხმარება: რას აპიროფ (სიტყვის ბოლოში მელერი, ჩვეულებრივ, ყრუვდება).

მოყვანა, მოტანა, დაბანა ზმნები აწყო-ყოფადის პირველ-მეორე პირში უთემისნიშნოდ იხმარება, მესამე პირში — თემის ნიშნით:

შენ ქე წაგყვანებენ... აბრეშუმს მეიყვანებენ... ყურფენს გოდრებით მიიტანებენ... პირს დეიბანებენ...

-ავ და -ამ სუფიქსიანი აწყოს ნაირნაირი წარმოების გამო სხვადასხვაგვარი ფორმები გვაქვს უწყვეტელშიც, მაგრამ გაბატონებული მაინც -ავ, -ამ თემისნიშნაინ უწყვეტელია: ღვინოს გადაკრავდა... ტანჯავდა ქალს...

ქურში ვასხამდით ღვინოს...

-ავ, -ამ სუფიქსები ერთმანეთის მაგვირადაც იხმარება: დილიდან სალამომლი თესამდა... ვენახს წამლამდა, რწყამდა...

და პირუკუ: მირტყავდა ჯოხს... რას იზავდა...

უწყვეტელში იშვიათად -ევ || -ემ სუფიქსებსაც ვხვდებით: ვქვერვდი პატ-პატარას... სიამონებას ვერ ნახევდი... ქალს ჭა-

პით კლევედა... ძირს რო ვყოფილიყავი, მამკლევედა... ცხვარს
დაკლევედა სანწვნიანოთ... შვილევს უვლიდენ, ურეცხევედენ,
უკერევედენ...

აეთ შემთხვევაში - ევ-ის მონაცვლედ - ემ სუფიქსიც გვხვდება:
ტყვეობაში შამშილი კლემდა... მამალი რო იყივლებდა, ვიჯეკი
და ვართემდი... ვინახემდი ყველიფერს... დატვირთემ-
და ურემს შემით... ფული რამდენიც უნდა მიგეცა, კაცი არ მოქსე-
დეშდა... ქათამს ველარ დავბოჭემდით... კიდე დეიქირემ-
და გზაზე (ეს უკანასკნელი - ავ სუფიქსიანადაა გაგებული)...

უწყვეტლის ამგვარი წარმოების გამო - ავ სუფიქსიანი ზმნებო
ვარჩეული არ არის - ამ სუფიქსიანებისაგან:

ღორს ბაწარს მოაბემდა... ტკპილს ჩაასხემდენ ჩაფში...
აკოშვიდან გადმოვხტენდი, აბა რაღას ვიზემდი... უკეთ ვერ ჩეი-
ცვეშდი...

-ევ-ღ-ემ-ღ ტიპის წარმოება საანალიზო სოფლებში, საჩხერისა
და ჭიათურის რაიონების სოფლებთან შედარებით, გაცილებით იშ-
ვიათია. ახალგაზრდათა მეტყველებაში მას ჩვენ თითქმის ვერ შევ-
ხვდებით. ჩვეულებრივ, -ამ, -ავ სუფიქსიანი უწყვეტელია გამოყე-
ნებული.

გაჩილება მარტივფუძიანი უწყვეტელიც, რომლისთვისაც ამოსავა-
ლი მარტივფუძიანივე აწმყოა.

ოაკრეცხთი, დაჯხვეტდი, შევკერდი... ჩემ ბოაშეფს
გლახას ვერაფერს დოუნახთი... მიიდოდი დავბოჭდი წაბლს...
თვალი უკეთესს რას დეინახთა... შემას წიკდა... იმან სამელ
შამოქრა, შენც ვლეწდი მისანას, რო... ვლეწდით პურს...
ვჩირით... ჩემთვის შეინახთენ ფელამუშს... მიბეგვედენ
ხორცს...

-ებ სუფიქსიანი უწყვეტლის ნაცვლად ისუფიქსიანიც გვხვდება:
არ გვაძალი და საქმეს... ქეთოს გოგოები ანგრე კარ აწვეალი-
დენ...

ასეთი უწყვეტლისათვის რომ ამოსავლად ისუფიქსიანი აწმყოა,
ჩანს შემდეგი მაგალითით: შენ არაფერს არ მაძალი...

აქა-იქ - ევ სუფიქსი დასტურდება ე-თი ნაწარმოები წყვიტილიქ
პირველსა და მეორე პირში¹: ჩემი ვენახიც მოვრწყევი, როსეფა-
სოულიც... დარწყევი ღვინო... დარგევი ნერგები... მაგაზე
მოსპევით ლაპარიკი...

¹ გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისი-
სათვის - ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქ. მეცნ. აკად.
ზრამბე, ტ. VI, № 18, 1945, გვ. 647—698.

ყურადღებას იქცევს ხმარება ფუძეგაფართოებული ზმნებისა, რომლებიც პირველ სერიაშიც გვხვდება და მეორეშიც: ვერ მომიშორიე ფ... ამას ვერ შეიშორიე ფს კაცი... ჩემი რო იყოს, ხვე'რ მევიცილიე ფ... სანამდი არ მევიცილიე ფ საქმეს, რითი დაწვები... ჭერ ცოცხალი მევიცილია... ' შეიძულია' თავისი ქალი...

ეს ი, ა. შანიძის აზრით, მიღებული უნდა იყოს - ივ სუფიქსისაგან. რომელიც სათავისო ქცევის ფორმებს ერთვის!

კავშირებით მეორეში - ე-ს ადგილას - ო გვხვდება ანალოგიის შედეგად: მაინდამაინ ხვალ უნდა წახვიდო?.. ორჯელ უნდა ჩევიდო... მოუძლიათ, აქეთ მოყონ მატარებელს... ქე რო შექვიბირდენ, ისე მოქვიცონ ყურძენი... მათი საქმეა, რომ მოქვიცონ...

- ე-ს ნაცვლად - ო უცხო არ არის კავშირებით პირველშიც: ეგენი რო არ ხედავდონ, ვინ დამიყენეფს ვენახს... ქე მაინ აღარ გეაწვალე ბდონ... რომ იცოდონ, კაი შენ...

თურმეობით პირველში - ავ და - ამ სუფიქსიან ზმნებშიც უნიფიკაციის შედეგად - ია დაბოლოებაც გვაქვს:

ჭერ არ დამინახია... მას უკანი არ მინახია... წამოუყვანია რუსიკო და უთქვია...

უთქვამს || უთქვია ზმნის მნიშვნელობითაა ნახმარი უთხრობია.

- ია დაბოლოება სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც გვხვდება: მისი სული შიდგია... იარაღები არ მივარგია...

- ია დაბოლოება ჩანს თურმეობით მეორეშიც თურმეობითი პირველის ანალოგიით:

ეთქვია გულნაზისთვინ და ყოლიფერი გეეგოთ... ასე უნდა გეთქვია...

აქა-იქ ნარიანი თურმეობითი მეორეც გვევლინება: ემუშავნა და ექნებოდა... დეეძახნა ეთერას...

- ოდ სუფიქსიანი თურმეობითი მეორის ადგილს იჭერს ზოგჯერ მეორე თურმეობითის აღწერითი ფორმები:

შარშან ისე დალპა ქაქა, რომ აღარ ვარგიყო... მედიკო მოყოლილიყო ყველიფერს... გინდა დავლაპარაკებულყოვი ქალს, გინდა კაცს...

მსგავსი მონაცვლეობა თურმეობით პირველშიც დასტურდება. აბსოლუტური ფორმაა ნახმარი რელატიურის ნაცვლად: დოუჭერია ღორი, შეზობლის გონებულა, კპილები დოუცლია და თავისი გამომდგარა...

1 ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 218.

აქა-იქ თუღნე უნითი პირველისა და მეორის წა - პრეფიქსიანი წარმოებაც გვხვდება: მინაველებულან ცოლ-ქმარი... ნინა და დათიკო თფილიში მინაველებულან... თქვენ რუსთავში მინაველებულხართ... ბუქა და როსათფი მინაველებულან ხაშურში...

ამ ტიპის თურმეობითი მოქმედების შედეგს უნდა გვიჩვენებდეს აწმყოში: მინაველებულან: „მიდიან თურმე“ (ალბათ, ამის გამო გაჩნდა -ებ სუფიქსის ხმარების საჭიროება დასახელებულ ფორმაში).

ამგვარად ნაწარმოები თურმეობითი მეორეც გვხვდება:

ვინძახა კაცი მონაველებულიყო ზევით... ისინი მონაველებულიყვნენ შროშის გზაზე და გადამბტარიყვენ მანქანიდან... (მონაველებულიყო = მიდიოდა თურმე).

ამგვარი წარმოების თურმეობითი, რომელიც მთელს ზემო იმერეთში გვხვდება, ახალი წარმონაქმნია, მისი მოხმარების იშვიათობის მიხედვით, მაგარამ, ჩანს, რომ იგრძნობა დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ფორმების გაჩენის საჭიროება¹.

ქვემოიმერულისათვის ასეთ შემთხვევაში ნორმას წარმოადგენს მინაველა, მინაველიყო, ნაცხოვრება, ნაცხოვრებიყო ტიპის წარმოება.

ქვემოიმერულის ნაცხოვრება ფორმის მნიშვნელობით აქ შეგვხვდა ცხოვრებულა: დათიკო ტყემალაძე ყოფილა, ახლოს ცხოვრებულა (ბოსლევეი)...

იშვიათად თურმეობითი მეორის ადგილას კავშირებითი მესამე გამოიყენება: დიდი სახელების წაშლა არ შეიძლება იყო (სანახშირე)... დავარდი, მარა დმერთს ვთხავ, რო არ დავკუტებულ იყო (შროშა)...

შუალობითი კონტაქტის - ინ. - ვეინ თანხმოდან ჩამოცილებული იხმარება ჩვეულებრივ: საქმეს აკეთებ იებ და... იმის აუგს ენას ვერათქმევიებ და...

თავისებურებანი. თავისებურებას იჩენს აწმყოს მესამე პირის მრავლობითს რიცხვში სტატიკური ზმნები დგას, ჩანს, წევს, ჰყავს და მისთ., რომელთა შესახებ მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებით უკვე გვქონდა ლაპარაკი. ახლა ჩვენ ეს ზმნები ფუძეში მომხდარი ცვლილებების მიხედვით გვაინტერესებს.

ჩანს მრავლობითშიც შეცვლილია და იხმარება უპირატესად ჩამს (ნ-ს ენაცვლება მ), მრავლობითში იხმარება ჩარან || ჩამრან || ჩამრენ || ჩამენ || ჩანენ.

¹ გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში, იბ.-კავკ. ენათმ., V, გვ. 17-31;

² თ. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იქვე, VI, გვ. 173-175.

წევს ზმნის ფუძე მრავლობითშიც გამეორებულია და იხმარება: წევრან || წევრენ.

ასევეა გავს მრავლობითში: გავრან || გავრენ, „ღვას“ მრავლობითში: დგარან || დგარენ.

სპეციალურ ლიტერატურაში მრავლობითის რ თანხმოვნიაანი ფორმები ახსნილია, როგორც დისიმილაციური ცვლილების შედეგი: „ზემოიმერულში მრავლობითის -ან სუფიქსის წინ რ ბგერს. ეს რ -ან სუფიქსის ნ -ს ბადალი უნდა იყოს, დისიმილაციის ნიადაგზე მიღებული. ამრიგად, ზემოიმერული ფორმები — დგარან, წევრან, მყავრან — ოდინდელი „ღვანან, წევნან (→ წევან-ან), მყავნან ← მყავან-ან)-ის ვარიანტები უნდა იყოს (ნ → რ: სუნნელი → სურნელი)“¹.

შესაძლებელია აქ ანალოგიური წარმოებაც არ გამოირიცხოს. გასულ წელს შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით ჩვენ ვწერდით: „ღვარან“ ზმნაში მიმღობის ღვარ უნდა იყოს ამოსავლად მჭდარან ზმნის ანალოგიით. ამაზე მიგვანიშნებს ასეთი ფორმაც: იქვე ვ დგარვართ (|| ვდგარვათ).

თითქოს ამ მოსაზრების სასარგებლოდ მიგვითითებს წელს შეკრებილი მასალებიც. სოფელ სანახშირესა და დილიკაურში სისტემატურად იხმარება მხოლოდობით რიცხვში დგარს (შდრ. დგარი): გვეიხედე, კიცხში ტაქსი დგარს... ცილა ფეხზე დგარს... გუნარა და ქეთო დგარენ... აჰა, რას ვიტყვით, ორივე დგარს... ნინა ეგერ დგარს... ჩატე თავთავი მალა დგარს, ძიმე დაქინდრავს თავს... დათიკო ზეზე დგარს...

დასახელებულ მაგალითებში, ცხადია, რ -ს დისიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილად ვერ მივიჩნევთ.

დგარან || დგარენ ზმნა საანალოგიო მასალად უნდა იყოს გამოყენებული სხვა შემთხვევებისთვისაც.

საყურადღებოა, რომ რ ჩანს ზმნის მხოლოდობით რიცხვშიც შეგვხვდა ორჯონიკიძის რაიონის სოფ. საბეში: ჩარს: მარიამი ჩარს, სხვები არ ჩარან.

ა. შანიძის აზრით. მხოლოდობითის ფორმა „ღვას მიღებული ჩანს დგ-ან-ს ფორმისაგან. ხოლო წე-ან-ან ანალოგიურად განვითარებულნი უნდა იყოს“².

თუ მრავლობითი რიცხვის ფორმებში რ -ს (დგ-ან-ან — დგა-რ-ან)

¹ ლ. კიკნაძე. ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თსუ შრომები, XVIII, 1946, გვ. 164—165.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 427.

დისიმილაციური ცვლილების ნიადაგზე წარმოქმნილად მივიჩნევთ, მაშინ მხოლოდობით რიცხვში დ გ არს, ჩ არს ზმნებში რ-ს გამოვლენა მრავლობითის ანალოგიით უნდა ავსხნათ.

ხ ტ ე ბ ა ზმნა მთელს ზემოიშვრულში იყენებს - ენ -ზე დართულ დ სუფიქსს: ვისკუპე და გა დ მ ო ვ ხ ტ ე ნ დ ი... მ უ უ ხ ტ ე ნ დ ი იჭა...

მონაცვლეობა გვაქვს გვარების მიხედვით: მაგას შე ფ ე რ ო ფ ს უკეთესი... ვ ყ უ რ ო ფ და არსა არი... ფერა-ფერა ბალახს ვერ ვ შ ო - ო ფ... ვ ბ რ ძ ო ლ ო ფ თ დღედაღამ...

ვნებითის ტიპია შეცვლილი: გა ნ კ უ რ ნ ა ლ და ეს ბიჭი (ბოსლევი)... რაღა ჯ შე მ ო ს ი ძ და, დეიწყო ლოთობა...

ზმნის წარმოებისას ზოგიერთი ა ხმოვანფუძიანი სახელის შეუქვეცელი ფორმა გამოყენებული და ვინით არის გავრცობილი:

არავინ გა ძ ა ლ ა ვ ე ბ და... ქვევრი გა ა წ მ ი ნ და ვ ა... აქედან მასდარი: და წ მ ი ნ და ვ ე ბ ა: და წ მ ი ნ და ვ ე ბ ა უნდა ქვევრეფს...

- დ სუფიქსის ნაცვლად - ოდ სუფიქსიც არის გამოყენებული ორი-ოდე შემთხვევაში: მი ყ ვ ა რ ო და უწინ ფელამუში... იმას უ ყ ვ ა - რ ო და ფელამუში (ბოსლევი)...

ამოსავალი ჩანს: მი ყ ვ ა რ ი ა (ბოსლევი, სანახშირე).

ქ ო ნ ძირია დატული თურმეობითი მეორის შემდეგ ფორმაში: ნი-ნას და მაგას არც ე ქ ო ნ ე ბ ო და თორნე, ჩვენ რო ქვექონია...

შიმღეობითი ზმნის „სწავლულოფს“ ანალოგიით ჩანს ნაწარმოები: ვერ ვ ტ ა ნ უ ლ ო ფ მის ლაპარაკს... მეტს ვერ ვ ზ ი დ უ ლ ო ფ...

სალიტერატურო ქართულის „ისვრის“ ი - პრეფიქსის გარეშეც იხმარება: ს ვ რ ი ა ნ (ისვრიან) იმ ხეეფს... დანა ეკავათ ხელში და ს ვ რ ი - დ ე ნ... მ ს ვ რ ი დ ე ნ თოფს, ქე გადავრჩი...

ზის და სხედს არ იხმარება, ორივე შემთხვევაში ჯი ფუძეა გამოყენებული: ჯ ი ს კაცი ამ შეშაზე... ქალები ჯ ი ა ნ...

თავისებურებას იჩენს ნაზმნარი სახელებიც:

ტირილის, ყვირილის და მისთანათა ანალოგიის საფუძველზეა ნაწარმოები პ ა ტ ი ე ი ლ ი (მოპატიეილე მოგვეიდა), ხ ვ ე რ წ ი ლ ი (ხვერწილი აღარ უნდა საქმეს). ძ ე ბ ი ლ ი (დოუწყო ძებილი).

თემის ნიშნები არ ჩანს: ომი და წ ყ ი ლ ი იყო (მრავლობითშიაც შეგვხვდა: თორნეები მაქ და წ ყ ი ლ ე ბ ი)... ბუქუტა ხ'ვარ არი გა-შ ო ძ ა ხ ი ლ ი (გამოძახებული)?.. გაკვეთილები არ აქ და მ ზ ა დ ი ლ ო...

და ძ ა ხ ი ლ ი „დაძახება“ მასდარის მნიშვნელობით იხმარება: გუ-იგონა და ძ ა ხ ი ლ ი...

მიმღეობა „მწოლიარე“ ამგვარადაც გავიგონეთ ბოსლევიში: წ ო ლ ი - ვ რ ი ა ბერიკაცი.

მ — ელ აფიქსებიანი მიმღეობის ნაცვლად ნახმარია მ — არ-იანი: პაპიროსის მწვევარი ვარ (სანახშირე).

იხმარება დასაწუნავი (არ ვიყავი დასაწუნავი), უყიდავი (უყიდავათ არ დამრჩენია)...

ყურადღებას იქცევს ნეოლოგიზმები: ორი გოგო გათხოვებულნი მყამს... დახურებულნი მქონდა თავი... გვერეცხე დასასურებელი თავსაკრავი... თვალხილებულათი იპარავენ...

- ყე ნაწილაკი სისტემატურად იხმარება ყველა დასახელებულ სოფელში პირდაპირი, ირიბი ობიექტებისა და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად.

- ყე ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად: შენ ბოვშეფს სხალი მაინც არ ეყოფაყე, სარახე ქვაფში რო მოახრჩო.. შენ გაყევიყე იმათ... უნდა წავაქნაყე თავი ქვევრეფს... ახლოს რო ვხედავყე ამ ბლარეფს, მიხარია... უთხარიყე ყველას, რო აქ არი...

- ყე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად: ახლა შევკერეყე წითელი კაბები... ცოლისთვინ კითხავს ეთხრობია: თქვენ ისინი ქწყვიტავსყეო... თქვენ ის მოქკლავსყეო... ათჯელ რო გალახოყე დღეში, მაინც აქ არიან... ჩავაცილეყე ღარისწყულამდი... ძმისულები დარჩენ ობლათ და ქედავზარდეყე... მე ჩევიყვანეყე ისინი... დავპატიეყე. მარა არ ქნეს...

- ყე რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად: კაცი კილამ მოუკლავსყე... კაი ხანს უსვამსყე ღვინო... დოუქერიათ და ჩოუსვამსყე... როგორც უთქვამსყე, ისე მოქცეულან... არაფერი უნდაყე... ვენახი ქექონდაყე...

აქვს ზმნაზე - ყე ნაწილაკის დართვისას ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულია აქყე:

საშვალო ქე აქყე დანთავრებული... ჭადი აქყე და ღვინო...

ფორმაუცვლელი სიტყვები. აქა-იქ ადგილის პირველადი ზმნიზედების გვერდით იხმარება აქა-იქა და -ნა ნაწილაკდართული აქანა, იქანა (იქინა და მაქანა არ იხმარება):

სა ჩამვედი ქართველი კაცი აქა: რა უნდოდა იქა, დეილუბათაი...

ჩვენ გვეხმარა აქანა... იქანა უნდა მოსხედო პურები...

მანდ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ექანა, ექანას; ექანა არის... ექანას მოუქრეფია...

ასევე: მაღანა || მანა || მადა || მად:

მადანა ეგდო... დაყარე მანა (უპირატესად ასეთი დ დაკარ-

გული სახეობა ვეხედება)... მა ან ა მოგართმევ... ოთხი პოლკი ვიდე-
ქით მა და... ის მა და იყო, შახში...

კითხვითი ზმნიზება სა და იხმარება და-ს მოკვებით და სა და ან ა || სა-
ანა-ს სახით:

ს ა იყავი ამდენ ხანს?.. სა და ან ა ა სკამი? ს ა ა ნ ა გეგონა შენი
თავი?...

კითხვაზე საიდან იხმარება მაიდან, ხოლო კითხვაზე საითკენ — მა-
ლით || მათ: არ გამოხვიდო მა ი და ან... შენ არ გამოდი მა ი და ან..
მა და ი თ შენ მეხმარე... შეივსეთ მა ი თ ქიქა...

კითხვითი ზმნიზება „საით“ გვხვდება ამგვარადაც „სიეთ“: ს ი ე თ
უნდა წახვიდო...

განთიადში გამოყენებულია „ბოლობოლო“ (სალიტერატურო ქარ-
თულით „ბოლოს და ბოლოს“): ბ ო ლ ო ბ ო ლ ო ო რ ი კ ი ლ ო მ ე ტ რ ი ა...
ბ ო ლ ო ბ ო ლ ო მივედით, როგორც იქნა...

დროის ზმნიზებები „ჭერ“ და „ჭერჭერობით“ გვხვდება ამგვარა-
დაც: ვერ წავალ ჯ ე რ ე თ ი... ჯ ე რ ჯ ე რ ა ო ბ ი თ კ არ ქ ი ა...

„მაშინვე“ ზმნიზების ვარიანტია „მაშითვე“: მა შ ი თ ვ ე წ ა მ ო ვ-
ლიენ სახში, მა შ ი თ ვ ე...

პატ-პატარას ანალოგიით ნახმარია ცოტ-ცოტარა: ს ო და და ჰ ი რ დ ე-
ბ ა ც ო ტ-ც ო ტ ა რ ა...

„ძლიერ“ მეტათეზისმომხდარი შეგვხვდა მხოლოდ შროშაში:
ძ რ ი ე ლ ბ ე ვ რ ს მ უ შ ო ა თ ს...

სხვაგან იხმარება ძალიან || ძალიანი (შდრ. უკან || უკანი).

ვითარების ზმნიზებები ამგვარადაც გამოიყენება: ა ს თ ე, მ ა ნ-
გ რ ე, ი ს ე ვ-ი ს ე ვ: ა ს თ ე ჯ ო ბ და... მ ა ნ გ რ ე გ ე თ ქ ე ა, შე კ ა ც ო...
ი ს ე ვ-ი ს ე ვ შენ ჩამოდი...

„კიდევ“ იხმარება უპირატესად კ ი დ ე-ს სახით. შეგვხვდა ს რ უ-
ლი ფორმითაც, რომლისაგანაც სალიტერატურო ქართულის „კიდევ“
წარმოიშვა: გამეიყვანეს ხარი და ძროხა, დაკლეს კ ი დ ე ვ ე... (ბოს-
ლევო).

„რაკი“-ს მნიშვნელობით გამოყენებულია კავშირი „რალი“.

გარდა და გამო თანდებულებს ზოგჯერ ი ა და ერთვის: ყველა იყო
ამის გ ა რ და ი ა... აქანა მტკიოდა კისერი ამის გ ა მ ო ი ა...

კინალამ ნაწილაკის სინონიმია ღარმე: გამოსულელდა-ღ ა რ მ ე...
ჩირგვეფში გადაეყრავდი-ღ ა რ მ ე...

საყურადღებოა, რომ „კინალამ“ და „ღარმე“ ერთსა და იმავე ფრა-
ზაში ერთდროულადაც გვხვდება:

კ ი ნ ა ლ ა მ ს ხ ვ ა გა ლ ა ხ ა-ღ ა რ მ ე...

კინლამ ნაწილაკის ვარიანტია კილამ: კილამ კაბეჯანმა დამლუპა ლარმე...

ზემოშივერულს, საერთოდ, ახასიათებს ზმნიზედებისა ან ზმნიზედების ფუნქციით ნახმარი სიტყვებისა თუ ნაწილაკების ე ხმოვნით დაბოლოება და ვლებულობთ პარალელურ ფორმებს (სულა || სულე, ზედა || ზედე):

თითვან ვერ კითხულოფს ჩქარე... ის აკეთებდა ძირა და მალა სულე... ვერ მოხვედი დღესე?

— ისწავლე? — კიე...

ამ ნაწილაკის ბოლო ხმოვანი გაგრძელებულად წარმოითქმის და ხანდახან კაცს გვონია, ვოკალური ფონის გაჩენის საჭიროებამ წარმოქმნა ბოლოკიდური ე-ო. ეგების ასიმილაციასთანაც გვექონდეს საქმე (შდრ. დღესა — დღესე).

სინტაქსური მოვლენები

საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას, თუ ის განსაზღვრულია რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნაშენელი რომელიმე სიტყვით:

იქ დახვებოდა ორივე ძმები... ყუვაძეებია ორი ბიჭები...

ასეთ შემთხვევაში შემასმენელიც უპირატესად მრავლობითს რიცხვშია:

ფურობდი, რას გააკეთებდენ ამდენი კაცები... წამევიდენ ეს ამდენი ბიჭები... სამტრედიელი იყვენენ პერი ბიჭები... ექვსი ძმები იყვენ...

ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას აზრობრივი ხასიათი აქვს: ბევრი სამუშაოა და ვეღარ შეძლეს ხალხმა... უცხო ხალხი მოდიოდენ... ხალხი მელოდებოდენ... ყველა მოდიოდენ... შამოხვთენ სამი ბიჭები... მოდიან ორი ქალი... არავინ არ წასულენ აქიდან... გვერდით ვინ გიდგენ...

მაგრამ გვაქვს საპირისპირო ვითარებაც: შესულა მეზობლები...

ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება შერწყმულ წინადადებაში, როცა გარდაუვალი ზმნით გამოხატულ შემასმენელს გარდამავალი ზმნით გამოხატული შემასმენელი მოსდევს:

ადგა ზეზე ამ კაცმა და გადვიყვანა შეილი საჩოქალაში...

მ გ ზ ა ე რ მ ა წ ე ვ ი ლ ა ი კ ი თ კ ე ნ და დოუძახა... ამ ქ ა ლ მ ა თ უ რ მ ე ა დ გ ა ზ ე ზ ე და გოუტრა დაფქული... რ ა კ ე ე ლ მ ა კ ა ც მ ა მივიდა გლეხის კართან და უთხრა...

მაგრამ აქა-იქ ქვემდებარე მოთხრობითში გვხვდება გარდაუვალ ზმნასთან მაშინაც, როცა მას გარდაუვალივე ზმნა მოსდევს:

აღგა ამ კ ა ც მ ა და და ს ა ხ თ ა ს ხ ვ ა სოფელში...

ჩვენ საგანგებოდ არ შეგვისწავლია ზემოიშვრულის სინტაქსი იმ თვალსაზრისით, რომ გაგვერკვია, როგორი ტიპის წინადადებების ხმა-რება სპარბობს იქ: რთული თანწყობილისა თუ რთული ქვეწყობილი-სა, მარტივისა თუ რთული პერიოდებისა. ჩაწერილი მასალები ამ მხრივ გასინჯვას მოითხოვს და მომავალში ეს გასაკეთებელია, ამჟამად მხოლოდ შერწყმული და რთული წინადადებების კავშირებზე შევჩერდებით.

\\ შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში ხშირად გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“ და მაცალკეებელი ან-ან, ხან-ხან, რომელნიც ამ სახითაც გვხვდება: მარა || მარამ, ან-ანე, ხან-ხანე:

გ დაკარგულია. მ კ ი ან არა აქვს დართული, ან აქვს (ამოსავალი ფორმაა მაგრა): აკაკი თავადი იყო, მ ა რ ა გლეხის გაზდილი იყო და გლეხი უყვარდა... თითვან არსა მივა, მ ა რ ა ჩვენ არ უნუქეთეფთ (უმუხთლებთ, უმაგიერებთ)... ღვინოზე ქე დამითხოვა ექიმა, მ ა რ ა მ არ ვეშვები... ზღაპარი კაი იცის, მ ა რ ა მ ახლა აღარ უმბოფს...

თელი ღამე ვმუშაობდი, ან ვართემდი, ან ე ვქსომდი...

ბერი კაცი ხან იწვა, ხ ა ნ ე დგებოდა...

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რომ კავშირი ამგვარადაც იხმარება, მაგრამ უპირატესად მ ჩამოცილებულია, გვხვდება უფრო ძველი სახითაც რომ ე (← რომელ): კაია ის იც, რომ ე მოშენდები...

აკაკი რო მოქვტა, დაჩოქვილი შევხვითთ ბოსლევის სადგურზე...

აღგილის გარემოებითსა და განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებებში გამოყენებული გვაქვს სადანაც || საანაც:

თავი იმ რიადაგეზე არ გაჩერდება, სა და ნ ა ც კატა არი...

გეიარა იქ, ს ა ა ნ ა ც ბოვშები ამევიდენ...

\\ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება სა-ნემდი || საამდი, რაღაი, რაი, თვარა:

ს ა ნ ე მ დ ი არ ჩაგიწყო, მ ა ნ ე მ დ ი იღექი მანა...

ს ა ნ ე მ დ ი მარჯვენა ფეხზე ძარღვი არ მიაჭრეს, არ წეიქტა...

ს ა ნ ე მ დ ი ს ა ც ვ ი ყ ა ე ვ ი , ვ ა წ ყ ო ბ დ ი ს ა ქ მ ე ს ...

ს ა ა მ დ ი მ ე ვ ი დ ო დ ა , გ ე ლ მ ა დ ა ა ვ ლ ო პ ი რ ი ...

რ ა კ ი კ ა ვ შ ი რ ი ს ს ი ნ ო ნ ი მ ი ა რ ა ლ ა ი : რ ა ლ ა ი ჩ ე მ გ ა ს ა ქ ი რ ს წ ე რ ა მ , მ ო გ ი ყ ე ვ ე ბ ი ... რ ა ლ ა ი გ ე ვ ი ყ ა ე ვ ი თ , ჩ ე მ ი ზ ი თ ე ბ ი მ ე ი თ ხ ო ვ ა .

ი ხ მ ა რ ე ბ ა რ ა ი - ც : რ ა ი ა ვ ა თ ვ ა რ , ს უ ლ მ ა ქ ს ი ც ხ ე ...

✓ **თ ვ ა რ ა (თ უ - ა რ ა) :**

დ ე ი ნ ა ხ ა თ ვ ა რ ა ძ ა ლ ო , გ ე ი ქ ე ა ...

✓ **ყ ო ვ ე ლ ი ტ ი პ ი ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი ი ხ მ ა რ ე ბ ა დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ა კ ი ქ ე (დ ა ა რ ა ქ ე) :**

ო თ ხ ი შ ე ი ლ ი მ ა მ ი კ ე ტ ა . ო თ ხ ი ქ ე მ ყ ა ვ ს ... რ ო მ ი დ ი ხ ა რ , ქ ე მ წ ყ ტ ე - ბ ა გ უ ლ ი ... ქ ა ლ ი ქ ე ც გ ა გ ა მ დ ი დ რ ე ფ ს , ქ ე ც დ ა გ ლ უ პ ა მ ს ...

ა ს ი ნ ი ლ ა ც ი ი ს შ ე დ ე გ ა დ გ ე ხ ე დ ე ბ ა ა ს ე ც :

ქ ო რ ო ა ქ ა ნ ა კ ა ი ვ ე ნ ა ხ ი ა . ჩ ე მ ი გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ა ...

ქ ო რ ო გ ა დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა , მ ა შ ი ნ უ ნ დ ა ბ ა რ ო მ ი წ ა ა რ შ ი ნ ზ ე ...

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა ო რ მ ა გ ი უ ა რ ყ ო ფ ა :

ა რ ა ვ ი ნ ა რ კ რ ი ფ ა მ ს ... ვ ე რ ა ფ ე რ მ ა კ ა ც მ ა ვ ე რ მ ო კ ი დ ა ხ ე - ლ ი ... ი ქ ა ლ დ ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა რ ი ... ა რ ა ვ ი ნ კ ა ც ი ა რ ი ყ ო (შ რ ო შ ა) ...

ს ხ ვ ა თ ა ს ი ტ ყ ე ვ ი ს ო ნ ა წ ი ლ ა კ ი ს წ ი ნ თ ა ნ ხ მ ო ვ ე ნ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ა გ ა მ ო ვ - ლ ი ნ დ ე ბ ა : ბ ო ვ შ ი დ ა ვ ტ ო ვ ე თ ა ო დ ა ვ ე რ ა ფ რ ი თ ვ ე რ წ ა მ ო ვ ა ლ - თ ა ო ... ქ ა ლ ი რ ო ყ ა ვ დ ე ს ა ო , — ნ ა თ ე ლ ა მ თ ქ ე ა . — ი მ ა ს თ ა ნ ქ ე მ ი ვ ა ლ ო ...

ზ ო გ ჯ ე რ „ მ ე თ ქ ი “ ნ ა წ ი ლ ა კ ი ს მ ა გ ი ვ რ ა დ „ თ ქ ე ა “ გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ა :

ბ ე ვ რ ი ს ი მ წ ა რ ე ნ ა ვ ხ ე . მ ა რ ა ა წ ი ხ ო მ ე ვ ი ს ვ ე ნ ე ფ - თ ქ ე ა . — ვ ი ფ ი ქ - რ ე ... რ ო მ ო ვ რ ჩ ი , მ ე რ ე , ვ უ თ ხ ა რ ი : ს ი ც ო ც ხ ლ ე ტ კ ი ლ ი ა - თ ქ ე ა ...

ა მ რ ი გ ა დ , ჩ ე ვ ე ნ შ ე ვ ე კ ა დ ე თ ა ლ წ ე რ ი თ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ს შ ე დ ე გ ა დ წ ა რ მ ო ვ - ვ ე დ გ ი ნ ა ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი ს რ ა ი ო ნ ი ს მ ც ხ ო ვ - რ ე ბ თ ა მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ .

ა მ რ ა ი ო ნ ი ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა მ ე ტ ყ ე ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ე ვ ა ე მ - ფ ა ტ ი კ უ რ ი - ა ხ მ ო ვ ნ ი ს მ ე ტ ა დ ი შ ე ი ა თ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა , ს ა მ ა გ ი ე რ ო დ ნ ა - თ ე ს ა ო ბ ი თ ს ა დ ა მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ შ ი მ ი ს ბ ა დ ლ ა დ - ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს მ ო ხ შ ი რ ე - მ უ ლ ი გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა , - ა ნ ს უ ფ ი ქ ს ი ს ა დ გ ი ლ ა ს - ე ნ ს უ ფ ი ქ ს ი ს ფ ა რ თ ო მ ო - ხ მ ა რ ე ბ ა , - ა ვ ს უ ფ ი ქ ს ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ - ა მ ს უ ფ ი ქ ს ი ს უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ გ ა მ ო ყ ე - ნ ე ბ ა , - ყ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი ს დ ი დ ი გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა .

წინამდებარე ნარკვევში აღნუსხული და დაჯგუფებულია ის ფონეტიკურ-გრამატიკული ნიშანდობლივობანი, რომლებიც ზესტაფონის რაიონის სოფლების — ფუთის, ტაბაკინის, ზედა და ქვედა საქარის, ზოვრეთის, პირველი და მეორე სვირის — მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად იქნა შემჩნეული.

ხაზგასასმელია, რომ დასახელებულ სოფელთაგან ოთხი უკანასკნელი მაინც ქვემო იმერეთის მიჯნაზე მდებარეობს, ამიტომ მათ მეტყველებაში ზემოიმერულის თავისებურებებთან ერთად ქვემოიმერულის ნიშნეულობანიც ხელშესახებად არის წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების შესწავლით ჩვენ უკვე დავასრულეთ ზემოიმერულზე დაკვირვება მისი ტერიტორიული გავრცელების ფარგლების მიხედვით. მომავალში საჭიროდ მიგვაჩნია სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგენილი თავისებურებების კვალიფიკაცია სხვა კილო-თქმათა და წველი და ახალი სალიტერატურო ქართულის მონაცემებთან შეპირისპირების გზით. აუცილებელია აგრეთვე ზესტაფონის რაიონის მოსაზღვრე თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების დამახასიათებელი ნიშნების შესწავლა, რომ სათანადოდ გაიკვეს ზემოიმერული მეტყველების არე და იმერულის თავისებურებათა სოფელ-სოფელ დაკვირვებით საბოლოოდ დადგინდეს იმერული დიალექტის კილოკავები, გადაწყდეს, სპეციალურ ლიტერატურაში უზაიმერულად ცნობილ თერჯოლის. მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას ვააჩნია თუ არა ისეთი თავისთავადი ნიშნები, რომლებითაც იგი ზემო და ქვემოიმერული კილოკავების გვერდით დადგებოდა და მათ დაუპირისპირდებოდა.

ბგერითი შედგენილობით ჩვენი დაკვირვების ობიექტთა მეტყველება სალიტერატურო ქართულისაგან არ სხვაობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმარცვლო უ-სა (ჟ) ო-ს გამოყენებას:

დიდი თ ო ჟ ლ ი იყო... მიღიხარ? — ე. აპა აქ ვავჩერდები სულე?

(ფონეტიკური მოვლენები)

თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაციის გვერდით და მის თანაბრად გვხვდება პროგრესული ასიმილაცია. ამ შემთხვევაში ასი-

¹ წაითხულია მოხსენებად ქუთ. პედ. ინსტ. მეცნიერ მუშაკთა XXVI სამეცნიერო სესიის 1962 წლის 23 აპრილს.

მილატორი ყოველთვის ყრუ ფშვინეიერი, აბრუპტივი ან სპირანტია, ხოლო ასიმილირებული მქლერი ბგერაა: თფილი, სითფო... დამწიფ-
თა... შეერთთა, მოკეთთა... გაჩთა... გაოცთა, მოხუცთა, დაცთა (სწაფ-
ლას)... მომთაფქრთა... კპილი, ტკპილი, სიტკპო, ტკპილიკვერი, შემ-
ტკპარი... კტე... აკტა... კვტარი, სიკვტილი... ტპა, ტაპიკი, თაუტაპიკი...
უპა... გატყტა, დამწყტა, გაპურტყტა, გატიტვტა... ხფო... ახთა. ნახთა,
ხთიენ, შევთანხმთით, დაგახეთერეთ, ჩაოხრთა, დასახლთა. გამარ-
თლთა... დეინტერესთა, დაარსთა...

დასახელებულ მაგალითებში ასიმილაცია უპირატესად კონტაქტუ-
რი და ნაწილობრივია პეტროროგანულ თანხმოვნებში, სრული — კო-
მორგანულ თანხმოვნებში. გვხვდება დისტანციური ასიმილაციაც,
როცა ასიმილატორსა და ასიმილირებულს ჰყოფს სწორი ბგერები
და კბილბაგისმიერი ვ.

თუ პროგრესული ასიმილაციის დროს გამვლენელი მხოლოდ ყრუ
ბგერაა, რეგრესული ასიმილაციის შემთხვევაში გამვლენელი ყრუ
ბგერაც შეიძლება იყოს და მქლერიც: შაშუალი, შაშინელი (ტაბაკინი),
ყმაყოფილი, უყმაყოფილობა, ახთქმა, ხეთის, ხეთიშილი. გაშაკი,
საპკო, მოახწია, კეტენტილები, ფთა (უფრო თა იხმარება). ფსხალი
(|| სხალი), ფსხვილი, კაფშირი (ტაბაკინი), პტვერი... ზღვეს, ოჴღაერ-
თი, ოჴღაორი, ოჴღასამი...

- ში თანდებულის გავლენით მიღებულია: შახშა, მენჩში (მენჩში),
შიცემითის ფორმანტის, თანდებულის ყრუ წინაკიდური ბგერისა
და მესამე სუბიექტური - ს სუფიქსის გავლენით ხშირად ასიმილირ-
დება სახელისა და ზმნის ბოლოკიდური მქლერი: ფთეფს. ვენახეფს,
ძახს (ძალს), ხფოეფს, ნემსეფს... გვერთში, ბახთან... არ მსიამუნოფს,
აკეთეფს და ვერც აკეთეფს...

მომდევნო ჩშულის ან აბრუპტივის გავლენით ობიექტური პრეფიქ-
სები გ - და გვ - ქ -, ქვ -დ იქცევა: მოქცა, ქცემ, ქცმოლა, შექპირლა,
ქთხომ... დაქვჩაგრა, მოქვქონლა...

ქ-, ქვ- გვხვდება იქაც, სადაც მოსალოდნელი იყო გამვლენელის
გვარობის მიხედვით მკვეთრა: ქქამ, ქყოლია. ქკითხა, გაქწვერა,
ქყყაღა...

როგორც სხვა ნარკვევებიც გქონდა ამის შესახებ აღნიშნული,
ზემოიშვრული ასეთ შემთხვევაში გაურბის მკვეთრთან მკვეთრითვე
ვამოხატული პრეფიქსის ხმარებას და ასიმილირებულ მკვეთრს ყრუ

ფშინევირით ცვლის, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში დისიმილა-
ციურ გაფშინევირებას უწოდებენ, დისიმილაციური გამქდერების
ანალოგიით.

ტაბაკინსა და პირველ სვირში შეგვხვდა ბგერათცვლილების ისეთი
სახეობა, რომელიც საურთიერთო ასიმილაციით შეიძლება აიხსნას: მე
წაქზობი, სადანაც გინდა (I სვირი)... ქმარი რო ქზავდეს, უფრო მოი-
მედეა. ვიდრე შვილები (ტაბაკინი)...

ჩვენი აზრით, აქ რეგრესული ასიმილაციის შედეგად ყ-ს ქ უნდა:
მოეცა, შემდეგ მოხდებოდა მისი დისიმილაციური გაფშინევირება,
მერე კი ქ-ს მეზობლობაში ჰროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე
თვით ძირეული ყ უნდა იყოს შეცვლილი. საერთოდ, ყ-სთან ხ-ს შე-
ნაცვლება ასიმილაციის გარეშეც რომ დამახასიათებელია, ეს სხვა
შემთხვევებითაც დასტურდება. მაგალითად, ჩვეულებრივია „ყანწის-
ნაცვლად „ხანწის“ ხმარება.

თანხმოვანთა შორის საურთიერთო ასიმილაციასთან დაკავშირე-
ბით უურადლებას იქცევს ერთი გარემოებაც: წვედ კომპლექსში წ-ს
გავლენით დ დაყრუებულია და თ-დ ქცეულა, ხოლო ამ უკანასკნელს
წინმავალი აბრუპტივისთვის მკვეთრობა დაუქარგავს და ფშინევირ
ც-დ უქცევია. ამგვარი ასიმილაციური ცვლილების შედეგად უნდა
იყოს მიღებული: იქ ვერ მიცვთებოდა იგი... თუ შეინდომებდა, ქე გა-
ცვთებოდა... თუკი შეცვთა ბაწარს, მეტი რა უნდა... არავინ მომაცვთი-
ნა ხმა... ვერ ცვთები და აგერ დადევი ჭადი...

ასიმილაციას, როგორც სხვა შემთხვევებში, არც აქ აბრკოლებს
კბილბაგისმიერი ვ თანხმოვანი.

პროგრესულ ასიმილაციას ვხვდებით ხმოვნებშიც: წარმოობა,
ნამუშევერი... მაგრამ ხმოვნებში უპირატესად რეგრესული ასიმილა-
ცია დასტურდება. ჩვეულებრივია აქაც პრევერბისეული ხმოვნების
ასიმილაცია ფუძისეულ ი, ე და უ ხმოვნებთან.

ზმნისწინის ა და ო ხმოვნებს სრულად იმსგავსებს ე ხმოვანი. ამ
შემთხვევაში ასიმილაციას არ აბრკოლებს ფუძისეული და პირველი
სუბიექტური პირის ნიშანი ვ- და ობიექტური პრეფიქსები მ-, გვ-
ევიდა, ეეშალა, ეგემოძრავებია... დეეგლო, დემეთვალეირებია, დგ-
ვესახელებია... გევიგდე, გეგვეტანა... წეველით, წეეფცქენა, წეგვეუ-
რუებია... ჩეერბინა. ჩემეკონა... მეველით, მეევიტანეთ, მემეკელა,
მეგექცა, მეგვეტანა...

როგორც ყველა დასავლურ კილოში, აქაც ასიმილაციის პროცეს-

ში განსაკუთრებული მატერიალებელი ძალა აქვს ე-სთან ერთად ი-საც: ეილო, დევიპირე, ჩევიყვანე, წევიდა, წევიყვანა, მევიდა და მოგვიტანა ღეინო..

ეი კომპლექსშიც ასიმილაციას არ აბრკოლებს ვ, მაგრამ აბრკოლებს მ-, გვ-

ფუძისეული უ ხმოვანი პრევერბისეულ ა და ე ხმოვნებს იმსგავსებს ნაწილობრივ, ი ხმოვანს კი სრულად. საქმე იმაშია, რომ -ე-ცა და ი-ც უ-ს ემსგავსება არტიკულაციისა და ლაბიალობის და არა ლიაობის მიხედვით. ამიტომაც, რომ ლიაობის მხრივ უ-საგან განსხვავებული ე სრულ ასიმილაციურ ცვლილებას არ განიცდის, ი კი ვანიციდის. ლიაობით ი ხომ უ-ს იდენტურია:

ოუყვანა, გოუგო, ჩოუყვანე, წოუმტვრია... შოუძახა, შოუგდო... მაგრამ:

ძუუცია იძულება... შეიდასი მანეთი მუუცია შიდა... ღეინოს ქე მუუტანდით, ფულსაც ქე მუუმატებდით... ეზოში მუუდენე ლუბას ბატები, ეზოში...

ოუ კომპლექსი კი ასიმილაციურ ცვლილებას არ განიცდის ისევე. როგორც ბევრ სხვა კილოში. უ-ს მსგავსად ო-ც უკანა არტიკულაციის ლაბიალური ხმოვანია, ლიაობით არის უ-საგან მხოლოდ განსხვავებული. ამ დაპირისპირებულობის მოშლას კი ზემოიმერულში უ ვერ ახერხებს: მოუტანა და დოუგდო... მოუყვანე... მოუტანდით ხილს...

ეუ კომპლექსში ასიმილაცია ასეთ შემთხვევაშიც დასტურდება: ოუცილებელია... რასაც ოუბნები ჩემ მეხრეს, იმას გოუბნები, მარა არ გესმის... ოუბნება, მამეშეიო...

ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა სიტყვაში „ოუბნები“ (|| ვეუმბები) ო ვე კომპლექსის შერწყმის შედეგი უნდა იყოს და არა ასიმილაციისო. რომ არ გეჭონდეს: გოუბნები (|| გოუმბები), ოუბნება (|| ოუმბება).

ზესტაფონის რაიონში, ისევე როგორც ზემოიმერულში საერთოდ, თუ ქართლის მოსაზღვრე სოფლებს არ მივიღებთ მხედველობაში. რთული ზმნისწინების პირველი ხმოვანი ასიმილაციურ გავლენას არ ექვემდებარება: წამევიდენ, წამეილო, გამევიდინძა, ჩამევიდო, ჩამევიყვანეთ...

ასევე გადა- ზმნისწინის თავკიდური ხმოვანი, როგორც წესი. ასიმილირებული არ არის: ვადეიხადა, ვადეიყვანა...

ჩვეულებრივია ამ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა: ვადირია, ვადიჭრა, ვადუარა...

რეგრესული ასიმილაციით აიხსნება ასეთი შემთხვევებიც: არევენ-

მ. აქოური, აპოური. ქუთეისი, რანეირი, სხვანეირი, მეურნოობა, გაძვობა, მოორე (უფრო ხშირად იხმარება მორე)...

რე იქნა... რო უყავი... რავო ვქნათ... ქო რო...

რეგრესული ასიმილაციის შედეგია აგრეთვე ის ცვლილებები, რომელთაც იწვევს მრავლობითის - ებ სუფიქსის დართვა ა ხმოვანდუნიან სახელებზე: ურემს აქ ფ რ ხ ი ლ ე ე ბ ი... მივიდენ იქ და ნ ი ს ს ე ნ ე ბ ე ე ბ ი გააკეთეს...

ასეთ შემთხვევებში მაინც უფრო მოხშირებულია უასიმილაციო ფორმების ხმარება: ჩემი ბ ი ძ ა ე ბ ი იყო... ბ ე ბ ი ა ე ბ ი გამოარონიეს... გ ო რ ა ე ბ ი ჩვენი გადაბრუნებულია... კ ო ნ ა ე ბ ი შეიკვრება ერთათ... ფ რ ხ ი ლ ა ე ბ ი რკინის კაპებითი აგერ ალი... ზესადგარში გაყრილია ს ა ფ ე ნ ე ლ ა ე ბ ი... ნ ა ლ ი ა ე ბ ი დიდი იყო... თქვენ და ვ ა ლ ე ბ ა ე ბ ი გაქათ... იმან იცის ბევრი გ ა მ ო ც ა ნ ა ე ბ ი... ძარკუნტი ძარზე მ ო რ ჩ ი ლ ა ე ბ ი ა... ბოკუმები პ ა ტ ა რ ა ე ბ ი მყავს...

ვეიდულობდი მ ა ტ ე რ ი ა ე ფ ს... ფ რ ხ ი ლ ა ე ბ ი ს თაეზე გადადის სამატი...

დისიმილაცია პროგრესულიც გვხვდება და რეგრესულიც: არალი... გუშინდელი ქ'ალარ ალი... ეგერ ალი... შენზე სუქნები ქ'არ ალიენ... არათელი... წარამალა... გუშინწილა (|| გუშინაწილა), კონსტანტ-ლე: აღანი... ორჯელ და ამის ანალოგიით ხუთჯელ, ექვსჯელ და ა. შ.

კალონი, უკალონობა, ლობერტი.

ხმოვანთა დისიმილაციური ცვლილებები უნდა გვქონდეს ამ მაგალითებში: ხვიმერა, ლაპარიკი, აფხანიკი (ამ მაგალითში ადგილი აქვს ასიმილაციასა და სუბსტიტუციასაც).. პეტერა (ქვემოიმერულში ამ შემთხვევაში რეგრესული ასიმილაცია უნდა გვქონდეს სახელობითის ი ფორმანტის დართვის შედეგად: პეტერე → პატარაი); მეწია შეიძლება პეტერას ანალოგიით იყოს მიღებული, შეიძლება ასიმილაციის ან ბგერათშენაცვლების ნიადაგზე, მაგობარი კი დისიმილაციურა ცვლილების შედეგი ჩანს.

დისიმილაციისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედებით უნდა იყოს მიღებული სილოური (სადაური).

მეტათეზისი. სონორ ბგერათა მეტათეზისი, რაც ზემო იმერეთის სხვა რაიონებში უფრო იშვიათად შეიმჩნევა, აქ უფრო გავრცელებულია:

ლურბელი, ქრმის, კარხმალი, ხოლმანდი (ნ განვითარებულია), დამბული, გებერწვება. რღმა, სირღმე... ნავზე, ნამხა, ნამხავი... ხსეული...

საურთიერთო მეტათეზისის შედეგია: ილვანიდი. რცემღები, ეკონი, დამთვარიელა (მ-ც განვითარებულია), უნამკო...

მეტათეზისისა და ასიმილაციის შედეგადაა მიღებული: უმბოფს (უბნობს). მეუმბეუბი. შეხვთერია (შეხვედრია).

ბგერათა დაკარგვა. ნიშანდობლივია ბგერის დაკარგვა სიტყვებში: ევეით, წვევით, შოით... საანა, მანა (|| სანა, მანა)... ვერსა, არსა, სალა, როის, როისლა, ნურსა, სა...

მაგალითებში: ე ვ ე ი თ მე და სიმონკა, წ ე ვ ე ი თ თფილიში, მოით, მოით... საანა აგლია, მანა იქნება... ვერსა ვერ იქეიფა. ნურსა წახვალ, არსა არ იყო... სალა არი ახლა ტყეი... სადილობა როის იქნება... ესენი როისლა არი ახლა... სა ხ არ, გო. შენე... დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით დაკარგული ჩანს:

მ: ტერი, კერდი, წიფე, ძიმე, ჩატე, ცირე, თა (იხმარება ფთაც აქა-იქ), გელი, შრალი, ჯანთელი (დაკარგულია რ-ც), წყურვალი, კითხავი, ტირალი, დგომარეობა, წერალი, ღვდელი, დიდარი || დიდარე, ყუდრო || ყუდრე, შობლები, შიერი... აგრანოი, შუადგომლობა... რატო, ხო, რო...

რ: ცემლი, მობძანდი, გაზდილი, სპიტი, ჭინახული...

ვ: მოა (ოვა კომპლექსია გამარტივებული), დატირთული, კიდე (კიდევ)...

ლ: აქტა, კტე: საპანე, ხომე (ხოლმე), წიხს, სახს...

ნ: სიმიდი, ამიდი, მიდორი...

ბ: უნოფს...

გ: მარა || მარამა, რავარი (დისიმილაციით რავალი, შეკვეციოთ რავა).

ც: დისიპლინა, მაინ...

წ: მაზლისული, ძმისული...

რგ იკარგება სიტყვაში „კარგი“ და იხმარება კაი (|| კარქი), მაგრამ არ გვხვდება „კაათ“, რაც სისტემატურად არის გამოყენებული ზემო იმერეთის სხვა რაიონებში.

ასიმილაციისა და ბგერათდაკარგვის ნიადაგზეა მიღებული: შეტა (სიცილი შესტა), ჩთილი (ჩრდილი), ხოლო დისიმილაციისა და ბგერის დაკარგვის შედეგია თანი თან.

შეიმჩნევა ხმოვნის დაკარგვაც. ა: სით არის... ი: გაჩეჩლაძე აისი...

ხმოვნის დაკარგვასა და გაუმარცვლოვნებასთან უნდა გვქონდეს საქმე ამ მაგალითებში: სადილი ხ'ვარ მოგინდა?.. ხ'ვარაფერი ახალი ამბავებია?.. დედის ბრალი ხ'ვარალი!.. ღვინო კ'არალი მოსახტენი, მარა მოვსტები (=მოვსხლტები), თ'ვარ დავლიე...

თვერ მუუსწარი, ისე ხვერ დაადეფ ხელს... ქ'არ გამართლთა ე
კაცი?! თ'ვარავინ გამევიოლე, რათი წამოვალ...

ასეთ შემთხვევაში ხმოვნის დაკარგვასა და გაუმარცვლოვნებას
საეციალურ ლიტერატურაში მახვილით ხსნიან. მახვილითვე უნდა
აიხსნას მთელი მარცვლის დაკარგვა: ნეტა მოხვიდოდე, გო... ამაზე
არ მიფიქრია, გო... მაცა ცოტა ხანი...

ზემოიშვულში სუსტად მოქმედებს რედუქციის კანონი, რაც
იქიდან ჩანს, რომ ბევრი სიტყვა, რომლებიც თანამედროვე სალიტე-
რატურო ქართულში შეუკუმშულია, შეუკუმშავად არის წარმოდგენი-
ლი: რალა მახსოვს ზღაპარის... ამან იცის ამბავის მოყოლა...
ვადენა ამ წყალისკენ... ფქვილს ჩოგანით იღებენ... შენ იცი
ახალი ამბავები... გაყიდეს ლინოი ჩვენმა წინაპარებმა...
ღეიწყევს მასხარაობას...

სვირში გავიგონეთ: მძღავარი (=მძღავრი) სახლი არ არი ესე...

სამაგიეროდ შეკუმშულია ფუძეები შემდეგი სიტყვებისა:

ქინკა დრით თუ ჩამევიდა, ორ კვირეს გაქინჭყტება და იწუ-
მეფს... ღვინოს ორშმით იღებენ... ჩემი ქმარი ჩამევიდა ჯრიდან
(=ჯარიდან)... ჩავა პირვლათ კაცი ქურში...

„ჯრიდან“ ზედა საქარაში და ფუთშიც იხმარება, ხოლო „ორ-
შმით“ — მეორე სვირში. საყურადღებო ის არის, რომ ამ უკანას-
კნელ სიტყვაში ფუძისეული იკარგება, ხოლო ობოლოკიდური იკ-
ვეება, რაც მოსალოდნელი არ იყო.

ბგერათდართვა. მეტწილად სონორი ბგერების დართვა შეინიშნება:

მ: მჯიში, ნამყოფი, სამყარაულო, მემცხვარე, ნამჭკრივალი, უმ-
ფრო, უმფროსი, სიმძვირე, გამოამცხადა, დამჯავრიანდა...

ნ: ხალიჩა, ბინბილო, ანცქვეტილი, გაოცნებული, შენგროვდა,
ნგლოვა, გეიღვინა, ანგრე...

რ: ფარქიზი, ფარქიზობენ, შემეხვერწა, სახვერწებელი...

სიტყვაში „ვიწუხრე“ რ ჩამატებული გვეგონება, რომ არ იყოს
„ვიმწუხრე“, სადაც საყრდენი ფუძე „მწუხრი“ ჩანს.

ვ: ბოძვი. პოვეტი, საცოდვაფი, გეეშინჯვა, მაშვინ...

ზ: გამბრავლდა, კამბეჩი...

ფ: ფსტვირი (ტაბაკინი)...

თ: ასთე (იხმარება აგრეთვე რე ნაწილაკდართული ასთრე).

ბგერათშენაცვლება. ერთმანეთს ენაცვლება უმთავრესად თან-
ხმოვნები:

ვ — ბ: თებზი, კობზი, საბარცხალი, ბარცხნა, პარასკები...

ბ — კ პილწი...

მ — ბ: ბრუნდი, ბზე, ბრავალი, ქალაბანი, ბეავე...

- ვ — მ: ნამთი, ხამსი, სამსე, დამსილი, დღემანდელი, დამამიწყტა...
 მ — ვ: აგრანოვი (|| აგრანოი)...
 მ — ნ: ნეფე, განგეობა, უნტროსი...
 რ — ლ: კელპი, ბელწი, ჩალხი, აპელაცია, გოგილდი...
 ნ — რ: რიადაგი...
 ნ — ლ: ლალმი...
 გ — ქ: კარქი, დაკარქული...
 ხ — რ: შირგილი, (შდრ. სძე — რძე)...
 ყ — კ: წყნარი...
 კ — ყ: მეყუთნება...
 დ — ტ: ბრიგატელი, დაინვალიტებული...
 თ — ტ: გაუღენტილი (ტაბაკინი)...
 ყ — ხ: ხანწი...
 ჭ — ჭ: გეისარჭეთ (ტაბაკინი)...
 ბ — გ: გუფეტი...
 ლ — ყ: თაყარი (ინდივ.)...
 ჩ — ც: შეამცნიეს (შდრ. ლუარსაბმა... არ შეიმცნივა...
 (ილია I, 350).

ბგერათა შენაცვლების შედეგად უნდა იყოს მიღებული: ხირხი-
 მალი, შავგვრიმალი, იმდონი, რამდონი..

ბგერათა შერწყმა გვაქვს: გვერძე, ამინუჩი (ამ მინუთში).

აფრიკატიზაციის ნიმუშებია: მესამძღვრე, პენცია, ყრონჭი, დამ-
 კვირტული... დეზაფრიკატიზაციისა: ასაწეველა (ასაწეველა).

ბგერათა კომპლექსების ცვლა გვაქვს:

ვე — ო: მიჩოული, ახოვდენ, არლოვდენ...

ვი — უ: წუმა. წუმს... წყურული...

ევ — ო: კილო...

ო — ვე: ქვებულეთი...

უ — ვი: ლოცვილობდა, დაფქვილი...

ო — ვა: მარტვა ნა ნაწილაკდართული: მარტვანა... თვარემ...

სწ — სტ: სტორი, სტავლოფს, უსტავლელი...

ბგერათა დაკარგვისა და შენაცვლების შედეგად ჩანს მიღებული.
 ს ა დ ღ ე ნ ძ ე ლ ო (ინმარება საინძელო-ც), პ ა ი ჯ ო ბ დ ა.

მორფოლოგია

ხმოვანფუძიან საკუთარ და საზოგადო სახელებს სახელობითი.
 ბრუნვის ნიშნად ხშირად ი მოეპოვებათ: გათენდა დილაი...
 კამილორმა იცის ადუღებაი... არ გამიგია ნინას მოსვლაი...
 მამიტანა მურაბაი... წველარიან სუყველაი... მევიდა ეპრა-

ს ი ა ი... მამას გავდა კ ა რ პ ო ნ ა ი... მე მიყვარს ს ი მ ა რ თ ლ ე ი...
დავარდნილი ვარ და, სიკვტილი რო იყოს გასაყიდელი, ვიყილდ,
რათ მინდა ამისანა ს ი ც ო ც ხ ლ ე ი... ამეიყვანეს ო რ ი ვ ე ი... 'შემინდ.
მ ო ს ე ი... არ მიყვარს ლ ე ი ნ ო ი... ხანდახან კარქია ლ ო ბ ი ო ი ც... მო-
ვა 'შ ა ლ ი კ ო ი... მოაწერს კ ა კ ო ი ხელს... ცინებდა გ უ ლ ო ი... დაწ-
რა რ უ ი...

ზოგიერთი ა ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი. ალბათ, სახელო-
ბითის ი სუფიქსის დართვის შედეგად რეგრესული ასიმილაციის ნია-
დაგზე ე დაბოლოებით გვევლინება: არ ჩამეივლის ტ ა ტ ი ა ნ ე ი
← ტ ა ტ ა ნ ა ი)... ტ ა ტ ი ა ნ ე ჩამეივლის დილას... არ იკადრებდა ბ ა ბ ი-
ლი ნ ე ი... სანამდი გეიგებდა ჩვენ ვინაობას, ბ ა ბ ი ლ ი ნ ე ი ჯავრში
იყო...

ე ხმოვანფუძიანი გამხდარა ზოგიერთი ზედსართავი სახელიც:
დი დ ა რ ე იყო ი ჩვენი მეზობელი... ყ უ ლ რ ე ცხოვრება მიყვარს...

მასიმილირებელი ი ფორმანტი ზოგჯერ დაკარგულია, ზოგჯერ
არა, როგორც დასახელებული მაგალითებიც მოწმობს.

ამ მოვლენას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ
აღნიშნულა, ფართო გავრცელება აქვს ქვემოიმერულში და ზემო-
გურულ-ლეჩხუმურ-რაჭულ დიალექტებში¹, ზემოიმერულში კი ეს
პროცესი ჩასახვის სტადიაშია.

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ შ ი მ თანხმოვნით გათავებულ ფუძეებთან ერთი
მ ისმის: ჩ ე მ ა გ ა ზ დ ი ლ მ ა გამახარა... მე მინდა ისეთი ირემი გააკეთო,
ირ ე მ ა ი თ ა მ ა შ ო ს და სალამურმა დოუკრას...

ზოგჯერ დაკარგულია მი ც ე მ ი თ ი ს ა და ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს
ს, თუმცა აქ ეს მოვლენა ზემო იმერეთის სხვა რაიონებთან შედარე-
ბით უფრო იშვიათად გვხვდება:

თვალეზზე იკიდეს ხ ე ლ... ქ ა ლ ვ ი თ ხ ო ვ... ტ ყ უ ი ლ ყ ო ბ ა...
წ რ ე უ ლ ვ ე ი ლ ე... პ ა ტ ა რ ა ზ ლ ა პ ა რ მოვეყობი... უყუტეთ პაწია
ხ ა ნ...

ძ ა ძ ი მეტი არაფელი არ იყო... ფული თუ გაქ, ფ ი ც ა რ ი მეტს
რას იშონი...

თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი კვეცილი სახელების ნ ა-
თ ე ს ა ო ბ ი თ შ ი დასმულ მომდევნო მსაზღვრელთან ემფატიკური
ა-ს ადგილი, როგორც წესი, ი-ს უჭირავს, ხმოვანფუძიან უკვეცელ სა-
ხელთა მსგავსად:

¹ ო . კ ა ხ ა ძ ე , ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვე-
მოიმერულში, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. VI, 1953, გვ. 184-192; ვ. თ ო ფ უ რ ი ა , გრამა-
ტიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბ.-კავკ.
ენათმ., ტ. VI, გვ. 448-451.

ოუჭერი აკილო ყ უ რ ძ ნ ი ს ი... მესამე ფეხი ბებრისი ღვი-
ნოა... ქე შეიყვანა ბოვში აქვესენტისი... ვინ მიცა ნება წაბლების
მოჭრისი...

ასეთ შემთხვევაში საზღვრული და მსაზღვრელი უპირატესად გა-
თიშულია: ზეიდან ჩამოტანა უნდა მიწისი... ნახშირის უთო უფრო
აუთოფეს თუ დენისი... ფასონი აღარ ყოფილა წერილი შარვლი-
სი... ახლაც ისე ხათრი აქ მამისი ც და დედისი ც... ნათლია არი
ჩენი ოთარისი... კვირეს ქორწილი იყო ბუღუას დისი... საჩე-
რობელი ხე აქ თუთისი... დევი ეკითხება: ხორცის კაცი ხარ თუ
ძვლისიო? მამეცი ხორცი აქეთაო. მერე ეტყვის ის: დოქის კა-
ცი ხარ თუ ხანწისიო? — დოქისიო. მიცემს დოქს, ეტყვის
მერე: ბოსლის კაცი ხარ თუ ლოგინისიო?..

• გვხვდება განმარტოებულ მსაზღვრელთანაც:

რამდონი გვეწერება? — ორი თვისი... რისია ესი? — კვახისი...

ა-ს ადგილას • გამოვლინდება მოქმედებითშიც: სიმიდი ჩა-
მეიტანე ზურგითი... თავისი კკუითი წაყვა ბიქს... ვერ ვხედავ
თვალითი... მოვკვდი ღარმე სიცილითი... ამეიტანა ჩალა ხა-
რებითი... დევილალე შრომითი... ჭადს დავსულავ თითითი...
ბევრი კურნალობითი აგრე დაფორჯალოფს... სიმიდი ჩამო-
ქონდათ გოდრითი... ნეტა რას ქრის ნაჯახითი... გაბიდნილია
მაშინის ნახვრეტები ნიგეზითი... ისწავლა თავის გუნებითი...
თვალეში მაქ გაფუჭებული კერვითი... ჩვენ მაინც ჩენი ენითი
ვაგებივბდით... გადავთარგმნე ჩემითი...

ჯოხს მევიტან, ჩოურევე მითი...

მეტად იშვიათად ასეთ შემთხვევებში აქა-იქ თუ შევხვდებით ემ-
ფატიკურ ა-ს: ჩვენ ქე მევილალეთ მუშაობითა...

ნათესაობითსა და მოქმედებითში გამოვლენილი •, რომელიც გან-
საკუთრებით ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებისთვისაა ნიშან-
დობლივი, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვისებათა მიხედვით ემ-
ფატიკური ა-ს ბაღალი უნდა იყოს, როგორც ეს აღნიშნული აქვს
არნ. ჩიქობავას ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებე-
ველ სახელთა სათანადო ბრუნვებში ა-ს ადგილას გამოვლენილი •-ს
შესახებ¹.

- • გვხვდება - გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლო-
საც:

რო ჩამევედი ნინადანი, ვიყიდე... გვაქ ხაბი და თაღრიდან •
ვიღეფთ ტკილს ჩაფში... წამევიდა საზანოდანი... კომისიაა ჩა-

¹ არნ. ჩიქობავა. სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში, თსუ შრო-
მები, XXI, 1942, გვ. 71-95.

მოსული თ ფ ი ლ ი ს ი დ ა ნ ი... წვიმა მოდის თ ი დ ა ნ ი, მარა რა-
ნვირი...

გამევიყვანდით ა ქ ე დ ა ნ ი... ვეიპარა მ ა ი დ ა ნ ი... წამევიდეს
ი ქ ი დ ა ნ ი...

საჩხერის რაიონში და კიათურისა და ორჯონიკიძის რაიონების ზო-
გიერთ სოფელში ასეთ შემთხვევაში ა ი ს მ ა რ ე ბ ა, რომლის ბადალიც
ჩანს ეს ო.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი როგორც ყველგან. აქაც თ ა ლ ე ქ მ ე ბ ა.
- იან სუფიქსიანი ვითარებითიც უნიშნო გვხვდება: წვირეკა ი ბოვში
ხარ-უ რ მ ი ა ნ ა... მევიდა ფ უ ლ ი ა ნ ა... შოფერი დატოვა თავისი
მ ა ნ ქ ა ნ ი ა ნ ა... ჩამევიდა ც ო ლ - შ ვ ი ლ ი ა ნ ა...

წ ო დ ე ბ ი თ შ ი, როცა 'საკუთარი სახელი თანხმონით ბოლოვ-
დება, ზემო იმერეთის სხვა რაიონების მსგავსად, აქაც ო გვაქვს საზო-
გადო სახელთა ანალოგიით:

'შენ გემარჯვებოდა, ვ ა ს ი ლ ო... ასე იყო, ჩემო დ ი ლ ა მ ო... 'შენ
ხე'არ გაგიგია, რ ა ფ ი ე ლ ო... აქ მეიტანე, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ო... ტ რ ი-
ფ ო ნ ო, ეპრაქსიამ გადაქცა ხატზე... ს ე ვ ა რ ი ო ნ ო, სა ხარ 'შენე'?..
რავა ნელა მოდიხარ, ს ი ლ ი ფ ო ნ ო...

სახელობითის ი ზოგჯერ ფუძისეულადაა გაგებული და ამიტომ
წოდებითშიაც არის გადაყოლილი: მე 'შენთვის არ მიკითხავს, ლ ო-
ბ ე რ ტ ი... რ ე ვ ა ზ ი, მართლა გეუშებები...

ასეთი მეტაანალიზის პროცესი სხვაგანაც შეიმჩნევა:

ნ ე ს ტ ო რ ი ს რო ცხვარი ყავდა 'შენახული, კაი რამე იყო (ზოგ-
რეთი)...

მრავლობითი რიცხვი. - ებ სუფიქსიანი მრავლობითია გაბატონე-
ბული. ნარ-თანთან მრავლობითს ცოცხალ მეტყველებაში ვერ ვხვდებ-
ით, ზღაპრების ბოყოლისას თუ გავიგონებთ მხოლოდ მეორე მრავ-
ლობითის ფორმებს. აქა-იქ ზღაპრების ტექსტში მრავლობითის -ებ
სუფიქსის წინ გვხვდება ფუძის დეტერმინანტიც: არიან ო ც ი დ ა ნ ე-
ბ ი... დეინახეს ო ც ი მ მ ა ნ ე ბ ი...

თანობლობიანი სახელები. ღმრავანფუძიან სახელთა მი/ემიწოში
- თან თანდებულის დართვისას ზოგჯერ დაკარგულია თანდებულისე-
ული თ: ა ნ ე ტ ა ს ა ნ მივალ... მივიდა ბ ი ძ ი ა ს ა ნ... არჩილა ჩ უ ბ ი-
ნ ი ძ ე ს ა ნ მივიდენ...

ჩვენებით ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში დაირთვის თან-
დებული თანა, რომლის წინაკიდური თ ს-ს მეზობლობაში დაკარ-
გულია: ა მ ი ს ა ნ ა დღვლაფში. ა მ ი ს ა ნ ა ტალახში სა გინდა მეიყ-
ვანო ხალხი... ელენა არ იყო მ ი ს ა ნ ა ქალი, რო სიგლახი გიეკეთე-

ბია... მაზლი მყავდა მისანა, ქვეყანა შენატროდა... იმისანა დეინო იყო, ნაგვალულები იქნებოდა...

- თან თანდებულნი მიცემითს მნიშვნელობით ნასმარია ასეთი ფორმებიც: თქვენსა მე აღარ მოვალ...

- ში თანდებული შიდა-ს სახითაც ხშირად გამოიყენება, ვანსაკუთრებით სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ:

სამოვარი შევაგდე მაშინაშიდაო... ბებიაა სახშიდაო... არ წავალ კლაშიდაო... ქალს მევიყვან ვენახშიდაო... ატმები გექნება კალათშიდაო... ხალხი გამოგზანე ამ წუთშიდაო...

- ზე თანდებულიც ზედა-ს სახით ო ნაწილაკიან სახელთა მიცემითში გამოვლინდება: ნიძლევი ჩამოვარდა: ვინ შეჭდება მავ ცხენზედაო... ვიყავი კრებაზედაო...

„შემდეგ“ ზმნიზედის ფუნქციით მიცემით ბრუნვას დაერთვის უკან || უკანი, ოღმა || უღმა: მას უკან მემალება... ეს მას უკან გავაკეთეთ... მას უკანი დიდი დრო გვეიდა... მას ოღმა მევიდა იგი... მას ოღმარ ყოფილა... 1901 წელში წვევი ჯარში, ბატონო ექიმო, მას უღმარამლონი წელიწადია... ერთათ ვართ ჩვენ მას უღმა, რაბრო სახში მევედით...

- თვის თანდებულის ვარიანტია - თვინ:

საწყალი საელიაი: ორი ურემი შეშისთვინ მეიკლა თავი... ზღაპარი მოკლილი აღამიანისთვინ იყო... არავისთვინ მითქვია... შენთვინ მიჩუქნია... ჩემთვინ საბუთია...

- თვის თანდებულნი ნათესაობითის ფუნქციით ნახმარია ნანათესაობითარი ვითარებითიც: ბატუაზა ვიტანდი ამღონ გავკირვებას... ხალხიზა კარქია ესი...

- მდის თანდებულის ვარიანტია - მდი და ასე გვხვდება ჩვეულებრივ. გამოიყენება აგრეთვე -მდინ (ა): შუადღემდი იძინეთს... საღამომდინ იყურა... ამას ურიე აღუღებამდინა...

- მდე თანდებული ზმნიზედსთანაც შეგვხვდა: მადნამდე თუ მივიდა (I სერიი=მანდამდე).

- გამო თანდებული გამოიე-ს სახითაც გვხვდება: ვენახს 5-ჯელრ-ჯელ ვაქიმოფთ წუმების გამოიე...

- გარდა კი იხმარება ასეც: გარდაია: მონასტრის გარდაია ეკლესიაც ააშენეს ბარში...

- გან თანდებულნი მოქმედებითის შუალედური ფორმებიც გვხვდება: იმათიდგან (=იმათგან) გადმოსულია ისი...

ნაცვალსახელები. როგორც ყველგან, ზემო იმერეთში, აქაც პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები იხმარება შენე, ჩვენე, თქვენე-ს სახით:

ზღაპარს მოყვები შენეც... შენე საკაცოც უნდა გააკეთო და საქალოც... ჯერ ინლოურის ხორცს ვერ ვჭამთ ჩვენე... არ გავგზანეთ ის ჩვენე... რას გვირჩევთ, ბატონო ექიმო, თქვენე?...

ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის სახელობითში სრული სახით იხმარება:

ტირის ესე... ბელელში არი ესე... მივიდა და უნდა დაწვას ესე... ესე გოგამ მამიტანა... კაი იყო ისი, ეგე უმფრო ნაკლები ყო... აქამდინ გეთქვა ჩემთვის ეგე... ეგე ზამთარში ვერ ვიგუე... ღვინოს სვამს ეგე?... რამდენი თვალია ისი?... გამოვცვალეთ ისი... რა იყო აბა ისი? გაგათავეთსყე ისი...

გვხვდება კონტამინაციური წარმოების შედეგად ეს-ც: წმინდა წყალია ესი? თურმე ესი ავანტყოფი ყოფილა...

შესაძლებელია ესი-ს წარმოქმნის გზა ამგვარად წარმოვიდგინოთ: დასანგრევი, დედა, ესი... იქით წინაზე შეწუხებული იყო ესი... ესი გახურდება...

ჩვენებითობის ე ხმოვანი გვხვდება მოთხრობითშიც და ირიბ ბრუნვებშიც: ე მან დამლუპა მე... ქე ჰამა ყურძენი გუშინ ე მან... გამოუშვა ე მანა (ასეთი ფორმები იშვიათია)... მე უთხარი ე მას, ავტოში შევიდეთ-მეთქი... რა ვაქამოთ ე მას?... შეხვთა ე მასაც წა... ვლაი... ე მის ნათლულია ჩემი ბიჭი... ე მათ ხელშია მისი საქმე...

ამგვარად ნაწარმოები სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ამოსავალია კუთვნილებითი ნაცვალსახელებისთვისაც: ე მისი ქმარი სალდათი იყო... მე ხო ვიცი ე მათი ხასიათი...

მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენებითი ნაცვალსახელების თავიკიდური ხმოვანი გვხვდება მხოლოდ მეტწილ შემთხვევებში:

შენი იყოს ესიმიდი... ე ვაკეში ვენახი ნაკლები იყო... ვვიდა წვეროში ე ქვიანი... ე ბოვში დემელუპება... ე დევი შეჭამს საქმელს... გაასხლევი ე ვენახი... ი კაცი გონიყე ისე... ი ჩემი კობზები მომიტანოს...

ეს ნაცვალსახელები თანხოვანმოუკვეცილიც იხმარება ირიბ ბრუნვებში და თანხოვანმოკვეცილიც: აქედან რო გახვალ, ე მ ტყეს მიადგები. ე მ ქალმა მიშველა... მა საქმეს მე გავაკეთეფ...

ეს ნაცვალსახელები ზოგჯერ ზმნიზედებთანაც გვხვდება: ე მ ზეით არ ვარგიყო...

საზოგადო სახელების ანალოგიით მრავლობითი რიცხვის - თ სუფიქსს ნოთხრობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანიც დაერთვის:

ამათმა შემიფასა... იპურმარილეს ე მათმა... მაგათმა მოთხრეს... მერე ნახოს ი მათმა... პამილორი იყიდეს ი მათმა... ი მათმა თავისი ამეირჩიეს...

გვხვდება ქვემოიმერულის დამახასიათებელი წარმოება: მაგენი ვისი შვილები არიან? მაგენი ორივე ჩხიკინაა... რატო არ გამეორკვიეს მაგენმა... მაგენმა თვითონ უნდა მეიგონ...

ამგვარი წარმოებისათვის ამოსავალია მხოლოდობითი ფუძე მაგე, რაც ზემოიმერულში ქვემოიმერულის ნორმაა: თქვენ ხელში იყო მაგე... მაგე დეიმალა... ამ კაცმა ქე გამოზარდა მაგე... ჯანდაბას მაგე... მაგე წვეიდოს ქორწილში... რა საქონლის ბრალია მაგე?! რა არი, იასონო, მაგე?..

ამ შემთხვევაში ან ი სუფიქსის დართვით გამოწვეული ასიმილაცია უნდა გექონდეს მაგა ფუძეზე, ან დისიმილაცია, ვერც ეგე და მაგა ფორმათა ნიადაგზე წარმოქმნილ კონტამინაციურ წარმოებას გამოვრიცხავთ.

ხმოვანმოკვეცილ მაგა-ს ი დართვია და ქვემოიმერულისვე დამახასიათებელი მაგე-ც გვხვდება: რათ გინდა სალაში, თუ მაგი არ იცო, რო სხვისი გლახა არ უნდა გაგებარდოს... მაგი არ გამოგადგება შენე...

განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ძველი, მე ნაწილაკმეუხორცებელი წარმოებაც გვხვდება და ნარევიც: გოუგონია ე-ს-მე... მე ურიგდები ვისმე?.. თუ აკეთებდი რასმე... წინ გოუშობდი ვისმეს?..

მოხშირებულად იხმარება პროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვინცხა, რაცხა (|| ვინცახა || რაცახა):

შაქარია თუ რაცახა, ეს გვაბორჩაღეფს... ნეტა იმ ქალს, რაცხა ქალს ქმარი შეაბერდება... რაცხა იქნება შესაკითხავი... რიცხას-თვინ გინდა, ვიცი... ვინცხა წასულა... ვინცხა-ვინცხას უთქვია...

რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვინძადა, რაძადა დასახელებულ სოფლებში არ გავვიგონია, სამაგიეროდ დამახასიათებელია კონტამინაციური წარმოების შედეგად ვინძახა, რაძახა: ვინძახა მევიდა... ვინძახა ლაპარიკოფს ამას... ვინძახამ წაართვა... ვინძახამ უთხრა ჩემ რძალს... რა ვიცი, რომელი ძახა იყო... რაძახა იყო ვენახში... რაძახა ზვინი დოუდგია...

ცა-ლა ნაწილაკთა დართვისას ასეთი წარმოება სხვა შემთხვევებშიც გვხვდება: დამაწვინა საცახა ბიკოლამ... საცხა ერთი ბლარი შოკვტა... როცხა მინდა, მაშინ ავდგები... ამას დაეაქანეფ რაცხანეირათ...

რავარძახა მეიხადოს სარჯელი...

გვხვდება სალიტერატურო ქართულისებური წარმოება: ვილა ცა. რაღაცა: ვილა ცა იქნება მოსული... რაღაცა გვეიგონე...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „თვითონ“ ვ თანხმოვანჩავარდნი-

ლი გვხვდება მეტწილად ან მისი ვარიანტია „თითვან“: თითონ ეთხრობია... მამიყვა თითვან...

სალიტერატურო ქართულის „ყველაფერი“ „ყოლიფერის“ ან „ყველიფერის“ სახით იხმარება: ყოლიფერი გავაკეთე... ყოლიფერი გაწაფილი იყო მუშისთვის... შენი ნახვა ყოლიფერს ჯობდა... კარქია ყოლიფრამდი...

ეს ნაცვალსახელი გვხვდება ამგვარადაც: ყორაფლის არქონობა ილო...

ყველიფერი იცოდა... სუყველიფერი მოსპო... უფრო ხშირად იხმარება „სუყოლიფერი“: სუყოლიფერი მიითვისა დედამთილისი... სუყოლიფერი შენ სახში უნდა ქქონდეს...

მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი ხშირად პოსტპოზიციური წყობისაა: დედაემისს ოთხი წელიწადი უვლიდა... ეთხრობია მამაემისს...

სახელთა წარმოქმნა. საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის ფართოდ გამოიყენება ა სუფიქსი, იხმარება -ია-ც: ვარლამა გამევიდა აქა... შეიძლება ლევანა ყავდა გაგზანილი იქა... მე და ოთარაი წავალთ... სიმონა, ანგრე ტყვილა ყოფნა გინდა შენე?... ნარიშანამ ქათამი წეიყვანა გასაყიდლათ... ქე თქვა ბეგლარამ... ჭუმბერა უმფრო გიყვარდა თუ ჭუმბერას შეილი?... ევგენას ორი ბიჭი ყავდა...

დაბევრა სევასტიაი... უშანგია, საარი გოდორი?... კარპეზიას ახლა ჩოუყარდა ენა პირში... თენგიას აქ, თენგიას... როგორც აკაკიამ გადიხადა, ისე გადაეიხთიდი, რო არ დეეჩინაყე...

ა ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობითის ისუფიქსის დართვის შედეგად, როგორც ამ ნაშრომის ფონეტიკურ ნაწილში აღვნიშნეთ, რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე ვლებულობთ:

ბაბილინე ჩვენ გვიცქერდა... გალინეა უმფროსი შეილი... ტატიანემ იცის ზღაპრები...

ო ხმოვანი საკუთარ სახელებზე კნინობითის ა სუფიქსის დართვის შედეგადაა მიღებული: კატუამ დამიძახა... ეკაკუა ლაპარიკოფს... შალუას დაკრა იმისანა, რო თავი გოურღვია...

-ება სუფიქსის ადგილას ხშირად გამოიყენება -ობა: ბედნიერობა არ მოგიშალოს ღმერთმა... მეხსიერობა აღარ აქ... წესიერობა იყო... თქმულობაა ეგე... დიდი ცვლილობა მოხდა... შვეებულობა ეილო... შეხედულობა შეიცვალა...

გათხვეილი ქალის მშობლიური გვარის გამოსახატავად იხმარება -ურ სუფიქსი, რომელიც „ქე“ და „შვილ“-ჩამოცილებულ გვარებს დეერთვის და ფუძისეული ხმოვნის ასიმილაციას იწვევს:

კაპანოური გაკანასტა (კაპანაძის ქალი)... პირველოური წაყოლია (პირველაშვილი)... თუთბეროული (ურ დისიმილაციის ულ-ს იძლევა) ხლებია... სამხაროული არი აქა... შენთავოური ხარ (თავაძის ქალი)... იქა დუგლოური (დუგლაძის ქალი)...

დედაჩემზე იტყოდენ კახელოური არით (კახელი)... ვარდოული (ვარდოსანიძე) იყო... ყანჩოური (ყანჩაველი) გახლავთ...

-ომა სუფიქსის ადგილას სი—ე არის ნახმარი ჩემ სინაბსოერეში აქეჟონდა იქა ღვინო... სინაბსალგაზრდავეში არ მომნატრებია ღვინო... სიქალიშვილეში ღვინის წვეთს არ დავლევდი... ემას სიბოგშით უყვარს ღვინო...

სიხუცის (მოხუცებულობის) ბრალი... სიხუცეში წვედი...

-ება სუფიქსის ზოგჯერ სი—ე ცვლის: სიმძულვარეს არ გამოსახებს ღვინო...

ნა — ეც სუფიქსის ნაცვლად გვხვდება ნა — არ: ნაღვინარი არ იყოს ეგე... ნანადირალი რო არი, მაგრათ არი დაძინებული... ახალი ნასადილარი ვიყავი...

ზე — ე სუფიქსებითაა ნაწარმოები: თურმე ეს კაკა მებეღის წრე...

„ვახშამ“ ეუძეა ამოსავალი: ნავახშირეფს დევიბანდი პირს...

შედარებისათვის ნახმარია სიტყვა „სამაგი“: ერთი დოქის სამაგი (ე. ი. სამი დოქი) ღვინო დალია...

სალიტერატურო ქართულის კომპოზიტი „ათასწალად“ აქ ამგვარადაა ნაწარმოები: ათისწილათ ჯობია ქალაქი...

ზ მ ნ ა

ხშირ შემთხვევაში აქაც მო- ზმნისწინი მა-ს სახეს იღებს, როცა მას მ თანხმოვანი მოსდევს: მ თუმანი მამცეს შიდა... მამვლედი უნდა ქყავდეს...

შე- ზმნისწინი შა-ს სახით გვევლინება. როცა რთული შემო- ზმნისწინის კომპონენტია: შამეიკრენ აქით... ვანცხადება აქ შამოტანილი მიწის მოცვლის შესახებ...

უ ხმოვნის წინ, ჩვეულებრივ, დაკარგულია პირველი პირის სუბიექტის ნიშანი:

მითხრეს და უჩივლე, მარა ვერ მევიგე... ჩურჩელას უძახით. წაბლი რომ მოვა თაში და ააცმენ... ჩვენ ოხრაბუნს მაკილონელს უძახით...

მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის ნიშნის ხმარებისას გარკვეული წესი უკვე აღარ არის დაცული. ნიშანი გვხვდება იქ, სადაც მისი საჭიროება არ არის, ხოლო არ ჩანს იქ, სადაც უნდა იყოს:

აღარ მიცა აღარაფელი... მოტაცა გოგოი და გეიპარა... მაგრამ:
ჯვარი გესწეროს... დამსწერეს ჯვარი... ვისწერდი პი-
ჯვარს... დასწყვიტა ქათმები...

უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედების შედეგად -ან სუფიქსის
ადგილას მოხშირებულად იხმარება -ენ ი ხმოვნით გათავიებულ ზმნათ:
აწმყო-მყოფადში, იმ სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც, რომელთაც ფუძე
ი ხმოვნით არ უთავდებათ, და ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირ-
ველშიც:

ესენი გულნაწყენათ არიენ... ეგერ მოდიენ... აქ იციენ გა-
დაყირყაება (გაჭირვეულება) ღვინოში... სათესლე ლობიოს ღუსტს
არ აყრიენ... ჭრიენ ეკალს სახარდნეთ... წაქლიენ ტყეში,
გაძო უვლიენ მის დას ელზას და ეტყვიენ: გამოდი გარეთათ...
ჯდიენ და აღარ მივლიენ... გაყიდიენ ღვინოს და მერე
აღარ აქყენ...

ეკაციბი ფეხზე დგალენ... მედიკო და ჩეთო დგარენ... ახლა
ისიბი ქე წეგრიენ... თამარა და ცილა ერთმანეთს გავრენ... კაციბი
დგალენ ვინახში...

უხეად გიხედება პარალელური ფორმები: დგარან || დგალან
|| დგარენ || დგალენ... გავრენ || გავლენ || გავრან
|| გავლან... წეგრან || წეგრენ...

შინიშვნა: სპირიალურ ლიტერატურაში ამ ზმნებში (დგა-
ნან, წვანან) გამოვლენილ რ-ს დისიმილაციის ნიადაგზე. წარმოქ-
მნილად მიიჩნევენ. ეგვეე შეიძლება ითქვას ლ-ს შესახებაც, რაც
ზემო იმარეთის სხვა რაიონებში არ შეგვხვედრია. მრავლობითი-
დან რ მხოლობითშიც ჩანს გადმოსული. ზედა საქარაში გავიგო-
ნეთ: ეს რო დგარს, ამას ქვია ღერძა... ფეხზე დგარს...

ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირველში: სტუმრები ჩემი წა-
სულენ... ბოვში და ჩალი გაცოცხლებულენ... ქურდები
ყოფილენ... მაგნის ძილი გიგაურები ყოფილენ... დამთ-
არალენ ე ბიჭები... ჩემი მეზობლები გამდიდრებულენ... ღვი-
ნოში ჩამხჩილენ... მანქანაში ხაოხი ყოფილა და დამოუბუ-
ლენ... ავარიაში მამკვტარენ... ჩიონი ძველები გადმოსახ-
ლებულენ ალავერდიდან... ბოგირი ჩატეხიათ და წყალში ჩაქარ-
დნილენ...

სიირს გაროა ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა სოფელში შეგვხვდა
ამგვარი ფორმები.

საერთოდ. ზემოთმართული სათაის ნიშანდობლივია ყველა გრამატი-
კული კარტიკონის ხმარებისას პარალელური ეარიანტიბი. დასახე-
ლებულ შემთხვევებშიაც -ან და -ენ სუფიქსები ერთმანეთის გვერდით

იხმარება. ამ სოფლებში თურმეობით პირველში ერთპირიან ზმნათა უღლებისას საგრძნობია ქვემოიმერულის გავლენით აღწერილი ფორმებიც, რომლებიც ხელშესახებად შეიმჩნევა სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც. მხედველობაში გვაქვს:

სტუმრები წე ვ ლ ა რ ი ა ნ... აქ წე ვ ლ ა რ ი ე ნ... ბევრი დ გ ა ლ ა რ ი ე ნ... ქათმები ჩა ლ ა რ ი ე ნ... მო დ ი ლ ა რ ი ე ნ...

ქეც გა ს უ ლ ა რ ი ე ნ თფილისს იქით და წამეიყვანეს ზესტაფონში... ესენი მი ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ა რ ი ე ნ და მოსულენ... ჯერ ესენი არ ას უ ლ ა რ ი ე ნ...

ჯღილარიენ (ტაბაკინი) || ჭილარიენ (სვირი), გავლარიენ, წველარიენ და მსგავსი ფორმები თითქმის ყველა სოფელში შეგვხვდა, მაგრამ ამ სოფლების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად მათი ხმარების არე ხან ვიწროა, ხან ფართო. თუ, მაგალითად, ფუთში აქა-იქ გვხვდება მსგავსი ფორმები, სვირში, რომელიც ქვემო იმერეთს ემიჯნება, მათი ხმარება უკვე ნორმას წარმოადგენს.

სალიტერატურო ქართულის -ნენ სუფიქსის ადგილას უგამონაკლისოდ -ენ იხმარება: მკიღენ, სხლავდენ, მოდიოდენ, დეიმაღენ...

გარდამავალი ზმნების წყვეტილშიც სუბიექტის მესამე პირის მრავლობით რიცხვში -ეს სუფიქსის გვერდით არც თუ იშვიათად -ენ სუფიქსიც გვხვდება:

ბაზში ახ ს ნ ე ნ ტირთვი ქარაენფეს და და ა ბ ე ნ... და ა დ ვ ე ნ ხელი და მივიღენ მოხუცებულთან...

თემის ნიშნების ხმარება ასეთ სურათს გვიჩვენებს:

ა) აწმყო-მყოფადის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის სამსავე პირში -ავ სუფიქსი იხმარება უპირატესად, მაგრამ ვხვდებით -ამ სუფიქსსაც: გ ა ვ რ ე ც ხ ა მ, დ ა ვ კ ლ ა მ, შ ე ვ ე კ ე რ ა მ. ხ ე დ ა მ ს. დ ა გ ვ დ უ პ ა მ ს...

-ავ სუფიქსი გვხვდება ზოგჯერ -ამ სუფიქსის ადგილას: კარქათ. ი ც ვ ა ვ ს... ვ დ გ ა ვ თ ზეინფეს... შ ე ს ვ ა ვ ე ნ ღვინოს (ფუთი)...

ბ) -ებ და -ობ სუფიქსები ჩვეულებრივ ბოლოკიდური მქდერის დაყრუებით წარმოგვიდგება: ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ე ფ, გ ა დ ე ი ა შ ი დ ე ფ ს, ა კ ე თ ე ფ ს. ტ რ ი ა ლ ო ფ ს, პ რ უ ტ უ ნ ო ფ ს, მ უ შ ა ო ო ფ ს...

-ებ სუფიქსის ადგილას გავიგონეთ -ემ ქვედა საქარაში. მთქმელს სხვაგან არსად უცხოვრია. საშუალო დამთავრებული კქონდა და სადაც -ებ იყო მოსალოდნელი. ან -ობ-ს ხმარობდა ან -ემ-ობ-ს:

შ ე გ ა ვ ა კ ე თ ე მ ა მ ა ს... ა კ ე თ ე მ დ ა... მ უ შ ა ო მ ს...

გ) სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსიანი აწმყო ადგილას ვხვდებით უსუფიქსო აწმყოსაც: ახლა ყველა ზ ო მ ს, ბოვშიც, თავა-

რიც... მაგარი ბოვშია ციურის და, ვერ გო უბედენ გლახათ სიტყვას... ახლა ქალებიც ფქვენ, თესენ...

სამაგიეროდ -ავ სუფიქსი გვხვდება უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც: წერავს რაცხას... მაგას ახლა დეიწერავენ... ამას ახლა კრიფავენ...

ამ შემთხვევაში -ამ სუფიქსიც გვხვდება: მე ვერ ვწერამ... გლიჯამენ ბალახს...

ერთი ზესტაფონელი მთქმელი, საშუალო განათლებით, -ავ სუფიქსის ადგილას ხმარობდა ზოგჯერ -ებ (ილ ეფ) სუფიქსსაც: მოგახურეთ ხალათს...

მესამე პირის მრავლობით რიცხეში, აწმყოში, -ევ სუფიქსს -ავ სუფიქსის ნაცვლად დასახელებულ სოფელთა მეტყველებაში ვერ შევხვდებით. ტაბაკინში გავიგონეთ: ჩალას ქუბევენ...

უწყვეტელში კი მოხუცთა მეტყველებაში თითქმის ყველა სოფელში შეინიშნება -ავ, -ამ სუფიქსების გვერდით -ევ, -ემ:

ქეც ვბარე ვდი და კვლებსაც ვაკეთებდი... ვართემ დი... ღვინოს კარ ვწიკე ვდი ხომე... იმას ვერ ნავხე ვდი... დავქვე ვდა, აპა რას იზემ და... დავნეკემ დით, მოვხარდნემ დით ვენახს... ქეც დაბარემ დენ მიწას და ქეც დათესემ და ამ ლობიოს...

- წიწილი რო შეწვი, ვუსვემ დი ქონს... ღვინოს ვასხემ დი კურში... საქონელს აბემ და...

ჩვეულებრივ, ამ სოფლებში -ავ, -ამ სუფიქსებიანი უწყვეტელია გამოყენებული...

-ავ სუფიქსიანი ზმნები უსუფიქსოდაც გვხვდება უწყვეტელში:

ჩამევიდოდა და მოულოცთი... ჩემთვის კარ ვინახთი...

რა ამო ბოქ და ამას... ხვეტ და სკოლაში... თვარ მოზომ დი ი ჩუბინიქი, ვერ მოზომ დი შენე, ახლა ყველა ზომს...

დენინახთით ძველ ეკლესიას... ვევიდოდენ, ნახთენ და იყო პური ჩაფენილი... ღვინოს მოწურ დენ... მო ბოქ დენ ფულს... სარცხლით გაერეცხთით, საზედაო სარცხლით ვრეცხთით... დავთესთით სახვნელით... ერმანოზას მოუზომ დენ გზას...

-ევ სუფიქსი დასტურდება -ე-თი ნაწარმოები ზმნების წყვეტილის პირველსა და მეორე პირში: თუ დავრგე ვით ხვალე, კაი შენ... ის ეკალი ხელოვნურათ დარგე ვით... მომკე ვი ჩალა...

აქაც გვხვდება ფულეგაფართოებული ზმნები:

* გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა ენეზისისათვის ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში. საქ. მეცნ. აკ. მოამბე, ტ. VI, № 18, 1945, გვ. 647—698.

ჯერ ეს უნდა მეცილიოს... მეცილია პავლეი... მეიშორია იგოგო... რო შეიპირია, ორჯელ ავიდა მას უკან... აწი ხარს აღარ ვიყოლიეფ...

ეს ი, პროფ. ა. შანიძის აზრით, მიღებული უნდა იყოს -ივ სუფიქსისაგან, რომელიც სათავეისო ფორმებს ერთვის¹.

კავშირებით მეორეში აქაც ო გვხვდება ე-ს ადგილას:

რანდენი ფული უნდა მიცონ, რო ეყოს... ცოლ-ქმარი ერთმანეთს არ უნდა დაშორდონ... უნდა შეწყუხთონ რაცხაზე... სახლი რო გავყილო, მე სალა წევილო... მეშინია, ბოვშები რო აღარ დამიბრუნდონ...

· ე-ს ნაცვლად ო კავშირებით პირველშიც იხმარება:

რო ისწავლიდონ, რა მიჭირს... ნეტა მეიტანებდონ... რო მსახურობდონ, კაი შენე...

თურმეობით პირველში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს -ია დაბოლოებაც აქვთ: ექთნებისთვინაც უკითხია... ყოლიფერი უთქვია... ბაჭუას დოურტყია...

„უთქვამს“ ზმნის მნიშვნელობით არის ნახმარი „უთხრობია“: მერე ამას უთხრობია. ამისიც იყო ესეო...

ასეთი დაბოლოება სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც გვხვდება: კაი სახლი უდგია...

-ია დაბოლოება თურმეობით მეორეშიც ჩნდება თურმეობითი პირველის ანალოგიით: უნდა მეუთქვია მე... ეთქვია, მე შაღში არა უარაო...

-ოდ სუფიქსის ადგილას თურმეობით მეორეში ეხვდება მეშველ ზმნას და აღწერითი წარმოება გვაქვს:

შეიქნა ქარიშხალი, ტყეში გაჩერება არ შეიძლება იყო... არც ერთი არ ვარგა იყო... უნდა მოყოლიყო... მოყოლილიყო ის სასიკეთილე...

-ოდ სუფიქსიანი თურმეობითი მეორის ადგილას ნახმარია ე-პრეფიქსიანი: ლოგინი მაინც უნდა ექონებია სუფთათ (ტაბაკინი).

· თურმეობითი პირველის ნაპრეფიქსიანი წარმოებაც შეგვხვდა ტაბაკინში, ზოვრეთსა და ფუთში: მინავალა სახში... მინავალა ხემწიფი შვილი...

სვირში მოხუცებმა თქვეს: „მინავალა“ რა არი, კაცო. ჩვენ არ ვიცით ეგეო-

ქეემომიერულში გვხვდება „ნაცხოვრება“, ჩვეულებრივ, აქ კი -- „ცხოვრებულა“: ჩვენი ძველები ცხოვრებულა საჯაოხოში... აქეთ ცხოვრებულა ნატაშა...

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 218.

გავიგონეთ აგრეთვე „ჯობნებულა“: რომელი ჯობნებულა...

შუალობითი კონტაქტის -ინ, -ევის ნ თანხმოვანჩამოცილებული
ახმარება: და აწერიეთ იმას... გააშლევით ლოგინი...

თავისებურებანი. აქაც ხტება ზმნას ვნებითში გამოყენებულ
აქვს -ენ სუფიქსზე დართული -დ ბოლოსართი:

გზაზე ადგილარიენ და ჩამოვხტენდი მატარებლიდან...

მონაცვლობა გვაქვს გვარების მიხედვით: ადამიანი არ ყუ-
როფს ამამბავს... ქეტაცულობდენ ღარმე... რასაც მოგებას შო-
ობენ, ნახევარი იმისია... სიცილს ვერ ვკაობდი... მარტვა ოთარი
ქყავს, ველმერთები თ... ეს არ შემფეროფს მე... პყრობ-
დენ იქოურობას... სოფელში თუ რასმე ნახამდენ, ქე პარულობ-
დენ... ძროხა კარქათ მქამელოფს? ხფოი სა არი? მაგასან იტ-
მელა?..

ვნებოთის ტიპია შეცვლილი: განკურნალდა...

სშირია ამგვარი წარმოების ზმნები: ვერ ვთფენულობდი,
ვერ ვტანულობდი... რატომ ზომეფს არ ხმარულოფთ...

-ებ სუფიქსის ნაცვლად -ი არის ნახმარი: მარუსას აბრალიტენ...
რაზე იწვალდი თაფს...

-ავ სუფიქსის ნაცვლად -ი გვხვდება: ვწამლით ყოველ მესამე
დღეს...

„ზიხარ“ ზმნის ადგილას ტაბაყინში გავიგონეთ: სიდან ჯდანხარ,
რაც ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი.

ამ ზმნის საწყისში შეგვხვდა დ: დაჯდენა ვერ მევიფიქრეთ.

„ჩანს“ ზმნის მნიშვნელობით ჩვეულებრივ გვხვდება „იხედება“:
ვაქვეი (ადგილის სახელია) აქედან იხედება პირდაპირ... ასევე
გავიგონეთ: დიდ სტოლზე არაფელი არ ჩთის (ზოვრეთი)... პაწია
ჩთია (ზოვრეთი)...

ა ხმოვანფუძიანი სახელი ზმნის წარმოებისას ზოგჯერ შეუწყვეტე-
ლია და გავრცობილია ვინით: აძალავებდენ ხალხს... ბევრჯელ
გადავაწმინდავე... და გვამცირავეს (აქ საყრდენხ ფუძეა
„მცირე“).

მესამე პირში -ებ სუფიქსიანი გვხვდება ზმნები: ბოვშს წქერყვა-
ნებენ... ქათმის ხორც მუუტანებენ...

სამაგიეროდ თემის ნიშნის გარეშე იხმარება ხშირად: ერთი ფო-
თელი არ დამიტოვია... ისი დავატოვიე ჩემ შვილს... მაგ არ
უნდა დეეტოვა...

თავისებურებას იჩენს ნაზმნარი სახელებიც: თემის ინიშანი არ
არის: დამინული იქნება... დატოვილი მაქ აქანა... და გროვი-

ლი აქ ფული... წეიყვანე ატატული... დღიური არ მაქ შეეკისი-
ლი... იგი გამზადილია... დაწყილი აქ სამუშაო...

თანამედროვე ქართულის -ულ სუფიქსის ადგილას ნახმარია -ილ
და პირუტყუ: ნახვთ თქვენ კვტარ ძმას დამარხილს... ბაბოს ქონდა
შენახილი...

დაქირული ჯობია დასაქირავი კაცი... შეკერულს ქარვი-
ყიდი...

ტირილისა და მისთანათა ანალოგიის საფუძველზეა ნაწარმოე-
ბი: ხვერწილი (მე ხვერწილა არ დამქირვებია), დივილი
(აქ რო ჩამევედი, დეიწყო დივილი), ყეფილი (სადანაც მამლის
ყოული და ძაღლის ყეფილი არ ისმოდეს, იმნაირ ტყეში დამმარ-
ხეო)...

თავისებურადაა ნაწარმოები: არ იქნება მოსაწონისი... კრება-
ზე არ არი დასაძახილებელი... დაგეძახილებია ჩემ-
თვის...

„სიახლოვე“ და არა „ახლო“ არის ამოსავალი: წისკვილი ახლა
გვესიახლოვება... რო დამისიახლოვედა, გადმოხტა...

სისტემატურად იხმარება ყველა სოფელში ყუ ნაწილაკი პირდაპირ-
რი და ირიბი ობიექტისა და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექ-
ტის მრავლობითობის გამოსახატავად:

-ყუ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად:
თქვენ ქე გადლინძელეხე... თქვენ ხვე'რ დაგათროფყე...
ოთხივე შვილი ისე დავასაფლავეყე, ამას არცკი უნახავს... ცოლ-
შვილისთვინ სარჩოს ვეძებდი და ქარ დავწყვიტეყე?.. ისინი გო-
უშვაყე... ისინი ქე დავტოვეყე... მოყურები ნავხეყე... მე-
ვიყვანეყე აქანა და უთხარი: დაბრუნდი უკან-თქვა... რამ და-
გადოყე?..

-ყუ ნაწილაკი ირიბობიექტური პირის მრავლობითობის აღსა-
ნიშნავად: ექალი წეეკიდა და მოუვიდაყე შილდაყი (უკმაყოფი-
ლება)... დაგიწყოფყე ამას თქვენ... კაცი დაყვებაყე დიდი
დოქით... ინდოურები ქვეყავდა, კანათა ფხალი შოუტეხეყე, ჩო-
უტანეყე და ვაჭამეყე... რამდენი ტევანი მოვწყვიტე, იმდენი
მეხი დეეცაყე თავზე... არ ეკარებაყე... ასე ვეუშმბეი-
ყე, ვთხოვეყე... ამათ უყურებყე ჭერე... არ ეყურებაყე...
ქვეშაგები სულ ახალ-ახალი შოუქერეყე... მე გადუხოცე-
ყე 6-6 წკაბი... ბეგლარა სახში დახვთაყე... დათომ ოური-
ყე გოგოფს... აწყინაყე ღვინომ... შეილიშვილუფს დოუქსო-
ვეყე... გავარღვევიეყე და გავაკეთე საყელო... მე ხელს
არ შეგიშლიყე თქვენ...

-ყუ ნაწილაკი რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახა-

ტავად: ვაგონები ქონდაყე... რაც აქყე (=აქვსყე) ადგილები, ანასაც ყლიდან... ახლა ამ ვეფხვებს დედა ყავსყე... უყვარსყე ქეიფი... ამ ქალმა თქვა: არ შეეგეშინდოსყე, ამ გოგოს შექმა უნაყე... ქონდესყე მერე ცარიელი მიწა... როცა მიყავსყე, გედები მოფრინდებიენ... მივყავდიყე კეთილფს სახში... ახლა რო უჭირსყე, ისე კარ იყვენ... მოხუცებული აღარ უნდაყე ახლანდელ რძლეფს...

მამინ არ უთქვამსყე თვალის ამოდება... ახლა ზაშურში მოურჩენიაყე ჩემნაირი კაცი... ქარ დოუკრავსყე ქეი?! ფცი ტყვილა ქარ მუუციყე... ნეტაი, არ წაგერთმიყე... ჩვენ ოჯახშიც გეპურმარილებიაყე...

იშეიათად -ყე ნაწილაკის ფუნქციით აღჭურვილია თსუფიქსიც: ბატონმა მიიღო ორივე და უთხრათ... ბატონმა უთხრათ მათ... კონტა ეკითხებათ იმათ... ბატონი ძროხას აბამს, შეიყვანათ და აჩვენათ იმათ...

ფორმაოცვლელი სიტყვები. ადგილის ზმნიზედების ნაირნაირი ვარიანტები შეინიშნება:

აქა იყო ისი... მოწერა აქა... ერთი ძმა მოსულყო აქა... ძან დევითვერით იქა... მიგალ იქა... გოუვლი იქა...

სალიტერატურო ქართულისებურადაც გვხვდება იქ, აქ. რთულ სიტყვაში აქა-იქ კომპონენტები შებრუნებულია: ჩვენე იქი-აქ გვირგვია ახალგაზღობა... იქა-აქ ვიცოდი რუსული რაძახა...

მანდ ზმნიზედის მნიშვნელობითაა ნახმარი ექ: ექ ეილე, ექ... ფაღინე ქე არჩევს ექ... ჰამს ე საქონელი ექა...

ფართოდ იხმარება ეს ზმნიზედები ნა ნაწილაკდართული:

აქანა დაჯათარე 4 კლასი... აქანა, რალაი ახლოს არი, მიედივარ... ძახს ტორი ჩამოუკრამს აქანა... შენ აქანა იქნები... მე ძიძა მყავლა აქანა...

ამათისოული წყარო კილოა იქანა... მიწა გაქ მერე იქანა?... იყულა იქანა ძალმა... ამეილე იქანა...

ზემო იმერეთის არც ერთ სხვა რაიონში და არც ზესტათონის რაიონის ჩვენ მიერ აქამდე შესწავლილ სოფლებში არ იხმარებოდა იქინ. არა ჩაიგნს სანალიზო სოფლებში გვხვდება იგი, სვირის გარდა. სვირში უკვე ჩემომიერულის ნორმაა ხელშესახები:

მიცა თურმე იქინა... იქინა მოუხთათ გასვლაი... ბიჭი ყავს იქინა... იქინა იციენ... შენე შედი იქინაო...

იხმარება ყველგან ექანა-ც: ექანა ჩხუბი იყო... ექანა საერთო კრება მოხდა... ჯღიხარ ექანა...

ქიათურისა და საჩხერის რაიონების მსგავსად იხმარება მადანა.

უფრო ზშირად — მისი ფონეტიკური ვარიანტი მაანა და უფრო
ნაყლებ — მაანა: დაწევი მა დანა... შენე დაწერე მა დანა... მ-
დანა რო არ დაფლულევო ურემი, არ იქნებოდა...

მაანა ფსახურობდა ჩემი ძმა... ეს სინა ეილე მაანა... მაანა
ქონებოდა ჭიშკარი... არ მინდა მაანა დაეტოვო... მოუმზადე მა-
ანა...

დაწევი მაანა... არ მოვლივარ მაანა...

გვხვდება: შადა || შად: მა და თფილი ჩულევი მაქ... მა დ აწიე...
კითხვაზე „საითენ“ იხმარება „მადეთ“ „მადით“ || „მაით“: ნულარ
მიღიხარ მა დეთ... მა დეთ იყო... მა დით გამოვდენი... წამოვალ
მაით...

სად კითხვითი ზმნიზედის შემდეგი სახეები გვხვდება:
„სადანა“ || „საანა“ || „სანა“ || „სა“:

სადანა დადევით ნაჯაბი?... საანა შევხვთ ერთიმეორეს?... ს-
ნა იქნება ახლა შეშა?... სა იყავი ამდენი ხანი?..

აქედანაა ნაწარმოები მიმართებითი ზმნიზედები „სადანაც“ ||
„საანაც“: სა დან აც მეტყვი, მოვალ იქა... სა ან აც ქონდა ექვი, ნავ-
ხეთ და არ იყო.

„აგერ“ გვხვდება ამგვარადაც: ა გერ ა ს შევიდა... ეგლო ა გერ ა...
ერთმარცვლიან ზმნიზედებს ე დაბოლოებითაც ვხვდებით, რაც
მ-ს დართვის შედეგად ასიმილაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ჩანს:
დადვა ე ქათამი ძირე... მოქრა მიწა და გადააფარა ზედე...
ღროის ზმნიზელა „ჯერ“ ამგვარადაა ზშირად ნახმარი: არ ეძინება
ჯერეთი...

„მაშინე“ ზმნიზედის სახეობაა „მაშითვე“: გავხტი მაშითვე
ავათ ქარებით...

ღროის ზმნიზედების ბოლოკიდურად ე გვხვდება ზშირად: ევ ვამ-
ლი ლუზამ მამცა დღესე... ამოლი დღესე... წავალ ხვალე...

იხმარება ვითარების ზმნიზედები: „ძლივას“ || „ძლივა“, „ისევ-
ისე“, „ისევლე“, „ისთე“ || „ისთრე“, „ანგრე“, „მანგრე“: ძლივას
გავარჩიე... ძლივას ავაყენე... ძლივას ჩამევედი... ძლივა
გადმოდო...

გამოგზავნა ისევ-ისე... გაცოცხთა ისევლე... რო მიხვალ
დღისული იქნება ისევლე... ისთრე მეიქცა, რავარც დაარცეს...
იავარც იყო, ისთე ქეა... მაანგრე იცის მაგ წყეულმა...

„ძალიან“ გვხვდება ი დართულიც: ლამაზი იყო ძალიანი.

-ნაწილაკდართულია „მარტვანა“, „ჩუმთანა“: დარჩა მარტვა-
ნა... ჩუმთანა ლებულობდა ქთამს...

ცოტას მნიშვნელობითაა ნახმარი ცოტეთი: მე ვიყავი იქა შესუ-
ლი ცოტეთი (ტაბაკინი)... ცოტეთი ქე უჭერის (ზოვრეთი)...
ე ბოლოკიდური ხმოვნით არის გავრცობილი სულ: დარჩება სუ-
ლე... ირევა ხალზი სულე... მოსავალი მისი იყო სულე...

იხმარება პატ-პატარა: პატ-პატარა კიქებით მიყვებით სმას...

როგორ ზმნიზედას ცვლის რაფრათ: რაფრათ მევიქცე, არ ვიცი...
უცებ ზმნიზედის ადგილას შეგვხვდა უცეფურათ: ასე უცეფურ-
რათ ვერც ქათამს დაეკლავ, ვერც ხაჭაპურს გავაყეთეფ...

რაკის ადგილას ნახმარია კავშირი რალაი: ი ბოვში რალაი მე-
ეწყო, კილო საშვალეზაი ქექონდა... რალაი დეიწყებოდა, სწრაფათ
იქსოვებოდა... რალაი წევიდა, მას უკან აქ აღარ გადმოსულა... რა-
ლაი ქმარი დამეკარქა, ფულს ვინ მამცემს მას უკანი... რალაი
გეიგო მორჩენა, დეინტერესთა... ოჯახიდან რალაი არ არიან, არც
ეს წევიდა...

სანამდე კავშირის ადგილას აგრეთვე გვხვდება რამდი: რამ-
დი მორიგობას დეიწყებდა, მანამდი მეეკლა... ვქამოთ, რამდი
გვეყოს...

მანამდი-ს მნიშვნელობით არის მანობამდი-ც: სანამ გაკეთდებო-
დეს, მანობამდი ქაფს გაწმინდავ...

სანამ კავშირის ადგილას გვხვდება „სანობამდი“: არ ვიცოდი, სა-
ნობამდი თითვან არ მითხრა...

როცა-ს ადგილას იხმარება რაი-ც: ერთათ ვართ ჩვენ მას უღმა,
რაი რო ომიდან დავბრუნდით...

თორემ-ის ნაცვლად თვარემ გვხვდება: იმათი ცოდვა არ მახარეთს.
თვარემ მაინ ბედნიერი ვარ...

გამოიყენება თვარამა-ც: თოხნით ვერ ვთოხნი, თვარამა
მარგლით ქე ვმარგლი... ტყუილა არი შენი ნათესავი, თვარამა
ქე შევიდოდენ შენთანაო...

გამოიყენება თვარა-ც: არ ელევა, თვარა ნოქარს უნდა...

მაგრამ კავშირს გადაკარგული აქვს, მკიან აქვს. დართული, ან
არა (ამოსავალია მაგრა): უნდოდა ჩემ ქმარს ჩივილი იმ ხალხისი, მა-
რამ ჩემა ზიკმა არ ქნა... ჩვენი წესიერი სიტყვა კილვა არი, მარამ
მე ხარდანსაც ვხმაროფ... დასიძებული ვარ, მარამ ოჯახი კაი მაქ...
ყველა ყავს, მარა ყველა თე-თავის ოჯახეფშია... ჩვენ არ წავსულ-
ვართ, მარა სხვა პირები წევიდა... ჩემი გოგო პატარა იყო, მარა
თოფში გამოვარდნილი ტყვია იყო...

რომ კავშირი ან რომე-ს სახით გვხვდება ან რო იხმარება მეტწო.

ლად: იმ ქაქას გავათევიეფ ღამეს, რ ო მ ე ფერი მიცეს ღვინოს... ერთი საათი რ ო იარო, ღღისულ მიხვალ ისევლე...

კინალამ ნაწილაკის ბადალია მნიშვნელობით ღარმე:

სიცილით ღვეიხრჩვით ღარმე...

ზოგჯერ რ ღაკარგულია და გვაქვს: ამღონი ქამითი მოკვეტი ღამე...

კინალამ და ღარმე ზოგ შემთხვევაში ერთსა და იმავე ფრაზაშიც ერთმანეთის გვერდით იხმარება:

კინალამ გაღუბრუნდა-ღარმე ურემი...

პირველ და მეორე სვირში იხმარება კილაშე || კილაშეს:

კილაშე ღვეიხრჩვი... კილაშეს მომკლა...

იხმარება „ეგებო“: ეგებო ავათ არი...

გვხვდება „ბარემას“: ბარემას ისიც ჩააწყვე... ბარემას ამას ღაქიმავთ...

ხოლმე ნაწილაკის ღარ ისმის: ვალიკომ იცოდა ხ ო მ ე ამნეირი ღაპარიკი...

ერთმარცვლიანი ნაწილაკები ხ ო კ ი ე-თია გავრცობილი:

კაი ვენახი გააშენე, ხ ო მ ე?

ვენერას ეშველა? — კ ი ე... წვეიღენ ისინი? — კ ი ე... ეს გადაარჩინე აქანა? — კ ი ე.

იხმარება ყოველგვარ წინადადებაში დადასტურებითი ნაწილაკი ქე: ქე უნდა დაწყტონ ეგენი... ჩემი შეილიანა ქე გავთხოვდი... ქე იცის, რო იქ აქ დატოვილი ფეხსაცმელები... ასი მანეთი ქე ც მამიტანე და ქე ც წვილე...

სინტაქსური მოვლენები

ხშირად ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრული მრავლობით რიცხვში იხმარება: გაზარდა ყველა დებო... ორივე თვალე ბი ღვეფსო... სამი ძმე ბი ყოფილან... ორივე დანე ბი აქანა იყო... სამი დამანი თფილიში იყვენ... იყვენ რვა ძმე ბი...

ქვემდებარესთან შემასმენლის შეთანხმებას აზრობრივი ხასიათი აქვს: იტყვიენ ძველი ხალხი... ღვეერიენ ჯარი... ქე ამბობენ ხალხი...

ითანხმებს რეალური დამატებაც: მიყვარან აქოური ხალხი (ფუთი)...

გვხვდება საწინააღმდეგო ვითარებაც: რაცა ბღარე ბი გაღმო-სულა... კაცე ბი მიყვება ქალეფს და ყრიენ გოდრეფში... რატო არ ღვეთანხმე, რო ამევიდა შენი დე ბი... ესენი ბევრი იყო... დამობილდა ესენი...

ქვემდებარე მოთხოვნით ბრუნვაში გვხვდება 'შერწყმულ წინადა-
დებაში, როცა გარდაუვალ ზმნას მოსდევს გარდამავალი:

წვეილა მოჯამაგირემ, წეილო ფქვილი... ამ გლეხმა მეო-
რე ღღეს ადგა და გამეიყვანა ც'ვრები...

ვარდაუვალ ზმნასთან ქვენდებარე მოთხოვნით ბრუნვაში გვხვდე-
ბა შაშინაც. როცა წინადადება შერწყმული არ არის:

პატარა ძმამ გამოუძღვა ძმეფს... მევიდენ იმათმა...

გამოყენებულია ორმაგი უარყოფა: მე ვერსა ვერ მივიღვარ...
იზისანა ბეჭედი არსა არ იყო... ვერავინ ის მუხები ვერ მოჭრა...
ვერაფერი ველარ უშველეთ... ვერაფერი ვერ გაიგეს...

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ, თანხმოვნების შემდეგ, ა იზმა-
რება მოხშირებულად: კაცო, შენე ხ'ვარ გედვირიე, ღმერთთან ვინ მი-
სულაო, რო შენ მიხვალაო... ჩავდგები ტალახშიდაო და ვერ ამო-
ვალაო... ამ ღოქში მაქაო კაი ღვინოო... მიშველეთ, მიშველე-
თაო, — დეიყვირა... მითხრა: წადი იონასთანაო...

მეთქი ნაწილაკის ამოსავალი ფორმებიც იხმარება: ამას ქე წამარ-
თმევენ მაინც-მე ვთქვი...

გვხვდება ასეც: ორჯელ ჩავდივარ ბაზარში-მეთქვი...

მეთქის ნაცვლად იხმარება თქვა-ც:

სიღარიბეში გავატარე ე ცხოვრება, მარა ახლა ხო გევიხარე-თქვა,
— ვიფიქრე... სანამდი ახალგაზდა ვიყავი არაფელი მქონდა-თქვა,
— უთხარი...

ზემოციმერული კილოპაპვი ჰემოციმერულთან მიმართებით

იმერული ქართული ენის დასავლურ კლდეებს მიეკუთვნება. ამ დიალექტის შესახებ მოგვეპოვება საკმაოდ ბევრი გამოკვლევა, რომელთაგანაც მთლიანად ამ კილოს შესწავლას მიეძღვნა ვლ. ფანჩიძის საკანდიდატო დისერტაცია „ქართული ენის იმერული კილო“ (1937), ხოლო დანარჩენ ნაშრომებში გაანალიზებულია იმერეთის ცალკეულ კუთხეთა მეტყველების თავისებურებები სალიტერატურო ქართულისა და ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან შეპირისპირებით.

მაგრამ იმერულის ფონეტიკურ-გრამატიკულ-ლექსიკური ნიშანდობლივობანი ცალკეული სოფლების მიხედვით ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოვლენილი. დიალექტის საფუძვლიანი შესწავლა კი სწორედ სოფლების მიხედვით არსებულ განსხვავებათა დადგენის აუცილებლობას აყენებს.

დიალექტურ მოვლენათა განვითარების თვალყურის მისაღწევნებად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის თავისებურებებიც, რომლებიც წარმოდგენილია ისტორიულ საბუთებში, თუკი ასეთი ამ დიალექტზე მოიპოვება.

XV—XIX საუკუნეთა მანძილზე იმერეთში შედგენილია მრავალი ისტორიული დოკუმენტი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულიც არის. გამოქვეყნებული ისტორიული საბუთების ენის გამოკვლევა, მათი სტანდარტულობის მიუხედავად, მოწმობს, რომ იმერულში დაჯასტურებულ თავისებურებებს საკმაოდ დიდი ხნის წარსული აქვთ¹.

იმერულის ნიშანდობლივობათა გასათვალისწინებლად აქვთვე მნიშვნელობა აქვს იმერეთიდან გამოსულ მწერალთა ენის შესწავლასაც. იმერული მეტყველების წიაღში აღზრდილი მწერლები ა. წერეთელი, გ. წერეთელი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ. იმერისშემებს უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში იყენებენ, მაგრამ საკუთარ მეტყველებაშიც მეტ-ნაკლებად ხმარობენ მას.

¹ შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 34-51.

იმერული აერთიანებს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულ კილოკავებს. ზემოიმერული გავრცელებულია საჩხერის, ქიათურის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონებში, ხოლო ქვემოიმერული — ქუთაისის, ტყიბულის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონებში.

წინამდებარე ნარკვევი ემყარება იმერულის შესახებ არსებულ სპეციალურ გამოკვლევებს, ისტორიულ საბუთებს, იმერეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწარმოებებს, უშუალო დაკვირვებას და მხოლოდ ზოგად ცნობებს იძლევა იმერული კილოს შესახებ ზემო და ქვემოიმერული კილოკავების მონაცემთა შეპირისპირების გზით.

ბ გ რ ი თ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ იმერულ კილოს სალიტერატურო ქართულისაგან განასხვავებს აქა-იქ გადმონაშთის სახით შემორჩენილი ნახევარხმოვან ა-ს, უმარცვლო უ-სა და ყ-ს გამოყენება (ტმე. ა ე).

ფონეტიკური მოვლენები

თანხმოვნებში რეგრესული ასიმილაციის გვერდით (ფხალი, საპკო, შაშული, ბახში, მოქცა, მიზღია, აშენფს, სპოფს...) პროგრესული ასიმილაცია გვხვდება. ასეთ შემთხვევაში გამკლენელი ყოველთვის ყრუ ბგერაა, რომელიც მომდევნო მელერს იმსგავსებს ნაწილობრივ (ბათფანი, გაჩთა, ჩთილი, გახთა, გაცოცხთა, დათანხმთა, დეინტერესთა, ხფო...).

საზგასამელია, რომ ქვემოიმერულშიცა და ზემოიმერულშიც თითქმის ერთნაირად აქვს ადგილი პროგრესულ ასიმილაციას, როცა ასიმილატორი ყრუ ფშვინეიერი ან ყრუ სპირანტია, ხოლო, როცა გამკლენელი აბრუპტივია, მაშინ ქვემოიმერულში ასიმილაცია კანონზომიერად ტარდება (ტპა, კპილი, კტე, გაბოროტტა, გატყტა, დამიწყტა, კეტარი, მოკეტა). ზემოიმერულში კი პროცესი მერყეობს და, რაც უფრო ქართლისკენ მივიწევთ, მით უფრო მატულობს უასიმილაციო ფორმები.

ხმოვნებში უპირატესად რეგრესული ასიმილაცია დასტურდება. ჩვეულებრივია პრევერბისეული ხმოვნის ასიმილაცია ფუძისეული ე, ი და უ ხმოვნებისაგან.

პრევერბის ა და მ ხმოვნებს სრულად იმსგავსებს ე ხმოვანი: ეეტანა, წეელო, გეეყვანა, გედეეტანა... მეეგლიჯა, მეესპო...

ამ შემთხვევაში ასიმილაციას არ აბრკოლებს ფუძისეული ფ და პირის ნიშნები ვ-, შ-, გ-, გვ-: წეეყვანეთ, გემეკეთებია, ჩეგეყვანე... მევედი, მევეკალი, მეგეტანა...

აე, ოე კომპლექსებში ასიმილაცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებ-

ლია როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოებისათვის. აღმოსავლურ კილოებში პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის და ასიმილირდება რთული ამო-, ჩამო-, გამო-, წამო- პრევერბების პირველი ხმოვანიც. ეს მოვლენა ქართლურის გავლენის შედეგად ზემო იმერეთის წიფის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში დასტურდება: გემეჟეიდა, გემევედი, წემემეწია, ჩემემეტერია...

ქართული ენის დასავლურ კილოებში და, მასთანადავე, იმერულშიც, წინააღმდეგ აღმოსავლური კილოებისა, ასიმილაციის პროცესში ე-სთან ერთად განსაკუთრებით აქტიურია ი. ი ლიაობის მიხედვით ნაწილობრივ იმსგავსებს ა ხმოვანს: ეილო. წეილო, ჩეიტანა, გეღეიტანა || გეღეიტანა...

ასიმილაციას არ აბრკოლებს ფუძისეული ან სუბიექტური პირის ნიშანი ვ (წევიდა, დევიმზგავსე...). მაგრამ აბრკოლებს ობიექტის ნიშნები.

ქვემო იმერეთში, სამტრედიის რაიონის იმ სოფლებში, რომლებიც შეგრულის გავლენას განიცდიან, აი კომპლექსში ნაწილობრივი ასიმილაციის პარალელურად სრული ასიმილაცია დასტურდება უშუალო მეზობლობაში, რადგანაც მასიმილირებელი მხოლოდ სათავისო ქცევის ან ვნებისთვის ი პრეფიქსია: წიყყანა, ღიითანხმა, გიიპარა...

ამ მხრივ, ქვემოიმერულის სამტრედიული თქმა უპირისპირდება აქარულს, სადაც აი კომპლექსში სრული ასიმილაცია ყოველთვის დისტანციურია, რადგანაც მას იწვევს მხოლოდ და მხოლოდ სასხე-სო ქცევის ი, რომელიც ამ პოზიციაში დასუსტების კანონზომიერებას არ ემორჩილება¹.

" დისტანციურ ასიმილაციას აი კომპლექსში სამტრედიულ თქმაშიც აქვს ადგილი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ა-სა და ი-ს ჰყოფს პირის ნიშანი ვ: დევიწერეთ, გევიარეთ...

✓ იმერულში ი ხმოვანს, აღმოსავლური კილოებისაგან განსხვავებით, ისეთივე ასიმილაციური ძალა აქვს ო ხმოვანზე, როგორც ე ხმოვანს.

ე-ცა და ი-ც იმსგავსებს ო ხმოვანს იმ მხრივ, რომ უკანა არტიკულაციის ლაბიალურ ხმოვანს აქცევს წინა არტიკულაციის განივ ხმოვნად, ლიაობის მიხედვით კი დამსგავსება არ ხდება. მაგრამ რაკი ო და ე ლიაობის მიხედვით იდენტური ხმოვნებია, ოე კომპლექსში ასიმილაცია სრულია, ხოლო ოი კომპლექსში — ნაწილობრივი, რადგანაც ო, ი-სთან შედარებით, კვლავ უფრო ფართო ხმოვნად რჩება: მეიყვანა, მევიდა, წამეილო. გადმეიტანა...

¹ ე. კუბლაშვილი, ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში (საქანდ. დისერტაცია — ხელნაწერი), 1958, გვ. 6.

ასეთ შემთხვევაში ზემოიმერულში და ქვემოიმერულის ოკრიბულ თქმაში¹ უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება. ო-ზე ი-ს მასიმილირებული ძალის დასუსტება მით უფრო საგრძნობია, რაც უფრო აღმოსავლეთისაკენ მივიწვეთ და ქართლურთან ტერიტორიული სიახლოვე მატულობს. ამიტომ ქართლის მოსაზღვრე ზემო იმერეთის სოფლებში ი ხმოვანი, ჩვეულებრივ, გავლენას ვერ ახდენს ო ხმოვანზე.

რაც შეეხება ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმას, აქ ოი კომპლექსში სრული ასიმილაცია დასტურდება უშუალო მეზობლობაშიც და იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კომპლექსს თიშავს სუბიექტური პირის ხიშანი ვ, რომლის მეტათეზისი წინ უსწრებს ასიმილაციას: ამ ი იყვანე (=ამოიყვანე) ი გოგო... მიიქნია (=მოიქნია) ჯოხი... სტუმრები წამივიყვანეთ (=წამოვიყვანეთ)...

ფუძისეული უ ხმოვანი პრევერბისეულ ა და ე ხმოვნებს იმსგავსებს ნაწილობრივ, ი ხმოვანს — სრულად.

აუ → ოუ: ო უ ხ ი რ და, ჩ ო უ ს ხ ა, წ ო უ ლ ო, გ ო დ ო უ ხ ა და || გ ო დ ე ხ ა დ ა...

ზემოიმერულში ამ შემთხვევაში უასიმილაციო ფორმებიც არის წარმოდგენილი.

იმერული, საერთოდ, ცდილობს თავიდან აიცილოს ფიზიოლოგიურად ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულ ბგერებში სრული ასიმილაცია, რაც, თავის მხრივ, ასიმილაციის უშუალოდერი საფეხურის გავლას ვარაუდობს, ამიტომ პროცესი ამ საფეხურზე ჩერდება.

მართალია, ზემო გურიის მიჯნაზე მდებარე ქვემო იმერეთის სოფლებში გურიის გავლენით ოუ კომპლექსი უუ-საც იძლევა, მაგრამ იგი მიღებულია არა აუ-საგან ასიმილაციის ორი საფეხურის ერთდროულად გავლით. არანედ ოუ-საგან. რომელიც მიიღება მო პრევერბის დართვით უ ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფუძეზე ასიმილაციის ერთი საფეხურის შედეგად: მუუყვანა, მუუკლა, მუუბრუნა...

ზემოიმერულში, აღმოსავლური კილოების მსგავსად, ოუ კომპლექსი ასიმილაციურ ცვლილებას არ განიცდის და ეს მაშინ, როცა უ ხმოვანი, როგორც თითქმის ყველა აღმოსავლურ და დასავლურ კილოში, სრულად იმსგავსებს ი ხმოვანს, რომელიც მას ორმაგად უპირისპირდება, როგორც წინა არტიკულაციისა — უკანისას და არალაბიალიზებული — ლაბიალიზებულს: მივედი და მუუტანე ფული... მუუხთე ცეცხს... მუუსაჯეს სიკვდილი...

¹ ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 169.

² კ. კებლაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 42.

იე კომპლექსში ასიმილაცია სრულია, რადგანაც ი ე-საგან მხოლოდ ლიობით განსხვავდება და ამ დაბრკოლების მოშლით ვიწრო ი ე-ს იდენტური ხდება: მ ე ე ს ა ლ მ ა (მისალმა) მიმავალ ქალს... მ ე ე ლ - წ ი ა სასლამდი... მ ე ე გ ნ ო (მიეგნო) იმ ქუჩიზა...

ასიმილაციის ასეთი სახეობა ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი. ზემოიმერულში იგი არ შეიმჩნევა.

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია გვხვდება სხვა შემთხვევებშიც და თითქმის იმავე კანონზომიერებას ემორჩილება, რასაც პრევერბებში:

აქოური, გაროული, ყაროული¹, სადოური... ამათისოული, ეშმა-კოულობა... გარომობა, შორიგოობა... მორე... ბიკოლეები, ბ-ძე-ვები... რე იქნა... რო უყავი...

ზემოიმერულში სიტყვის ბოლოს აე კომპლექსი უპირატესად უასიმილაციოდაა წარმოდგენილი: ხალიჩაები, ლოკოინაები, ბიძაები...

საყურადღებოა, რომ ქვემოიმერულს სამტრედიულ თქმაში აუ კომპლექსი სიტყვის ბოლოსაც უუ-დ იქცევა: სადუური, იქუური, უცხუური²...

დისიმილაცია თანხმოვნებშიც გვხვდება და ხმოვნებშიც და, სხვა კილო-თქმათა მსგავსად, უპირატესად სონორ ბგერებს ახასიათებს. პროგრესული დისიმილაციაც დასტურდება და რეგრესულიც:

ხილურგი, წრეულს, სუნელი... პროკულოი, არალი, ერთჯელ... გო-გუები, ოქრუები. ლაპარიკი, მიორე...

ზემოიმერულში დისიმილაცია გვაქვს ამ სიტყვებშიაც: ალანი, ცხენოსალი, გუშინაწილა...

საყურადღებოა, რომ ქართლის მოსაზღვრე სოფლებში სიტყვაში კანონი პროგრესული დისიმილაცია შეინიშნება (კანოლი), ხოლო იმერეთის დანარჩენი სოფლებს მეტყველებაში — რეგრესული (კალონი).

მეტათეზისის მაგალითებია: დამბული, სურიელი, ყინა, ნაეხე, ნამ-ხა, ნამხველი...

სონორ ბგერათა მეტათეზისი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვემოიმერულისათვის. იგი დასტურდება ისეთ სიტყვებში, სადაც ზემოიმერულში მას ვერ შევსკვებით: ჭრიკი, დაჩარგული, ღრისი, ბრეელი, ღურბელი, სირგილე, მიბრის, დაახვერდა, ბერწოული, ზღრაპები, გამდარია, კვლამი...

¹ ა. ც ხ ა დ ა ძ ე. ქართული ენის იმერული დიალექტის მარგველური თქმ. საკანდ. დისერტაციის აბტორეფერატი. 1954, გვ. 4.

² რ. ა რ ვ ე ლ ა ძ ე, სოფელ ჭავჭავის მცხოვრებთა მეტყველება, სტუდენტთა მე-ხუთე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1953, გვ. 60.

ბგერათა დაკარგვის მხრივ ზემოიმერული თითქმის არ სხვაობს ქვემოიმერულსაგან და სხვა კილო-თქმებთან შედარებითაც თავისებურს არაფერს იძლევა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართლის მი-საზღვრე იმერეთის სოფლებში ზოგიერთი ბგერა დაკარგულია ისეთ შემთხვევებში. სადაც მისი პოზიცია იმერულში საერთოდ ჰყარია: ეილის (ეივლის). ეილ-გამოილის, მამილის, ვიყაი, იყაი, ვუოფილიყაი... **ზ** ბგერა იკარგვის სიტყვაში: ლამაათ... **წ** ბგერა არ ჩანს: საელა (სწა-ელა) საელოფს, გავასევიე (გავაწევიე), მოსრებული (მოსწრებული)...

ქვემო იმერეთის გურიის მიჯნაზე მდებარე სოფლებში გ იკარგება ნაცვალსახელებში: აი (აგი), მაი (მაგი), იი (იგი).

რგ იკარგვის ზემოიმერულში სიტყვებში: კაათ, კაათმყოფი, ქვემო-იმერულში კი ასეთ შემთხვევებში იხმარება „კარქათ“. „კარქათ-მყოფი“.

განსაკუთრებით სუსტი ჩანს რ-ს არტიკულაცია თერჯოლურში, ამიტომ შეინიშნება მისი დაკარგვა ისეთ შემთხვევებში. სადაც სხვაგან მისი პოზიცია მყარია: უმფოსი, ქები (რქები), ცოლქმობა, გილი, პი-ველი, ომელი (რომელი), ომ (რომ), ობაქიძე (რობაქიძე)¹...

ძთელი იმერულისათვის ნიშანდობლივია სუსტად მოქმედი რედუქციის კანონი. ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვისას ბევრი სიტყვა შეუკუმშავად არის წარმოდგენილი: რძალის, ნიორის, წყალით, ამბავით. ასაშენებელათ... ამბავები, მამვალები, ბაწარები, ქმარები...

სამაგიეროდ, ზემოიმერულში ზოგჯერ შეკუმშულია ისეთი სიტყვა, რომელიც სალიტერატურო ქართულში უკუმშველია: დრის, დრით, ჯრით, ქვენაქრით, ზენაქრით...

ბგერის განვითარების მხრივაც იმერული სხვა კილო-თქმებთან შედარებით თავისებურს არაფერს გვიჩვენებს. სიტყვებში უპირატე-სად სონორი ბგერებისა და კბილბაგისმიერი ვ-ს განვითარება შეინიშ-ნება: ჭიმში, ნამყოფი (ნაყოფი)... ხალინჩა, ანგური, მენდალი... ქვირშა. არდგილი, ხარხა... ბოძვი, პოვეტი...

სუბსტიტუცია იმერულშიც აქუსტიკურად მსგავს და ფიზიოლო-გიურად მონათესავე ბგერებში ხდება. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ქართლის მოსაზღვრე სოფლებში, წიფიდან მარელიამდე და ხევიდან ვერტყვიკალამდე, ინტენსიურად მოქმედია ისეთი ბგერები, რომლებიც იმ პოზიციაში იმერულში სრულიად უმოქმედო ჩანს. მხედველობაში გვაქვს ლ-სა და ტ-ს მონაცვლეობა ნ-სა და დ-სთან: ა მ დ ე ლ ი, რ ა მ დ ე ლ ი... ა მ ტ ე ნ ი || ა მ ტ ე ლ ი...

¹ შ. ძ ი ა ნ გ უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 157-158.

მახვილის საკითხი ზემოიშვრულში საგანგებო შესწავლას მოითხოვს და მასზე ახლა ყურადღებას არ შევაჩერებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მახვილის მოქმედებით უნდა აიხსნას ქართლის მიჯნაზე მდებარე ზემო იშვრეთის სოფლების მეტყველებაში სიტყვების ბოლო მარცვლების მოკვეცა, რაც აქ დემონსტრაციულად არის წარმოდგენილი: ვ ი ყ ა, ნ ე ტ ა არ ვ ყ ო ფ ი ლ ი ყ ა (არ ვყოფილიყავი)... მ ო ყ ე (მოყვი), გ ე ნ ა (გენაცვალე)...

მორფოლოგია

სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებს, საზოგადო საც და საკუთარ საც, მეტწილად მოეპოვებათ ი, რომელიც ზოგიერთი სახელის ფუძისეულ ა ხმოვანს ქვემოიშვრულში, მსგავსად ზემოიშვრულ-რაჭულ-ლენჩხუმური დიალექტებისა და მეგრულ-სვანურისა, რეგრესული ასიმილაციის შედეგად ე-დ აქცევის: ბ ი ც ო - ლ ე ი, მ ა მ ი დ ე ი, ნ ა ფ ო ტ ე ი, გ ე დ ე ვ ა ნ ე ი...

სახელობითის ი ფორმანტი ხშირად დაკარგულია: ნ ა თ ლ ი ე (ნ. ლორთქიფანიძე), მ ა მ ი დ ე, ჯ ი მ ა დ ე. ჯ ა ყ ე ე. დ ა ნ ე. ს ა მ ს ო - ნ ე, ე ლ ი ს ა ბ ე დ ე, ს ე რ გ ი ე, გ ი ო რ გ ი ე. ო ლ დ ა ი ე...

მსგავსი ვითარება დასტურდება ნათესაობითსა და მოქმედებითშიც ბრუნვის ნიშნისეული ი ელემენტის მოქმედებით. მ ა მ ი დ ე (ი) ს. მ ა - მ ი დ ე (ი) თ), ტ ო მ ა რ ე (ი) ს. ტ ო მ ა რ ე (ი) თ...

ვანის რაიონის უხუთურ ქცევაში ე ხმოვანფუძიანი ხდება ისეთი სახელებიც, როგორცაა მ ა მ ა, დ ე დ ა: მ ა მ ე ს ვ ა შ კ ა ც ო ბ ა შ ი... დ ე - დ ე ი ს ძველი ცხრილი... მ ა მ ე ე ა ქ ა ნ ე მ ე ი ყ ვ ა ნ ა, დ ე დ ე ე ა ქ ა ნ ე მ ე ი ყ ვ ა ნ ა...

აქ მეგრულის მსგავსად და, ალბათ. მისივე გავლენით ე-ს შეხორცება ფუძისთან უკვე დაწყებულია და იგი სხვა ბრუნვაშიაც გადაყვება სახელს: მ ა რ თ ა ი ე მ მ ი თ ხ რ ა... ყ ვ ე ლ ე მ ქ ე ი ც ო ლ ა... ნ უ ც ა - ი ე ს უ თ ხ რ ო ბ ი ა¹.

- ია სუფიქსიანი სახელები პარალელურ ფორმებსაც გვიჩვენებენ სრული ასიმილაციის ნიადაგზე: მ ა რ თ ა ი ი (|| მართაიე), კ ა რ პ ე - ზ ი ი || კ ა რ პ ე ზ ი ე). ფ ი ლ ი პ ი ი (|| ფილიპიე)...

¹ შდრ. ო. კახაძე, ოკრიბულის თაისებურებანი, გვ. 170.

² ო. კახაძე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნვისაღივს ქვე-მოიშვრულში, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. V, 1953, გვ. 184-192.

³ ე. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. რამატიკელ მოელენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართულ-ურ ენებში, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. VI, 1954, გვ. 443-451.

⁴ ქ. ძ. ო. წ. ე. ნ. ი. ძ. ქვემოიშვრულის უხუთური მეტყველება. ქუთაისის ჰედონ-ტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 53.

ა ხმოვანფუძიან სასელთა ბრუნებისას აღნიშნული თავისებურება ქვემოიმერულს მკვეთრად უპირისპირებს ზემოიმერულს და ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნეულობად გამოდგება მისი ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოსაყოფად.

ქვემოიმერულის უხუთურ ქცევაში და წულუკიძურ თქმაში თან-ხმოვანფუძიანი სახელები მიცემითში ფორმით ნათესაობითს უტოლდებიან, რაც ზანურის ნორმა უნდა იყოს: შენი ძმაი ქალის თხოულოფს... რას უშობა ტუნჩის... დოუძახა ბოფშის!...

ქვემოიმერულში, გურულისა და ავანურ-ზანურის მსგავსად, ნათესაობითსა და მოქმედებითში შეიმჩნევა ტენდენცია სალიტერატურო ქართულის კვეცილ სახელთა უკვეცილობისა²: თავჯდომარეის სანახავათ წევიდა... ხეის გამობურრა უნდა... დაის რძალი... ზღვაის გარადმა...³ ხპოით იყო ყმაყოფილი... ქკუაით იყო...

ძიციემითსა და ნათესაობითში თანხმოვანფუძიანი სახელები ზემოიმერულში უფრო ხშირად, ქვემოიმერულში უფრო ნაკლებად ს-ს იყვევენ: მატყუარა ხალხ ვერ იპონი აქა... ეთავვი წამალია...

წინააღმდეგ ქვემოიმერულისა, ზემოიმერულში მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში გვხვდება ემფატიკური ა რომელიც ქართლის მოსაზღვრე სოფლებში სისტემატურად გამოიყენებდა ქართლურ-კახურის მსგავსად.

ბევრი შრომა უნდა ვენახსა... დეინგრა სახლი დავითისა... მეექლა თავი თოფითა... დოუდექი შუამავლათა...

ა გვხვდება სხვა შემთხვევებშიც: ჩამოსულიყო სოფლიდანა... მოდიოდა მალლიდანა... გაქცეულიყო იქითკენა...

საფიქრებელია, რომ ემფატიკური ა, როგორც ეს სხვაგანაცა გვაქვს აღნიშნული⁴, უწინარეს ყოვლისა, ეხმარათ და კავშირის წინ ჩამოთვლის დამთავრებისას ან წინადადების ბოლო წევრთან კონსტრუქციის დაზღუდობისათვის და, რადგანაც ასეთ შემთხვევაში პაუზაც არის, ემფატიკური ა თან ხვდებოდა პაუზას⁵.

სწორედ კონსტრუქციის დაზღუდობისათვის იხმარება ემფატიკუ-

¹ ქ. ძონენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრ., ტ. VIII, 1948, გვ. 47.

² ვ. თოფური, დასახ. შრომა, გვ. 448-451.

³ ლ. კვანტალიანი, სოფ. გუბის მეტყველების თავისებურებანი, სტუდენტთა IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1952, გვ. 31.

⁴ ზემოიმერული კილოკაის ძირითადი თავისებურებანი, ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1957, გვ. 534.

⁵ შლრ. თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური ა ახალ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 231-232.

ჩი ა თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობითში დასპულ მსაზღვრელთან პოსტპოზიციური წყობისას: გაგვიტყაღა ღერძა უ რ მ ი ს ა... შეკეთება გვინდა მ ა შ ი ნ ი ს ა...

რაც უფრო დასავლეთისაკენ მოვიწევთ, მით უფრო უჩინარდება ემფატიკური ა და მის ადგილს ხშირად იჭერს ი, როგორც მისი ტოლი ოდენობა¹: გაარჩია სიძიდი ვ ა ს ი ლ ი ს ი... შეეკრვა მინდა კ ა ბ ი ს ი... ძარღვები გამიჩერდა ხ ე ლ ე ბ ი ს ი...

მოქმედებითშიც ი გამოვლინდება: ეგერ მიდიოდა ჩ ა ფ ი თ ი... თო ს ი თ ი გადავჩხრიკე ქვევრა...

ი გვხვდება - გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლოსაც: გამოხედა კაცმა ს ე რ ი დ ა ნ ი... დასუსტებული იყო ტ კ ი ვ ი ლ ი დ ა ნ ი... მორბოდა მ ა ლ ლ ი დ ა ნ ი...

მთელ იმერულში - იან სუფიქსიან სახელთა ვითარებითში დარ შეინიშნება: ტყეში იხიზნებოდენ ცო ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ა... მოდიოდა ა მ ხ ა ნ ა გ ი ა ნ ა...

წო დ ე ბ ი თ შ ი თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ო-ს და-ირთავენ: დ ა ვ ი თ ო, ქვევრა მოეხადოთ... ი ლ ა რ ი ო ნ ო, შენე ბევრის მამსწრე ხარ... ნუ სწუხარ, ქ ე თ ე ვ ა ნ ო...

წოდებითის ასეთი ფორმები განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ზემოიმერულში, ქვემოიმერულში უფრო იშვიათად შეიმჩნევა.

თანდებულიან სახელთა ბრუნებისას აღვნიშნავთ, რომ ქვემოიმერულში თვის თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით ხშირად იხმარება იზა, იზან ტიპის წარმოებაც: ს ა ქ მ ი ზ ა. ძ მ ი ზ ა... ს ა ქ მ ი ზ ა ნ, დ ი ზ ა ნ, ა მ ი ზ ა ნ...²

მთელი იმერულისათვის დამახასიათებელია - გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის შუალადური ფორმები, მაგრამ ქვემოიმერულში თანდებულის ხმოვანი ელემენტი შეცვლილია: მ თ ი დ გ ი ნ || მ თ ი დ ი ნ, ტ ყ ი დ გ ი ნ || ტ ყ ი დ ი ნ, ჩ ე მ დ გ ი ნ || ჩ ე მ დ ი ნ...

ქვემოიმერულში, კერძოდ, ვანის. სამტრედიის, წულუკიძისა და ქუთაისის რაიონებში, იხმარება - ყენ თანდებული, რომლის თავიკიდური ბგერა და ნათესაობითის ს ე ლ ე მ ე ნ ტ ი წულუკიძურ და სამტრედიულ თქმებში უპირატესად წყ-ს იძლევა³: ჩ ე მ ს ყ ე ნ, ჯ ი ხ ა ი შ ი ს -

¹ არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, თსუ შრომები, ტ. XXIII, 1942, გვ. 71-95.

² რ. არველაძე, დასახ. შრ.

³ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV ბუნებრივი კომპლექსებისათვის ქართველურ ენებში, ენიმის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 121.

ყენ, სოფლისყენ... კულაშიწყენ, საწყესტრიწყენ,
სახლიწყენ...

ნაცვალსახელთაგან ზემოიმერულში ყურადღებას იქცევს პირს,
ჩვენებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები.

პირის ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, შენე, ჩვენე და თქვენე-ს
სახით გვხვდება. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში ამ შემთხვევაში
სადეტერმინანტო ნა-ც გამოიყენება: შენა, ჩვენა, თქვენა.

ჩვენებთი ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის, თუ მსაზღვრელად არ არის
ნასმარი, უპირატესად სრული სახით გვხვდება: ესე, ეგე, ისი.

ზემოიმერულში აქა-იქ, ხოლო ქვემოიმერულში სისტემატურად
გამოიყენება მრავლობით რიცხვში ამგენმა (|| ამათმა), მაგენმა
(|| მაათმა), იმგენმა (|| იმათმა), რომელთა ფუძე იხმარება ყველა
ირიბ ბრუნვაში¹.

ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია პროგრესული ასიმილა-
ციის გზით მიღებული ვინცხა, რაცხა ნაცვალსახელები, ხოლო ზემო-
იმერულისათვის — კონტამინაციური ვინძახა, რაძახა.

სიტყვაწარმოებისას უნდა აღინიშნოს, რომ გარჩეული არ
არის ადამიანისა და ნივთის კატეგორიის სადაურობა: უხუთელი
სიმიდე კაია... ჭიათურელი მარგანეცი ჩვენი სიმდიდრეა.

კნინობითობისათვის ზემოიმერულში უპირატესად - ა სუფიქსია
გაერცელებული (დავითა, ვასილა), ქვემოიმერულში — -ია (ელპი-
ტია || ელპიტე), -ელ-ა სუფიქსი კი, რომელიც ქვემოიმერულის-
თვის ნიშანდობლივია (სონიელა, გივიელა), ზემოიმერულში
იშვიათად თუ შეგვხვდება.

გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარის აღსანიშნავად ზემო-
იმერულში უპირატესად გამოიყენება -ურ სუფიქსი (გოვოლაუ-
რი — გოვოლადის ქალი), რომელიც, რაც უფრო დასავლეთისკენ მო-
ვიწევთ. -ოურ-ის სახით გვევლინება (ქანკვეტაძე — ქანკვეტაუ-ური —
ქანკვეტო-ური და ასე: ჯუღელლოური, აბაშიძოური...) —
ო-ურ გვხვდება თერჯოლურ², მარგველურ³ და მაიაკოვსკის⁴ თქმებ-
შიც, დისიმილაციით -ულ იხმარება (სირბილაული — სირბილა-
დის ქალი)⁵, ქვემოიმერულის წულუკიძურ თქმაში კი — ხე (კავკასიხე

¹ პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იბე-
რიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII. 1956, გვ. 128.

² შ. ძიძიგური, ძიებანი, გვ. 162.

³ ა. ცხადაძე, დასახ. შრ., გვ. 9.

⁴ პ. გაჩეჩილაძე, დასახ. შრომა, გვ. 234.

⁵ ო. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 172.

— ქავკანიძის ქალი) მეგრულის გავლენით:

ზემოიმერულში, ქვემოიმერულის საპირისპიროდ, უფროობითი ხარისხის საწარმოებლად გვხვდება უ — ე-ც: უ მ ა ლ ლ ე, უ ხ ნ ე, უ გ ე ნ რ ი ე ლ ე, უ დ ა ბ ლ ე, უ გ რ ძ ე².

ზმნა. ძველი ქართულის გარდა - ზმნისწინი ქვემოიმერულში გარა-ს ჰახით იხმარება: გ ა რ ა ა ქ ც ი ა, გ ა რ ა ა ხ ტ ა...

✓ შე- ზმნისწინი, როცა იგი შემო- ზმნისწინის კომპონენტია, მთელს იმერულში შა-ს სახით გვხვდება: შ ა მ ო ქ ე ხ ვ თ ა, შ ა მ ე ი ტ ა ნ ა...

ზემოიმერულში მო - ზმნისწინს მა - ცვლის, თუ მას მოსდევს სონორი მ: მამკლა, მამცა...

ყველგან, სადაც სალიტერატურო ქართულში - ნენ სუფიქსი იხმარება, იმერულში, ყველა დასავლური კილოს მსგავსად, გვაქვს - ენ: წ ე რ ე ნ, დ ე ი მ ა ლ ე ნ, მ ე ვ ი დ ე ნ...

ქვემოიმერულში ისე მძლავრია უნიფორმაციის ტენდენცია, რომ - ენ სუფიქსს ვხვდებით აწმყო-მყოფადში - ან სუფიქსის (თ ო ხ ნ ი ე ნ, ი მ ა ლ ე ბ ი ე ნ, გ ა თ ბ ე ბ ი ე ნ...), ხოლო გარდამავალ ზმნათა წყვეტილში - ეს სუფიქსის (და წ ე რ ე ნ, მ ო კ ლ ე ნ) მაგივრად. ინვერსიულ ზმნებში თ სუფიქსის ადგილასაც - ენ გამოიყენება (ა ქ ვ ე ნ, ძ ი ნ ა ვ ე ნ, უ ნ დ ე ნ, გ ო უ კ ე თ ე ბ ი ე ნ), რაც ზანური ნორმის გამოვლენაა³

აწმყოში - ან სუფიქსის ადგილას - ენ აქა-იქ ზემოიმერულშიც იხმარება, თ სუფიქსის ნაცვლად კი მას იქ ვერ ვხვდებით. გარდამავალ ზმნათა წყვეტილშიც, ჩვეულებრივ, არა - ენ, არამედ - ეს გამოიყენება. - ეს გვხვდება მარგველურ⁴ და ოკრიბულ⁵ თქმებშიაც.

ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავთა დაპირისპირება განსაკუთრებით - ავ და - ამ სუფიქსიან ზმნათა უღვლილებისას იგრძნობა.

ზემოიმერულში, ქვემოიმერული კილოკავის წინააღმდეგ და აღმოსავლური კილოების მსგავსად, აწმყოსა და მყოფადში მხოლოობითი რიცხვის სამსავე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში ხშირად, მესამეში იშვიათად - ავ სუფიქსის ადგილას - ამ

¹ შ. ძიძიგური, ძიებანი, გვ. 150.

² ლ. ლევაჯა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, 1958, გვ. 190.

³ არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 94.

⁴ ა. ცხადაძე, დასახ. შრ., გვ. 11.

⁵ ო. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 175.

გამოიყენება: ვკლამ, ბარამ, თესამს, ვკითხამთ, კერამთ, ართამენ...

და პირუკუ. აქა-იქ -ამ სუფიქსის ადვილას -ავ შეიმჩნევა ვასხავ, ვაბავ, ვირტყავ...

სალიტერატურო ქართულთან და ყველა სხვა კილოსთან შედარებით. ზემომიერულის თავისებურებად უნდა გამოიყოს აწმყო-მყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -ავ სუფიქსის ადვილას -ევ სუფიქსის ხმარება: კლევენ, კერევენ, ბარევენ, რთევენ. ფქვევენ... დათესვენ, დახნევენ...

-ევ გვხვდება უნიფიკაციის შედეგად -ამ სუფიქსიან ზმნებშიც: აბევენ, დგევენ, ჩაასხევენ...

ასეთ შემთხვევაში გვხვდება შეუშუშული ფორმებიც, რასაც ხშირად ხმარობს ა. წერეთელიც: თესვენ, ბარვენ, ვკითხვენ, ჩაასხმენ, დადგმენ...

აწმყო-მყოფადში -ავ სუფიქსიანი ზმნები უსუფიქსოდაც იხმარება: ზომს ქვითკირს მეტრობით... მოვა ჩემი ბიძაშვილი და შეეკერს ჩემ კაბას... ფქვენ სიშითს...

აწმოს ნაირნაირი წარმოება ამოსავალია უწყვეტლისა და მისგან ნაწარმოები კავშირებითი პირველის ნაირგვარი წარმოებისათვის. -ავ. -ამ სუფიქსების გვერდით მოხშირებულად იხმარება -ევ, -ემ: ვხხიდი, ვკერევიდი, ბარევიდი, ხნევიდა, ხედევიდა... ვაბიმიდი, აბემდენი, დადგემდა...

უნიფიკაციის შედეგად ორივე შემთხვევაში -ემ სუფიქსიც გამოიყენება, რის გამოც -ავ სუფიქსიანი ზმნები გარჩეული არ არის -ამ სუფიქსიანებისაგან: გკერევიმიდი, ვასხემიდი...

-ავ თემისნიშნისანი ზმნები უსუფიქსო აწმყოზე დაყრდნობით უწყვეტილში უსუფიქსოდ გვხვდება: გუმინ ზომა და ქვითკირს, მარა ვერ მოასწრო... დახარჯდა ფულს... ვლანძღდი იქალს... ნახდა, რო მოსულიყო...

სალიტერატურულში წყვეტილის პირველსა და მეორე პირში დასტურდება ე-ი-ც¹, რომელიც სისტემატურად იხმარება ქართლის მოსაზარე სოფლებში და უპირატესად ე-ი სახით არის წარმოდგენილი: მოვსპავი, მკითხევი... ავიდეი... გააკეთეი... ვიციდეი...

ზემომიერულისათვის დამახასიათებელია კავშირებით მეორეში, შიდაირ პირველშიც, ე-ს ნაცვლად ანალოგიის საფუძველზე ო-ს ხმარე-

¹ გ. როგავა, აორისტისა და კავშ. II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI (3), 1945, გვ. 647—698.

ბა: უნდა გადმოხტოს და მიცოს... ცუთს არ აკეთებდონ და პლანს არ იღებდონ...

იმერულში, სხვა დასავლური კილოების მსგავსად, თურმეობით პირველში - ავ და - ამ სუფიქსიან ზმნებს აქვთ - ია დაბოლოებაც (მოუკლია, დოუსხია...), მაგრამ ქვემოიმერულისთვის ნიშანდობლიობად უნდა გამოიყოს ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველის ასეთი წარმოება: წასულარიენ, გაზდილარიენ, დაწოლილარიენ...

ამგვარი ფორმების ანალოგიითაა ნაწარმოები სტატიკურ ზმნათა აწმყოც: მოდილარიენ, გეიჯილარიენ, დგალარიენ, წევლარიენ...

ასევე ქვემოიმერულისათვის, როგორც ლეჩხუმურისა და რაჭულისათვის, დამახასიათებელია დრო-კილოთა მეოთხე ჩვეულის ფორმები: მინავალა, ნაყვარება, ნაშენება, მინაქონა, ნაქარგავლარიენ... ნაწოლილიყავი, ნაცნობიყო...

ზემოიმერულში, ვანსაკუთრებით რაქის მოსაზღვრე სოფლებში, თურმეობითი მეორის ადგილას კავშირებითი მესამეც გამოიყენება: გივი უნდა ჩამოსულიყოს...

- ყე ნაწილაკი მთელ იმერულში გვხვდება, მაგრამ ზემოიმერულში იგი გადაშენებისთვისაა განწირული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზესტაფონისა და მის მოსაზღვრე ორჯონიკიძის რაიონის სოფლებს, სადაც ეს ნაწილაკი სისტემატურად იხმარება და გამოხატავს როგორც ირიბი, ისე პირდაპირი ობიექტისა და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობას: უთხარიყე იმათ... დავზარდეყე შვილები... ქე მოუკლავსყე დათვი...

ზემოიმერულში სახელთან - ყე ნაწილაკი არ გამოიყენება.

ამჟიარად და ამავე ფუნქციით იხმარება - ყე ნაწილაკი თირჯოლის, მაიაკოვსკის, ტყიბულის² რაიონებში და მარგველურ თქმაში.

ვანის რაიონში - ყენ იხმარება ზმნასთან იმავე ფუნქციით, როგორცაა ზემოიმერულში. ქვემო იმერეთის დანარჩენი რაიონების მეტყველებაში - ყე უფრო - კენ ნაწილაკის სახით გვხვდება და თონქცა-აც გაფართოებული აქვს: გამოხატავს კავშირებით მეორეში ქვიმდება-რის მრავლობითობას: მეიტანოსკენ, გააკეთოსკენ...

სუბიექტის -ს სუფიქსი და ნაწილაკის ყ ამ შემთხვევაშიც უპირატესად ქართულისათვის ბუნებრივ კომპლექსს წყ-ს იძლევა სამტრედინ-

¹ გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჩვეულის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 17-31.

² ო. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 173-175.

ულ და წულუკიძურ თქმებში: ააშენოწყენ... გაახაროწყენ, დეიმალოწყენ...

ქვემოიმერულის აქანა||აქანე, მაქანა||მაქანე, იქინა||იქინე ზმნი-
ზედების მნიშვნელობით ზემოიმერულში იხმარება აქ || აქა, იქ || იქა,
მანდ ზმნიზედის მნიშვნელობით კი — ექ, მადანა || მანა || მანა, მა-
და || მად... ქვემოიმერულის სა(დ) ზმნიზედის პარალელურად ზემო-
იმერულში გამოიყენება სადანა || საანა || სანა.

ქვემოიმერულის სამტრედიულ, წულუკიძურ და ვანის თქმებში
ტენდენციაა, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელიც უცვლელად შეეგუოს
საზღვრულს: საწყალი კაცმა... დიდი კეტს... მებადური კაცს...
ნასტავლი კაცად...

ქვემოიმერულში გარდაუვალ ზმნებთან სისტემატურად იხმარება
ქვემდებარე მოთხრობითში (მევიდა ბიქმა... დეეხმარამე-
ზობლებმა), ზემოიმერულში—უფრო იშვიათად და უფრო მაშინ.
როცა გარდაუვალ ზმნას გარდამავალი მოსდევს. ჩანს, მეგრულში დიდი
ხნის წინათ დამთავრებული უნიფიკაციის პროცესი მოქმედებს ქვემო-
იმერულში.

ამგვარად, შევეცადეთ სტატიკური ანალიზის გზით წარმოგვედგინა
თავისებურებანი, თანაბრად დამახასიათებელი იმერული კილოს ორი-
ვე კილოკაეისათვის, თანაც გამოგვეყო ნიშნები, რომლებიც ამ
ორ კილოკავს უპირისპირებს ერთმანეთს და თავის საკუთარ
ადგილს აკუთვნებს ქართული ენის სხვა კილო-თქმათა შორის.

ზუაიბერულის საკითხისათვის ზემოიბერულ და ქვემოიბერულ კილოკავებთან მიმართებით*

იბერული, რომლის მეტყველების არეს იბერეთი წარმოადგენს, ქართული ენის დასავლურ კილოთა შორის ყველაზე მსხვილი დიალექტური ერთეულია.

იბერული კილოსათვის ნიშანდობლივია ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია: ერთმანეთს უპირისპირდება ზემოიბერული და ქვემოიბერული კილოკავები, რომელთა ფარგლებში უფრო წყრილი დიალექტური ერთეულებიც გამოიყოფა თქმებისა და ქცევების სახით.

ზემოიბერული გავრცელებულია ზემო იბერეთში, რომელიც მოიცავს საჩხერის, ყოფილი ჭიათურის (ამჟამად ჭიათურის დაქვემდებარების სოფლების), ზესტაფონისა და ორჯონიკიძის ადმინისტრაციულ რაიონებს, ხოლო ქვემოიბერული — ქვემო იბერეთში, რომელსაც მიეკუთვნება თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიისა და ვანის რაიონები.

ნაწილობრივ ქვემოიბერულის მომხმარებელია აბაშის რაიონიც².

ზემო იბერეთს აღმოსავლეთით საზღვრავს ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით — აჭარა-იბერეთის ქედი, ჩრდილოეთით — რაჭის ქედი, მხოლოდ დასავლეთით არის ღია და ესაზღვრება კოლხეთის გაშლილი დაბლობი. ამ დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე მისი სამხრეთით განლაგებული გორაკ-ბორცვები მოსაზღვრე მთის კალთებით უჭირავს ქვემო იბერეთს. ქვემო იბერეთს სამხრეთით ესაზღვრება მესხეთი, ჩრდილოეთით — ნაქერალას ქედი და ზვამლის მთა,

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე 1965 წლის 26 დეკემბერს, დაბეჭდილია ჟურნალში „მაცნე“, 1967, № 3, გვ. 209—224.

² ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 436.

აღმოსავლეთით — ქიათურის, ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონებში.

იძვრეთის ამ ორ ნაწილს შორის ბუნებრივი პირობების შეცვლა თახდათანობით ხდება, მათ შორის სასაფლაოს ქმნის მხოლოდ გორაკ-ბორცვიანი ზოლი. რომელიც არ წარმოადგენს რაიმე ხანაოვან მიწას. გეოგრაფიულ დაბრკოლებას. მათი სოფლებიკ ამის გამო უშუალოდ ეკვრის ერთმანეთს და ჩნდება გარდამავალი ზოლი მერყევი თავისებურებებით — ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ნიშნებით. ამ გარდამავალი ზოლის მეტყველებას სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ შუაიმერული კილოკავის სახით. შუაიმერულს მიაკუთვნებენ თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას.

შუაიმერული შეიქლება იმერული კილოს ცალკე კილოკავად გამოყოფით, თუ მას აღმოაჩნდება ისეთი თავისთავადი ფონეტიკურ-გრამატიკური თუ ლექსიკური ნიშნები, რითაც იგი ქვემოიმერული და ზეწოიმერულა კილოკავეების გვერდით დადგება და მათ დაუპირისპირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში შუაიმერულის ცალკე კილოკავად გამოყოფა მხოლოდ მისი ნარევი შედგენილობის გამო პირობითი იქნება.

შუაიმერულად მიჩნეული მეტყველება კარგად არის შესწავლილი. ტყიბულის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების ანალიზს მიქვძენა ო. ახაიის შრომა „ოკრიბულის თავისებურებანი“ (იბერიულ-აიკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბილისი, 1954), ხოლო ლექსიკის შესწავლას მ. აღაიძის „ოკრიბული ლექსიკონი“ (ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. X-XI, ქუთაისი, 1950-51), მაიაკოვსკის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებათა კვლევას — პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება“ (იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი, 1956). ხოლო თერჯოლის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების ნიშანდობლიუობათა ჩვენებას — შ. ძიძიგურის ნაშრომი „თერჯოლური დიალექტები“ (ჩვენანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954). და აინც შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი სოფლების მიხედვით სერ კიდევ მთლიანად არ არის შესწავლილი. დასასტელებულ რაიონთა მეტყველების სოფელ-სოფელ შესწავლა კი ბევრ საინტერესო მასალას გამოაღწევნდა და უფრო სარწმუნოს გახდოდა, შეიძლებოდა თუ არა

1. ო. ახაიის შრომა, ქვემო იმერეთის ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1960. თბილისი, გვ. 10.

ზემო და ქვემოიმერულთან შეპირისპირებით ამ რაიონების მეტყველების ცალკე კილოკავად გამოყოფა.

ამ მიზნით ჩვენ დაკვირვება ვაწარმოეთ ტყიბულის რაიონის სოფლებში — მანდიკორში, გურნაში, სიჩხეთში, ბობოთსა და ცუცხეთში, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ზედა დიშში და თერჯოლის რაიონის სოფლებში — თერჯოლაში. ზედა საზანოსა და ეჭერში 1965 წლის 25 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე. დრო, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო დასახელებულ სოფელთა მეტყველების საფუძვლიანი შესწავლისათვის, მაგრამ მაინც გამოვლინდა ზოგი ისეთი ფაქტი, რაც სათანადო მკვლევარებში ნაჩვენები არ არის.

სპეციალური ლიტერატურის მონაცემებისა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა ცალკე გამოგვეყო ამ რაიონთა მეტყველებაში შემჩნეული თავისებურებანი, რომლებიც საერთოა მთელი იმერულისათვის, ან მხოლოდ ქვემოიმერულის თუ ზემოიმერულის დამახასიათებელია. ან კიდევ საერთოვ თითოეული მათგანისათვის არის ნიშანდობლივი.

ფონეტიკურ მოვლენათაგან, როგორც ცნობილია, იმერულში თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის გვერდით პროგრესული ასიმილაციაც დასტურდება. ასეთ შემთხვევაში გამჟღავნებული ყრუ ბგერაა, რომელიც მომდევნო მჟღერს იმაგავსებს ნაწილობრივ. ამ მხრივ ზემო და ქვემოიმერული ერთმანეთისაგან თითქმის არ სხვაობს. ხაზგასასმელია ისიც, რომ ორივე კილოკავში ძირითადად ერთნაირად აქვს აღიღებული თანხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციას, როცა ასიმილატორი ყრუ ფშვინიერი ან ყრუ სპირანტია. ხოლო, როცა გამჟღავნებული აბრუნებულია, მაშინ ქვემოიმერულში ასიმილაცია კანონზომიერად ტარდება (ტა, ყა, კპილი, გატყტა, კეტარი...). ზემოიმერულში კი პროცესი მერყეობს და, რაც უფრო ქართლისაკენ მივიწევთ, მით უფრო მატულობს უასიმილაციო ფორმები. ამ მხრივ ქვემოიმერულის დამახასიათებელი ვითარება აისახება ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მეტყველებაში, თერჯოლურში კი უასიმილაციო ფორმებიც გვხვდება ზემოიმერულის მსგავსად.

სმოჯანთა კომპლექსები რეგრესული ასიმილაციის მხრივ ზემო და ქვემოიმერულში უპირატესად თანაბარი ზანითის ცვლილებებს განიცდის და ამ საერთო კანონზომიერებას ემორჩილება სამივე საკვლევი რაიონის მეტყველებაც. მათთვისაც, როგორც ზემოიმერულისა და ქვემოიმერულის მეტწილი თქმებისათვის, უცხოა სრული ასიმილაცია აი, ოი და აუ კომპლექსებში, რაც ქვემოიმერულის სამტრედისული თქმისა და აბაშის რაიონის მეტყველებისათვის არის ნიშანდობლივი.

ოი კომპლექსში ასიმილაციას მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონში

სისტემატური ხასიათი აქვს, ტყიბულის რაიონში კი, როგორც ეს ს.ე-ციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, ამ პოზიციაში უასიმილაციო ფორმებიც ვვხვდებოდა ზემოიმერულის მსგავსად.

სიტყვის ბოლოს აე კომპლექსში, რომელიც წარმოიქმნება ა ხმოვანფუძიან სახელებზე მრავლობითის -ებ სუფიქსის დართვით, სამივე რაიონში უპირატესად უასიმილაციო ფორმები დაატურდება: სიმღერაები კაი ვიცოდით (მანდიკორი), ამ სიფართე ქონდა მაჯაები (გურნა), ის მასალაები იმას მოაწყობეს (სოჩხეთი), ვარიაები იყო (ზედა დიმი), ამისთანაები ქე უყვარსყე (თერჯოლა)...

ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის, მაგრამ გვხვდება ქვემოიმერულის ვანის თქმაშიც.

ეო კომპლექსში ოკრიბულსა და თერჯოლურში სრული ასიმილაციად ნიშანდობლივი: მოორე || მორე, მაიაკოვსკის რაიონში კი პროცესი ან ამ საფეხურზე ჩერდება, ან ქვემოიმერულის მსგავსად ადგილი უჩრება დისიმილაციას: მიორე (პ. გაჩეჩილაძე).

არც ერთ რაიონში რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი ასიმილაციურ ცვლილებას არ განიცდის, გადა- ზმნისწინი კი ტყიბულის რაიონში ორივე ხმოვნით ასიმილირდება ჩვეულებრივ (გერეიციხე ფს... ქკუაზე გერეეეი... ტკივილი გოროუარს), მაიაკოვსკისა და თერჯოლის რაიონებში ასიმილაციას, როგორც წესი, განიცდის მხოლოდ ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი (გარეეეკიდა, ზ. დიმი... გადაევირევი, თერჯოლა)...

თანამოვანთა დისიმილაციის ფაქტები იმერულის ორივე კილოკავში თითქმის ერთნაირია და ამ რაიონთა ჩვენებაც თავისებურს არაფერს გვაწვდის, მაგრამ გავხაზავთ, რომ შო- ზმნისწინი ხშირად შა-ს სახეს იღებს, როცა მას სონორი მ მოსდევს ზემოიმერულში და ეს მისთვის იმდენად დამახასიათებელია, რომ ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნეულობად გამოდგება ზემოიმერულის ქვემოიმერულისაგან გასამიჯნავად. ზემოიმერულის ნორმა მოქმედებს, როგორც ამას ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები მოწმობს, თერჯოლურშიც და მაიაკოვსკის რაიონშიც სოფელ ზედა დიმის მეტყველების მიხედვით. ორივეგან სისტემატურად იხმარება ამგვარი ფორმები: მამცეს, მამკლა, მამეწონა, მამცივიდა, მამავალი...

ტყიბულის რაიონის (ე. ი. ოკრიბულის) შესახებ არსებულ გამოკვლევაში ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ ესაა ნათქვამი: „იტყვიან: მამე, მამცა“¹, მაგრამ ჩვენ საანალიზო სოფლებში ამ პოზიციაში შა-ს ხმარება არ დაგვიდასტურებია და ოკრიბულისთვის, ქვემოიმერულის მსგავსად, ის დამახასიათებელი არც უნდა იყოს.

¹ ო. კახაძე, დასახ. შრომა, გვ. 172.

სონორ ბგერათა მეტათეზისი, რომელიც განსაკუთრებით ქვემოიმერულისთვისაა ნიშანდობლივი. ახასიათებს ოკრიბულსაც და მიაყოცის რაიონსაც. აქ იგი დასტურდება ისეთ სიტყვებში, რომლებშიაც ზემოიმერულში მას ვერ შეგვხვდებით: წ რ უ ბ ლ ე ბ ი ეიკიღე (აურნა), ძ ა ხ ი ა ლ ი, ექიმა გამდარია (გურნა), გასადარეეია (მანდიკორი), ს ე ლ დ ო (გურნა), ზ რ უ გ ი. ჯ რ ი კ ი (პ. გაჩეჩილაძე), ამას უნდა დავუმატოთ ოკრიბულში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები ჰ უ რ ტ ყ ვ ე ი (პირუტყვი) და მ ა ს კ ე ა ნ (მას უკან). რომლებშიც მომხდარ ცვლილებათა ახსნა მოცემული აქვს ო. კახაძეს¹.

ბგერათა დაკარგვის, განვითარებისა და შენაცვლების მხრივაც ზემოიმერული ძირითადად არ სხვაობს ქვემოიმერულსაგან და ამ მხრივ სამივე რაიონის მეტყველება მეტ-ნაკლებად თანაბარი ხასიათის ცვლილებებს იძლევა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული არ არის ოკრიბულის მიმართ, მაგრამ სამივე რაიონის მეტყველებაში განსაკუთრებით შესამჩნევია ღ-ს დაკარგვა სიტყვებში: წ ე ვ ე ი თ, მ ე ვ ე ი თ, მ ე ვ ე ლ ო თ, ვ ი ც ო ი თ, ს ა ი ლ ა თ, მ ა ა ნ ა, ს ა ა ნ ა, ს ა, ს ა ლ ა. ვ ე რ ს ა, ნ უ რ ს ა...

თერჯოლურსა და ოკრიბულში ძე-ზე დამთავრებულ გვარებში ძ იკარგება ამ პოზიციაში: ს ა ც ე რ ა ი ს. კ ო კ ე ლ ა ი ს, ხ ე რ ზ ა ი ს, გ ი ო რ გ ა ი ს ქალი...

თერჯოლურში იკარგება რ-ც. მაგრამ ჩვენი დაკვირვების ობიექტის მიხედვით, რ-ს დაკარგვის პროცესი ისე შორს არ უნდა იყოს წასული, რომ იგი თერჯოლურისათვის სადიფერენციაციო ნიშნად გამოდგოს².

სამივე რაიონისთვის, როგორც მთელი იმერულისთვის, დამახასიათებელია თ-ს დაკარგვა ჩვენებით ნაცვალსახელთა ნათესაობითში -თანა თანდებულის დართვისას: მ ი ს ა ნ ა, ი მ ი ს ა ნ ა, მაგრამ ოკრიბულში ქვემოიმერულის ნორმად, თ რომ არ არის რიცხვითი სახელის ერთმ-ს ფუძეში: ე რ ი ძ რ ო ხ ა, ე რ ი ფ ი ნ ჩ ხ ა, ე რ ე ა რ ე ბ ა³.

საინტერესოა ბგერათცვლილების ცალკეული დამახასიათებელი ფაქტებიც, რომლებიც ტერიტორიული განაწილების თვალსაზრისით საპირისპირო მაგალითებად გამოდგება⁴.

¹ ო. კახაძე, დასახ., შრომა, გვ. 170, უმშ. 3.

² შტრ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. შრომა, გვ. 157.

³ ქ. ლომთათიძეს ამ სიტყვაში თ ძირეულ მასალად არ მიიჩნია. ერთადრიცხვითი სახელის ისტორიისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, 1962, გვ. 72.

⁴ აშკამად არ ვეხებით ისეთ საპირისპირო მაგალითებს, როგორიცაა: ოკრიბულის ქ ლ ა თ || ქ ლ ა, წ ი ნ ა უ ლ ს, ხ წ ო რ ი, მ ო ს რ უ ლ ი, წ ე ვ ე ი ქ ე რ, ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ს თ ლ ა თ, წ რ ე უ ლ ს || წ რ ო უ ლ ს, ს წ ო რ ი, მ ო ს უ ლ ი, წ ე ვ ე ი ქ ე ე ი და სხვ.

შავალთად, რგ-ს დაქარგვას სიტყვაში კარგი და მის ხმარებას ვითარებით ბრუნვასი კაათ ფორმის სახით ზემო იმერეთის ორჯონიკიძის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონების მეტყველებაში სისტემატური ხასიათი აქვს, ქვემოიმერულში კი ამ სიტყვაში შემავალი რგ კომპლექსის უკანაენისმიერი შედერი ყრუედება მხოლოდ (კარქი, კარქაო) და პროცესი ამ საფეხურზე ჩერდება. ქვემოიმერულის ეს ნორა დატულია არა მარტო საკვლევი რაიონების მეტყველებაში, ქვემო იმერეთის მიჯნაზე მდებარე ზემო იმერეთის სოფლებშიც კი.

რედუქციის კანონის მოქმედების მოდუნება მთელი იმერულისთვისაა ნიშანდობლივი, მაგრამ აღნიშვნის ღირსია. რომ ზემოიმერულის მეტწილ თქმებში შეკუმშულია სიტყვა დარი (დრით)', ქვემოიმერულში კი უკუმშველია და ქვემოიმერულის ვითარება ჯვარს შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მეტყველებაშიც².

ბგერათა წენაცვლების თვალსაზრისით ცალკეული რაიონების მიხედვით დამახასიათებელ თავისებურებათა ჩვენება შორს წაგვიყვანდა, აღვიშნავთ მხოლოდ, რომ ამ მხრივ ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონების მეტყველება სოფ. ზედა დიმის მიხედვით ქვემოიმერულის ნორმებს იცავს. ამას მოწმობს ვ ბგერასთან დაკავშირებულ კომპლექსთა ცვლილებებიც. მაგალითად. ასუმს, აქუმს, აცუმს, ართუმს, წუმს. წუმს ფორმათა ხმარება თანაბრად დამახასიათებელია ორივე რაიონის მეტყველებისათვის³.

გრამატიკული თავისებურებანი, რომლებიც აღნიშნულ რაიონთა მეტყველებაში სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით შეიმჩნევა, ძირითადად ან მთელი იმერულისთვისაა დამახასიათებელი, ან კიდევ ზემოიმერულის თუ ქვემოიმერულის კუთვნილებაა.

აღნიშნულ თავისებურებათაგან იმერული კილოს ორივე კილოჯვში გვხვდება: -ში თანდებულის ნაცვლად, ისიც გარკვეულ სიტყვებში და იშვიათად. -ჩი (ამაჩი, იმაჩი). -თვის თანდებულის ვარიანტი -თვინ. -გან თანდებულისი მოქმედებითაა შუალაოკური ფორმები. რა კიახვითი ნაცვალსახელის უკვეცელი ფორმები მოქმედებითაა (რათი) და ნანათესაობითარ სახელობითში (რანისი), მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენებთ ნაცვალსახელთან მხოლოდ თავიკიდური სმოენის ხმარება

¹ ზემოიმერულის ზოგიერთ ქვევაში იკუმშება ჯარიც — ჯრით. ამდენად მაიაკოვსკის რაიონში ამ სიტყვის შეკუმშვა მომართბ-ში ინდოევრულიურ მოვლენად აღარ ჩანს (მდრ. პ. გაჩეჩილაძე, დასახ. შრ., გვ. 126).

² სამაგვიროდ თქმებულში ყურძნის ერთ-ერთი ჭიშის სახელწოდება საფერი ეკვალსთან ერთად იკუმშება: საფრის ღვინო; საფრით შეიღებე ღვინო.

³ ვი კომპლექსის უ-ლ შეცვლა შ. ძიძიგურს დადასტურებული აქვს სიტყვაში ღვინო—ღუნო თერჯოლაში და მას რაქელის გავლენით ხსნის: დასახ. შრ., გვ. 155.

(ე კაცი, ი ბოეში). ხელშესახები მეტაანალიზის პროცესი (თანხმოდან-ფუძიან საკუთარ სახელთა სახელობითის ი ფუძიხეულ მასალად არის გაგებული და სხვა ბრუნვებშიც გადაყოლილია: გასინჯა ვ არ ლ ა მ ი მ . ერთი შვილი ყავს ბ ი ქ ტ ო რ ი ს), გათხოვილი ქალის მშობლიური გეარის განოსასაბატავად -ურ სუფიქსი, რომელიც ფუძიხეულ ასიმილირებულ სწოანთან ერთად წარმოგვიდგება -ოურ-ის სახით და რომელიც ოკრიბულში დისიმილირებული იხმარება ჩვეულებრივ (ს ი რ ბ ი ლ ო უ ლ -ი), შე- ზმნისწინის ნაცვლად შა-, მაგრამ არა იშვიათად, როგორც ეს ოკრიბულის შესახებ არის აღნიშნული, არამედ ყოველთვის, როცა შე- რთული შემო- ზმნისწინის კომპონენტია (შამევიდა. შამოაგდო), უ სწონით დაწყებულ ზმნებში პირველი სუბიექტური პირის ნიშნის უქმარებლობა, მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის ნიშნის ზმარებისას გარკვეული წესის დაუცველობა¹. -ან სუფიქსის ადგილას -ენ სუფიქსის მოჭარბებული ხმარება, კაუზატივის -ინ და -ევის სუფიქსების ბოლოციდური სონორის დაქარგვა. -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა თურმეობით პირველში და სტატიკურ ზმნათა აწყყოში უნიფიკაციის მოქმედების შედეგად -ია სუფიქსის გამოყენება (მ ო უ კ ლ ი ა, დ ო უ ბ ნ ი ა... ჯ დ ი ა, გ დ ი ა)...

დამახასიათებელია ნამიმდებობარი ზმნების ზმარება: ძ ე ნ ი ლ ო ფ ს, ც ხ ო ბ ი ლ ო ფ ს. ტ ა ნ უ ლ ო ფ ს, კ პ ე ნ ი ლ ო ფ ს, ხ მ ა რ უ ლ ო ფ ს და სხვა.

სინტაქსუო თავისებურებათაგან განსაკუთრებით გასახაზავია კრებითი სახელით გამოხატულ ან ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნიშვნელი მსაზღვრელით განსაზღვრულ ქვემდებარესთან შემასმენლის მრავლობითი რიცხვის ფორმით შეწყობა.

ზ ე მ ო ი მ ე რ უ ლ ი ს ნიშნეულობიდან სამივე რაიონის მეტყველებ-ბაში შეიმჩნევა -ეს სუფიქსის უპირატესი ხმარება გარდამავალ ზმნათა წყვიტილში III სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად: ვამბობთ, უპირატესიო იმიტომ, რომ -ეს სუფიქსის ადგილას -ენ სუფიქსიც გვხვდება ხოლმე. მაგალითად: ქათამი გაუტეს. მოხარჩეს, და-აწყყვის საინზე. დაჯდენ, ჭ ა მ ე ნ ქათამი, პური და გან ა გ რ ძ ე ე ნ გ ჯ ა (სოჩხეთი)...

¹ პრეფიქსითან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე რაიონში, მაგრამ უფრო მოხშირებულად ოკრიბულში, შეინიშნება ყართან პ-ს ხმარებისას ზემო-ნიშნულში შემჩნეული და გურულისა და ლეჩხუმურის დამახასიათებელი ვითარება: ხ ა ე ს, მ ი ხ ა ე ს. ეს მოკლეა შეიძლება ბგერათა შერწყმის ნიადაგზე ავიყვხსნა. რომ ხ არ გვეონდეს ამ ზმნებთან I-II ობიექტურ პირებშიც: ქ ე ხ ა ე ს. მ ი ქ ხ ო ბ ა. გ ა ქ ხ ო ბ ა. აქ საუბრითერთო ასიმილაციისა და დისიმილაციური გაფშვნივიერების შედეგი უფრო უნდა გვიჩნდეს. თუმცა ყ-სთან ხ-ს მონაცვლეობა შეინიშნება იმე-რულში უკველგვარი ასიმილაციის გარეშეც (ყანწი -ხანწი).

კავშირებით მეორეში -ე სუფიქსის ადგილას ო-ს ხმარება ფიქსირებულია მხოლოდ ვ ე ლ ზმნაში (მევიდოს).

ზემოიმერულის მსგავსად სახელებთან ყ ე ნაწილაკი არ იხმარება, ზმნებთან კი გამოიყენება იმავე ფუნქციით. როგორც ზემოიმერულში პირშიმართი დამატებისა და რეალური ქვემდებარის მრავლობითობის გაქოსახატავად.

ადგილის ზმნიზედები ქვემოიმერულისებურადაც გვხვდება და ზემოიმერულისებურადაც, მაგრამ თერჯოლურში მ ა დ ა ნ ა, ს ა დ ა ნ ა-ც იხმარება დ დაკარგულ ს ა ა ნ ა, მ ა ა ნ ა-სთან ერთად, ოკრიბასა და მაიაკოვსკის რაიონში კი, ჩვენი მასალების მიხედვით. მხოლოდ დ დაკარგული ფორმები გამოიყენება.

ჩამოვე რაიონის მეტყველებაში შეინიშნება, ოლონდ მეტ-ნაკლებად, თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცილ სახელთა ნათესაობითა და მოქმედებითში ემფატიკური ა-ს ბაღლად -ი:

აქ არაა უფლება ჩ ა წ ე რ ი ს ი (სოჩხეთი).

ამის მოქმელი ი-ს ხმარობდა მოქმედებითშიც:

გლენი გ ვ ა რ ო ბ ი თ ი სოჩხეთში შარვაძე და ბეშენაძე მეტია (იქვე).

თერჯოლურში ასეთ შემთხვევაში ი შედარებით უფრო ხშირად შეინიშნება: თუ კი შეიძლება, მიხვებით, რო ზნეობა იცის კ ა ც ი ს ი...

თუ კი შეიმყოფთ ადამიანს არა ს ი ე შ მ ა კ ი თ ი, არამედ ვულით. სასიამუნოა (თერჯოლა).

თერჯოლურში ი გამოიყენება აქა-იქ -გან თანდებულისანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლოსაც:

დედამისს მოუტანია ახალი ბლუზა ბ ა ზ რ ი დ ა ნ ი... ეს ბოეში მოსულა ს კ ო ლ ი დ ა ნ ი (თერჯოლა).

მაიაკოვსკის რაიონში პ. გაჩეჩილაძეს ი დადასტურებულ აქვს შემდეგ მაგალითებში: შ ო რ ი დ ა ნ ი, მ ა ლ ლ ი დ ა ნ ი.

ი დართული ფორმების ხმარება, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან მიხედვით, ოკრიბულისა და მაიაკოვსკის რაიონის მეტყველებისათვის დამახასიათებელი არ არის, თერჯოლურშიც მისი გამოყენება ზემოიმერულთან შედარებით ხშირი არაა.

ოკრიბულში ზემოიმერულის სხვა თავისებურება არ შეგვიინიშნავს, მაიაკოვსკის რაიონისთვის კი დასახელებულ ფაქტებს ზემოიმერულის თავისებურებათა თვალსაზრისით უნდა დავუმატოთ: თანხმოვანფუძიანი სახელები წოდებითში გვხვდება ო დაბოლოებითაც: მ ა რ ი ა მ ო, ა დ ა მ ო. გ ო რ გ ე ნ ო (პ. გაჩეჩილაძე), პირთა ნაცვალსახელები შ ე ნ ე. ჩ ვ ე ნ ე, თ ქ ვ ე ნ ე -ს სახით იხმარება, ქვემოიმერულის დამახასიათებელ ვ ი ნ ც ხ ა, რ ა ც ხ ა ნაცვალსახელთა პარალელურად, თუმცა გაცი-

ლებით იშვიათად, ზემოიმერულისთვის ნიშანდობლივი ვინძახა, რაძახაც გვხვდება, გადმონაშთის სახით პ. გაჩეჩილაძეს -ავ სუფიქსიან ზმნათა უწყვეტელში ევ-დ ტიპის წარმოებაც აქვს დადასტურებული, დასახელებულია მხოლოდ ერთი მაგალითი: ღიერი ხნევედა ყანასა (გვ. 137), -ევ სუფიქსს ხანურ-ზეგნურში, პ. გაჩეჩილაძისვე მიხედვით, -ევ ენაცვლება: მკლებდით, ხნებდა, წირებდენ. ეს უკვე საყურადღებო ნეოლოგიზმია. დღეს ევ-დ ტიპის წარმოება, რომელიც ზემოიმერულისთვისაა ნორმა, მაიაკოვსკის რაიონში თითქმის არ გამოიყენება.

ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონებთან შედარებით ზემოიმერულის ნიშნეულობა თერჯოლურში უფრო ჰარბად არის მოცემული და უფრო ფართოდაც მოხმარებული. ამიტომ შ. ძიძიგური აზრი, რომ ძირითადი ბუნება ამ რაიონის მეტყველებისა ზემოიმერულის ტიპისაა, მაგრამ მასში თვალსაჩინო დოზით წარმოდგენილია ქვემოიმერულის ელემენტებიც¹, სწორად ასახავს საქმის ვითარებას.

ზემოიმერულის დამახასიათებელ ჩამოთვლილ თავისებურებათა გარდა, რაც თერჯოლურს საერთო აქვს მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მეტყველებასთან, გამოკვლევაში აღნიშნულია სხვა თავისებურებანიც, სახელდობრ: ის ჩვენებითი ნაცვალსახელის სრული ისი-სახით ხმარება, განუსაზღვრელ ნაცვალსახელთა კონტამინაციურ ვინძახა, რაძახას-ს გვერდით პროგრესული ასამილაციის შედეგად მიღებული ფორმების გამოყენება ცა ნაწილაკის ა ხმოვნის მოუყვეცავად: ვინცახა, რაცახა, -ავ სუფიქსიანი ზმნების უსუფიქსოდაც ხმარება უწყვიტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში: ანახდე. ეხატდე, ხარშდა. გაბედდით; ოდ სუფიქსიანი თურმეობითის ადგილას მეჭვილზმნიანი ფორმების სიხშირე: მოსვლიყო. ჩაყოლიყო, შეიძლებიყო; მანდ ზმნიზედის მნიშვნელობით მადერ. მადანას-ს გამოყენება; რაკი კავშირის მნიშვნელობით რაღაი-ს ხმარება, ქვედაქე ნაწილაკის პარალელური გამოყენება.

აღნიშნულ თავისებურებებს ჩვენი დაკვირვების მიხედვით უნდა დავმატოს:

ზემოიმერულსა და მაიაკოვსკის რაიონის მსგავსად პირთა ნაცვალსახელები იხმარება შენე, ჩაენე. თქვენე -ს სახით. ჩვენებითი ნაცვალსახელთაგან სრული სახით იხმარება არა მხოლოდ ის არამედ ეს და იგ ნაცივალსახელებიც (ესე. ეგე. ისი). ეს ნაცივალსახელს, როგორც ზემოიმერულში. სხვა ბრუნებშიც აქვს ჩვენებითობის ე ხმოვიანი მან. ე მას, ე მათ: ზემოიმერულის მსგავსად, თერჯოლურში ხშირად გამოიყენება ანალოგიური წარმოება: ა მათ მა. ი მათ მა; სტა-

¹ შ. ძიძიგური, დასახ. შრომა. გვ. 153.

ტიკური სმნები დგას. წეეს, ჩანს, პეაეს და მისთ. ფუქეში მომხ-
დარი ცელილებების მიხედვით ზემოიმერულსა და თერჯოლურში არ
სხვაობს, აწმეოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას კი
განსხვავება თვალსაჩინოა. თერჯოლურში ზემოიმერულის ნორმატ მოქ-
მედებს და ქვემოიმერულისატ, ამიტომ ორგანული წარმოების გვერდით
აღწერითი წარმოებატ მეტად ხელშესახებია.

ზემოიმერულის ნორმის მიხედვით: ჩემი სტუმრები მოჩარან
(ზედა საზანო). ერთი მაშინა კომბოსტო მეიტანეს, ჩვენ ოჯახში დგა-
რან (იქვე), ესენი წუხრენ (იქვე), დები გაერენ ერთმანეთს (თერ-
ჯოლა).

ქვემოიმერულის ნორმების შესაბამისად: ეგერას დგალარიენ
|| დგილარიენ (პირველ პირშიც გვაქვს ფუქეში ი: ვდგივარ,
ვდგივართ). ზილარიენ სტუმრები, დათვრენ და წეელა-
რიენ (ზედა საზანო), ხალხს გავლარიენ (იქვე), უკვე სოლი-
ლარიენ (თერჯოლა).

† ვრთპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობით პირველშიც ჭიათრა-
სა და ზესტაფონის მიჯნაზე მდებარე ზემო იმერეთის სოფლებში შე-
ჩხეული ვითარებატ დასტურდება და ქვემოიმერულის აღწერითი წარ-
მოებატ: გადარეულენ სუყველა... ჩემი ძახლები ყოფილენ
იქნა... მაგრამ: რო მოუვიდაყე ამბავი, მორე დღესვე წასულარი-
ენ...

ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი ერთსა და იმავე ფრაზაში
ზარალელური ფორმები იხმარება:

თურმე რო წეიყვანეს, მისანა ვავონში ყოფილარიენ დამქლარი.
რო რუსებიც ყოფილენ (თერჯოლა)... წამოსულენ იქედან, მო-
სულარიენ, რომ გადმოსულარიენ სვირში, თურმე ბიჭები
თამაშობენ (იქვე)...

თემის ნიშანთა მონაცვლეობა, რაც ზემოიმერულისთვისაა ნიშან-
დობლივი. შეიძნევა თერჯოლურშიაც: ავ სუფიქსის ადგილას -ამ იხმა-
რება, თუმცა არა ისე მოხმირებულად, როგორც ზემოიმერულში, და
პირიქით: -ამ სუფიქსის ადგილას აქა-იქ -ავ გამოიყენება: მამაჩემი ღვი-
ნოს არ სეავს, ჩვენ ესეათ: მირტყავ და (ზედა საზანო)...

-ავ სუფიქსის ადგილას -ებ სუფიქსიც გვხვდება, რაც შ. ძიძი-
გურს აონიშნული აქვს და სათანაო მგალითებიც (რასახელებულია
(შამოკრებს. გადაკრებდენ, გლეჯებს...)?, ამ მხრივ

1. შ. ძიძიანიძე. უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემო-
იმერულ კილოვაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV, 1964, გვ. 192-
193.

2. შ. ძიძიგური, დასახ. შრომა, გვ. 160.

თერჯოლურში და მაიაკოვსკის რაიონის მეტყველებაში ერთგვარი მდგომარეობა დასტურდება. თემის ნიშანთა ასეთი მონაცვლეობა უცხო არ არის ზემოიმერულისთვისაც.

-ეგ სუფიქსის ნაცვლად ი-ც შეგვხვდა: ძროხას აკმიდა თურმე და ყურობდა (თერჯოლა); იქნება ქე წაართმიდა (იქვე).

-ავ სუფიქსის ადგილას -ოზ სუფიქსიც დასტურდება: მე ვზრუნ-ოფ, კაცი მისთვის ზრუნოფს (თერჯოლა)...

ხესტაფონის რაიონის სოფლების მსგავსად, დამახასიათებელია თურქობითი პირველის ანალოგიით თურქობით მეორეში ეთქვა აზმის ამგვარი ხმარება: ქმარს რა უნდა ეთქვი ა... ისეთი პირობები შეუქმნით, რო წვეიდაო. ასე ეთქვი ა (თერჯოლა)...

ზის და სხედს არ იხმარება, ორივე შემთხვევაში ჭი ფუქვა გამოყენებული (ჯის, ჯიან || ჯილარიენ).

აქვს ზმნა -ყე ნაწილაკის დართვისას იმავე ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის, რასაც ზემოიმერულში: აქყე.

აქა, იქ ადგილის პირველადი ზმნიზედების გვერდით იშვიათად არ ვხვდება აქა, იქა და ნა ნაწილაკდართული აქანა. იქანა: იქინა კი. რომელიც ზემოიმერულში არ იხმარება (ქვემოიმერულის გავლენით მისი ხმარება დასტურდება სვირში), არც აქ შეგვხვედრია.

ზემოიმერულის მსგავსად თერჯოლურსაც ახასიათებს ზმნიზედებისა და ნაწილაკების ე ხმოვნით დაბოლოება და ვლებულობთ პარალელურ ფორმებს: სულა || სულე. ჩქარა || ჩქარე. ზედა || ზედე, ძირა || ძირე, დღესა || დღესე...

პარალელური ფორმები ც ნაწილაკის ხმარების შემთხვევაშიც შეიძლება:

საწნახელი შეიძლება ცემენტისაც. შეიძლება ხისეც (თერჯოლა)...

ე გვხვდება დადასტურებითსა და კითხვით ნაწილაკებთანაც:

— ისწავლე? — კიე... ფოლადის კბილები აქ, ეტყინება თუე? ილია გუმინდელი ბოვშია თუე?

ამ ნაწილაკთა ბოლო ხმოვანი მეტად გავრქელებულად წარმოითქმის და შეიძლება კაცმა იფიქროს. ეოკალური ფონის შექმნის საჭიროებამ წარმოქმნა ეს ე-ო.

სხვათა სიტყვის ო ნაწილაკის წინ თანხმოვნებთან იხმარება ნართაული ა ზემოიმერულისა და რაჭულის? მსგავსად: პატივი მცეს.

¹ ქ. ძოწენიძე. ზემოიმერული კილოვანი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1952-53, გვ. 97-98.

² ე. თოფურიძე, მთარაქულის დახასიათებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 245.

სტუმარი ხ არ აო (ზედა საზანო)... თქვენ მაგას მო ა ქ აო, მაგის არ ი-
ს აო (იქვე)...

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თერჯოლურში ხმოვანცუქიან
სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშნად დაერთვის ი. მაგრამ ამ შემ-
თხვევაში. ზემოიმერულის მსგავსად, იგი არ იწვევს იმ ფონეტიკურ
ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს ქვემოიმერულ კილოვანებში. მაიაკოვ-
სკის რაიონში კი სახელობითის ი ფორმანტი, როგორც ეს სპეციალურ
ლიტერატურაშიც აღნიშნულია, ზოგიერთი სახელის ფუძისეულ ა ხმო-
ვანს ე-დ აქცევს რეგრესული ასიმილაციის შედეგად¹. გამოგზავნა
დ ე დ ე ი... მ ა მ ი დ ე ი სულ ავთ იყო; მ ა ყ ვ ა ლ ე ი არ მინახია...
ვეხაცვალოს გო გ უ ც ე ი...

ასეთი წარმოება ისე გავრცელებულია სოფელ ზედა დიშის მიხედ-
ვით (დიში კი მაიაკოვსკის რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სო-
ფელია), რომ იგი გვხვდება ასეთ შემთხვევებშიაც: ნუ ცთები ტ ყ უ-
ლ ა თ ე ი... ვ ა ქ უ მ დ ი მ ა რ ტ ვ ა ნ ე ი... ი ქ ი ნ ე ი იყო... ვ ა კ ც ე წ ე ხ ა-
ნ ე ი...

ხშირად გვხვდება ი დაკარგული ფორმებიც: ტ ო ნ ი ე კ არ ქ ა თ ა ა...
ზ უ რ ი კ ი ე ჩ ე მ ხ ე ლ შ ი გაზდილია...

ასევე ჩვეულებრივია წ ი ნ ე, ზ ე დ ე, ძ ი რ ე და მსგავს ხმნიშედა-
თა ხმარება.

ხათესაობითსა და მოქმედებითში ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმ-
ნილი ფუძეც უცვლელია და ბრუნვის ნიშანიც შენახული: დ ე დ ე ი ს
გაზდილია ბოვში... ს ე რ ი ო ყ ე ი ს და ზ ა ი რ ე ი უ რ ც ხ ო ე ნ ე ბ ის მ ა ს წ ა ვ-
ლებელია... წ ე ე რ თ მ ი ა ნ ა დ ე ყ ნ ე ი ზ ა ს ა კ მ ე ლ ი... ა ნ ი კ ა ბ ი ც ო-
ლ ე ი დ ა ნ მ ა ხ ს ო ვ ს (ზედა დიში)...

-ია სუფიქსიანი სახელები პარალელურ ფორმებსაც გვიჩვენებს
სრული ასიმილაციის ნიადაგზე. ეს მოვლენაც მაიაკოვსკის რაიონისთ-
ვის დიშის მიხედვით მეტად ნიშანდობლივია. ამ რაიონის მეტყველების
შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში კი იგი ყურადღების ვარგეშა
დარჩენილი.

ავტონაოთში მუშაოფს ტ ე რ ე ნ ტ ი ი... ვ ე ნ ე რ ი ი რ ე ი ქ ნ ა...
გამოუგზავნია ქ ს ე ნ ი ი. მ ა ყ ვ ა ლ ა ი ნ ა მ ე ტ ა ნ ი ა ვ ი ა... მაგრამ მოთ-
ხრობითში გვაქვს: მ ა ყ ვ ა ლ ი ა მ დ ა გ ვ ა ნ ე ლ ა (ზედა დიში).

თ ი ნ ა ი ს ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ა... ი ლ ი ს ბ ი კ ა (იქვე)...

ა ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას აღნიშნული თავისებურება,

¹ ო. კ ა ხ ა ძ ე. ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის
ქვემოიმერულში, იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1953. გვ. 189-
192; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართვე-
ლურ ენებში, იქვე, ტ. VI, გვ. 448-451.

რომელიც მაიაკოვსკის რაიონის მეტყველებაში მეტად ხელშესახებად არის წარმოდგენილი, ქვემოიმერულს მკვეთრად უპირისპირებს ზემო-იმერულს და ერთ-ერთ მთავარ ნიშნეულობად გამოდგება მათი ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოსაყოფად.

ქვემოიმერულის თავისებურებები ვლინდება აგრეთვე ნაცვალსახელთა ხმარებისას: მრავლობით რიცხვში სისტემატურად გამოიყენება ამაგენმა და მაგენმა (|| მაგათმა), იმაგენმა (|| იმათმა). გაბატონებულია პროგრესული ასიმილაციის გზით მიღებული ვინცხა, რაცხა ნაცვალსახელის ხმარება, უარყოფითი ნაცვალსახელი არავინ, ვერავინ ასიმილირებული სახით იხმარება, ფუძედაა გაგებული და ბრუნვის ნიშნებს დაირთავს: არევინი იყო... ვერე-ვინმა ვერნახა... არევინის სათრი არმაქ (ზ. დიმი)...

კნიზობითობისათვის ზემოიმერულში უპირატესად -ა სუფიქსია გავრცელებული (ვასილა, გრიგოლა). ქვემოიმერულში და მაიაკოვსკის რაიონშიც — ია (ედუკია || ედუკიე). -ელ სუფიქსი კი, რომელიც მაიაკოვსკის რაიონში სისტემატურად იხმარება (კოლიელა), ქვემოიმერულისთვისაა ნიშანდობლივი და ზემოიმერულში იშვიათად თუ შეგვხვდება.

ძველი ქართლის გარდა- ზმნისწინი, წინააღმდეგ თერჯოლურისა, გარა -ს სახით იხმარება და ესეც ერთ-ერთი სადიფერენციაციო ნიშანია ქვემოიმერულის კილოკავად გამოსაყოფად.

გაბატონებულია სტატიკურ ზმნათა აწმყოში და ერთპირიან ზმნათა თურმეობით პირველში აღწერთი წარმოება: ეგერას წევლარი-ენ... ლურჯი ჩამლარი-ენ... ყველა ერთათ დაყრილარი-ენ... ჩვენთან ყოფილარი-ენ...

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენები არ არის, რომ ამ რაიონში ნა-პრეფიქსიანი თურმეობითი პირველიც გვხვდება: იგინი შინაფლარი-ენ... ბევრს ნაფიქრალა... ნაყვარება იგოგო (ზედა დიმი)...

აქვს ზმნაზე -ყე ნაწილაკის დართვისას თუ თერჯოლურში ზემო-იმერულისებური წარმოება გვაქვს (აქყე), მაიაკოვსკის რაიონში ქვემოიმერულის ნორმაა მოქმედი: აყვენ, მოაყვენ, მიაყვენ...

ზანგასასმელია ისიც, რომ მაიაკოვსკის რაიონში სოფ. ზედა დიმიხ მეტყველების მიხედვით -ყე-ს პარალელურად -ყენ სხვა შემთხვევებშიც გვხვდება: დღეს უქირსყენ მაგენს... დოუნთეყენ ბოფ-შეფს ცეცხლი...

-თქვა ნაწილაკი იხმარება მეთქი -ს ნაცვლად, მაგრამ არც ამ ნაწილაკის წინ და არც თ-ს წინ ნართაული არ გვხვდება.

ჩვეულებრივია ზმნიზედების აქანა, იქანა || იქინეი-ს გამო-
ყენება: ასევე ის თეველე. ტყულათე, მარტვანე-ს ხმარება.

თერჯოლურში თუ პარალელურად იხმარება ქვეც და ქეც, მაი-
აკოვსკის რაიონში მხოლოდ ქე გვხვდება და ესეც ქვემოიმერულის
ნორმაა

ტყიბულის რაიონის, ანუ ოკრიბულის, შესახებ გამოკვლევაში იმ
თავისებურებათა შორის, რომლებიც ოკრიბულს ახასიათებს, საკუთ-
რივე ქვემოიმერულის ნიშნეულობად უნდა გამოიყოს: გარდა- ზმნის-
წიანის გარა-ს სახით ხმარება, ნა- პრეფიქსიანი თურმეობითი პირვე-
ლის (ნაწერავა, ნაკეთება, ნაცხოვრება, ნაძულება
და სხვ.) სისტემატური გამოყენება უწყვეტლის, აწმყო-მყოფადისა და
უდროო ფორმების გაგებით, ზმნიზედების ამ სახით გამოყენება: ჩუ-
ქათანა, ძალათანა || ძალითანა, მარტვანა.

ამ თავისებურებებს ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით
უნდა დაუმატოთ: ჩვენებითი, განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაც-
ვალსაქელები იმგვარადვე იხმარება, როგორც მაიაკოვსკის რაიონში,
ქვემოიმერულის ნორმების შესაბამისად. ასევე უნდა ვთქვათ -გან
თანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვის შესახებაც, რომლის შუალე-
დური ფორმების ხმარებისას თანდებულის სმოვანი ელემენტი ქვემო-
იმერულისებურად ზოგჯერ შეცვლილია: სიდგინ არი მოსრული?

-ვენ თანდებული კე-ს სახითაც გვხვდება აქა-იქ, მაგრამ არა მხო-
ლოდ ოკრიბულში, არამედ, როგორც ეს აღნიშნულია, თერჯოლისა და
მაიაკოვსკის რაიონებშიც.

ქვემოიმერულის ვითარება დასტურდება კინობითობის აფიქსთა
გამოყენებისას!

ფართოდაა გავრცელებული ასეთი წარმოებაც: ურეცხავდაყე
სახდროსანს სარეცხს... ახლოსაა გალინასანზე...

-თ სუფიქსის მაგვრად -ენ სუფიქსის ხმარების მხოლოდ ერთი მა-
კალითი გვაქვს ჩაწერილი:

ფული აქვენ (მანდიკორი).

-ოკრიბულისთვის. ჩვემოიმერულის მსგავსად. -ავ სუფიქსის ხმა-
რებაა დამატებითი აწმყოფის ყვილა მწკრივში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული არ არის, ოკრიბულისათ-

1 აღრადლებას იქცევს ის ფაქტი, რომ ადამიანთა საღერობ-ს წარმოებისას
ზოგიერთ ვთ და ის სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელს ეს სუფიქსები ეკუთვნება.
საღერობ ტერო ქართულში კი ისინი, ალბათ, სემანტიკური ფაქტორის მოქმედ-
ების შედეგად. შენახულია: ვითხოვე კისორელი (=კისორეთელი) ქალი... სიმო-
ნალი (=სიმონეთელი) სულამანიძის ქალი იყო... ძმუელები (=ძმუისელები)
არქათ მღერაან.

ვის კი ნიშანდობლივად უნდა გამოიყოს დრო-კილოთა მე-4 ჯგუფის ფორმებთან ერთად¹ აღწერიითი ფორმების ხმარება სტატიურ ზმნათა აწმყოსა და თურმეობით პირველში.

თურმეობითი პირველი: მოცეეხილარიენ (მანდიკორი), აქანა აღარ გაკაკანებულარიენ. უბედურები ყოფილარიენ (გურნა)...

პროცესი ისე შორს მიდის, რომ ანალოგიური წარმოება შეიმჩნევა ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებთანაც: მოფერებილარიენ პირში (მანდიკორი), მასკვან აღარ მინახავლარიენო... არ მინახავლარიენ დიდი ხანია (მანდიკორი)...

სტატიურ ზმნათა აწმყო: ქალები დგალარიენ... სახთან დგილარიენ... პურის საკმელად ჭილარიენ || ჯდილარიენ... წუხლარიენ (ერთი ლეჩხუმელი ამბობდა: წუხლან)...

შსგავსი წარმოება ორპირიან ზმნებსაც ახასიათებს: იგინი ჯობლარიენ... მიჩერებლარიენ, როის მოკტებო (ბობოთი). ბოჭები მამიდფეს გავლარიენ (გურნა)...

სათეი წარმოება -ენიანი ვნებითის ფორმებშიც შეიმჩნევა: ეხმარებლარიენ გოგოები ძმას (გურნა).

საინტერესოა, რომ ანალოგიურ წარმოებას ისე ფართო გავრცელება აქვს, რომ დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის თურმეობითი პირველის III პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებში, სადაც მიმუღობა ნაპრეფიქსითაა ნაწარმოები და არა -ილ სუფიქსით, დუოილთვის სის: ნამკელარიან და მასკვან ნარჩეღლარიენ (ბობოთი), ნაჩიჩქიღელარიენ ჭეკვას (იჭი) ... ახალ სახს ნაწენება, ხო, მშობლები ნაშენებლარიენ ახალ სახს (იჭი) ... ახლა ჩოლას არ ნაძლეღლარიენ ხარფუს, მინაქონათ ფერმეშა (მანდიკორი)...

სისტემატურად იხმარება აქანა || აქანე, იქინა || იქინე, (ნათეს, ბრუნვაში: აქანეის სიოიე არ იყო მანდებელი).

მეორე ნაწილაც აღვიღოთ მსოფოლ თქია (იმვიათად თქო) იამოიფრება: რა გინდაყე ჩემთან, რა სანეე გაცყვი-თქვა. — მე უთხარი... მე ვთქვი, აღუქსანდრის უპირას რაცხა, თუარა რაცა მიმატოვებდა-თქვა.

ეს ნაწილაცი თანამოგნით დამთავრებულ სიტყვას თუ დაერთვის, ბაშინ მათ შორის ნართაული აიხმარება:

რო წავადი კეცის ჭადებს წოუოეფ დანცხვარსა-თქვა. — ვთქვი ჩემ გულში... რო უთხრა, მოდი-თქვა, მოვა (მანდიკორი)...

¹ გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იბ.-კავკ. ენათმ., ტ. V. 1953, გვ. 17-31.

ასეთივე ვითარება გვაქვს სხვათა სიტყვის ო ნაწილაკთანაც:

თელი დღე ვილაპარაკე და ჩემი უთქვია. არ ვ ი ც ნ ო ფ ა ო (მან-
დიკორი)... რას ვერჩით იმ ქალს, ნაკრეფავა და მიეცემთ ყ ო რ ი .
ფ ე ლ ს ა ო (იქვე)...

ამ მხრივ ოკრიბული თერჯოლურს უქერს მხარს.

ოკრიბულის თავისებურება, რომლითაც ის თერჯოლურსაც ემიჯ-
ნება და მაიაკოვსკის რაიონის მეტყველებასაც, არის ხმოვანფუძიან
სახელთა სახელობითის სალიტერატურო ქართულისებრი ხმაზეა,
ი ფორმანტის გარეშე¹. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ოკრი-
ბულისთვის უცხოა ის ცვლილებები, რომლებსაც ქვემოიმერულში
აქვს ადგილი ა ხმოვანფუძიან სახელებზე ი ფორმანტის დართვისას
ნაწილობრივი თუ სრული ასიმილაციის შედეგად². ამ კონტექსტში
ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ის თავისებურება, რომელიც
ოკრიბულში ვლინდება სიტყვის ბოლოს ე ხმოვნის დართვით.

ო. კახაძეს აღნიშნული აქვს, რომ ოკრიბულში ე-ს სახით შემონა-
ხულია ძვ. ქართული კითხვითი ა (ა → ე ფონეტიკურ ნიადაგზე).

მაგ.:

„შენ ხარ-ე? (შდრ. ძვ. ქართული „შენ ხარა მომავალი იგი, ანუ
სხუასა მოველოდეთ“)... ბიჭო, რა უყოთ-ე?.. სიდან ხართ-ე?“.

კითხვის თუ ჩაკითხვის დროს ოკრიბულში, მართლაც, ფართოდ
გამოიყენება ე:

ალექსანდრა ძველ ფულს უმბოფს. რატო უმბოფ ძველსე?
(მანდიკორი)...

— ის აღარ გვენმარება. — ვინე? (სოჩხეთი)... რანაირათ აქე-
თეფს? — რასე? — თაფს. — თ ა ფ ს ე? (იქვე).

შეიძლებოდა გვეფიქრა, ეს ე კითხვითი ა ნაწილაკის ბადალია, ასი-
მილაციის ნიადაგზე წარმოქმნილი, სადაც ამის ხელსაყრელი გარემო
იყო, და დახარჩენ შემთხვევაში ანალოგიით გავრცელებულია, რომ ის
გვხვდებოდეს მხოლოდ კითხვით წინადადებაში.

ე გვხვდება ყოველგვარ წინადადებაში ყოველგვარ მეტყველების
ნაწილთან, მაგრამ ყოველთვის თანხმოვნების შემდეგ:

¹ ო. კახაძის მიხედვით, გამონაკლისს წარმოადგენს მუხურა, სადაც, აღ-
ბათ, ზემოიმერულის გავლენით ხმოვანფუძიან სახელებს სახელობით ბრუნვაში და-
ერთვის ი (ოკრიბულის თავისებურებანი, გვ. 171).

² ამ მხრივ ოკრიბულში ისეთივე ვითარება დასტურდება, როგორც მარგველურ
თქმაში. იხ. ა. ცხადაძე, ქართული ენის იმერული დიალექტის მარგველური
თქმა, ავტორეფერატი, 1954, გვ. 8.

³ ო. კახაძე, დასახ. შრ., გვ. 177.

ღედღია მ ა ქ ე (მაგე)... გასცა მ ა გ ა ნ ე... ჩვენ მუშაობაზე ეილო
ე მ ა ნ ე პრემია (მანდიკორი)...

ჭორო სიტყვის მიმტან-მომტანია, გახელებული ენა რო აქ, პაპა-
ობას ეძახიან იმასე, ეპაპეება იმასე (იქვე)... ზოგიერთი დახვედ-
რებდა ცოტა რ ა ც ხ ა ს ე (გურნა)... ქნა ამ კაცმა თვალი, რო შეხედა-
ყ ე ი მ ა თ ე (მანდიკორი)...

უხდა გამორჩენა ვ ე ნ ა ხ ს ე. გაკვირტვა და აქიმობა (ბობოთი).

რო ჩაკრავს ფ ე ხ ს ე, დეცემა (გურნა)... ჩვენ უკეთეფთ იმას
სარქველს, ხ ე ს ე, ხეს თუ ვიშონით ე რ თ ნ ა ი რ ს ე...

კუნჭულა საკრეფია ხეზე ვაშლის და ფ ს ხ ლ ი ს ე (მანდიკორი).

ჩვენი სო ფ ლ ი ს კ ე ნ ე კარი არი ესე (სოჩხეთი).

ჩანოკიდებული ყოფილარიენ ბ ა წ რ ე ბ ი თ ე (ბობოთი)... ასე
წ ე ა ლ ე ბ ი თ ე გაზარდა შეილები... ბოვში დახჩობია ძ უ ძ უ თ ი -
ნ ე...

შენახე კ ა რ ქ ა თ ე... შარშან გახთა ა ვ ა თ ე... ვერ ძოვენ ე რ -
თ ა თ ე...

ც ნაწილაკის წინ ზოგჯერ ე გვაქეს ა-ს ნაცვლად და ნაწილაკის
ბოლოსაც ე ან არის, ან არა:

ზორცს იმდენს რეცხავენ, დაკარქავს ფ ე რ ს ე ც (მანდიკორი),
მაგრამ: ვახსენებ იმგენის ს უ ლ ს ე ც ე (გურნა)...

ც ნაწილაკის წინ ა და ე ერთმანეთის პარალელურად იხმარება ერ-
თი და იმავე პირის მეტყველებაშიც:

ბო ს ე ლ ს ე ც ქ ე უძახით და პ ა ლ ა ტ ს ა ც (ცუცხვათი).

აღნიშვნის ღირსია, რომ წინააღმდეგ ც ნაწილაკისა, სხვათა სიტყ-
ვის თქვა და ო ნაწილაკების წინ ნართაული ა არასოდეს იცვლება
ე-ღ.

ე ნაწილაკს დაირთავს ფორმაუცვლელი სიტყვებიც:

რა დაგახვედრაყე შ ი თ ე (მანდიკორი)... ჯერ ნათესაეია, მე რ ე თ ე
ბოვში მოვანათლიეთ (სოჩხეთი)... მოვეკტები ა ლ ბ ა თ ე (მანდიკო-
რი)... მ ა ს კ ვ ა ნ ე გედევანა გაწყრომია (გურნა)... ჩალართხული ვართ
ქ ლ ა თ ე (მანდიკორი)... ქმარი წასული იყო ს უ ლ ე (გურნა)... ვეიგო
სანდრომ რ ო ი ს-რ ო ი ს ე... იქვექა მ ა რ ტ ვ ა ნ ე თ ე... გაატანა კ ი შ -
კ ა რ გ ა დ ა ღ მ ი დ ა ნ ე (სოჩხეთი)... კარქია?— კ ი ე?

უფორმო სიტყვებთან და ც და კი ნაწილაკთა შემდეგ ე ზემომიგ-
რულშიც გვხვდება, მაგრამ ოკრიბულში ყურადღებას იქცევს შისი
ხმარება ზმნებთანაც:

საქონელი გამობილი არ მ ყ ა ე ს ე, რო გოუშოფ. დ ე ვ ი ს ე ე
ნ ე ფ ე... ყვილს არ ვეიდულოფ, თვარა სად გ ო უ ძ ლ ე ფ ე... დულს:

¹ უვეცელ სახელთა მოქმედებითში -ით ღართული ფორმები ვესმენია ლეჩხუ-
მელთაგ:ნაც.

და ქე გ ა დ მ ო დ უ ლ ს ე და დღეობა დ ო უ რ ქ მ ე ვ ი ა თ ე... ბო-
შები რო მ ე ვ ე დ ო დ ე ნ ე, ბიქტორ ბაბუას ნახავდენ... მოლი ზაფ-
ხელში და გ ა ქ უ მ ე (მანდიკორი)... შოუბრუნეფ ხელს, როცა შ ა -
მ ო მ ი ბ რ უ ნ ე ფ ს ე (სოჩხეთი)... სალაგმე ა რ ი ს ე, დიდი წყალი
რო მ ო დ ი ს ე... ხეიძის სხალს მარწყვივით გემო ა ქ ე (ბობოთი)...

ოკრიბულში ე უპირატესად გვხვდება წინადადებაში წყვილის
დასასრულს, და კავშირის წინ, ჩამოთვლის დამთავრებისას, რთულ
წინადადებაში წინადადებათა მიჯნაზე, წინადადებათა ბოლოს, ლოგი-
კური მახვილის შემთხვევაში წინადადების დასაწყისშიც, თან ხედება
პაუზას და მახვილის მატარებელია¹.

საყურადღებოა, რომ ყველა შემთხვევაში ე ოკრიბულში ყოველ-
თვის იხმარება სიტყვის ბოლოს, მხოლოდ და მხოლოდ თანხმობანთა
შემდეგ მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდურ კილოკავში ირაციონ-
ალური ხმოვნის მსგავსად².

როგორც მ. ცინცაძემ მიგვითითა, ე-ს ხმარების მხრივ ზუსტად
ოკრიბულის მსგავსი ვითარება ყოფილა ბათუმის რაიონის სოფ. ქედ-
ქედში.

ირაციონალური ხმოვანი და მის პარალელურად ე აუსლაუტში იხ-
მარება ოკრიბულის მეზობელ ლეჩხუმურ დიალექტში პაუზის დროს:
ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ჶ დეიწყებდენ მუშაობას... უქმეები რო ვ ი ც ო -
დ ი თ ჶ ... ცთებოდა მუშა კაცი... ბ ო ვ შ ს ე... ბატონო... მოვლა უნ-
და... კ ვ ი რ ა ს ე დევიბანდით...

ლეჩხუმურში ჶ -სა და ე-ს გვერდით იშვიათად უ-ც გვხვდება და მა-
შინ დასახელებული მაგალითები ამგვარად წარმოგვიდგება: ხ უ თ შ ა -
ბ ა თ ს უ... უქმეები რო ვ ი ც ო დ ი თ უ და ა. შ.³

თანხმობიანი სიტყვის უ ხმოვნით დაბოლოება იმერულისთ-
ვისაც უცხო რომ არ უნდა იყოს, ამას მოწმობს მე-18 საუკუნის იმე-
რული წარმოშობის საბუთები⁴ და ქვემოიმერულის აბაშური თქმას
ჩვენებაც. აბაშის რაიონში ჩაწერილ ქვემოიმერულის ტექსტებში
ჩვენი ყურადღება მიიქცია აუსლაუტში გამოვლინებულმა უ-მ ან მისი
დასუსტების შედეგად მიღებულმა ირაციონალურმა ხმოვანმა:

თურმე თამარ ნეფე მ ო დ ი ს უ ამალით... იქინე მ ი ს თ ვ ი ს უ

¹ შდრ. ემფატიკური ხმოვნის ხმარება სახელებთან: თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ო .
ემფატიკური ა ახალ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ
ენებში, 1956, გვ. 231.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 20; ს. ე ლ ო ნ -
ტ ი, კანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 177; გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა
ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962, გვ. 7.

³ შ. მ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 175.

⁴ ი ქ ე ე.

კობზით მიუროთმევიათ წყალი... ვთესამდით ხელით მოტეხილში, მერე და ე ფ ა რ ც ხ ა მ თ უ ი მ ა ს... კპილები დავაგე ფარცხს ႁ '...

საკითხავია, მეგრული სუბსტრატის გამონაკართომი ხომ არ არის ოკრიბულსა და ლეჩხუმურში შემჩნეული ვითარება, რადგან ერთ დროს, როგორც ცნობილია, ოკრიბა, მასთან ერთად მთელი ქვემო იმერეთი და ლეჩხუმის ქვემო ნაწილიც, მეგრული მეტყველების არეს წარმოადგენდა¹.

გასარკვევია მიმართება რაჭულაანაც, სადაც კითხვის გამოხატვა ა ნაწილაკთან ერთად ირაციონალურ ხმოვანსაც ეკისრება².

შ. ძიძიგური ზემორაჭულის თავისებურებათა ანალიზისას წერს, რომ ფართო გამოყენებაშია ზმნის მავრცობი ა და დასახელებული აქვს ასეთი მაგალითებიც: ნება თქვენი ას რ უ ლ დ ე ს ა... ა ვ დ გ ე - ბ ი თ ა და ჩ ე ვ ი ც ვ ა მ თ ა³.

შგავსი ვითარება შენიშნული აქვს ი. ქავთარაძეს მე-18 საუკუნის ისტორიულ საბუთშიც: ...ო ც და ო რ ს ა თუ მნათ და (ა) ფ ა ს ე ს ა, თერამეტი თუმანი ნალდი უნდა მივეცეთ, რაც ჩვენი მ ა რ თ ე ბ ს ა⁴...

სწორედ ამ ა ხმოვნის ბადალია ოკრიბულში პაუზის დროს თანხ-პოვნით დამთავრებული სიტყვის აუსლაუტში წარმოჩენილი ე. ც ნა-წილაკის წინ ე და ა ხმოვნების პარალელური ხმარებაც შესაძლოა იმას მოწმობდეს, რომ ოკრიბულში ე მახვილის წყალობით ა ხმოვნის დავიწროების შედეგი იყოს. ფართო ა ხმოვნის დავიწროებით კი, ეგების, ენა ამცირებს იმ დაბრკოლებას, რომელიც მახვილიანი ფართო ხმოვნის წარმოთქმას უნდა ახლდეს მახვილიანი ვიწრო ხმოვნის წარ-მოთქმასთან შედარებით⁵.

გადაქრით რისიმე თქმა ძნელია. მაგრამ ფაქტია, რომ თანხმოვნით დამთავრებული სიტყვის ბოლოს პაუზის დროს წარმოჩენილი ირა-ციონალური ხმოვნის ბადალად ოკრიბულში ე ზის.

შემდგომი კვლევა-ძიება. ალბათ, ბევრ საყურადღებო მასალას შეგვეძენდა, საჭირო იქნება მეზობელ დიალექტთა მონაცემებისა და შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მცხოვრებთა მეტყველების ლექ-სიკურ თავისებურებათა გათვალისწინებაც.

¹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 479.

² არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი. გვ. 5.

³ ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, გვ. 245.

⁴ შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 231.

⁵ ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964, გვ. 73.

⁶ შ. ქალდანი, კითხვითი, განსაზღვრებითი და გაძლიერებითი ნაწილაკები სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმ., ტ. XIV, 1964, გვ. 229.

ჩინ საკვლევი ბევრია, მაგრამ რაც მოპოვებულია, იმის მიხედვით
ჯერჯერობით შეგვიძლია დავასკვნათ: შუაიმერულ კილოკავად მიჩნე-
ული თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა
მეტყველებაში ზემოიმერული კილოკავის ნიშნებიც გვხვდება და ქვე-
მოიმერულისაც. მოქარბებულად ან ერთია წარმოდგენილი, ან მეორე
ამ რაიონების ტერიტორიული განლაგების შესაბამისად. მაგალითად,
თერჯოლის რაიონში, რომლის სოფლები უშუალოდ ეკვრის ზემო იმე-
რეთის სოფლებს, ბუნებრივია, თუ უფრო ზემოიმერულის მოვლენე-
ბია წარმოდგენილი, ხოლო მაიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონებში—
ქვემოიმერულისა.

თანაც ამ რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში არ დასტურდება
ისეთი საერთო, თავისთავადი ნიშნები, რომ შესაძლებელი იყოს მათი
ერთ კილოკავად გაერთიანება ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის
საპირისპიროდ.

ჩვენი აზრით, ის თავისებურებანი, რომლებიც შუაიმერულად
მიჩნეული რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში შეიმჩნევა, თქმის
ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

ნაილიაზი სავსიალურ საკითხებზე

-ევ სუფიქსისათვის ზემოიშვარულში' (სოფელ პერევის მატყველბაზე დაკვირვების მიხედვით)

საჩხერის რაიონის სოფელ პერევის მატყველბაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება -ავ სუფიქსიანმა ზმნებმა მიიქცია. გამოიკვია რომ აწმყოში, ასევე აწმყოსაგან ნაწარმოებ მყოფადშიც, მხოლოდითი რიცხვის სამსავე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსის ადგილას ჩვეულებრივ -ამ იხმარება:

ვხნამ	ვხნამთ
ხნამ	ხნამთ
ხნამს	

და ასე: ვკლამ, ვკერამ, ვბარამ, თესამ, ზოგამ, უნახამს, ხელამს, ვკითხამთ, ლანძლამთ, რეცხამთ, ხოცამთ, ლოკამთ...

ანალოგიური მოვლენა ახასიათებს კახურსა² და ქართლურს³. მეტად ნიშანდობლივია იგი მესხურ-ჭავჭავურისთვისაც⁴. ამდენად აწმყოს ასეთი სუფიქსაცია მხოლოდ ზემოიშვარულის თავისებურებად არ ჩაითვლება, /სამაგიეროდ, მეტად საყურადღებოა ზემოიშვარულის ჩვენება — პერევის მატყველბის მიხედვით — აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ამ შემთხვევაში -ავ სუფიქსის ადგილას -ევ დასტურდება (-ევ გვხვდება ქიათურის რაიონის სოფლებშიც — პერევისაში და ზედუბანში).

კლავენ, კითხვენ, კერვენ, თესვენ, ბარვენ, თიბვენ, ჩეხვენ, ლოცვენ, სინჯვენ, ხნვენ, ლეწვენ, ფქვევენ, წირვენ, რეკვენ, ენკვენ, ლოკვენ, იზოგვენ, უკრვენ, გვწვენ...

¹ დაბეჭდილია ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. X, 1950—1951, გვ. 52—58.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 65.

³ ვ. თოფურია, ქართლური, იქვე, გვ. 141.

⁴ ა. მარტიროსოვი, ჭავჭავურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 295.

ასეთივე ვითარებაა მყოფადშიც.

აწმყოს ამგვარი წარმოება არც სალიტერატურო ქართულში, არც ქართული ენის არც ერთ სხვა კილოში არ შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში ახალ სალიტერატურო ქართულში - ავ სუფიქსი უპირატესად შეუკუმშავი იხმარება, ძველი სალიტერატურო ქართულისათვის კი ნორმას წარმოადგენს მისი შეკუმშული ხმარება:

თესვენ, მათე, 6,26; ზრახვენ, მარკ. 2,8; ესვენ, მარკ. 10,24; აღსძრვენ, საქმე მოც., 16,20.

ქართული ენის კილოებში - ავ სუფიქსი ან შეკუმშული გვხვდება. ან შეუკუმშავი: ერთი რიგის კილოებში შეკუმშული იხმარება, მეორე რიგისაში — შეუკუმშავი.

დავასახელოთ ნიმუშები:

ხ ე ს უ რ უ ლ ი: ღნახვენ, 125¹; სკითხვენ, 128²; ლოცვენ, 209³; წირვენ, 216⁴.

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი: გააღწვენ, 238¹;... ჰნვენ, 339³; დაუკრვენ, 240⁷; შაქმაზვენ, 240¹¹².

ბარის ქართულ კილოებში — გარეკახურსა და ქართლურში — ასეთ შემთხვევაში - ავ სუფიქსის ადგილას - ამ გამოდის და შეუკუმშავი იხმარება.

გ ა რ ე კ ა ხ უ რ ი: ბარამენ, ლეწამენ, ხარშამენ. გადაარეკამენ, დააქარგამენ...³

ქ ა რ თ ლ უ რ ი: დაუკლამენ, დაკეტამენ, ჩეხამენ, მკითხამენ, ხნამენ, თესამენ...⁴

-ავ სუფიქსი შეუკუმშავი გვხვდება გ უ რ უ ლ შ ი ა ც: ინახავენ, 118⁵; მომიკლავენ, 161²; დამკრავენ, 161³, მიკრძალავენ, 182⁵.

ასევეა ქ ვ ე მ ი მ ე რ უ ლ შ ი ც.

ჩანს, აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში - ავ სუფიქსის ადგილას - ევ-ის ხმარებით ზემოიშვრული — ჩვენი დაკვირვების ობიექტის მეტყველების მიხედვით — ყველა ქართული კილო-თქმისაგან განსხვავდება.

ზემოიშვრულში - ევ სუფიქსს ისე ფართო მოხმარება აქვს, რომ მას

1 ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, წელიწადეული, I—II, 1923-24.

2 არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე, VII, ტფილისი, 1927.

3 არნ. ჩიქობავა, გარე-კახური დიალექტოლოგიურად, არილი, ტფილისი, 1925, გვ. 65.

4 ვ. თოფურიძე, ქართლური, გვ. 141.

5 ს. ელენტი, გურული კილო, 1936.

ვხვდებით - ამ სუფიქსიან ზმნებშიც აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში:

ღგვეენ, ირტყვეენ, ისხვეენ, იცვევენ...

- ავ სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად - ევ სუფიქსიანი წარმოება გვაქვს უწყვეტელშიც (ასევე მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითში), სამივე პირში მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვშიც:

ვკლევდი	ვკლევდით
კლევდი	კლევდით
კლევდა	კლევდენ

ასეთივე -ევ-დ ტიპის უწყვეტელის წარმოება დასტურდება ხევსურულში, მთარაკულსა და ფერეიდნულშიც, თუმცა, მათგან განსხვავებით, ზემოიმერულშიც¹ -ემ გვხვდება უპირატესად (ვკლვდი, ვსწირემდი, თესემდი, ბარემდი, კითხემდა, ვხედემდით, ინახემდით, ნახემდენ, ფერემდენ...). ამით, აწმყოს მსგავსად, უწყვეტელშიც - ავ სუფიქსიანი და -ამ სუფიქსიანი ზმნები, რიმპლებიც ავრეთვე -ემ-ის სახით გვევლინებიან, გარჩეული არ არის.

ეს საზიარო წარმოება აწმყოშიც და უწყვეტელშიც უნიფიკაციის შედეგად და, მაშასადამე, მეორეულად უნდა მივიჩნიოთ.

ევ-დ ტიპის უწყვეტელის ადგილს გურულში იკვრს ვ-ი-დ ტიპის წარმოება (ვკითხვიდი, კითხვიდი, კითხვიდა). მსგავსი წარმოება შეინიშნება ლეჩხუმურშიც².

-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები, როგორც ცნობილია, ძველი ქართულის უწყვეტელშიც (ასევე მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითში, ხოლმეობითსა და ბრძანებითში) თავისებური სუფიქსაციით ხასიათდება. აქ -ევ-დ — ემ-დ, ვ-ი-დ — მ-ი-დ წარმოებათა შეხამება გვაქვს: პირველსა და მეორე პირში, მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვშიც, -ევ-დ — ემ-დ არის, ხოლო მესამე პირში — ვ-ი-დ — მ-ი-დ.

ძველი ქართულის -ავ სუფიქსიანი ზმნების უწყვეტელი ზემოაქმურლისას რომ შევადაროთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

¹ მხედველობაში გვაქვს კიათურისა და საჩხერის რაიონთა სოფლების მეტყველება.

² ამაზე მ. ალავიძემ მიგვითხა.

	მს. რ.	მრ. რ.
ღვ. ქართ.: ვჰკითხვედ	ვჰკითხვედ	ვჰკითხვედით
	ჰკითხვედ	ჰკითხვედით
	ჰკითხვიდა	ჰკითხვიდეს
ზემოიმ.: ვკითხვედი	ვკითხვედი	ვკითხვედით
	კითხვედი	კითხვედით
	კითხვედა	კითხვედენ

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, როგორც ვხედავთ, ზემო-იმერულში სამსავე პირში ერთნაირი წარმოება გვაქვს.

ძველი ქართულის - ავ და - ამ სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის თავისებურების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პირველი-მეორე პირისა და მესამე პირის განსხვავებული ვითარება ან ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სახედ არის მიჩნეული და, მაშასადამე, ფონეტიკური ფაქტორის მოქმედებით ახსნილი, ან კვალიფიცირებულია როგორც ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული ორი წარმოება.

ლ. კიკნაძე, რომელსაც ამ საკითხზე სპეციალური ნარკვევი აქვს¹, ფონეტიკური მიზეზით ხსნის პირველ სერიაში - ავ და - ამ სუფიქსიან ზმნათა ცვლილებებს: ვ-ი-დ — მ-ი-დ ტიპის წარმოებისას - ავ და - ამ სუფიქსების ა-ს დ-ს შემდეგ დართული ხმოვნის (რომელიც ან ფორმანტია ან ფორმანტის შემადგენელი ნაწილი) გავლენით დაკარგულად მიიჩნევს, ხოლო ვ-ი-დ — მ-ი-დ ტიპის წარმოებისას ი-ს თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილ ფონეტიკურ ჩანართად თვლის.

ამ ფაქტის დასამტკიცებლად იგი იმომწმებს ზემოიმერულის ჩვენებასაც:

„ვ-ი-დ — მ-ი-დ ყალიბის ფორმებში ი თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილი ხმოვანია. ეს ი რომ არ გაჩენილიყო, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრისას თვით ვ ან მ დაკარგულიყო. ამას გვაფიქრებინებს დღევანდელი ზემოიმერულის დახატ-და (|| დახატ-ვ-დ-ა), შეკერ-დ-ა (|| შეკერ-ვ-დ-ა) ფორმები“².

საქმე ისაა, რომ სუფიქსს სუფიქსზე გადახტომით არ შეუძლია რედუქცია მოახდინოს, ამის გამო არც თანხმოვანთა გასაყარის გაჩენის საჭიროება იქმნება. მეორე, რაც მთავარია, თანხმოვანთა გასაყარი ხმოვანი არ შეიძლება ფუძეში გაჩნდეს.

ზემოიმერულშიც ამგვარი წარმოება ფონეტიკური ვითარებით ვერ

¹ ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ შრომები, XXX—XXXI ნ, თბილისი, 1947, გვ. 318—343.

² იქვე, გვ. 339.

ახსნება: უწყვეტელში სუფიქსი არ გვაქვს იმიტომ, რომ ის არც აწ-
მყოში გვქონია. უსუფიქსო უწყვეტლისათვის ამოსავალია უსუფიქსო
აწმყო.

მართალია, ზემოიშარულისათვის ამგვარ შემთხვევებში ძირითად
ნორმას აწმყოში სუფიქსიანი წარმოება წარმოადგენს, მაგრამ ვხვდებ-
ით უსუფიქსო აწმყოსაც (მაშასადამე, მყოფადსაც):

ხოცს, რეცხს¹, ბოკს, ნახს, გარეკს, დაზოგს, შეკერს, გახერხს.
ხოცენ, იპარენ...

ასეთი მარტივფუძიანი წარმოება სხვა შემთხვევებშიც გვხვდება:

ეჩხუბის, ემუქრიან... დაწყოლი, გამზადილი...

რათქმაუნდა, მარტივფუძიანი აწმყოსა და მყოფადისაგან ნაწარმო-
ები უწყვეტელიც (ასევე I ხოლმეობითიც) მარტივფუძიანი იქნება და
გვაქვს:

ხოცდა, რეცხდა, ბოკდა, ნახდა, გარეკდა, შე-
კერდა, გახერხდა, ხოცდენ, იპარდენ, წაგვეჩხუ-
ბოდენ...

ჩანს, - ავ სუფიქსიანი უწყვეტლის ადგილას უსუფიქსო უწყვეტლის
ხმარების მიზეზად ფონეტიკური ფაქტორის მიჩნევა არ ეგუება ზემოი-
შარულის ჩვენებას.

ლ. კიკნაძე უწყვეტლის პირველი-მეორე პირის ევ-დ—ემ-დ
ტიპის წარმოებასაც ფონეტიკური მიზეზით ხსნის: - ავ და - ამ სუფიქსე-
ბის ა-ს იმსგავსებს მრავლობითში თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილ
უფუნქციო ი და ე-დ აქცეს, იმდენი ძალა კი არ აქვს, რომ სულ და-
კარგოსო.

მხოლოდობითი და მრავლობითი რაკი ერთმანეთისაგან მხოლოდ - თ
სუფიქსის ხმარებით განსხვავდება, მრავლობითის გავლენით ევ-ემ-ის
გამოვლენა მაშინაც მოხდა მხოლოდობითში, როცა ი არა გვაქვსო
(გვ. 340).

ჩვენი აზრით, ძველი ქართულის უწყვეტელი ამგვარი ანალიზისათ-
ვის საბუთს არ იძლევა: ჯერ ერთი, უფუნქციო ი ფონეტიკური გავლე-
ნის უნარს მოკლებულია და - ავ და - ამ- სუფიქსიანი ზმნების თავისე-
ბურებათა ასახსნელად არ შეიძლება გამოდგეს. მეორეცაა-და, ამგვარი
ახსნა ამ სუფიქსთა ხმარებისას დიალექტებში არსებულ განსხვავებულ
ვითარებას შუქს ვერ მოჰფენს, ვერც ერთსა და იმავე დიალექტში უწყ-
ვეტლის სამივე პირის ერთნაირ წარმოებას გაგვირკევებს: ვთქვათ, უწყ-
ვეტლის თავისებური სუფიქსაცია ფონეტიკური გავლენით ავსენით,
მაშინ საკითხავია — პირველ-მეორე პირის ფორმას დართული უფუნ-

¹ „ხოცს“, „რეცხს“ ტიპის ძველი ქართულისებური წარმოება უცხო არ არის.
სხვა კილოებისთვისაც.

ქციო ი და მესამე პირის ფორმანტები - ა და - ენ (ამ შემთხვევაში ზე-
პიიძერულში) ფონეტიკური გავლენის მხრივ ერთ სიბრტყეზე რომ ვერ
თავსდება, შედეგი რატომ გვაქვს ერთნაირი?

თუ დაუშვებთ, რომ - ავ და - ამ-იანი უწყვეტლის თავისებური
სუფიქსაცია დიალექტებში სალიტერატურო ქართულის გავლენას მიე-
წერება, მაშინ ყველა დიალექტში ერთგვარი ვითარება უნდა გვქონდეს,
როგორც ეს აღინიშნება, მაგალითად, მეორე პირის სუბიექტური პრე-
ფიქსის ხ-ს ხმარებისას „ხარ“, „ხვალ“ ზმნებში.

ძველი ქართულის - ავ და - ამ სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის გან-
სხვავებულ წარმოებას არნ. ჩიქობავა სხვადასხვა დიალექტური
წრიდან შემონატანი განსხვავებული სუფიქსების შეხამებით ხსნის:
„აქ ორი განსხვავებული წარმოება უნდა გვქონდეს:
ერთი -ევ სუფიქსიანი, მეორე -ავ სუფიქსიანი, ორივე ეს სუფიქსი
„აწმყოსია“, ოლონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი - ი და-
ერთვოდა.

მაშასადამე, უნდა გვქონოდა: ვ-ჰ-კითხ-ევ, ერთი მხრით, ვ-ჰ-კითხ-
-ავ-ი → ვ-ჰ-კითხ-ვ-ი, მეორე მხრივ, ნამყო უსრულის საწარმოებელი სუ-
ფიქსია -დ. ამ სუფიქსის დართვით მივიღებდით ორგვარ ნამყო უს-
რულს:

I. ვ-ჰ-კითხ-ევ-დ. II. ვ-ჰ-კითხ-ე-ი-დ¹.

ამგვარად, ცოცხალ მტყვევლებში პარალელური წარმოება უნდა
გვქონოდა: - ავ სუფიქსიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული და - ევ
სუფიქსიც. ერთი რიგის კილოებში - ავ სუფიქსი უნდა ეხმარათ, მეორე
რიგისაში — ევ. სწორედ - ევ სუფიქსი უნდა ყოფილიყო გავრცელე-
ბული ზემოიძერულში² (შდრ. გურული).

ა. შანიძე, როცა საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში შემორ-
ჩენილი მრავლობითის -ევ სუფიქსის საკითხს იხილავს, წერს: ✓-ევ სუ-
ფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტო-
რია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც
ძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა
და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, - ევ სუფიქსის გარდა,
სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა რო-
გორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისიც უეჭველია,
რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახული იქნება ნაშთების

¹ არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავ-
კასიურ ენებში, I, 1948, გვ. 99.

² გ. როგაეას აზრით, ქართულში იმდენად გავრცელებული უნდა ყოფი-
ლიყო -ევ სუფიქსი, რომ იგი უნდა გვქონოდა -ოზ სუფიქსიანი ზმნებშიც -ებ სუ-
ფიქსთან ერთად (* აშრეებს → აშრეებს → აშრობს).

სახით ქართლში, იმერეთსა და რაქაში. ეს გადმონაშთები უნდა ვეძიოთ როგორც ენის აგებულებაში, ისე ლექსიკაში¹.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს ვ ე აზრით, „ევ კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია“², ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გადმონაშთის სახით - ევ სუფიქსს მოველოდეთ, მართალია განსხვავებული ფუნქციით, სახელებთან ერთად (ჩვენი დაკვირვების ობიექტის სახელშიაც დატულია - ევ სუფიქსი: პერევი) ზმნებშიც.

ზემოიმერულის აწმყოშიც — პერევის მეტყველების მიხედვით — მესამე პირის მრავლობით რიცხვში - ავ სუფიქსის ადგილას ევ-ის ხმარებით არქაული ნორმა უნდა მეღვენდებოდეს. ევ-ის სახით მორფოლოგიურ ოდენობასთან უნდა გვეკონდეს საქმე და არა ფონეტიკურ ფაქტთან — ასიმილაციის მოქმედებასთან. ასიმილაციით რომ აგვეხსნა აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში - ევ-ის არსებობა, მაშინ - ამ სუფიქსიან ზმნებში სათანადო შემთხვევებში - ეშ უნდა გვეკონოდა და არა - ევ. ეს მით უფრო ითქმის, რომ ზემოიმერულში, ქვემოიმერულისაგან განსხვავებით, „ვინის მანით შეცვლის ტენდენცია“ მომძლავრებულია. -ემ-ს იქაც კი ვხვდებით. სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით - ევ უნდა გვეკონდეს:

ლემს, მიდემს, აქცემს...

ვ-ს ადგილას მ სახელებშიაც გვაქვს (კარამ- თეში. საშლ. აშდარი, გააშდარდა, კაშშირი — ეს უკანასკნელი სამი სიტყვა ზედუბანში იხმარება ამგვარად — და მისთანანი), მაგრამ -ემ-ს აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში - ავ სუფიქსიან ზმნებთან ვერ შევხვდებით. აქ ან - ევ გვაქვს, და ასეა ჩვეულებრივ, ან უსუფიქსო აწმყო.

უწყვეტელში -ევ სუფიქსი, როგორც თემის ნიშანი, სამივე პირის ფორმას გასდევს, ასევე აწმყოშიც სამივე პირის ფორმაში უნდა ყოფილიყო, ე. ი. უნდა გვეკონოდა ამგვარი წარმოება:

ვხნევ	ვხნევთ
ხნევ	ხნევთ
ხნევს	ხნევვს

შენიშვნა: „ხნევს“ ფორმა დასახელებული აქვს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ს მთარაქულში, თუმცა მის მიერ დაბეჭდილ ტექსტებში იგი არ შეგვხვედრია³.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე. -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1914, გვ. 766.

² იქვე.

³ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიშვის მოამბე, ტ. II (1), 1937, გვ. 80.

ის სხვაობა, რომელიც ზემოიმერულში ამჟამად აწმყოში ორგვარი წარმოების შეხამებით ვლინდება, მეორეულად უნდა მივიჩნიოთ.

ასეთი სხვაობა მრავლობითი რიცხვის მესამე პირსა და დანარჩენ პირებს შორის ზემოიმერულში (ასევე ქვემოიმერულშიც) სხვა შემთხვევაშიც შეინიშნება. მაგალითად, „მოიტანს“ და „დაახმარს“ ზმნები უღვლილებისას ასეთ თავისებურებას იჩენს:

მევიტან	მევიტანთ	დავახმარ	დავახმართ
მეიტან	მეიტანთ	დაახმარ	დაახმართ
მეიტანს	მეიტანებენ	დაახმარს	დაახმარებენ

რთულფუძიანი მხოლოდ მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. სხვა შემთხვევაში მარტივფუძიანი წარმოება გვაქვს. როგორც ამ ორი განსხვავებული ვითარების ასახსნელად ფონეტიკური მიზეზები არ გამოგვადგება, ასევე დღევანდელი ზემოიმერულის -ავ სუფიქსიანი აწმყოს თავისებურებათა საანალიზოდ ვერ მოვიშველიებთ მას.

ზემოიმერულის აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში შემონახული -ევ ოდესღაც ფართოდ გავრცელებული ფორმანტის გადმონახვით უნდა მივიჩნიოთ.

თურქეთში მემორის ერთი თავისებურება ზემოიშობაში¹

იშობილი დიალექტის ზემოიშობილი კილოკავში როგორც სახელის ზრუნებისას, ისე ზმნის უღლებისას ფორმათა წარმოების ნაირგვარობა შეიძლება. ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი ზოგჯერ ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის გამოსახატავად დასტურდება პარალელური ვარიანტები, რომლებიც ან მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ან ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზეა წარმოქმნილი.

სწორედ ფონეტიკური ხასიათისა უნდა იყოს ის ცვლილება, რომელიც ერთპირიან ზმნათა თურქობითი მეორის წარმოებისას აქა-იქ შეინიშნება საჩხერისა და ქიათურის რაიონების ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაში.

როგორც ცნობილია, გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ ზმნათა თურქობითი მეორის ფორმები, ისევე როგორც მესამე სერის დანარჩენ მწკრივთა ფორმებიც, სალიტერატურო ქართულშიცა და ქართული ენის კილოებში აღწერთად იწარმოება. საუღლებელი ზმნის წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობას. ფუძის სახით მოცემულს, დაერთვის წყვეტილის მწკრივში მეშველი ზმნა, რომელსაც პირველი სუბიექტური პირის ვ - პრეფიქსი ჩამოშორებული აქვს და მიმღობაშია გადასული ზმნისწინის შემდეგ. ამით მთლიანად აღწერთი წარმოების ნაცვლად, ძველი ქართულისაგან განსხვავებით. ნარევე წარმოებას ვღებულობთ².

ზემოიშობილშიც გარდაუვალ ერთპირიან დინამიკურ ზმნათა თურქობითი მეორე არსებითად ამგვარადვე იწარმოება. მაგრამ შეინიშნება ისეთი თავისებურება³, რომელიც სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით ქართული ენის არც ერთ სხვა კილოში არ დასტურდება.

¹ დაბეჭდილია ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XXII, 1960, გვ. 113—117.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 467.

³ ამჟამად ყურადღების გარეშე ვტოვებთ ზემოიშობილში იშვიათად შემჩნეულ „მინაულბულიყო“ რიგის ფორმებს. ამის შესახებ იხ. გ. რ ა გ ა ე ა. დრო-კილოთა მეოთხე ჭკუფის ნაკვებები ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 18-61.

მხედველობაში გვაქვს საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხასა და ჭიათურის რაიონის სოფ. ხალიფაურში შემჩნეული ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის ის წარმოება, რომელშიაც პირველი-მეორე პირის ფორმები, მესამე პირის ფორმებთან შედარებით, განსხვავებულ სახეობას იძლევა.

დავაახელებთ ჩაწერილ ყველა შემთხვევას:

I პირი:

რო მოვმკვდარიყავდი, იმა არ შოურიგდებოდი;

რო გავჩერებულიყავდი, მეც დავსოლდებოდი;

კაი იქნებოდა, რო გავმთბარიყავდი, აღარაფერი მეტკინებოდა;

ხო ვეღარ მნახედი, მე რო დავმალულიყავდი;

მე რო მივსულიყავდი, იმა აქეთ წამევიყვანდი;

მურისგან ისე დავსვრილიყავდი, რო ვეღარ მიცნობდი;

ისე გავღებილიყავდი და გავთხიპნილიყავდი, შეგეშინდებოდა ჩემი ნახვაი;

აღრე უნდა დავწოლილიყავდი, მარა ვალიკოს სტუმრები უნდა მეეყვანა და ვეღარ დავწეჭი;

მე და ჩემი ძმა დავბადებულიყავდით სოფ. ხალიფაურში და მერე გადმეველოთ კაზაყფს და თელი ოჯახი დავმალულიყავდით კდეში, დიდი გამოქვაბული კდეა და მოვფარებულიყავდით იქა;

ძალა უნდა მივსულიყავდით და გვეთქვა სიმართლეი...

II პირი:

რო დამალულიყავდი, თავი მეგეჭრებოდა;

მოსულიყავდი და ყველიფერი გულანდილად გეთხრობია;

მოსულიყავდი და გამთბარიყავდი შენცე;

უნდა მისულიყავდი და წამეგეყვანა;

წასულიყავდი და გენახა, თუ გინდოდა;

შენ ჩვენ კუთხეში უნდა ჩასულიყავდი და ქალები თავს არ შეგაწყენდენ ლაპარაკითა;

შენც მოსულიყავდი და ისიც მოსულიყო, ვინ ვიშლიდათ, ორივე მოსულიყავდით რა, ხო დაქპატიყეთ;

რო დასახლებულიყავდით ერთი აქეთ და ერთი იქით, რა გიჭირდათ...

III პირი:

რო დამალულიყო, რას ნახევდენ;

რო მომკვდარიყო, არ შემეცოდებოდა, ისე შემაძულა თავი;

შავ კაბას ფერი გადასვლოდა და მარუსა ისე შეღებილიყო, საპონიც ვეღარ გარეცხთა;

ანტუმა რო ჩამოსულიყო, რავა ვიტყვოდი რასმე;

ო გოგო ქე მოსულიყო და ყველიფერი ეთხრობია, მარა რაო მერე;

სტუმრები უნდა მოსულიყვენ და თელი დღე ვტრიალობდი... ამრიგად, წარმოდგენილი მასალით ერთპირიან ზმნათა უღლება ზემოიპერულის თურმეობითს მეორეში, სალიტერატურო ქართულის მონაცემებთან შეპირისპირებით, ასე წარმოიდგინება:

სალიტ ქართ.:	დავმალულიყავი	ზემოიმ.:	დავმალულიყავდი
	დამალულიყავი		დამალულიყავდი
	დამალულიყო		დამალულიყო
	დავმალულიყავით		დავმალულიყავდით
	დამალულიყავით		დამალულიყავდით
	დამალულიყვენ		დამალულიყვენ

ჩანს, სალიტერატურო ქართულისათვის ნიშანდობლივი წარმოება მესამე პირის ფორმებში დასტურდება. დამთხვევა მხოლოობითსა და მრავლობითს რიცხვშიაც სრულია¹. განსხვავება თავს იჩენს პირველსა და მეორე პირში.

ერთი შეხედვით, პირველ-მეორე პირის ფორმები შედგენილი შემასმენლის სახით წარმოგვიდგება. თითქოს წარსული დროის ვნებიანი გვარის მიმღეობას დათვია მეშველი ზმნა ყავდი, მაგრამ ასე რომ არ არის, ამაში გვარწმუნებს:

1. პირის ნიშნის ხმარება საუღლებელი ზმნის მიმღეობაში.

2. მიმღეობის გამოყენება ფუძის სახით და არა სახელობითი ბრუნვის ფორმით, როგორც ეს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს შეეფერება.

აქ რომ მიმღეობა ფუძის სახით არის მოცემული და იმეშველი ზმნის კუთვნილებაა, ამას ცხადს ხდის ამ ფორმათა წარმოთქმაც. წარმოთქმება დ ა ვ მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი, დ ა მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი (და არა: დ ა ვ მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი, დ ა მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი). პაუზა სწორედ თურმეობითი მეორის ამგვარად დანაწევრებულ კომპონენტებს შორის შეიმჩნევა მკაფიოდ და მახვილიც მეშველი ზმნის იპრეფიქსზეა.

3. პირველ-მეორე პირის აგებულება და ფუნქცია: დ ა ვ მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი, დ ა მ ა ლ უ ლ ი ყ ა ვ დ ი „თურმეს“ გაგებას შეიცავს (როგორც ყველა ფორმა თურმეობითისა თხრობითი კილოს შემთხვევებ-

¹ სალიტერატურო ქართულის - ნენ სუფიქსის ადვილას ზემოიპერულში - ეს სუფიქსი რომ არის ნახმარი, ამას თურმეობითი მეორის წარმოების თვალსაზრისით კნიშენელობა არა აქვს.

ში). თანაც აბსოლუტურ ფორმებს იძლევა და არა რელატიურს, როგორც ეს ვნებითი გვარის მიმღეობის სახელობითი ბრუნვის ფორმაზე ყავდი ზმნის დართვისას უნდა გეჭონოდა.

შენიშვნა: გარდაუვალ რელატიურ ზმნათა თურმეობითს მეორეს ზემომიერულში, გარდამავალ ზმნათა მსგავსად, სალიტერატურო ქართულისებური წარმოება აქვს: ბევრი რთვისაგან დამგრეხოდა ძაფი... კაი იყო დედაშენს რომ მოსწრებოდი შენე... შენ რო გაგულისებულიყავდი ი ბიჭზე, მეც უნდა აქყოლოდი და შეიქნებოდა ჩხუბი...

რაკი დავმალულიყავდი, დამალულიყავდი და მსგავსი ფორმები არ გაიაზრება, როგორც რელატიური დამალულიყავდი, ბუნებრივია, ვიკითხოთ: როგორ ვახდა შესაძლებელი, რომ ერთპირიან გარდაუვალ დინამიკურ ზმნათა მეორე თურმეობითის პირველ-მეორე პირში მეშველი ზმნა უწყვეტელის -დ სუფიქსს დაირთავს?

თურმეობითი მეორის პირველი-მეორე პირის დონიანი ფორმები დამალულიყავდი და დამალულიყავდი რიგის ფორმათა შემადგენელი იყავდი (ი) და ყავდი მეშველი ზმნების კონტამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ჩანს. კონტამინაციური წარმოებისათვის კი ხელი იმ გარემოებასაც უნდა შეეწყო, რომ იყავდი ზმნას უწყვეტელი არ ეწარმოება, ხოლო მოცემული მასალით თურმეობითი მეორის ფორმები უპირატესად გამოიყენება ისეთი მოქმედების გადმოსაცემად. რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესასრულებლად¹. ასეთ შემთხვევაში კი მეშველ ზმნას უფრო უწყვეტლის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა?

რაც შეეხება მესამე პირს, აქ კონტამინაციური წარმოება, ალბათ, ფონეტიკურად ხელსაყრელი გარემოს უქონლობას უნდა დაებრკოლებინა. თუმცა სულ ცხადი მაინც არ არის, რატომ დაექვემდებარა პირველი-მეორე პირის ფორმები ფონეტიკურ ცვლილებას და რატომ დარჩა მესამე პირი უცვლელი.

საგულისხმოა, რომ ეს ფონეტიკური ცვლილება ერთპირიან ზმნათა თურმეობითი მეორის პირველი-მეორე პირის ფორმებში დიდი ხნის ფუნქციონირებული არ უნდა იყოს, რადგანაც ტერიტორიულად გავრცელების ფარგლებიც ვიწრო აქვს და არც უფროსი თაობის (მოხუცთა) მეტყველებაში შეინიშნება.

1960 წ.

¹ ა. შანიძე, დასახ. შრომა, გვ. 227.

² შტრ. გარდაუვალ რელატიურ ზმნათა თურმეობითი მეორე. რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია, როგორც თურმეობითი პირველის უწყვეტელი: ნათაძე, მესამე სერის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 98.

უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში წამოიშარულ კილოკავში¹

ქართველურ ენებში უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების შესახებ გამოქვეყნებულია სპეციალური ნაშრომი², სადაც თავმოყრილია ზანურ-სვანურსა და ქართული ენის დასავლურ კილოებში ე³-თან პროცესით გამოწვეული ფაქტები, მონახულია მათი საერთო საფუძველი, დადგენილია განვითარების ზოგადი კანონზომიერება, რომელიც სხვადასხვა ენაში დასტურდება.

სხვა ფაქტებთან ერთად, როგორც უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების შედეგი, აღნიშნულია იმერულ-გურულ-ლეჩხუმურში მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნებიდან - ენ სუფიქსის გაბატონება. დამოწმებულია ლეჩხუმურ-გურულისა და ქვემოიმერულის ჩვენება³.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის - ენ და - ან სუფიქსების გამოყენებისას ქვემოიმერულთან ერთად ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელშიც მკვეთრად იგრძნობა უნიფორმაციის ტენდენცია — ერთი ფუნქციის მატარებელი განსხვავებული ფორმების ერთ ფორმადის დაყვანის ტენდენცია.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში აწმყოში (მამასადამე, მყოფადშიც) სუბიექტის მესამე პირის ნიშნად მრავლობითის რიცხვში გამოყენებულია - ენ და - ან სუფიქსები.

-ენ იხმარება მოქმედებითი გვარის ზმნებში, რომელთაც თემის ნიშნად - ი არა აქვთ, და - ებ, - ობ, - ავ სუფიქსიან საშუალო გვარის ზმნებში (აქებენ, გმობენ, რგავენ, ასხამენ, ყოფენ... ტრიალებენ, ლალობენ, ცურავენ...).

-ან გვხვდება ი ხმოვნით გათავებული მოქმედებითის, ყველა ტიპის დინამიკური ვნებითისა და საშუალო გვარის ზმნებში (კრიან, გზავ-

¹ დაბეჭდილია: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV, 1964, გვ. 191-194.

² ე. თ. ფ. რ. ი. ა, გრამატიკულ მოკლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 445-456.

³ ი ქ ე ე, გვ. 452.

ჩიას... იხალღებთან, ფითოცუბიან, შრებთან... ჩივიან, ტირიან, მოდიან, არიან...)- ან სუფიქსი გამოიყენება საშუალო გვარის იმ ზმნებშიც. რომელთაც ფუძის ბოლოს ი ფორმანტი არ მოეპოვებათ (დუმან, წუხან¹, დგანან, ჩანან, წვანან)...

ძირითადად ასეთივე ვითარებაა ზემოიმერულშიც საჩხერისა და ორჯონიკიძის რაიონებისა და ყოფილი ქიათურის რაიონის მეტი წილი სოფლების მეტყველების მიხედვით. ხრეთში, ხვაშითში, და განსაკუთრებით კი სოფლებში — ბილასა და მორძგვეთში — საწინააღმდეგო პროცესი დასტურდება: - ან სუფიქსის მაგივრად ხშირად - ენ გამოიყენება.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სოფლების მოსახლერე ზესტაფონის რაიონის სოფლებშიც ანალოგური მდგომარეობა გვექონოდა. ამიტომ - ენ სუფიქსის მოხმარების არე და გავრცელების ფარგლები რომ დაგვეღვინა, დაკვირვების ობიექტად შერჩეულ იქნა ზესტაფონის რაიონის ის სოფლები (ბოხლვეი, სანახშირე, დილიჯაური, საღვინე), რომლებიც ზესტაფონ-ქიათურის რკინიგზის ხაზის გასწვრივ მდებარეობენ და ტერიტორიული სიახლოვის გამო მკვიდრო ურთიერთობა აქვთ ქიათურასა და მის განაპირა სოფლებთან.

გამორკვეა, რომ - ენ სუფიქსი - ან სუფიქსის მაგივრად მოხშირებულიად იხმარება:

1. ი ხმოვნით გათავებულ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა აწმყოში: მაზღის ცოლს შილს უძახიენ, ძმისას — რძალს... ლობიოს დაბუღნიენ, ბოსტანს გამარგლიენ... ე ბლარები ძან იზღებიენ... ქალები ეგერას ჯდიენ... ცხვრები მოდიენ... ვიციო, რაც არიენ...

2. საშუალო გვარის ზმნებში, რომელთა აწმყოში ფუძის ბოლოცი-დური ხმოვანი არ მოიპოვება:

როგორ დგარენ, უყურე შინე... ი გოგობი განტორაში დგარენ... ხალხი რო დგარენ, იქა ცხოვრობენ ჩვენები... ქათო და ნინა ჯერ ქე წევრენ... ჩვენი სტუმრები რუსიკო და დარიჯანი ერთმანეთს გავრენ... საჭონელი აქედან ჩანენ? არ ჩარენ...

შეიძინება: ზოგიელ ზემოიმერულ მეტყველებაში დასახილვებულ ზმნებს მზავლობითი რიცხვის წარმოებისას ნ-ს აღიოთას რ აღმოაჩნდება. რ იხმარება იქაყკო, სადაც ის მოსალოდნელი არ არის: დუღრან, დუმრან, წუხრან (დუღრან და გადმოდიენ... ახლა ქვე დუმრან, მარა რაღაი დროს...

¹ ან. ჩიქობავას აზრით, ამ ზმნებს - ი სუფიქსი ჰქონდათ, მაგრამ დეკარგათ: ერგატეული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1946; გვ. 104.

წუხრან და იკლავენ თავს...), სპეციალურ ლიტერატურაში მესამე პირის მრავლობითის ეს რ თანხმონიანი ფორმები ახსნილია, როგორც დისიმილაციური ცვლილების შედეგი¹. მაგრამ საქმე ისაა, რომ რ მრავლობითი რიცხვის სხვა პირებსა და მხოლოობითის რიცხვშიც იჩენს თავს: ეგერას ვ დ გ ა რ ე ა რ თ, დილიკაურსა და სანახშირეში სისტემატურად იხმარება მხოლოობითის რიცხვში დ გ ა რ ს: ტაქსი დ გ ა რ ს... ცილა ზეზე დ გ ა რ ს...

ერთი შეხედვით კაცი იტყოდა, დ გ ა რ ს (დ გ ა რ ა ნ || დ გ ა რ ე ნ) ზმნისათვის ამოსავლად მიმღეობის დ გ ა რ ა რის და სხვა შემთხვევებისათვის ანალოგიური წარმოება გამოიყენებო, საყურადღებოა, რომ რ შეგვხვდა ჩ ა ნ ს ზმნაშიც: მარიამი ჩ ა რ ს. ჩვეულებრივ კი ზემოიმერულში ამ ზმნაში მხოლოობითში რ-ს მონაცვლედ მ იხმარება.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა ზ რ ი თ, დ გ ა ს მ ი ლ ე ბ უ ლ ი ჩ ა ნ ს დ გ ა ნ - ს ფ ო რ მ ი ს ა - გ ა ნ, ზოლო წვანან ანალოგიურად განვითარებული უნდა იყოს².

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ზ მ ნ ის უ ძ ე ვ ე ლ ს ს უ ფ ი ქ ს ე ბ შ ი ა რ ბ ო ლ ო ს ა რ თ ს ა ც გამოყოფს³. ამ კონტექსტში შესაძლებელი ჩანს, რომ ზემოიმერულში ხმარებული არ ზმნის საწარმოებელი ან სუფიქსის ხმოვანდაკარგულ ვარიანტად დავსახოთ (ქართლის მოსაზღვრე სოფ. ხევში ი. მარება როგორც წ ე ვ ნ ა ნ, ისე წ ე ვ რ ა ნ).

საგულისხმოა, რომ ზესტაფონის რაიონის ქვემო იმერეთის მიჯნაზე მდებარე სოფლებში (ტაბაკინი, ზოვრეთი, ზედა და ქვედა საქარა) არ-ის პარალელურად აქა-იქ ალ-საც ვხვდებით: დ გ ა ლ ა ნ || დ გ ა ლ ე ხ, გ ა ვ ლ ა ნ || გ ა ვ ლ ე ნ...

საყურადღებოა ერთი გარემოება: რაც უფრო ქვემო იმერეთისაკენ მივიწევთ, სტატიკურ ზმნათა აწმყოში მატულობს მეშველზმნიანი ფორმები. მეშველი ზმნა ა რ ი ა ნ || ა რ ი ე ნ დაერთვის აწმყოს ფუძეს, რომლის ბოლოში ალ ზის, უფრო ხშირად კი — არ და, ბუნებრივია. თუ ამ პოზიციას დისიმილაციას ურჩება ადგილი.

ფიქრობთ, ამ კონტექსტში შეიძლება გასაგები გახდეს ქვემო-მერულის დ გ ა ლ ა რ ი ე ნ, ჩ ა ლ ა რ ი ე ნ, წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ, გ ა ვ ლ ა რ ი ე ნ, ყ ა ვ ლ ა რ ი ე ნ და მსგავს ფორმათა წარმოება (მოდოლარ ი ე ნ, ჟ ი ლ ა რ ი ე ნ ამგვარი ფორმების ანალოგიური წარმოების შედეგი უფრო ჩანს, ვიდრე ერთპირიან ზმნათა მესამე სე-ის აღწერითი ფორმებისა).

¹ ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახლარი ზმნები ქართულში, თსუ. შრომები, XXVIII, 1946, გვ. 164-165.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 427.

³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეც. აკადემიის მოაზრებ., ტ. III, № 5, 1942, გვ. 492-493.

საკითხს საგანგებო შესწავლა სჭირდება და გადაჭრით რისიმე თქმა ძნელია. ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ სავარაუდო მსჯელობაა შესაძლებელი.

8. ერთპირიან ზმნათა თურმეობითს პირველში:

აქ გლეხები ყოფილენ ნაწილი სახემწიფო, ნაწილი ბატონების... ჩვენი წინაპრები დიდრები ყოფილენ... სტუმრები მოსულენ და მე არ დავხვთი სახში... ჩვენები საცხა წასულენ სუყველა... არჩილა და დავითია ტყეში წასულენ და წამოწოლილენ... გადმოსულენ კაი ვაკე ადგილზე... მისულენ ბუხართან და გამშრალენ... ქუკები დამხრჩვალენ... თაფს უწყენიათ და ეგერას დამჭდარენ და მამკეტარენ...

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის წარიანი მაწარმოებლების უნიფორმაციის პროცესი აღნიშნულ სოფლებში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული და გრძელდება. ამას მოწმობს პარალელურ ფორმათა სიხშირე და ერთი და იმავე პირის მიერ მათი ერთმანეთის გვერდით გამოიყენება ერთსა და იმავე ფრაზაშიც კი.

ბატის ქუკები წყალში ჩაეარდნილან და მამკეტარენ...

- ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის ამგვარ გამოყენებას საშუალო გვარის ზმნათა აწმყოში და ერთპირიანი გარდაუვალი ზმნების თურმეობითს პირველში ვერ ვხვდებით ქვემოიმერულშიც კი, სადაც - ენ ნიშნის გაუნივერსალების ტენდენცია ბატონობს. იგი იხმარება არა მარტო - ან სუფიქსის მაგივრად ხმოვნით გათავებულ ზმნათა აწმყოში (თოხნიენ, იწირებიენ, მღერიენ,, კივიენ, არიენ...), არამედ გარდამავალ ზმნათა წყვეტილშიც - ეს სუფიქსის ადგილას (დაწირენ. მოკლენ, გათალენ,...) და - თ სუფიქსის ნაცვლად ინვერსიულ ზმნებში² (აქვენ, ძინავენ, უნდენ... გოუკეთებიენ, წოულიენ...).

ქვემოიმერულის უხუთური ქცევაზე დაკვირვებისას ქვემოიმერულში - ან სუფიქსის ადგილას - ენ სუფიქსის ხმარება ანალოგიის საფუძველზე იყო ახსნილი³, რამაც სპეციალურ ლიტერატურაში დაქვევება გამოიწვია. ეს დაქვევება ორი გარემოებით არის გამოწვეული: ჯერ ერთი, - ან-ის - ენ-ად შეცვლისათვის აუცილებელი პირობაა, რომ იგი მოსდევდეს ხმოვნით გათავებულ ზმნის ფუძეს, სადაც ეს პირობა და-

¹ საზნოელი ქალი, რომელიც დილიკაურში 27 წელიწადი ცხოვრობდა, ასეთ ფორმებს ხმარობდა: მოსულენ და გამშრალარიენ. ადგილობრივი დასციონონენ: ჩვენ არ ვიცით „გამშრალარიენ“, ეგრე უქცევენ ქვემო იმერეთში.

² არნ. ჩიქობავა. მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 94.

³ ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 53.

ცულ არ არის, იქ - ან - ენ-ს ვერ იძლევაო. იმ კილოებში, სადაც ტირიგენ ფორმა ჩვეულებრივია, ყოველთვის გვხვდება ჩ ა ნ ა ნ და არა ჩ ა ნ ე ნ, დ გ ა ნ ა ნ და არა დ გ ა ნ ე ნ, წ ა ს უ ლ ა ნ და არა წ ა ს უ ლ ე ნ-ო. შემდეგ: ი ხმოვანს იმერულში აქტიური მასაშილირებელი ძალა აქვს და -ენ-ის ხმარება რატომ უნდა აგვეხსნა ანალოგიით და არა პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულადო¹. „თა კომპლექსში, რომელიც მიიღება ი თემისნიშნიან ზმნის ფუძეზე მესამე სუბიექტური პირის ნიშნის - ან-ის დართვის შედეგად აწმყოს მრავლობითს რიცხვში, ადგილი აქვს პროგრესულ ასიმილაციასო“².

-ან სუფიქსის ადგილას -ენ სუფიქსის გამოყენებას ქვემოიმერულში რომ პროგრესული ასიმილაციით ვერ ავხსნით, აქ ი სუფიქსის აქტიური მასაშილირებელი ძალის მიუხედავად. ეს იქედანაც ჩანს, რომ -ენ სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება არა მარტო -ან სუფიქსის ადგილას ი ხმოვნით გათავებულ ზმნათა ფუძეებთან, არამედ -ეს სუფიქსის მაგივრადაც მოქმედებითი გვარის ზმნათა წყვეტალში, სადაც ასიმილაციას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, და ობიექტური თ სუფიქსის ნაცვლადაც ინვერსიულ ზმნებში. მეორეცაა-უა, ქვემოიმერულში, სადაც -ენ სუფიქსს ასე ფართო მოხმარება აქვს, ჩვეულებრივ გამოიყენება არა წ ა ს უ ლ ა ნ. ჩ ა ნ ა ნ, დ გ ა ნ ა ნ. არამედ აღწერიითი — მეშველზმნიანი ფორმები: წ ა ს უ ლ ა რ ი ე ნ. ჩ ა ლ ა რ ი ე ნ, დ გ ა ლ ა რ ი ე ნ.

ზემოიმერულში ჩვენებამ დ გ ა რ ე ნ, გ ა ვ რ ე ნ. მოსულენ და მსგავს ფორმათა ხმარებით კიდევ უფრო თვალნათლივ დაადასტურა, რომ -ან სუფიქსის ადგილას -ენ სუფიქსის გამოყენებისას უნდა გვქონდეს ანალოგიური წარმოება, რომლისთვისაც საფუძველს ქმნის იმერულში მძლავრად მოქმედი ერთი ფუნქციის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფორმის გაერთფორმირებას ტენდენცია — უნიფორმაციის ტენდენცია.

დასავლურ კილოებში, კერძოდ ზემოიმერულ კილოკავში, სუბიექტის შესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნარიანი ნიშნების უნიფორმაციის ტენდენცია -ენ სუფიქსის სასარგებლოდ შეიძლება იმიტომაც წარიძარა. რომ ზმნაში უძველესი სუფიქსი, თანაც ძირითადი კილოს

¹ კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, 1959, გვ. 255.

² იქვე, გვ. 254.

კუთვხილება, როგორც ამის შესახებ აღნიშნული აქვს ბ. ფოჩხუას, უხდა იყო - ენ, ხოლო - ან ქართულში „ზანურიდან თუ ზანური ტიპის დიალექტიდან“ მომდინარე ჩანს¹.

1964 წ.

¹ ბ. ფოჩხუა, პრაელობიის ნარიანი მწარმოებლები ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1961, გვ. 61—62.

ქვემოიშვების უხუთური მითხველება¹

1947 წლის აგვისტოს ქვემოიშვების შესასწავლად მივლინებულ ვიყავი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის მიერ ვანის რაიონის სოფელ უხუთში.

ქვემოიშვების ენობრივ თავისებურებათა გასათვალისწინებლად უხუთის არჩევა შემთხვევით არ მომხდარა. უხუთი ქვემო იმერეთის საკმაოდ მივარდნილ სოფელს წარმოადგენს. ამდენად, ქალაქისა და, მისი სახით, წიგნური მეტყველების გავლენა შედარებით ნაკლებ დემონსტრაციული უნდა ყოფილიყო; ხოლო სამეგრელოსთან სიშორეს და ამის გამო მეგრულის უშუალო გავლენის უქონლობას მისი ენობრივი თავისებურებანი უფრო ხელშეშახები უნდა გაეხანდა.

წინასწარი ვარაუდი რამდენადმე გამართლდა მხოლოდ. სოფელში რვაწლიანი სკოლისა და ინტელიგენციის საკმაო რაოდენობით არსებობის ფაქტმა თვალსაჩინოდ გაზარდა წიგნური მეტყველების გავლენა; რომელიც ყოველი ენობრივი მოვლენის განხილვისას იგრძნობა. შენიშნება მეგრულის გავლენაც. ქართულ კილოთაგან საგრძნობია გურულთან სიახლოვეც, მიუხედავად იმისა, რომ ვანის რაიონის სხვა სოფლებთან შედარებით უხუთი ყველაზე უფრო შორსაა გურიიდან.

უხუთში ცხოვრობს 430 კომლი. იგი იყოფა 4 უბნად. თითოეულ უბანში საკმაოდ დაცილებულია ერთმანეთისაგან. ასე რომ ერთი თვე არც თუ საკმარისი აღმოჩნდა ყველა ენობრივი თავისებურების აღნუსხვისთვისაც კი.

ჩაწერილი ტექსტები (პროზაული მასალა, ლექსები, შელოცვები) ენობრივი მნიშვნელობისაა მეტწილად. ზოგი მათგანი ინტერესს იწვევს ფოლკლორული თვალსაზრისითაც.

ენობრივ თავისებურებათა დასადგენად ტექსტებს შორის მეტი მნიშვნელობა ცოცხალ საუბარზე უშუალო დაკვირვების შედეგად, მთქმელს შეუნიშნევლად. ჩაწერილ მასალას ეძლევა. ამ დროს მთქმელს

¹ წაითხულია მოხსენებად ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-12 საფეხური სკოლაზე 1948 წლის 26 თებერვალს. დაბეჭდილია ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VIII, 1948.

კონტროლი არ ზღუდავს. იგი თავისუფლად ახერხებს თავისი ენობრივი ინვესტარით სარგებლობას; ამდენად, მისი მეტყველება ბუნებრივია, ძალადაუტანებელია. თავისებურებათა გათვალისწინება ამგვარად ჩაწერილი მასალით უფრო ხერხდება.

უხუთის შემდეგ შემოწმების მიზნით ვიშუშავე სოფელ საპრასიასა და სოფ. გორაში. უხუთში შემჩნეული ენობრივი თავისებურებანი ორივე სოფელში დადასტურდა. ეს ითქმის არა მარტო ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა შესახებ. არამედ ლექსიკის მიმართაც.

სპეციფიკური სიტყვები, რომელთა შეგროვება მოხერხდა, ჩაწერილია და ანბანთ რიგზე გაწყობილი.

აქ წარმოდგენილი მასალა სტატისტიკური ანალიზის შედეგად გათვალისწინებულ ენობრივ თავისებურებათა აღნუსხვაა მხოლოდ და ისიც არასრული. მათი ახსნა სხვა კილოთა მონაცემებთან შეპირისპირებით მომავლის საქმეა.

ფონეტიკური მოვლენები

ბ გ რ ი თ ი შე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი თ ჩვენ მიერ შესწავლილი ობიექტის მეტყველებას სალიტერატურო ქართულისაგან განასხვავებს **ჟ**-ის გამოყენება, მაგრამ აქ **ჟ**-ის ხმარების არე გურულთან შედარებითაც კი გაცილებით ვიწროა და რამდენიმე მაგალითით ამოიწურება მხოლოდ: რა **ჟ**, ღეღე**ჟ**, ბიცოლე**ჟ** ...

დასახელებულ მაგალითებში სხვადასხვა დროს სრული **ო-ც** აღიქმება. ეს რყევა კი იმას მოწმობს, რომ აქა-იქ ნაშთის სახით შემორჩენილი **ჟ** გადაშენებისთვისაა განწირული.

გვაქვს **ა** ხმოვნის „გაგრძელების“ რამდენიმე შემთხვევა: გაზდა(ა)მ-დი, მანა(ა)მდი, მა(ა)ქ... ფრჩხილებს იმიტომ ვხმარობთ, რომ აქ უფრო ორი ხმოვანია, ვიდრე ხმოვნის სიგრძე, ორი ხმოვნის წარმოქმნაში კი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აღმავალ მახვილს, რომელიც გარკვეულ ვოკალურ ფონს უნდა საჭიროებდეს სიტყვაში¹.

ფონეტიკური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს:

ასიმილაცია. გავრცელებულია ასიმილაციის ყველა სახე: პროგრესული, რეგრესული, სრული, ნაწილობრივი. თუ აღმოსავლურ კილოთქმებში პროგრესული ასიმილაცია აქა-იქ გვხვდება, ქვემოთმართულათვის, როგორც ცნობილია, კერძოდ უხუთური მეტყველებისათვის,

¹ ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. 1946, გვ. 343, 345, 3.

იგი ჩვეულებრივია, განსაკუთრებით თანხმონებში. პროგრესული ასიმილაციის მაგალითებია:

თმ — თფ: დამითფია, ბათფანი...

კბ — კპ: ტკილი, კპილი, უკპინა, კპეჩავს...

ტბ — ტპ: ტპასავეთ, ტაპაყურო...

ცბ — ცფ: ცფიერი, უცფათ...

წბ — წპ: გამაწპილეთ...

ხბ — ხფ: ხფოები || ხფუები (იხმარება ხპოც)...

თღ — თფ: განათთა, გაწითთა, გაკეთთა...

კღ — კტ: კტარი, მოკტა, სიკტილი (სიტყვის თავში ზოგჯერ ისმის ქ-ც: ქტარი, ქტება)...

ტღ — ტტ: გაბოროტტა, სუსტტება...

ჩღ — ჩთ: უჩთება, გაჩთა, აღმოჩთა, ჩთილი, საჩთილი...

ცღ — ცთ: განსამცთელი, გამოცთა, შეცთა, მევიცთი...

ხღ — ხთ: წამხთარი, წახთება, შეწუხთენ, შამოხთა, შამოუხთინა, გარახთილა, გარაახთეცია, აძახთა...

დასახელებულ მაგალითებში წინმავალი მკვეთრი ან ფშვინეიერი ბგერა იმსგავსებს მომდევნო მეღერს და აყრუებს მას. ასიმილაცია ზოგჯერ სრულია, ზოგჯერ ნაწილობრივი, მეტწილად იგი მასიმილირებული თანხმონისა და ასიმილირებულის უშუალო მეზობლობაში ხდება. ზოგჯერ მათ ჰყოფთ რომელიმე ბგერა, ხმონებებიდან — ა, ხოლო თანხმონთანაგან ჩვეულებრივ — ვ.

ხმონებში პროგრესული ასიმილაცია მეტად იშვიათად გვხვდება, რეგრესული ასიმილაცია კი უფრო გავრცელებულია თანხმონებთან შედარებით. ჩვეულებრივია ზმნისწინის ა და ო ხმონების ფუძის ი და ე ხმონებთან ასიმილაციურ გავლენაში მოქცევა; ი-ს გავლენის შ რივ ქვემოთმერული სხვა დასავლურ კილო-თქმებთან ერთად უპირისპირდება აღმოსავლურ კილოებს¹.

მასიმილირებელ ხმონად უხუთურ მეტყველებაში გვევლინება უ-ც.

რეგრესული ასიმილაციის ნიმუშებია:

შო — შე: შეიხსნას, შეეკიდა, შევიდა, შეიყვანა, შეეშვა...

შო — შუ: მუუტანა, მუუააჯეს...

ა — ე: ეილო, ეიძულია, ეერიდა, ეიდგა...

ღა — ღე: ღეიკარქა, ღეილუპა, ღეიბადა, ღეიძინა, ღეეტაკა...

გურულისაგან განსხვავებით უხუთურ მეტყველებაში პროცესი ამ

¹ შტრ. გ. ახვლედიანი, დიალექტთა შერევის საკითხისათვის. საქ. შტტ. აკად. მოამბე, VII, 9-10, 1946, გვ. 633.

საფეხურზე შეჩერდა. გურულის მსგავსი „დიეძინა“, დიეტაკა“... აჰ არ ცხვდება.

და — დო: დოუმინა, დოუდგა, დოუწვათ, დოუბარებიათ...

გა — გე: გეითიე, გეემგზავრა...

წა — წო: წოუხთენდა, წოუყვანია, წოუსობენ...

ჩა — ჩე: ჩეითრია, ჩეიგდო, ჩეიცეა...

ჩა — ჩო: ჩოუმტვრია, ჩოუმატა...

შე — შო: შოუტამია, შოულოცავენ, შოუსახლებია...

პროცესის მეორე საფეხური — ო-ს უ-დ ქცევა, რაც გურულში ჩვეულებრივია, უხუთურ მეტყველებაში არ შეინიშნება.

შე- ზმნისწინი შა-დაც არის შეცვლილი. მაგრამ ეს პროცესი ისე შორს არაა წასული. როგორც აღმოსავლურ კილო-თქმეებში.

შე- ზმნისწინის შა-დ ქცევისათვის უხუთის მეტყველებაში აუცილებელია, რომ მას დაერთოს შო- ზმნისწინა. საუაღ ეს პირობა დაცული არ არის, იქ შე- შა-ს ვერ იძლევა. შე- ზმნისწინის ხმოვნური შედგენილობის შეცვლაში ო-ს უნდა ედვას წილი, ამიტომ თუ მოსალოდნელია შემო- ზმნისწინი ყველგან გვაქვს შამო:

შამოუხთინა, შამოქვხთა, შამოქკრა, შამოყვეი, შამოუთვლია... მაგრამ: შეშჰამა, შეეხარაყენ... უ-სთან ასიმილაციით, როგორც აღნიშნული გვაქვს, შე- იძლევა შო-ს: შოულოცავენ, შოუტამიათ...

შამო- ზმნისწინი ი და ე ფუძიან სახელებზე დართვისას ასიმილაციის გამო იძლევა შამე-ს:

შამეიდა, შამეიყვანა, შამეგველე...

პროცესი საგანგებო შესწავლას საჭიროებს, ამიტომ წინასწარ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია.

ზმნისწინებს გარდა ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია გვხვდება სხვა სიტყვებშიც:

განაცეფები (განაცოფები), აქოური (აქაური), გაროული (გარეული), ამევე (ამავე). არეინ (არავინ), დოდოფალი (დედოფალი), ქორო (ქე რო), პეტეფონი (პატეფონი)...

რეგრესული ასიმილაცია თანხმოვანთა შორისაც გვხვდება:

საპო (საბპო), ტპეშა (დპეშა), ყმაყოფილი (კმაყოფილი), ვაშკაცი (ვაყეაკი). შაშაია (საშაია), შაშუალი (საშუალი), ოზდახუთი (ოცდახუთი), ორმოზდარვა (ორმოცდარვა), ბოფში (ბავშვი), ნაფთი (ნავთი), საფსე (სავსე), ნეფსი (ნემსი). ფთა (მთა), ფხხალი (მსხალი), ფხარი (მხარი), ფსახუროფ (მსახურობ)...

ჩვეულებრივია -ში და -თან თანდებულის წინმავალი მყდერის დაყრება:

¹ შტრ. ს. ე დ ე ნ ტ ი, გურული კილო, 1936, გვ. 51.

გვერდში (გვერდში), ჩხუფში (ჩხუბში), გოგუეფთან (გოგოებთან)..
დისიმილაცია პროგრესულია ჩვეულებრივ:

არაფელი, ვერაფელი, ყორიფელი, პროყულოი, ლიტერატოლი...

შეგვხვდა რეგრესული დისიმილაციის ერთი მაგალითი: კალონი.

მეტათეზისი სონორ ბგერებს ახასიათებს:

კირმაჰული (კრიმანჰული), ზრუგი (ზურგი), ჯრიკი (ჯირკი), ქავრა (ქარვა), სარძიკეელი (საძირკეელი), ვერული (ველური), ღურბელი (ღურბელი), ზღრაპები (ზღაპრები), ეღრისა (ეღორსა), ნევრები (ნერვები), კვლამი (კვამლი), პეტრებული (პეტერბურგი), ბანალი (ბალანი), იღვანიდი (ინვალისი), ფრიალათ (ფირალად), გამდარია (გადამრია)...

გადასწულია პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ: ნავხე (ვნახე).

სონორთა გარდა აღინიშნება სხვა ბგერათა გადასმაც: ხსოული (ხსეული), ყურალდება, სიპჩკა, ჯიგბირი...

ბგერის დაკარგვა ჩანს ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით: გელი, დინარე, ტერი, თეარე, წყესი, ცხეთა, ღვდელი, ქედელი, წიფე, ძინარე, წარე, წუხარე, შიერი, სიკვდილის ეტი (სიკვდილის მეტი), მის ეტი... დასახელებულ მაგალითებში დაკარგულია მ როგორც ძირეული, ისე მიმდებარისა.

მ იკარგება უფორმო სიტყვებში (: მიტო. რატო. რო, ხო...)

მ-ს გარდა იკარგება სხვა სონორებიც. რ-ს დაკარგვა გვაქვს სიტყვებში: ცემლი, გლიციენა, ბძანება, არცეთი. გვიზღებოდა, ბილი...
ლ-ს დაკარგვა გვაქვს: ხემწიფე, ცეხი (ლ-სთან ერთად იკარგება ც-ც). საცეხური (საცეცხლური), ბულატერი, კუტურა, საპანე...

ვ იკარგება როგორც სიტყვის შიგნით, ისე სიტყვის თავშიაც: გაქირებული, აქსენტი, ჩავწეით, გარცელდა, ზანოკი, არაული, იწრო (ძველ ქართულში ასე იხმარებოდა), გვხვდება ეს სიტყვა ვიწრო, იწროსა და იწროს სასითაც (ი-ს წინ ნ არის განვითარებული).

ნ დაკარგულია სიტყვებში: მიღორი, ამიღი, სიმიღი...

გ-ს დაკარგვის შედეგადაა მიღებული კითხვითი სიტყვა „რავარი“ (რავ გვარი), დისიმილაციის გამო — რ ა ვ ა ლ ი, ბოლო თანხმოვნის მოკვეციტ კი — რ ა ვ ა, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკად. ა. შანიძეს².

დ იკარგება: სა, სამე, სიედრი, წყვეი (იშვითად გვხვდება), იომი-
ღე...

¹ დასახელებულ სოგ მაგალითში მ არც ძველ სალიტერატურო ქართულში ვეჭონია.

² ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, 1942, გვ. 27.

თ იკარგება სიტყვაში ერთი: ერი კაკალი, ერი ფინჩხა, ერ კაცს.
ერ კუთხეზე... შედარებით ასეთი ფორმების ხმარება მცირეა.
ინმარება აერი (ასევე ინმარებოდა ძველ ქართულშია).
იკარგება ხმოვნებიც: ულფა (ულუფა) მორე (მეორე)...

დადასტურებითი კი და ქე ნაწილაკები ი-სა და ე-ს დაკარგვის შემდეგ კ და ქ შეეზარდა მომდევნო უარყოფითობის ერთმარცვლიან არ ნაწილას. ი-ს დაკარგვის მიზეზი ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს ინტენსიური მახვილი; ამავე მახვილის მიზეზით უნდა აიხსნას მთელი მარცვლის დაკარგვა:

ადამ და ევა რო გაჩენილა, გო, რამდონი ხანია!

მარიამ, რა მითხარი, გო, მაგი!

შენი აფხანიკი, შე ხ ე, რო მოვკალით.

ბგერათა დაკარგვის ერთ-ერთი სახეა ხმოვანთა რ ე დ უ ქ ც ი ა. ახალ სალიტერატურო ქართულთან შედარებით უხუთურ მეტყველებაში რედუქციის კანონი სუსტადაა განვითარებული. ზოგი ფუძე, რომელიც სალიტერატურო ქართულში შეკუმშულია, აქ სათანადო შემთხვევებში შეუკუმშველადაა წარმოდგენილი:

ქშარის, ღმერთის, ტერები, ამბავები, ღურბელის. ურემით, შასტავლებელათ, ასაშენებელად (მომავლის მიმღობის ასეთი ფორმები ძველ ქართულშიც მეტწილად არ იკუმშებოდა)...

ზგერის ჩამატება. ჩვეულებრივია სონორ ბგერათა ჩამატება როგორც სიტყვის თავში, ისე სიტყვის შიგნითაც.

შ განვითარებულია სიტყვებში: ნამყოფი, გზამწვრილი. მძვირათ, უმფრო, დამჯავრებული, უმყაროულა, შეიმთვისა...

ნ-ს განვითარების შემთხვევები: ტუნჩი, კინტრი, გონგირდი, თამანდა, ინჯრა, ვინგლოვდით...

რ-ს განვითარების შემთხვევები: არტამი, ხარხა. მარშინა, ლარტაკი, არღილი, შემარდგენლობა. მრთქმელი, არდიგენი...

ვ განვითარებულია სიტყვის თავში განსაკუთრებით ო ხმოვნის წინ: ვოდიში, ვოჯახი... გვხვდება სიტყვის შიგნითაც: პოვეტი, უჭმეველობა, წერვა (ნაწარმოებია კითხვა და სხვა ამგვარი საწყისების ანალოგიით)!

ბ-ს განვითარება გვაქვს: გეხუმბრე, კამბეჩი, ნამბრაველი...

ბგერათა შენაცვლება. უხუთის მეტყველების თავისებურებათა გასათვალისწინებლად ისევე. როგორც დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა და განვითარება, ბევრს არაფერს იძლევა. აქაც სხვა კი-

¹ არნ. ჩიქობავა, ვარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი. 1925, გვ. 72.

ლო-თქმების მსგავსად მონაცვლეობა ხდება აქუსტიკურად მსგავსი და ფიზიოლოგიურად მონათესავე ბგერებისა:

ბ — მ: სამჰო, ლუარსამი...

ბ — ფ: ჯამფასობა...

გ — ქ: დეეკარქა, კარქი...

ვ — ბ: კობზი, თებზი, ვიბარცხნი, ბიქტორი, გამეიბლეს...

ვ — მ დამიწყება, მამნებელი, ხელმიწრო, ამსტრია...

ღ — ნ: ოსმანეთი, უმან...

მ — ბ: ბზე, საბზეური, ბზეთუნახავი, ბეჟეწყალი...

მ — ნ: ნეფე...

მ — პ: ლურსპანი...

ნ — მ: ამთებული, სამთელი...

რ — ლ: ბულთი, აბულთაფებს...

ხ — ზ: პაპიროზი, ზაბუთი, ზუსხიანი...

ც — თ: ზარმათი...

ე — ჯ: დამპაიჯა, დაპაიჯებული, საჯენი...

ბგერათა კომპლექსების ცვლა

სწ — სტ: სტავლა, ნასტავლი, სტორია...

ოვა-ოა-უა: ჩამოვარდა || ჩამუარდა, გამუარდა, გაათხოა || გაათხუა, მეითხუა, მოთოა || მოთუა, ჩამუა, მუა...

ოვე-ოე-უე: ვათხოე-ვათხუე, მიატოეს-მიატუეს... ოე ხმოვანთა ჯგუფის ტენდენციით, რომ მოგვეს უე ჯგუფი, — როგორც ეს აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, — აიხსნება გოგუების, ხფუების (|| ხაუების)', ოქრუების ხმარება გოგოების. ხფოების (ხპოების), ოქროების პარალელურად.

ვე — ო: ჩოულობა. მიჩოული, ურლოვდა, გაარლოვს, დაწობა, მოცობა..

ვე — უ: წუმა, მომესურულა, ხუმირა...

ვა — ო: სხოკან-სხოგან...

თშ შერწყმის შედეგად გვაძლევს ჩ-ს: ხუჩაფათი, ამინუჩი (ამ მიწუთში)...

ფონეტიკური პროცესებით: რედუქციით, მეტათეზისით, ბგერათა კომპლექსის ცვლითა და შენაცვლებით აიხსნება შ ა ვ გ ვ რ ე მ ა ნ ო ს ა გ ა ნ შ ა რ გ უ მ ა ლ ი ს მიღება (შავგვრემანი-შავგვრემანი, შარგვიმანი — შარგუმანი — შარგუმალი). ბ ა რ ტ ყ ი ს ა და ა ვ ა ლ მ ყ ო

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 27.

ფისაგან კი ბღარტი და ავანტურ ფი მეტათეზისისა და ას-
მილაციის შეერთებული მოქმედებით მიიღება!

მორფოლოგიური მოვლენები

ბრუნება. სმოვანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშნად დაერთვის ხმოვანი ი ჩვეულებრივ მაშინ, როცა სახელი ერთმარცვლიანია:

ძმავი, ფჳავი, ხმავი, თმავი, ქვეავი, გზავი, თქმავი, სმავი, რვავი, ხევი, ბზევი, დღევი, რძევი, ხპოვი, დროვი, კუვი, ბუვი, ცრუვი, ყრუვი...

ზოგ შემთხვევაში ერთმარცვლიანზე მეტ ბოლოხმოვნიან სახელებსაც აქვთ ბრუნვის ნიშნად -ი: წიპარუვი, ტაპიკევი, ბიცოლევი, შიშველევი, ცარიელევი, პეტერევი...

მ თანხმოვნით გათავებულ ფუძეთა მოთხრობით ბრუნვაში ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მ ისმის: დე და ჩე მ ა მოთხრა... მე და ჩე მ ა აფხანიკმა გვაკეთეთ... ჩამეიარენ ს ა მ ა კაცმა...

შიცემით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი სახელები ფორმით ნაუესაობითს უტოლდებიან:

შინი ძმავი ქალის თხოულოფს... მა'ლეფს ბ ა ტ ი ს... ან წ ლ ი ს წიკავს იქინე... რაფრა კპეჩავს კ ი ნ ტ რ ი ს... კ'არ კლავს ი ქ უ რ დ ი ს... ბოლო მოტყუა საბას ფ ს ხ ა ლ ი ს... სამასი მანათი აწირია საკომი'იოში იმისანა ბ ი ნ ო კ ლ ი ს... ერთ ა ლ ა გ ი ს ტყევი შიქხთებთ გასარიბი... დე და მ ი ს ი ს ვეხვერწვი... დოუჟლავ მ ო ჩ ო თ ი ს... ი ბ ო ფ შ ი ს უთხრა: დოუძახა ბ ო ფ შ ი ს... რას უშობა ტ უ ნ ჩ ი ს... კერ უ ზ ე თ ი ს უძახიენ.. ის ლ ი ს უძახოდენ... არწივმა ო რ ბ ი ნ კრიქი კრა, ვე ფ ხ ვ ი ს შეაბა ლომია... გ ლ ე ხ ი კ ა ც ი ს ჩ'უბი არ ხეობოდა... შოუერთენ სხვა ჯ ა რ ი ს...

ძივიმითის ამგვარი წარმოება უხუთური მიტაიელების სახით ქვემოთიერულს სხვა კილო-თქმათა შორის თავის საკუთარ ადგილს აკუთვნებს?

თუ მივიჩნით დადასტურებულ ი-ს სახელობითიდან გათავოლოდ ი-ლ მივიჩნევდით, როგორც ეს ქანურის სათანადო შემთხვევების მიმართ არის აღნიშნული, მაშინ ქვემოთიერულის თანხმოვანფუძიან სა-

1 არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 71.

2 მიკემითის წარმოებასას ასეთი თავისებურება ხმოვანფუძიან სახელთა მიმართ აღნიშნული აქვს შ. ძივიმითის: ქართული ენის მთარაქველი დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენშვის მოამბე, 11 (1937), გვ. 74).

3 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 49.

ხელთა მიცემითან მისი გადაყოლა ფონეტიკურა მიზეზებით შეიძლებოდა აგვეხსნა, თანხმოვანთა გასაყარად შიგვეჩნია.

ხათესაობით ბრუნვაში დაყენებულ მსაზღვრელს -ს ეკარგება:

ხემწიფი შეილი, ხი ძირში, წიფლი ძირზე, ხერელი თხრა, ჩალი ლორო, კვინიწყული პირი, ბონი ძალღს, სოფლი წამლით, ჭვარი დაწერა.

ხათესაობით ბრუნვაში -ხ-ს დაკარგვა ჩაწერილი მასალების მისედვით მხოლოდ ამ სიტყვებში დასტურდება. მოვლენას სპორადული ხასიათი აქვს.

სათესაობითსა და ზოქმედებით ბრუნვაში უკვეცელი სახელები ზოგჯერ სრული დაბოლოებით არიან წარმოდგენილი.

ხათესაობითი ბრუნვა: ოქროის აკვანი იყო... ხპოის პატრონი მევიდა... თვის ბოლოის ანგარიშები გააკეთა... დედოის მეშინია... გოგოის ქმარი მუშაობდა... ეზოის წინ გაჩერდა... ასიკილოის მოძცა... ნეშოისკენ წვევიდა...

უკვეცელ სახელთა მსგავსაჲ იბრუნვიან სახელები, რომლებიც სალიტირატურო ქართულში ყოველთვის კვეცილია:

დაის ქმარი მევიდა... დედეის ძველი ცხრილი მეიტანა... თავჯდომარეის სანახავათ წვევიდა... ხეის გამობურღა უნდა.

შოქმედებითი ბრუნვა: ვერ გამევიღეთ გელეთ... ხპოით იყო იგი ყმაყოფილი... ქაჯაით იყო იგოგო.

ამ მხრივ ქვემოიშერული გვერდში უდგას გურულს¹.

მოქმედებით ბრუნვაში ორიოდ შემთხვევაში უკვეცელ სახელთა დაბოლოებად გახედება მხოლოდ -თ-ც:

მარტო ვაშლი-ცვიქიქით ინახის თაის გოჭი...

ორი ხარი დაზარალდა, ერთი ქიქინეთ იყო ავათ...

ფითარიბითი ბრუნვის -დ ნიშნის დაკარგვა ქომომიგრულში მოხდარი ფაქტია. დღეს ყოლგან -თ აღიშნება. -დ-ს ხმარების ერთი შემთხვევაც იქარ ყოფილა შინიშნული: გოგოთ, კაჯათ, ავათ...

გახედება ასეთი ფორმებიც: ჯთრიაანა ჯარე იყოს... ხიირიანა ვაქიჯა არ იცოდიან... ბოლოშიანა შივიოთა. წვიყიანა საონელა წყისებიაან... თავნიან-სარგებლიანა ინადეს... ჩიიღვაჯიბაში თავის სისხლიანა...

ჩაწერილი მასალების მიხედვით -დ არ შინიშნება იმ სახიობში, რომელთაც ქონების ა-მნიშვნილი -იან სოოქი აქით გამოიხინებული.

მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლოდ -ებ აფიქსით². რომლიც მცდეშითის ფორმანტისა და -ში და -თან თანდებულების მეზობლობის

¹ შტრ. ს. ქედნტი, გურული კილო, გვ. 58.

² მეორე მრავლობითის ხმარების მხოლოდ ერთი შემთხვევა გვხვდება: ბატონი და ყმანი გე-თიშენ.

გამო ყრუვდება და ეფ-ის სახით წამოგვიდგება: შეილევს, ლაქიევს: თვალეფში, კაცეფთან...

გურულის მსგავსად, მაგრამ არა ისე ხშირად. მრავლობითში აღდგება ფუძის საწარმოებელი აფიქსი სრული სახით და გვაქვს: ძმანები, ბიძახები, დანები...

-ია აფიქსიანი სახელები მრავლობითის -ებ ფორმანტის დართვისას ა ხმოვანს შეიკვეცენ: ქუქიები, კვატიები, მაგრამ: ლობიაები, ასიმილაციით: ლობიები. ასეთი წარმოება ჩვეულებრივია გურულში.

თანდებულები. -თან თანდებულის თ მეტწილად იკარგება ხმოვან-ფუძიან სახელებთან: დედესან, ხემწიფესან, სერგისან, ილიტესან...

თანხმოვანფუძიან სახელთან ამ თანდებულის წინ მიცემითის -ხ შენახულია: დათესთან (მოვლენა ინდივიდუალურია).

-ვით თანდებული -ვეთ-ის სახითაც გვხვდება: თვარესავეთ, იოლსავეთ, დღესავეთ...

-თვის თანდებულის პარალელურად იხმარება -თვის თანდებული: თათრებისთვის, ქართველებისთვის, ყველელისთვის, რისთვის, ბოლოსთვის...

-თვის თანდებულის ფუნქციით გვხვდება ისღა—იზღა—იზა. დათვიზა, პურიზა, თათრებიზა, ბრიგადებიზდა||ბრიგადებიზა.

ხათესაობით ბრუნვას დაერთვის და -კენ თანდებულის ფუნქციით იხმარება, თუმცა მეტად იშვიათად, -ყენ თანდებული:

იქით ქენი პირი კანტორისყენ... მეორე კაცმაც ამისყენ გეიქა... წვეიდა ხალხმა ფთისყენ... ეირჩია ქალებისყენ ქალიერთი თამანდათ... კოოპერატივისყენ წვეიდა ახლა...

კითხვაზე საიდან იხმარება იღ-გან, იღ-ან ტიპი: იმგენიდგანსამეგრელოიდგან, აბანოიდან... ასევე იღ-გინ, იღ-ინ ტიპი:

თავიდგინ, თხმელარიდგინ, ტყიდინ, ტყავიდინ. იშვიათი არაა ყველა ამ ფორმის ხმარება -გან თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციითაც კითხვაზე ვისგან ან რისგან:

ვეზირებიდინიც ეილო ოქრო და ხემწიფიდანაც... ყურადღებას იპყრობს -დამ-იანი სახეობაც, რომელიც მხოლოდ უფორმო სიტყვებთან გვხვდება და გამოსვლითის ფუნქცია კი არ აქვს, უბრალოდ ადგილს აღნიშნავს კითხვაზე სად (და არა საიდან?):

სოფლათ ვცხოვროფ, ნაძვების ზემოდამ (ზემოთ)... ცხრა ფთას იქიდამ (იქით) წვეიდა... გამეველით გარედამ (გარეთ)... მამამის-

მა გალახა ბოფში და გააგლო გ ა რ ე ლ ა მ (გარეთ)... ჩემი ძმანები გაყარეთ გ ა რ ე ლ ა მ (გარეთ) და თქვენ ოქროს იყოფთ? გაშევიდენ გ ა რ ე ლ ა მ (გარეთ)...

ერთ შემთხვევაში შეგვხვდა -დაძე: იმის იქ ი ლ ა მ ე, (იქით), ახლა რო მარშინა მოჩანა, გარაბრუნდა აქტო...

მდე || მდის თანდებულის მხოლოდ -მდი სახეობა გვხვდება: უ ხ ზ თ -თ ა მ დ ი, გ ა თ ა ე ე ბ ა მ დ ი, ს ა ლ ა მ ო მ დ ი...

თანდებულის მნიშვნელობით ნახმარ ზმნიზედა წ ი ნ ა შ ე სახელს მართავს მიცემით ბრუნვაშიც: საერთო კ რ ე ბ ა ს წ ი ნ ა შ ე (შენიშნულია მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა)...

„უქან“, „შემდეგ“ ზმნიზედების მნიშვნელობით იმარება ოღა || უღა და გვხვდება ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალების მიხედვით მხოლოდ ჩვენებითი სახელთნაცვლების მიცემით ბრუნვასთან: მას ო ლ შ ა ვარ სულ ტირალე... მას უ ლ მ ა აგერ ხუთი წელიწადია...

ნაცვალსახელები. „ის“ ნაცვალსახელზე უფრო ხშირად იმარება იგი, თუმცა გურულთან შედარებით მისი გამოყენების არე შეზღუდულია:

ი გ ი თურმე დავით აღმაშენებელს ოუშენებია უწინ.

როცხა უნარნაკლია, ი გ ი უნდა შეინახო, — იტყოდა ბიძა.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის მოცემულია ე, ი-ს სახით მეტწილად: ი ხემწიფე თვითანაა მოსამართლე... ე ბოფში ათი-თორმეტი წლისა... გევიგეთ ი ჩერქეზების ბუნტის ამბავი... გევიყავით ე ტყავი...

ეგ, მაგ ნაცვალსახელები ეგი-სა და მაგი-ს სახითაც იმარება და გ ხმოვნის ჩავარდნითაც: ე გ ი ტყული საჩივარია... ჩამევიდა ე გ ი... მ ა გ ი კარ უთქვია... მ ა გ ი უნდა დევიქირო... მ ა ი გამცხადება დატუე აქახე.. ე ი დაფქული არ ვარგა, ე საკუპრე...

მრავლობითში გვხვდება იგენი, მაგენი: ი გ ე ნ მ ა ხეზე შევიდენ... დაჯინაყენ ი გ ე ნ ი... მ ა გ ე ნ ი ს რავა შემეშინდება... მ ა გ ე ნ მ ა გაფუქენ ი საქმე... სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ყველა ბრუნვაში ამ ნაცვალსახელების მრავლობითობასა და ბრუნვას თავ-თავისი აფიქსები გამოხატავს ისევე, როგორც არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელთა პირველ მრავლობითში გვაქვს ეს.

საყურადღებოა, აღინიშნოს სახელობით ბრუნვაში მსაზღვრელად გამოყენებისას ჩვენებითი ნაცვალსახელის არა მარტო სახელობითი ბრუნვის, არამედ სხვა ბრუნვათა ფორმების ხმარებაც:

ხუთ ძმაში თურმე ი მ ე რ თ ი გარაჩენილიყო... ი მ ე რ თ ი სულ ვერ დეიარება... ი მ ე რ თ ი ქე მოატყულა... ა მ ე რ თ ი ამბავი ასეთია... შენ რცი ძან ტყუილი, მარა მაგენმაც ძან მოგატყუა ა მ ე რ თ ი...

იმ და ამ ნაცვალსახელების ხმარება სახელობით ბრუნვაში მხოლოდ აღნიშნულ რიცხვით სახელთან იყო შემჩნეული. ის და ეს-ის ნაცვალად მათი გამოყენება სხვა ბრუნვათა ანალოგიით შეიძლება აიხსნას სახელობითში.

ყოველგვარი სახით გვხვდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელები: ვილაცა, რალაცა, ვინცალა, რაცალა, ვინძალა, რაძალა (იშვიათად იხმარება), ვინცხა, რაცხა, ვინცახა, რაცახა რემელიცხა...

ჩვეულებრივად იხმარება უარყოფითი ნაცვალსახელი ვერევიან და ურთიერთობითი ერთქამეთი, ერთიმეორე || ერთიმორე.

წარმოქმნა. ადამიანთა სადაურობის აფიქსი - ელ გამოყენებულია ნივთის სადაურობის გამოსახატავად: ცეზონურია უხუთელი ადგილმდებარეობა... სიმიდე კაია ეწრის, გორელი და როხის... სამტრედელი სიმიდეა კაი, ვანელი სიმიდეც კაია... უხუთელ დეინის აშბავს გეტყვიან ვანელები...

ხედსართავების - იან სუფიქსის ნაცვალად გვხვდება - იერ სუფიქსიც: ქკვიერი რო იყოს, რა უჭირს... სანდომიერი სახე ქე აქ...

განყენებულ სახელთა საწარმოებელ - ება სუფიქსის გვერდით ვხვდებით - ობა სუფიქსაც: შენ ბედნიერობას მომასტროს ღმერთმა... თამარ ნეფეზე : თქმულობა არ ვიცი...

წარმომავლობის - ეულ აფიქსის გვერდით რეგრესული ასიმილაციის შედეგად - ოულ აფიქსიც იხმარება¹: გიორგისოული, როხვაძისოული...

ქონების აღმნიშვნელი - ოვან სუფიქსის ო იკარგება: სახელვანი ქალია... გულვანი ეგონა თავი...

კხინობითობის საწარმოებლად ფართოდაა გამოყენებული ა, რომელიც დაერთვის თანხმომავანფუძიან სახელებს²: სიმიდა, ნაფოტა. სამსონა, ელისაბედა, ნესტორა, გედევანა, ტარიელა...

სახელობითის ი-ს დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით - ა იქცევა ე-დ, თვითონ - ი კი მეტწილად იკარგება და ვლდებულობა: სიმიდე, ნაფოტე, სამსონე, ელისაბედე, ნესტორე, გედევანე, ტარიელე (ტარიელაი=ტარიელეი=ტარიელე)³.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, 1930, გვ. 126, შწმ. 4.

² იქვე, გვ. 118.

³ მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. II, 1941, გვ. 232.

ამგვარი წარმოება იმდენად დამახასიათებელია უხუთური მეტყველებისათვის, რომ - ა ხმოვანფუძიანი სახელები ჩვეულებრივ ანე-
თი დაბოლოებით გვევლინებიან: ჯ ა ყ ვ ე, პ ა ნ ტ ე, ჯ ი ნ ჭ ვ ე ლ ე,
ტ ო ფ ს ი კ ე, დ ა ნ ე, მ ა მ ე, დ ე დ ე, მ ა მ ი დ ე, პ ე ტ ე რ ე,
ა ვ გ უ ლ ე. ყ ვ ე ლ ე...

ვითარების აღმნიშვნელ სიტყვებთანაც გვაქვს ამგვარი დაბოლო-
ება: ტ ყ უ ლ ა თ ე, ნ ა მ უ ს ა თ ე, ჩ უ მ ა თ ე, ძ ა ლ ა თ ე, ძ უ-
ლ ა თ ე...

ზოგჯერ სახელობითის - ი დაკარგული არ არის: ყ ვ ე ლ ა ი, დ ე-
დ ე ი, მ ა მ ე ი, შ ი შ ვ ე ლ - ტ ი ტ ვ ე ლ ე ი, პ ე ტ ე რ - პ ე ტ ე რ ე ი,
ჩ უ მ ა თ ე ი...

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის -ა-ს გვერდით ჩვეუ-
ლებრივ იხმარება - ია მაწარმოებელიც: ს ა მ ს ო ნ ი ა, ბ ე გ ლ ა რ ი ა,
მ ა რ თ ა ი ა, ნ უ ც ა ი ა, ქ ე თ ო ი ა, ბ უ ჩ უ ი ა, ე ლ პ ი ტ ი ა,
მ ო ს ი ა, გ ი ო რ გ ი ა¹...

-ია-ს დართვისას იკ-ო მაწარმოებლიანი სახელები ამგვარად იწ-
ნებიან წარმოდგენილი: თ ა ლ ი კ ი ა, ვ ა ლ ი კ ი ა, ა ნ ი კ ი ა, შ ა-
ლ ი კ ი ა...

-ია-თი დაბოლოებულ სახელთა მიმართაც ძალაშია ზემოაღნიშნუ-
ლი ფონეტიკური პროცესი, ამიტომ გვაქვს: ს ა მ ს ო ნ ი ე, ბ ე გ ლ ა-
რ ი ე, მ ა რ თ ა ი ე, ნ უ ც ა ი ე, ქ ე თ ო ი ე, ბ უ ჩ უ ი ე, ე ლ პ ი-
ტ ი ე, მ ო ს ი ე, გ ი ო რ გ ი ე...

სახელობითში გვხვდება, და არც თუ იშვიათად, ასეთი დაბოლო-
ებაც: კ ა რ პ ე ზ ი ი, ფ ი ლ ი პ ი ი, ე ვ ს ტ რ ა ხ ი ი, ი ლ ი ი...

ასეთი შემთხვევები შეიძლება აიხსნას სრული ასიმილაციით
(ილია — ილიეი — ილიი).

ყველა ეს დაბოლოება (გარდა იი-სა) გადაწყვება სახელებს სხვა
ბრუნებებშიც:

მოთხრ.: ნ ე ს ტ ო რ ა მ წ ე ვ ი დ ა... ყ ვ ე ლ ე მ ქ ე ი ც ო დ ა... შ ა შ ა-
ი ა მ ე ლ პ ი ტ ი ა ს გ ა ვ ა ტ ა ნ ე ო... მ ა რ თ ა ი ე მ გ ი თ ხ რ ა მ ა გ ი ?..

მიც.: ან აქ გ ე დ ე ვ ა ნ ა ს წ ა ლ ბ უ ლ ი, ან გ რ ი შ ა ი ა ს... ყ ვ ე-
ლ ე ს ქ ა მ ა გ ვ ი ნ დ ა... ნ უ ც ა ი ე ს უ თ ხ რ ო ბ ი ა...

ნათ.: მ ა მ ე ს ვ ა შ კ ა ც ო ბ ა შ ი მ ო ხ თ ა ე გ ი... ყ ვ ე ლ ე ი ს თ ვ ი ნ კ ა ი
უ ნ დ ა... ე ს მ ა ი ა ს ბ ი ჭ ი ს მ ო ს ი ე ლ ა ს და ვ ა რ დ ე ნ ა ს ბ რ ი გ ა დ ა
გ ა მ ე ვ ი ყ ვ ა ნ ე... ი ლ ი ე ს ქ ა ლ ი ი ყ ო...

შეუწყვეცილი ფორმების პარალელურად გვაქვს შეკვეცილი ფორ-

¹ - ე და - ი ხმოვნიანი სახელები -ია-ს დართვისას ბოლოკიდურ ხმოვნებს კარ-
გავენ: ს. ე დ ე ნ ტ ი, გ უ რ უ ლ ი კ ი ლ ო, გვ. 65.

მეზიცი: გიორგიის ეზოზე გამევედით... მართაიის ვალი ქონია.
სერგიის ცოლმა წეაყვანა ი ბოფში...

ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებისას გვხვდება - იი დაბო
ლოვბა: ფილიპიი რაზმაპის ბრიგადები... მე ვარ ილიი ჭანე
ლიძის ბიჭი... აქანე იყო სერგოი ბიბიჩაძესან...

ქინობითობისათვის გამოყენებულია - ელა აფიქსიცი: კოლიელა
მოსიელა, გოგოელა, სონიელა...

ზ მ ნ ა

პირველი პირის სუბიექტის ნიშანი ვ- იკარგება უ სმოენი!
წინ, სხვა კილო-თქმების მსგავსად: მე გაროუტეხე... მე ქე უთხა
რიყენ... მაქვრეტებს უ ძახო დით ჩვენ... უდგავართ ივენს..
მეორე პირის სუბიექტის ნიშანი უხუთურ მეტყველებაში აღა
ინხარება¹.

მესამე პირის სუბიექტური ნიშანი - ს დაკარგულია ზმნებში: აქ
გაქ. მაქ (იკარგება ვ-ც), არი...

აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ი-თი გათავებულ
ზმნის ფუძეებს - ან სუფიქსის ნაცვლად დაერთვის - ენ: არიენ, ტი
რიენ, ყობიენ, ეხოვიენ, ეუბნებიენ, ყვირიენ
ხსნიენ...

ამგვარ ზმნებთან - ან სუფიქსის ხმარება - ენ-ის ანალოგიით უნდ
აიხსნას.

- ენ სუფიქსი ზოგჯერ ობიექტური - თ სუფიქსის ადგილსაც იქერს
აქვეენ, ძინავეენ, დვიძავეენ, მიაქვეენ...

მრავლობითის ამგვარ წარმოებაში მეგრულ-ქანური ნორმა უნდ
მელაუნდებოდეს².

მესამე პირში მრავლობით რიცხვში წყვეტილში გარდამავალ ზმნებ³
აქვთ დაბოლოება - ენ: დაქვექრენ, მითხრენ, ჭამენ, გა
აგზანენ, დეიხსენ⁴.

ქვემოიერულს ყველა ფორმის წარმოებაში ნაირნაირობა ახასია
თებს, ამიტომ, რომ უწიგნურ პირთა მეტყველებაშიც კი ამ ზმნათ
დაბოლოებაში პარალელური ფორმები მოგვეპოვება: - ენ-ის გვერ
დით გვხვდება - ან აწმყოში, ხოლო - ეს — წყვეტილში გარდამავალ

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქს
მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 178.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქარ
თული ზმნის უღელღების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1
1946, გვ. 94.

³ - ენ უხუთის მეტყველებაში არ იხმარება.

ზმსათა მრავლობითი რიცხვის მესამე პირში. ამ მხრივ ქვემოთმართული (უხუთური მეტყველების მიხედვით) განსხვავდება გურულისაგან. გურულში -ენ სუფიქსს არც აწმყოში, არც წყვეტილში მეტოქე არ ჰყავს¹.

ობიექტური პრეფიქსი გ- იცვლება ქ-დ ან კ-დ, ხოლო გვ- — ქვ-დ მოძღვენო თანხმოვნების მიხედვით: მოქკვითხეს, მოქკეემენ; შექქამს, ქთხოეს, მოკვეტერია...

ზოგჯერ ეს ქ-ც დაკარგულია ქ ბგერის მეზობლობაში:

შენ ქონ და იღბალი... შენ ქონ დეს ყველეი...

მესამე პირის ობიექტის ნიშანი ნაშთის სახითაა შემორჩენილი და გვხვდება ირიბობიექტიან და იშვიათად პირდაპირობიექტიან ზმნებში: შე ს თ ხ ვ ა, მო ს ტ ა ც ა, მი ს ც ე ნ, ა ს წ ი კ ა, მო ჰ კ ი - და, ზ დ ე ვ ს, ვ ზ დ ი ე ყ ე ნ, შე შ ქ ა მ ა...

ჩანს, სადაც იხმარება მესამე პირის ობიექტური ნიშანი, ჰ-სა და ხ-ს სახითაა წარმოდგენილი. ხ- თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად წინაენისმიერ თანხმოვნებთან გვხვდება მხოლოდ. იგი ასიბალაციით დ-სთან ზ-ს იძლევა, ხოლო კ-სთან შ-ს.

ერთპირიან ზმნათა თურმეობითი პირველი მესამე პირის მრავლობით რიცხვში ვნებითი გვარის წარსული დროის მიმდევობის ფორმაზე დაირთავს აწმყოს მეშველ ზმნას სრული სახით: წ ა ს უ ლ ა რ ი ე ნ, გ ა ზ დ ი ლ ა რ ი ე ნ, დ ა წ ო ლ ი ლ ა რ ი ე ნ, დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა რ ი ე ნ, დ ა მ დ გ ა რ ა ლ ი ე ნ, (დ ა მ დ გ ა რ ა რ ი ე ნ), გ ა მ ხ თ ა რ ა ლ ი ე ნ, ჩ ა მ ო ს უ ლ ა რ ი ე ნ, ყ ო ფ ი ლ ა რ ი ე ნ...

საშუალო გვარისა და სტატიკური ვნებითის ზოგიერთი ზმნა თურმეობითის ანალოგიით იწარმოება აწმყოში?: მო დ ი ლ ა რ ი ე ნ, გ ვ ი - ჯ ი ლ ა რ ი ე ნ, დ გ ა ნ ა რ ი ე ნ, ყ რ ი ლ ა რ ი ე ნ, წ ე ვ ლ ა რ ი ე ნ...

- ავ თემის ნიშნიანი ზმნები თურმეობით პირველში - ია დაბოლოებითაცაა წარმოდგენილი: უ ნ ა ხ ი ა უ კ ი თ ხ ი ა, უ თ ქ ე ი ა...

თურმეობითი პირველის ასეთი წარმოებაც გვხვდება: ი გ ო გ ო ნ ა ყ ვ ა რ ე ბ ა ი ბ ი ჰ ს... მო ნ ა ვ ა ლ ა გ ი ვ ი ე ლ ა და მო ნ ა ქ ო ნ ა ფ უ ლ ი... თურმეობითის ეს ტიპი მეგრულის გავლენის შედეგი უნდა იყოს².

საშუალო გვარის ზმნები: წ ე ვ ს, ჩ ა ნ ს, დ გ ა ს, დ ე ვ ს, ჯ დ ი ხ (სალიტერატურო ქართულით ზის) წარმოდგენილი არიან აწმყოში მესამე პირში: წ ე ვ ე ნ ა || წ ე ნ ა, ჩ ა ნ ა, დ გ ა ნ ა, დ ე ნ ა, ჯ დ ე ნ ა-ს სახით. ეს ნ პირველ პირშიაც აღინიშნება: ვ წ ე ნ ვ ა რ, ვ ჯ დ ე ნ ვ ა რ...

¹ შტრ. ს. ე დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 62, 8; მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმურის თაქსებურებანი, ქუთ. პედინსტიტუტის შრ., II, 1941, გვ. 233.

² ვ. ფ ა ნ ჩ ე ი ძ ე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. მეც. აკად. შოაშბე, ტ. 6, № 10, 1945, გვ. 84.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 146.

შუალობითი კონტაქტის - ინ ფორმასტი გვევლინება ი-ს სახით. უაღრესად, დააწყებია, გვაწერებდა, გარავახ-
უვეი, დავატოვიეთ...

-ებ, -ობ თემის ნიშნების ბ ყოველთვის დაყრუებულია და ფ-ს
სახითაა მოცემული: მევისაქმეფ, ჩაგაბარეფ, დავა-
სახელეფ, მუშაოფ. ყუროფ...

გამონაკლისს შემთხვევებში -ებ და -ობ აფიქსებს ენაცვლება -ავ.
მიჯრავს, გოუგდავდი, ფიქრავს... ზოგჯერ ეს უკა-
ნასახელი მედიოპასივების ანალოგიით დაირთავს პირველ და მეორე
პირში მეშველ ზმნას: ვფიქრავარ (ვფიქრავვარ), ფიქრავ-
ვარ, ვფიქრობვარ...

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური ბარის კილოების დამახასიათე-
ბელი -ავ თემის ნიშანთან ამ-ის მონაცვლეობა¹ უხუთური მეტყველე-
ბისათვის უცხოა. აქ -ავ-ის პოზიცია მეტად მტკიცეა.

-ებ თემის ნიშნთან ზმნა „ტოვებს“ უნიშნოდ იხმარება: ტოვს,
უატოვს, დავატოვიეფ, დატოვული.

აცმევს, აჰმევს, ასმევს ზმნები, გურულის მსგავსად, აცუმს, აჰუმს,
ასუმს სახითაც იხმარება².

„ზმნა „მოუვიდა“ მოუვდა და მოუღდა-ს სახითაა წარმოდგენილი.
სიტყვის ხმოვნურ შემადგენლობაში აქ ცვლილება ან მახვილს უნდა
ვამოწვივა (მოუვიდა—მოუვდა—მოუღდა), როგორც ეს აღნიშნული აქვს
: ლომთათიძეს აქარულის „წვიდა“ ზმნის მიმართ (წველა → წევდა →
წვევიდა)³, ანდა ვი ბგერათა კომპლექსის ცვლასა და რედუქციას: მო-
უვიდა—მოუღდა—მოუღდა.

გადა - ზმნისწინი ყოველთვის გარა-ს სახით იხმარება: გარაადლო,
გარაახტა, გარევიდა, გარეიტანა, გარეიყვანა (ფუძის ი და ე ხმოვნე-
ბი იმსგავსებენ ზმნისწინის ხმოვანს).

ქველი ქართულის გარდა - ზმნისწინმა ახალ ხალიტერატურო ქარ-
თულში რ დაკარგა, ხოლო ქვემოიმერულში -დ.

სისტემატურად იხმარება ზმნებთან ნაწილაკი -ყენ. იგი გამოხატავს
ირიბობიექტური და პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობას. ხო-
ლო ინვერსიულ ზმნებში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის
მრავლობითობას⁴. ამ ფუნქციით უხუთურ მეტყველებაში -ყენ ნაწი-

¹ შლრ. არხ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925,
გვ. 65; ვ. თ. ფურია, ქართლური, იქვე, გვ. 141.

² შლრ. ს. ქლენტი, გურული კილო, 1936, გვ. 61.

³ ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ
ქართულ დიალექტში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 237.

⁴ არხ. ჩიქობავა, -ყენ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამა-
ტიკოლოგიის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწდეული, I—II, 1923—24
გვ. 65—66.

ლაკის ხმარებას კანონზომიერი ხასიათი აქვს. არსად ეს კანონზომიერება დარღვეული არ არის.

- ყენ ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად:

ერთს ქ თ ს ო ვ ყ ე ნ, ჩემო უფროსო ყმარწვილებო! ქე უ თ ხ ა რ ი ყ ე ნ მე მაგენს... შეკეთებული ურემი და გ ი ტ უ ე ყ ე ნ მე თქვენ... ზაზინმა სადილი და ა ხ ვ თ ე რ ა ყ ე ნ იგენს... გ ო უ რ ჩ ე ვ ყ ე ნ რამეს იგენს... ქე უ რ ტ ყ ი ყ ე ნ ყველას, კილო გული მწყება, რატო მეტი არ უ ქ ე ნ ი ყ ე ნ იგენს... იმდონს მ ო გ ი ყ ო ბ ი ყ ე ნ, რო გა დ ა გ რ ე ვ ყ ე ნ თლათ...

სახელობითში დასმული პირდაპირობიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად ვ. ფანჩიძეს მის მიერ შესწავლილ იმერეთის რაიონებში ეს ნაწილაკი არ დაუდასტურებია, ამიტომ ფრთხილად გამოთქვამს მოსაზრებას — ეს გარემოება დამახასიათებელი უნდა იყოს იმერულისათვისაო.¹ უხუთური მეტყველების მიხედვით -ყენ ნაწილაკის ზმარება ამ ფუნქციითაც ფაქტია: ხემწიფემ და ა ა ჯ ი ლ ო ა ყ ე ნ იგენი... წიბიები გ ა ვ დ ე ნ ე ყ ე ნ ეზოში... შვილები და ვ ზ ა რ დ ე ყ ე ხ... მე ქე ვიყავი იქინე და ქე ნ ა ვ ხ ე ყ ე ნ იგენი... ბიჭმა და ა ჯ ი ნ ა ყ ე ნ იგენი... მშვიდობიანათ გ ა რ ე ი ც ი ლ ა ყ ე ნ ი კაჩაღები... ამდონი ხანია კარქათ მე ვ ი ყ ვ ა ნ ე ყ ე ნ შვილიშვილები...

- ყენ ნაწილაკი მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად ინვერსიულ ზმნებში: დ ე ე წ ყ ო ყ ე ნ ჩურჩული... მ უ უ ტ ა ნ ი ა ყ ე ნ ამბავი (იგენს)... წუხელი სიმიდე მ ო უ პ ა რ ა ვ ს ყ ე ნ ი წყუულეფს... დ ო უ ლ უ პ ა ვ ს ყ ე ნ ი კაკო (იგენს), რო უ კ ი თ ხ ა ვ ს ყ ე ნ ამბავი, ჩვენც ხურციძეები ვართო. — უ თ ხ რ ო ბ ი ა ყ ე ნ...

- ყენ ნაწილაკის დართვისას „აქვ(თ)“ აყვენ-ის სახით გვევლინება რელექციისა და მეთატეზისის გამო (აქვეენ=აყვენ=აყვენ).

ეს ნაწილაკი სხვა აკომოსავლურ და დასავლურ კილო-თქვებშიც მოიპოვება. ამდენად, მისი ხმარება ქვემოიშვრულის უხუთურ მეტყველებაში საინტერესო ჩვენებას იძლევა კილოთა ისტორიული ურთიერთობის გასათვალისწინებლად.

ლინტაქსური მოვლენები

აღინიშნება მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობა ბრუნვაში. მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, როცა საზღვრული მიცემითში დგას:

¹ ვ. ფანჩიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, 19-15, გვ. 849.

ერლი დიდი კეტს... ბევრი აფხანიკებს... მე ბაღურ კატს...
ხსენებდებიანი მასწავლებელი მიცემით ბრუნვაში სპორადულად
ბრუნვის ნიშნითაა წარმოდენილი:

ვლახას ალაგინეს... მორეს ალავას... იმისანას ალაგზე...

როდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული საზღვრული
ნარკლოზით რიცხვში დგას:

ვიყავით რვა აფხანიკები... ხემწიფემ მოთხარა ორივე
თვალეში... აგრორი ბიჭები არიენ... ორვე ქმანები
ციხეში მოცდია... სამი ბიჭები ეყოლა... გოუშვა ექვსე ქა-
ლები...

ადამიანის აღმნიშვნელ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიც-
ხში შეთანხმება დარღვეულია:

იმგენმა უთხრა ხაზეინს... ეუმფროსვანი ქმანები პოლზე
დაწვა... კითხა უმფროსმა ქმანებმა... იმგენმა არ შე-
მიწინახა...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის აზრის მიხედვითაა შეთან-
ხმება:

იმსამს აყვენ აფხანიკობა... წვეიღენ ხალხმა ფთის-
ყებ... საწყალ ხალხს მიაყვენ...

ქვემდებარე მოთხოვნილობა ჩვეულებრივ საშუალო და ვნებითი
გვარის ზმნებთან:

ქმარმა შევიდა სახში... ამ გლახა ბიჭმა წვეიღა
იქით... ჩამოხტა ხარაზი შვილმა... ყველემ გეისუდ-
რა... კაცმა ციმისკენ გეიქცა...

გამოყენებულია ორმაგი უარყოფა:

მოსილაზე არაფელი არ გამოუტანებია... ბრეველი არა-
ფელი არ ჩანა... ჩემი შვილის არაფელი არ ვიცი... ი სამსონა
ჩუბინიძეს ვერ მეგრიონ ვერ ვეინ...

სისტემატურად იხმარება დადასტურებითი ნაწილაკი ქე. იგი ყო-
ველგვარ წინადადებაში გვხვდება: მარტივში, შერწყმულში. თანწყო-
ბილსა და ქვეწყობილში — მთავარშიც და დამოკიდებულშიც:

ჩემი ეზოიდან ქუთეისს ქე დეინახავ... ე კაცი ქე მოკლა ი ღორის
გულიზა თურმე ი მეგრელმა... მე ქე ვიყავი იქინე და ქე ნავხეყენ იგე-
ნი... იგი თავის საქმეს ეძფეს და შენსას ქე ღუპავს... მას ქე არ გავარდა
სული და მე ქე დამაქცია... ქე უთხრენ ბიძანებმა, მარა ქე დეიღუპა
თავისი თავი მაინც ნიკოლოზა ჩენჩერამ... ხუჩათათ დღეს მიიყვანეს და
შაფათ ღამეს ქე მოუკცა ქმარი... ყველამ ქე იცის, რო უნოფ... ქე
ეწერება მაქანე, რამდონეთი მაქ... რო გავალე კარი, ქე იჯდა... როცხა

¹ ნაწილაკი - ვე რიცხვითი სახელების ფუძესაც დაერთვის.

ე ბუნტი მომსახურა. მაშინ ქე ვოუწოვიათ ი ჩენი ბატონი საჩუბრა-
ში... იყურა, იყურა და თქვა: მართალი ქე არიო... ვერ ამევიდენ იგენი,
თვარა ბზათ ქე ვეყავით... ეუბნებენ მოყვრები: ოო აქანეც ქე გონ-
დეს მსვლელობა და იქინეცო...

შოუბარი როცა თავის ნათქვამს მეორე პირს გადასცემს, ხმარობს
არა მეთქი ნაწილას, არამედ იმ სიტყვებს, რომელთაგანაც ეს ნაწი-
ლაკია წარმომდგარი, ოლონდ პირველი პირის სუბიექტური ნიშანი
იკარგვის:

სერგიელა, იონა, თქვენ შეგიდგათ ღვარი-მე თქვი.

დასკენისათვის: ჩანს, ზოგი განხილული ფონეტიკურ-ფორ-
ფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა ქვემოიმერულს უხუთური მეტ-
ყველების მიხედვით თავის საკუთარ ადგილს აკუთვნებს, მაგრამ, სა-
ნამ ქვემოიმერული, და საერთოდ იმერული, მთლიანად შესწავლილი
არ არის, მანამ ნაადრევია სხვა ქართულ კილო-თქმათა შორის მისი ად-
გილის განსაზღვრა.

1948 წ.

აკაკი წერეთლის ენა¹

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად ახალი სალიტერატურო ქართული ენის ფუძემდებელია. მასაც ცოტა ბრძოლა როდი დასჭირდა, რომ გაეწმინდა ქართული ენა ანტონ პირველის სკოლის მიერ დაძმობიებული არქაული სიტყვებისა და გამოთქმებისაგან, ხელოვნური კონსტრუქციებისა და საძნელო ორთოგრაფიისაგან და ახალი სალიტერატურო ენა ბუნებრივ ხალხურ მეტყველებაზე დაეფუძნებინა.

ილიასა და აკაკისათვის ცხადია, რომ ენის განვითარების ბუნებრივი კანონზომიერება ცოცხალ მეტყველებაში, ხალხის ენაშია მოცემული, რომ წიგნის ენას, რომელიც კონტროლს ემორჩილება და ამის გამო ხელოვნურია, ის ასაზრდოებს, ამიტომ მოითხოვენ ისინი, რომ ყველა საგანზე ერთნაირად სადა, ხალხური ენით იწერებოდეს.

1860 წელს ეურნალ „ციცქრის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ა. წერეთლის ლექსი „საიდუმლო ბარათი“. აკაკი აღნიშნავს: „ამ ლექსის გამოცხადებით ორი წერილი მივიღე. ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო. აი, რას მწერდა სხვათა შორის: „გილოცავ მოძაირობას და თანვე გთხოვ. მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეკირეება, შენ კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშოშია, რომ შენი ლექსი უკვლას გულში ხედება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსებათ გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან. და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“. მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძისა. ისიც მაქებდა და მოსკოდა: ძველი ენითა სწერეთ. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გაძაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“ და მეც გადაეწყვიტე, რომ

¹ წაითხოვია მოხსენებად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ა. წერეთლის გაზაქვალეების 40 წლისთავისადმი მიძღვეილ სამეცნიერო სესიაზე 1955 წლის 23 თებერვალს.

თავი დაედო მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაის-
ლურად ვწერო!“¹.

მართლაც, აკაკი წერეთლის ენა ბოლომდე ხალხური და სადა დარ-
ბა.

აკაკის ენა „განიჩეოდა წმინდა, ხალხური კილოს მანამდე გამო-
უცდელი სიმშვენიერით და სიმსუბუქით, იმ კილოსი, რომელიც სრუ-
ლიად თავისუფალი იყო მწიგნობრული ხელოვნობისა და განსაზღვრუ-
ლობისაგან“, — წერდა ნ. ნიკოლაძე².

ა. წერეთელმა დარბაისლურ ენას. „ციცკრის“ ოფიციალურ ენად
რომ იყო გამოცხადებული, თავის „ენების გასამართლებაში“ სასიკვდი-
ლო განაჩენი გამოუტანა: „რადგანაც ეგ მშვენიერი ენა სააქაოს აღარა-
ვის ეყურება, ცოდვა არის. რომ ტყვილად გაფუჭდეს და ამისთვის უმ-
ჯობესია საიქიოს გაიგზავნოს! გაიყვანეთ! მშვიდობით წარვედინ!“³

აკაკი ყოველთვის გულმოდგინედ არჩევდა სიტყვას. იგი კიცხავდა
იმათ, ვინც თავს იმართლებდა: ქართული ენა ღარიბია და სიტყვას ვერ
ცხოვლობთ. „ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი! ძველ წიგნებს
ჩვენ აღარ ვკითხულობთ. ხალხში ჩამდგარი არა ვართ. რომ მათს სიტ-
ყვა-პასუხს ყური ეუგდოთ. ვიგონებთ, რაც მოგვადგება ენაზე და
მორჩა-გათავდა“⁴.

აკაკის სიტყვა იმერეთის ბუნებასავით მდლიანია და ხუნელო-
ვანი.

ილია აკაკის ერთი სიტყვის შესახებ. რომელიც მან წარმოთქვა თე-
ლაეში, კახელების წინაშე, წერდა: „იმაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ
გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ. გიკვირთ და კით-
ხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტ-
ყვას, ისე შეზავებულია. ისე შეხამებულია. ისე შეხორცებულია სიტყ-
ვე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან“⁵.

აკაკიმ იცის. რომ „სიტყვა თესლია. ხოლო ხალხი — ნიადაგი. რომ
თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნა-
ყოფოდ არ რჩება“. რომ. რაც უფრო სადაა სიტყვა, მით უფრო ზუს-
ტია იგი, მით უფრო მეტი შეგონების ძალა გააჩნია, ამიტომ მის ქნი-
ლებებში სიტყვები ისე მოხდენილად და შერჩევითაა მოწოდებული.
ისე სიზუსტით და ფაქიზად გადმოგვცემს სათქმელის ყოველ ნიუანს-

¹ ა. წერეთელი, ლექსები, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 5,
გვ. 50, გვ. 404-405.

² ნ. ნიკოლაძე, განთიადი, 1915, № 7.

³ ა. წერეთელი, ტ. IX, 1959, გვ. 110.

⁴ ა. წერეთელი, ტ. VII, 1961, გვ. 391.

⁵ „ივერია“, 1862, I, 10, გვ. 143.

საც კი. რომ მკითხველი უდიდეს ესთეტიკურ სიაზოვნებას ვა-
ნიცდის.

მოვესმანოთ თვითონ აკაკის:

„დიდი ხანი იზორვა გაბოროტებულმა ბიძინამ და, რომ დაიღალა,
დღე და ღამის გაყრის დროს, ჩამოჯდა ტახტზე და გადასედა ალაზნის
პირებს. ბნელი თანდათან იჭრებოდა არემარეში. თვალი სინათლეს
პკარავდა, მაგრამ სამაგიეროდ ყური ძალას იჩენდა... ალაზნის შხუ-
ლი, ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეჰხენეშის მის გა-
რეშემოს!... ცაზე ვარსკვლავები აკაფდნენ!... მთვარე ჭერ კიდევ ისევ
მთას ეფარა... მაგრამ ცოტადნად კი შემოსცინა ცის კიდეს. ეტყობო-
და, რომ შორს აღარც ის იყო. იქვე ახლოს გაისმა შოლტის ტაკუნნი
და ზედ ოროველას ღიღინი მოჰყვა. „მადლობა ღმერთს, რომ კიდევ
ერთი მშობლიური ხმა მესმის! — თქვა ამოხვრით ბიძინამ. — დიდი
ხანია, რაც ასალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულისფრცარზე
დღეღღე ღრნად დაბეჭდილი მისი ისტორიული ნაგრძნობი და ნაფიქ-
რები! ქართულ ტკბილ ღიღინს, ვაეკაცურ შეხმატკბილებას და სასოე-
ბის მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექაქანებამ!..
ტკბილი ჩანგური და სალამური ზურნა-ჭიანურმა ჩაყლაპა! მხოლოდ
ეს ორი სავალალო ხმა „ოროველა“ და „მუმლი მუხასა“ კიდევ შერ-
ჩენია მუშა ხალხს... და, მადლობა ღმერთს, სანამ ესენიც არ მივიწყე-
ბულან, ჭერ კიდევ იმედია!“ — წაილაპარაკა ბიძინამ.

ამ დროს თავი გამოჰყო გადამიდან მთვარემ... ნელ-ნელა გადმო-
ეშვა მთის წვერზე, სამკურნალოდ მიჰფინ-მოჰფინა სხივები ცა და ქვე-
ყახას, გამოადვიდა სიბნელეში სულგანაბული არემარე, დაჰქროლა ნი-
ავმა. აბიბინდა მდელი, აშრიალდნენ ფოთლები, შეირხნენ ბუჩქებო
და ერთხმად შეუქიკიკეს ბულბულებმაც. ბნელით გამოსულმა ქვეყა-
ნამ სული მოიბრუნა და დანადგლიანებულ ბიძინასაც გული დაუტკბა.
გზაზე გამოჩნდა ურემი... ნელ-ნელა მოდენიდა მეხრე კამეჩებს და ღი-
ღინს სათვალავს უხშირებდა: „ნუ ეძალები წყალდიდსა, უნდა ექებდე
ფონებსო! ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსო!“.. შემოსძახა
მალალის ხმით და თანაც „ხიოც“ მიაყოლა შოლტის გატლაშუნებით.
ბიძინა შეკრთა. უცბად წამოდგა ზეზე და ზეცას დაუწყო ყურება...
დიდხანს ხმას არ იღებდა. ბოლოს თითქოს გამოერკვაო, წაილაპარა-
კა: ეს რა გავიგონე? მიწამ შემომტყორცნა, თუ ცამ ჩამომბერა ეს საგუ-
ლისხმო სიტყვები? „ხერხი სჯობია ღონესაო“... საიდანაც უნდა იყოს,
სულ ერთია... უგანგებოდ ცაცა და მიწაც ორივე მუნჯია!! ჩემი დიდი
ხნის გრძნობა-გონების ჭიდილი ამ ორმა სიტყვამ უნდა გადაწყვიტოს?

ღიან! ღიან! „ხერხი სჯობია ღონესაო!“ ხერხი! ხერხი! მაგრამ ხერ-
ხი საქვეყნო და არა საპირადო! ციურნო მნათნო! თქვენ იყავით მოწა-

მე ჩემი განზრახვის და თავმდები ჩემი მოქმედების!... თქვენ კიდევ ჩასული არ იქნებით, რომ მე მორჩილებით მივმართავ ალი-ყული-ხანს¹!

არც ნაძალადევი სიტყვათწარმოება, არც ხელოვნური სიტყვათა წყობა. არც ერთი ზედმეტი სიტყვა აქ არა გვაქვს. ნათელი ასარი მკვეთრ გამოთქმებშია მოცემული და ამით მკითხველი სიტყვის ექსპრესიულ მაქსიმუმს იღებს.

აკაკის ენა სადაა და დახვეწილი, მღიდარი და ძარღვიანი ახალი ქართული ენაა. ამ ენის სრული და ყოველმხრივი განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. შევეცდებით მხოლოდ წარმოვაჩინოთ თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან განსხვავებული მონაცემები.

როგორც ცნობილია, ენა ვითარდება. თანამედროვე ქართული ენა შემდგომი განვითარება ილიასა და აკაკის ენისა. „ესაა ახალი სალიტერატურო ენა საბჭოთა პერიოდისა“ (არნ. ჩიქობავა), ამიტომ აკაკის ენაში რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან შედარებით განსხვავებანი შეინიშნებოდეს, ეს არ უნდა გვეუცხოოს.

თუ დ. გურამიშვილის ენაში ჯერ კიდევ გვხვდება ძველი ქართულის ნიშანდობლივი მონაცემები ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც და სინტაქსშიც, ილიასა და აკაკის ენა, ხალხურ მეტყველებაზე დაფუძნებული, ნამდვილად ახალი სალიტერატურო ენაა. ეს სიახლე ჩანს ენის სისტემის ყველა რგოლში. დ. გურამიშვილისაგან განსხვავებით, აკაკის ენაში ე. ბგერა უკვე აღარ გვაქვს.

როგორც სახელთა ბრუნებისას, ისე ზმნის უღვლილებისას თანამედროვე ქართულის მოქმედი ნორმებია დაკული:

მოთხრობითში ფორმანტად მან უკვე აღარ მოიპოვება. თანზმოჯანფუძიან სახელებს -მა აქვთ, ხმოენიანებს — -მ.

ხმოჯანფუძიან უკვეცელ სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებითში აქვთ -ს (ი), -თი.

გაბატონებულია სახელთა მრავლობითის - ებ სუფიქსიანი წარმოება.

ზმნათა უღვლილებისას აწმყოში მხოლოდობითი რიცხვის III პირში ვნებითი გვარის ზმნებთან ი-ს დაბოლოების ადგილას ა იხმარება მხოლოდ.

ნამყო ძირითადში სუბიექტის მესამე პირის ნიშნად მრავლობით რიცქში - ეს მოეპოვებათ გარდამავალ ზმნებს. - ენ — გარდაუვალთ.

ნამყო უსრულში კი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთანაც - ენ გვაქვს, წინააღმდეგ ძველი ქართულის - ეს დაბოლოებისა.

ხოლომეობითის ფორმები აღარ იხმარება. სრული ასპექტის გამო-

¹ ა. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. VII, 1958. გვ. 155—156.

ხატვის ერთადერთ საშუალებად ზმნისწინია გამოყენებული, სახე
ლობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში აღარ აღინიშ-
ნება. სამაგიეროდ მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა
ვაზრდილია.

მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირი წყობაა გაბატონებული.

თვალსაჩინო ცვლილებები ეტყობა ლექსიკურ მარაგსაც. ერთი სიტყ-
ვით, ძველ ქართულთან შედარებით, შეცვლილია მეტ-ნაკლებად ენა-
სისტემის ყველა რგოლი და საქმე გვაქვს ახალი სალიტერატურო ქარ-
თული ენის მოქმედ ნორმებთან. ამ ნორმებიდან გადახვევები მკრთა-
ლად იგრძნობა და ძირითადად დიალექტური ხასიათისაა, ზემოიშვრუ-
ლის კუთვნილებაა.

აკაკის ენაში გვხვდება იმერული კილოსათვის დამახასიათებელი
ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბგერათა განვითარების.
დაკარგვის, შენაცვლებისა და შერწყმის შემთხვევები:

გაკეთთა (255)... ორჯელ-სამჯელ საჩჩეღის ჩხირები მეჩ-
ხელიტა (387)... ოროლ თვეობით თვალთ ვერა ჰხედავდა (521)...
ბევრჯელკაი სამსახური გაუწიეს იმერეთს (543)... არაფელი?—
მიუგო, როგორც იქნა, გულდამშვიდებულმა მეუღლემ (846)... საოც-
ნებო ჩანგური (165)... ჯირკვივით გადააგორა (515)... ფერ-
ხულ-ჩამბული წრე ბოლოს იქნევდა (392)... კამბეჩები დარ-
ჩენილიყვენ დამე საჩხე გარეთ (412)... მეფე სოლომონი იქდა ჭან-
დარს ქვეშ (470)... უნცროსს ძმას უთხრა (449)... წირვა რო გა-
მოვიდოდა (295)... კაი მახარობელი ხარ (492)... ხვანთქარს
თქვენი ბუზიც ველარ აუფრენია (506)...

ახმოვანფუძიანი სახელები უკვეცლადაა წარმოდგენილი:

თამაშობაები ვიცოდით (432)... პატარაებს უყვართ
დიდების მიბაძვა (390)...

სახელთა ბრუნებისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულის
მოქმედი ნორმებიდან გადახვევებად უნდა მივიჩნიოთ:

1. სახელობითში ადამიანის საკუთარი სახელი იშვიათად, ძვე-
ლი ქართულის მსგავსად, ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

ზაალ ოთახში შევიდა (489)... აღრე გამოსულიყო ზაალ აივანზე
(489)...

2. ვითარებითში -იან სუფიქსიანი სახელები ბრუნვის ნიშნის
დაურთველადაც არიან წარმოდგენილი, რაც იმერიზმად ჩაითვლება:

გაიმსკვალა სულიან-ხორციანა (501)... ერთი სომეხი ცოლ-
შვილიანა ჩავარდა წყალში (310)... შენი ობლიანა მოზდოკში
ამოგაყოფინებ თავსო (400)...

3. უთანდებულო მოქმედებითი, ისე როგორც ძველ ქართულში, გამოსვლითის ფუნქციითაც გამოიყენება:

ებრაელები გამოვიდენ ეგვიპტით (298)... ამსოფლით გასულიყენენ (448)... მალლით გალობა გუნდთა ისმოდა (448)...

ინმარება ძველი ქართულის დამახასიათებელი ასეთი წარმოებაც: დადიოდა სოფლითი-სოფლად (316)...

გვხვდება -დამთანდებულიანი ფორმებიც:

იმდღი დამ მოკიდებული თავეები ყოველთვის ბედნიერი იყვენ (311)... ისინი წამოდგებოდენ თუ არა ლოგინი დამ, ისარივით გავარდებოდენ გარეთ (297)...

ნაცვალსახელები. 1. ჩვენებითი ნაცვალსახელების მრავლობითი -ებ სუფიქსითაა ნაწარმოები:

ესეები ყველა დედას არ მოსწონდა (402)... მეხარბებოდა, ესეები რომ კითხულობდენ (417)... ესეები ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო (420)... მეესეები არ ვიცოდი (421)... უცხო ქვეყნის მზეთუნახავი კიამაების ყოველიფრის შემძლებელია (138)...

2. კითხვითი ნაცვალსახელებისაგან განუახზვრელი ნაცვალსახელების მისაღებად -მე ნაწილაკი უპირატესად ბრუნვის ნიშნის შემდეგ ვაქვს, ე. ი. შეუხორცებელი წარმოებაა ნიშანდობლივი:

ქართველებისთანა სახელი ძვირად ვისმე უნახავს (303)... ვინც კი მათგანი გააკეთებდა რასმე რომელსამე აპარებზე. ჯილდოდ პრიკაზის ფულს აპატიებდნენ (302)... რამდენისამე წლის განმავლობაში (418)... გვხვდება ნარევი წარმოებაც:

არც ვისმეს იკარებს (477)... თუ ვისმეს შეხვდა და უკბინა, ძნელია (390)...

„შემდეგ“ ზმნიზედის მნიშვნელობით თანდებულის როლში გამოყენებულია „უკან“

მას უკან ასე მთვრალი ვარ (118)... რამდენი ხანია მას უკან (იქვე).. მას უკან აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია (302)...

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება. აკაკის ენისათვის მსაზღვრელი სახელის საზღვრულთან ბრუნებისას თანამედროვე ქართულის სინტაქსურ-სტილისტიკური სიახლე და სიმარტივეა ნიშანდობლივი. წინმავალი ხმოვანფუძიანი სახელი არ იცვლება არც მხოლოდობითსა და არც მრავლობითს რიცხვში. წინმავალი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას ასეთ სურათს გვიჩვენებს: სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებითში მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს. ორიოდ შემთხვევა შეგვხვდა მხოლოდ, რომ მსაზღვრელს დაბოლოება აქვს მოკვეცილი სახელობითსა და მოთხრობითს ბრუნებებში:

ის იყო ერთი იმ ეხლანდელ გმირთაგანი (199)... გამართო ახალ-
ახალ უცხო სანახაობამ (იქვე)...

მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიცემითისათვის სრულ-
ლი გაფორმება წარმოადგენს ნორმას, მაგრამ მიცემითის სრული გა-
ფორმება სხვა შემთხვევებშიც გვხვდება და არც თუ იშვიათად:

რამდენს კუდს (130)... ერთს მაგალითს გეტყვი (161)... აქა-
ურს ამბებს შენის დარიგებით იმეორებსო (188)...

ნათესაობით ბრუნვაში თანხმოვანფუძიანი წინმავალი მსაზღვ-
რელი ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოებითაც გვხვდება, როგორც
დღევანდელი ქართულისთვისაა ნიშანდობლივი, და სრული დაბოლოე-
ბითაც:

სამის თუ ოთხის წლის ყმაწვილს (121)... კარგის გვარის
შვილი (143)...

ის ჭერ კიდეც არ იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა
(183)...

ხათესაობითში იშვიათად გვხვდება მსაზღვრელი სრულიად მოკვე-
ცილი დაბოლოებითაც: გონივრულ ჩვეულების მიზეზი (386)...

მოქმედებით ბრუნვაში მსაზღვრელს ან ნათესაობითის სრული
გაფორმება აქვს, და ასეთი წარმოებაა ძირითადი, ან ნაწილობრივ აქვს
მოკვეცილი დაბოლოება:

წმინდის გულით გუებნები (188)... დიდის ბოდისით
მითხრა (199)... დიდი თვალები გამოკიაფობდენ მშვენიერი
ელვარებით (144)...

მოქმედებითში სრული ფორმით გვხვდება კუთვნილებითი ნაცვალ-
სახელებიც:

წინ მიფენია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებით
(502)... მათის ძვლებითა და ხორცი (510)... მისის წყალობით
(509)... მისის სხვადასხვაფერობით (458)...

მოქმედებითში დაყენებულ საზღვრულთან კუთვნილებითი ნაცვალ-
სახელის ამ სახით ხმარება ნიშანდობლივია ილიასთვისაც. თანამედროვე
სალიტერატურო ქართულისათვის კი დამახასიათებელი არ არის.

მსაზღვრელი გვხვდება მოქმედებითში სრულიად მოკვეცილი დაბო-
ლოებითაც:

ვაუკაცურ მედიდურობით (383)... ქარი ხან ერთ კუთ-
ხიდან, ხან მეორედან მოვარდებოდა (391)...

სიტყვაწარმოება: -ება სუფიქსის ნაცვლად -ობა სუფიქსს აკავი
თვლიონაც იყენებს და გმირთა მეტყველებაშიც ხმარობს, რაც დიალექ-
ტისშია:

ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა დიღი უსიამოვნობა (385)...

დროებითა უბედურობამ როგორ უნდა გაუტეხოს გული მორ-
წმუნეს? (505).. შეხედულობით იყო საშიში (402)... ერთგუ-
ლობა და ცხაგითვალეს (505)...

ზ მ ნ ა

ზმნის უღვლილებისას არსებითად იგივე ვითარება შეინიშნება, რაც
თანამედროვე ქართული ენისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ
აქა-იქ გვაქვს გადახვევებიც:

1. მეორე პირის სუბიექტისა და მიცემითში დასმული ობიექტის შე-
სამე პირის ნიშნად აკაკი ხმარობს ზ-ს, რომელსაც წინაენისმიერ თან-
ხმოვნებთან ს ცვლის. ამ პრეფიქსს ხვდებით იქაც, სადაც მას ახალი
სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით ადგილი არ უნდა
ჰქონდეს:

მოჰკლა (504), დასწერა (282), სჩანს (330), მოჰგორა-
ვენ (182), ჰყვიროდა (491), სცხოვრობენ (125), გაჰქრე-
ბა (288)...

2. მესამე პირის სუბიექტური ნიშანი ზოგჯერ იკარგვის „აქვს“ და
„არის“ ზმნებთან:

შხამი როდი აქთან (391)... გამოგაქ (393)... ვინ არი (492)...

3. ობიექტური -თ სუფიქსის წინ შემონახულია III პირის სუბიექ-
ტური ნიშანი:

ხვალაც მაგრე გეხუმროსთ (127)... სადილიც და სამხარიც იქ
მოუღისთ (386)... კაცებს არ უყვარსთ (334)... ღმერთმა კარგი
მოქცესთ (197)... ჭარში მოუკლავსთ (200)... აქვსთ (449)...

4. ყველგან, სადაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -ნენ
სუფიქსი იხმარება, გვაქვს -ენ:

მოსდედეენ (394), მოჰკიდებდენ (410), მოსდებო-
დენ (413), ჰკეპავდენ (528)...

ილია ჰავჰავადე ასეთ შემთხვევაში -ნენ სუფიქსს მიმართავს.

თემის ნიშნები. თემის ნიშნები ნახმარია ახალი სალიტერატურო
ენის ნორმების მიხედვით, მაგრამ აქა-იქ გვაქვს გადახვევებიც:

1. -ავ და -ამ სუფიქსები უკუმშავდაც არის წარმოდგენილი და შე-
კუმშულადაც, ძველი ქართულისებურად:

ჩაქუჩებს ურტყმენ (302)... მასწავლებლები რიგრიგად ჰკით-
ხვენ მოსწავლეებს (437)... იქაური ქალები მეტად ახირებულად იც-
მენ (452)...

-ავ და -ამ სუფიქსების ამგვარი ხმარება ზემოიშვრულისთვისაა და-

მახასიათებელი. გვხვდება ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივი ასეთი წარმოებაც:

როგორ ბ ე დ ე ვ ე ნ მაგდენის თქმას (134)...

2. -ებ სუფიქსის ადგილას -ობ სუფიქსია ნახმარი:

კეკლუად ტ რ ი ა ლ ო ბ ე ნ (295)... ვინც მ ო ა ს წ რ ო ბ დ ა (428)... ძლიერად კ ა შ კ ა შ ო ბ დ ე ნ (182)... თემის ნიშანთა ამგვარი მონაცვლეობა დამახასიათებელია ილიას ენისათვისაც.

3. სტატიკური ზმნა „დგას“ აწმყოში „ია“ დაბოლოებითაა ნახმარი: ა დ გ ი ა მუდამი ჩერო (121)... თვალწინ მ ი დ გ ი ა (386)... მისით მ ი დ გ ი ა სული (332)...

4. ია დაბოლოება გვხვდება -ავ სუფიქსიან ზმნათა თურმეობით პირველშიც:

როგორ გ ა გ ი ბ ე დ ნ ი ა თ (430)...

5. თურმეობითს მეორეში ა სუფიქსის წინ ნ-ს ხმარება იშვიათია: ტირილობია ე თ ა მ ა შ ნ ა თ (402)...

ილია ქვეყნაძმისთან წარმოების ასეთი ტიპის ხმარების შემთხვევები შეუდარებელივ უფრო ხშირია. ეს გასაგებია. ზემოიმერულთან შედარებით, ამგვარი წარმოება კახურისა და ქართლურის დამახასიათებელი უფროა.

6. თურმეობითს მეორეში -ინ სუფიქსის ადგილას ი ჩანს მხოლოდ: გაძწარებული დედა ე ნ უ გ ე შ ე ბ ი ა თ (282)... შეურაცხყოფა მ ი ე ყ ე ნ ე ბ ი ა (202)... ყვლა და ე რ წ მ უ ნ ე ბ ი ა (126)...

7. თურმეობითი მეორის ნაცვლად კავშირებითი მესამეა ნახმარი: თითქოს თაჯის საკუთარ ჰირადობაზე ხელაღებული ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ს, მუდამ მწუხარებაში იყო (400)... ღმერთმა ნუ ქნას, რომ საიქიოს ასე გ ა ფ უ ქ ე ბ უ ლ ი ყ ო ს (220)... მისთანა აჯანყება არ ყოფილა, რომ ხალხს რაიმე ძალადობა ე ხ მ ა რ ო ს (398)...

8. მო- ზმნისწინი პერსონაჟთა მეტყველებაში მა-ს სახითაც გვხვდება, მაგრამ შეუდარებელივ უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე ილიასთან:

მ ა მ ე ც ი ბურთი (121)... მ ა მ ე ც ი, თვალა დედას დაგასმენ (14)...

სინტაქსური მოვლენები

სინტაქსური ნორმებიდან გადახვევებად უნდა მივიჩნიოთ:

1. ზოგ შემთხვევაში საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას, თუ ის განსაზღვრულია ისეთი სახელით, რომელიც ლექსიკურად ერთზე მეტს აღნიშნავს:

გადაიყვანა ო რ ი ვ ე დ ე ბ ი (518)... ღვიმის მონასტერში ო რ ი

დები იზრდებიან (518)... ზოგიერთი მათი შეგიძლებოდა უნდა შეემოწმებია (437)...

2. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმებას აზრობრივი ხასიათი აქვს:

თავი მოუყრიათ ყველა თანამშრომლებს (213)... ორმა მათგანმა თითები ისე გამოჰრეს (334)... ყველამ ხმა ჩაწყვიტეს (396)... ყველა გაოცებული უყურებდნენ ერთმანეთს (533)...

3. უარყოფის გაძლიერების მიზნით გამოყენებულია ორმაგი უარყოფა:

ვერაფერს ვერ ახერხებენ (219)... არაფერი გადასახადი არ ემართათ (412)... ველარაფრით ვერ გამაჩერეს (398)... იმერიზმებს ვხვდებით ლექსიკაშიც:

აბუებული ჰყავდათ (287)... გაწუნწულაკი ძალიან (429)... უკეთ ემზადები, ვიდრეს ხვიმის (437)... მოურავო... რას ყოყმობ (493)... გულში ნაკად დარჩათ (309)... მზის სხივებისაგან გამოჭვრებულ თითქმის მთელი პეტერბურლი გადაებარგა საზაფხულოდ ახლო-მახლო სოფლებში (117)... ჩაიყურჭუმალებდა (165)... ვიცოდი, რომ სიყვარული „მოგატყუე-მომატყუეს“! ბურქალობა იყო (173)... მოციქულის წინაშე ტყვილი ძნელი გასაბედავია (330)... ნამეტანი გულკეთილი იყო (401)... უცბად ხვრინი შემოესმა და შეკრთა (521)... ჯარში ერთი ალიაქოთი შეიქნებოდა, მოჯადულია ფახუმის ცხენიო (144)... ღმერთთან სწორე სჯობს (295)... მუთაქა მანდერ არის (397)... დასოვლებული (419)... საცინლად ამიგლო (167)... სასაცინოდ ჩაიდინეს (467)... დაუჯდინა სამეფო ტახტზე (966)... ნეტაი არცკი გამეგონა, თვარა როგორ გავიმეორებ (486)... მერე, რაღაიკი იმას ჩაიგდებენ ხელში, შედიან სამსახურში (473)... სხვებრ შეგვექნა საქმე (512)... წაიღე ყოველი ფერი (199)... ეგ ყოლიფერი ჩალადაც არ ღირს (405)...

ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდით იმ განსხვავებებზე, რაც აკაკის ენაში შეინიშნება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით. ეს თავისებურებები ან ძველი ქართულის კუთვნილებაა, ან კოლონური წარმოშობისაა და იმერულის დამახასიათებელია. ეს მით უფრო ხაზგასასმელია, რომ აკაკის ირონია ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც საერთო-სახალხო ლიტერატურულ ენას ადგილობრივ დიალექტებს უპირისპირებდა. გავიხსენოთ აკაკის პოზიცია ევა-ფშაველას წინააღმდეგ.

ცხოპილია, რომ აკაკიმ ვაჟს ხაწერებს საუკეთესო შეფასება მისცა მხატვრულობის თვალსაზრისით, მაგრამ დიდ მგოსანს ენა დაუწუნა იმის გამო, რომ იგი უხვად ხმარობდა ფშაურის ფორმებს.

1898 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „სიტყვიერების თეორია“, შედგენილი კირონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, სათავადაზნაურო სკოლებისა, სასულიერო და საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიებისა და საქალეზო სკოლებისათვის. სახელმძღვანელოსთვის დაწერილ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“, რომელიც აკაკიმ თავის „კრებულში“ მოათავსა (1899 წ., II. გვ. 100-104), ცხადი ხდება, რომ რაზიკაშვილებსა ხაწერების სახელმძღვანელოში შემოტანა აკაკიმ შეცდომად მიიჩნია. იმიტომ კი არა, რომ მათ ნიჭი ჰქვებოდეთ, პირიქით, ისინი უხვად ჰიან ამით მომადლებული, კრებულში მოთავსებული „გოგოთურ და აფშინა“ ხომ ერთ უკეთესთაგანია მთელს ჩვენს მწერლობაშიო, მაგრამ „საწყენი ის არაო, — წერდა აკაკი, — რომ განგებ ამბინჯებენ თვილონვე მათ ნაწარმოებებს ქართულის გადაჯორჯე-გადმოჯორჯვითა და შიგა და შიჯ ისეთ რამეებს ახორცმეტებენ. რომ შუენიერებას საუწმინდუროდ ჰდაღვენო“.

აკაკი სალიტერატურო ენაში ყოველგვარი დიალექტიზმის შემოტანის წინააღმდეგი როდია. ის წერს: „ჩვენ საზოგადოდ პროვინციალიზმების წინააღმდეგი არა ვართ. სხვადასხვა მხარეში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მით დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა. აგრეთვე ანალი რამ სატყვის ხმარება, თუკი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულია და დედა-ენის კანონის თანახმად აღმოცენებულია, მისაბაძვია საოველთაოდ. ამგვარი კანონიერი რამეებით რომ შევავსოთ და გავასუქოთ ქართული ენა, საჭიროც არის, მაგრამ ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში გადაუმახინჯებიათ, ხელმოსაკიდები კი არა. პირიქით, გასადევნია. მაგალითად, გურიაში ამბობენ: „ნება, რას უაუწულებ? დროა, პაწა. შეუკიდოთ ცეხს და ჩა ვსვათ (დედა, რას უცდი, დროა შევუკიდოთ ცეცხლს და ჩაი დავლიოთ).“

იმერულში: დანები მოსულარიენ და აქანეი ჭილარიან (დები მისულან და აქ ჩიან ანუ სხედან).

რაჭაში: ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელას (ფონს ქვევით, წყლის პირად, ასო-ასო ჭრიან ჩემ გოჭს).

ქართლში: ჭალაბი ობაზე წავასხი და ჩვენთან ერთად ფოფოლიაც მოაბოტებდა (სახლობა ხატობაზე ანუ ჭვარზე ანუ დღეობაზე წაიყვანე და მღვდლის ცოლიც მოდიოდა). ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია ესენი პროვინციალიზმებია, მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქაო და ჩვენ კუთხეში ასე ხმარობენო, ნუთუ დედაენის

გარყვნა არ იქნება? სხვებმა რომ რაზიკაშვილებივით ზმნები ამანინ-
ჯონ, ბაბილონის გოდლის დაქცევის შედეგი იქნება“¹.

ცხობილია, რომ სალიტერატურო ენა საორიენტაციოდ ემყარება
ამა თუ იმ ტერიტორიულ დიალექტს, მაგრამ სავსებით მისი თანხედენი-
ლი როდია. განვითარების პროცესში თანდათან შორდება მას და საზ-
რდობს სხვა დიალექტების მასალითაც. მხედველობაში გვაქვს ლექსი-
კა. ენის სიცოცხლისუნარიანობასა და ხალხურობას. როგორც ამის შე-
სანებ აკად. არნოლდ ჩიქობავას აქვს აღნიშნული, სწორედ დიალექტთან
მისი ეს კავშირი განსაზღვრავს. ამა თუ იმ ახალი ცნების გამოსახატავად
სალიტერატურო ენაში სიტყვათა უკმარისობის შემთხვევაში ტერიტო-
რიული დიალექტის მასალის გამოყენება საჭიროცაა და აუცილებელიც.
დიალექტთა დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენებისა და გრამა-
ტიკული ფორმების შემოტანა კი სალიტერატურო ენას არ სჭირდება.
იგი მხოლოდ ხელს უშლის სალიტერატურო ენის ერთიანობას და ამით
დაასუსტებს მას. ეს იცის აკაკიმ და ამიტომაც, რომ ის სასტიკი წინააღ-
მდეგია სალიტერატურო ენაში დიალექტიზმების შემოტანის მავნე ცდე-
ბისა.

„მაშ, რით გავამართლოთ აკაკის იმერიზმები? — თხოვლობს
ვ. თოფურია და პასუხობს: — პასუხი ერთი უნდა იყოს — მისი შეხედუ-
ლებით: მას ისინი აღზათ მიაჩნდა „გასპეტაკებულ პროვინციალიზმე-
ბად და დედენის კანონის თანახმად აღმოცენებულად“².

აკაკიმ თავისი თვალსაზრისი „ენების გასამართლებაში“ დასაჯუტის
ადვოკატის მბრუნავის სიტყვებით გამოხატა. მბრუნავის თქმით,
„იმ დროს, როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო შეიძინა
ერთ სამეფოს და არ იყო დანაწილებული სხვადასხვა სამთავროებათ,
ენაც ერთი ჰქონდათ, ის ენა, რომელიც რუსთველს უხმარია. შემდეგ
საქართველო დაეცა. სამეფო სამთავროებად დანაწილდა. ხშირად ერთ
სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ, მა-
შინ როდესაც მეორე თავისუფლად რჩებოდა. ამგვარად, დამონავე-
ბულ სამთავროში რომელიმე ქართული ლექსი იკარგებოდა და მის ნაც-
ვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდიოდა. დაუმონებელ სამთავროში კი
რჩებოდა ეს სიტყვა. ასე. ამგვარად შეიფარეს თავი სხვადასხვა სიტყვებ-
მა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სამთავროებში. დღეს ჩვე-
ნი ელია, რომ ის სიტყვები მოგაგროვოთ და შევიტანოთ ენის საუნ-
ჯეში და არ გავსდევნოთ მხოლოდ მისთვის. რომ იმ ლექსს კინტოები არ
ხმარობენ“³.

¹ ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. XIII, 1965, გვ. 161.

² ვ. თოფურია, აკაკი და სალიტერატურო ენა, ლიტერატურული ძეგლები, I, 1945, გვ. 154.

³ ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. IX, 1960, გვ. 111.

ამგვარად. აკაკი წერეთელი წერს ნამდვილად ახალი სალიტერატურო ენით. მაგრამ სახელისა და ზმნის ამა თუ იმ ფორმათა ხმარებისას ზოგჯერ თუ თავისუფალი ვერ არის თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან, თუ დიალექტიზმები არც თუ მცირე რაოდენობით გვხვდება მის ენაში, ეს არც არის გასაკვირი. ახალი სალიტერატურო ქართული ენის უფლების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლაში სალიტერატურო ენის უზუსის განუხრელი დაცვა იმერული მეტყველების წიაღში აღზრდილი მწერლისათვის ადვილი არ იქნებოდა სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმების უქონლობის პირობებში.

1955 წ.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მატყველეზა¹

მხატვრული ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორც ცნობილია, არის პერსონაჟთა მატყველეზა, რომელიც მოიცავს დიალოგებსა და მონოლოგებს და, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ფაბულის გაშლასა და სიტუაციების გამოკვეთას, ხოლო, მეორე მხრივ, პერსონაჟთა ტიპიზაციისა და ინდივიდუალიზაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

პერსონაჟთა მატყველების ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის მწერალი სალიტერატურო ენის ფონზე ან იყენებს ისეთ მასალას, რომელიც გარკვეული ეპოქის, სოციალური გარემოს თუ კუთხის თავისებურებათა მანიშნებელია და დიალექტიზმების, ყარგონებისა და არქაიზმების სახით გვევლინება, ანდა, რაც მთავარია, მიმართავს სხვადასხვა სტილისტიკურ ხერხს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეარჩევს საერთო სახალხო ენიდან პერსონაჟების ზნე-ხასიათისა და ბუნების შესაფერის სიტყვებსა და გამოთქმებს, უპირატესობას მისცემს გარკვეულ გრამატიკულ ფორმებსა და ფრაზეოლოგიურ სინტაგმებს, რითაც მეტ ექსპრესიულობას მიაღწევს.

ჩვენ შევეცდებით ამ ნიშნების მიხედვით დავახასიათოთ დ. კლდიაშვილის მოთხრობების პერსონაჟთა მატყველეზა.

დ. კლდიაშვილის პერსონაჟები ძირითადად ეკუთვნიან ერთსა და იმავე ეპოქას, ერთსა და იმავე წოდებასა და კუთხეს, აქვთ ერთნაირი სოციალური მდგომარეობა და განათლების დონე, ამიტომაც, რომ მათი ენობრივი დახასიათება ისე ნაირფეროვანი და მკვეთრად დაპირისპირებული არ არის, როგორც ამას ჩვენ ვხვდებით ილია ჭავჭავაძის თხზულებებში, სადაც მოქმედებენ სხვადასხვა სოციალური წრისა და მდგომარეობის, განათლებისა და გამოცდილების მქონე ადამიანები,

¹ წაკითხულია მოხსენებად კუთხის პედაგოგიურ ინსტიტუტში დავით კლდიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1962 წლის 16 ნოემბერს.

რომელთაც აქვთ განსხვავებული ნიშნები და შეხედულებანი და, მაშასადამე, მკვეთრად განსხვავებული სიტყვიერი მასალაც.

დ. კლდიაშვილის პერსონაჟები, წარმოდგენილნი იმერეთის ფონზე, დასაღუპავად განწირული აზნაურები არიან, რომლებიც გაქირვებიდან გამოსავლის ძიებისას, ცხოვრებასთან კიდილისას თავს სწირად უხერხულ, კომიკურ მდგომარეობაში იგდებენ, რის გამოც სიბრალულთან და თანაგრძნობასთან ერთად სიცილსაც იწვევენ, სევდანარევ სიცილს.

იმერეთის გალატაკებული აზნაურების უმწეობა და მათი აჩირებული თავგადასავალი, ტკივილში შერწყმულ სიცილს რომ იწვევს, საფუძვლად ედება დ. კლდიაშვილის ჰუმორს. რომელიც მის პერსონაჟთა მეტყველებაში განსაკუთრებით დიალოგის დროს ვლინდება.

შშობელი კუთხის გავერანებული ენოების, ქონმანებად ქცეული ოდების, ნათში მცხოვრები უნიათო ადამიანების შემოდგომის მწუხრისა და სილატაკის ერთფეროვნების ჩვენებას დ. კლდიაშვილი დიალოგებში სწორედ ჰუმორის საშუალებით ახერხებს და ამით იგი უპირისპირდება იმერეთის ფონზე წარმოვლენილ მეორე მწერალს, ნ. ლორთქიფანიძეს, რომელიც შინაგანი დრამატიზმით ცდილობს იმერელი აზნაურების დანგრეული ბუდეების ჩვენებას და ამ მიზნით უპირატესად თხრობას იყენებს.

✓ დ. კლდიაშვილისათვის პერსონაჟის დახასიათების ძირითადი ხერხი დიალოგია. იგი ძლიერია, როგორც დიალოგის ოსტატი. და ეს გასაგებიცაა. დ. კლდიაშვილი განსაკუთრებული ხედვისა და აღქმის მწერალია. მას შეუმჩნეველი არ რჩება „შემოდგომის აზნაურების“ მეტყველების თავისებურებათა მანიშნებელი ფორმები და გამოთქმები, სინტაქსური კონსტრუქციები, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები, აკვიატებული სიტყვები და ხშირად ნაწილაკებიც კი. და ამ სიტყვიერი სამოსლით იმდენად ბუნებრივი, ცოცხალი და დამაჯერებელი არიან დ. კლდიაშვილის პერსონაჟები, რომ მკითხველი ყოველთვის გრძნობს სიმართლეს, ამ პერსონაჟებთან ერთად ღელავს და მტკივნეულობს, ხან წუხს და ხანაც გულიანად იციინს. ✓

გებრალბება მოტყუებული მაქანკალი სოლომონ მორბელაძე, თავის მიერვე მოქსოვილ ტყუილის ქსელში რომ იხლართება, და თანაც სიცილს ვერ იკავებს, ისეა შესამებელი სათქმელთან თქმული, ისე უშუალოდაა წარმოდგენილი მორბელაძის მოტყუება დიალოგებსა და მონოლოგებში.

აი საილუსტრაციო მკალითიც:

— სოლომანი, ვინც ჩემს ამქვეყნიურებას. არ დაგიკარგავ შენს გასაძრწველოს... ერთ დღეს იქნება, გაგისწორდები... მეღვას ვალად ევ შენი სამსახური!

— ვალად ვედვას? კუჭი მიხმება. ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საქმელი... ვალად ვედვას?.. მაგის იმედი რას მომეწველება, როცა ეს არი ვცდები კაცი?! კაი, კაი, ბატონო. კმარა, რაც თქვენს გადაქვიდეს მე შემართება, ვულს მინც ნულარ მიხეთქაეთ... მიბოძე, თუ რამე გაქვს მაგ პორტმანში!..

და სოლომანი ჩააჩერდა. ნიკომ რომ ჯიბიდან პორტმანი ამოიღო (44)¹. მორბელაძეს ეშინია. ის მცირედიც არ დაკარგოს. რასაც აძლევენ.

მღაბიური, მაგრამ ალალ-მართალი. გულიდან ამოხეთქილი სიტყვიერი მასალის გამოყენებით ხელშესახებად იგრძნობა იმედებჩამკვდარი ვაცის განცდა ამ მონოლოგში:

— ღმერთმა დასწყევლოს. ღმერთმა!... ღმერთმა დასწყევლოს ამხაირი გა'აღლებული ცხოვრება!... მშვერ. გალატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი?! პატროსნება: დავიწყებული აქვს და სეინდისიც. ცოდვად აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგლიტა. წაგაფუცქვანა, მოგატყუა. გაგაცუცურა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფუციებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაური-შვილის უსაშველო. გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქეთ თავი, მეტი გზა რომ აღარა აქვთ? ტყუილი. ტყუილი. ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუე, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მოსადგება კიდეც. საშველი თუ მინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვედირსოს... ღმერთო. ღმერთო! (45)

თვითონ გაჭირვება ტირის ამ სიტყვებით.

დ. კლდიაშვილის კომიზმს ტრავიკული უძვეს საფუძვლად და სიტყვიერი მასალაც ისეა შერჩეული, რომ ეს თვალნათლივ იგრძნობა. სამწუხარო რომ არ იყოს გამომწვევი მიზეზი. განა სასაცილო არ არის ჯახრაკი, ზურგგადატყაიებული, გამძალტყაიებული. სხვის შესახებ-დავად ნათხოვარი ცხენით პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა ორნაქმარევი უშვილო სადენინაცელოს საძებრად?!

პლატონის ცოლმა რომ ზურგდაშავებული ცხენი დაინახა. ქმარს მიმართა:

¹ აქც და ქვემოთაც საილუსტრაციო მავალითებთან გვერდები ფრჩხილებში მითითებულია შემდეგი ვამოცემის ქსედილით: დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, თბილისი, 1947.

— ამაზე შეჯდომა რავე შევიძლია?..

— აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო!

— კი, მარა სულ არ მოგჯერა ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხა-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხა-ფეხა მივყვები! სირცხვილნათვის მიმყავს, თვარა რა!.. შენ ეგ მოსართავი მომეცი და ამის ჭაფრი ნუ გაქვს!.. (59)

— ე ბედღური ვის გამოართვა, მელანო ჩემო? — მიმართა ბეკინამ კიშკრიდან უკან გამობრუნებულ რძალს.

— პავლია ლომიაშვილს, ბატონო!

— არ დოუვარდეს გზაში, შე ქალო! — გაიცინა მოხუცებულმა.

— სხვის შესახედავად წეყყანა, ბატონო... სასირცხვილ-სანამუსოდ, თვარა სხვებზე რას არგია! (60)

გპირის სულიერი დაძაბულობის, გაჭირვებისა და ხელმოკლეობის მიუხედავად მისი თავმოყვარეობის მანიშნებელი სიტყვიერი მასალის მომარჯვებით, დიალექტური და ხალხური სიტყვებისა და გამოთქმების შეხამებით დ. კლდიაშვილი დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას აღწევს.

დავასახელოთ სხვა მაგალითიც:

ბრეგაქებისას მისული არისტო ქვაშავიძე არ ივიწყებს თავის ცხენს და მიდის შესამოწმებლად, დაუყარეს თუ არა მას საკმელი. ამ დროს მასპინძლები ეზოში ქათამს დასდევენ დასაქერად და არისტოს მოხვდება ქათმისკენ გასროლილი ჯოხი:

— არ მომკლა ამ ვირმა! — გამწარებით წამოიძახა მან და იქვე დაეცა მიწაზე გულშეწუნებული — აი, თქვენი რჯული, აი, თქვენი! ოოოჰ! ოოოჰ! ქე არ მომკლეს ამ ურჯულოებმა ერთი წრიპა ქათმის გულისათვის!.. ამოგივარდათ ოჯახი! ოჰ, ჰო, ჰო! — იზელავდა კუნთს. — თქვენ დაგწყევლოთ ღმერთმა, თქვენ შეგაჩვენოთ დამბადებელმა! ვის გოუგონია ღამეში ჭოლოკებით ქათმის დევნა! ყველაფერში უხეიროები, ყველაფერში!.. (122)

დამხანაიანობებელია ეს სიტყვები უსაქმური არისტო ქვაშავიძის საუბრისათვის. მათში დიალექტურ და ხალხურ ფორმათა შეხამებით სრული ჭიციხადით ჩანს ტკივილისაგან გამწარებული კაცის აღფშოვება.

გონების თვალთ თუ არ შევხედავთ, სასაცილო ჩანს ეკვირინე ქამუშაძის ტრახახიც ახლად მოყვანილ ქალაქელ რძალთან:

„ბოსტანი მქონდა, შენ გენაცვალე, ისეთი ბოსტანი, რომ მარტო ერთი შეხედვით გული გაგეხსნებოდა... ქალი უკეთესს ვერ დაიჩემებდა, მარა რა გინდა, ვერ დევიცევი, ასე გამითხარეს ქათმებმა, — ჩემმაც და სხვისმაც!.. ვერაფრით ვერ შემოვუარე!... იცოცნლე, ეს ხახვი, ესლა ამას რო ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო... გადვირია.

ბატონო, გადვირია, მარა რანვირად!.. ვილამ მოლია!... ექვის ბათმანი სულ ამხელ-ამხელა თავები შევიანხე საზამთროდ... და ეს სალათა... კმ, იმდენი იყო, რომ მთელი მეზობლობა გვაჯერე მაგით... წრეულს კი ასე დამემართა, ვეღარც სალათა იმისთანა და ვეღარც ხახვი... ამ ქლაკვამაც თავზე ლაფი დაისხა... რუსული პატრიჯანი რომაა, მანილო-რას რომ უძახიან, იგი მქონდა, წრეულს კი, რა დაემართა, აღარ ვიცი, სულ აღარ მოსულა... მაგივრად ნესვი, კინტრი იყო იმდონი, რომ კინალამ დევიხაშმეთ!.. შეგვეშინდა, რომ ავადმყოფობა არ გაეჩინა და სულ ავთხარეთ და გადაუყარეთ ღორებს... გაისადაც ძალიანი ბოსტანი გაკეთდება, შვილო. კიდევ უკეთესი, ცოცხალი ვიყვეთ და!" (193)

გაკირებებისაგან ნაწვევ-ნადაგი, შვილის მოყვარული დედის ეს ტრაზახი რძალთან, ეს იმედიანი ლაპარაკი იმის გამო, რომ რძალმა უბედურად არ იგარძნოს თავი ახალ ოჯახში, ისეთი ენობრივი სამოსლით არის წარმოდგენილი, რომ მდგომარეობის კომიზმის მიუხედავად არც გეციდება.

თავისი პერსონაჟების მეტყველების კოლორიტისათვის დ. კლდია-შვილი, როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს. მიმართავს იმერული წარმოშობის დიალექტიზმებს. მართალია, გმირთა ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის მიზნით დიალექტიზმების გამოყენებაში დ. კლდია-შვილი ისე ზომიერი ვერ არის, როგორც მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, და ეს დიალექტიზმები, უპირატესად ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათისა, თანაბრად გვხვდება როგორც მიწის მუშა სოფლელი აზნაურის, ისე ქალაქელი მოხელის მეტყველებაშიც, მაგრამ ორივე შემთხვევაში მაინც იმერული კაცის მეტყველება გვაქვს და მწერალიც არ ერიდება მეტრექსპრესიულობის მისაღწევად, კოლორიტის შესაქმნელად იმერიზმების უხვად მოხმარებას.

ფონეტიკური ხასიათის დიალექტიზმებიდან განსაკუთრებით ასიმილირებული ფორმებია ფართოდ გამოყენებული:

შელანოს ჯაფას რა დე ე ძ ე (51)... შრომა მე შემხვებთა, მარა რა ვა დე ვ ე რ ი დ ე ბ ი (58)... ასი მანეთისთვის შვილს კაცი რა ვა დო უ კ ა რ ქ ა ვ ს ბ ე დ ს (21)... დ ე ვ ი წ ვ ი თ, ბ ა ტ ო ნ ო, დ ე ვ ი წ ვ ი თ (118)... გ ო უ ლ ე თ, გ ო უ ლ ე თ მაგ შეჩვენებულს ჭიშკარი (95)... შიშს გულში ნუ შ ო უ შ ო ფ (48)... რა დღეს მე ვ ე ს წ ა რ ი (130)... ყ ა ზ ა ხ ი ქ ე ი ა, თ ვ ა რ ა რ ო მ ე ლ ი ა ზ ნ ო უ რ ი მ ო უ ტ ო ლ დ ე ბ ა (248)... შე ვ ა რ ც ხ ვ ი ნ ე ღ ა რ ი ბ ი ა ზ ნ ო უ რ ი შ ვ ი ლ ი (256)... რა არი, ყმაწვილო. რ ა ნ ე ი რ ი ს ა ქ ე ი ე ლ ი ა (95)... ჩ ე მ ი ა ა ქ ო უ რ ო ბ ა (166)...

თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებია:

ვილაც კაცი შე მ ხ ვ თ ა (103)... რატომ უნდა შე წ უ ხ თ ე (51)...

სა ც ხ ა ჩეიჩებება ის უბედური (96)... რ ა ც ხ ა ს ვიღონაბ. შე ქა
ლო (221)... ერთი ქათამი რ ა ე ა რ ც ხ ა იქნეს. მონახე ლა დამიჭი-
რე (120).

გვხვდება დისიმილაციას, ბგერათა დაკარგვისა და განვიძარების,
შერწყმისა და მონაცვლეობის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც დამა-
ხასიათებელია იმერულისა და საერთოდ დასავლური კილოებისათვის:

გ ა ა გ ე ბ ი ე, თუ გიყვარდე (54)... ხ ო შ ვ ი დ ო ბ ი თ ბ ძ ა ნ დ ე
ბ ი, ბატონო (14)... ჩვენთან შემო ბ ძ ა ნ ე ბ ი თ არაფელი. დაგიშვე-
ლება (142)... თ ე ლ ა თ დ ა გ რ ბ რ უ ნ ე ფ (8)... თ ე ლ ი გ ზ ა ც
აშას მონაწილე (30-31)... ნ ა კ ი ს ო მ არაფერი აქვს ქალს (204)... ს ო
ლო შ ა ნ ი ც გ ი ა ხ ლ ე ბ ა თ, ს ა ე ა არის (7)... ო რ ჯ ე ლ - ს ა მ ჯ ე ლ
დავაცილე... ბ ო ვ შ ე ბ ი აღარ არიან შიშით (129)... ი ც ო დ ე კ არგაღ
დ ა ი მ ა ხ ს ო ვ ნ ე (31)... თვალი მაგათ ე მ ს ე ბ ა თ (178)... ქალს თხო-
ვლობს შენს ი მ ა ე რ ი (100)... ცუდი ამბავი შეგვემოხება, რ ა ქ ე ნ ა თ
ახლა (53)... მუცელს ფაყა-ფუყი გაჰქონდა, ახლა კანი ხ ი რ ხ ი მ-
ლის ძვალს მიეკრა (250)... სულ მ ო ბ ლ უ შ ვ ა, სულ უსიამოვნება
(133)... ა დ უ კ ა ნ ტ ი ყოფილა (157)... შენ დღეს კაცი ვერ დაგელაპა-
რაკება, მხარი ისთე ვაქ მოქცეული (158)...

ბგერათცვლილების შედეგად სისტემატურად იხმარება მარა,
თ ვ ა რ ა, რ ა ვ ა:

სიკოიას სიტყვას რ ა ვ ა ავეყვები, შე კაცო (23)... ფიქრობ, ფიქრობ,
მარა არაფელი გამოდის... (30) სიამტკილობით თუ რამეს გამოჩნება,
თ ვ ა რ ა ჰაჩივრით და პრისტავებით ბევრს ვერაფერს მოიგებს (11).

„ყოლიფერს“ „ყველაფერის“ ნაცვლად პერსონაჟთა მეტყვე-
ლებაშიც ხშირად ვხვდებით და ავტორისეულ ტექსტშიც, ამდენად, მისი
გამოყენება კოლორიტის წარმოქმნის საჭიროებას არ დაუკავშირდება.

პერსონაჟების მეტყველებაში ფონეტიკური ცვლილებების შედე-
გად ზოგჯერ ნახმარია ისეთი ფორმები, რომლებიც მაინცდამაინც იმე-
რული კილოს კუთვნილებად კი არ მიიჩნევა. მთელი ხალხის სასაუბ-
რო მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. იხმარება კ ა ი კ არგის
ნაცვლად:

კ ა ი, კ ა ი, თუ გიყვარდე (164)... რას ცუდლუტობ, შე კ ა ი კ ა ც ო
(55)...

ე ს, ის ჩვენებითი ნაცვალსახელების თანხმონითი ელემენტრი
მსაზღვრელად გამოყენებისას ზოგჯერ მოკვეცილია:

იფიქრე, ქალო, იფიქრე, ეგებ შენც მოიგონო რამე, ე იხერი თავი
აღარ მუშაობს (53)... ე გ ო გ ო ფუსუტია მომიყვანე (141)... ე შე კაცო,
თუ გინდა საქმე გაგიკეთდეს, ე იმისთანასთან უნდა მიხეიდე (162)...

მორფოლოგიური ხასიათის დიალექტიზმები, მართალია, უფრო ნაკლებ, მაგრამ მაინც შეიმჩნევა.

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის წმირად გამოიყენება ა და ოა აფიქსები:

ორ თუმანს პლატონას გადაუგდებ (11)... სიკოია გლანაკი დეეთრევა მაგაზედ (23)... გოგო, ნინოია, წადი, გოგო, ბავშვებს მიხედე (66)...

- ება სუფიქსის ადგილას ობა -ც იხმარება:

იყოს ისე თქმულობად (189)

გვხვდება მდინ || მდინის თანდებულები:

აქამდისინარვიცოდი, თუ მაგისტანა მწარე ხელის პატრონი იყავი (85)... მანამდინშენ მიხედე, შეილო (15)... თავის თავი ძლივს გამოაქეთ წლიდან-წლამდინ (236)...

თემის ნიშნად ზოგჯერ - ებ სუფიქსის ნაცვლად ობ სუფიქსია გამოყენებული:

ბიჭო, მე რას მიპირობ (135)... შევეპატიე, ვალი მოვიბადე, ისე ხომ არ გავეშობდი (11)...

მაგრამ ეს მოვლენა ავტორის თხრობაშიც შეიმჩნევა და, ამდენად, საკუთრივ პერსონაჟთა ინდივიდუალიზაციის საშუალებად არ ჩაითვლება.

სალიტერატურო ქართულის „მომიშორებს“ ზმნის ნაცვლად იმერული ფორმაა გამოყენებული „ომიშორიებს“:

ასე ადვილად მომიშორიებს ბესარიონი? (27)... ერთი მოვიშორიე, როგორც იქნა (30)...

აქა-იქ გვხვდება ნა- პრეფიქსიანი თურმეობითის ფორმები:

ხათხოვარათურმე (174)...

სისტემატურად იხმარება დადასტურებითი ნაწილაკი ქე და გაკვირვებითი ნაწილაკი იმე, „ჯერ“ ნაწილაკის ნაცვლად — „ჯერეთ“.

ქე ვნანოფ ახლა (8)... ქე არიან ისე (193)...

— შეკაცო, შენთან რო მოვიდე, უცხო კაცი მომყვეს, ჩემი კეთილი, საწყენად დაგიჩეზა? ა, მითხარი, თუ ძმა ხარ, კარში გამომაგდებ? — იმე! (79)

ვერ მიცნობ ჯერეთ (98)...

უხვადაა გამოყენებული იმერული ლექსიკური მასალაც¹. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

შეიტა, მელანო, ჩხინი იჩნება რამე (59)... ხაპით ამეილო, შეილო. ხაპით (145).. ისეთნაირად მოვაკე ვარახჭინებ მაჯ საქმეს, რო შენი მოწონებული (152)... ტყუილად იფიქრა ბესარიონ საქა-

¹ მ. ალავიძე, დავით კლდიაშვილის ლექსიკონი, დავით კლდიაშვილის თხზულებანი, I, II, 1952.

რაქემ ჩემი გაცუცურაკება (38)... რავა იყინჩებინა (215)... რამდენი ფრთა ქათამი გყავდა წრეულს, ბოშო (541)...

უ. კლდიაშვილის შემოქმედება მუდამ ხალხთან იყო დაკავშირებული, ხალხური მეტყველების ნაირფეროვნება მწერალს მიაჩნდა ლიტერატურული ენის რეზერვად და დიალექტიზმების შემოტანისას ამ პრინციპითაც ხელმძღვანელობდა. აქა ვუყოთ, თუ სალიტერატურო ენის ვაძლიერების სურვილის გზაზე მან გადააქარბა, სამაგიეროდ საოცარი სიცოცხლისუნარიანობით, სითბოთი და სიყვარულით გამოძერწა თავისი გმირების ხასიათები. საზგასასმელია იმაც, რომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველებებისათვის დამახასიათებელია დიალექტურ და ლიტერატურულ ფორმათა პარალელური ხმარება.

თუ დიალექტიზმები იმერელი აზნაურების ხასიათების გამოსაძერწად არის გამოყენებული, ამას ვერ ვიტყვით ბარბარიზმების შესახებ, რაც აქა-იქ ჩნდება ხოლმე:

ხელად ერთი ზაკუხსკა მოგვართვი (9)... ზალაში შევალ (107)... სტაქენები და საინები დოუფშენია (104)... ის იყო ერთი მიწუტით მეზობლისას (175)... ახლა ერთი გევიგულავოთ, ჩემო ოტია (177)... ბუტკაში იდგა (250)...

შეიძლებოდა ბარბარიზმების გამოყენება აგვეხსნა იმით, რომ მათ უპირატესად ქალაქში მცხოვრები თუ იქ ნახეტილები ადამიანებმა ხმარობენ, მაგრამ ავტორის რემარკებშიც იჩენს თავს მსგავსი სიტყვები:

ბეგლარმა ისევ პოდრუჩკი გაუკეთა მას (252)... დაავლო სტაქახს ხელი (83)... პლანები დააწყვეს (34)...

საერთოდ, დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება სადაა და ხალხური, ამიტომაც, რომ წინადადებები უპირატესად მარტივია, შერწყმული, ან რთული, მაგრამ არა რამდენიმე დამოკიდებულით. იშვიათად ვხვდებით ჰიპოტაქსურ პერიოდებს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველებებისათვის სინტაქსური გამეორებები, რასაც ლოგიკური მახვილის ფუნქცია აკისრია, და გაკვირვება-შეძახილები:

— რას აპირობ მერე?. რას, რას აპირობ?..

— უარი უნდა ვუთხრა მაგ საქმეზე, თუ რომ...

— თუ რომ რაი? თუ რომ რაი?..

— თუ რომ არ დამიკლო...

— თუ რომ არ დაგიკლო?! — კინაღამ იყვირა სოლომანმა.

— თუ რომ არ დაგიკლო?!!

— ჰო, — წყნარად სთქვა ბესარიონმა.

— როგორც კაცი, შენ, ბესარიონ, შენ თვითონ თქვი, მოხერხდება ახლა მაგ? მოხერხდება ახლა მაგ?

— რატომ არა? — ისევ დამშვიდებით მიუგო ბესარიონმა.

— შენ არ მომიკვდე!.. მე არ მოგიკვდე!.. ცოლ-შვილი არ დამეხოცოს! ყოვლად შეუძლებელია... ყოვლად შეუძლებელია!..

— შენ თუ მოინდომებ...

— რას მეუბნები მაგას? რარიგად მოინდომო? რარიგად? რარიგად მოვიხდომო? (19).

სხვაგან:

მლუპავ, მამა? — მივიდა იგი ბეკინასთან — მლუპავ? დანას მიყრი ყელში? (50).

გამეორება მსგავს შემთხვევებში გამოპყოფს მწვავე დრამატულ მომენტს, აძლიერებს დარწმუნებულობას.

განსაკუთრებით ხშირია დიალოგებში დადასტურებითი ნაწილაკების განმეორება, რომ ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა ჰქონდეს:

კი, შეილო, კი, ჩემო საყვარელო! ვინ გეიგონა ჩვენი გაყრა! კი, ჩემო პლატონ, კი! (136).

ამ ნაწილაკის განმეორებით მწერალი გასაოცარ სითბოს გვაგრძნობინებს ბეკინასადმი და წინანდელი კომიზმისაგან ნატამალიც კი აღარ ჩრება.

სტილისტიკური კომპონენტის როლში გამოყენებულია სხვათა სიტყვის ნაწილაკი თქო, რომელიც თქვა-ს სახით იხმარება:

— რა მინდა და შენ რომ იმ ყმაწვილს მოელაპარაკო....

— რა?

— უთხრა, რომ ასე-ასეა შენი სასიამაოროს საქმე... ფულო იგლარ იშოვა-თქვა... მიწა-წყალს ჩალის ფასში ნუ გააყიდვინებ-თქვა... სამღვდელოდ ემზადები-თქვა და პირველი სამადლო საქმე იქნეს ევა-თქვა... თუ ერთი ასი მანეთი არ მოუკელი, იძულებული იქნება-თქვა, ქალი სხვას მისცეს.... ისიც უთხარი, რომ მთხოვნელებიც ჰყავს-თქვა... (31-32).

დ. კლდიაშვილის პერსონაჟების მიტყვევებისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე რომელიმე სიტყვის თუ სინტაგმის ხშირი, აკვიატებული ხმარება:

— შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს, უსათუოდ ახოაკე უნდა წავიდე! — გაიწია პლატონმა.

— შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!..

— შენ არ მომიკვდე, შენ, სოლომან, დარჩენა არ შემეძლოს“ (9)...

და ფრაზეოლოგიური ერთეული „შენ არ მომიკვდე“ ყველა პერსონაჟის საუბრის დამახასიათებელი დეტალია.

ასევეა „კაი დაგემართოს“.

-- სად მიხვალ. ყმაწვილო, --- შეეკითხა გვერდევანიძე პლატონს.

--- აგერ გიასლეპით, ბატონო. მაღლაშენში...

-- კაი დაგემართოსთ. ახა შგზაჯრები ეყოფილვართ... (61)

ან კიდე:

--- თქვენ ძმა გყავთ?

--- არა.

--- და?

--- გათხოვილი!

--- კაი დაგემართოსთ... (98)

ხნორად ხნარობენ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები საუბარში მიმართვისას საკუთარ სახელებთან კუთვნილებითს. ნაცვალსახელებს მსაზღვრელებად პოსტპოზიციური წყობით:

--- დილა მშვიდობის, სოლომან ჩემო! შეეგება ბესარიონი (13)... რაზე აბრუნებ, დარიკო ჩემო, წავიდეს (66)...

შართა ჩემო, ეს ყმაწვალი ცოლსათხოვი უნდა იყვეს... (556)

დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებას ქმნის აგრეთვე ერთმანეთის გვერდით სინონიმების ხმარება:

ცოტა ხანს კიდე გაუქელი ჩვენს უგრძნობლობას, ჩვენს გულქვაობას (261)... ცოდვით აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგდლიტა. წაგაფცქენა, მოგატყუა. გაგაცუცურა-
კა (45)...

შიუხედავად იმისა, რომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები ერთსა და იმავე წოდებას, დასაღუპავად განწირულ იმერეთის აზნაურობას ეკუთვნიან და ავტორიცი იმერულად ამეტყველებს მათ, თითოეული მათგანი შინც მკვეთრად გამოჩეხული ინდივიდუალური სახეა, ახა რა აქვს საერთო შრომისმოყვარე, ცხოვრებაზე სერიოზულად დაფაქჩებულ პლატონთან მის სიძეს, ღვინის მოყვარულ, მუდამ მხიარულ კირილე მიმინოშვილს, რომელსაც ეს ქვეყანა საჩეიფოდ უნდა მხოლოდ. ან რით ჰგავს სოლომან მორბელაძეს მარად მშრომელი, მაგრამ ცხოვრებისაგან გულგატეხილი, ნაღვლიანი ოტია ქამუშაძე, ან კიდე ოტიას ბიძა, გაჭირვებისაგან გათელილი, შიმშილისა და მარტოობისაგან ცნობიერებადაჩლუნგებული, ჩონჩხად ქცეული ნახევარკაცი ლევან ქამუშაძე?!
დ. კლდიაშვილი ყოველი პერსონაჟისათვის შესაფერის ენობრივ დახასიათებას მიმართავს. თუ, მაგალითად, პლატონის სიტყვებში მეტია ჩივილი და წუწუნი, სამაგიეროდ კირილე მიმინოშვილის სულიერ განწყობილებას მოქეიფე კაცის სიტყვიერი სამოსი გამოხატავს.

აძგვარად, დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველებაში, როგორც ჩვენ მათი საერთო ანალიზით დავინახეთ, ჰარბადაა მოხმარებული იმერიზმები, მაგრამ მწერალი მათ ახამეებს ხალხური, სასაუბრო ენის მასალასთან და სათანადო სიტყვიერი ნიშნების შერჩევით ქმნის შემოდგომის აზნაურების დასამახსოვრებელ სახეებს.

მეცყველების ნიშნები

ორჯონიძის (ხარაგოშლის) რაიონი

1. ალალ-მართალი ოკრომჯიღელი

ერთი ღარიბი კაცი იყო და შეშას ზიდამდა კონებითა ბაზარში, გუ-
ღურები რო იცოდენ მანამდინა. ერთი ბიჭი ყამდა და, რო წამეეზარდა,
იმხაც ი კონები ზიდა. ბაზრის ბოლოს ერთი ოქროქედელი მუშაობ-
და და იმან უთხრა ამ ღარიბ კაცსა: მამაბარე ე ბიჭი და ჩემ ხელო-
ბას ვასწავლიო.

შიაბარა. თითქმისა ხაზინზე უკეთესი გახთა. ოქროქედელმა უთ-
ხრა: წადი, შევილო, გააღე შენთვის დუქანი და იმუშავეიო.

წავიდა ისიცა. კაი ხელოსანი რო იყო, ბევრი ხალხი მიზდემდა. შე-
ვიდოდა დილაზე, დაკრამდა გვლემზე კვერსა და იტყოდა: უშველი,
ღმერთო, ალალ-მართალ კაცსა!

ერთი პოლკონიკი იყო, სუყველიფერს იმას აკეთებებდა. ერთხელ
გეეარა ბაზარში, ხოდა, ვერ დეენახა ამ ბიჭსა და სალამი არ მიეცა.
მას უკან ე პოლკონიკი დეემტერა ბიჭსა. მოუტანა ოქრო და ბრილიან-
ტი და გოურიგდა იმასა. პირობებუ დოუდო: ხვალ დილით მოვალ
და მზათ უნდა იყოსო,—თუ არა უნდა მეეკლა ე ბიჭი.

— ერთ საათში გაგიკეთეფო, — უთხრა ოქროქედელმა, გაალო
უჯრადი და შეინახა.

შეიპარა ღამე პოლკონიკი, გაალო ის უჯრადი, გამოილო ბრილიანტის
თვალი და ჩაადო ზღვაში. დილაზე ვერ იპონა ბიჭმა. დრო მოდის, მო-
ვა პოლკონიკი და მოკლამს აუცილებლათ. გავიდა ბაზარში და დაინახა:
გამოსულა ერთი მეთებზეი და გამოუტანია ახალი თებზეები. ამ ბიჭმა
შივიდა და იყიდა რამტელიმეი, მუუტანა მზარეულეფსა და ეს ბრილი-
ანტის თვალი აღმოაჩნდა ამ თებზს. დაიწერა პირჯვარი. სამქედურში
ჩავიდა და გააკეთა. მოვიდა ახლა ისი, ის პოლკონიკი: ჩემი ბეჭედი
გაკეთეო?

— კი, ბატონო.

— მამიტანეო. დაჩერებია,—ის არი. მერე უთხრა:

— ვინ მოქცა ეს თვალი შენეო? საღ იპონეო?

— ასე იყო, — მოყვა ბიჭმა სიმართლელი.

— შენთვის სიკვტილი მინდოდა და გადარჩი ახლა შენეო.

(სოფ. ჩილი)

2. პონია

დადიოდა სოვდაგარი სოფელში. მივიდა ერთ გლენტანა.

— დამაყენე ამაღამ შენთანაო. არ დააყენა ჯერე. უთხრა: — ქალე მყამს ძიმეთაო და არ არი კალუნო.

— ბავაში მივიმალეზიო.

მორე ოთახში გეიყვანა და დააყენა. დეიბადა ბოვში. დეიძინეს სუყველამა. მოვიდა მეზედისწერეები. ერთმა თქვა: ე ბიჭი რო გეიზდება, ცეცხლში დეიწვასო, მეორემ: — წყალში დეიხრჩოსო, მესამემ: — მე ვიტყვი კათათო: აგერ რო სოვდაგარია, მაგის ქონება ამას დარჩესო, ყველამ ხელი მოაწერა.

ესმის ეს სოვდაგარსა. გათენდა დილა. მამას უთხრა: ე ბოვში მოძყიდეთო. იყიდა და წეიყვანა.

— ახლა დაქჩეს ჩემი ქონება შენეო! გადოუსევა ფაშზე დანა, გოდუძახა ჯინქრეფში. ბლარი სხაის.

შენთხეები თხეტს უდგიან. ერთი ბებრის თხაი მიბარებული ყამთ. გავიდა თხამ და აწოვა ძუძუ ბლარსა. წევიდა თხაი სასში. ბებერმა უთხრა მენტხეფეს: — რათ მამიწველეთაო?

ასე იყო ბევრჯელ. ადგენ და გაუფთხილდენ: რა წომს ამ თხასა, უნდა გევიგოთო. დეინახეს, თხა გედევიდა და აწოვა ძუძუ. გახვიეს ზოვში და მიგვარეს ბებერს: ამას იქით ნულას დაგვაბარეფო.

— შვილი არ მყამდა და რალაი ეგ მამგვარეთ, თქვენ გიშველათ ღმერთმაო! გაზარდა ისი და დაარქვა პონია. გეიზარდა ეს ბლარი კარქა და ამ ვაქარმა ისევ-ისევ გეიარა იქეთა.

— პონია, წყალი მამიტანეო, — დოუძახა ბებერმა.

ვაქარმა. ცქვიტა ყური: — რათ ქეია პონია ამასა?

— მენტხეებმა მიპონესო.

ნამდვილათ ეს არი, — იფიქრა ვაქარმა. ბოვში ბლარი ქალარ არი, კაი ვაშკაცი ყოფილა. კაი შესახედავი ბიჭი შექნილა.

ადგა და უთხრა ვაქარმა: მაგ ბიჭსაო ჩემ სახშიდაო ქალაღლი უნდა გავატანო და კაი თუმნიანს ვაჩუქეფო. მიცა თუმნიანი და წერილი გაატანა. წერილში ეწერა: ე ბიჭი რა წამში მოვიდეს, მოკალითო.

მივიდა ამ ბიჭმა. წერილი ჯიბეში აქ. სოვდაგარს ერთი გოგო ყამს. მეეწონა ბიჭი. ამაოცალა წერილი, მიხი-მოხია, გადაყარა და დაწერა: რა წამში მოვიდეს ე ბიჭი, ქორწილი გამართეთო, ეს უნდა იყოს ჩემი სიძეო.

მოვიდა სოვდაგარი და ქორწილია გამართული. შემეყვარა გულს: რა მამივიდა ესე?! ახლა კიდო ფიქროფს: ამას გავავზახნი წყაროზე, იქ ჩავასაფრეფ თოფიანეფს, რაწაჲს მოლანდონ თვალი, მოკლან და გაღუ-ძახონ წყალში.

დააყენა თოფიანები.

— პონია, ერთი ჩაფულა წყალი შენი ხელით წყაროდან ამამიტა-ნეო!

გოგომ უთხრა ბიქსა: — გამოართვი ჩაფულა და დაწეკი აქა, არ წახვიდეო.

რო გევიდა კაი დიდი ხანი, სოვდაგარმა თქვა: აქამდი მოკლემდენ.

წამოისხა პალტო და წვეიდა თითონ. უნდა შეიტყოს, ვინ ესროლა უძალ და როგორ მოკლეს. ამ თავის დაყენებულმა ბიქებმა რო დეინახეს კაცი, სიძე ეგონათ, მოკლეს სოვდაგარი და გაღოუძახეს წყალში. მოვიდენ სახში ეს ბიქები. დარჩა ი ბიქსა სოვდაგარის ცხოვრებაი.

(სოფ. ჩილი)

3. გვარი ფანქველაშვილი

ერთ გლახა ამიდში მოსულა ღვდელი, მისულა ცეცხლთანა და, დიდი ანაფორა რო ეცვა, მარტო იმას დოუქერია ადგილი ცეცხლთანა. მერე რო მიეფაქვა ცეცხლსა, დოუძახეს ფანქველაშვილი, თვარა ჩენი ძეელი გვარი არი არდაგიძეი, ახლა — ფანქველაშვილი.

(სოფ. ჩილი)

4. ტყეში

ჩვენ მარმანიქეები ვყოფილვართ. ჩენი ძეელები, უწინდელი ხალხი, ცეცხლთან ყოფილა ახლოს, დამწვარა იქა და ტალახი წოუსვამს მუხლებზე. გაჯავრნია ბატონი და ბატონ დეერქმია ტალახაძეი მერე. შროშაში მდგარიყვენ ჩვენები, მერე წასულიყვენ დვირშია და მერე ისეე აქ ჩამოსულიყვენ. მერე მდგარიყვენ აქა.

ცალი ხელი გამხმარი მაქ. ხემ მამიყოლა ქვეშ, ხემა. კაი ხანია. ქე არი ერთი 35 წელიწადი. მას უკან ასე ვარ წამხთარი ვეწვალელებით სოფლიერეფს. ეს მხარე სულე მტკივა, რამტელი ხანია. წელს ძვალზე ხე მამხვდა, აქედანაც დამკრა ხემ. უკან ხე დამხვთა და გამეჭყვა შიდა. რაძახაი აპელაცია იქნება გამიკეთონ-თქვა. ექიმა მითხრა: რათ შინდა შენი ცოდვაი, ვერ გადიტან მაგასაო. როცა ტკივილებ დამიწყეფს, წამლეფს გამამიწერენ. მიხედ-მოხედვა მიჭირს; წელში რო დევიხრები, ალებაი მიჭირს, რო დევიჩოქეფ, ყოველთვინ მტკივა.

წავეით ერთხელ ტყეში ხეზე, ხოდა, როცა გადავეკერით, უნდა გადმოაგდო ხეი. სანდაც ხარი-არ უდგება, მთის თავდაღმაროს კდეებია და

სვანს ვეძახით. დავკერიტ ი ჩვენი ხეი და, რო უნდა ეგვეშვა, მამა
ქვეყა ი ზორტზე იქა. ეს გვამი გამილურჯდა სულე, იმტელათ მომთ
ხოვა ძალა. დიდხან ვეგდე ძირსა. ყურები მისრისეს, ძლივ მამაბრუ
ნეს. წამოვეით სახში. პატარა ხარაგოულში მოვედით ნათესავთან. ი
ლაქეს დაფათურდა ე ჩემი ნათესავი. დიკას ვეძახით, პურია, იმის დაფ
ქული იზონა. ე პური გაქნა ძმარში, შტოლის სუფრაზე წოუსვა დ
შამაძადეს წელზე, გამახვიეს შტოლის სუფრაში. მეშველა ცოტა, მამ
ცა საშეალებათ.

წამოველი სახში, მერე ვიპოვეთ წურბელა-ქია და ბანკებმა გამეი
ტანა შავი სისხლი. მას უკან მტკივა ესე; ვმუშაოფ წვალებით. ახლ
მეექვსე წელიწადი არი. ურემს დოუდეფ ტვირთ, დავჯდები მერე დ
მივდივარ ალაგზე. მივდემ და მოვდემ ურემსა.

აქა პურს ვთესამთ და ლობიოსა. ასე ვთესამდით უწინაც. ქალებ
არ ბარამდენ და იმასაც თარკილობდენ, სადილს რო მოგვიტანდენ.
ცოლი მყამს და გოგოები მყამს. კაი ოჯახი ქვექონდა ჩვენე. ხარი დ
კამეჩები მყამდა. ხშირათ სანადიროთ დავდიოდით, კურდღელს
გვკამდით. ახლა თვალითაც ველარ ვხედამ კაათ.

(სოფ. ჩილი)

5. თათრეთთან ომში

მოხუცებულსა ხან ეტკინება რამეი, ხან არა. თავი მტკივა ხომე
ძალიანა და მუნღეფში ვარ მოწყვეტილი. როგორ არა ვარ დაბერებუ
ლი. ძარღვების გადიდება მქონდა და მითხრეს, დაძალული ხარო. წი
ფაში ვმუშაობდი 45 წელიწადი. ხნისა რო გავხთი, მამცეს პენციით
ნამსახურობა დიდი მაქ.

ჯული მაგარი მაქ, მარა მუხლები აღარ მივარგა. თავდამართმე
ველარ მივდივარ. ბრუ დღეც მაქ. ჩალას რო ვკონი ხანდახანა, წაე
ტორტმანდები. ამტელი სიარული აღარ შემიძლია. აბანოები გვაქ, მაგ
რამა იქა ერთი კვირე მაინც უნდა ვიყოთ, ოჯახსა ვერა ვტოვებთ.
ოჯახში ქათამია, ბალი გვაქ, რაღაცაი და აფუქებენ საქონელი, ბლარიც
გადავა. ქამა-სმია უნდა ადამიანსა, ჩაცმა გინდა, თ'ვარ იმუშავე: ტყუ
ილა ავა, სოკო ხ'ვარ არი, აკრიფო გზაზე! უშრომთა ვერც იმას მოი
ტან.

მე 1901 წელს დევიწყე მუშაობათი. რემონტში ვმუშაობდი, გზა
გკერამდი. რეინცა შვალეებზეა დაწყობილი. მოხოულეფში სხვანაირა
იკერებოდა.

თათრეთთან ომში ვიყაი, ნიკოლოზის ომში. რკინიგზიდან მამსს
ნეს. ჩვენ ვიყაით ტრაპიზონში, თამარის ხიდი ნახეით აცანკალაში
აწერია ზედე ქართულათა, მარამა გამორკვევით ვერავენ ვერ გაიგო

ძიელ ნაკლებათ მიხვებენ. ერთმა აფიცერმა წეიკითხა თითო ასოი, მარა ერთათ ვერ დაათარგმანა. მერე კიდევ არზრუმში ნავხეთ, ეკლესიაი იყო იქა, ხე იყო იმოტელაი, ცაცხვი! რო ჩანგრეულა თალი, ხე გახდილა იმ ეკლესიაში. კარეფშიდა თაღები არის. როდინდელი ნაეზობია, არ ვიცი. — 750 წლის წინათ არი გაკეთებული და ქვიტკირი ისევ-ისევ არი. იმის გვერდზე იყო ძველებური ზარბაზანი. ი ზარბაზანთანა იყო მერე დოქივით თუჯი, იმის გვერძე თუჯის აშიკი იყო და რალაცა იყო ჩაყრილი. იქ თქვეს, რომეო—ეს იტენებო. მეშოკით შედებენ წამალსაო. მერე დაკეტამდენ კარებსა, რო არ გამეფეთქნა და იმ დოქისნაირსა წინიდანა, ტუჩიდანა, ჩაღებდენ. რო დეიწოლა, მაშინ გასკდებოდა. ისე ქონდა თურმე ფითილი აღებული, რო საცხა ხალხი იყო, იქ უნდა მისულიყო და გასკდებოდა. წარწერაები იყო ქართული იმაზედაცა, მარა ვერავეინ გებულობდა. ძველი ეკლესიაები იყვენ ზოლმე. პაწია ბაზარი იყო. გავლით არ გაგვივლია. ბძოლა ისე აღვილი იყო, თოფი ქვექონდა, ხედამდი კაცსა. ჩვენე ძიელ ეჯობნიდით.

(სოფ. ზეარე)

6. გივი და ბეჟანი

იყო ერთი კაცი, სახელათ გივი. შვილი ყამდა გივისა, ბეჟანი. შვილმა უთხრა მამასა: მამა, მამე ფარი შენი, წაველ ტახს შევეომები. ჩემსა კლავსა გამოვცთია.

12 წლის ყმაწვილი ხარ, შენა ხარ უსუსური. — მოდი, ბეჟები მინახე, თ'ვარა ვარ მოწიფული.

ახლა ადგა და მიცა ფარი მამამ. მოსწია და გასტეხა. მორე გოუყეთა, ისიც გასტეხა, არ გოუძლო. მესამეც გოუყეთა, გოუძლო იმან და წევიდა ტახთან საომრათ. ტახია იმითანა, რო ქეჩო ქონდა დიდი. დანიელი ყავს ბიძაი და უთხრა მამამა: — გაყეი შენეო, უსუსური ბავწვიო.

წევიდა ახლა ისიც.

დილამდე მივიდა ე ბეჟანი ამ ტახთან. ტახი ჯდის, კბილეფს ილე-საძს. გუთმისანი რაში ყამს ამ ბეჟანსა. ასე უთხრა: რო გადამკრანო, სამი პირი ტყავი ამძერებო.

ტახმა კითხა: სიმარდით ვიომოთ თუ სიმძლავრითაო?

რაშმა უთხრა: სიმარდით ვიომოთო, გაქცევითაო. თუ გაგასწარი ამ ფარგლეფს გარეთაო, უნდა-გაქენეპოო.

გადაკრა სამეჯელ და გასწია. გასწია და წევიდა. მიზღემს უკან. მიატანეს იმ მიჯნებზე, ისაა, უნდა გადაასწროს. რაშმა კული მოწყვიტა ლორსა და დოუძანხა: დაბრუნდი, ლოროო. გამობრუნდა ლორი. დაკ-

რა ბეჯანმა შეილდ-ისარი და გააპო შუაზე ტახი. ღორმა დეიძას: სი-
ბან მკარ, გულზე უწია, წვერი მიწასა ხვებოა.

ეს ბიძა დანიელი, მივიდა და ევრხვასე მიიკრა თავი: ისინი რო ომს
დღეწყებენო, შიშით მე არ ჩამოვარდეთ. რო დაშოშინდა ყოლიფერი,
ჩაპოლდას ბიძაი. ტახი წვეიდა კიდე და 9 ვერსი გეიარა და შერე
მოკვდა.

ბეჯანმა უთხრა ბიძას: წადი და ეშვები მოაცალეთ. გულ-ღვირ-
ძლიც ამოაყალე და შევწვათო. იმტელი არ შეეძლო ბიძასა. წვეიდა
თითვან ბეჯანი და ამოაყალა გულ-ღვირძლი. ამოიტანა. შერე დასწვა
ეს ბეჯანი. უთხრა ბიძასა. 2 საათის შერე გამაღვიძეიო.

ღვეჩინა ხელათ ამ ბლარს. შესწვა ლამაზათა ბიძამ გულ-ღვირძლი
და შესკამა. ეს ძინარი მიიტოვა. წინდაწინ უთხრა: „ეფრასიონის მანიყა
მზე არი ანამავალი! რას კაცი იმას არ ნახამს. იმის სიციოცხლე რა არი!“

რო დეეძინა ბეჯანსა, ამან მოკრა ჩოხის კალთაი, შეჯდა ცხენზე და
წამოვიდა თავის სახემწიფოში. თავის ძმას უთხრა: ტახი მე მოგყა-
ლი. შენი ბიკი კი დაწიწენაო. ჩოხის ნაგლეჯიც მიუტანა მამასა. მამამ
არ დეიჯერა ესე. მამამ იცის, რო წყალს რო ჩაასხამს სტაქანში და ეიმ-
ღვრევა. უნდა წვეიდეს, ბეჯანი გასაკირშია. ჩაასხა წყალი, ეიმღვრა.

გამეღვიდა ბეჯანსა და წვეიდა მანიყასთანა. მივიდა იქა და წყალი
არი კარკი, წამოწვა და დეეძინა. მანიყას მოსამსახურემა დეინახა და
უთხრა ზეთუნახავს: იმნაირ ყმაწვილს ძინავს, ზენავეთ ანათეფს
აუზთანაო. მანიყამ გაგზანა მოსამსახურე: წადი და კითხეთ:

ვისა გძინავს საროდგირსა,
ვინ ანათეფ ზესავითაო?

ბეჯანმა უთხრა:

მე ვარ გივის შვილი, ტარიელის ბიძაშვილი,
თვალათ მზე, საროსტანისა, ნახვა მსურს მანიყანისა.

ახლა წვეიდა და უთხრა იმას. ი მანიყამა ჩუმათ შეაპარა სასახლე-
ში ბეჯანი. დღეი დამალა და ღამე გამოუშვა. ჩეესაფრენ, გეიგეს და
დეიტირეს ბეჯანი. შეკრეს ბაწრითი, გაწყვიტა. ჭაკვიტ შეკრეს — ისიც
გასწყვიტა. შერე თქვეს: ქალის თმა და ცხენის ძუა დავგრიზოთო.
დაგრიზეს, შეკრეს იმით და ვერ გასწყვიტა.

ბიძა ყამს იქა ტარიელი. თელი ხალხის სარდალია. ის სხვაგან არი
წასული და ამა დროს ახჩობენ ამ ბეჯანსა. დეინახა ახლა ამ ტარიელმა
ბოძი მალლა ამართული. შამოკრა ცხენს მათრახი და გააქენა. გეიგო,
რაშია საქმეი. უთხრა ხელმწიფესა: ეს რო დაახჩოთ, 1 ღამეს ეიღეფს
მაგის მამაი შენ სახემწიფოსაო, ძღავრი არიო. ისევე ხაროში ჩავსვათ
და მანიყამ უზიდოს პური საქმელათაო.

წვივანეს ბეჯანი, ჩასვეს ხაროში, ზეიდანა ლოდი დაადეს. პაწიზ ჰურის ჩასადები დოუტოვეს.

ამ დროს ჩაიჭა მამამა წყალი კიქაში, ეჩვენა სისხლათ. ახლა უნდა წვეიდეს საძებნელათ. ავიდა ცხენსა ფართალი, ვითომ ვაჭარია. მივიდა იმ სახემწიფოში და დეიწყო ვაჭრობა ფართლითი. ემ ბაზარში რო შევიდა, ეკითხება მანიყაი: ბატონო ვაჭარო, აქ გივის შვილია და იქნება მის მამას შოუთვალოთო. უწყრება მამაი: გასწი, გემეცალე. ვინ გივია, ან ბეჯანი ვინ არიო!

გაცილდა მანიყა ბაზარსა. დეეწია გივი და დოუძახა:

მიდექ-მოდექი, მანიყა, ცოტა რამ ფიჩხი ნახეა,

ცეცხლი აანთე ძრეილი. შორედან დამანახეა.

ბეჯანი სა ყავთ ხაროში, დოუგო მის მტრედს მახეა!

სინარულით გეიქვა ე მანიყაი და ცეცხლი დაანთო იმტელია, რომ დეიხახამ 10 ვერსზე. იმითი უნდა მიაგნოს გვიმ ბეჯანსა.

ასწია ბეჯანმა ლოდი ქვეიდან, მარა ისევე-ისევე დეეცა. შევიდა გივი, მოჰკიდა ამ ქვას ხელი და გეისროლა ერთ გუთნი კვალზე, დასცა.

— მამო, თუ მაპატიეფ დანიელის სიკვტილსაო. ამოვალო.

— არ მამიკლა ძმაიო!

— მამა, ვაშლს ვესვრიო.

— არა, შენი ნასროლი ვაშლი მოკლამს იმასაო.

— აჰა ვესვრი ბამბის ქულასაო.

გადაჯდენ ცხენებზე და წამოვიდენ.

დილას ნახეს ქვაი გადაგდებული. ბეჯანი აღარ იყო იქა. დეედევნენ ჯარითა. უნდა დეიკირონ. მიდევენ უკანა. დეინახა მამამა. რო მოდევენ. შეილმა უთხრა: მამა, შენ გეისროლე ისარიო. გივიმ არ გეისროლა: შენ სინჯეო.

გეისროლა ბეჯანმა და დეეცა ისარი ჯარის წინა. სარდალმა თქვა: თუ ამოვადროფ ამასა, წინ წვეიდეთ, თუ არა და უკან დავბრუნდეთაო. ვერ მოაძვრეს. დაბრუნდნენ უკან.

გივი და ბეჯანი მოვიდენ სახში. გაჩაღდა ქორწილი. ბეჯანმა შეასრულა სიტყვა და ესროლა ბამბის ქულაი დანიელსა. მიასვენა კედელზე. წვივანეს და დამარხეს. მერე სამი დღე და ღამეი მანიყას და ბეჯანის ქორწილი ქონდათ. ის ბეჯანი დღესაც ისევე-ისევე ცოცხალია.

(სოფ. ზვარე)

7. დალალაშვილები

ჩვენე დალალაშვილები ვართ. ჩვენი ძველი დალალი ყოფილა. ჩვენე ოკრიბიდან ვართ. ვინ იცის, როდის ვართ მოსული. მამის მამა. აქ არი დაბადებული. ბატონი მეექვლათ მაშინ და გამოქცეულიყვენ.

(სოფ. ზვარე)

8. მოტყუებული სტუმარი

ერთ კაცს უყვარდა სტუმარი. ქალსა — ეჯავრებოდა. უთხრა, როგორ სტუმარს თვარ მოიყვან შენეო, ერთი ქათამი მყამს, ძან სუქახიო. დავკლათ და შევჭამოთო.

— კაიო.

გააკეთა ლამაათა, ჩააყურმა.

— კაათ შეკმაზულიაო, — რო თქვა ამ ქალმა, გაძვრა ე კაცი და მეიყვანა სტუმარი. ქალს ეურჩხა ესე: რათ მოიყვანაო. კაცმა უთხრა სტუმარს: თავი არ შექწყინდეს შენეო და მე ერთი ქვევრა ღვინო მაქ, მოვზთი და კაი დრო გავატაროთო.

ახლა წამოვარდა ე ქალი, ე შექამადი იქით მიდგა, მიმალა და წვანლის სანაყი ქვა ჩააგდო ცეცხლში.

— რა ქენი ესეო?

— რა ვქნაო, — უთხრა ქალმა, — ჩემ ქმარსაო ასეთი ჩოულობა ჭირსაო: უნდა გახურდეს ე ქვაი და სტუმარს უკან დაატაკეფს ცხელსაო.

წამოვარდა და გეოქცა სტუმარი. ღვინო მეიტანა ამ კაცმა.

— სად არი სტუმარიო? — ე ეგერ მირბისო და საკმელიც მიაქო. ე კაცი გეეკიდა. ერთი ჩამაწებიე, კაი შექამადიო.

— მაგას ვერ შაგაცემინეფო, — უკან მოუხედავათ დოუძახა გაქეულმა.

(სოფ. ზვარე)

9. მოხმარხებული ბერი

ერთ ალაგზედა ბერები ცხოვრობდენ. ერთმა ბერმა უთხრა ბერებს:

— სახარებაი ვინ დაწერაო?

— ღმერთმაო.

— ხ'ვარ გასულელდიო? ღმერთი სად ნახე შენეო?

— აგერ რო წერია: რასაც ძიებდე. იმას პოებდეო? მე წავალ და თუ ვიპოვე, ვიპოვეო!

წვეიდა. უთხრეს: დასავლეთის ხელმწიფესა კაი ქალიშვილი ყამსაო.

— სახარებაში წერია, რასაც ძიებდე, პოებდეო. თუ მამცემს ღმერთი იძასაო, იმითი დავრწმუნდები, რო არი ღმერთიო.

მივიდა ბერი იმ სახენწიფოში. ტანისამოსი შემეელანძლა. უთხრა კარისკაცსა, რომეო ხემწიფის ნახვა მინდაო. წვეიდენ და უთხრეს ხემწიფესა: კაცი მოვიდა ერთიო, სახარება უჭირავს ხელშიო, კითხულოფს იმასაო, თან ხემწიფის ნახვა მინდაო.

— წადით, ჩააცვით კაი ტანისამოსიო.

პაგონებიანი შინელი წამოასხეს და მიიყვანეს. გაჩერდა ე ბერი და უყურაფეს ხენწიფეს. — რაზე მოსულხარო? — შენ რო ქალიშვილა ქყამს, უნდა მამცე ისიო ცოლათაო.

იფიქრა ამ ხემწიფემ: ეს ვინ გამიბედა მეო! ამოილო საათი და, ერთი საათი რო გევიდა, მერე უთხრა: მე მამა მყამდა ხემწიფეიო. მამაჩემი წვეიდა შავ ზღვაზედაო, იმასაო ოქროს ბეკედი ქონდაო და ზღვაში დაკარქაო. თუ იმას მიპოვი, მოქცემ ქალიშვილსაო.

წავიდა ბერი. იარა, იარა და არაფერი კაცი არ შეხვთა, რო მისა-წავლოს გზაი. ღმერთმა დეიჭირა ეშმაკი, ჩასხა ბოთლაში და შეახვთერა, წინ დოუღვა. ბერმა დეინახა კაცი და კითხა: რა გინდა, კაცო, მინდაო?

— რა მინდაო და დამიჭირეს და ჩამსხეს აქაო, ამომიყვანეო. შენე ხემწიფის ქალიშვილს თხოულოფ და, თუ ამომიშოფ აქიდანაო, მე გიპონი იმ ბეკედსაო.

— ეშმაკი ყოფილხარ შენეო და ქე მეშინია ეშმაკისაო. მოდი, ოუ-შოფო, — ამ კაცმა იფიქრა.

შიდა მორჩილა იყო ეშმაკი და, რა გამოვიდა, დიდი ხროსტი კაცი იყო. გადაფრინდა ეშმაკი და იპონა ბეკედი. მოუტანა ამ კაცსა. — აი, გიპონეო.

— ნამდვილათ ეს არი, მარა აქედან რო გაგაგზანე. ის კაცი არ ხარ შენეო.

შეხელდახელდენ. ეშმაკი ჩაძვრა ბოთლაში და დაახურა ბერმა თავი.

— რა ქენი, კაცო? კაი საქმე გიქენი და შენ ასე მიშვებიო?

— რაც ხანი გაგიშვი. ნეტა ის მაპატიოს ღმერთმა, თვარა შენ ვინ მოქცა ნებაი, რო გადაფრინდიო!

ბერმა ბეკედი მუუტანა მეფეს. დოუდო წინ. ხემწიფე შეფიქრიანდა: ეს რა მაქცი ყოფილა, რო ბეკედი მამიტანაო! ჩემი შვილიც შენთეინ მამიციაო. ხემწიფემ უთხრა ბერსა, რომეო — მე შენთან არ მქონდა საქმეიო, მე მქონდა ღმერთთან საქმეიო. დათქმული იყო: ქალიშვილი რო გაათხოვო შენეო, ეგეო ზითვათ გაატანეო. მე მწამს, რო მართლა ყოფილა ღმერთი და სახარებაიო. გამოუშვა ე ბერი, დაასაჩუქრა ოქროთი და გამოატანა ქალიშვილი.

(სოფ. ზვარე)

10. ძველმეზური სახლი

მე მოლითელი ქალი ვარ. ქვებში ვცხოვროფ 63 წელიწადია. 25 წელიწადი მყამდა ქმარი. 8 შვილი დედა ვიყაი და 3 შვილსა ვხედამ

თვალთა. გაქირვებაი, ქალკაცობაი მე დამაწყტა თავზე... ქმარს წამოგ-
ეი სებაყოფლობითა. იქა ნახეთ. მოლითშია, და წამამიყვანეს მე რე.
17 წლისა ვიყავი. რო გავთხოვდი. მერე აქ ვცხოვროფ. დავზარდე შვი-
ლები, ვიწვალეი. დატანჯული ქალი ვარ, მარა ცოცხალი ადამიანი თავს
ვურ მოიკლავს.

დიდი ძელური სახლი ქვქონდა ჩვენი. ძველებური სახლი. ჩატახ-
ტული იყო. 4 აბა იყო და ოთხვეს ტახტი ქონდა. ერთათ იყვენ. შუაზე
ქობდა კერია. დიდი კერია იცოდენ. ასე რო იყო ძირა ქვაი, ამ სიმაღლე-
ზე იყო კერია. შამოვიტანლით შეშას. დაადგამდენ იქეთ-აქეთა. ლამ-
ფა სა იყო! ერთი ანთებდა კვარსა. მალლა იყო ერდოი. ბიცოლა მყამ-
და, კვანს წამეილებდა თიდანა. მალლა დააწყობდა. კვამლში რო გაძეი-
წებოდა. ის ქარ წახებოდა. მალლა ქონდა მილი ბუხარივითა, აღნიო-
და კვამლი სახურავს მალლა.

ისი? მაზლიშვილი არი ჩემი. სწავლულოფს, დედა ყამს და მამაი,
ძმაცა ყამს იმ გოგოსა.

მანდი ვიცოდით ხომე სუფრა. ახლა სტოლ გაშლი. ერთნაირი ჩი-
თის სუფრა იყო. გაფენდენ და დააწყობდენ ლავაშსა. ზედ მარილს და-
აყრიდენ. ორ ადამიანს ერთ ჯამს დოუდგამდენ. მოკვდებოდა ხომე,
ტერი და ავი. ალაპი რო იცოდენ. დოუშობდენ პურს. ვინც მოვიტანდა
შენე სუფრას. რაც მოქჩებოდა, მოხვეტდა და უნა წეელო სახში, ასე
იყო. აბა!

(სოფ. ქვები)

11. ბორობი ნათლია

მეზღაპრეი ონოფრე არი. ახლა ავათ არი. ის გეტყვის, რამტელ
თუ იცი? გაგიკვირდება, იმითანა მოლაპარიკე ტყუილი არი. მოქ-
კლამს სიცილითი, აბა! აგერ დეისი არი, სხვადასხვა ლაპარიკი იცი-
ან.

რო ტიტინობენ იქა, აქ გადმოდის ლაპარიკი. გამოლმა კუთხეი და
გადალმა კუთხეი სხვანაირათ ლაპარიკოფს. ჩვენ ლაპარიკში განსხვა-
ვება არი. ი ლელვანი ჩვენზე უკეთესია. გინდა ბერიკაცი იყოს, ისეთი
დავიწყეფს ლაპარიკსა, გესიამონება. სააბაშიო ხალხს ვეკუთვნით ჩე-
ენე. არც წმინდა იმერლები ვართ. არც წმინდა ქართველები. ჩვენ ვი-
ციოთ „წავიდეთ.“ „მევიდეთ“ არ ვიციოთ. აქ ამბობენ „მოვიდეთ“.

ზღაპარმა ხანდახან მოგონება იცის, ხანდახან ველარ მოიგონეფ
რამესა. წიგნი სამსე არ არი ზღაპრებითა?! ზღაპარი მეტი რა ვიცი. ჩე-
მიდან რა გაინტერესეფს?

— მოყე. მოყე. ერმანოზო.

იყო ერთი კაცი. მალიარი იყო ისი. 2 შვილი ყამდა. ქალი აღრე
მოუკვდა. გოგო იყო იმისანა ლამაზი, რო ამერიკას თვალეფს უყენებ-

და. ე კაცი წევრიდა ინგლიში. ვაჟი თან წეიყვანა. ქალი ნათლიასან დატოვა. ნათლიამ წეიყვანა სახში. რაძახა თვალში მოუვიდა. გოგომ გეიწია ხათლიაზე, უნდა გვერტყვია. ადგა ნათლიაი და მისწერა მამას და ძმას: თქვენი ქალი ბიჭეფში დეიარებო.

გოგოს მამამ ძმა გამოგზანა და დააბარა: თუ შეგვარცხენია, თავი მოჭერი და აქ ჩამომიტანე!

ბიჭმა რო ნახა დაი, ვერ გეიმეტა მოსაკლავათ. წეიყვანა და უღრან ტყეში დატოვა შიერი, წყურალი. ბალახით იკვებებოდა.

ერთხელ ტრიალ მინდორზე დეინახა ქოხი, შეიხედა, დანაგვიანებულა ამ გოგომ დაალაგა იქოურობაი და დეიმალა მერე, იხედება კარში. შაშვეადენ 12 ვაჟი, ყაჩაღები სუყველა. გოუკვირდათ ამათა: ვინ დალაგა აქაურობაო. თუ კაცი იყოს, ძმათ მივიღოთ, თუ ქალი — დათაო. გამოჩხეს, ვინძახა არიო.

გამოჩხა გოგოი. ეიყვანეს დათ. უთხრეს: თუ ვინმე მევიდეს და მოქცეს რამეიო, არაფელი არ მიიღოო.

ერთ დღესა წევიდენ ბიჭები. მევიდა მოჭუტებული კაცი, მოიტანა ლაძახი კაბაი. თურმე იმ ნათლიასა გამოუტანებია. კაბა მოჯადულია. შიცა გოგოსა. ჩეიცვა თუ არა, დეეძინა.

მევიდენ ბიჭები, ნახეს გოგოი კვდარი, მოჯადული კაბა აცვია. გახადეს, — განოიღვინძა.

— ხო გითხარით, არაფელი არ დეიტოვოო. — უსაყვედურეს ბიჭებმა.

მეორე დღეს მევიდა გოგოსან სხვა ბერიკაცი. ნათლიას გამოუტანებია ბეჭედი: ნახეი ისი. თუ ცოცხალი იყოს, ეს ბეჭედი მიეცოო.

გოგოს ისე მეეწონა ბეჭედი, წამოიცვა თითზე. მოკვტა. ე ბეჭედი ისეთია, რო ხელზე ქარ ეტყობა. მოვიდენ ბიჭები, ნახეს, ვერაფელი ვერ შეამჩნიეს. ადგენ და ოქროს კუბოში ჩაასვენეს. დიდ ხეზედა ჩამოკიდეს.

ერთი კაპიტანი დადიოდა სანადირო: ნახა ე გოგო. დაეკვირდა და ბეჭედი აქ, წააძრო მაშინათვე. გოგოს გაჰკეღვიძა. წამეიყვანა სახში და შეერთო ცოლათა. ამ გოგოს ეყოლა ვაჟი. ქმარი წასუღია. მეენატრა ქმართან წასვლაი, ჩაჯდა გემში და წევიდა. რო მიღის, რაძახა თვალში მეეწონა მარიაკს და დოუწყო წკალებაი. ქალი არ დაყვა ნებასა. მარიაკმა ბოფში დოუხჩო და თვეათაც წყალში გადააგდო. იმტელი იტურა ამ გოგომა, რომ მიახწია ერთ კუნძულზე. ნახეს მეთევზეებმა ე გოგოი. ჩააცვეს. გეიპარა აქიდან, მიახწია თავის ქმართან, დეწყო მუშაობაი პოვრათა, დეიწყო ლოთობაი. მერე დეიჭირეს ესე.

— რატო დეიწყე ლოთობაიო?

ის. ქარ იციან, გოგო თუა.

— ერთი საქმე მაქ, მეიყვანეთ ესა და ეს კაპიტანი, ესა და ეს კაცი

და ესა და ეს ადამიანიო. დაასახელა თავისი ქმარი, ძმაი და ნათლიაი.

რო შევიდენ, დეიწყო თავიდანა ლაპარაკი: მე გევიზარდღე ამისთანა ოჯახშიო. მამამ ნათლიასთან დამტოვა, მარამაო ნათლიამ სხვანაირათ დეიწყო მოქმედებაიო. მიწერა მერე მამაჩემსაო. მამაჩემმა ძმა გამოგზანა იქიდანაო. ეს კაცია ჩემი ნათლიაიო, — მიათითა.

დააპატიმრეს მაშინათვე.

შევიდა ჩემი ძმაი ჩემთანაო. მე უთხარი, როგორც მამამ დაგიბარა, ისე შეიქეციო. ძმამ ტყეში დამტოვაო. მერე ტყეში ვიყაი მეო. ყაჩაღებთან პურს ვჭამდიო. მერე ისე გამიხთა საქმე ნათლიას ბარობით, რო კვტარი ვიყაიო. წამამიყვანა კაპიტანმაო. ვიყაი მისი ცოლიო. ჩემი ქმარი ე კაპიტანიო.

ქმარი გაგიყდა ღარმე, არ ამოუღია ხმაი.

— რო მოვდიოდი ჩემი ქმრისკენაო, მარიაკმა ჩემზე შეიწია, მე რო არ დავრთე ნებაი, მამიხრჩო შეილიო.

ღარდმა დამანელა და ლოთობა დაეიწყო. მამაჩემმა როგორც ჩემი თავის მოქრა შეინდომა, ისე უქენით თქვენაო, მარიაკიც დაახრჩეითო. მე, რაც გინდათ, ის მიქენითო, როგორც მე გამიშვა ჩემა ძმამა, ისე გოუშვით ისიცაო.

ძმაი გოუშვეს, მარიაკს შეკიდეს ღიდი ქვაი და დაახჩვეს, კაპიტანს შეებრალა ცოლი და შოურიგდა. დეიწყეს ერთათ ცხოვრება.

(სოფ. ქვები)

12. როგორ დეირაჰვათ სახელეზი

ვიძიეთ ეგ ჩვენ, რატო ქვია ჩვენ სოფელს „ქვები“. ამ ქვედა კუთხიდან მოსულა სამი კაცი. ტალახი შეხეთერიათ. ქვა ყოფილა აქა გალაგებული. ორი გამევიდა, ერთი ველარ გამევიდა. ქვებზე გეიარეო, — დოუძახეს. აქ დასახდენ.—რა დეარქვაათაო?—თქვეს: ქვა ნაეხეთ იქ პირველათ და ქვები დოუძახეს.

(სოფ. ქვები)

* * *

ბატონთან ძველ დროს უნდა მიეტანათ ბურაკი, წლის არ უნდა ყოფილიყო. რო მოუყვანიათ ბურაკი, სულ ამოსვრილა ტალახში, ამოლანგულა. მოურავმა ჩეიწერა. კაცი წამევიდა სახში. მოურავმა მიაძახა: შენი მოყვანილი ბურაკი რომელიაო? გლახმა დოუყვირა:—ტალახში რო იყო ამოლანგულიო. ასე დეერქვა ამას ლანგულა.

(სოფ. ქვები)

ჩილი იმით ქვია, რომ ჩილიანი ადგილია.

ნუნის არის მუნისი. მუნის აბანოა იქა. წიფა — წიფთება კარკათ ყველიფერი იქა. ღარიხვეი — იქ ჩაპოდის ღელეები ღარივით. ბაზალეთი ბაზართან ახლო არი. გოლათუბანი — გოლას შთამომავალთა უბანი. (სოფ. ქეები)

13. ღარიგი კაცის თავგადასავალი

ერთი კაცი იყო და ყამდა 2 შვილი, ორივე ვაჟები, და ცოლი. ეს კაცი ღარიბათ ცხოვრობდა. ადგა და წეიყვანა ცოლ-შვილი. ეს ბოვში ერთი ქალმა დეიკავა, მორე—კაცმა და წევიდენ. გზაზე წვიმამ მოუსწრო. დასველდენ. ცეცხლი ვერ მონათეს. ტყეში საძახა შორს რაძახა ანათეფს, თურმე ფულურო ჭირკი ანათეფს. დეინახა ამ კაცმა, ე ცოლ-შვილი დატოვა და გასწია, წევიდა. რო მივიდა ამ გზი-პირზე. საცა დეიბიხავეს, ქარავანს გამოუელა, გოუტაცნია მისი ცოლი.

— სად არი დედაიო? — იკითხა კაცმა.

— ქარავანმა გეიტაცაო.

ამ კაცმა ივაგლახა, ერთი ბოვში ზურგზე მეიკიდა, მორე ხელში ეიყვანა და მიდის. მიადგა დინარეს. ჭერ ერთი უნდა გეიყვანოს, მერე — შორე.

— მე გაღმა გავალაო. — უთხრა შვილს და ერთი ნაპირზე დატოვა.

რო გევიდა, მოვიდა გელი, დაავლო პირი დატოვებულ ბოვშს და გეიტაცა. გამეიქა უკან ეს კაცი და, რომელიც გაყავდა, ი ბოვში წყალში ჩოუვარდა, რა ქნას. იტირა ბევრი.

გევიდა ერთ სახემწიფოში, დეიწყო იქ მუშაობა, პატარა სახლიც გეიჩინა და ცხოვროფს.

გელმა რო ბოვში გეიტაცა, ერთ ცხვრის ფარაში დაავლო. იქიდან ცხვარი გეიტაცა. მემცხვარემ ბოვში გაზარდა. ეს მორე, წყალში რო ჩავარდა, წისქვილის ღარში მიიტანა წყალმა. მეწისქვილემ ამეიყვანა და გაზარდა.

აშანაც გაზარდა სასწავლებელში და იმანაც. ბიჭები ერთათ წეიყვანეს ჭარშიც.

ამ ქვეყნის ხემწიფე უშვილო იყო. ტრედი ყამდა ერთი. თუ ხემწიფე მოკვდებოდა, ვისაც ეს ტრედი დააჯდებოდა, იგი იქნებოდა მის ადგილზე. ანდერძი ეს იყო.

ახლა მოკვდა ეს ხემწიფე. გამოუძახეს ხალხს. მონგროვდენ, დაფრინავს ტრედი და დააჯდა ამ შვილებდაკარგულ კაცს თავზე. წეიყვანეს ეს კაცი, კიდე გოუშვეს ტრედი, არავის დააჯდა. მეიყვანეს ეს კაცი, კიდე დააჯდა. რალას იზემდენ, დასვეს ხემწიფეთ.

ეს ვაჟარი კაცი, რომელმაც ცოლი გეიტაცა, მევიდა ამ ახალ ხემწი-
ვლთან და უნდა დამე გეითოს. ეს ქალი ყუთში ყამს ჩაკეტილი.

— კი, გაათიე ღამეო,—ნება მიცა ხემწიფემ.

— აჰა, ამ ყუთთან ყარეულები დამიყენო.

— კიო, — უთხრეს.

გაბოუძახეს 2 ჭარისკაცს. შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ძმები მოხუჯენ
ორივეი. ერთმანეთს ველარ ცნობენ ეს ბიჭები.

— ბიჭო, ძილი რო არ მოგვივიდესაო, — ეუბნება ერთი, — ილაპა-
რაკეო.

— მე ვიცი, ჩვენე ორი ძმები ვიყავითო, დედა გზაში მეიტაცესო.
მევიდა მამაიო. ძმა ზურგზე მეიკიდაო, დინარეზე გევიდა მამაიო. მე
გაღმა დამტოვაო. ჩემი ძმა პატარა იყო, ნახსოვრობა არ ქონდაო. მე
გელმა მამიტაცაო. ის ბოვში წყალში ჩოუღარადაო. მემცხვარემ გამხარ-
დაო. ახლა ჭარში მიმიღეს და აქა ვარო.

მეორემ თქვა: მე ძლივ მახსოვს, წისქვილი ღართან მიმიტანა წყალ-
მაო. მეწისქვილელმა გამხარდაო.

დედას ეყურება ლაპარაკი. ყვირის შიგნიდან: — ე ყუთი გახსენითო!
ბიჭები ექვეში შევიდენ. გახსნეს. გადაკონა დედამ, უთხრა: — მე ვარ
თქვენი დედაიო. ახლა მამა სა იპონონ?

ერთი წევიდა ხემწიფელთან, უთხრა: ამ ვაჟარსაო დანწყროულა
ადამიანი მოყავსო.

მეიყვანეს ეს ქალი, შეხედა ხემწიფემ, მისი ცოლია. გამოჩთა შეი-
ლებიც. ეს ვაჟარი დასაყენ, სუყოლიფერი წაართვეს, გოშუვეს ტირა-
ლი.

ხემწიფემ დეიტოვა ცოლიც, შვილებიც და აჩიან კაათ.

(სოფ. ქვები)

14. კენჭის ამოღება

ამას სააბანოო ქვია ფონამდი. წიფის სერზე რო ახვალ. იწყება სა-
აბანოო. ხარაგაულს ქვეით არ ჩადის. ჩვენი ბატონი რომელიც იყო,
შრომას ეტყვიან. იქ იყო. აბაშიძე იყო ივანე. მე ასე გადმამცეს. ვინც
რეულები იყო. ლაპარაკი ასე ვიცით ჩვენე. ჩვენი ლაპარაკი არ არი იმე-
როული პიელა, არც ქართული. „აწი“ არ ვიცით ჩვენე, „ყე“ არ ვიცით.
„ქე“ არ არი. ჩვენე „კი“-ს ვხმაროფთ.

ოზდაერთი წლის რო შევიქენი, კენჭი ამოვიღე. ჭარიანობა არ შემ-
ხვთა. დასატრიალებელი იყო და ნუმერს აწერდენ, ჩალწივით იყო,
დაატრიალებდენ, უნა ჩეგეყო ხელი. მე შემხვთა 77 ნუმერი. 76 წევიდა
და მე დავჩი. დამტოვეს წითელ ბილეთში. მერე აქეთ მაშვალი, რქით
მანვალი! უმალ დედ-მამა დოუნისუნემდა ქალსა. ნახემდა. დანიწნემდა,
შენ არ გაჩვენებდა ვაცსა. რასაც მოგვრიდა, უნა გეთხოვა რო შევ-
ქენი ოზდაორი წლის, დავქორწინდი მერე.

რამტელი ცოლი მყამდა? სამი.

ჩდილევი ფანქველაშვილი იყო ჩემი პირველი ცოლი. მოვიდა მამასი, ოჯახი ნახა და წვევდი მას უკან სანიშნავათ. მერე ქორწილი ქვეოსდა. სახში წამოვიყვანე. ყამდა ერთი გოგოი. მერე ცოლი გაზიხთა ავათა, თავი ეტკინა, 6 თვე სულ ტკიოდა და მერე გადაიცვალა.

3 წელიწადი ვიყაი ქვრივი. მორე აქაური იყო, ისე-ისევე. წამამყემეთქი და წამომყვა. ისიც ნაქვრივალი იყო, ბედგამოცვლილი. 11 თვეი მყამდა, მუცელს გადაყვა.

მერე კიდე დამიდგა მამვალე, ნახე და მამეწონა. ჩემი ფეხით ნახე. ესე კაი იყო. მე იქ მოკეთეები მყამდა, მამვალმა წამიყვანა. დოუძახეს, მოვიდუნ. დაჯდენ და, რო ავდექი კარებშიდა, მოარეხე კარები. აქეთ ძალღები იყო, წეეკიდენ ერთმანეთს. თ'ვარ მევეწონე, რაზე წამამყვა? შეჯდა ცხენზედა, ორივემ გამოვაქენეთ ჩქარა, ეჩქარებოდა მოსვლაი. მაყრები ფეხით მამდემდენ. 16 მაყარი მყამდა, 16 ცხენი სა იყო! ალაგ-ალაგ იპოებოდა სოფელში. აქ სა არი ცხენი!

მოკეყვანე სახშია და არი მასუკანი. 54 წელიწადია, რო არი ჩემთან. ზანთარში დაკვლამდით ღორს, 7—8 ფუთიანი ღორი იქნებოდა. იმტელი სტუმარი მამივიდოდა, 10 ფუთი ღვინო მინდებოდა. ვიცოდით სინდერა, თამაში, ავა არ ვიცოდი? ქალი, კაცი აქა რო დაქორწილდება, ნეფე-დედოფალს უნდა ეთამაშანა.

ავდარს აპიროფს. თვარე ახლა შათათს უნდა გამეიცვალოს. თვარე იცვლენბა სუყოველთვინ 29-ში. აღდომაი თვარეს დადემს. ხარება 25 მარტშია. გზობაი აღდომას დადემს. მის წინა კვირეს უნდა იყოს. 17 დეკემბერს უნდა გამოიცვალოს თვარეი და მესამე თვარის დამლევი პირველი კვირე იქნება აღდომა.

(სოფ. ქვები)

15. ლოცვები

წყლისა

ნავი იძრა, ბანა იძრა, ნავის თავზე ქალი იჯლა,
ადე, ქალო, მეიტანე კალამი და მელანო,
დავკრამ წყლისას, გაეაპარეფ დილას.

მაკე სურიელის ლოცვაი

ალი იძრა, ბანი იძრა, დედისთვინ შვილს უჯრუში ეკადრებოის (არ მექმალოს მუცელიო), დრომდი და ალომდი არ გეიდრეს ამის მუცელში ე სურიელი.

ალისასა, მალისასა. შეგილოცავ თვალისასა, გარეულისასა, შინაუ-
რასასა, თვალთეთრისასა, თვალშავისასა... გასკტა თეთრი კტე, გამევიდა
თეთრი კაცი, თეთრ რაშზე შემჯდარი, შოუდგა თეთრსა გზასა, შამოხვ-
თა ნიქელ გაბრიელ თავარანგელოზი.

— სა მიხვალ, თეთრო კაცი? შემჯდარხარ თეთრსა რაშსა, დამდგარ-
ხარ თეთრსა გზასა.

— არა ძემ და მამა სულიწმინდამ იცოდეს, არ გაგიშვა, სანამდი იმას
არ ძეტყვი, რა არი მისი წამალი. შეეკიდეთ ქვებს, შოუნთეთ ცეცხს,
ავადუღეთ წყალს და გადავასხამ თვალეზზე ამ საქონლის ავთ გამ-
ნთომს (სამჯელ უნდა თქვა ესე).

(სოფ. ქვები)

16. ზეპარა გამოვიდა

— სად იყავი?

— წისკვილზე ვიყავი. ვისაც კაცი უამს, ქალი დაფქვამს? მე არავინ
მყამს სახში და აპა! რო დაფქვრივდი, წისქვილის კარები არ ვიცოდი.
კაცი ქალსა წისკვილში გოუშობდა? ახლა ბარე და თოხნევიო. თოხნაი
სად იყო, რას ლაპარაკოფ შენე! ქე იცი ყველაფერი, ბლარი კ'არ ხარ.
ჰოდე, ასეა ი ჩვენი ყანაი. ამ სიმალლე სიმითს რო პირად გათოხნი, რა
შოვა. პირადი უნდა გეითოხნოს დროზე. მე სიმიდი მევიყვანე შარშან,
რას უნოფ შენე! 4 წელიწადი არი, კილო ლობიო არ მიგვილია, გვალ-
ვები იყო. მუცლის ბოძვია ლობიოი.

17 წლისა ვიყავი, რო წამამიყვანეს. 3 და-ძმანი ვიყავით. ობლები ვი-
ყავით. მაშინა მაშვალობა იყო. ნავზე და წამოვყე. მერე 9 წელიწადი
მყამდა ქმარი. იმისთანა კაცი, რო დეიარო ქვეყნიერობაი, არ იყო. ჭა-
ქების ჩაქცევა მოუხთა. ბროხინტიც ქონდა პაწიაობიდანა. ჯარშიდ იყო
აწერილი, უცფათ გამიხთა ავათა და ოთხ თვეშიდა გამიქრა. დამჩა 5
ობოლი.

— ეგე მე მკითხვეი შენა? დეიამიდეთს ისევე-ისევე. ზეკარას უძახით
ჩვენე, მზე რო გამოვა და წვიმა იქნება. ზეკარა გამოვიდა, ზეკარაი!
ახლა იქით მივდივარ მე, თქვენ მამავალი ხართ! უნდა დეიამიდოს, ძიელ
არ იწვიმეთს. ღმერთმა ნუ ქნას წვიმაი!— იცნოფ ბიქტორსა? ეგე მაზ-
ლისწული არი ჩემი გოგოსი.

ერთი დანახეთერი შვილი მყამს. ის ბიჭი ეხლა გემეცალა. უქორწი-
ლო ავღია, მოვიდოდა და დაჯდებოდა. რაც ეილო გოგომა ფული, 5000
მანეთი ფული მივეციით. გაცლილი იყო და კიდე დევებმარეთ. შვილი
ყველაი არც შვილია. ერთი გოგოი დამიმქვრივდა. ერთმა დაამთავრა

და გათხოვდა. ბევრი საქმე მაქ. ოჯახში საქმე გამოილევია? არ ჩამიფერებ-
ნებია, რაც ამიღი გამოვიდა. 160 კონა ჩალა ავკონე და დავდგი. რა გა-
მაჩერებდა, აპალე! წვევდი ახლა მე, რალა ვილაპარაკო?

(სოფ. ქვები)

17. საზღვარზე ვართ

საქართველოში რო წავალთ, იმერელს გვიძახიან, იმერეთში რო წა-
ვალთ — ქართველს. საზღვარზე ვართ. ჩვენი პაპის პაპა გადმოსულა
შროშიდანა. გეგგონათ ადრე, რო საქართველო ძიელ კარგია, ხოდა, მა-
გენი უნდა დასახლებულიყვენ სურამის ახლოს. იქა წყალი აღარ მო-
წონებოდათ და დასახლებულიყვენ წიფაში. ვენახები აქაც გვაქ, მარა
იმიტანა ღვინო აქ არ დადგება. აქა თა არი. ახლა ჩვენ არაფერი არ
გვახსომს იქიდან. რო დასახლებულიყვენ სურამის ახლოს, კარგი იყო.
იმიტანა ღვინოები მოდის საქართველოში!.. იქიდან აქა მოსულან ორი
კომლი. აქა ახლა 16 კომლი გავხითი ჩვენე.

მატონი ქვეყანა ჩიკვაიძე, მოვიდოდა აქანა და ბაეს გვახდევინებ-
და. მიწას თუ დათესავდი, ფულს გადაგვახდევინებდა იმაშიდაცა. შემ-
დეგში გავხითი იძულებული და თლიანათ ვიყიდეთ თაი. ნახევარმა
სოფელმა ვიყიდეთ, დიახ, აქა, წიფაში. ამაშია ლომსაძეებიც გვერიენ,
გაჩეჩილაძეები, ქურდაძეები გვერიენ, ნადირაშვილებიც გვერიენ.

ცოტ-ცოტარა გვაქ ვენახი. რო გაზაფხულდება, გავსწავთ, დავბა-
რავთ, ფოთელი რო გამოვა, მოსახვევებს უტოვებთ, მოვსარავთ. ძირა
კვირტები ჩაგრავს წინა კვირტს, როცა რო გამოვა წინა კვირტი, თუ
მოუხვეველია. თუ მოახვიეი ესე, შეშინდება და კვირტს აღარ ამუშა-
ვებს მერე, ეს კვირტი მაინც ეწევა იმ კვირტს და გამოდის ერთბაშათ
შეძდევში მოვწამლავთ. ერთი კილო რო იქნება შაბიამანი, კირს ვაძ-
ლევთ 2 კილოს, 6 ჩაფ წყალს. რო გამოიფოთლება ვენახი კათ, მოვ-
წამლავთ აპრილში. 10 დღის შემდეგ ისევ იმ თვეში ვწამლავთ. 10-10
დღის შემდეგ ვწამლავთ სამჯელ, თუ კაი პირი ექნა. თუ დავატყვით,
რო ცუდი პირი აქ, აღარ მოვწამლავთ მეოთხეთ. ავადმყოფობა უნდა
მოიხადოს, თუ ვერ მოიხადა, აღარ მოვწამლავთ.

დამწიფთება, მოვკრიფავთ, ჩავყრით საწნახელში, 2 დღე გავაჩე-
რებთ, რო ცოტა სიტკბო მიიღოს, შემდეგში დაეწურავთ. როცა ვწუ-
რავთ, გოგირდს ჩაუკიდებთ ქურში, ავანჩოლებთ, ისე არ ჩავახავთ
ღვინოს, გაასუფთავებთ. თავი დაფარებული გვაქ, რო კვამლი არ ამო-
ვიდეს. მერე, როდესაც გავამსუფთოებთ ქურს, დავგლისამთ აყალო მიწით.
დაუტოვებთ იმას სასულეს, ჯოხს გაუკეთებთ შიდა და შემდეგში
ამოვადროფთ ჯოხსა და ექნება ჩასასვლელი. დუღილის დროს რო არ
დეგვექცეს, იმიტო უტოვებთ იმას.

ორ კვირეში დადულდება ი ქური. დასუფთავდება ღვინო, მერე წაუგლისავთ, რო შვეიცყოფთ, რო დაიდულა. აყალოს ზევით დავაყრით ჩვენე სილას. ი სილა ინახავს სისოვლეს, ჩქარე არ შრება.

ახლა დაუბრუნდეთ ქაქასა. ე ქაქაი თუ გვინდა ოტკათ გამოვხადოთ, ავიღეთ და ჩავყრით ქურში, ხოლოთ ის მაგრათ უნდა დავტენოთ. დაიტენება მაგრათ და ჩავასოფთ ჯოხსა, იმიტომა რომა წყალი წაუვიდეს დაბლა. იმდენ დავასხავთ წყალსა, რო დაფარავს ქაქასა. დავგლისავთ აყალოთი. იქნება 3 კვირა. მერე გამოვხითთ ოტკას. თუ ოტკათ არ გავაკეთეთ, დაასხავენ წყალს. აი წყალს რო ვასხავთ, მაშინ ვჩეხავთ ნიჩფით. დავშლით და წყალში იქნება თალხნათ — შეკუმშულები არ იქნება ქაქა, შემდექში უყურეთ იმას ჩვენე, ადულდება, ქაფებს წამოიღებს და ქაქასაც მალა ამოიტანს. მაშინ ვატყოფთ, რო ადულდებული არი, გამოვიღეთ და ჩავასხავთ ქურში. დავგლისავთ ისეე-ისეე აყალოთი და უძახით სახარჯო ღვინოს.

(სოფ. წიფა)

18. ბურამი და ჰუსეინი

იყო და არა იყო რა, ერთ სახენწიფოში უშვილო ხენწიფე ცხოვრობდა. არ ყამდა ბავშვები. ურჩია კითხავმა: ამა და ამ ადგილას არი ერთი ძირი ვაშლი. ამ ვაშს ასხია ერთი ცალი. ის შექამეო.

ხენწიფემ გააგზანა კარისკაცი. როდესაც მივიდა, მან ვერ ნახა ხეზე ვაშლი. ვაშლი ჩამოვარდნილა და წაუღია წყალს. ეს ვაშლი იპოვა მეწისკვილემ წისკვილის სათავეში. მეწისკვილეც უშვილო იყო. გაგზანილი კაცი მივიდა უქან და უთხრა: ვაშლი ვერ ვიპოვეო.

ამ დროს მეწისკვილემ მოიტანა ხენწიფესთან ნახევარი ვაშლი. ნახევარი მეწისკვილეს ქონდა შექმული. ხენწიფემ ვაშლი შეშჰამა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაჩთა ბავშვები. ერთი ბავშვი გაუჩთა მეწისკვილესა, ორი — ხენწიფესა. უმფროს დაარქვეს გურამი და უნცროს — ჰუსეინი. ბავშვები დლითი დღე იზდებოდენ. რამდენიმე წლის შემდეგ მოინდომეს იარალი: ერთმა ბურთი და ხმალი, მეორემ — ხმალი. ბურთის წონა უნდა ყოფილიყო 100 ფუთი, ხმლების — 100-100 ფუთი. ამის გამკეთებელი კაცი იქნებოდა 9 მთის იქით, ერთი მოხუცებული პედელი. გოუგზანეს მამრიგებელი კაცი. პედელმა მოითხოვა ამ ბიჭების წონა ოქრო და — 9 დღის შემდეგ მზათ იქნებაო.

9 დღის შემდეგ გაგზანეს პედელთან კაცები და აწონილი ოქროც. პედელმა თქვა: — ვისთვისაც ეს გაკეთთა, ისინი მოვიდნო.

— არა, ჩვენ უნდა წავილოთო, — უთხრეს გაგზანილებმა.

ქედელმა ჩამოიღო ხმალი, ურემზე დადვა, ვერ გაუძლო სიმძიმეს, დაიმტვრა.

დაბრუნდნენ ეს ხალხი, დაუძახეს ბიჭეფს. მივიდნენ ბიჭები, აიღეს ხმალები. გურამიმ აიღო ხმალი და ბურთი, ჰუსეინმა — ხმალი, დატოვეს ოქრო და წამოვიდნენ უკან.

მამას უთხრეს: ჩვენ შენთან გამჩერებელი არა ვართ. ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან თქვენ უნდა წახვიდეთ აქედანაო. დედას ქონდა ერთი ბეჭედი, ნიშნობის დროს მოტანილი. მისცა უნცროსა და უთხრა: — ესა ქქონდეს, შეილო ჰუსეინო.

მოიყვანეს გემი და ავიდნენ. გემი დაპირქვეავდა, დაყირავდა. კაპიტანმა უთხრა: — ბიჭო, გადადი ძირსაო. არ დაუჭერეს. გემი ზღვაში დაიღუპა.

ჰუსეინი მოხვთა დასავლეთ ქვეყანაში, გურამი — აღმოსავლეთ ქვეყანაში. აქა ცხოვრობდნენ დევები. 9 ძმაი ყოფილა და მე-9-ს ქონია 9 თავი. გურამა შეამჩნია სიმაგრეები გაკეთებულნი. ვილაცამ ხელით ანიშნა: დაბრუნდი უკანაო. ეს ყოფილა დედაკაცი, რომელიც ყოლია მესამე ძმა დევს. ეს ქალი კი ყოფილა ამ სახენწიფოდან წაყვანილი. ქალმა დამალა გურამი. საღამოს დევები მოვიდნენ და თქვეს: — აქ ადამიანის სულიაო. გვითხარი, ვინ არი, თვარა მოკვლამთო. ქალი არ გატყდა. მეორე დღესაც წავიდნენ დევები ტყეში. დაბრუნდნენ საღამოს შინა და უთხრეს ქალსა — ვინ არის შენთანა?

— ჩემ სახენწიფოდან არი ერთი ადამიანი ჩამოსული, თ'ვარ მოკვლამთ, გამოვაჩენო. დევები შეპირდნენ: არ მოკვლამთო.

დედაკაცმა გამოაჩინა ბიჭი და გვეცვენენ ერთმანეთსა. ე ბიჭიც დევებთან ერთათ ნადირობდა. უხთებოდა მათან წოლა.

ერთ დღეს იმ ქვეყანაში მოსულა ქაჯი ქალი, რომელსაც ქონდა ერთი ქვევრა და ერთი ცოცხა. ბიჭს უნდოდა მოენახა თავისი ძმა და იფიქრა გამოპარვა ამ ქაჯთან ერთათ. დევებმა გაიგეს ეს, დიდ გამოქვაბულში შეაგდეს ბიჭი და გასასვლელი დაუკეტეს. ბიჭს უნდოდა ძალით დაერღვია კდე და გამოსულიყო. რამდელი დაარტყა ხმალი, უფრო იკარგებოდა. რამდელიმე ხნის შემდეგ გამოვიდა ბიჭი კდიდან, დაბრუნდა დევების საცხოვრებელ ადგილზე.

ქალმა მისცა ერთი პლატუკი და უთხრა: — როცა გაგიპირდეს, გააქნიე და გიშველისაო. ამ დროს მოვიდნენ დევები, ტაცეს ბიჭსა ხელი და ერთ უღრან ტყეში, სადაც რო ბევრი ხეცებია, დატოვეს.

ბიჭმა ააფრიალა პლატუკი. პლატუკი ყვავმა მიუტანა დევის ქალსა. ქალმა ქაჯის ქალი მოიხმო და უთხრა: ეს ბიჭი წაიყვანე დასავლეთ ქვეყანაშიო.

ჩაჯინა ქაჯმა გურამი ქვეერაში. ააქნია ცოცხი და აფრინდა ქვეერა აერში.

ჩამოვიდა დასავლეთში, მოხვთა, სადაც იმყოფება ჰუსეინი.

გლეხის ოჯახში, წყლის პირას, ითენებდა დამეს. ყოველ საღამოზე გლეხები მოდიოდნენ მოედანზე გასართობათ. გურამიც დაინტერესდა: სად მიდიხართ, მითხარით აუცილებლათ!

ჯერ არ გაამხილეს და მერე უთხრეს: ხენწიფეს ყამს ლამაზი ქალი გასათხოვარი და მის დასანახავათ მივიღივართ ყოველ საღამოსაო.

— თქვენ სახენწიფოში კაცმა რო ბრძოლა გამოაცხადოს, როგორ უნდა მოიქცესო?

— ჩვენ გვაქ მოედანი, იქა გვაქ ზარი და უნდა დარეკოსაო.

მეორე დღეს ბიკი გეიპარა და დაუწყო ზარს რეკვა. ხენწიფემ გამოგზანა კარისკაცები: გაიყვანეთ, თორემ მამაკვლევინეთს თავსაო. ეს ბიკი არ დანებდა.

ხენწიფეს ყამდა 40 კარისკაცი. მე-40 იყო კოჭლი და ქონდა ამ 39 კაცის ძალა. კარისკაცებმა უთხრეს ეს ამბავი ხენწიფეს. ხენწიფემ გამოიყვანა თავისი კარისკაცები და დააქიდა, ორმოცივე წააქცია გურამა.

ამ დროს ამისი ძმა ჰუსეინი თავი მემცხვარე იყო. მეორე დღეს დოქახეს იმასა, რო შეაკიდონ. ჩამოვიდა ჰუსეინი, იკიდავეს თელი დღე, ბოლოს დაძლია ჰუსეინმა და ჩაფლა მიწაშიდა. ძმებმა ვერ იცნეს ერთმანეთი. მაგრამა გურამა დაინახა ჰუსეინის თითზე დედის ნაჩუქარი ბეჭედი. ძმები გადაეხვიენ ერთმანეთსა. ხენწიფემ უთხრა ჰუსეინსა: თავი მოჭერიო.

— თავს როგორ მოჭერი ძმასაო?! მოუქნია ხენწიფეს ხმალი და მოკლა. ის გოგო გაატანეს გურამსა. სახენწიფო დარჩა ჰუსეინსა.

(სოფ. წიფა)

19. წიფის ბვირები

დასავლეთს ვეკუთვნით ჩვენე. სააბაშიო რატო ქვია და ვახანის წყალს ზეით ბატონი ყოფილა აბაშიძე. უბისაში, ზეარს რო უძახიან, იქ ქონდა იმასა სასახლეი და სააბაშიო იყო. გზაი წყალ-წყალ მიდიოდა, გადიოდა ქოჩორაზე — უღელტეხილია, ქართლ-იმერეთის საზღვარი. ვახანის წყლიდან არი სააბაშიო. ბაბუა არი აქა გადმოსული სამეზიდან. მამაჩემს ახსომს გადმოსულა სამეზიდან. მამა 5 წლისა ყოფილიყო. ნახევარი იყო სახემწიფო ადგილი წყალგაღმა, წყალგამოდმა იყო — საბატონო. სახემწიფო ადგილზე მოთავსთენ გადმოსული ხალხი, მობარაგინდენ. ისინი იყვენ 4 ძმები.

მატარებელი არ იყო. მატარებელი შამევიდა 1877 წელში, აქ მე-
ვიდა 1881 წელში. უკვირდით ხალხსა: რკინიგზა შამოდის და რანაი-
რი ვიქნებით, არ ვიცით.

პაწია ვიყავი, ორი „რეიცა“ იყო, მე კაათ მახსოვს ესე. ნამთი არ
იყო, კვარი და ჟინელილმოგრეხილი წნელი. კვეს-აბედით უკიდებ-
დით, ასანთი არ იყო.

შალარო დეიწყეს 1886 წელში. ბაბუას უკვირდა. ნამთი შამევიდა,
ტანისამოსი შამევიდა. მანამდი თითონ ქსოვდენ შალსა და სამოსელ-
სა — ტილოსნაირი არი.

ანტონ სენტო იყო წიფის მალაროს გამკეთებელი. მაგას ყავდა
ორი შვილი. ცხოვრობდა 3 წელიწადი ჩვენ სახში. მალაროს პირზე,
იქვე ვაღმა, ვცხოვრობდით. გზა რო გაზომა, გამეიყვანა ტუნელი. რო
გაათავა, შეცტომა მოუვიდა. თქვა იმანა, რომეო — ეს ტუნელი გავა.
მარაო, იქით მე გამეიყვანეთ, დამარხეთაო, იმ თავშიო, ტუნელში გამაძ-
ვრინეთო. გაკეთთა 4 წელიწათში. თავათ მეიკლა თავი. დღესაც იგო-
ნებენ იმასა. კაი 60 წელიწადია მას აქეთ.

სადაც მალაროს პირია, იქ იყო 5 კომლი, 3 კომლი ბანცაძე და
ერთი გველესიანი და ერთი ტყემალაძე. ესენი გვეცალენ მერე ამ
ალაგსა.

(სოფ. წიფა)

20. აქოუხრი მებატონე

85 წლისა ვარ. აბაშიძე იყო მიტუშაი ჩენი ბატონი, ქალაზე
ცხოვრობდა. ამხელა მათარახს გადაჰკრემდა გლეხსა, მარა სხვა მე-
ბატონეფს მან ის ჯობდა. ამირაჯიბი იყო. დაატყავებდა სულა
გლეხსა.

ი აბაშიძესა ცოლი ყამდა, შვილი — არა. დედა ყამდა. მოქეიფე კა-
ცი იყო. იქაური კვინტილაი ეყოლებოდა. გლეხის ქალს არ ითხოვდა!
ვიფომ ნათესავები არ ეყოლებოდა იმითანა კარქი! როდის მოკვდა?
ისი დახვრიტეს. გურული კაცი ყამდა მოურავი, ცოლი იმან წაართვა,
გონია, კაათ არ ვიცი.

სატკივარი ბევრი მაწუხებეს ძიელა. როგორც მეშოკი, ისე დამაგ-
დებეს ძირსა. ყურსაც მაკლია. თათრი ფრონტზე ვიყავი უშალა და,
ზარბაზანი რო გავარდა, სისხლი წამომივიდა. მერეც სისხლი გაძო-
ლიოდა. წამალი ჩაასხეს რალაცაი და მამარჩინეს იმათა. აღარ მტკიო-
და და წემევედი სახში. რა მაწუხებეს? ბევრი რამე. მარა გული მან
არ მიჩერდება. ვაკეთეფ, ვაკეთეფ და დამცემს ძირსა მერე.

20 წელიწადია. რაი აქა ვარ. უშალ გლახა ალაგსა ვიყავი. ასე
იყო გვერდოი. აქა სწორე ადგილია.

(სოფ. წიფა)

21. საბაზრო

საბაზროს უძახიან ხარაგოულ ზევითა. აბაშიძე იყო თავადი და აპიტო. იან სხვა მებატონეებიც იყვნენ. ეს აქ ცხოვრობდა ქვეითა, ლაშქში. აქ სახემწიფო ადგილებიც იყო, მარამა დიდი თავადი აბაშიძე იყო. სხვებიც კი იყვნენ, მარამა, რაი დიდი თავადი ის იყო ამ ხარაგოულს ზევითა, საბაზრო ეთქვა. აქ ამილახვარიც იყო, ზუმბათოვიც იყო, აბაშიძე, წერეთელიცა. კოპაძეი ზეარეში იყო, ქონდა იმასაც მამული. ჩხეიძეც ბატონობდა, აქეთ ხარე ქონდა, ტორძელს უძახით ჩვენა.

ფონა არის სამძღვარი (ქოჩორას უძახოდით იმასა), საქართველოსა და იმერეთს ის სამზღვრავდა. ფონასა ძალიან აინტერესებდა სურამში გადაწერაი. მარა ვერ მოახერხეს, თორემა მოლითში დადიოდენ და სურამი აქევა, მარამა არ მიცა ნებაი თავრობამა. ქედს აქეთ რაც არი. ეს იმერეთისა არი.

საქართველოში და ჩუნში არ არი დიდი სხვაობაი. ზესტაფონს კიდე სხვანაირი ლაპარიკი არი.

ძიელ იმერელი არა ვართ ჩვენე. წინათა გურულ ლაპარიკს ვერც კი გაიგებდი. ახლა ბევრი სხვაობა აღარ არი. ყველა ჭიმშიანათა ლაპარაკოფს. დაწერე ესეცა ლამაათა. ახლა შენ მოუყე, ბაბუცა, შენე.

გოლათუბანი რატო ქვია ჩვენ სოფელს? აქ ყოფილა ხშირი გვალვაი, ასე იტყოდა ხომე მამაი.

(სოფ. გოლათუბანი)

22. ჰინჭრაპა

იყო ცხრა ძმაკაცი. ჰინჭრაკაი ერქვა უნცროს ძმასა. ადგა ე ძმე-ბი და წევიდენ დევების სოფელში. აქ ცხოვრობდა ცხრათავიანი დევი. ვერავინ ვერ მიბედავდა იმათანა. ძმებს უნდოდათ 9 დაი შეერთოთ. დევს ყავდა 9 გოგოი. მივიდენ. ცხრათავიანმა დევმა მიიღო ესენი.

— რა კაი ლუკმა მამივიდაო. გადაწყვიტა შეკმა. დაღამდა და დააწვინა. ცალკე დოუგო შვილეფსა და ცალკე ამათა. ცალ-ცაქე დააწვინა. თვითან დადგა ყარაულათა, უყურეფს იმათა დევი, როის დეიძინებენ ე ბიჭები.

ამ ჰინჭრაკამა არ დეიძინა. წამოდგა დევი. უნდა დასლაპოს ე ბიჭები. წამოახველა ჰინჭრაკამა.

— რატო არ გძინამსო? — კითხა დევმა.

— რა დამაძინეფსო, ცხრა მთას იქითას წისქვილი ქქონია, ხივა და არ მაძინეფსო, ჩამოუფქვამს წისქვილსა, აღარ აქ საფქვავეი და ხივაო.

— ხო, გაფუქდებოდაო! — თქვა დევმა და გეიქცა, წისქვილი უნდა დააყენოს.

დაარიგა სინიდი წისქვილზე. სანამ დევი დაბრუნდებოდა იქიდანა, კინჭრაკამა ეს ბიჭები აწვია და გედევანა გოგოების ადგილზე, გოგოები გადმოსხა აქეთყენა, საცა ძმები წევრან.

შოვარდა დევი და უკვე განხეცებულთა: როგორ მამატყუა კინჭრაკამაო. უნდა გადაყლაპოს კიდევ. დასლაპამს ამ ბიჭებსა. კინჭრაკამა კიდე წამოახველა.

— კიდე არ გძინამსო? — კითხა.

— შენ ბოსელს ცეცხლი გოუჩთა და შეველა უნდაო, — უთხრა.

გეიქცა დევი. ნახა, ტყუილია, შოვარდა გაბრაზებული და თავისი შვილები ჩაყლაპა. მერე დაწვა და დევიძინა.

კინჭრაკამ გააღვიძა ძმები: გავასწროთ აქედანაო, თვარა ჩვენც შექვემსო.

წამევიდენ, გამოზიდა თითო-თითოთა ძმები ბეწვის ხიდზე. ბოლოს რო დარჩა თითვან შვა ხიდზე, მოუსწრო დევმა და შესძახა:

— საღ მიხვალ, სადაო? რათ დამლუბე და შემაქმევიე ჩემი შვილებიო? კიდე მობეღამ ჩემ სოფელშიო?

ამ კინჭრაკამ დოუძახა: ისე მოვალ, როგორც სიძე მოყვარეშიო.

— კარკი აბა, მოდი და შენ გიჩვენებ სანახავსაო!

გამეიყვანა კინჭრაკამა ძმები, მარა ისინი ოღუშარდენ, აღარ აყენებენ ამ სახემწიფოში. ძმებმა უთხრეს ბატონსა: — დევს სარაყე ქვაბი აქ ისეთი, რო თელი სახემწიფოს საქმელი მოიხარჩებაო.

— მომიტანეო. — უბძანა ბატონმა.

წვეიდა ე კინჭრაკა ი დევთან. დევსა აქ ჩადგმული ნანადირები და ხარჩავს. ადგა და ეიტანა ქვები ერდოში და, რო იხარჩება ნანადირები, გადაადლო ქვები და ჩაადლო ქვაფში. გედევსხა დულარეი დევსა და გამევიდა გარეთა. ამ დროს კინჭრაკაი შევიდა, ეიკიდა ქვაბი და წამოიღო, უნდა მუტუტანოს ბატონსა. რო გამოვიდა ბეწვის ხიდზე, გამევიდა და დევიწია დევი. დოუძახა: — კიდე მოხვალ ჩემთანაო?

— ისე მოვალ, როგორც სიძე მოყვარეშიო.

გაბრუნდა დევი ისევ-ისევ.

ძმებმა კიდე უჩივლეს: — ხალიჩა აქ ისეთიო, რო თელ სახემწიფოს ეყოფაო.

— უნდა მამიტანო ე ხალიჩაცაო! — უბძანა ბატონმა.

— წავეალ, ხოლოთაო გამიკეთეთ კარკი მახათებო.

წვილო მახათები და წვეიდა. მივიდა დევთან. შეძვრა პოლქვეშა და, რო დაწვა, უჩხუტა ქვეშიდანა დევსა.

— ხალიჩაზე წყილებიაო! — დეიყვირა დევმა, დაავლო ხელი ამ

ხალიჩასა და გამოავლო კარში. გამოძვრა კინკრაკაი. დაავლო ხელი ხალიჩასა და მუუტანა ბატონსა.

— ახლა თითვან დევი უნდა მოიყვანო აქაო! — უბძანა ბატონმა. უნდა დაღუბოს ე კინკრაკაი.

— კაი, ბატონოო, ხოლოთაო მამეცით ერთი დიდი კილობანი, ერთი გუდა თაფლი და ერთი გუდა ნაცარიო.

მიცეს. ეიკიდა ამ კინკრაკამა ე კილობანი, თაფლი და გუდა ნაცარი და დააქ გასაყიდათა. მივიდა დევების სოფელში. დეეზვიენ ყველაი. მევიდა ცხრათავიანი დევიც. — შენეო ის კინკრაკა არა ხარო? — კითხა.

— რას ქვია კინკრაკაო? კინკრაკაი ჩიტიაო. შენე რა მიწოდე ესეო! თუ გინდა ჩემი კილობანი იყიდეო.

დევს მეეწონა კილობანი. — გაშინჯე, ჩაჯედ შიდაო. ადგა დევი და ჩაჯდა. დაახურა, დაალურსმნა მაგრათა, მოიკიდა და წამოიღო. გამოიტანა ის სოფელში და უთხრა: გახსენით ახლა თქვენეო, ამაში არი ისიო.

— კინკრაკა, რა მიყავი ესეო! — უძახის დევი კილობნიდანა.

ადგა მერე და გამეეცალა იმას და დიდ ხეზე ევიდა, ეიტანა 1 გუდა თაფლი და 1 გუდა ნაცარი. ამოუშვეს ე დევი, გადაყლაპა მისი ქმებიც და ბატონიც. დასლაპა სუყველა. ვერსათ ვერ შეხვთა, რო შეეკამა კინკრაკაი. შეხედა დევმა, რო ხეზეა ასული.

— ჩამოდი ჩქარა ძირსაო! — დოუძახა.

— რას მერჩიო? ამოდი აქა და შემქამეო.

— მანდ ვერ ამოვალო.

დევმა დეიწყო შეფორთხებაი. მიცა თაფლი კინკრაკამა. — დაალე პირიო. შენთვინ თაფლი მაქ და, ძიელ რო არ დეიდალო, მოგაწოდებო. აძლევს თაფლს მალლიდანა. ყლაპამს დევი და თან მიდის. გემეელია თაფლი გუდაში.

— აღარ მაქო, — დოუძახა, — მორე გუდას მოეხსნიო, მოხსნა მორე გუდაი. დაალო დევმა პირი და ჩააყარა ნაცარი, გეეშვა დევზა ხელები, ჩავარდა ძირსა და გასკტა.

დარჩა კინკრაკაი ცოცხალი. დღესაც ცოცხალია. ცოლიც შეირთო. შვილებიც ყამდა და იყო მაცხოვრებელი იმ სოფელში.

ბოლო ეგაა.

(სოფ. გოლათუბანი)

23. აჩუშვპული ბული

ერთი გოგოი მიყვარდა. დედაჩემა არ მათხოვინა ის ქალი. ნათლები ვართ. ლამბაშიძის ნათლული იყო ის გოგოი. სხვა ლამბაშიძე იყო, მარა არ ქნა, იმიტომა რო — ნათესაეები ვართო. მის შემდექ ერთი

ქალი ვნახე და დავნიშნე, არც დედა იყო იქა და არც მამაი, ხოლოთ თავის ოჯახის წევრები იყვენ. მერე რაძახა ფიქრმა გადამიარა, იმ ლაშქის ცოტა შემთვრალივით ვიყაი: საღ მქონდა საქმეი და საღ ჩავარდი! მაინც ის გოგოი მიყვარდა და მაინცა. რას მიქმოდენ! ნიშანი მივართეი, 25 მანათი მიუტანე. ეტყუედები-მეთქი. თვალში აღარ მამეწონა. საქმე იყო იმაზედა, რო გული იყო აჩუქებული — წამხთარი მიყვარულისაგანა. იმ ღამეს იქ დავრჩი. პირველათ რო იყივლა მამალმა; გამოვიპარე.

იმასაც სხვა ყვარებოდა, მესამე ღღეს წვეყვანა იმასა. მოვედი სახში. დედაჩემა მითხრა, რომეო — რა ქენიო.

— დავნიშნე-თქო. იმასაც ეჭავრა, ნახული ყოლებოდა.

ახლა რომელიც მყამს ცოლათა, მგზავრათ შემხვთა ეკალას კრეფამდენ და დაუწყე ხუმრობაი. — შენა უნდობი კაცი ყოფილხარო, ქალები დაგიტოვნიაო, — გადიესკისა. რაძახა შევიდა გულშიდა. მე ვფიქვი: გამამადგება ესი, იმნაირათ მოიქცა.

მაშვალი გოუგზანე და დავნიშნე. უარი არ უთქვამს.

გამამადგა, როგორ არ გამამადგა. კაი არი, დაბერდა ახლა თორე... ორჯელ ვნახე მას უკანა. ცოლის მერეც მქონდა გულში ი გოგოი ცოტ-ცოტარაი. ჩემი გვარის ნათლული იყო. სიყვარულმა დამტანჯა, იმას ძიელ უყვარდი მეცა მაშინ ხათრი ქონდათ უფროსისა, უფროს დოუჯერებდენ, დაანებებდენ თავსა. ი გოგოი ჩემი ახლო მეზობელი იყო, ერთათ ვიყაით წყალზე, ყანაში, ერთი სოფლისივიყაით. დღეობაზე ერთათ წავიდოდით. მარიობა იცოდენ იტრიაში, აქეთ არი. სურამში. მეემზადებოდენ, დაკლამდენ ცხვარს, ხარს, დაპატიყებდენ ჰოკეთეფესა. წახვიდოდი, ყველაფერი ბევრი იყო, იყო ქეიფობაი. ისი თავისით წამოვიდოდა, ნავხამდით ხომე ერთმანეთსა. ღამესაც ვათეძდით. შეპირებული ვინც იყო, ათემდა ღამესა. თუ მოკეთე არ ყამდა, წამოვიდოდა.

(სოფ. გოლათუბანი)

24. ხეველთა საშბრიდან

— გასვენებაზე არადიათ მიედვიართ. წამოხვალ, ნიკოლოზო, ჩვენთან?

— ვერა. ე ვანიჩკაც დამიტოვეთ მადა.

— ელენკოი მიხტომია იმათა. გულამდა თურმე ამ ქალსა. ერთათ დახაელებულან.

— რატო ვალახე, ქალო?

— რაეა არ ვავლახთი. ქმარს მართემესო. აღანხვთიური ქალია, რას ერჩი ამ ქალსა!

— ნინამა ი ბერიკაციც გალახა. 18 წუთი კიდევაც გახთა, რო და-
კარქა ხაბარი. სახლი მიცეს ნინასა?

— სახლი მიცა, ერთი ოთახი, მა!

— გრიგალაურის ქალზე იტყვი?

— აჰალე! ნინას შვილი როვორ არი?

— კათ არი ძიელა.

— ნახეთ სხვები? წუხელი ნამბული ამიდი იყო, ჩვენ კუთაზე
ვსვეპდით... იქიდან გადმომცა იმანა, ტოლუმბაშმა და თითო ჭიქაო-
ბით ვადლინძელე.

— რო გამოთქვამს ისა, მერე მე ვიტყვი-

— ხო გნახეი თვრალი? კიდე გნახამ...

— გულს ესიამუნა ლეინოი. უდარდაე იყო შარშანა მოსავალი.
ყურძენიც კათ იყო. ლეინოი კარგი დადგა.

— ორი დავლიეი. რო გადმომცეს იქიდანა, დავლიეი და გადავეც
ხალხსა.

— ესე კმარიყოს! სუყოველთეინ ჭირი ხო არ ექნება ოჯანსა.

— საკმელს იმტელს კ'არ ჭამს ადამიანი. ლეინო ანახევრეფს ჭა-
მასა.

25. ბრიგალათი — რაზმების ბუდე

კლამი არ მივლია, ჩემი გასაჭირი ეს იყო. რო წამოვიზარდე, დამა-
ყენეს მოჯამაგირეთ საქართველოში. რო გავხტი 16 წლისა, მერე ტყე-
ში ვმუშაობდი და ფოდრაჩიკების ხელში ვიყაი. მერე ომი იყო დაწ-
ყილი და 6 წელიწადი იქ ვიყაი. მოვედი იქიდანა და ლეინოეფს ვზი-
დამდი ხან ნახშირსა. არ იყო გზაი. ამ რიკოთის პერევალზე გადავდიო-
დი. მერე ავდექი და დავექორწილდი. რკინიგზაში მინდოდა მუშაობაი,
მარამ მამა მომიკვდა.

1905-ში ადგილები მქონდა ნაყიდი ხაშურში, სახლი უნდა გეგვე-
კეთებია იქა; გავაკეთეთ კიდევცა. ჩემი ძმა იქ ცხოვროფს ახლა. მუუ-
კიდეს კაზაკებმა ცეცხლი. ჩვენ იმას ვჯავრობდით: მასალა დაგვიწვე-
სო, გადარჩა ის დოუწვაი. დაწესებულებებეი დაწვეს, სამიკიტნოებეი
დაწვეს. აქ იყო ხომე მერე კაზაკებეი. ჯერე ღვედელმა დაგვაბეზლა —
ჭიბაშვილი იყო — გრიგალათი რაზმების ბუდეაო. იყვენ ერთი ექვსი-
ოდე იქა და იმალებოდენ ხომე. მოვიდენ იქიდანი. თავადაზნაურობა
იყო კაზაკეფში ჩარეული და უნდა დეეწვათ გრიგალათი. ფეზოსანიც
იყო, მოსულიყვენ საომრათ. არ გოუშვეს არც ქათამი, აღარც ცხვა-
რი. იყვენ 2 კვირე.

ერთ ლამეს მოვიდა ჩვენთანა რაზმელებეი. მაშინ ბლარი ვიყაი.

ღამე შამოვიდენ. მე გამამაგდეს კარში. მევეფარე კარედსა. ერთმა მოყვა, რომეო — დაგვამარცაა მეფის ჯარმაო, მარამ ბოლო ჩენო მინცო. მერე ხმაური გაიგონეს.—ძალი ყოფილა, ვასილო, აქაო.— გააღეს კარები, დამინახეს და გამაგდეს. წავედი და ქვიტიკირში დავექი. მორე დღეს ადგა მამაჩემი და ჩაყვა წითაში. წევიდა მერე იქიდანა. მერე მეტყოდენ ბიჭები: დაწერე, როგორ იყო და გაგზავნე თაჯობასთან წერილიო. მას უკანა გეიმარჯვეს საბჭოთა ხელისუფლებმა და მასუკან იმტელი გაკირვება არ შემხვთერია.

ბენი ბლარები ვიყაით. საყტრეფს აკეთებდა მამაჩემი. სამხედროში რო ვიყავი, უმაღ რუსულის წერა ვისწავლეი, მერე ქართულისა. ფანქარსა და რუჩკას კაათ ვხმარობდი ხელშიდა. პირველ ჩემი ძმ-ს წერილი გადავწერი, მერე როგორც ის იყო, ისე დავეწერი, მერე ჩემი ანხანაგის წერილი იყო, ისიც გადავწერი. მერე ჩქარა დევისწავლე წერაი.

წაშოვედი 1916 წელში. მოვედი აქა და ისევ-ისევ წამიყვანეს. ჩაყვი ხაშურში და ვიყაი იქა 2 კვირეი.

ახლა მოვხუტოი. ბიქი სურამშია. მე აქა ვარ ცოლიანა. ძმისული გავზარდე, საპკოს თავჯდომარეა კიდევა. ერთი გოგო გავზარდე სხვისი. 10 შვილში 2 გეიზარდა. ერთმა ჯერე აქ დაამთავრა, მერე შოფრობა იცოდა და მუშაოფს. შვილები კაი მყამს და რძალი. გოგომა ცხრაწლელი დაამთავრა. სხვისი მოყვანილი რო მყამს. იმან უფრო დეიჯერა ჩემი. დედა ყამს, მამაი ცეცხში დეეწვა. ძიელ ღარიბები იყვენ და წამოვიყვანე. რო უთხრა, სხვისი ხარო, მოქკლამს.

ძველათ ჩვენც ხუნევის ვიყაით, მარა გევეცალეთ მერე. სურამის უღელტეხილი ყოფს ხევს სურამისაგან. ქოჩორას უძახიან. აქედან ხაშურამდე 25 კილომეტრია, უღელტეხილამდე — 17. ჩვენე ზესტაფონში ზემოურლეფს გეიძახიან, ქართველებიო. ჩვენ ვართ შუა ადგილზე, არც იქით, არც აქით.

გრიგალათს ხევისაგან ყოფს ნავანების წყალი. წყალსა და წყალს შუა არი ხევიჯვარი. გრიგალათი მდინარე რიკოთულას (ხეფნურას) წყალს იქით და აქეთაა.

(სოფ. ხევი)

26. ბეზრი შემხვთა სიმფარეი

ბატონი ჩვენე ბარე სამი ქვეამდა. აქ დაბადებული და გაზდილი ვარ. ძმა დემეკარქა ვაინში. დედაჩემს, ვილაც იყო, ენა მიახალა: — ვაინში რო შვილი მოგიკვტა, რატო შენ არ დოუკალი ერთი ცხვარიო, შენ რე არა, მე დოუკლემდიო. დეეკარქა მაშინვე ხაბარი. ხაბარდაკარ-

ქული გამობრუნდა. იყო გამოშტერებული. მამაი მას უკან გედიცვალა.

პირველი შვილი მე ვიყავი. მე ავით ვიყავი, ხევიჯერელი კაცი იყო ტაბატაძეი, იმან გამათავისუფლა. ბევრჯელ შემხვთა ქუთაიში ჩამოსვლა, თვალები მტკიოდა. გზა ველარ გამოვიგნეი. ვხედამ, მარამა ცოტათ, ცრემლი მომდის. ძიელ მაწუხებეს. მიპირს მუშაობაი, მიიხედ-მოიხედე, ამ ჩემ სახს რა გალაზათებაი უნდა, ვერ ვალაზათეფ. შვილები მყამდა, მარამა არ შემარჩინა ღმერთმა. ბევრი შემხვთა სიმწარეი. ერთი შვილი სიკვდილმა მამტაცა. ხაშურში წვევიყვანე, რენგენზე მყამდა. გულის მანკი ქონდა. აწი აღარ მოვა ისი ჩემთანა. თავს ვიკლემდი, მე რატო არ მაყრია მიწაი. დღესე ძიელ ცუდათ ვარ.

საკარმიდამოში პატ-პატარას ვმუშაოფ. დავთოხნიდი ვენახს, ავკონიდი და მოვრწყემდი. სამ ზეით მე ვენახი არ მამირწყამს. თანი-თან გასუსტტა ახლა. გოგილდი თეთრ ვენახს უხთება, ნაცარისთვინ არი გოგილდი. შავმა არ იცის ნაცარი. აერი უჩენს ნაცარსა, ბუნტყლიანმა ამიღმა იცის. გამორჩინაი სამჯელ მაინც უნდა.

აქა პურსაც თესვენ ცოტ-ცოტარას. ქალიც ხნამს, ნეტა დეინახთე, გუთანს ქალი რო მიდემს. რწყევენ ქალები, აპა! არც საძრახისობენ. შეშაც უნდა მოიტანონ. არ ფქვევენო? უნდა წეილოს, აპა! ზოგ ქალს მიაქ, ზოგ კაცს. დაფქვამს, აპა! ნათლიდელა მყამს. შვილი ყამს დაკარქული. ქალი დაწვალოფს, აპა რა ქნას! მაგიტომ არი ცოდვა.

უწინა ხანდიხანა ვნადირობდით ხომე. კურდღელს მოვკლემდი. იმითანა თოფი მქონდა, რო... თოფითა ბევრი მარცხი ხთება.

შკოლის დრო იყო. ბავშვები შკოლაში მინავლებულიყვენ. ბაკეში თოფი გოუვარდა ბავშს და მოკლა ორი ბავში.

ერთი ბავშვის დელა ფეხძიმეთ იყო და უქირდა მორჩენაი. სოფლიერათ იცოდენ, ქალს რო უქირდეს მორჩენაიო, თოფი უნდა დოუცალო ხარზეო. მორჩა ისი. ბავშვები მის ბაკეში ბურქალობდენ. მერე ბლარმა მამის თოფი ჩამოიღო, თვითონ გეეტენა და დაცალა უცაბედათა. 2 ბავში მოკლა. მე რო მოვლანდე თვალი და ყაყაჩოსავით ბავშვები გაშავებულიყო, უკან დევიზიე. დელასთვინ დოუძახნია: — ბავშვები არიან კვდარიო!

დელა მოიქრა საწყალი, მერე, როგორც ვარყა, ისე დავარდა. ტაცეს ხელი. შევარდა ქიშკარში. ქიშკარი პირდაპირ რო ჩავიხედე, მაშინ დამიბნელდა თვალი. ახლახანათ იყო ესე. ენგრე უცაბედურათ მოხთა ისი.

(სოფ. წაქვა)

27. მოწონება არადიათ

ემისოდენი გადატანილი ქვას არ ექნება. ჭვალმა დანაკა ესე, დიდ-ხან აფურთხებია ღისხლი. კბილები ტკივილი დაჩქდა და სულ და-ცინდა სალი კბილები. ჩემი კბილებიც შეჭამა კიამა. სევმა ჭვალის წამალსა, სულ მულამ სევმა. ტკივილი ხანდიხანა ფერდ დოუკავეს. ამდენი წელია ერთათ ვცხოვროფთ ჩვენე.

შეყვარებით რო მიდემთ ახლა, ისე კარ გაეთხოვილვარ მე. ამას დეველაპარიკებოდი? აღებაში დევინიშნე და კვირამცხოვლობაში (ახალკვირა) მამიყვანეს. მაშვალემა გამაცნო. ახლა რო გომბიები ეტუტუნებთან ბიკეფს, ეს არ ვიცილით ჩვენე. დედ-მამამ ძალათი გამათხოვა. მაშინ მოწონებაი არადიათ იცოდენ. ნიშნის რძლენი ჩამამიტანა.

მე რო წინდეფს მოვქსომდი, გაგიკვირდებოდა, — რა ხელმა გააკეთაო. წელიწადია აღარ მამიქსოვია წინდაი. რო ჩამივარდეს თვალის, ველარ ამოვილუფ. მუხლამდინ იცოდენ წინდაი და ზედ ლეკვერთხები იცოდენ, მუხლებზე იქერდენ, მუხლქვეით სხვა ნახჩით უნდა მამექსოვა. სხვადასხვა ფოთლუფს გოუკეთებდი. შვენოდა, აპა!

ექარგემდი ცოტ-ცოტარას. იმა დანახვით ვაკეთებდი, საცა დევი-ნახთი, არ შემეშლებოდა. კესარიამ ბევრჯელ მამაქსოვია წინდები. კესარია უხნეა ჩემზე.

აქ რო მამიყვანეს 16 წლისა ვიყაი. ჩემა კაცმა კენჭი მაშინ ამოილო, რო მამიყვანა. ახლა მე წენში ვარ გატეხილი. ესი ძიელ მაღალი იყო. მე ძიელ მაღალი არ მამწონს, ლამაზი უფრო არი, საშუალო აღაძიანი რო იქნება.

დაბერება ძნელი ყოფილა. დაბერებაი შეუძლებლობა არი. შენსაეფ რო მცოდნებოდა, გამოვდგებოდი.

წერა-კითხვა არ ვიცი. შკოლაში ქალ ვინ გაგზავნიდა მაშინა!

ჩვენი თავრობა უსწავლელს არავის არ ტოვეფს. სწავლა, ოჯახში რო გეცოდინება საქმეი, ის არიო.

(სოფ. წაქვა)

28. ნარიდან ხევეში

ტორძელის თა ყოფს წიფასა და ხევს, კიათურასა და ხევს — ყვავათა. ნარს უძახიან, გორში რო ჩახვალ, იქა წყალი ჩამოდის ცხინვალის კუთხიდან, იქიდანა ვართ მოსული. ხაჩიძეი ყველა იქიდან არიან. ვიყა მე იქა. ვინ იცის, ვინძახა მოსულა.

დედა ბეინველი მყამდა. ბორჯომში დიდხან ვმუშაობდი. ჩამოვიდოდი ბორჯომიდანა ხაშურში. იმ საღამოსეე წამოვიდოდი აქ.

ჩვენი ჯანი და ღონე სულ ჩავეყარეთ მიწაში. კორძაძე იყო სევას-ტრი, ზვარელი, იმის ადგილები ვიყიდეთ. მერე აქაც ქვექონდა მამუ-ლები. ახლა აჩუას მიძახიან მე. — ოხრათ ქქონდათ და ოხრათ გადა-ყარეთ. ქადი ნაკლულობა არ ვიცი.

დაბალი ვენახი უფრო იყო უმაღლ. წამალი სა იყო. ვერ შეივლიდი შიდა. მას უკან გახმა და ნაყენობა შამოილეს. ხო, ხო, აცხონა ღმერთმა, ვინაჲსამ ნაყენი ვენახი შამოილო! წირვა-ლოცვა უღვინოთა არ ვარ-გოდა. მალა წროულ გვიღალატა, თვარამ ამ ღვინითა მაძღარი იყვენ ხალხი.

ჩვენ ვიყავით 3 ძმები. ჩემ ძმასა სხენაირათ წოუვიდა საქმეი. იტ-რიაშია მისი გოგო გათხოვებული. ჩვენ უნა გაგვეყო ყოლიფერი შინა-ურულათა. ორი წილი გეიტანა იმანა. მესამედი ჩვენე.

ჩემი შვილი გემეცალა. გომბიოი იქ დადის სასწავლებელში. 6 კვირის მოყვანილი რძალი გემეცალა. რაძახა ოხერი იყო... სამი წელი-წადია ცალკე ვართ. სახში დავბუნჩაოფთ და დავდივარ. ცოლ-ქმარი ვართ მარტვა.

ყმაწვილობაში გარე-გარე დავდიოდი. რამდენჯერ ღამე გადავ-სულვარ სურამში. გამატანდა ჩემი მამაი რაძახეფსა. იმდელი თქვენც სიხარული, რამდელჯერ კიათურაში ფეხით ჩავსულვარ აქიდანა.

შუქრუთში ვიყავი ხომე, ღვდლის ცოლი იყო ერთი, რამდეჯელ მე მისთვის წყალი მამიტანია, იმასა ვინ დათვალამს. პატივცემლები იყ-ვენ ჩემთვისინა! კარქი ხალხი იყვენ. ბიძია!

(სოფ. წაქვა)

29. ჩიმში უხნი

ჩემზე უხნი არავინ მეგულება, 105 წლისა ვარ. კაათ ვერა ვარ... ფეხი როგორც ყივნაი, ისე მაქ. უმაღლ ჯარში ვიყავი. მალე მამაბრუნეს უქანა.

ტყეში ვმუშაობდი, ქვაზე ვმუშაობდი, ვხნემდი და ვთესემდი. ქვას ვზიდემდი კიათურაში. მუშა კაცი ვიყავი, ბიჭი ვიყავი, ვქმუოდი სულა. ეთოზნიდი, ვრწყემდი, ვსარემდი. გაზაფხულზე სარვენ. ჯერ დაწნე-ვენ, მერე უნა გააკეთო, დახოსრო. აქა კაცები თოხნევენ. ყოლფერი ვიცოდი.

ვერ ხედამ, რო აღარა ვარ? რალა აქიმი მინდა. აქიმა რა უნდა მი-ხოს. აქიმი კვდარს კი ვერ აცოცხლეფს.

რას თესევენ? პურს თესევენ, სიმინდს, ლობიოს. მუშა კაცი თესამს. ჩალას კონევენ აპა! შეუკონავი გაგიგონია?!

(სოფ. წაქვა)

ყოფილა სამი ძმაცაი. მისულა ქრისტე მეუფე. ის კარ ცოდნით ი სამ ძმაცასა, თუ ეს ქრისტე მეუფეა. უმფროს უთხრა, რომეო: თქვენეო სამი ძმაცაი რო ხართო, მითხარით, რომელს რა გინდათო.

უმფროსმა უთხრა: მე მინდა იმითანა ცოლი, რო მოკეთე უყვარდეს, უფალი უყვარდესო. ამითანა მინდა მეო.

ახლა შაშუალს კითხა. შაშუალმა უთხრა: მე იმითანა ქალი მინდი, რიგი უყვარდესო, ანგარიში იცოდესო, ანგარიშითაა მამაული საქმეო, კაი პური და ღვინოო.

მესამეს უთხრა: შენ რა გინდაო?

— ეგერ რო დიდი კდეა და დიდი მინდორი, სულ თხა და ცხვარო მინდა იყოსო.

წვეიდა. მიიხედ-მოიხედეს. პირველს მართლა ამითანა ქალი შერთო. შაშუალსაცა. სუყოლიფერი ყვაოდა მის ეზო-გარემოში, მესამეს კდე და მიდორი ცხვრათ გადოუქცია და მიცა.

ჩვიარა ქრისტემ. დეიძახა უმფროსთან. კაცი არ იყო შინა. მობძანდიო,—ქალმა უთხრა,—ამ საათში ჩემი ქმარიც მოვაო.

ბიიყვანა, დააჯინა თავის ეზოში. პატივი ცა, როგორც ეკუთნებოდა.

მციდა შაშუალთან. გამოხედა ქალმა.

— ერთი-ორი ცალი სხალი, ვაშლი და ერთი ბოთლი ღვინო მამეციო, — ქრისტემ უთხრა.

— ეი, რამტელი შენითანა ძალლი ჩამოიწოწიალექს, სად არი იმტელი რამეიო!

წვეიდა. მივიდა მესამესთან. ცხვარს უდგია უნცროსი.

— აჰა, ის თოლხი შეეწვათ და დრო გავატაროთო!

— დეიკარქე, შენისთანა მაწანწალას თოლხი თუ დოუკალი, ნეტაი მეო!

წვეიდა. იმ უმფროსი ძმის საქმე ბრავლისგან უბრავლესი გაამბრავლა. ამ შაშუალს ყველიფერი მოუხპო. მიიხედ-მოიხედა, აღარაფერია. მესამესაც გოუქრო თხა და ცხვარი.

მციდა ისევ ქრისტე უმფროსთან, დეიძახა. ქალმა უთხრა: მობძანდიო, მობძანდიო! ბევრი კარ მაქ, ბევრი უფალს აქ, მაგრამ ყველას მოგართმევო.

2 ბიჭი ყამს იმითანაი, რო ანგელოზებივითაა. იმ საათში დოუძახა ორიენეს. მოვიდენ, დახედენ, ბრავალზე უმბრალესი მიართვა. ორივე ბიჭები გავზანა ჭურის მოსახთელათ. მოხადეს ჭური, მარა ორივე შიდ ჩაღუნდენ ეს ბიჭები. დააგვიანეს.

— გადი, ქალო, — კაცმა უთხრა, — ე ბიჭები რე იქნენო!
გვეიდა, მორე კური ამოხადა, მიიტანა. სტუმარი რო არ შეეწუხე-
ბია უთხრა ქმარსა: გასულან და ბურქალობენ თავითენინაო.
გადასახა პირჯვარი იესო ქრისტემ და გაცოცხთენ ბიჭები, შამო-
კვიდენ სახში. ი გლეხი ქრისტემ გაამბრავლა. ასე იყო საქმეი.

(სოფ. წაქვა)

31. მეწისქვილე და მელია

იყო ერთი მეწისქვილე. დეემეგობრა ერთი მელიაი, ი მელიაი მიე-
ჩვია. უთხრა მეწისქვილესა: ჩემო მეგობარო, ერთი ქალი უნდა გა-
გირიგო შენეო.

— კარგიო. აბა, როგორ დამარიგეფო?

— შენეო 2 უღელი ხარი მიშონეო, მორჩილა ხარებო.

უშონა.

— პაწა ფარჩხი მოფორჩხეო.

გაცუნცულდა მელია. მივიდა ხენწიფესთანა: ბიჭი ვიცი კაი, უნა
გაურიგო შენ ქალსაო. წამევიდა.

— გაამსე ურემი ფარჩხითა და შეაბი ხარებო.

შიაქ ფარჩხი, მეწისქვილე მიდემს. მიყამთ 2. ურემი.

— გადაყარეი ურმები წყალშიაო.

ხარები გამოუშვა ამ მეწისქვილემა, აჰკრა ხელი ურმებსა და გადა-
ყარეინა წყალში.

გაცუნცულდა მელია და მივიდა ხემწიფესანა: ურმები ხილზე
გადაგვიბრუნდენ და სულ წაგვართვა წყალმა ყოლიფერიო.

მივიდა მეწისქვილეც. გამოუტანეს საწყობიდან ტანი, ფეხი, ყო-
ლიფერი. დაჩერდა მეწისქვილე. — ამას რას შევესწარიო. — უკ-
ვირს.

— არ მოსწონსაო, — ფიქრობენ.

გამოუტანეს ახლა კიდე უკეთესი. ახლა კიდე დაჩერებია.

— წადი, კიდე უკეთესი გამოუტანეთო.

გამოუტანეს პირველი ტანისამოსი. ჩეიცვა ესე. ახლა მოუჩინეს
ქალი. ქორწილი გეიმართა.

— რას მიშვები, მელია, ამასაო?

ახლა ხემწიფემ მოუსვა ხელი, მოიყვანა დიდი ხალხი. მეწისქვილე
გაცეცებულია, სა წეიყვანოს ქალი, არ იცის. უთხრა ამ მელიამა, რო-
მეო — გამოუძეხიო. ვიცი დევების სასახლე, იქ არი გამართული პურ-
მარილიო.

მიყამს ე ხალხი მერე იქა. რო დოუსიახლოვდა, გაცუნცულდა.

— აბა, ესე და ეს ხემწიფე მოდის და გაასწარით აქიდან. თვარამ თლათ დაქხოცამთო. გეიხედეს დევებმა, მოლიან კაცები.

— სა წვეიღეთაო?

მელიამ უთხრა: დაიმაღეთო.

იქვე დიდი ორმო იყო, ყველა იმაში ჩაყარა.

გაცუნცულდა მელია. — აბა, მობძანდით, მობძანდითო!

მეწისქვილე გაჩერებულა. ბელელი, ქურები გამსილია სუყვე-ლიფრითა. იქეიფეს. მერე მექორწილეები წვეიღენ. მელიამ უთარა: დაჭეკი აქაო.

ასე იყო.

(სოფ. წაქვა)

32. როგორ დამკორწინდი

მაშვალი მამივიდა, ბიძაშვილის ქმარი. მევიდა აქა. — ქალი უნდა გაგირიგოო, ამა და ამ კაცის შვილიო. მე უთხარი: ის ქალს არ გამომატანს-მეთქი, იმას სხვა ხალხი უნა, მე მუშაკაცი ვარ-მეთქი. — არა, მე ვიცი ისიო. ჩემა ძმამაც ისე უთხრა, — რომეო: არ გამოგვატანს ქალსაო.

წამევიდა ისე საქმე, რო მაჩვენეს ქალი. ოთხი ვართ და მიგვეწი-ეს ოჯახში. რო გადავხედე ამ ქალს, მე ვთქვი გუნებაში: ამას მაინ არ ვითხოვ, რაც არ უნდა იყოს. მოწონებით არ მამწონებია.

მევიდა ისევ-ისევ მაშვალი. იმათან არ მითქვამს, რო არ მამეწონა ბოლოს მევიწვიეეე ოჯახში. გავაკეთეთ საქმეი. გავრიგლით და დეინიშნა ერთი დღე. მაყარი წევიყვანეყე.

მევიყვანე სახში. გადვიხადე ქორწილი. რომელიძახა ქალი ნახეხე, ის ველარ ვიციანი. დები იყვენ. სახე სულ ერთნაირი ქონდათ.

— რომელია შენი სათხოვიო?

— ის არი გონია-თქო, — დაზე უთხარ.

დაწყტენ მაყრები სიცილით. მერე ხელის მოსაწერათ წაგვიყვანეს. ეს დაც წამევიდა. რომელს მატანებენ, ეს აღარ ვიცი ახლა, ერთი დღია, მორე პატარა.

ძოვაწერეთ ხელი. რომელიც მორჩილი იყო, შემხვთა ისი. რომელ-ძალა შემხვთა, მევიყვანე სახში. თავადიშვილები იყვენ ისინი და მე გლები ვიყავი. ახლაც ვარგან კიდე. ნახევარი ზესტატონი უკავიათ ხელში 4 ძმაკაცს. ერთი ძმა ქიათურაშია, ერთი იჯინელია, ერთი მარნის უმფროსია.

ჩემი ბიჭი თფილიში ბიძამა წაიყვანა. შეხედულათ ბიძას გავს. ალალ-მართალი ბლარია. ცოლიძმამ თქვა: — ე ბოვში მე უნდა გავზარდოო.

ჩემი ქალი მოკვტა. ქაქების ტკივილი ქონდა, გაციებაზე შეხვთა ისი. მოყვრებმა უეჭიმეს. მე სა მქონდა შეძლება. ბევრი ვიფაკურეთ, მარამა ვერაფელი ვერ უშველეთ.

(სოფ. ხიდარი)

33. სოლომან ბქენი და ღარიბი

თურქე ძან ღარიბი კაცი იყო ერთი. ნამეტანი ღარიბი იყო. კვტება შიერი. მერე უთხრა ქალს: ქალო 3 პური გამიკეთეო. უნდა წავიდე სადმე, ჩემი სიღარიბის მიზეზი სოლომან ბქენს უნდა ვკითხოო.

— რო არ გვაქ პურიო?

— ისესხეო.

წეილო პურები და წვევიდა. იარა, იარა. სოლომან ბქენის წყობილობა უნდა ნახოს, რო წამემიართოს ხელი.

მივიდა ერთ ალაგას. სოლომან ბქენს ერთი დიდი ტივი აქ წყალთა შუა გატანილი და 9 უღელი ხარ-კამბეჩი უბია თავში და ბოლოში. გააქ უღართაედურთი ამ კამბეჩეთს. ურტყამენ და მაინც ვერ მიაქთ ტივი. რათი გაანძრევს, აქეთაც უბია და იქითაც!

— ვისია ე ხეიო?—უთხრეს:—სოლომან ბქენისაო.

— წასულა ჩემი საქმეიო, სოლომან ბქენთან მე მივდიოდი საკითხავათ, იმას თვითონ დომეზბია სწავლება, ეს კამბეჩები რაეა დოუბამსაო.

წავიდა მაინც. იკითხა სოლომან ბქენი.

— კაცია და ნახვა უნდა თქვენიო, — უთხრეს სოლომან ბქენს.

მიიყვანა ე კაცი, მუუტანეს სუყოლიფერი, იპურმარილა ამ კაცმა.

— რაზე მოსულხარ შენე?

— რაეა რაზე მოვსულვარ, ბატონოო. ღარიბი კაცი ვარ და არც მამკინობა გამივიდა, არც არაფელიო. იქნება მასწავლო რამეიო.

— 3 დღეს უნდა დარჩე ჩემთანაო.

— კი, ბატონოო.

— წყალთა შუა რო გამეიარე შენეო, ხო უბია ხეს ხარები აქეთ-იქითაო. მოგეწონა ისიო? ერთ ფხარეს ზოგი წვეს, მეორეს — ზოგი და ხე არ იძრევაო. ისეა შენ სახშიდაო. მილიონი რო შეიტანო, თუ ცოლ-შვილი არ გივარგა, ვერ იცხოვრეთო.

მესამე დღეს სოლომან ბქენმა აჩუქა ჭაყვა-დანა და უთხრა: ეს დანა ჩეიდევი ჭიბეში, მეტი არაფელი არ გინდა შენეო.

ჩეიდევა ჭიბეში და წამოვიდა ერთ დიდი თაზე. გადმეიარა ე თა. შუა თაზე რო მევიდა, დეინახა ხემწიფი შვილი ნადიროფს. თხა მოუკლავსყე. უთხრობია მოურაეებისთვინ: შეწვიოთ ეგეო.

შეწევს ესე, დაჯდენ და უნდა იზაკუშკონ. არ აქყე დანა არცეთს.

— ე, მე მაქ დანაიო, — უთხრა ლარიბმა კაცმა. გამოართვა დანა.— უი, ჩემი დანაიო! საღ იზონეო?

წვილო ე დანა.

მიბრუნდა ე კაცი ცარიელი სოლომან ბძენთან.

— დაქარქე დანაიო? უენი გამდიდრება არ იქნებაო!

მოკვტა ჭავრით კაცი. მერე შეეცოდა და უთხრა: წადი, ორი კვეიანი კაცი მიიყოლე მოწმეთაო და უთხარი ხემწიფი შვილს: ეს დანა მამეციო.

მივიდა, წვიყვანა 2 კაცი. მოთხოვა დანაი. არ მიცა. გაბრაზდა სოლომან ბძენი, წაართვა თუ რამე გააჩთა ამ ხემწიფი შვილს, დანაც მიცა ამ ლარიბ კაცსა და გაამდიდრა.

(სოფ. ხიღარი)

34. ჰიათურაში

ზევით, შორაპანში, წყლი პირას იყო სადგური. წვევით ღამე. გათენდა, მივეით ჰიათურაში. დაგვიხვთა ალექსანდრეი ცხენით. გალინა ქვეყეს პატარა. ხეთიშობლობა თენდება. ბოვში ქე შეაჩინა ცხენზე ალექსანდრემ. რო წევრან თურმე, ჩუმათ შეიყვანა ბოვში ოთახში.

ძივეით. დაღლილები ვართ. თელი ღამე არ მძინებია. რო ვისამხრეთ, ქე დევიძინეთ. გამომეღვიძა. შამევიდა ალექსანდრეს დედაი: სინათლე აამთეს. როგორც ბილბანდი იქნება, ისე არი.

— ნეტა დაღამდა, თუ გათენდა-მეთქი. იმდენი გეძინებია, რო დაღამებულა.

— დაღამდაო, — მითხრეს. ვივანშმეთ. გათენდა მორე ღღე. ავდექით, რა ვიციოთ, რავაძახა ვართ ტანზე. თურმე თელი ღამე შავი ქვბღღვირს გვაყრიდა. სულ გაშავებული ვიყავით. დევინახეთ, რო შავი ქვის ფერი დევს სუყოლიფერს. ატეხეს მასხარობაი. ეილო სიმონმა და ქუდი ჩაავდო წყალში.

— რას შვები, სიმონო? — კითხა ცოლმა. — რა წყალი გარეცხავს ამასაო? — თქვა.

(სოფ. ხიღარი)

35. ხილის კრეფის ღროს

— მადა შაშიკოი არი?

— კიე.

— მოდით ერთი, მისტოტინეთ.

— მიტოტინება არ შემიძლია. იქ პორქიკს მირჩევენია კატოს ნიგოზე ასელა.

— შაშიკომ კაი მესეურობა იცის. ხეზე. თუ გინდა, მეც კენწეულზე გადავალ. ატამს ბუნტყლი აქ ისევ-ისევ.

— დააქაშნიკე, ქალო!

— რაზე იკლამ მაქ თავს? არ დეიმტერე.

— ხო გითხარით, თქვენი შესაბადლებელი არა ვარ-მეთქი.

— ჭანჭურს გემო კაი აქ. ერთი ტყუპალა გადმომიგდე. მამწივდა, ქალებო.

— როდის მოვკრიფოთ ლობიოი?

— ლობიო თითო-ოროლა პარკა საკრეფი არი.

— წადით თქვენე. მე თუთუნი მაქ ასაგალავი.

(სოფ. ხიდარი)

36. ვენახის მოვლა

პიტონიკს ვეძახით, წარე ვენახია. მოვკრით ამ წარე ვენახს. სამ კვირტზე იკრება ისი. მერე ოუჭრით საკვირტე ციცქა ვენახს. კაი ჯიმ-შის ვენახ ევილებთ. მოსხლამ იმ კაი კვირტს და იმ ერთი ვაზის კვირტ დამუნი ზედე. რამდენსაც მეტ ჩააყენეფ, უყეთესია. ჩაყრი მერე წყრივ-ში. უნდა გამოუჩეყო მიწა. ამას შეფხვიერებას უძახით. ყოველ კვირეში უნდა მორწყო ეს პიტონიკი. თ'ვარ მორწყევი, არ ივარგეფს. ზამთარში გარეთ არ უნდა დატოვო, შეიტან პადვალში, დააყრი სილას, ნედლათ შეინახამ სილაში. ამეიღეფ გაზაფხულზე, გაპეიტან იქიდან, გააყეთეფ თითო ძირს და შევაყრით იმას ვენახის მიწას, კოკოლს ვეძახით — კოსოკათ არი ისი შემადლებული. რო ამოვა შა-წიდან, გაპეიკვირტება, უნდა რწყო მერე. როგორც პიტონიკი, ისე უნდა მოუარო იმასაცა. იმ ერთ წელიწადს რო შეაყრი იმ კოკოლს, მორე წელიწადს არ უნდა. მერე პლანში დადგება. წროულ რო დავრგე-ვით, მორე წელიწადს გადიკრება 6 კვირტზე, პლანს უძახით, მესა-მე წელიწადს დაყება ერთი ნეკი და ერთი მოსახვევი. მერე, 4—5 წლის რო გახდება, შეიძლება ორი ნეკი და ერთი მოსახვევი. ვენახ გა-აჩნია. სარს დოუსოფ. გასხლამ, მოკონი, მერე გამორჩნი, მერე შეწამ-ლამ. ვენახი შარშია ჩაყოლებული.

(სოფ. ბორითი)

37. ღა-ძმა

იყო ორი და-ძმანი. ცხოვრობენ ერთათ. ეს დაი ამ ძმას ემსახურე-ბა.

— ახლა მე, დაია, სანადიროთ წავალო.

— კი, ძამია, წაბჰანდიო.

წვეიდოლა ძმა სანადიროთ, თან ქონდა შვილდ-ისარი. მოკლამს

შველს, მეიტანს, გააკეთებს ეს დაი. ამ დამ რა ქნას, გათხოვება უნდა, უნდა მოცილდეს ძმას. ცთილოფს მოკლას ძმაი. მეიგონა ავანტყოფობაი. მივიდა ბიჭი შახში.

— ეკვდებიო, — უთხრა დამა.

— წამალს მოგიტანო.

— თუ უკვდავების წყალს მამიტან, მოვრჩებიო. მიტო ეუბნება. რო ცოცხალი ვერ მოვა იქიდანაო, ფიქრობს.— მე ქვე გავთხოვდებიო.

წვეიდა ბიჭი. ერთ შაშუალ ადგილს ერთი მოსახლეა, იმის მეტი მოსახლე არ არი. დააღამდა ამ ბიჭსა.

— ღამე უნდა გამათევიოო, — თხოვა ბიჭმა.

— აქ კაცს არ გაუვლიაო.

— და მყამს ძიელ ავათაო. უკვდავების წყალი უნდა მუუტანოო.

— ვაი, შვილო. შენ უკვდავების წყალს ვერ მეიტან იქიდანაო. იქ არიან ნადირები, ჩამოდიან წყლის დასაღევათ და მოქვლევენ ისინიო, — უთხრა ბებერმა. ე ბებერი გულთმისანი ყოფილა. დაარიგა: წადი, სანამდი მზე ამოვიდოდეს, გედილება ერთი თის კარები და ხეცები იქ ჩავა, გამოჩთება ამ დროს ირემი, თხოვე უკვდავების წყალი და მოქცემსო.

გათენდა დილა. წვეიდა ბიჭი. დეინახა ირემი, თხოვა: ირემო, თასა ყვირალო, ერთი ბოთლი უკვდავების წყალი მამეცი. მიცა.

წამეილო ამ ბიჭმა, უცებ მის წინ გაჩთა მეცნიერი კვიტიანი — რაში, გადააქდა ამ კვიტიანს, მივიდა ისევ-ისევ ამ ბებერთან: გაღმევიდა ე ბიჭი, ე კვიტიანი საბალახოში წვეიდა.

— აჰა, რა ქენი, შვილოო! — რაეარც დამარიგე, ისე მოვიქეციო.

— ი კვიტიანი მე გამოგიგზანეო. — უთხრა. დეიტოვა თავათ ე კვიტიანი, სხვა კვიტიანი გოუჩინა და გამოგზანა თავის დასთან.

ღაფავს დაი სულს.

— რავა ხარ, დაიაო?

— მომიტანე წყალიო?

— კი, მოგიტანეო.

— ახლა სანადიროთ წადიო. მე დავლემ ამ წამალს, ან მამიხთება, ან რაძახა იქნებაო. ეს გოგო ფიქროფს: რავო ექნა ახლაო.

წვეიდა ბიჭი, ნადიროფს. გეისროლა შეილდ-ისარი და დევის სახლი სახურავს დეცა. რვა დევი ცხოვროფს აქა. 8.—8 თავი აქ თითქულს. გამევიდა ერთი დევი სახურავზე და დაიძახა: ჩემი შიშით ბუნქველი ვერ დადის და შენ რა სურიელი ხარ, გამეიხედე აქეთაო.

— რა სურიელი ვარ და კაცი ვარო. შამოკრა ამ ბიჭმა დევსა, მოჭრა თავები. ნე-8 თავს რო მიაღგა, დევმა შეეხვეწა: ნუ მამკლამ და

ბეასა ქვემო. შეიცოდა ბიჭმა. დევმა წეიყვანა ბიჭი და დიდ ქარაფ
ორშოში დაატუსალა. ველარ მიდის თავის დასთანა. დევი თითონ წვეა-
და ბიჭის დასთან, მეწონა. დეესიძა იქა.

ვის ბიჭი ორშოში. გამევიდა მოსამსახურე და ნაგავი გადაყარა,
დააყარა ამ ბიჭსა. ჩეჩქი რო დააყარეს, ბიჭმა წამეიხედა. მოსამსახუ-
რემ ღინახა კაცი ჩამწყროული.

— ამანიყვანე აქიდანი და ბეთსა ქვემო. მად გუთნის ჯამბარა არი,
სვეტზედ ვამოაბი და ცალი თავი გადმოაგდე ორშოშიდაო, — თხოვა
ბიჭმა.

გადუგლო ამ დევის მოსამსახურემ ჯამბარა, ამევიდა ე ბიჭი.

— უნა წევიდე ახლაო.

მივიდა ბებერთან.

— რა ქენი, შვილოო? შენ დასა და დევს დღეს ქორწილი აქთ, არ
მიხვიდე იქა, მოქკლევენო!

გამგელდა ე ბიჭი, ეჯავრა ძალიანი: მე იმან გამიმეტა. გადამავლო
ორშოშიდაო. უნა მოკლას ახლა ე დევი.

მივიდა ე ბიჭი თავის დასთან. ქორწილი ქონდა. დოუძახა: რა-
ტო გამიმეტე სასიკვდილოთაო. შევიდა, ამ ბიჭმა დაწყვიტა დევები,
დას უთხრა: რატო მიქენი ე საქმეიო.

ამ გოგომ დაფიქთა. ძმამ მოკლა ე თავის დაიც, ჩაყარა ტომარში
და აკენწლილ-დაკენწლილი გადაავლო კდებზე. კიდე შეეცოდა. მეიხმო
მეცნიერი კვიტიაი: საფქვავი მიმქონდა ტომრით წისკვილზედაო.
გაღამეარდა, ამამიტანე და წამიდე შახშიდაო. კვიტიაი ამეიტანა
ტომარა, გადავიდა კვიტიას ამ ბიჭმა და წევიდა ბებერთან თავის და-
ნა. მივიდა ბებერთან, სადაც რო ღამეს ითემდა.

ბებერმა უთხრა: მე კი ვიცოდი, შვილო, რა დღე მოგვლოდაო.

-- ეს დაი გამიცოცხლეო, — თხოვა ბიჭმა.

ეს დაქრილი ასო-ასო დააწყო, მოდგა ეს გულთმისანი ბებერი, უს-
ვა წამლები და მოარჩინა ისეე-ისეე. ბიჭმა დოუტოვა ბებერს დის ერ-
თი თვალი. — მე ამის მოსარჩენათ ერთი თვალი გავწირე, დაეჩი
დაჩიხებულო, — უთხრა ბებერმა. დარჩა ცალთვალი ე გოგო. ამიო
უნდა დეესწავლა, რაც მოხთა.

ელასა მელასა, ძილი გაამოთ ყველასა.

(სოფ. ბორითი)

38. შაშას ლაფშა

• • •

ვანოს რო ერთი ვაჟი ყამს, სახელათ ქვია შაშაო,
ის დაათასა თავრობამ, საჯდომათ მიცა ლაფშაო.
გონია გელმა შექამა, წუხელი გარეთ დარჩაო.
ღამე სულ მუდამ გარეთ. ყამს, ამ ბორითის ჭალაზედა,
ცხენი ძალიან შეწუხთა. ძიელ ძუნწოფს ჭამაზედა.

• • •

თავჯდომარ-მონაგარიშემ ერთმანეთს მიცეს პირიო,
სიმიდის წიკვით მოუკლამთ ჩვენი ილიას ვირიო.
ღლე და ღამე სულ წიკემდენ, ღამით არ ქონდათ ძილიო.

• • •

დავბერდი, აღარ ვარგვიარ. ველარ ვმუშაოფ ყანაში,
ორი კაცი ვერ მაჯობებს, თუ ვჯღივარ ძიელ ჭამაში.

• • •

შენ გენაცვალე, გუთანო,
მაგ შენი ბრუნდი ყელისა,
მინდვრები ბევრი მოგიხნამს,
მოყვანა იცი ჰურისა!

(სოფ. ბორითი)

• • •

კოლექტივის თავჯდომარეს ქვე შეეშალა ხელია,
ველარ ეილო ყანები, სიმიდი ყველგან ხმელია.

• • •

ზოგიერთი აგრონოი რისი მისადარია,
ზეხილს აჩებს, მუხას დარგამს,
ამბობს: ქარსათარია.
მშრომელია უცნაური, საქმეს არ დეიზარეფს,
ასი ძირი რო დაგიმყნოს, ერთი არ გეიხარეფს.

39. ბრიჰვი არჩილა

ბრიყვი არჩილა ჩივოდა. ევედრებოდა ღმერთსაო:
ქკუა-გონება სრული მაქ, რათ არ მალირსებ ბეთსაო?
ღორეშაში დამთვრალიყო ორ გიორგობის თვესაო,
გზაში ისე მოფრინამდა, ძირ არ აღგამდა ფეხსაო.
კვათელში რო გევიდა, თვალით გახედა გზეფსაო.

წინ ორი ბარიშნა მიდის, ბეკზე იყრიდენ თმეფსაო.
 დეიცადეთ, ბარიშნებო, მადეთ მოვლივარ მეცაო!
 იქ არჩილა მეეწევა, უმფროს მოკიდეფს ხელსაო.
 უნცროსი შახში გეიქცა. შევატყობიეფ ძმეფსაო.
 სანამ ძმები გეიგებდენ, მანამ თავისი ქნესაო.
 არჩილს პასუხი მოთხოვეს, ოუვლ-დოუვლის ფერიო.
 ერთი კოცნისთინ დაკვარქოთ, რას გვეტყვის მალლა ღმერთიო.
 ხელწერილ დადო სოფელში და აღთქმა მიცა ღმერთსაო:
 აწი არც გამევეწყობი, არც მევიპარცამ წვერსაო,
 გზაში რო ბარიშნა შემხვეთეს, შორით გოუვლი გვერტსაო;
 არ გოუშინჯო სიმაღლე, არც გოუჟვირდე ფერსაო.

(სოფ. ბორითი)

40. გონიერი მოხუცი

იყო ერთი ხემწიფე. სანადიროთ წევიდა და წეიყვანა სამი აფიცერი. შეხვთა მოხუცებული.

— გამარჯობა, მოხუცო! ბაბუა, თაზე დათოვა? — კითხა ხემწიფემ.

— დათოვა ძიელ და რა ვქნაო? ბარათაც ქვე ჩამევიდა, მარამ რა გუყოთო.

— ბაბუა, შენი ორი ჯოხი რაჲა არიო.

— ორი ჯოხი კ'არა, ბატონო, მესამეც მუჟმატე, მარა ძან უქირსო?

— წისქვილები რაჲა არისო?

— ძან ღერლამსო.

ბოლოს უთხრა ხემწიფემ: ბაბუა, 3 ბატ გამოგიგზანი, გატყვენი და ისე გამამიგზანეო.

— კარქიო, — უთხრა მოხუცებულმა.

წევიდა ე ხემწიფე. ადგა და გოუგზანა მოხუცებულს ი სამი აფიცერი. მოხუცებულმა გახადა ტანისამოსი, ძველები ჩააცვა, დაკინუული გაგზანა ისევ-ისევ ხემწიფესთან. ეს ტანისამოსი დოულუქა და ისე გაატანა. მივიდენ ხემწიფესთან. ამ ხემწიფემ ქე იცის, რა მოხთა, ამოილო გაგზანილი ტანისამოსი.

— თქვენე ბატები ყოფილხართო, — აფიცრებს უთხრა, — ვერ გაიგეთ ჩვენი ლაპარაკიო. თაზე დათოვაო, იმიტო ვკითხე, თმა რო ქონდა გათეთრებული. — ბარათაც ჩამევიდაო, — იმიტო მითხრა, წვერულვაში რო ქონდა გათეთრებული. ორი ჯოხი რაჲა არის — ნიშნავდა—ძუხლები თუ გივარგაო: წისქვილები რო ვკითხე — ესე კბილები არი. რო აღარ აქ კბილები, ღერლამსო, — ამიტომ მითხრა. ბატეფს

გიგზანი და გაფტქვენო, — ის ბატები თქვენ ხართ. ვერაფელი გეი-
გეთ, გაქხალათ ტანიშამოსი და გაქფტქვენათო.

(სოფ. ბორითი)

41. ძარღვის მამძრაობა

“შვილები ვაენში დამეკარქენ. შვილიშვილები მყამს. 105 წლისა
ვარ. ყურებით მეყურება კიდე, მარამა თვალითა ველარ ვხედამ, ბინდ-
მაქ გადაკრული. თვალის აპელაციას ველარ მევითფენ, თვარამა არი
ექიძები თფილიში. კაცი რო მოხუცთება. ყოლიფერი უქირს. ო-ჩი
ჯოსით დავდივარ.

სამი ვაეიშვილი მყამდა და 3 ქალიშვილი. 2 ისე მამიყვდა, ერთი
უთავგზოთ დაკარქულია, ცნობაი მამივიდა. ბიჭი ერთი უორდანია-
დროს დამიზაბაკდა. აბასთუმანში მყამდა, მოვარჩინე ერთი მორჩენაი.
კიათურაში კამპალიონი იყო ექიმი. — მოვარჩენ მაგას მეო.

5 მილიონი მთხოვა დღეში მოსარჩენი. კვერცხი იყო მაშინ მილი-
ონათ. რეცეპი მამცა, ზოგი იქიდან მევიტანე, ზოგი აქედან წამალი. მე-
რე ჭერ ცოლი მოუკვდა, მერე თითვანაც მამიყვდა. უნცროსი ხორგაში
მამიყვდა. დაცადა იქა. პლენათ ნამყოფი იყო.

აქა ცოლშვილიანი შვილიშვილები მყამს. 3 მყამს შვილიშვილები.
ერთი სალდათში წასასვლელია ახლა. ცოლი შვიდი წლის კვდარი
მყამს. დაზაბაკებული ახლა აღარაინ მყამს. არაინ არი დახინჩე-
ბული.

როცა აღარ გაქ შენი ძარღვის მამძრაობაი. ჯობია თავის მოკვლაი.
მამვლელეები მყამს, მარა ხათრით ვერ მოვაგლებიფე, თვარამ მეცარია
ყოლიფერზე. მისთანა მყამს შვილიშვილის ცოლი.

თავის აფხანიკი რო მეეშლება კაცსა. კვდარია მაშინ. ქალის სი-
ცოცხლე ჯობია, ვიდრე კაცისა. ქალი კაცზე უმფრო მოუფლის თავის
თავს. შვილები დავზარდე, კლაში ყველა ვარონიეი. მარა ისინი თურმე
ბურქალობდენ.

ჩემი ხნისა აღარაინ აღარ არი აქა. პირველ დროში მამასახლისობა
რო იყო. ის მახსოვს, ვინიგზა რო არ იყო გადმოსული იმერეთზე. ისი-
მახსოვს. სალდათი რო არ ემართა და თავისუფალი იყო კანკასიაი, ის
მახსოვს. არც ნამთი იყო, არც შავი ქვა. არც ზღვის მარილი. ქვამარი-
ლი დაქონდათ ხომე თათრეფს.

კიათურიდან მოტანილი ფული ადგილეთში ჩავკარქე. ახლა აღარც
ჯანი მაქ. აღარც ადგილი.

ვაენი რო იყო, დეიხოცენ აქოური ხალხიც.

კაი სახლი რომელიც იყო. საშვალ შვილს მივეცი. თითვან რო ვა-
ენში იყო წასული, გაყიდენ ქალებმა. ხორგაში წევიდენ: იქ ტყვილა

არი ჰამაიო. მე გავძალარდი, აქედან არ მევიცვალე ფეხი. ხან ბეჭერი მქობდა, ხან ცოტა, მარა არ გავქცეულვარ მისთვის.

ერთხელ, ბოკში რო ვიყავი, ლობიო გამატანა მამაჩემმა, ჩვევი უბი-საში. — 2 შაურ მოქცემ, ბიძიაო. მევისხენი ტომარი და გადაეყარე ღელეში. წვევდი. რაძახა დასურსნული ქალაღი არი, ნახეხ, სამი მანათია. მივბრუნდი ღუქანში, რა არ ვიყიდე. იმე! გვეხარე. თეთრი იარღალი იყო 2 შაური.

რკინიგზა იმერეთში არ იყო გაღმოსული. პირველათ რო დაწყილა მუშაობაი, იმ წელიწათს გაჩენილი ვარ. ტუნელი რო იყო აქა, მიმუშავია, საცოლო ვიყავი. იჯინელმა რო დეიწყო მაგის გაყვანაი, დოუგვიახდა, ეკრა თოფი და მეეკლა თავი. მერე სხვა იჯინლებმა დეიწყეს, ქე მისულიყო ლამაათ. 1000 ფუთი მაინც იქნებოდა ოქროს ფული დახარჯული იმის გაყვანაზე.

სახამდი ჯანი მქონდა, სუყოლიფერს ვაკეთებდი. ჩემზე უხნე ახლა არავინ არი. ერთი ამაშუკელია აქა დავარღნილი, ხელით საყენებელი.

ჩიტეფს ვკლემდი ხომე. გეიხვრიტება ხეი, მერე თოკვია გამოყრილი, რიკის ჯოხი აქ. ძაფს გაღებენ რიკზე, იქიდან მოკუნტული ტოტია, ჩამოკიდებულია სატყუარი. რო შეხტება ჩიტი, რიკი მოწყტება. და ფეხეფში მოხვტება. გელს იქერენ ხაფანგით. ერთ წელიწათში 2 გელი მოკლა სამსონა ბარბაქაძემ, თავრობამ ჯიღლო მიცა, ჯიღლოი. მამნებელია გელი და იმიტო.

(სოფ. ბორითი)

42. ბორითელთა საუბრიღან

— რა თქვეს? ქალი უნდა ითხოვოს ემანაო?

— კიე, ძველი ღვინოა ესე? იმიტომ არი ტკბილი. გაგიმარჯოს! კაათ გამყოფოს ღმერთმა!

— ქვაბი დევისხენი, რავარც იყო.

— რო ქქონღათ?

— შამპარეს. ვიყიდე, მარამა იმისთანა არ არი, რო შამპარეს. სხვაში ვერაფერში გამევისადექე ი ფული და ეს დევისხენი.

— ისე რო იპრიანობღონ და ჩემ ფულს დროზე მაინც მამახმარღონ, აღარ დევეძეფ.

— ახლა შენ მოყევი, თამაზო!

— შაშია, მოღი აქა. რაღას მოყვეს ახლა ისი? აქეთებური თუ იქითებური აღარ ვიცი.

(სოფ. ბორითი)

ვენახ ჯერ უნდა გასხვლა, მერე უნდა მოსახოვი მოვახვიოთ, შეგკოხი, მერე დაეზარამ, კილო იმ დაბარულსა დაქოთონიდი მორეთა და ლობიოს. ხანდიხან ალაგ-ალაგ სიმიდსაც, ჩავრგემდი ვენახი ძირეფში.

კაათ რო გეიზდებოდა ერთ ტკაველზე ლორდი, მაშინა მეკიდა ზურგზე და მოვრწყემდი ყოველ თუთხმეტ დღეში ერთხელ. რო გადააპაბო თუთხმეტ დღესა, წამალი ფუქტება. 15 დღეში ერთხელ ვრწყემდი ვენახსა. ხან სამჯელ მოვრწყემდი, ხან ოთხჯელ. მერე გავთოხნიდი, ლობიო თუ იყო შიდა, ბალახს გამოვაცლიდი.

მერე ვენახს გავმორჩინიდი მაისში და ივანობისთვეში. ფოთელ რო გამოაცლი, გამორჩნა ქვია. ივანობისთვეში შეკონამ მალლა. მერე დამწიფთება და მოვკრეფდი. მას მეტი მუშაობა არ უნა.

მოვკრეფამთ, დრო რო მოუვა. ყურძენს საკრეფელ კალათეფში ვყრით. თუ შორსაა, ყრიან გოდრეფში. ახლოს როცაა, ურმით არ მივვაქ. შორს როცაა, ურმით მივიტანთ. ჩავყრით საწნახელში. ძარს არ ვხმაროფთ. ძარი იხმარება სიმიდისთვინ, ყურძნისთვინ არა. ამ ღარაგაულისკენ ძარში იციან ჩაყრაი, მინახამს მე.

ღვეიბანთ ფეხეფს საპნით, გავრეცხამთ ჭურს. დიდი ჭური თუ არი, ჭურის სარცხელს ვხმაროფთ. ქვეერი თუ არი, ტარიანი სარცხელით ზეიდან ვრეცხამთ. ტარიანი სარეცხელი მამეცი-თქო, — ვიტყვი, იმას უმბოფ: ვედრით უნა ამევილოთ ჭურიდან წყალი, გავრეცხამთ. რო გავრეცხამთ, უნა ჩოუკიდოთ გოგილი შიდ, კვამლი უნდა დატრიალდეს. შევდგებით ყურძენს ფეხით, უნა დავწუროთ. მუუშვათ ჭურს, ჩვენე ლარებით მუუშვეფთ. მერე დავგლეხამთ, დავატალახეფთ აყალოს, დავაყრით სილას ზედე. რო არ გახმეს მიწა. რო აღუღდება, გოუკეთეფთ სადულარს, რო ღვინო არ დეიქცეს. თიხი ნატენი იქნება, დავადეფთ სადულარზე, რო არ დეიქცეს. ან წყალი არ შევიდეს შიდა. აქ ბადიმი არ იციან, სარქველს ახურამენ და მერე დაწელილ აყალო მიწას დავაგლეხამთ. აყალოს ან კვეეთი დავგლეხამთ. ან ფენით. ჭურის მოსახთელია ბარულა.

წარწყულ ღვინო ქვია იმა, წყალს რო შოურეფთ. ჯერ რო ჩავყრით ყურძენს საწნახელში, პირველათ დავწურამთ, მერე დავჩეხამთ ნაჩფითა, მერე ისევ-ისევ დავწველამთ. რო დეიდუღეფს ტკილი, დავადგებით ორშიმოთი.

აქისანა მამულეები ძირულას ზევით არ იყო. თუ დაბეჭდიეფ სად-მე პლასტინკაში, გეტყვი ღვინის სიმღერას:

ღვინო, ნადგომო ძველთაგან ძველო, კედრისა და ცოცხლის
გამნათლებლო,
კაცის დამტოვებო, დამღუნებლო, სუფრის ლაზათო, დამშვენებლო!
ღვინო კახურო, ვარ შენი სმელი, უშენოდ არ ღირს არა საკმელი.
ღვინო, ყოველ კაცს შენ მოალხინეფ, სახში წამსვლელსა
გზას აკარგვინეფ, მარა ხორცსა და ძარღვსა უთფუნეფ.
ღვინო, დაგლოცოს უფალმა ჩვენმა,
ქვეყნის მოარსმა მაღალმა ღმერთმა!
ბევრ კაცს დაათროფ შენ — ყურძნის წვენი,
ცოდვილსაც კურნავ შენ — ყურძნის წვენი!
ღვინო კახურო, ვარ შენი სმელი, ღმერთმა დალოცოს
ვაზის დამრგველი! ღვინითა სწირავს ყოველი ღვდელი,
იმისთვისა გაქ ყველგან სახელი!
ალავერდი, ჩემო ხახა, ამ თეთრ ღვინოს გადავხანხლამ.

(სოფ ვერტყვიპალი)

44. უმცროსი ძმა

იყო ერთი ნეფეი, ყავდა სამი შვილი. როდესაც შეიტყო, რომ კვდებოდა, დეიბარა შვილები. უმფროს შვილ უთხრა: შენ ჩემ ადგილზე იყავიო. მეორეს უთხრა: შენეო, თელი ბანკები რაც მაქ, მისი უმფროსი იყავიო. მესამეს უთხრა: შენეო შენმა იღბალმა გაცხოროსო. არაფერი არ მიცა.

გვიგეს ამ ბიჭებმა, რომ ერთი ქალია ძალიან ლამაზი, მარა არავის არ უნახავს ისიო. დადიან სანახავათ ეს ორი ძმა, უნა ნახონ, მილიონობით ხარჯევენ, ვერ ნახულობენ. ამ უნცროს არაფერი არა აქ. შეეხვეწა ძმეფს: — ერთი წყვილი საცვლები მამეციტო, ერთი ბოთლი ღუხი, ერთი რკინის ჯოხი და ქალამნებო. მიცეს.

— თქვენეო მილიონობით ხარჯამთო და მე იქნება ისე ვნახოო.

— ხო, წადი ახლა, შენ ნახამ იმ ქალსაო, — საცინათ ეიგდეს. — ჩვენ მილიონეფს ვხარჯამთ, ვერ ნახულოფთო.

დეიკავა ბიჭმა რკინის ჯოხი, საცვლები პარკში ჩადვა და წვიდა. დაადგა გზასა და მიდის, სად მიდის, არც თითვან იცის. მივიდა ერთ დიდ მიდორში და დეინახა ერთი მოხუცებული. მიეპარა ამ ბებერს და უნდა დაარტყას ე რკინის ჯოხი.

— რათ მკლამ, შვილო? — მიაცვირა.

— ესე და ეს ქალი უნდა მაჩვენოო.

— გინა აქავე მამკალი ბარემას, მარა ვერ გაჩვენეფო, ხოლოთ გზას გასწავლიო: კიდე ამა და ამ მიდორში გახვალ შენეო, ერთი კაცი-

არი იქა, აერში ბურთს ისვრის და იქერს ისევ-ისევ. შესაძლებელია, რომ იმან გაჩვენოსო.

წვიდა. ბევრი იარა თუ ცოტაი, დეინახა ე კაცი, მეეპარა უქნიდან და დაარტყა რკინის ჯოხი.

— რათ მკლამ, კაცოო?

— ესა და ეს ქალი უნდა მაჩვენო, თვარა მოქკლამო.

— როგორც დაგარიგეფო, ისე თუ მეიქცევი შენე, გაჩვენეფო: დახუქე თვალეები, მამკიდე ხელი და წამამყევი, ვითამ უსინათლო ხარო. მაგრათ ჩაკიდა ხელი ამ ბიქმა, კდეზე არ გადამაგდოსო, და გაყვა თვალდახუქული.

შივიდენ ამ ქალის სახში, დაარახუნეს კარებზე. მოსამსახურემ გამოხედა: რა ამბავიაო?

— უსინათლო დამყავსო და, თუ შეიძლება, ღამე გამათევიეთო, რო არ დემემტვრეს სადმეო.

წვიდა, ქალბატონს უთხრა მოსამსახურემ: უსინათლო დაყავსო და იხვერწებიან, ღამე გავათევიოთო.

— შამეიყეანე შიგნით და იყონო.

შეიყვანა და დააყენა სადგომში. უთხრა ქალბატონმა: შიერები იქსებიან და ერთი ქათამი მიეცი, გააკეთონ და ქამონო.

შიგვარა ქათამი. — გაკეთება იცით ქათმისაო?

— ვიცითო.

ცეცხლი დოუნთო, ქვაბი დოუდგა.

— რო აღუდღეს წყალი, დაკალით და გააკეთეთო. ნაჯახიც მუუტანა დასაკლავათ.

ეიღებენ ნაჯახს და ხან დაკრევენ ფეხზე, ხან ფთაზე. იყვირეფს ქათამი. ჩევიდა მოსამსახურე, ნახა ესე, უთხრა ქალბატონს. ჩამევიდა ქალბატონი. კრამს კაცი ნიდაყეს, დეინახეო. — აგრე კ'არ უნდაო, — მოუწია თავი. — დაკარი აქ ნაჯახიო, — ასწავლა ქალბატონმა, წყალი დულს.

— გაფცქვენით ახლაო.

— გავფცქენითო.

აწიეს დულარე წყალი და გადააბრუნეს ბუხარში. აღუდღა ნაცარი სულა და ძროზე დაადვეს ქათამი.

ჩამევიდა მოსამსახურე.

— რა ქენითო?

— გავაკეთეთო.

ხედამს, ქვაბის ძროზე დემს ქათამი. ევიდა და ქალბატონს უთხრა: ცეცხლი ჩოუქვრიათ, წყალი ნაცარში ჩოუსხიათ, თქვენ მან

დენახეთ, რა არიო. ჩამევიდა ქალბატონი. კრა ჯლიქვი კაცმა ბიჰს — „უსინათლოსა“: დენახე კიდევო.

— მაღლია, გოუფტქვენი ქათამი, არაფერი არ ცოდნიათ მაგათაო!

გოუფტქვენა ქათამი და მოუხარშა მოსამსახურემ.

დაჯდენ. მოჰრეს ხორცი, დეიკავეს ხელში.

— აჰა, წადიო, — ქალბატონმა უთხრა მოსამსახურეს. — ჰამენ თუ არაო.

ძვიდა, ნახა: ეილებენ ამ ხორცს, ხან კისერში ისევვენ, ხან ყურში იფხაჰუნებენ. ევიდა, უთხრა ქალბატონს: ეკამთო და პირს კი არ ანძრევენო, ყელში ისევვენ და ყურეფში იტენიანო.

ჩამევიდა. დენახა.

— მაღლია, აჰამეო! — ქალბატონმა უთხრა.

აჰამა მოსამსახურემ.

— აჰა, დაწექითო. დაწვენ თავბოლოშექცეულათ.

რო წევიდა მოსამსახურეი, კაცმა ბიჰს უთხრა: აჰა, დოუშინე წისლები კრაოტზეო.

დეიწყეს რიხირიხინი.

— ჩადი, რა ამბავიაო, — უთხრა ქალბატონმა.

რო ჩამოდის კიბეზე მოსამსახურეი, წამოდგენ და ურტყევენ ერთმანეთს თავეფს.

— წამოდი, ქალბატონო, დენახეო!

ჩამევიდა, შეხედა, თავეფს ურტყევენ ერთმანეთს.

— ეგენი დაწყებდიან, თავებ დეიმტვრევენო, თქვა: ე უსინათლო ჩემ ოთახში წამევიდეს და დაწყეს, მორე შენ დააწყინე შენ ოთახშიო. წეიყვანეს. ეს უსინათლო ქალბატონმა დეიტოვა, მორე იმან წეიყვანა.

დეეძინა ახლა ამ ქალბატონს. ადგა უსინათლოი, ჩეიცვა ახალი საცვლები, ამეილო ერთი ბოთლი ღუხი. მოასხა მის ლოგინზე და მოუწვა ამ ქალბატონს გვერდით.

— ვინ ხარ შენე, აჰა უსინათლოი მიწყესო.

— მე გახლავარ უსინათლოიო, — უთხრა ბიჰმა.

რადღი ამისთანა მოხერხებული იყო, ზე დეისიძა ისი.

(სოფ ვერტავიჰალაჰ)

45. უმაღლ, ლეკიანობის დროს

აჰ არი მოსული ბაბუაჩემის მამა. უმაღლ რო ლეკიანობა ყოფილა, ლეკები დადიოდენ. კიათურას აქეთ სოფელია სვერი. დარჩენილა ერთი ლეკის ბიჰი, არ წასულა. დოუქერია მერე ბატონს და მოუნათლავს.

სახელი რქმევია იმა მურადი. აჰა, გვარი რა დავარქვითო?—უფიქრი-
ათ. მურადა რალაი ერთქვა, მუმლაძე დოუწერიათ, დოუქორწინებიათ.
ყოლებია რ ვაეიშვილი. გამდიდრებულა. ბატონისთვინ ყოველ წელს
უნა მიუყვანათ ერთი მამალი. არ მიუყვანიათ. მისულიყო ეს ბატონი.
კალონე რო მუშაობენ რ ძმაი.

— თქვენე მამალი რათ არ მამგვართო?

უშფროსმა ძმამ უთხრა: — ბატონო, ჩვენ მოგვრითო.

— აქედან გადაგასახლეთო!—უბძანებია ბატონს. მაშინ ფიწალი
უდგეს. გოუშალა უშფროსმა ძმამ და შიდ ფაშში კრა, გადმოაგდო
ძირს. ი ცხენიც მოკლა. წაავლეს ამ რ ძმამ ხელი და, კალოს იქით რო
არო ზნე, გაწი-გამოწიეს, გადააყარეს ბზეი და დამალეს. ეიყარენ იმ
ღანეს და მიორე სოფელში გადმევიდენ, მანდაეთში.

უწინდელ დროშია, თუ სოფლიდან გაასწრებდი, კანოლი ვერ კი-
დებდა ხელს, ბოლოს იცხოვრეს მადა. შოუდგათ ბატონთან ლაპარა-
კი, დაქრეს ბატონი მადა. ეიბარგენ მერე. წასულიყვენ და გორს იქით
მეჭვრიხევეია, იქ ჩასულიყვენ. იქ ძან მაგარი გლები გამხთარიყვენ.

ბოლოს ოსეფს ხარი მეეპარათ, იქ ოსი მეეკლათ, წამოსულიყვენ
აქ, ხუნევის თემში, სოფელ ვერტყვიჭალაში. მას უკან ვცხოვროფთ
აქა.

(სოფ. ვერტყვიჭალა)

46. თუ ჩემთვის უნდა ღმერთსა...

იყო ერთი საწყალი გლები. სიზმარში ნახა ქალმა: ანგრე საწყალათ
რო ცხოვროფთო, ამა და ამ ტყეშიაო ერთი ძირი მუხა არის, იმ მუხის
ქვეშაო ერთი დერგი ოქრო არიო. მეიტანეთ და იცხოვრეფთ კაათო.

წვეიდა ეს ქალი, ეძება, ეძება და მიაგნო. მარტვა ვერ ერევა. რო
ამეიღოს. უთხრა კაცს: წამოდი, კაცო, ასეა საქმეიო. ერთი დერგი
ოქრო ნახე, მევიტანთო.

— ეჰ!—კაცმა უთხრა,—თუ ჩემთვის უნდა ღმერთსაო, აქ მამეია
ისი ღეო. მე რათ უნდა წვეიდეო?

ვერ წეიყვანა. რა ქანს? იფიქრა ამ ქალმა. რო — მოდი. ჩემ მაზლს
ვეტყვიო. ნახევარი შენ ქონდეს, ნახევარი — მეო, — უთხრა.

ნახეს, არი ოქრო. — აჰა, ღამე წვეიდეფთო, — ურჩია მაზლმა.

ღალამდა. მივიდა ქალი. არ არი მაზლი სახში. მაზლმა სხვა გზით
წაბნელო ოქროი.

წვეიდა ქალმა იქა, ნახა, აღარ არი. შუალამეი შეიქნა. შეიტანა
მანღმა ოქრო სახში.

ქმ ქალი მივიდა ახლა, რომელმაც ნახა ოქრო. ეჩხუბება ქმარს:
რა მიყავიო, წოულდია ვინჩახასაო.

— თუ ჩემთვის უნდა ღმერთს, აქ მამივთაო, — თქვა ამ კაცმა. სა-
ჯალაბო სახშია, კერიასთან არი წამოწოლილი (ხო იცი, შვა ცეც-
ხლი იცოდენ).

აშისმა ძმამ შეიტანა ეს ერთი ქილა ოქრო. — აბა, დენინახეთო!
გადახადა თავი და სულ თლათ წითელმა გველებმა წამოყო თავი
შიდა. მოიტანა ნაბადი, გადააფარა და მოუკრა თავი: ჩემი ძმა შე-
ქამოს ამათმეო. ნახა კიბეი, მიიტანა, ამ ძმის სახზე, მიაყუდა, ეიტანა
ეს ქილაი, ახადა თავი და გადოუგდო, სადაც იწვა ი კაცი. გააღინა ამ
ქილამ რეხვავი და სულ წმინდა ოქრო ამოცვივდა.

— აი, ღმერთს ჩემთვის უნდოდა და მამიტანაო, მე რატო უნდა
მეზიდაო!

(სოფ. ვერტუჯიკა)

47. ფული თუ სიტყვა

იყო 3 ძმები. ღარიბები იყვენ, ერთი წანაკლები იყო. ძმებმა გა-
დენეს ცოლიანა ცალკე. წვევიდა, ცოლიც დატოვა. მივიდა სოლომან
ბძენთან.

— ფული გინდა, თუ სიტყვა გასწავლო?

— სიტყვა მასწავლეო. ასწავლა: რაც შენი თვალით არ ნახო, არ
ღეიჯეროო. რასაც ვერ შეწვდე, არ გამოუდგე იმასაო. ვისაც რა გე-
ხარდეს, ის უთხარიო.

მივიდა ე კაცი მუხის ქვეშ. მევიდა სოდაგარი და ჯორკიდებულ
ოქრო მოაქ. მუხაზე ჩიტი დაჯდა. სოდაგარმა ბიჭს უთხრა: შენეო
ოქროს მოქცემ და დამიჭირეო ჩიტიო. რო უნდა წვევიდეს ბიჭი ჩი-
ტის დასაქერათ, გაახსენდა სოლომან ბძენის სიტყვა: რასაც ვერ
მიწვდებიო, არ შეინდომოო. დაანება თავი. ევიდა სოდაგარი ხეზე,
მოუტყუტა როკი, გადმოვარდა და მოკვტა. ოქრო ბიჭს დარჩა.

მივიდა ერთ სახემწიფოში, ხალხია შენგროვებული. ერთი დიდი
ბაყაყი არი შვაში. ვინც იტყვის ბაყაყიაო, თავს ჭრიან. დოუძახეს
ბიჭსა: მოდი შენეო! რა არი ისიო?

შეჩერდა. გაახსენდა: ვისაც რა გეხარდეს, ის უთხარიო. ამას შევა-
ქეფ ძალიანაო. — ეგ დიდებული რაძახა არისო.

საჩუქარი მიცეს და გოუშვეს. მოდის სახლისკენ და იკითხა:
ჩემი ცოლ-შვილი ცოცხალიაო?

უთხრეს: ბლარები ქე მოკვტა, სახლი დამწვარიაო. გაახსენდა
სოლომან ბძენის სიტყვები: რაც შენი თვალით არ ნახო, არ ღეი-
ჯეროო. წვევიდა, დახვთა ყველა ცოცხალი.

(სოფ. საბე)

48. ცოდვის მამქმედი

ორი ძმა კაცი იყო თურმე. ერთი იყო ბრმა, ერთი — თვალხილებული. თვალხილებული ძალიან დიდარე იყო. როდესაც იქნა, მეიყვანა თვალხილებულმა ცოლი. ე ბრმა არი უცოლშვილო. ცოლმა უთხრა ქმარს: ამ ბრმას არ მოუვლი. მოდი, ცალკე გავიღოთ!

გეიყვენ. სიმილი ქონდათ ბლომათ და გაყვეს. დაწყეს საწყევოთი. ე ბრმა ეუბნევა: როგორც გეკუთვნება, ისე გავყოთ. ამ ათოყიან ბათფანს როცა გაამსებს ე თვალხილებული, თავის მეშოკში ჩაყრის. როცა რო ბრმას უყრის, უყრის ცოტას და დააყმაყოფილებს ამ ბრმასა.

თვალხილებულს ამ ცოდვით ისე წოუვიდა საქმე, რო გოუქრა ყოლიფერი, აღარაფერი აღარ გააჩნოდა. ცოდვის მამქმედი იყო. ე ბრმა ისეთი გამდიდრდა, თავის მამვლელს ეუმბებოდა: საწყალ ჩემ ძმას მიაწოდე ჩემი ლუკმაიო.

(სოფ. საბე)

49. აბრეშუმის მოვლა

ძველათ აბრეშუმი სითფოში გამოგვიყვანია (სითფოში გამოყვანილი მური).

ქიამ 7 დღის გამავლობაში 3 კანი უნდა მეიცვალოს — მურის კანი, კეხის კანი, მერე ისი — წარბი კანი, მერე ისი — დიდი კანი. მეხუთესაც იცვლის აბრეშუმი, მარა იმა ჩვენ ვერ ვგებულოფთ. აბრეშუმი ჩელტზეა. დიდ კანს რო მეიცვლის, რო ამოვა დიდ კანში, მე-6 დღეს ნიშანი უნდა ქნას — პარკს გეიკეთფს. ექვს დღეში თელი ჩელტი უნდა დეიხუროს. მერე ჩელტს დავხურავთ (ჰამა რო არ უნდა, იმა ვეძახით ჩელტი დახურულია). ნიშანს რო იზამს, უნდა ქონდეს მომზადილი ცახი. ამ დროს ქია მზათაა და ბეოლის ფოთოლს ტოვეფს, მიდის ცახზე. თითონ პირიდან აბრეშუმის ძაფს ახოვს.

ქუპრი პარკში იქნება რამდენიმე ხანს. თუ პარკეფს დულარეში ჩაყრი, ცოცხს მოუსვემენ და იმას მოყობა ბეწეები და იხვევიან. თუ ქუპრმა გამოქრა პარკი და გამევიდა პეპელი კვერცხის დასადებათ, იმას მოხარშამ და ისი არი ყაჭი.

(სოფ. ღარიხევი)

50. ღარიხეველთა საუბრიდან

— მივანაბურე საქმეი და წამოვედი.

— უნდა მოხვილო, ბიძია, აპა! მადანა გეიზარდე. როდის ჩამოხვედი ხარაგოულიდან?

— გუშინ.

— გეიზარე, ბიძია! ზოგიერთი რავარია, თუ იცი, სალამს არ კადრულოფს. ე შენი კაი ადამიანობა რამდონათ ღირს! კაი ლაპარაკი იცი. ეგ კომნიერი სიტყვა თქვი. ღმერთმა გიდღინძელოს დედი!

— ეს ერთი თვეა, სადარობა აღარ არი. დღე და ღამეი ვმუშაოფ.

— მე 102 წლის კაცი ვარ. დიდი ჯაფის გამვლელი ვარ. დედაშენი ბლარი მახსოვს. აქ გეიზარდა. რო ვიმუშავეფ ხომე, უფრო კაათ ვარ. თუ გავჩერდი, უფრო მოვწყტები.

— ახლა მე თქვენე რა მოგიტანო? სხალი?

— კალთაში იყრი სხალ?

— შეტს ავბოკემდი, მარა რათ დამიძახე?

— ეგება ლადიმერე მევიდოს. დააგვიანდა...

— რა დაკარქამს? ღორების ფერმა ყამს. მე არ გადამიწყვია. შენე გადააწყობდი?

— მე სხალს წამევიღეფ.

— აპა, რაი, გენაცვალე, მოდი.

(სოფ. ღარიხევი)

51. ღინარე პარნება

ჩვენე ორი გვარის კაცი — კამკამიძე და დეკანოსიძე — საბატონო არ ვიყავით. აქა, ღარიხევიში, ბატონი არავინ არ ყოფილა. ჩხარში კიკნაძეები იყო, საბეში — ჩიკვაიძეები, ლაშეში — აბაშიძეი. ბატონი როზგს დაკრემდა თურმე, როცა რომელიმე დააშავებდა. აქანა ჩემა სახლიკაცმა მანჯაველიძის ქალი ითხოვა და მყარები წეიყვანა ქორწილზე ლაშეში. ქორწილის მოშლა უნდოდა აბაშიძეს, მარა შეენვეწენ ბატონს და მიცა თანხმობაი მერე.

წინათ აქა ბევრი კაი ხალხი იყო. მადეთ გადაგიხედავს? სადაც რამეს დატოვებდი, იქა დაგხვდებოდა. შამოკორღილი გვქონდა ადგილები. ნეფისაგან ქვქონდა საწისქვილე და ვფქვევდით.

მერე იქა ველარ ვფქვევდით. წყალმა იკლო. მერე ეთქვა ი ნეფეს, რო — მითხარით ისიო, თუ საწისქვილო გაქტე შეგულებული და შამოკორღნავთ იმასაო, ვერავინ ვერ შეეხებაო.

შერე ამევირჩიეთ ჩვენც იქა, ყარნებას ვუძახით; ი ყარნებაი საზღვარი არი საბესი და ღარიხევის. ღინარე ყარნება სამზღვარია. ის ყარხებაი ჩვენიც არი და საბესიც. თებზია შიდ კალმახი. წისქვილიც იქაა. ჩაწყვეტილს რო უძახით, ამ ყარნებას სათავეა.

დიდი თა რო გვაქ. ისი შუა სერია. ქვეით რომელიც არი, შეშას რო ვშოოფთ, კორღანოს უძახით. ტყეებია: შუასერი, გახიღული, ჩაწყვეტილი, ორქმაღლე, ჯაგარეთი, ქარხნები (სერზეა ქარხანა და

ქარხნები ქვია იმ ტყეს). ლეკების სერი (ლეკები ჩამოდოდენ, შეიტაცებდენ თურმე ვინმეს, დეესხმოდენ იქა. შიტო უძახიან ლეკების სერს), ცივწყარო, ჭირკნალი, მახარას ბოსელი, ნაფხლები (აქა თაცარი და ტყეებიც თხმელისი).

(სოფ. ღარსხევი)

52. ხემწიფის ქალი

თურმე იყო ერთი ხემწიფეი. ყავდა ერთი ქალიშვილი, ე ქალიშვილი გეიზარდა კაი ლამაზი. ამ ხემწიფეს გოუწყრა ღმერთი და ეიძულა შვილი. ააშენა ცალკე სახლი, შეაგდო შიდა. დაალო სახლი სვეტმა პირი და დამალა ე გოგოი. მევიდა ხემწიფე, ვერ ნახა შვილი და დაანგრია სახლი, გადაყარა ყოლაფერი წყალში. წეილო წყალში.

ერთ ხემწიფის შვილს სახლი აქ აშენებული, ერთი სვეტი დააკტა. უთხრა ვინძახამ: წყალმა გამოაგდო ერთი კაი სვეტიო და მოუტანა. გოუკეთა თავის სახს. დაწვა ე ვაჟი შიდა, გამოძვრა ქალი სვეტიოდან. ამ ახალგაზდას თავითაც დოუნთო სანთელი და ფეხითაც. მორე ღამესაც ისე. დედას უთხრა ბიჭმა: რა ნიშანია ესიო?

— რალაი ანგრეა, ნუ დეიძინეფ, უყარაულეო, — ასწავლა დედამ.

წევს ბიჭი ქვეშაგებელში. გამევიდა უცეფ ქალი, დოუნთო სანთელი ფეხთით. დეიჭირა ე ზეთუნახავი ბიჭმა. მორე დღეს დეიწერეს ჭეარი. ეყოლათ ვაჟი.

ქალის მამაი გაღარიბებულა, ამდგარა თხოვლათ და უვლია სოფლათ. ერთ დღეს მევიდა აქაც. ე ქალი ქე ცნოფს, რო მამა არი. უთხრა მამამთილს: ვინძახა არი, მივკეთ საციკველი და წევიდესო. მისცეს. არ წასულა. მიეპარა ჩუმათ და ბლარი ქარ დოუქლა ქალიშვილს?! დანა ჩოუდვა დედას ჭიბეში.

გათენდა დილა. იმისთანა ტერს გოუთენდა! მამაც აქვეა.

— ვისაც დანა აქ ჭიბეშიდაო, ის იქნება კვლეილო. ნახეს, დედა უდევს დანაი. ქმარმა ვეზირეფს უბრძანა: ჩემი ცოლი ცხენზე შეაჯინეთ, უდაბურ ტყეში მიიყვანეთ, მოკალით და ბლარიანი აკვანიც ცხენს უკან მიაკარითაო!

წევიდა ვეზირი, წეიყვანა ე ცხენი და ქალი, მიიყვანა უდაბურ ტყეში. მიზდემს ერთი ლეკვი. ვეზირს შეეცოდა ქალი და ტყეში დატოვა. დაკლა ლეკვი, პლატუკი ამოსვარა სისხლში და წეილო, ვითომ ქალი მოკლა.

ცხენმა ქალს უთხრა: დამკალი მეო, ჩემი ტყავი დათასმე და, რაზედაც შამოქყვეს ამ ტყეზედაო, შამოუარეო. აგიშენდება სახლი,

კარი და სუყოლიფერიო. ჩემი გულ-ღვირძლი ბოვშს მოუსვი და გაცოცხებთაო; ჩემი სხეული მიისვ-მოისვი და ბალი გაჩთებთაო. ქნა ყოლიფერი ამ ქალმა და გააცოცხლა შვილი. გახთა დიდარქ.

ერთხელ მეკურდღლე მისულა ვინასხაი ხენწიფესან და უთხრობრა: ამ ადგილზედაო ამისთანა ქალი და ვაჟი ცხოვრობენო. დანტერესთა ხენწიფის შვილი. 140 ცხენოსალი წამევიდენ. მივიდენ. ქალმა იცნო ე ხალხი. გამეეგება, პატივი ცა.

ბალში ერთ ხეს აბია 3 ვაშლი. ქალმა თხოვა სტუმრეფს: არადელს გთხოვეყე, ამ სამ ვაშლს ნუ მამიწყვიტავთო!

დაწვენ ხალხი. დაიძინეს. ადგა ღამე ის ქალი და მოწყვიტა ი 3 ვაშლი. ჩოუდვა ქმარს ჯიბეში. ადგენ ზეზე, დეიბანეს პირ-ხელი. ზაქუშკა გამართა ქალმა. უთხრა მერე ხალხს: მე ქთხოვეთ თქვენე, რო 3 ვაშლი არ მეგეწყვიტათო.

გადირია თურმე ხემწიფე. დოუძებნა, ჯიბეში არავის ამოაჩთა, თითვან შეიყო ხელი ჯიბეში და აგერ არ არი ვაშლები?!

ქალმა უთხრა: როგორც შენ არა ხარ მაგ ვაშლების მომწყვეტი, ისე მე არ ვყოფილვარ ჩემი შვილის მკვლელიო. მოუყვა ყველიფერი ქმარს. ადგა ზეზე ხემწიფის შვილი, შეტრიალდა საქმეი, ლხინი ქორწილათ გადაეიქცა.

წიფლის ჯირკი გამოეძებნე, გამოეკერი ნავათა,

ვაი თუ თავი შექწყინდათ, დაქრჩით უკაცრაებათა.

(სოფ. ღარიხეი)

53. მოხუცთან საუბარი

მე ას ორი წლის კაცი ვარ. დიდი ჭირის გამვლელი ვარ. რო გვეიფქრეფ ხომე. ძვალი აღარ უნდა მედგეს. მე რაც ხნის კაცი ვარ, ბუღამ დამამტვრია, თვარა ექიმს არ გავსინჯივარ, ისე ტანთელი ვიყავი. ეული სადი მაქ. რაც ხნის კაცი ვარ, წენი არ მტკენია. რა მოვწყუცი, ჯანი და ღონე გამამაქტა. ეგებო ქე დამძრახო, მარა, როცა აღარ შეგიძლია, სიცოცხლეს რაღას ეკიდები.

მუშაობაც ქე მიყვარს. რო ვიმუშავეფ ხომე, უფრო კაათ ვარ. თუ გავჩერდი, უფრო მოვწყუტები. მეზარება დალა კაცი, მალინდარა, არაჟელა რო იქნება: ახლა შენე ე ჩემი სიტყვა დეისტავლე.

ვენახს გასხვლენ, აბა! ზოგი ადრე გასხლავს. ყანასაც მოვლა უნდა. თუ შევატყობდი დაპკოლებას, მესამეთ გავთოხნიდი.

სუყოლიფერი მემარჯვებოდა. ათი სახლი მაქ გაკეთებული. ურემ-ააც ქაკეთეფ. წროულს: რო მოხუცი კაცი ვარ, ურემი კრდე გაჭაკეთე, არ მჩერდება მარჯვენა.

მადერ რო შენ სიტყვას ლაპარაკოფ, მე რო ის არ გევიგო, ეიქნეპი ჩომბა.

ჭიათურაშიც ვყოფილვარ. აქლემი და ვირი წიკემდენ ქვას. ხარიც წიილებდა. აქა კტეებია, იქაც კტეებია, ჭიათურაში. ახლა წიკვენ მალ-ლა ჭაპვებით ქვას. გინახავს? უწინ ხარებით მიქონდათ ქვა. რამდონ-ჩერ მითქვამს ხომე, ხარის ხორცი არ იქმება. საზლო იმითი უნდა მე-ვიტანოთ და რას ვერჩით.

ლორმა იცის ხოკი. მამალი ხოკი მალე კლამს. ფეტველა კიდე ღორის ავანტყოფობაა. რა იცოდენ, თუ იცი, ნუგუზალს წოუსევმდენ ღორს და დაკლემდენ. იმ ფეტველიან ხორცზე არც მიგივა გული.

ახლა ავანტყოფობას წამლობენ და საქონელს არჩენენ.

ძიელ კათ იყავი, ბიძია! ჭერეთი გვიან არაა, არ შეგეშინდოს.

(ლოფ. ღარბიხეი)

54. ღარიბი კაცი

გეტყვი ერთ ზღაპარ.

ერთი ღარიბი კაცი იყო. დათესა პური მისანა ადგილზე, რო დაშო-რებით იყო. მერე ჩიტები დეესია ამ პურს. დოუგო მახე შიდა, დეიჭი-რა ჩიტების ხემწიფეი. უთხრა, რომეო—მე ნუ მამკლამაო. მერე დე-იბირა, ამა და ამ დროს მოდიო.

ამ კაცს ერთი მოხუცი დახვთა და უთხრა: წადი შენეო და, თუ იჩუქეფო, უთხარი: სუფრა მაჩუქეო.

აჩუქა ე სუფრაი. რო გაშლიდა, გამოუღეველი იყო პური და ყო-ლიფერი. მერე იფიქრა: რალაი ამისთანა სუფრა მაქ, ხემწიფეს მევიწვევ და პატივს ვცემო.

აღგა და მეიწვია ი ხემწიფეი. გაშალა ე სუფრაი, თელი სახელ-მწიფოს ჭარმა ისადილა. არაფელი არ მოაკტა ამ სუფრას. დაკეცა ე სუფრაი და წეილო ხემწიფემ. დარჩა ისევ ღარიბი.

დახვდა ბებერი და უთხრა: წადი შენე და ვირი იჩუქეო. ეს ვირი იყო მისთანაი, რომ, რო გადაკრევედა მათრახს, ოქრო და ვერცხლი ცვი-ოდა. გამდიდრდა ე კაცი. ქალმა უთხრა: ე ვირი წევიყვანოთ და ვიყიდოთ ყველიფერიო.

წეიყვანა ე ვირი და დააწყო იმდენი ფართალი, რო ნოქარმა იფიქ-რა: ვინ არის ესიო? კითხა: რა გაქ აქა შენეო?

რო გადააწყო უსაზომოთ, გადაიყვანა დახში ე ვირი. იმდონი ფული გადმოყარა. რომ ამ ფართლის ვაძყიდველებმა წართვეს ე ვი-რი, გამოუშვეს ცარიელი.

კიდეე წევიდა თურმე ი ჩიტების ხემწიფესან, როგორც ბებერმა დააროგა: შენე ისი ბაწარს ვაჩუქეფნაო.

თურმე თელ სახემწიფოს გაკოქავს, მისთანა არი. მერე შეუჯვალა ბემწიფეს: გამომიგზავნე სუფრაო. ამ ბაწრიო თელი ჭარი შეუკოქა. ასე დეიბრუნა სუფრაო და ვირიო. გამდიდრდა ი ღარიბი კაცი თავის კუეთო.

(სოფ. ეიხა)

55. ლელვანელთა საშურიდან

- საელო, რკინი სოლი ქკონდა საძახა, დევინახე.
- იაკინთესი იყო ის, ბიკო! ვინძახამ წეილო.
- აქანე ხე მაქ გასაპობი. ემათ აქ?
- არა, ემათ არა აქ. პაწია ბლარეფს გამოაქ. რამდონი დამიკარქეს.
- ეს ხეი შვაზე უნდა გავხერხო.
- შავდენი არა გვაქ. იზო იყო დლესე?
- არა. საიდან მეიტანეთ ესე თქვენე?
- ქვეიდან. შეისვენე. დაჯედი მანა.

(სოფ. ლელვანი)

56. გადაპარბული თათარი

იყო ერთი თათარი, კარქი დამკერელი. ის რო დოუკრემდა, თელი მიხლორ-ველი სმენათ იქცეოდა. ყავდა ცოლი, დედაი და დაი. დიდრათ ცხოვრობდა. ერთხელ ქალაქათ წევიდა, სახში დეიბარა: ქალაქ ადგილას უფრო ბევრ ფულს ვიშონი და მერე მოვალო.

წევიდა ეს თათარი ქალაქ ადგილას. იქ ერთ ნოქართან ცხოვრობდა, დადიოდა და უკრავდა. ხალხი აძლევედა კაათ ფულს. გადიოდა დრო სახში ახალგაზნდა ცოლი რო დატოვა, შოუჩთა იმას მეზობელი, მეინდომა მისი ცოლათ შერთვა. ამ ქალმა უარი უთხრა: მე ქმარი მყავსო და ვერ გაქყვებო. ამან ბევრი ეცადა, ზოგი მუქარა, ზოგი რაცხა ილონა, მარა არ დამორჩილდა.

— შენი ქმარი მოკვდაო! უთხრა ამ კაცმა და აჩვენა სისხში მოსვრილი მისი პერანგი. ატყუილეფს ქალსა.

იქნება ქე მევიდესო, — ფიქროფს ქალი.

ერთხელ გამომდგარია ეს ქალი აივანზე და დეინახა ვაჭარი მოდის, მოუძღვის აქლემეფს წინა. თურმე იმ ქალაქში მიდის, საცა ამიხ ქმარია. დოუძახა ამ ქალმა. ვაჭარი მივიდა.

— ერთი საქმე უნდა დავგავლოო, — უთხრა ქალმა. — ამდენ და ამდენ ოქროს მოქცემო. ხურჩინი გოუმსო ოქროთი და ვერცხლითი.

— წეილე ესე შენეო და, ქალაქში რო მიხვიდეო, ამ თასით ყველა გამელელ-გამომვლელს დაალევიე უფასოთ დვინოი. მიცა ხელში თასი. ამ თას აწერია მისი ქმრის გვარი და სახელი.

— თუ ვინმემ ღვიძისოს ეს თასიო, ის იქნება ჩემი ქმარიო. ჩემო ამბავი ყოლიფერი უთხარიო.

დააბარა თავისი ამბავი.

ჩვეიდა ეს ვაჭარი ქალაქში. ასმევს ყველა გამვლელ-გამომვლელს უფასოთ ღვინოს.

ერთხელ ამ ქალის ქმარმა უთხრა ნოქარს:

— წავალ მეც იქაო. რაშია საქმე უნდა გევიგოო.

წავა. მივა იქა. მიაწოდევს ვაჭარი თასით ღვინოს, მიიყუდევს. ტუჩზე. ხედამს, წარწერა აქ. იცნო თავისი თასიო.

— შენე ვინ მოქცა ე თასიო? — ეკითხება.

— ჩემი არიო, — ვაჭარი ეუბნება.

— ჩემი გვარი და სახელი არი წაწერილიო.

მერე უთხრა ამ ვაჭარმა: შენმა ცოლმა გამომატანაო. ცუდ დღე-შია ქალი, თუ დროზე არ ჩახვედი, მეზობელი არ ასვენევს და მიყავსო.

წვეიდა ეს კაცი თავის სახში. დედა ქე დაბრძვევებია ამ ხანებში. ნოქარი ეტყვის: წადი და ჩემ რაშს აუზიე ფეხი მალლა, ფოლსა და ნალ შუა რო ტალახი იყოს. ამეილე ისი, დაფშეენი და, რო მიხვიდე, შენ დედას მოუსვი თვალშიდაო. მერე ეეხილება თვალეზიო.

წეილო ეს ტალახი ამ კაცმა და წვეიდა. რო მოატანა სახში, ის დრო არი, რო იმ დამეს ქორწილობა ხთება. მისი ცოლი მიყავს იმ მეზობელს. ლამე არი. მივიდა კარებზე და აკაკუნევს. არ უღებენ კარევს. სახში დედაი და დაია. ეს ქალი წაყვანილი ყავთ და ქორწილია. უძახის ეს კაცი: ესე და ეს ვარო.

— არა, ჩემი ძმაი ქე მოკვდაო. ვის ატყუილეფო, ჩემი ძმა კათ უკრავდაო.

ეს კაციც დოუკრამს კარებთან. მისმინა ეს დამ და გოულო კარები. ვერ ცნოფს დაი. დიდი ხნის წასული არი და მიტო. სალამს ამლეშს დედას. დედა არ დარწმუნდა. ვერ ხედამს თვალითა და ამეილეფს ეს კაცი ტალახს და თვალეფში ამოუსვამს. თვალეზი ეეხილება. იცნოფს დედა, დაკონის. დოუკრამს ეს ბიჭი და დეემღერება ზედე.

— ჩემი ცოლი რე იქნა? — იკითხა კაცმა.

— ქორწილი აქ ამალამაო!

— წამოდი ჩემთანაო, — დას ეტყვის. — როგორც გითხრა, ისე მოიქეციო.

წეიყვანს დას და კარებზე მიარაკუნევს. გოულებენ კარევს. ამ კაცს დაპატიეებული ყავს დიდი კაცები. ათანაირი დასაკრავი ყავს. ამ კაცს დასაკრავი ხელში უჭირამს.

— ერთი მოგვასმინე თქვენი დასაკრავის ხმაო.

— დოუკრამ, მარა, რაც რამე ვთქვა სიტყვაიო, წინააღმდეგი არ გაძინხთეს არავინაო.

— არაო. ვერავინ ხმას ვერ გაქცემსო.

დოუკრა, მარა ისეთ ლექსეფს მოყვა, რო თელი კამპანია სმენათ გადიქცა. უმბობს თავის გადასავალს. ეს ქალი აზრში შევიდა: ჩემი ქმარი ხ' ვარ არიო. ეს მეზობელი, სიძე, ზეზე წამოვარდა, უნა რო შამოკრას.

სტუმრებმა უთხრეს: დაჯექი, არ გეინძრე მაიდანო!

დაამტკიცა ამ კაცმა, რო ეს ქალი ნამდვილათ მისი ცოლი არი.

— მე მყავს დაიო, ამ ჩემ დას მაქ კაცს შევრთამაო, ცოლი მე დამბრუნეთო და ჩვენც ძმები ვიყოთო.

როდესაც რო ის კაცი შეეთანახმა, წიყვანა თავისი ცოლი ისევე-ისევე სახში. თავისი და მიათხოვა იმ მეზობელს.

(სოფ. ლელვანი)

57. სოფელი ლელვანი

საბაშიო წიფიდან დაწყებული მარელისამდე მოდიოდა. მარელი-ისი სამპლვარია. გაგონებით გამიგონია. მე არ მახსოვს, ჩვენ სოფელში და აქ. მარელისია კიდე, ბატონს არ გოუვლია გზათ. იყო კიდე სოფლები: ვახანი იყო, სერბაისი, ზედუბანი. ჩვენ თის ძირში ვართ. წინეთ 25 საპანე ღვინო მოდიოდა. აერი წახთა თუ რაძახა, ახლა იმდელი აღარ მოდის. ამხელა სოფელი არ არი ამ რაიონში, წყლებიც გვაქ, ამდონი წისქვილი არსად არაა, ხალხიც ბევრია.

ლელვანი? არ ვიცი, რატო დაერქვა. მე რალაი დევბადე, ასე ქვია მიდღემში, ყველაფერი ხილი მეტი არი ლელვზე. ვინც გაანძრემს ზელს, მოსავალი კაი მოდის. უმალ იესო ქრისტე ყოფილა, ჩამოუვლია, სოფლებზე სახელი დოუტრქმევეია. ერთი სოფელი დარჩენია. რა დავარქვათო და უსახელოო.

(სოფ. ლელვანი)

58. ნათათრალი გიორგი

ჩვენე ბუნობით ერთი ოჯახის განაყოფი ვართ. მახარობლიშვილეფს გვიძახოდენ. მახარობელი იყო თუ რაძახაი ბაბუის ბაბუა, არ მახსოვს. ალია ყოფილა ჩვენი ძველი.

იქ. ზეით, ვმდგარიყავით ჩვენე. ჩვენი ძველი. გიორგი, ცოლშვილიანი ყოფილიყო. ლეკობა იყო ხშირათ და, რო დაღამდებოდა, ტყეში იხიზნებოდენ. დღე თურმე ქე შევიდოდენ სახში. ამა დროს თურ-

მე ცოლმა-შვილმა უთხრა გიორგის: წვეიღეთ ჩვენე, გიორგი, და დევიხიზნოთო.

— თქვენ თუ გინდათ, წადით და მე სახში დაჩებო.

ე ცოლ-შვილი თურმე, ე წაბლი რო არი, იმას ზეიდან დევიხიზნა, გიორგი არ წვეიდა. რო გადვიდა შუალამე, ამა დროს მოაკაქუნეს. რა-ლა ქნას ახლა გიორგიმ. მიხვთა, თათრები მევიდენ და წამიყვანებენო. ადგა. ერდოში შევიდა და იქ დეიმალა. მივიდენ-მევიდენ, ვერ ნახეს, გაასინათლეს — აგერ არი. წამიყვანეს და მიიყვანეს ბეგთან. არ კლემდენ, რაზე მოკლემდენ! ბეგს მიყიდეს. ფული მიიღეს იქიდან.

ბეგს მოწონებია გიორგი და მოურავათ დოუყენებია. ბოკდა ლა-ლას და იმსახურებდა იქა. ბეგს ალია დოურქმევი. ე ალიაი, თურმე, აქიხენეშეფს. კაი ვაშკაცი ყოფილა.

— ალია, რას ჰენეში?

— არაფელს, ბატონო!

— დღეს, ხვალ... კიდე უკითხავს:

— მე გეუბნები შენე, რას ჰენეშიო.

— რას ვხენეში და ცოლ-შვილი დამრჩა იქაო!

— გაგაგზანი შენე და აღარ მოხვალ აქაო.

— ოლომდ გამაგზავნე, ცოლ-შვილს წამევიყვან და მოვალო.

გამოუწყვიათ ე ალიაი, ფიშტო წელში გოურქვია, ჩამოსულა. ალია მერე აქიდან წავა?!

ბატონი მიდიოდა ხომე თურმე აქა. ქლენტი ყოფილიყო. მობოკდა ბეგარას, წითელი ღორი უნდა მიეცათ. 9 ტკაველი; რუმბით ღვინოი და მისი „პრიპასი“ სუყოლიფერი. ნასია მალრამე იყო ერთი. ე ნასიაი შამაძალი კაცი იყო თურმე (ახლა მის ჩამომყოლს ნასყიდაშვილეფს უძახიან). მივა ე ქლენტი ახლა იმასთან. მივიდა ნასია და უთხრა ალ-ასა: — შენეო ყოლიფერი შეგიძლია, რო გააკეთო და არ გამთქვა მეო.

— რაიო? — უთხრა ამ გიორგიმ. — ქლენტი მევიდა ლელვანშიდა, ბეგარა მიაქ და შენე შეგიძლია ის საქმე მოშალოო. შენი შეეშინდებო.

— ჩემს თავს იყოსო!

შემეირტყა ლეკური, ფიშტო წელში გეირკო. ხედავს გიორგი. — ხარებითა და ღვინო-ლორებით მიდევენ უკან ბატონს. დეეწია ჩიხლადის აღმართში, დოუძახა: გაჩერდითო! იძრო ლეკური, დაკრა რუმბს, დააქცია, გამოუხსნა აპეურები ხარეფს, ღორ თავი მოჭრა.

— წადით. დეეწიეთ თქვენ ბატონს და მოახსენეთ, ასე იყო საქ-მეიო.

დეეწიენ.

— რა ამბავიო?

— რა ამბავი და, ნათათრალი რო არი, იმანა ასე გვიქნაო.

— ის მე მამკლამსო! გზა იცის და ისევ-ისევ გეიქცევა თათარშიო! გააქენა თურმე ცხენი და აღარ მოსულა აქა.

ბეეტაცნათ კიდე შარიქაძის ქალი. ქმარი წევიდა თურმე წისკვილზე. სახში თუ დარჩებოდენ, კეტეფს გოუყრიდენ შიდა. ეს კაცი წასულა წისკვილზე, ცოლისათვის უთხრობია: რო მევიდეს ვინმე, კარები არ გოულო, სანამ ჩემი სახელი არ გითხრანო. სახში ვერ შამევიდოდენ თურმე. თათრები თურმე აგერ არიან მოყურებული და ამ ყაცის სახელი დეისწავლეს. რო იფიქრეს, ჯერ ვერ მობრუნდება ისო, მიაკაჯუნეს: — გამილე, მე ვარ შენი ქმარიო. სახელი უთხრეს.

გოულო. გამეიყვანეს ე ქალი და მიყავთ.

მოსულა კაცი. ცოლი აღარ დახვთერია სახში. თოფი ქონებია, გამოდგომია ამ ქალს. ერთი პაწია ძალლი ყავს. ე ქალი რო მიდის თურმე და ე თათრები მუუძღვიან, ეკლი ფოთოლი იქნება თუ ბალახი ეცაშა ხელით, და ყრის, რო გამომიდგონ, მიხვთონ, რო ამ გზით მივლივართო.

ე ძალლი დეეწია თურმე ამ ქალს. ქალს გეეხარდა: ახლა გამოჩნდება პატრონიცო. ამ თათრეფს უთხრობია: ქალო, ეს ძალლი არ არიო?

მე გამამდგომიაო.

დეისვენეს. ხეზე შევიდა თურმე ერთი თათარი: აქიდან გადაეხედამ, თუ მოგვდემს ვინმეო. ქმარმა დეინახა და ხიდან გადმოაგლო თათარი ძირა. მოკვდა თურმე ეს ერთი და დანარჩენი გეიქცენ. ე ქალი მიატრევს. ხახუტაშვილეფში ყოფილიყო ეს ამბავი, ბუნეფს რო ვეტყვით ჩვენე, ბუნებით ეთქმევა შარიქაძეები.

(სოფ. ლელვანი)

59. მონადირეთა ჩვეულება

ჩემ ძმისწულ ნათლევდა ჭიჭია მალრაძე. რო წევიდოდით სანადიროთ, რო მოვკლევდით, კურდღელი იქნებოდა თუ სხვა რამე, ფრინველს გარდა, გავყოფითით (წყერს არ გავყოფითით), ფრინველს არ გავყოფითით, კურდღელს რომ მოვკლევდით, გავატყავებდით და გავყოფითით.

ჭიჭია წვერებიანი კაცი იყო.

თოვლი არის. ნახვით კურდღელი. მოვკალი მე. იმან ნახა, მოკლა იმანაც. ნახვით მესამე კურდღელი, ბილიკზე უდგავარ. მოუკლამს ის მორეი. ე ორი კურდღელი წამოუღია სახში. მე ზეით ვიყავი, სერზე, უყურებდი. მე ვთქვი: აქ ამოივლის და მოვკლამ კურდღელსა- მეთქი. სალა არი ჭიჭიაი?

ახლა მის კარებზე უნდა გამევიარო მე. — ჭიჭია მევიდა? — ოჯახობას დოუძახე. — კიეო.

იმა ორი კურდღელი მეეკლა. ი ორი კურდღელი წვილო იმან, არ გამიყო. მე აღარ დამიწყია დევობა მისთეინ. გატყავებამდი რო მოგისწროს კაცმა, წილს აძლევ. არაფელი მონაწილეობაი არ აქ იმაში, მარამ ასეა. რამოდენიმე ამხანაგი ვართ იქანა, ვთქვით. გატყავებამდი რო მოგვესწროს კაცმა, უნდა მიცე ნაწილი იმასაც. მონადირეებმა უნდა მიცონ ნაწილი. ვისაც სეინდისი აქ, მიცემს. ვისაც არა აქ, ოჯახშიც ქე შეიპარამს, წავა. ძალაზე კ' ვერ დაადგები: უნდა მამცე წილიო.

(სოფ. ლელვანი)

60. ხის მასალის დამზადება

ჩემი უმცროსი ბიჭი ძმის ცხოვრებაზე მყავს. იშვილა ი ჩემა ძმამ და ცხოვროფს დღესე. უმფროსი მყავს და ცალკე გავა — სახს უკეთეფ ახლა, ვასახლეფ ცალკე. სამივე შეილები ცალკე მყავს.

მოკჭრი ხეს, გამევიტან, დავხერხავ და ავაწყოფ. ხარებით მევიტან, ნალოთაც მევიტან, დახერხილიც მამაქ ხომე. ნალო დოუხერხავი ხეა. რო მოვჭრით, დავკოტრავთ,—იმა დაეჭრით ზომეფში. 4 არშინი იქნება თუ 5, რანაირათაც მეიხთენს. ფიცარს ვხერხავთ. რო მოგვაქ დოუმუშავებელი, ის არი სათრიალა. სათრიალა და ნალო ერთია. ორივეს ვეტყვით ჩვენე.

შიცემთ ფულ ოსტათს, ვიჭირავეფთ და ავაშენეფთ სახლს. ტყეში ზეზე ხმელიც არი ხეი, თუ ვარგისია. მოკჭრით იმასაც. დავკოტრავთ და იმასაც მევიტანთ. შემპალი ხე როა, იმას ვეტყვით ჩვენ, მარგალითად, ბოლოიანს. მოკჭრით იმა. ბოლო დამიზეხებულია. გული აღარ უვარგა. შიგნიც ცარიელია. ორ კოტორს იქით ჯაია. ხეს დაეჭრით ზომეფში. ან ორ არშინში გაყვება ის ფოლო, ან ოთხ არშინზე. შეიძლება სულაც გაყვეს. ფოლოიან ხეს ფულუროსაც უძახით ჩვენე.

ხეებია: თელა, ნაძვი, ცაცხვი, წიფელა, ურთხველა, წაბლი... ფოლოები ამ ხეებმა იცის, მაქ ხეფეს ვამუშავეფთ ჩვენე. არი კიდე კუორი, შქერი, კვალიზი (ლობის სარავავია ისი), კაკლები აქ წვეროში. კუორს გავს ისი. გავლა გვიჭირს, არ გაგვარონიფეს შიდა. მაგარ ალაგს ვეტყვით, გლახა გასავლელია, უნა იძრომილო და იარო შიდა.

ჩვენე კუყურეფს გვიძახიან. ბაბუა ყოფილიყო პატარაი და მოფერებინ რავარძახა უძახიან. ისე მალრამე ვართ.

სახელარში პაწია ბინები გვაქ. მე იქა 100 ძირი ფუტკარი მყავდა, 5 ბოსელი მაქ. ყანები გვაქ, ლურდიგორაა, ნასოფლარი, იქა. ყანების სახელებია: კოშკიგვერდი, თხელასი. ნაკოდი, სურნალი, ქვედაყანა, ნალობიერი, ღორისნაფუქი, ნასირაძის ყანა. ეგეებია.

საზაფხულო საქმეები გვაქვს ტბაზე (თის სახელია). საბალახო გვაქვს იქა, ზაფხულში ჩომეფს ავრეკამთ, ვკვებამთ იქა, სახვლარშიდაც და იქა.

(სოფ. ლეღვანი)

61. ნაქალაქარი

აქეთა წყალია ბჯოლი ხევი. აი ეგ ქვსაზღვრავს ჩვენე. მაგ წყალს იქით გადახვალ, ლაპარაკის კილო შეიცვლება ქართლურათ. სოფელ მარელისში იმერულათ ლაპარაკობენ და სერბაისში, ზედუბანში— ქართლურათ: იმანა, რათა, რამტელი...

აქედანი (მარელისი, ლეღვანი, ფარცხნალი, სხლითი) ბევრ განსხვავებას ვერ ნახამ ზესტაფონამდე. ზესტაფონში შეემჩნევათ განსხვავება. ზესტაფონიდან დაწყილი მარელისის ჩათვლით სამნიშენლო განსხვავებას ვერ ნახამ. ლიხის ტუნელამდე მარელისიდან დაწყილი განსხვავება არა აქვს. ფონადან რო წამოხვალ, ლაპარაკი ერთნაირი იქნება მარელისამდე. მარელისიდან მოქცემს სხვაობას.

ჩვენი სოფელი დიდია. საყდრებიც არი და ყველიფერი. ნაეკლე; სიამებია. ეკვტერია ამოშენებული. რავარი იცი? გადაცვალელები შამოწყაპულია. იმა ნაქალაქვარს უძახიან. იქიდან რო წამოხვალ, დიდი გზაი მოდის აქა, ეკლესია რო არი. მაღალი სერი რო არი, იმის გადაღმა არი ნაქალაქვარი: ოთხკუთხეთ არი ის ეკვტერი. იქ ბევრი ყოფილა შამოწყაპული ტბაზე ეკვტერი და ეკლესია და დიდი კალოები პურისთენ. პანტნარს რო უძახიან, ბევრია სუყველიფერი: სხალი, ვაშლი, ბია, ქლაივი და ყოლიფერი. ქურები და კალოებია გამართული, დაწყაპულია. ეს ლეღვანს ეკუთვნის. ქე იქნება 15—20 ვერსი აქიდან.

(სოფ. ლეღვანი)

62. მყვირალობა

— მყვირალობა ეკენისთვეშია.

— არა, ბიჭო, სულ ბოტოფს ირემი.

— ირემი ყვირის ეკენისთვეში.

— ირემი ყვირის, ბლავა, ეკენისთვეს რო უძახით ჩვენე, მარა სხვადროსაც ყვირის. ჭუჭი გორაზე ვიყაით ალექსანდრეი, ლადოი და მე. ერთი ირემი მოკვალით, გაბმული კდე რო არი, იქა. დავრჩით ჭუჭი გორაზე. რო გათენდა დილაი, უზნაძის სერზე წამოიბდავლა. გიორგობის კვირე იყო. ალექსანდრემ მითხრა: მოდი, დაჯექი, დოუგდე ყურიო. ხანდიხან ყვიროდა. ახლა რო იქ გამიყვანა, პირდაპირ მოკვლაძო. ზოგი გვიან იცავს თავს, ზოგი—ადრე.

— ეს ტყე შერაგულია ისევ-ისევ?

— დოუყენებიათ ყარეული. ეგ როგორ იყო, თუ იცი: ნიკოლოზის დროს შერაგული იყო დიდი თა ეკლიანი „ბრავეოლით“ და ვერ გამოდიოდა ირემი იქიდან. აქედან კი გამობტებოდა. იქ ბოსელიც ქონდათ იმათ. შიდა დაბალი ალაგები იყო. თბილავდა. მარილსაც უღგავდენ შიდა და აქმევდენ.

მე ვიყავი ერთხელ იქა. ზამთარი იყო. შოუყავი შიდა ხელი და დეძეტაკა იქიდანი ხელზე.

— ხელს მოგაკიდებებდა შენ ისი?

— ხელ რავე არ კიდებენ. გაფრინდება აქიდან, ჯოგს რო დეინახამს, წაევა.

— სიბირს რო უძახიან, ფაიტონში უბიათ ირმები და დაყავთ მოყინულზე. რო დეიჭერ, მოშინაურება მისი აღვილია. მე მამიკლამს ირემი. ძილი იცის, რო მიხვალ, ძინამს, აჰა!

— მე 12 ირემი მყამს მოკლული. წავსულვარ, მამიტანია. ჩემი რძალი რო არი, აქ იყო ესეც მაშინ, რო მევერტანე. დიდ თაში პირდაპირ მისთვინ წვევიდოდით სანადიროთ. აქა ერთი სასოფლო ყანეფში მოვკალით. რქები ახლაც ექანა არი, მეზობელს აქ.

— ქორბულიანი რომელიც არი, იმხელაა, რო წიკვა გაგიკირდება.

— ქორბულიანი მამიკლამს მე. დიდი რქიანია ქორბულიანი. ზოგს შვიდი ნაყარი აქ. ეს რო რქა არი, მერე შეკიბულია აქ, როგორც თითები, ნაყრეფს ეტყვიან.

— ირემა ჩეიხედა თურმე ტპაში, მეეწონა თავის თავი: რა საინტერესო ვარ, რო მაღალი ფეხები არ მქონდესო. გოუჩთა გლები, გამოუღდენ. გავარდა ქორბულიანი, გეეხირა. ამ კანჭებმა უშველეს: რასაც ვაქებდი, იმან დამლუპაო.

(სოფ. ლელვანი)

63. სახვამძე და ეშმაკი

დაძმობილდა სახვამძე და ეშმაკი. დათესეს პური და ნიორი. მევიდა ნიორი და მევიდა პური. ნიორი რო მევიდა ივანობისთვეში, სახვამძემ უთხრა, რომეო — გინდა ქქონდეს მიწას ზევითაო, გინდა მიწას ქვევითაო. ეშმაკმა იფიქრა: მიწას ზევით არი ეს კარქათ აფოფინებულიო. ირჩია ეშმაკმა მიწას ზევით.

— მოთიბე, გამაცალე მიწას ზევითაო! — უთხრა სახვამძემ.

გადააცალა, ზევით რაც იყო, და მიწაში დარჩა, რაც თავი იყო. ფოთელი დარჩა ეშმაკს, ნიორის თავი — სახვამძეს.

ახლა პური აქთ ზიარი. უთხრა სახვამძემ, რომეო:—მე და შენ ამხანაგები ვართო. ეს პური რო გვითესია, გინდა მიწას ზევითო, გინდა

მიწას ქვეით ქქონდეს შენაო. ეშმაკმა იფიქრა, რომეო: ნიორში ზო მომატყუა ამანაო, და უთხრა: — მიწას ზევით შენ ქქონდეს და მიწას ქვევით მეო.—მოთიბე ზევეითაო!

მოთიბა სახვაძემ და პური წელიო. ეშმაკს დარჩა ცარიელი ფესოე-ბი. მერე კიდე რო მოტყუვდა, ჩხუბი მოუვიდათ. შევიდენ წისქვილში საჩხუბრათ. სახვაძემ დეიკაეა ხელში მოკლე ჯოხი, ეშმაკმა — გძელი ჯოხი. შეიქნია ეშმაკმა ჯოხი წისქვილში და ვერ გამართა. სახვაძე მოდგა ი მოკლე ჯოხით და სულ მოულაყა თავი ეშმაკს. მერე თქვეს: გარეთ გავიდეთაო, აქ არ გვინდა ჩხუბიო, წისქვილშიდაო.

გვეიდენ გარეთ. — შეეცვალოთ ჯოხებიო, — ეშმაკმა უთხრა.

შეეცალეს. გძელი ჯოხი სახვაძემ დეიკაეა, მოკლე — ეშმაკმა. შორიდან მოდგა სახვაძე, ურტყა და ურტყა. ჩემი ძველი იყო ისი. ჩვენე მისი ნაშიერი ვართ .

(სოფ. ლეღვანი)

64. ბაღაეხვიენ ერთმანეთს

გუშინ შემხვთენ ჩენი უფროსები. გვეიხედე, აგერ დგარენ.

— აბა, ბიძია, შენ ჩვენთან აღარ იმუშავეფო?

— არა, — მე ვთქვი,

— გვითხარი მან რამეო!

— კარკი აბა-თქვა:

ერთ ბიქსა და გოგოს უყვარდა ერთმანეთი, გიედებოდენ ერთმანეთისთეინ. გოგომ უთხრა ბიქს-მეთქი:

გუხაცვალე, ჩემო ბიქო, ჩემო ქოჩორგაბუჩქულო,

მაკოცნიე, თუ ღმერთი ქწამს,

რა იქნება, შე ურჯულო!

ბ ი ქ მ ა უ თ ხ რ ა :

მე შაგ ნატერას აგისრულეფ.

აღარ გინდა ფიქრებო,

გაკოცნიეფ. რამდენიც გსურს.

თუ სულ ჩემი იქნებო.

გადიტკვარცალეს გოგოებმა.

გოგომ უთხრა:

ანგრე მალე ვერ გენლობი.

არ მწამს შენი ფიცილო.

ზოგიერთმა ყმაწვილებმა

მოტყუებაც იციანო.

ბიკნა უთხრა:

გაგიუბით რო მიყვარხარ, ხო გითხარი წეხანაო,
შენ თავს არვის დაეანებეფ, რო დეიქეცს ქვეყანაო.

გოგომ უთხრა:

ბიკო, შენი სიყვარული ძილშიაც არ მაძინეფსო,
ძეც ქე ვატყოფ, რო ერთმანეთს ვერაინ დაგვაცილეფსო.
გადაეხვიენ ერთმანეთს, გადოუკოცნეს თვალები,
რო დეგენახათ ორივე, გეგონებოდათ თვრალები.

(სოფ. ლელკახი)

65. ნადირობა დათვზე

ირემს ვკლევდი, შველიც მყავს მოკლული. კურდღლეფს ვკლევდი,
აჰა, შე ორ-სამს მევიტანდი ხომე მაშინ, რო ხედველობა მქონდა!
თოფს რო ვესვრიდი ნადირს, სუ შევატყობდი, მოხვთა თუ არა, ქეც
რო ევლო კიდე დაკრილს.

ირემი მევიტანე, შავ ორშაფათ კვირეს რო ეტყვიან. მარხვა იყო.
დავაძარილეთ, შევინახეთ. როგორც საქონლის ხორცი, ისე არი ისი.

ბევრ ვიჭერდი, ვსვრიდი თოფსა და ვკლევდი. სანადირო „ბერდენ-
კა“ მქონდა.

ეგერ რო თა არი, ექ დაეჭერი ერთი ირემი მე. ერთი ბიკი მახთა
თახა. დათვი მოვკალი მისთანაი. 18 კაცი გამოუდექით თანა. ჰამდა ლა-
მე სომიდს, თაფლსა. მერე ვახანში გადიოდა. ასე დადიოდა სოფელში.

ერთ დროს დათენებია თავზე, ნაპირ ადგილას იყო. წისქვილზე კა-
ცი შინავლებულა. ძაღლი მიყოლებია თან და სული ოულია. დოჟწყია
ყეფაი. ლობეზე შეიპარქყა თურმე ე დათვი და მიდის. მისულა ე კაცი
წისქვილში.

წვიმიანი დილაა. შევიარაღლით ახალგაზღვები თოფებით და გამო-
უდექით. დოუბინავნია ტყეში. ხოდა კუორნალი და ტყეა, შამევედით.
კაი მობდილა ტყე არი. ბურია. გაგვეპარა, წევიდა, დიდ თას მიაშურა,
ევიდა იქა. ი დიდ თაში რაღა შევიდოდა, ველარ იშონიდი, ველარ
შეიკიდებდი ხელს.

სიღორი იყო ერთი და იქ გადუქერი თავი. უკან დარჩა ისევ-ისევ
ტყე. ე ჩემი ამხანაგი ხეზე შევიდა: უფრო დევიანახამ მაღლიდანაო. მე
ძირ დაეჩი. ამა დროს გამევიდა დათვი ტყიდან, მე რო ძირ ვარ, შუაზე
ჩავვიარა ამ დათვმა. იმანაც ესროლა ხიდან. მეც ვესროლე. მარამ ორი-
ვემ დავასცილეთ ე პირველი სროლაი. გადევშვა დათვი, თავდაღმა
წევიდა. რო უნდა წევიდეს. ვესროლე კიდე. რამდი ტყეში შევიდოდა,

მოვასწარი მოაუე და დავკერი. მოხვთა ტყვიანი. იყვირა დათემა, შევიდა ტყეში და დაწვა. ეს კაციც ჩემევიდა. მე ვუთხარი: დათვი დავკერი. ამა დროს უკანა კაცები მოდიოდენ. მონგროვდენ. ჩამეველით იქიდან-ი-აქედან. ველარ წევიდა იქიდან, დაკრილი იყო. შარიქაძეა აქ, იმან თქვა: ეკლეთს მე გავჩეხამ და, თუ წამევიდა, თოფი ესროლეთო. გავიძღვა წინ. დევინახეთ, დათვი წევს, წასვლის თავი აღარა აქ. კიდე ვესროლე თოფი. მოკვდა.

წანევიდეთ, ჩამევიტანეთ ქალაში. მევიყვანეთ ხარები, დოუდევით. 22 წყვილი ქალაბანი გამევიდა. აქ ჩამევიტანეთ. თფილიში გეინდოდა რო წაგეელო, მარა ზაფხულის დლე იყო და აქ, სოფელში, ჩამევიტანეთ. გავატყავეთ და მიწაში ჩააგდეს მერე. ამდენი არ ვიციოთ. ახლა ქე ქამენ დათვის ხორცს. მერე ლექსი გამოთქვეს:

დათვა თქვა: სიზმარი ნავხე, უნა გამეველო ლხინია,
მაგრამ იმან ველარ მიეხვთი, თუ ბოლოს მქონდა კირია.

დიდვაკეში თაფლი ვქამე, იმან გამაზურავა.

ამ კიჭიას რა ვაამე, ურმით გამაჯულავა.

სიღარიბის პირობაზე გული ქონია კეთილი.

მის ყანაში მიედიოდი, სინათლე იყო ანთილი

(ყანაში ფარანს დოუკიდებენ, აღარ მოჭამს ყანასაო),

საველო, რას მემართლები, რაზე მამკალი, შე გლახა,

ირაკლისას მიედიოდი, სახლი უნა მენახა.

არიქა, ბიჭო პინესი, თოფში ქილა მიეცი!

ახლა პინესი მიძახის:

ყოჩალ, ბიჭო საველო!

შენი თოფი კარქათ მოხვთა,

მე თავზე გადავავლეო.

ამ პინესი მადრამძესა უწყებოდა ყარამანი (მამაი):

შენე დათვი არ მოგიკლავს, ტყულა გარგეს ქალაბანი.

ახლა დავითი ამბობს:

მადლობელი ვარ მე შენი, ჩემო ნათლულო კოლია,

დამასაფლავე და მერე ამინთე კელატარია!

კოლიას კვარი კავებოდა ხელში და ისე ჩეეგდო დათვი მიწაში.

(სოფ. ლელაანი)

66. ომარ-ხანთან ჩხუბი

ძამაჩემის გადმოცემით, ვახანის ციხე რო გატეხილა, 9 დღედაღამეს ყოფილიყო ომარ-ხანთან ჩხუბი. მაშინ აბაშიძე ყოფილიყო თავარსარდალი. სახელი, გონია, ლუარსაბი ერქვა იმ აბაშიძეს. ისი მეეკლაო თუ დეეკრათ, აღარ მახსომს. პაპიჩემი და დედა იმისი ციხეში ყოფი-

ლიყვენ. გამეყვანათ მერე და შინჯამდენ. ი ბებიანი კაი ქალი ყოფილიყო და წვეყვანათ. პაზო რქმეოდა ბებიასა. ტუსალები ცალკე დევყენებიათ. მერე დაჩინებოდა ბებიასა. ვილაცას დეეჟახებინა: პაზუაო, ადექი მაიდან და გამეეცალეო. გამომძვრალიყო იქიდან, ჰყორი ყოფილიყო და შემძვრალიყო. იმ ღამეს გაავდარდა თურმე და მუხლზე შეეთოვა. მერე რო წასულიყვენ, ბებიანემი გამომძვრალიყო, ჩამოსულიყო და ძლივ მისულიყო სახში.

პაპიანემი სტამბოლში წვეყვანათ. იქ ყოფილიყო 12 წელიწადი. მერე ვინცხა ბერძენს დეესხნა. ვინძახა მადლიერი კაცი შეხვეთროდა, ჰოდა, გამეეგზანა ბათუმში. მეიყოლა იქიდანა ბეჰედი და თოფი. ის თოფი არ ვიცი მე და ბეჰედი კი გავყიდე. პირველი ოქრო იყო.

პაპიანემს ყოლებოდა 9 ბიჭი. გაჩენილიყო ჰირი. დარჩენილიყო 3 ბიჭი: ბესოი, გლახინანი და ადამოი.

ჰოდა, ბატონი გლახათ მოკიდებოდა ადამოსა და მეეკლა იმას ბატონი. ადამოსა 4 ბიჭი ყამდა და მოშენდა ასე იყო ესე.

(სოფ. ვახანი)

67. სამი რჩევა

დაქორწილდა ერთი კაცი. რო დაქორწილდა, გაღარიბდა. ბოვშები დეესია. რა ქნას, რო გაღარიბდენ, ქალმა უთხრა ქმარს: წადი სოლომონ ბძენთანო და შეეკითხე, როგორ დავზარდოთ შვილებიო.

მივიდა. სოლომანმა უთხრა რაზედ მოხვედიო?—მიჭირს ცხოვრებაო. დაარიგა სოლომანმაცა: ქალს არ დეემდოო. ჩამოცილდი ახლათ გადიდრებულ კაცსაო. მესაპეიო: ცარიელი ნუ მიხვალ სახშიდაო!

წამოვიდა ახლა ეს კაცი. მოატანა სახლამდი და ვერაფერი ვერ ნახა, რო სახში მიიტანოს. ახლავე უმტყუნდება სოლომონის დარიგებაი.

რო გადმეიარა, მახშირი არი კვდარი. დაბრუნდა ისევე, პატარა ჯოხზე დაახვია და წამოიღო სახში. მოიტანა. სახლის წინ დახოული ჩააგლო მიწაში. ქალმა უთხრა: კაცო, რა ქენიო?

— ეჰ, კაცი რო გაღარიბდება, ვის რას დაარიგეფსო!

გათენდა დილაი და დეინახა, საცა მახშირი დამარხა, ხე არი ამოსული, ოქროს ვაშლები ასხია. მოკრიფა კაცმა პაწია ხელკალათი, წეილო ბაზარში. ვაჭრები დეედენ. დაქუჩა ფული, იყიდა პური, საჭმელი. დაბრუნდა სახში, კიდე მოსხმული დახვთა. ახლა ამ კაცმა ფასი მოუმატა. გამდიდდა.

ვაჭრეფს უნდა გეიგონ, ეს ხეი საიდან მოაშენა.—ფშანი ამოვიდა ეზოშიდაო, ვკრეფამ და ისხამსო.

— არა, ჩვენ გვეიგეთ, საიდან შეიძინეო, — უთხრეს.

— ვერ გვიგეთო.

— ნიძლავი დავდოთო.

დადევს ნიძლავი: ვინც წააგეფსო, სამ რამეს, რასაც დაადეფს ხელსაო, წელიდესო.

ამ ვაჭრებმა ვერაფრამდე ვერ გაიგეს. ცოლს მუუჩინეს მეზობლის ქალი. ცოლმა უნდა გამოტეხოს ქმარი. არ მეეშვა ცოლი ქმარსა: — მითხარი, თვარა ნანდვილათ მოვკვებებიო. ადგა და უთხრა ამ კაცმა დარიგების საფუძველზე ასე ვიპონეო. ქალმა გადაცა ვაჭრეფს: ასე შეიძინა ეს ხეო.

მეხუთე დღეს მევიდენ ვაჭრები და უთხრეს: აპა, მოდი ახლაო! შენ რო სოლომონთან წახვედი. დაგარიგა, ცარიელი არ მოხვიდეო. რო ზოდი, გველი იპონე, მოიტანე და დამარხეო.

აგეფს ე კაცი ნიძლავსა. არი თავჩაღუნული სახში. წვევიდა ისევ სოლომონთანა, უთხრა: ასეა ჩემი საქმეო.

— ქალს როგორ ენდო, — უსაყვედურა ბრძენმა, მერე ასწავლა: მალა რო სახლი გიდგია შენეო, ხო აქ კიბეებიო. შენი ცოლი კიბის თავზე დააყენეო. ვაჭრები სამ რამეს დაადებენ ხელსაო: ოქროს ხეს, ლამპას და შენ ქალსაო. შენ ცოლს რო დეინახავენ კიბეზეო, პირველათ იმას მიაშურებენო, კიბეზე ხელი ხო უნდა დაადონ, ერთ კუთხეზე, მეორეზე და მესამეზეო. მოუჭერი ის კიბეი და გადმოუგდეო. სამჯელ ხო დაადეთ ხელი-თქვა.

მივიდენ ვაჭრები, ევიდენ კიბეზე, დაადევს ხელი ამ კაცმა გადმოუგდო კიბეი. სამჯელ ხო დაადევით ხელიო. ვაჭრები მოტყუებული დარჩენ.

(სოფ. ვახანი)

68. ნათლია სიკვდილი

ერთ კაცს ეყოლა ერთი შვილი. ბიჭი შეეძინა. უნდა ყოფილიყო ის ბიჭი იმისთანაი, ქთამი არ ეელო არსაიდანა.

— მე წავალ და ნათლიას მოვძებნიო, — მამამა თქვა.

წვევიდა ეს კაცი და შეხვთა წმინდა გიორგი წინა.

— გამარჯობა! სად მიხვალაო?

— ერთი ბიჭი შემეძინა და უნდა მოვნათლო, ნათლიას ვეძებო.

— მე მოგინათლამო.

— არ მინდაო. შენ ზოგსა წყალოფ, ზოგსა არაო.

მერე შეხვთა ღმერთი, უთხრა:

— მე ღმერთი ვარ და მოვნათლამ შენ შვილსაო.

— შენც წირვა-ლოცვა, სანთლები ქჭირდება, მოქთამე ხარაო.

უარი უთხრა. ადგა და წვეიდა. ერთი კაცი შეხვდა წინ, კითხა: სად მიხვალო?

— შვილი მყამს მოსანათლი და ისეთ ნათლიას ვეძებ, ქთამი არ ეელოსო.

— მე მოგინათლამ, მე სიკვდილი ვარო, ყველასთვის ერთნაირი ვარო.

წამოიყვანა ე კაცი სასწი. კაი ნათლობა გადიხადეს.

ძიელ ღარიბათ არი. სიკვდილი ცდილობს, რანაირი ხერხით გაანდიდროს. ადგა და უთხრა, რომეთ: 12 წელიწადია თქვენ ხემწიფეს შვილი ყამს ავათაო, ვერავინ მოარჩინა ისიო. შენ მოურჩინეო. მე მოვალ და ფეხთით დავჯდები. მიხეთები, რო ის ბიჭი ორ დღეში მოარჩებაო. მივიდა ეს კაცი ხემწიფის კარზე. უთხრა ხემწიფესა: შვილი ქყოლია ავათაო. მე მოვარჩენო.

შვეიდა, ნახა, გადაღვლეპილია ბიჭი, მარა სიკვდილის იმედი აქ. შამევიდა უხილავათ სიკვდილი და ფეხთით დოუჯდა. დეენახვა მარტო ამ კაცსა.

— მოარჩენ? — კითხა ხემწიფემა.

— კიო.

შოულოცა რაღაც, ვითომ წამალი დაალეგია და მორე დღეს ბიჭი ადგა ზეზე.

დაასაჩუქრა ხემწიფემ ოქროებით, ფულით. გამდიდდა ეს კაცი. ახლა სიკვდილი როისლა უნდა!

მოვიდა ერთხელ სიკვდილიცა ამასთან, უთხრა: ჩემთან ქთამი არ გადის, ახლა შენ უნდა წაგიყვანო, დეემშვიდობე ყველასაო!

კაცმა უთხრა: აქამდი ღარიბი ვიყავი. შენ გამამდიდრე და ახლა პატარა ხან მაცოცხლეო!

— როგორ შეიძლება ამტელი ღაპარიკიო, მე, ხო იცი, ქთამს არ ვღებულოფო, — გაჯავრდა სიკვდილი.

— „მამაო ჩვენო“ მათქმევიე ბოლომდი და მერე მამკალიო.

დეიწყო: „მამაო ჩვენო“... და გაჩერდა, აღარ ანთავრეფს.

— დაანთავრე ბარემლაო!

— როცა სურვილი მამივა, მაშინ დავანთავრეფო, — უთხრა ამ კაცმა. იმტელათ უნდა მოუხერხოს, რო გააგდოს სიკვდილი.

ვიბილიცა სიკვდილი, წვეიდა.

მეზობელმა ქორწილი გადიხადა. დაპატიჯეს ეს კაცი. კაი დრო გაატარა. მობრუნდა იქიდან და, რო შამოვიდა ლელეში, აგერ დეინახა სიკვდილი.

— ღმერთო, მიშველეო!

ეს კაცი და აფათქუნეფს სიკვდილი ფთებსა. დეიწყო „მამაო ჩვენო“
— არა, „მამაო ჩვენო“ დაანთავრე და გაგიშოფო. წყალში დგას
და, დაანთავრა თუ არა, მოკვდა, წაიყვანა სიკვდილმა.

(სოფ. ვახანი)

69. მახაშირსა ბაჟაჟი ბაჟაშვიტი

გველსა საქართველოში უძახიან სრიალას, აქა უხამსაც უძახით, მა-
ხაშირსაც.

აქაც ნახეს აგერ იმ მიწაზე ჩვენებმა. ძიელ მეჯავრება. ორჯელ გა-
ვაშვებზე ბაყაყი პირში.

ერთხელა სხლითში ვიყაით, ლედვანს იქიდან. ჯოხი მეჭირა ხელ-
შია, მოკალი და გადავაგდეი. ქალებმა მასწავლეს: ქალმა შვილი
რო ვერ შობოსო, შედი მუნჯურათა შახშიაო, გადააბიჯე ქალსაო და
შვილსა შობამსო. უნა თქვაო: როგორც მახაშირსა (გველსა) ბაყაყი გა-
ვაშვებზეო, ისე ამ ქალსა შვილი აშობიეო.

აქ ერთი ქალი იყო. ვერ მორჩა. დამიძახეს და წვევდი. თან მცხე-
ნია, თან იქნება ეშველოს-მეთქი. შევედი შახში და ყვირის ქალი. გა-
დავაბიჯეი, გვეიარე, გამოვიარე და ეშველა. მორჩა ქალი.

ძლოკვი ხაშმიანი არ არი. ღომფაში ბოსტნის ბაყაყია, მკაცსა—ხის
ბაყაყი. არი კიდე ხლიკვი და ფსვენაი — წვრილკუდა, ნაცრისფერი,
ოთხი ფეხი აქ.

(სოფ. ვახანი)

70. გლეხი ვარ

გლეხი ვარ, მიწის შრომელი, მაგრათ გამქონდა კვალია,
შავ ხნულით გადავაშავე მინდორი, თა და ბარია,
კალოს ვლეწავდი კევრითა, შიდ მება შვინდა ხარია.
გავლენე, გვანიავე, ტერს თვალი რჩება ხვავზედა,
ასე ვფიქრობდი: მეყოფა, რაც უნდა ვქამო ძალზედა.
ღედელმა მამკითხა საკურთხი, ბატონმა — მეოთხედია,
სუყველას ვარი უთხარი, არ მივეც არაფელია.
კარს ზეკუცია მამგვარეს, ზურგზედ მაღინეს მტვერია,
გამქელეს, ამაწიოკეს, დღე დამაყენეს ცხელია.
ცოლს ამიხადეს ნამუსი, იმსხვერპლეს ჩემი ქალია.
ვერ ავიტანე სირცხვილი, ხელთ ვიგდე ჩემი ცულდია,
გამხეცებულმა ყაზახსა სწრაფლ ამოვხადე სულია.
მას უკან ხეცათ გადვიქეც, დევიარები ველადა,
ერთგული მიწის მუშაკი გადვიქეც კაცის კელელათა.

დევიარები ტყეფეში, უცქერი ჭალის პირეფსა.
ჩემი ბინაა ხშირი ტყე, დასამალავი — თებია,
ღმერთო, შენ მოსპე ამ ქვეყნათ შრომელი კაცის ტერია,
მათ მამაშორეს ცოლ-შვილსა, გამხადეს კაცის კვლეღია.

(სოფ. ვახანი)

71. თავდასხმა სუმბათაშვილზე

იმერელის სიძე ვარ და იმერულს ურეე ხომე ხანდინან. ზესტაფონ-
ში რო ჩაეალთ — ზემოურები ჩამოსულანო. ხაშურისკენ რო წა-
ვალთ — ქვემოურებიო.

გამიგონია, ბატონი უღელში აბამდა ხალხსაო. ბაბუიდან მახსომს,
რომე თურმე გააგზანა ბატონმა გლეხები პურის სათიბათ. დალიეს
არაყი და ცოტა ძილი მოუვიდათ. 8 უღელი ხარ კამეჩი ყამდათ წაყუა-
ნილი. მერე გამეეპარათ ხარ-კამეჩი. 1 ექტარი მიწა ეიღეს ამ რვა
უღელმა ხარ-კამეჩმა. მივიდენ გამომძღარი. შერეკა ბატონმა, ბაკში
დაამწყვრია. მივარდა, გლეხეფს ეძინათ.

— სად არი ხარ-კამეჩიო? საღამოზეო შეებით თქვენეო და ურმები
მოიტანეთო.

წამოიღეს ურემი, წეიქცენ და შუბზე გადაძვრათ ტყავი. იმ ღამეს
არ დაძინებიათ: რათ გვიყო ესე, ურემში რათ შეგვაბაო?

7 კაცი წამევიდენ და შეფიცეს: ბატონი უნა ამოვწყვიტოთ ცოლ-
შვილითო, ამ ღამეს უნა მივიდეთო.

მივიდენ იმ ადგილს. 2 არ მისულა. ამ ორმა ველარ გაბედა სისხლის
აღებაი. გათენებამდი უცადეს. ადგენ და გადადეს მორე ღამისთინ.
მორე ღამეს უნდა მივიდონ.

ჯდის ბატონი ოთახში. სანთელი უნთიათ. იქითკენ ცოლს ეუბნე-
ბა: რამდენი ფული გვინდა?

შეაჯამეს მოთხოვნილობა და ახლა ეს ფული უნდა გეიწეროს გლე-
ხებზე. აწერამენ ფულს გლეხეფს. ამ ღროს ერთმა იქიდან ღოუარა,
ერთმა — აქედანი კაყიანი თოფებით. ორი კარეფში ჩადგენ. გამოვარდა
საქორწილო ბიჭი ბატონისა და მოკლეს. ორი რუსეთში იყო წასული
სასწავლებელში. ერთი აკვანში მოკლეს. არათელს ხელი არ მოკიდეს.
ამოწყვიტეს ხოლოთ ყველა.

წამოვიდენ ეს ხუთი კაცი ქვაბიხევეში. ე ზუმბათოვი, მებატონე.
რო ამოწყვიტეს, წამოვიდენ იქიდანა, გააკეთეს ბინა ბორჯომის რაიონ-
ში, დათბუნეს ზამთრისთინა და ცხოვრობდენ. მიქონდათ საგძალე
აქიდანა და იქიდან ჩამოქონდათ ნადირის ხორცი.

ერთ ღროს მონადირეები წავიდენ აქიდანა, გაჰყვა მათ ქვიშხეთე-

ლი ნემსაძე სანადიროთ. ნახა თუ არა ნემსაძემ ის ბატონის კვლეუპი, ჩამოვიდა იქიდან. მაშინ ზესტაფონის მაზრაი იყო. მიწერა: ამ მეზატონების კვლევები ამ ადგილზე იყოფებიანო.

წამოვიდა, რუსი იყო ნაჩალნიკი, დოუძახა ხალხსა, მოანგროვა, ვარი უთხრეს: არ ვიცითო. გაატიტვლა ორი კაცი და დააწვინა თოვლზე ტიტველი. გატეხეს.

წაიყვანეს ხალხი, შამოარტყეს გარეშამო იმათ ბინას.

ერთმა თურმე სიზმარი ნახა წინა ღამეს: ბინა ვიცვალათო.

— შენო ფთხალი ხარო, — საცინათ ეიგდეს. ჩვენ არ გვემინაო, წაბრძანდითო, — უთხრეს. დაკრა იმან ფეხი და ჩევიდა სოფელ ბანახევში. გლეხის საბძელში შეძვრა და დეიძინა იქა. გადარჩა ის ერთა.

ეს ოთხი თავის ბინაზე რო მივიდენ და დეინახეს ხალხი, დაიხსეს: ნემსაძე დაგვანახვეთო. ნემსაძე არ გამოჩთა. უთხრეს ერთმანეთს ორმა: ერთმანეთს ვესროლოთო, მოვიკლათ თავიო! — იქნება შენი თოფა უმალ გავარდაო. მე რო ცოცხალი დავრჩე, არ ივარგეფსო. მოიბრუნა ერთმა, იცა ტყვია გულში და მოიკლა თავი. დარჩა ორი. ამ ორსაც რო უნდა მოეკლა თავის თავი, მივიდენ აქაურები და წაართვეს თოვლები. გადარჩინეს სიკვდილს ეს ორი. არ მოაკვლევინეს თავი.

25-25 მანეთი მოუვიდათ საჩუქარი პაპიაჩემსა და ლაზარე ღონღაჩეს და წინიკა ცხადაქეს, ვინაიდან იმ ორ კაცს თავი არ მოაკვლევინა.

იმ კაცებს მისცეს 5-5 წელიწადი. ჭერეთ როზგი (დააკრევიანეს). ხოლოთ სხვა მეზატონებმა ფული მოკრფეს და მიცეს როზგის დამკრეგლს, რო სასიკვდილო როზგი არ დეეკრათ, ჩატეთ დაკრეს, ვაფხაპეს მარტო ტანი. კისრიდანა დაკრამდენ და ქუსლამდი დოუსობდენ.

— ეგენი რო დაწყტონო, გლეხები ჩვენ ამოქვეყვიტამენო. 5-5 წლით გაგზანეს ციმბირში. მაშინ რუსეთში გაგზანაი ძიმე იყო. დაწყტენ იქა. რომელმაც სიზმარი ნახა; იმან 10-12 წელიწადი იცხოვრა მას უკანი.

(სოფ. ვახანი)

72. ვახანის ციხე

ვახანის ციხე ცნობილი იყო ამ ჩვენ სააბაშიოში. თუ იმას არ დაამარცხებდენ, სხვა ციხეები არაფერს არ წარმოადგენდა. ბევრჯელ ცადეს, რო ჩამოდიოდენ თათრები, მარა ვერ ეილეს. ბოლოს შეიგნიდან გამოვიდა კაცი და გასცა: დანგრევა შეიძლება ამ კუთხიდანაო, ხოლოთ ჩემ ცოლ-შვილს ნურაფელს უზამთო. კდიანი იყო და არ გაქრეს ქვაი.

დიდი ჯარი იყო. წამლით საარაყე ქვაბი გაამსეს, ააფეთქეს იქიდან

უა ჩამოინგრა. კედლი შიგნიდან ხალხმა აომა. დიდი ხალხიც გაწვტა-
გზაზე სისხლის ღვარი მოდიოდა. ჩეხამდენ და ჩეხამდენ ხმალითა და-
ხანჯლითა. სისხლის ღვარები დიოდა.

ადგა მერე, იმათი ხელმძღვანელი ვინც იყო, და გაგზანა ფარეშები
სააბაშიოს სუყველა სოფელში: 20 წლის ქვეით ვინც არი, მიეინ-
ხროფთო. ძველი ხალხი არ მოგვენხრობა და დასწყვიტეთო! ცხრა არ-
ჩეული პატარძალი მომიყვანეთ, მე ენა მყამდესო! ოუსრულეს ესე.

სიმღერაც იყო ზომე ამაზე, ძველი ხალხი ინღეროდენ. ღმერთმა
ააშენოს ვახანის ხევი! ღრუბლიანი დღე იყო, ზოგი ამითი გადაჩჩა. რო-
ზეიდან არ ებრძოლნათ, მიეპარენ და გოუკეთენ ქვეიდან საარაყე
ქვაბით წამალი. გამოთქვეს შემდეგ ლექსი:

ვახანის ციხე მაღალო, ძირი გაქ სალი კდისაო,
ომარ-ხანი რო მობძანდა, ჩამოტა კოშკი ძირსაო,
ფარეშები გოუგზანა ჩდილსა და ნებოძირსაო:
ოც წელ ზეით რაც ხალხია, სუყველა დამხვით ძირსაო.
ცხრა პატარძალი რჩეული მამისვით მუხლი ძირსაო!..

(სოფ. ვახანი)

73. ქოროლლი

სახელგანთქმული ქოროლლი მოდის და მოინღერისა,
არ ეშინია ძლიერსა არც კაცის, არცა ხეცისა.
წინ შეეჩეხა უცნობი, რაცხა კიღია ხარზედა,
არ მოერიდა ქოროლლის, ფეხი არ გასდგა განზედა.
ეწყინა ძიელ ქოროლლის, თამამი ქცევა გზავრისა.
აენტო, გულში გაივლო ამოყრა იმის ჯავრისა.
მაგრამ ჯერ კითხა უცნობსა: რა გიკიდნია ხარზედა?
გზავრმა სიტყვაი არ უთხრა, მოიგდო თოფი ხელშია,
კრა ყორანს, სული გაუფთხო, გაწყვიტა შუა წელშია.
თავზარი ეცა ქოროლლის პირველათ, რაც კი შობილა,
გაიგო, ეს რკინის ნიქვთი, რა მოსახმარი ყოფილა.
მაშინ წამოთქვა ქოროლლიმ სიტყვა სწორი და მწარია:
აეი და კაი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!

ეწყინა ძიელა. ძღავრობა იყო მანამდი, სანამ სასროლი იარაღი არ
გამოდიოდა.

(სოფ. ვახანი)

ჯავახეთში ერთ ოჯახში 50 აკვანი იდგა და მოხუცი ცოცხალი იყო ისევ-ისევ. მივიდა ხემწიფესთან ამბავი: 50 აკვანია ერთ ოჯახშიდაო. გამოგზანა ხემწიფემ იქიდან მოადგილე: შეამოწმე, სიმართლეა თუ არაო.

მივიდა, ნახა ოჯახის უფროსი და კითხა: რითია ეს ოჯახიო?

— მოითმინეთ ცოტა ხანი და თქვენ გაიგებთ, რითიც არიო.

ადგა ეს მოხუცი, სკამზე რო ჯის, და გამოვიდა. დოურაქუნა, ხელათ 50 კაცი გამოვიდნენ, მამები, პაპები. ეს უმფროსი პაპის პაპა არი.

— რა ამბავიაო? — მოხუცს შეეკითხნენ.

— გამართეთ ცელებიო!

თაველი ჭერ არ აქ გამოღებულნი, დაორსულებულია პური და თაველი მაღლა არ უჩანს. თავზეა გადაკრული ფოთელი და, რო წაპოვა თაველი იქიდან, ფოთელი გადავ-გადმოვა. ამათ ერთმა არ უთხრა: რა გინდა, — რა დროს ცელიაო. არ უთხრეს იმათა პასუხი.

ერთი 10 ექტარი პურია დათესილი. უთხრა ყველას: ერთი ძირი პური არ დარჩეს, ისე მოთიბეთო.

დოუჭერეს, დადგენ და ერთ საათში სულ ჩათიბეს.

ხენწიფის მოადგილე უყურეფს, შეეკითხა ისი მოხუცსა: ესეო რათ ცოათიბინეო? — ამის ზარალი ჩემთვინ არაფელს არ წარმოადგენსო. დაჯერება არი უფროსისა მთავარი და იმისთვინ არი ერთობაო.

(სოფ. ვახანი)

75. ბურჯინსტანში

მე მაშინ ვიყავი გურჯისტანში, იქ არი, ირანში. მზემ დააღამა იმ დროს, ეხვერწებოდნენ ღმერთს, — დაგვიფარეო — და დიდი ამბავი ქონდათ. საცა რო სპარსელეფს ჩვენ ხალხი მოუყვანიათ, იმა ახლა უძახიან გურჯისტანს. ძიელ მიჩოული თ'ვარ ხარ, ვერ გეიგებ. ქართულს კი ლაპარაკობენ, მარა კარქათ ვერ გეიგებდი. ღორის ხორცი ქამეს ჩვენთან იმ ქართველებმა: კაცო, ჩვენ ქართველის ჯიში გვაქო.

გურჯისტანში ყავარი ვხადეთ 2 თვეს. ვიყავი შარუთში და ასტრახადში, ბერდენგეზში. ჩამოვდიოდი იქიდანნი. ნაძვის ხე იქ არ ყოფილა. არის თხმელა, ცხემლა, მუხა და უხრავეი — ძელქვას გავს, ძელქვას. არაფელ მასალაში არ დგება ისი. დგება იარალის მასალათ, სალაშინის ბუდეთ და ქულბაქის ბუდეთ და ხუშტარის ტარათ. კიდე ძეძვის ეკალი არი ბევრი. ბრაწოულის ტყეც არი. რო მეიბამს და გახედამ, გეგონება, ცეცხლი უქიღია რაცხასაო. ქერო აქ მანათიან ყურძენს უძახო-

დენ, ის მანათიანი ყურძენი, ასე უმბობდი, აქედან გადაღებულია-მეთქი, იქ ბევრი იყო ტყეში. ირანელები იმას თუ მოკრეფდენ, კი არ ჩაასხემდენ, ჭამდენ ყურძნათ. ქიშიშის ხე სხვა არი.

არაბეთშიც ვიყავი მე იქიდან. ცხენის გულისთვიან გაგვიყვანა უმფროსმა. სულ შავი ხალხია და კპილი თეთრი აქ. არაბებს ჭამა-სმა, რო ვთქვათ ჩვენე, კაი აქთ. 3 თვეს ირანში ბრინჯის მეტს არაფელს არ ჭამენ. არაბეთში ზამთარი კაი იცის, ზამთარი არც სპარსეთში იცის, მარა იცის მეტი მაგარი კირხლი-ყივნა.

არაბეთშიც და სპარსეთშიც ჩადრები ქონდათ ქალეფს.

ირანში იყო ზეგნელი კიკნაველიძე. იმან აქ მობოქა ხალხი და წეიყვანა იქა. 700 კვამლი ყმა ყავდა იქა. შაჰი რო ჩამოაგდეს, მაშინ ისიც ჩამოაგდო შაჰ-აბასმა. სპარსეთის ნეფე გეიქცა და ჩოუტოვა ეს ნიკოლოზ ხენწიფეს. სამი კონსოლი იყო იქა რუსის. ის კონსოლები ხელს ჩამოართმევდენ, კითხევდენ, როგორ ხარო.

იქ ვაკეთებდით ჩვენე ხე-ტყეს. მუხისას ყავარ ვხთიდით. მერე გაგვიყვანეს სახერხზე, გვახერხიებდენ ხელის ხერხით.

გაკვირდი, რო ვიყიდე საყიდელი, ჯოხი ეკავათ ხელში და იმითი ზომდენ ჩითს, თურმე ის მეტრიანი იყო. კაცი ჯოხზე გაზომდა, ჩვენ მიეჩერებოდით აქიდან. იქ იმ საზომ ჯოხს ჩანჯარს უძახიან. მეტროობა და კილოობა იყო იქა.

ძმა მყავდა ძიელ ავათ. წვევდი წამალზედ. კიკნაძე იყო, ის აქი-მობდა. ხარაგოულში ერთი ყმაწვილი კაცი ტირის. ყველას თხოვს: — თითო აბაზი მამიკრიფეთ, ქალაქამდი ჩევიდოო. ერთმა კაკალმა ფული არ აჩუქა. არც აცხონა ის ხალხი ღმერთმა, რომლებიც რო ძიელ დიდრები იყვენ!

5 მანათი მაქ ჯიბეში. მანათი უნდოდა წამალს. ზამთარია იმხელა, რო ღობის სარეფს ვერ დეინახთი კაცი.

—სილოური ხარ, ბიძია, შენე-თქო?— კიკნაძე ვარ მე გვარათა, ღარბხეველიო. მამაჩემი ბატონს გაქცევა აქიდანაო და ქალაქში დოუწყია ცხოვრებაიო. მე ბალაჯარში გუფექტი მქონდაო. მევიდა და დამინგრია ვასო კიკნაძემაო. მისი მამის ყმა ყოფილა ის კიკნაძეი.

ტირის ე ბოვში, ბოვში კ'არ არი, კაი ტოლო ვაშკაცია. — ქალაქში სახლი მაქ, ჩავსულიყავი იქამდი 5 თუმანს არ გამოუგზანდიო?

მივედი. მიხაკო ბუაჩიძე იყო. სამიკიტნო ქონდა.

— ამას ერთი ბოთლი ღვინო დაალევიე, კერძი მუუტანე და ფულს მე მოქცემ-მეთქი.

ჭამა ამ ბოვშია. ავდექი, დავახურდავე ეს 5 მანეთი. 3 მანათი მივეცი და პური — ლავაში უყიდე და უსაგძლე. რეიწერა ჩემი სახელი და გვარი. სახეზედაც ძიელ მაკვირდებოდა.

მე ზღვით მოვდიოდი. მოვდივარ, გამევედი ბაქოში. უნა მეკიდა საკმელი ბალაჯარაში. შევედი გუფეტში. ამ ბიქს მე ველარ ვცნოფ ახლა. მევეიკითხე პური, კერძები. მინდა კაზნიკაში ჩაეაწყო, რო მამ- შივდება, ეკამო. გუფეტი მისი ყოფილა, მე რო ბიქს ფული მიეცო მაშინ.

— შენე. კაცო, ბელაგორელი ხ'ვარ ხარო? გაჩერდი მანანო!

— კაცო, მატარებელი წავა. თუ მამცემ, მამეცი-მეთქი!

— ეერ მოქეიდი, ბიძიაო. რომელიძახა ვაგონში ხარ, თუ არ იციო, მითხარო.

თან აფხანაკი მახლავს მეგრელი.

რო მევიდა მატარებლის წასვლის დრო, მევიდა ეს გუფეტჩიკი, გოუმსია ერთი კაზნიკა პურით, ხორციო, ღვინით, თელი ქათამიც იყო. მევიდა ე კაცი და მკოცნის.

— ვინ ხარ, კაცო? — ვეუმბები მე. — რა გვარი ხარ? ვისი შვილი ხარ?

— შენე ეროსტი არა ხარ შველიძეო, ქალაქში რო გამომისტუმ- რეო? არავინ რო არ შემიცოდვა შენს მეტმაო...

— რა ვუყოთ მერე-მეთქი...

საამდი არ დეიძრა მატარებელი, ხელში ეკავა ჩემი ხელი. დარჩიო, — მეხვერწა. მე შახში მეჩქარებოდა. რო დეიძრა მატარებელი, 25 მანათი ჩამიღვა ჯიბეში ძალათი.

დასწავლა ქონდა იმას. რაც მეგრელმა ის ლოცა და მეც მლოცა: — თქვენ რო ბძანფეთ, შეხვთება კაცი კაცსაო, სწორეა.

გურჯისტანში გავიციანი ისი მე, ქურთის ქალი იყო. ლამაზი არ იყო. მარლი ქალი იყო. მარა ცხოვრება ქონდა ბევრი და არ მეშეებო- და. ბიძაები არ მეშეებოდა მისი. მოყვარე მეხვერწებოდა: შენი არ გვინდა მუშაობაი, ყელთამდე გაგამსეფთ ცხოვრებითო.

ჩენი რჯულის ენა არავინ იცოდა. ჩვენ არ შეგვეშევენებოდა, ქურთის ქალი რო მეთხოვა.

ჩემდენ ჯარდაგინობაში რო ვინმე ყოფილიყო, ქე მოკვტებოდა, მარა გამძლე ვარ.

(სოფ. ფარცხნალო)

76. დოლათიანი კაცი

ერთი მართალი კაცი ცხოვრობდა ზღვის ნაპირზე. იმისთანა, დო- ლათიანი იყო, რო ორ თორნე პურს რო გააკეთებდა, ერთს აკმევედა კვირის კვირობამდი ცოლ-შვილს, მორე თორნე მგზავრებისთვინ ქონ- და შენახული და თებზებისთვინ.

ბოლო დროს მივიდნენ სოვდაგრები და თხოვეს: 300 თუმანი ფული გვათხოვეო. გაასესხა ეს ფული მართალმა კაცმა. გეიარა სამა წელიწადმა და ფული შამეელია.

წვეკითხებოყე, იქნება მამცენო, — იფიქრა მართალმა კაცმა. წევიდა. შეეკითხა, უთხრაყე სოვდაგრეფს: ფული რო გასესხეთ, იქნება მამცეთო.

— შენი ფული რათ გვინდოდა? ვინ ხარ შენეო? — უყვირეს.

უჩივლა სოვდაგრეფს მართალმა კაცმა. დეიბარეს სოვდაგრები. მიცეს პასუხი მისთანა, რო კალონმა მართალი გაამტყუნა: შენ სა გექნებოდა ამდენი ფული, რო გესესხებიაო?

— ვასესხე, ბატონო, ვასესხეო, — ამბობდა მართალი კაცი.

ნიცეს იმას 9 წელიწადი, დეიჭირეს. 2 ვაჟი ყავდა მართალ კაცს, ცოლიც კაი ყავდა. სარეცხეფს რეცხამს, ბოვშები გაყავს რეკვით. გეივლის გემის მეგემი და ხედავს ამ ქალს. მეგემემ დეინტერესთა და გოუგზანა თავის საცვლები დასარეცხათ. გოურეცხა. მიწერა მეგემემ: თქვენი ხელით უნდა მამიტანოთ ე თქვენი გარეცხილი საცვლებო და საჩუქარი ჩემზე იყოსო.

ბოვშები მიატოვა შახში და წევიდა. როგორც კი მივიდა, წაავლო ხელი მეგემემ და შეათრია გემში. დარჩენ ბოვშები საწყლათ. დედა ქე წაართვეს და ვინლა არი. ამ ბოვშეფს მგზავრი ხალხი ხედამს და უმბოფს: ე ჩენი მართალი კაცი სა წევიდაო? აღარც ცოლია და აღარც იაიო.

ე ბოვშები საცოდავთ არი მიტოვებული. ერთი ერთმა ნაცნობმა წეიყვანა. მორე — მორემ. უთხრეს მერე, რო — თქვენ შეგიძლიათ მოჯამაგირობა და თქვენი თავის მოვლიო. ამოუჩინეს ხაზეინი. — ფულს გაჩუქებსთ და ტანსა და ფეხს გაჩუქებთო.

ი ხაზეინეფს ისე შეაყვარეს თავი. რო მეფემ გეიგო და წეიყვანა ე ძმები, დეიყენაყე ორივე ძმები ერთხელა მოჯამაგირეთ.

იანმა რო გეიარა, მართალი კაცი მევიდა. აღარ ქონდა სარჯელი. წამევიდა, მევიდა შახში, მარა არაფელი არ დახვთერია. მიდის და უნდა დეიხჩოს თავის თავი. იმ დროს იმისმა წილმა ანგელოზმა აფიქრებია: წავალ სადმე, ვითხოვლეფ და, მე თუ ვაქმევიდა, სხვაე მაქმევისო.

თავისი სახლის სარძიკველი დახვთა, თავი მიდვა და დეიძინა. სიზმარი ნახა: ამა და ამ მეფეს ამა და ამ ალაგზედაო. სარიყავი აქ. ამ სარიყავზე ერთი დიდი ტყემალი დგას, იმის ქვეშ არი ოქროს ფულები მიწკაპულიო.

მევიდა ე კაცი მეფესთან, ყველიფერი მოუყვა და თხოვა: ახლა არაფელი გამაჩნია და სარიყავი მაინც მამეციო.

— სარიყავი რათ გინდა. კაი მიწა მარნ გეთხოვაო, — უთხრა მეფემ.

მიცა სარიყავი. წვეიდა კაცი ამ სარიყავზე. არც ლაფათა აქ, არც კირკა. მივიდა ისევ მეფესთან და თხოვა: ერთი ლაფათა და კირკა მაჩუქეო, რო პაწია კარამი გავაკეთო და შევილო შიდაო.

აჩუქა მეფემ ე კირკა-ლაფათა. საანაც ნახული აქ სიზმარში, ნახა ოქროს ფულები. მოკრა მიწა, გააკეთა დიდი სახლები, გადმოჩერებია მეფე იქიდან. ეს კაცი სასახლეფს აკეთეფს. სიდან აკეთეფს, რაე არი? — ფიქროფს მეფე. მეფეს არ ედგა მისთანა სახლები.

მეფეს უთხრა: მოკამაგირეები მჭირდებაო. მეფემ გოუგზანა 2 ბეჭი: ერთგულები არიან ძიელაო!

მივიდენ ეს ბიჭები მართალ კაცთან, დეიწყეს ერთგული მუშაობა. დადის ხშირად ზღვის პირზე მეგემეი. გეიცნო მართალი კაცი და დოუამხანაგდა.

ერთხელ უთხრა მეგემემა: ოთახში ერთი რამე მყავს და, თუ ძაან ერთგული ვინმე ქყავს, გამომიგზანეო, რო ყარაულათ დავაყენოო.

მართალმა კაცმა უთხრა: ბიჭები მყავს მისთანაი, რო ცივ ნიაფს არ მიაკარებენო.

წვეიდენ ეს ბიჭები, მოუდგენ მეგემის ოთახის კარეფს. ყვებიან თავის ამბებს. დიდი ბიჭი უმბოფს: მამაი რო დეიჭირეფს, დედაი მეგემემ წაგვართვაო. მაშინ დაკრა დედამ ხელი: შამომტკრიეთ, შვილო, კარება: დედა ვარ თქვენო!

მეგემეი ამ მართალ კაცთან ქეიფობს. ბოლო დროს მეგემეი წვეიდა. მივიდა, გატეხილი დახვთა ოთახი. უთხრა ამ მართალ კაცს: შენ ბიჭეფს ოთახი გოუტეხიათო.

დენიშნა სასამართლო. მეგემეი ჩივა. მართალმა კაცმა იცნო თავისი ცოლი. გეიგო ყოლიფერი. მეგემეს მუენიქეს ჩამოხჩობა კალონში. ჩამოახჩეფს. ცოლი და შვილები მართალ კაცს ჩააბარეს. ცხოვრობდა მართალი კაცი დიდრულათ და მგზავრეფს პურს აქმევედა მას უკანაც.

(სოფ. ფარცხნალი)

77. ხვთისნია და დევიტადი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ყამდა ერთი გოგოი. დედ-მამა მოუკეტა. დარჩა მარტო გოგოი. სახლიც დეიწვა. ამ გოგოს აღარ ქონდა არაფერი ნადგამი. მერე შეეხვეწა ღმერთს: ერთი იმისთანა იღბალი მექნებოდეს, სახს ამიშენებდენაო. ეს გეიგონა იესო ქრისტემ, შეირთო ცოლათ და ოუშენა სახლი უსიერ ტყეში. ვინც არ უნდა მისულიყო, სახლის კარეფს ვერ გააღებდა.

ერთხელ მევიდა დევი, დოუძახა ქალს: კარები გამიღე, თყარამ

სახსაც დაეანგრემ და შენ მოქკლამო! ქალს შეეშინდა, ასტავლა: მილი, მავთული რო არი გამბულიო, გამოწიკე და გეილება კარებო.

შამოვიდა დევი და ე' ქალი შეირთო ცოლათ. ეს გეიგო იესო ქრისტემ და აღარ მივიდა იმ სახში. ამ ქალს ერთი შვილი იესო ქრისტეს ხელში ყამდა, რომელსაც ერქვა ხეთისია. ამ დევის ხელშიდაც გოუჩთა ერთი შვილი, რომელსაც დაარქვეს დევთადი. ესენი გეიზარდენ. დევმა და ამ ქალმა დააპირეს ამ შვილების მოკვლა, რალაი ჩვენ მაინც არ გვაცოცხლებენო. ხეთისია წინდაწინ გებულობდა ყველიფერს...

ეს ბლარები იყვენ სანადიროთ წასული. ხეთისიამ უთხრა დევთადის: მოქკვლევენ ჩვენეო. მივიდენ ეს ბლარები სახში. მამამისმა გეიწია მოსაკლავათ. მოკიდა დევთადიმ ხელი, დასცა ძირ და მოკლა. დედამისმა გაასტრო შვილევს და დოუძახა: თქვენ კარქ საქმეს არ გიზამთო! ამ ბიჭებმა თქვეს: ჩვენ ამ სახში ცხოვრება არ შეგვიძლიაო. გოუდგენ გზას და წევიდენ.

მათმა ბევრი იარეს. მოშივდათ. ხეთისიამ უთხრე დევთადის: მე ამ გზით წავალ, შენ — მაგ გზითო. ყოველ დილას ჩეიხედე წყალში, ამეილე წყალი მუქით. თუ იყოს სისხლივით წითელი, მამეშველეო. მეც ასე გავაკეთეფო.

ხეთისიამ ბევრი ინადირა, დევთადის არ უნადირებია. ხეთისია მივიდა ნაძვის ძირში, შეწვა წვადები, ძალღევსაც ძალიან ბევრი აჭამა. მალლიდან მოდის ერთი ბებერი, უთხრა: შვილო, შენი ცეცხლის სითფო მალლა ამევიდა და გთხოვ გამათეფო.

— ჩამობძანდი, გათფიო, — უთხრა ხეთისიამ.

— შენი ძაღლების მეშინიაო! აჰა, ეს ბუმბლი, შენ ძაღლევს ყურეფში ჩოუდევო. მიცა ბუმბული.

ხეთისიამ ჩოუდვა ძაღლევს ბუმბლი ყურეფში. მაინც არ მიდის ბებერი. — შენი თოფის მეშინიაო და ე კეირისტავი დაადევი ჩახმახზეო. ხეთისიამ ასე ქნა.

ახლა ჩამევიდა ბებერი, ხეთისიას მოკიდა ხელი და ჩეიდევა კპიათ.

დევთადი დადის, მარა ვერაფელი ინადირა. მივიდა წყალთან. ამეილო ერთი მუქი წყალი, ნახა, რო სისხლიანი იყო. გოუდგა გზას თავის ძმის მისაშველებლათ.

ბევრი იარა და მივიდა ამ ნაძვთან. ნახა ცეცხლის ნამთები, წვადები, თოფი და ძაღლები გაქვავებული. მიხვთა, რაშიდაც იყო საქმე. დაამთო დიდი ცეცხლი, თითვანაც ბევრი ჭამა, ძაღლევსაც აჭამა. მოდის ბებერი მალლიდან, დოუძახა დევთადის: შვილო, შენი ცეცხ-

ლის სითფო მალა ამევიდა, გთხოვ გაშათფეო. — ჩაპოდიო! — დოუ-
აახა დეფთადიმ.

— ძალღების მეშინიაო. მიცა ბუმბლი: ყურეფში ჩოუღევი ძაღ-
ღეფსაო. დეფთადიმ ბუმბლი ცეცხში ჩააღლო და დაწვა. მიცა კვირის-
ტავი: თოფის ჩახმახზე დაადევიო. ჩუპათ ესეც იქით გადააღლო, ბე-
პერმა ვერც კი გევიგო.

ჩამევიდა ბებერი ძირ, წაატანა ხელი დეფთადის. ღონიერი იყო
დეფთადი. — აჰა, ძალღებო, დატრიალდითო!

დეეტაკენ ძალღები ბებერს. — ნუ მაკლავ და შენ ძმას მე გამო-
ვანებო. ჩეიყო პირში ხელი, ამეიძრო უკანა კბილი, გამოჩთა გამ.თარი
ჭვთისია.

— აჰა, ძალღებო დეეტაკეთო! — დოუძახა დეფთადიმ ძალღეფს.
დეეტაკენ და დაწიწენეს ბებერი. სინამღვიღელში ე ბებერი იყო მათი
ღელა.

იქ ქატო, აქ ფქვილი, იქ ნაკვერცხალი, აქ მაკე ცხვარი.

(სოფ. ზარანი)

78. დიდარი და ღარიბი

ცხოვრობდა კაი მაგარი ვაჭარი. დიდრათ იყო. ამ ვაჭარს ყავდა
ერთი წყვილი ბიჭი. ახლა იმის გვერთში ცხოვრობდა ღარიბი კაცი.
ხიზანი ბევრი ყავდა, მარა ყოველთვის ქეიფობდა და იმღეროდა.
რამდენი გეივლის ეს დიდარი, ხედავს ამას. ვაჭარი დაფხავებულია,
გალახული, ღარიბი კაცი სუქნათაცაა. ადგა ეს ვაჭარი და უთარა
ღარიბსა, რომეო — მე ყოლიფერი მაქ და დაფხავებული ვარ, არ
მეღღერებო. შენ კარქათაც ხარ და იმღერი, არაფელი კი არა გაქვსო.
— შენ რო იცოდე, რატოა ასე, მაგას არ იტყვიო, — უთხრა ღა-
რიბმა.

ერთ ღამეს ჩუმათ ამ დიდარე ვაჭარმა ერთი მეშოკი ოქრო მუ-
ღუვა კარეფში ამ ღარიბს.

კაი ბილბანდი რო არი, კაცი გარეთ გამევიდა და დეინახა ესე,
დოუძახა ცოლს: ქალო, ვილაცას მოუტანია ესეო. შევიტანოთ
შიგნითაო! თუ გამოუჩთეს პატრონი, ქე მივცეთ, თვარა ქე ქვეონ-
ღესო.

ეს ამწელა მეშოკი ძლივა შეათრიეს. გევიდა ერთი თვე. პატრო-
ნი არ უჩთება. დაამტკიცეს, რო შერჩათ. ქალმა უთხრა კაცს: ადა-
მიანო, მაგას ნუ მოვაკლფეთ. უმატოთო. ძუნწობენ, ველარც ქამენ
კარქათ, უმატებენ ამას. გახთენ, ხორცი აღარა აქთ.

მევიდა ახლა ეს დიდარე ვაჭარი ამ კაცის სახში. დიდარემ კითხა:

— რა დაგეპართათ? აქნობამდი სუქანი იყავით, იმღეროდით, ახლა რაშია საქმეიო?

— რამაც შენ დაგაფხავო, იმან დამაფხავა მეცაო. მე ხო ეშმაკისძეინ ვინახეო, შენეო, შენც ეშმაკისძეინ ინახამო! — უთხრა ლარიბმა.

ადგა და გაამჟღამა ამ ვაქარმა: ე ოქროო მე მოგიტანე კარებზედაო. ფული მისანა თვისებისა ყოფილა, თუ ბევრი გაქ, უდარდოთ ვერც ქამ და ვერც სვამო.

ეს მალა მართალია. სადაც დიდარეა ძალიან, იქა სიძუნწეა მეტო. ეს ზღაპარი ვარგიყო?

(სოფ. ზარანი)

79. ჩემი ქალაბანი

სიჭარე უნდა ნახო კაცმა, სიტკპოს გეიგეფ მერე. მამა ადრე მომიკეტა. მამაჩემს დეეტოვებია ვალი 500 მანათი. ბიძამ, დედაჩემის ძმამ, ზოვშეთს გვაჩუქა ძროხაი. ვიქნებოდი 5 წლისა. — ეს ძროხა მომიყვანია შენთვინაო. ერთ ღორსა და ხუთ ფუთ ღვინოს მე ამოგიტან ხომეო, — დედაჩემს უთხრა. შენ მეზობლეფს არ ვათქმევიეფ. ვერ. ნხთის დღეობასაო. დღეობაი იცოდენ გიორგობაი.

გავმართეთ ორი ძროხა, ღორები გავმართეთ. მევიდა მოვალეი. მიეყვანა პრისტავი. ადგა და აგვიწერა სუყველაფერი. გამევიდა 15 თუმნისი. დაქვია ისევ-ისევ ვალათ 35 თუმანი. მამასახლისმა უთხრა მოვალეს:

— რა გინდა, რო უქნაო? ასლა რაღას წეილეფო?

მოვალემ იტირა:

— ქონება ადარ არი, ახლა დევილუბეო! მე ბევრი მეგონაო.

ზოვში ვარ და ერთი ჰატარა დეკეულია, არ ვატან.

— არ ქცხვენია. შე ოხეროო, — უთხრა მამასახლისმა, — ერთ ხფოს არ უტოვეფო?!

ჩაფრენილი ვარ ამ დეკეულს ხელითი. დამიტოვეს. გამეხარდა. მოვაშენეთ. 3 წელიწადი უყურეთ მის თავის დაცვას.

7 წლიდან იმყამდა საქონელი. 18 წელიწადი ტყეში ვეგდევი. ჩემი ქალაბანი ჩემი ფეხი გულეები იყო. სა იყო ქალაბანი!

აქანა ცხოვრობდა ჩვენი სახლიკაცი. მაგრათ ცხოვრობდენ. პატარა ვარ და მივდივარ გზაზედ. ქვედა გვერძე ღობეი ახლაც ისეა. კაი უაჯადახიანი კაცია. უთხრა შვილსა, რომეო — გვერგვი მამიტანეო. ღორზალას აკეთებდენ გვერგვათ. ხიმის ღობეს უნდა. წამოვხტენდი
ზ. გ. ძოწენიძე

და მე მუუტანე. ამ კაცმა თქვა: — ნიკოიას ბიქია ესე, გლახასიო? მერე თავის შვილს უთხრა, რომეო, — ე გლახის შვილი გაჯობეფთ ოქვენეო — და გადუსვა სახრეი.

გაქირვებაში გევიზარდე. სახზე ზეიდან ჩალა იყო დაფარებული, მერჩი კ'არ ქონდა და რამეი. კვამლი სახში ტრიალობდა, ჩამოდიოდა ქვენთხი, თოვლმა რო ლლობა დეიწყო.

დედა ფეხიშველია. მევიდა, დაჯდა, თან კვამლი ქრის თვალეფს. საბანი კ'არ იყო. იყო ჩალის კონაი დადებული იქათ გვერძე და მიწოლილი ვიყავით. რო გამოგეყიტეთ ბლარებმა თვალი, დამჯდარა დედაი და ტირის: ბლარები მიწყებუა კვამლის გამოო. რო მოთოვდა, წყალზე გასვლა არ შეგვეძლო.

ახლა რო გათენდება დილაი, დედა ბლარს უკან მიდემს: კამეო. ჩემ მახსოვრობაში დედა არ გამომკიდებია უკან. რო გამოაცხობდენ კადს, დადებდენ, მივესეოდით და ვჭამდით. ყველი სა იყო, კაცო?

ხალხი, როგორც კენჭი, ისე იყო.

(სოფ. ზარანი)

80. სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებიდან

სერგო ორჯონიკიძეს დედა რო მოუკეტა, 6 დღის იყო. გააბარეს ჯერ იჩიტიძის ქალთან. 6 თვე იყო მასთან. როცა რო რძე გოჟშრა ამ ქალს, გადმეიყვანეს ბიწაძის ქალთან. მასთანაც 6 თვე დარჩა. მას უკან წამეიყვანა ბიძამ და დეიდამ, რომელიც ცხოვრობდა იმავე სოფელში, ღორეშაში. მას ყამდა 2 შვილი და სერგოც მათან იზდებოდა.

სკოლის ასაკის რო შეიქნა, მიაბარეს ღორეშის სამრევლო სკოლაში. მას ასწავლიდა მასწავლებელი ციციშვილი. ახლაც ცოცხალია ისი. მერე ზარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა, მას უკან თფილისის საფერშლო სკოლაში. დაამთავრა 1905 წელში.

სერგო რო ბოვში იყო, სერგოს ბიძას ყამდა ძალიან კაი ცხენი. ეს ცხენი სერგომ იმდენი აჭენა, რო მოკეტა. ბიძამისმა ამ ცხენის სიკეტილი სხვას დააბრალა, როიცა რო უნდა გედეხადა ამ კაცს, სერგომ უთხრა: მე მოკვალი თითვანაო. ამ გლენს აპატიეს მისი გადახთაი. სიმართლის მთქმელი იყო.

სერგოს ბიძას ადგილები ქონდა საიჯაროთ გაცემული ხინაძეებზე. როიცა რო სიმიდს ანაწილებდენ, სერგოს ბიძამ, დავით ორჯონიკიძემ, გლენეფს უბძანა: ჯერ ჩემი სიმიდი მამიტანეთ სახში და მერე თქვენი წილადი წეილეთაო.

სერგომ ბიძას უთხრა: რატომ უნდა წვილონ ჩვენი სიმილი მაგათაო? თუ მოქცევდნენ რამეს, ჩვენ წვეილოთ ისიო.

ხშირათ სერგო თავის პერანგს ჩააცმევდა გლეხის ბლარეფს.

ერთხელ, როცა რო სასწავლებელში მიდიოდენ სერგო და მისი ბაძაშვილი სანია ორჯონიკიძე, სანია ცხენიდან წყალში გადავარდა. სერგო მაშითვე გადმოხტა, ცურვით დეედევნა და გადაარჩინა თავისი გულის ბიძაშვილი.

საფერშლო სკოლაში რო სწავლობდა, ღორეშაში აცვლებდა თავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციეფს. ერთ-ერთ ასეთ დროს მას დასაქერათ დეედევნა მამასახლისი ვლადიმერა სახვაძე. გლეხმა ჯიბო სამხარაძემ სერგო ორჯონიკიძე თორნეში დამალა და ფარჩხი დააყარა ზედ.

როცა რო სერგო გუდაუთის მახლობლად იარალს არიგებდა, მალულათ და უკანასკნელი იაშვიკი მოაქვთ დროგით, მაშინ ჯანდარმებმა დააპატიმრეს ისი. 6 თვის განმავლობაში ყამდათ სერგო დაპატიმრებული. მას უკან გამოუშვეს თავდებით. 1907 წელში დააპატიმრეს. სერგო ვერ გადასახლეს, რადგანაც აზნოუშვილი იყო. როცა რო მოვიდა ბძანება იმპერატორის, სერგო გაასამართლეს და მუჟსაჯეს გადასახლებაი.

სახში მეიწერა, რო — აზნოუშვილის წოდება ჩამომართვესო. ამ წოდების ჩამორთმევას არ ვდარდოფ, ხოლოთ ამას მოყვება ჩემი გადასახლებაიო.

მართლა გადასახლეს მას უკან.

(სოფ. ღორეშა)

81. სიმიდის მოყვანა, ვენახის მოვლა

პირველათ დახნევენ და მოთესენ სიმიდს. ამოვა და გამარგლიან, მერე მეორეთ გამარგლიან, მერე მოტეხევენ, მერე მიაქთ ი გარჩეული სიმიდი, ანაწილებენ მუშახელზე.

ვენახს გასხლევენ, მერე თოხნიან, მერე მოსარევენ, მერე ღორდი რო გეეზდება, კონიან. მოასხურებენ წამლით სამჯელ-ოთხჯელ, მერე დამწიფდება, მოკრეფენ.

პატარა კურს ქვია ქვევრა. სარცხლით რეცხვენ და სილით. მერე გოგილდს ამოუკიდებენ, მერე ჩაასხმენ ტკვილს, დაახურევენ სარქველს, სადულარი — სასულე — უნდა გოუყეთთეს. აყალოს უკეთებენ, მერე სამაშნავს მიაყრიან (ხო შავ მიწას) ზედ. ვენახი ჩაყოლებულია შაკში. ეგ არი სულ.

(სოფ. ღორეშა)

— უმაღამდელი ამბები ოლისიმეს ახსომს კარქათ. ალან-მართალი კაცია. „ყე“-ს საცინათ ვიგდეთ ჩვენე. ბანცადის ქალი იყო ერთი, იცოდა „უთხარიყე“, შროშიდან იყო. ლორეშაში „ყე“ არ ვიცით.

— ლორეშა რატო ქვია. ბიძია, და, როცა მევიდენ, ეს ხალსი ჩეესახლენ, თა იყო ეს მიდამოები და გარეული ლორები იყვენ და დაარქვენს ლორეშა.

ჩვენში ორი უბანია: ერთი მდინარე კვადლოურის მარჯვენა ნაპირზეა, შორე — მარცხენაზე. კტისძირი საცაა, ორჯონიკიძეები ცხოვრობენ. მთის პირას ქეზეითია. საჯვარე დაბლობი არი, რუხუთი ცენტრია.

— ე, დოუგდე ყური! ისინი არიან ახლა, კურტანიძის ხალსი მოკონიან ჩალას. აბა, რას იზმონან! ზოგი გაარჩევს, ზოგი მოკონამს. ე ისინი ახლა თან ჭრიან, თან შეკონიან. აღარ ფენია ჩალა იქა? მოსაჭრელი არი ამ ზეით.

— რავო ვქნათ? წევიდეთ?

— მე თითვან გავყობი ამას.

— თავათ მუშაოფს ვერიაი, ძიელ მარჯვე ქალია. ჩემი შეილიშვილები გლემურჯეები არიან.

— ოლისიმეს რაღა მოუძლია ახლა... შარშან ცოტეთი კიდე იმუშავა. გული არ უდგება და რავო ვქნა...

— ხედამ? დაბულულეგებულია ესე! სა მიდიხარ?

— ახლა სამუშევრათ ვარ წამოსული.

(სოფ. ლორეშა)

83. „ქორის ქათამი“

ჩენი გვარი უნდა მოსულიყო მუხურიდან. ვარდოსანიძე ვართ. თურმე „ქორის ქათამს“ ეძახოდენ, ბატონს მიქონდა. მოაგზანა თურმე მოურავი. ჩენი ძველი ღვინოს იღეთს.

— ქათამი რო უყავიო? — დოუძახა.

— გადმობძანდიო! — ამან უთხრა. გადმევიდა თურმე და ტკეციცა ბარი ყვრიმალში, გაავორა ჭური თავზე. მიაგლო ყველიფერი და გამეიქცა.

წამევიდენ და ძირულას ზეით მოდიან თურმე. ღვინახა ქაიხოსრო აბაშიქმე.

— ეინ ხართ თქვენეო? — კაცი შამოგვაკვდა და უნდა დევიმალთაო.

— აქ იყავით ჩემთანაო.

წამეიყვანა თურმე და. სარგეშს უძახით, იქ დააყენა, ეგერ რო კტის ძირია.

იქ იყო ჩვენი ბატონი ორჯონიკიძე. ვიყავით იქა და მერე კირი გაჩეხილიყო, დეეტოვებით ბატონი აქა და წასულიყვენ სამთავში. ის ბერიკაცი ბაბუა იყო ჩემი. ის დაბადებული იყო იქა.

— სა მიხვალთ თქვენო?

— ჩვენ სოფელში კირი აღარ ყოფილა და იქ მივალთო.

დაკრეს ხელი და წევიდენ. მერე ჩვენი ბატონი ქე გამწყტარიყო და წერეთელს დაეჩით. იმ წერეთელს ბაქრაძისთინ ეჩუქებია ჩვენი თავი და მერე ბაქრაძის ვიყავით დარკვეთში. იქ დევისნენით თავი. მერე ბატონი აღარ ქვეამდა. მას უჯან აქა ვართ.

შინაყვები რო დეითხოვეს, მაშინ დევიბადე აქა. მამაჩემიც აქ დაბადებულია.

44 წლის ვარ ახლა. მოხუცებით მოსხლეთილი ვარ, ველარაფერს ველარ ვაკეთებ. სნეული არ ვყოფილვარ.

მახსომს, რო ნამთი არ იყო. 15 წლის ვიყავ, ნამთი რო შამევიდა. უმალ ისე გვეზარებოდა, საკმელს ველარ ვკამდი. დედაჩემი სოფლური ექიმი იყო. ხათუნა ერქვა დედაჩემს. საინი შემოსულიყო, ორჯონი. მერე დეიწყეს ნათხოვრობაი. უმალ სკამი, სტოლი და საინი სა იყო!

ნიკიძეფს ქონდათ. ვარანცოვი ეხატა ზედე. დედაჩემა მეიტანა ერჩემი დედაი სტუმარი რო გვეწვეოდა. ჩოჩობზე დაულაგებდა პურს და საკმელსა. კათხაი ვიცოდით ხოლმე. კათხაი. ხე არი, ხეი, ხარატულში გამოყვანილი. ფეხიანია, ოტკის რუნკებივით არი, ოლონ დილია.

ჩარექაზე მეტი ჩადის. თავი სმელს იმას მუუტანდით. ის სადლინძელოს იტყოდა იმ კათხით. მერე კიდე დააყოლებდა. მანამდი კულა იცოდენ კილო. ახლა აღარ დამინახამს და მანამდი ქე იცოდენ. კინქილა სულ პატარაა, უნიკარტოა, რაკრაკი რო იცის.

სახში? სხვა ჭურჭელიცა გვაქ, აჰა! საწყეო ჩაფში ჩადის 18 ჩარექა. თვრამეტჩარექიანია გასაყიდელი ლეინისი. ამითი მიურწყამდენ ლეინოს. არი ორჩარექიანი ღოქი, ერთჩარექიანი, პატარა ჩაფია კიდე 15 ჩარექიანი.

ე ისი? ე ისი ჩაფულა არი, შე ქალო, ხარადოქი მოზდილია, ნისკატიანი, სამარნე ღოქი — ნისკატიანია, ერთი ფუთი მან ჩავა.

თუნგულა უნიკარტოა, პატარა. კვაწიაი? ლობიოს მოსახარჩი ქოთანია.

საინი და სტაქანი სა იყო. მერე შამევიდა, უმალამდელი ღრო ასე იყო.

სახელეფსაც დაწერამ? აბა გეტყვი: კვედურა, დინარეი, ყოფს

სოფელს ორ უბნათ. ელუბრა პატარა დინარეს ქვია. რუხუთი იმიტომ ქვია, 5 პატარა რუა შეერთებული. კტიძირი კდის ძირშია, საჯვარე სასაფლაოსთანაა. ქეზეი ქედზეით არი. ოქონა იმიტომ ქვია, ოქონობა იციან დღესასწაული. მარიამწყაროს წყაროს სახელი ქვია, მგრეა ქვედა ღორეშა, კეკეთხოური.

(სოფ. ღორეშა)

84. სამი ჟახალი

იყო სამი ძმები, სამივე ყაჩაღები. დიდხანს იარეს ამათმა. დევდენ, რო დეესაჯათ, მარა ვერ შეიგდეს ხელში. მათ რო მოციქდათ ტყეველში სიარული, ადგენ და მეილაპარაკეს, რო თითონ შერიგებოდენ.

მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს მივიდენ ხემწიფის სასახლესთან. დაჯდენ სამივე ძმები. ლაპარაკობენ. მიცეს უფროს სიტყვის ნებაი:

— რას თხოვ ხემწიფესაო?

— მე ხემწიფეს ვთხოვ, რო გამათავისუფლოსო, მუქარა არ გამომიცხადონ და იარალი მქონდესო.

საშვალს მიცეს სიტყვის ნება: თქვენ რას თხოვთო?

— მე ხემწიფეს ვთხოვ გათავისუფლებას და რამოდენიმე ოქრო და ვერცხლი მამცესო.

უნცროსმა თქვა: ვიყო მე თავისუფალი და არაფერი არ მინდა სხვა, ოღონდ ხემწიფის შეილთან დამაწვინაო.

ეს ლაპარაკი ეყურება ხემწიფის კარისკაცს. შედის ეს კარისკაცი და ეუბნება ხემწიფეს ყველიფეოს. კარისკაცს ავალებს ხემწიფე— უთხარი, გამოცხადდონ ჩემთანო. კარისკაცი თხოვს ძმებს, რომ გამოცხადდონ ხემწიფესან.

მივიდენ სამივე. ხემწიფემ უკვე იცის ის ამბავი. — რას მთხოვთო? — კითხა ძმებს.

უთხრა უფროსმა და შოუსრულა ხემწიფემ.

შაშვალი ეუბნება: მამეცით თავისუფლება, იარალი და ოქროვერცხლიო. ამასაც შეუსრულა. მიდიან.

უნცროსი ძმა დუმდება. პასუხს ველარ აძლევს. ძმები წვევიდენ. ეს მარტვაა დარჩენილი. არ მოეშვა ხემწიფე: რასა მთხოვო?

— მარტვა თქვენ ქალიშვილთან დაწოლასაო.

— შენ თხოვნასაც შევასრულეფო.

ლამდება. დააწვინეს ხემწიფის ქალიშვილის ოთახში. დოუყენეს ოფიცრები ყარეულათ. ბიჭმა თხოვათ: ერთი სიტყვის ნება მამეცითო.

— არ შეიძლებაო.

მეფეს კითხეს, ნება მიცა.

ბიკმა დეიწყო ლაპარაკი, თავისი თავგადასავალი. ხელების მოქმედება დეიწყო ამ ბიკმა და თან ამ ქალს უახლოვდება ხელების ქნევით. ყვება: ერთხელ ძაან გაკირვება შექვხვთაო, შევედით ტყეში. ამ მხარიდან გამოვარდა კურღლელო. მორბის... ჩემამ ძმამ ესროლა, ვერ მოკლა... ვესროლე მეც...

— რა ქენი მერეო? — იკითხა ქალმა.

— რა ექენი და დავკერი ფეხში. მარა ისე ხტუნვით მომისიახლოვდა, რო ხელით ასე დევიკირიო... ეს თქვა და გედევხვია ამ გოგოსა...

გააძვრეს ხმლები და უნდა მოქრან თავი ამ ვაჟსა. გოგომ უთხრა: გადით გარეთაო ჩეხუტენ...

დილა გათენდა. არ ჩამნან არავინ. მივიდა ხემწიფე, — რალას ნახავს: გოგო და ბიკი ჩახუტებულა. დაკრა ხელი და წევიდა. ამ ბიკს დარჩა ხემწიფობა.

(სოფ. უჩამეთი)

85. თევზაობა

უჩამეთს ჩოუდის ჩხერიმელა და ყარნება. მათ შორისაა ჩვენი სოფელი მოთავსებული. ხშირათ ვთებზაობდით. ჩხერიმელაშია ქაშაპი, წვერა, ლორჯო, ტაფელა, კიდეა ვენახა: ესეც თებზის სახელია. ხანდახან ხელაობით იჭერენ თებზს. ქვას ქვეშ შოუყოფ ხელს და გამეიყვან თებზს. შეიძლება დაწრებით გამოყვანაიც: ქვეფს ჩაყრი, ფირჩხეფს. სხვა კუთხეზე გოდუშვეფ წყალსა და დეიჭერ თებზს. იჭერენ კიდე ანკესითი, კიდე დინამეტიით. თენგიზს ბევრჯელ დოუჭერია ხოლმე თებზი. ხელაობით მე თებზს არ ვიჭერ. თარალში შოუყავი ხელი და გამეიყვანე თებზი — ესე რა თებზაობაა! მე ბადეთი ვიჭერ ხომე.

ერთხელ წვევდი ჩემი ორი ბიკით სათებზაოთ კალმახზე თაში. ამ თის წყალს ქვია საკრეულა. ეს არი ახალციხის მხარეზე. მოწმენდილი დღე იყო, როცა თებზავი დეიწყეთ. ვნატრობდით, რო გაავდრებულიყო. წყალი ამღვრეულიყო. მართლაც გაავდარდა. შეიქნა ძალიან ცუდი ამიდი. მახლავს ორი ამხანაგი კიდე. 2 კილომდი თებზი მქონდა დაჭერილი, რო ძაან გაავდარდა. პატარა გამოქვაბული კტე ვნახეთ და იმის ქვეშ შევიფარეთ. ავდექით და შევეცადეთ ცეცხლის დანთება. ცეცხლი დავამთეთ, დავთფით ძალიანი, კალმახი ამოვალაგეთ სათებზე კალათიდან. შევწვით, ვისამხრეთ. მევიდა წყალი ძალიან დიდი. იქ დარჩენა არ შეიძლებოდა. სხვათა შორის. ამ წყალს ძალიან დაქანება აქ და სისწრაფით მიდის.

თებზავს თავი დაჯანებეთ. ერთი ბიკი კტეზე ავსვი და მეც ვევი. როცა ჩემამ ამხანაგებმა და უფროსმა ბოვშმა შექვხედეს. იმათმა სხვა

ხერხი იხმარეს და გამევიდნენ წყალში სხვა მიმართულებით. შკერ-
მა ვადმევიდნენ. ამის შემდეგ წამეველით სახში.

(სოფ. უჩაქეთი)

86. მოჯამაბირედ

პლატონ აბაშიძეს უღეკი მოჯამაგირეთ უჩამეთში. 20 მანათს მაქ-
ლედნენ წელიწადში. ბატონს კიშკარი ქონდა ხისი. მაშინ ქაიხოსრო,
მა მისი, ცოცხალი იყო. პლატონი, კოლა და ანდრუშა ძმები იყო.
ქაშკართან კაცი ყამდა იმას.

— მამეცი ნება შევიდო ბატონთანაო, — ი კაცისთეინ უნდა გეთ-
ქეა. იწ უნდა დაკითხოდა ბატონს. თუ დართამდა ნებას, გაგიშობდა.
ღედა ემისი იყო ბარბალე წულუეიძის ქალი. რო შევიდოდით თთან-
ში, დაგვიძახებდა: გლეხკაცის სული გიდის, არ დამენახო! არ
გაგაჩერებდა იქანა.

ღედა რო ყაედა ბატონს. დაფქულს მირწყემდა მუქით: ეს 5 კა-
დის არიო წეილე. ბიქო, გააკეთე ესიო.

წმითდა, ვერ ვძღებოდი. სა წევიდო? სახში მამაჩემი მლახამს,
არ მოხვიდეთ. აგერ თუნგულაში წყალი მაქ და გადაყვანწაედი.
ცხელი ქადით და ცივი წყლით კბილები დამძვრა.

სა იყო საქმელი ჩემთვინ! ნახინკლეთს მამიყრიდენ, თავის ნაღ-
ლოკ ძელეთს დამიწყობდენ.

ერთი პაჩკა პაპიროსიზა ხარაგოულში უნდა წავსულიყავი. უყიდ-
დი, მოუტანდი ხომე. ერთხელ პურზე გამგზანეს. იმ დამეს შიერი
ფიყავი, ხარაგოულში ვიყიდე ესტატე ბერძენთანა. გამოვგულე პუ-
რი და მოუტანე. — ანგრე მამყიდა მეპურემ-მეთქი. გამოხრუნტული
იყო. მიხვთენ და გამიწყურენ.

რო გავათავე ვადი, 20 წლის ვიქნებოდი. მერე წევედი შახში.
ერთხელ ჩვენი ხარები დეიჭირა ი კოლა აბაშიძემ.

— კოლა აბაშიძე, — მე უთხარი, — გამოუშვი ჩემი ხარები. თვარა
შენ ძროხას დავკლამ-მეთქი! თავის ხელით გამეიყვანა მერე ი ხარები.

მესამე წელიწათს, კტის წყარო რო გამოდის, იქანა შამომხეთა.

— შენეო, ბიქო, ვის უბედავ ამდენსაო! გამიშალა და მცეცხლა
დამაწყებია ცახცახი.

— ნუ კადრულოფ მაგას, თვარა აგერ ხო ხედამ, რამდენა რიყეა,
ამას დაგირთამ-მეთქი! მას უკან ჩამემხსნა.

წევედი მერე ქიათურაში, მალაროში ვმუშაობდი. ერთხელ მე-
ვემწყებრი ტუნელში. 15 კაცი ვართ. ჩამეინგრა ტუნელი ყელში.
ვიგულებით ახლა შიდა. პოდრაჩიკი იწიწყნას წვერეთს, რა მამივიდაო.
რომელიც კრის კირკითი, იძახის: გამაგრდითო. მორე ტუნელიდანა

შამოდის ხმაი. მორე ტუნელში გევედით და გამევედით იქიდან. პოდ-
რაჩიკი წერეთელი იყო კათურიდან.

კიათურაში კრებებზე დავდიოდი ჩუმად. წითელი რაზმივით ვიყა-
ვით ჩვენე.

ძას უკან სოფელში რო ჩამევედი, ცოლი ვითხოვე. ჭერ ნიშანთ
მუტანე: ოქროს ბეჭედი, გულის ბროშა. მერე ვიქორწილეთ.

(სოფ. უჩამეთი)

სახხერის რაიონი

1. ფერმა

ფერმაში არი სხვილფეხა საქონელი, ცალკე გეიბია მეწველი, ცალკე მოზარდული, ცალკე კიდე გამწვევი ძალა. მაგათ ყამთ წყესები — მამვლელები, რომლებსაც იქვე აქეთ ბინა. მწველავები წყესებში შედიან. თან წყესვენ, თან წველიან. ზამთარში ადგილობრივათ ვწყეს-სავთ და ზაფხულზე მთაში.

საქონელს უყრიან საქმელს ბაგაში. ქამის შემდეგ რო უვარგისი ნარჩენები დარჩება ბაგაში, ისაა ამონაბაგი. ზაფხულში საქონელი ყვინჭორის საძოვარზე დაქვეყავს, რაქვას უახლოვდება. საძოვარზე გვაქ მოწყობილი საჩეხები, ქოგრებით არი შამორაგული. სახფორე და საძროხე გადახურული გვაქს ტოლით. ხარები სხვა საძოვარზე ქვეყავს, ძროხებთან არ არიან, ხიხათაზე არიან. მიდორში არიან დღე და ღამე. დახურული არი წყესების ბინა — ქოხი II კარამი, რომელიც მოიწვენება წკნელით ან უბრალო ყორით ააშენებენ და დახურავენ ტოლით ან შიფერით.

ძროხების საწველი ადგილი მთაზე ცალკე გვაქ, ფარდულს ვეძახით. საწველი ფარდული წკნელით შამოლობილია და დახურულია ზევიდან ტოლით.

საქონელი ქამს ბალახს — სამყურას, ფურველას, ღინჭა ბალახს. ღინჭა რძიანი ბალახია, მალალი იზდება. ცხენმა და ვირმა იცის, მობიწკნის ბალახს, ფესვებს გამოაჩენს, საქონელმა იმდენათ არ იცის ულიძლამოთ ქამს.

ვწველავთ ვედროეფში, ჯიშკვი აქ ზოგ ძროხას და, რო მოწველი, არ ემჩნევა. მერე გვაქ საზომები და ვზომავთ რძეს, ვწურავთ 50-ლიტრიან ქვაბეფში, ვაძლევთ პეპსინს ან საკიდელს და ამოვიყვანთ ყველს. ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილი სითხე არი შრატი. შრატი რომ გადმოდულდება, ხაჭოს მივიღებთ. ნაღულის მერე რჩება შაქი, წაქი შეიძლება ხბეფს დავალევიოთ.

ყველს ვღებთ ჯამებზე, დაწდება და სალამოს ჩოუშვეფთ ბოქკაში

ან ცემენტის ბასეინში. დერგებში ვინახავთ ყველს ოჯახში. ყველი ამოყვანისთანავე თვარ ჩააგდე წათხში, აფუნდება და დეისრუტება.

(სოფ. ბაჭითი)

2. მსხვილფეხა საქონელი

მსხვილფეხა საქონელია ძროხა, ხარი, კამბეჩი... წვრილფეხა ცხვარი, თხა. მაწველი ძროხების ცალკე ჯოგია, მშრალი საქონლისა — ცალკე (დეკეულები, მწარმოებელი მოზერები || ბულები). მოზარდი საქონელია, 2 წელს ზევით რომელიც არის. დახელილი დაკოდილი საქონელია, დოუხელავი — დოუკოდავი. დოუხელელ საქონელს გავატანთ მოზარდი საქონლის ჯოგს, ძროხებს უნდა გაატანო დოუხელავი საქონელი. ხბეები შედის სხვილფეხაში. საქონელმა იცის ნამატი, სხვადასხვა ფერისცაა, სახელებიც გვაქვს: ყვავილა — თეთრით ან წითლით კრელი, ეფვანა — ზოლებიანი კრელი, ველის წითელი — სულ წითელი, ერთფერი საქონელი: ნიკორა — მუბლზე თეთრით, ნოთია — მთელი თავია თეთრი, ფერდელა — ერთი გვერდი სხვაფერი აქვს, მეორე — სხვაფერი, ფარნა — მუცელქვეშ რომ თეთრია და კოჭებს ქვეით ორივე ფეხზე თეთრები რომ აქვს. ძაან გამხთარ საქონელს შეწუხებულ, დაჯანდაკებულ საქონელს ვეძახით, ძაან სუქანს — ნებიერსა. ბაჩა საქონელი პატარაა, დოლა ურქო საქონელია — ცხვარი. თხა ირემა საქონელი — დიდრქიანია, კუდალა — მოკლეკუდიანი, ფაშა საქონელი — დიდმუცელა, მარლი — რაიმე ზადის მქონე, რჩოლა საქონელი ან კვინტრიანი — წიხლს რო ისვრის.

სამაკინო უშობელი სამ წელს არის მიახლოებული და დამაკდება — თავს დაიცვამს. ცუდათ დაკოდილი საქონელი არი ჭანი, ბელწი — უშვილო.

ხბო არის ერთ წლამდე. ერთი წლის შემდეგ უშობელი (დედრ.) ან მოზერა (მამრ.). სახარე მოზერა უნდა იყოს 3 წლის ან 3 წლის ზევით.

ბატკანი არის 6 თვემდე, მერე დედა ცხვარი ან მამალი ცხვარი — ვერძი.

თიკანი თხის შვილია, 6 თვის შემდეგ ჰქეა მამალსა ვაცი, დედალსა — დარგი.

(სოფ. ბაჭითი)

3. თიბვა

ჩვენ გვაქვს სათიბები სხვადასხვა ადგილებზე, სადაც ვთესავთ ოახჯას. გვყავს მეველე. ცელით ვთიბავთ. პურის ყანაში ან სათიბში თავიდან ბოლომდე ერთ ხაზზე გაცეცილი პური ან ბალახი არის

ღვარეული. გვერდო ადგილეთში, სადაც ცელი არ უდგება, ვთბავთ სამგლით, ვაკეზე — ცელით.

ცელს გამოკვერვენ, პატარა დგვემლი აქთ და ჩაქუჩით (კვერით) გამოკვერვენ. პირი რო დოუსქელდება, უნდა გამოათხელო, მერე გალესავენ სალეს ქვაზე.

ნამგლით ნათიბს ნაფენს ვეძახით. თიბავს—მთიბავი. მოთიბვის შემდეგ დარჩენილ ბალახს ქვია ნარჩენი ბალახი. სანამდი არ განმეწა ბალახი, თივა არ ქვია, ახალი ჩათიბული ბალახია. 3 დღის მერე უნდა გადავებრუნოთ ბალახი, გადაბრუნების შემდეგ უკვე თივაა. უნდა შევავროვოთ ფიწლებით, დარჩენილი ბალახი ფარცხით მოვფორცხოთ. თუ ცული ამინდება და ვერ ვასწრეთ ზვინის დადგმას. ვდგამთ პატარა-პატარა ბულულებათ — დავებულულებათ. 3-4 შეგროვდება ბულული და გაკეთდება ზვინი. დაუფენთ ძირს საფენს — ჩალას, ხის ტოტებს. ზვინი დაბლა უფრო ფართოა, მაღლა და მაღლა ვავიწროვებთ რო წყალი არ ჩავიდეს. ურმით მოგვაქ თივა. სამკიდობელს გადავაკრავთ და შევეკრავთ ბაწრით ან ჯაჭვით. წვიმაში ახეტილი თივა არის დაწვიპული. ფიწლით აწოდებენ ზვინზე თივას.

(სოფ. ბაჭითი)

4. თხოვა-გათხოვება

თხოვა-გათხოვება ხთებოდა შეამავალის საშუალებით. კაცსა და ქალს აჩვენებდენ ერთმანეთს დანიშნულ ადგილას. ამას ქვიოდა ნახულობა. ამის შემდეგ ოჯახში ნახემდენ. ამას ქვიოდა გაჩხრეკა. მერე იყო მზითებზედ მორიგება. მზითები იყო ფული და ბარგი (ლოგინი, შკაფი, ხელით საკერავი მაშინა და ამისთანები). შემდეგ თუ შეთანხმდებოდენ, იხადილებდენ. ხადილის დროს კაცს მიქონდა ნივთი რამე: საათი, სამაჯე, ბეჭედი, ქინძისთავები, გულსაბნევი. მერე დაინიშნებოდა ჯვარისწერის დღე. ამ დღეს სიძეს უნდა წაეყვანა მაყრები, ვეზირი, ვინც თითვან სურდა, ნათესავები და მეგობრები. თან ორი ქალიც — პადრუქა. მერე მოხთებოდა ჯვარისწერა.

ეკლესიაში ქალის პადრუქათ იყო კაცის მოყვანილი 2 ქალი. ჯვარისწერის მერე წავიდოდენ ოჯახში პურის საკმელათ. წინ მიდიოდა მახარობელი, რომელსაც შეხვებოდენ შაქრით ხელში, შემდეგ მოვიდოდენ ნეფე-დედოფალი და გაიმართებოდა ლხინი. აირჩევდენ ტოლუმბაშს, უძახოდენ თავისშელსაც. ღვინოს ასხამდა მერიქიფე. პურის ჭამის დროს ნათესავები და ნაცნობ-მეზობლები თავგადასადებებს მიულოცავდენ, ზოგი — ფულს, ზოგი — ნივთს. პურის ჭამის გათავების შემდეგ ქალის პატრონიც აარჩევდა რამდენიმე კაცს და გააყოლებდა სიძის მაყრეფთან ერთად. იცოდენ მაყრულის მღერაც. მაყრებს

გაბატონდნენ გოჭის თავს, ხაჯაპურს, მოხარულ ქათამს, შამფურზე წამოცმულს. სიმღერით გაემართებოდნენ სიძის სახლისკენ. წინ მიდიოდა მახარობელი. მივიდოდნენ, დასხდებოდნენ სტოლზე და გაიმართებოდა მილოცვა-თავგადასაგდები. სიძე უნდა მისულიყო ქალის ოჯახში მესაძე დღეს უქალოთ. ამას ქვიოდა ჟეხისბრუნება. როცა მიიწვევდნენ, სიძე უნდა წასულიყო მოყვარეში. მერე სიძე მოიწვევდა თავის სიმამრსა და სიდედრს.

შვილი რომ ეყოლებოდა ქალს, მიქონდათ მისთვის ლოგინის ძღვენი — ღვინო, პური და ქათამი. რო მონათლაღდნენ ბავშს, ნათლისთვის ბავშვის მშობლებს მიქონდათ მკლავის ძღვენი — ღვინო, პური, დედალი მოხარული.

ბავშს სანამდი აკვანში დააწვენდნენ. აწვენდნენ პატარა ფიცარზე — ხოჭვიჭვიზე, შემდეგ გადაყავდათ აკვანში. აკვანზე დაკიდებული იყო ძიმი, რომელშიც ერია ღინჭილა, ფაიფურისაგან გაკეთებული, და გაველა ლოკოკინის ნიჟარას.

ბავში დაახლოებით 3 წლამდე — ბიჭიც და გოგოც არი ბზარი.

(სოფ. ბაგითი)

5. დღესასწაულები

წელიწადში რამდენიმე დღესასწაული იყო. ქრისტეშობაა 25 დეკემბერს. ამ დღესასწაულს ხალხი უქმობდა. ეკლესიაში წირვა სრულდებოდა, ხალხს მიქონდა საკურთხის შობა დღეს ეკლესიაში. ნაწირვებს ღვდელი აკურთხებდა საკურთხის თითოეული მიცვალებულის საფლავზე. საკურთხის კურთხევა რო გათავდებოდა. ხალხი სხდებოდა სასაფლაოზე მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ, მოუკითხავდნენ ერთიმეორეს რძღვენს — ხორცს, პურს, თითო ჰიქა ღვანოს. გაიმართებოდა პურის ჭამა. შობის წინ, რამდენიმე დღით ადრე, იცოდნენ ალილო, კარდაკარ ჩამოივლიდნენ ღამით. მღეროდნენ და საჩუქრეთს აძლევდნენ.

ახალწლის წინა დღეს დაკლავენ საკლავს, ლობიან პურეფს გამოაცხობდნენ. სიმიდს დაღერდნენ. ღერღილს მოხარშავდნენ. პურში ჩადებდნენ, უზამდნენ ქონსაც და მარილსაც. ძან რო მოხარშებოდა, დებდნენ პურში — ესაა ღერღილიანი პური. ამას აწყობდნენ კალათში. დილა რო გათენდებოდა. კალათს, რომელშიდაც იყო პური, ღორის თავი. ქათამი, ღერღილიანი პური, ლობიანი პური, ერთი დოჭი ღვინო, ერთი წვერი ამ ოჯახისა შამოატარებდა სახს, მივიდოდა კარებზე და დააკაუნებდა. დაკეტილ კარებს შიგნით იდგა ერთ-ერთი ოჯახის წვერი და შიგნიდან კითხავდა: — რა მოგაქ? — ხეთისა და ბატონის წყალობა, ჯამთელობა, პური და ღვინო... გოულებდნენ კარებს, ხელ-

ში ეკავა სანათი — წვრილი შეშა. მივიდოდა ანთებულ ბუხართან და შეუჩინჩხლებდა. აღიოდა ნაპწიელი და ეს ვუბნებოდა: ამდენი კაცთაძიერი შევილობა, სიუხვე, სიცოცხლე; ამდენი ღორი, ამდენი ქათაძიო! ეს იყო მამკვლიერი. მამკვლიერი და სხვები დაჯდებოდნენ მერე. რაც რამე იყო ამ კალათში, გაშლიდნენ სუფრას, შამოუსხდებოდნენ და მიირთმევდნენ.

აღდომის წინა ღამეს იცოდნენ, ჭონას ჩამეივლიდნენ. ჩამეივლიდნენ, ძღეროდნენ და ამას ჭონა ერქვა: აღდომის დღესასწაულს ულოცავდნენ. საჩუქრათ მიქონდათ შეღებილი კვერცხი. წირვა ხთებოდა ხოლმე ღამით. წირვის შემდეგ ხალხს მიქონდათ საკურთხი. აკურთხებდა ღვდელი მიცვალებულის საფლავზე და ამის შემდეგ ქეიფობდნენ, იცოდნენ ფერხული და გვიან ბრუნდებოდნენ სახში.

ხარება იცოდნენ 25 მარტს, თებზს ჭამდნენ. გზობა აღდგომის წინა კვირაა. შემდეგ ამალღებას დღესასწაულობდნენ აღდომის მე-40 დღეს. ამალღებას მერე რო ორშაფათი იქნება, იცოდნენ კოხინჯრობა. ამალღების მე-10 დღეს იყო სულთაობა მიცვალებულის საპატეცემოთ. ამ დღეს ყოველი ოჯახი აკეთებდა საკურთხს, მიქონდა ეკლესიაში და მიცვალებულის საფლავზე აკურთხებდა ღვდელი. სულთაობის მეორე დღეს იყო ვარდობა, ანუ სულიწმინდის მოფენა. ამ დღეს ხალხი უქმობდა. საკურთხი არ იცოდნენ ამ დღეს. ამის შემდეგაა პეტრე-პავლობა. პეტრე და პავლე იყვენ ქრისტეს მოციქულები, რომლებიც რომში ხის ხერხით გახერხეს, აწამეს. მათ საპატეცემლოთ 29 ივნისს დღესასწაულობდნენ.

ფერიცვალება 6 აგვისტოსაა. — ქრისტემ იცვალა ფერიო — აკურთხებიდნენ ღვდელს ყურძენს, ხილს. მერე იცოდნენ ხილისა და ყურძნის ჭამა. მერე მარიობაა 15 აგვისტოს — ქრისტეს დედის დღესასწაული.

ღვთიშობლობას, 8 სექტემბერს, დაიბადა მარიამი. მერე იყო ჭვართამალღება. გიორგობა ორჯელაა, შემოდგომაზე, 10 გიორგო-ბისთევს, და გაზაფხულზე, 23 აპრილს.

(სოფ. ბაჯითი)

6. ფერაძეს ქალი მოტაცის

ძველ დროში ქალი მოიტაცა ერთმა კაცმა და გაღექსებულია.

ივარგე, ბიჭო საჩინო, რომ აასრულე თქმა ისი, ფერაძეს ქალი მოტაცე, იყო პირველი მაისი, ბიწაძე ფულეფს ხარჯავდა, ქალი ეგონა თავისი. ქალმა ასე შოუთვალა: ნება არა გაქ მაგისი.

საჩინოს შამოუთვალა: შენი ვარ, ცხენზე დამისვი.
ეს რომ საჩინომ გეიგო, ულაშები გადიწკიპა,
ტოლ-აფხანაკი შეკრიბა, ხმალ-თოფი გადაიკიდა.
ეზო შიგნი რო შევიდა, ცხენმა დეიწყო ფთქვენა.
აბუთიძე ყელში ეცა, კინლამ გამოწელა:

შე ოხერო, არ გაგვიგონ, არ ამოქეწყვიტონ ყველა!
საჩინო შახში შევარდა, ქალს ეცა ხელდახელა,
ჩითის საბანს გადაწია: ზეზე ადექი, ესმა!“

ესმამ ტირილი დეიწყო, ადგომა გააძნელა:
გენაცვალე, ნუ წამიყვან, თ'ვარ შეგეძლოს რჩენა,
შენ საფეროთ შეგინახამ, საჩინოს აქ შეველა,
პური და ღვინო ბევრი მაქ, ბელელი გაიბერა.
სანახშირეში მოვიდენ, იქავ დეიწყეს მღერა,
ბაჯითში რო შამოვიდენ, გახურდა ჯვარის წერა.

ეზოშია რო შევიდენ, ქალი მოეწონა ყველას:

ეს ქალი ასეთი არი. ტანად გამს ავლისა ხესა:

პირათ გამსილი თვარეა, ლამეც ანათებს და დღეცა.

საჩინომ დაიტრაბახა: მე მივაგენი მზესაო,

ბევრი ქვეც არ დამხარჯვია, ისე ჩავიგდე ხელსაო,
თუმანი მამყვანს მივეცი, შვიდი მანათი ღვდელსაო.

(სოფ. ბაჯითი)

7. ღვდელთავარი გაბრიელი

მეფე ალექსანდრე მესამე ჩამევიდა ქუთაიში. ჩვენ პატარა მოწაფეები ვიყავით და წაგვიყვანეს. გაბრიელი სობოროში შემოსილი ხტებოდა. მეფე მოდიოდა ცოლ-შვილით.

მეფეს მოსვლა დაავციანდა, გაბრიელი გაჯავრდა და გეიძრო შესამოსი. ერთი საათის შემდეგ მოვიდა მეფეც. გაბრიელმა მიიღო ტაძარში მეფე და უსაყვედურა, რატომ დეიგვიანა, რატომ შოუხვია გუბერნატორთან ჩაიზე და რისთინ პირველათ არ მოვიდა ეკლესიაში სალოცავათ. მეფემ ბოდიში მოიხანდა. ახლანდელი ღვდელთავარი ამას გაბედამს? ვინ გაბედემდა სხვა ამას?! გახთილი იყო, ისე შეხვთა. — თავის დროზე რო არ მოხვედი აქა, გახთილი იმიტო შექხვითო. ქხვთებოდი, როგორც წესი იყო, და არ მოხვედიო.

გაბრიელს ყამდა მსახური სხირტლაძე. ერთ დროს გუბერნატორი დაპატიჯა სადილზე გაბრიელმა. სხირტლაძემ უთხრა: შტოლსაფარი არ გვივარგა, დახეულია და უნდა ვიყიდოთო. ღვდელთავარმა უთხრა: — სუფთა ხო არი, გარეცხილიო, დახეული იყოს, არა უშავს რაო. ასეთი უბრალო კაცი იყო.

ერთ დღოს გაბრიელი იმერეთიდან მიდის რაჭაში. თავზე უკან ჩამორჩა თავის კრებულს. ამ დროს ტყიდან ერთი ახალგაზრდა გადმოხტა თოფით. მუუღირა თოფი და მოთხოვა ფული. გაბრიელი არც შეშინებულა და არც ალღევებულა. უთხრა: შენ ახალგაზრდა ხარ, მომიხსლოვდი და მითხარი შენი დგომარეობაო! ახალგაზრდა ჯერ გაჩერდა, შემდეგ მივიდა ასლოს. გაბრიელი შეეკითხა: რამ გაიძულა, ამ ტყეში რომა ხარო? ეს აღმოჩნა ახვლედიანი — გიმნაზიის მოწაფე. — შემთხვევით წამევედი ყაჩაღათო, ახლა გამოჩენა არ შემიძლია, რადგან დამიქერენ და ციმბირში გამგზავნიანო. გაბრიელმა გელიძმა და უთხრა: მე ამ თვის ბოლოს დაუბრუნდები ქუთაიში, შენ ჩამოდი ჩემთან, ეგ თოფი ახლავე გადაადგე და მე გიხსნი მაგ უბედურებისგანო.

დაუჯერა ახვლედიანმა, მივიდა დანიშნულ დროს და გაბრიელმა უშვამდგომლა გუბერნატორთან. გაათავისუფლა. მიცა სასწავლებელში თავის საკუთარ ხარჯზედ და სწავლის დამთავრების შემდეგ ის მასწავლებლათ იყო ერთ-ერთ სკოლაში. აი ამ ახვლედიანმა შესანიშნავი სიტყვა უთხრა გაბრიელს დასაფლავებაზე.

სულ ცირეთ რომ ვთქვათ, ღარიბი სტუდენტობა ეყოლება გაზდილი 200 მანც. შამოსავალი არ იყო ბევრი, თვეში სამასი მანეთი. ამ ფულს მთლიანათ ახმარდა ღარიბ მოწაფეებს. რომ მოკეტა, ანდერაში შეიტანა, რო, რაც დარჩა ფული, იმით განსნილიყო სკოლა და აფთიაქი სოფელ ბახვაში. გურული იყო, აჰა! საქალებო სასწავლებელიც იმან დააარსა ქუთაიში.

გაბრიელი მოხუცებულობის გამო დასუსტა, მოიღალა მისი ტენი, აღარ იყო ნორმალურათ. ჩვენ პირველათ ეკლესიაში უნდა გველოცნა. ჩამოვიდა გაბრიელი (დიდმარხვა არ დამთავრებულა), მობრუნდა ჩვენსკენ და გვითხრა: „ქრისტე აღდგა“. მაშინ არ ითქმოლა დიდმარხვაში აღდომის სიტყვები და ყველას გაგვიკვირდა. მერე ექიმობდა, არსა დადიოდა, სახში იყო და გადიცვალა.

ეს იყო 1896-ში. ძალიან დიდი ზამთარი იყო. გაბრიელი უნდა დეესაფლავებიათ გელათის მონასტერში. გზა შეკრულია. ერთ თვეს დარჩა სობოროში დასვენებული. გამოიყვანეს ჯარი და გაატყეპნიეს გზა, თვარა თოვლს კი ვერ ეიღებდენ. გაბრიელის გასვენებას სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები დეესწრენ. ყველა იყვენ. ილია ჭავჭავაძემ უთხრა სიტყვა. ვინ არ უთხრა სიტყვა, მარა რას გვიგებდი, არ ეტეოდა ქალაქში ხალხი.

(სოფ. ბაჭითი)

8. ბაჯითელთა საუბრიდან

— შკოლაში ვინ შემიყვანდა მე? მამაჩემს 14 ბოვში ყამდა. წყე-სობაში ვისწავლე წერა-კითხვაი. იქ რო მივეყვანე ვისმე, რა მიჭირ-და. პატარაობიდან ვმუშაობდი.

— გუშინ ვინ იყო შენთან, სიმონო?

— ჩემი სახლიკაცი იყო. ოტკაი გამოხთილი მქონდა. დავლიე და დამწვა.

— ის სახსლამს, კვერ მოპირამ იმას, მიჩოულია, სუყოველდღე სვანს. ალანი იყოს, კაი კაცია! ისე წვევიდა, არაფელი არ წოულია აჭიდანი. რო მოვა, კიდო მოგეიტანს რასმე. გალაქტიონ ტყემალაძეც იყო აქა. ხოდა ტირილი დეიწყო, რო დამინახა. მერე მითხრა: წამიყვანე, მანახვეი ი ჩემი არემარეიო. ფეხით ვერ ვივლიო. პეტრუშ-კა იყო იქა. დილაზე ამევიყვან ცხენსაო, — მოატყუა. — მერე ჯო-ნით წამოვიდა, ვენახამდი ჩევედით. დავანახვეი ვენახები. — გაგაწვა-ლე ასლა შენეო. 100 მანეთი მამცა. ერთი ყამდა შვილი, დეეკარქა ოშში.

--- დავარგებულა, სეიმონო, ეს ვაშლი!

— ვენახში ება იმ ვაშლსა! გვალვამ ყოლიფერი წაახთინა წროულ. უწვინარი წელიწადი იყო.

— ვაი, თუ კიდე ისე იქნეს, სიმონო. გაღლეტილი ზამთარია, არც აქეთ, არც იქით.

— რათ ყუის ძაღლი, კაცო?

— ძაღლის ყუილი არ ვარგა. არ უნდა გააჩერო ისი.

— ე პური მაინ გამოგზანეს.

— ვკვიროფ მე მაგ საქმეს.

— აქა ახლა მოვიდა, ამ წელში. ჭიათურაშიდაც არ იყო. მად არი ბევრი, კაცო.

— შვილები ყამს შენ სახლიკაცს?

— შვილიშვილები ყამს, მარა მოსკოვში არიან. სახში ქალი ყამ-და ერთი. გაცარცვა. ოჯახი და გეეპარა.

— სიმიდს ვინა თესავს? სიმიდს ქალები დათესევენ. ბალახს ქვე ინახევენ.. მოწამვლით ვენახს კაცები წამლევენ და ქალები ეხმარე-ბიან.

— რატო ყვიროდი გუშინ?

— უყები დეიმუშავეთ და ნახევარს მოქცემთო, — გვითხრეს. მიწას ვკირკამდი, მევიდენ იქანას შალიკოს შვილიშვილები და ე კირ-კა მძაჭთ, მე ქვე მჭირდება. მოუარე ქევიდან ნელ-ნელა და წავარ-თვი.

— გადიქენა ახალგაზღობაი. ბოვშები არ ვიყავით? მარა რავა გაგბეღემდით ამას! ი ბიჭები ბათუმში უნდა სწავლობდენ.

— რას უშველის ეგე. ბათუმში მეშოკი რო წვილო აქილანი, ქვე მოვა ისევე.

(სოფ. ბაჭითი)

9. „მოღინახე“

სიტყვა ბაჭი არი თათრული, ნიშნავს გმირს. ანაბაჭი ხომ გახსომთ, იყო გმირი ქალი. აქ ნახამთ ძველებურ გზეფს, ჯვარედინ გზეფს. საგმირო აღგილუფს დეერქვა ბაჭითი.

სარეკს ორი კუთხიდან მდინარე ჩოუდის — ჯრუჭულა და ყვირილა. ამ მდინარეების კალაპოტი ისეთი ღრმა იყო, არაფერ ნადირს გასვლა არ შეეძლო ამ მდინარეებს იქით. წამოვიდოდენ მამინდელი უფროსები, წამოიყვანდენ ხალხს და მოყვებოდენ ნადირს ღობურათ (როგორც ღობეა, ისე, გამბულათ), მოდემდენ და ჩარეკდენ სარეკში, ამოხოცენ შიდ. ამიტომ დეერქვა სარეკი.

ჩვენ ხვადაბუნში, სადაც დავაკდებოდა ყვირილა, წინეთ უკებდენ ჩხერს და ამიტომ დეერქვა იმ აღგილუფს საჩხერე.

მოღინახეს ციხის შესახეფ ასე გახლავს გადმოცემა: წინეთ, მანამ შეფობა იქნებოდა, საქართველოში იყო მამასახლისობა. ცხეთის მამასახლის ემორჩილებოდენ ყველა დანარჩენი მამასახლისები. საჩხერეში, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან აღგილს, ოსეთის გადმამავალი გზით იყო საბაჟო გზა. საჩხერის მამასახლისი მკაცრი და ღონიერი იყო. ოსეთიდან ნახირი შამოყავდათ, თუ შალეულობა მოქონდათ, ბაეს იღებდა, ამიტომ ეს შამოსავლიანი აღგილი იყო. საჩხერის მამასახლისი სახელვანი იყო, მარა, მისდა საუბედუროთ, ციხე-სიმაგრე არ ქონია. ამ მამასახლის გამოუთხოვია სხვა მამასახლისისაგან ქალი საცოლეთ. მოსულა სანახავათ და არ გამოუტანებია ქალი: შენ ციხე-სიმაგრე არა გაქო.

გოუკეთებია მერე ეს ციხე და შოუთვლია სასიმაგროსთინ მოდი, ნახეო! მერე დეერქვა ამ ციხეს „მოღინახე“. რო ნახა თურმე „მოღინახე“, მერე გამოატანა ქალი. ეს ყოფილა ჩვენ მეფობამდე მეორე საუკუნეში.

მერე წერეთლები მევიდენ, განაახლეს და ციხეს ხმარობდენ საპატიძროთ. მამაჩემისა და სიმონის ბიძა მოღინახეს ციხეში მოკვტარა. თოფის წამალს აკეთებდა და, გაფენილი რო ქონდა, დეიწვა იქა.

რუსეთს რო შოუერთთა საქართველო 1801 წელში, წერეთლის ქალი იყო ქეთევანი ამ ციხის გამაგრებელი. არ მოუშვა არავინ იმ ქალმა ციხეში. გააკეთეს მერე ხვადაბუნში რუსებმა ციხე, დადგეს ზარბაზანი და სროდენ (ყვირილას გაღმა ვაკე რაც არი, ხვადაბუნი

ქვია). ვერაფერი ვერ დააკლეს. ზარბაზანი სწორეთ კტეს ხედებოდა და ვარდებოდა აქეთ.

მერე ფულით მოისყიდეს გრიგოლ წერეთელი — ალექსანდრე წერეთლის მამა. წეიყვანა რუსის ჯარი შუალამისას. მივიდა, კარებზე დოურახუნა. ვინ ხარო? — კითხა მეკარემ. — მე ვარო გრიგოლ წერეთელი. დოუძახეთ ქეთევანს, მოვიდეს კარებზეო!

შივიდა. — კარეფს ვერ გავადებო! სამტროთ ხარ მოსულიო! — შენ გიმტროფო? — გრიგოლმა დოუძახა. — ვის ფიცამო? ფიცი დადეიო! — ვფიცავ ჯრუჭის ძელ-ჰემშარიტსაო, რო სამტროთ არა ვარ მოსულიო!

გაალო კარები და შევიდა რუსის ჯარი. დეიჭირეს ის ქალი. ულა-ლატა ისევ წერეთელმა.

(სოფ. ბაჭითი)

10. ატაკის თანამგზავრი

ქუთაიში ვარ ერთჯელ და მოვდივარ აქეთ, საჩხერეში. შევედი რკინიგზის სადგურში და აკაკი ჯის, ჩაი უდგია წინ და სვამს. რამდენი ჩემისთანა ვინმე გეივლის, აკაკი რა ყურადღებას მიაქცემს! თითონ დაძიქნია ხელი. მივედი.

— სად მიხვალ? — მკითხა.

— საჩხერეში მივალ, ბატონო.

— მეც იქ მივდივარ და მატარებელში შემეყვანე.

ამ დროს ერთი სამხედრო პირი შამოვიდა სადგურში, შეილი შამოიყვანა, გიმნაზიის ფორმა აცვია. ეს სამხედრო პირი ეუბნება: შეილო, ის არი აკაკიო. მე დამაჯინა აკაკიმ და ჩაი მოატანია ჩემთვის მერე მე მითხრა აკაკიმ: უთხარი ემ ბოვშს შევიდეს აქაო.

— მოდი აქ-მეთქი. მოვიდა. — რა არის ის შენიო? — აკაკიმ კითხა — მამა არიო. — ჩემი სახე რათ გინდა, ჩემი ნაწერები წუფილხეო!

ახლა ზარი არი. გეიხსნა კასა და ბილეთები უნდა ევილოთ. შევეკითხე: რომელი ადგილი გნებათ: I კლასის თუ მეორესი-თქო. /

— რას ამბოფ, კაცო! I კლასი და II რა ჩვენი საქმეა? მესამე ეილე, სადაც ხალხი ჯდება. — იქ შეწუხთებით-თქო.

— შევწუხთებით, მარა რალაცას გევიგონეფთო. ევილე ეს ბილეთები.

მეორე ზარია. შევედით, დავსხედით. აგერ ჯიან და ყალიონს წევენ გლენები. ყაყანობენ. ორი არი მოხუცებულები. ერთმა უთხრა მეორეს: ძალღს ურტყემდენ და რძალს ასმენდენო. ჩეიწერა აკაკიმ.

რო მოვედით ქიათურაში, ფაიტენები იყო აქა. — მარტო ნუ გამიშვეფო. წაყევი.

— სწორეთ იმ გაზაფხულზე გადიცვალა. აკაკის გასვენებაზე, რა ჟქმა უნდა, ბევრი ხალხი იყო. ჩენი საქართველოს წარმომადგენლები და უცხო ადგილებიდანაც. სხვათა შორის, აკაკის გასვენებაზე დეესწრო ერთი ბელგიელი მწერალი. თურმე ქართულს სწავლობდა. თარგმნა ქართველი მწერლების წიგნები.

შუახნის კაცი იყო. მოვიდა და მოიტანა ბზისაგან გაკეთებული ჭვარი. აკაკის ცხედარი თავდახურული იყო და შუშა ქონდა სახეზე დასახედათ. მოვიდა და ეს ჭვარი დაასვენა თავით. დეიჩოქა, დააცქერდა ერთი 15 წუთი მაინც. ადგა მერე და თქვა: შენი ნაწერებო, თუ ყველა არა, ბევრი მაქ წაკითხულიო. დიდი, გამორჩენილი მწერალი იყავო, მაგრამ არ მიკვიროსო. ამ ბუნებაში გაზდილი კიდევ მეტი უნდა ყოფილიყავო! — რო გადახედა იმ თებს, ასე თქვა.

წამოასვენეს მერე. სამგან იყო გაკეთებული თალი და სიტყვები უნდა ეთქვათ. პირველ თალთან სიტყვა უთხრა კატო აბაშიძემ, ხახულა აბაშიძის შვილმა. სავანელი იყო. მეორე თალთან — ანეტა იურკევიჩმა. მესამე სიტყვა უთხრა სადგურზე რომელიღაცა მწერალმა თფილისიდან.

გაასვენეს, დიდი ამბავი ხალხი იყო. სურათეფს ურიგებდენ ხალხს და ეწერა: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები შენზედვე მგლოვიარეო“.

(სოფ. ბაჭითი)

11. ჩვენნი ბვარის ისტორია

ჩვენ, ტყემალაძეები, წინეთ აბაშიძეები ვყოფილვართ. 200 წლის წინეთ ვინმე სარდალ აბაშიძეს ტრის შემოსევის დროს ცოლ-შვილი დოუნიზნია მთიულეთის მხარეში. ეს აბაშიძე დაღუპულა ომში. ცოლი ფეხქიმეთ ყოფილა. რო მოუშვობიარებია, სწორედ იმ დროს გოუგია, რო მისი ქმარი დეიდუპა. დოუწენია აკვანში ბოვში და ტყეშალზე დოუკიდია. თითონ წასულა, მიუღია ომში მონაწილეობა და აღარ დაბრუნებულა. დარჩა ეს ბოვში. არავინ იცოდა, ვისი იყო. ტყეშალზე ეკიდა და დაარქვეს ტყემალაძე.

მეორე ვარიანტი ამბოფს: ტყეში იმალებოდა ჩვენი ძველი და ამიტომ დეერქვა ტყემალაძეო.

სოფელ ჭილვანიდან, ქიათურის რაიონიდან ვართ მოსული. რო ვყოფილვართ ე ბიძაშვილები, იმის ქალაღლიც მაქ. ის ქალაღლი ბიძაჩემს, მათეს, ქონია ჯოხზე დახვეული და შენახული. პატარა ტე-

რენტი ჩამევიდა. ე ჯობი უჭირავს და ლოპნის. გაეხსენი — ნავზე განყოფილების ქალაღლია. შევინახე მაშინათვე.

(სოფ. ბაჟითი)

12. ვენახის გაშენება

ვენახის გაშენება ხდება ნამყენი ნერგით, გადაწინდვრითა და ლერწით.

ლერწით გამრავლების დროს იმ ჯიშის ლერწი ეიჭრება ადრე გაზაფხულზე, სანამ ვაზში წვენის მოძრაობა დეიწყებოდეს, რომელი ჯიშის გამრავლებაც გვინდა. ეიჭრება თავისი ხელშავებით. ხელშავი არი 4-5 სანტიმეტრის სიგრძის ნაწილი ძველი ლერწისა, რომელზედაც ამოსულია გასამრავლებლათ აქრილი მეორე წლის ლეწწი. ხელშავიანი ლერწი გადაიჭრება 35 სანტიმეტრის სიგრძეზე და დეირგვება 2 ბარის პირზე ამოჭრილ, დამზადებულ მიწაში ისე, ზრმ ხელშავი მოხეთეს ნიადაგის ქვეშა ფენაში. ეს ლერწი სულ დეიფარება მიწაში და ზევიდან მიეყრება მიწა, გოუყეთთება კოკოლეები. ორმოები გეიჭრება 2 ბარის პირზე, ჩეიყრება ნაკელი, აირევა მიწაში, დეირგვება ხელშავიანი ლერწი. მოიტენება, რო ჰაერი არ შოუვიდეს და არ გახმეს. ზევიდან არი გაკეთებული კოკოლეები.

გადაწინდვრა ხდება ან თელი ძირის გადაწვენით თავის ლერწებიანა, ან ვაზის ძირში ამონაყარი ლერწის საშვალებით. ამოჭრიან სიგძეზე ორმოს და ერთი ბარის პირზე, ნაკელს ჩაყრიან, ჩაწვენენ მთელ ძირს ან ამონაყარს, დააყრიან მიწას და მიწის ზევით რჩება ამონაყარი ორკვირტიანი მაინც. როცა თელ ვენახს აწვენენ, თუ ძლიერია ეს ვენახი, მაშინ თავს ამოვყოფიფთ 3-4 ლერწს ორკვირტიანს მაინც, რომელსაც ვეძახით საწინდარს. ღალმათ ვენახის ორ ლერწს მაინც ამოვყოფიფთ თავს.

ნამყენი ნერგით ვაზის გამრავლება. უნდა დავამზადოთ წარე ლერწი — ამერიკული საძირებები. აიჭრება შემოდგომაზე, ფოთლები რო დაცენდება, დაჭრიან, 120 სმ უნდა იყოს თითო ლერი. დეიკონება ეგე 100-100 ცალათ წკნელებათ და შეინახება სილაში, პადვალში, გრილ ადგილზე. არც ყინვა უნდა იყოს და არც სიცხე. 2-3-ჯელ განიავება დაჭირდება, ე. ი. სულ ამოვიღეთთ სილიდან 5-10 წუთით, სილას აურ-დაურეთ. სილას უნდა სინესტის დაცვა და რწყავენ, რო არ გამოშრეს, მერე ისევე ჩადებენ სილაში. ამ წესით ინახება მყნობის დაწყებამდე. ადრე გაზაფხულზე წინასწარ გამოყოფილი ნაკეთებიდან უნდა ავილოთ შერჩეული ჯიშების საკვირტე მასალა გემრიელი ვენახიდან. დავკონით. დაკონილს დავაღბოფთ, მერე სილაში შევინახავთ მყნობის დაწყებამდე.

შუა მარტიდან ვიწყებთ მცნობას. შერჩეული ქვეყანს ვაზის მცნობელები. დაკვირტავენ წარეს; არც ერთ კვირტს არ შეარჩენენ. გემარტელს თითო კვირტზე დაქრიან, რო დაამცნონ წარეზე. მერე უნდა გოუკეთონ ენები სამცნობი დანებით, ე. ი. ენასავით გადაქრიან. ეს დამცნილი ადგილები უნდა შეიხვეს მაჩალკით ან ბამბის ძაფით. შეიხვავა. მერე დეიკონება 100-100 ცალათ, შეინახება სილაში. რო გათფება ჰაერი, გამოვიტანთ დასარგავათ სანერგეში. პალოს დავასოფთ, გავაბამთ თოკებს. სისწორის დასაცავათ პალოფეს ჩავასოფთ, მწკრივში გავაყოლეფთ და დავრგავთ ნამყენს. ერთი მეტრი უნდა თყოს დაცილება რიგეფს შორის, ნამყენეფს შორის — 10 სმ. ევნახის რიგს ვეტყვიტ მწკრივს. შარი არი რიგათ შორის არე. მერე წავაყრიტ ფხვიერ მიწას — კოკოლეფს გოუკეთეფთ. სულ დაფარულია. მზემ არ უნდა დახედოს. მერე ორ კვირეში ამოვა. გააჩნია ამიდს.

(სოფ. ბაჭითი)

13. მატყშარა მღვდელი

იყო ერთი ღვდელი, ხოდა, მიდიოდა საწირავათ, რო ევილო რამეო. შეხვთა წინ იესო ქრისტე. — სა მიხვალ, ღვდელიო? — უთხრა: საწირავათ მივდივარო. ქრისტემ უთხრა: მე კარქი დიაკონი ვარ და წამიყვანეო. ორივემ ერთად ევილოტ რამეიო.

— კი, წავიდეთ ერთათაო.

წევიდენ, იარეს. წყალი მოწყურდათ. წყალი ქვეით მიდის. ღვდელმა ქრისტეს უთხრა: მე ვერ მივაგნეფ წყაროსა, წადი, შენ ამოიტანეო.

ქრისტეს პატარა სუნკა ქონდა და იმაში 3 პური ეწყო. ჩავიდა, ამოიტანა წყალი და ამასობაში ღვდელმა ერთი პური მოპარა და შექაშა.

ძივიდენ ერთ ხემწიფისას. იმას ბოვში ყამდა ავათ. ქვეყანა მოლოა და ვერაფრით ვერ უშველა. იესო ქრისტემ უთხრა: მე მოგირჩენ მა ბოვშსაო. მართლაც, შოულოცა და მოარჩინა. მარტო ღვდელი დეისწრო, სხვა არავინ. ხემწიფემ ერთი ჯორკიდებული ფული აჩუქა ადგენ და წევიდენ. კიდე შეხვთათ მეორე ხემწიფის ბოვში მოსარჩენი. ღვდელმა იფიქრა: ლოცვა მეც ქე ვიცი და მე მოვარჩენ ამ ბოვშსაო. არ უნდა, რო იესო ქრისტეს გოუყოს ფული. აღარ შეატყობია. ისე შევიდა და ულოცა. ბოვში მოკვდა. რას მოარჩენდა ღვდელი იმას! გოდუწყვიტეს ღვდელს დახჩობა. ქრისტემ უთხრა:

ღვდელი. გადაგარჩენ დახრობასაო, ოლონდ ჩემი პური ვინ მოიპარა, ოქეო. ღვდელმა არ თქვა.

იესო ქრისტემ მაინ დეიხსნა ღვდელი და ბოვშიც გააცოცხლა. ამ ხემწიფემაც ბევრი ფული აჩუქა.

ორივენი უკან დაბრუნდენ. მივიდენ იქა, სადაც ერთხელა შეხვთენ ერთმანეთს. ახლა უნდა დაცალცალდონ იქანა. ფული ქე უნდა გაყონ. გაყო იესო ქრისტემ სამათ ფული. ღვდელი ეუბნება: ორი ვართ და სამათ რატომ ყოფ მაგ ფულსაო?

იესო ქრისტემ უთხრა: ერთი წილი მე, მეორე — შენ და მე-სამე იმას, ვინც ჩემი პური მოიპარაო.

ადგა ღვდელმა და დეიძახა: მე მოვიპარეო!

ეილო ქრისტემ და ფული სულ იმას მიცა. უთხრა: მე იესო ქრისტე ვარ. მე დაგცადე, რო ანგრე ქვეყნიერებას ატყუეფო.

დაშორდენ ერთმანეთს, წვეიდენ თავ-თავის გზით.

(სოფ. პერევი)

14. ბამოცანები

1. უსულო ვნახე ორსული, სურიელისა მშობელი.

(კვერცხი)

2. აბუძგალამ სიპი შობა, სიპმა — აბუძგალაი.

(ქათამი და კვერცხი)

3. თეთრი ვარ — ყველი არა ვარ, კუდი მაქ — თავგი არა ვარ.

(ბოლოკი)

4. ორი ბოძი ბოძუნჯგალი. ზედ გუდა და ზესადგარი. (ბარკლები,

მუცელი და გულმკერი)

5. რკინის ხარს ბამბის კუდი ამბია. (ნეფსი და ძაფი)

6. კიკნი კიკნი კიბესაო, როსტომისა ციხესაო

ზედ კურდღელი შამომქდარა, აცკვიტინეფს ყურეფსაო.

(საქსოვი დაზგა)

(სოფ. პერევი)

15. შველი

დიდი თოვლი იყო ერთ წელიწადს. შველი ბევრი იყო მანემდინ ამ ჩვენ თებში. შველი საწყალი ნადირია. დიდ თოვლზე სიარული არ შოუძლია. წინა ფეხები დაბალი აქ. უკანა მალალი. კურდღლის-ნაირი ტანი აქ.

ხოდა, რო მოთოვდა მალლა თებზე, მერე ძირ-ძირ დეიწემ-დენ სოფლისკენ დაბლათ. მონადირეები ნახემდენ კვალსა და წვეი-

დოდენ ხოლმე საქებრათ ტყეში. რო დედედენებოდენ მოსაკლავათა შველედსა, მერე მალლა ველარ მიდიოდენ, დაბალი ფესები რო ქონდათ, და ჩავარდებოდენ სოფელში. დედედებოდენ თელი სოფელი ქალიან-კაციანა. რო გაფრთხებოდა შველი, სალაცა შევარდებოდა ზაკეფში. გაგებამი კარ იყო. შევარდნილა ბერიძე დაროს დერეფანში. გამოვარდნილა მისი მამამთილი და მოუხვეენია ხელი, დოუქირავს ასე.

(სოფ. პარევი)

16. წყალი დავშაერთ

ერთ დროს წევებით სათემზაოთ შორს, ზეით, სატიტის დელეს უძახიენ, რიბისის ბოლოსაა (რიბისა თაა, ოსეთის თა არი, ნახირი უყენიათ იქანა ქარზმანელედს. ქარზმანელეები ოსეთის რაიონის არიან). იმ დროს წევედით აქიდან, რო ქვეც ინათლა და ქვეც ევედით, ლესევს უძახიან, იქა, ყავე წყალს აქეთაა (ყავე წყალი ლესევშია, ოსების რაიონს ეკუთვნის). რო ჩევედით წყალში, გედევეკიდეთ თავდადმართს. ისეთი ტალახი არი. რო სულ წარამალა გაგვაქ ტყაპატყუბი ტალახში. დევსვარეთ ძაან. ჩევევით წყალში, ტანისამოსი გევირეცხეთ. გევედით წყალ გალმა. რიბისისკენ ბილიკა შედის. გავყევით იმ ბილიკას. მივდიეთ, მივდიეთ და გედევედით სატიტის დელეში. მამაჩემა მიგვასწავლა იქ.

მივედით ახლა ამ წყალზე. უნდა დაგვეშქერა წყალი, შქერი უნდა გედევეყარა წყალში. შქერის ფოთელი მწარეა და აბრუფს თემზს.

ბიჭებმა თქვეს: ვკამოთ ჭერეთ და მერეთ ზოგმა ორმოები ამოვთხაროთ, ზოგმა შქერი ვკრიფოთ და ზოგმა კეტები დავამზადოთ შქერის დასანაყავიო.

მოვკრიფეთ შქერი. ჩავყარეთ ორმოფში და დოუწყეთ ნაყვადანაყეთ ე შქერი; ამოვიღეთ ამ ორმოდან მეშოკეფში, წევიღეთ და ჩავყარეთ ი წყლის სათავეში. როგორც თავის საბანი მიწა, ისე თეთრია წყალი და თეთრია ქვა, მარა ის კი არ არი, დიდი ლორღნარი, პატარა წვრიმანი ქვა არი.

ჩავყარეთ შქერი. დავყევით მერე დელეს თავდადმა. მოდის, როგორც რო წყალია თეთრი, თემზი თეთრი სულ ფრიალ-ფრიალით. ებოჭამთ და ებოჭამთ ამ თემზს და მივდემთ ამ წყალს თავდადმა, სანამ შეურთებოდა დიდ წყალს. ამოებოჭეთ ე თემზი.

ახლა დამდება. აღარც არი შახში წამოსვლის დრო. აღარც შიჩკა აქ მშრალი არავის. მევიყარეთ რიყეზე თავი. გავყვეს თემზი. წამოსვლის დრო აღარ არი, გვიანაა, მალე დადამდება. ველარ ვივლით ტალახეფში.

უმთავრო ღამე იყო. მევიყარეთ რიყეზე თავი. ვყოყმოფთ, წვეი-
დეთ — დაგვალაშობება, ვერ ვივლით. არ წვეილდეთ და ეს სოველი
ხალხი დავცივდებით. ვტრიალოფთ: რაფო ვქნათ?

იაკობმა თქვა მერე: ბიჭო, აქანა ფანჩაში კვეს-აბედი მაქ და იქ-
ნება არ იყოს ისი სოველი და ივარგოს კიდეო. პატარა მეში ქონდა ჩა-
მოკერილი ტყავისი და იმაში ქონებოდა კვეს-აბედი.

ახლა დეტაქა დარუშას მამაი — ჩემი ბიძაშვილი: ვერ თქვი აქ-
ნობამდინაო?!

გახსნეს ეს თანჩა. გაკრეს. გაადინა ცეცხლი ამ კვესმა და კაემა.
აუხტრუშდენ ე ბიჭები სიხარულით. ზოგი ფუტუროზე გარბის, ზო-
გი კაი შეშაზე. ზოგი ფუჩეჩიან მოწმენდილ ადგილს დეეძებენ. გააჩინეს
ცეცხლი. მონახეს ადგილი და მოიტანეს დიდი ზეხმელი ხეები (ზეზე
გამხმარ ხეს, წოუქცეველათ გამხმარს ქვია ზეხმელი), მოუკიდეს. დე-
იწყო ღალანი ცეცხლმა.

ცალ გვერძე გოგოებმა დევიბინავეთ, ცალ გვერძე — ბიჭებმა.
მუხზე ყრია ხმელი ფუჩეჩი. იმ ღამეს გვეითენეთ აქანა ღამეი. არც
შექცივინია, ქვეც გავშრით, ქვეც კაათ ვიყავით.

მორე დღეს გათენდა დილაი. ვიზაუშკეთ. მერე ბიჭებმა თქვეს:
რალაი დავრჩით აქაო, ბარემცალა ე შაეი ღელეც დავშქეროთ, ხარჯი
თუ გვეყოსო. დვეერიეთ ისევე შქერის კრეფას. მოკერიფეთ, დაენა-
ყეთ და ჩავყარეთ ამ ღელეში. წყალიც შავია, ქვაც შავია, ხამსიც შა-
ვია, თემშიც შავია. ჩავყარეთ ე შქერი და ამოვბოქეთ თემში, რაც
იყო შიგ. იმდენი არ იყო, რაც თეთრ ღელეში იყო. ისე რაც იყო,
კაი თემში იყო.

გავათავეთ ე თემზაობაი. მოვანგროვეთ თემში და გავყავით. ახლა
საქმელი გვინდა, მარა ხარჯი არა გვაქ საყოფი. მოიტანეს, ზოგს
თოფრა ქონდა, დავფერთხეთ ქურჭლები. ზოგს აქ ქალი, ზოგს არა.
წამევედით იქიდან და, საცა ან მოძეი ნავხეთ, ან მაყვალი, შიერი-
თაზებივით ვქამეთ, ხან იქით გადავცივინდით, ხან აქეთ. ვჭამდით და
თან შოვდიოდით. საღამო იყო, რო ჩამევედით.

მორე დღეს ფერიცვალება არი. ჩამევედით, მევემზადეთ. შუალა-
მემდი არ დავწოლილვართ და წვეედით მორე დღეს, ღამე, სობორო-
ზე, საჩხერაში. იქ იცოდენ ფერიცვალებაი. თემში რამოდენიმე გა-
საყიდლათ წვეილდეთ, რამოდენიმე ჩვენთვის დევიტოვეთ და კაათ ვი-
ქეიფეთ იქ. ბევრი ვიჭექით ერთხელა. აქედან რო ჩევიარეთ, მაშინ
გავყიდდეთ თემში. ვიყიდე ქოლგაი. იქ ვიქეიფეთ კაა მაგრათ და წა-
მოვედით საღამოზე შახში.

(სოფ. პერევი)

აბაშიძეები არ გვაყენებენ, მანამღი. ესი თაი ჩვენიაო. ზეკაზმებოდენ კაი შაიკი ბიჭები, დეეცემოდენ გლეხების საქონელს და გამოიტაცებდენ. მერე რალას უზემღი! დევეროდით ერთმანეთს და ვცემდით. წეიყვანდენ ჩვენ საქონელს, დაკლემდენ და შეჭამდენ. ჩვენე ვერსა ვერ ვიჩივლებდით, ვარესი მოგვივიდოდა.

ძერე ვიყიდეთ თები. ავრეკეთ თაზე საქონელი. თიბათვის მარხვა არი. ავრეკეთ ნახირი იქა. ჩვენ სიმიდფეს ვთოხნით.

დაიარაღებულან და მოდიან სიმღერით აბაშიძეები. დაგვიძახეს. რომეო — ყაზახებოო. თქვენი ჯოგის გადმოსარეკათ მივდივართო!

რა ვქნათ, კაცო, ჩვენ ამდენი იარაღი ვინ მოგვცა!

— არიქა, ბიჭებო, დოუძახეთ ხალხსაო! — ბაბუამ დეიძახა.

ცხვრის ქულები ქონდათ მანობამღი. კაბალახები და ცხვრის ქულები დეიხურეს, რო აღვილათ არ გატეხოდათ თავი.

გავცვინდით. ამათ გზა უნდა გოდუჭრათ. ამათმა სხვა გზით მოუარეს. გაასწრო ნაწილმა ჩვენმა. იქ არი ერთი გულიტაშვილი ზაქარია. სხვაი პატარა წყესები არიან.

გეიშალა საქონელი. შევხედე. ეს ხალხი რო მიადგენ აქიდან. თქვა ამ გულიტაშვილმა: ნამღვილათ აბაშიძეები მოდიანო, — და ბოვშეფეს უთხრა: თუ ვითხრათ, ვინ ქყავთ უფროსიო, უთხარით: ზაქარია არიო. საქონელი თქვენ არ გარეკოთო.

აბაშიძეფთან იყო ერთი დათა წერეთელი, მაღალი კაცი იყო. 7 კაცი ყავდა კვდარი.

— ვინა ქყავთ უფროსიო? — იკითხა.

— ზაქარიას.

— სადააო?

— იქით წევიდაო.

— ვინ მოქცათ საბალახე? გამორეკეთ საქონელი, თვარა დაქნოცამთაო!

ბოეშეფეს შეეშინდა. გეიქცენ. დიდი დილა იყო. გეიშალა საქონელი. ე ჩვენი ხალხი ზოგი აქეთ დეესაფრა, ზოგი — იქით, ამ სერეფში დეესაფრენ ჩვენები. ამ დროს მივიდა ათანა შუკაკიძე, ივანე ბერიძე. გარსია შუკაკიძე, ილიკო გულიტაშვილი. მივიდენ ამ უფროსეფთან. უნცროსეფეს მოყავთ საქონელი. ბაბუაჩემა უთხრა:

— დათა, დათა! რას შეებით? რა ქვია მაქ საქმეს?

— ივანე, ჩვენ საბალახეში რა გინდათ, რაი?

— ჩვენია, ნაყიდი გვაქ და ჩვენც ქეე უნდა ვაბალახოთ! ამაში მაინც დავგვაყენეთ! ზირ თაზე არ დავგვაყენეთ, ხო!..

— გაჩემდი, დათა! შენი ბრალია სულ ეს! უნა გავრეკოთ, უნა, უნა!

ეს რო თქვა, აქედანაც წამოყვეს თავი ჩვენმა ხალხმა, იქიდანაც. — სისხლი ქვწყურია, უნდა დავლიოთ დღესეო!

— ე, კაცო, გაჩერდით, ცოდვას ნუ მოახთენთ!

გავარდა თოფი აქედან. — წამოდი, კაცო, — ბაბუაჩემა უთხრა გარსიას, მამუქასა და სხვეფს.

გავარდა ტყვია წყესებში. ახლა იქ ესროლეს ჩვენებმა. რო მოხვთება მიწას, ბელტს გვაყრის თავზე.

— დატოვეთ, დატოვეთ! — მოიხადა ქუდი და დეიძახა დათამ, — თვარა დაქვხოცენ, დაქვხოცენ!

ე ბიჭები მაინც კერპობენ. კიდე რო გავარდა თოფი, დატოვეს, მოგროვდენ და დაგვიძახეს: აბა, შევრიგდეთო!

— რავე შევრიგდეთ? როგორც თქვენ გაქთ ნაწილი, ისე ჩვენეო! — დოუძახეს.

— უნა შევრიგდეთ, ივანე, უნა!

— ჩვენ ველარაფერს მოქცემთ, ჩემო დათა!

— აბა, დოუძახეთ თქვენ აფხანკეფსაო!

იგინი ბევრია, ჩვენ — ცოტაი, უნდა მიგვიტყუონ, ქვეც გაგვლახონ, ნახირიც წამოიყვანონ. მამუქა შეცთა და დოუძახა. ბაბუაჩემა გააჩერა: გაჩერდით მადა, არ დეიძრეთო!

არ წვეიდენ. აქეთ ისინი დგანან, იქით — ჩვენ. მერე წამოვიდენ, ჩამოვიდენ სახლებამდი. მერე თქვეს, რომეო — სადილი მაინც გვაქამეთო.

— სადილიც ბევრი გაქამეთ, სამხარიც, მარა არ გვეიდა პატრვისცემა თქვენთანაო!

— წამოდი, თვარა დაქვხოცენო! — დათამ დეიძახა.

რო ჩვეიდენ ლელეში. ახლა ბეკია. თან მოყვენ ჩვენი თოფიანები უკან. რო ჩამოივადეს. დოუძახეს ჩვენებმა: ანგრე რო მიდიხართ, სადილი მაინც მიირთვითო! შამოტრიალდენ თელი აბაშიძეები: როგორ თუ საცინლათ აგვიგდესო! დოუწვენ ბეკს და გადმოალირეს თოფები.

— ამოდი, ამოდიო! — უძახიან და აგინებენ ჩვენები.

რო დააჩერდენ ზევიდან, თქვეს: ჩვენი ასვლა აღარ შეიძლებაო.

წამოვიდენ. მერე მიუხტენ თედლეუთში ოსებს. მიუხტენ იქა, გაღშოცივდენ იქიდან ქალები. კაცები არ იყო სახში. დოუშვეს და დოუშვეს კეტი, თან ქოფაკი ძაღლები მიუსიეს. წამევიდენ იქიდანაც ამძუებული.

დაქვჩა მას უკან საბალახოი. მაშინ პაწუა ვიყავი, 10 წლის მან ვიქხებოდი და მინ.

(სოფ. პერევი)

18. პაპიაჩემი

პაპიაჩემა იცოდა ძველებური ზღაპრები. პაპიაჩემი იყო რაჭაში დაბადებული და აბაშიძეს გამოატანეს ზითვათ. რო მოითხოვა აბაშიძემ შხითები, გამოატანეს დედა და შვილი. პაპიაჩემი ყოფილა ბუძუსკი. მერე ქალიდან გაატანეს იმაწმიდაში. პაპიაჩემა უთხრა თურმე აბაშიძეს: სანახევრო ღორი ხ'ვარ ვარ, რო ხან ერთან ვარ, ხან მეორესთანაო. შენ თუ აბაშიძე ხარ, მე ბაქრაძე ვარო (პაპიაჩემის დედა გლეხის ქალი იყო და შეაცთინა თურმე ბაქრაძემ). პაპიაჩემა იცოცხლა 145 წელიწადი. ყამდა იმას 8 შვილი და ერთი შვილის მეტი არ მოკვდომია. უმფროსი იოსება იყო, უხნე იყო ისი ყველაზე. ბებიაჩემს ნინო ერქვა, პაპიაჩემს — სოსია.

ლექსები ქე მეხერხება. რო დემელაპარაკება ადამიანი, იმაზე ლექსათ გაცემს პასუხს. მარა ხვალ რო მკითხამს ვინმე, აღარ მახსოვს.

ერთ ზაფხულზე კიტრი დაგვირიგეს დლიურზე. ლექსათ ვთქვი ესე:

უწინ დროში ბაქრაძეფს გვიძახოდენ ტრიკებსაო,

შარშანდელსა დლიურებზე წრეულ გეძღვეთ კიტრეფსაო?!

ფინგანში შევედი შარშან. 375 თუმანი იყო გადასახალი. რო შევედი იქ, ხალხით სამსეა კაბინეთი. მოიხედეს ჩემსკენ. გოგოლაძის ქალი ვიკითხე. ვთქვი: „ამდენი ხალხის სადილი ხო არ იქნება ადვილი“?

ამიტომ მახთვეიებენ ამდენს-თქო. ამ დროს ამბროსი შამოვიდა გულიტაშვილი. გოგოლაძე დაჩერებია ქალადს. — მიხაკო, ლექსი უთხარიო.

საქმეს ახლა უკვირდება, რაზედაც ვარ მოსული,

გამჩენმა გადაარჩინოს, როცა იყოს ორსული.

მალე გამანთავისუფლა. გეეცინა. მადლობა უთხარი და წამოვედი:

ხელათ ავალ პერევში, თუ ძალა მაქ ფეხეფში.

(სოფ. პერევი)

19. წყალდიდობა

ელიობას ცხვარ დავკლამთ ხოლმე. სახმთობაი ვიცი. ვილოცებოდით. გაღმა ეკლესია არი, ტყეში, მინდვრები რო მიილევა. ვწირემდით ხოლმე.

თიბათვე რო დეილია, თაში მივდიოდი, ხარკი მიმქონდა. გლახათ დააღამა, რო ავცილდი ჯალაბეთს. გაავდარდა ძალიან. მივდივარ ამ წყალ-წყალ. გოუდის ხუხუნი. თურმე ე წყლები მოდის დიდი. მე ვთქვი, ახლა: ჩემ თავს კი მოუვლი. მივდივარ გვერძე. როცა იქნა, შემხვთა ი დიდი წყალი წინა, მოდის ძუძგუნით ე ქვა და კენჭი, ე ტყეს ცელამს. მაშითვე ვთქვი, რო — ნეტა ახლა ცხენი მყამდეს, რო ჯალაბეთს მივაძახო: უშველეთ თავს-მეთქი. რიშიდანაც საშიში იყო. მე ვთქვი: ხალხი თუ მარჯვეთ იქნა, ქვე გამოასწრეთს.

მე აქიდან მივედი და ვასილ ბერიძე იქიდან მოდის. წვევდით. ისეთი ღელე ჩამოდის, მუაქ ტყე და ეელი. სა წახვალ? კინალამ დაბინდებამდი ვიყავით. ჩვენ ქოხეთს სულ წამეილებდა — მე ვთქვი. ამ დროს ქვეც გადიკარა. გევიხედე, იხედებიან ჩვენი სახლები.

მაღე ჩამოვარდა წყალი. მივედით გამოღმა სახლეთში. გააქ ამ ღელეს ძუძგუნე.

— ჯალაბეთს გედიელის ესიო, — თქვეს.

სოფელში რო ჩამოუწია, ხალხი ბევრი დეიხჩო. ყველამ ვერ გამოასწრეს გარეთა.

ერთი ექიმი იყო ოსის ჰალაში. აფთიაქიც ქონდა იქა. ი ექიმო დეემწყვრა წყალთა შუა და მოკვდა.

მორე დღეს მომაკითხეს სახლიდან. — მოკლემდა იმასაო, — ეფიქრებია ჩემ ქალს.

მოკლე გზა იყო, იქანა შემხვთა ი დიდი ძიძგინა წყალი. ი სოფელი დაანგრია მაშინ წყალმა. ადამიანი, მგონი, 10 სულამდე დეიხჩო.

(სოფ. პერევი)

20. მამაჩემის ნადირობა

მამაჩემი იყო მონადირე კაცი. მონადირეც კაი იყო და მებაღურიც, თემწს ამობოჰდა ბევრს, დათესაც ბევრს კლემდა და შეელსაც დათვს ახლაც კლევენ რკინით.

ერთხელ წვეიდა შორს სანადიროთ. წეიყენა ერთი აფხანიკი. დიდი უვლიათ, პატარა უვლიათ ამ ტყეში და უპონიათ ერთი დათვი. დათვი ყოფილა იმხელა ის ოხერი, რო კაი სხვილი კამბეჩი რო იქნება, თვარა თითონ ნახემდი შენა. უსვრიათ ორივესა. მამაჩემსაც უსვრია თოფი და იმ კაცსაც. თეძობეში მოხეთერია. გვერდო აღგილი ყოფილა, დაგორებულა იქედან და ჩამოსულა ღელეში. თურმე რას უზამს უკან. მოხეთერება დათვს!

მოუკვდინარებია თავი და აპლაკულა ღელეში. ეს ფეხები მაღლა უქნია და ე ზურგით ქვე არი პირადმა. დოუხედნიათ ამ დათვისთვის. ცოტათი ფეთქამს კიდე. მამაჩემს უთქვამს: ბიჭო, ამან მო-

კვდინარება იცის და ნუ ვენდობით. კიდევ ვისროლოთ და, თუ ცოცხალია კიდევ, შეფხარკალდებო. ახლოს მისვლას ვერ ენდვენ. რო უსვრიათ, ერთი ქვე დოუშორებიათ და, რომელიც მოხვთერია, ისიც არ მოხვთერია იმისთანა ადგილას, რომ მომკვდარიყო.

წვრიმალა ტყეა თურმე ძაან და მამაჩემსა ყაბალახი ეხურა, ი კაცსა — კოკორა ქული ნაბდისა. წამოვარდა ი გახელებული დათვი და გამეენტო იმ კაცეფს. გარბიან თურმე ე კაცები ამ წვრიმალაში, როგორც გასროლილი ტყვია, მარამა ე დათვიც ძაან შირბის. ქე არ მოუხედნიათ უკან? ქვეც დეინახეს თურმე ესი და ქვეც მოასწრეს დიდ ნაძვს. რომ დაგვინახა, ამევეფარეთ ამ ნაძვსაო, უკანა ფეხებით წამოვიდა და მოადგა უკანა ფეხებით ნაძვსაო. — მონადირეობაში დაებერდი და მისთანა შიში არ გამივლიაო, — იტყოდა მამაჩემი. — წინ მე ვარ ი ნაძვზე მიმდგარი და ჩემ უკან ე ჩემი აფხანიკიაო. მივაჭირე დათვის თოფის ტუჩი ილღიაშიდაო და დეიკივლა თოფმა იმხელაიო, რომ სად არ გეიგონებდა აღდამიანო. ტყვიან-წამლიანა შიდ შევიდა, გულშიდაო, და გადავარდა დათვიო. — აბა, ბიჭო, დაცხევი ახლაო! — ეთქვა მამაჩემს აფხანიკისათვის. ესროლეთ, ესროლეთ, სანამდი არ გამოგველია ტყვია-წამალი, ესროლეთო. დავჯექით მერე ე შეშინებული კაცებით, დევისვენეთო. რალაი გეწმინდეთ იმედი, რომ ნამდვილათ კვტარია ახლაო, ავდექით და გავატყავეთო.

ტყავი წამოიღეს და ქონი და ხორცი იქ დატოვეს. დათვის ქონსა დამწვრის წამლათაც ხმარობდენ და ბოვშსაც ბანდენ დათვის ქონში, სიმკლე რომ შეეპარებოდა. თოფებს ფერემდენ კიდევ.

— რომ გაატყავეფ დათვსაო, — მამაჩემი იტყოდა, — სუყველიფერი სხეული ადამიანის მგვანი აქო.

ექანა, ის რომ არი, პეტრეი, იმის მამის ძმას ეჭამა. კაი სუქანი ცხვარი რომ იქნება, ისეა ხორცი აჭრელებულიო. ხორცი როგორც ღორს აქ, ისე აქაო.

(სოფ. პერევი)

21. ჰვეყნიერობის ღარჩინა

ციხე-ქალაქი აშენდა, ციხე-ქალაქი ქვაზედა,
ქვეყნიერობის ღარჩინა ვერავინ იღვა თავზედა.
წვიდა, ხარამა შესთხოვა: „მე დამაწერე რქაზედა!“
წადი, ხარო, იმუშავე ცასა და ქვეყანას შუა;
ვინც შეგაბას უქმი დღესა, რისხვა მიადგეს კარზედა!

22. წისქვილის ამბავს თუ მკითხამ

წისქვილის ამბავს თუ მკითხამ,
მე მოგახსენებ, რა უნა:
სათავე აშენებული,
ღარსა პირამდე თლა უნა;
ქვეშ-ქვეშ ლამაზი ბორბალი,
შიგნი ნამაზი ქვა უნა.
ხვიშირა და სარეკელა,
საქინწიალო სხვა უნა.
ზედ პური რო დაარიგო,
იმასაც კაი ფქვა უნა.

(სოფ. პერევი)

23. ერთი ბაბუიშვილები

ე შარაზე რო ამოივლი, სულ ერთი ბაბუიშვილები ვართ: ბეკო-
შვილები, ბერიშვილები, ტორთშელიძეები, ცუხიშვილები, ზამბა-
ხიძეები, გულიტაშვილები, ენუქიძეები, შუკაიძეები, ბერიძეები,
ბაქრაძეები, გაბაძე, მაკასარაშვილი. ზოგი შამომატებულია მერე.
გალმა კუსიანებიცაა.

ი ჩემ ბაბუსა ყამდა 6 ბიჭი. 6-ვე დაბერდენ. თავის სიბერით
მოკვდენ. ექვს ძმასა, სუყველას, ბევრი შვილები ყამდა. 6-ზე ნაკ-
ლები არ ყოლია და მოვშენდით მიტომ.

ჩვენი ძველი აყრილა სკინდორში, ქიათურის გვერდით არი. იმათ
ყოლიათ ავი ბატონი. ოთხი ძმები ყოფილან. ერთი მეეკლათ თათ-
რეთს და სამი ქვე გადმოცვენილიყვენ. წამოსულიყონ ისინი. თირ-
ში ყოფილიყო ერთი დიდი აზნაური და მისულიყვენ იმასთან. შეხ-
ვერწნოდენ, რომეო, მოგვიხერხე რამეო, დაგვმალეო. წეყევან-
იმას და ცხილათის წმინდა გიორგიზე შეეწირა. — აქ იყავითო თქვე-
ნეო.

ადგილი მიცა იქა ღვდელმა და დაასახლა ცხილათში. გოუგო
ეს ბატონმა. წამოვიდენ იქიდანაც. გეიყარენ გზაზე. ერთი ძმა საირ-
ხეს დეესახლა, მეორე ჩიხაში დასახლდა. მესამე ძმა წამოვიდა და
ღარყაში დეესახლა. ღარყიდან წამოვიდა და აქ დეესახლა პერეგში.
ორძოცი კვამლი ვართ ახლა. ის ძმაი საირხეში რო იყო, 60 კვამ-
ლია ახლა. ჩიხაში გადაშენდა. ბიჭი და გოგო ყოფილიყვენ. ი შუკა-
კიძისას ქვე მივედი ჩიხაში. მას უკან მერე ქვე გადაშენდა ი შუკა-
კიძი.

მე ვიყავი თათრის ომში. დაეტოვე მაშინ აქა წვრილი შვილი. მა-
რულსა მყამდა პაწუთი. ჩემი ოჯახობა მარჯვეთ მუშაობდა, არათფერი.

გეყიღნა. ნამუშევრები დავტოვე სახში. თათარი ძაან მიქალნავეთ მაშინ. 900 ვერსი წვეწიეთ თათრის ქვეყანაში.

ძნელი ყოფილა სიბერე. ძალა აღარა მაქ. პირჯვარდოუსწერელი წყალი არ დამილევი. ტყვილა გვისწორია პიჯვარი, ტყვილა. ამ ომში შვილები დამეკარქენ. იმას რო არ დაველუბნე, რა მიჭირდა!

იანვარში ფეხი მევიტეხე. საქონლის საქმელათა ევედი. გამეჩილი რო იყო თავლაი, დააკტა იმასა მერჩი და ქვეშიდან ქონებოდა მიკრული ფიცრები. უჩოჩიბია ლუსმანს. მე ვერ ვხედევდი. ქეც გამოვლიეთ ღარმე, ბზე იყო და დავაწეჟი კალათს ორივე ფეხებით და ი თხებში ჩამოვარდი და დევეცი თხების ჰერზე დამჯდარი. ერთი ფეხი მოკეცილი დამჩა. მაშინა 3 თვე ვიწეჟი.

მე 95 წლისა ვარ. ჩემზე უხნეა ზაქარია — ჩემი ბიძაშვილი. ჩენ ბაბუიშვილეფში ბიძაჩემი და ჩემი ბიძაშვილია ჩემზე უხნე. აქა ვარ დაბადებული.

რასა ვთესამთ? მანემდინა შერისა ვთესემდით. სიმიდლაც ვთესემდით. ფეტვიც მოდიოდა. დასვენებული ყანები რო გვექნებოდა, უყს ვეძახოდით. უყზე ფეტვს დათესემდენ, მერე დაფარცხემდენ ფეტვს. აქა თა აღგილია. თას მიდეგს წვიმა.

ქვეც ვნადირობდით და იარალი ქვეც გვიწყობდა ხელს. აქისთანა წყალი და აერი სადაა!

(სოფ. პერევი)

24. პიტონიკი

შამოდგომაზე მომზადდება ნიადაგი საპიტონიკე მიწის. ორპირათ გადააბრუნეთ. ცალპირი არ ვარგია. 18 ვერშოკი მაინც უნდა გადაბრუნდეს. მერე მონამყენდება გაზაფხულზე ისი წარე ლერწზე. კაი ჭიშის ვენახს დავმყენით წარეზე — საძირეზე. საძირეს რო მონამყენებეთ, ცალკეულ ძირეფს შორის დაცილება იქნება ნახევარი ვერშოკი. გასახარებლათ რო ჩოუშეფეფ მიწაში, მის შემდეგ მიწას დავაყრით. ამას კოკოლს ვეძახით. მიწის ზევით დარჩება ცერის ნახევარაძდე.

ვენახს მორწყვა მაინც უნდა. მამცემ ვენახს რო აქ, ისე კი არ უნდა. თხელი წამალი უნდა. გირმაქა შაბიაბანზე სამი ფუთი წყალი უნდა მიეცეს, რადგან, თუ მეტი იქნა, შაბიაბანი დაწვამს. ორჯელ უნდა ჩააფესოვო. გერიელი რო არი, ფესოს გეიკეთეფს. მოვჭრით ფესოს ივნიში და აქეთ თვეეფში. შამოდგომაზე ფოთელი გაცვივა და დასრულდება, ამეილეფ და შეინახამ სილაში. დაჭრი თავეფს, დარჩება პატარა სამამულე ნეკი. რაც კი ამოვა კაი, ყველა შეინახება.

გაზაფხულზე ამეიღეფ და დარგამ პლანში. როგორც ამოვა, მაშინვე შეირწყებდა. მერე გავმორჩინით — ფოთლები და ნაყრები უნდა შეაეცალო (კვირტეფს გამეიღეფს და მოვაცლით). ავახვემთ თან სარსე. ახოვანი ოთხჯელ დაჭირდება. თან ვრწყამთ. იმ წელიწათს შეიძლება არ დადგეს პლანში. ნაწილი დადგება. მეორე წელიწათს ნამყოფი შეიძლება გამეიტანოს რამოდენიმემ. უნდა შეირწყოს ერთი რვაჯელ. შესამე წელიწათს 5-ჯელ მოვრწყამთ.

ჩვენ გვაქ საფერე იმერული და კახური (შავია, სხვილი მარცვალი აქ). ქვიშხური (თეთრი მარცვალი აქ სხვილი), ცოლიკაური, ციციქა, კუნძა (სხვილი მოგძო მარცვალი აქ), მანათიანი, დონდლლაბი, ხითარი (ვარდისფერია), რქაწითელი, კრახუნა, ძველშავი, რკო (შავი მარცვალი აქ, ნაკლები შაქრიანობისაა, ვიდრე ძველშავი), მცვივანი, არაბაული, ქველაური.

(სოფ. სავანე)

25. სამანელთა საშბრიდან

— რამდენი ფოხალი მოგივიდა ლობიოი?

— ფოხალ-ნახევარი.

— ლობიომ მე ქვე მილალატა. ერთი კოდი უნდა ვიყიდო ლობიოი. ამან მიმტყუნა, თვარა ლეინო და ოტკაი რამდენიც უნდა ვსვა, ქვე მაქ. არ წყყენს. ლეინო რო მწყენდეს, ქვე მოვკვდები. წყალ ვერ ვსვამ. რო შოთომს, ოტკა თუ გამათფოფს, თვარამა რა მიშველის. თავი ოტკა თვარ არი, არ დავლემ.

— ჯავრით დალეულა ეპისტინეი.

— სა ნახე შენე?

— ტაქს უცთიდა. ფული ქვე უსაგზლე ცოტ-ცოტარა.

— მისი ქმრის ადგილას ვინ დოუყენებიათ, ნეშტორო?

— არ ვიცი.

— ცოცხალი არი იპოლიტე და ანეტიი?

— არ ვიცი. სად ნახემდი...

— ახლანდელი ახალგაზდაები ზოგ-ზოგები დედ-მამისთვინ არ არიან.

— იმ ბებრეფს ახლა მოსახელავი ექნებოდათ ყოლიფერი. პატრონი არა ყამთ. ამდონი ხეხილი, ვენახი იმათი სახელავია სუყველიფერი. ადოყებულია ყოლიფერი... მისთანა ეზო-გარემოს კაცი დატოვეფს?! ვაშლი გინდა, სხალი გინდა, რა არ ალი!

— ღმერთო, შენ მოსპევი ოხერი დედაკაცი!

(სოფ. სავანე)

26. კვერეთის აბანო

ეს კვერეთის აბანო წერეთლებისა იყო. ამოჩენილია წინათ წერეთლების მიერ. უმალ ჯოგი ყამდათ თავადეფსა და ამ წყალსა საქონელი სვამდა. მარილიანი წყალია. მერე მიხვთენ, რო ეს იყო სამკურნალო წყალი და გააკეთეს რაძახა ხის საწნახელი, მერე გააკეთეს ცემენტის აუზები. 1910-ში დევიწყეთ სახლები და ავაშენეთ. გავაკეთეთ ვანებიც და ვაბანავებდით ხალხს თითო აბაზათ. ეფი იყო. ფულიც ქე ვარგიყო. ეს აკაკი წერეთლის მამის იყო.

გეიჯვენ ძმები მერე. აკაკიმ ეს მიყიდა გამყრელიძეს.

ე მე! ძალიან უყვარდათ ქეიფობა. მე 1911-ში მოსული ვარ. წერეთლეთან ვმუშაობდი, აკაკის რძალთან — მარიამ წერეთელთან. მე ვანე ვიყავი. კაცრი იყო აბა, მარა მე კარქათ მექცეოდა. საკმელს ქვე მაკმევედა ხომე. საკმელი კაი იყო. მე აქ ვიყავი ზამთრობითა და ზაფხულობითა. აქისთანა ბუნება არსა არ არი.

სახხერეში შამოვიდენ მენშევიკები, მარა დიდი ხნის ფოხი არ ქონიათ. ქე გადაშენდენ მერე. ჩვენი გადახებაც მეინდომეს, მარა რა გეგბდოლებოდა. ტყეში ვიმალებოდი ჩემთვის.

თებზის ქერა მიყვარდა. გადავაგდებდი ბადეს. წყალი დეკირე. დაკირული რო იყო წყალი, ბოვშებიც იქერდნენ თებზსა. კეტარ თებზეფს ბოქემდენ.

ყველა თებზი ტობობს, მარა თებზს აქ თავთავის ჯიში. აქ იცის კალმახი, წვერა, ღორჯო... ბადეც სხვადასხვანაირია: სასროლი ბადე, სახხრეკი ბადე, სახობავი.

(სოფ. კვერეთი)

27. აბაპი წერიტელი

მ ო გ ო ნ ე ბ ა

მე აკაკისთან აღზდილი ვარ. 10 წლის რო ვიყავი, მას უკან იქ ვიყავი სულ. აკაკი და მისი რძალი — დავით წერეთლის ცოლი ცხოვრობდენ ცალკე. ვასიკო როა წერეთელი, მისი დედა ცხოვრობდა ცალკე.

მე ვიყავი დავით წერეთლის ცოლთან. ერთათ იყვენ სუყოველთვინ. მარიამი ქვიოდა აკაკის რძალს. პირველში ბოვშათ ვიყავი. დავდიოდი იმათ მამულში. აქ აბანოზე ვიყავი ხომე.

აკაკი მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს თავის რძალთან. დევიწყეს კარტის თამაში. მოუგო შვიდ-თუმან-ნახევარი მარიამს. მეტი ფული იმას აღარ ქონდა და არც ეთამაშა ნისიათ. ერთი ღორი ქვეყამდა გასაყიდელი. ვაფასებდით 3 თუმან-ნახევარს. აკაკიმ უთხრა: მეთამაშე

მაგ ღორზეო. მოუგო ისიც, მერე დღიწყო სიცილი აკაკიმ: რა ჭყვი-
ლით წვევიყვან მაგ ღორსაო. გააბრაზა.

წვევიდა იმ ღამეს. მეორე დილას გამოუგზანია ბიჭი და დოუბა-
რებია: ააჭყვილე იქა და გააბრაზე ჩემი რძალიო. თავათ წამოსულა
და, ახლოს ვენახი იყო, იქ დამჯდარა.

უყურეფს, როგორ აჭყვილეფს ბიჭი ღორს. აკაკი ჯის და იცინის.
გამოუეარდა მარიამი ბიქსა: რას აყვირეფ მაგ გოქსაო! წათრიეო!
მაშინ გამოჩთა აკაკი და დოუძახა: მოდი, ახლა კუდალა ხარზე
მეთამაშეო! აბრაზებდა ასე. მალა კ'არ წაჩხუბებულან, მარა აჩე-
ლებდა.

ერთ მშვენიერ დროს პატარა ბოვში ვიყავი და შევხედე, ჯიან
აკაკი და მისი ძმა და რძალი ერთათ. მე ვიქნებოდი დაახლოებით
8-9 წლის. აკაკის სახლამდინ იქნება 300 მეტრი. აკაკი მოუყვა: რაც-
ნა ფრინველი დადის და ბოვშეფს იტაცეფსო. სამსონა, არ შეგე-
შინდეს შენეო. — მოვწყვიტამ თავს, ბატონო-თქო.

თან მზე ჩვეიდა. მეუბნება: წადი, სამსონო, გეიქეცი და ანასთან
ჩადიო, წიგნი ჩამომიტანეო.

გასათხოვარი და ყამდა ანა, იქნებოდა 25 წლის. ეს რო მითხრა,
რუსულათ უთხრა რაცხაი რძალმა, მერე ქართულათ: შე შეჩვენე-
ბულო, გედირევაო.

მივრბივარ. გამოუტანებიათ შორი-ახლო ბიჭი. მიველი, უთხარი
ანას: ესა და ეს წიგნი მამეცი-თქვა. ჩამოუტანე.

— არ შეგეშინდაო? — მკითხა და დღიწყო სიცილი.

აკაკის ყამდა ერთი ნაყმევი — თედორე სისვაძე, კორბოულელი.
იმ თედორეს რასაც ეტყოდი, იმისთანა ლექს გამოგიტქევემდა, რო
იქნებოდა კობიო შენი. რო ჩამოვიდოდა, შოუთვლიდა, ჩამოდიო,
დააჯენდა, ალაპარაკებდა ლექსეფს. ძალიან პატივს ცემდა. სუყო-
ველთვინ ყამდა, ქეიფობდენ და დროებას ატარებდენ.

1905 წელში გამოსვლები იყო. აკაკი წერეთელი დეესწრო აქ
სწორეთ იმ დროს. გლენებმა მებატონეფს არაფერი აღარ მიცეს
იმ წელიწათში. აკაკის ყამდა გლენები.

დებიარა, ასე ვიცი, კვერეთელები (ჩემი თვალით უყურე), და უთ-
ხრა: მოქცემთ ქალაღდს, რო მე მიღებული მაქ თქვენგან სუყველი-
ფერიო. თვარა კაზაკები გაგატყავებენო, გაგლახევენო. არ ქნეს:
გვატყუეფს რაძახასო. მერე დოუბარა თავის დას, რო: — თუ ამათ
მოთხოვონ რამე, ერთი გამოაგზანე ჩემთან, ჩამოვიდონ და დოუწერ,
რო მიღებული მაქ მაგათგან სუყოლიფერიო.

მერე მართლა შეხვეწენ. შეხვეწილი რათ უნდოდა. მიცა ხელ-
წერილი.

აკაკი წერეთელს ყამდა რუსის ქალი. ძალიან დიდარი იყო მისი მოყვარე. შემდეგ გალარიბდენ. იქიდან შამოუთვალეს, როგორც რომ თავადი ყამდათ სიძე. ფული გვასესხეო.

თავადეფს აქ რა ფული ქონდათ! ადგა და ელისაბედ წერეთლის მამამთილს დოუგირავა ეს თაი, გამოართვა ფული და გოუგზანა მოყვარეს. იმათ ისე წოუვიდათ საქმე, რომ დარჩენ ღარიბები და ამას რალა ფულს გამოუგზანიდენ! ადგა აკაკის უნცროსი ძმა ილიკო და მონაგროვა ფული, რომ ეს თა არ დეეკარქოს, და მიუტანა ელისაბედ წერეთლის მამამთილს და უთხრა: აი თქვენი ფული და ჩვენი თა უნდა დევიბრუნოთო. ილიკო ავათ იყო ტუპერკულოზით. ადგა და უთხრა იმან: ეგ ფული წეილე შენე და წადი, იექიმე, როცა გინდა, მაშინ მამეციო.

ისიც წევიდა და დაჩებზე იარა. ის ფული ქე შამეეხარჯა. საბოლოოთ იმდენი იწვალეს კიდე, რომ აღარ ქონდა აღარაფერი და წათვეს ეს თა. დეირჩინა იმან.

გუნებიერათ რომ დავედები, მოვიგონეფ ყველიფერს და შენც კარქათ დაწერამ.

(სოფ. სხეიტორი)

28. სიმინდის ბარჩემვისას

— დეიწი უკან, სიმონა, ე ჩაფი დგარს, არ გატეხო!

— რამდენი გაქ გარჩეული?

— სამი ტონა.

— სამი ტონა, მაპა! ვინძახა შრომელი ხართ, ყველას გიცნოფთ.

— სა არი ბუხუტაი? მამეხმაროს...

— წასულია. სხვას ნავხამთ ვისმე.

— რამდენი ურემი მეიტანე შენე?

— ხუთი. ე გოგო სა მოფოშიალოფს? დეიცა, დეიცა, სევასტი ბიძია, მოყევი რასმე. აბანოზე რომ იყავი, იმა მოყევი. ემას აქაურლების სიტყვა აინტერესეფს. შაირები უთხარი ქვე მაინც.

— დეინახე, ვერია რაფრა ილრიჭება მაიდანი. კილს ატანს ჩემ სიტყვას. რა უნდა ვთქვა სამნიშენელოი?

— ემდენი გაგიგონია და იცი... ჩასუსთით! ამელიონი მოდის თვრალი.

— თავლაში ხ'ვადარ არი სიმინდი გასარჩევი? რაც წასახთენი იყო, წევიდა კვიჭილაში. აქის სიმინდი დაბალი სიმინდია. წროულ ამიდმა გოუმართლა.

— მაგულია იქით დგარს. იქით უფრო ყუღრე იყო.

— სამი ძარი მეიტანა იმანაცა?

— კიე. გაგაძრიელოს ღმერთმა! იმა მიეცა სიხარული, ვინძახა არი. კათ მოაწყო საქმეი.

— აქანა ჯდია ვინმე?

— არა. ახალ-ახალი ამბები უთხარით სტუმარსა...

— მიტუშა წევიდა შენ საყოლში?

— გოგოი აღარ გაატანა. ქალი ყოლებია ი ბიქსა და გოუდენია.

(სოფ. ჯალაურთა)

29. ნამპვრივალი, ნამოახლარი თუ უბიწო?

ერთი კაცი იყო. 50 წლის შეიქნა და ცოლი ვერ შეირთო. ქალ ქვე ნახულობდა, მარა ვერ აარჩია. როცა 50 წლის გახტა, სამი ქალი ურიგდებოდა. თითქმის არცეთს არ წუნობდა, რომელიც უნდა ყოფილიყო შეირთამდა. ერთი იყო ნამპვრივალი, მეორე — ნამოახლარი, მესამე — უბიწო. შეეკითხა უმფროს კაცეთს: რავო ვქნაო? იმათაც უთხრეს: წადი, სოლომან ბძენსა კითხეო.

წევიდა ე კაცი. დინახა, რო სიმიტს ნაყემდენ. მაშინ წისქვილი კარ ყოფილა. რო ნაყამენ, ფქვამენ, დაფქული წყალში იყრება. იკითხა კაცმა: რატომ არი ესეო? დაფქულიც იკარგება და სიმიდით. ცო. უთხრეს: ესე სოლომან ბძენმა გააკეთა ასე და დაგვაყენა ზედო ვაყრი სიმიტს, იფქება, იყრება წყალშიდაო. ამ კაცმა იფიქრა: სოლომან ბძენის სიტყვით თუ არი ესე, იმა არაფერი ცოდნიაო. რათ მივდივართ იმასთანაო! მარამა წევიდა ისევე.

მივიდა ერთ ადგილზე. ხარები ყამდათ შემბული წალმა და უკუღმა. იდგა კაცი და გადაკრემდა ზომე სახრეს. შეეკითხა ეს კაცი: რავა შეგიმბავთ ე ხარებიო, მაგრე უნდა შემბაიო?

— არ ვიცი მეო, რაქალაცა აბიაო. სოლომან ბძენის არი ე ხარებიო, ასე გვიბძანაო. ხანდახან სახრე უნდა დავკრათაო, ამიტო იწევენ აქეთ-იქეთაო.

— სოლომან ბძენი სულელი ყოფილაო, ტყუილა არ წამევედი იმასთანაო! მარა ისევე წევიდა სოლომანის სანახავათ.

დოუახლოვდა სოლომონ ბძენის სახს. ასწავლეს. მივიდა ე კაცი კიდევ და მოდიან ბოეშები. ბოეშები გადამქლარი არიენ ჯოხებზე. სოლომანიც გადამქლარია ჯოხზე და გარბის.

უთხრეს: ეს არი სოლომანიო. ამ კაცმა იფიქრა: ეს რას მასწავლისო, მარა მინც გააჩერა. გადმოხტა „ცხენიდან“ სოლომანი და დაამბა ჯოხი. კითხა: რა გინდა, ბიძიაო?

ამ კაცმა უთხრა: შენთან გამომგზავნეს, გასწავლის რამესო, მარამა შენ რა უნდა მასწავლოო. შენი ნაკეთები რაც ვნახე, არაფერი არ ვარგაო.

სოლომან ბქენმა უთხრა: შენე ნუ კითხულოფ, მე რაჰახაზე ვკვიარ და ვასწავლიო. მერე მოუყვა: შენ რო სიმიდის დაფქვა გაქკვირებია. ეს იმიტომ გავაკეთე ასე. რო შეხედოს ხალხმა და მკითხოს, რატომ არიო. ისე იყარქება ბოროტი კაცის ნამუშევარი, როგორც ის სიმიდი და ფქვილიო. კაცს არ უნდა წაართვა არაფერიო.

ხარები რო ნახე წაღმა-უკულმა შემბული, განა რიგიანათ ვერ შევებემდი იმასაო? მარა მინდა ხალხმა ნახოს: ძმა და ძმა რო ერთმანეთს უღალატეფს, ვერაფერს ვერ გააკეთეფს ისინიო.

მერე უთხრა: ჯოხზე რო ვკვიარ მეო, ბავშვობას ვიგონეთო. ცოცხალი კაცი ყველიფერს მეესწრება, ბავშვობას ვერაო.

ეს რო თქვა, ოუშვა თავისი „ცხენი“ და შეჯდა.

მერე დაარიგა ე კაცი: ნამოახლარ თუ მეიყვან, იმან იცისაო. ნაქერივალს თუ მეიყვან, ის შენ იციო: უბიწოს თუ მეიყვან, ის მე ვიციო. ეს უთხრა და გეიქვა.

წამევიდა ეს კაცი და მოდის. ვერ დახსნა სოლომან ბქენის სიტყვები. მევიდა და შეეკითხა იმ მოხუცებულ ხალხს, რომლებმაც უმალ გაგზანეს. უთხრეს იმათმა: ნამოახლარს თუ მეიყვან, ის თავის ქუეზე გარონიეფს შენეო. „იმან იცისაო“ — მიტო უთქვამს. ნამქერივალს თუ მეიყვან და წინ არ გოუშვეფ, გამოგადგებაო. უბიწოს თუ მეიყვან ყველაზე უფრო გამოგადგებაო. ეს მე ვიციო, მიტო უთქვამსო.

წევიდა კაცი და მეიყვანა უბიწო ქალი და დეიწყო ცხოვრება.

(სოფ. ჯალაურთა)

30. იმერეთისა და რაჭას შორის

ჩვენ არც იმერეთი ვართ და არც რაჭა. შუაში ვართ. უმფრო რაჭის ხარეზე ვართ, ვიდრე იმერეთის. ფუტიეთი, ბრავაძა ონს ეკუთხის. ონში თა გვაქ გადასავლელი. ვერ გადავდივართ. საჩხერიდან მოგვაქ ყველაფერი. ამ ჩვენ ქვეით იმერეთს უძახით. ცხომარეთი ღარ ადგილას არი და იმერეთს ეკუთნის. აქა თა ალაგია. ბური იცის. იმთნათ კარ ვარგოფს ყურძენი, როგორც ქვეით, იმერეთშია. ფორს უჩენს ბური ყურძენსა. შრანდელი ჯობდა წროუნდელს. ბევრე მევიდა წელს.

უწინ ბატონისთინ უნდა მიგვეყვანოს 9 მტკაველი ღორი. ორი ღორი ყოლოდა ჩვენ ძველს დამწყროული სალორეში — დიდი და მორჩილი. შამოუთვალა ბატონმა: ღორი მამიყვანეო. გოუგზანია მორჩილი. ქალი ეუშებოდა: მაგას არ მიიღეფსო. წეიყვანა ეს მორჩილი ღორი. დაამტკავლა ბატონმა და გადმოუგდო უკან. გვიპრო ზანჯალი ჩვენმა ძველმა, დაკრა ხირხიმალში და ვაპოკუქა. მერე ვა-

მოქცეულიყო აქ, უდაბური თა ყოფილიყო და დასახლებულიყო აქ. აქიდან წარმეიშვა კუქაშვილი. ჩვენ ცყოფილიყავით კვიტაშვილი. მერე გვარი შეიცვალა. პირველი შამოსულა აქა კვიტაშვილი, მერე — ბრეგვაძე.

(სოფ. მოხვა)

31. მოხველთა საშბრიდან

- შეშა არ არი ამოზიგული?
- ზიგემდა ბაგრატი, მარა ვერ ოუთავებია ამოზიგვა.
- ძროხის გულისთინ არიან გადამტერებული?
- ძროხი გულისთინ კი არ იყო ის ამბავი, უმალ ქონდათ ერთ-მანეთში ჩხუბი და მიზეზათ გაახსენდათ ძროხაი. ისე დოუშვეს ერთმანეთს, ძლივ გამოგლიჯეს ყარამანა ხელიდან... რაღაი დაწვრა, დელეზე დეეშვა, შუროზე.
- რაღაცა ამბავია ჩვენ სახში და მიტო ვარ დანაბულებული.
- არ ვიცოდი, თუ ანგრე გულის მოსვლა იცოდა.
- ევ მაშწონს. სიმართლე უყვარს. დანაშაური უნდა აღიარო.
- 500 კონა ზო უნდა ყოფილიყოს?
- კი. რო არ არი?
- გამევიანგარიშოთ და დავაჯამოთ.
- რაღა სპოფ იმ კაცს?
- წახტენა უნდა კაცისი, კაცი კაცს რო გედენტერება.
- წადი და ფული მუუტანე. გამოართვი და მამიტანე.
- ქალები თიბავენ?
- კაცები თიბევენ. ქალები ანგროვებენ ფიწლითი, ფორჩხითი...
- მე რო უნდა მეყიდნოს ჩალაი, ამან გვითხრა: გამოგზანეთ შოთაი და გაგატანთო.

(სოფ. მოხვა)

32. მამა-შვილი

ჟავე წყალზე ვარ და ვილაც ერთი მოხუცებული იყო. ხნევიანობა დაასახელა, 135 წლისა ვარო. ქათურელი მასწავლებელი იყო ერთი, ვალდიმერი. დავინტერესითო მე და ისი და ბევრი რამეები თქვა. ერთი თქვა:

სვიმონ წერეთელი ყოფილა. შვილი ყოლია დავითი. მამა-შვილს ქოხუბია უყვარფილება. შვილი ქუთაიში წასულა და დოუწყია ცხოვრება. მამა აქ, საჩხერეში. ცხოვრებულა.

ქოუვიდა ამბავი: შენი შვილი დავითი გადაიცვალაო. წასულა ამალით ქუთაიში. შვილი კვტარი დახვთერია. კოლოფში წამოულიათ ე

მიცვალებული და ჯრუჭის ეკლესიაში დოუსაფლაჟებიან. იქ მარ-
სეშდენ ძველი თავადები.

ამ გარდაცვალების შემდეგ გოუვლია სამ წელიწათს. ჩამოსულა
ჯარი სვადაბუნეფში. გოუგზანია იმ ჯარის უფროს კაცი სვიმონ წე-
რეთელთან: დავით წერეთელი ქსმობილოფს. შენი შვილიო!

— ალბათ ჩემი დაქვრა უნდაო, — უფიქრია სვიმონ წერეთელს. —
აჰა ჩემ შვილს რა გააცოცსლებდაო! — და უბძანებია, გაროზგეთო.
გაატვლიპინეს ეს კაცი.

შორე კაცი გაგზანა კიდე: თქვენი შვილი ქთხოვს მოხვიდეთო!
ესეც ცოცხალ-კვტარი გამოისტუმრეს.

შესამე კაცი მივიდა კიდე. ახლა კი უთხრა თავადმა ცოლ-შვილს:
— აღარ მეშვებთან და წავალო. შეჯდა თურმე ცხენზე. მოვიდა ჯარის
ნაწილში. მამამ თურმე ვერ იცნო შვილი. შვილმა ქე იცნო: შვილი
ვარ შენო: — რას სულელოფ შენე, ჩემი შვილი დავმარხეო!

— არა, მამაო, მე შენ მოგატყუეო, ი კუბოში ჯირკი ჩავდევიო!

ახლა ჯარების უმფროსი ვარო: გეიხარა მამამ, ამ ჯარსაც გოუშას-
პინძლდა.

(სოფ. ქორეთი)

33. მეც ძვე ვისწავლიდი...

მნ წელიწათში ვარ. ავანტყოფობის არაფერი არ ვიცი. ღვინოს
კოტ-კოტარას დავლევ, ბევრი არც მანემდი მინდოდა. პაპიროზს
სულ ვსვამ. ტყულა რო გავჩერდე, მაშინ გავხტები ავათ.

მალაროშიც მიმუშავნია და სოფელშიც. წროულ 60 დღე მაქ გა-
მოშუშავებული. სახლფეს ვაშენეფ, აჰა! რამდენი მიმუშავნია! მერ-
ჯევში, ქორეთში ბევრი სახლები მაქ ნაკეთები. არაფერ არ ვგრძნოფ,
ხოლოთ გაუცივებია მანემდე. ძილი კაი მაქ.

ვენახისა მოვლა ვიცი. ჯერ გავთოხნი, სარზე მისაკრაიე თუ არი,
მივაკრამ. 4-ჯელ მაინ უნდა მოვრწყოთ, კაცს უჭირს მორწყვაე და
ქალი რას მორწყამს! ქალები ბოსტნი კვალს ვერ იღებდენ მანამდინა.

ერთი გოგო მყამს და ერთი ბიჭი. მე ომი არ შემხვთერია. კენჭი
ამოვიდე და უმფროსი ვიყავი და არ წამიყვანეს.

ღორები და საქონელი არ გამოგველია და რას ვისწავლიდი! ახ-
ლა რო არი გავითარებული, ისეთი დრო რო ყოფილიყო, მეც ქვე
ვისწავლიდი.

უმაშვალოთ ქალს ვინ გამოგატანდა, აჰა! ორჯელ ვინ გაჩვენებდა
ქალს! მანემდი საქმე სხვანაირი იყო. ახლა მაშვალი ქვეც არ უნდა
ზოგ-ზოგს! ჯერ იხადილებდა კაცი და მერე მოიყვანდა. რა ზითევს
მოვითხოვდი! თითონ თხოვილობდენ ისინი. ქალს რო შეირთემდი,

შენ უნდა მიგეტანა 4 კოკა ღვინო, 2 კარგი ღორი, პურიც იცოდენ მანემლი, მარა ზოგს მიჭონდა, ზოგს არა.

მანემლი თითქმის სარჯელს მიცემდენ, რო ორი ცოლი ყოლოდა ვისმე. ახლა 3 მოყამს ზოგ-ზოგს.

ვაინი რო ღვიწყო, მაშინ მოიყვანა ცოლი ჩემა შვილმა. ჩემთან ცხოვროფს.

(სოფ. ქორეთი)

34. სოფელი ქორეთი

დინარე არ არი აქა, ღელე არი ფრონა, ქორეთს ყოფს ჯალაურ-თასაგან. სამხრეთით ჯალაურთაა, ჩრთილოეთით — ყვირილას წყალი, დასაველეთით — ითხვისი და დარკვეთი, აღმოსაველეთით — საირ-ზე და კორილა.

ქორეთი რატო ქვია, ამაზე ორი გადმოცემაა. ამ დაბლიდან რო გადმოხვალ, ქარი იცის და ამიტომ ქვია ქარეთი || ქორეთით. მორეც არი: ქორი იცის ხშირათ. წამოვა ცქიტიშვილებიდან და იქიდან არი შეფენება, სერი მოდემს. ან აქიდან მიდის, ან იქიდან. გამოუვლის ჩვენ სერს, გვივლის აბღუშელიშვილებისკენ ბეინევი და წეიყვანს ქათმეფს.

ოც გავზდი ქათმეფს, 15-ს ქორი ქამს. თოფით ქვე ვკლემდი ხომე ხანდიხან, მაპა!

(სოფ. ქორეთი)

35. ხადილი

მაშვალობით თხოვდებოდენ უმალ, საზღო-საბადებლით ზომდა სასიძოს ხალხი, ბიქი გლახა რო ყოფილიყო და ქალი მზე ამომავალი, მაინც გაატანდა შობლები, თუ შეძლებული ოჯახი ქონდათ.

ჯერ იხადილებდენ, მაპა! იმ დროისად ქალს უნდა ეეფუთნა პირი. გარდა თვალებისა არაფელი გამოუჩთებოდა. ერთს დაგინახემდა. კაცს რო ქუდი ეხურებოდა, იმას ქვე დეინახემდი. თუ მოგატყუებდენ, ხნე ქალიც ქე უნდა წეგეყვანა. ერთი ჩამოხსნიდა მაშვალი თავსახურს და მერე ისევ-ისევ შეფუთნიდა. მერე მოვიდოდა მაშვალი და შენ კი აღარ შეგეკითხებოდა. თუ ბიქის შობლებს მეეწონებოდი! თუ გლახა ქალი იყო, ხანდახან ხადილზე სხვას აჩვენებდენ. დაანიშვნიებდენ და მერე ი გლახას გაატანდენ ბიქს, მოატყუებდენ.

ბიძა მყამდა დიდი თავალებული კაცი. ი ბიძაჩემს თურმე უნცროსი და დოუჯინეს, როცა ხადილობდენ. დანიშნა. სალდათში მოვლილი იყო. კაი მანიფათიანი კაცი იყო. როცა მივიდა წასაყვანათ, კოჭლი ქალი გამოუყვანეს. მივიდა და დვეტოლა, მანემლი ხმას რა-ვა გაცემდი! შარვლის სათავემდინ არ შამომწვდარა.

25 ცხენოსალი მივიდენ. ჩემი ბიცოლას საყოლები ოთხი დედმა-

მიშვილი იყო. ბიძაჩემს არ უნდა ახლა ამის წამოყვანა, მიხვთა, რო შოუცვალეს ქალი. შეიქნა ჩხუბი, ლევერების ტრიალი...

ერთი პატარა ბოვში ყამთ სახში. მივადა თურმე და უთხრა ბიძაჩემსა: ბიძა, შაქარი მამეცი, კამპეტები მამეცი და მე გაჩვენებ, ეინც დანიშნეო. მეზობლისას დამალეს. ჯვარს რო დეიწერ, ზერე ქვეც გამოვა და ქვეც ითამაშეთსო. მიცა აკამპეტები.

დოუშვა ლეკური ამ ბიძაჩემა, წვეიდა და შევიდა მეზობლის სახში. — საცა მე შევიდე, იქ არი შენი საცოლეიო, — ბოვშმა უთხრა. გაუვა ე ჩემი ბიძაი.

შევარდა ე ბიძაი სახში: ქალი მამგვარეთ, თვარამა ის უმფროსი არ მინდაო! ქარ მიაგნო კარეთს უკან! მოკიდა ხელი, გედიკიდა ბეჯებე, გამოიყვანა და სედლოზე დააჯინა. წეიყვანა ჯვრის დასაწერათ. დეიწერათ ჯვარი.

(სოფ. ჩიხა)

36. ურლულელთა საუბრიდან

— საკმელს ვქამ, მარა არ მეპურება. კუჭი მაწუხეთს. მაციეთს ხშირათ. მინდოდა გავმთბარიყავდი, მარა ვერ გაეთბი. საჩხერეში არ წავსულიყავდი, არ შემეძლო... მას უკან ავათ ვარ.

— ჯვარი ვესწეროს...

— იქინა იყო თათარი?

— არა, წაგვივიდა ზელიდანა.

— შენ მაინ მიდი, ბიჭო.

— რა არი, ვერ ხელამ?

— მე ქვე შემეშინდა!

— მალა მამიხთება 2 ბოთლი მაქარი. 1 ბოთლი ქვე დავლიე.

— ეინ არი, კაცო, რო მოდის იქიდანა? მიშა არ არი ისი?

— ვალოდია არი ჭილაძეი.

— ე მაშინა სალა არი?

— ე საქმე ოუცილებლათ, ამეკქნათ. გავაკეთოთ.

— მზათა ვართ ჩვენე. მალა მივალთ, აპა!

— ი გოდრები უნდა. იმას ექნათ, წვეილოთ...

— დეეცა?

— კიე. კინალამ მოკვდით-ლარმე სიცილით.

— რალაი მოხვედი, აღარ ეწუხეარ.

— ჩმე! რავა ყველას წერს.

(სოფ. ურლული)

იყო მონადირე დავითი. გაქებული კაცი იყო. ჩვეილოდა გოროდში, ბევრს ეალებდა. მოკლემდა ნადირეფს, შეიტანდა და ჩააბარებდა.

ერთ დროს, რასაკვირველია, წიყევანა თავის ძმა და მოკლეს ნადირი და მოაქო. წამოვიდა წვიმა. მისი ქალი სახლის კარეფთან გაჩერებულა. წამოვიდა წვიმა და ქალი უყურეფს, რო მოაქო ნანადირეზი. ეს ძმა გადმოხტა ლელეზე, დავით მონადირე ვერ გადმოხტა ლელეზე. ე ქალი უყურეფს, რო მაზლს მეტი უნარი შეძლებია, ვიდრე მის ქმარს.

ამ ქმარს გაანება თავი და ეს მაზლი შეიყვარა. წავა დავით მონადირე და ესენი ერთათ წევან. ერთხელ მოუსწრო ქმარმა, გაჯავრდა. წამოხტა ცოლი, გადაკრა წკეპლა: აი, შე ძაღლოო! — დოუქახა და ქმარი გედიქცა ძაღლათ. გონება ქვე აქ.

ადგა და წვეიდა ე ძაღლი. მივიდა მეცხვარესთან. შეხედა მეცხვარემ, ამეილო პური და აქამა. დარჩა აქ. რამდონი მოვიდა გელი, დაახლო. უმ ხორც არ ეკარება ე ძაღლი.

ხემწიფის კასას ტეხევენ ხშირათ. ვერ მიავნეს ქურდს. ე ძაღლი გულთმეცანიდა. თხოვა ხენწიფემ ამ მეცხვარეს: გამამიგზანე შენი წარბაო. მეცხვარე რას შეეღეოდა, მარა ვერ უთხრა ვარი. წიყევანეს. მიიყვანეს ძაღლი და დაამწყვირეს ოთანში. შუალამის დროს შამოფრინდა ტრედი სატრედედან. იქცა ქალათ, ჩოუყო ხელი კასაში და შიქ ოქროები. ძაღლი დამალულია. ესცა ამ ქალს, წაავლო პირი ომაში, აფხოკიალა და ხელებიდან გააყრეფია ოქროები.

მივიდენ დილას ხემწიფის კაცები. ნახეს. არაფერი არ აცლია. ე ძაღლი ანიშნეფს: რამე მარგეთო. მიცეს ერთი ხურჯინი ოქრო-ვერცხლი. წამოვიდა. ფიქროფს: მოდი, მუუტან ი ჩემ ცოლს საჩუქრათ, ისევე კაცათ მაქციოს იქნებაო. მუუტანა. ცოლმა გამოიტანა წკეპლა და კიდე დაკრა: წადი შე ტრედოო! ახლა ტრედათ გადაიქცა კაცი.

გაფრინდა ტრედი. ერთხან იმალებოდა კდემში. მერე ყანაში მიფრინდა. მოვიდა კაცი, დოუწყო ყანას მკა. მოუვიდა სადილი. რო ქამა. მერე იქავეს ჩაფრინდა ტრედი. გოდუყო ნამცეცეფს ნიკარტი, ჩეკამს და ქამს. დეიჭირა კაცმა და შოუერა ფეხები.

მოუტანა ქალმა სამხარო. შეხედა დაქერილ ტრედს და არ იცნო!

— ა, შე დავით მონადირეო! მე ვიყავი, მეფის კასას რო ვტეხამლო. შენ ხელი რათ შემეშალეო? მარა შენი ცოლის ბრალია და ამოქყრი ომის გულის ჭავრსაო!

ე ქალი მისი ცოლისდაი ყოფილა. იმასაც მისთანა წკეპლა ქონია. გამოიტანა და გადაკრა: დავით მონადირე, დადექი კაცათო! ის და არი ჩემი, მარა არ ეკუთვნის ცოლსა ქმრის გაუყანასკნელებაო!

ეს წყება აჩუქეს და გაისტუმრეს. წავიდა დავით მონადირე ძალიან ადრე. ესენი რძალი და მაზლი, ერთათ წვეან. მივიდა თუ არა, გადაკრა წყებლები: ადექით, თქვე ჯორებო!

გელიქცენ ჯორებაჲ. დეიწყო დავითმა ახალი სახლის შენება და, რაც საზიდავი ქონდა, იმათ აზიდვია. თითონ სხვა ქალი შეირთო და ბედნიერათ ცხოვრობდა.

(სოფ. არგვეთი)

38. კვეს-აბელი

აბელი ხეზე იყო. მოჭრიდი ხეზე, დაბეგვემდი, მერე გამახარემდი. ფიტონივით გააკეთებდი. დავებგვემდი, გოფში ჩავყრიდი ან ქვაფში და ნაცარ დავაყრიდი და გამოიხარებოდა. მერე უნდა გაგეშრო. ნაცარი ხარშემდა იმას, ი ჯირკს ალბობდა და დეიბეგვებოდა კაათ, როგორც ბამბა, ისე გახთებოდა. კვესი ქვექონდა, დავკვესემდი, ბამბაში ჩავაგდებდი, შაუბერემდი სულს და მოუკიდებდა. — დამიკვესეო, — ქალები დაქვხებოდენ გზაზე, უნდა დაგვეკვესნა, ჩვრეთს მოუკიდებდენ.

გატეხილ ქოთნეფში ჩაახებდენ ქონს და გოუკეთებდენ სამოსლის ჩლას. იმას მოუკიდებდენ.

მანემდი კვარი იყო. ხეს დააბოდენ ჩიჩილაკათ, მოვეყენელემდით წენელს, გამოვგვერგვემდით. ზოსელში ან ქურის თავზე რო წავსულიყავით ღამე, მოდებდი ცეცხს და მეეკიდებოდა. თუ ნელდი იყო. ღველფში გამოვხოხებდი და მეეკიდებოდა.

ნამთი რო მოიტანა მამაჩემა, პაწია ვიყავი. უყიდნია ეესტის კრუშკაი და ჩლაც გოუკეთებია. სულ მონგროვდა ეს ქუჩაი. ნამთი გაქლიერებული არ იყო. მას უკან ქვეყნიერობას უშველა ამ ნამთმა. შპიჩაიცი ეფია. ქვეყანას დაწვამ ერთი კაროპკა შპიჩკითა.

თურმე ერთმა კაცმა იხადილა. ხო იციან ხადილი! სასიძომ პაპიროსი ამეილო, შპიჩკა გაკრა. მერე სიმაურმა უთხრა: ვერ იცხოვრეფ შენეო! ეგ ერთი ღერი შპიჩკა ერთ რამეთ ჯობიაო, აგერ ცეცხლია და შენე სპიჩკას ხარჯამო! ვამობარუნა, ნიშანი უკან მიცა: წადი სახმეო.

(სოფ. მახათური)

39. ბატონყმობის დროს

გორისაში იყო აზნაუშვილი აბდუშელიშვილი. შალაურში ყამდა ნაყმევები ყიფშიძეები, ბლიაძეები, კალაოურში ყამდა ნაყმევი დარგაიძეები.

ახლა რთველი რო ექნებოდა გლეხებს და ბატონს არ შეატყობო-

ებდი, გლეხი ვერ შევიდოდა თავის მამულში. ახლა, რასაკვირველია, მევიდა გლეხი და თხოვა: მამული მიხთება მოუკრეფავი და მობძანდით. წვეიდა. ეს გლეხი უსათუოთ ცხვარს ან დეკეულს დაკლემდა. მეოთხედი უნდა წამეელო ბატონს. მისი შტოლი ოულებელი იყო.

რო გაათავებდენ კრეფას გლეხები, შემდეგ დოუდებდენ ურმებზე და წამილებდენ ბატონის სასახლეში და უნდა ჩეესხათ იმის ქუჩეფში. ქურებიც გლეხეფს უნდა დეერეცხათ.

რო გაათავეს ეს და მეოთხედი რო მოაქთ ლენო. შეკდა ბატონი ეხენსე და მოკრეფილ ვენახში დადის ცხენით: ყურძენი არსა ქონდეთ შენახული ქალეფსაო. თუ ნახემდა ყურძენს შენახულს, აალებიებდა.

რო ჩამევიდა პატარა ქვეითკენ, ბოსტანი იყო გლეხის. დოუძახა მოჯამაგირეს: გააჩერე ურმებო! გადადი ბოსტანში, დათვალე პრასი კვალები. სამი მაგას დოუტოვე, 1 წილი მოთხარე და დააწყვეთ ურემზე, შახში უნდა წვეილოო. მოთხარეს.

შოდინ და დელე აქთ გასაველი. ლაშურა. რო მევიდენ იმ წყალთან, გააჩერე ურმებო! — უთხრა მოჯამაგირეს: ეილე ე პრასი და წყალშიდ გადაყარეო!

— ე! თუ შახში არ მიქეკონდა, რასა ვთხრიდითო?

— მე რათ მინდა პრასი, ბეგარა არისო. მე მეოთხედი ყველიფერი უნდა წვეილოო!

ძველ დროს გლეხი ქალს ვერ ითხომდა, თუ ბატონს არ შეეკითხებოდა. მამას შვილისთინ ქალი მოყამს. წვეილოდა ბატონთან და შეეკითხებოდა: მამეკით ნება, რო ეს გლეხის გოგო ჩემ შვილს მოვგვარო ცოლათაო!

— მაგას რა უნდა, ხო იცი შენე?

— მოგართმევო.

საჩექმო უნდა მიეცა ბატონისათვის. ფული უნდა გედენადა.

შოდა, ახლა ქალის მამა უნდა წასულოყო თავის ბატონთან. უნა ეთქვა ბატონისთინ: ქალიშვილი მიყავთ და ნება მიბოძეო.

პირველ ღამეს, თუ ბატონს მეეწონებოდა, ქალი ბატონისა იყო, მორე ღამეს — საქმროსი. ეს რალა სიცოცხლე იყო!..

ბატონი რო დაჯდებოდა შტოლზე. გლეხი რაეა გაბედემდა ტოლბამოზას! რო გაძლებოდა ბატონი, მერე დოუძახებდა ოჯახის უმფროსს: ჩემი დრო იცანიო? სტოლს დადგემდენ ცალკე ოთახში. ე პატარძალს შეიყვანდენ ბატონთან. იმ ქალის ქმარი სამაყროში მერიქიფეთ ადგა. ქვეყანამ იცოდა, რო ბატონი წემს მის ქალთან. იმ ქალის ქმარი კაი ხასიათზე იქნებოდა? მარა რას იზემდა?!

მორე დღეს უნდა გეემართათ ზაკუშკა, სადილი... ყველიფეოი გადადიოდა საწყალი გლეხის თავზე...

თავადიშვილის შამოკრის უფლება გლეხს არ ქონდა. გლეხი ვერ შენოკრუნდა. კნიაზს რო მეეკლა გლეხი, სასამართლო ბევრს არაფერს იმჭელებდა. ციხეში ვინ ჩააგდებდა!

გლეხი ტაბატაქე იყო ე გაღმა. იმათი მამა გორში წვევიდა ზამთარში, იქნება ორი შაური ვიშონოო. თელი ზამთარი უმუშავენია და, რო წამოსულა იქიდან, ახალი ქალაბნები უყიღია. თასმები იცოდენ, სიგძე 4 არშინი ექნებოდა. უხოვია ე თასმები შუა წვევიამდი.

რაცხაზე მოურავი მოსულა ამ გლეხთან.

— ჩამოხვედიო?

— ჩამოვედიო.

— ხო კაი პოენა ქქონდაო?

— თითო აბაზ ვლებულობდი დღეში და ხარჯს მაკემედენო. იმას ქვე უხაროდა აბაზი. ფოხალ სიმიტს მაინ იყიღდა. ახლა მოურავს ეთქვამს:

— ეგ კი, მაგრამ ეგ ახალი ქალაბნები რო ჩაგიცვამს და ახალი თასძები ამოგიკრამს შენეო, მაგის უფლებას მოგცემს ბატონიო?

— ფეხშიშველი ხ'ვერ წამევიდოდიო?

— მაგას ბატონი არ მოგიწონესო.

ახლა წვევიდა მოურავი. სალამოზე მივიდა ბატონთანა. — ჩამოსულა ტაბატაქეიო, მარა შენ იმას რავა ეტყევი, თუ გლეხი ხარო. ახალი ქალაბნები უყიღნიაო, აწნოუშვილი მეგონაო.

— აჰა, ბიჭი გაგზანეთ, აქ მევიდესო! — ბატონს უბძანებია.

ამ ტაბატაქეს უთბრეს: ბატონი გიბძანეფსო და წამოდი ჩქარაო! ახედ-დახედა ბატონმა, ჩაახველა. — ბიჭო, ეგ რა ხეთის გაწყრომა მოქსვლია შენე? ვინ გლეხი და ვინ ახალი ქალაბნები და თასმები?

— ბატონო, დაგლეჯილი ქალაბნები მქონდა და ფეხი აღარ დამიდგა შიდაო.

— ხვალ წულას ჩეიცვამ და მერე ვინ იქნება ბატონი, მე თუ შენეო? გეიხადე ჩქარაო!

ადგა საწყალი. გეიხადა ეს ქალაბნები.

— მოურავო. შენთვინ მიჩუქებია ეგეო!

შახში გაგზანა მოურავმა. იქ ვინმე ჩეიცვემდა.

(სოფ, გორისა)

40. მირჯიველთა საშბრიდან

— მინაგლებულიყო საამოი და მაჩხუბარი დახეთეროდა, ერთი-ეტრიტა თავში... კაცი ზღვას აშორდა და ცვარმა დაახჩოო.

— გაჩერდი, მანა იყავი! რა ენი გაქ? რაზე უნდა მიხვიდო... წვილეს ვინძახა ამბავს.

— ესი თავქედურფს, ეტყვი რასმე და ჩეიდეფს გულში.

— შენმა ტოლმა არ უნდა დაქრჩინოს. ესე ეუბნება ყველი, მარა არ ესმის.

— ძალიან ფხონი ვიყავი, მარა შვილმა არ გამიმართლა. ავდექი და წაშევიყვანე, დავანებებზე თავი სწავლას. არ დამიყენეს, მოვკლამთო... არაფერ ხანბარში არ იყვენ ი ხალხი. ესე თურმე მალავდა ყველიფერს.

— ვინე. ვინე?

— ჩემი გოგოი, ქალაქში გავეზანეთ ემის სიტყვით, თვარა ისე, ქვერ ვბედემდით. რაევარძახა გამოვია, ნავხამ. ახლა სხვაგან წასვლა უნდა. სულ მოშულული დადის.

— როდის მევიდა სადიკოი?

— სალამო ჯარი იყო, რო მევიდა.

— დღეს ხ'ვარაფერი იქნება იქა?

— არ ვიცი. 2 ექტარი დავბარეთ, დავთონხეთ. ბევრი ვიმუშავე. ლიზა ქავთარაულმა იცოდა: შენეო ასე რო გვამუშაო, სული არ ამოქხვთებო! — ბრიგადელს ეტყოდა. ზუობდა. მარა ჩემზე უმალ მოკვდა საწყალი. მალე უწია სიკვდილმა.

— ხბეები მეიყვანეთ, შვილო! უნასი ვნახე წუხელ სიზმარში და მოვკალო. ჩემა შილმა მითხრა: ძალიან უტეხო მოგივია ვინმეო. ამიხთა თქვენი მობძანებით. მოუყევი რასმე. დავითო! ძველი ხალხის ამბავფს წერამს.

(სოფ, მერჯევი)

41. ბელი ფარმხში

მოჯამაგირეთ ვიყავი 2 წელიწადი. კამბეჩები ყამდა ჩემ ბატონსა ერთი უღელი. ერთი უღელი ხარი. კანჯოთი იყო დამბუღლი. რო ჩევიდა ზეი, ი ზეიდან დენახა გელსა საქონელი, გადმოხტა ფარეხში და გადახტა შიდა საჩეხში. ამოკრა ხარმა რქაი გელსა და ბოსელზე გადმოავლო. მერე გამოუდექით უკან. ეს ხარიც გამოუდგა. მივდიეთ ტყემლი. ტყეში შეგვასწრო.

გელი რაა? დათვი უმფრო ავია. კინაში კერ გაამბავ. არ ემბება ხშირათ.

დათვი ხალხმა მოვკალით. თაში დავდიოდით ხალხი. კვერნას დადემდენ მანემდინა და წავაწყდით დათვის სოროს მიწაში. მაშინა მომზადებული არ ვიყავით, მერე წვევდით თოფებითა. მოვკალით წამოვიყვანეთ ბელები, ფული ევიდეთ იმაშია და დვეირიგეთ.

(სოფ, ლოდორა)

ერთი წვეთი სისხლი ვიყავ უმანკო,
 მამის წენში დაფარული, ძღვარი მე,
 დედამ სტუმრათ მიმიწვია ნებიოთა,
 9 თვე მასთან უჩინარი დავრჩი მე.
 სამ თვეზედა იგრძნო ჩემი წვევანი,
 შეიცვალა თავის ზნე და ქცევანი,
 მკავეს ითხოვს, მოდის გულის რევანი,
 ამ მიზეზის ვიყავი მამგვარი მე.
 ოთხ თვეზედა სუნთქმის ძალა მამეცა,
 სითამამე და ტანის სიმაგრეცა...
 შვიდ თვეზედა ლამის თავი ვიჩინე,
 ერთავათა სულ ხტომა დავიჯინე,
 ბევრჯელ დედა ძილშიაც შევაშინე...
 რო შესრულდა და რო დადგა ეს ჟამი,
 ცხრა თვე, ცხრა დღე, ცხრა წუთი და ცხრა წამი,
 დავტრიალდი, მშობელს ვატყინე გვამი...
 უცეფ ვნახე მზის სინათლე, დარი მე.
 აქ ბებია მ ჩემი მოვლა ითავა,
 შემბანა და შემახვია იმ წამსა,
 საკვებავი რალაცა შემიშხადა,
 ვიგემოვნე იგი საცოხნავი მე.
 რო მივიღე მირონცხება ნათელი,
 დედის ნებით მე დამათქვეს სახელი,
 მეხვეოდა გარსა ჩემი ნამხველი,
 გავკიოდი ამ ბაზარში მღვარი მე.
 რო შევიქენ მე წლისა პირველისა,
 ისე ვჩანდი, როგორც ვარდი ველისა,
 სანუევარი, სანატარი შობლებისა.
 რო შევსრულდი მე ჩვიდმეტისა წლისა,
 მოხალისე ქალებისა ჰვრეტისა,
 მათი ნახვა უცეფ გულსა მჩხვლეტდისა,
 მაცეცხლებდა ყმაწვილობის ქარი მე.
 რო შევსრულდი წლისა ოზდახუთისა —
 დღისაული ჩემთვის ერთი წუთისა
 გავირბინე როგორც ნიავექარმა მე.
 სამოცმა წელმა მამეცა ცვლილება,
 არა საქმე აღარ მეადვილება.
 ოთხმოც წელმა ძიელ წელში მამლუნა,

ორ ფენტანა მესამეცა მარგუნა.
ბევრმა ბრიყვმა მაშინ დამიძაბუნა.
ამ ტანჯვითა მივატანე ასამდინ,
სულთამხუთავს არ ვახსომდი აქამდი,
ეჩანჩალებდი მის მოსვლამდი... ნახვამდის!
მისმა მოსვლამ უცეფ დამცა ზარი მე!

(სოფ. ლიჩა)

43. ზემოუნახავი და ხემწიფი შვილი

ამჟას ბუყვეთი ქვია, გადაღმა არი კარათი, ი ზეით ქალვანი, ისე ლღორა, ხვანია აქ შამამავალი. რო შეტომა არ მოვიდეს, ამას ქვია ხვანის საპკო. ვაკისა თითქმის საზღვარია ქართლისა. გორიჭვარი დაღის კორბოულში. ვაკისა არ დაღის, სურამი უფრო ახლოსა.

მოგიყვები ერთ ზღაპარსა, თუ მოვიგონე:

იყვენ ცოლ-ქმარი. მოკვტა ი ქალი. ევედრებოდა მანემდი ღმერთსა: შე დალოცვილო ღმერთო, ქვეყანას შვილი ყამს და მეც გამიჩინე სიდანმე ერთი შვილიო. ამ ვედრებაში ეს წვივის მუცელი რო არი, ის გამეებერა კაცსა. მერე და მერე სიარულიც გოუქირდა, ძალიან რო შემსხვილდა.

გახთა 9 თვე და ეს წვივის მუცელი გეიხსნა და დეიბადა ბოვში. კაცი გაგიეების გზაზე დაადგა: რა ვქნა, რათი გავზარდოო? შეახვია ჩერეფში და სანახველას ვეძახით, ნაკელი რო ყრია, ე ბოვში იქ გადასვა.

სხავა ბოვში. არავინ არ გოუჩთა პატრონი. ნაუხოთ, ერთი არწივი მოფრინდა და წაასხა ბოვში, ეიყვანა ხეზე და გაზარდა იქ. პატ-პატარობით უზიდემდა იქ საზღოსა.

ქალი გეიზარდა მისთანა, რო იმ სახემწიფოში უკეთესი არაფერი იყო. ძირს არ ჩამოდოდა. გახთა გასათხოვარი.

იმ სახემწიფოში ხემწიფეს ერთი ვაჟი ყამს. ერთხელ ეს ბიჭი ნადიროფს. დააღამდა. გაჩერდა ერთ ალვის ხესთან. უმთვარო ღამეა. ღელის პირზე რო ჩამოვიდა, ეიხედა და დეინახა, ანათეფს რაცხა. თვარე არ არი. დოუკვირდა და შეამჩნია, რო ქალის სახეა.

იმ ღამეს ნაკლებათ ქონდა ძილი. ყავდა იმ ხემწიფეს ერთი მოსამსახურე. ქვიოდა ქაჩალა. დოუძახა: ქაჩალა, ერთი თიკანი ამოარჩიე, თოკვი მოაბი და ჩემთან წამოდიო. დანა ქე წამოიდეო.

შოუსრულა ამ ქაჩალამ და წვივიდა. მივიდენ ალვის ხის ქვეშ. — მე მოვეფარებო. შენ ემ ხეს ქვეშ მოიყვანე ეგ თიკანი და დანა ხან

ფერდში ჩაკარი, ხან გულისკენ, სოლოთ ყელი არ გამოქრა მალეო. აწ-
ვალე თიკანიო.

ასე მოიქცა ქაჩალა. ყვირის თხა. გადმოჩერებია ე ზეთუნახავი.
— ყელში, ქაჩალა, ყელშიო! — უძახის ზეიდან, ეცოდება თხა. მერე
თახდითან ძირ დეიწია, რო აჩვენოს. ამ დროს მიიჭრა ე ხემწიფი შვი-
ლი და წამოიყვანა სახში. მემ! რალას დეინახამს კაცის თვალი უკე-
აეს. ჭალიან კარგია ქალი. გახარებული არიან დედამთილ-მამათილი,
მარა ქალი არ ლაპარაკოფს, მუნჯია. შეწუხებენ ძალიან.

გეიარა რამოდენიმე ხანმა და დედას უთხრა შვილმა: მე წავალ.
ვითამ სანადიროთ მივდივარო. ვითამ მოგვედი მე იქო, მოგივით აქა
ამბავი თქვენეო. კოლოფი გამამიგზანეთ და, ასე რო დამინახამს, იქნე-
ბა ხმა ამოიღოს მერეო.

მართლაც, მოვიდა ამბავი, რო ესა და ეს კაცი მოგვიკვდაო. მოვი-
დენ ხალხი. ახლა ჯვარი გესწეროს — რო გამოასვენეს, ეს ქალიც მი-
ვიდა და დაადგა თავზე. ამოიღო ხმა:

დეღაბერი მავედრები უშვილძიროთ გადასულა,
მამაბერის ნანატრი ვარ, წვივის კუნთში გამოვსულვარ,
ჩვარჩურაში გახვეული სანახველას დავგდებულვარ.
არწივის მოტაცებული ალვის ხეზე გამოვზდილვარ.

ქაჩალას მოტყუებული ქმრისგანაც გაემწარებულვარ!

ასე გეიგეს, ვინ ყოფილა ე ზეთუნახავი. ცოლის ხმა რო გეიგონა და
ტირილი, მაშინ კრა ხელი ამ კოლოფის თავს ხემწიფი შვილმა და ამე-
ვიდა. ხელახალი ქორწილი გეიმართა, რაი დალაპარაკება გეიგონეს
რძლის.

(სოფ. ბუკვეთი)

44. ბუხართან

უი, რამხელა რეში მევიდა! რა ძაან გათქველეფილა ტალახი! — მეხმა
რავარი კოპიტე ჩატეხა ექანა! თუ კოხიც გამოურია, დაამტრევეს
ხეფეს. მარინა, შამეიტანე სანათი და დავანთოთ ცეცხლიო მობურბურე-
ბა იცის ამ დროს. შარშან შვიდ ნოემბერს მოუბურბურა, აღარაფერი
აღარ მოძრაობდა.

— არ მოთომს ჯერე. ზენა ქარი თუ მობრუნდა, მერე კაი ამიდი იქ-
ნება. გოგო, დაქეჩი მადანა ბოკონაზე. თლიანათ გასათფობათ ფეჩისთა-
ნა ტყუილია!

— ვინ მოგიტანა ე ბუშლატი?

— ნასყიდამ სამხედროდანი.

— ბოვშები წევრან?

— კი. ნამთფილარეფ ფეხს ნუ გეიხთი, თვარა შექცივდება. ოღნავ თუ მამხვთა ცეცხლი, კანკები ისე დამეტყუება, როგორც კაი ჩითი.

— კაბიტოს მამაი გუშინ არ დამარხეს? ის ვიმწუხრე, რო ავათა ვარ და ვერ წეველი. ნინაც წასულა და ოლდაცა.

— ხო იციან ხელის ბრუნება კეტარზე, „სპეცოვკა“ ამეიღეს: ხელ-ნაქცივი უნდა იყოს ოჯახიო. კეფნაური ყოლია რძალი იმასა და ბევრი დეეპატიენა. ხალხი ბევრი იყვენ.

— ვერია იყო?

— ვინ ვერია?

— დომენტისი.

— კი. სუყველა მამდურავი ყოლია რძალსა მეზობლები.

— დალამდა დღეი. ელექტრონებია ანთილი. რატო არ მოდის ახლა ისი?

— მეი იქნება სულ არ მოდის დღესე!

— საჩხრეკელი მამე, ღველფი გადაექეჭო!

— გაჩერდი მანა, გარეთ ნუ გახვალ, სიგრილე დაქკრამს.

— არსა არ მივდივარ, ბაკეში ვიქნები.

— ნუ ხარ ჭიუტი, მოიტეხინე მაგ ჭიუტობაი! ნუ გახვალ გარეთ.

(სოფ. შომახეთი)

45. მგლმბი

ერთი კაი მეძებარი მყავდა. კვერნა ბევრი გამევიყვანე სოროდანა და შელაი. შველი და ირემი ჩვენთან არ არი. წვეიდა მიშა სანადიროთ და ნახა მაჩვი სოროი. შეყვა ძალლი შიდა და ველარ გამევიდა. წვეიდა ისევ-ისევ, დინამეტები წვილო, გამოანგრია და გამეეწია ხელით და შახში შეიყვანა ცოცხალი.

მაჩვი იცის აქა. შარშანა ვენახში მოვასწარი მაჩვს. ძალლივით ჭამდა თეთრ ყურძენს, მერე ღელეში გადავარდა. რო მოხვედროდა ტყვია, არ მომკვტარიყო სატიალიო. რამხელაზე გასულიყო, მარა არ მოკვტა, ყარდა, კაცო! გლახა ცხოველია!

კურდღელზე დავდიოდი სანადიროთ. ერთხელ 30 ვერსზე მარბენია. ჩემა ძალღმა, დაგერშილი ქე მყავდა, მარა ვერ იმარჯვა. მერე გოუშვი ბაკის ძალლათ. ვასილას ყავდა კაი მეძებარი.

მე ვიყაი შარშანწინ ლიჩში. ხოდა, მოვდივარ იქიდან. გიორგობის-თვეა, თვრალი ვარ. ამოვედი. უძახით სამთელას ყანეფს, იქ დამხვთა 2 გელი. არაფერი არ მეკავა ხელში, არც დანაი მქონდა. წამევედი და შევასწარი ხეზე. ქვეც ვევედი ხეზე და მოვარდენ, დააკაუნეს პირი. მოკლეთ საღამოდან დაწყებული გათენებამდი ვიყაი ხეზე.

არ მოცილებიან ხეს გათენებამდი. რო არ შემესწრო, ქვე შემ-

ქამდენ. ქამრით მივაკარი ხელი: გამეგონებოდა, რო სულით ჩამოაგ-
დევს კაცსა გელიო. ფეხები მალლა მქონდა დაწყობილი, არ უშ-
ვებდი ძირ, რო არ მომწვდენოდენ.

ბაჩა ხე იყო. რო მოვიდოდენ ხომე, სულ დამთენთემდა ტანში.
ვყვიროდი. მარა არ ეყურებოდათ.

— არ გეძინა?

— ე !

რო გათენდა და წვეიდან, მოსცილდენ ხესა, ჩამევედი, წამევედი
სოფლისკენ. ქალვანების კალოები რო არი, იქ მივედი. ამ დროს ერ-
თმა გაღმა დეიყმუივლა, მეორემ — გამიღმა.

გელი ძახს გამს, მარა რუხვია, დიდი. ფირჩხის არ ეშინია გელს.
რო ატარო 10 კილომეტრზე, როგორც რო შენი ძალი გამოქყვეს, ისე
მოქყობა. სინათლის ეშინია. ისე რო დეიკავო ფირჩხი — ჯოხი, მოგ-
დემს შორიახლო.

რო წამოვედი. ჭირკიცი გელი მეგონა მერე. რომ მოვედი სახში,
კორტოხზე ექიმი იყო, მაქსიმე, იქნება ქვე გეგონებოდეთ, შეშინე-
ბულის წამალს იძლეოდა და იმან მიშველა.

(სოფ. შომახეთი)

46. ღვდელი და ტაროსტა

ეკლესიას ვემსახურებოდი. ტაროსტა ვიყავი. სამთელი ქუთაისი-
დან მომაქ და ვაქროფ. ერთ დროს მე და ღვდელს მოგვევიდა ახირე-
ბაი.

დღესასწაულის დღე არი. საკურთხობა იციან აქა. მოგროვდა კაა
ბევრი ბეჭი, სათფილო. გაეყავი ოთხათ, ნახევარი ღვდელს და ნახევა-
რი — მე და დიაკონს. იხუა მღვდელმა: შენა არა ხარ ჩემი მონაწილეიო,
ყური მქონდა მოკრული, რო ტაროსტა არი მონაწილეიო.

ეპისკოფოსი მახარაძეი მევიდა საბაჟოზე, ეკლესიაა იქა. დღეს
მევიდა ქალადი: ხეალ საბაჟოზე გამოცხადიო. ჩევედი. მონგროვდა
თელი ოლქი. ე ჩემი ღვდელი მაჭარაშვილი მიჩივა: არაფერს არ აკე-
თეფს ჩემ კეუახეო.

აშეიკითხა: ვასილ გაფრინდაშვილი! ილარიონ მაჭარაშვილი
წავდექი.

— რა გნებავთ, მამაო?

— ღვდელი გიჩივა.

— არაფერი მამიპარავს, ეკლესიას ვემსახურები. უნდა დავგავო,
დავხვეტო, აიაზმა უნდა მივიტანო. მაგას თუ უნდა ჯამაგირი, ქაშა,
მე არ მინდა-თქვა? — ვუთხარი. სამკედროს ეგ არ მაძლემს და სასი-
ცოცხლოს.

— ეკუთვნება თუ არაო? — დეიძახეს. ყველას ეზარება თავისი ლუკმის გაგდებაი.

მერე ისევ ეპისკოფოსმა თქვა: ეკუთნისო და გამტყუნდა ღვდელი. ძუნწი იყო. მანემლი ჩვეულობა იყო, ღვდლები ჯამდენ და სხვას არას აკმევდენ. გლახებიდან დრამას იღებდენ. რო მოკვტებოდა ვინმე, უნდა მიეცათ ღვდლისთვინ თუმანი, ჯვარს რო დეიწვრდა — თუმანი, რო მონათლემდა — 2 მანეთი.

(სოფ. შომახეთი)

47. ქორწილი

ქალ რო მევიყვანთ — პატარძალს — უხვად ჭურს მოეხათთ და ეეტყვიო: ასე გეიმსე შენე-თქვა... ამევიღეფ მერე სამსე სტაქნით და ქალის მაყრეფს დავალევიფთ. კაცს რო მოყვება, ის არი ნეფის მაყრები. დედოფალს რო წაყვებიან, — დედოფლის მაყრებიან.

ივანშმებენ, დათვრებიან, დედოფლის მაყრები მეითხოვენ ცალკე ბინას. უნდა მიიყვანო ქათამი, თ'ვარ მიიყვან, მეიპარავენ და დაკლევენ თავათ. თელი ღამე გაათენებენ, იმღერებენ, სვევენ, დოლს დოუჯრევენ. შორე დღეს შეერთებებიან ისევ. შორე დღეს საღამომლი ვერ წავლიან.

გამეიტანებენ ღორის თავს და გაატანებენ. თუ სტორათ ვერ დაკრენ ნეშტოს და ნეშტოს შუა, არ გაატანებენ. თუ სტორათ დაკრამ, შენია.

ღორის თავს გამოუტანებენ დედოფლის მაყრეფს საღამოს. დედოფლის სახლიდანაც უნდა წამეიღონ ნეფის მაყრებმა.

ნეფეს ყამს ვეზირი. ვეზირი იქნება ნეფის ან სიძეი, ან ნათლია, ან კაი მეგობარი. ნეფეს უზის ვეზირი, იძახის: მოულოცეთ, მოულოცეთო! ხალხი ეუბნება: გილოცამთ ბედნიერებას! გისურვეფთ ჟანსალობას, შვილიერობას! — და გადააგდეფს თავზე, რაც ექნება თავგადასაგდები. თავგადასაგდები იქ რაც შივა ო ვეზირი დახსნის და დადეფს ისე.

საქართველოში ასე იციან: მე რასაც გადავაგდეფ, გამოვა ვეზირი (ან რო მოკვტება ვინმე და გადახურამ) და გამოაცხადებენ, ვინ რა მეიტანა. მალა ვერ მიიტან პატარას იქა.

(სოფ. შომახეთი)

48. თუ ბედი არ ძწყალობს...

მოდოდა სოლომან ბძენი ბევრი ხალხით, ხლებლებით. მეისევენს ერთი ხის ძირში. იქვე კამბეჩები და ხარები არიან. მოდის ერთი ღარიბი კაცი. გაჩერდა სოლომან ბძენის ახლოს.

სოლომან ბქენმა თქვა: ეს კამეჩი მაკეთ არისო. ნიკორა ზაქი ეყოლებათ.

ღარიბმა კაცმა თქვა: არა, ბატონო სოლომან, იმა თეთრკულდა ზაქი ეყოლებათ.

სოლომანმა ხლებლეთს უბძანა: გაქვრით ე კამეჩი და ნახეთო!

დაკლეს კამეჩი. გამევიდა თეთრკულდა ზაქი და არა ნიკორა.

სოლომან ბქენმა კითხა: რათ ხარ ანგრე ღარიბი. თუ ასე ნიჭიერი ხარო?

— რა უყო, ბედი არ მწყალოფსო.

სოლომანი დემეტრესთა. იფიქრა, ამ კაცს გავამდიდრეფო. ქალაქში მიდიოდა. შეჯდა ცხენზე და წევიდა. საძახა იქნებოდა ე ქალაქი, ვის იცის! გაყვენ ხლებლებიც. ღარიბი კაციც ქალაქში მიდიოდა. სხვა გზით წევიდა.

მუუახლოვდენ ქალაქს და ხიდი აქთ გასავლელი. შორი მანძილიდან დინახეს, რო იქიდან ე კაცი მოდის. სოლომანმა ამეილო ნახევარი პარკი ოქრო, გაგზანა წინ ხლებელი და დაადებია ხიდის თავში, საცა ამ კაცმა უნდა გამეიაროს. ღარიბმა კაცმა რო იქ მოატანა, ამ პარკს გადმოაბიჯა და მევიდა სოლომანთან. სოლომანმა კითხა:

— ბიჭო, ამ გზაში არაფერი დავინახამს?

-- არაფერი სრულებით.

— რატომ, კაცო?

— რატომ და 60 წლისა ვარ და ამ ხიდზე დავდივარ ყოველდღე. არასოდეს არაფერი მინახამს. დღეს რო მოვატანე ამ ხიდსა, ვიფიქრე: აა, თუ თვალდახუჭული გევიდე-მეთქი და რას დევინახემდი, თვალდახუჭულმა გამევიარე.

— მალა ბედი არ ქქონია, ბიძიაო, — სოლომანმა უთხრა, მაინდამინ, ახლა დახუჭე თვალებიო?

რამოდენიმე ოქრო ქე აჩუქა, მარა მინ ვერ შეიხმარდა ი კაცი.

(სოფ. შომახეთი)

49. საჩხერის პირველი ბინადრები

გ ა დ მ ო ც ე მ ა

საჩხერის რაიონი უფრო თიანია. უწინდელ დროში ყოფილა დოუსახლებელი. მერე აჭარიდან გამოქცეული გლეხი მოსულა, გვართ: გოგობაქე. თურმე ე გლეხი იწერდა ჯვარს აჭარაში. მოსულა ბატონი. უმაღ იმას უნდოდა ამ ქალთან დაწოლილიყო. შევიდა ქალთან. შევარდა ე გლეხი. მოკლა ბატონი, გამეიყვანა ქალი და წამევიდა. ქორწილიც დატოვა და ბატონიც კვტარი.

იმდენი იარა. რო შევიდა აქა. საჩხერეს სახელი კ'არ ერქვა მაშინ. რალაი აჭარიდან იყო გამოქცეული, გედითქვა გვარი, დეითქვა მაქარაშვილი, დეიწყო ცხოვრება.

მაშინ ქუთაიში იყო მეფე. იმას ყამდა მონადირეები. მოაქწიეს ამ დიდ თებს. გოუვალი იყო. ადამიანი არ იყო აქა. ნახეს ერთი კარამი ადგილობრივ. მივიდენ ამ მაქარაშვილთან, ღამე გეითიეს და ვინაობა გეიგეს. ეს მონადირეები რო დაბრუნდენ, მეფეს მოახსენეს: მისთანა ადგილას ნახეთ კაცი, რო ჩხირი არ აკლია იქანასაო, ხოლოა ერთი კაცი ცხოვროფს იქა და ცოლ-შვილიც კაი ყანსო.

ამის შერე დაარქვეს ჩვენ ხარეს „საჩხერე“.

მეფეს ოში მოუხთა. ე მაქარაშვილი დეიპირა: როგორც რო თაში მყოფი კაცი, ჩამამგვარეთ! მაგარი იქნებაო.

გაგზანა ეს მონადირეები ისევ-ისევ და შივიდნენ ამ კაცთან. ეს კაცი ავახტყოფი დახეთათ. ადგა და ქალი წევიდა. ჩევიდა მეფესთან. მეფემ კითხა: რატო ქმარი არ გამოგზავნეო?

— ქმარი დაავანტყოფებული მყამსო. მე წამეედი და ავასრულეფ ქმრის მაგიერ საქმესო.

მეფემ გაათავისუფლა და უკან გამოუშვა. ქალი არ გაყამდა ომში 3. ამები იყენ თურმე გლეხები ჩამოსული ქუთაიში და იმ ომში მეფესთან ძალიან ომობდენ. გაამარჯვებიეს მეფეს. მეფემ დააჯილდოვა ისინი, გვარი შოუცვალა და დაწერა წერეთლათ. თავადობაც შიცა. მაშინა გლეხი ხმალდახმალობაში რო გადიოდა, თუ გეიმარჯვებდა, მიცემდა მეფე აზნაურობას ან თავადობას. რომელიც მამრევი იყო, თავად-აზნაური ამით ხთებოდა. ამ გლეხებმა თხოვეს ეს ახალი ვამამჩათარი საჩხერე. სანი კანბეჩის ტყავი რასაც ადგილს შამოზომდა, იმდენი უნდა მიეცა. იმდენი შამოზომა, რო თელი საჩხერე დეიკავა. ასე ღარჩათ წერეთლეფს საჩხერე.

ამ გამოქცეულ მაქარაშვილს დოუწყეს ბატონობა. ეს რო ბატონს შეთვისებული არ იყო, წამევიდა კორბოულში, ამევიდა და მოშენდა. ბაბუაჩემი იტყოდა, შომამბეთში თორმეტი კლესი ვიყავით მარტო, ეკლესიასთან ვიყავით დასახლებულიო.

ასე მოხთა ეს ამბავი.

(ლოფ. შომანეთი)

50. ურემი

ურემს აქ ორი გოგორა — ურემის თვალი. გოგორას აქ ფესო. ფესო არი რგვალათ მოხრილი ხე, რომელიც 3 ან 4 ნაწილისაგან შედგება. ამბობენ, სამ-ან ოთხფესოიანი გოგორააო. ფესოს გარედან აქ რკინა წამორტყმული. ფესო ხუნდს უერთდება სოლგბით. ურემს აქ 8-12

სოლი. არც მეტი უკეთობა და არც ნაკლები. სოლი გათლილი ხე არი, რომელიც ამაგრეთს ფესოეთს. უძახიან რიკსაც. ხუნდი კეთობა კოპიტის ან თელისაგან. ხუნდში რიკებია შამოსხმული და მასში გაყრილია ხის ან რკინის ღერძა. ღერძა გაყრილია ხუნდეთში. ღერძა გახერეტილია ხუნდის გარეთ ნაწილში და კიკილაქით მიკრულია ხუნდზე. ღერძაზე დემს ზესადგარი — ურმის ზედა ნაწილი. ზესადგარი ორნი გრძელი ხისაგან შედგება, რომელშიაც ამოყრილია ფრჩხილები. ფრჩხილა არი ხის ნაწილი, რომლითაც ურემი უღელს უკავშირდება. ფრჩხილა ზესადგარზე დამაგრებულია კაპებით. კაპი ხის ან რკინისაგან (უფრო რკინისაგან) გაკეთებული პატარა ნაწილია, რომელიც ზესადგარს უკავშირეთს ფრჩხილეთს, ჯერ ფრჩხილეთშია გაყრილი და მერე ზესადგარშია ამოყრილი. ზესადგარს აქ გაყრილი გასაყარაები. გასაყარი არი ზესადგარში ჰორიზონტალურათ გაყრილი პტყელი ხე. გასაყარი ურემს აქ 5. ზესადგარში გაყრილია 6 ქალა — ჯონები, რომელიც იკავეთს ტვირთს. გვერძე ზესადგარზე არი ტორმუზი, უკავშირდება თვლეთს, რო თავდაღმართში არ გეიქცეს. ურემს უკან, უკანასკნელი ქალის წინ, ზესადგარში გაყრილი აქ ტორმუზი, რომლის ერთი ბოლო უერთდება გასაყარის შუა ნაწილს, ურმის შუაშია. — ეს არი რკინის სამკუთხედი, რომლის ნახერეტში გაყრილია დახრახნილი რკინა. იგი გადის ზესადგარში და აქ ტარი, რომელსაც გადაატრალეთ და მოუქერ. ხუნდს გარედან აქ რკინის რგოლი. ურემს აქ ორი კოტა. კოტა არი რკინის ღერძის უენიდან მიდებული ხის ნაწილი, რომელიც აჩერეთს ღერძას. ის რო გამოაცალო, ურემი კადარ წეთ.

ფრჩხილეთში გოუბნევ სამატს. სამატი არი დაგრეხილი საქონლის ტყავი, რომელსაც მეორე თავით გადადეთ უღელზე და მერე ისეთე ამოდეთ ფრჩხილს, რო დამაგრდეს ზედ უღელი. უღელს აქ ტაპიკები — ხის ან რკინის ნაწილი. რომელსაც აქ აპეთური — ბაწარი. აპეთურს გამოუსკენი ხარეთს.

(სოფ. შომახეთი)

51. მოხუცთა საუბრიდან

— გული არ ხუცთება, შეძლება ხუცთება, მუხლი ტყდება, თვარა გულის მოხუცება გაგიგონია? მეტი გვინდა სუყოლიფერი.

— გუშინა ჩემზე იყო ლაპარაკი. ზაქარია და ერეკლეი ჩემი ტოლები იყო. ვფიქროფ, 98-ის ვარ, ზუსტათ არ ვიცი-მეთქი. გულით ვარ ხნეთ, თვარა შეძლება თავსაც არ მქონია ძრიელ.

— 92 წლის არი ჩემი სიმამრიც.

— ნიკო ჩემზე უხნე არ იქნება.

— ბესია მას უკან მოკეტა, ქალი რო მეეთყვანე. ჯერ ბესიაი მოკეტა, მერე ერმინე.

- ერმინესთანა კაცი არც იყო აქ.
- სხვისი არა უნდოდა რა ამდენი. 6 მე!
- ისი ჩემზე უხნე არ იყო.
- 66 წლის იყო, რო მოკვტა.
- მე 68-ში ვარ.
- ერმინე სისხლის ჩაქცევით მოკვტა სამ კვირეში.
- ღირსოული სიკვტილია დოუვარდნელი სიკვტილი.
- არჯალი კაცი ხარ, ბაბუა! შახში შენ გააჩერეფ ამასა? რო ჯდის ახლა, ისე მეხიშტება მისი აქანა ყოფნაი, რო...
- ამისთანა ადამიანი ღმერთმა ბრავალი შეიყვანოს ჩემ ოჯახში! სუფთა აერზე რო ვსულთქმავ, მაშინ კაია. ესე მაძღემს ჯანს.
- ამისი ძმა ბუქნა არი. დედამისის საყოლში ყველა ყლანცები იყვენ, დიდი და იმა გამეეგვანა ი ბიჭი სულა.

(სოფ. შომახეთი)

52. ბოსელი

ბოსელს აქ ჭერი. კერქვეშ არი გარაები გადებული. გარა ორიც თავსა და ბოლოში. გარა არი გძელი ხე, რომელზედაც დამაგრებულია ჭერი. საზღვე არი ადგილი, რომელშიც საქონელი შარდამს და ნეხვამს. ბაგა ფიცრით გადატიხრული ადგილია, რომელშიც საქონელს საქმელს აქმევენ. ბაგაზე კანდრიბია. კანდრიბი არი მოხრილი ჯოხი, რომელსაც საქონელს კისერზე ჩამოაცვამენ. კანდრიბი არი საქონლის სამბული: კანდრიბი ჩამბულია დაყენილილი წკნელით, რომელსაც გარდას უძახიან. იმითი ჩამბულია პალოზე საქონელი.

საკმიელი არი ბოსელში სანათური, რომლითაც სინათლე შემოდის.

(სოფ. შომახეთი)

მიათუხრის რაიონი

1. ეზო-ბაკე

მეკომუტურის კუთვნილ ადგილს — ეზოსა და სამეურნეო ნაგებობას — ნაშშრალს ქვია ეზო-ბაკე. მეკომუტურის განკარგულებაში მყოფ ეზო-გარემოს, მამულს, ახლო ადგილევს, ე. ი. ახლო-მანლო არემარეს ქვია რიადაგე. ჩემ რიადაგეზე შენი ფეხი არ ვნახო, — ვიტყვი.

სახლის წინა ეზოს ქვია სუფთა ეზო, რადგანაც აქ საყოლებელი (საქონელი, ღორი, ცხვარი, თხა, ფრინველები) არ დადის. აქ არი კოლიხნდარი, ყვავილები, ხილი, ჭა. სახლის უკანა ეზოს, სადაც ოაზფე'ი საყოლებელია და სადაც არი მათთვის საჭირო ნაგებობა — ნაშშრა (თავლა, ბოსელი, საჩხე, საქათმო, საღორე დ ფეხისალაგი), შავ ეზოს უძახით. სახლის გვერდით ეზოებს ქვია ზედა გვერდი და ქვედა გვერდი. ზედა გვერდით არი გზიდან შამოსასვლელი დილი ჭიშკარი და გვერდით აქ პატარა შამოსასვალი ჭიშკარი. ქვედა გვერდზე არი ბედელი, მარანი, სასიმიდე.

ეზოს, რომელშიდაც ჭერ სახლი არ აშენებულა, ეწოდება ხაშო-სახლო.

ბოსტანი კეთება ეზოში, საცა მზიგულია.

ძმების კუთვნილ ეზოს, რომელიც გაუყოფელია. ქვია ერთნიერი ეზო.

ეზო შეიძლება შამოილობოს ქვის ღობით — ყორით, მესრით. წინათ აკეთებდენ ხიმის ღობეს და ყუდულს. ხიმის ღობე იყო ორ სარს შორის ირიბათ ჩაწყობილი დაპობილი ხეები. ხეები რომ არ გაიშალოს, შეკრულია გვერგვებით.

ყუდული მორეებზე მიყუდებული ნაპობებია.

შეიძლება იყოს ცოცხალი რაგვის ღობე — სტე. კანაოს გაჭრიდენ და ჩაყრიდენ რგულს (თხილი, ცხემლა, ეკალი, ტყემალი, ბია...) ბიის ჩახტევა მინდა და მალა არ გოუშეეფო, — იტყვიან.

თავისთავათ ამოსული ეკლარ-ბარდი, ხეები, ბუჩქები არის აგრეთვე სტე.

წკნელის ღობეს ასე ვაკეთებთ: სარეფს დოუსობენ ნახევარ-ნახევა-

რი მეტრის მანძილზე და გამოქსოვენ წყნელით. წენის დროს თავის-
თავათ იგრიგლება. გრიგალი არი თავზე გრეხილივით გადავლებული
წყნელი, რო ლობე არ დეირღვეს. ლობეზე რო რაჟე არ გაღვეიღეს.
ტუეში შობოჟილ. ფარჩხის ან ლერწის კონეფს — ჭარჯხ ჩამოვაღ-
მევთ. შეიძლება ცალკე გაკეთეს ჭარჯის ლობეი.

(სოფ. ხრეთი)

2. სახლ-პარი

უხოში მოხთენილ ალაგზე იდგმება სახლი ქვისა ან აგურისა, ერთ-
ან ორსართულიანი. ძირ ქვას ვხმაროფთ, მაღლა ხესა. ქვით აშენებულ
ძირა სართულს ქვია ქვიტკირის ბინა ან საჯალაბო სახლი. საჯალაბო
სახლი არი შენობის ქვედა ნაწილი ან ცალკე დადგმული ხის სახლი,
სადაც საკმელი მზადდება, ჭალაბი სადილოფს ან ვახშმოფს და ზაჟ-
თარში კიდევაც ცხოვროფს.

ზედა სართული ხისაგან, ანგურისაგან ან იშვიათათ ქვისაგან კეთ-
თება, ორი ან სამი ოთახია მაღლა. მაღლა ბალკონია, ძირ, მის ქვეით —
დერეფანი. ქვიტკირის ბინის წინ არი დერეფანი, ბალკონის ქვეშე. არა
აქ იატაკი და კედლები, აქ მხოლოთ სვეტები და სოხანინანი. იშვიათათ
შეიძლება ექნეს ლამფის მოაჯირი || რეშოტკა ლამფისვე კარებია.

ზევით არი სასტუმრო ოთახი, მოსახვენებელი ოთახი — საძინებუ-
ლი და ყურის ოთახი — ბალკონის ერთ კუთხეშია გაკეთებული.

ქვედა სართული, ქვიტკირის ბინა, შეიძლება იყოს იატაკიანი, შეიძ-
ლება სოხანინანი.

სოხანე ამნაირათ კეთთება: თიხა მიწას მოვიტანთ. დავყრით, მოვას-
ველფეთ, მოვტენით კვეუოთი, მოვკეგავთ ფეხით.

ქვიტკირში (ქვიტკირის ბინა) ცეცხლის დასანთებათ არი ბუხარი.
ბუხარი ორნაირია რგვალი და გაღმოყვანილი. რგვალი ბუხარი კედელ-
შია შედგმული, ხოლო გაღმოყვანილი ქვია კლავებიან ბუხარს. რგვა-
ლი ბუხრის ნაწილებია: ფეხები, კამარა, უკან ზურგი, ბუხრის თავი.
|| შაშანდლე, ბუხრის გული (ბუხრის გული ის ადგილია, სადაც ცეცხ-
ლი ანთია, კვამლი ბრუნავს და მიდის), საკვამური. თუ საკვამური არ
გოუსწორდა სახლის ქოჩორს (სახურავის ყველაზე მაღალი ნაწილი. წვე-
ტი — ქოჩორი), კვამლი ნაკლებად წავა. ბუხარში კიღია საქვებე || სა-
ქვებური — რკინა, რომელსაც ბოლოში აქ ჩანგალი ქვების დასაკი-
დებლათ, გადებულია რკინის კეტი კეცების გასადებათ. გაღმოყვანილ
ბუხარს აქ კლავები — კედლის გარეთ გამოწეული კამარის დასაყრდ-
ნობი.

საჯალაბო სახში არი ბუჯერი. ბუჯერი რამდენიმეთულიანია. თითე-
ულ თვალში არი ფიტენები. ერთ თვალში ფიტენებზე აწყვია საინები,

ღრმა და ფრიალა, ბოთლები. თეფში, პატარა გობი, საზელი გობი. კოფია, ნახევარპათფინიანი ან უფრო პატარა, მეორეში—ქოთნები, დერგები—ყველის დერგი და საწნილე; ღვინის სასმისები—ქინჭილა, კულა, კათხები. კულას ვაკეთებდით ბზისგან, ყელში ქონდა პატარა რიკივით, რო ღვინო გადმოსულიყო კურკულ-კურკულით. ბუჯერში ვინახამთ კიდე საქმელეს.

ბუჯერის გვერდით დგას თარო, რომელშიც ვინახამთ ჯამ-ქურქელს, როდინსა და ქვასანაყს, ძროხის ქურქელსაც.

ბუჯერი შეიძლება ყოფილიყო არა კარადა, არამედ უბრალო ფიცრის მაგიდაც, ყურეში მიდგმული, სადაც აწყობდენ ზევიდან საქმელს. ჰადს გობქვეშ შეინახთენ, მაგიდის ქვეშ ეწყო ღოქები, დერგები, კეცები და სხვ.

ბუჯერში ინახება სანადულე ქოთანი, საწველი, ამოსაყვანი ქოთანი, საკიდელის ქოთანი, კვაწია, ხის კობზები, ჩოგანი და სუთი.

საჯალაბო სახში სოხანეზე დასობილი იყო 2 პალა და ზედ დაკრული იყო ფიცარი — საჩაფე. ზედ იდგა ჩაფები, თუნგულა.

ძველათ საჯალაბო სახში იდგა გამწვდომი ლოგინი, ე. ი. თელი კედლის გასწვრივ, გძელი სართუმალი ქონდა — აყუდებული იყო ფიცარი მუთაქის მაგიერ.

სუფრაზე ქამდენ, იყო სამფეხა სკამები, ბურღვით შემობილი ქონდა სამა ფეხი, ზოკონები, ხის ზურგისანი სკამები.

საჯალაბო სახში უწინ ენათო შუაცეცხლი. იქით-აქეთ იდგა დიდი ქვები — კერიები (ან ერთ მხარეზე — ცეცხლის უკან). კერიები არი გადმოყვანილ ბუხარშიც.

საჯალაბო სახში კარის ზღურბლს ქვია საოძიკველი. კარი იკეტება ურდულით ან რაზით.

წინათ საჯალაბო სახლი შენდებოდა ფიცრისაგან ან გრძელურისაგან. საჯალაბო სახლი დიდი იყო, სოხანე ქონდა, დიდი ფიცრული კარები, პატარა საკმელეები. შუაში ენათო შუაცეცხლი. ძალა გადებული იყო დირეები დირეებზე დაწყობილი იყო გოჭთლელი, მოუცერავი ფიცარი, რო კაცს გეველო ზედ და არ ჩამოვარდნილიყო ძირ. ამას ქვია ზესხენი. აქ აქონდათ კვანები, ნიგოზი, თხილი გასახმობათ.

შუაცეცხლის სწორა, პირდაპირ სახურავში, იყო აყვანილი ერდო: დასობილი იყო რგვლათ, წრიულად 5-6 სვეტები. ქვევით განივრათ იყო დასობილი და ზევით შიგნი იყო შეხრილი, ვიწროვდებოდა. მერე ბოლოდან თავამდი შექედილი იყო მოკლე ლამფით და ისეთივე ფორმა ქონდა, როგორც შებრუნებულ ხვიმირას, რომელსაც ყელი ზევით აქ და ფართო პირი ძირ. ეს ვიწრო ნაწილი, რომელიც საკვამლე მილს გავდა, სახურავს აცილებული იყო. იქიდან სინათლეც ჩადიოდა და პა-

ერიც. საჯალაბო სახლიდან კი გადიოდა კვამლი. ერდოს ქვევით დირე-
ზე ჩამოკიდებული იყო კაღო.

დირეზე იქით-აქეთ გვერდებზე, ერთმანეთისაგან 2-4 მეტრის და-
შორებით, მიმაგრებული იყო მაგიდის ფეხებივით ორ-ორი ჯოხი, რომ-
ლებიც შეკრული იყო გახვრეტილი ჯოხებით, რომლებშიც კიდე იყო
წვრილი ჯოხები გაყრილი. კაღოს ქონდა იგივე ფორმა, როგორც გად-
წობრუნებულ მაგიდას, რომელსაც ფეხები აქ ზევით, დირეზე, მიმაგ-
რებული, ხოლო ქვეით ფიცრების მაგივრათ გაყრილი აქ ხის ჯოხები.
ერთმანეთისაგან 2 ტკეველით მაინც დაცილებული. ამ კაღოზე დებდენ
ცხრილფეს მარცვლეულის გასახმობათ, ქალაზნებს ამოკიდებდენ, მი-
ჩინას ჩამოკიდებენ გასახმობათ. მიჩინა თუ გინდა კაი გაძევიდოს, ბუ-
ხარში უნდა ჩამოკიდო.

თუ სახს ერდო არ ქონდა, უკეთებოდა საფაფურები — სახლს ორ
მხარეს ორ ადგილას ფიცარს დააკლებდენ, რო აქ კვამლი გასულიყო.
ესაა საფაფური.

ახლა ვაშენებთ ხის ან ქვის სახს. მალა სართულს, საცა სასტუმ-
რო და მოსასვენებელია, ეძახდენ ოდას. იქ მიდიოდენ დასაწოლათ.
ოდა იყო ცალკე აშენებული სახლიც, რომლის განცალკევებით შენდე-
ბოდა საჯალაბო სახლი. ახლა თითქმის აღარ იხმარება „ოდა“.

სამოსახლოთ ირჩევენ ისეთ ადგილს, რომელიც მწვანე ადგილია
და გზიპირზეა.

ბალავერის ჩაყრის დროს, პირველ ბარს რო დაარტყამდენ, დეი-
ლოცებოდენ: მოგაშენოთ, მოგამრავლოთ, კეთილათ გაყოცხლოთ ღმე-
რთმა!

რა წუთშიც დამთავრდება სახლის მშენებლობა და გოგა დეიდგმე-
ბა, ხელოსანი იძახის: აბა, მამალი! დიასახლისი დეიქერს მამალს და
ეიყვანს მალა. ხელოსანი მოქრის მამალს თავს და გადმოუგდფეს.
დიასახლისი გაფუფქავს, გატრუსავს, გაკუქავს, გარეცხავს, შეამზა-
დფეს. დოუძახფეს ოსტატფეს. დეინოსა და პურ-მარილს მოიტანს.
ოსტატი დეილოცება: „სამხიარულოთ, საბედნიეროთ, მოგაშენოთ
ღმერთმა! თქვენგან მოცემული თანხა ჩვენ სასიკეთოთ მოგვხმარებო-
დეს!“

(სოფ. ხრეთი)

3. სახლის მასალა და მისი დამზადება

ხის სახლისთვის ვიყენებთ წიფელას, ნაძვის, ცველას (ნაძვს ეზ-
გავსება), მუხას, თხმელას, ვერხვას, კოპიტს, წაბლის მასალას. ეგ
მასალები კმარა. ლამაზა გამზადდება ნაძვისა, ცაცხვისა და თხმელასა-
გან. ეს ქერის მასალაა. პოლიც ასევეა. მეტკრება თუ არა, ნედლს თუ და-

ხერხავ, უკეთესია. ვხერხავთ ხელის ხერხით (ხელის ხერხი საზედოო ხერხია) ან მაშინის ხერხით.

კედლის ფიცარი დამზადდება წიფლის, წაბლის, მუხის, ცველას, ნაძვის მასალისაგან. წიფელა, მუხა, თელა, ნაძვი შეიძლება დეიქრას გძელ მასალათ — საკოქებათ, სარძიკვლებათ, სარტყლებათ. სასვეტეებათ ვარგა წაბლი, ცხონდარი (ცხონდარი გავს ღვეის ხეს, იმაზე ცოტა წერილია, მარა მაგარია). ზღუდეებათ და გადასაკიდათ იხმარება ნაძვი და წიფელა, ლარტყათ — ნაძვი, კარ-ფანჯრისთვინაც — ნაძვი.

ქვიტყირით როცა ვაშენებთ, ბალავერში გვინდა როქკის ქვა, ბალავერის ყურეფეში უნდა დეედვას დიდი უბრალო ქვა, რომ ქვიტყირი არ გადინხნას. ქვიტყირს ვაშენებთ შერჩეული ქვით (გასათლელათ ადვილია, ხერხით იხერხება პირდაპირ, თეთრი კირისებური ქვაა), გინდა ლურჯი ქვით. კირი და სილა ან ცემენტი იხმარება საშენებლათ. ქვიტყირის მერე ვაშენებთ ხის სახს ზევით.

დავადებთ სარძიკვლევს, მერე დავკოქავთ (კოქებს გავდებთ), მერე დავიწყებთ კედლევს. ჯერ ხის ყურეფეს ავიყვანთ, მერე დავსარტყლავთ, სარძიკვლების პარალელურათ დავსარტყლავთ და კედლის ზომაზე დოუდებთ სვეტევს ბალკონში. სვეტევს თავზე დავსარტყლავთ, დავკოქავთ, მერე სტრაფილი შამემატება, დაედება თავზე კოქებზე ზეიდან. თავზე უნდა დაუჯდეს ორი ან ერთი გოგა, ამაზე დეეკედება სათავე (სათავეს ეძახიან ქოჩორსაც). სათავეზე დეეკედება ზღუდეები (4 ზღუდე), მერე შესაკიდლებება სახლი, ე. ი. გადასაკიდებელი დეეკედება ყაფრათ ოთხსავე გვერდზე, მერე შეილარტყება. მერე დეიხურება კრამიტით.

კრამიტი არის შუარგოლა ანუ გძელტუჩა და გასვრეტული კრამიტი, მერე იქნება მუშა კრამიტი, ზღუდის დიდი კრამიტები. რომ ქარმა არ გადაყაროს. სულ პირველათ ვდებ გძელტუჩა ანუ შუარგოლა კრამიტს. ორ ცალს რომ დავდებთ, ერთი დეედება ზემოდან გახვრეტული კრამიტი და დეეკედება გძელი ლურსმანით ლარტყაზე. ასე წავა სულ, ხოლოთ ირგვლივ მერე იხურება მუშა კრამიტით, მერე ზღუდეევს აყვება დიდი კრამიტი — ზღუდეების კრამიტი.

კოქებზე დეიგება პოლი შიპით ან ნარიმანდით. შიპი არის ფიცრის შუაში ამოღებული ღარი. ესაა დედალი შიპი. მამალი შიპი არის ფიცრის ორივე ნაპირზე ამოღებული ღარი, რომელიც შევა შშუთით ამოღებულ დედალ შიპში. ნარიმანდი არი ფიცრის ორივე მხარეს გაშალაშინებულ და გაუშალაშინებულ მხარეს ამოღებული პირი. ფიცარს ნარიმანდს უღებს იახა. შიპს ვიღებთ შშუთითა და იახით. ფიცრის პირის ამოღებამდე ფიცარი სწორდება ქუბანკით და ზუშტარით.

ლამფა არი ქერის ფიცარი, უფრო თხელია პოლის ფიცარზე,

2 $\frac{1}{2}$ — 3 სმ სისქისაა, პოლის ფიცარი არი 4—4 $\frac{1}{2}$ სმ სისქისა.

კარ-ფანჯრის ჩარჩოებისათვის პირვეს ვიღვეთ შშუთით. სადაც პირი უნდა ამევილოთ, ყველგან ეხმაროთ შშუთს ანუ ქანის შკაფს.

კარის გულს ვაკეთებთ ლაგვარდანიტ. ბაძო არი კარის გულის ჩარჩო, რომელსაც ვაშალაშინებთ შალაშინით, ქანის შკაფით პირს, უღვეთ გულის ჩასაჭენათ.

სატეხი ისმარება კარების ჩარჩოების ამოსატახათ, რო ჩარჩო ჩარჩოში შევიდეს. ქუბანკა და ხუშტარა ისმარება ბაძოების გასასწორებლათ. ფანჯრის ნაპირების დასაფანჯად — რუბანკა. მოფახვა ! ღაფახვა არი ფანჯრის ჩარჩოს მომრგვალება.

პატარა ხუშტარა — ბეჩა ისმარება პირის ამოსაღებათ, რომელშიც მინა უნდა ჩაჯდეს.

ბალკონის რიკულეფს ქვია რეჩოტკა. ღია ბალკონს ქარი რო არ მოხვდეს, ერთ მხარეზე აქედავენ გრძელ ფიცარს — ლამფას. ამას ქვია შუბლი.

პოლის ფიცრის გადასაწმენდათ, გასათლელათ, თუ იგი კორძიანია, ისმარება ეჩო.

(სოფ. ხრეთით)

4. სამეურნეო ნაბეზობები

მარანი არი ხის ან ქვის შენობა, რომელშიც ინახვენ საწნახელს, ქურის მოსაველელ იარაღს, სარცხელს, ვენახის მაშინას, ორხელს, ბარს, ქურის დასატყეპნ უროს || საბეგველას, მარნის საქაჩველს.

საქონლის საზაფხულო სადგომი არი საჩეხე. ბოსელში ძირს ავია ორი გძელი ხე, რომელსაც ქვია გარა. გარაზე დაგებულია ორად გახერხილი რგვალი ხე პტყელი პირით. ამას ქვია ბოსლის ჭერი. კედელთან ახლოს კეთდება ბაგა ფიცრით. ბაგასთან დასობილია იმდენი პალო, რაძდენი სული საქონელიც არის. პალოზე მობმულია ქანჩი და იმაზე კანდრიბია ქანჩით ძიბული. აქ კეთდება კაპიანი ღისაგან სამკუთხედი კანდრიბი.

ჭერი რგვალი ხისგან იმიტო კეთდება, რო საქონლის შარდი არ გაჩერდეს. ჭერის ბოლოში დევს ფიცარი, სადაც ჩამოხვეტენ თოხით საქონლის ხაკელს, ცოცხით დაასუფთავენ. სარკმიელი || სარკიმელა, არი ნაკელის გადასაყრელათ. ნაკელს ვიღვეთ ლაფანტქით.

საღორე ორთვალაინია. ერთ თვალში დედალორი და გოკებია, ცალკე თვალში — ბურაკები. თუ საჭირო იქნა, უკეთებენ მესამე თვალს, სადაც ამწყვრევენ ტახს.

საქათმო ორსართულიანია, ძირა ორთვალაინია, მალლა-ერთვალაინი. ძირაში არი კრუხი წიწილებით. მეორე თვალში არი კვერცხი მადე-

ბელი ქათმები და მოზარდები. ზევით, ქანდარაზე, ჩამომსხდარია ქათმები.

საზაფხულო სადგომი საჩეხე არი ეზოს ნაწილი, შემორჩეული წყნელით, გადაუხურავია.

საბძლის ქვეით არი ფარდული — შემოურაგავი ადგილი, სადაც წვიმის დროს თავს შეიფარეთს საქონელი.

(სოფ. ხრეთი)

5. საფინიკრო

მატყლს პირველათ ვჩეჩავთ. საჩეჩელის კბილებზე რო დარჩება. იმა ქვია ნაგულარა, მეორე გაჩეჩვას ქვია პირი ამოწყობა. მერე დავაფთილავეფთ, ფთილეფს კალათში — ბოყეში ჩავაწყოფთ. დასართავთ ვხმაროფთ თირისტარს, კვირისტავს (ტარ-კვირისტავი).

ჯერ ამოვანოვთ თირისტარებიდან სამ წვერს წინდისთვინ, 2 წვერს შალისთვინ. მერე დავძახამდით, ვქსელამდით, ამოვანოვდით სამუხველზე. მერე მურგვათ ამოვანოვდით, მერე დავმდღურავდით და კრუწნას აღარ დეიწყებდა. დაძახული რო არი, დაგრეხილია და რო დავდღურავთ, არ ეიბურდება. მერე დავასობდით 2 ჯოხს, ჯვარადინათ ვქსელამდით ძაფს, მერე ავკანდამდით. გრძლად დაქსელილი ნართი რომ არ აბურდულიყო, ჯაქვის რგოლებივით კეცავდენ ერთიმეორეში თავის გამოდებით, ამას აცანდვა ქვიოდა. მერე ძაფებს დგიმ-საბარცხალში გოუყრიდენ. ჯერ დგიმებში გოუყრიდენ (დგიმი ორი იყო), მერე საბარცხალში და დადგიმსაბარცხლება ქვიოდა ამას. საბარცხალს ქონდა ბუდე, ლაფათინს უძახოდენ.

საბარცხლის ყოველ კბილში გვეტიანდით ძაფს, ჯვარადინათ გამოქვექონდა დგიმში. საბარცხალს ლაფათინში ჩადებდენ და გამოკრამდენ. იმას მაქო ქონდა. მაქოში მასრა იყო. ჯარით ახოვდენ მასრაზე ძაფს. ფიცარზე იყო ორი ჯოხი დადგმული, იმაში იყო გაყრილი ღერძი, ღერძში — ხის გოგორა. გოგორა ამოღარული იყო, რომელშიც გადადიოდა ძაფი საშვილოვოდან. საშვილოვოზე ჩამოცმული იყო შვილო: ოთხი ტკეჩის რგოლი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული, შუაში ღერძი დამაგრებული იყო ფიცარზე. საშვილოვო ტრიალობდა, ჯარაზე გადადიოდა ძაფი, ჯარაზე მასრა იყო და იხოოდა. მოვხსნიდით მასრას. ჩავდებდით მაქოში. მაქოს ქონდა წინიჩხირი, გამოვადრობდით, მასრაში უყრიდით, რო მას დეეკავებინა მაქოში მასრა. მერე ეს მაქო გვექვირა ხელში და ვაძლევდით საფეიქროში ძაფს.

საფეიქრო ასეა გაკეთებული: ორი კლავის სისხო ხეა, ქვია სარძიკველი. ოთხგან ამოხვრეტილია და ჩაჩენილია ჯოხები. მალლა სწორათ

დაქედილი ქონდა ოთხივე მხარეს ჯოხი, რომელსაც საფეიქროს ჯოხები ქვიოდა. საფეიქროს ჯოხებზე ბაწრებით იყო ჩამოკიდებული 4 რგვალი ფირფიტაენი---ჩიტა||ჩიტეები. რომელზედაც გამოშვებული ძაფი დგომზე იყო მოშვული. ძირს, ჩიტის სწორა, დგომს ორივე მხარეზე კიდე ქონდა მოშვებული ბაწრები, ზედ ფიცარი იყო და ძირს იყო დაგდებული. ამას ქვიოდა საფეხური. ხან ერთს დაკრავდენ ფეხს, ხან მეორეს და გეიხსნებოდა დგომი, მაქოს გევიტანდით და წავექსოვდით ერთ უბეს. ჩვენკენ შამოვარტყამდით ლაფათინს ძაფს და მაქო გეიტანდა ძაფს.

(სოფ. ხრეთი)

6. ცხვრის ბაპარსვა

სანამდი კრავი არ ეყოლება, ცხვრის შვილს ბატკანი ქვია. ერთი წლისთავეზე, შვილი რო ეყოლება, უყოლ ბატკანს ყავს კრავიო, — იტყვიან. ერთი წლის შემდეგ ბატკანს უძახით ცხვარს. დედალია ცხვარი, მამალი — ვერძი. თხის შვილს წლამდე ქვია თიკანი, მერე დედალს — თხა, მამალს — ვაცი თხა.

წელიწადში ცხვარი იპარცება სამჯელ — მარტში, მაისში და სექტემბერში. პირველ განაპარცს ქვია ნაკრაველი, მორეთ რო გაპარცამ — ნაკრაველის ფეხი. შესამეთ განაპარცია მატყლი. გაზაფხულზე თ'ვარ გაგზავნეთ, ნაზამთრი მატყლი ქე დაცეინდება.

შეტელ ქვეშ გაპარცული მატყლი არის ნამუცლი, ფეხებზე ნაპარცი — ფეხრიელი, კისერზე გაპარცული — ნაკისური. ნაკისურ მატყლს მოკლე ბეწვი აქ და უვარგისია. თუ დეისამკინოეფ, ქე იხმარ. ძუნძუხიანი მატყლი ქუქყიანია (ბინის უსუფთაობის გამო). ყველაზე კარგია ნაკრაველი, მბილია, მისგან ფუფეიკეფს ქსოვდეს. არ იკბინებოდა.

(სოფ. ხრეთი)

7. ნახირი

რაც საბალახოთ ირეკება უბნის ოთხფეხი, არი ნახირი. საქონელი ირეკება საძოვარზე. ნახირს ვინც მწყყავს, ეწოდება შწყყესი. ფერბის ძროხებს ყავს მწყყესი და კოლმეურნეობის ხარებს, მოზერებსა და დეკეულებს — მეჯოგე.

ძროხის შვილს წლამდე ხზო ქვია, 2-3 თვის ხზოს მოფერებით კოტინას უძახიან. მოზარდ საქონელს წლიდან 3 წლამდე ბოჩოლა ეწოდება.

ერთი წლის შემდეგ 3 წლამდე დედალი არის უშობელი|დედაული, მამალი — მოზვერი გახედნამდე. გახედნა ხდება 3 წლიდან.

უშობლის დანაკებს ქვია თავდაცვა. ჩემი უშობელი თავდაცულიაო, — ვამბობთ. როცა უნდა დამაკდეს, სამაკინო საქონელია. ჩემი უშობელი არი 3 წლის, წროულს დეიცვა თავი. 9 თვის მერე ეყოლა ხბო, დახბოიანდა. სანამ მეორე ხბო არ ეყოლება, იქნება უცადი უშობელი (არ გამოგვიცთია, როგორი მეწველია), მეორე ხბოს ყოლის მერე არი ძროხა.

მოზვერი რო გეიხედნება, ხარია. მანამდე უხედარია. სანამ არ შევაბანთ. სულ უხედარი იქნება. მოზვერს 3 წლისას ვხედნით, ვამბავთ უღელში და არი ხარი.

ძროხამ იცის ატეხვა-ახურება. მოგებულს ნამატი ქვია. პერანგს, რამიაც დაბადებამდე ხბო იმყოფება, მამყოლი|ხუდე ქვია. მამყოლს აქ უფრო ხშირად სახბოეს უძახიან.

ძროხა, რომელსაც არა აქვს უნარი თავდაცვისა, არის ბელწი|ბერწი. ბელწი ძროხა, რომელიც არ იწველის, არი მშრალი ბერწი.

კარგი ჯიშის საქონელი, რომელიც მოსაშენებლათ ვარგოფს, არი სანაშენო. ძროხამ თუ ორი ხბო მოიგო, არი ორწყოლი, თუ სამი — სამწყოლი და ა. შ. უყოლი ერთი წლის ხბო არი დეკეული.

საქონელი რამდენი წლისაა, იმდენი ნაჰდობი|ნაზარდი აქ რქაზე. თუ რქა არა აქვს, გაისინჯება წლოვანობა კბილით ან კუდით. სარცხეინალიდან რო დაყობი, რამდენი ძვალი აქ, იმდენი წლისაა. პაწიაობიდან ემატება ხტილი. ჩვენ ასე ვსინჯამთ საქონელს — ძროხას, ხარს.

სამ წლამდე აქ რქის კბილები, პატარეები. მერე ის რქის კბილები ხაცვინდება და ამოუვა დიდი ჩოტები. რქის კბილები აქვს 3-3. სამი აქეთ, სამი — იქით. მერე აქეთ-იქეთ ამოდის თითო-თითო ჩოტი. წინ თითო-თითო რქის კბილს კარგავს. მეოთხე წელში რომ გადავა, კიდე მოიცვლის რქის კბილს, ამოუვა კიდე ჩოტები. 5 წლისა რომ გახთება, პატარა კბილები აღარ ექნება და სუყველა ჩოტები ექნება, სულ 8. აქიდან საქონლის ხნეობის გაგება შეიძლება 8 წლამდე. ეს ჩოტები რო გოუსწორდება პირველ ამოსულ ჩოტებს, საქონელი იქნება 8 წლისა.

5 წლის რომ არი, ვხვთებით, რქის კბილი აღარ აქ, იძითი და ჩოტები აქ. 6 წლის რომ არი, ექნება მაღალ-დაბალი ჩოტები, 7 წლისას კიდე გოუსწორებელი ექნება კბილები, მაგრამ უფრო მაღალი ექნება. ვიდრე 6 წლისას. რვა წლის რომ გახთება, კბილები დოუსწორდება. სუყველა წინა ჩოტის სიმაღლისა გახთება.

ზოგამ ძროხამ წიხლი — ტლინკი, კვინტი იცის. ასეთ ძროხას მოუცეცავენ ერთ-ერთ წინა ფეხს: გოუყრიან მუხლში გვერავს და, გვერავს

ნი რომ არ წამოძვრეს, მუხლს და გვერგვს შორის გოუყრიან ჯიბს.

ზოგიერთი ძროხა რძეს არ მოგვეცემს, თუ არ აქამე საგემრიელო --- ნაღერლი, დაროშვილი სიმიდი ან ჯაძა. ზოგ ძროხას ძუჭუს ღერები ჯაგარი აქ და მაგარი საწველია.

ახალხბოიან ძროხას აქვს გამაგრებული ჭიჭანი, ამას ქვია ჭიშკვი. მოწველის წინ ძროხას რძე რომ ჩამოუდგეს ჭიჭნიდან ძუჭუს ღერებში, ხბოს გამოვალოცნიეფთ — პირს მოვაკიდებთ. ხფო ჭერ ერთ ღერს გამოლოცნის, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს. რძე ჩამოდგება ძუჭუს ღერებში და გამოვწველით ძროხას.

გამოწველის მერე მაუშოფთ სფოს და გამოწვოს.

მზალავ ძროხას ეძახიან, რომ ძროხა ეიხრუტება და რძეს არ მოქცემს. მოუვლელობით დაგლახებულ ძროხას დანაღრიბალებული ქვია, ბოიოლიკსაც ეძახიან.

ცუდათ რომ ჭამს საქონელი, ილოდნებაო, --- იტყვიან. ცუდათ, აზინად ცქამელს ამლაკი მქაპელი ეწოდება. ჩემი ძროხა კაათ ექანს, მქამელი გამამადგა.

მშიერ საქონელზე ამბობენ — გამოფერთხილიაო, გამომწლეული აქ ფერდებიო. გამხთარ, შეწუხებულ საქონელს ჭანდრაკი, ხიოჭი, გახიოჭებული საქონელი ქვია, გასუქებულს — ნებიერი.

ზოგი საქონელი თავარია ტანათ, ზოგი ჩია, ბურტყელა, ე. ი. პატარა ტანისა.

ურქო საქონელს დოლას ვეძახით. როცა ცხვარს რქა არა აქვს, ღოლა ცხვარია, ურქო თხა — ბელა თხა. მოგრეილრქებიანი ცხვარი არი რქაგადაკაული. სწორა რომ აქ რქები, რქამადალს ვეტყვი. წინ მონარილი თუ აქ რქები, რქამოკაულია, ზოგს წვეტიანი რქა აქვს, ზოგს ცალი რქა აქ მოტეხილი და არი ცალრქა. რქენა რომ იცის, რჩოლია საქონელია. დაკოდილ საქონელს ზდილობიან ენაზე ეძახიან დაწმენდილს.

ბაღე რომ იღლება, სუსტი საქონელი არი დაღმათი, ზარმაცი საქონელი — ოჩანი, ყურებზე დასოული რქებით (ყურებშია გამომწყვრეული რქები) — არი ყურატა. მოკლეკუდიანი მსხვილფეხა საქონელი კუდალაა. მე მყავდა უკუდო ხარი, უძახოდი კუდალას. ფაშა დიდმუცელა საქონელია. შიმშილით მუცელშეგარდნილი საქონელი გამოლაწებული საქონელია.

მარდი|დაღარდიტებული პატარა, დაგლახებულ საქონელსა ქვია.

ნაღრიბაღა ნაბოლარაა, შეიძლება მარღია გახთეს, შეიძლება ქე გამოკეთთეს. ფეთიანი|ფეციანი საქონელი ადამიანს რომ დეინახავს, დაფთხება. ცუდათ დაკოდილი საქონელი არი ჭანი. გძელბალნიანს ბუფგურა საქონელი ქვია, გაპრიალებულ ბალნიანს — გასანსალებული.

საქონელს — მსხვილფეხას, წვრილფეხას, ფრინველებს ეძახიან ყველას საუოლებელს. მსხვილფეხა საქონელია: კამბეჩი, ხარი, ძროხა, ცხენი, ვირი, ჯორი. წვრილფეხაა ცხვარი, თხა და ლორი. წვრილფეხობას უძახით ფრინველსაც — ქათმებს, ბატებს, ინდოურებს.

მსხვილფეხა საქონელს ზოგადათ ქვია პურტყვი.

ნახირი არი უბნის ოთხფეხი საქონლის ჯოგი. მთელი სოფლის ოთხფეხა საქონელი, რომელიც საძოვრებზე ირეკება, არი ჯოგი.

საქონელი ზამთარში ბოსელშია, ზაფხულში საჩხეში. თებზე მიეკეცათ უწველ საქონელს — ხარეფს, დეკეულეფს.

ბოსელში აქმევენ ნოემბრიდან 1 აპრილამდე, მერე საძოვრებზე. საქმელ ვაქმევთ ბოსელში. დილას რო აქმევ, მერე არწყულეფ და აქმევ შუადღეზე. მერე დაშუადღეზე მოხთება — საქონელი შეისვენეფს და იცოხნება. ვაძლეეთ ქვა მარილს იმიტო, რო წყალი დალიოს. საქონელი სლაქავს ქვამარილს, რო ენა გაეწმინდოს. ენაზე ტილი იცის საქონელმა, ჯლიბა. ბალანშიც ქვე არი. ამიტო აძლევენ მარილს. სალამოს კიდე ვაძლეეთ საქმელს.

საქონელს წმენდენ დაბანით. ასუფთავებენ საურელით, ჩოთქით.

ზოგ საქონელს ტალახში წოლა უყვარს, ბინძურია, ზოგი — სუფთა.

როცა საქონლის კვება არ შეუძლიათ, გააზიარებენ — ვინმეს აძლევენ რო სანახევროთ ქონდეს ნაწველიც და ნაშიერიც.

მინაზურება არი სხვის ანაბარა მიტოვება. ერთმა მეზობელმა საქონელი მომანაზურა 3 დღათ და მერე ერთი თვე ველარ წეიყვანა.

ზაფხულზე თაზე მიქყვავს კოლმეურნეობის ხარები, დეკეულეობი, ძროხებიც თაზეა — ფერმაში. საზაფხულო ფერმა თაზეა, საზამთრო — სოფლათ.

(სოფ. ხრეთი)

8. საქონლის ავადმყოფობა

საქონელმა იცის ბევრნაირი ავანტყოფობა.

ხმელი სისხლი დაწმანის წენში, თეძოეფს მოტაცეფს, უნა უსაქმო უკანიდან. ნეკებით გამოაცლი ლეკერტ სისხლს შემხობილიდან და უშველის.

ნედლი სისხლი ბერავს, უნა გოუქრა ყური, სისხლი გამოუშვა, შოულოცო სისხლის.

ზღმურდლი ტყავსა და ხორცს, როგორც რკო, ისე გოუჩთება იქა-აქა. უნდა დასოლდეს ავდარში, დაალბო კაათ, მოუჭირო ხელი, ტყავში ქია იქნება და ამოვარდება.

ქეცი სირსვილია, ხბოს ემართება. შაბიაბანი, ლორის ქონი, კვაწარახი, პიმპილა ერთმანეთში არეული უნდა წოუსვა.

ხუზარა უცეფურათ კლავს, საქონლის ჰირია.

თურქული ფლოქვეფს წააძროფს, პირში ლორწყვი შოუვა, სიკეტილით არ კლავს.

ბრაზი ძალიდან ემართება, ყვირის, უნდა მოკლა და ჩააგდო მიწაში.

აბუზარა სხვილი ბუზია, ნეფსივით ჩხვლეტს, საცა არ უნდა დააჯდეს. ხმაზე ცნოფს საქონელი და გეიქცევა, ტყეში უნა შევარდეს. აბუზარდაო, — იტყვიან ასეთ საქონელზე.

წვიმაში ხედნის დროს ხარებს უჩთება ლურსმანა, კისერზე მეწუკები აზის, ფეტვივითაა. ხელით რო გასინჯამ, ნახამ. ისე არ ჩანს. კანქვეშაა. იმათი ნახმარი უღელი რო დაადგა მეორეს, გადაედობა, გოუჩრთება მესამესაც.

საქონელზე ამბობენ, თვალი ეცაო, გათვალულიაო. თვალზე ტრეპლი მოდის, ყურებჩამოყრილია, გაბუძგამს, არ მოიწველის, ხარი უღელში რო შეაბა, არ წავა, ზნეს უცვლის. იციან ლოცვა თვალისა...

ძალიწერა იცის ვირმა, ჯორმა, ცხენმა. საქონლის გამწვალებელი წაწითური მწერია, ბუზის ოდენაა. შოუძერება ბოყეებში ან კულქვეშ, კანქვეშ კვერცხებს დებს.

წილი ცხენმა იცის, გაოფლიანების გამო უჩთება.

(სოფ. ხრეთი)

9. საქონლის სახელები

ეფვანა საქონელია, ზოლები რო დაყევა. ხარებს ქვია: შავს — გიშერა, წითელს — ღვინია, წიქერა; რუხს — ქერა. ჯორა წაბლისფერი ბულაა. არი კიდე სახელები: ირემა, კვირია, ნიკორა, ნიშა. ნიკორა ხარს შუბლზე თეთრი აქ. თუ ძროხას აქ შუბლზე თეთრი, ნოთიას ვეცხით. შავი ძროხაა შამპირა, მაყვალა; წაბლისფერი — წაბლია, წითელი და მოთეთრო — ვარდია, თეთრი — ლამაზა, კვაწა, კვირტა...

(სოფ. ხრეთი)

10. ცხენი

კვიცი არი ჰ. წლამდე. ჰ წლის მერე დედალი იქნება ფაშატი ცხენი, მამალი კი — ულაყი, უზღელათ ფაშატს ჰაკსაც უძახიან. დოუკოდავი მამალი ცხენია ვაყა. კარგი მატარებელი ცხენი არი იორლა; თოხარიკით მავალია — წმინდა სიარული რო ეცოდინება, რო არ ბუნტოულოფს და ისე მიდის, გაგოგდება წყერივით. ცუდათ შავალი ცხენი არი საჯანდრაკო ცხენი, ძუნძულა ცხენი. დიდ და მოუქნელ ცხენს სადროგე ცხენს ვეტყვით.

ცხენი არი საჯღონი ცხენი — იორლა ან თობარიკი (გინდ იყოს ფაშატი, გინდ ულაყი). საჩალანდრო სატვითო ცხენია, კურტანს ან კებს დააღვამენ და ტვირთს გადაატანებენ. საჭავლაგოა, ჯლაყუნა ცხენი რო იქნება.

საჯღომ ცხენს ჯერ გადააფარებენ ნაბადს (საოფლე), მერე თოქალთა ნაბადზე დევს, ნაბადს ლამაზათ ფარავს, ტყავისაა და შიგნი რბილია, უნაგრის კეხი ადგია ამაზე. უნაგერზეა ტყავის ბალიში ბუმბულით დატენილი და სამ-სამი მოსართავი (ღვედები) ქვეშიდან ამეკობრება. პირში აქ ლაგამი და თავზე — აღვირი, სამკერდე და საძუფე. აფშარა აღვირის მაგივრად ცხვირზე აქ მოდებულნი. საძუფე ღვედია, კულქვეშ უნაგერზე გამოშვული, უკანიდან რო წინ არ წვეიღეს უნაგერი. წინიდან აქვს სამკერდე.

(სოფ. ხრეთი)

11. სხვადასხვაბმარი მიწა

შავი მიწა ნოყიერი მიწაა, გინდა თავისთავათ ყოფილა, გინდა დასაკელბული. პატივი თუ აღარ აქ მიწას, ფიტღება, აღარაფელი აღარ მოდის. მიწა არის შავი, თეთრი და წითელი. შავი მოსავლიანი, ძიმე მიწაა, წითელი — ჩატეა; თეთრიც ჩატე მიწაა. თეთრი მიწა ფშენილი ქვის მიწაა, ნაცრისფერ-მოთეთრო. თირი სახნავ ყანათ არ შეიძლება. თირი მიწა და აყალო ერთმანეთისაგან გამსხვავდება. აყალოზეც არ მოდის არაფერი. თიხა მიწა უფრო შლილი მიწაა. აყალო და თიხა ერთი არ არი. უფრო შლილია თიხა მიწა, აყალო იბზარება, სკდება. ზიტნია მიწაა აყალო, საპონივით იღესება. ლაგაში მიწაა, თიხს არ მოცილდება, ძიმე მიწაა, ფეხს არ მოცილდება. შავიც არი და წითელიც.

როცა სოველია შავი მიწა, ლაგაზია, ვერ მოთონნი, ვერც მოხნავ. თიხა არი უფრო მუქი, ქოთნათ, კეცათ იხმარება. აყალო ტრედისფერიცაა. ტრედისფერი აყალო იჭრება კრამიტათ. არი კიდე ჭურის დასაგლეჯი წითელი აყალო. ქირში მიწაა, თუ ქვიშა ჭარბოფს. სილა მიწაში სილა ჭარბოფს.

მზე რო ანათეფს, მზავულია. სადაც ჩეროა, ჩითილია, ჩუყვერიჩუყვერია. ჩაღრმავებულ ადგილს მერდიში ქვია, ფხეკა ჩამოფხეკილი დაქანებული, ჩამორეცხილი ადგილია, გვერდო ფერდო ადგილია, ცოტა შექანებული. მუღმივ კაობიანი მიწა არი ჭენჭყლოფი. წვიმისაგან აქაობებული ადგილი არი კარშიდაჭარული ადგილი. წვიმიანში დაჭარა ბევრი ადგილები.

ბურისთვინ და ჭერისთვინ კია შავი ჩატე მიწა. ძიმე მიწა ნაკლებია. ჩატე მიწა ადგილათ დასამუშავებელია, ძიმე მიწა იწელი ღასა-

მუშავებელია. ძიმე მიწაა ლაგაზი. უსნაჲი და გაბალანებული მიწა უყია. ახალპირი არი პირველათ გატეხილი ტყე თუ უყი.

უყი უნდა დეისნას შემოდგომაზე. ამას ქვია უყის შემზადება, შეხვნა. შეტნული გაზაფხულზე დაითესება. ძიმე მიწა როცაა. გლახა დასახნავია და პირგაზაფხულზე შევხნამთ, მერე ავოშამთ და შემდეგ დავეთსაეთ. აოშვა არი პირგაზაფხულზე შემზადებული მიწის დახვნა. ყოველ წელიწათს დამუშავებელი მიწა არი ნაშბილარი; განანმბოღარეხული.

(სოფ. ხრეთი)

12. სამანი

ორი ყანა თუ ემიჯნება ერთმანეთს, მოსამძღვრეა. სამძღვარს აღნიშნავენ სამანი. ყანის სიგრძის მიხედვით სამანი შეიძლება ოაზიცი იყოს ერთ მწკრივზე, შეიძლება გახრილობაც იქნეს ყანის მდებარეობის მიხედვით. სამანათ იყო ქვა, რომელიც მიწის ზევით უხდა ჩანლებს ვერშოკის მანძილზე. ამას ეყოლება მოწმეთ მიჯენილი მერე პატარა ქვა; რომ მისი სამნობა დაამტკიცოს ი პატარა მოწმემ, რომ არ ეგონოს კაცს ჩვეულებრივი ქვა.

ახოს აღება არი საყანედ ტყის გაკაფვა. მოკაფამ წალდით ან ნაჯახით. ხე რომ დიდია და წალდი ვერ ერევა, ნაჯახით მოვკრი. მაყვალი და შლენგიანი ადგილი თუა, ცელითა და ნამგლით მოვგალავთ. რომოკაფავ, დარჩება ნაკაფი და იმას ქვია ჩხმეტი. ამას ამოყრის თოზი. ნამგალი არ შეიძლება იმაზე. მერე ი ჩხმეტი გასმება, ამოკვინდება თოხნაზე. ჯირკები დაღებება და ამოცვინდება ან კირკით ამეიდება. კირკა ანამბილარეფს. ახოს ვამუშავეფთ კირკითა და ეხო თოხით. სამ წლამდი ვერ იხმარ სახვნელს, სანამ ფესოები არ ამოცვინდება.

(სოფ. ხრეთი)

13. ხხნა

ლეკის ხეს გამოთლიდენ და გამოიჯვანდენ ურძის ძვალეით, წიფლის ხე არ ეარგიყო, გასკდებოდა. თავათ ქონდა ჭიბი (ხუნდა) გათლის დროს დატანებული. ეს იყო ფიცრული გოგორა, მერე გაკეთთა თვლიანი — ფესოიანი, რიკებიანი. ხუნდზეა დასხმული რაკები. მერე ფესოები შამორტყმული. ჩვენთან პატარა ურემია, აჩაჩა ურემს უძახით. აჩაჩა ურძის უღლისაგან საბუნელის უღელი განსხვავდება. სახვნელის უღელი უფრო გელეია და სწორი. ხოლოთ აჩაჩა ურძის უღელი არი მოკლე და ხარის კისერთან ჩახნეკილი. საუღლესთან ჩახნეკილი იმიტოა, რომ დაღმართში ხარს ტვირთი არ დააწევს და საშვალება ქონდეს კისრის აწევისა.

სახვნელის უღელს ქვია სასახნაო უღელი. სახვნელის უღელის ნაწილებია აქეთ-იქით მხარეზე 2-2 ტაბიკი და თითო აპოური. ტაბიკების ზევიდან გადაფარებულია თექის ან რეზინის ნაპერი, რომ ვიბრირებას კისერი არ დოუსველდეს ხარს. ამას ქვია საქედური.

უღელთან დაკავშირებულია სახვნელი||სამხვნელი. მოხრილ ნაწილს ქვია კავი. ჭუსლი კავის ნაწილია (შოლტი და კავის ფეხი არის კავი). ჭუსლზე წამოგებულია სახნისი. სახვნელი უღელს უერთდება საულლით, რომელიც შეიძლება იყოს ტყავის, მავთულის ან ქანჩის||ღელენკისა ერქვანზე ხელი უკიდიათ ხვნის დროს, — სახელურია.

თუ უღელში ერთი ხარია შებმული, ქვია ცალუღელა. თუ მიწა გამოგვალულია, ერთი უღელი ვერ გეიტანს მიწას. იშვიათად ეხნაშთ 2 უღელით და ამას პარუჯი ქვია. როცა სუსტი ხარის დასახმარებლათ საულლეს გადაწვევენ ძლიერი ხარისაკენ, ტოლს გოდოუგდევთო, ვიტყვი. თუ ღალმათი ხარი ქვეყავს, კისკენ გოდუგდებთ ტოლს.

ხარებს წინამძღოლი უკიდება, როცა კაი გახედნილი არ არი. წინამძღოლმა უნდა გააჩვიოს და მერე გეიქნება, დეჩვევა და გეიხედნება ხარი.

სახვნელის მიერ გაღარული მიწა არი კვალი. კვალების გავლას ქვია დაკვალვა ანუ დახტულვა. ორ კვალს შორის მანძილი არი ხტული. ხტულსა და ხტულს შორის მანძილი იქნება 3-4 მეტრი. მისთვის ეინ იხტულება, რომ მიწა არ დარჩეს მოუთესავი.

ხვნას ვიწყეთ ბოლოდან. დავაბი ხარები, ევიყვანე ბოლოდან ზევით, გავაველე ერთი კვალი, მერე გადმოუარე თავზე და გამევიტანე მეორე კვალი, ჩევედი ბოლოში, ე. ი. დავხტულე. რომ ხნავ და მიყობი, შეიძლება გამოქრჩეს დოუნნავი, ამოხტეს სახვნელი და, მეორეთ მოტრიალებიასან თუ ვერ მოიხნა ეს ადგილი, დარჩება ხარვეზი.

როცა სახნისი იმგვართათა დაგებული, რომ ღრმათ ხნავს, ქვია იწვერი, როცა ჩოჩავს ზედაპირზე, ზერელეთ ხნავს — იჩოჩი.

ხვნის დროს გადმობრუნებულ მიწას ბელტი ქვია. მერე საჭირია დაფხვიერება. დაფხვიერება სთება თოხით და ამას ქვია დახართოხება ||ჩაკეთება. რომ არ დეიშლება ბელტები დახართოხების დროს, დავარცხამთ ფარცხით. მორაგულია წვენელის ჩელტი 1/2 მეტრი სიგანისა და ერთი მეტრი სიგანისა. რომ ირავება ისი, წვენელეფს 30-40 სანტიმეტრით განოშვერილი ექნება უკან თავები, რომელსაც ქვია თითები. თითების საშვალეებით უნდა დეიშალოს მიწა.

ფარცხი ჩატეა, ან ქვას დაადებენ ზედე, ან კაცი დაჭდება, შვაში გამოუბამენ ჭოხს და ამ ჭოხით, საულლით უღელზე მიბამენ.

კაცი უძღვია წინ.

დახართოხება ხდება თოხით. თოხი სამნაირია: რგვალი ქართული

თოხი, ბეჭებიათა ძვირათ იხმარება. ღინვა თოხი სიმიდის სამარგლავია, ერს თოხი მაგარ მიწაში იხმარება კირკასავით.

(სოფ. ხრეთი)

14. აფერდა პური

პურის ჯიშებიდან ვთესით დიკას და ადესას. დიკა საგაზაფხულო ჯიშია, ადესა — საშემოდგომო. ადესას აქ ფხიანი თაველი, ჩვეულებრივი ზომის მარცვალი, მოწითალო და პურიც წითელი ცხვებოდა. დიკაც მაგნაირია, ხოლოთ ვაზაფხულზე ითესებოდა. ქერი ითესებოდა პურის ყანაში გაზაფხულზე, მაისის თვეში. სიმიდები დეითესებოდა და მერე დავთესით ფეტვს, სადაც სიმიდი ვთესა, იმ ყანაში.

თესლი ჯერ განედლდება, ე. ი. დაღება, მერე გალივდება, გეილოჯება, მერე ამეიწვევება, მერე ნაყარს — ბარტყეფს იკეთეფს, გეიბარტყნება მიწაზე, მერე აჯევილდება. რო აჯევილდება გაზაფხულზე და გეიზდება, მერე იკეთეფს მუხლს — მუხნაყარია. მაისში პური უნდა გეიმარგლოს, მუხლის ამოღებამდი. ხელით ვაცლით ბალახეფს. პურშია გორვალა, სუსნელა, ძაღლპურა, ღვარძლი, ქუბა.

გორვალა ლობიოს პარკივითაა; სუსნელას წითელი ყვავილი და ლობიოსნაირი წვრილი მარცვალი აქ. პურს ქამს, ახლოს თუ იქნა, მოსპოფს პურს. ძაღლპურა პურისნაირია, ერთი კვანჩხი ერთ ფუჟ პურს მოსპოფს. მარცვალი აქ ნაკიანი, პატარა, დახრუკული, თავებზე შავები აქ. კიდვა ქუბა, იგიც პურისნაირია, ოღონდ პურზე მაღალია, აღიბერეფს პურს, გაქელი თაველი აქ. ემას არ ვაცლით პურს.

გაზაფხულზე, მაისიდან, დეიწყება დათაველება, ე. ი. გეიკეთეფს პური თაველს. იმ თვეშიდავე თაველი ყვავილს გეიღეფს, მერე ჩეიდეფს პური ნაწილს თაველში. მერე იზდება მარცვალი, დასრულდება. მარცვალი ჯის თავის ბუდეში (ზოგი ეძახის ჩურჩოს). ნახევრათ რო არი ყანა მოსული, ვაძობთ: ყანა ოღოშია მოსული. სანამ ყანა არი მოსული, ლურჯათ არი, როცა მოსულია, აფერებულია. აფერდა პურიო, — ვიტყვით, როცა ყანა სიყვითლეს მიიღეფს. როცა მოსულია სულ ყანა, იტყვიან: — სამკალიაო.

მიწაშია ფესო, მიწის ზევით თაველამდე ღერო, მერე თაველი, თაველის წვეტები არი ფხა.

უვარგისი მარცვალი არი ფშუტე, მოელული, ე. ი. აერიდან წამხთარი. გული არ აქ კარქი. მარცვალი გაწითთება, მარა გული მზათ არა აქ. წვრილმარცვლიანი თაველი არი მობუტული. თუ ცუდი მოსავალია, იტყვიან: ნაკლები ყანა არიო.

ქერს იგივე ნაწილები აქ, რაც პურს, პურთან ერთათ ძოდის და იმ-

ება. ფეტვი ამოვა სიმიდევით, გვიზღება. მერე თაველს გეიკეოფტს. მარა ჭონჯოლივით თაველი აქ. დალუნძული, გაკალოების დროს მაგის თაველი გამეიფშვნება, ღერი რჩება ბურღათ, ნაქერალივით.

(სოფ. ხრეთი)

15. მძბ

თუ ყანას დააგვიანდა მომკა, იტყვიან: ჩაბრუნებულია პურიო. ჩეიხრუკება თაველი, ღეროც წახთება. ჩაბრუნდა პური, ე. ი. ჩაწვა, ჩეითელა.

თუ დროზე ვერ ევიღეთ, ჩაბრუნდა პური და წვიმამ მოუსწრო, მერე ბუღეში მარცვალი გასკტება, გეილოჭება მარცვალი და თაველ-წევე ამოვა.

ამას ქვია ძალადმართებული პური.

ყანას ნამგლით მკიან. აქ დიდი ნამგალი ქვექონდა. ნამგლის საღესი ევა არი ქასრი, წოუსვამ ნამგალს და გაღესავ. ჯამზე დავასხაშეით წყალს, დავასოლებდით ქასრს და გაღელსამდით ნამგალს.

მკის დროს მკელი იკეთებდა სათითეფს. ლეკს, სხალს ან რომელიმე სხვა ხეს გავებურღედით, ე. ი. გულს ბურღვით გამოვაცლიდით. და ნარცხენა ხელის სამ ბოლო თითზე ვიკეთებდით, რო ნამგალმა ხელი არ დაგვიქრას. მარჯვენათი ვქრიდით და მარცხენაში პური გვექრია. რო არ გავვექრა, სათითეფს ვიკეთებდით. მარჯვენაზე სამკლაგეებს იკეთებდენ — მატერიას ან ტყავს გაიკეთებდენ, ან პაიჭებს ჩამოიყვანდენ მაჭიდან მხრამდე.

ყანის ბოლოდან თავში ერთხელ გატანილი ზოლი მკის ან თოხნის დროს არი ხვრელი. მესხრელე — სვრელის გამტანი აძლევს მიმართულებას სხვებს, მას მიყვებიან დანარჩენები.

ნამგლის რამდენიმე მოსპით მომკილს, რომლითაც მარცხენა ხელის ზუქს ვივსეფთ, ქვია ხელოური. ხელოურეფს დავაგდეფთ სვრელში და მიედვიართ. სვრელში დაფენილ ხელოურეფს ქვია ნაფენი. მერე მოქეცობა მენაფენე, მენაფენეს — მკონავა, მენაფენე პურის ნაფენს აწეობს წკნელზე, მას მოდემს მკონავი, რომელიც კონის ამ წკნელით ნაფენებს. 4-5 ნაფენს, ერთათ შეკრულს, ქვია ნამჯიქსანა. როცა ოუკონავია პურის ნაფენი, ვიტყვიან: დანაფენული დარჩა ყანა და ხვალ უნდა ეკონოო. პურს რო ავკონით, 5-5 ნამჯასიქსანს დავაწყოფთ ერთათ. ამას ქვია დაზუთოფღებული პური: ორ ძნას დაედეფთ, მერე კიდევ ორს და ერთს თავზე დავადეფთ.

20-30 ხუთეული ერთათ დეიდგმება და ამას ქვია ჩერგილი. ჩერგილს რო ვდგამთ, თაველი ექტევა შიგნით, გარეთ არი ღერი. რო ევივანთ ზევით, ჩერგილი თანდათან წერილდება. გადავსურავთ თავს

ესევე პურის ნამჭით. ამ ნამჭს თაველები ძირს აქ თავდაღმა დაკირწყლო (ჩასული), რო წყალი არ შოუვიდეს შიდ. თუ გლახა ამიდები წადგა, ჩერგილი დიდსან შეიძლება დარჩეს ყანაში და ზევით, როგორც ლათესილი, ისე ამოვა, დაჯეილდება, გაბუეუელება.

ჩერგილეთს აწყობენ ურეშე, ზევიდან გადააკრევენ სამკიდობელს. სამკიდობელი არი გქელი ჯოხი, რომელიც წინ და უკან დამაგრებულია დაგრეხილი წყნელის ქანჩებით ან ბაწრით, ჯაპვიით.

(ლოვ. ხრეთი)

16. ლეწვა

სანამ ლეწვას დავიწყებდეთ, კალოზე მოტანილ პურს დავაჩერგილეთ — ჩერგილეთს გავაკეთეთ კალოს გარშემო კალო მრწყობილია გაშლილ ადგილზე, საცა ნიაფი იცის. კალოს მოვზონათ. გადავწმენდთ ფართო, ლინგა თოხით, მერე ცხრილზე დავასხამთ წყალს და მოვრწყამთ. 20 წუთის შემდეგ ხარეთს შოუშოფთ და მოვჯეგივით, მოტყეპნიან. მერე ისევე გადავწმენდამთ თოხით, ცოცხით გაღუეხეცამთ. თუ იქნა სოველი. ბზეს მოვასური — მოვამზევეფთ. მერე ძნების მოლაგებას დავიწყეთ ცენტრიდან, წრეობრივთ ვალაგებთ. მერე დავკრით ძნების წამჭების წყნელეთს წალდით, გაშოვაცილთ ამ წყნელეთს და ჩავწეწავთ, რომ მზემ გაიაროს, გაფიცხთეს პური. ამას ეწოდება კალოს ჩადგმა. ამის შემდეგ იწყება ლეწვა კევრით. კევრის წინა ნაწილი არი ცხვირი, რომელშიც პოლიზონტალურათ გაყრილია რიკი. მას გამოემბება კაპიანი ჯოხი — სახიბილკაცი. ის ქანჩით და ბოლო ნაწილით მიმაგრებულია უღელს.

კევრის ზედა ნაწილს, რომელზედაც მეკალოე დგას, ეწოდება ზურგი. კევრი ქვევიდან მოკაეულია, ე. ი. კაეები აქ ჩაყენილი, წინა, ფიწრო ნაწილისაკენ აქა-იქ — ნალიც, რომ უფრო გაჭრას პურის ღერო.

როცა პურის ზედამირი გაიდევება, მერე გადააბრუნებენ პურს თიწლით. გადაბრუნება ხაყნა რამდენაურაზე. 4-ჯელ მანკ დამობრუნება გადაბრუნება. მესუფეთ გადააბრუნენ ნიჩფით — უნიჩფათ. როცა პური უკვე გალენილია, ფიწალი აღარ ვარვა და ნიჩფით აბრუნებენ პურს.

ლეწვის დროს ხარები რთ არ დეიდალოს, შიგნიც ხარს გარეთ მოაქცევენ, ვარეთას — შიგნიც. ამით მოძრაობის მიმართულება იცვლება. ამას ქვია ხარის ქცევა. იტყვიან: ხარები დეიდალა. უქცოვო.

განიჩბვის შემდეგ გალენილ პურს არსებით კალოს ცენტრში შეაგროვებენ. შემდეგ ცოცხით შეხვეტავენ. ამის შემდეგ ჯერ თიწლით გა-

ნიავებენ, შემდეგ ნიხბით, რო ხორბალი ცალკე დაგროვდეს და ბზე ცალკე.

ცენტრში ყრია პურის ხვავი ბზესთან ერთად, საჭიროა მისი განიავება. ხვავის ერთ მხარეზე, საიდანაც ქარი არ ქრის, დადებენ ძელს, რო მარცვალი არ გადმოცვინდეს განიავების დროს ამ ძელს იქით. ბზე სუბუქია და მიდის უფრო შორს. ხორბალი იყრება ქვეშ. ამის შემდეგ იწყებენ ფიწლით განიავებას. როცა ფიწალი ბზეს ვეღარ ეღუფეს, ნიხფით ანიავებენ, მაგრამ მაინც რჩება გაულეწავი თავთავები, პურის ღეროს მუხლები, ჯელი. ამიტომ ამ ჯელიან პურს გაჩხაკავენ ჩხაკებზე. მოცილდება ჯელი, პური გავა ძირ და ჩხაკებზე დარჩება ჯელი. ამის შემდეგ გაცხრილავენ ცხრილში, ხვარბალი გაიწმინდება, ზევით ჰოიყრის თავს ფშუტე მარცვალი, ბზის ნაწილები. ამას ქვია ნაკული.

კალოზე მუშაობის დამთავრებას კალოობის დამთავრება ქვია. ბზეს ინახავენ საბძელში და კორმებში. კორომი წრიულათ დასობილ სარებზე მოწული ჩელტია, რომელიც დახურულია თივით ან ჩალით. საბძელი ფიცრის შენობაა, ორსართულიანი. ქვედა სართული ქვისაა და საქონლის სამწყვდევია. აქაა ბოსელითავლა, ზედაა საბძელი. საბძელი კრამიტითაა გადახურული. ხორბალს ინახავენ ბელლებში. ბელელი უფანჯრო ქვის შენობაა, რომელიც იყოფა თვალებათ. თვლებში არი თაროები — ფიტვნები. პური ბელლის თვლებში იყრება.

როცა პურის დაფქვა უნდათ, მაშინ ბელლიდან ხვარბალს გამოიტანებენ, დააგორვალდებენ წააკვარკვალდებენ გობზე: გობს დააქანებენ. დაისოლებენ ხელს, ურევენ და ზევიდან ქვევით გორვალაკვარკვალიტა ძირ ჩამოვა.

როცა პური არ ირეცხება, მაშინ წაფენთხავენ: გობზე დაყრიან და აქანებენ გობს. ჩატე მარცვალი წაფა წინ და მოაცილებენ იმას. თუ ფენთხი სუფთა არ არი, გარეცხავენ, გააფენენ, გააშრობენ, მერე ტომრეფში ყრიან და შიქთ წისკვილზე დასაფქვაათ. პურის სარწყავათ იმარება ბათფანი.

(სოფ. ხრეთი)

17. წისკვილი

აქ არი ღელის წისკვილი, მდინარე ბუჯის წისკვილი, დენის წისკვილი, კოდის წისკვილი. რამდენი ბორბალიც მუშაოფს, იმდენი დოლაბი — ანუ წისკვილის ქვა — არი და იმდენთვალთანია წისკვილიც. აქ არხი და სათავე არ კეთთება. მდინარე ბუჯიდან გამოვკვალეთ პატარა ტოტი და ტოტის ბოლოს უკეთეთ რაფს — ჯებირს — ქვებს დავდეფთ. დიდი ჯებირის გაკეთება არ ქვკირდება, რადგან მდინარე თავდაღმართში მოედინება და ალაგ-ალაგ ქვეფსაც კი ვყრით ამ წყალში, რო ბევრი

წყალი არ წამოვიდეს. წყალს ტოტს გამოუყვალავ და წამოვა, ცოტა შეკავება ჰქირდება: ან ხეს დაეასოფთ, ან ქვებს ჩავაგდეფთ. ამას ქვია რაფი. რაფიდან წყალი მიდის ლარებზე, თუ ორთვალიახია, თუ არა — ერთ ლარზე. წისქვილის ქვევით ბორბლის ფრთეფს ესხმება წყალი და ატრიალეფს ბორბალს. ბორბალს აქ ფრთები, დვას რკინის ფეხზე, ფეხი კიდეე — გახვრეტელ რკინაზე, რომელსაც ქვია კიბორჩხალი. კიბორჩხლის ნახვრეტს ქვევით არი კაეი, რომ ფეხმა ტრიალის დროს არ გაჰრას. კიბორჩხალი დვას ხეზე, რომელსაც ქვია ფაცხა, ჟაცხაში გაყრილია ასაწეველა, რომელიც წისქვილში ამოდის ჩიბას წინ ან გვერდზე. წისქვილის ნაწილებია: ხეიშირა, ლაკვარა, სარეეელა, იბბა, ლაფარა, გადასაწევი ბაწარი, გადასაგდებელი, ხერელიანი ფიცარი. ლარში იღება გადასაგდებელა.

ღელეში გავაკეთეფთ რაფს (ხეები და ქვეები ჩაყრილი) და მიმარხოულებას შეუცვლით წყალს, რომლის ნაწილი ვადმოვა კვალში საწისქვილოს ლარამდე. კვალის თავში, რაფთან, გვაქ წყლის საწრეტი: საკეტია გაკეთებული — ხე არი ვადებული ჰორიზონტალურათ. ნაპირებზე ქვებითა და ფიცრით არი ამოქოლილი, შუაში ღიაა წყლის გამოსასვლელათ და საჭიროების დროს იკეტება ოთხკუთხედი ფიცრით. როცა წისქვილი მუშაოფს, მაშინ საწრეტი ღიაა, ფიცარი აღებულია და წყალი გამოდის კვალში, წყალი საწრეტს არ ვადმოსცილდება. თუ ძან აღიდდა, შეიძლება ვადმევიდეს საწრეტზე და წვილოს წისქვილი. ზოგჯერ, როცა წისქვილის გაჩერება გვინდა, არ კმარა საწრეტის დაკეტვა. როცა დიდი წყალია, საწრეტიდან მაინც მოდის იმდენი, რო წისქვილი ააბრუნოს. მაშინ ლარში დებენ გადასაგდებელს.

რო ჩამეეღევა საფქვაევი, წისქვილი ხივა. ნედლი რო იქნება მარცვალი, ან ბევრი რო ჩამოვა, გეეცვრება, გეეგნისება ი ძირა ქვას გულში. ამაზე იტყვიან: გულში გეიკრავსო.

კოდის წისქვილს ლარი აღარ უნდა. კოდი (ხის ან ცემენტისა) დვას ბორბლის ახლოს, ქვევით, შუაში აქ ფშტვირი (რკინის მილი), საიდანაც წყალი ესხმება ბორბალს და ამუშაეფს.

მეწისქვილეს მეშინდეც ქვია. მინდს იღებდენ ფათქით, ერთ ბათმანზე იღებდენ ერთ ფათქას.

წისქვილში მივალ და დავაწყოფო, რო ვიტყვით, — ეს ნიშნავს, — ზეიშირში სიმიდი ჩაეყარე დასაფქვაათ.

გუშინ წისქვილში ჯერ პური მეწყო და მერე სიმიდი დავაწყე. ძაძა რო მიწყია და მერე მინდა სიმიდი გამოვაფქვევიო, ვიტყვით: გული გამოვაფქვევიო. ცოტა სიმიდს დავფქევე და იმას კი არ მოვიხმართ. ესაა გულის გამოფქვა.

დაფუძვლილი მოგვაქვს სასულიერო ტომრებით და ვინახავთ ბელელში. პურს აი აო ვცოით. ვტყვიანთ სამტყვიან — ძალიან წმინდა საცერში. ვწვლთ ხის გობზე, ვუშვებთ ხაშს — შენახულ დამყავებულ პურის ცომს. თუ ხაში არა გვაქვს, საფურს ჩავაგებთ: შევიწინავთ ცოტა ჭადის ცომს, სამ დღეს იქით დამყავდება. ამას ქვია დედო. დედოში ჩავეყრით გაღრილ ჭადის ქვილს, გავქნით თფილი წყლით, სქელ ფაფას გავაქეთებთ, დავდგამთ ცეცხთან. ხასვერათ უნდა ჩავაყებოთ ჭურჭელში, ანოვა და მოვწვლთ ცომს. საფურის ქოთანს არი ყურთან, ძირ-ფართო, პირველი.

საფურით მოვწილავთ, დავაყენებთ გობზე და გადავფარებთ ტილოს, რომ თფილათ იყოს. თუ ზედმეტათ გავაჩერებთ, დამყავდება ცომი. თუ დიდხანს გავაჩერებთ, თავი გადასწება და უნდა მოვაცილოთ. სანამ პურს გამოვსვლამდე, დავანთებთ თორნეში ცეცხს, ერთიანათ გასწრდება, გათეთდება. მერე ჩავხურამთ თორნეს — ე. ი. შევანოვთ სავერცხლეს საყვირით და სვეიდან ჩავხურავთ უესტით ან კრამიტის ნატეხებით. ამას ქვია თორნის გამოწვლება. პურს ქვევ ვაგუნდავებთ და ქვევ გამოვწვლამთ სუფრაზე. სუფრა იქავე გვაქვს, თორნის ახლოს, სელით ვიღებთ პურს და ვაკრავთ თორნეში. გაამსებთ და გადაახურავთ თავს ფიცრით. მალ-მალე ვხახავთ, თუ არი შემაგრებული პური, ვეი-ყვან. ძირს ჩავარდნილ პურს ქვია კუტი პური.

თორნეში დამცხვარ პურს ქვია თორნეული.

გომიჯი. მოიზილება პური ძალიან მაგრათ წყალით.

განოვსელავთ სახიერს: ხელით ვატრიალებთ ცომს, შუაში გვაქვს ცერები და იმით ვატრიალებთ, გავყავს, შუაში ურჩება ჭიპი — ამოწეული ადგილი, მერე გადავებრუნებთ და ჭიპით დავდებთ ცხელ კეცზე, სვეიდან უკუღმა პირზე დავაყრით აბღვიერებულ ნაცარს (ცხელ ნაცარს). რომ გამოცხვება, გავფენთხავთ, გავნებტკავთ ფითით და ნაპირები დოურჩება ირგვლივ გაფერადებული, კეცისაგან ცოტა დაბრაწული, რომელსაც უძახიან წარბებს. წარბებს წოუსვამთ სველ, წყლიან ხელს, რომ მობრაწული ნაპირ-წარბები უფრო დააჩეთს. ცივი გომიჯი აი საქმელია, ჩემ ქორწილზე 90 დავაცხვებთ. კლავის ძღვენს ან ლოგინის ძღვენს რომ წვეილებდით, გომიჯიცი მიქვექონდა. კლავის ძღვენი ბოვშის ნათლიისთვის მიქვექონდა: 9 გომიჯი, დედალი, ერთი დოქი ღვინო, საკაბე და სხვა. ქალი რომ მორჩება, მივალთ, ნახვავთ და მიუტანთ: 9 გომიჯს, დედალს, ერთ ბოთლ ღვინოს, ერთ კოკორს. ესაა ლოგინის ძღვენი.

კუნჩხიანი პური წყლის პურია, წყლით მოვზილავთ, გომიჯზე უფრო დაბალს, უფრო რბილს, დავაქენთ კეცზე და მოვკუნჩხავთ კუნჩხე-

ბით. თითვეს მოვხრით შუა სასოფელი და მოკუნჩხვამთ, ე. ი. შამოვ-
წყებით მოხრელი თითვეს სედაპიოთ და გაიოლამახდება პური. მო-
კუნჩხულ პურს გადავებრუნებთ კეცზე და ავაყუდებთ ცეცხზე.

შოთიპური იხილება, როგორც კუნჩხიანი, მაგრამ ცხვება სწორა,
არ მოკუნჩხამ და ცხვება თხელი.

ტაბლა საკურთხისთვინ კეთდება. პურს მოვსელთ საფუძვრით. რო
აფუნდება, გამოვხელავთ, ყველს ჩოურთავთ, შევკვცავთ და გოუკე-
თეფთ ყურეფს — ოთხკუთაედი იქნება. ხუთი ისე პური უნდა გავაკე-
ლოთ, ხშიადი — აფუნებული კეცის პური. დამატება ქათამი, მოხარ-
შული რგვალი კვერციხი, ბილი, ღვინო, კალათში ჩაეაწყოფთ, სანთელს
ოუნთეფთ ახ სტოლს გავაწყოფთ.

ბედის კვერი ასე კეთდება: ნახევარი მარლი უნდა, ნახევარი ფქვი-
ლი. პატარები ცხვება და იმ დღის უკმელი უნდა იყო. საღამოზე შე-
პამ, რო დაგესიზმოს შენი საბედო.

ობიან პურზე იტყვიან: დამკატულია პურიო, კატი მოუკიდებიო.
მაგარი, გამსმარი პური არი გალიშკინებული პური.

პურიფაფა ასე კეთდება: წყალს ავადუღეფთ, მოშუშულ პურის
ფქვილს გავკრით, ვყრით ცოტა-ცოტას ადუღებულ წყალში და
ურეფთ, რო კურკუშალა არ დარსეს, მოვადუღეფთ. ნიგვზი ზეთს გამო-
ვხთით და საინზე რო დაასხამენ ფაფას, შუა გულს მოუღრუჭავენ —
განარავენ, ე. ი. აქეთ-იქით გადაწევენ, შით ჩაასხამენ გამობთილ
ნიგვზი ზეთს, კობზით ეილებენ და ჰამენ.

(სოფ. ხრეთი)

19. სიმიდლისა და ლობიოს ჯიშები

აქ ითესება გრანიცა სიმიდი — თეთრიც და ყვითელიც, დაქი-
კნილი, ფართე მარცვალი აქ, მაღალი იზრდება; შუათეთრი სიმიდლი —
საშუალო ზომის კაკალი აქ, თეთრი, დაბალი იზრდება, გრახიცაზე ად-
რე მოდის, საადროა; ყვითელი სიმიდი აქ ადრე მოდის, წვრილმარც-
ვლიანია; ჭანგირა სიმიდი ყვითელია, შავი კიპი აქ, მარცვალი საშუა-
ლო ზომისაა. კიდე არი პატარა თეთრი სიმიდი, ადრე მოდის, მაღა-
ლი არ იზრდება. რო დავამთავრეფთ ყველა სიმიდების დათესვას, მერე
დავთესავთ ამას და შვიდკვირა ყვითელ სიმიდს.

ვთესავთ ძაძას. ძაძა არი წვრილკაკალა საადრო ძაძა, თეთრკიპიანი.
არი კიდე შავკიპიანი ძაძა და რგვალი საგვიანო ძაძა, მსხვილი კაკალი
აქ. აქ ითესება თეთრკიპიანი ძაძა.

ლობიოსაც ვთესავთ. ხოსიას ლობიო უბარდოა, მარცვალი გძელი
აქ; ფხაჭურა ლობიო წითელია ან თეთრი, პაწია ფხაჭები აქ. წითელ-
პარკა არი ბარდიანიც და უბარდოც. ბარდიანს აქ რგვალი პატარა მარ-

ცვალი. ღია კაკაოსფერი, წითელი ფხაპებით. უბარდოს უფრო გძელი მარცვალი აქ, ხარშვის ღროს დიდი იზდება და ლაბიანია. არი კიდე საშემოდგომო ლობიო, გვიან ვთესავთ, თეთრია და წითელი კიპები აქ ალაგ-ალაგ. სანაადრო უბარდო ლობიო ვარდისფერია, მოგძო მარცვალი აქ თეთრი კიპით, კიპს ირგვლივ წითელი აქ შამოვლებული. ყანის ლობიოს წითელი, წვრილი მარცვალი აქ, ბარდიანია, ფხა აქ. ქონა ლობიო კაკაოსფერია, ოდნავ მოგძო მსხვილი მარცვალი აქ, ყავისფერი ფხაპები, ფხა არა აქ. გურულ ლობიოს თეთრი, რგვალი, ოდნავ მოგძო მარცვალი აქ. თეთრკიპიანი და ბარდიანია, ჯოჯღებიან ფარჩხს უსოფთ და დაჩინჯილებულია სულ ფარჩხი, უფხოა. კუტი ლობიო წვრილმარცვლიანია, ყვითელი მარცვალი აქ თეთრი კიპით, უბარდოა, ფხა აქ. შავ ლობიოს შავი, მსხვილი, მოგძო მარცვალი აქ, თეთრი კიპით, ბარდიანია და უფხო.

ენნახში ვთესავთ წითელპარკა უბარდო ლობიოს. შვიდკვირა ლობიო მუქი წითელია, გრძელი მარცვალი აქ, უფხაპო. საშემოდგომო საგვიანო ლობიოს საშუალო ზომის მარცვალი აქ, ოდნავ მოგძო, მუქი წითელია, კაკაოსფერი ფხაპებით, ბარდიანია, წითელი ფხაპიანი ბარდები აქ და ძალიან გძელი პარკი. გურულა ლობიო არის ჭრელიც, ნახევარზე წითელია და ნახევარზე თეთრი, ბარდიანია, უფხო.

ყანაში ვბუდნით ყანის ლობიოს და წითელპარკას. ვურჩევთ ყანას, რომელზედაც რომელი ჯიში ვარგა.

ყანაში სიმიდს რო დავეთსავთ, ერთი კვირის მერე დავბუდნით ლობიოს. თუ რბილია მიწა, ფეხის ქუსლით ამევიღებთ ბუდნას: ჩავარტყამთ ქუსლს მიწაში, ჩაყვრით ლობიოს 4-5 მარცვალს და ფეხითვე გადავაყვრით მიწას.

თუ ხმელია მიწა, მაშინ ჩეკო თოხით||ჩეკიათი ამოეთოხნოთ და ჩაყვრით მარცვლებს. ლობიო გვაქ კალათში ან კალთაში. მარჯვენათი ვიღებთ, მარცხენაში დევინგროვეთ და მარჯვენათი ჩაყვრით მიწაში. კვალს მივყვებით. ნაპირზე რო გავალთ, მოვბრუნდებით და ბუდნასა და ჩვენ შუა დავტოვებთ ცარიელ მიწას ერთ მეტრამდე, თუ ლობიო ბარდიანია. თუ უბარდოა, — ნაკლებს. ბარდიან ლობიოს ყანაში არ ვბუდნით, ცალკე ვბუდნით, ან ბოსტანში ან ყანის ნაპირზე. წითელპარკა ბარდიანს სქელს არ ვთესავთ, რო სიმიდი არ დაახნოს, არ მეეხვეს, არ წააქციოს. სამ კვირაზე ამოვა, გეილოჯება, ამეიკრუნჩხება, მოკუნტული ამოდის, მერე გადაშლის დაკეცულ ორ ფოთოლს, მერე მიდის ზდაში; ჯერ გვიყეთებს ყვავილის ბურქვებს. რგველია, გეიშლება. დეიყვავილეთს, ე. ი. დაცვინდება და მერე დეინეშება პარკები, ნემსებივით ამოვა, მერე დეიხვარბლება — დეიბაზება. ხვარბალი ლობიო და ბაზე ერთი და იგივეა. დახვარბლულ ლობიოს მარცვლების ზდა

დამთავრებული აქ და გამოგულეა შეიძლება. მერე გახმება და მოვ-
ბარდამთ.

ზოჯერ ცკრიფამთ პარკეტს. ზოგან ნედლია, ზოგან ხმელია. ხმე-
ლფეს ვაცლით და ნედლს ვტოვებთ. თუ მოვბარდამთ, ე. ი. ბარდიანა
მოვბარდით, გადავკრავთ სამკიდობელს და მევიტანთ ურმით. უბარდო
თუა. წარში ჩავყრით, მევიტანი. ურმით და ეზოში დავდგამთ ჩერგი-
ლფეს. ბორჯღებიან ხეს მევიტანთ, დავასოფთ და ჩამოვკიდებთ ბარ-
დიან ლობიოს. უბარდო ლობიოსთვინ სარს ასობენ. ქვეით დოუგებენ
ფარჩს, სარის ირგვლივ, მიწამ რო არ დაალპოს ქვეშიდან, და შამო-
ვაყოლფეთ ირგვლივ ლობიოს. დავდგამთ ჩერგილს, გახმება, გამოვ-
ცეხვამთ კეტით გაწმენდილ მიწაზე, გამოვაცლით ნალობიერ პარკს
ბარდიანა. მერე რაც დარჩება ლობიო, მოვცხრილამთ, დამპალს და
ქვას გამოვაცლით ხელით, 2-3 დღე დავაფენთ ჩდილში, მზემ რო არ
დაწვას, მერე ტომრებში ცყრით და ვინახამთ ბელელში.

ნედლ ლობიოს რო გავაკეთებთ, უძახით პარკ ლობიოს. გავარ-
ჩევთ. გავრეცხავთ, ჩავყრით დულარეში და მოვხარშამთ. ეკეპავთ
თეფშიე ჩოტო ლაფარით, შეეკაზმავთ ნიგვზით, შაშყულავით, ქინძით,
ოხრაბუშით, ქონდრით, ხახვით ანდა ტალხუნით, შაშყულავით და ქინ-
ძით.

ხმელ ლობიოს ან ამოსრესილს ვაკეთებთ, ან კირკაჟათ. ამოსრე-
სილს უნდა ქონდარი, ზაფრანა, ოხრაბუში, ნიახური, ნიორი, დაფნა,
ხმელი სუნელი, ცოტა ტყემალი ან კვაწარახი.

კირკაჟ ლობიოს უშვებით ნიორს, ხახვს, ნიგოზს, ძმარს, დაფნას,
ოხრაბუშს, ქინძის კაკალს, ქინძს და ძმარს. ყველა ესე არი დანაყული.

ლობიომ ლაბი იცის. ლობიოს ლაბი რო ქონდეს, უნდა იდულოს
ნელა და მესამე წყალში მეიხარშოს. მოჯუჯგულ წყალში არ უნდა იყოს
ლობიო. ქე რო ქიანოფს ლობიო ბევრ წყალში, ისაა კაი.

სადაიაზოთ გააკეთა ელენემ ლობიოი, გაცივდა ლობიო, შეკაზმეს და
მოიტანეს. სხვა გემო ქონდა. ლობიოს ძმარსაც უზევენ და პიმპილსაც.

(სოფ. ხრეთი)

20. სიმინდი

უყეფს შევამზადებთ: სიმინდისათვინ შემოდგომაზე, ნამარიობეფს.
გაზაფხულზე, პირველი მარტიდან. თესვა იწყება. სანემლი არ ამოვა.
ვერ ვგებულოფთ, თხელი თუა. რო ამოვა და გევიგეფთ, რო თხელია,
შეიძლება ხელით გამოვებუნოთ საადრო თეთრი პატარა სიმინდი ან ყვი-
თილი შვიდკვირა სიმინდი. ჩეკო თოხით ამოეწიწქნით მიწას, ჩავთესავთ
და გადავყრით მიწას.

თესლი რო გავივებება, გეიხსნება სიმინდის კაკალი და გეიკეთეფს

ლოჯს, იტყვიან: სიმიდი გალოჯილიაო, მერე აბერიწვევება. შავთ რო აბერიწვევება, ვიტყვი: ყუოი აბეიტანაო. ორ-სამ ყუოათ რო გადიქცე-ვა სიმიდი, აქე ვასოცხუნდნით ჩეკო თოსით. შევატყაფთ, თუ სიმიდი არ აბოჯეს, თუ თაფლა დაიჩა ყაბა, მაშინ ჩეკოთი ვამეიბუდებთ. ოო დაოახსუოცხუნდნა სიმიდი, მერე პირადი გეიმარგლება. გავთოსნით ლინ-გა თობით. ერო თობით მარგლა უმარჯვოა და არ ვხმაროფთ.

გაპირადებან მერე მობოჯამ ვაპონათხარს და საქონელს შეაქმეგ. პირადი თოსნა აქა დეიწყება მისის შუადან. ივანობისთვიდან მეორე-ლებში ვადავდივართ. მეორედი თოსნა — გამოორედება დროზე უნდა. ალერდა გამოვაცლით. გამოპრილ ჩალას ნამორედები ჩალა ქვია. ამას ვბოჯაბთ და საქონელს ვაქმევთ.

სულ რო დაამთავრებს სიმიდი ამოსვლას, ამოსულ ყაბას ქვია ამო-თაფეაული. მუსს რო გეიჩენს სიმიდი, მერე ეწოდება სამორედო, მუსსაყარია ამ დროს სიმიდი. მუსლი რო დამსხვილდება, ვიტყვი: დაჯირკულია მუსლეზიო. მერე დაქეჩოვდება სიმიდი და დაუღაშთება ივანობის თვეში და კვირიკობისთვეში. შუა მარიობისთვეში უნდა დატაროვდეს. დაქეჩობა და დაულაშება ერთათ ხთება. ულაშა არ აწეილფს ისე, თუ ქეჩო არ წევიდა ზევით. ქეჩოს ქუჩუჩოსაც ეტყვიან. დაულაშება, დატარობა უნდა დამთავრდეს შუა მარიობისთვეში.

ერთ ნაჟერ ყანაში რო თეთრი თესია, მეორე ნაჟერში მის გვერდით თესია ყვითელი. აქედან ქარს გადააქ ქუჩუჩის პტვერი და იმამლება თეთრი წითელით, წითელი — თეთრით და სიმიდი გამოდის შერეული მარცვლისა.

ერთადერთი ძირი რო იყოს, თუ მის ახლოს არ იქნა სხვა სიმიდი, ეს ერთი სიმიდი სატაროვეს აბეილფეს, მარა მარცვალს არ გეიკეთფეს. დამაშვლა არ მოხთება და იბიტო.

ხშირი თუ მოგვევიდა ყანა, გავსშირაფთ—გამოეჩესაფთ შიგადაშიგ და გავათხელფთ. სიმიდი რო საულაშეთ, საქეჩოეთ წადგება; თუ სქე-ლია, გამოვსშირაფთ, თუ არა ტაროს კარქს არ გეიკეთფეს და დარჩება უშვილო — უტაროო მეტი წილი.

მარცვლის ზდა რო აქ სიმიდს მოთავებული, ვეტყვი დაბაზებულ სიმიდს. ოოცა სიმაგრეში შევა სიმიდი, იტყვიან: შეთვალეზულიაო. მერე გახმება და მოვტეხავთ. სიმიდის ტეხვა იწყება ეკენისთვიდ.ნ.

(სოფ. ხრეთი)

21. შაზის ჯიშები

ჩვენში ვარგოფს შავი ფრანგა, თეთრი ფრანგა, ჭვარისა; გაღმა ხრეთში ციცქა არი, დონდლლაბი, ცოლიკოური, ქვიშხური, ქველოუ-რი, ძველშავი და საფერე.

შავ ფრანგას საშუალო ზომის მარცვლი აქ, შავი, თხელტევნიანი, მორჩილა. შავი ღვინო დგება.

თეთრი ფრანგა მარცვლით ციცქას გავს, როგორც ყვეთელი ქარვა, ისეთი ვახტება. ტევანი თხელი აქ, სხვილი, ჰიდრო ტევანი აქ, სანუალო სიდიდისა. დგება წითელი ღვინო.

ქველოური შავია, საშუალო ზომის, ტევანი აქ ჰიდრო.

ციცქა არი დედალი და მამალი. ჩვენთან დედალი ციცქაა. მამალი ციცქას მარცვლი უფრო დიდი იზღება. დიდათ არ ვარგოფს ციცქა აქა და ბევრი აღარა გვაქ.

ქვიშხურს თეთრი მარცვლი აქ, სხვილი, ტევანი დიდი და ჰიდრო.

ცოლიკოური ერთ უბანზე არი მარტო.

ჩვენთან ბირითადი ჯიში არი ფრანგა. წროულს თეთრ ფრანგას შავი ჰორფლი გოუჩთა გლახა აერის გამო.

სრეითში ალიკარტა ვახუფო, — ქვემოურები ქვეცინებენ.

(სოფ. ხრეთი)

22. სამი ამოცანა

ერთ ზემწიფეს უთქვამს თავის ვენირებისთვის: სამ საკითხს გეტყვიყვი, თუ ვერ ახსენით, თავები დაშორდება ტანს.

— ბჰანეო, თუ ავსენით. ავსენით, თვარა კანონი ვიცით ჩვენცო.

უთხარიყე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდი რამდენი ხნის სსი-არულოა; ციდან დედამიწამდი რა სიმალღეაო და მე რამდონ ვერცხლათ ვღირვარო.

მოთხოვა ვეზირმა სამი დღის ვადაი. ვერსა ვერავინ ვერაფერი ვერ უთხრა, ხვალ უხთებათ ვადა. გადაასწორეს გზაი და მივიდენ ერთ დინარესთან, გაღმა ერთი მეჯოგეა. ხიდი არ არი. ბინდდება. ჯოგი მოუგროვებია. კითხეს, რაც უნდოდათ. უთხრაყე: რა ვიცი, როდის ვზომე მეო. უნდა ჩევიდონ წყალში. მიაძახა ერთმა: — სადოური, რამდენია სადნამდინა?

იმანაც დოუქანა: ათინიდან ათასია მკედამდინაო.

შეჩერდა. მე დოუძახე: სადოური ხარო, რამდენი ქყავს ე ჯოგოო და სანამდი შამომწვდება ე წყალიო?

იმან მამაძახა: მე ათინიდან ვარ, ასი სული მყავს და, რო გამოხვიდო, მკერდამდი შამომწვდება წყალიო.

გევიდნენ წყალში. რაშია თქვენი მოწყენილობაიო?

ზემწიფემ სამი საკითხი დაგვისვა, ხვალ დილას მოქვეჭრის თავსაო.

— მაგისთვის რავა ხართ მოწყენილიო. ასე უთხარიყე, ყველაზე

გლახა გვინდოდა გვეპოვა ჩვენ სასემწიფოში, თვარა მაგას რა ახსნა უნდაო. მოვალ და ავხსნიო.

წევიდა. საქონლის ვეებაში არი გასერილი. სამწყესო პარკი კილია. განთა ცხრა საათი. დოუძახა ვეზირეფს: რავა არის საქმეიო? მეიყვანეს გლახა.

— შენ ხსნი ჩემ ნათქვამ სიტყვეფს, შე გლახაო?

— მიბძანე, რაცახა არი. თუ ავხსენი, ავხსენი, თვარა მამქერი თავიო.

უთხრა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე რამდონი ხნის სასიარულლოაო?

— ერთი დღისო.

— რანაირათო?

— რო ამოვა მზეი, მიყევი და საღამოს, სადაც ჩავა, ჩავიყვანს იქაო.

— ციდან დედამიწამდი რა სიმაღლეაო?

ამეილო აბრეშუმის გვრიკა და უთხრა: გაზომილი მაქ, ამ სიმაღლეა. გაზომე, თვარ არი ამ სიმაღლე, დამიმტკიცე და მამქერი მერე თავიო.

— მე რამდენ ვერცხლათ ელირვარო?

— შენ ესო ქრისტე გჯობდა, ის ოცდაათ ვერცხლათ გაყიდეს და შენ უფრო ცოტა ელირებიო.

არ გამოუშვა ესი. — მე ჩემი ჯოგი მყამს, ჩემთვინ გამიშვიო. არ ქნა და ამოკუჭა თვალეზი. ისე სჯის საქმეს ე თვალეზამოკუჭული კაცი, რო უყეთესი სა იქნება. გეიგო ესე ქრისტემ და წამევიდა: ჩემზე უკეთესად რავა სჯისო? მოღის ჯორით. ხეღამს, ქალს ხფო მიყამს დასამბელათ. ის ეღავება: ხფო სად არი, ქალო, ჩემმა ჯორმა რაში მეიგოო.

ჯორი არ გააჩერა. ქალი ვერ მიეწია და საჩივლეღათ მევიდნენ თვალეზამოკუჭულ მოსამართლესთან. შეჩივლა ჯორიანმა.

— ბატონო, შორიდან გახლავარ და ჩემისანა ბედნიერი კაცი არსა არ მეგულეზობდა, ჩემა ჯორმა რაში მეიგო, გამოსულეღებული დედაკაცი მომდემს, მომე ჩემი ხფოო, გთხომ მალე გამისტუმროო.

— მატალე, კაცი, ხეზე წითელი თებზეზი მიდიანო, იმას უყურეფო.

— შე დალოცვილო, სა გაგიგონია, ხეზე წითელი თებზეზი შედიოდესო.

— აპა, შენ სად გაგიგონია, ჯორს ხფო მეეგოსო.

მაშინ დაწუმუნდა ამით ქრისტე, რო ის სწორი კაცი ყოფილა და

ამას უკან არსებობს სიტყვა მართლმსაჯელი. აუხილა თვალები და გასწია სახლისაკენა.

(სოფ. ხრეთი)

23. ბოსტანი

ქალები ქეც თოხნიან აქა, ქეც თესევენ, ლობიოს ბუდნიან, გამარ-
გლიან პურს, მოტეხევენ სიმითს, მობარდევინ ლობიოს, გამოცეხევენ
ლობიოს, გააჩევენ სიმითს, წისქვილზე დაფქვამთ, შეშასაც მევი-
ტანთ. ფხალს დავრგამთ, ბალ-ბოსტანს გავაკეთებთ, რაც არი ბოსტნე-
ულობაი. ვენახს ქალი არ მორწყამს, გაემორჩინათ ჩვენე.

აქა ღვინო მაინ-მაინც არ დგება მკავეი.

ბოსტანში ვთესამთ პრას, კლაკეს და მერე უნდა გადავრგოთ კვალე-
ბზე. სალათას შემოაყოლეფ კვალს. ბოსტანში ვთესამთ კიდე მაკიდო-
ნელს, ნიახურს, ზაფრანას, ქონდარს, შაშკვლავი არ იხმარება, ზაფრა-
ნის ყვავილი ვიცით.

კვლევს რო დოუტოვეფთ საფეხურეფ, იმა სახელი რალათ უნდა.

(სოფ. ხეშოთი)

24. მკა და ლეწვა

პურს დავთესამთ, ახლა უკვე დათესილია. აგვისტოში დავთესამთ.
მაისში გავმარგლით. მოსატეხ სიმითში გამოვთესამთ თოხით. მერე რო
შამოვა, გახმება, აგრანოი შეამოწმეფს, წავალთ და მოვმკით.

მერე ავკონით, წქენელს მოუპირებთ. ნამკლებით მოვმკით, ჩოუშ-
ვეფთ ხო ჩვენ-ჩვენ ყანაში, მერე გამოვყოფთ მაკონავს და მენაფე-
ნეფს. მენაფენე მომკილ პურს მობოქამს და მუჟუტანს მაკონავს. ის
შეკონის ნამჭებათ. მერე შევანგროვეფთ ნამჭეფს. მოვიტანთ ურემთან,
დოუწყოფთ და წამევიღებთ. მივიტანთ კალოზე და დაედგამთ ზვინათ.
შემდეგ კალოს გადავწმინდამთ, მოვხობნით თოხით — ბალახებს მოვა-
ცილეფთ, მერე გადავცოცხამთ ცოცხით და ჩოუდგამთ პურს — შევა-
ყენეფთ კეერს ზედ, ხარეფს და გავლეწამთ. ჯერ გვილეგება თაჯზე,
მერე გადავაბრუნეფთ ფიწლებით ოთხჯელ, მერე არნადით და ნიჩფე-
ბით შევანგროვეფთ. მერე შამოვცოცხამთ მარცვალს და შოუერთეფთ
იმ ბზეს, მერე დოუდეფთ ჯოხს ცალ გვერდზე; სიდანაც ქარი მოღის,
მის მეორე გვერდზე დოუდეფთ, რო ქარმა გაწმინდოს. ვილეფთ ფიწლი-
თი მალლა და ქარი წმინდამს. ფიწლით და ნიჩბით ანიავებულ პურს მერე
გავჩხაკვამთ (ჩხაკვია ცხრილი, ოღონდ უფრო მსხვილია ცხრილზედ).
მერე გადავანიავეფთ ისევ-ისევ წმინდათ ნიჩაფითი, თან ცოცხით პტყე-

რის ვაცლით. პატარა ჩინეებია — ფინესლები — ბნის უფარგისი ნა-
წილები. ამისანა წაწილეს შიანგროუებენ ერთათ და იმა უძახაან ნა-
კუდარს (სილა, ბზე). მერე მარტვალს გადავანიავეფთ და წმინდა
ცხროლში გავცხრილამთ. მერე მეშოკში ვყრით და შეინახევენ საწყოფ-
ში.

რო დაარიგებენ სათესლეთ. მიცევენ სალხსა. დააგარვალებენ მერე —
ყაფრად დევიკავეფთ გობს. გარვალა ძირს მიდის და პური რჩება
ზევით.

ნაპურალზე არ ვარგია დაფქვა სიმიდისი.

ქ. (სოფ. ხვაშითი)

25. სიმინდი

პირველათ გვეიტანთ ნაკელს. წინასწარ ვიცით აოშვა, ნიადაგის გაწ-
მენლა ბალახებისაგან. თოსით გავწმინდამთ. ნაპურვალი თუ არი, ანდა
უყრა დასამზადებელი შემოდგომაზე ავოშეთ — მოვთოსნით თოზით.

გაზაფხულზე ქვე დაეთესამთ. გვერდაეფს, რომელიც არ დეიბარგის,
თოზით დაეთოხნით, რომელიც დეიხენება, ხარით დავხნამთ. მოვთე-
სავთ სიმითს. გავთოსნით თოსით მისში — პირადი თოსნა, მერე მო-
რეთ — შორელი. გამარგვლას არ ეშმაროფთ. გამარგვლა პურას უნდა,
ხელით ვმარგლით, ამოეწმინდავთ ბალახეფს. პურისთეინ ჩეკოს არ
ვიხმართ.

თუ სიმინდი შამოსწრაფებულა ვეალეთ, წახთება, გუდაფშუქაი
უჩაფება. ტაროს რო უჩაფება შავი ფხვნილი, იმა სოკოს ეჭახიან.

ცალკე ტაროს მოვტეხამთ, მერე მოვჭრით ჩალას. ტარო ძარით მა-
მაქ. გოდრები ეეაქ ან ვიღლები. პატარა გიდეფი. მერე ვყრით ძარში.
ჯინი არ იხმარება. საცა ჩაბარებებია უურძნისი. იქ არი ჯინი. ჩვენში
არ არი. ძარით მოტანილ სიმითს დაეყრით კალოსე პათორმაში (კრამი-
ტოთ გადახურული უყედლო ადგილი. სადაც სიმიდს ყრიან). ფუჩეჩს
ცალკე ვყრით, სიმითს ცალკე. ვაი ტაროს სათესლეთ ვინახამთ და დიდ
ტაროს უძახით. იქი-აქა რო აქ კაკალი — ქაჩალასა, სულ რო არა აქ.
ხამსილას ვეძახით იმა.

გარჩეულს ვყრით სასიმიდეში (ნალიას არ ეხმარობთ ჩვენე).

სიმიდზე მტეს რალას დაწერამ. მერე დაეფშნით ხელითი, გინდა
რავეცეხამთ საცეხეში კიტით. დაშვნილ სიმითს გავცხრილამთ ცხრი-
ლით, წვეილეფთ წისკვილზე. დავარიგებთ, დავფქვამთ.

(სოფ. ხვაშითი)

26. სა არ შიხაპი

მე პატარაობიდან სხეამ წამიყვანა წარმოობაში. ვიმუშავე ორი წე-
ლწადი, მას უკან მევედი შახში და შახში ვმუშაობდი. ვხნემდი, ვთე-

სემდი... მას უკან რაღაც ომიანობა დეიწყო (წინეთ რო იყო ომი, ნიკოლოზის დროს), წამიყვანეს ჯარში და ვიყავი ოთხი წელიწადი. ქვეყნის დევიპერი გერმანიის ფრონტზე. დეინწკში ვიწექი, მერე წამიყვანეს ბაქოში. შემხეთა ტიფა. სოდა. ერთი თვე ვიწექი იქა. მერე გამომაშვეს ოტბუსკით შანში. მღეღღი. ერთი თვე შანში ვიყავი. მერე წამიყვანეს ისევ-ისევ სოროკამიში. იქიდან პოზიციასზე ვიყავით, ჩხუბი იყო. ასანგალა, ერზრუმი. გამასათუმა, ირჯიანი ევიღეთ თათრისკენ. სოდა. ეკლესიეები კი ნაგხეთ თათრისი. სა არ ვიყავი. მერე გავხთი ავთ და ასტრახანსკი კაზარამში წამამიყვანეს, მოსკომში ვიყავი 3 კვირე. თბილისში ჩამამიყვანეს. თლილისი გამიღიარე და ჯანდარმა კიბათურაში დამიქორა. სადგურში ჩამამართვა ჩვენება.

— სა მიხვალო?

— შანში მივალ. შონღები უნდა ნავსო-თქვა.

— წადიო, მე გამომე კხადე, რო ჩახვიდოო.

ჩიეღდი ჰიათურაში. ნახე ე ჯანდარმი. მარა ვერ მიცნო. ასალ ჯარს ბოქემდა და ბილეთს აღებიბდა. მივიდა, დამადეა ხელი და თქვა: ეს არი სალდათიო.

ისეი-ისეი გამაბრონეს. ჯერ ჩიეღდი ნათლუში. იქიდან სოროკამიში, იქ ვიყავით პატარა ხან, მერე სამძღვრებზე წავიყვანეს: იქიდანაც გამევიბარე. წამევიღე თოფი შანში. სულ ბზულიო დააყენე. აქ მილიციამ დამიქორა. თოფი ჩამომართვა. წამიყვანეს აქიდან ოზურგეთში. იქ ვიყავი რამოღენიმე ხან. მერე მამა მყამდა ავამტყოფი. მამა კლდარი დამიხვთა. დიდა მყადდა მარტეა შანში.

ევრობა (ერობა) იყო სესტატონში და გოუთაისუფლებიყე მე ი ერობას. ჩამვიდა კაცი და მოთხრა: გათავისუფლებული ხარ შენეო. მივედი კამანდერთან. შთაბი ქუთაისში იყო. მოვა იქიდან თავისუფლების ქალაღდი და გავზანით მერეო.

გეიარა ორმა კორემ მას უკან და მევიდა, როცა იქნა. ე ქალაღდი. წამევედი შანში. მის შემდეგ კი დამიბახეს. ხან სომეხი ჩახუბდა. ხან ვინძალა და მერე ჩაშოშინლა ე საქმე.

მარტეა ვიყავით შანში ორივეი — მე და დედა.

— ქვე მაინ მიეყვანე ვინმეიო, — მითხრა. ჩემთან იყო ჯარში ჩემი ეოლიძმაი. ქუთუთიში ერთად ვიყავით. ბიძაჩემი გადმევიდა რგანიდან. ესა და ეს ქალი უნდა ვავირიგოო. გადმოღი ჩემთანაო. წამეყვანა და მაჩინა. ნახვა და წამოყვანა ერთი იყო. მამეწონა. ხელშეზუღლად ვიყავით, სურსათი არ იყო და ტანისამოსი. სახლი არ მქონდა. შოუოიქი ხეფს, მოვსქერი ხეები, წეიყვანე კაცები და დავახერხიეყე, ჩამევიტანე და მერე დოუწყო კეთებაი. ვიშონე ოსტატი. ე გაღმა რო ქრიან.

კრამიტი მოგვერი და მივეცი ხეების დახერხვაში კრამიტი (ქურაჲ მო-
აჲო აქოური ტყეები).

მერე ძველი სახლი სხვა ადგილზე დავდგი და აქანა მევიყვანე ოს-
ჯატი და ავაშენებო. პატარა საბჭელი მქონდა, ის გავატანე, სამი კოლი
პური და 200 ლერი კრამიტი და ღორი. მის შემდეგ დევიწყე კიდე ქვა-
ში მუშაობაი. ვიმუშავე ორი წელიწადი და მერე ცუდათ შევიქენი,
ფერდები მეტყინა და თვალები. წვევდი სავამტყოფოში და გამათავი-
სუფლეს. პენცია მამცეს 105 მანათი. მქონდა 2 წელიწადი. მერე პაპი-
ხსნა იმან. ვაშაკიძის ქალი იყო, მოკვდა. იმანჲ! შემდეგ რაღაი მამიხსნა
ისი, ვმუშაოვ კოლექტივში. ახლა რაღაი ხნოვანი შევიქენი, მითხრა
კაცმა. პენციას ვიღებო. მერე კი შევასრულე შტაეი. სკოლაშიც მქონ-
და ნამუშევერი. 27 თუმანი მაქ თვეში.

(სოფ. ხაშოი)

27. ბაბუაჩემის მამაცობა

ბაბუაჩემი. მახსოვს, რო მოკვდა, იყო 120 წლის. მისი შეხედულობა
უფრო ცოტას ამბობდა. ქარებით წენში მოღუნული იყო. თვალის ზედ-
ველობა ისე ქონდა, რო კაეიან თოფს კვერცხს ახვედრებდა ნახევარ
კილომეტრში. იყო მონადირეი, კლემდა დათვს კაეიანი თოფით. მისი
გადმოცემიდან, ერთ დროს ზამთარში ჭალის პირზე რო მიდიოდა, დე-
ენახა ნათოფარი დათვი, თითვან ესროლა, მხარდამხარ მიყვებოდა, მო-
შვავდა თოვლი და წაყვა იმ შვავს და ჩოუფარდა დათვს პირში. ამ
დროს მოკიდა ყურეფში ხელი დათვს, ნაჯახი დაარტყა და მოკლა კი-
დეც.

ერთ ადგილზე სამი კაცი ჩეიგლო დათვმა ხელში. მივიდა ბაბუაჩე-
მი და ბიჭეთს უთხრა: ნუ გეშინიათო. იმდონი მეეხმარა ამ კაცეთს, იქი-
აქეთ მიწი-მოწია და დათვი დარჩა შვაში. ესროლა და ამ კაცების შვა-
ში მოკლა ე დათვი. ორი უღელი ხარები დათვის წამოსაღებათ წეიყვა-
ნეს და 1 უღელი დაკბენილი კაცებისათვის.

(სოფ. ხაშოი)

28. შაჩაღები

იყვნენ გადაჯარდნილი 2 ბიჭები, ჩვენებურები. კაი ხანი იყაჩაღეს.
დეედვნენ თავრობაი და ვერ დეიჭირეს. აქანა ბინადრობენ, ამეიჩინეს.
ბინაი, ხვედელიძის მარანში.

ღლეობაზე გამოსულიყვენ აღდომას. იმა დროს გაჩთა შპიონი: ახ-
ლა გაქთ დროი დაქირვისაო. შამეეხვიენ, გეიმსო აქოურობაი, ქუთეისიცი.
არ აკდა. შამეეხვიენ გარეშამო. ამ ბიჭეთს ვერაეინ ვერ მიეკარა.
ორმა ითავა. ცხვარი დეეკლათ, ხარშევენ, იზაკუშეებენ, გამოვლიან.

რას იხევენ და ილხენენ და მერე ქვე იქნებიან თავისთვინ. ნაცნობებო ცოფილიყვენ ი ბიკები იმათი. მივიდენ, შამოკრული ლაძფა აქ ამ კა-რამს. ე ბიკები იყვენ ტანგანთილები. მივიდენ შეიარაღებულნი. მიიძა-ხეს იმათმა: ვინ ხართო?

— ესე და ესე ვართო. იმა დროს შეიარაღდენ ისინიც. დოუმიზნეს თოფები და მოკლეს სტრაყები. გამოცვინდენ, მარა ვერაფერი ვერ დააკლეს ბიკეფს. ერთს აღმასხანი ეთქვა, მეორეს—სიმონაი. აქიღა-ნი ცეცხლი არი გაჩენილი ტყვიის, რო სვრიენ, მარა იმათ არ მოხვთე-რია ტყვიი. გადაცვინდენ დიდ ღელეში. მას უკანი ვეღარ მეიკიდეს ხელი.

გათენდა დილაი და ნახეს დაწყვეტილი ხალხი. წეიყვანეს სტრაყე-ბი. მერე დეიკირეს მატარებლები. აღმასხანი დეიკირეს და ოხრათ დოუყუეს თავ-ყმაი თოფის კონდახითი. სვიმონიამ კიდე იარსება 3 წელიწადი, ვერ მეიკიდეს კიდე ხელი. მერე გორში წევიდა და ცხოვ-რობდა იქა. ქალი შეერთო იქა.

აქ ჩვენ თავრობა გეაწუხებდა ძალიანი. აღარაფერს გეიზოგემდა, გვანადგურებდა. მიყენებდენ ცხენეფს სასიმიდეფს, რაძალას და ავ-მევედენ ჩვენ ნამუშეგარ. მერე ითავა ერთმა, პავლია ეთქვა: მე მი-გასწავლიყე იმ კაცსაო, მარა მე ვერ გამოვჩთები იმასთანაო; მიღით-და დეიკირეთაო.

წევიდა მერე ისი და წეიყვანა თავრობა აქიღანი და, სადანაც ბინა აქ, მივიდა იმ ოჯახში. თურმე ესიმონიი აზრში არ არი. შესულა თი-ვი ზეინზე და რაძალას ყრის. შამეესიენ ამ ტიტველ კაცს. პავლია არ გამოჩენილა. მას უკან დაქერილი ყამდათ. იცოდა, რო პავლიამ უქნა ე-საქმე. ციმბირში წეიყვანეს აქიღანი, მარა ქვე ჩამევიდა იქიღანი. პავ-ლიას ვერაფერი ვერ გოუყეთა. ტრაყნიკობა მიცეს პავლიას.

ი კაცმა კიდე არ მეიშალა თავისი. არ მეეშვენ კიდე. ყამდა ვინძა-ლა-ვინძაღეები. — გეასწავლე შენეო ყაჩაღობაიო. გაყოლოდა იმათ სვიმონიი, 6 წელიწადი ისე ეყაჩაღნა, რომ კაცმა ვერაფერი გოუგო-ყარამანა იყო ბუზალაძეი ხელდამცლელი, ინახემდა ისი. მერე გოუგვს იმას და ამოუჩინეს ნიქვთები. ისიც დეიკირესა და ის აფხანაკებიც დეიკირეს წნორში და დაწყვიტეს იქა. მოკვდენ იქ, ციხეში.

ასე იყო ეს საქმეი.

— ახლა იმათ მოგიყონ, მე არა ვიცი.

(სოფ. ხვაშითი).

29. ნიგოზეთი და უსახელო

ნიგოზეთში ნიგვზები ყოფილიყო ბევრი.

უსახელო ქვია მაგა. უსახელოში გზები მიყამდა ხალხს, ჩეხდენ ტყეფს. ამ დროს წამევიდა თავრობაი. ერთ კაცს ძინამს თურმე შუ-

ადღისას. ჩოხის სახელო მოკრეს ამ კაცს და წვიღეს. რო ადგა ზეზე, სახელო არ ქონდა. უსახელო დაარქვეს მერე იმ სოფელს.

ბევრია მაშინდელი. მარამ არ მასსომს. როდის დაარსთა ქვეყანაი.

მანამდე არაკს ქვე ელაპარაკობდი და ახლა რაღაი ასე დაეამტყოფთო. აღარ მასსომს.

მაშინ რო ვადღინძელებდი, აგერ იყო მომზადილი შავი კათხა, დადგემდენ წინ. ჩარეკა-ხაქვეარი ჩადიოდა, სტაქანიც ძვირათ იყო, ხის ფათქები იყო გაკეთებული. დაგისხემდენ ღვინოს, დაგალევიებდენ. ტოლბაშს თაბადა სივა ყაბდა მოოეი, რო გოდუღებდა თამადას, ის ადღინძელებდა და მიდიოდა და მიდიოდა სამსე სტაქნები და სემდენ. ღვინო იყო ნამღვილი. წყალ რო დაეასხამთ, იმა უძახით ნარწყულს. მაშინ კარ ასხემდენ წყალს.

(სოფ. წყალშავი)

30. სოფელი წყალშავი

ეს სოფელი ყოფილა თავდაპირველათ ტყით დაფარული. დინაზევდით იმ სეროდან, ვაკე მოდემს ამას. ძირსაც ყოფილა ძალიან დაბალი ადგილი. იქ ყოფილა ტბა, ამ ტბის გარშემო — ტყე. ეს ვაკე ქაობიანი ადგილი ყოფილა და ამოუტეხია წყალს. ფოთლები იყო ნაყარი, ჯიჯები. გასავალი არსა არ ქონდა წყალს, იყო დაგუბებული და თანიონი იდებოდა. მონახა მერე დაბალი ადგილი და გედევინდა. თავქვე აქ ამას ადგილი. ნიგოზეთისაქენ უფრო დაბალია. გლეხები მოსულან. იმ სერზე დგარან გლეხები. ფუძეობით უძახით იმათ ძიძიშვილევს --- ისე სამხარაძეები ქვე არიან. ძიძას გოუზღია, ობლათ დარჩენილა და იმ ფუძისას ძიძიშვილევს უძახიან.

საი გლეხიყავი ყოფილა და დასახლებულა. ერთი ძიძიშვილები არიან, მეორე იაკობიძეები, კროკი რქმევია თურმე ჯველს და მერე იმაზე ის იაკობიძეები გაშენებულან. მესამე გლეხიც ყოფილა ამ სერზე. ეს სამი გლეხი მომრავლებულან და თანიონობით ჩამოსახლებულან.

ქაოფში წყალი დამრა, გასასვლელი ნახა და გლეხებიც დასახლდენ, გაჩესეს ტყე და, შავი წყალი რო იყო ბალახის ღვინოს გამოისობით, დაარქვეს წყალშავი.

(სოფ. წყალშავი)

31. საბაჟო

ამ მხარის თავადი იყო კოსტანტინე ერისთავი. ის იყო თითონ საჩხეროდან. იმის ძველი ყოფილიყო ჩასიძებული აქა. ყმები ყოლია მიეკმული მეფისაგან. წამოსულა იჭიდან და ამოურჩევია ეს საბაჟო ამ კოსტანტინე ერისთავს. ცოლიც თავადიშვილის ქალი იყო, ნატალია, ნი-

უარაძის ქალი. სიყარაძეები აქაურლები არ არიან. ჩეხსახლა ამ საბაჟოზე. ემბო ყამდა, დიდა შიწა-წყალი ჭონდა. 500 ქვევა შარს იქნებოდა, მანდაეთოსა და ბერეთისის საზღვრამდე.

გოუჩთა მას 2 შვილი — ქალ-ვაგი. ვაგი მოუკვდა. პატარა იყო, როდესაც მოუკვდა. ის ჩარიცხა წმინდანათ და მის საეკლზე ააგო ეკლესია. ხის არი ეკლესია. ეს ეკლესია იყო საჩვენოსკენ დადგმული, აუზის თაეზე იდგა. იქვე. ეგ გადმეიტანეს 1918 წელს. ბლადოჩინი მევიდა ვიდაცა და აქურთხეს.

იმ ვაგის სიკვდილის შემდეგ დარჩა ქალიშვილი ნინიჩკა და ამილახვარს მიათხოვა, დეისიძა და 1911 წლამდე აქ ცხოვრობდა.

1911 წელში სააგარაკით წვეიდა. შეესია გლეხობა. დაანგრია აქაურობაი. მეფესთან მისულა იგი და უთქვამს, რომ — გამული მქონდა, გლეხებმა გამიფუქეს ტყეც, მინდორიც და ქთხოვთ აანაზღაურებით გლეხებს ფულადო. დაგვატყავეს სუყველა. მაშაჩემაც გაძინადა ე ფული, ძრიელ კაათ მახსომს. მას უკან აღარ დაბრუნებულა. თითქმის ცხრა სოფელი შეესია. ბევრი გლეხები გაკეთთენ. ვისაც ხელის ძალა ქონდა.

მახსომს ის, რომ საბაჟოს იმიტო უქახოდენ, რომ ბაეს ლებულობდა. ერასთავი ფესოსან კაცზეც და, ურმით რომ გამევიდოდა, იმაზეც. ბაეს ურემზე იღებდა 10 შაურს. კაცები ყამდა ღაყუნებულნი და ანთე ვინებდენ ისინი.

(სოფ. წყალშვი)

32. ჩემნი ეკლესია

ერისთავი გადმოსახლებული ყოფილიყო გორიდან.

თურმე ქვეყანა მისი ყოფილიყო — რაჭა, ქუთაისი.

ქონდა ცხოვრებაი კიათურაშიც. გოუჩთა ქალიშვილი, მერე ვაგი. შვიკვანა თფილიში სასწავლებელში. სწავლა არ ქონდა გაათავებულნი, შარაპა მისთანა არაენ არ იყო აქანა. ნვაილბატონები შეხვთა და იმან შიირთეა. აღდა მერე და თქვა: ეკლესიაი უნდა გაეაკეთო დიპიტრის სახელზედაო.

მე ავაწუნებოე ის. კოპიტატა ვაყაკი ფულს ამკებოს. ჩემთენ ქარ დათულებენებია ფული. ჳერ თავის სახლის მახლობლათ ააშენა. თქვა: მე შამიცია თქვენთენ ე ეკლესიაიო. ღედელიც მეიყვანა.

ერთი ქალიშვილი ყამდა. ამილახვარმა შეირთო. სიპე ძალიან ავი კაცი იყო. არც გალახვის ცხვენოდა, სუყველიფერში უნამუსო იყო. ორთაშენში ცხოვრობდა, საქართველოში. ხალხს დევკერია და გვაყიდვია, რაც მამული ქონდა. თავის ცოლსაც გლათ ექვეოდა, ისეთი კახეც იყო. ოთხი სოფელი იყო აქანასა, თვალში რომ ჩავარდნოდა ერისთავსა,

ხელს არ ამეისობდა. იმან ის ღლე დაგვაყენა, აღარც სიღედრი და სი-
მამრი მეიხათრა. მერე წვევიდენ ისინი. სიღეთ წვევიდენ, არ ვიცი.

იმდენათ ნასწავლი არ იყო ამილახვარი. ერთი დაბალი კაცი იყო,
მარა სუქანი. იმა ბიჭები და გოგოები ყამდა. უნა იყოს ახლა ცოცხა-
ლიო, მარა არ ვიცი, სად არი, მას უკან რა მოუვიდა.

მერე მოქვეცეს ის ეკლესიაი და გაღმევიტანეთ ეკლესიაი აქანას. ახ-
ლა ქვე დეგვენგრა.

ეფისკოფოსმა რო ნახა ეგე, გედირია — ამისანა პლანის ეკლესია
სულ არ მინახამსო. გარშემო ჟესტი ქონდა და მერე შამოაძვრეს. კარე-
ბის სწორა ეწერა მარმარილოზე, რომელ წელში ააშენეს. 60-70 წელი-
წადი იქნება.

იმ ერისთავს ქონდა სულ ხიმით შამორაგული 200 ქცევა ეზოი. ცხე-
ნის ჯოგი რო მევიდოდა, შერეკდა შიდა. ჩვენ ბოვშეფს რო დეინახთა
ცოლი, თავის ხელით ატატავებდა. ის ერისთავი რო წვევიდა, ბევრს
დაწყტა გული.

ტყე მისთანა იყო მაგ ერისთავის ხელში, რო ჩვენე შორს არ გავ-
დროდით. — წადით და მოქერით აქანასაო. ისე ნუ წახთენთ, რო იწუ-
ხთ მერეო. ხალხმა გაჩეხა. მალა უთაურები ვიყავით. ქარი სა მევიდო-
და, ამ სერებზე მისთანა ტყეები იყო. ამ ეზოში მისთახა წიფლარი მახ-
სომს, რომ თითო სახლი გამევიდოდა. ახლა ძალიან გაველაკებულა ყვე-
ლიფერი, ხი ძირი აღარ იხედება და მოსავალი არ არი, მანემდი რო მო-
დიოდა.

ამისანა წვიმა ჩემ ნახსოვრობაში არ ყოფილა. წვიმა იყო თავის
რიგზე. ლობიო წახთა და სიმიდიც ბევრს დააკლევს. ყურძენიც წახთა.
მაშინ იყო ყურძენი, ერისთავი რო აქ დეესახლა. ბაბუაჩემა ერთი ძირი
ვენახი მოქრა და მუუტანა. იმ ერთ ძირზე ნახევარი ფუთი მაინ ჩამე-
ვიდოდა. ძველშავი, საფერე, ოცხანური... ახლა აღარსა არი. შავი ყურ-
ძენი იყო. ეგე უმალ იყო. მე ერთ წელიწადს 6 საპანე მომივიდა, მარტო
ოცხანური. ნამყენი აგერ ახლა დეიწყევს, ვენახს რათ უნდოდა
წაძალი?! უნა გეგვეჩეხა ლერწი და შევიდოდით საკრეთათ. ღვინოი?
ვინ დაღემდა იმდენ ღვინოს? წყალს არ ვახსემდით კაჭაზე.

აქანა მე ბაბუაი მყამდა. ას საპანეს ასხემდა. დიდი კური ქონდა, მის-
თახა, რო 15 საპანე უნდა ჩასულიყო შიდ. ახლა რალა არი, მოგივა
2 — 3 ჩაფი! ვენახს რათ უნდოდა მორწყვია, ოლონდ გასხლემდი. რალა
გავთოხნიდით და ერთხელვე მოუშეებდით, ლერწი სამი საჯენი იქნე-
ბოდა. ხეებზე იყო, მარამა ისიც გადაწყვა. ალაგ-ალაგ კიდე არი თბილ
ადგილებზე ტარავლები.

მე ერთი ბიძა მყამდა და გემემეცალა, ცალკე წვევიდა. მამაჩემს

არ შეეძლო მუშაობაი. მე ოთხი სასიმიდე 100-კოდინაი მაინ უნდა მამსვლოდა.

— მაშინ დიდი ტაროები იყო?

— ე! ცოტას დეიმუშავებდი, ბევრი მევიდოდა, ახლა გადარეცხა ეს ადგილი წყალმა თუ ავდარმა, ქვე გაფუქტა ჩვენთინ, აპა! ამდენი ტალახი არ იყო მაშინ. ხის ნოშო ჩამევიდოდა. რო ადგემდი ბილათ ფეხს, არ იღალეობდი. წყალი სულ იყო ზაფხულზე. მოსავალი იმა მოყამდა. ახლა თუ გაავდარდა, წამოვა რეში და გედიტანს. სულ გადალექამს. ამ ბოლოს მაინ მიწებიც გაბერა წვიმამა და მიწიანა წვეიდა. აღარაფერი აღარ მოვა.

ეს ეკლესია რო აკურთხეს. მაშინ გაბრიელ ფენისკოფოსი. იყო. ხალხს უთხრა, რომეო, — აპა, შეილებო, ქართულ რჯულზე დადექითო! შამევიდა ამ სიმაღლე კაცი. რო უქადაგა ხალხს, გულის კარი გეეხსნა.

ჩვენე თავარანგელოზობა ვიცოდით. შამოდგომაზეა. სტუმარი იმდენი შევიდოდა, რო ვერ დეითვლიდი. ილხინებდა და წვეიდა. ღორს, ცხვარს, ძროხას დაეკლემდით, ვისაც შეეძლო. თერებოდენ და იყვენ არეული. ცეცხლი ბევრი იყო. ხის ნაპობები აყუდებული იყო ბუხარშიდა და გაქონდა გუგუნე. საჯალაბო სახლი რო იყო, იმა ერდო ქონდა აშენებული. ძირს ღორწამი გამართული იყო. ღორწამი ის იყო, რო სახლი რო აშენებულია, ამაზე იყო სახლი აშენებული და იქ ფაცარი იყო შეკრული მალა, კვამლი რო შეეკრა. ბუხრის თავის სისხო იყო. როგორც სახლის საძირკველი, ისე ვასკენილი იყო. ჩელტზე დაეყრიდით და შეედგემდით მალა. რაც გვინდოდა. სამი-ოთხი ღორი მაინც უნდა დეეკლა უძალო გლეხს. ღორი ერდოში ეკიდა და იყო კვამლში გამურული. ახლა უფრო კათ ეწყობა კაცი, იცვამს. იხურამს.

(სოფ. წყალშავი)

33. ჩვენი ძველი

ბერები ყოფილან აქა, ჩემო ბატონო. ბერეთისას აპიტო უძახიან. ჩვენი ძველი ვულევიდან ყოფილა. იქა ბატონი მოუქლამს, მერე გადმოცეინულან. ზმანებიათ. თქვენ კი მიხვალთ, მარამაო მე სა მტოვეფთო. წმინდა გიორგი ზმანებიათ. წასულან და მოუსვენებიათ აქა. მანემდი ყოფილა ეკლესია. მარამა ის დოუქცევიათ და ეგ გოუქეთებიათ მერე.

აქ უმაღ ბერები ყოფილან. საბერეთი ყოფილა, მარა მაშინ ხალხი კარ ყოფილა აქა. ბატონი არ ქეყოლია ჩვენე. თავისუფალი ვიყავით, საეკლესიოი იყო მამული.

საწერეთლოდან მოქქონდა ღვინოი. საჩხერის რაიონში ცოტა მო-

დიოდა? აქ ქველი ვენახი იყო. ნამყენი არ იყო. მერე ფილოქსერა გაჩა და ფესობებს თხრიდენ. მას უკან წარე ვენახი მოაჯიშეს და დაწყნეს იმაზე. ტარაველი არ იყო აქა, დაბალი ვენახი იყო.

ასლა თა მჭიშები? რაჯონიკიძის ვენახს უძახიან, ისაა, წრეულ იმან აჯობა. არ წახლა ისი.

ცოტ-ცოტარა თუ არ დავლიე ღვინოი, რა მამარჩენს მე. თითო ჩაი სტაქანს დაიღვე ზომე. მეტს არ ვსვამ. ხანე არც იმას ვსვამ ზომე.

ასი წლის გავხთი. აღარ მინდა სიცოცხლეი, არ მკლამს ღმერთი. საიქიო არ მჭერა მე. მკვტარსა არ უნდა ტირილი. ხე რო დაბერდება, რო ტუტება. ისეა კაციც. ეს თვე რო დადგა, მეასეში ვარ გადასული. მე უხნე ვარ. აბესალა ჩემზე უნცროსია.

(სოფ. ბერეთისა)

34. ზარმაცის მორჯულება

ღარბი კაცი იყო. მოუყვდა მამაი. ღარჩა ქალი და შვილი. დოუტოვა ერთ უღელი ხარი. დედამ უთხრა, — რომეო უნდა დავკლათ ე ხარო.

— მერე გაზაფხულზედაო გუთანში რალა შევაბათო?

— მე შევემბებო.

გაზაფხულდა.

— დედაჩემო, რავო ვქნა, ხარი რო არა მყამსაო?

შეება დედაი და ხნამს ე კაცი. გეიგო ხემწიფემ: ამა და ამ კაცსაო დედა უბია სარათაო. მევიდა და ნახა.

— რა ამბავია ეგეო?

— რავო ვქნა, ხარი არა მყამსაო.

— წადი ამა და ამა და ამ ადგილზე ჩემი ხარი არი, დეიჭირე და ის შეაბო.

მევიდა ე კაცი, ნახა ი ხარი. ხარი გამეეკიდა შესაჰმელათ კაცსა. ოლიე შეასწრო ხეზედა. რო წევიდა ხარი, გააკეთა ხაფანგივით კაცმა ბაწარი, დოუძახა, გადაადლო თავზე ბაწარი და დეიჭირა. მ დღე და დამეს არ აქამა არაფერი, ჩამეიყვანა ე ხარი. ახლა აღარ ერჩის ე ხარც კაცსა. შიერია.

მევიდა შახში და შეაბა ხარი, ხნამს ახლა.

გოუგია ხელმწიფესა ესე და მევიდა აქა.

— შენ რა ყოფილხარ, კაცი? — უთხრა: ჩემი სიძე უნდა იყო შენეო. ზარმაცი ქალიშვილი მყამს და შენ მოარჯულეფო.

— ამა, მე უნდა მამცე შენე კოჭლი ცხენი, კოჭლი ძალლი და ჯანგიანი ხანჯალიო.

მიკა ხენწიფემ ყოლიფერი ესე და ქალიც გამოატანა. წამევიდა

და წამეიყვანა ქალი. ჯერ ძალი ნიკლა ჩანგიანი ხმლით, მერე ცხენს გამეეკიდა და ისი მოკლა.

— გამასწარიო, — ქალს უთხრა, — თვარა შენც მოქკლამო.

ი ქალი გავარდა, შევარდა შახში და დეიმალა.

კაცმა უთარა დედას: გააკეთოს რამე — აქამო, თვარა არაფერი არ აქამო, ლუენა არ მიცე, თუ ტყუილა დაჯდესო!

ჯის ეს ქალი ტყულა. არ აკმევს ერთ დღეს, მეორეს... მოშივდა, ძან. მერე დაფაცურდა, საქმეს აკეთეს.

— ახლა ორი ლუენა მიეციო, — უთხრა ვაჟმა დედას.

ასე შეეჩვია საქმეს ხემწიფის ქალი.

მევიდა ერთხელ სტუმრათ ხემწიფე. ჩეიყო ჭიბეებში ხელი და დადის ერთი კუთხიდან მეორემდინ. ამ გოგომ უთხრა:

— მამაჩემო, ისეთი სიჭეი ქყამს შენეო, გააკეთე რამე, თვარამა არაფერს არ გაკმევსო.

მევიდა ე სიძეი. დაჯდენ ვახშმათ. ხემწიფემ უთხრა:

— საკმელი არ მერგება, არაფერი გამიკეთებიაო. ამას და ამას შუა მიედი-მოვდიოდო.

— ხოდა, მოტკეპნა არ უნდოდა ამასაო? — უთხრა სიძემ.

ხემწიფეს მეეწონა სიძეი. ჭკვიანი კაცი ჩანს, ჩემი ქალიც ქვე მოარჯულაო. გადაეცა სიძე-ქალიშვილს სუყოლიფერი და ხემწიფეთ დაჯდა ი სიძეი.

(სოფ. ბერეთისა)

35. მისაწვდენათ არი ყველიფერი

ჩვენი ძველები ბრავალდიდან არიან წამოსული. იქიდან ქვე კი გადმოსულა, აქ იციან ხეთიშობლობაი და იქ — გიორგობაი. ეკენისთვეს იყო ხეთიშობლობაი, მ ეკენისთვეს. დიდი ამბავი იყო ეკლესიაზე. ღამის თევა იციან. ბუნჯყველი არ იქნება, იმდენი ჩალბი იყო, ძალიან პურმარილიც იყო.

ქუთაისში ქვეამს ბიძაშვილები. ძმა ჯარში დამეკარქა. ჩემი რძალია სახში. ბევრი უბედურობა გვაქ გადატანილი, ქალი წახთა შრომით. მე დამეები არ მძინემდა ბოვშების ჯავრით. ერთი გოგოი ქმარმა დატოვა. შვილი ყამს. ბოვში მამას არ უქახის. თავს იკლევენ, მარა ბოვშს ვინ დაანახეფეს თვალთი. პირველი ბედი ბედიო და მორე მონავონიო. ზოგი მორე უკეთესია კიდე. კარგი ბოვში ქვეამს. ის სულ გამოწყობილია. ყოლიფერი მისთვინ გვინდა. საბურქალოები რანეირი არა აქ.

აქა ვენახი ვარგოფს. ღვინოს კაათ უნდა დაყენებაი. მამაჩემი გუდემდა ღვინოს, ტკბილი იყო.

სიცხეს ვერ ვტანულოვ. ჩემი რძალი წაყუნკრუსთა ქვევით და ამ-
ღონი საქმეი დამიტოვა. არა უჭირს, მანქანაები ყოველთვინაა. ამოვა
მანქანითი. მისაწვდენათ არი ყველიფერი.

(სოფ. ზელა პალოვანი)

36. მოჯამაგირე

გიორგი კურტანიძე იყო. თურმე მოჯამაგირეთ ყამდა ბატონს.

— წადი, ჩემო გიორგი, ვენახში გადადიო, კოპიტები გადაჩეხო.
წასულა ახლა ესე და სულ მოუპრია ძირშიდა. გედვიდა ბატონი.

— რა ქენი, გიორგი, ესეო?

— ასე არ მითხარი, გადაჩეხო? მოვეპერი ძირშიდაო. აწვალებდა
თურმე, თვარა მალა ისე არ იქნებოდა.

— ხვალეო მოდიო, დილაზე ქართში უნდა გაგზანო ძალიან ღამე-
ო.

წევიდა. არც ის უთხრა: რაზე მაგზანო, არც ის უთხრა: მი-
ვალ ახლაო.

ჩევიდა იქა. უთხრა იმ ბატონმა: რაზე გამოგაგზანენსაო?

— არაფერზეო. ასე მითხრა გუშინაო, ქართში უნდა წახვიდო ძან
ღამეიო, სხვა არაფელი უთქვიაო!

გამოიტანა დიდი ლიბი ქვაი. ეს ქონდა აქედან წასალები და წო-
ულეო. წამეილო და ისიც ემხელა ეშმაკი იყო, გადააგდო ე
ლიბი ქვაი. წამევიდა, ჩამევიდა და, რო მოუახლოვდა სახს, ეილო ერთი
ლიბი ქვა და მუუტანა.

— სა იყავიო?

— ქართში წევედიო.

— მერე რა გითხრესო?

— ეს ქვა გამამატანესო.

— კარქი, კარქი, იყოსო!

— თუ სხვა რამე გინდოდაო?

— აბა, ხვალ ძან აღრე აღეჭი და თავში დემეციო.

ადგა ე კაცი, რო ძინამს ბატონს, მევიდა, შეალო კარები, ერთი სამი
სკამი შედგა ერთი-ერთმანეთზე და დეეტაკა თავში ამ კაცს. ჩაა-
ლეწა ცხვირ-პირი.

— უჰ! ეს რა არი, კაცო? გიორგი ხარ შენეო?

ასე არ მითხარი: ხვალ ძან აღრე თავში დემეციო? დაგეცი კიდე-
ცაო!

ადგა, ეს მოჯამაგირე გაგზანა ქართში. ეს გიორგი დღესეც ცოცხა-
ლია.

(სოფ. მანდათი)

37. „გიზიას მასკვლავი“

მე ქიათურაში ვმუშაობდი რკინიგზაში. 14 წლის ვიყავი, რო დღე-წყე მუშაობაი. 15 მანეთი მქონდა თვეში. რკინიგზას ვაგებდით. აწ ზავალი ჩამოვიდოდა, ან დაზიანდებოდა. გინდა კაი ამიდი ყოფილიყო, გინდა გლახაი, ვმუშაობდით. სტალინი რო ჩამოვიდა მადა, პერსენაკს ქონდა ეს ადგილები. ი პერსენაკს ქონდა ნაყილი კაი ქვაი. ი პერსენაკ-ლან მუშაობდა. ერთათ ვქამდით. ბოლოს თავრობის წინააღმდეგ რო მოქმედობდა, ნამალევათ იყო. ბევრი ტანჯვა გეიარა. მერე ის პერსენაკი გადენეს. ერთი არი იმასთან ნამყოფი, სტეფანე ერქვა. ისი და ტარასი იყო ჭაფარიძეი, პაწია ქოხი ქონდათ და იქ ცხოვრობდენ. 5-5-მაურათ მოზიდეს კაქკაი. აფხანიკები იყვნენ.

მაგ შავ ქვაზე არი, რაც ინტერესი არი. დღესეცა მაგ ქვაზეა ინტერესი. პირველად ფრანკტუცს ქონდა მადა ზავოდი. ხალხი ეყენა იმასა. ყელის კაცი კირკაზე მუშაობდა, იმას უნდა მეექრა. ეგერ რო შალიკოა, მანა ემისი და ეფრემა აკეთებდენ დღეში მანათსა და 6 აბაზს. საათობა კარ იყო. ამ დრომდინ უნდა ემუშავა. გიგიას მასკვლავი, ხო გაგიგონია შენე, არ ამოსულა ჭერეო.

გიგია ქვის წარმოებელი იყო და მასკვლავების ამოსვლამდი ამუშავებდა მუშეფს.

რას გეიგებდი, მასკვლავი ამევიდოდა თუ თვარეი. კრუშკა იყო — ქრაქი, ელექტრონი კი არა, ზევით ვერ ევიხედემდით. კრუშკაში ზეთი იყო, ზეთს ეკიდა. ბერძნებმა კამა დოუწყეს ზეთს და მერე ზეთს ნამთი გოურიეს შიდა. ეპ, სად მაშინდელი მუშაობაი და სად ახლა! ახლა ყოლიფერი იოლია. ტერი და ავი, დანარცხებები — პენცია მოგეცემა.
(სოფ. მანდაეთი)

38. ვასილის ცხენი

ვასილმა ცხენი იყიდა, მიცა 400 მანათი, ბოსლი ხვეტა დეეზარა, კუდზე დაკიდა კალათი. დასაბანათ წეიყვანა, იქ მოკლა ცხენი ძალათი: ცხვირში ჩააბა ბაწარი, ჭირკზე დააკრა საწყალი. ცხენს როცა თავისი ეყო, კუდს აწყებია კანკალი. ვასილი მიჩერებია, ქვეშ-ქვეშ დეიწყო სიცინი: ცხენო, კუთს რო აძიგძიგეფ. ხომ არ მოგინდა სიკვდილი? როცა ცხენი გეიბერა, ძირ წამეიქცა საწყალი, ვასილი აღვირში ეცა, ცხენმა აღარ ქნა ფხარკალი. ვასილმა წამეიყვირა: მიშველე ბიჭო, შამშეო!

შამშუც ჩქარე გამეიქცა, უკან მოდემდა მიშაო.
ვასილო, რა დაგემართა?—ცხენი გავგუღე წყლითაო!
ვასილი გამწარებული ფჩხილით იჭრიდა ყელსაო.
მიშამა უთხრა ვასილსა: „ბიჭო, რათ იჭრი ყელსაო,
ბევრი ფულის პატრონი ხარ, კიდე იყიდი ცხენსაო
ემისთანას ვერ ვიყიდი, ჭკუიანსა და ბრძენსაო,
ისე დამარონიებდა, არ გამიძრემდა წენსაო“.

ახლა მიშა ეუბნევა:

ეხ, ჩემო ძმაო ვასილო, არა ვართ ცხენის ღირსია,
მეც ხო ანგრე მამივიდა ზეით, ნაქერლის პირშია.

ახლა ვასილი ეუბნევა:

აპა, მიშა, მამეხმარე, შენი დანით დაკალი.

დათას უნდა გოუგზანო ერთი დიდი ბარკალი.

აღარ მინდა უნაგერი, აღარც მისი ღვედები,

კოსტიასაც უნდა ვარგო გულ-ღვირძლი და ფეხები.

შამშუე ქვეშ-ქვეშ იცინოდა, გედეგრიხა წვერები...

წერილ ცოლ-შვილის პატრონი ვარ, მეც უნდა მარგოთ წელეები.

ქედელს კაცი გოუგზანა: აღარ მკირდება ნალები,

აწი ქვეითაც წავლიან საყოლში ჩვენი ქალები.

(სოფ. მანდაეთი)

39. ჩხუბობენ როგორც მამლები

ქალებს დემართათ ჩხუბი ჩვენ წყალზე. გამოვთქვით ლექსი ამნით-
რათ:

ჩემო ლამაზო ქვეყანა, ჩემო ლამაზო ქალაო,

აქ ღარის წყალო შემკულო, ქალების საჩხუბარაო,

თურმე დუფიამ გალახა მაქსიმეს გოგო განაო?

ერთი იმანაც უკბინა გულბოყზე, ძუძუსთანაო.

რა დემართათა ამ ქალებს,

ჩხუბობენ, როგორც მამლები,

დოულესიათ კბილები,

ფრჩხილი აქთ, როგორც ქაცვები.

* * *

ბაზარი დეიწვა საჩხერეში და მისი ლექსიცაა გამოთქმული:

ორშაფათ ღამეს დეიწვა ჩვენი საჩხერის ბაზარი,

თავში გოუჩითა და მერე ბოლომდე გაჰყვა ხანძარი.

ნონიაშვილი ტიროდა ბლუზაგახდილი, საწყალი:

გაზი და კვერი დაშეწვა და ცხენი ფოლი სათალი.
კაკულას ცოლი ტიროდა, ლამაზი და კვიწინაო:
ბევრჯელ მიმიშურებია ციხის გვერძე, ტყისთვინაო.
ნეტა ის ტყე არ დამწვოდა, სული მეწვის მისთვინაო.

(სოფ. მანდაეთი)

40. შინაშრი ფრინველები

დავაჯინე ქათამი. 3 კვირე უნდა, მერე გამოტეხავს. 3 დღეს ტეხს ქათამი. პირველად გამოჩეკილ წიწილას ქულა წიწილა ქვია. ქულა გადმოუსხმელია. სამი-ოთხი დღე საბუღარშია, მერე გადმოსხამს. ზოგჯერ წიწილი კვერცხში გამოიხჩობა.

წამეიჩიტენ ჩემი წიწილები, ახლა გახთა შესაწვავები. თუ კაათ არ მოუვლი, დანადრული — დაჩიავებული იქნება ქათმები. ყოყლა ქათამი მსუქანია, ბუნჩულა. 2 თვეში წიწილები ისე წამეიზღდება, რო სხვაეღება ვარია და ყვინჩილი. მამალმა იცის უნებურათ ყვივლი.

ყვიჩილას რო დაკოდვეენ, არი ყვერული. ფერდიდან კოდავენ.

ჩვენ ვიციტ მარეშლობა, თებერვალშია, დაურწყების კვირეში, სუჩაფათს. მამალს დაკლევენ, ხაქაპურს დააცხობენ, ესაა მარეშლობის ხაქაპური.

დაკლული მამალი ოჯახმა უნდა შექამოს. მოსულს სხვა უნდა დოუკლან. ქათმის დღესასწაულივით არი მარეშლობაი, მომრავლებისთეინ. ტიქას გაამსებდენ ღვინითა და იმ ღამეს ქურზე დატოვებდენ: მარეშილი მოხვრიპამსო.

შემოდგომაზე გამოჩეკილ წიწილეფს ნაგვიანებ წიწილეფს უძახიან, შამოყოლილი წიწილებიც ქვია.

კიტაიელი ყელტიტველა ქათამს ქვია. დიდი გრანიცის ქათამი დონდოლიები არიან. წრიპუნტელა ქათამი რო არი, იმას რაევა დავაყენეფ ჭიშიერი ქათამი დიდი გეიზდება და არი ყონჩოლია.

ჩემი ქათამი მეილია და კრინჩხამს ახლა.

ბებერი რომაა ქათამი, ფეხზე აქ ყანწები სიბერიდან. მამალს ღეზი აქ.

ინდოულს მალლა ბიმბილო აქ, ყელში — ფიფილი. ინდოულის სოკოები, ჩონჩხორივით რო აქ თავზე, ისაა. ინდოულის შვილია წუწული. ბატის ჭუკი, პაწია ქულიები რო არიენ, ისაა. იხესაც ყავს ჭუკი, იხვის ჭუკი.

ბატს შიგნი გერმაი აქ. ბატის ბუმბლს გადავფურცქნემდი, მერე გერმას ცალკე შევინახემდი, წოუსევმდი ხელს და გედხიწვნებოდა, სულ ტიტველი ხორცი დარჩებოდა. გადაფურცქნულს გაეწეწემდით და გერმაში შეურემდით ხოლმე.

(სოფ. პერევისა)

41. ჩვენი ოჯახი

მე ზაბახიძის ქალი ვარ. აქა რამდონი გვარია, ვინ მოთელის! კეკე-ნაძეზე ვარ გათხოვილი. რო დავექთები, ასე ვიტყვი: რამ მა(ო-ცხლა-თქვა. დიდი რამე უხადო ერთი უღელი ქალიშვილები ყვავილბატონებმა მამიკლა. ჩემი ნიკალა იყო უწლოი მაშინ. ჩემი ნიკალაი ქვეც მოვნათლეთ და, ერთმა კვირემ რო გეიარა, გამიხთენ ავათ. ხუთი გოგოები დავზარდე და ორი მყამს კილო.

მე მყამდა სიძე დასიძებული. ის ჩემი ქალიშვილი რაღაი მამიკეტა, მოვეგარეი ქალი სიძეს, ისი, ე ქალი. ანგრე მეუბნებოდა ყველაი: ადამიანი ყოფილხარო. მარჯვე ქალია, თვარა ავთვალი ქალი ქვე არი. ი სამი გოგოები გამოზარდა მაგან. პირველი ოჯახის გამგნე ქალი იყო. ვასილის ძან უყვარს, გამგნე ქალი რო არი. ჩემი ნიკალაც და ვასილიც ძალიან კარქი არიან. ე ემ სახლში ვასილის ძმა არი, მარა სხენაირია ისი. ექითაც ჩემი მაზლისწულებია. სამი ძმანები იყვენ ჩემი ქმარ-მაზლები, გევიყავით მერე.

მე ჩიხადან ვარ გამოთხოვილი. უმალ ჩემი ბიძაშვილი წამეიყვანეს აქ და მას უკამ მე გათხოვი. ჩვენ სოფელში სულ წერეთლები იყენენ. კაი მიღებული ვყავდით ჩვენცე. წერეთლები დაჩათ ჩამევილოდენ სოფელში. ჩიხურა ჩამოდის. საცურაოთ დადიოდენ.

აკაკის სახში ყველას ვცნობდით. ჩემი გულის ბიძაშვილიშვილი — სპირდონი გეიზარდა იმასთან.

ანა იყო აკაკის და, დიდი კაი ქალი იყო. დიდი გაქებული ქალი იყო დედაჩემი და დიდი მიღებული ყამდა. რო მივილოდით ეკლესიაზე, იმას ემუსაიფებოდა. ანა მეწამლე იყო, წამალს აკეთებდა და აძლევდა ხალხს. ძან უხდებოდათ მისი წამალი.

ნესტორ წერეთელი რო გაასვენეს, ვიყავი გოგუცას ხელი, ძალათე გამევეკიდე ქალეფს. დიდი ამბავი იყო. მახსოვს. ფურღულით მევიდენ რუსები.

რაცხანაირია ე ბოვში, საზრი აკლია, კქუას ვერ სწავლულოფს, თავის თავს ვერ დეიბანს. გვეუბნება ზოგი, რო ეშმაკეულიაო. ეშმაკეულიობისგან ვაცემული არიო. იმდენათ ავათ არ ყოფილა, რო მანგრე ეზარალებიოს. ძან აწვალის ყველას, არ დაოტდება, მინდორში ავღია, დადის ბოვშეფში.

(სოფ. ზედუბანი)

42. კაწუბა და

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ყამდათ ერთი ბიჭი. ამ ბიჭს ყამდა ახლა ბევრი ცხვრები, წადენამდა მიდორში. მერე ამ ცოლ-ქმარს დეებადა გოგოი. მეიყვანდა ხოლმე ახლა ეს ბიჭი მიდვრიდან ცხვრეფს, შეამწყე-

რევდა სამწყვრევში, რამდენჯერ გამორეკემდა ხოლმე ეს ბიჭი სამწყვრევიდან ი ცხვრეფს, იმდენი აკდებოდა თითო ცხვარი. ახლა ეს ბიჭო დეინტერესთა, რო: უნდა გევიგო ვინძახა მპარავს ამ ცხვრებსაო. წევიდა იმ ცხვრების სამწყვრევში, წეილო ერთი მუტა მარილი და ნამგალი. რამდენჯერ მეეკიდებოდა ხოლმე ძილი, იმდენჯერ შეიქრა ერთი თითო, დეიყარა მარილი ზედ, ეეწვა ახლა ამ ბიჭს ძალიანი ეს თითი. მერე კიდე მეეკიდა ძილი მორრეთ, კიდე შეიქრა მორრე თითი, დეიყარა მარილი ზედ, ეეწვა ახლა ძალიანი ამ ბიჭს ე თითი. როცა იქნა და შამევიდა მისი პაწუა დაი, ერთ ცხვარ დეებდღენა და შექამა. მოკიდა ხელი ამ ბიჭმა და მოჭრა ცალი ნეკი ამ გოგოს, რო, დედაჩემთან რო მივალ, უფრო დამიჭერეფს, რომ ნამდვილათ ჩემი დაი ქამს ამ ცხვრეფსაო. მივიდა ახლა ე გოგოი და ჩაწვა თავის საწოლში.

გათენდა დილაი და უთხრა ბიჭმა დედას: დედა, გევიგე, ვინძახს მაკლეფს ამ ცხვრეფსაო.

— ვინ იყო? — ახლა ამ დედამ უთხრა.

— ვინ იყო და ჩემი პაწუა დაი იყო.

ე დედა გედირია ახლა: ცხვრისხელა ქვე არ არი და ცხვარი რაფრათ შექამაო?

მერე ახლა ამ ბიჭმა უთხრა: ან უნდა მოვკლა ჩემი პაწუა დაი და ან უნდა წევიდო სადმეო.

ახლა ამ ქალმა უთხრა: შენ წადი სადმე და ამ პაწუა გოგოს მაინ არ მოვკლამაო.

ეს ბიჭი წევიდა ახლა ძალიან შორს. ერთ ბებერ ცოლ-ქმარ ეშვილა. ამ ცოლ-ქმარს ყამდა ბევრი ცხვრები. ახლა ეს ბიჭი წარეკამდა ხოლმე მიდორში; ეს ბიჭი ახლა რო წარეკემდა ხოლმე, ეს ბებერი კაცი არიგებდა:

— შვილო, თეთრ თაში არ წარეკო, თვარა დევი შექქამსაო.

ახლა ამ ბიჭმა უთხრა: ნუ გეშინია, მამაჩემო, შენეო!

ახლა ამ ბიჭმა წარეკა ცხვრები თეთრ თაში. გევიგო ამ დევმა, მევიდა ე დევი ბიჭის მოსაკლავათ. უთხრა ამ ბიჭს დევმა:

— შენ რა გინდა აქ, ჩემი შიშით ძირ ბუნჭველი ვერ დადის და მალლა ფრინველიო.

ბიჭმა უთხრა: მოდი აქა და გაგაგებინეფ, რაცხა მინდაო.

ეს დევი მევიდა და დეიკიდენ. ხან დევი არი ძირსა და ხან ბიჭი: როცა იქნა, მეერია ბიჭი. მოჭრა თავი. ამ ბიჭს ქონდა სალამური, შევიდა ხეზე, დოუკრა სალამური. რამდენიც ბიჭს ყამდა ცხვრები, იმდენი დევს ყოლებოდა. მერე ახლა იმ ბიჭმა დოუკრა სალამური. სალამურის ხმა რო გევიგონეს ამ დევის ცხვრებმა, მევიდენ ცხვრები. დალამდა: წეიყენა ამ ბიჭმა ცხვრები სახში, მორეკა სახში. ამ მამას დოუძახა

ახლა ბიკმა: გამოდრი, მამაჩემო, დათვალე ცხვრებო. ეს კაცი ჩადგა ბოსლი კარებში. თვალით ვერ ხედამს და თავზე უსვამს ხელს. ეს ბრმა კაცი იძახის: ბევრი მომატებია, შეილოო!

გათენდა დილაი. ახლა ამ კაცმა დაარიგა ე ბიკი. შავ თაში ნულა წეიყვან, შეილო, თვარა ცხრათავიანი დევი არი იქა, იმას აქ ჩემი თვალეზი, იმან ამომკუჭა და შენც შექქამსო.

ბიკმა უთხრა: ნუ გეშინია, მამაჩემო!

ბიკმა არ დეიჯურა. წარეკა ცხვრები შავ თაზე. დევმა გეიგო. დევი მა რო გეიგო, მევიდა და უთხრა ბიკს: შენე რა გინდა აქაო, ჩემი შიშით ძირ ბუნჯველი არ დადისაო და მალლა ფრინველიო.

ბიკმა უთხრა: მოდი აქ და გაგაგებოფ, რაძახა მინდაო.

დევი მევიდა. დევეტიდენ დევი და ბიკი. ახლა ხან დევი არი ძირ და ხან ბიკი. როცა იქნა, მეერია ბიკი, მოკრა რვა თავი, დოუტოვა ერთი თავი და უთხრა: მამაჩემის თვალი თუ შენ გაქაო, მითხარი და აღარ მოქკლამაო.

დევმა უთხრა: ნუ მამკლამ და მე მაქო.

— სად გაქ, მასწავლეო, — უთხრა ამ ბიკმა დევს.

მიასწავლა: ჩემ ბუჯერში არი მამაშენის თვალეზიო.

მერე ახლა ე ბიკი წევიდა, იმ დევს მოკრა თავი, წამეილო ი თვალეზი, წამორეკა ცხვრები სადამოზე, მორეკა სახში, ჩოუჯინა მამას თვალეზი, გეხილა თვალეზი ამ კაცს. — წამოდი, მამაჩემო, და დათვალე ცხვრებო.

მევიდა ე კაცი, ბოსლი წინ ჩადგა, დეიწყო თვლაი. ამ კაცს უკვირს. ახლა ამევიდენ სახში ე ბებერი კაცი და ბიკი. ბიკმა უთხრა მამას:

— მამაჩემო, მოდი წავალ, ჩემ დედ-მამას ნახხამაო.

ახლა ამ კაცმა არ დოუშალა: წადი, შეილო!

ამ კაცმა ჩააჯინა პურები. ცხრა პური, ერთი ფუთი ღვინოი, ორი ცხვარი დოუკლა, მოუკაზმა ცხენი და გოუშვა. შეჯდა ე ბიკი ამ ცხენზე და წეიყვანა.

დიდი იარა თუ პატარა, მიუახლოვდა სოფელს. ამ სოფელში არსა ადამიანის ხმა არ ისმის. ეს ბიკი ძალიან გაკვირდა: ნეტა, რაშია საქმეო? ჩამოხტა ბიკი ცხენიდან, შევიდა ერთ სახში, შეიხედა ლოგინქვეშ. არის მარტვა თავეზი. ბიკი შეშინდა ძალიანი. ნამდვილათ ჩემი და იზამდა ამ საქმესაო. ახლა ე ბიკი წევიდა თავის სახში, დახეთა მარტო დაი. ამ დამ გამოხედა გარეთ და უთხრა: საიდან მოხვედიო?

— ჩემი დედ-მამა სად არიო? — ამ ბიკმა უთხრა.

მოჩანს ლოგინქვეშიდანი მარტვა თავეზი, ახლა ამ ბიკმა უთხრა: მშივა, დაიაო.

ახლა ამ გოგომ გამეიხედა გარეთ. იმ ბიკმა რო მეიყვანა ცხენი,

იმას ააცალა უკანა ბარკალი და შექამა. მერე სახში შევიდა ი გოგოი და უთხრა:

— ბიჭო, შენ სამფეხი მეიყვანე ცხენი თუ ოთხფეხიო?

— კიე, სამფეხიო.

მერე შევიდენ ისეე სახში და უთხრა: ესიო, სამფეხი მეიყვანე თუ ორფეხით? — ორფეხი მეიყვანეო.

მერე შევიდენ ისეე სახში და უთხრა: ესიო, სამფეხი მეიყვანე თუ ცალფეხიო? — ცალფეხიო.

მერე კიდევ კითხა: უფეხიო მეიყვანეო? — კიეო, უთხრა.

მერე შექამა სულე ისი. დატოვა ახლა ე ბიჭი სახში. ამ ბიჭისას ამბოფს: დღეს შევეკამო, ხვალ რა ექნა? ახლა რა ქნას ამ ბიჭმა, ველარსა ველარ ემალემა, ახლა ამ ბიჭს შივა, უთხრა: დაია, მშივა, საქმელი მაკამეო.

წვეიდა ე გოგო წისქვილში, წვილო საფქვაავი. ე ბიჭი ადგა და გეხა-და ჩექმები, ჩამოკიდა ბუხარში, საქვაბე რო არი, გაამსო ე ჩექმები ნაცრითი. ე ბიჭი აფრინდა ბუხარში და წვეიდა. მერე მიდორში დეინახა ამ ბიჭმა ერთი ცხენი, შეჯდა და წეიყვანა.

მევიდა ახლა ე გოგოი წისქვილიდან, მიხენდ-მოიხენდა, აღარსა დახეთა ე ძმაი. ახლა რო მევიდა წისქვილიდან, უნდა შექამოს. მერე შეიხენდა ბუხარში და, ჩექმები რო დეინახა, ეგონა ახლა მიფრინამსო, აკრა ხელი და ჩეყარა ნაცარი, ეემსო ნაცრითი თვალეზი. მერე ჩევიდა ი გოგო ძირ, ამეისრისა თვალეზი და ღორი ყამდა ამ გოგოს, შეჯდა და წევიდა. ჰა, თუ მიეწიოს. ეს ბიჭი შევიდა ხეზე. ცხენი ძირ დატოვა. ამ გოგომ შექამა ე ცხენი, ე ღორი მიყენა ამ ხეს.

მერე ისი, სახში ქონდა დატოვებული ერთი ლამბაქი რძეი. ამ მამისტეინ ქონდა დაბარებული: თუ სისხლათ იქცეს ე რძეი, ქოფაქი ძაღლები ყამდა, მაშინ ოუშვი ე ძაღლებიო.

იქცა ე რძეი სისხლათ. უჭირს ამ ბიჭსა და კინალამ ვარდება. საცა არი, მოჭრა ამ ღორმა ხე კბილითი. ახლა ამ კაცმა დეინახა: ლამბაქზე რძე იყო სისხლათ ნაქცევი. გამოუშვა ამ კაცმა ძაღლები, მევიდენ. ი ბიჭმა დოუძახა ძაღლიდან: ორი გოგოს და ერთი ღორსაო. ისე შექამეთ მაგ გოგოი, რო ერთი წვეთი სისხლი არ დავარდეს ძირსაო.

ერთი წვეთი სისხლი დავარდა ნაფოტზე. ჩამევიდა ახლა ე ბიჭი ძირს, წინ-წინ მიდიან ძაღლები. ახლა ნაფოტზე რო დეეცა სისხლი. მოდემს სისხლიანი ნაფოტი ფრითინითი, თან უძახის: წამიყვანე და ბედ გწემაო. ორჯელ-სამჯელ დოუძახა და მერე თქვა ი ბიჭმა: რა ბედი უნდა მწიოსაო, ეს რო წევილო, ან რას დამაკლფესაო. ეილო და ჩეიდევა ჰიბეში. მერე წამეილო ახლა ი ბიჭმა ე ნაფოტი. ამ ნაფოტმა, სანამ სახში მევიდოდეს, სისხლი იმისანა შხამიანი ქონდა ი გოგოს, რო ცალი ბარ-

კალი სულ გამოკვამა. რო მევიდა ი ბიკი სახში, ამ კაცმა უთხრა: შვი-
ლო. ქაღლები რო ნავალს გავლიანაო, ის წეისვი და მოგიხთებაო. მაღა
ამ ბიკმა წეისვა და მოუხთა.

(სოფ. ზედუბანი)

43. ლობინის ჩივილი

ფარდაჟმა თქვა: ძირ ვაგლივარ, გვერდი ძვლები აღარ მჩება,
იმას ლებმა უპასუხა: შენ ტრაბახი არ გიხთება.
ზეით ტირთვი დამაწვება, ფერდი ფერდზე მეწეება.
ზალიშმაკ ხმა ამეილო: მიკვირს, ძმებო, თქვენი ქება,
ქალერსი და გადაკოცნა ჩემოდენი ვისა ზედება?!
მურთაქამ თქვა: კარის კარზე სუყველას მე უქვირდები,
ცალი გვერდი სოთფოში მაქ, მეორეზე კი ვცივდები.
საბანმაც ხმა ამეილო: თქვენ ტრაბახი არ გიხთებათ,
ყოველ საქმეს ჩუმათ ვმალამ, რაც ნამუსი მომბარდება.

(სოფ. ზედუბანი)

44. საღლიბრძილო

ღმერთმა ადლინძელოს სახლი და სახლის კერია,
აკოშკაი და ოთახი, შენობაი და ოჯახი;
სტოლი და მარილი, პური და მწვანილი,
სტაქნები და ჯიხვები, ბატები და იხვები,
ნამგალი და ცელი, გამარჯვება ჩვენი!

(სოფ. ზედუბანი)

• • •

შტილში ვკვიარ და ვქეიფოფ,
ჩოხა მაცვია ძველი,
ღმერთმა ყველა ადლინძელოს —
სტუმარი და მასინძელი!

(სოფ. ზედუბანი)

45. ზეცას ვიყავ

ზეცას ვიყავ, ზეცა ნავხე, იქ მასკვლავეფს დავენახე,
მასკვლამ კაცი მეეგზანა: თუ აქ იყავ, რათ არ მნახე?
არ მეცალა, შენსა მადლსა! სიძის ქუდსა ვკერემდი,
ქვეშ უგებდი რკენის ტყავსა, ზე ვავლებდი ოქროკედსა.
ბურსოულ გამოგიგზავნი, ოქრომკედით მოქარგულსა,
შიდ გევახებე ჩემსა გულსა, შენგან დამწვარ-დადაგულსა!

(სოფ. ზედუბანი)

46. ამინდი შეიცვლება

ქართველ მეუღეს ეწვია საზღვარგარეთიდან მეცნიერები. უნდათ გააკვირონ ხალხი და იმათგან სწავლობდნენ. ცხოვრობდნენ ამ მეფესთან რამოდენიმე კვირები.

ერთ საღამოზე ეირია ამიდი. გეიხედა მეფის მოსამსახურემ და დინახა: ერთ ღორს მოუბოკია ჩალის ფოთლები, ნოშოები, მიაქ ბინაში. მოსამსახურემ თქვა: — ამაღამ და ხვალ და მერეც გლახა ამიდები იქნებაო.

მეცნიერებმა კითხეს: საიდან იცი შენეო? ჩვენ მეცნიერები ვართ და ვერ ვატყოფთო.

— არა, ბატონო, — მოსამსახურემ უთხრა, — ჩვენ ღორს ხო ხედამთ, რამდენი ძიძვი მიაქ სითფოს გულისთვინ და დაწობა თფილათაო.

ახლა მეცნიერებმა უთხრეს ერთმანეთს: რა მეცნიერები ვყოფილვართ, ჩვენ ვერაფერი გვეიგეთ. აქანა ღორებიც კი მეცნიერი ყოფილა და მეტი ცოდნიათო. მოდი. გვეკპართ აქედანაო და გვიპარენ.

(სოფ. ზედუბანა):

47. გიორგი სააკაძე

გიორგი სააკაძე ლუარსამ ნეფის მოურავი იყო. თათრისაგან გაათავისუფლა საქართველო იმან. მერე თავათ იბუნტეს იქ იმ თავადაზნოურობამ: რო აზნოურია გიორგი სააკაძეიო და მეფე ყველაზე მეტ პატივს იმასა ცემსო.

ი გიორგის დაი — მაკრინე კაი რამე იყო და ნეფემ შეირთო. გიორგი სააკაძემ ერთი კაი ლხინი გედინადა და მეიპატიჟა ყველა.

მეფე ჩქოლა იყო, ჩემო ბატონო, და ქალიც ჩქოლა იყო. რო გედეიურიდა ნაწნავეფს, ნეფე თვალეფს მიაშტერებდა. იქვე გახთა ავათ ნეფეი, ე ქალი რო დეინახა.

ასე იყო თუ ისე, არ მეეშვა ნეფეი ამ ქალსა. დედამაც ურჩია: უკეთეს ქალს შეგერთამო, მარა არ ქნა.

— რას მეუბნები, რასაო? თუ მაკრინე არ იქნება, ვერ ეღირსები ჩაღლსაო.

შეირთო. დედოფალი აზნოურის ქალია და თავადები რავა ეკადრება ქვეშერდომათაო! აბუნტდნენ, ეიყოლიეს ნეფეიც. ჩამოართვეს ფიცი, რო უნდა მეეკლას გიორგი სააკაძე.

გიორგი სააკაძე წამოსულია სოფელში საქმეების გაძო. მიდის ნეფესთან. კრწანისში დააღამდა და თქვა:

ამაღამ ჩემ იქ მოსვლასა და იმათი ძილის კვლასა,
ხვალვე დილას ვინახულეფ, რა მზე იწყეფს ამოსვლასა.

გადუხვია და კრწანისში სასახლე აქ ნეფეს, იქ უნდა გაათიოს ლამე. სწორეთ იმ ლამეს შეიყარა ჯარი, უნდა მოკლან გიორგი. 100 თუმანი ჯილდოთ დოუნისმნეს, ვინც მოკლამდა. თუ გლეხი არი, ვააზნაურეფ. აზნაურსა ვათავადეფო!—მეფემ ბძანა.

ამ დროს იქ ერთი ბააკა ხერხაულიძე იყო, გიორგი სააკაძის ძმობილი. მივარდა ჩუმათ, შევარდა გიორგისთან. გიორგი გახთილი წემს. იარალი კედელზეა.

— რა ამბავიაო? — დეიძახა.

ნეფის ნებართვით მოდიან შენ მოსაკლავათ ჯარები, ეცადე. თავსა უშველი, თუ სადმე გეიპარები.

წამოვარდა გიორგი და ბახში ტიტველი ჩავარდა, იქ ცხენი ება, საცვლებისამარა შეჯდა და გეიქცა.

გათენდა. მიატანეს ჯარებმა იქამდი. ერთი ბოროტი თავადი იყო შადიმანი, ყველაზე მეტად იმას ძულდა გიორგი, მიაწვა კარეფს — ლიაა. გიორგი წასულია იქიდან. ამათმა გაჩხრიკეს ყველიფერი, ვერ ნახეს.

პაპუნა ჩივამე იყო ერთი, გიორგის ძმობილი, გამოუდგა გიორგის; თავისი იარალი წამოუღო, გიორგი პერანგისამარა ჯის და მიდის. დეეფია, იარალი მიუტანა.

ცხეთაში სიმამრი იყო გიორგისი, ნუგზარი. გიორგიმ უთხრა: ასეა ჩემი საქმე და ცოლ-შვილი უნდა წეიყვანოო. არ უხდა ქართველის სისხლი დეიღვაროს, თვარა კვერ აჯობებენ სუყველაი.

წევიდა მერე და თათრის ხენწიფეს მიუვიდა დროებით. იმან მოთხოვა პირობაი, რო — მე თუ მამეხმარებო, აქანა გექნება ყველიფერიო. გიორგიმ უთხრა:

ქართლს საომრათ ვერ წაქყვები,
ხორცზე ტყავი რო გამხადო,
თუ სხვა მტერი შამოგებმის,
ბრავალს სული ამოვხადო!

შამოაგერა სხვა მტრები თათარს, ახლა თათრის მეფე დააჯინდა: — კახეთში წევიდეთაო. მაინცდამაინც წამოდიო. არ უნდოდა გიორგის, ძალით წამეიყვანა. შვილი ყამდა პაატა და ის დაატოვებია ძეველათ.

გიორგიმ ქართლს მაინც არ უმაგიორა. მოუტრიალდა თათარს და ისინი აბდღვნა. თათრების მეფემ მის შვილს თავი მოჭრა და გამოგზავნა ე პაატას თავი იქიდან.

(სოფ. ზედუბანი)

რაზმელეფში ცინცაძემ ჩამწერა. ყმაწვილი ვიყავი 18 წლის. მუშა ვიყავი. ძველ თავრობას ვებძოდით, ზმირათ გვეძებდეს და ვიძალეობოდით.

აფრასიონ მერკვილაძე იყო ჩვენი უმფროსი. რაც არ უნდა გერჩია, შენ სიტყვაზე არ წვედილოდა აფრასიონი. რა კაცი იყავი შენე, ლაპარაკიდან გამეიტანდა ისი. კარკი იყო, გაბედული კაცი, მარა რო გეთქვა სკამზე, — სკამი არიო, არ დაგიჯერებდა, თუ დაასწრებდი. — მე მიყურეთო, წინ მე წავალ და მოსყევით თქვენეო!

ტყიბულის გადმომლა მიდორია ერთი, მუხურს ეძახიან. ნაეკლესიეზი არი და იქა კრება აქ აფრასიონს. ქვე ვახლავართ ერთი თორმეტი რაზმელი. ჩამოგვისწრეს კაზაკებმა. აფრასიონი უცეფ შეხტა ეკლესიის აკოშკაზე და გადახტა შიგნი. ჩვენ დაგვიძახა: უშველეთ თავსაო! ტყიბულის პრისტავი და ორი კაზაკი ქვე მოკლა მაშინ და თითონ გეიქა. არაფრის არ ეშინოდა.

1906-ში, როცა იმათმა მეიდგეს ფეხი, ი დიდები, ვინც იყო წვეილენ, გედეფარენ თვალს, მაგან არ მეიცვალა ფეხი, აქ იტრიალა.

წაგვიყვანა ერთხელ ზესტაფონში. იქ სალდათები იდგენ სადგურში, იარალი უნდა ეგვეყარა. ისინი ბევრი იყენენ და ვერ შევებდეთ. მაშინ ბალშევიკები და მენშევიკები ცალკე იყვენ. ჩვეით და მოვბრუნდით ისევე-ისევე. ზესტაფონსა და შორაპან შუა მამოქვხთენ მენშევიკეზი. სხვერპლი არ ყოფილა, ისე აყარეთ იარალი. მერე დეიჯინა აფრასიონმა: — უნდა წვეილოთ ჩხარში, იქ პრისტავია, სტრაჟნიკები ყამს და იარალი უნდა ავყაროთო. სხილათია სოფელი, იქ იყო იუსტინე ჩაფიძე, გავგზავნეთ ისი წინ, თუ რაფერ დგომარეობაშია ისინი. შეიტყო ამბავი იმან, რო ხალხი ბევრი არიან, მარა იმ დროს მივიდეთ, დილას წყალზე რო წეიყვანებენ ცხენფესო. ეკლესია არი იქა და დევიმალეთ რაგვში. რო წვეილენ, შეგვატყობიეს და, სანამ ისინი შევიდოდენ, ავყარეთ იარალი, შევეით ოთახში და სუყველიფერი გამევიტანეთ, წამევეით, მევეით აქა. ამ სალდათების იარალის აყრაზე გამოუძახეს კაზაკეფს.

გავამარგეთ წელთოს და საძალიხევის ღელეები. ჯარის გამოსვლა არ შეიძლებოდა. კდის თავებზე ვართ ჩვენე. იმათმა ძირ უნდა გამეიაროს. მარა იმათაც გოუჩითა ვილაცა (გლახამ აღაპი ქნა და ისევე თითვან შექამაო). იქიდან როდი მევიდენ, სიდანაც ველოდით. აქედან მევიდენ, ულევზე, და დაქვფანტეს ჩვენე.

სხვებიც იყვენ რაზმელები — გაჩეჩილაძე და ღუგლაძე, მერკვილაძესთან ერთად იყვენ. მათთან იყო ერთი დარისპან ცუტკირიძეც. იმ ღამეს წამოთოვა ცოტა. მახარაძე იყო პრისტავი. იმას ყამდა არჩეული ბიჭები და მაგათ დადემდენ. წამოსულა მახარაძე ბიჭებით და მი-

სულა დარისპანთან. სამი დარისპან ცუცქირიძე იყო და ვერ გოუგიათ, რომელთან იყვენ და ცარიელ დარისპანთან მივიდენ, სადაც არ იყვენ ესენი. გაჩეჩილაძე, დუგლაძე. და მერკვილაძე ქვე წასულიყვენ იმ დამეს. ოლონდ ერთი დეიჭირეს იქ, ცუცქირიძეი. თავის იარაღიანა დეიჭირეს ისი.

აფრასიონისთვინ ეთქვათ: ცუცქირიძეი დეიჭირესო. აფრასიონმა თქვა: უნდა დავატოვებოთო!

მევიდენ იქინა, პატარა სერია. აქ ერთი ურიადნიკი იყო, ბიწაქი, იმან გზები კაათ იცოდა. მოუახლოვდენ მაგათ, სროლეს ერმანეთს. მიდემდენ. გევიდენ, მეორე სერია, იქანა. გაჩეჩილაძისთვინ მოუტენიათ ფენი. ჩასულან ი ლელი პირში, საქალიხევეში. თოვლიპირი იყო. რო უხოვს თურმე დუგლაძე ფენს, მოკლეს ორივეი. აფრასიონმა მოსაფარებელი ნახა და იქ ჩაჭდა. იმნაირი გვერდიდან მეეპარენ, რო მოკლეს ისიც. დატოვეს იქანა და ერთი ძველი ნაეკლესიარია ცხრუკეთში, დასაფლავეს იქა, მარა მეიპარეს მერე და წვიდეს თავის სოფელში. საქარიდან იყო. მას უკან რა გააკეთეს, არ ვიცი. მერე თქვეს: დებმა მეიპარეს და წვიყვანესო.

ღედელს დააბრალეს აფრასიონის გაცემაი. მოსულან აფრასიონის დები, კაცის ტანისამოსი ჩოუცვამთ და წითელი აპელიტები დოუკერიათ, უთქვამთ: ქე რო მერკვილაძე მოკლეს აქა თქვენი წყალობითაო, თქვენე ჭილდოზე ხართ დაბარებული ჭიათურაში, ვეზდინაჩალინიკი მოდისო. თქვენ და ბესარიონი უნდა წამოხვიდეთო. ურიადნიკის ძმას ერქვა ბესარიონი. ე ძმა მეეხმარა თურმე კვლელობაზე ურიადნიკს. წვიყვანეს ღედელი და ისი და მოკლეს ისინიც იქა, საცა აფრასიონი მოკლეს. მერე გამევიდა ხმაი, მანამდი საინდულობა იყო.

(სოფ. სვერი)

49. ნათათრ საქართველოში

1914 წლის ომში ვიყავი. ჯერ სავალდებულო სამსახური გავათავე კიევში, მარტში მევედი. იენისში ქვე წაგვიყვანეს კიდე, გერმანიის ომში ვიყავი, დეიჭიკერი და წამევედი. მერე გამაგზანეს თათარში. მ წელიწადი ვიყავი იქა. სად უნდა წახვიდე მად, ნათათრ საქართველოში, რო თამარის გაკეთებული ციხეები არ ნახო. რა არ ნახებ, ვინ იტის. ჩახვალ ჯერ პირველში ტიპრიციის უძახიან, ასანკალას აქეთ არი, მისავალში, ხიდი გოუკეთებია თამარ მეფეს ისეთი, რო სამი დღე ურტყეს ზარბაზანი, მარა ტკოჩი ვერ შეატენეს. ასანკალაში გოუკეთებია ციხე. აზრუმი სულ თლილი ქვის ზაბორით შამოურაგვამს. წყალზე თალი გოუკეთებია, სუყველას აწერია: „თამარი“. იმდენი ევიდეთ ი თათა-

რი, რო სულ ცოტა რჩებოდა კიდევ. თათარს დევირჩენდით, მარა ჩვენ აქეთ წამევედით, აქეთ წამოგვიყვანეს. პაწია პოეზღი დადის. არც ომი, არც სხვა საქმე არ ეჩქარებოდა ი რუს ზემწიფეს.

(სოფ. სვერი)

50. ხემწიფის უვილი

რასაკვირველია, სახემწიფოს ხემწიფე ეყოლება. ხემწიფეს ყამდა ერთი კარკი უვილი. მერმეთ ამ სახემწიფოში ერთი გავარდნილი ყაჩაღია. ამის გამძლე არ არის არავინ ვერაფერმა კაცმა მისი დაჭერა ვერ შეძლო, დეიხმარა მორე სახემწიფო და დეიჭირეს. ოუშენა ციხე, რკინის კარები დაკიდა და არი ციხეში ე კაცი. რალაი დეიჭირეს და შეეწიათ ღმერთი, ეშინიათ, რო არ გეეპაროთ.

ამ დროს ხემწიფის ბოვში სკოლაში დადის, კოქს თამაშოფს და გზახე მიდის, კოქი არ დადგა მის ქკუაზე. ციხის წინ რო მივიდა, ორივე კოქები ფეხზე დადგენ. ამ დროს იმ პატარა სარკმელში უყურეფს ბიჭს ე კაცი—ყაჩაღი, დოუძახა: გამიშვი აქიდანაო და ბელსა ქწემაო.

— მე რა შემიძლიაო?—კითხა ბიჭმა.

— შენ შეგიძლიაო. ამის გასაღები მამაშენს აქ ჭიბეშიდაო, მონარე და გამიღე კარებიო. სითკენ უნდა გადაწიო, მე გასწავლიო.

მალა მეიპარა ბიჭმა გასაღები, გადაწია, როგორც ი კაცმა ასწავლა. და გააღო კარები. გამოვარდა ყაჩაღი და წევიდა. ბოვში დარჩა ცარიელი. საღამოს გეიგო ეს ამბავი ხემწიფემ. ხემწიფე გაჯავრდა. უნდა დასვრიტოს თავისი ცოლი: ალბათ, ცოლმა ამეიღო გასაღებიო. ან ყვარობდა ი ყაჩაღს, ან რავარჩახა იყოო. ტირის ქალი: არა ვარ ამის მქნელიო. ბოვშამაც დეიწყო ტირილი: ემის ბრალი არ არისო.

— აპა ვინ გოუშეაო? — კითხა ხემწიფემ.

— იმასაც მოკლამო?

— იმასაც მოვკლამ. გინ ეს მამიკლავს, გინ ისიო.

მოუყვა ბიჭმა: კოქის თამაშის დროს დამიწყო ლაპარაკი, მომატყუა და გეიპარაო.

ხემწიფემ ქალი გაათავისუფლა. ე ბიჭი, თავისი უვილი, ჩააჯინა ფაიტონში და გოუშეა, რომ ამ სახემწიფოში არ უნდა იარსებოს, აღარ დაბრუნდეს. „მე ვილა მყამს აწი, ე უვილი ქვე გადავაგდე“,—დარღობდა ხემწიფე.

მიდის ე ბიჭი სხვა სახემწიფოში და ველარ მიატანა. წყალი მოწყურდა. მიადგა ქას, მარა ბაწარი არ არი.

— ცხენეფს მოხსენი ოქები და გადოუშვიო, — უთხრა ქუჩერს.

— მე ჩავალ და დავლევ ისე, ამომწიკე, შენე მერე ჩადიო,—უთხრა ქუჩერმა.

ჩვედა, დალია და ამეიყვანა. ახლა ე ბიჭი ჩვედა. დალია წყალი და ღოუძახა: ამომიყვანეო.

— არ ამოგიყვანო.

— რატო? — კითხა ბიჭმა.

— შენი ბარობით გადმომასახლეს მეო. თუ შენ ტანსაცმელს მომცემ და ხემწიფისშვილობას, ამოქწიკავო.

— ოღონდ ცოცხალი გადამარჩინე და შენ ქქონდეს ყველიფერიო,—დაპირდა ხემწიფის შვილმა.

ამოწიკა და წვეიდენ. მივიდენ სხვა ხემწიფისას.

— მე ხემწიფის შვილი ვარო, — უთხრა ქუჩერმა.

— ჯერ გიყურეფ. რა კაცი ხარ, და მერე მინისტრათ დაგაყენეფო,— უთხრა ხემწიფემ. ბიჭს კითხა. შენ რა შეგიძლიაო?

— მებალეობაო.

დააყენა იქა.

დადის ამ ბახში ე ბოვში და ისე უვლის ამ ხეხილს, რო ავი თვალი უკეთეს რას ნახავს. საღამოზე იმღერის ე ბოვში. თავის გულს ასკტება: რა გავაკეთე ესე მეო.

ამ ხემწიფეს ერთი ქალიშვილი ყამს. ეს ყუროფს ამ სიმღერას და ძალიან მოწონს.

— მამეცი ნებაი, რომ ბახში გავიაროო. — თხოვა მამას.

— კი, შვილოო.

მოწყვიტა 2 კაი ვაშლი, მივიდა და ამ მებალეს მიცა.

— მადლობთო,—უთხრა ბიჭმა.

ე ქუჩერი ახლა მინისტრია, არ მეეწონა ესე.

მორე დღეს კიღო მივიდა ე გოგო და კიღე მიცა ვაშლი.

— ვისი შვილი ხარო? — კითხა.

— ქუჩრის შვილი ვარო, — ბიჭმა უთხრა.

წვეიდა ე გოგო. დადის ბახში ე ბიჭი და იმღერის ისე, რო სულ მე-ესარმა გული ამ გოგოს. მესამეჯერ კიღე მივიდა ხემწიფის გოგო და კიღე ისე-ისე კითხა. ბიჭმა ისე-ისე უთხრა. შეშინდა ქუჩერი: არ გამთქვანს ამ ბიჭმაო. მივიდა ხემწიფესთან და უთხრა: ბატონო ხემწიფეო, ი ჩემი მოყოლებული ბიჭი უნდა გავაგზანო თაშიდაო, ცხენის ჯოგს მოუაროსო.

გოუშვეს ე ბიჭი თაში. რაღაი ე ბოვში მევიდა, ცხენეფს ამას ავლუბიებენ, ბრიყობენ წყესები. ცხენები ისე მიიპყრო, რო შის მეტს არავის კარობენ.

ქალიშვილს შეენატრა ე ბიჭი და მამას თხოვა: ცხენები ჩამომირეკეთ თიდან, უნდა ნავხო, რანაირი მოვლილი არიანო. შოუთვალეს ამ

ბიქს: ცხენები ჩამორეკეო. რო გამორეკა ცხენები, აგერ არ შეხვთა ე ყაჩაღი!

— რა გამიკეთეო, მამსპევიო, — საყვედური უთხრა.

— ნუ გეშინიაო, საბოლოო შენია ქვეყანაიო, — და საში ძუა მიცა, — წითელი, შავი და თეთრი, — ესენი შეინახე კოხტათაო. რასაც ინატრეფ, იმათ გედეიქცევიო. შეინახა ამ ბიქმა და წამევიდა.

მეიყვანეს ცხენები. დაათვარიელა ხემწიფის ქალიშვილმა და, კუთხეს რო მიუახლოვდა, ბიქს ჩუმით კითხა: რა კაცის შვილი ხარო?

— ქუჩრის შვილი ვარო, — ბიქმა უთხრა. ოუხირდა ე მინისტრი ბიქს და ციხეში ჩააგდო. ეშინია, რო არ გათქვას და გადაკარქა სულე.

ამ ხემწიფის წყალს დეეპატრონა ამ დროს გველეშაპი. ყოველდღე უგზანიან თითო გოგოს, მუუწია ხემწიფესაც რიგი. უნდა გაგზანონ ხემწიფის გოგო. მიიყვანეს და დააჯინეს წყლი პირზე, მოვა გველეშაპი და წეიყვანს.

ბიქმა ჩეიფიქრა და ინატრა: თეთრო ძუა, თავისუფლად გამიყვანე ციხიდანო! გამევიდა. ახლა შავ ძუას უთხრა: შავო ძუა, შავი რაში და ხმალი გამიჩინეო. გოუჩთა. შეედა და წევიდა.

ე ბიქი დოუდგა გოგოს გვერდით წყლი პირზე. მოვიდა გველეშაპი, მოკლა ბიქმა და გოგო წამეიყვანა. ხემწიფემ უთხრა: ჩემი ქალიშვილი შენთვინ მომიციო.

ამ ბიქმა მოუყვა თავის თავგადასავალს. ი ქუჩერი, მინისტრათ რო წავდა, ხემწიფემ გააგდო. ამას მიცა თავისი სახემწიფო. მერე მის მამას შეუთვალეს. ისი დარდობდა, შვილი რო გადააგდო. შეაერთეს სახემწიფოები და ცხოვრობენ ერთხელა.

(სოფ. სევრა)

51. სპირელთა საუბრიდან

— დასვენების დრო მაქ მე? ბოვშები მხეცები მყავრან.

— უნდა მაცადინობდე, შე ქალო, რო შენი გაკეთებული ადამიანს ესიამოვნოს. უდოლათოა ე ქალი, საქმეზე მარჯვე ვერ არი. ყოველთვინ უნდა მიყვე სუფთათ, მიჯანგრამ-მოჯანგრამ ყველიფერს, მიტუტყუნულ-მოტუტყუნულს გააკეთეფ. სტუმარმა ხო მოგვისწრო ასე უსუფთათოთ სახში! სირცხვილით რო მომკვდარიყავდი, მერჩია. თ'ვარაფერი მტკივა, საქმე ისე მიხალისეფს გულს და ისე მიყვებები, რო არ მიჭირს, ჩამაძუგებული უნდა დამხეთე, რო მოვალ?

— ბოვშები ცალკე წევრან?

— კიე.

— გუშინდელი თორნის პური სულ არ ვარგიყო. რაში ინახამ? გული მოგივიდა? რა გინდა, რო იკოხინჯები? შენთვინ გეუძებები.

— ბადურო, მოქჩერებივარ მე აქიდან. ისი არი სპეციალისტი პუ-
რისი. მარიაჲმ ცუცქიროული თელ სოფელ უცხოზდა პურ. როცა ოჯახ-
ში ჯალაბია, ხარჯი დიდია. ქალაქში იოლათ გადის ხალხი.

— ქალაქში არ ვიყავი? მარა კ'ვერაფერი ვისწავლე იქისი!

— აქა დღედაღამე ქამისთვინ ვშრომოფთ, ამ ფაშის ამოდლებით-
ვინ.

— იმ კაცს მაინ დოუძახებ ახლა?

— ზალიას? ზალია უხაზრულია და უჩიდალი.

— სად დეიშვალეთ ასე?

— არა ვარ ძაან სოველი.

— ამას ვერ მოუვლის ეისი?

— კიე.

ბაბილინეს დევესესხულე გუშინეწილა, მარა კ'არ მასესხა. დეეზა-
რა თხოვება ფულისი. დედამის კ'არ გამს ესი. ისი რო დაგინახთა, შა-
მოქცინებდა. ეგი სულ მოღუშულია. დედაემისი ხოლმანდივით ქალო
იყო.

— საქონელი ჩავარეკიეყე ქვეით და რო დამინახა, თავი იქით მიიბ-
რუნა. რაცხა ენა მუუტანია ემა.

— მისი გულისთვინ იმას დევემდურები? ესი თან ქეხოზა ჩვენე.

— ეგეც კაი ღურთულაა, თუ დაპირდა.

(სოფ. სვერი)

52. მარიამწყარო

უწინდელ დროში ადგა თურმე თამარ დედოფალი, წამოვიდა თავი-
სი სასახლიდან, ჩამოვიდა ღორეშაში, გაჩეჩილაძეები რო არიან იქა.
ამოილო ხმალი, დაკრა და ამოვიდა წყალი. ააგო ზედე შენობა, გააკე-
თა თალარი, დააწერა ზედე: „მარიამ დედოფლის წყარო“. უძახიან
ახლა „მარიამწყაროს“. კაი სანახავია თურმე.

(სოფ. სვერი)

53. ვირიჭამიები

შერაგული ადგილი აქთ ბიწაძეფეს და უთესიათ პური შიდა. ამდგა-
რა და უთქვამთ ერთმანეთისთვინ: ერთი კურდღელი გოუშვათ ამ
პურში, გეიზდება და მერე დაკვლათო. გოუშვეს კურდღელი ამ
პურში.

გასულა ხანი. ერთხელ ვირი გადასულა თურმე შიდა და დაქშუის.—
მოდ, ნახოთ, რამხელა გაზდილა ჩვენი კურდღელიო. დეიჭირეს და
დაკლეს ვირი. მერე იმ უბანს უძახიან ვირიჭამიეფს, ბიწაძეები ქე არი-
ან.

(სოფ. სვერი)

54. ბაქციულის ცხვარი

ჩემა ნათლულმა რო მეიყვანა ქალი, შუალამე იყო. მე ვერ წავედი, ხოდა, გიორგი წვევიდა, ლეონტი წვევიდა, თამარა წვევიდა. გოგოლია უმალ წვევიდა. მაშინ ვერ გავატანე რძლევი და, მოყვრები რო მიწვია. მაშინ წვევიდა, წვევილე რძლევი და წვევიყვანე ცხვარი. რო მივედი. გამომართვეს ცხვარი და დააბეს ეზოში. ამ შეიღობის კითხვაზე დაფრთხა ცხვარი და მოუსვა სახლისკენ. გამოუდგენ ახლა ჩემი ანდრო, მიტუშა—სალა დეეწიენ ცხვარსა. შევარდა ტყეში. სალა დეინახეს ცხვარი! ძეზნეს, სანამ დღისული იყო, და დაანებეს თავი. მეგონა, ამაღამ შექამს მგელი. დოუკრამს ხელი და ჩამოსულა აქა ხრეთიდან.

— ნუ წუხარ, ნუ წუხარ, — ყველა მეუბნება, მარა გული მაინ უსიამოვნოთ მაქ.

ჩამეველი მოწყენილი. ჩამევიარეთ კანტორასთან და ჩემა მაზღმა მითხრა: ეს რავე მოგივიდათ, ქალო, ე ცხვარი ქე გამოგექცათო?

ავდექი, ჩოუბი ბაწარი და ქე გავატანე გიორგის ისევე. მოაგნო და რა დროს, კაცო! რაფერ გადმევიდა, ახლოს რო ყოფილიყო, კიდო ხო!

(სოფ. წირქვალი)

55. დევიანა

10 წელიწადი ჩხარში ვიდექი მოჯამაგირეთ, სომეხს უდექი. ასე გლახა ქარ ვიყავი, კოხტა ბიკი ვიყავი. 10 წელიწადი ვიყავი იმ კაცთან. 4 წელიწადი კვალთში ვიდექი. 4 ძმები ვიყავით ჩვენე. ე სახლი ვიყიდე. ჩემი ძმა იყო იქა. აღარ არი ი უბედურა. ოთხივე ძმები ერთხელა ვიყავით.

დამაყენეს პოპოშნიკათ, მერე მამასახლისათ გამომიწვია კუთხემ. იმ დროს ვიყავი მამასახლისათ, როცა საწყალი ზაქარია გურული და სტალინი ძმასავით იყვენ. აფხანიკათ იყვენ ისი და ისი. სოფელში დეიარებოდენ. ისინი ბოვშები იყვენ, ტოლები იყვენ, წკნელებივით იყვენ. იპერდენ იმ ორს და იმალებოდენ.

ზაქარია გურული მიროტაძესთან იყო დასიძებული და მომივილა ამბავი: ზაქარია დამახეტერე შებოჭილიო. პოპოშნიკი ვიყავი მაშინ.

ევედი და ისინი ქვე დავტოვე აქა. ცხენებით იყვენ. ვახშობა არი.

— აპა, შამობძანდით, ბატონო, ცხენებს ვაჭმევ-თქვა, — მე უთხარიყე.

გაჯარდი, გევიბარე უცეფ, მიველი ზაქარიასთან. გამევიდენ ცოლქმარი.

— არიქა, ზაქარია!—რა იყო, ბიძიაო?—იმდენი კაზაკი მევიდა, რო ჩემი ეზო გაფსილია ცხენებით. შენ და შენ აფხანიკს გიჭერენ.

გამევიდენ, გაკურცხლენ, გეიქცენ.

დაებრუნდი და ჩამეველი და უთხარიყე: ცხენეფს ვაქამე-მეთქეი. მერე იმ ნიმუტზე წავედით და სახში არავინ იყო. გამეიყვანეს ი ქალე უბედური. სიმამრი აწამეს: შენ გეცოდინებაო.

მევიდენ აქა, ერთი ბრეგაძე იყო. ზაქარიას ოჯახი ისე დაადულა, რო არაფელი აღარ დარჩა. ხშირად მევიდოდენ ხომე, აწვალეზდენ საწყალ ი ქალს.

(სოფ. წირქვალი)

56. ბამოცანები

კიკნი-კიკნი კიბესა, როსტომისა ციხესა,
შიგნი გველი წიოდა, ნაქინელალი ცვიოდა.

(სამჭედლო და საბერკელი)

ერთი რამე სურიელი მიდგომია კდესო,
სასიკეტილო სახს აკეთეფს, ეხვეწება ღმერთსო.

(აბრეშუმის ქია)

შევდგი ტაფა, ჩავდე ღუმა, დადნა ტაფა, არა ღუმა.

(ფეხსაცმელები და ფეხი)

ერთი რამე სურიელი ვარდისა წვენსაო კრეფსაო,
ემსახურება ყოველ კაცს და მერე მალალ ღმერთსაო.

(ფუტკარი)

ერთი დაგადგი, ორი ამოგიჟირე, მშრალი შევედვი,
სოველი გამევიდე.

(უნაგირი და ლავამი)

ხე ბრუნდი და ხე მართალი, წვეროში ხუთი მარცვალი

(ხელი)

ჩემი პატარა ბოსტანი კაყეებით შამორაგულა

(პირი და კბილები)

(სოფ. წირქვალი)

57. ლოცვები

შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი ს ა

აშინა და მაშინაო, გულო, რამ შეგაშინაო.

დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, ძმამ შეგაშინა, დამ შეგაშინა. გამველელმა შეგაშინა, გამომველელმა შეგაშინა? ორშაფათს შეგეშინდა, სამშაფათს შეგეშინდა, ოთხშაფათს შეგეშინდა, ხუთშაფათს შეგეშინდა, პარასკებს შეგეშინდა, შაფათს შეგეშინდა, კვირას შეგეშინდა? თუ

ორშაფათს შეგეშინდა, რადარა საათს შეგეშინდა, რა პირისხანში რე-
გეშინდა...

გულო, მოდი, არ წახვიდე სხვა ბუდეცა, გულო, მოდი შინა.

დედალი—საბუდარასა, გზა—ნაგზეულსა, ტყე—ნატყეურსა, ვუ-
ლო, დაბძანდი შენსა ბინასა. რათ აყურებულხარ? რათ აშმოთებულ-
ხარ? დაბძანდი შენსა ბინასა, ჩამოქშორდება, ჩამოქცილდება ავკბი-
ლი და ავსული, მოხთომილი და შეშინებული ლოცვითა ჩვენითა, ბძა-
ნებიტა ღვთისითა...

ძვლო, ძვლთან მიდი, ბილო, ბილთან მიდი,

ძილო, ძილთან მიდი, ფერო, ფერთან მიდი, ხორცო, ხორცთან
მიდი!

(ლოცვა სამჯელ უნდა გევიმეოროთ)

წყლისა

ავალ ზეცას, ვეტყვი ღედას, ჩამევიტან ბეოლის ტეფას,
მამცემს დანა-ჩქიფსა, დავკრამ ძუძუს თავსა, ის გააქროფს
წყლისასა.

რას წამომჯდარხარ შავ ჯირკსა, რას წამოგისხამს მახარა,
აქთიბამ, დაქთიბამ, გაგიტან რკინის კალოზე, დაგადეფ
ოქროს ფიწალსა, გაგაქარეფ ქარივითა, გაგაწყალეფ წყალივი-
თა,

მარიამისა ნეკითა, სოლომონისა ბეკდითა; ადე, ქალო, მამიტანე
კალამი და კალმის ძირი...

ავალ ზეცას, ვეტყვი ღედას, მამცემს დანა-ჩქიფსა,
დავკრამ ძუძუს თავსა, ის გააქროფს წყლისასა...

(სოფ. წირქვალი)

58. ბამოცანები

უცუღლოთ და უნაჯახოთ სახლი მოხარატებული,
შიდ ჯდის ყმარწვილი ვაშკაცი ულაშგაპიწკინებული.

(ლოკოკინა)

ხე გავთალე ხისაო, არა ნაფოტისაო,
შედიან და გამოდიან ანგელოზნი ხეთისაო.

(ფუტკარი)

მალლიდანას წამევედი, ვაი დედა, ჩაჩი დამჩა.

(კაკალი)

ვერც დაჭრის მკრელი, ვერც შეეერამს ხარაზი, ვინც ამას გამეიც-
ნოფს, ის იქნება ლამაზი.

(სტაქანი)

(სოფ. გვზრული)

ჩვენში ვენახი კაათ ხაროფს: ციცქა, კოლიკოური, ძველშავი, საფე-რე, ღორეშულა. ღორეშულა შავი ყურძენია, მორწყვა არ უნდა. გიბრი-ტა წვრილმარცვლაა, შავი, ალიკარტას უძახიან კიდე, მორწყვა არ უნდა.

რო გაზაფხულდება, მოვსლამთ, მოვსარამთ, მერე გამოუვა კვირტი, მერე გეიზდება ისი, მოვრწყვამთ, გაემორჩინით, აეკონით, ავაკრამთ ვე-ნახზე ჭეთელათი (წაბლის ტყავი, ეკლის ტყავი, თელის ტყავი ან ცაცხ-ვის ტყავი). რო ავაკრამთ, კიდე მოვწამლამთ, აყვავდება, მერე კი მოვ-წამლამთ 4-5-ჯელ. მერე მოვკრიფამთ, ხელკალათში ვკრეფთ, გოდორში ვყრით. მერე—საწნახელში. ჭურს სარცხლით ვრეცხამთ. ბალს ვაე-ლით კანს და ვაცმევთ ჭოხზე ოფიკოს. ოფიკო და ჭოხი ერთად იქნება სარცხელი. იმითი ვრეცხამთ ჭურს.

ქოცო სულ პატარა ქვევრია, 3-5-მდე ჩაფი ჩადის, ქვევრა ქოცოზე მოზდილია. ჭური შიგ ჩასვლით ირეცხება. ქვევრს აქ ნაპირები — ფარ-ფლი; ახურავენ სარქველეთს. ნახევარმთვარესავით დავაყრით აყა-ლოს, სასულეს უკეთეფთ—ლერწამს, გახერტენ და დაარქობენ.

(სოფ. გეზრული)

60. დამართნიათ ჩხუბი

— მარიაშო, მე არ მყამდა დედამთილი? მართლა კაი ადამიანი იყო. მე რო ავი არ გამამიციტია, ასე მგონია, მეც ისე ვარ ჩემ რძალთან-თქო. თუ პატივს მცემენ, მათი დედა ვიქნები მეცე. თუ ჩეერია ოჯახში ქამ-ფოლარი, ვაი მაშინ ჩვენი ბრალი! ავია ჩვენი ბაბილაი (ღმერთო, შენ მოსპევი მისი გვარი!), მარა ბოვშები დედას ეძახიან. იმას ქონდა გულში რაძალაი. ყამდა ვინძალაი. უსიანებდა პეტრეს. ილაკრის გულში ავი არ ქონია, მარა გადარიეს. ილაკრია რო მეეკლა, მე არ ვყოფილვარ შახში. რძლის საყოლში ვიყავი. კვირე არ წვეიდოდა, რო ერთხელა არ დეელი-ათ ლეინოი. მერე სასიკვტილოთ გეიმეტა. ი ქალი უნდა მეეკლა, მარა დეემალა და ი კაცი ქე მოყვა ხელში. სხვიმის არ დამართნიათ ჩხუბი... თუ იყვენ, ფურნეში ქეიფობდენ, მარტვანა რო იყვენ. ჩხუნკალი მოსუ-ლა იქა. ის თუ გინდა თვრალი იყო, წყურვალი ხალხი მილიონი იყო გეზრულში და რატო არ მიეშველენ?

— ჩემთვინ რო ეთხრობია იმას ისი, მაშინ იქნებოდა კაი კაცი. რაეა დევიჯერო, ადამიანს კლამდონ და არ მივეხმარო?

— პეტრე სულბოროტი იყო თავის დღე და მოსწრებაი!

— ეგ, მართალია, ანგრე იყო, მარიაშო!

(სოფ. გეზრული)

61. უწინდელი დრო

შევილაძეები ვარდიგორიდან არიან აქ მოსული. რაზე წამოსულიყვენ, იცი? ბატონობა იყო უმალ. დეიბარა ბატონმა ჩვენი ძველი, რო არ მიხვიდოდი, როცა იცოდენ. არ დოუმორჩილდა ბატონს, მოურავა მოუკლა და მერე გადმევიდენ აქა. ი სოფელი ქვე დატოვეს. რალაი დატოვდი შენ სოფელს, ვერ დაგიჭერდენ. ჩვენი ბატონი იყო ელიზბარ წერეთელი. 4 ძმა იყო. 25 სული ვიყავით ერთ შახში. მერე დევინსენით თავი, 70 თუმანი ოქრო მივცეთ. უწინ ყრუობა იყო. ბატონი იყო ღმერთი ჩვენი. ქალ შეიყვანდა კაცი, იმ ღამეს ი ქალთან ბატონი უნდა დაწოლილიყო. მერე ფული შამეიღეს. თუ არ მიცემდი ბატონს ფულ, ქარ დაგაწვენდა. მერე საჩექმო მიიღეს. როგორც საქონელ გოუბავენ, ასე ვიყავით.

ეიშვა ხალხმა თანითან, გამევიდენ მერე: შენც კაცი ხარ და მეც, შენი ბატონობა რათ მინდაო?

ეს დრო კაია. განათლება, გზები, სწავლა. გლეხკაცი მიდღეში ჩადგებოდა რაშიმე? ძალი რო ძალია, იმა ზდიან. ახლა სუფთათ ცხოვროფს ხალხი. კაი დროა. შენი ნიჭია შენი აზნოურიშვილობა.

შარშან აბანოზე ვიყავი, ი ჩემი ბატონის სახლი რო დეინახე, მივაყოლეყე გინებაი.

აქ ოქონობა ვიცოდით, მაისში იყო. წვეიდოდით ეკლესიაზე, 15-20-25 კაცი სმელი უნდა დამჯდარიყო. დააყენებდენ ტოლბაშს. ყველა სოფელში ქყვამდა კეთილები. ქვეონდა სუყვარულობაი. ხანჯალ ამეიღებდა კაცი? ეკიდა შნოთ.

უსწავლი კაცი ვიყავი, ბევრს ვსვემდი. ხოჯანაშვილი იყო ერთი, ერთ ფუთ სვემდა. კაი ღვინო იყო. ნ ბოთლ რო დაღემდი, დაგასხემდა ოფლ, მორე დღეს გელივით იყავი საქმეზე. მაყრობა ვიცოდით, ჩხუბი ქარ ვიცოდით! ახლა რო დაღევენ, გრძნობაზე გადადის კაცი. ბევრს ვსვემდი, მარა ყოველთვინ მივსულვარ მისაწიერზე.

ქალი უმალ ყანაში არ იმუშავებდა. უნდა დევხეთერებია თფილი საკმელი, მზა ყოლიფერი. ქათამ ზდიდა. ყანაში რო ქალი წეგეყვანა, იმ სოფელში თავს ვერ გამოყოფთი. ოჯახში ქალს ორი კაცის ოღენი საქმე აქ.

(სოფ. გეზრული)

62. ჩვენი სოფლის გადასავალი

ამ სოფელშიდ მეტი ნაწილი მოსახლეობაი იყო სახემწიფო გლეხები. ერთი გვარია აქა ჭუტაძეები, ეგენი იყო საბატონო გლეხები. ეს ჭუტაძე ნ მოსახლეა სულ, არც იმატეფს, არც იკლუფს. არც ახლაა მეტი, არც უმალ ყოფილა. აბაშიძეებმა (კიტა აბაშიძის ჩამამავალი იყვენ)

გადაწყვიტეს, რო ე სახემწიფო გლეხები გეეხადნათ საბატონო გლეხე-
ზათ. საამისოთ მაშინ საჩხერეში ყოფილა „მირავოი პოსრედნიკი.“ ამას
შოუდგენია საბუთები, რო ხელი მოაწერიოს გლეხეფს და გახადოს სა-
ბატონოთ.

მოსულენ¹ მორძგვეთში. საბატონო გლეხეფს უყიდნიათ ცხვარი და
უნა დოუკლან აბაშიძეეფს და „მირავოი პოსრედნიკს“, ხოლოთ სახე-
მწიფო გლეხეფს ამაზე უარი უთხრობიათ. ცხვარი დოუმბავთ ცალკე.

გლეხეფს მოუყარეს თავი ერთ ადგილზე და სათითოულოთ გამოუ-
ძახეს. წერა-კითხვა არ იცოდენ და უსვემდენ ჭვარს, ან ცერს დააპირებ-
დენ. ერთი ცალფეხა კაცი იყო მაშინ ზაქარია. ორი ჯოხით დადიოდა.
პირველათ იმა გამოუძახეს, არ მოაწერა ხელი. უბძანეს. „მირავოი
პოსრედნიკს“ თან ახათთ მამასახლისი და პროპორჩიკები. როცა მიყამ-
დათ ზაქარია, მან მოუბრუნდა და ერთი ჯოხი დაარტყა მამასახლისს.

— შეგარცხენათ ღმერთმა! მე ცალფეხა კაცმა ერთი კაცი წაეაქციე,
თქვენე სხეეფს ვერ გოუსწორდებითო!

მაშინ თელმა ხალხმა დაავლო ქვეფს ხელი და გამოუდგენ „მირო-
ვოი პოსრედნიკს“ და მის დანარჩენ მოხელეეფს. ისინი გეიქვენ, უკან
სოფელი მიდემს. იმდენი ირბინეს, რო სალიეთის სადგურამდე ჩაყვენ.
ზად ურმით ქვას ზიდემდენ, მეურმეები იყვენ. „მირავოი პოსრედნიკი“
და მოხელეები შეცურდენ წყალში. ხიდი არ იყო.

ახლა მიბრუნდენ ხალხი უკან. მეისაკლისეს ეს „დაგავორები“, სა-
ბუთები არც ერთი აღარ აღმოჩათ, წადებული იყო. ერთ „პოლოშნიკს“
წოულია. ხურჯინში ჩოულაგებია და დამალულა აქვე, მეზობლის სახ-
ლის უკან. მიაგნეს სოფლელებმა, ჩამოართვეს ეს.

წასულენ შორს, ყრუ ადგილზე, შოუკრეფთათ თავი. მაშინ იყრჯახ-
ტანგის მამის ძმა სწაგლობდა ქალაქშიდა და ამან წოუკითხა, რომელი
საბუთი იყო გლეხების საზიანო და ეს საბუთები დაწვეს, დანარჩენი
საბუთები დამალეს თავისი ხურჯინით.

გეიარა რამოდენიმე ხანმა და ამ დროს ნიკოლოზის ბაბუა ალექსან-
დრე II ბათუმში მიწავალა. მას ოუცილებლათ უნდა შეხვთეროდენ
ყველა მოხელეები თავისი ჭაჭვიოთ. ჭაჭვი ქონდათ ჩამოკიდებული. ამ
ჩვენ ვალახულს ჭაჭვი ხ'ვარ ქონდა. წაართვეს გლეხებმა. შამოთვალა:
ოლონდაც ჭაჭვი დამიბრუნეთ, თქვენი აღარაფერი მიწდაო. წვევიდენ და
დამე ჩამოუკიდეს მამასახლის ხურჯინი. რო ნახა იმან, მუუტანა „მირო-
ვოი პოსრედნიკს“, რო გეეკეთებია და შეხვთეროდა მეფეს.

ეს საქმეი ისე ხ'ვარ წვევიდოდა, რო სახემწიფო შეაწემდა. მევიდა

¹ მოქმელი ხშირად ხმარობს -ან სუფიქსის ნაცვალ -ენ-ს, რაც საერთოდ დამა-
ზასიათებელი არ არის ზემოიშვრულისათვის. მოქმელის მეუღლე გურული იყო და
შეიძლება ამითაც იყოს ეს ფაქტი შეპირობებული.

ეგზეკუცია. შამევიდენ სოფლის დასარბევით. კაზაკები იყო და მას მოჰყვა ერთი პრინცი. მოუყარა სოფელ თავი. ახლა ასამართლებენ, რატო იუჯანყდით სახემწიფოსო.

ერთი კაცი იყო ჩვენში, გიგია კაპანაძე, რომელიც მათხოვრათ დადიოდა. ახლა აქ რო არი გამოკითხვა, ე გიგიაა წოდება წინ და თქვა: „სიტყვანი ჩემი წახთეს და საქმენი არაო“.

პრინცმა იკითხა: რა თქვაო?

ასე თქვაო, გადოუთარგმნეს.

— რას ნიშნავს ეგეო? — იკითხა პრინცმა.

ამ გიგიამ უთხრა: ჩვენ ვიყავით სახემწიფო გლეხები, ახლა საბატონოთ ქეხთით და რატოო?

მაშინ უკვე მიხვდნენ, რო ე ხალხი დიდი დანაშაული არ ყოფილან. ამას ბატონები აწყობდნენ, რო საბატონოთ გეხნადათ ე გლეხები. ამ სიტყვამ იმდენათ იმოქმედა, რო აღარ დოუშჯათ ისე დიდათ გლეხები. თითო თუმანი უნდა გედევნადათ, ერთი ძროხის საფასური.

ეს იყო ამ ჩენი სოფლის გადასავალი, როცა გალახეს დიდი მოხელე. მოთავე იყო ზაქარია კაპანაძე. დამბოლავებელი გიგია კაპანაძე. ეს შაქ გადმოცემული მამაჩემიდან.

(სოფ. მორძვეთი)

63. ეშმაკი ღა დიაკონი

რუისის მიდორზე, საქართველოში, ბიჭები თამაშობენ. დიაკენები არიან ცხრაი. მევიდა ეშმაკი და ეჩვინა ჯორათ. რკინის მილიდან გამოდის წყალი. არი ე ჯორი წყალთან გაჩერებული. იფიქრეს ამ ბიჭებმა: — შევჯდეთ ზედაო, ვათამაშოთ ამ მიდორზედაო.

რვა შეჯდა. მეცხრე დარჩა ძირს. ეშმაკი დაბუსუნებულაი, გარბო გამორბის მიდორში.

— რას აპიროფო? — უთხრეს მეცხრეს.

— პალო მინდა ნახსოო. ჯორის ნაბამი.

ნახა პალოი.

— რათ გინდა ეგეო?

— უკან უნდა შოუტკოთ და მერე ჩამოვჯდეთ ზედეო. გეიგონა ეშმაკმა და შეძერა მილში. ახლაც ქვე არი იქა.

კაცზე მეტს ვერაფერი ვერ მოახერხეთს. თუ სულთქმამს, ყველოფერს მოახერხეთს.

(სოფ. მორძვეთი)

64. სიმინდის ბაღარჩხვა

წინეთ უფრო ვთესამდით პურ, ახლა სიმიდს უფრო ვთესამთ.

სიმიდს ავარჩემთ სათესლეს. გლახა ტაროები ცალკე გვაქ. სათეს-
ლეთა გადავარჩემთ, იმა ვინახამთ ცალკე. მერე დავეშვნით. წინაც უნდა
წააცალო ტაროს ცხვირი და ბოლოც. ვეიღვფთ შვა ნაწილს.

ადვილი იყო რომე ბალახიანია, შეხენა იციან იმისი. კავი ვიკოთ. გა-
ვებამთ ხარეფს და მერე მოვხნამთ. მერე დავეთესამთ. რო ამოვა ე სიმि-
დი, გავმარგლით. პირველ თოხნას ქვია გამარგვლა, მეორე თოხნას ქვია
მეორედლი.

რო დატაროვდება, მოვტეხამთ ჯერ ტაროს და ცალკე გვირჩევა. მე-
რე მოვქრით ჩალას, ავკონით, ვდგავთ ქუბას. ოთხ კონა ჩალას მივყუ-
დევთ. მოუკრავთ ქუჩუჩოს მოგრეხილი ჩალით ერთათ, რო წყალი არ
ჩამევიდეს. მერე ზეინათ ვდგავთ. ზეინს კორომზე დგავენ კიდე. კორომი
მოწნულია და ზეით ზეინი აქ დადგმული.

ქუბრის ცალკე ვინახამთ. ხამსილა, კვიკვი ტარო ძარით მიგვაქ.

ლობოსას დგამენ ჩერვილეფს. დავაჩერვილეფთ, გასმება და დავს-
ცხეფთ კეტს—დავეცხვამთ.

(სოფ. ქვათხე)

65. კაი ლვინო

წინათ უბრალო ხალხის კლასი სა იყო. წერეთლები სწავლობდენ. ე
ღვეიძეებიც ერთი უსწავლი არ ყოფილა. ჩვენ ვერ გვისწავლია. 2 გოგო
გავზარდე. ერთი ვაჟი ბატონებმა მიირთვეს. ერთი ხალიფოურში მყამს
ჯათხოვილი. აქანა საიჯინლოს ამთავრეფს მეორე. ცოდინარე ქალი არი.
კაი ოჯახი აქ. ზოგსა ათასი რამე რო ქონდეს, ბედნიერი არ არი, ზოგსა
ღიდი ბედი აქ. თავარია ჯანთლათ იყავი, უტკივრათ იყავი. ძალიანი და-
ავანტყოფთა ხალხი.

ერთი კაი კაცმა ილაპარაკა: არაო, არაფრი გზით შაქრიან ღვინოს
არ დავლემო ჩემი გაძლებისთვისაო. მე რას ვკითხებდი, სერეფიონი შე-
ეკითხა: რატო? მაწყინარიაო?

— ე რო გაჩთა კიბო და რაძახეები, შაქრიანი ღვინო აჩენსო! ქვეყა-
ნა ქვე სვამს. ნესტორა ყიდემდა შაქრიან ღვინოს, თითვან კ' არ სვემდა.
ახლა სუყველგან მანგრეა, ერთგან არ არი კაი ღვინოი.

როცა რო სპიტი უკეთდება ამ შაქარს, ნევრეფში მიდის. ე ღვინო
ნევრეფსაც აბრუშეფს. ღვინო ქვე მინდა, მარა ბევრს არ მასმევენ, თრო-
ბითა უშაქრო ათრობდა ხალხსა. ე ! სპიტი იყო ისი.

(სოფ. შუქრუთი)

67. მალაროში მუშაობა

აქ იყო მამაჩემი დასიძებული. მოკვდა და დაერჩით ობლები. 2 ბიჭი, 2 გოგო. დაქეჩა ჯედა. ბიჭი მოკვტა, მე დაერჩი მარტვა. გოგუები გათხოვედნენ, ისინიც მოკვდნენ. ერთი ხრეთში იყო, მეორე—ქვაციხეში.

დაერჩი მარტვა თბოლი. გამზარდა ღედამ. სახლი დამჩა, მარამ მამიჩემის გასვენებაზე გაყიდა ღედაჩემა. მე დაერჩი სხვის სახში. დაედქი მოჩამაგირეთ სოფელში, სრეთში ვიყავი. მერე, ვადა რო ვავთავე, წამევიზარდე და წამევედი სახში. მალაროები გასწილი არ იყო. კაქჯაზე ვიყავი გიგია ბრეგვაძესთან და ჭიბო აბაშიძესთან. „გიგიას მასკლავს“ უძახოდით:—მასკლავი რო ამოვა, უნდა განვიდო სამუშაოთო. კაქკის მერე, რო დავაშკადდი, კირკაზე მუშაობა შევიძელი. ვმუშაობდი 3-4 წელიწადი. ჩემ სოფელშიც გეიხსნა მუშაობა.

მევიდა ერთი პოლიაკი. კაი კაცი იყო. დაედქი ყარაულათ. შევიქენი 25 წლისა. ქარხანა ააშენა რეწველმა.—რომელი გირჩევენია. სწონო. მალაროში თუ ყარაულათ გინდა ისევეო? ყარაულათ რავა გავჭრდე. ბოდი. გევედი, ნარდათ ევილე მალაროები. კირკაზე ვმუშაობდი. სამი არშინი ასე რო იქნება, სამი ისტე უნდა ყოფილიყო გაჭრილი. 15 მანათი ვლებულობდი საჯენში. სამ დღეს ვაკეთებდი საჯენს. ვიმუშავე 3 წელიწადი ჩემი ხელით კირკაზე. მერე ფულიც ქვე ევილე. სახლი გავაკეთე, მევიყვანე ქალი ნავარქეთიდან. მერე არ მამეწონა ეს სახლები. ვაგენი ვიყიდე. მას უკან ცოლი მამიკვდა. შვილები 4 გავათხოვე, 2 შაქში დამჩა. ერთი გოგო მამიკვდა. ერთი ქე მყამს შახში.

(სოფ. რგანი)

67. შაჰნი შჰის ალმოჩინა

პირველათ აბიხმა (გეოლოგი იყო) 1894 წელში ჩამოჭრა ორი შავი ქვის ბეგი—ბასილის კდის ძირათ სახელწოდებული და შავურის ბოლო (ნავარქეთში ყოფილა თურმე). შენ რო იკითხო, გასწავლიან. ყანას ქვია შავურის ბოლო. მერე აკაკიმ ამოაჩინა, მანემდი—აბიხმა. რუსი ებრაელი იყო, გეოლოგი. აკაკიმ ზედა რგანიდან—კვირცხნალიდან ჩამოატანია დიდი პლასტი სიმონ ვაშაძეს, 3 მანათი აჩუქა და უთხრა: კიდე უნდა ჩამამიტანოო.

—ლამე ჩამოგიტან, ბატონო, დღე მცხვენია ცოტათი, აზნაურიშვილები ვართო და ლამე ჩამოგიტან ხომეო.

პირველი შავი ქვის ურემი, დატვირთული ამ პლასტით, აკაკიმ შეატანია ზესტაფონში ოტია ლეჟავას და სიმონ ვაშაძეს. ორი ეკიდენ ხარს, ორივეი.

1899 წელში გევიდა 51.000 ფუთი კიათურიდან. ეს იყო პირველი დიდი გაზიდვაი. ფოთში წევიდა.

(სოფ. რგანი)

ბაბუაჩემს ბათლომე ქვიოდა. გამოქცევია ბატონს. მად, ქვაციხეში, გაუვალი ტყე ყოფილა და ჩასახლებულა მადა. ბაბუაჩემის მამას ერქვა ნინიაი. მის ძმას — ბედინი, მესამეს — მამია. ეს სამი ძმები გამოქცევიან ბატონს. სიცხიდან წამოსულან. გოუჩენიათ ე ტყე. ჩვენი ქვაციხეი მუხურის მეფეს ეკუთნოდა. მუხურადან ვართ 6-7 კილომეტრი, თა არი გადასავლი. მოკლე გზით მეტი არ იქნება.

ამდგარა ე ნინიაი და მამიაი (ბედენი პატარა ყოფილა) და გოუჭედია ლეკური (მამია ჰედელი ყოფილა), რო უკეთესი აღარა შეიქლებოდა. წასულან ნინიაი და მამიაი და მისულან მეფესთან მუხურაში და მიუტანიათ ლეკური.

— ესეო ჩვენ ნახელვანებათ მოურავეს დაკიდე წენზეო.

უნახავს მეფეს ესე და მოუყვანია მამია და უთხრობია: რას მაზოკ ამაშიდაო, დაგასაჩუქრეფო.

— ერთი სამოსახლო აღგილი მამეციოთ საკურწეშიო, სამი ძმები ვართო

მეფეს ყოლებია მოურავათ კროკი. ამდგარა და უთხრობია მეფეს მისთინ: მამიასა და ნინიას ერთი სამოსახლო აღგილი მუუზომე საკურწეშიო, ბედინი მე მამიყვანე აქაო.

წამოუყვანია ახლა ეს კროკი მამიასა და ნინიასა და მუუზომიათ სამოსახლო იმხელა, რო სადაც რო ცხოვროფს თელი საკურწე დღესე (ჭვარჩი—ეწერი გვესამძღვრება, ბილა—ბილაი ჰიათურას ეკუთენის).

დასახლებულან საკურწეში. ბედინი მიუყვანიათ მეფესთან. ბედინი გეიზარდა იქა. გახთა სახემწიფო კაცი.

ნინია და მამიაი გადიდრდენ ტყეში. კროკს შეშურდა ამათი სიდიდრე.

— მეფეო, ერთი სახოვენელი მაქ და ვერ გამიბედნიაო.

— რაიო?

— ეს მამიაი და ნინიაი იყვენ ჩემი ყმებიო. მარა აღვილი მე ვინ მამცა და ჰთხოვ, რო დამიბრუნო ყმათაო.

ეწყინა მეფეს და უთხრა: მაგ არ გეთოვა და, რაც გინდა. ის გეთოვაო. არ იქნება ეგეო!

— თუ ეგე ასე არ ყოფილა, ბედინს კითხეო.

ე ბედინი შამოყიდული ყამს.

— მართალი არიო, — ბედინმა უთხრა. აღვა მეფემ და უთხრა: კროკო, არც მოშენდე და არც გადაშენდეო!

კროკები დღესეც ცოტაა.

ბედინს უთხრა: ბედინო, რალამც შენ ძმები გაყიდეო, არ გამოგელიოს ყრუი და ბრძაიო. ბედინაშვილეთში ყრუ არ გამეილევა.

ნინია და მამია შეიქნენ კროკის ყმები. ნინია გაძეექცა კროკს და აბაშიძესთან მივიდა. აბაშიძე იყო თავადი კაცნში. — გემსახურებით თქვენეო. მამია ქე დარჩა კროკის ხელში.

ჩენ ვიყავით აბაშიძის ყმები, ნინიაშვილეთს გვიქახიენ. მამიას ჩამამავალს ექახიან მამიაშვილებს, ბედინის ჩამამავლეთს — ბედინაშვილებს. ისე ყველა ბრეგვაძეები ვართ.

(სოფ. საკურნე)

ზესტაფონის რაიონი

1. თავადიუზვილები

თავადიუზვილი იყო ერისთავი კოსტანტილეი. ეს სოფელი იყო იმის ხელში. როდესაც რომე ჯემწიფიდან მოვიდა ამბავი—გათავისუფლდეს გლეხებიო, აქ მუხებნი იყო, დაქრა, უნა წველო სასახლეში. 100 კაზაკი უამდა სახში მუდამ. მოკრა ეს მუხებნი. იმხელა ვიყავი, რო ფჩხილაეფს ძლივს ვკიბეგდი. თუ დოუშბემდი ურემზე, აწევა არ შემეძლო. თუ ავწემდი ფჩხილაეფს, მორეს უნდა დეება. მერე მას უჯანი ქე წვეილოდა.

მიგვაქ ე ხე-ტყეი. მივედი. რას დღინახამ, ქალი ჯდის ერთი, 2 კაცი აქით-აქეთ დგას, მესამე უჯან დგას. 3 კაცი უდგია ამ ერთ ქალს. მარაჰ ქე რო დიდი სასიმიდე ექნება სამსე გლეხს, ისეა ე ქალი. თითო არშინი ღეხები ექნება ამ ქალს. ამ ქალს, რო იტყოდენ უმალ, ქე გამიგონია, თუ ეს იყო, არ ვიცოდი, კაცები ყოლია შემბული ფაიტონში. ეს ქალი არი ნატალია ნიქარაძე. ბალი აქ. წინ იჯდა კოსტანტილე ერისთავი.

რო შევედით, ე ქალი აბძანდა ზეზე. კაცებმა ხელი მოკიდეს. ერთი სკამით მოდემს უჯან. მევიდა.

— გამარჯობათ, მუშებოო!

მე რა ვიცოდი თავის მოხთაი. დიდი კაცები რომელიც იყო. ქუდო მოუხადეს. — ასე დააწყვეთ ესეო.

მერე დოუძახა ერთ კაცს: აქამეთ მაგათაო.

თითო ცხვრის თავი მიეიტანეს, ხორცი რო აღარ აქ ზედე. პაპიროზის ქალაღდი რო იქნება, ისეთი თორნეში ამოკრული ჭადი ჩამოურეიგეს მუშეფს. ავდექით ზეზე, წამევედით. დიდი კაცები ბარბუცოფს, ვითომ თვრალია. გზაში მამავალი ეკითხება: მაგდენი რატო დალიეთაო.

— დეიქეც მისი ოჯახნი! დავლიეთ კი არა, წყლის მეტი არაფერი არ ყოფილა, შიერები ვართ ნახევრათაო.

(სოფ. ბოსლევი)

2. მაჩვი

ნავხე, გამოხვრელილი არი ორგან მიწაი. წვევდი საღამოზე და ერთ ზერელში დავაგე ხაფანგი, მორეში—საშვეტი სირნა. მავთულის მარყუჯია გაკეთებული, რომლის ერთი ბოლო მოძრაოფს. იგი დამაგრებულია

ტყე. რო ამოვა ნაჩვი ხერელში, შეყოფს თავს სირნაში, გეშვეტება კისერში.

მივედი მორე დღეს და დამხვთა გამბული შიდა, იყალყება, ღჯალავს კვილეთს. არც მაქ წაღებული რკინეული. გვეიხადე ტელოგრეიკაი და მოვახვიე ამ მაჩვს, სირნა მოვახვიე მერე გარედანი. გვეიღევი ზურგზე და მამაქ, მარა რა სიმძიმეა, ფუთი მეტი იყო. მევიტანე სახში და დავაგდე სოხანეში.

ბიძაჩემი დამხვთა აწყურადანი, დომენტიანი. ცოცხალია კილო მაჩვი, ფხუკუნი ცოდნია. ბოვშები შამომესიენ, რა არიო.

— მაჩვია-თქვა და გამოვაცოფიე თავი ტელოგრეიკაში. მოგჭერი თავი ნაჯახითი, გავატყავე. ტატიანეს მეტმა სუყველამ ვკამეთ. საქონლის ხორცს კარ გაეს ისი. სიმიდის მეტს არაფერს ქვეყანაზე არ ჰკამს.

მულო? მულო რათ ვარგია! ვერაფერი ვერ უშველის მულოს. კიბოლის ჩასვამენ იმის ხერელში.

მახრაკაი ხშირათ იცის. ახალშენი ვენახი სულ მოჭრა. უნდა მოკლა ის და აბრეშუმის ძაფით დაკიდო კილვაზე. აღარ გეივლის სხვაი.

(სოფ. ბოსლევო)

3. ალიხანოვის თარეშის დროს

1905 წელში 10 წლის ვარ მე. მამასახლისი იყო ერთი. ემ დილიკოურს, ბელლევს, რკვიას ყავდა ერთი მამასახლისი. პოლინე რო არი ავერ, იმისი მაზლი იყო. იფეთქა რევოლუციამ. აფრასიონ მერკვილაძე. პაიჭაძე. დიანოზ ცერცვაძე და ბევრი რევოლუციონერები არი.

ალიხანოვი რო წამევიდა. იმალებოდენ. შევხედე. დოუპირამსყე დიანოზა, გოუტიტვლებიათ. — თ'ვარ გვაჩინე სა ცხოვროფს აფრასიონ მერკვილაძე, ფეხებს მოქხერხავთო.

ჯერ უარზე იყო. ვეზდი ნაჩალიკმა ბაჩანა: აპა. მოხერხეთ ფეხებიო!

ხერხი ვადუხვეს მუხლებზე და. რო გაგლიჯ-განოგლიჯა ხორცი, ვიტყვიო, თქვა.

წყაყვა ამდენი ხალხი. საანაც იმალება. იქ მიგვიყვანეო!

შევიდა თურმე, გამოქვაბული კტე არი. საწყალმა აფრასიონმა იჩიდან ისროლა, გადმოაგდო ბომბი, რო გადგა კვამლის ბურუსი, მიიმალა. რაი მერე. გაყვენ ჭრილობაზე და დეიმორჩილენ ე კავი.

ვანო ცერცვაძეს სახლი დოუწვეს.

მამასახლისი იყო ეფრემა, ემდობოდა მას თავრობა. ისი რასაც იტყოდა, ეგ იყო, დოუჯერებდენ იმას. ამ ეფრემამ მოტყუებით გზა შოუშალა ალიხანოვის ჯარს და, ასთე რო უნდა გადმოსულიყვენ, ტყე-

ზე ჩამოარონია. ისეთ ჩეიყვანა, რო თავის სოფელზე არ გამოარონია, გეიყვანა სანახშირეში.

იმ ეფრემამ წერა-კითხვა არ იცოდა. რაზე ურტყამდა ბეჭედ, არ იცოდა. ქოჩო ქადაგიძე ყამდა მწერალი.

(სოფ. დილიკაური)

4. დილიკაურიელთა საუბრიდან

— რითი რეკავ ნიგოზს?

— კოგრიითი.

— რავარი ნებალო აქ?

— თეთრი ქახალდივით.

— კილო ხ'ვარ გინდა?

— კიე!

— ზოგმა რო იცის გადიდრაჯება, ისე კ'არ ყოფილხართ თქვენე. გუ-
ნარას უძახით? ეგერ დგარს. დოუძახეფ. სხვა ქალებიც ქე ჩამრენ, მოღე-
ნიან ცხვრეფს.

— ასე ცოტა წყალი რატო მოგაქ?

— მეტს ვერ ვზიდულოფ.

— პოლინე თხეები ჩამოდენე?

— კიე. იმათმა სა ნახეს ცხვრები?

— დობილოში იყვენ.

— მოლის ცხვრები?

— კიე.

— რალაი არ დეიკარქენ...

— გააგდე ხელიდანი ე კალათი. თხა დააბი!

— მამეკიტალე, გოჩა, მამეკიტალე! ემის ხასიათს ვერ გეიგეფ.

არც გეიციანეფს რაძახა...

— მოდი აქა! რას აგვიანეფ? ვაი შენ არ გამოდი მაიდან! რო გეიქ-
ცევა ისევე ი თხა, მერე დოუწყე ძებილი.

— მაინდამაინ ხვალ უნდა წახვიდო?

— ასე ვფიქრავ და რა ვიცი.

(სოფ. დილიკაური)

5. ტყეში

მოვდიოდი ფეხით სოფელში. მატარებლიდან სახლამდი დიდი გზა
უნდა გამეველო. მომ'შივდა. მივდივარ ტყეში. ამ ტყეში არაფერი კაცის
ჟური არ არი შიდა. ხანჯალი მარტყია. იმისთანა ნიგოზს შევხედე, რო
შებუქული არი სულე და აბია ზედ, მარა რა აბია. შამოდგომა არი. ნი-
გოზი ნაჭიანი იყო, აპა ისე რა გააჩერებდა ზედე. აბრაშუნის კაბალანხი

ეკოდენ, შამევირტყი წელზე ესე, სულ გავამსე. ჩოხა ქე გევიხადე, ხან-
ჯალი ძირს დავდევი.

გაეზედე განში და ერთი ქალი და კაცი მოდის. ის რას მხედავს. გაე-
ჩერდი, გევიფიქრე: აქ რო მოვიდონ, ხო მომკლავენ. მე მალლა ვარ, ხე-
ზე. წალდი უკავია ამ კაცს. ხანჯალი წელზე არტყია. რაძახა სუნკა აქ.
მოხარეს იქიდან და ქე მევიდენ ამ ნიგოზის ქვეშ. მოასუფთავა ამ კაც-
მა ანწლი იყო ქვეშ. ისინი მალლა კ'არ იხედებიან. ამ კაბალახს მოვეკიდე
კუნწუროში ხელი და როკები მომიტყტა. წამოვარდენ ორივეი. მიატო-
ვეს სუნკა აქანა და გეიქცენ, მარამ უკან არ მოუხედიათ.

ჩამოარდი ოთხამოლფე, ჩამევედი ძირ. ჩემი ხანჯალი აგერ არი
ისევ-ისევ. ჩავხედე სუნკაში, ორი ბოთლი ღვინოა და ხაქაპური. —
ღმერთმა მომცა-მეთქი და დევეშვი უბრალოთ ამ ტყეზე. ორი საათია
მოუნდი კიდო რკინიგზაზე ჩამოსვლას. როგორც წამევეწიე აქეთ,
შევიქამე ი ხაქაპური. ძირს რო ვყოფილიყავი, მამკლემდენ.

(სოფ. საღინე)

6. სანახშირელთა საუბრიდან

— ძველ დროს აქ ბევრი წაბლის ხეები ყოფილა და თურმე წყამდენ
შავენს ნახშირათ და დეერქვა სანახშირე. წაბლის ხეები კია ნახშირათ.

— მაგ იყო სულე? რო თქვი, ბევრი ამბავები ვიცო?

— დევილალე, გოგო მუშაობითი. რო ვჯდივარ ახლა აქანა, ვფიქრავ,
რა გავაკეთო. სანამდი სული გიდგია, საქმე არი სულე.

— ღორები ხ'ვარ მოსულა?

— კიე.

— ჩამოდენეყე, ჩავამწყვირო.

— ეს აბრეშუმი ვერ ჰამდა ბევრს. ერთ ხანაზე ოთხ-ოთხი იჯრა ვა-
ქამე და უკეთესი პარკი არ აქთ. ყავსყე ორი ჰიაი და იძახიენ: არიქა, აბ-
რეშუნი ქეყამს!

— ექანა მარიამის ბეოლა რომ იყო, შენ ხო გადაქერი? კუწუწოში
ართმევენ კაი ფოთელს.

— წევიდეთ, რიყნალეფშია ბეოლა! ბიკენტის გოგომ ეკლარში მა-
ნანაიანი ბეოლა კრიფა. დიდი ბოქშოტი გოგოა სწორეთ.

— გიორგი დღეს შეშას წიკავს?

— აჰა! რას ვეტყვოდი, თვრალი იყო. ვითამ ღვინო არ კმარიყო.
ოტკაც დეემატებია და ძლიე მობარბაცთა სახში.

— ეს გოგო ნინასია?

— კიე. ნინას გოგოები ერთმანეთს ძან გავრენ.

— მე ვინძახა სულ ძან უცხოები მეგონა.

— ათჯელ რო გავლახოყე დღეშო, მაინც აქ არიან.

(სოფ. სანახშირე)

7. ეზმაკი შემწირველი

ერო კაცს დეეკარქა ცხენი. ბებერი ძებნის შემდეგ გადაწყვიტა, რო ხატთან მისულიყო. — ხატო, მაპონიე ცხენი, გავყიდი და, რასაც ვეი-
ლფ. შენ შემოქწირამო!

იზონა ცხენი. მეიყვანა სახში. რა ქნას? ღმერთს სიტყვა მიცა, უნდა შეასრულოს! ადგა, შეკახმა ცხენი, დააბა კატა უნაგირზე, მიყავს გასა-
ყიდათ.

ეკითხებიან: ცხენი გასაყილია? — კიე. — რაჟა ყიდი? — 6 შაურათ.

— ცხენი და 6 შაური? — ცხენს ვყიდი 6 შაურათ, კატას — 100 მანათათ. თუ გინდა ცხენი, კატაც უნდა იყიდი!

მორიგდენ. იყიდა ერთმა კაცმა ცხენი 6 შაურათ, კატა 100 მანათათ. მივიდა გამყიდველი, ექვსი შაური ხატს მიუტანა და ასი მანათი ქე ჩე-
იდეა ჯიბეში.

(სოფ. სანახშირე)

8. მრეკლე მეფე და გლეხკაცი

გლეხი წვევიდა სოფლიდან და საპანე ქონდა ცხენზე აკიდებული. სა-
ვაკროთ მიდიოდა. ერთ ადგილზე ცხენი შეაჩერა, საპანე მოხსნა და თი-
თონ მიიძინა. ძილის დროს ცხენი წეიყვანეს ქურდებმა და გასაყიდე-
ლიც წეიღეს. რო გამეღვიძა გლეხს, თავში ხელს იცემდა: რა მაშიედა.
სუყოლიფერი დავკარქე და ცხენიც მივაყოლეო. ამ დროს თავზე წამო-
ადგა ერეკლე ამალით.

— რა გატირეფსო?

— ცხენიც მაშპარეს და საპანეცო.

— რატო მოქპარეს?

— დამეძინა.

— მერე, შე კაცო, რათ დეიძინე?

— მე მეგონა, რო მეფეს არ ეძინა იმ დროსაო.

გაჩერდა მეფე. დოუკვირდა ამ სიტყვას და თან ხლებლფს უთხრა:

— ერთი კაი ცხენი მიეცით ამ კაცსაო. მეტის ჩუქება არ შემიძლი-
აო.

მადლობა გოდოუხადა გლეხმა და წვევიდა.

(სოფ. შროშა)

9. ხალხის სიუპარული

ასწინძის ომიდან დაბრუნებულმა მეფე ერეკლემ ერთ სოფელში
გვიარა. ერთ სახთან შეჩერდა. დაღამდა. ცოტა ცუდი ამიღია და ერთ
ბებერ ქალს თხოვა: დამე გამათევიე თქვენთანაო! 5-6 კაცი ახთა, აღ-
ზათ. არი ორი ქალი შახში.

— კაცები სა არიანო? — მეფემ კითხა.

— კაცები, ბატონო, ერეკლე მეფესთან არიან შემოიღაო. — მერე რო დაიღუპონო?

— ხოლოთ ერეკლემ გეიმარჯვოსო და ჩვენი კაცებისთანა, ალბათ, ბევრი დეიღუპებაო!

ასე უყვარდა ხალხს თავისი მეფე.

(სოფ. შროშა)

10. შროშელთა საუბრიდან

— ან შენ მოდი, ანე მე ამოვალ. მე ვერ მომატყუილეფს ადამიანი.

— მაგაზე მოსპევით ახლა ლაპარაკი.

— შენი ფასი უნდა იცოდე, ანეტა! მაგას რო იზამ, აღარ ვარგებარ. თუ ისინი დაგეთანახმება, მეც ქე დაგეთანახმები.

— მერე რაღას გიზავენ, თუ შეთანხმითი.

— რანაირათ კვატაბზუოფს ე ქალი. კაცს რო დაკლპარაეებულო-ყავი, ჯობდა.

— ფეხით რო წახვიდე აქიდანნი?

— შორი გზაა.

— ძირულიდანნი?

— მაიდან არი ორი კილომეტრი.

— ე ბლარი ვის დოუტოვო? წვეიყვან ისეე. მეშინია, ე კაცი არ მა მიკვდეს ექანა. — რაძახა სისხლის ავანტყოფობა აქსო, — ექიმა თქვა. ერთი ქე განკურნალდა ვინძახაო, — ასე თქვეს. იქნება ამასაც ეშველოს რამე.

— ბლარი მე დამიტოვე. ჩემი ბოვშეები ერთათ წვევრან. მაგას ცალკე დავაწვენ. შენ მოსკლამდი არაფერს გოუქირვეფ.

— მად ეზოში ჩემი ძროხა არ შამევიდოს!

(სოფ. შროშა)

11. ახოლილის ლოცვა

მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო, მოხთომილო შვილიანო,

რადარა სურთელი ხარ: ერი ხარ, დედელი ხარ, დიაკონი ხარ,

სოფლის კაცი ხარ, მოხუცი ხარ, ახალგაზრდა ხარ?

გამოდით, გამეეცალეთ ძვალისაგან, ბილისაგან, ჯანისაგან, ღონისაგან...

მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო, იარეთ, იარეთ,

გამოდით, გამეეცალეთ, გადით თქვენ ოჯახში!

თქვენ ოჯახშია შემზადება, წითელი წიქარა ძროხა დოუკლამსთ, ემზადებიან: სად არი ჩვენი შვილიო, ჩვენი დედა, ჩვენი მამა,

ჩვენი აპაი, ჩვენი დაი? ტირიას.

როცა თქვენ იქ მიხვალთ, შეიქნება ღზინი, თამაში...

აქ რა გინდათ? აქ მოქალაქევენ, დაქჩებენ, დაქვებევენ...

ხელეფში 9 თავი მარცვალი გექნება. ჯერ ხელეფში, მერე ფეხი: თითოეფში გაარონიეფ მარცვლეს. რო ვლაპარაკოფ მე, თესლეს ვა-
ცოლეს თავიდან ბოლომდე. უნდა ქქონდეს ზედმეტი სამი ბურთვათ
გაკეთებული პურის ცომი, ლავაშები, კოკროჭონეები, ბურთვათ გაკე-
თებული, დაკვარკვარებული. კაცის სახე და ქალის სახე იქნება გამოყ-
ვანილი პურათ, ხელებიც ექნება, ფეხებიც... ულოცამ, ულოცამ...

მოხთომილო დედიანო, მოხთომილო მამიანო, მოხთომილო შვილი-
ანო... მერე ი მარცვალს რო შამოავლეს, ეტყვი:

როგორც ეს მარცვალი გამოცილდეს, ისე თქვენ გამეეცალეთ,
წადით თქვენ მამავალთან, თქვენ დედასთან, თქვენ მამასთან...

წვილეს, სადანაც არი აყოლილი, იქ უნდა მიხვიდო. ღვინოც, წყა-
ლიც ქქონდეს წადებული. ღვინო უნდა დალიოს ხალხმა, ვინც იქნება
იქანა. უნდა მოსხედო პურები. ერთი ხაჭაპური, ღვინო და წყალი უნ-
და დოუდგა კიდე იმა, შენც უნდა დალიო.

მე რანაირი ავანტურეები არ მოვარჩინე. ერთი ჩვენი მეზობლის
ქალი გახთა უცფათ ავათ. იმას მე უშველე. რაღას ვიზემდი. დილას
უცეფ ქუხნის კარი გოულია, შეშინებია, ქეც აყოლია. სამჯელ მალოცი-
ეს. მოოთხეთ გამომიგზანეს ბოვში და მითხრა: ბებიაც შამოგეხვეწა,
დედაიც, მამაიც, გადმოდიო და ტყუილა არ გაგჯიო.

ლერწ ვბოქემდი, დეტროვე, წეველი. სადანაც შეშინებია, დავჯე-
ქით, ჰური შევქამეთ: ულოცე, თესლი ქუხნისკენ გადავყარე.

მორე დღეს ბამბას ართემდა ე კვდარი ქალი. როგორც მე გამოუ-
ლოცე, მაშითვე გადარჩა.

რას მამცემდა! სახში გამოტყლიპნილი საპონი მომცა მისმა რჩალ-
მა.

(სოფ. შრომა)

12. რთველი

--- მოკრიფე ეგე!

--- ნე ცოლიკაური მამაქ.

--- გრიშას ყურძენი დეიწყეს უკეე? ის უშაკო ვენახია.

--- არა. ნენე ჩამოდი აქა. ა, შავი ყურძენი!

--- მოი, დედა, მოი! მე მოკრეფილი მაქ.

--- აღარ ჩაყობით მაიდან? რავე ალაბალა დადიენ. დგარან შიდა და

სულ მოსპობენ იმა...

— ისე ქრის ჩემი დანაი, რო... სადღა არიან კაცები? გეიქცა სუყ-
ველაი?

— დეეტენათ ყურძენი და მიქონდათ მაშინითი.

— გოგო, ამ ჭინს ქე წვევილებლით ჩვენე.

— გასულელდი?.. რა სააკიდავე არი!

— 12 შაკია და ამა ქე ვეიტანლით.

— ემაზე, ზურაბი, კიდე ბევრი დავა? დავა ზედე?

— კიე. დოუჩქარეთ!

— მად დასაჯდომი დრო გაქთ თქვენე? სა გარბის ეისი?

— ბოვშს უნდა დაეხედო.

— რაიო?

— დაბრუნდება ისევე. ეს? წონა არი ყურძენისი.

— ჩემი შაკი გავათავე. ტყულია თუ?

— ე, გოგო, გაჩუმდით!

— მით არ არი კაი? მოკრიფე ვგე! კრახუნა არი კიი მურაბათ.

— ყურძენს რავა ინახთენ, იცი? ნახერხში უნდა შეინახო.

— შენია, მოდი აქა შენე! ჩაყყვეთ აქიდანე.

— არ შემიჰამია ერთი კუმპალი ყურძენი... უნდა ავჩეხო აკილოები.

— უნდა გეიგო. გეწერება ისი შენე.

— გოდრები არ არი, ბოშო!

— ემაში კიდე ჩავა, ჩაყარე!

— რა გაყვირეფსყე, გაჩუმდით!

— შენიას ასელებენ და ყვირის შერე შენიაი.

— ეთერა. ცოლიკაურს ვკრეფამთ ჭერეთი?

— კიე.

— ემის ამწევი ვინ ქყამს! ე მეგოდრულეები დასვენებული რო
ხართ, რას ფიქროფთ?

— არ გევიგოთ წონაი?

— 20 კილოა.

— ვისია ე გოდორი?

— დავითისი.

ერთს მოგკრეფამ კადე. ნეტა ჭერ სევარიონისოული მოგვეკრი-
ფა — სევარიონისოულშია 760 ძირი.

— რატო მოკრიფეთ უჩემოთაო, გადირევა ისი.

— რალათ ვინდა ჭინები, ხ'ვარ კრიფამ ჭერეთი?

— ქე რო შექვირდენ, ისე მოქვეცონ ყურძენი.

— ამდენ გოდრეფს რა დააფსეფს...

— დეისვენე პაწია ხანი. შენ მართლა ბევრი იმუშავე დღესე.

(სოფ. შრომა)

13. წისქვილი

წისქვილს ჯერ უნდა გოუტკრა არხი ზედე. მერე უნდა გოუკეთო რა-
ფი. წყალი უნდა შეაკავოს რაფმა. ხეები უნდა ჩააწყო წყალში. ახლა
ზედ უნდა დადგა ხულა (წისქვილის შენობა). ამ ხულას ქვეშ გაეკე-
თეთ ბორბლეთს. ხის ნაწილებიდან შედგება. მერე დავდგამთ კიბორ-
ჩხალს. ამ ბორბალს ფეხს (დავადგმევიეთ კიბორჩხალაზე. კიბორჩხა-
ლი თუჯი უნდა იქნეს. კინა არ ვარგა; მალე გაჭრის. თუჯს გვიანობამდი
ვერ ჰრის ბორბალი. მერე ამ ბორბალს ჩოუხერხავთ თავს აქიდან და
ჩოუდგამთ რკინას. დავაცვამთ სალტეს ზედე. წისქვილს აქ ღერძი. ხე
არის ძირს და მალლა რკინა არი ხეზე დაგებული. წისქვილს გაჭრილი
აქ, აქ ამოუყოფს თავს ე რკინა. ამას გოუკეთეთთ ხის „ბუბკას“. ამას
შოვდგებით და გავეკეამთ სოლებით, რო ეს რკინაი არ გაძვრეს შიდა
და სიმიდი არ დაგვიბნოს. მერე დავაცვამთ არქს (რკინა), რო მალლა
ქვა მოაბრუნოს. მერე დავადგამთ ქვას. ესაა ძირა ქვაი. გამოჭრილი აქ
გული. ე არქი შევა იმაში. ქვედა ქვა გაჩერებულია. ამ ქვედა ქვაში როა
ამოყრილი არქი, დავადგამთ ზედე მეორე ქვას მალლიდან. ამას ქვია
ზედა ქვა. ძირა ქვა გაჩერებულია და მალლა ქვა მუშაოფს, ქფავს. მერე
დავადგამთ ამას ზვიმირას ზედე. სიმითს რო ვყრით, გოუკეთეთთ ამ
ზვიმირს ჯამ-ჯამას. ამ ჯამ-ჯამას დავადგამთ ზედე სარეკელას. ჩავაბამთ
ბაწარს ზედე. გინდა ბევრს მოუმატეთ, გინდა მოუკლებეთ. ახლა დავაწ-
ყეთ სიმითს ზედე. ასაზეველა აქ, ავწიკავთ, მიცემთ სოლ — გავაჩე-
რეთ მალლა, რო ფსხვილათ მოფქვას. ახლა გვინდა წმინდათ დავფქ-
ვათ, ისევე ამ ასაზეველათი ავწიკავთ მალლა. გამოვადროფთ სოლს, დო-
უსოფთ ძირს და დაფქვავს წმიდათ.

მერე რო ჩამეღლევა საფქვაავი, გავალთ გარეთ, გვაქ საყენებელაი,
ჩოუდგამთ საყენებელას ღარში, სადაც წყალი გადადის იქა და შევა-
ჩერეთთ ბრუნვას. წყალი წავა გვერდზე, რო წისქვილი აღარ ააბრუ-
ნოს. გადავა ღარზეშზე — წყლის გადასასვლელია. გზა აქ იქით მიცე-
მული და გადავა იქით. როცა რო წისქვილს გოუშოფთ, ამ ღარბეშ ქე
დაკვეტავთ, რო იქით არ გედვიდოს წყალი. ქვებია აქეთ-იქით ამოშე-
ნებული და გადავა წყალი იქა, როცა ღარბეში ღიაა. ღარბეშ საკეტი
აქ. ქეც იკეტება და ქეც იღება.

რაფთან არი რუსთავი. როდესაც რო წყალი იმატეთს, რო ბევრი აა
გადმევიდოს, წისქვილი რო არ წაგვართვას, ჩაკვეტამთ რუსთავს.

(სოფ. ზოგრეთი).

14. უმაღლამდელი ცხომრება

კახეთიდან წამოსულან ჩვენი ძველი, ჩამოსულან საქარაში. ერთი
მოსახლე ყოფილა მარტვანა. არეულობა უწინაც ქე ყოფილა. მოუკ-

ლავთ ბატონი. რალამც რო კახეთიდან წამოსულან, დარქმევიათ კახელი. იქ გიგაურიძეები ვყოფილვართ.

ჩემი ქმარი თავაძეა. მისი ძველების ძველები საჯაოხოში ცხოვრებულა, მერე ზედა საქარაში წამოსულა. ბატონი მოუკლავს იქა და აღარ შეიძლებოდა მისი იქ ცხოვრება. აქ თავაძეები ბევრია.

29 მარიობისთვის მამიყვანეს. მამამთილმა მამიყვანა. მეზობლისას ნახვით ერთიმეორე. მერე წამამიყვანეს მამიდას ქმარმა და ჩემა მამამთილმა. სამი თვის კეტარი მყამდა ძმა. შავები გამხადეს. მამიყვანეს სახში. ივანე ნათლისმცემლის თავის კვეთა იყო, მარხვა იყო. დიდი მარხვა არი იმ დღესა და უქმე. იქიდან მოკიდებული ერთი კვირის მერე იყო ქორწილი. დამსწერეს ჯვარი ჩვენ ეკლესიაზე. დეინახით ძველ ეკლესიას. ეს ჩემი ქმრის ეკლესიაა მაცხოვარგულბადანი. ხატი იქნებოდა, ალბათ. ქვედა საქარაში არი წმინდა გიორგის ეკლესია. ჯვარი რო დევიწერეთ, მას უჯანი დიდი დრო გევიდა. უმაღლმდელი ცხოვრება სხვა იყო.

(სოფ. ზედა საქარა).

15. საჭარელთა საშობრიდან

— ესე კარალოკია თუ ხუმლა არი?

— სიღეთ გვერძედაც ფხაკები აქ, იმ გვერძეა კარალიოკი, მორე გვერძე ხუმლაა. ორი წლის წინ დავრგვეო, მანობამდი არ მქონია.

— კოლია ვერსა დეინახე?

— კოლია აგერას ცხოვროფს, ახლოშია.

— დამიტადეთ, მოგიტანყე ხილს. რჩილი ბიაა ეგე. არ მიყვარს ვაშლი. დაბუხუხულავებული ამხელა ვაშლები იყო. ერთი არ მამიწყვეტია, ისე მიდის ზაფხული.

— ჩვენთან რა დაბუხუხულავეფს. ქარი ხშირათ იცის. ნიავე ქვევიდან მამავეალია. აღმოსავლეთიდან რო მოდის, ქარია.

— ვინ მოდის?

— ცერცვაძის ბიჭია. ახლა ჩამევიდა ჯრიდან.

მამა კეტარი დახვთა. გოგოებიც ყავს ამის პატრონსა, მარა გოგოები არც ერთი არ გავლენ ამ ბიქს. ბიჭი უკეთესია. ე ბიჭი მამაა გამოსარსარებული. გოგოები დედას წააგავენ უფრო. დედა ბორდოხი ქალი იყო, სილამაზე არ ქონდა იმდენი, მარა ფერხორციანი ქე იყო. თეთრ ქალს არა აქ ისთე ეშხი, როგორც რო შავგვრიმალს.

— ნუ იჩქარეფთ, ეგებო ნატაშაც მევიდოს. გოგო, მეიტანე ბოკონები! ჩითილში დავჯდეთ.

(სოფ ქვედა საქარა)

16. ჰალატყე

ამას მიტო ქვია ჰალატყე, რო მართლა ბევრი ტყე იყო აქ. წყლის პირი როა, იმსელა მუხნარი იყო იქა, თითო სეში სამი გამევიდოდა სარძიკველი.

1905 წელში ისეთი დგომარეობა იყო, რო კახაკებმა დოუწყეს მერკვილაძეს ზებნა. ამ ჰალატყიდან იყო აფრასიონი. შეზობელი იყო ჩეენი. მერკვილაძე ჭერ სტავლობდა ქუთაიში. ამ დროს სალაცა ნახა წერილები თავრობის საწინააღმდეგო, გაარცემლა ეს ამბავი. წვეილა და კრებებს ახდენდა. სიმღერას ეძახოდენ მარსელიას. მარსელიას სიმღერას დეიწყებდენ ზესტაფონში და ისე შეშინდა თავრობა, ვერ გამოჩინდა.

შამეიკრენ კახაკები აქით. ტყე რო იყო, ეს სოფელი ვერ დენინახეს და გევიდენ საზანოში. საზანოში კვამლი დენინახეს. დააბრუნეს აქიდან ცხენები: სოფელი ყოფილაო. გამევიდენ ამ წყალში. ბუჯა არი დინახეს, შამევიდენ სოფელში.

გაჩხრიკენ სოფელი. თუ რამეს ნახამდენ კაი ვეშჩს, ქე პარულობდენ, მარა ისე იყო ხალხი მომზადილი, რო, რაც მატერიეები ქონდა, ჭურეფში შეინახეს. ჭურები წახვერეფებულა. არი ამაში ვეშჩი ჩაწყობილი. მიიხედ-მეიხედეს, მარა ვერ შეამჩნიეს, თუ რამეა შენასული.

რო წვეილოდენ კახაკები, თვარიან ლამეში ამეილებდენ ამას და ჰაერს უჩვინებდენ, რო სიო მოხვთეროდა. ჭური ასირისტეფს მატერიეაფს.

კახაკები კითხულობდენ: იციო, აფრასიონი სა არი? არ ვიციო, რო ეტყოდენ. გადუჭირებდენ გლეხს მათრახს.

აფრასიონი გაქცეული იყო. სვერში მოკლეს. აქ რო აპოჩენილიყო ის, სულ მოანადგურებდენ აქოურობას.

აფრასიონს ყავდა ძმა მოხუცებული და, რო მივიდენ მისი სახლის დასაწვავათ, ბედელში არი ესე. ეცა ასლანი, აფრასიონის ძმა, ხიშტი კახაკს, ეიქნია და, მალლა რო მოხვთა მერჩში, ხიშტი დარჩა შიდა, ველარ გამოაძრო იქიდან. არაფელი არ უქნეს. როგორც რო მოხუცებული იყო. არ გოულახავთ. სახლი გადაწვეს.

მას უკან გეიმარჯვა რეაქციამ და ბევრი დასაჯეს.

(სოფ. ჰალატყე)

17. ვინახის ავადმყოფობა

— ჩვენ სოფელს ფუთი რატო ჰქვია? აქა ფეხით კი არა, მანქანით შამოსელაც ბევრს ეზარება. მამცემიანი სოფელი კია, მარა, რო ადგები ზეზე, თუ ახალი ნაწვიმარია, ფუთი ტალახი დეგედება ფეხზე. ამიტომ ქვია ფუთი. მართლა აგრეა ეგე.

თურნა დინარეა, აქედან მოგვდის. ბორიმელა სოფლის თავშია, იღმის და ფუთის საზღვარზეა. თურნა უერთდება ბორიმელას. ბორიმელა მოდის ხიდრის და ვარძიის კუთხეებიდან და გაშოდის პორის კუთხეში. ბორი ვაკე აღვილია და იქ მიიფანტ-მეიფანტება. ბორი ქვია სოფელს და, როგორც მელა. ისე მიიპარება ამ ვაკეზე. ანტონ ქვია ბორიმელა.

ჩვენში ვარგოფს ვენახი. მოსავალიც კარგი იცის, მარა ხანდისხან ევამტყოფობაც იცის ვენახმა და ნაკლებ მოსავალს გადალევს. შავ-შავი ფიფქი მიეყრება ფოთელს და ტევახს. ამას ქვია სუფარიანა. თუ შოუწამლავ ვენახზე მოგვასწრო წვიმამ და უცემ მზემ დახედა, დაწვავს ფოთლეს და ეს არი ჭრაქი. სადანაც სისოვლე ექნება ფოთელს, აქანა გახვრიტავს.

როდესაც ქვენაქრით წვიმები გახშირდება, იქიდან მოზეროდ ქარს მოაქ პტვერი და ეყრება ვენახებზე. უჩიება ვენახს ნაცარი.

(სოფ. ფუთი)

18. კაპალას წყარო

მე გამიგონია მოსია ჩუბინიძიდან, აჯამურა ამ ღელეს რაცო დეერქვა. იმდონათ მე აღარ მახსოვს. მონასტერი რო არი, სახტარი ყოფილა კიდე იმის იქით. ბერები იყვენ მონასტერთან წყალი რო გადმოჩქერს. იქიდან დაცხეს თურმე თათრებმა. ერთმა დეიძახა: აჯა ბიჭო, აჯან ურათ და დარქვეს აჯამურა ამ ღელეს. ღელე მარტულა ერთვის აჯა-ზურას. მარტულა ყოფს ტაბაკინს და ბლოურდანეთს. ბლოურდანეთი კვალითს მიეკუთვნება.

სამონასტროში ბერები ცხოვრობდენ, ლოცვილობდენ იქა, უმფროსობდენ, პყრობდენ იქოურობას. ხალხიც აღიოდენ იქა და ლოცვილობდენ.

დათიას სერი რო ქვია, იმ თის კალთაზე ვიდაცა დათია სახლებულა. აგერ მეორე თაა, კაჭალას წყარო ქვია. კაჭალა ყოფილა ეგერ სერზე დასახლებული. კაპიტონამ ჩამეიტანა ი სერიდან ქურები. კაჭალა გვარი ყოფილა. მერე დეერქვა კაჭალას წყარო. კაჭალა ზეით სახლებულა, ქურები იყო იქა. მუხებცი აღმოჩნა. ქორი იყო ერთნაირი, დაფრინავდა და ჯდებოდა ხეებზე. იმ ხის ნაფოტა რო დაგეცეს, დამბლა მოგივაო, წმინდააო, — ამბობდენ.

ეგრავინ ის მუხები ვერ მოქრა. გამევიდა სიმონკა, მოჩეხა და წეილო სახში. აპა, აპა! არაფელი მოსვლია.

წინათ კაცები ხნავდენ, სიმითს თესავდენ, ყურძენი მოყავდათ. ქალები ნაკლებათ მუშაობდენ. ოჯახს უვლიდენ, ქსოვდენ სამოსელს. რაც მახსოვს, აგერ 82 წლის კაცი ვარ, სულ ასე იყო. ე იქ სერები რო

არი, იქ ქონდაყე ყანები და უნდა მიეტანათ ზურგით საკმელი. შე სა-
ქონელს უღეჭი.

სიმილი ჩამოქონდათ ზეიდან გოდრითი.

ხეზე იყო ასული ყურძენი. მალლარი იყო, წამლით არ აკეთებდენ.
ხეზე იყო ასული თეთრი ყურძენი. კამური რამდონიც უნდა ეჭამა
ხალხს, იყო. ვანიჩქა ფერაძეს ახლაც აქ კამური. მალლარი ჯორა იყო.
არც ძაან თეთრი. არც ძაან შავი. მარტვა მალლარი კ'არ იყო, სხვა ვე-
ნახებიც ქე იყო.

(სოფ. ტაბაკინი)

19. ჰაკვიანი და სულელი ძმა

იყო ორი ძმა. ერთი იყო სულელი, მეორე — ჰაკვიანი. წვეილენ და
ნივილენ დეტან. დევს უთხრეს, რომეო: მოსამსახურე ხომ არ
გინდათო?

დევმა უთხრა: მკირდება მოსამსახურეიო.

მორიგდენ და დარჩენ. დევმა უთხრაყე: მე მყავს ერთი მოხუცე-
ბული დედაო, ამას უნდა მოუაროთ თქვენეო.

გათენდა დილაი და დევი მიდის სანადიროთ. ახლა ერთი უნდა წაყ-
ვეს ამ დევსა და ერთი უნდა დარჩეს ბებერთან. შეილაპარაკეს ამ ძმებ-
მა:

— მოდი მე წავალ და შენ იყავი შახშიო, — სულელმა თქვა.

— კარქიო, — ძმამ უთხრა.

წეიყვანა ე სულელი ამ დევმა და წვეიდა. შეიტანეს ნანადირები
ექიდან და უთხრა დევმა დედას: კარქათ მოგიარაო?

— კიე, კარქათ მამიარაო.

ახლა, მეორე დღეს, ე ჰაკვიანი უნდა წაყვეს და ე სულელი უნდა
დარჩეს. დოუბარა სულელს: ამ ქვაფში წყალი გაათფე, ამ ქვაფში
ლომი შამოკიდეო.

ქვაბი აქთ სარახე და უნდა შეედუღებია წყალი ამ ქვაბითი. ამან
ერთში წყალი შემოკიდა, მეორეში ღომი გააკეთა. ბებერს ტანს არ
ბანს.

— რა ქენი, შვილო, შეიტანე ე წყალი და დამბანე ბარემლაო.

— შეიცადე, არ გამთფარაო.

რო დეიწყო ჩუხჩუხი უთხრა: ახლა მოწყტა ღოჯი წყალსო.

— გადმეიღე, გადმეიღეო.

ადგა ე ბებერი, დააჩინა ტაშტზე, ამეიღო ე წყალი დიდი ორშიმო-
თი და დაასხა, მოკეტა ე ბებერი. ამას მოშეინაო და ღომი გამოუსვა
პირში. ნამდვილათ მუცელი ეტკინა ამასაო და კეცი გაახურა და დაად-
ვა.

ნანადირები რო მოაქეყე, ჭკვიანმა იფიქრა, მარცხი არაფერი ქნასო, და დევს უთხრა: მე წავალ წინდაწინაო და, თუ რამე მოსახმარებელი აქ, მევეხმარებო.

— რავა არი, ბიჭო საქმეიო?

— ღომი ქე იხარშებაო. ამას მოშივდა და ღომი გამოუსვი პირში. მარა ვერ გადაყლაპაო.

— ეს ქე მოგიკლავს შენე და ღომს გადაყლაპავდაო?

— რას უნოფ, კაცო. შენეო?

— მადანა მოდი, კ'არა, წამოდიო.

ამ სულელმა წამეილო ქვაბი და მოდის. მივიდენ წისქვილში. ბუხარი არი იქა და ჩამოკიდა ე ქვაბი. ე ჭკვიანი მივიდა და ჩაძერა ხეიმი-რაში.

მევიდა დევი. ბებერი კეტარია. გამოუდგა და მოდის. დეინახა, რო ამ წისქვილში სინათლე კიაფობს. მივიდა, დააკაუნა კარებზე.

— ეო, — დოუძახა, გააგონა.

— გამიღე კარებიო.

— ვინ ხარ შენეო? — გაალო კარები. შამევიდა დევი. დოუკვირდა. ვერ იცნო.

— შენ ხ'ვარ იყავი, დედაჩემი რო მოკალიო?

— დეიწი უკანო!

ამ ქიჩმაჩში რო არიან, გოუშალა რკინის ასახვეველა, სდვა ამ დევს და მოკლა. გედერირა ე ჭკვიანი: ბიჭო. მაგას ცმები ყავს და ხო დაქე-წყვიტავსო, გამეიარე მალეო!

— მოდი აქა, ეს წისქვილის ქვა წამაღებე, დედაჩემს კვირისტავათ გამოადგებაო.

— რას უნოფ შენეო?!

ამან ეილო ეს წისქვილის ქვაი, წამეილო ქვაბი.

იარეს, იარეს და მივიდნენ მიდორზე. ამ მიდორზე ერთი ხეა. თელ მიდორს ფარავს. მევიდენ ამ ხეზე და შევიდა ე ჭკვიანი. ამ სულელმა ეილო ქვა და ქვაბი და ეიტანა ზეით. ხედავს. სამი შემქდარა ცხენსუ და კაი ნაბდეფში განოწყობილი მოდიან. მევიდენ სამივეი, ჩამევიდენ ცხენებიდან, გაშალეს ნაბდები და დაყარეს ფული სულე. თურმე ესენი ყოფილან ყაჩაღები და ფულს ყოფენ. რო გაყვეს ფული და არჩევანს ღებულობენ, წამევიდა ქვაბი ძირე და შეშინდენ ყაჩაღები და გეიქცენ. ჩამევიდენ ესენი და წამეილეს ფული შახში.

(სოფ. ტაბაკიან)

სამი ძმა კაცი იყო თურმე ობლათ აუზდილები. ორი დაცოლჰვილდა. უნცროსი პატარა არი, უნდა ეიზარდოს რძლეთან. დროთა განმავლობაში რძლეთს შეძულდათ ე პატარა მაზლი. შეილივით რო ელენარდათ, მის მაგივრათ ატირებდენ. მევიდოდენ სალამოს სახში ე მათი ქმრები და ე პაწია ბიჭი შიშით ვერაფერს ეტყოდა. ვითომ იმ ღამეს ქე მიიღებდა ვახშამს, მარა მორე დღეს ისევე-ისე იყო. რო შეჰამონ რძლებმა მისი ხორცი, არ ენანებათ.

წასულან ძმები სამუშაოთ შორს, თითქოს იმ დღეს არც ქე ბრუნდებიან. ამათაც დრო იშოვეს, მაზლი დოუქლავთ, მოუხარშიათ ხორცი. დაეცილ სახში მოუჩუმათებიათ ეს ამბავი. არაფერი აღამიანი არ ყუროფს ამას, ხოლო ყუროფს მარტვა მზის სხივები. რაცხა მხრიდან შამოსულა სახში და ის დაჩერებია ამ ამბავს.

ამეიღეს ე მოხარჩული ხორცი და ჰამენ. ისევე მზის სხივები ყუროფს. რაც ვერ შეჰამეს. ბოსელში შეიტანეს. ოუჩროვიათ ჰერი და ჰერჰევე რო მიწა არი, დოუმარხავთ. ჰერი გადუხურიათ.

მოსულან ძმები. — სა არი ბოვში? — უციხხავთ.

-- არ ვიციითაო.

ღეიწყეს ძებნა. — გაგვიზადეთ პურ-მარილი, წავალთ და ეიშოვი-თო.

ქვეყანა შამოუვლიათ და ვერ ნახეს. ბოლოს მიადგენ ზეცას, მზესთან უნდათ ზისვლა. გამევიდა მზის დედა გარეთ და უთხრეს: გაგვათევიე ღამეიო. — მე მზის დედა ვარაო, ჩემა შეიღმა არ გეიგონოს. თვარა დაქწევავთო. -- შესაცოდებელი ხალხი ვართ და ღამე გაგვათევიეო.

დედა მივიდა მზესთან და უთხრა: შესაცოდებელი ხალხია და ღამე გაათევიეო.

მზემ უთხრა: მე ვიცი, ვინ არიენ, მარამაო, ისინი რასაც ეძებენ, ვერ ნახავენ, თუ არ წეიღეს ჩემი პირის ნაბანი წყალიო (ხო ვაგიგია. მზე პირს იბანაო).

ღელამ შეეხვერწა: მიეცი პირის ნაბანი წყალიო.

— აჰა, მევიდონ და მე დამელაპარაკონო.

უთხრა მზემ: მე თქვენი ძმაი ვიციო. მე ვიყავი თანჯრეფში შესული ცოტეთი და ნავხე, რო ქვაფში მოხარშეს თქვენმა ცოლებმაო. ჩემი სხივების მეტი იმათ ვერევიენ ვერ ხედავდაო. რაც შეჰამეს, შეჰამეს, დანარჩენი ბოსელში დამარხეს, ჰერჰევეშაო.

შედით ბოსელში, აანგრიეთ ჰერი, მიწა ამოჰვრით, ნახავთ იმ თქვენცტარ ძმას დამარხულს. ამეიღეთ, გადაასხით ჩემი პირის ნაბანი, ნელ-

ნელა, ისევე შეერთდება. ადგინდება სხეული, თქვენი ძმა გაცოცხდება, თქვენ ცოლედს რა პასუხიც ეკუთნით, ის გვეცითო.

წამილეს ამათ პირის ნაბანი წყალი მზისი, გააცოცხლეს ძმამ და თავის ცოლები მოკლეს ორივემ და ჩაყარეს მიწაში.

(სოფ. ტაბაკინი)

21. ტაბაკინელთა საუბრიდან

— მარუსა, დანაი რომელ გვერდზეა?

— კერიასთან აგდია, მაგერ.

— ხო, ხო, რა ლაღანოდს ჯირკი! ჩვენსა გაკვივებაა ახლა ჭადის ფქვილზე, წისქვილი გაფუტბა ერთი კვირეა. ხო გასწავლე, გოგო, ხა-ჰაპურის კეთება?

— ბატკუცა გოგოა, ჯერ ვერ იხერხედს ხელში მარჯვეთ საქმეს.

— უშანგია შემხვთა. იქიდან მოსელია წერილი. ვინძასა გოგოდანი...

— მე ვერ ვკამ პიმპილიანს და თქვენც ტუჩს უზუებთ? საქმელს რო ვუკეთედყე, ქე ვკმაზავ პიმპილით, მარა მე არ მიზთება. რქე არ მწყენს, მარა სა არი! არ მყავს ძროხი. ღაჩოული რო ეყყავი. ახლა მე-ხიშტება.

— მანა იყო კობზი, მამუცი! რაფარც ვატკოფ. კუჭი უნდა მაწუხებდეს. გამამიწერეს წამალი. მარა ზინაზასავეთ არი.

— იქნება კიაა?

— რა ვიცი. პაწია როდინივით ქონდა დედაჩემს ზვარასანისთვინ და ქონდა კიის წამალი გამზადილი სულ. ახლა სალა იშოვი!

— საბნიელი არ ჩამომიგდო, გოგო. შენე! ქე კამა ყურძენი ემან და ახლა სალა მიტოტყიალოფს.

— ე ღვინო ქე ამიპოლიკდა თავში.

— ოცდაათი კილო მევიდა აფრასიონისი?

— კიე.

— კიკიასი?

— არ ვიცი, რამდენი იყო.

— წადი, ბიჭო, თუ დადგა იმ ქათამა კვერცხი, ნახე.

(სოფ. ტაბაკინი)

22. ვაჟა და დოვლათი

დოვლათი არი ვაშლისნაირი და გზაზე მიგორავს. შეხვთა ჰკუა წინ. ჰკუა არი თვალუჩინარი. დოვლათი არი ჩინებული. ვაშლივით მიდის.

— გამარჯობა! — უთხრა დოვლათმა.

— გავიმარჯოს! — უპასუხა ჰკუამ. ვინ ხარ, რა ხარო? — შეეკითხა.

— მე ვარ დოვლათი. ჩემი ფასი ქვეყანაზე არაფერი არ არიო.

— შენე, შენ კაი ხარ, მარა მე გჯობივარო, — უთხრა ჭკუამ.

ღანიძლავდენ და წვეიდენ გზაზე ერთათ.

— გამარჯვება მისი იყოს, რომელმაც აჯობოსო. ერთმანეთს არ დევნებართ და ვნახოთო.

იარეს. მოდის ერთი მემცხვარე. თაში ნაგდებია. ხოდა, დოვლათი რო დეინახა, ტაცა ხელი, ეილო და ჩეიდვა ჯიბეში. ამ დროს ჭკუა მოაკტა, ჭკუამ დატოვა და განზე გადგა. დოვლათი მიაქ, მარა ჭკუა აღარა აქ. ჭკუა უყურეფს, რას გააკეთებეფს მარტო დოვლათი.

მემცხვარეს შეხვთა ნეფე წინ, ეილო და აჩვენა დოვლათი. შეფეს შეეწონა და აჩუქა დოვლათი. ნეფემ უთხრა: რალაი ასე პატივი მეცი მეო, მეც მინდა დაგასაჩუქროო. — მე არათერი არ მინდაო, — მემცხვარემ უთხრა.

— არა, ოქრო მაინც წვილეო.

— არაო.

— აბა ჩემ ქალიშვილს მოგათხოვეფო და მეფეთ შენ დაგაყენეფო.

— არ მინდაო.

ჭკუა აღარ აქ. აბა რას იტყვის!

ხემწიფემ ძალით გაატანა თავისი ქალიშვილი. დოვლათი უდევს შეფეს ჯიბეში. ე კაცი არი ტომარივით ამ ქალის გვერდით. არც დღე ეკარება და არც ღამე. შვილმა უთხრა მამას: ვინ არი ე ოხერიო! გვეიდა სამი-ოთხი დღე და ეგ ჩემსკენ არ იხედებო.

გამეიყვანეს ე კაცი, სახრობელაზე უნდა დაახრონ. ახლა ჭკუამ უთხრა დოვლათს: ხო ხედავ, უჩემოთ კაცი სახრობელამდი მივიდა. მიდი შენ და ახლა მაინც უშველეო.

— მე ვეღარ უშველი, დაახრონო!

ჭკუას შეეცოდა კაცი. მივიდა, დაეპატრონა და კაცი მაშითვე გონივრულათ ალაპარაკტა. მეფეს უთხრა: რათა მკლავო, 2 სიტყვა მატქმევინეო. ხემწიფის ქალიშვილი რო ჩემი ცოლი გახდა, ამან ისე გამაბედნიერა, რო არ ვიცი. როგორ გამოვხატო ესო. მორიდება და ხათრი მაქ მეფე-დედოფლისაო. პირველი ღამე ქალს ვაპატიე, მეორე — დედასა, მესამე — მამას, მეოთხე — ნათლიეფსაო. ახლა ჩემ ცოლს მოვკადღე ხელს და წავიყვანო. ამას ვის დავანებეფო.

მეეწონა მეფეს სიძის სიტყვა და სახრობელიდან ჩამეიყვანა, გაათავისუფლა.

ასე აჯობა ჭკუამ დოვლათს.

(სოფ. ტაბაყინი)

— აა, ლევანა, მიდი ჩქარა! ძირს თვარ ეიღე ტაროი; ქე ყრია და ის არი

— მევიყვანოკე ქალები?

— იციენ და მოვლიენ. ნაკლულა ძარი მეზარება!

— გავავსეფ. ამას უყურეფ პაწია ხან. ჩევიდენ აგერ ბოლოზე.

— მიგსია სუყველა სამკელს და კონით არ კონის ერთი კაცი. მოვკონოთ ახლა ესე.

— სადანა არი ჩემი ძარი?

— სადანა არი და აგერ არი. გამსილია.

— დაამატე ცოტაო.

— ჩამოდი ისევე. რა გინდა? მე მარტვანა მოვმკევი იმხელა ყანა.

— აქა ისევე ძარითი? სათესური არა მაქ გატანილი.

— ამალამ ე ფუჩეჩი ხო გარეთ გექნება შენე?

— მე ვტეხო მარტო? სამეტნაოს ქარაჟინ მაძლევს!

— მე ჩავმკი ამ ჩალას არ მეხერხება მოკონაი.

— დაბლა ყანა უნდა მეეტეხათ გუშინ. კაი ალო იქნებოდა. ახლა ღურბელი წამევიდა ისევე.

— აქანა სულ ნარჩიელაა დატოვებული, ხამსილა ტაროები. ლასტი ტაროები ქე გადაარჩიეს და წვილეს.

— დარჩა კიდე მადა? შეხედე მადან, გოგო!

— კიე!

— მაგას არ ენდო, არაქველა საქმე იცის.

— რატო გინდა გეჩხუბო. მე არ ვბოჭდი თელი დღე ჩალას?

— უშანგია, სადაა გოდორი?

— თენგიას აქ, თენგიას, ბიკო! რა ბელუხა კონებია!

— აღრე რო დეგვეწყო, მოვრჩებოდით ჩალიან-სიმიდიანა და წამუშევარი ემგვანებოდა წამუშევარს!

— ხო ავწონით ახლა სიმიტს ხვალე?

— შენ ვინ გეთხრა, ჩალა მკევიო?

— რავო ვქნათ, იცო? ცალ-ცალკე დააყენეფ, თვარ იმუშაონ.

— გამოვლიხოთ ჩალა აქეთ. მობოჭეთ ჩალის ფოთელი?

— ეს უნდა დააყარო ზედე.

— ურემი წევიდა თავყანთაი. სადანაა სიმიდი დარჩენილი?

— შეხედე, ქუბლაა დადგმული.

— რაზე ქვავსეფ ე ურემები აქა. ოუშვით ხარები და წადით სახში.

24. ბავშვობა

ოთლო, თითლო, ოთხო ბოჯგო,
მალლა მთაო სათიბაო,
დაბლა წყარო საღინარო.

(ცხვარი)

წიწი-წიწი წიწი ვაშლი, ხეს აბია მიწი ვაშლი,
არც ისმება, არც იკმება, არცა კაცი შეისვლება.

(ანწლი)

(სოფ. ტაბაკინი)

25. სულელი ძმა

იყო ორი ძმაი. ერთი ჭკვიანი იყო, ერთი — სულელი. ყავდათ ბევრი თევზი. ეს თევზი ხან ერთს უნდა ემწყესა და ხან მეორეს — თაში. წეიყვანა სულელმა ძმამ თევზი და თითონ ვაშზე შევიდა. ვაშლი დაარხია და თხეფს დოუძახა: რომელიც არ შემინახავთ ვაშს, სუყველას თავეფს დაქკრიყეო.

ერთ თხას რქეფში გახირებოდა ერთი ვაშლი. რო ჩამევიდა სულელი და ნახა, რო თხეფს ვაშლი არ შოუნახათ, სუყველას მოკრა თავი, ხოლოთ ერთი დატოვა.

ახლა მეორე ძმა წამევიდა სამწყესავათ თაში და თავის სულელ ძმას დოუბარა: ბებიას მოუარეო. სალამოს ფეხები დაბანეო.

მოდულა სულელმა ფაფა თუ რაცხა და უთხრა: ეს კამე და მერე ფეხეფსაც დაგბანო. მოხუცმა საკმელი არ კამა. ბიჭმა აადულა წყალი, აწიკა ბენერი და გაუძახა შიდა. ბებერი დეიწვა, მოკეტა და სიმწროსაგან კბილები დაკრიკა.

როდესაც მევიდა ძმა და ნახა, რო ბებია კეტარი იყო, კიონხა სულელს: რა დეემართა ბებიასო?

— რა დეემართა და ფაფა არ კამა. მერე, როცა წყალი ოუდულე, ფეხები ჩაკრა წყალში და ახლა იცინისო.

(სოფ. ტაბაკინი)

26. ენალიკლიტა ქალი

იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. ერთ სალამოს ცოლ-ქმარს დაეძინა. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, ადგა ე ქალი ზეზე და გამეიხელა გარეთ. თურმე ყაჩაღები იყვენ სახთან და ყოფდენ ფულს. ბანკი გეტეხათ. რო მეესმათ ამ ქალის ხმა, ყაჩაღები გეიკენ და ე ფული გე მიატოვეს. ქალი გევიდა და დეინახა ე ფული ეზოში. შამეიტანა სახში.

მორე დღე რო გათენდა, ამ კაცმა იფიქრა: ჩემი ქალი ცოტა ენა-

ლიკლიკაა. არსა თქვას. რო ეს ფული ნავსეო. მოატყუა და უთხრა: დღეს იქნება მორეთმოსვლიო და კურში უნდა ჩაქსნაო, რო არაფერი მეიწიოო. მალლიდან ისეთი კოხი წამოვა, ქე მოქკლავს, თუ ზეით იქენიო. ჯერ შენ ჩაქსვამ და მორე კურში მე ჩავალ მერეო.

მალა ჩასხა კურში ე ქალი და დააფარა ტაშტი თავზე. დააყარა სიმინი ტაშტზე და მუუშეა ქათმები. ქათმებმა რო დეიწყეს სიმინის კეკა, ამ ქალს მორეთმოსვლა ეგონა. კურში იყო ე ქალი ერთ დღე-ღამეს.

მორე დღეს კაცმა ამოუშვა ქალი. ქალი დატრიალდა გეზობლეფში და ყველას უთხრა ფულის ამბავი: ნახე ამდენი და ამდენიო.

წამევიდა პოლიცია და მევიდენ ამ ქალის სახში. კაცს უთხრეს: ფული უნახია შენ ქალსაო და გამეიტანე ჩქარაო.

— რას ამბოფ, შე კაცი, რის ფული? რა ფული? ე ჩემი ქალი სულელია, მაგის სიტყვას რავა ჯერაეთო. აბა, შეეკითხეთ, როის ნახა მაგან ფულიო.

შეეკითხენ მართლაც და ქალმა უთხრა: გუშინ მორეთმოსვლა რო იყო, მის წინა ღამეს ნახეო.

მორეთმოსვლა რო გეიგონეს, თქვეს, ე ქალი ჩვენც გვატყუეფსო. სა იყო გუშინ მორეთმოსვლაო და წევიდენ.

ასე დარჩათ ეს ფული.

(სოფ. ტაბაინი)

27. არც თავს, არც ბოლოსა

იყო ერთი ღარიბი კაცი. ბევრი შვილები ყავდა. ოჯახს ვერ ართმევდა თავს. უქირდა ცოლ-შვილის რჩეხა. უთხრა ცოლს, რომეო — წავალ ღმერთთანაო და ვკითხავ. რანაირათ უნდა ვარჩინოთ და ისე მოგეპყრობიყე მერეო.

წევიდა ე კაცი. დიდი ტყუს პირათ ერთი კბილებდაკრეკილი გელი დახვთა წინ. გელმა უთხრა: ა, უნდა შექქამო, ეს არიო!

კაცმა უთხრა: რაზე იდევ ჩემ საცოდაობასაო. ცოლ-შვილი შიმშილით მიწყტება და ღმერთთან მივდივარ რჩევის საკითხავათაო.

— რალაი ღმერთთან მიდინარაო, მიქენი საკეთე, ერთ მოციქულობას მეც დაგაბარეფ ღმერთთანაო. ზატხულში რო გევიფტკვენები და სიცხე მწვავესაო, ზამთარში რათ ამამდის ბუმბლიო. რა ეშველება ამასაო? ამის პასუხი წამამილე ღმერთიდგანაო, რალაი მიდინარო. შენ რო გამევილი, აქანა ვიქნები და, რასაც გაბარეფ, წამამილე სწორი პასუხიო.

წევიდა ე კაცი. გეიარა კაი ნაიბი გზა. აქ დახვთა სამი ძმები. ერთი ხის ქვეშ იყნენ თავმოყრილი და ვენახს აქიმობდენ შაბიბნით. ერთს ეკიდა მაშინა და ორი წყალს უწიკავდა. ახლა თურმე საკმელათ ჯილა-

რინ. მიაწოდეს ამ კაცს ერთი ჰიქა ღვინო და პეტერა კადიც. კითხეს: სა მიღიხარ შენეო?

— ღმერთთან მივდივარ სათხოვნელათ, რო რამენაირათ ვარჩინო ცოლ-შვილიო.

— რაღა იქ მიღიხარ შენეო, ჩვენ მაგორათაც კითხე: წყლის წიკვით ქვეყნდება წელი და იქნება ახლოს ამოგვიჩინოს წყალიო.

წვიდა ე კაცი. ღვინახა, ერთ კაცს წყლი პირას მაგიდა აქ გაშლილი და წიგნები უწყვია ზედე. ამ კაცს თავი დოუქრა.

— რა გინდაო? — კითხა. ამ კაცმა უთხრა თავისი გულის სიმაართლე: ღმერთთან მივდივარო.

თურმე ეს კაცია მებედისწრე. იცის, სად რა ხთება. მებედისწრემ უთხრა ამ კაცს: კაცო, შენ ხ'ვარ გადვირიეო? ღმერთთან სხვა ვინ მისულა, რო შენ მიხვიდეო? დაბრუნდი, სიდანაც მოსულხარ, იქით წადიო!

ამ კაცმა იფიქრა, ალბათ, ეს არი ღმერთიო და უთხრა: კი, მაგრამ, ბატონო, მოციქულობა დამაბარესო: სამი ძმა კაცი მუშაოფს, ვებერთელა ვენახი აქთ და ძალიან შორიდან წიკავენ წყალსაო. რა ეშველებათო?

მებედისწრემ უთხრა: იმათ ვენახთან რო დიდი საჩერობელი ხე არი თუთისი, სადანაც ისინი ჯდებიან, გაქრან ერთი საჯენი მიწაი. ზეით ოქრო ამოჩთება და ქვეით წყალი ამოფუხტუხტება ოქროს ქვეშო. ოქროი მეიხბარონ, რათაც უნდათ და წყალი ვენახისთვის იხმარონო.

ამ კაცმა უთხრა: კიდე გელმა დამაბარა მოციქულობაო: ზაფხულში სიცხე მწვავეს და ბუმბლი არ ამომდის, ზამთარში კი მაქო. რა ეშველება ჩემ საქმესაო?

— შე საწყალო, — ე მებედისწრე ეუბნება, — რაც თხა-მცხვარი ქავდა, იმან შეგიჰამა შენეო და იმისთვის კიდე საშვალობას ეძეთო? მიდი ფეხაკრეფით, დაძინული რო იქნება გელი, დაარტყი კისერში, დანაი რო ქვიდია წელზედაო.

დაბრუნდა ე კაცი უკან. შეხვთა სამ ძმას. უთხრა, რაც დააბარა მებედისწრემ. სამი ძმები ჩვენა ვართ, მეოთხე შენ იქნები და მოდი. მოგვეხმარე მიწის ამოთხრაზეო. რაც ოქროს ნახავთ, ნახევარი შენი იყოსო.

ამ კაცმა უთხრაყე, რომეო — მე სადა მაქაო ამის დროიო, გელმა დამაბარა მოციქულობა და იმას უნდა მუშუტანო თქვენსავით ამბავიო.

მივიდა გელთან. გელი ღამე ნანადირალი რო არი, მაგრათ არი დაძინებული. მივიდა ე კაცი, დაარტყა დანა კისერში, გამოჰრა ყრონქი და ქარ მოკლა გელი?!
.....

— შენ შეგპამე ჩემი თხა-მცხვარი და ახლა მე შეგქვამო. მიიტანა კვტარი გელი სახში. ცოლს უთხრა: ახლა ეს უნდა შეგქვამოთო, ჩვენი ცხვრებით არი გასუქებულიო.

გაატყავა გელი, ჩაადგა დულარეში, ხარჩა. მერე ჭამეს. უმი იყო თუ ისე, აწყინა, გაღირიენ, კვტება. კაცი იძახის: კაცი ან არი თავს ან ბოლოსაო. მე არც თავს ვიყავი, არც ბოლოსაო! სარჩოს ვეძებდი და ქარ დაეწყვიტე თლათ ცოლ-შვილიო!

(სოფ. პირველი სერია).

28. მემინდღე და მოხმარხებული ბიჭი

ძაან სიძვირე ყოფილა ერთ დროს. ერთი ბათფანი სიმიდი ქონია ერთ კაცს და ერთი ბიჭი ყოლია.—დაეფქვავ ამ სიმიდსაო,—შვილს უთხრობია.— შენ ვერ დაფქვავო,— მამას უთხრობია,— ამასაც წაგართმევენო.— ვერ წამართმევენო.

წასულა ბოვში წისქვილში. მემინდღე ყოფილა და ი ბოვში მარტვა. საკმელი არ ქონიაყე.

— გავაკეთოთ ერთი კვერიო, — უთქვია მემინდღეს. უნდა ბოვში მოტყულდეს. საფენელი იქნეს შენი თუ სანელებელი?

— საფენელი იქნეს ჩემიო, — ი ბიჭს უთხრობია.

— კარქიო.

ოულდუღებია მემინდღეს წყალი. ჩოუყრია ბევრ წყალში ერთი მუჯი ფქვილი. ყრის და ყრის ახლა საფენელათ ამ ბიჭის ფქვილს. დახარჯა ამ ბიჭის ფქვილი თითქმის. გოუკეთებია დიდი ჭადი.

რო გამოცხვა, ბიჭს უთხრა: რომელიც უფრო დიდ ტყუილს ვიტყვით, იმას ქონდეს ე ჭადიო.

დეიწყო მემინდღემ: მამაჩემს ყავდა ერთი სკაო, ყოველ დილას გარეკდაო, სალამოს 3 ფუთ თაფლს ჩაასხამდაო.

— მეტი არაფელიო, — ბოლოს თქვა.

ბიჭმა დეიწყო: ბევრი პური ქვქონდა დათესილი, ვეიდოდენ, ნახთენ და იყო პური ჩაფენილი. გარეული ღორი იყო თურმე შიდა და უქამია. ბაბუამ უთხრა მამაჩემს: წადი და ნახე, რავა არი ის პურიო.

— თლათ დოუფენია ძირს რაღაცასაო.

— უნდა წვეიღეთ მოსამკელათო.

წვეიღენ მოსამკელათ. 100 უღელი სკა ყავდა ბაბუასაო. რო მკიდენ, დეინახეს, რო შიგ იწვა ღორი. მოუქნიეს ნამგალი და წააპრეს თავიო. დადვეს სამ უღელ სკაზე და მეიტანეს. დაეამარიღეთ და ორ ზამთარს გვეყოო.

დაიკარგა ე ბემინდელი. ამან მეტი ტყუილი ილაპარაკა რამდონი!

— რომელი მეტიაო? — ბიჭმა კითხა. თუ ჩემი მეტიაო, მაშინ პატარა ბიჭს კვერი და მემინდეს — პტვერიო.

წამოავლო გამომცხვარ ქაღს და თავის ქეილს ხელი და მეიტანა სახში.

(სოფ. მეორე სერი)

29. ბამოცანა

აქ წყალი რო ჩადის, შაველა, ის ყოფს სოფელს ორ ნაწილათ. უმელ ერთი სერი იყო. არტელების დროს გაანაწილეს.

დაწერე, ერთ ბამოცანას გეტყვი, მანა:

ვინ იყვია, მას მიეცა გულთაშინა სისარული,

სახელ გეტყვი, სოკო არი, მეც ვარ მისი მოყვარული.

(სოფ. მეორე სერი)

30. კაფია

ზმაი იპოლიტემ იცის. იპოლიტე უმფრო მდინდარა კაცია. კაფიას ერთი ვერ იტყვის, მორე კაციც უნდა იყოს. დიდი კაპანია რო არი. უნდა მეიგონო რაცხა მისთანაი, რო იცინო. კაფიები ვიცოდით, აპა! მიხაკო არი ქურაძეი. მაგას დათასი მართეფს ერთი ქური ღვინოი. ჯერ არ მოუცია. კაცი რო დაქპაიჯეფს. მოლხენა უნდა, კაი ზმაი. სუ შრომა რავა შეიძლება.

იპოლიტე: — მე შენ უნდა გეთამაშო და მოგიგო კარტში.

დათა: — არაფელი არ გეტკინოს, ტანი დეიბანე წყალში!

იპოლიტე: — ისე ღონიერათა ვარ, სანადიროთ წავალ თაში.

დათა: — შეშაი ჩამომიტანე, რო ყველას აჯობოს კვარში, ანიჩაიც წეიყვანე, არ დავარდე მარტვა გზაში.

იპოლიტე: — დათა, შენეც მამეხმარე, ამომიდექ ხარში, თუ გინდა მიხაკომ მოგცეს თავის ფული ვალში.

დათა: — წინ, წინ ხშირათ დეიხედე, არ ჩავარდე წყალში რღმაში, ჩვენ საქმეს ჩვენ ჩავასწორეფთ, როდის დაგიძახეთ თავში.

იპოლიტე: — ყვირილაში თუ ჩავარდი, თევზ მაინც დევიქერ ფშანში.

(სოფ პირველი სერი)

31. საქონლის ავადმყოფობა

თურქული ფოლეს დოუხსნის საქონელს, ქეც წააძროფს. ახალი ფოლი წამოუვა, მარამ ის აღარ ვარგა. ანლათ თუ შეხვთა, ლორწყვას დეიწყეფს და ფოლი აღარ აძვრება. ანლათ მეიხთის უძფრო.

ციებაც გლახაა. ხუზარა რო შეეკმნება, ისიც ძაან მაჰნეზელია, წყვეტს საქონელს. ახლა აცრავს მისი. წინათ ქე კლემდა საქონელს. ავათ იყო და არ სვამდა და არ ჭამდა და მერე მოკლემდა, სიცხე დაწვავდა.

სისხლიც მოუვლის საქონელს, უნაიროთ გაბერავს, ელარ ჭამს და, ეჲ ყურს გოუჭრი ან ლოცვა იცი, გადაარჩენს ისი. ყურს გოუჭრი, ლაკრავ ატმის ჯოხს და გამოვა სისხლი.

ცხვარს და თხას აქ პეპელი. ახველფეს უნაიროთ და იძიახი ცხვარი რო დაკლა, ღვირძლზე თლა პეპლები აქ.

თურქული შეხვება ცხვარსაც.

ღორთი ხოკი იყო. ახლა და ახლა ღორის ჭირიც ქვა. ოუტრიენ ღორს.

კაკალი აქ ღორს. იმიანი ხორცი აღამიანს აზნევეფს. იძიანი ღორი არ ვარვა. ტყელი ჭიაა, პეტერა ჭიაა, შენპარავ უხულოს ვეტყვით. გაბერვა იცის უნაიროთ. კილაძეს მიამკლა, ის მქონდა მე.

(სოფ. პირველი სერი)

32. მემჯვრისხევეში

მე გევიზარდე ლარიბი კაცის ოჯახში. მერე გავთხოვდი. დაწერამ ამას? მამიყვანეს აქა. ერთი სანი წელიწადი ვიცხოვრე ქმართან და მამიკეტა მერე. დამჩა ბოვშები და გავთხოვდი მორეთ. მ წელიწადი მქვრივი ვიყავი. მაგას სა მოვყვები, ვინძახას ჩემი თხოვა უნდოდა. ჩემი ქმარი ბულანტერი იყო.

ქვრივობაში ბევრი სიმწარე ნავხე. ბეჯვრიხევეში დაქვეონდა ღვინოები, ვცვლიდით სიმიღზე.

წვევდით ერთხელ, ჩვევდით გორში, წვევდით იქიდან და ევევდით მეჯვრიხევეში. იქიდან წავყვეით ოსეფს. დავადევით ურემზე ის ღვინო და ვიარეთ და ვიარეთ. წვიმს, წვიმს ისე, რო რეშა იყო სულ. სულ გევიწუნწეთ.

ერთს ალაგინა მივედით და დავბინავდით იქა. ძირას ბალკონი იყო, დავამოეთ ცეცხლი, დევიდევით თავით ტიკი, გავშრით ცეცხთახ.

გათენდა დილაი და წვევდით კიდე ზეითეკენ. სულ თაი იყო. მივევდით ახლა და თითო ბოთლი ღვინო ოსის ქალეფს მივევით. ისინი მიქეცობოდენ, წყალ-წყალ მიდიოდენ, ჩვენ გზაწვრილს შიყვობოდით.

აქაურ ხალხს ძალიან აფასებდენ იქა. გამოგვიტახეს პურები. თები იყო სულ ნიგვზისი. ნეფსი ან მახათი და ჭიქა გამოქვთხოვეს.

— თუ ჩამოხვალთ ხოლმე აქაო, ნათესავათ გაგიხთითო.

დავპირდით, რო ჩვევიდოდით. მერე დავდექით ერთ სახში.

გათენდა დილაი, მარა რითი გინდა მეჯვრიხევეში ჩამოხვიდე. მაგკონდა სამი ფუთი ღვინო, მარა გზა არ მოდიოდა მეჯვრიხევეამდი.

წყალ-წყალ არი გზა, ისე გზაწერილებია. სამი ქალი ვართ, ერთი კაცი. თუ გადავარდა ერთი წყალში, ჩვენც ჩავცვინდებით. ასე ვიარეთ გაქვირებით. მერე რო ჩამევედით, დევინახეთ ერთი ურძიანი კაცი. დევეწიე.

— სიდან ხარ შენეო?

ვუთხარი, შევეხვეწე, სიმიდი დეედვა ურემზე.

— გასათხოვარი თუ ქყამთ რამეიო; სულ არ გვინდა ქირაიო.

— აჰა, არა! — მე უთხარი, — იმისანა კაი ქალიშვილები მყამსათქო.

დიდი გზა არი, პაწია კ'არ არი სასიარულო!

ერთს ალაგინას დავჯექით და საქმელი უნდა ექამოთ. მიგვიპატიჯეს ამ ცხვრის ხორცზე. მერე ჩვენც კარქათ ვისადილეთ და ჩამევედით მეჯვრიხევში. დაქვცხო წვიმამ და დაწუნწყული, დაზუნზლული გევედით.

მივატანეთ მეჯვრიხევში. ახლა მანქანას ველით. ძევიდა მანქანაი და წამევედით გორში. უკვირთ, ამდენი სიმიდი სა იშონაო. გორში მერე მარილიც ბლომათ ვიშონე, გავამსე სუმკა მარილითი. ჩამევედი ძირულაზე. მევიტანე წისქვილში საფქვავი. იქიდან მოტახილი სიმიდი კაი ხანს გვეყო.

(სოფ. განთიადი)

უცნობ სიტყვათა განმარტება¹

ადოუებული აყვავებული.

ალაბალა უთავბოლოდ.

ალიბერეფს ფერს უკარგავს, ათეთრებს.

ალო დრო.

ანლათ პატიოსნად, ალაღად.

აოშვა დახული მიწის ხელმეორედ არაღრმად გადახვხა ნიადა-
გის გასათხვიერებლად.

არადიათ იშვიათად.

არაქელა ზარმაცი, დაუდევარი.

არაქველა უხარისხო, ნაჩქარევი.

არნადი კალოზე ხორბლის ან ბზის შესახვეტი გრძელტარიანი
ფიცარი.

არჯალი ამტანი, გამძლე, ჭანსალი.

ახაგალავი ასაცმელი.

ახაწვეველა (ასაწვეველა) კეტი, რომლითაც აიწვევა ან დაიწვევა წის-
ქვილის ქვა.

აჩუმპული დანადვლიანებული, ხალისდაკარგული.

ბატკუცა პატარა და სიმსუქნისაგან გამრგვალებული.

ბაჩა დაბალი.

ბილბანდი ბინდბუნდი.

ბოკონა ფიცრის პატარა, დაბალი სკამი.

ბორდოხი მსუქანი, ფერხორციანი.

ბოქშოტი დაუკვირებელი, ჭკუანაკლები.

ბუნი ერთი პაპის შთამომავალნი.

ბურქვი კუკური.

ბურსოული თხელი ქსოვილის ცხვირსახოცი.

ბურჭალობა თამაში.

¹ ტექსტებში ზოგი თავისებური მნიშვნელობის სიტყვა გვხვდება. საჭიროდ ვცანიხ
ეს სიტყვები ანბანთრიგზე დაგველაგებინა და ტექსტებისათვის დაგვერთო.

გადაწყვეს მოსპობს, გადააშენებს.
გადიდრაჭება გადიდვაცება, გაუკადრისება.
გაველაკებული გავერანებული, გაპარტახებული.
გაენებს შექამს, ძვლებიანად დახრავს.
გამგნე მცოდნე, გამგები.
გამოგვერგვამს დაგრეს გვერგვის მსგავსად.
გამოლიხავს გამოათრევს.
გვარვალა (გორვალა) სარეველა მცენარის ნაყოფი, რომელიც
ხორბალში ურევია.
გაძალარება გაძალიანება.
გაცეცებული გაოცებული.
გღემურჯა მარჯვე.

დაგარვალებს გორვალასაგან გაწმენდს (იხ. გვარვალა).
დაზაბაკება დასნეულება, დაზიანება.
დაკოტვრა ხის მასალის დაჭრა ზომების მიხედვით.
დალა უქნარა, უხეირო, მოჩერჩეტო.
დანამბუღებული დანოტიოებული.
დაოტდება დაოკდება, გაჩერდება.
დარიგნება საფუძველის (სიმინდის, ხორბლის...) დაყრა დასაფუძვავად.
დაფხავებული გამხდარი.
დაწმელამს ყურძნის დაქვლეტის შემდეგ საწნახელში დარჩენილ
ქაქას, რომელშიც ჭერ კიდევ არის ტკბილი, რამდენჯერმე ფე-
ხით გადავლით დაწურავს.
დეიშვალება დასველდება.
დერგი თიხის დიდი ქილა, რომელიც იხმარება სხვადასხვა პრო-
დუქტის, მეტწილად კი ყველის ან მწნილის შესანახად.

ეიბილიკებს განდევნის.
ეხიშტება ეუხერხულება, ეუცხოება.
ვაგა გრძელი ხე, ბერკეტი, რომელსაც ხმარობენ გადასადგმელი ან
გასასწორებელი შენობის ასაწევად.

ზისხასავეთ მეტად მწარე.
ზორტი ტყეში თავისით წაქცეული ხე.

თავადებული ამაყი, თავმომწონე.
თავქედუროფს თავხედობს.
თავისმელი თამადა.

თაფჯანთა უკან გადახრილი, გადაწონილი.

თაღხნათ თავისუფლად.

თაღარი თიხის კურკელი საწნახლიდან გადმოსული ტკბილის ჩასას-
ბმელი, სატკბილე.

თაღარი წყლით გამოღრმავებული ადგილობ მდინარეში, ქვის ან
ხის ძირების ქვეშ, შიგ თევზი იცის.

თარღალი ნარმა.

თაოხინჯება იბლინძება, იპრანქება.

თაშური ვაზის ჯიში, თეთრყურძინიანია, მალღარის სახით გვხვდება.

თაჭაბჭუა კუდაბზიკა, მეტიჩარა.

თავეუო ხის ურო. იხმარება ქურის თავზე აყალოს დასატკეპნად.

თავენტილა მალალი წრის ადამიანი.

თავეტიას რაში.

თავეჟილა ტარო პატარა, ცუდი ტარო, აქა-იქ რომ აქვს ბარცვალი.

თაბოლია კიბორჩხალა.

თაილი ნაკლი, წუნი.

თაბი ლობიოს, ბრინჯის ან მისთანათა ხარშის შედეგად წარმოქმ-
ნილი შედედებული სქელი მასა.

თაგაზი მიწა წებოვანი შავი მიწა.

თაგვარა წისკვილის ნაწილი, კრიკა, რომელშიც ჩადის ხეიმირბდან
მარცვალი და მერე აქედან ქეაში.

თახტი ტარო მჭიდრომარცვლებიანი, გრძელი, კარგი ტარო.

თაორდი ვაზის მოზრდილი ყლორტი.

თაკიდონელი თხრახუში.

თანანიანი ბუოლა ფოთლებზე უანგისფერი ლაქების მქონე ბუოლა
(მანანა ავადმყოფობაა ერთგვარი).

თარეშლობა ქათმების დღეობაა ყველიერის წინაკვირას.

თარდი ულამაზო, სუსტი.

თაქცი მოხერხებული, ეშმაკი.

თაღინდარა სიტყვამოსწრებული, თხუნჯი, ლაზღანდარა.

თაბაშირი გველი.

თაერდიში სამტკიცი.

თაერჩი ფიცრის ქერი.

თაეცარი ყველაფრის მცოდნე.

თინაბურება სხვის ამარა დატოვება, მინდობა, მიბარება.

მიხაწერი ადგილი, სადაძღვე უხდა შიალწიო.

მიფაქვა ცეცხლთან მიფიცხება.

მიღნავება მისუსტება.

მიჯანგვრა-მოჯანგვრა რაიმეს ნაჩქარევად, უსუფთაოდ კეთება.

მობარაგინება გადმობარგება, დაბინავენბა, დამკვიდრება.

მობურბურება თოვლის მოყრა.

მოკიტალეზა ზურგზე მოკიდება (ვისიმე).

მოხახელავი მოსავლელი.

მოხოხვნა მიწის ზედაპირის (კალოს, საყანე ადგილის, ვენახის) გაწმენდა ბალახებისაგან თოხით.

მოჭეგვა მოტყეპნა (რისიმე).

ნაიბი წყება, გზობა.

ნალო დაუხერხავი ხე, რომელსაც მოათრევენ ხარ-კამეჩები ულ-
ლით, ურმის გარეშე.

ნამბული ნოტიო, ნესტიანი, ნამიანი.

ნაწკიელი ნაპერწკალი.

ნაქიანი ნიგოზი წენგოიანი, გაუკროლავი კაკალი.

ოთხამოღეფ სწრაფად, დიდი სიჩქარით.

პაპია პაპის (ბაბუის) მამა.

პირიხანში წუთში.

ჟვენთხი ქუჩყიანი, წყლიანი თოვლი.

რეში დიდი წვიმა, თავსხმა.

როკი ტოტი.

საბნიელი კვეთი (იხ. საკიდელი).

სათრიალა ნალო (იხ. ნალო).

სათფილო ცხერის ხორცის ნაჭრები (უკანა ნაწილი, თეძოები).

საკიდელი იგვევა, რაც საბნიელი (იხ. საბნიელი).

სამაშნავი მიწაა, რომელსაც აყალოს ზევიდან აყრიან ქურის თავს,
რომ თიხა არ გამოშრეს და არ დასკდეს.

სალამოჯარი სალამო ხანი.

საშვეტი სირნა ხეზე დამაგრებული მავთულის მარყუჭი, რომლის
ერთი ბოლო მოძრაობს. ხმარობენ მაჩვის დასაქყარად.

საჩეროებელი საჩრდილობელი.
საჩენხე საქონლის საზაფხულო სამწყვრევი.
ხაყოლი ქალის ოჯახი, საიდანაცაა გამოთხოვილი.

ტეფა. ხის ტოტის კანი (იხმარება შელოცვის დროს).
ტოზობს მრავლდება.
ტოლო მოსული, დიდი.

უდარდავი უამრავი, ბევრი.
უშალ უწინ.
უშალამდელი უწინდელი.
უნასი გველი.
უყი დაუნხავი მიწა, ყაძირი.
უშაკო ვენახი შაკის. მწყრივის უქონელი ვენახი.

ფიტონი თარო.
ფოლი ჩლიქი.
ფორი ობი.
ფოხალი საწყაო, ხის კურკელი, 10-12-კილოიანი.

ქამფოლარი ავი, ბოროტი.
ქარაფი ორმო ციცაბო კლდეებით — ქარაფებით შემოზღუდული
ღრმა ორმო.
ქიჩმაჩი საჩხუბრად მიწვევ-მოწვევა.
ქუბა (||ქუბლა) ჩალის რამდენიმე კონა, ერთმანეთზე სამკუთხედის
მსგავსად მიყუდებული გასახმობად.
ქშუის (გადატ.) — ტრიალებს, მუდამ შრომობს.

ღალმათი სუსტი, უღონო.
ღოჯი მოწყდა წყალს განელთბილდა წყალი.
ღურთულა გულჩახვეული, ჩუმი ეშმაკი, ქვეშქვეშა.
ყავარდახიანი შნოიანი, შეძლებული, ლაზათიანი.
ყაფრათ ძლიერ დაქანებულად. დახრილად.

შაიკი ტანადი, წარმოსადეგი.
შაკი (|| შარი) მწყრივი, რიგი ვაზისა, სერელი.
შამოკორდნილი შემოსაზღვრული.
შურო ფერდობზე მორების დასაცურებელი ადგილი.
შქმუთი საღურგლო ხელსაწყო, ფიცრის შეზნეჟილი ნაწილის
ამოსაღები.

ჩაფულა მრგვალტუჩიანი, თიხის პატარა ჩაფი 10-12. ლიტრამდე
ტევადობისა.

ბეგო თოხი პატარა თოხი, კირკისმაგვარი.

ჩიბა წისქვილის ნაწილია, საფქვილე, ალა.

ჩლა ბამბის ნართი ან დაგრეხილი ქსოვილის ნაჭერი პატრუქისათ-
თვის.

ჩომა პირუტყვი, მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

ჩოტი საქონლის კბილი, გამოცვლილი კბილების შემდეგ ამოსუ-
ლი.

ჩქოლა ასალგაზრდა, ნორჩი.

ჩხუნკალი კინკლაობა.

წაკუნერუხდება წაჩერჩეტდება, წაეხეტება.

წახვერეფებული კუჩისთავზე დაყრილი მიწა (ხვერეფი) გასწო-
რებული.

კიღვა წვრილი კიგო, რომელიც ესობა ახლად ჩაყრილ ეაწს.

კოგრი კაკლის დასაბერტყი ჯოხი.

კოშნიერი კკვიანი, გონიერი.

ბაბარი გონი, აზრი.

ბადილი ნიშნობა.

ბელშეწეული (ხელშეწეული) ხელმოკლე.

ბროსტი ვეებერთელა, ბუშბერაზი.

ბჟობს უარს ამბობს.

ბუშტარა სადურგლო ხელსაწყო—შალაშინი — ხის ზედაპირის
გასასწორებელი.

ჯარდაგინობა ჯაფა, ვაი-ვაგლახი.

ჯინი ყურძნის ჩასაყრელი, წნელისაგან მოწნული დიდი გოდორი.

ჯიშკვი გამაგრებული ჯიქანი (ავადმყოფობა).

პირთა სპივნებლი

- ალაიძე მ. 242, 263, 290, 293, 317.
 არველაძე ლ. 231, 235.
 ახელედიანი გ. 34, 37, 78, 281.
 გაბუური ბ. 262.
 გაჩეჩილაძე პ. 74, 97, 112, 149, 236.
 242, 244, 245, 246, 248, 249.
 გველესიანი გ. 136.
 გიგინეიშვილი ი. 241, 259.
 ვახუშტი 34.
 ზურაბიშვილი თ. 48, 49, 234, 253.
 თოფურია ვ. 43, 77, 187, 208, 233, 234.
 235, 241, 251, 252, 259, 261, 262,
 273, 275, 294, 309.
 იმნაიშვილი გრ. 17, 74, 97, 112.
 კახაძე თ. 19, 158, 192, 208, 230, 233,
 236, 237, 242, 244, 245, 252, 256.
 კვანტალიანი ლ. 234.
 კიკნაძე ლ. 193, 264, 265, 275.
 კვბლაშვილი კ. 138, 187, 229, 230, 277.
 ლეჟავა ლ. 237.
 ლომთათიძე ქ. 30, 42, 59, 79, 174, 245,
 280, 294.
 მარტიროსოვი არ. 74, 77, 97, 112, 261.
 ნათაძე ნ. 272.
 ნიქარაძე შ. 83.
 ელენტი ს. 258, 262, 262, 287, 291,
 293, 294.
 როგავა გ. 158, 190, 192, 213, 238, 239,
 255, 258, 266, 269.
 ფანჩიძე ლ. 160, 293, 295.
 ფონსუა ბ. 278.
 ქავთარაძე ი. 241, 259.
 ქალდანი მ. 259.
 შანიძე ა. 157, 191, 193, 213, 262, 266,
 267, 269, 272, 275, 283, 285, 290,
 292.
 ჩიქობავა არნ. 18, 21, 47, 80, 93, 100,
 118, 142, 149, 179, 187, 200, 235,
 237, 258, 259, 261, 262, 266, 274,
 276, 284, 286, 292, 293, 294, 295.
 ცანცაძე მ. 258.
 ცხადაძე ა. 231, 237, 256.
 ძიძიგური შ. 18, 21, 99, 227, 232, 236,
 237, 242, 245, 246, 249, 250, 251,
 258, 259, 267, 286.
 ძოწუნძიძე ქ. 20, 21, 23, 97, 99, 100,
 105, 110, 127, 149, 150, 185, 233, 234,
 250, 276.
 ჯაოშვილი ვ. 242.
 ჯაჭანიძე პ. 28, 59, 97.

შ ე მ ო კ ლ ე ზ ა ნ ი

- თ ს უ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 იბ.-კავკ. ენათმ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
 ხად. ხ. — სადაბო საბჭო
 ხაქ. ხ. — საქალაქო საბჭო
 ქუთ. პედაგ. ინსტ. შრ. — ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-
 ტუტის შრომები.

შესწავლილი სოფლები

ორჯონიკიძის (ხარავოლის რაიონი)

ბეათუბანი (პოლითის ს. ს.) ¹	საბე (სარგვეშის ს. ს.)
ბორითი (ბორითის ს. ს.)	უჩამეთი (ლაშის ს. ს.)
გოლათუბანი (წიფის ს. ს.)	ფარცხნალი (ფარცხნალის ს. ს.)
გრივალათი (ხუნევის ს. ს.)	ფონა (წიფის ს. ს.)
ვარძია (ვარძიის ს. ს.)	ქეები (პოლითის ს. ს.)
ვახანი (ვახანის ს. ს.)	ლარისხევი (ბაზალეთის ს. ს.)
ვერტყვიქალა (ხუნევის ს. ს.)	ლორეშა (ლორეშის ს. ს.)
ზარანი (სალანძილეს ს. ს.)	ჩდილი (პოლითის ს. ს.)
ზეარე (პოლითის ს. ს.)	წაქვა (ხუნევის ს. ს.)
ციციხე (ციციხის ს. ს.)	წიფა (წიფის ს. ს.)
ლაშე (ლაშის ს. ს.)	ქარტალი (პოლითის ს. ს.)
ლეღვანი (ლეღვანის ს. ს.)	ხევი (ხუნევის ს. ს.)
ნებოძირი (პოლითის ს. ს.)	ხიდარი (ვარძიის ს. ს.)

სახეგრის რაიონი

არგვეთი (არგვეთის ს. ს.)	პერევი (ქალის ს. ს.)
ბაჭითი (სარეკის ს. ს.)	საიანე (არგვეთის ს. ს.)
გორისა (გორისას ს. ს.)	სხვიტორი (სახეგრის ს. ს.)
ზედა ორღული (ჩიხის ს. ს.)	ჭყია ორღული (ჩიხის ს. ს.)
კორბოული (კორბოულის ს. ს.)	ქორეთი (ქორეთის ს. ს.)
ლიჩი (ქალოვანის ს. ს.)	ლოთორა (ქალოვანის ს. ს.)
მახათაური (არგვეთის ს. ს.)	შომახითი (კორბოულის ს. ს.)
მერჯევი (საირხის ს. ს.)	ჩიხა (ჩიხის ს. ს.)
მოხვა (ცხომარეთის ს. ს.)	ჯალაურთა (ჯალაურთის ს. ს.)

ქიათურის რაიონი

პერეთისა (ნიგოზეთის ს. ს.)	მორძგვეთი (კაცხის ს. ს.)
ბილა (ქვაციხის ს. ს.)	პატარა ჩხირაული (მანდაეთის ს. ს.)
გეზრული (გეზრულის ს. ს.)	პერევისა (პერევისის ს. ს.)
ვანი (ხვაშითის ს. ს.)	რგანი (რგანის ს. ს.)
ზედა ქალოვანი (ხვაშითის ს. ს.)	საქურწე (ქვაციხის ს. ს.)
ზეღუბანი (ზოდის ს. ს.)	სვერი (სვერის ს. ს.)
ზოდი (ზოდის ს. ს.)	ქვაციხე (ქვაციხის ს. ს.)
მანდაეთი (მანდაეთის ს. ს.)	შუქრეთი (პერევისის ს. ს.)

¹ ს. ს. — სასოფლო საბჭო. ფრჩხილებში მითითებულია, რომელ სასოფლო საბჭოში შედის დასახლებული სოფელი.

წირქვალი (წირქვალის ს. ს.)
წყალშავი (ნიგოზეთის ს. ს.)
ხალიფაური (წირქვალის ს. ს.)

ხვაშიაი (ხვაშითის ს. ს.)
ხრეთი (ხრეთის ს. ს.)

ზესტაფონის რაიონი

ბოსლევი (ბოსლევის ს. ს.)
განთიადი (ძირულის ს. ს.)
დილიკაური (დილიკაურის ს. ს.)
ზედა საქარა (ზედა საქარის ს. ს.)
ზოვრეთი (ზოვრეთის ს. ს.)
მეორე სვირი (მეორე სვირის ს. ს.)
პირველი სვირი (პირველი სვირის ს. ს.)
სანახშირე (სანახშირის ს. ს.)

სალვინე (პირველი შაისი) (სანახშირის
ს. ს.)
ტაბაკინი (კლდეეთის ს. ს.)
ფუთი (ფუთის ს. ს.)
ქვედა საზანო (ქვედა საზანოს ს. ს.)
ქვედა საქარა (ქვედა საქარის ს. ს.)
შროშა (შროშის ს. ს.)
კალატყე (ქვედა საქარის ს. ს.)

ტყიბულის რაიონი

ბობოთი (გურნის ს. ს.)
გურნა (გურნის ს. ს.)
მანდიკორი (ორპირის ს. ს.)

სოჩხეთი (სოჩხეთის ს. ს.)
ცუცხვათი (ცუცხვათის ს. ს.)

მაიაკოვსკის რაიონი

ზედა დიში (მაიაკოვსკის სად. ს.)

თერჯოლის რაიონი

ეწერი (ეწერის ს. ს.)
თერჯოლა (თერჯოლის ს. ს.)
საზანო (საზანოს ს. ს.)

მთხრობლები

ა) ორჯონიკიძის (ხარაგაულის) რაიონიდან

- | | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ბანცაძე ერმლო (59 წ.)—17¹
 ბანცაძე პაველ (70 წ.)—19
 ბარბაქაძე მალაქია (105 წ.)—41
 ბერაძე დავით (73 წ.)—33
 ბერაძე მიხეილ (87 წ.) 32, 34
 ბლუაშვილი დავით (64 წ.)—67, 68
 გაგოშიძე ივანე (60 წ.)—54
 გელაშვილი იოსებ (100 წ.)—30, 31
 ვოგოლაძე ედუი (80 წ.)—15, 16
 გოგოლაძე ილარიონ (73 წ.)—44
 გორგაძე ვასილი (47 წ.)—40
 გორგაძე პაველ (69 წ.)—36, 37, 38, 39
 გრივალაშვილი გიორგი (75 წ.)—13
 გრივალაშვილი ნატალია (90 წ.)—27
 გრივალაშვილი ნიკოლოზ (65 წ.)—25
 დალაღიშვილი ვასილ (55 წ.)—7
 დეკანოსიძე ნატალია (75 წ.)—52
 იჩქიტაძე ნეოფიტე (79 წ.)—80
 კამკამიძე ბესარიონ (102 წ.)—51, 53
 კამკამიძე სიმონ (57 წ.)—47
 კაპანაძე ნინა (42 წ.)—8
 კურტანიძე ბიჭიკო (15 წ.)—77
 კურტანიძე ნიკოლოზ (50 წ.)—78, 79
 კურტანიძე რიმა (44 წ.)—81
 ლაცაბიძე ნესტორ (85 წ.)—20
 მალრაძე ამბერკი (67 წ.)—56, 60
 მალრაძე გიორგი (64 წ.)—64</p> | <p>მალრაძე პლატონ (81 წ.)—61, 62
 მალრაძე საველ (72 წ.)—57, 58, 59, 65
 მუმლაძე სვიმონ (79 წ.)—43, 45, 46
 მუსუტაძე ონისიძე (94 წ.)—83
 ნადირაძე ერმანოზ (62 წ.)—11
 სახვაძე კალესტრატე (58 წ.)—63
 ტალახაძე გიორგი (76 წ.)—21
 ტალახაძე მიხეილ (75 წ.)—1
 ტალახაძე ნიკოლოზ (88 წ.)—5, 6, 9
 ტალახაძე სერგო (65 წ.)—4
 უჩაძე მარიამ (კვინიკაძისა) (80 წ.)—10
 ფანჭველაშვილი ივანე (58 წ.)—2, 3
 ლამბაშიძე მიხეილ (49 წ.)—22
 ლამბაშიძე ნიკოლოზ (65 წ.)—23
 ლონლაძე ლექსო (80 წ.)—69, 71
 ლონლაძე სერგო (74 წ.)—70, 72, 74
 შარიქაძე სერგო (56 წ.)—66, 73
 შველიძე ერისტო (75 წ.)—75, 76
 ლიტაძე სერგო (30 წ.)—18
 ჰიპაშვილი სონია (54 წ.)—49
 ჰუციძე ნესტორ (62 წ.)—12
 ჰუციძე სამსონ (88 წ.)—14
 ხარატიშვილი არჩილ (76 წ.)—86
 ხარატიშვილი ვალერიან (38 წ.)—84, 85
 ხაჩიძე გიო (87 წ.)—26, 28
 ხაჩიძე სოლომონ (105 წ.)—29
 ზვედელიძე მარიამ (67 წ.)—48.</p> |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

ბ) საჩხერის რაიონიდან

- | | |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>ბანძელაძე ბაგრატ (66 წ.) 4, 6
 ბაჭრაძე მიხეილ (48 წ.) 18
 ბერაძე ბიქტორ (59 წ.) 17</p> | <p>ბულაძე ვლადიმერ (52 წ.) 29
 გაფრინდაშვილი ვასილ (90 წ.) 46, 48
 გაფრინდაშვილი პლატონ (60 წ.) 47
 გოგატიშვილი სერაფიონ (86 წ.) 33</p> |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

¹ ფრანხილუბში ჩასმული რიცხვი აღნიშნავს მთხრობლის ასაკს, მომდევნო კი — ტექსტის ნომერს.

გუდასი ბალაქტობს (65 წ.) 31
 ეპქრიბს სადიკო (63 წ.) 40
 იაკობიშვილი დავით (68 წ.) 35
 კერესელიძე ფარნაოზ (75 წ.) 27
 კვამლაძე ივანე (90 წ.) 38
 კვიციანიშვილი სიმონ (65 წ.) 30
 ლომიძე მათე (92 წ.) 42
 ლომიძე ივანე (42 წ.) 43
 ლურსმანაშვილი ილარიონ (64 წ.) 25
 მკვარაშვილი ბიქტორ (53 წ.) 52
 მაჭარაშვილი უშანგი (31 წ.) 50
 მორღვაძე მისხვილ (46 წ.) 24
 შაბიძე ვალდო (68 წ.) 49

ტუფნაძე ლექსო (71 წ.) 41
 ტყემალაძე სიმონ (90 წ.) 5
 ტყემალაძე ლუკა (77 წ.) 7, 9, 10, 11
 ტყემალაძე ჯაბა (60 წ.) 1
 ფხალაძე შალვა (34 წ.) 45
 შარვაძე დომენტი (74 წ.) 34
 შუკაიძე თომა (95 წ.) 19, 21, 22, 23
 შუკაიძე მარო (68 წ.) 16, 20
 შუკაიძე იასონ (76 წ.) 13, 14, 15
 ცაბაძე ტრიგონ (33 წ.) 3
 ცაგარეიშვილი გიორგი (53 წ.) 27
 ცომეყურიძე სანსონ (78 წ.) 27
 ხუტუნუშვილი შალვა (60 წ.) 2, 12

გ) კიათურის რაიონიდან

იმამშუკლი ლუბა (50 წ.) 48
 ბუზაძაძე ხენონ (67 წ.) 7, 8, 9, 10, 12
 ვაჭანიშვილი სიმონ (75 წ.) 23
 ნოგოლაძე დესპინე (64 წ.) 19
 გოცამაძე პეტრე (75 წ.) 33, 39, 40, 41
 დევიძე მაგრაძე (75 წ.) 1, 2, 3, 4, 5
 დევიძე ანა (64 წ.) 5
 დევიძე შარიამ (73 წ.) 42
 ზამზახიძე კესარია (75 წ.) 43
 კაპანაძე ილია (92 წ.) 26
 კაციაძე მატრონა (73 წ.) 52, 53
 კაციაძე მარო (57 წ.) 50
 ლოლაძე იელიანე (56 წ.) 71
 მესხიარაშვილი ლევან (107 წ.) 51
 მუშლაძე სიმონ (82 წ.) 60
 მუშლაძე ბაბილა (49 წ.) 62
 ნეფარიძე კესარია (80 წ.) 22
 ნეფარიძე იელიანე (78 წ.) 33, 34, 35, 36
 ნინიაშვილი ივანე (62 წ.) 25
 შაბაშვილი სეფე (75 წ.) 31, 32, 37
 სამხარაძე ექვთიმე (93 წ.) 17

სამხარაძე გრიგოლ (65 წ.) 15, 16
 სამხარაძე ნიკოლოზ (70 წ.) 14
 ტაბატაძე სპირიდონ (99 წ.) 18
 ტაბატაძე ნალია (44 წ.) 58
 დობინაძე დავით (72 წ.) 63
 ლეალაძე სერგო (61 წ.) 56
 ყაველაშვილი ილარიონ (102 წ.) 68, 69
 ყაველაშვილი ელენე (16 წ.) 64, 70
 ყაველაშვილი ანა (23 წ.) 65, 66, 67
 შეყვილაძე ანტონი (86 წ.) 55
 შეყვილაძე ნინა (44 წ.) 20
 შეყვილაძე შატალია (78 წ.) 54
 ჩაჩანიძე სიმონ (32 წ.) 19
 ჩაჩანიძე ნიკოლოზ (53 წ.) 61
 ტერეკვაძე პორფირე (67 წ.) 27, 28, 29, 30
 ქარხალაშვილი ივანე (75 წ.) 24
 ხოჭანაშვილი ოლიფანტე (68 წ.) 21
 ხუციშვილი პრამონ (62 წ.) 11
 ჯაფარიძე ირაკლი (71 წ.) 44, 45, 46
 ჯაფარიძე კაკა (68 წ.) 49
 ჯაჭანიძე სადიკო (66 წ.) 57

დ) ზესტაფონის რაიონიდან

აბულაძე სევერიანე (73 წ.) 12
 აბუანდაძე ბაკუა (42 წ.) 25
 აბუანდაძე ვალოდია (35 წ.) 23
 ვარდოსანიძე აკაკი (36 წ.) 14
 კამლაძე ლუბა (40 წ.) 18
 კაპანაძე დავით (89 წ.) 28, 29
 კაპანაძე ბოლოტიე (75 წ.) 29, 30
 კაპანაძე ტარასი (92 წ.) 1
 კაპანაძე გიორგი (72 წ.) 3

კაპანაძე მინაგო (42 წ.) 2
 კელენჯერიძე თომა (44 წ.) 17
 მალაყელიძე შალვა (52 წ.) 7
 მიქაბერიძე შალვა (62 წ.) 8, 9
 მიქაბერიძე ტერეზა (90 წ.) 10
 შურციკიძე ნინა (55 წ.) 31
 შვილიძე აკაკი (53 წ.) 5
 ცხადაძე აგაბო (78 წ.) 27, 28
 წითელაშვილი არქიმო (52 წ.) 15
 ზიჯაკიძე ეზეკია (48 წ.) 20

ქათეპან ქოჩინიძის შრომების

ბიბლიოგრაფია¹

გამოქვეყნებული შრომები

1. -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში. იბ.-კავკ. ენათმ., I, 1946.
2. ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში. თსუ შრ., ტ. XXX—XXXI B, 1947. გადაბეჭდილია კრებულში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, წიგნი I, 1956.
3. ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VIII, 1948.
4. სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით (საკანდ. დის. ავტორეფერატი რუსულ ენაზე). თსუ, თბილისი, 1950.
5. -ევ სუფოქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. X, 1951.
6. ზემოიმერული კილოკავი. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XI, 1953.
7. ქართურ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XIII, 1955.
8. ზემოიმერული კილოკავის აირითადი თავისებურებანი (ორჟონიკიძის ტაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით). ქუთ. პედ. ინსტ. შრ. ტ. XVII, 1957.
9. არქაიზმები ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XVIII, 1958.
10. თურქობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XXII, 1960.
11. ზემოიმერული კილოკავი (ვიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველების მიხედვით). ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XXIII, 1961.
12. იმერული ტექსტები (№ 344—345; 349—350; 356—357; 363—366); ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.
13. უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში. იბ.-კავკ. ენათმ., ტ. XIV, 1964.
14. ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის. „მაცნე“, 1967, № 3.
15. დ. გურამიშვილის ენა. ქუთ. პედ. ინსტ. შრ., ტ. XXXIII, 1970.

¹ გამოყენებულია ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოგრაფ თ. ანდრედიანის მიერ მოწოდებული მასალები, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ (რედ.).

პირველად იბეჭდება

16. ზემოიპერელი კილოკავი (საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით).

17. ზემოიპერელი კილოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით).

18. ზემოიპერული კილოკავი ქვემოიპერულთან მიმართებით.

19. აკაკი წერეთლის ენა.

20. დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება.

საგაზეთო წერილები

1. დაწესება სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდე. „სტალინელი“, 1961, 16. VII.

2. Прославленный ученый (А. С. Чикобава), газ. «Кутаисская правда», 1963, 5, III.

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. „ქუთაისი“, 1965, 25. IV.

4. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები: „ქუთაისი“, 1965, 10. VIII.

5. პროფესორი ვარლამ თოფურია (დაბადების 65 წლისთავი). „ქუთაისი“, 1966, 9—1.

6. პროფესორი ვარლამ თოფურია (მასწავლებლის ხსოვნას). „ქუთაისი“, 1966. 28. VIII.

7. ერის დიდი მოპირნახულე (აკად. ა. შანიძე). „ქუთაისი“, 1967, 26. II.

8. მეცნიერი მსოფლიო სახელით (აკად. არნ. ჩიქობავა). „ქუთაისი“, 1968, 27. III.

9. სიყვარულით გამთბარი (სიტყვა, წარმოთქმული ქუთ. პედ. ინსტიტუტში გიორგი ლეონიძის იუბილევზე—პუბლიკაცია მ. ალავეძისა). „ქუთაისი“, 1969, 22. XI.

გამოუქვეყნებელი შრომები

1. სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით (საკანდიდატო დისერტაცია).

2. ზემოიპერული კილოკავის ლექსიკონი (იბეჭდება).

3. ზემოიპერულის დარგობლივი ლექსიკა (მასალები).

4. გარდასავალ ზმნათა თურმობითის წარმოება.

5. მიცემათი ბრუნვის ფუნქციები ქართულში.

6. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები.

7. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ენა.

წაკითხული მოხსენებები

ა) ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე

1. თანდებულნიან სახელები ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეების მიხედვით. 1943.

2. მიცემითი ბრუნვის ფუნქციები ქართულში. 1944.

3. -გან თანადებულაანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულ-
ნ. 1945.

4. ემფატური ხმოვანი ძველ ქართულში. 1946.

5. ვარდამაქალ ზნნათა თურმობითოს წარმოება. 1947.

6. ქვემოქართლის უზუთური მეტყველება. 1948.

7. ი. ბ. სტალინი სოხალის ვართიანი ენის შესახებ. 1950.

8. -მც სუფაქისათვის ზემოიქმერულ კილოკავში. 1951.

9. ი. ბ. სტალინის ნაშრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ ძირითადი დებულებები. 1951.

10. ი. ბ. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ბაზისის და ზეღ-
წაშენის შესახებ. 1952.

11. ილია ჭავჭავაძის ენა. 1952.

12. ილია ჭავჭავაძის პროზის ენა გრამატიკული წყობის თვალსაზრისით. 1952.

13. აკაკი წერეთლის ენა. 1953.

14. დ. გურამიშვილის ენა. 1955.

15. ზემოიქმერული კილოკავი. 1956.

16. ორჯონიკიძის რაიონის ქართლის მოსაზღვრე სოფლების მეტყველების
თავისებურებანი. 1957.

17. არქაოზმენი ილია ჭავჭავაძის ენაში. 1957.

18. ზემოიქმერული კილოკავი (სახხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების
მიხედვით). 1959.

19. ზემოიქმერული კილოკავი (ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების
მიხედვით). 1960.

20. ზემოიქმერული კილოკავი (ქალაქ ჭიათურის მიმდებარე სოფლების მცხოვ-
რებთა მეტყველების მიხედვით). 1961.

21. ვაჟა-ფშაველა და სალიტერატურო ენის საკითხები. 1961.

22. ზემოიქმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების
მიხედვით). 1962.

23. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ენა. 1962.

24. დავით კლიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება. 1962.

25. ზემოიქმერული კილოკავი (ზესტაფონის რაიონის ზოგიერთი სოფლის მეტ-
ყველების მიხედვით). 1963.

26. უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიქმერულ კილო-
კავში (საქართ. სსრ მეც. აკად. ენათმ. ინსტ. -ისა და ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის
სახელმწ. პედ. ინსტ. -ის ქართული ენის კათედრის გაერთიანებული სამეცნ. სესია).
1964, 15-16.

27. ზემოიქმერული კილოკავის ლექსიკონი. 1966.

28. ზემოიქმერული კერამიკა. 1968.

2) საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა რეს-
პუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციებსა და სესიებზე

29. ქართული ენის სწავლების მდგომარეობა ალ. წულუკიძის სახელობის პედ-
გოგიურ ინსტიტუტში (საქართ. სსრ უმაღლესი სასწ. -ის ქართული ენის კათედრათა
III სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სესია). 1955.

30. ზემოიქმერული კილოკავი ქვემოიქმერულთან მიმართებით (ქუთ. პედ. ინსტ.).
28-ე სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1964; საქართ. სსრ უმაღლესი სასწ. -ის ქართუ-
ლი ენის კათედრათა VI რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია;
1965.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ქუთეხას ძოწენიძე. ცხოვრება და ღვაწლი	5

გამოკვლევები

I. ორჯონიძის (ხარაგაულის) რაიონის მცხოვრებთა მეტყველება	15
I ნაკვეთი	15
II ნაკვეთი	33
საჩხერის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება	72
I ნაკვეთი	72
II ნაკვეთი	95
ქიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება	110
I ნაკვეთი	110
II ნაკვეთი	136
ახესტაფონის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება	169
I ნაკვეთი	169
II ნაკვეთი	209
ზემოიმერული კილოკავი ქვემოიმერულთან მიმართებით	227
შუაიმერულის საკითხისათვის ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკაებთან მიმართებით	241
წერილები სპეციალურ საკითხებზე	261
✓-მვ სუფიქსისათვის ზემოიმერულში	261
თურამობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში	269
უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულში	273
ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება	273
აკაკი წერეთლის ენა	298
დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება	311

მეტყველების ნიმუშები

ორჯონიძის (ხარაგაულის) რაიონი	323
საჩხერის რაიონი	410
ქიათურის რაიონი	459
ახესტაფონის რაიონი	524
უცნობ სიტყვათა განმარტება	549
პირთა სამიხბელი	555
ქ. ძოწენიძის შრომების ბიბლიოგრაფია	561

Кетевана Самсоновна Дзоценидзе

ВЕРХНЕИМЕРСКОЕ ПОДНАРЕЧИЕ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси — 1973

გამომცემლობის რედაქტორი ა. ს ტ უ რ უ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
ტექნორედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორები: ლ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, ლ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბუქდად 20/XII-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90^{1/16}.
ნაბეჭდი თაბახი 36,66. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 32,22
ტირაჟი 1000 უე 08586 შეკვ. 7388

ფასი 8 მან. 46 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета

Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 14.

1973

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

**Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательства,
Полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.**